



სათავგადასვენლო
გიგლიოთიკა

13

საბავშვო და ახალგაზრდობის
ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
1963

თარგმნა

ამირან გაბესკირიძე

რუსები იაპონიაში

1853 წლის მიწურულსა და 1854 წლის დასაწყისში

ნაგასაკის რეიდში შესასვლელი. — იაპონელების პირველი ვიზიტი. — რეიდისა და ქალაქის ხელი. — ბატარეები; სოფლები. — თარჯიმნები და ბანიოსები. — საყარაულო ნავეები და მენიჩბენი. — გუბერნატორის წერილის გადაცემა. — ყოველდღიური ურთიერთობა იაპონელებთან. — სანოვაგის მოწოდება. — ქოლანდიელების ვიზიტი ფაქტორიიდან. — ქარიშხალი. — ახალი თარჯიმანი. — აღმირალისა და ნაგასაკის გუბერნატორის შეხვედრის ცერემონიაზე მოლაპარაკება. — გუბერნატორის შლიენები. — საზეიმო გამგზავრება ნაგასაკში. — ნავსადგური და ტახტუენები. — იაპონელი ჯარისკაცები. — ქუჩა და სახლები. — გუბერნატორთან შეხვედრა. — რუსეთის მთავრობის წერილის გადაცემა იაპონიის მთავრობისათვის. — იაპონური მასპინძლობა. — ელოფან ჰასუხის მილოდინში. — მეორე გუბერნატორი. — კიდევ თარჯიმანი. — ლაშქრობის წლისთავი. — სპექტაკლი კორეეტ „ოლიფუცაზე“ — სიოგუნის სიკედილი. — ავღარი. — ჰასუხი ელოდან. — ნავეებით სერილობა. — ჰაპენბერგი. — თავების კუნძული. — საჩუქრები. — მნ-შენელოვანი ცნობა ელოდან. — გამგზავრება.

ნაგასაკის რეიდი. 1853 წლის
10 აგვისტოდან.

ბონინ-სიმას კუნძულებიდან იაპონიამდე მგზავრობა კი არა, გასეირნება გამოგვივიდა, მით უფრო რომ აგვისტო იღვავა,

რომელიც ამ მხარეში თურმე ყველა სხვა დროს სჯობია. ცა და ზღვა აქ ერთმანეთს გაჯიბრებია, რომელი უფრო ლამაზი, წყნარი და ლურჯია, რომელმა უფრო მოაჯადოვოს მოგზაური. ხუთ დღეში გავიარეთ 850 მილი. ჩვენი ხომალდი, ვითარცა წინამძღოლი, დანარჩენ ორს სიგნალებს აძლევდა და ერთ-ერთს კიდევ მოათრევდა ბუქსირზე ორი ბაგირით. ასე რომ იქ მყოფი ამხანაგების ნახვა შეგვეძლო, და ხანდახან დიდ ფიცარზე დაწერილი ასოებით კიდევ ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

9 აგვისტოს ასეთივე წყნარს, თუმცა სამწუხაროდ მეტისმეტად ცხელ ამინდში დავინახეთ ის ცხრამთას იქითა გადაკარგული სახელმწიფო. მაგრამ ჯერ თურმე ყველაზე სამხრეთი კუნძულები, უკიდურესი საზღვრები ყოფილა. იაპონიის არქიპელაგის ამ პაწაწინა კუნძულებსა და კლდეებს ევროპული და საკუთარი სახელები ჰქვია: იულია. კლარა, შემდეგ იაკუნოსიმა, ნომოსიმა, ივოსიმა, მერე ს ა კ ე ბ ი წამოვიდა: ტაგასაკი, კოსაკი, ნაგასაკი. ს ი მ ა კუნძულს ნიშნავს, ს ა კ ი — კონცხს, თუ პირიქით, კარგად არ მახსოვს.

როგორც იქნა, მივალწიეთ ჩვენი ათთვიანი მგზავრობის მიზანს. აი, ის დაკეტილი სკივრი, რომლის გასაღები დაკარგულია, ქვეყანა, რომლის ნაცნობობაზე დაყოლიება ვერც ოქროთი, ვერც იარაღით, ვერც ცბიერული პოლიტიკით ჯერჯერობით ვერაფერს მოახერხა. აი, ადამიანთა ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრები, რომლებიც მარჯვედ იცილებენ თავიდან ცივილიზაციის უღელს, თავიანთი ჭკუით, თავიანთი კანონებით ბედავენ ცხოვრებას; ჯიუტად უარობენ უცხოელთა მემგობრობას, რელიგიას და ვაჭრობას, დასცინიან მათ გასანათლებლად ჩადენილ ჩვენს ყოველ ცდას და თავიანთი ჭიანჭველური ყოფის შინაგან, თვითნებურ კანონებს უპირისპირებენ ბუნებრივს, ხალხურს, ყოველივე ევროპულ მართალსა თუ მრულს.

„დიდხანს კი გასტანს ასე?“ — ვიძახდით ჩვენ და სამოც გირვანქიან ბომბის ქვემეხებს ხელს ვუთათუნებდით. იაპონელებს თავიანთ ქვეყნის გაცნობის საშუალება მაინც მოეცათ ნეტავ, მისი ბუნებრივი სიმდიდრეები დაენახვებინათ: დედა-

მიწის დასახლებულ ადგილთა გეოგრაფიასა და სტატისტიკაში ერთადერთ ხარვეზად ხომ იაპონიაა დარჩენილი. ეს უცნაურია ქვეყანა ჯერჯერობით მხოლოდ იმითაა საინტერესო, რომ მისი ამბავი არავინ იცის. განედის 32°-დან 40°-მდეა გადაჭიმული, მაშასადამე, ერთის მხრივ მადერაზე სამხრეთით მდებარეობს. აქ პაპანაქებაც მეფობს და ყინვაც, პალმაც ხარობს და ფიჭვიც, ატამიცა და შტოშიც. აქ ისეთი უზარმაზარი მთებია, როგორც ჩვენში, არის აგრეთვე ცეცხლოვანი მწვერვალები, მთებში კი, — ეს უკვე ცნობილია, — მსოფლიოში საუკეთესო სპილენძი მოიპოვება, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, — ალმასები, ვერცხლი, ოქრო, მწვანე თვალი თუ ოქროზე ძვირფასი, მე-19 საუკუნის ყველაზე ფასდაუდებელი მინერალი ქვანახშირიც სხვა ქვეყნებზე უკეთესი თუ მოიძებნება.

გამოჩნდა ნომოს კონცხი, რომელიც ნაგასაკის რეიდის შეხასველელს წარმოადგენს. ყველა იუტზე შევგროვდით და მზით გაკაშკაშებულ მწვანე ნაპირებს შევეკქეროდით. მაგრამ აქ აღარ შემოგვეგებებია რამდენიმე მილის მანძილზე ხილით, ნიჟარებით, მაიმუნებითა და თუთიყუშებით დატვირთული ნავები, როგორც იავასა და სინგაპურში. არავის შემოუთავაზებია, — ნ ა პ ი რ ზ ე გ ა დ ა გ ი ყ ვ ა ნ თ ო : პირიქით!

ცოტა არ იყოს, გულდამძიმებულნი ვუახლოვდებოდით ნაპირს, ყოველ შემთხვევაში, მე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქო საპყრობილეში შევდიოდით, თუნდაც ეს საპყრობილე ხეებით ყოფილიყო შემორაგული.

მაგრამ ეს რამ ჩაიქროლა წყალზე: პაწაწინა, ფერად-ფერადი ფლიუგერებით მორთულმა ნავმა-სათამაშომ? „ეგ მათი რელიგიური წესიაო“, — თქვა ერთმა ჩვენგანმა. „არა, — გააწყვეტინა მეორემ. — უბრალოდ ცრუმორწმუნე ადათიაო“. — „მკითხაობენო, — შენიშნა მესამემ, — ხედავთ, აგერ კიდევ ერთი მოცურავეს? მკითხაობენ და ბედსა სცდიან“. — „არა, არა, გეთაყვა, — დაიწყო ვილაცამ, — კემპფერი აკი ამბობს...“ — „სათამაშოა და მეტი არაფერი. ალბათ ბიჭებმა გაუშვეს“, — ჩაიდუღუნა პაპამ. მგონი, ყველა მეცნიერულ შენიშვნებზე მართალი ეს უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ ყოველი წვრილმანი რაღაც მნიშვნელოვან ამბად გვეჩვენება.

უცბად ნავი გამოჩნდა, ოღონდ სათამაშო აღარა. შიგ სამი თუ ოთხი იაპონელი იჯდა, ორი ჩაცმულ-დახურული, ორი ტიტველი, ღია მოწითალო ფერის, გარუჯულები, თავზე წვრილი თეთრი ნაჭერი შემოეხვიათ, თმა რომ არ გასწეწოდათ; ისეთივე ნაჭერი შემოეკრათ თეძოებზე — ეს იყო და ეს. თუმცა ჩვენებს ჯერ დილითვე დაენახათ იაპონელები.

ის იყო გამოვიღვიძე, რომ ფაღვევმა მომახსენა, ტიტლი-კანა ხალხი მოვიდა და ჯოხით რაღაც ქალაღლი მოგვაწოდესო. „ვინ იყვნენ-მეთქი?“ „აღბათ იაპონელებიო“, — მითხრა. იაპონელები ფრეგატიდან სამ საუენზე გაჩერდნენ და რაღაცას გვეძახდნენ, ახლოს მოსვლა ვერ გადაეწყვიტათ, ნახევარ პორტიკებიდან გამოშვერილ ზარბაზნებს დაეფრთხოთ, ხელებსა და ცხვირსახოცებს ვუქნევდით, რომ მოახლოვებულიყვნენ.

როგორც იქნა, გაბედეს ამოსვლა. ყველანი ირგვლივ შემოვებხვიეთ იაპონიაში ჩვენს პირველ სტუმრებს. შეშინებულნი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ხელები მუხლებზე დაედოთ და ლამის მიწამდე გვეთაყუანებოდნენ სალმის ნიშნად. ორს ღარიბულად ეცვა: განიერსახელოებიანი ლურჯი კოფთა და შემოტმასანილი ხალათი. კიდევ რა? მეტი არაფერი; არც შარვალი, არც სხვა რამ...

ფეხთ მართო ლურჯი მოკლე წინდები ემოსათ, ზემოთ დილით შებნეული. ცერსა და მის მომდევნო თითიდან ზონარი ამოდიოდა და ჩალის ლანჩას ამაგრებდა ფეხზე. მდიდრებსა თუ ღარიბებს ყველას ასეთი ფეხსაცმელი აცვია.

იაპონელებს როგორც პირი, თავიც ისე აქვთ გაპარსული, ოღონდ კეფაზე აუწევიათ თმა, ვიწრო, მოკლე, თითქო მოკვეცილ კიკინად დაუწნავთ და კინკრიხოზე დაუგოზებიან. რამდენი დავიდარაბა დასჭირდება — ასე საეშმაკოდ და უშნოდ დაიყენო თმა! ერთს, ყველაზე უფროსს, ქამარში ორი, ერთმანეთზე მოკლე ხმალი გაერჭო. ვთხოვეთ ეჩვენებინა, ხმლებსა ჩინებული პირი აღმოაჩნდა.

სტუმრები კაპიტნის კაიუტაში წავიყვანეთ: იქ საამელე-ბით, ჩაით, კანფეტებით გავუმასპინძლდით. ჯერ კიდევ ნავიდან გვანაშინებდნენ ჩვენს ფორ-ბრამ-სტენგაზე, რომელზეც თეთრი ტილოს ნაჭერი ფრიალებდა და ზედ იაპონურად ეწერა: რ უ ს ე თ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ხ ო მ ა ლ დ ი. გვთხო-

ვეს, ეს წარწერა გადაგვეწერა. ცხადია, ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ქალაქში, უფროსებისათვის წაეღოთ.

ნახევარი საათის შემდეგ სხვები გვეწვივნენ, უფრო მდიდრულად ჩაცმულნი. თან ქალაქი მოიტანეს, სადაც ჩვეულებრივი გაფრთხილება ეწერა: ნაპირზე არ გადავსულიყავით. იაპონელებისთვის არ გვეწყენინებია და ა. შ. სასმელი ისე მოეწონათ, რომ გვთხოვეს, ბოთლში რაც ჩარჩა, მოგვეცით მენიხბეებისთვისო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმათ არც ასუნებინეს.

მთავრობა, გარდა ამისა, ფრანგულ, ინგლისურ და ჰოლანდიურ ენაზე გვთხოვდა, ეგრეთ წოდებულ კოვალის კარიბჭესთან დავმდგარიყავით, პირველ რეიდზე, და იქიდან ფეხი არ მოგვეცვალა. დიდი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, — მიემატებინათ კიდევ, თუმცა რა უსიამოვნება იყო, ან ვისთვის იქნებოდა, აღარ ხსნიდნენ. უნდა ვიფიქროთ, გუბერნატორის ფაშვისთვის.

იაპონიის მთავრობა — როგორც წიგნებით ვიცოდით და როგორც მერე თვითონვე დავრწმუნდით ამ შემთხვევაში თუ შემდგომ. — თავის განკარგულებათა უცილობელ შესრულებას მოითხოვს, ხოლო თუ ეს არ შესრულდა, გინდ შემსრულებლის ბრალი იყოს, გინდ არა, პასუხი ამ უკანასკნელმა უნდა აგოს. მაგალითად, უცხოელთა ხომალდები მეორე და მესამე რეიდზე გუბერნატორის ნებართვის გარეშე ვერ დადგებიან. ჩვენ ნებართვა არ მოგვითხოვია, მაგრამ იაპონელთა მესამე პარტია გვეწვია, მენიხბეების გარდა რვა კაცის შემადგენლობით, და „ნებართვა“ მოგვიტანა მეორე რეიდზე დასადგომად. სტუმრები ზედიზედ მოსდევდნენ ერთმანეთს. გუბერნატორმა საჩქაროდ გამოგვიგზავნა ნებართვა, რაკი არ იცოდა ვაპირებდით თუ არა მინიშნებულ ადგილზე პირველად შეტყობინებით გაჩერებას. თუ ჩვენა განადგურებას უბრძანებდნენ, ესეც უნდა ეცადა, ხოლო თუ არაფერი გამოუვიდოდა, და მართლაც არ გამოუვიდოდა, ფაშვი თავის ხელით უნდა გამოეთვალა.

ასე იმიტომ მგონია, რომ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთმა ნავსაკელმა გუბერნატორმა ფაშვი გამოიფათრა, რადკან ინგლისური ხომალდის უფროსმა იაპონელთა სამეთვო კა-

რის მიერ ამ გუბერნატორის ხელით გაგზავნილი საჩუქრების მიღება არ ისურვა. გუბერნატორს უბრძანეს, საჩუქრები გადაეცა, კაპიტანმა არ მიიღო, დამნაშავე კი გუბერნატორად არჩა, რად არ მიაღებინაო.

ფაშვის გამოფათრვა — აქ ყველაზე გავრცელებული ხერხია იძულებითი სიკვდილისა. ყოველ შემთხვევაში წინათ ასე იყო. ვთქვათ, თუ ვინმე გაჯიქდა და ასე არ მოიქცა, მთავრობათვითონვე დასჯის მას; ოღონდ მაშინ კი დამნაშავე, საჯაროდ დასჯის სირცხვილის გარდა, ქონებასაც კარგავს და მის ოჯახს არათფერი შერჩება. რომელიღაც მოგზაურის თქმით, ყმაწვილთა კაცთა აღზრდაში აქ, სხვათა შორის, ისიც შედიან, ოსტატურად: ისწავლენ ერთი დაკვრით ფაშვის გამოფათრვა. შემდეგში, თუ შემთხვევა მომეცა, ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით მოგიყვებით, რასაც გავიგებ. ახლა ამის დრო არა მრჩება.

იაპონელთა მესამე პარტია უფრო უკეთ გახლდათ ჩაცმული: სიფრიფანა, თითქმის გამჟვრვალე შავი ქსოვილის კოფთები ეცვათ, ზოგიერთებს ზურგზე და სახელოებზე თეთრი ნიშნები ჰქონდათ ამოქარგული — რაც ღერბს წარმოადგენს თურმე. ყოველ კაცს, თუნდაც მიწათმოქმედს, აქ თავისი ღერბი გააჩნია და შეუძლია თავის კოფთაზე ატაროს. ზოგიერთები თავიანთ უფროსებისა თუ წარჩინებულ პირთაგან იღებენ ნებას, მათი ღერბი ატარონ, ბობოლა მოხელები კი სიოგუნიდან, ერთი სიტყვით, ჩვენებურ ორდენებაა ჰგავს.

მაგრამ ორი ხმლის ქამარში ტარების უფლება ყველას არა გააჩნია: ეს პატივი მხოლოდ მაღალ კლასსა და ოფიცრებს ენიჭებათ; ჯარისკაცები თითოს ატარებენ, უბრალო კლასი კი სულაც არათერს; თუმცა იპინი ტიტლიკანები დადიან დაკიდევ რომ ჰქონდეთ ნება, ვერსად გაირკობენ, თუ ზამთარო არ იქნა.

ჩვენ სტუმრებსა და მასპინძლებს კოფთები, არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა, გრძელი აბრეშუმის ზონრებით ჰქონდათ შეკრული.

მათ გამოგვიცხადეს, მთარგმნელები ვართო, ოპერ-თარგმნელები და ონდერ-თარგმნელები, ე. ი. უფროსები და უმცროსებიო. ისინი ჰოლანდიურ ფაქტორიასთან ურთიერთობის და-

სამყარებლად დაუნიშნავთ. კაპიტნის კაიუტაში რომ დავაბრძანეთ, არზა ამოიღეს, სადაც უამრავი კითხვები ეწერა.

აქ თარჯიმანთა მთელი წოდება ჰყოლიათ: მოკლე ხანში ოცდაათიოდე კაცმა მოგვინახულა, სულ კი სამოცამდე იქნებოდა; ცოტალა ეკლება სამოცდაათს. მათ მხოლოდ პოლანდიური ენა იცოდნენ და პოლანდიელებთან ურთიერთობისთვის იყენებდნენ, რომლებიც აქ წლობით ცხოვრობდნენ და თვითონაც შეეძლოთ, ცხადია, იაპონური ენა ესწავლათ. მაგრამ ვინ ასწავლით? ყოველ იაპონელს ელის ამისთვის სიკვდილი. ჩინური იაპონიაში ყველამ იცის, როგორც ჩვენ ფრანგული, შევდებმა გერმანული, მეცნიერებმა კი ლათინური. წერენ იაპონურად და ჩინურადაც, ოღონდ ჩინურ ნაწერს თავისებურად გამოთქვამენ. საერთოდ, ყველაფერი, ენა, სჯული, ადათები, ტანსაცმელი, კულტურა, აღზრდა, ჩინელებისაგან აქვთ მიღებული.

ჩვენ უკვე გაფრთხილებული ვიყავით, რომ აქ შეკითხვებით შეგვგვდებოდნენ, ამიტომაც მოვემზადეთ ყველაფერზე წესისამებრ, გულლიად გვეპასუხა. გვკითხეს: საიდან მოვედით. რამდენი ხანია გზაში ვართ, რა რიცხვში გამოვედით, რამდენი კაცი გვყავს თითო ხომალდზე, მეზღვაურებიდან თუ ოფიცრებიდან, რამდენი ზარბაზანია და ა. შ.

სხვათა შორის, ჩვენი განცხადებებს შემდეგ, რომ გუბერნატორთან წერილი გვაქვსო, გვკითხეს, ერთი წერილი ოთხი ხომალდით რაღად მოგქონდათ? ამ ირონიულ შეკითხვაში ზალღური უნდობლობაც იგრძნობოდა ჩვენი ჩამოსვლით გამოწვეული და ექვსაც შენიშნავდით, რაიმე მტრული განზრახვა ხომ არ გვედო გულში. სასწრაფოდ დავეშურეთ მათ დამშვიდებას და ყოველივეზე წრფელი, ალალი პასუხი მივეცით. თუმცა ამავე დროს ღიმილს ვერ ვიკავებდით ამ ფუნჩულა, გადატყეცილ, თეთრ, განაზებულ სახეების, ცბიერი და საზრიანი სიფათების, კიკინებისა და რევერანსების შეხედვაზე.

რომ გაგვიცნეს, აღერსიანმა მოპყრობამ ცოტა გულადობა შემატათ. ტკბილი ნამცხვრები, სასმელები და ღვინო მივართვით. ყველაფერს ცნობისამოყვარეობით აკვირდებოდნენ, კაიუტას ათვალეირებდნენ. ვილაცამ ფორტეპიანოს კლავიშებს ხელი რომ შეახო, გაოცებისაგან პირი დააღეს. სიგარებიც მიაწოდეს, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მოეწიათ: ერთმა ბოლო

არ მოაქრა და ისე გააბოლა, მეორემ თავით ჩაიღო პირში. სივარები მათთვის მეტისმეტად მაგარი აღმოჩნდა. ერთს გული შეუღონდა დახუთულ კაიუტაში ჯდომით, მაგრამ იქნებ რწვევის ბრალიც გახლდათ, თუმცა სუსტი ღელვა იყო და ფრევატი ძლივს შესამჩნევად ტორტმანებდა. იაპონელები საერთოდ ძალზე აზიზები არიან. მაგალითად, კაიუტაში გაუქირლათ ვაძლებს, წამდაუწუმ ოფლს იწმენდდნენ თავსა და სახეზე, ქმინავდნენ და მარაოს ინიავებდნენ. უბეებიდან თავიანთი თამბაქო და პალმის ხის ვერცხლისტარიანი ჩიბუხები ამოაძკრინეს. ჩიბუხებს ქალის პაწაწა სათითურისოდენა თამბაქოს ჩასაყრელი ჰქონდა. თამბაქო ქალაღლის პატარა ქისაში ეყარათ. იაპონელი ერთ მწიკვს ამოიღებს, ყურში ჩასადებ ბამბასა თუ ქერელივით დაახვევს, ჩიბუხში ჩადებს, ერთი-ორჯერ გააბოლებს. ფერფლს გადაყრის და ჩიბუხს უბეში შეინახავს. ამას საოცარი სისწრაფით სჩადის. თამბაქო ძალზე თხელია, სელავით ზოჰკოიანი, მოწითალო-მოყვითალო ფერის, გემოთი ცოტა არ იყოს თურქულს ჩამოგავს, ოღონდ ძალზე სუპტია, შესახველად კი წითურა თმის ბლუჯას მოგაგონებთ.

უნდა გენახათ, როგორ დასცქვეტდნენ ხოლმე ყურებს, როცა გემბანზე რამე ჩოჩქოლი ატყდებოდა; ისიც აფრთხობდათ. თუკი მეზღვაურები უცბად ვანტებზე გაიქცეოდნენ, ან რომელიმე გემსართავს მოსჭიმავდნენ და ფეხის ბაკუნი შეიქნებოდა. იაპონელები ჩვენ მოგვეყვებოდნენ, მათი ნავი კი მენიჩბებოთ ჩვენს ბაკშოკს მოსდევდა.

ზოლოს პირველ რეიდზე გავედით და კუნძულებსა და კორდებში ამოვყავით თავი. აქ შტილმა შეგვისწრო, მერე პირქარი ამოიჭრა და ხომალდს იკანკლური სვლა მოუხდა. „სად მიღზარო? — გვეუბნებოდნენ იაპონელები, იკანკლური სვლის არა გაეგებოდათ რა, — თქვენ, აქ, მარცხნივ უნდა დადგეთ“. როგორც იქნა. მეორე რეიდზეც გავედით და მინიშნებულ ადგილზე გავჩერდით.

ეს სადა ვართ? დეკორაციაა თუ სინამდვილე? ვიშ, რა მდებარეობაა! ამფითეატრად განლაგებულა შორი თუ ახლო გორაკები, ერთი მეორეზე უფრო ხასხასა კედარებითა თუ სხვა, ვერ გაარჩევ. რა ჯიშის ხეებითაა შემოსილი. საშინელს ვერაფერს ვხედავთ; ბუნება ყველგან სულ გვიცინის: გორაკებს

იქით ალბათ ველებია, მინდვრები... მაგრამ აქაური ხალხი კი იციან? თუ ტიტლიკანა, მზით გარუჯულ მენიჩბეების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელთაგან აგერ სამი ნავში ზის და ერთ რალაც ჭრელ საბანში დამალვიან მზეს, ვერ იტყვი, რომ ამ გორაკების წიაღში ხალხს გული უცინოდეს. ყველა მთა ხნულებითაა დაღარული და თავით ძირამდე დამუშავებულა.

აგერ ვიწროებში სოფლები შეეყუყულა, აქ-იქ ქოხები მიმოფანტულა. ეს ფარდები რაღაა, ზედ რომ თეთრი და შავი წრეები დაუხატავთ? ფიზენისა და სატსუმის საუფლისწულო თავადების ღერბებიაო, გვითხრეს სტუმრებმა. ნიაგმა დაბერა, ფარდები შეარხია და ზარბაზნები გამოაჩინა: ერთ ადგილას სამი იდგა, დანგრეული დაზგებით, მეორეგან ერთს სულაც არ ჰქონდა დაზგა. ძალიან არ შეაშინებდა კაცს! ჩვენი არტილერიისტები ექვობენ, ამ ბატარაებზე ხის ზარბაზნებიც ექნებათო.

ნაგასაკი სადღაა? ქალაქი ჯერ არ მოჩანს. ოჰო! აგერ ნაგასაკიც. ვითომ ნაგასაკი რატომ არა? იმიტომ, რომ ნამდვილი სახელი ნაგასაკია, ასო ნ-ს კი მხოლოდ შნოს მისაცემად უმატებენ, ისე როგორც ზოგიერთ სიტყვებში სხვა ასოებს. „ნაგასაკი ერთადერთი ნავსადგურია, სადაც მხოლოდ და მხოლოდ პოლანდიელებს აქვთ შესვლის უფლებათ“, — სწერია გეოგრაფიაში და სადაც, დიდი ხანია ესეც უნდა დაემატებიათ, დანარჩენები ნებართვის გარეშე შედიან. მაშასადამე, უპირატესობა არავითარ შემთხვევაში პოლანდიელების მხარეზე არ გახლავთ ბევრ რამეში.

„მაშ ესაა ნაგასაკიო!“ — ისმოდა ყოველი მხრიდან, როცა მეორე რეიდზე, მესამის პირდაპირ ღუზა ჩავუშვით. ყველამ ჭოგრიტი იმ ადგილს მიაბჯინა, სადაც ჩვენ მოვხვდით. ნაგასაკში სამი რეიდა: ერთი ძალიან გაშლილია ზღვიდან და ორმხრივია მხოლოდ დაცული. იქ, მარცხნივ, ჩამოთხრილ გორაკზე ბატარეა შენდება, ჩვენი არტილერიისტების თქმით. მგონი, საკმაოდ ძლიერიც. მაგრამ ქალაქი, ალბათ, მთლიანად არ მოჩანსო, ვიძახდით ჩვენ: ეს ალბათ ერთი ნაწილია და ისიც ყველაზე უხეირო გარეუბანი. აქ მხოლოდ პატარა სახლები და ქოხები დგას! სადაა შენობები, სასახლეები, ტაძრები, რაზეც კემპფერი თუ სხვები სწერენ, განსაკუთრებით კემ-

პფერი, რომლის სიტყვით აქ უთვალავი ტაძარი უნდა იყოს? ალბათ იქ, შორს ჩქნება, კონცხის გაღმა.

მაგრამ რა სურათები გადაშლილა ჩვენს ირგვლივ! რა პერსპექტივა ჩანს შორით! აგერ, მეორე რეიდის შესასვლელში დგახარ, პაპენბერგის მთასთან, და ზღვას ხედავ, სამაგიეროდ კონცხის მხოლოდ პროფილი მოჩანს, ნაგასაკის ხედს რომ ეფარება. კიბაჩის ვიწრო ბოლაზიც ხელისგულივით გაშლილა. რეიდის შუაში რომ გადაინაცვლებ — ზღვა დაიმალება, სამაგიეროდ მარცხნივ მთელი ყურე გადაიხსნება, უცქერ კაგენის, კატაქსიმას, კამენოსიმას კუნძულებს en face¹, მარჯვნივ კი ნაპირი მოჩანს, მისი დამუშავებული ტერასები უზარმაზარ მწვანე კიბედ მიჰყვება მთას ზღვიდან მოყოლებული ღრუბლებამდე.

ჩვენ მშვენიერ ადგილზე დავდექით. წარმოიდგინეთ უზარმაზარი სცენა, რომლის სიღრმეში, თქვენგან სამიოდე ვერსზე. მაღალი გორაკები, თითქმის მთები მოჩანს, მათ ძირას კი სახლები მიკრულა, თეთრი ცარცის კედლებით, კრამიტისა თუ ფიცრული სახურავებით. სწორედ ეგ გახლავთ ქალაქი, ნახევრად წრიულ ბოლაზის ნაპირზე მდებარე. ბოლაზიდან ნევასავით განიერი სრუტე იწყება, მწვანე, მთაგორიანი ნაპირებით, სადაც ქოხები, ბატარეები, სოფლები, კედრის ტყეები თუ ყანები გაბნეულ-გაფანტულა.

ბოლაზის რეიდის, რეიდზე უამრავი ნაგებისა თუ უცნაური ქალაქის დეკორაცია, სადაც გროვად მიყრილი ნაცრისფერი სახლები მოჩანს, მთაგორიანი სრუტე, ხასხასა მწვანით დაფარული ახლო გორაკები, გამკრთალებული შორეული სერები, ეს ყველაფერი ისე ერწყმოდან ერთმანეთს, ისე ლამაზი იყო, ისე არ ჰგავდა სინამდვილეს, რომ ეჭვი გეპარება, დახატული ხომ არაა მთელი ეს ხედი, ჯადოსნურ ბალებიდან ხომ არ არის მთლიანად გადმოტანილიო?

ეს რა პატარა ყურეებს, კუნჭულებს, სიგრილისა და სიზარმაცის სავანეთ მოუქარავათ სრუტის ნაპირები! აგერ იქ გორაკში ღრმად შეჭრილა დერეფანივით ჩაბნელებული, ტყით შემოსილი, იმდენად ვიწრო ხეობა, გეგონება, შიგ კარგა შორს

¹ წინიდან (ფრანგ.)

შემალულ სოფელს საცაა გასრესსო. აქ პატარა, ხეებით შემორაგული ბოლაზია, ძილის სამეფო, სადაც მუდამ ბნელა და ვრილა, სადაც ყველაზე ძლიერი ქარიც კი ოდნავ აქანებს ტალღებს; იქ უდარდელად ისვენებს ნაპირზე ამოთრეული ნავი, ერთი ბოლო წყალში ჩაუყვია, მეორე — სილაში.

მარცხნივ განიერი, გრძელი ყურეა, დაკლავილი და აქა-იქ შეღრმავებული. შუაში პაპუნბერგი და კამენოსიმა ამართულა, — ორი სათამაშო მთა, აჯაგრული ტყით დაფარული, ვითარცა ორი თმაგაჩეჩილი თავი. მათ ყოველმხრივ მინიატურული სრუტეები შემოვლებია, შორს კი ფრიალო კლდე და ზღვა მოჩანს.

მარჯვნივ ფლატენაპირიანი მაღალი ბექობი მოდის და თავისკენ გიტყუებს, რომ ტერასებისა და კვლების ამ მწვანე კიბით ზევით ახვიდე, იაპონელთა აკრძალვის მიუხედავად. ბექობებს დაბალ-დაბალი, უცნაურად გაბნეული კორდები მოსდევს, მათ უკნიდან კი დინჯად და კუშტად იმზირებიან საკმაოდ მაღალი მთები, თითქო დედებივით ბავშვებს უკან ამოდგომიან. შემდეგ სრუტე მიჰყვება და ზღვაში იკარგება; სრუტის ნათელ ზედაპირზე შავად მოჩანს ლოდები. უკანა მხარეზე ლურჯად ლივლივებს ნომოს კონცხი.

ნაგასაკის ნაპირს სრუტე ჰყოფს კუნძულ კაგენიდან, რომელსაც, თავის მხრივ მეორე სრუტე აცალკევებს კუნძულ ივოსიმიდან, შემდეგ კამკამებს ზღვა და მეტი არაფერი.

ყველგან საფეხურებს, პატარა კონცხებს, ან ნაპირს მოწყვეტილ, მწვანით და ხეებით მოსილ ვეება ბელტებს ხედავ. ალაგ-ალაგ ხეები და მცენარეები ჯგუფად მიტმანებიან კლდეების კიდეს ყვავილების უზარმაზარ თაიგულბივით. ყველგან სანახაობა, ყველგან სურათი, თითქო არტისტული ახირებითა თუ ჟინით შექმნილი!

მაგრამ უცნაური და უსიამო გრძნობა გიტანს ამ კეკლუც, შოცინარე ნაპირის შემყურეს, სადაც მოძრაობა არ იგრძნობა. ადამიანებს იშვიათად მოჰკრავ თვალს; ცხოველები არსად ჩანს; მხოლოდ ერთხელ გავიგონე ძაღლის ყეფა. ხალხი არ ფუსფუსებს; სიცოცხლის ორომტრიალი ნაკლებ იგრძნობა. საყარაულო ნავეების გარდა, სხვები მოკრძალებიო. საჩქაროდ

მისრიალებენ ნაპირებთან, ორი თუ სამი ტიტლიკანა მენიჩბე ზის შიგ, ცინგლიანი ბიჭი თუ თვალდაპრაწული გოგო.

განა ასე უნდა იყოს დასახლებული ეს ნაპირები? სად და-მალულან მცხოვრებლები? რატომ ჯგროდ არ ირევიან ამ ნა-პირებზე? რად არ ჩანს შრომა, ფუსფუსი, ყრიამული, ყაყანი. ყვირილი, სიმღერა, ერთი სიტყვით, ცხოვრების დუღილი თუ „თავგების წრიალი“, პოეტის თქმისა არ იყოს? ამ განიერ წყლებში ლურჯი, თეთრი, წითელი ნაჭრებით მოფარდაგებუ-ლი განა მარტო დიდი, ტლანქი ნავი უნდა დაჩოჩავდეს და გემო კი არ უნდა დასრიალებდეს წინ და უკან? საიდან ისმის იაპონური დოლის ერთფეროვანი ხმა ბუმ-ბუმ-ბუმი: გეტყ-ვიან, ფიზენის თუ სატსუმის თავადი თავის სამფლობელოებს უვლისო.

თქვენ იცით, რომ იაპონია სამთავროებადაა დაყოფილი. ყველა ისინი სიოგუნს ემორჩილება, ზარკს უხდის და ჯარს ინახავს. ქალაქი ნაგასაკიც იმას ეკუთვნის, ირგვლივ კი თავადთა სამფლობელოებია შემოწყობილი.

მაშ, რადაა ასე ცარიელი და უკაცრიელი ეს მშვენიერი ნაპირები? რად გიტანს მოწყენა მათ მყურებელს, ისე რომ კაიუტიდან აღარც გინდა გამოსვლა? მალე კი დასახლდება ისინი და გამოცოცლდება?

ვეკითხებით ამას იაპონელებს, სწორედ ამისთვის ჩამოვე-დით, მაგრამ პასუხს ვეღარ ველირსეთ. მოხელეები გვეუბნე-ბიან, გუბერნატორს ჰკითხეთო. გუბერნატორი ედოში გაგვგ-ზავნის, სიოგუნთან, ის კი მიაკოში, მიკადოსთან, ზეცის ძეს-თან მიგვავლენს: თვითონ გადაწყვიტეთ, როდის ველირსებით პასუხს!

ყველანი გემბანზე ვიდექით, ყველას რაღაც საქმე ჰქონდა; ყველას თითქმის ჩიბუხები გვეჭირა. ნაწილი იალქნების აკეც-ვას შედგომოდა, ზოგი გულდაგულ სწავლობდა რუკას, მათ რიცხვში პაპაც ერია. რუკიდან იუტზე მირბოდა, იუტიდან რუკისაკენ; მართალია, ბუზღუნებდა, რუკა სწორი არ არისო, ადგილი უცნობიაო, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რომ თავის შეწუხება მეტი აღარ დასჭირდებოდა. სხვები რასაც ხე-დავდნენ, იმაზე ფიქრობდნენ, აქეთ-იქით იყურებოდნენ, მათ შორის მეც. თუმცა მიტაცებდა ჩვენს ირგვლივ მდებარე ბუ-

ნების სურათების სილამაზე და სიახლე, მაგრამ ამ შთაბეჭდილებათა გვერდით რატომღაც მოწყენა მიპყრობდა, უფრო სწორად ამის წინაგრძობა მქონდა. ხალისით გაცეკლიდი იაპონიას რაზეც არ გინდათ, გინდ მანილაზე, ბრაზილიაზე, თუ სანდვიჩის კუნძულებზე. — განა მოსაწყენი არ არის უყურო, რომ ბუნების ძალთა, სიმდიდრეთა ამდენი საწინდარი, ამდენი მაღლი გამოუცდელ ზელში, უფრო სწორად, რაღაც ყოვლად სულელურად დაბორკილ ხელებში იყოს!

განა მართო მე ვარ მოწყენილი? აგერ, პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩი] გულმოკლული ოხრავეს, არ იცის, რა გზით მოგვამარაგებს: მოგვეცემენ კი იაპონელები ჭანოვაგებს, მოგვიტანენ სასმელ წყალს? თუ მოგვეცემენ, ნეტავ რა ფაას დაადებენ და ა. შ. პრეზერვებზე ბევრი „ცხვირს იჩხრეკსო“, იძახის ის.

პრეზერვებზეც გეტყვით რამდენიმე სიტყვას: მგონი, მათზე არაფერი მითქვამს. ეს სრულიად გამზადებული, ჰერმეტიულად თავდაცობილი თუნუქის კოლოფში ჩადებული საწოვაგე გახლავთ: წვნიანი, ხორცი, მწვანელივთუ თუ სხვ. დიდი სასარგებლო გამოგონებაა! მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ამ პროვიზიას ხანდახან პირს ვერ დააკარებ: გამყიდველები ბოროტად იყენებენ მყიდველთა ნდობას; შემოწმებით ხომ ყოველ თავდაცობილ, ტყვიით ამოვსებულ ყუთს ვერ გახსნი და შეამოწმებ. მხოლოდ შემდეგ, ზღვაში აღმოაჩენ, რომ საქონლის ხორცს ხბოს გემო დაჰკრავს, ხბოს — თევზისა, თევზისას — კურდღლის, ხოლო ყველა ერთად არაფრად ვარგა. ხშირად კი ყველა ამას ერთი ფერი და სუნი აქვს. ამბობენ, ფრანგები უკეთეს პრეზერვებს აკეთებენ: ვერაფერს ვიტყვი. ჩვენ ისინი ინგლისში ვიყიდეთ.

აგერ, სხვებმაც მოიწყინეს. ს[ავიჩმა] არ იცის, ქვანახშირს მოგვაწვდიან თუ არა, ხეებს თუ მოგვაჰრევიანებენ შეშად, ნაპირზე თუ გადაუშვებენ ხალხს გასავლელ-გამოსავლელად? ბ[არონს] ცხვირ-პირი ჩამოსტირის, ფიქრობს, მოახერხებს თუ არა... ქალების დანახვას მაინც. ყოველ იაპონურ ნავს ჩაცივებით ჩასცქერის, ვინძლო ტიტლიკანა ხალხში არც ისე წითელი, ტლანქი სხეული შეამჩნიოს, როგორც მენიჩბეებს ჰქონდათ. მაგრამ ვაი. რომ მამაკაცთა კიკინები და კოფთები ხანდახან მწარედ შეაცდენდა ხოლმე...

იაპონელები წავიდნენ. შეღამდა; აკიაფდა ვარსკვლავები და თან მათ შორის კომეტაც გამოჩნდა. აგერ მესამე ღამეა ვუთვალთვალეთ, ადრიანად იმალება, ჰორიზონტზე ძლივსა ვკრავთ ხოლმე თვალს.

მოშორებით, ფრეგატიდან ასიოდე საყენზე, ერთმანეთისაგან ცოტაოდენ მანძილზე საყარაულო ნაგები შემოგვრტყმია, თევზის კანის დიდ, მრგვალი ფარების ფერად-ფერადი შუქით განათებული. ზოგიერთ ნაგზე ფისიანი კაარებიც იდგა. მზის უკანასკნელ სხივთან ერთად მწვერვლებზე ცეცხლი აინთება და გორაკების წვეროებს თუ ნაპირებს მძივივით ეხვევა. ერთი სიტყვით, სტუმრის საპატიოდ იმაზე უკეთესი ილუმინაციას განზრახ ვერავინ ააბრღღვიალებს, როგორსაც იაპონელები ჩვენი შიშთ ანთებდნენ, აი, ახლა დაგვეცემიანო თავს. ყველგან ყარაულების გადაძახებ-გადმოძახება ისმის; ნაგები წინ და უკან დასრიალებენ. მენიჩბენი ზეზე მდგარი უსვამენ ნიჩბებს და ო ს ი ლ ი ა ნ, ო ს ი ლ ი ა ნ ო, გაჰკივიან, ერთმანეთის წასახალისებლად. მთებზე თუ ტყეში ცეცხლის შუქი ვარსკვლავებივით ცურავს და გორაკების კალთებს ხან აღმა, ხან დაღმა მიჰყვება: ეტყობა, ყველგან ხალხი დააყენეს, ათასი თვალი გვითვალთვალეს, ყოველ ჩვენს მოძრაობას ყარაულობს.

ნელ-ნელა ყოველივე მიწყნარდა ჩვენს ხომალდზე. დაჰკრეს საღამოს ბუკი, იმდერეს ჰიმნი „დიდებულ არს უფალი ჩვენი სიონსა შინა“ და მეზღვაურები დაწვენენ. ბევრ ჩვენგანს არც ჩაი დაუღეგია, არც უვანშმია, გავცქეროდით, როგორ ისარკებოდა ნაპირი წყალში, ვუყურებდით ილუმინაციას, ნაგებს, ვმაჯგულობდით, საქმე წარმატებით დამთავრდებოდა თუ მარცხი გველოდა, ამ ხალხის ხასიათს თითქმის უკვე ავუღეთ ალღო. შემდეგ ნელ-ნელა ისინიც დაიშალნენ. მე დავრჩი. ნაპირიდან კუტკალიების ჰრიჭინი ისმოდა, ნელა ტყლაშუნობდა ტალღები; წყალში ფოსფორისებური ნაპერწკლები დაცივლივებდა, ნაპირის შორეული სინათლე ყურის სარკეში ირეკლებოდა. ფურთუნი არ ეხლებოდა ნაპირს, რამაც ბონინ-სიმაში გული გაგვიწყალა, მხოლოდ ციაგი დაკაშკაშებდა გორაკებს. ბოლოს მეც წავედი დასაძინებლად, ძილში დიდხანს მელანდებოდა იაპონელი მამაკაცების ქალა-

ჩუნა სახეები, მათი რევერანსები, კიკინები, კოფთები და ყურშიჩამწვდომი „ოსილიან, ოსილიანოს!“ ხმები.

„ხი! ხი! ხი!“ — ჩამომესმა ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ დილით, გაღვიძებისას, მეზობელ კაიუტიდან, შემდეგ ჩუმი ჩურჩული ჩამწვდა ყურში, შიგადაშიგ რომელიმე სიტყვაზე უეცრივ ამაღლებული ხმა. ფაღვევი გვერდით მედგა, ჩაი შემოეტანა. „დიდი ხანია მოხვედი?“ — „შვიდჯერ რომ დაჰკრეს, თქვენს [მ]ალაკეთილშობილებავ“. — „ახლა მერამდენია?“ „აგერ, არ გესმით?“ ამ დროს დაფლავი დაჰკრეს, მუხიკა გაიხმა. მაშ რვა საათი ყოფილა. „გვერდით რა ამბავია, კაიუტაში?“ — „რა იქნება, იაპონელია“, — მიპასუხა. „რად მოსულან?“ — „ვინ იცის მაგათი თავი?“ — „გეკითხა მაინც?“ — „აბა, როგორ ვკითხავ? ჩვენ იმათი ისე გვესმის, როგორც ღორს ქათმისა...“

იაპონელები საშველს აღარ გვაძლევენ: ყოველ ცისმარე დღე რამდენჯერმე გვაკითხავენ. ვინ აღაჩ იყო: ოპერ-ბანიონები და ონდერ-ბანიონებიო, ოპერ-თარჯიმნები და ონდერ-თარჯიმნებიო, თან ათასი ჯოლდომოლო ხალხი, მათი მომყოლი ამაღლა. მაგრამ სჯობს ისევ დალაგებით გაიმბოთ, რაც უფრო შესანიშნავად მიმაჩნია.

თარჯიმნების სტუმრობის მეორე დღეს, თუმცა შეიძლება ორი დღის შემდეგაც, სამი თუ ოთხი ნავი მოგვადგა, ალმებით, ბაირაღებით, ნიშნებით, ღერბებით და შუბებით მორთულ-მოკაზმული — რაც სამხედრო ნაგების ატრიბუტებს წარმოადგენდა, თუმცა ნავში ისევ ის ტიტლიკანა მენიჩბეები ისხდნენ, ჯარისკაცი ერთიც არ ახლდათ. ჩვენთვის ეს ყოველივე ახალი ხილი იყო და მოუთმენლად ველოდით, ნეტავ რას ნიშნავს-თქო. ნაგებს თუ იკითხავთ, კარგი რამ იყო: ცოტა არ იყოს ჩვენებურ ზამთრის გლეხურ მარხილებს მოაგავდა: განიერი, ბრტყელპირა, გადახსნილი კიჩოთი. ყველა თეთრი ფიცრებისგანაა ნაგები, ჭილოფებით გადახურული. ნიჩბები გრძელია, ორი, შუაზე გადაბმულ ნაწილისგან შემდგარი და ნავზე დამაგრებული, მენიჩბე ფეხზე დგას და ხან ფავისკენ მოატრიალებს ნიჩაბს, ხან პირუკუ. მენიჩბეთა რიცხვი ოთხიდან რვაამდე იქნება, ხანდახან თორმეტიცაა, ეს ნავის სიდიდებზე დამოკიდებული. ნავი მცურავ სახლს წარმოადგენს. რას არ ნახავთ

შიგ: პატარა კერიას — საკმლის მოსახარშად — და ყველანაირ ჭურჭლეულს. საყარაულო ნავეებზე რიგ-რიგობით მორიგეობენ მოხელეები და ჩვენს მოქმედებას უთვალთვალევენ. ეს წესი ოდითგანვე მიღებულია ყველა უცხოელ ხომალდის მიმართ.

თავდაპირველად გემბანზე თარჯიმნები გადმოვიდნენ. „ოპერ-ბანიოსებიო“, — გვანიშნეს მოწიწებული ჩურჩულით ნავზე და გემბანზე ჩამწკრივდნენ. მალე კიბეზე ორი იაპონელი გამოჩნდა, მერე გემბანზე ამოვიდნენ, სხვებზე დარბაისი-ლი შესახედობა ჰქონდათ და მდიდრულადაც იყვნენ ჩაცმულნი. თარჯიმნებმა იმათ დანახვაზე ხელები მუხლებზე დაიწყვეს და ლამის მიწამდე სცეს თავიანი. მათ ოციოდე კაცი ამალა ამოჰყვა.

ოპერ-ბანიოსებიდან ერთი გამხდარი კაცი იყო, ზედა ყბა გამოსწოდა და ეშვებივით კბილები უჩანდა, როგორც ბევრ იაპონელს უნახავ. მეორე ჩოფურა გახლდათ, გონიერი სახე ჰქონდა და ზედა ყბაც პირველივით წამოსწოდა წინ. სელის შავი კოფთისა და გრძელი აბრეშუმის ხალათის გარდა კიდევ ფერადი აბრეშუმისვე ქვედაწილები ეცვათ, გვერდებშეჭრილი და აბრეშუმისფოჩებიანი. უბეში, ჩვეულებისამებრ, მთელი მალაზია გაეხსნათ: ეწყოთ ჩიბუხი, საფულე, ცხვირსაბოცი ოფლის მოსაწმენდად, თხელი, დაწებილი, ძალზე გამძლე ქაღალდების მთელი დასტა, რასაც თითო-თითოს მოახევენ ხოლმე ან საწერად ან ცხვირის მოსახოცად და თუ დასჭირდათ, შესახვევადაც. მათ ხელები მუხლებზე დაიწყვეს და ჩაცუტქდნენ, ე. ი. ჩვენებს მიესალმნენ.

იაპონურად მათ გოკეინსები ჰქვიათ. გუბერნატორისა და მისი მდივნების შემდეგ ყველაზე წარჩინებული გვამები ისინი არიან ქალაქში. სტუმრები იუტზე მიაბრძანეს. საღაც სკამები გამოეტანათ; გოკეინსები დასხდნენ, სხვებმა უარი თქვეს დაჯდომაზე, მოწიწებით გვანიშნეს რა მათზე. გამოიტანეს ჩაი, კანფეტები, ორცხობილები და ტკბილი ნამცხვრები. დალიეს ჩაი, მოსწიეს ჩიბუხი, გასინჯეს კანფეტები და თითო-თითო შეახვიეს თავიანთ ქაღალდებში წასაღებად. ასე გასინჯეთ, პურის პატარა ნაჭერიც და ორცხობილებიც ჩაიდეს უბეში. სასმელს სიამოვნებით დაეწაფნენ.

როცა შეკითხვის ჯერი მოვიდა: რისთვის გასარჯუნენ და გვეწვივნენ, ერთი სქელი, ჩოფურა თარჯიმანი, სახელად ლიოდა, გოკეინსებს მიეახლა, მდაბლად დაუკრა თავი და ასევე დახრილ მდგომარეობაში მყოფმა ჩვენი შეკითხვა გადასცა. გოკეინსმა წყნარად, თითქმის ჩურჩულით, ჩქარ-ჩქარა დაუწყო ლაპარაკი, ისიც თარჯიმნისკენ იყო გადახრილი. სხვა თარჯიმნები, მეორე გოკეინსი და ამალის ერთი ნაწილი ასევე დაიხარნენ და სმენად გადაიქცნენ. „ხი, ხი, ხი!“ — გაიძახოდა თარჯიმანი ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ვიდრე გოკეინსი პასუხს აძლევდა. ხი იმათებურად დასტურს, ჰო-ს, მე-ს-მ-ის-ო, ნიშნავს. ამას მხოლოდ უმცროსები ხმარობენ, უფროსებს როცა უსმენენ. გოკეინსმა რომ დაამთავრა, ლიოდამ ერთი ღრმად ჩაისუნთქა, უცბად წელში გასწორდა და გადმოგვითარგმნა, რომ ისინი ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად მოსულიყვნენ.

ლიოდა ჩვეულებრივი ხმით გველაპარაკებოდა, მაგრამ შიგადაშიგ რომელიმე სიტყვაზე უცბად აიმაღლებდა ხმას, თითქმის დაიყვირებდა, თავს დაგვიქნევდა და გაგვიღიმებდა. დანარჩენი თარჯიმნები ხმას არ იღებდნენ: წესად ჰქონიათ, თუკი უფროსი აქაა, მეორე უნდა გაჩუმდეს, მაგრამ ყური კი დაუგდოს; ასე ამოწმებენ თურმე ერთმანეთს. ერთერთის ჯაშუშობის ეს სისტემა ცოტა არ იყოს იეზუიტურს მოგავონებს. ამგვარად, როცა ლიოდა ლაპარაკობდა, იმათი თარჯიმანი სადაგორა — რომელიც თავისი ჭაღარა კიკინით პირწავარდნილი შინაბერა იყო, ოღონდ სათვალე და წინდა აკლდა ხელში — გაჩუმებული გახლდათ, ხოლო თუ ლიოდა არ იყო, სადაგორა ლაპარაკობდა, ნარაბაიოსი კი დუმდა და ა. შ.

„ფრეგატზე გვითხრეს, — თქვეს იმათ და იაპონურ ასოებით აქრელებული ქალაქი ამოიღეს, — კორვეტი კამჩატკიდან მაისში გამოვიდაო, კორვეტზე კი თქვეს, ივლისში გამოვედითო?“ — „იმიტომ ამოვშალე ეგ ორი თვე, — გასმა უცბად უკნიდან კორვეტის კაპიტნის ხმა, რომელიც თურმე აქ მდგარიყო, — შარი არ მოედოთ და არ ჩაგვეციებოდნენ, ამ ორ თვეს სად იყავით და რას აკეთებდითო“. ჩვენ ყველას გაგვეცინა, პ[ოსიეტმა] კი მყისვე რაღაც მოიგონა იაპონელებისთვის ასახსნელად.

ჩვენი კორვეტი მართლაც მაისში გამოვიდა კამჩატკიდან,

მაგრამ სანდვიჩის კუნძულებზე შეევლო. „ეგ რაში გჭირდებათ? — ვკითხეთ იაპონელებს. — რა თქვენი საქმეა, სად ვიყავით? თქვენთვის მთავარი ისაა, რომ ჩამოველით“.

ეს აზრთა სხვადასხვაობა რომ შეეთანხმებინა, ლიოდამ უცბად წინადადება მოგვცა, გვეთქვა, კორვეტი კამჩატკიდან, ჩვენ კი პეტერბურგიდან თითქო ერთსა და იმავე დროს გამოვსულიყავით. „ისა სჯობს თქვათ, რომ ერთსა და იმავე დროს, სამ თვეში ჩამოხველით“. ლიოდას რუკა აჩვენებს და აუხსნის, რომ კამჩატკიდან ხომალდი ერთ-ორ კვირაში ჩამოვიდოდა, პეტერბურგიდან კი ნახევარ წელს მოუხდებოდა. ლიოდას შერცხვა და თვითონ გაიცინა საკუთარ მოუსაზრებლობაზე.

მერე იქვე რუკაზე აჩვენებს რუსეთიც და იაპონიაც. როცა ნახეს, ეს უკანასკნელი რა პატარა იყო, უწყინარი ხარხარი ატეხეს.

იაპონელებს უთხრეს, რომ ასეთი კითხვებით საკუთარ თავსაც ტყუილად იწუხებდნენ და სხვებსაც აწუხებდნენ. „ედოში უნდა გავგზავნოთ“, — პასუხად გვეუბნებოდნენ ისინი. შემდეგ მეორე, მესამე კითხვა მოჰყვა, ისინიც დაახლოებით ასეთი. „ეს ყველაფერი ედოში უნდა შეატყობინოთ?“ — „ყველაფერიო!“ — ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი ლიოდამ. „ბევრი საქმე კი გქონიათ ედოში!“ — ხმამალა წარმოთქვა ვილაცამ ჩეჰს გვერდით. მაგრამ რომ გამახსენდა, რა კითხვებს აყრიდნენ იაპონელები დილიდან საღამომდე ჩვენს სახელგანთქმულ ტყვეს გოლოვინს, გადავწყვიტე, ეს კითხვები არც ისე სულელური-ამეთქი. იაპონელები გვიან ღამით წავიდნენ, ღიმილით, რევერანსებით, თავის მდაბალი დაკვრით დაგვემშვიდობნენ.

ამასობაში ისევ დაღამდა, ისევ აინთო სინათლის მძივი გორაკებზე, ისევ აისარკა გორები წყალში, ფოსფორისებურად აბრჭყვიალდა ზღვა, აჭრიკინდნენ კუტკალიები და „ოსილიან, ოსილიანო!“ შემოსცხეს მენიჩხებებმა, მაგრამ ამან უკვე ნაკლებ გაგვართო: უკვე მივეჩვიეთ, ნაპირს უკვე გავეცანით, ჰოლდა, როგორც კი მეზუფეტე იანცენმა და ვიტულმა ჭიქები ააწკრიალეს და ქუდმომშვლებილი მორიგე მეზღვაურები ხან ერთს მოაღგნენ მოსაწვევად, ხან მეორეს: „ჩაი მიირთვიოთ“, შკანცები და იუტიც მყის დაცარიელდა.

ბანიოსებს დამშვიდობებისას მოახსენეს, რომ ორი წერი-

ლი იყო გადასაცემად: ერთი გუბერნატორის სახელზე, მეორე კი უფრო მაღალი წრისათვის; რომ პირველის წააღებად მხოლოდ გამოეგზავნა, მეორე კი თვითონ მიეღო. „გუბერნატორს ვეტყვი“, — იყო პასუხად. ჩვენი ჩამოსვლის მიზეზის გამოსატყუებლად ესეც გვკითხეს: დალუპულ ხომალდიდან გადარჩენილი იაპონელები ხომ არ ჩამოგიყვანიათ, ან სანოვაგე და წყალი ხომ არ გჭირდებათო — მხოლოდ ამ ორ მიზეზზე ყაბულდებოდნენ იაპონელები, რომ უცხოელები მათ ნაპირს მიდგომოდნენ, ისიც ამ უკანასკნელ ხანს. თორემ წინათ, როგორც ცნობილია, დალუპულ ხომალდიდან გადარჩენილ თავიანთ იაპონელებსაც აღარ აბრუნებდნენ უკან, იაპონიაში. „თქვენ ხომ ნიპონიდან წახვედით, — ეუბნებოდნენ ასე, — ახლა სადაც გინდათ, იქ წაეთრიეთო“. უცხოელებს კი უფრო სასტიკად ექცეოდნენ: დაატყვევებდნენ და აღარ უშვებდნენ.

მაგრამ დრო-ყამმა თავისი გაიტანა, იაპონელები ის აღარ არიან, რაც ამ ორმოცი, ორმოცდაათი თუ ასი წლის წინათ იყვნენ. ჩვენ ძალზე თავაზიანად დაგვიხვდნენ: ყოველი ჩვენგანის სახელი, წოდება, თანამდებობა გამოიკითხეს, ყველაფერი ჩაიწერეს ტუშითა თუ ფუნჯით, რომელიც უბიდან გამოღებული დასაკეცი რკინის სამელნეში ეწყო, ჩვენებურ ძველისძველ სანთლის მაშას რომ მიაგავდა. ფუნჯს მეტად მარჯვედ ხმარობენ. ერთი პირობა მეც ვცაღე ერთ ოპერ-ბანიოსისთვის ჩემი სახელი ფუნჯით დამეწერა ლათინურად, იაპონური ნაწერის გვერდით, და თავი მოვიჭერი კიდევ: ლათინურ ასოებს კაცო ვერ იცნობდა.

გავიდა ორი დღე: ამასობაში იაპონელებს აცნობეს, რომ ჩვენ ნაპირზე ადგილი გვჭირდება და სანოვაგეც გვინდა. სანოვაგე ცოტაოდენი გამოგვიგზავნეს საჩუქრად, ადგილზე კი გამოგვიცხადეს, ედოდან ნებართვის გარეშე ვერ გავბედავთო.

ამ ამბის შემდეგ მე'სამე დღეს ორი ბანიოსი გვეწვია: ერთი ამას წინათ ნამყოფი, ჩვენი ნაცნობი ბ ა ბ ა - გ ო რ ო ლ ზ ა ი მ ო ნ ი იყო, ყველას უკვე გვიცნობდა, ფრეგატზე თავს შინაურულად გრძნობდა, გვეხუმრებოდა, სახელებით მოგვმართავდა, რაც კი თვალში მოხვდებოდა, რა ჰქვიაო, კითხულობდა და იწერდა. ეტყობა, ძალზე კეთილი, ცოცხალი, გულახდი-

ლი კაცი უნდა ყოფილიყო. მეორეს სამბრო ერქვა. არ იფიქროთ, რომ იაპონელის შეხედულებებში, სიტყვებში, მოქცევაში (თუ ქაღალდებში ცხვირის მოხოცვას და კანფეტების დამალვას არ ვიგულისხმებთ: მაგრამ ისიც მოიგონეთ, გეთაყვა, როგორ იხოცავს ცხვირს რუსი ხალხის სამი მესამედი და რომ დიდი ხანია არაა, რაც ჩვენმა ქალბატონებმა რედიკულების ტარება მიატოვეს, რომლებიც წვეულებებზე კანფეტებით იტენებოდა) რაიმე ველური, უცნაური იგრძნობოდეს და ევროპელი გააკვირვოს. სრულიადაც არა: ოღონდაც მათი ტანსაცმელი და მართლაც სულელური კიკინა გეცემა თვალში. სხვა მხრივ ეს ხალხი, თუ ევროპელებს არ შევადარებთ, საკმაოდ განვითარებული, თავისუფალი ქცევის, სასაუბროდ საამური და მეტისმეტად საინტერესო, თავისებური აღზრდის ხალხია. თუმცა ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ბანიოსებმა თან თარჯიმნებიც მოიყვანეს, ლიოდა და სადაგორა. ისინი ჯერ პ[ოსიეტმა] მიიღო, მერე ადმირალმა შეიყვანა თავის კაიუტაში. ბანიოსები ვეება სავარძელში ჩასვეს. რამდენიმე კაცი ამალიდან უკან, სკამებზე მოთავსდნენ. ადმირალი მათ პირდაპირ, სოფაზე დაბრძანდა, ჩვენ ოთხნი კი საკმლებთან გრძელ დივანზე მოვკალათდით. ლიოდა და სადაგორა ისე მოხრილიყვნენ წელში, სახე თითქმის აღარ უჩანდათ, მარტო აჩაჩხულ დაშნებს ვხედავდით. ბაბა-გოროდ-ზაიმონი, ლიოდასკენ ოდნავ გადახრილი, ჩურჩულით რაღაცას ჩქარ-ჩქარა, დიდხანს ელაპარაკებოდა, თან ჰაერს მალღიმალ ისრუტავდა. მეტად საამური საუბარი იცინს: ქალივით ლაპარაკობს ხოლმე, ასე რომ უარი თუ შესიტყვება მშვიდი, ალერსიანი კილოს წყალობით ისე საწყენად აღარ ისმის. „ხი, ხი, ხი,“ — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გულმოდგინედ გაიძახოდა ლიოდა, რომელმაც მხარი უთამაშებდა და საფეთქლებზე ოფლი წურწურით ჩამოსლიოდა. კაიუტაში კაცს სული შეგეხუთებოდა, გარეთ კი 20°-მდე აღწევდა სიცხე.

ლიოდამ ბაბას რომ მოუსმინა, წელში გასწორდა, პ[ოსიეტს] მოუბრუნდა, რომელიც ბანიოსების გვერდით იჯდა და განუცხადა, გუბერნატორი გთხოვთ კერძოდ მისადმი განკუთვნილი წერილი გაუგზავნოთო. რაც შეეხება მეორეს, რომელიც ედოში, უზენაეს მთავრობას უნდა გაეგზავნოს, იმის თა-

ობაზე ბრძანა, რომ მის მისაღებად ცერემონიალის დაცვაა საჭირო, გუბერნატორს კი ამის განსაზღვრის შესაძლებლობა არა აქვს და ამიტომ სატახტო ქალაქში გააგზავნა კაცი ნებართვის მისაღებად. „რამდენი ხანი სჭირდება გზას აქეთ-იქით?“ — ჰკითხეს მათ, თუმცა იცოდნენ, რომ ამ გზას სამი-ოდე კვირა მოუნდებოდა, ხოლო ინგლისელ მოგზაურ ბელჩერს თუ დაუფუჯერებთ, ორი კვირაც საკმარისი იქნებოდა. იაპონელებს ეს ამბავიც უთხრეს. ბაბამ თქვა, რომ პააუხს ალბათ ოცდაათი დღე დასჭირდებაო. მოიბოდიშა, პასუხს მოფიქრება ხომ უნდაო. მაგრამ აღმირალი დაყინებით მოითხოვდა, პასუხი ჩქარა გამოგზავნონო. მაშინ სადაგორამ უპასუხა, კურიერი ჩ ი ტ ი ვ ი თ გაფრინდებაო.

ანალიდან ერთი კაცი ცხვირსახოცში შეხვეულ კოლოფს სულ თავს დაატრიალებდა. როცა წერილი ბაბა-გოროდზაიმონს გადასცეს, მან გალაქული ხის კოლოფი გახსნა, მაგიდაზე დადგა, წერილი ორივე ხელით ჩამოართვა, პატივისცემის ნიშნად შუბლთან მიიტანა, კოლოფში ჩადო და ისევ ცხვირსახოცში გაახვია, რაზეც გუბერნატორის ლერბები იყო ამოქარგული. შემდეგ ზონარი შემოახვია, უბიდან პატარა ბეჭედი ამოიღო, ზონარს დაადო და კოლოფი თავის მოხელეს გადასცა, თან თარჯიმანს რაღაც ჩაულაპარაკა. „ხი, ხი, ხი!“ — დაუდატურა იმანაც, მერე ჩვენ მოგვიტრიალდა და გადმოგვითარგმნა, რომ წერილი უტყუერად იქნება გადაცემული დღესვეო.

აღმირალმა იაპონელებს საუზმე შესთავაზა თავის კაიუტაში, მასპინძლობა ჩვენ დაგვავალა, თვითონ კი სასტუმროში დარჩა. ყველანი დიდ მაგიდას მოუქსხედით ჩვეულებისამებრ, ჩაი მოიტანეს, მერე ტკბილეული, რისი დიდი მოტრფიალენიც გახლავთ იაპონელები, მერე ნამცხვრები, კიდევ რაღაც-რაღაცეები, აღარ მახსოვს რა, ღვინო, სასმელი და კანფეტები. იაპონელები ყოველივეს აკვირდებოდნენ, ყველაფერს ცოტ-ცოტა გემოს უსინჯავდნენ, ქალაქში ხან კანფეტს, ხან ტორტის ნაჭერს ახვევდნენ, ლიოდამ ამას კიდევ მურაბაც მიაყოლა და ყველაფერი თავის დიდ საკუქნაოში, მაშასადამე, უბეში შეინახა: „ყმაწვილებისთვისო“, — გვითხრა ასე. სტუმრებს კაიუტაში დასცხათ, პააწინა ქალაქის ცხვირსახოცებს იღებდნენ და ოფლს იწმენდნენ, სხვები, განსაკუთრებით, მეორე

ბანიოპი, ქაღალდებით იხოცავდნენ ცხვირს, მერე სახელოში ინახავდნენ და მარაოს ინიავებდნენ. ო. ა. გ[ოშკევიჩმა] დასაკრავი კოლოფი მომართა და უცბად „grâce, grâce“-ს ნელი, ჩუმი არია გაისმა რობერტიდან. მაგრამ ამან ნაკლებ იმოქმედა: ბაბამ გვითხრა, ორი სათუთუნე მაქვს დასაკრავიო. ჰოლანდიელებს ჩამოეტანათ. კუთხეში სხვა მაგიდა იყო გაშლილი, ამაღის რამდენიმე კაცისთვის. ბაბა ლეინოს სულ არ ეკარებოდა: გამუდმებული თავის ტკივილები მაქვსო, „ხომ ხედავთ, თავიც ამიტომ მთლიანად არ გამიპარსავსო“. შესთავაზეს, რომ ჩვენს ექიმს მოლაპარაკებოდა ამის თაობაზე, მაგრამ მადლობა გვითხრა და უარი განაცხადა.

ერთი სიტყვით, სტუმრებს ვცდილობდით თავაზიანად მოვქცეოდით, ნასაუზმევს სურათები და სხვათა შორის ზიბოლდის წიგნში ნახატი იაპონური ხედები: ადამიანები, შენობები, პეიზაჟები თუ სხვა ვაჩვენეთ. მათ გვთხოვეს, რომ ერთ-ერთ ბანიოსისთვის ფრეგატი დაგვეთვალეირებინა, ის პირველად გვწვეოდა დღეს. გემბანები ჩამოვატარეთ. ათვალეირებდნენ ზარბაზნებს, თოფებს და ყურადღებით ისმენდნენ ინგლისში ნაყიდ, ახალ სამიზნოიან თოფების მოწყობილობის ახსნა-განმარტებას. მათ ყველაფერი აინტერესებდათ, ლამის ბალღურ, მიამიტ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ, თუმცა კი თავა იკავებდნენ, მეტისმეტად არ გამოემყლავნებინათ ეს.

იაპონელები თითქმის საღამომდე დარჩნენ. მათი ამაღა და მსახურები გემბანზე დაბორიალობდნენ და ყველაფერს პირდაღებული შეჰყურებდნენ. მთელ ფრეგატზე ჩალის სანდლების ფრატუნი და წარამარა აბრეშუმის ქვედაწელების შარიშური გესმოდა, ასე რომ ზოგჯერ რაღაც თითქო ნაცნობი მოგჩვენებოდა... გაიხედავ და იმედი გაგიქარწყლდება! ზოგიერთების ფიზიონომია მეტისმეტად სულელური იყო.

სხვათა შორის ორი თუ სამი მოხუციც ერია მათში, შარვლები, ე. ი. წვივების ზემოთ ლურჯი ქსოვილი შემოეტმასნათ, ფეხებზე კი ისეთივე წინდა და სანდლები ეცვათ, როგორც სხვებს. მოკლე მოსასხამებიც ლურჯი ფერისა ჰქონდათ. „ეგ რა ხალხია?“ — ვიკითხე. „ჯარისკაცებიო“. ჯარისკაცებიო!

¹ შემინდეთ, შემინდეთ (ფრანგ.)

გულით რომ მოინდომო, იმის საპირისპიროს ვერას მოიგონებ, რასაც ჩვენში ჯარისკაცი ჰქვია. სიბერისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ და ცუდადაც ხედავდნენ. სამი ბეწვისგან დაწნულ ჭალარა კიკინას თავზე რა გააჩერებდა და ყალყზე დადგომოდათ. გაქაჩლებულ თავიდან შიგადაშიგ სპილენძისფერი მელოტი ბზიალებდა.

საერთოდ ერთ ვაჟკაცურ, ენერგიულ სახეს ვერავის დაუნახავ, თუმცა ჰკვიანური და ცბიერული ბევრი შეგხვდება. კიდევ რომ ჰქონდეთ, უკნიდან აწეული კიკინა და წმინდად გაპარსული სახე ვაჟკაცურ იერს უკარგავთ.

ნავებიდან კიბეებსა და რუსლენებზე აუარება ტიტლიკანა, ნახევრადტიტველი თუ ჩამობრანძული მენიჩბე ამოძვრა. ზოგიერთებს დიდი-დიდი გრძელი ლურჯი ხალათი ეცვათ — მეტი არაფერი: ვერც შარვალს, ვერც კოფთასა თუ სანდლებს ვერ დაუნახავთ. ქულებზე აღაზას ვიტყვი, რამეთუ აქ ჩასაცემელის ეს ნაწილი არ არსებობს. სამხრეთით, ჩინეთში, ვნახე, რომ პატარა ზამთრის ქულებს მაინც ატარებენ, ზაფხულში კი ზოგიერთებს მალაური წოპწოპა ჩალის ქულები ხურავთ, საწვენე თასის სახურავივით. აქ კი ვერც ერთ თავდახურულ იაპონელს ვერ იხილავთ. მარაოსაც იშვიათად იფარავენ თავზე, როგორც ჩინელებს სჩვევიათ. ხანდახან ნავს დაინახავ, შიგ რამდენიმე კაცი ზის: ერთ რამედა ღირს იმის ცქერა, როგორ აცხუნებთ მზე პირდაპირ თავზე; ხოტორა, პრიალა შუბლებზე: სხივები ისე ციალებენ, თითქო რომელიმე კოშკის მოოქრული გუმბათი იყოს, ყოველ თავზე ცეცხლის წერტილი ბრდღვივალეებს. შუაგულ მზეში ამდენ ხანს ყურყუტი კაცს ვით არ მოკლავს, ყოველ შემთხვევაში ჰქუაზე ვით არ შეშლის, იმათ კი არაფერი მოსდით, თუმცა კი აქაური მზის სხივები კაცს სპილენძის ჩხირებივით ესობა თავში!

ბაბა დიდ სიკეთეს შეგვპირდა: პოლანდიურ ფაქტორიაში თეთრეულს გაარეცხვინებდა. ბოლოს იაპონელები წავიდნენ. ერთმა მათგანმა დამიძახა და ხელი მტაცა. „აჰ, თქვენა ხართ, ბაბა, adieu!“ — „Adieu“, — გაიმეორა მანაც.

დღეები დღეებს მისდევს: აგერ უკვე აგვისტოს მეორე

¹ მშვიდობით (ფრანგ.)

ნახევარია. იაპონელებმა სული ამოგვართვეს. ყოველდღე ორ-ორჯერ გვაკითხავენ, ხან სანოვაგეს მოიტანენ, ხან შესაკითხი აქვთ რაღაც, ხან პასუხი მოაქვთ. ძალა წაიღო ამ უკიდურესმა აღმოსავლეთმა! უსაქმოდ მყოფი აკვირდები იმათ სახეებს და აღარ იცი, რა ეფიქრო მათ წარმოშობაზე. როგორც არ უნდა სძულდეთ ჩინელებთან ნათესაობაზე ფიქრი, როგორც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ნათესაობას ერთიმეორისგან მკვეთრად განსხვავებული თვისებები, მათ სახის წყობასა და ნაკეთებს რომ შეხედავ, არ შეიძლება არ გაიფიქრო, რომ იაპონელები და ჩინელები ახლო ნათესაეები არიან. ისევე მოგვძო, მოყვითალო-შავგვრემანი სახეები, ისეთივე ყბები, ტუჩები, წინ გამობურცული შუბლი და საფეთქლები, რამდენამდე ჩაჰყლებილი ცხვირი, შავი თუ თაფლისფერი საშუალო სიდიდის თვალები. ზნეობრივ მსგავსებაზე უკვე აღარას ვიტყვი: ის უფრო მეტად ადასტურებს ამ აზრს. ალბათ ორთავეს აკვანი შუა აზიაში დაიარწა, რა თქმა უნდა, ოდესღაც ერთ ტომს შეადგენდნენ, მერე კი უხსოვარ დროიდან ხმელეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში გადავიდნენ და ირგვლივ მდებარე კუნძულებსაც მოედნენ.

თათრის სრუტემ და ერთი მოდგმის ბევრ ხალხთა შორის არსებულმა ტომობრივმა ქიშპმა და შუღლმა, რაც არც ისე იშვიათია ისტორიაში, შეიძლება საუკუნოდ გათიშა ორი ტომი, რომელთაგან ერთში, ჩინელებში, შესაძლოა მანჯურიელების სისხლი შეერია. მეორეში — იაპონელებში — მალაელებისა, რომლებიც კემფერის თქმით, იაპონელებს ვითომც ნიპონში დახვედრიან და ამ უკანასკნელებს გამოუძევებიათ. ჩინურის მცოდნეთა თქმით, იაპონური ენა ცოტაოდენ ჩინურს უნდა ჰგავდეს. ჰოდა, ასეც შეიძლება მომხდარიყო, რომ როგორც ერთის, ისე მეორის პირველყოფილი საერთო ენა — ჩინელებს ისევ ჩინური დარჩათ, იაპონელებს კი quasi — მალაელებისა, ან იმ კუნძულელთა ენაში აღერიათ, რომლებიც ნიპონის, კიუზიუს თუ სხვა კუნძულებზე დახვდათ და რომლებიც, შესაძლოა, კურილიელებიც იყვნენ.

ვითომ რით დაიწუნება ასეთი მოსაზრება, მიბრძანეთ ერთი? ვიცი, რომ ამის წყალობით იაპონელებმა შეიძლება იმდენად ამითვალისწინონ, რომ ციხეშიც ჩამსვან, რამეთუ ახ-

ლა იაპონიაში ვიმყოფები. თავის თავს თვითონ ზეციურ ხულ-
თა ჩამომავლებად სთვლიან, შემდეგში კი იმას უფრო არჩე-
ვენ, ჩრდილოეთ კურილიელთა ნაშიერებად მონათლონ,
ოღონდ ჩინელებისა არაფერი ეცბოთ. მაგრამ მე მაინც ჩემს
მოსაზრებას დავიცავ, მით უმეტეს ახლა, როცა ეს-ესაა დავ-
შორდი ჩინელებს, როცა მათი ნაკვთები ასე ცოცხლად ჩამ-
ბეჭდია ხსოვნაში და როცა სხვა მათ მსგავს სახეებს ვუტყერ.
ვითომ რითაა ცუდი ეს ჩემი მოსაზრება? კემპფერს იაპონე-
ლები, იცით, საიდან გამოჰყავს? ბაბილონის გოდოლიდან!
ჯგრო-ჯგროდ თუ კოლონიად, როგორც თვითონ იძახის,
გადმოატარებს კაპაის ზღვას, მთელ აზიას ჩინეთამდე და
იქიდან იაპონიაში დაასკუბებს, პირდაპირ ისე, როგორც იყვ-
ნენ, მზა ენით, ადათებით, ლამის ფუთაც ამოადებინოს ილლი-
აში, სადაც აი, ეს ახლანდელი კოფთები, ლერბები, ქვედაწე-
ლები ჰქონდათ გაკრული. იმასაც მოგახსენებთ, რომ აქ იმ
განსხვავების გარდა, რაც, უბრალო და წარჩინებულ ხალხს
შორის შეუქმნია ცხოვრების ყაიდას, საქმელს, აღზრდას თუ
საქმიანობას, არის კიდევ მეორე, უფრო მკვეთრი, უცილობ-
ლად ტომობრივი განსხვავებაც. როცა უფროს მოხელეთა, მა-
თი ამაღლისა თუ ჩვენს გარშემო შემორტყმულ ნაგებში მყოფ
ხალხის სახეებს ჩააკვირდები, ძალაუნებურად დასკვნას გა-
მოიტან, რომ აქ ორი სხვადასხვა ტომი შერევია ერთმანეთს.
მდებო ხალხს სახის ნაკვთებში მართლაც უპოვი დიდ მსგავ-
სებას ჩვენს მიერ იავაზე თუ სინგაპურში ნახულ ძალაულებ-
თან. ჰოდა, რაკი იაპონელები ყველაზე მკაცრად იცავენ ერთი
საზოგადოების მეორეში აღრევას, ვიდრე სხვაგან სადმე, ბუ-
ნებრივია, რომ დამმონებელი ტომი აქამდე არ შერევია და-
მონებულს.

აბა, შეადარეთ იაპონური აღზრდა ჩინურს: ორივე ერთ-
ნაირია. ერთი და იგივე პრივილეგირებული, ძველთაძველი
სინტოს რელიგია მეფობს, ან ზეციერ სულთა თაყვანისცემა,
როგორც ჩინეთში, შემდეგ ბუდიზმი მოდის. მაგრამ აქაც და
იქაც უფრო მეტად ზნეობრივ-ფილოსოფიური სული ბატო-
ნობს, ვინემ რელიგიური და ერთნიც და მეორენიც სრულ
გულგრილობას იჩენენ რელიგიისადმი. შემდეგ ორთავეს ერთ-
ნაირად სჩვევია შრომისმოყვარეობა, ერთნაირ ნიქს იჩენენ

ხელოსნობისადმი, ერთნაირად უყვართ მიწათმოქმედება, ვაჭრობა, ერთნაირი გემოვნება აქვთ, ერთნაირი საჭმელი, ტანსაცმელი — ერთი სიტყვით, ყველაფერში მსგავსებას იპოვი, ზოგ შემთხვევაში იმდენად დიდს, რომ გიკვირს, როგორ შეიძლება ფიქრის დაშვება ამ ხალხების სხვადასხვა ტომობაზე.

ერთსაც და მეორესაც ექვიანობა, უნდობლობა სჩვევიათ; თუ რამ საფრთხე ემუქრებათ, კარჩაკეტილობის სიატემას კლდეკარივით ეფარებიან; ორთავეს ერთნაირი ცივილიზაცია ახასიათებთ, რის გავლენის ქვეშაც ეს ორივე ხალხი, ერთი ოჯახის ძმებივით, გაიზარდა, დავაუკაცდა და დაბერდა. ეს ცივილიზაცია რომ იაპონელებს ჩინელებისგან მხოლოდ მეზობლობის წყალობით გადმოედოთ, ვითარცა უცხო ტომიააგან. მაშ მანჯურიელები თუ სხვა მეზობლად მცხოვრები ხალხები დღემდე რად არ ზიარებიან ამ ცივილიზაციას, მით უმეტეს, რომ იაპონიაზე უფრო ახლოს არიან ჩინეთთან?

რა, თუნდაც იაპონელებმა ახლავე ჩამსვან ციხეში, მე გალილევივით ჯიუტად დავიჩემებ, რომ ისინი — ჩინური ოჯახის შვილები არიან, კუნძულებზე გადასულნი, რომლებსაც გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო ხელი უცხოელებისთვის კარი ჩაეკეტათ. თუ გეოლოგებს დავუჯერებთ, თვით ეს კუნძულებიც ოდესღაც კონტინენტის მოწყვეტილი ნაწილია...

შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, ასე დაწვრილებით რომ მოგახსენებთ იმაზე, რაც ბევრის თვალში, ვინც ნაჩვევი არის იაპონია და ჩინეთი განუყოფლად ჩაითვალოს, უკვე ყოველ ეჭვს გარეშეა. რა თქმა უნდა, სხვებივით თქვენც ამ აზრისა ხართ, როგორც მე და როგორც ყველა, ერთი სიტყვით — *tout le monde*¹. ოღონდ იაპონელებს შეურაცხყოფად მიაჩნიათ, როცა უცხოელები ჩინელებში ურევენ მათ, და უცხოთა უცოდინრობასა და ბარბაროსობას მიაწერენ ამას. ამ საკითხს მარტო იმიტომ შევეხე, რომ მე ახლა... იაპონიაში ვიმყოფები. ხოლო ვინც აქ მოხვდება, აუცილებლად შეეხება იაპონელებისა და ჩინელების ნათესაობის საკითხს. ეს აქ კაპიტალური საკითხი გახლავთ. მე მხოლოდ

¹ მთელი ქვეყანა (ფრანგ).

სხვების მაგალითს მივბაძე. რას იზამ: მოწყენამ პედანტიზმში გადამაგდო!

სამაგიეროდ აწ აღარც მე შევიწუხებ თავს და არც თქვენ შეგაწყენთ შემდგომ ჩემს მოსაზრებათაგან. მოცალეობის ჟამს, კაბინეტში, მეცნიერულ წყაროთა დახმარებით განიხილეთ ეს საკითხები. მე კი უბრალოდ მოგიყვებით, რაიც აქ მესმის და რასაც ვხედავ.

რაკი წყაროებზე ჩამოვაგდე სიტყვა, ბარემ ერთ წყაროზეც მოგახსენებთ, ის მგონი, ყველაზე საინტერესო უნდა გახლდეთ. კემპფერმა რომ თავი მომაბეზრა, ერთი ძველისძველ წიგნს წავაწყდი ჩემი მეზობლის ბიბლიოთეკაში. ისიც იაპონიას, ან, როგორც მისი სათაური გვამცნობს, ი ა პ ო ნ ა ს ა და ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ზ ი ს დ ე ვ ნ ი ს მ ი ზ ე ზ ს ე ხ ე ბ ა. კ ა რ ო ნ ს ა და გაგენარის თხზულებას წარმოადგენს, რომელიც ს ტ ე პ ა ნ კ ო რ ო ვ ი ნ ი ს, ს ი ნ ბ ი რ ი ნ ი ნ ი ს ა და ი ვ ა ნ გ ო რ ლ ი ც კ ი ს მიერაა თარგმნილი. სამწუხაროდ, ბოლო ფურცელი მოხეული აქვს, სადაც გამოცემის წელი უნდა იყოს. ამ წიგნის კითხვაში ფრიალ დავისვენე პატივცემულ კემპფერისა თუ სხვა ავტორიტეტთა დაწვრილებით, შიგადა-შიგ დამქანცველ აღწერილობისაგან. რა მოკლელაა ყოველივე ნათქვამი, რა მიამიტობა იგრძნობა! ან რა ენითაა გადმოცემული! გული არ მითმენს, არ გაგიზიაროთ ესოდენ მეცნიერული სიამოვნება და დიპლომატიური სიზუსტით ორ, სამ ადგილს ამოგიწერთ იაპონიასა და იაპონელთა თაობაზე.

„... იაბადიის კუნძული, რასაც პტოლომეოსი იუწყება, გახლავთ ესე, ამჟამად ნიფონის კუნძულად მონათლული არს“.

„... იმპერია იაპონიისა ამჟამად იმყოფება შენათხზი მრავალთა და მრავალთა კუნძულთაგან, რომელთა შიდა კუნძული ეგების არცა იყოს, მაგრამ ნახევარკუნძული არს“.

„კამპანია პოლანდიელთა ინდოეთსა შინა აღმოააველეთისა იმყოფებოდა მაშინ იმდენად დიდსა კეთილსა ცხოვრებაში, კემპარიტად ფრიალ დიდებულ არს...“

„...ბრალი რისაც არ უნდა იყოს, რამეთუ აღზრდისა ან ბუნებრიობისა, ცოლები იქ (იაპონიაში) კეთილნი არს, ძალუმ ერთგულნი და ფრიალ მორცხვნი“.

„...მამებისა და დედების იაპონელებს ბევრი კეთილი გან-

წყობა აქვთ და იმდენად პეიტარნი არიან, ვინცა რომელი ამაში ცოდვილ იქნების, იმაა უკვე ღმერთები რისხვას უქმნიან“.

„... დიდებულთა სიმდიდრე წარმოსდგების სხვადასხვა შემოსავლთა ქვეყნისა, ვინც რას დაუფლებულ არს. ზოგიერთთა მამული წარმოშობს ბევრს პურეულა, სხვებს ამოაქვთ ბევრი ოქრო და ვერცხლი, დანარჩენთ სპილენძი, კალა, ტყვია...“

აი, ასეთი ენითა და კილოთი გახლავთ დაწერილი მთელი ეს საინტერესო წიგნი, ალბათ, ტელემაქიდის თანამედროვე!

მართალი გითხრათ, მეზარებოდა ჩვენთან სტუმრად წვეულ ყველა გოკეინსებისა და თარჯიმნების სახელების ჩაწერა. ბაბა თითქმის ყოველდღე მოდიოდა და ყოველთვის რომელიმე ახალ ბანიოსს მოიყოლიებდა, ალბათ მისი ნაცნობი იყო და უნდოდა დიდი ხომალდის, ოთხარშინიან ზარბაზნების, ადამიანის თავისხელა ყუმბარების დათვალიერება, მუსიკის მოსმენა, სამხედრო სწავლების, განგაშის, ვანტებზე სირბილისა და იალქნების მანევრების ნახვა. ერთხელ მათი თანდასწრებით მარშით გაატარეს მეზღვაურები: იაპონელები იუტზე ჩაკუცქდნენ და აღტაცებულნი შეჰყურებდნენ, ოთხასი კაცი რა მწყობრად, თითქო ბუმბულავით შეიგდებდა თოფებს, მერე მუსიკის ზმაზე, ვითარცა ერთი სულის მქონე მასასავით, ფეხშეწყობით დაიარებოდა. იაპონელების თანდასწრებით ნავებზეც გაისეირნეს. ფრთაგაშლილი ჩიტებივით მისრიალებდა ჩვენი ნავები, წყალში თითქმის გვერდზე გაწოლილი.

იაპონელები ჩუმად სიამოვნებისა და გაოცების ღიმილით უზიარებდნენ ერთმანეთს შენიშვნებს თავიანთ მქდერ ენაზე. ზოგიერთები, განსაკუთრებით ერთი თარჯიმანი, ნარაბაიოსი მეორე (იანინ ბიძაშვილები არიან, ანუ გეისტრები) ოცდახუთი წლის ყმაწვილი კაცი, ცოტაოდენი ინგლისური რომ იცოდა, ოხვრით გამოგვიტყდა, რომ ჩვენთან ნახულმა აღტაცებაში მოიყვანა, რომ უნდა ევროპელი ან რუსი იყოს, იმოგზაუროს და სადმე რამე ნახოს, თუნდაც ბონინ-სიმა იყოს ეს...

ვითომ მოესწრები კი, საბრალო ყმაწვილო, იმ დროს, როცა შენი თანამემამულენი, ნებით თუ უნებლიეთ, სხვებს კარს გაუხსნიან ან თავისიანებს სხვა ქვეყნებში გაამგზავრებენ?

მაშინ ალბათ, პირველი შენ იქნები. ეს ნარაბაიოსი მეორე ძალზე მორიდებული, ჩაფიქრებული ყმაწვილია; ზოგიერთ იაპონელივით სახესა და ქცევაში გახევება არ ეტყობა, არც თავდაპირველობა ემჩნევა ბევრივით, რომლებიც თავიანთი ბედის ყოვლად მაღლიერნი არიან და სხვა არაფერზე ნაღვლობენ. ეტყობა, მას რაღაც უტრიალებს თავში, რაღაც უკეთესის სურვილი და წადილი გასჩენია, ვინემ მის ირგვლივ მყოფი გარემოა... ის მარტო არ არის ასე. სწორედ ისინია იაპონიის მომავლის იმედი და ჩვენი წარმატებაც მათზეა დამოკიდებული.

ლამაზი სახე თითქმის არ შემხვედრია, ორიგინალური კი ძალიან ბევრი, თითქმის ყველა. აგერ, შეხედეთ, ისინი გემბანზე მოქუჩულან, შპილის გვერდით, ან სავახტო სკამზე ამძვრალან. ქვემოდან ავარცხნილი კიკინები თავს მსხლის ფორმას აძლევს, კოფთები განიერსახელოიანი კაცავეიკებსა თუ მოსახამებს მოგაგონებთ, შემდეგ ხალათები და ფეხსაცმელიც დაუმატეთ. ერთს მსუქანი, ხორციანი სახე აქვს, მეორეს ჩიტივით წაგრძელებული, გამხდარი; წარბები მშვილდივით მორკალვითა და გამოხედვაც ისეთი უჩანს, თვითონ ღალადებს თავის სიჩერჩეტზე; მესამე ჩოფურაა — ჩოფურებს ბევრს შეხედები — ზედა კბილებს ვერასგზით მალავს. ერთი წარბებაჭიმული გასცქერის, მეზღვაურები რუსლენებიდან პირდაპირ ზღვაში რომ ხტებიან ერთიმეორის მიყოლებით და რამდენიმე წამს წყალში იმალებიან; მეორე ბანის ქვენაზე ჩაცუცქულა და თვალს არ აცილებს, კაიუტ-კამპანიაში რა ხდება; მესამე სკამზე დამჯდარა, ზარბაზანს მიშტერებია და სიბერისგან ტუჩები ვერ შეუყრია. დგომა მეტად მოუხერხებელი სჩვევიათ, მთელი სიმძიმით მუხლებს აწვებიან, მეტი წილი უსიცოცხლოდ, დონდლოდ იყურება: ეტყობათ, არა აწუხებთ და აღეცვებთ, რომ ამ ხალხს ერთი მუღმივი იღეა და მიზანი არ გააჩნია, რაც მოაზროვნე ერს ახასიათებს, რომ სმა-ჭამისა და ძილის გარდა სხვა საქმე არა აქვთ, რომ ასეთ ყოფას მიჩვეულან და უყვართ კიდევ. ყველა ისინი ამაღას შეადგენენ.

არც ბანიოსები უქნია ღმერთს, ზოგიერთების, ბაბა-გოროდზაიმონისა თუ სამბროს გამოკლებით: ერთი კითხვას ან პასუხს მოგცემს და ვიდრე თარჯიმანი გადმოგითარგმნის,

ამტქნარებს და აქეთ-იქით იხედება. თუ სამხედრო სწავლებამ, გემბანზე შექმნილმა უეცარმა ჩოჩქოლმა ან ამის მსგავსმა ამბავმა ყურადღება გაუღვიძათ, მაშინ თვალებს დააჭყეტენ, ყურს გაამახვილებენ და მერე ისევ აპათიაში ჩაეფლობიან. აღარც მუსიკა მოქმედებს უკვე. ცოცხალ გამოხედვას, თაძამ იერს, ცნობისწადილს, სიკასკასეს, — რაც ეგზომ შეგნებულად სჩვევია ევროპელს — ტყუილად ნუ ეძებთ მათში.

ნარაბაიოსი მეორის გარდა, ვისზეც უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ ერთმა მიიქცია ჩემი ყურადღება და კიდევ მეორემ — იმიტომაც უფრო ქურადსადები გახლავთ. მისი სახელი არ ვიცი: ამაღას ე... თენოდა და ბანიოსებს კაიუტაში არ შემოჰყოლია. კაიუტაში სივიწროვე და სიცხე იყო და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე აუცილებელ პირებს შემოუშვებდნენ ხოლმე. ის მაღალი, ტანადი იყო, წელში გამართული. ვერ გეტყვით შერცხვა იმისა, რომ კაიუტაში არ დაუშვეს, ან უბრალოდ სხვა რაიმით მოჰქონდა თავი, გარდა იაპონელ მოხელედ ყოფნის პატივისა და გრძნობდა, რაც გარშემო ეხვია — ეს კია, რომ გემბანზე ამაყად იდგა და ლამაზი, დაუდევარი პოზა მიეღო. ევროპული სახე ჰქონდა, სწორი ნაკვთები, თხელი ტუჩები, სხვა იაპონელივით ყბა არ გამოვარდნოდა წინ. ვერც უგნურ თვითკმაცყოფილებას, კომიკურ მედიდურობას თუ მიამიტ, გონებაჩლუნგ კაცის სიმხიარულეს შეამჩნევდი გამომეტყველებაში, როგორც ბევრ მათგანს აქვს. პირიქით, თვალბ-ში თითქოს გამოუკრთოდა თავის იაპონლობის შეგნება. ისიც რომ ბევრი რამ აკლია, რაც მის სულს უნდა! თუ ერთხელ კიდევ გვეწვია, აუცილებლად გავცენობი, გავიგებ, რა ჰქვია, კაიუტაში შევიპატიებ და რას წარმოადგენს, გამოვიძიებ. კიდევ მეფიქრება, ინკოგნიტოდ ხომ არ არის მოსული, ცნობისმოყვარეობამ ხომ არ აიძულა ამაღას შერეოდა და იმის სანახავად მოსულიყო ვინ ან რა ხალხი ვართ.

იმ დღეს, როცა იაპონელებმა წერილი მიიღეს ჩვენგან, დაპირებისამებრ საღამოს მოვიდნენ და გვითხრეს, „წერილი გადავეცითო“, თუმცა ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა.

სამი დღის შემდეგ გოკეინსები ხელახლა გვეწვივნენ, ე. ი. ერთი ბაბა და ჩვეულებისამებრ მეორე სხვა იაპონელი, ფრეგატის დასათვალიერებლად მოსული. მათ აღვირა-

ლის ნახვა მოინდომეს და განაცხადეს, რომ ადმირალის და პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებზე გუბერნატორის პასუხი მოიტანეს, რომ მისმა უმაღლესობამ „წერილი სიამოვნებით მიიღო და კარგად გაიგო“, რომ შეეცდება ყველაფერი შეასრულოს. ადმირალის მიღებას, ნებართვის გარეშე, ვერ შეძლებს, მაგრამ უკვე კურიერი გაგზავნა ელში და იმეღია, პასუხს მალე მიიღებსო.

დრო ნელ-ნელა გადიოდა და აჰა, 9 სექტემბერს მიატანა. ელოდან პასუხის მოლოდინში ჩვენს საქმეებზე ვფართიფურთობდით და მოწყენით ვიყავით — უქმად ვისხედით და მაინც მოწყენა არ გვშორდებოდა. გასართობი თითქმის არაფერა გვქონდა. ხან ჩვენები წავიდოდნენ კორვეტზე, ხან კორვეტიდან გვესტუმრებოდნენ — სადილად თუ ჩაიზე. რაღაც პიესას ამზადებდნენ დასადგმელად. იაპონელებიც გვნახულობენ, მაგრამ ჯერჯერობით იშვიათად.

მაგრამ მალე მოუხშირეს სტუმრობას და აი, რატომ. ჩამოსვლისთანავე ვთხოვეთ მათ სანოვაგე გამოგზავნათ, რათქმა უნდა, ფულით, თორემ არ მივიღებთო, ვუთხარით. პასუხად იაპონელებმა თავიანთი ლათაიები გაგვიბეს, რომ ელოში უნდა აცნობონ უზენაეს საბჭოს, ის სიოგუნს მოახსენებს, სიოგუნი მიკადოს და ამიტომ პასუხის მალე მიღება უნდომოა; შეუძლებელიაო. გუბერნატორმა მხოლოდ ცოტაოდენი ფრინველი და მწვანილი გამოგზავნა და გვთხოვა, საჩუქრად მიიღეთო. პასუხად აცნობეს, რომ იმ პირობით მივიღებდით, თუ ჩვენგანაც სამაგიერო საჩუქარს, ანუ როგორც თვითონ ეძახიან, კონტრაპრეზენტს მიიღებდნენ.

ჩინეთიდან და ბონინ-სიმადან წამოყვანილი ჩვენი იხვეები და ქათმები ნაწილი დაგვიბერდა, იმდენად დრო-ყამმა არა, რამდენადაც ზღვის რწყევამ, ზარბაზნების ბათქებმა და სხვა საგზაო თუ საზღვაო უსიამოვნებებმა მოტეხა, ნაწილი კი შევჰკამეთ. საჭირო იყო ჩინეთში სატრანსპორტო ხომალდი ხარებისა და ფრინველების ჩამოსაყვანად გავგეგზავნა, შეკუნა კი საგანგებო განკარგულებებით ჩრდილოეთში, ციმბირის ნაპირებისკენ. ეს ამბავი გუბერნატორს შეატყობინეს, რა არაჰ ჩვენი ხომალდების დაბრუნების დროს ბრძანება გაეცა დაუბრკოლებლევ შემოეშვათ ისინი რეიდზე. გუბერნატორი საოც-

რად შეუფოთდა, ალბათ, ეგონა, ხომალდები მაშველი ჯარის მოსაყვანად მიდისო, და სასწრაფოდ გამოგვიგზავნა ხალხი იმის სათქმელად, რომ სატრანსპორტო ხომალდი არ გაგვეგზავნა, რომ ახალი სანოვაგე შეგვეძლო პოლანდიელებისგან კვეციდა, ისინი კი ამას იაპონელებისგან მიიღებდნენ.

გაგვიხარდა ეს ამბავი, ადმირალი დათანხმდა ამ წინადადებაზე, მაგრამ სატრანსპორტო ხომალდი მაინც გაგზავნა, რადგან იაპონელებს ხარის დაკვლა აკრძალული აქვთ, როგორც გაზოსადეგ მუშა საქონლისა. ისინი ხორცს არ ჭამენ, თევზზე და ფრინველზე გადადიან და ჩვენც საქონლის ხორცს იაპონი-აში ვერ ვიშოვიდით. თანაც წერილები იყო გასაგზავნი ჰონკონგისა და ოსტ-ინდოეთის გზით ევროპაში. გუბერნატორს ალცრად მოექრა თავი. ჩვენ კი მოგებული დავრჩით: კვირაში ორჯერ გრძელ ბარათს ვაშანშალებთ, ფრინველი, მწვანილი თუ სხვა რამ გამოგვიგზავნონ. ამიტომაც, ოთხშაბათობითა და პარასკევობით იაპონელები ჯგროდ ირევიან ხოლმე გემბანზე. ანერ, დღეს ერთი პარტია მოგვევლინა იმის სათქმელად, მეორე პარტიას ღორი მოჰყავსო და მართლაც მოგვიყვანეს. გუშინაც არ დააყოვნეს ჯერ ეცნობებიან, წყალი მოაქვთო და მერე მოგვიტანეს. ასე გასინჯეთ, კორვეტისთვის წყალი რომ უნდა მოეტანათ, ჯერ ჩვენს ფრეგატზე ამოიტანეს იმის საჩვენებლად, აჰა, მოგიტანეთო, მერე კი კორვეტზე წაიღეს, რომელიც ას ორმოცდაათი საყენით ახლოს იდგა ნაპირთან. ახლა წაჩაჩარა ჩალის ლანჩების ფრატუნი ისმის, მერე ღორის მყვიარის გაიგონებ, კიბეზე რომ მოათრევენ, იქ თალგამისა თუ კომპოსტოს ტომრის ზღართანს მოჰკრავ ყურს; აი, კვერცხებით სავსე კალათას მოათრევენ, შემდეგ ხილს, დიდრონ, მაგარ, მხოლოდ კომპოტისათვის ვარგის მსხალს, კაკისებს თუ კაკოფიგებს.

ჩვენც დრო ვიხელთეთ და ნუსხაში სხვადასხვა საგნებს: იაპონურ ჩიბუხებს, ინკარუსტაციებით შემკულ ხელსაქმის გალქულ კოლოფებს, თუ სხვას ვწერდით. მაგრამ ათი თუ ოცი ცალას მაგივრად უცბად სამს ან ოთხს მოიტანდნენ. თუმცა მეც შემხვდა ზოგი რამ: კოლოფი, ჩიბუხი თუ სხვა წვრილმანი. გვირდოდა, თითოზე რამდენიმე ცალი გამოგვეწერა, მაგრამ მეტად ძუნწად ეზიდებიან. მოდილო კოლოფში. 12 ტაილა

(ტაილი — 3 მანეთია ასიგნაციით) მიაქვთ, უფრო პატარა-
ში — 8.

რაკი ერთხელ შეცდნენ, იაპონელები უკვე მეტისმეტ სიფ-
რთხილეს იჩენენ. აღმირალმა თქვა, ვიდრე ელოდან პასუხს
მივიღებდეთ და გადასასვლელ ადგილს მიგვიჩინენ, ჩვენს ახ-
ლოს მდებარე ცარიელ კლდეზე ჯერჯერობით ქრონომეტრე-
ბი გადავიტანოთ შესამოწმებლადო. ეს ამბავი გაკვრით უთხ-
რეს იაპონელებს: და იცით, რა ქნეს? მეორე დღეს კლდეზე ხე
ჩაარქვეს, რა რომ ის ნაპირს დამსგავსებოდა,
სადაც ჩვენ პირობა გვქონდა მიცემული, არ გადავიდოდით.
ამაზე მეტი კომედია რაღა გინდათ!

30 აგვისტოს, ალექსანდრობა დღეს ბ[არონმა] შ[ლიპენ-
ბახმა] თავისი დღეობა გადაიხადა და საუზმე გაგვიმართა კორ-
ვეტზე; ძალზე ვიმხიარულეთ. სხვადასხვა გასართობებს შო-
რის ერთი ფრიად შესანიშნავი აღმოჩნდა. გემბანზე თერამეტა
ბიჭი გამოვიდა თორმეტი-თექვსმეტი წლის ასაკისა. ტკბილად,
შეწყობით იმღერეს რომანსები თუ საგუნდო სიმღერები:
ერთს წმინდა, მაღალი სოპრანო ჰქონდა, მეორეს მშვენიერი
კონტრალტო. ბოლოს, ორმა ყველაზე პატარამ, რუსული ცეკ-
ვა იცეკვა. კრილოვის იგავებიც ათქმევინეს ზეპირად. არც
ერთს არ ჰქონდა რუსული სახე — იცით, ვინ გამოდგნენ? კამ-
ჩატკელები! პეტროპავლოვსკში სწავლობენ თურმე და ლოც-
მანებისა და შტურმანების ადგილებზე ემზადებიან. აი, საღ
გაღვივებულა განათლებისა და ხელოვნების ნაპერწკალი! ყვე-
ლა ბიჭი უქმე დღეებში ფრეგატზე გადმოდის და დიდებულად
გალობენ წირვას.

სექტემბრის დასაწყისში აქაური ობერ-გოფტისა თუ პო-
ლანდიელთა ფაქტორიის დირექტორის თანაშემწემ მოგვინა-
ხულა, სახელი... სახელი დამავიწყდა. თვით ობერ-გოფტს
დონკერ კურციუსი ჰქვია. ის ძველი პოლანდიური გვარის ჩა-
მომავალი ყოფილა. თანაშემწეს იაპონელ თარჯიმანთა ჯგრი-
შოპყვა და ერთ ნაბიჯზე არ სცილდებოდნენ. ფრანგულად
რომ დაველაპარაკეთ, გვთხოვა, პოლანდიურის გარდა სხვა
ენაზე ნუ ვილაპარაკებთო, ალბათ, იაპონელების შეეშინდა.
ამაზე საცოდავი მდგომარეობა გინახავთ — დანაშაული არ
ჰქონდეს და ციხეში კი იყო! ახალგაზრდა კაცი უკვე ცხრა

წელია, აქ იმყოფება. გვითხრა, მეორე დღეს თვით ობერ-გოფტი გეწვევათ ვიზიტითო. მაგრამ ის არც მეორე, არც მესამე დღეს არ მოსულა, მერე გვაცნობა, უქეიფოდ ვარო. ბოლოს, როცა ჩვენი სატრანსპორტო ხომალდი ჩინეთიდან დაბრუნდა და აღმირალმა ობერ-გოფტს საჩუქრად ნახევარი ხარი გაუგზავნა, ვითარცა ამ მხარეში იშვიათი ხილი, ობერ-გოფტმა მადლობის პატარა ბარათი გამოგზავნა, სადაც დიდ სიამოვნებას გამოთქვამდა, რომ აღმირალმა სწორად გაიგო მისი ვითარცა უზრდელობის ქეშმარიტი მიზეზი.

ორ სექტემბერს, ღამის ორ საათზე, მძაფრი ქარი ამოიჭრა: მთებიდან და ხეობებიდან საშინლად უბერავდა. ღამის სამ საათზე, თუმცა მთვარიანი იყო, უკვე აღარაფერი ჩანდა, მხოლოდ ბუნდად ელავდა, ოღონდ გრუხუნნი არ ახლდა, ან იქნებ ქარის ზუილი ნთქავდა.

ნაპირზე მცხოვრებისთვის ძნელად წარმოსადგენია ასეთი ქარი! მისი ზუზუნნი, გემსართავეების ტყლაშუნნი, ოფიცრების ყვირილი — პირდაპირ ჯოჯოხეთურ ხმაურსა ქმნიდა! ჩემი სარკმლიდან ვხედავდი ფარნების მოყანყალე შუქს, მესმოდა ჩაშვებული ჯაპკვის რახრახი, თითქოს მიწისქვეშ გრუხუნებს რაღაცაო, გავიგონე, როგორ ყრულ, მძიმედ დაეცა მეორე ღუზა. ინათა. გემბანზე გამოვედი; ცხელა; გიჭირს მძიმე, ნოტიო და თბილი ჰაერის სუნთქვა, კაპიტნის კაიუტისაკენ გავწიე, იქ სარკმელზე დაჯექი და ზღვას გადავხედე: მან ჩინეთის ზღვაში დატეხილი გრიგალი მომაგონა. მესამე ღუზაც ჩაუშვეს. მთელი რეიდი ერთ უზარმაზარ მორევად ქცეულიყო. წყალი ტრიალებდა და დუღდა, ქარი ღმუილით ერეკებოდა მტკრად-ქცეულ წყალს, ტალღებს სხეპდა და ისინიც მღევარდადევნებულ ნადირთა ხროვასავით სანაპირო ლოდებს აწყდებოდა, მერე ნაპირს ეხეთქებოდა და ქოხებს, ბატარეებს, ლობეებსა და ბაღჩებს წამით გადალექავდა, ნაპირს შეფარებულ იაონელთა ნავეებს ნაჭუჭებივით ატივტივებდა.

დილის შვიდი საათისათვის თვალის დახამხამებაში დაცხრა ქარი და მშვენიერი ამინდი დადგა. მეორე დღე და წუხანდელი ღამე ესოდენ დიდებული იყო, ტროპიკულს ტოლს არ დაუგდებდა. რა ნაზი ფერებით შეიღება დაისის ცა — ჯერ ვარდისფერი, მერე იისფერი გადაიკრა! რა კეკლუცად, ნარნა-

რად ჯგუფდებოდა ღრუბლები! რა ქათქათა კამკამა მთვარე იყო და რა ნაზი ნათელი ეფინებოდა ყოველივეს!

მაგრამ ცხელა, მოწყენითა ვართ: ბოლო არ უჩანს ამ გაუთავებელ ზაფხულს, რომელიც იანვარში, მადერას ნაპირებთან დაგვიდგა, და დღემდე კომპარივით გრძელდება. მიიღვევა კი ოდისმე? მართალია, დღეს გრილა, მაგრამ დიდხანს გასტანს ვითომ? „დაიცათ, დაიცათ: ტროპიკებიდან რომ დაბერავს, მაშინ ნახეთ სიგრილეო!“ — სიბილასავით გვიწინასწარმეტყველებს ბუზლუნით პაპა. დღეები ერთფეროვნად მისდევს ერთმანეთს. მეზღვაურები ოთხ საათზე დგებიან (რვაზე იძინებენ) და იწყება გემბანის ხეხვა ქვიშითა და კენჭებით ზედ ჩემს თავზე. გამოგელვიძება, ყურს მიუგდებ და ისევ ძილს მისცემ თავს. მერე რა ტკბილად გძინავს ქვიშა-კენჭების ხრაჭახრუქის ხმაზე, თითქო წვიმა ურაკუნებსო ფიცრულ სახურავს. ექვსიდან შვიდამდე ოფიცრებიც ადგებიან, ალამს ამართავენ, მერე ჩაის ვსვამთ და ჩვენ ჩვენს საქმეებს შევუდგებით. იწყება სამხედრო სწავლა, განგაში, იალქნების ტრიალი. თუ კარგი ამინდია, იუტზე გავდივარ და არემარის ცქერით ვტკბები, ჭოგრიტში გავყურებ მთა-გორებს, ვათვლიერებ სოფლებს, ქოხებს, მოფუსფუსე ადამიანებს, განიერ კარებსა და უჩარჩო, უშუშო ფანჯრებიდან ქოხში ვიჭვრიტები, ვაკვირდები ჩვენს გვერდით ჩავლილ ნავეებს და შიგ მჯდომ იაპონელებს; მერე სამუშაოს მიუჯდები და სადილობამდე ვმუშაობ. სადილი პირველი საათიდან სამის ნახევრამდე გრძელდება, მერე ძილი. მერე სეირნობა, ერთი და იგივე საუბარი, დაღუპილი თუ გადაღუპილი. შემდეგ ჩაი, გემბანზე ბოლთის ცემა, ჩვენი ორკესტრის მუზიკის ქვეშ, შემდეგ დაისისა და ვარსკვლავების ჰკრეტა, აქაურ კამკამა, მჩატე ჰაერში რომ ბენგალის შუშხუნებივით წარმტაცად კიაფობენ. საღამო ხანს ერთს ჩამოუჯდები კაიუტაში, ხან მეორეს; ბოლოს ყველა დაწვება, აბა, ვისლა ეწვევი, წამოხვალ ისევ შენს სადგომში და ისევ სამუშაოს მიუჯდები.

იაპონელთა სტუმრობა არა ერთხელ გაგაწყვეტინებს დღის სამუშაოს. გაიგონებ მათი ფეხსაცმლის ფრატუნს გემბანზე. გადადებ კალამს, აიღებ ქუდს და გამოხვალ სანახავად, რისთვის მოსულანო. ასე მოვიდნენ 5 სექტემბერსაც. მე უქეიფოდ

ვიყავი: მისუსტებულს სადილობამდე ჩამეძინა. ფადეევმა გამაღვიძა: „წამო, თქვენო მალაქეთილშობილებავ, იაპონელები აქ არიან; ერთი ახალი მოვიდა, მერე რა ხოზოაო“. რომ გავედი უკვე აღმირალთან შეეყვანათ, სხვა იაპონელებთან ერთად. პირმრგვალი, მსუქანი, შავგვრემანი, უფერული სახე ჰქონდა, სხვებივით წინ გადმოყრილი კბილები, რის წყალობითაც ნაწილობრივ უნებლიე ღიმილი დასთამაშებდა ხოლმე სახეზე. ძალზე მარჯვე და მოძრავი კაცი იყო; კიჩიბე ერქვა. ცერემონიალის თაობაზე მოსალაპარაკებლად მოსულიყო, რაც უზენაეს საბჭოში დესპანის და არზის მიღებას ახლავდა. ოჰო! მაშასადამე, ელოდან პასუხი მოსულა, თუმცა კი იძახიან, არაო: სტყუიან, თორემ ცერემონიალზე ლაპარაკს ვერ გაბედავდნენ, თუკი არ ეცოდინებოდათ, მიგვიღებენ თუ არა. მე დამავალეს ცერემონიალის პროექტის შედგენა, ე. ი. როგორ გაემგზავროს აღმირალი ქალაქში, როგორი ამაღა ახლდეს, როგორი დახვედრა მომზადდეს და სხვ. ეს აქ ფრიალ მნიშვნელოვანი საქმე გახლავთ.

6-ში. ასეც გამოდგა, პასუხი მიღებულია. დღეს ისევ გვეწვია ახალი უფროსი თარჯიმანი კიჩიბე და გვაუწყა, ვითომც პასუხი ეს-ესაა მიეღოთ. ცერემონიალის ქაღალდი უკვე მზად მქონდა, როცა აღმირალის კაიუტაში მიმიწვიეს, სადაც იაპონელები იყვნენ. კ. ნ. პოსიეტმა ზებირად წაუყითხა ჰოლანდიურ ენაზე ცერემონიალის მუხლები. კიჩიბე იღიმებოდა, ხვნეშოდა. მის ნათქვამს რომ ისმენდა, მოუთმენლობით ატანილი ცმუტავდა სკამზე. ჩვენი ელჩი რეზანოვი მოჰყავდა მაგალითად, იძახდა, ამას გაცილებით ცოტა ამაღა ახლდაო. პასუხად ეუბნებოდნენ, ეგ ჩვენთვის მაგალითი არ არის, ახლანდელი საელჩო უფრო დიდი მასშტაბითაა შედგენილი, ამიტომაც ამაღა მეტი უნდა ახლდესო. აღმირალი იმიტომ უფრო იყინებდა ამ ამბავს, რომ ყველა ოფიცერს უნდოდა ნაპირზე გადასვლა.

იმედი არ მქონდა, ნაგასაკიდან წერილის გამოგზავნის საშუალება მომეცემოდა, ამიტომ წერილებს თავი დავანებე და დღიურს შევუდექი. ახლა შემთხვევა მომეცა თქვენთვის წერილი გამომგზავნა, ჰოდა, დღიურიდან რამდენიმე ფურცელს ვხევ და წერილს ამით ვაბოლოვებ. ნაგასაკის გუბერნატორ-

თან ჩვენი შეხვედრის ამბავს, სხვათა შორის, ისევე გადმოგ-
ცემთ, როგორც 9 სექტემბრის რიცხვით მაქვს ჩაწერილი.

„ეს რა ამბავია, საიდან მოვედი? სად ვიყავ, რა ვნახე და
გავიგონე? ათას ერთი ღამის სამყაროში ხომ არ ამოვყავ ერთ-
თი საათით თავი, თუ ჯადოქრულ ბალეტს დავესწარ, ან იქნებ
თვალწინ მხოლოდ კალეიდოსკოპის ერთმა სურათმა გამიელ-
ვა, რომელიც წუთით გაკრთება წარმოდგენაში, კაშკაშა ფე-
რებით თვალს მოგჭრის, აუხდენელით თავბრუს დაგასხამს და
უკვალოდ გაქრება?“

თქვენ, რა თქმა უნდა, ყოველნაირ ბალეტს დასწრები-
ხართ, ბევრი სურათი გინახავთ აღმოსავლური ხასიათის და
შერე დავიწყებას მიგიციათ, ვითარცა წამიერი ოცნება, უთავ-
ბოლო სიზმარი, ჩვეულებრივი გოროზი ფიქრები რომ დაგირ-
ღვიათ და ნამღვილ ცხოვრებას მოგწყვიტათ. მაგრამ ვთქვათ
და უცბად გითხრათ ვინმემ, რომ ეს ბალეტი, ეს ოცნება, ეს
უცნაური სიზმარი — ბალეტი, ოცნება და სიზმარი კი არა,
წმიდაწყლის სინამდვილეა? — „რომელიმე კუნძულზე, იზლე-
რის ბალში, არა?“ — მეტყვით თქვენ. დიახ, კუნძულებზე, რა
თქმა უნდა, ოღონდ იზლერთან კი არა, ოვოსავა ბუნგონო-
კამი-სამასთან, ნაგასაკის გუბერნატორთან. ჩვენ ეს წუთია იქი-
დან მოვბრუნდით.

არ იფიქროთ, რომ იქ რაღაც სულელურმა ზიზილპიპილებ-
მა გაგვანცვიფრა, თვალს რომ ატყენს კაცს: ფერად-ფერადმა
ქსოვილებმა, პატიოსანმა თვლებმა, ხალიჩებმა, არაბესკებმა
გაგვაკვირვა — რასაც აღმოსავლური ფუფუნება ჰქვია — არა,
მსგავსი არაფერი გვინახავს. პირიქით, ყოველივე უბრალო,
სადა, ღარიბულიც კი იყო, მაგრამ უცნაური და უცხო: ყოველ
ნაბიჯზე არნახული და არგაგონილი გვხვდებოდა.

ჯერ კიდევ 5, 6 და 7 სექტემბერს ყოველ ცისმარე დღე
მოდიოდნენ ჩვენთან გოკეინსები ჩვენი შეხვედრის ცერემო-
ნიალზე მოსალაპარაკებლად. თქვენ მანდ ევროპაში ამ წუთს
ყოფნა-არყოფნის საკითხი გაწუხებთ, ჩვენ კი მთე-
ლი დღეები თავს ვიკლავდით: ვისხდეთ თუ არ ვისხ-
დეთ, ვიდგეთ თუ არ ვიდგეთ, შემდეგ როგორ
დავჯდეთ ან რაზე თუ სხვა მისთანები. იაპონელებმა
შემოგვთავაზეს, მათებურად დავმანდარიყავით იატაკზე, ტერ-

ფებზე ჩაცუცქული. დაიჩოქეთ და შერე ტერფებზე დაჯექით, — იაპონურად ამას ჰქვია ჯდომა. სცადეთ ერთი და ნახეთ, რა მოხერხებული იქნება. ხუთ წუთსაც ვერ გასძლებთ. იაპონელები კი საათობით სხედან ასე. ჩვენ განვაცხადეთ, ასე ჯდომა არ შეგვიძლია; მოდი და გუბერნატორმა სცადოს ჩვენებურად სავარძლებზე დაბრძანებაო. მაგრამ არც იაპონელებს ეხერხებათ ჩვენებურად ჯდომა, თუმცა ამაზე ადვილი თითქოს რა უნდა იყოს? მიუჩვევლებს ფეხები უბუჟდებათ ხოლმე. გაიხსენეთ, წეროსა და მელას მასპინძლობა, ჩვენც სწორედ იმ დღეში ვართ.

მეორე დღეს დილაადრიან დაგვადგნენ თავს იაპონელები, შუა დღითაც მოგვაკითხეს და საღამოსაც გვეწვივნენ. წამდაუწუმ მოსრიალებს იმათი გრძელი, განიერი ნავი, ცხვირზე აბრეშუმის კუდი ფრიალებს, კიჩო გაბობილია. უმცროსი თარჯიმნები მოსულან საუწყებლად, უფროსი თარჯიმნები ესაა მოვლენო, ისინიც თავის მხრივ უკვე გოკეინსების მობრძანებას გვამცნობენ. ნეტავ რაღაზე გარჯილან? „რაზე და ისევ ცერემონიალის ამბავზე“. — „კიდევ?“ — „გუბერნატორის მოსაზრება მოიტანეს“. — „მერე?“ — „გუბერნატორი გთხოვთ, იატაკზე ხომ არ დასხდებითო მაინც?...“ — ღრეკით გვაუწყებს კიჩიბე.

ის ედოში იყო გაგზავნილი, მგონი, ამერიკელებთან მოლაპარაკებაზე დასასწრებლად, ხოლო იქიდან რომ მობრუნდა, ლიოდამ და სადაგორამ მას დაუთმეს, ვითარცა უფროსს, ადგილი.

„ოჰ, ღმერთო ჩემო! აკი ნათქვამი გვაქვს, არ დავსხდებითო, არ შეგვიძლია და ტანსაცმელიც ისეთი არ გვაცვია, გვიჭირს ქუსლებზე ჩაცუცქვა...“ — „თქვენც ქუსლებზე ნუ ჩაცუცქდებით, ფეხები სადაც გინდათ გაკიმეთ, თუნდაც განზე...“ — „ფრგატზე ხომ არ გვიბრძანებთ დაეტოვოთ“, — ბუზლუნებდნენ ჩვენები და ბოლოს გულიც მოგვივიდა. განვაცხადეთ, ჩვენს სავარძლებსა და სკამებს მოვიტანთ და იმაზე დავსხდებით, გუბერნატორი კი, სადაც და როგორც სურს, ისე დაჯდეს-თქო.

კიჩიბემ, ლიოდამ, სადაგორამ — თავები ჩაქინდრეს, მაგრამ მერე დაგვეთანხმნენ. ყოველივე ამაზე კაპიტნის კაიუტა-

ში გვეკონდა ლაპარაკი. აღმირალმა დილით აუწყა თავისი პასუხი, ხოლო საღამოს რომ მოახსენეს, იაპონელები ხელახლა მოვიდნენ ისევ ისეთი სისულელეებითო, ისევ ახსნა-განმარტებისთვის, როგორ დავსხდეთო, უკვე აღარ მიიღო ისინი და ჩვენ დაგვაგალა მათთან მოლაპარაკება. კიდევ აი რა ითხოვეს იმათ: — „გუბერნატორს სურს თქვენი გამასპინძლება, ჰოდა, გთხოვთ, საუზმე მიირთვათ“. — „სიამოვნებითო“, — ბრძანა აღმირალმა გადასაცემად. „საქმეზე მოლაპარაკების შემდეგ, — განაგრძო კიჩიბემ, — გუბერნატორი თავის ოთახში გაბრძანდება და ასასვენებლად, თქვენც მეორე ოთახში მიბრძანდებით დასასვენებლად, — დასძინა მან სკამზე აცმუტებულმა და ნაძალადევად გაიცინა, — ჰოდა, იქ... ისაუზმებთ“ — „მარტო? — ჰკითხეს მას, — ხომ არ გაგიჟდით? ევროპაში ეგრე მიღებული არა გვაქვს“. — „იაპონურად ეს ყოვლად დასაშვებია, — გვითხრეს, — ჩვენ მუდამ ასე ვიქცევით“...

მგონი, ცრუობენ კი: ვითომ აღმირალის მიზაძვა ისურვეს. იაპონელები პირველად რომ გვეწვივნენ ფრეგატზე, აღმირალმა გოკეინსებისთვის საუზმე გააშლევინა და ჩვენ დაგვაგალა მათი გამასპინძლება, თვითონ კი არ დაესწრო. ღმერთო ჩემო! რა ხვეწნა, რა მუდარა შეიქნა! კიჩიბე ცმუტავდა, წრი-ალეზდა; საფეთქლებზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ლი-ოდა თავს გვიკრავდა, ილიმებოდა, მაგრამ ვაი ამ ღიმილს. უე-მურმა სადაგორამაც გადმოყარა კბილები. მაგრამ ჩვენ ვერა და ვერ მოგვდრიკეს. თარჯიმნები ყველა დაგვიღონდა. ოხვ-რით გადავიდნენ სხვა საკითხებზე, მაგალითად, ვისი ნავებით გავემგზავრებოდით, და კვლავ ბეჯითად შემოგვთავაზეს თავისი, თქვენი პატივისცემა გვინდაო. მაგრამ ამასაც ავარიდეთ. თავი, ვუთხარით, ჩვენიც ბევრი გვაქვს-თქო; ისევ ხვეწნა-მუ-დარა დაგვიწყეს, ჩვენ ისევ უარი განვაცხადეთ. იაპონელებს სახე დაეღრიჯათ.

უცნაური კია თითქო ასეთი წვრილმანების გამოდევნება, თუ რომ საკმაო მნიშვნელოვანი შედეგი არ მოსდევდეს მას. წვრილმანებში რომ დაგვეთმო და მათი დაყინება შეგვესრუ-ლებინა, საბაბი ექნებოდათ სერიოზულ საკითხებშიც მოე-თხოვათ დათმობაზე წასვლა და ჩვენთან ურთიერთობის დროს

ცოტა არ იყოს ქედმაღლობის საშუალება მიეცემოდათ. ამიტომაც იყო, აღმირალი იმათთან დამოკიდებულებაში მუდამ ერთ არჩეულ ხაზს ადგა: წვრილმანებსა თუ მნიშვნელოვან საკითხებში სიმშვიდე, თავაზიანობა და სიმტკიცე გამოეჩინა. ამ წვრილმანების მიხედვით, რითაც ჩვენი დამოკიდებულება დაიწყო, იაპონელებს წარმოდგენა უნდა შექმნოდათ ჩვენზე, ჩვენ კი თავიდანვე უნდა დაგვედგინა ის ტონი, რომელიც შემდგომ მოლაპარაკებების დროს იბატონებდა. ამიტომაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გარემოებას, ვინემ ერთი შეხედვითა ჩანს.

ამდენი უარის შესარბილებლად ჩვენებმა გადაწყვიტეს, რითივე მაინც გამოეჩინათ ყურადღება და მოიფიქრეს, რომ ტილოსა თუ მუშაობის მიხატე ფეხსაცმელები შეგვეკერიანებინა, რა არის იაპონელთა ოთახებში შესვლისას ჩექმების ზემოთ ჩაგვეცვა. აღმოსავლეთში ადათადაა შემოდებული ფეხსაცმლის გახლა: ჰოდა, იაპონელებსაც, ცხადია, ეამებოდათ, რომ მათი იატაკების გაქლეკას არ მოვისურვებდით. ისინი ხომ იატაკზე ჰამენ, სვამენ და წვანან. შეიქნა ერთი ფაციფულა: ერთ დღეში შეკერვას რას მოასწრებდნენ და ამიტომ ჰაპარად ამობლანდეს ფეხსაცმელები. ვისაც კი ნემსის ანოყრა შეეძლო, ყველა ჩაითრეა საქმეში. ჩემი ფეხსაცმელი ისეთი ცუდი შეკერილი გამოდგა, ვეჭვობ, ფადეევის ნახელავი ყოფილიყო, თუმცა კი დამპირდა, მეიალქნეს მივცემო შესაკერად. ზოგიერთებმა ერთი პირობა გადაწყვიტეს კალოშებით წასვლა, ოთახში შესვლის წინ გაიხდიდნენ, მაგრამ ერთ-ერთოვნებისათვის ისევ სხვების მაგალითს მისდიეს. თუმცა მე ჩექმების გახლაზეც არ ვიტყვოდი უარს და იატაკზე დაჯდომასაც დაყვებულდებოდი, ოღონდაც კი ცერემონიას დავსწრებოდი.

ერთიც ვნახოთ, სადამოს ისევ მოგვადგნენ იაპონელები. „ეს მერამდენჯერ? რა მიზეზით?“ — „რა და იაეც ცერემონილის გამო.“ — „კიდეც რაღაო?“ — „გუბერნატორი გთხოვთ, უიმისოდ ხომ არ მიირთმევთ საუზმეს, იაპონური ადათით ასე აჯობებსო“, — გვეუბნება კიჩიბე. „რუსულად კი არ აჯობებსო“, — პასუხად ასე უთხრეს. ისევ თავის დაკვრა და ხვეწნა შეიქნა. „ჰო, კარგი, უთხარით, ჩაი შეუძლიათ გამოიტანონ, —

ბრძანა გადასაცემად აღმირალმა, როცა მათი მოსვლის მიზეზი შეიტყო, — რაკი ეს მათი აღათია; ოღონდ საუზმის ხსენება არ იყო“.

იაპონელები ამ ამბისაც დიდი მადლობლები დარჩნენ, განსაკუთრებით კიჩიბე. ეტყობა, გუბერნატორიდან ჰქონდა ნაბრძანებები, აუცილებლად ისე მოეგვარებინა საქმე, რომ ჩვენ საუზმე მიგვერთვა: გუბერნატორს, რა თქმა უნდა, ეს გოროჩისგან ჰქონდა ნაბრძანებები, გოროჩს სიოგუნისგან. „გუბერნატორმა კიდევ ნავეების თაობაზე გათხოვათ, — დაიწყო კიჩიბემ, — არ შეიძლება ჩვენი ნავეებით წამობრძანდეთო?..“ — „არ შეიძლებაო“, — მშრალად ნოჟჭრეს მას.

შემდეგ ამაღაზე შეიქნა მოლაპარაკება, რამდენი კაცო იქნებოდა, რამდენი ყარაული, რამდენი ტახტრევანი, რომელსაც გადაჭრით ყველა ოფიცრისთვის ვთხოვლობდით. ყოველდღე ამაზე იმდენი დავა იყო საჭირო, ბრანის ცრემლები მოგადგებოდა. მუხიკაზე, ჩვენდა გასაკვირად, საწინააღმდეგო არაფერი ეთქვათ. აღბათ ყველას, მათ შორის გუბერნატორსაც, მისი მოსმენა ეწადა. იაპონელები წავიდნენ.

მეორე დღეს, რვა რიცხვში, ისევ მოგვადგნენ. ჩვეულებრივსამებრ ჯერ საუზმის მირთმევაზე დაყოლიება სცადეს, მერე მათი ნავეებით გამგზავრება შემოგვთავაზეს კვლავ, მაგრამ ამაოდ. ძალუმ უნდოდით ამაზე თანხმობა ეთქმევინებინათ, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ხალხისთვის ეჩვენებინათ, რომ ჩვენ თვითონ კი არ მივდიოდით, იმათ მივყავდით, ერთი სიტყვით, იაპონიაში უცხოელები თავის ნებაზე ვერ ფარფაშობენო.

შემდეგ თარჯიმნებმა მოითხოვეს ჰოლანდიურ ენაზე დავეწერა ცერემონიალის ყველა პუნქტი და მათთვის მიგვეცა, რომ გუბერნატორისთვის მიერთმიათ. ქალაღი საღამოს იქნებო მზად, უთხრეს ჩვენებმა, და წაიღეთო. თარჯიმნებმა განაცხადეს, გვირჩევენია მოვიცადოთო. მე რომ საღილზე გავედო, მერე ისევ შევედი, კიდევ იქ დამხვდნენ. საღამომდე იცადეს ასე. იუტზე გაუწყეს მათ საღილი და პ[ოსიეტმაც] მათთან ისაღილა. მერე რა, რომ ხორცს არ ჰამენ, ჩვენთან მშვენიერად გეახლენ ხორციან ღვეზელებსა და ქათმის წენიანს.

ნავებიდან თავიანთი სადილიც მოატანინეს, სხვათა შორის, შემწვარი და პრესილი თევზი, სწორ ნაჭრებად დაჭრილი, კ. ნ. ჰოსიეტმა] გვითხრა, გემრიელი იყო. არ ვიცი, დაეჯერება თუ არა: გასტრონომიის საკითხში ფრიად შემწყნარე გახლავთ.

იაპონელებმა დაგვიბარეს, შეხვედრა ხვალაა დანიშნული, 9 რიცხვშიო, რომ რენტგენისტერი, გუბერნატორის შემდეგ პირველი მოხელე ქალაქში და გუბერნატორის ორი მდივანი ხვალ მოვლენ, და გვაუწყებენ, გუბერნატორი როდის იქნება ჩვენს მისაღებად მზადო. ჩვენ დილის 10 საათი დავუნიშნეთ. ისევ გაგვიბეს მოლაპარაკება, მოხლეებს როგორ მივიღებთ, სად დავსვამთ; „სად და სავარძლებზე, დივანზე, იატაკზე; სადაც თვითონ მოისურვებენ, გინდ მარცხნივ, გინდ მარჯვნივ, გინდ მაგიდაზე აძვრენ“, — ვუთხართ ასე. „არ შეიძლება დაგვიხატოთ, სად დასხდებიან?“ — გვთხოვა კიჩიბემ.

აბა, თქვით, გეთაყვა, რა უნდა უყო ასეთ ხალხს? საქმეზე მოსალაპარაკებელი მაინც არ გვქონდეს მათთან. დმერთმა მოთმინება მოგვეცეს! აი, რას ნიშნავს გამოკეტილში ცხოვრება: შენდა შეუმჩნეველად გამოთაყვანდები.

დადგა ნანატრი დღეც. მთელი თვეა, რაც აქ ვყურყუტებთ; დაწვრილებით ვიცი თ აქაური ღორების, ირმების, ასე გასინჯეთ, კიბორჩხალების ამბავი, თუ იაპონელებზე არას ვიტყვით; იაპონიაზე კი ჯერ სიტყვა არ ძალგვიძს ვთქვათ. „ფადეევ! საზეიმო ტანსაცმელი მომიზადე; შენც წამოხვალ და გამოეწყვე“. ყველა საზეიმოდ მოირთო. თეთრი ჟილეტი მოვითხოვე; რას ვხედავ, — თეთრი კი არაა, ყვითელია. აბრეშუმის ყელსახვევებს, ლაიკის ხელთათმანებს — ყველას რაღაც ზუსტად ერთნაირი, მრგვალი, შესახედად ფრიად მომხიბვლელი ლაქები აჩნია, ყველას სულ ნაირ-ნაირი, მაგალითად, თეთრ ხელთათმანებზე მომწვანო ლაქებია, პირისფერზე ნარინჯისფერი, ყავისფრებზე მასაკა და ა. შ. ზღვის სინესტის გამოისობით. „რატომ არ გაამზეურე? — შევეუთიე ფადეევს, — ხომ ხედავ, არც ერთი წყვილი არ გამოდგება“. „ეს განზრახ დაუმჩნევიათ“, — მიპასუხა მრგვალი, სწორი ლაქებით გაკვირვებულმა. „პალსტუხიც განზრახ დაალაქავეს?“ ფადეევმა აღმაცერად გადახედა პალსტუხებს. „ეგენიც დალაქულა, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — სასწაულია პირდაპირ!“

ხოლო ხელთათმანებზე თავის შეწუხება არც ღირდა, აპრილიდან, მაშასადამე, კეთილი იმედის კონცხიდან მოყოლებული, არც გვისინჯია იმათი ჩაცმა: ტყუილად გაირჯებოდა ამ სიცხეში, ხოლო თუ თავს გაწირავდი და ჩაიცვამდი, ვაი ამ ჩაცმას, ველარც გაიძრობდი.

10 საათისათვის თავდაპირველად ოპერ-ბანიოსები გვეახლნენ, მერე მდივნებიც გვეწვივნენ. მე და კ. ნ. პ[ოსიეტს] გვეკონდა დავალებული მათი შეხვედრა შკანცებზე და შემდეგ აღმირალთან შეყვანა. ფრეგატის ირგვლივ ასზე მეტმა ნავმა მოიყარა თავი; ტიტლიკანა მაცხოვრებლებით. აქას რა სჯობდა: თვალი არ აგიჭრელდება, ყველა ერთნაირად შემოსილა, დიდზე დიდი გემოვნებით! მე და პ[ოსიეტი] გროტ-ანძასთან ველოდით, სტუმრები როდის გამოჩნდებოდნენ და ან როგორი მდივნები ჰყავდათ იაპონიაში, ჩვენებს თუ ჰგავდნენ?

აგერ კიბეზე ამოვიდნენ და გემბანზე შემოაბიჯეს ბებერმა თუ ახალგაზრდა იაპონელებმა ერთმანეთის მიყოლებით. ზოგს ერთი, ზოგს ორი დაშნა უკეთია, ზოგს შავი, ზოგს რუხი კოფთა აცვია, კეფა დიდის გულმოდგინებით დაევარცხნათ, შუბლი და წვერი პირწმინდად გაეპარსათ, ერთი სიტყვით, სულ დარჩეული ვაჟაკებია: გრძელი და მრგვალი სახეები, შავგვრემანი, ყვითელი თუ უფრო ღია პირისკანი, ბრუტიანები თუ თვალგადმოკარკლულნი, ზოგს ზომაზე მეტად გადატკეცილი სახეები, ზოგი ზომაზე მეტად ჩოფურა. მერე რა ყბები, რა კბილები! მოძვრებიან და მოძვრებიან გემბანზე... ბოლო აღარ ექნება? გამოჩნდნენ თარჯიმნები, შემდეგ მდივნები. „მდივნები რომლებია? სადაა?“ — ვკითხულობთ ჩვენ. „აგერ ისინი!“

მთელმა ამ ხალხმა, მაშასადამე, ამაღამ, თითქო ბრძანება მისცესო, ერთბაშად მუხლებზე დაიწყეს ხელები, თავი მდებლად დახარეს და კარგა ხანს გაირინდნენ ასე, გეგონებოდა, ოთურმის თამაშს აპირებენო. „მდივნები ეგენია?“ კიბეზე ორი ბერიკაცი ამოდიოდა ბაჯბაჯით, თითოეული 70 წლისა იქნებოდა, გაქაჩლებულნი, გათხელებული ჭადარა კიკინებით, შტოფის მდიდრული ქვედაწელები ეცვათ, ქობაზე ხავერდის განიერი არშია ევლოთ, თეთრი ბამბის წინდები და დანარჩენებივით ჩალის სანდლები ემოსათ. ქუთუთოები მძიმე-მძიმედ ასწიეს ჩვენს შესახედად, მძიმედ მოათვალიერეს იქაუ-

რობა და მაშინვე დახარეს. იგრილა მუსიკამ — ბერიკაცებმა კვლავ ერთი ამოიხედეს და ისევ დახარეს თვალები. მერე ლას-ლასით და ფლარტუნით წამოგვეყვნენ, აქეთ-იქით არც გაუხედავთ. ოპერ-ბანიოსები მყისვე მათ ამაღლას შეერივნენ და უკან დაგვედევნენ. თუ ბერიკაცები გამოელაპარაკებოდნენ, ახლა ბანიოსები იძახდნენ ხ ი-ხ ი ს. თავდაპირველად კაპიტნის კაიუტაში შევებრძანეთ და გუშინდელი ნახატის მიხედვით ორ სავარძელში ჩავსვით. სხვებმა დაჯდომა ვერ გაბედეს. მღივნებმა განაცხადეს, ადმირალის ნახვა გვინდაო.

ასევე ღუნედ ჩამოვიდნენ ადმირალის კაიუტაში, განზე არც ახლა გაუხედნიათ. მათ პატივსაცემად და ამაღლისაგან გამოსარჩევად იქ სავარძლებზე ტარსიკონის ბალიშები დაუდვეს, ასე რომ, ფეხები იატაკზე ვეღარ მიწვდათ. მეტი დაფასება რაღა გინდათ? ჩაი და სასმელები მოართვეს. ჩაი კი მოსვეს, ხოლო სასმელებზე უარი თქვეს, არ გვცალია, მხოლოდ იმის საუწყებლად მოვედით გუბერნატორიდან, მისი აღმატებულება რუსებს ელისო. გვთხოვეს, ფეხდაფეხ არ გავყოლოდით, რამეთუ ჩვენზე ადრე მისულიყვნენ და იქ შემოგვეგებებოდნენ. „ჩვენი ნაგები თქვენსავით სწრაფი არააო“, — დასძინეს მათ. ბანიოსები ჩვენს გამოსაყოლად დარჩნენ.

9 სექტემბერი. მისი უმადლესობა დიდ თავად კონსტანტინე ნიკოლაევიჩის დაზადების დღეა. როცა პარაკლისის შემდეგ ნავებში ვსხდებოდით, სასტვენის ხმაზე დახვეული ალმები გემსართავებზე ასრიალდა. რა წამს ადმირალის კატარღაზე რუსული ბაირალი გამოჩნდა, მეზღვაურები რეებზე ახტნენ. კატერი დაიძრა თუ არა, ყველა ეროვნების ბაირალი ჰყისვე აფრიალდა ორივე ზომალდზე და ნაირ-ნაირ თვალისმომჭრელ ფერებად ალაპლაპდა მზეზე. გაისმა ჰიმნი „ღმერთო, ჰვარვიდე მეფესო“ და სამჯერ იქუხა ვაშამაც. ნავებზე მყოფი ხუთა-სამდე იაპონელი წუთით ადგილზე გახევდა, მერე თავის მხრივ ერთსულოვნად შესძრეს მიდამო გოცებისა და ალტაცების ყოყინით.

წინ ადმირალის გიჩკა მიგვიძლოდა: კ. ნ. პ[ოსიეტი] იქ იმყოფებოდა, რათა ნაპირზე საპატიო ყარაული დაეყენებინა. უკან ყარაულების კატერი მიჰყვებოდა, შემდეგ დამკვრელებისა და მომსახურეთა კატერი, მერე ოფიცრების ნავი, შემდეგ

კი ადმირალისა და მისი ამაღლის კატერი. უკან კიდევ ველბოტა მოსდევდა, რომელშიც ერთ-ერთი ოფიცერი იჯდა. წინ, უკან, გვერდებზე აუარება იაპონური ნავეები მოსრიალეზდა — ზოგს გვერდ-გვერდ სურდა გამოყოლა, ზოგს გასწრება ეწადა. ერთა საათი მაინც მოუნდა გზას; მუსიკა წუთით არ შეწყვეტილა. ბატარეებზე, ნავმისადგომებზე, გორაკებზე — ყველგან ხოტორა თავები; ფერად-ფერადი, უფრო მეტად ლურჯი ხალათება ირეოდა. ნავეები იხვევივით გვარტყამდნენ წრეს, ოღონდ ახლოს არ გვეკარებოდნენ.

ცნობისმოყვარეობით გავცქეროდით სრუტის დიდებულ ნაპირებს. ჩემდაუნებურად მაინც გული მომდიოდა ამ ნაპირების შემყურეს, სადაც ბუნებას თავის მხრივ არა დაუზოგია რა, რომ ადამიანისთვის საშუალება მიეცა თავისი მარჯვენა მოეხმარა და სასწაულები ჩაედინა და სადაც ადამიანს ხელიც არ გაუხმრევია. აგერ, ის გორაკი რა ამწვანებული, რა მომხიბვლელია, მაგრამ მაინც რაღაცა აკლია: მას გვირგვინად უნდა ედგას თავზე თეთრი კოლონადა, ტალანებიანი, ან აივნისიანი ვილა უნდა გადმოჰყურებდეს მიდამოს, ირგვლივ პარკ-ერთყას და დაღმართზე ბილიკები ეშვებოდეს. აგერ იმ ღრანტეში კარგი იქნებოდა ჩასასვლელი გაეკეთებინათ, ზღვისკენ გზა გაეკათათ და ნავმისადგომი მოეწყოთ, სადაც გემების სისინი და ადამიანების ყაყანი ერთმანეთს შეერეოდა. იქ, მაღალ მთას, მონასტერი დაშვენდებოდა, მისი კოშკები, გუმბათები და კედარებიდან მოლაპლაპე ჯვარი. აქ საწყობი მაღაზიები მოუხდებოდა, მის წინ ხომალდები ჩარიგდებოდა და ანძების ტყე აიძარებოდა...

„რა იქნება, იაპონელებს ნაგასაკი რომ ჩამოვართვათ?“ — ხმამალა გავიფიქრე ოცნებებით გატაცებულმა. ზოგს გაეცი-ნა. „ეგენი აქ ვერაფერს იყენებენ, — განვაგრძე მე, — სხვას რომ ასეთი ნავსადგური გააჩნდეს, იცით რად გადააქცევდა? შეხეთ ერთი, რა ადგილებია! მთელ აღმოსავლეთ ოკეანეზე ვაჭრობას გამოაცოცხლებდა...“

დავაპირე იმის მოხაზვაც, როგორ გააბამდა იაპონია ჩინეთისა და კორეის გზით ევროპასა და ციმბირთან სავაჭრო ხლართებს, მაგრამ უკვე ნაპირს მივუახლოვდით. „ქალაქი

სადღაა-მეთქი?“ — „აგერ იქაა“, — მითხრეს. „სულ ესაა? კონცხის მიღმა არაფერია? მამ მარტო ეს ყოფილა?“

თვალებს არ ვუჯეროდით, როცა ერთპართულიან რუხ, ულამაზო სახლების გროვას ვუცქერდით. მარცხნივ, საითაც ქალაქი მეგონა გრძელდებოდა, არაფერი ჩანდა: ნაპირი ცარიელი იყო, პატარ-პატარა სოფლებსა და ცალ-ცალკე მდგარ ალბათ მეთევზეთა ქოხებს დაინახავდი. კონცხებზე, რითაც სრუტე მთავრდებოდა, ისევ ის უხეირო ბატარეები და ყაზარმებივით რაღაც დაბალი, გრძელი შენობები იდგა. ნაპირებს დიდრონი, მოუხეშავი ნაგები მიჰკვროდა. ყველაფერი გადახურულ-გადაფარებულა, სახლები, ნაგები, ქუჩები, ხალხი კი მეტინმეტად გაშლილიყფებულია, თუმცა დახურვა-დაფარვა დიხაც არ აწყენდა.

იაპონურ ქალაქების მრავალ მოსახლეობაზე ბევრი წამეკითხა და ახლა ვერა და ვერ მიმხვდარიყავ, ნეტავ სად ეტეოდა აქ სამოც ათასამდე მცხოვრები, როგორც, მგონი, ტუნბერგა წერდა? „ნაგასაკში რამდენი მცხოვრებია-მეთქი?“ — ვკითხე ერთხელ ბაბა-გოროდზაიმონს, ცხადია, თარჯიმნის მეშვეობით, ბაბამ იაპონურად გაიმეორა შეკითხვა და მეორე ზანიოსს გადახედა, იმან მესამეა, მესამემ ონდერ-ზანიოსს, ონდერ-ზანიოსი კი თარჯიმანს შეაშტერდა. ასე შემოიარა კითხვამ ყველა, ასე გადახედ-გადმოხედეს ერთმანეთს და ისევ ბაბაზე მიდგა ჯერი, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მივიღე. „ხან ცოტაა; — თქვა ბოლოს სადაგორამ, — ხან კი მეტი“. აი, ბატონო, პასუხიც! მათ ყველაფრის ეშინიათ; ყველაფერი აკრძალული აქვთ. სულ უბრალო რამეზე თუ დასცდათ სიტყვა — ამაზეც შავადღე ელით. ერთხელ ვიკითხე, სიოგუნს რა ჰქვია-მეთქი. „არ ვიციო“, — მითხრეს. თუმცა, ხელმწიფის სახელი აქ მართლაც თითქმის საიდუმლოა, ყოველ შემთხვევაში მოწინება არ აძლევთ ნებას წარმოთქვან ის; ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ სხვა სახელს შეარქმევენ. საერთოდ, ადრეად აქვთ მიღებული, სიცოცხლეში რამდენჯერმე შეიცვალონ სახელი; სხვადასხვა ხანაში, მაგალითად, ქორწინების დროს, თუ სხვა მსგავს გარემოებაში.

ქალაქს თანდათან ვუახლოვდებოდით: ყველგან, მაღლობებზე, ნაპირზე თუ ნაგებში ზღვა ხალხი ირეოდა. აგერ ბო-

ლოს, პოლანდიელთა ფაქტორიაც გამოჩნდა. რამდენიმე პოლანდიელი აივანზე მოკალათებულა. ისე მომეჩვენა, თითქო ერთ-ერთმა თავი დაგვიკრა, როდესაც გავუსწორდით. მაგრამ აი, ჩვენს წინ მიმავალი ნავეები ნაპირს მიაღდა, ადმირალის კატარლა კი, რომელზედაც მეც გახლდით, კვლავ ზღვაზე დარჩა, იმის მოლოდინში, ნაპირზე როდის მოაგვარებდნენ ყველაფერს.

ნაპირი! ნაპირი! ძლივს არ ველირსეთ იაპონიის მიწაზე ფეხის დაბიჯებას. ქვის ნავმისადგომზე გადმოვედით. მართალი გითხრათ, ნაპირი არც ისე საინტერესო ყოფილა: გადმოსვლად არც ღირს!

ნავმისადგომზე საკმაოდ მაღალი, გაუთლელი ქვის კიბე აღიოდა. სანაპირო მქიდროდ დაეტყებნათ სილით: ის განიერი მოედანია. სახლებს თავით ბოლომდე თეთრი და ლურჯი ტილო ეფარა. ყარაული ორ რიგად ჩამწყრივდა ნავმისადგომის მარჯვენა მხარეზე, ოფიცრები კი მარცხნივ დადგნენ. უკან ცოტაოდენი ხალხი შექუჩულიყო, ჩია, მეტწილად ულამაზო და ტიტველი ადამიანები. ეტყობოდა, სანაპიროზე ფრიალ ცოტანი შემოეშვათ: სხვები სახურავებიდან, ფარდების ჭუჭრუტნებიდან, ტერასებიდან, მაღლობებიდან, ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან გვიჭკრეტდნენ. ხალხის ბრბოში ვილაც გავებული სახის ბერიკაცი ტრიალებდა, არც ის იყო მაინცდამაინც შემოსილი. ხალხის დაწყნარებასა და უკან დახევამი ყვირილის გარდა გრძელ-გრძელი ჭოკიც ფრიალ ეშველებოდა, ხელში რომ ეკავა.

ადმირალი ნაპირზე გადმოვიდა თუ არა, იგრაილა მუსიკამ, ყარაულმა და ოფიცრებმა სალამი მისცეს. მაგრამ შემხვდურები სად არიან, მარტო თარჯიმნებმა უნდა მიგვიღონ? ეს თავის აგდებაა და მეტი არაფერი! ბრძანება გაიცა, გამოიკითხოს ეს ამბავი და გამოირკვესო.

თარჯიმნები აფუსფუსდნენ, აწრიალდნენ, ჩვენ კი მანამდე ტახტრევანებს ანუ იაპონურად „ნორიმონებს“ ვათვალიერებდით, შეპირებისდა თანახმად ნაპირზე რომ გვიცდიდნენ უკვე. თორმეტი თუ, მგონი, უფრო მეტი იქნებოდა, ოფიცრების რიცხვის მიხედვით. ჩემის აზრით, ალბათ, მთელ ქალაქში ჩამოითხოვეს. იაპონიაში ის ჩვენებურ კარეტებსა სცვლის.

ტახტრევნები ერთი შეხედვით საკმაოდ ლამაზია, ნაირ-ნაირა ქსოვილებითაა გადაკრული და ნიშნებითა და ფოჩებით შემკული. მაგრამ შიგ ჩაჯდომა ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა: ან ფეხები, ან თავი დაგრჩება ვარეთ. „საწამებლად ხომ არ მოუგონიათ ნეტავ ეს ეკიბაუებიო?“ — იფიქრებ მათი შემყურე. ნახევრად ტიტველ მზიდავებს ზემოთ გაყრილ სქელი ქოკის საშუალებით მხრებით მიაქვთ ნორმონები. ყოველივე ეა ფრიად მოუხერხებელი გახლავთ, ჩინურთან შედარებით. ჰონკონგში მეტად მოხერხებულ, მყუდრო ტახტრევანებით დავყავდით, ისინი იმ საქანელებს ჰგავდა, ჩვენში რომ მდაბიო ხალხი წმინდა კვირაში ქანაობს ხოლმე. სავარძელივით ზიხარ შიგ. ტახტრევნების გარდა ცხენიც იყო კიდევ, მითხრეს. მე ცხენი არ დამინახავს და ვერ ვიტყვი, იყო თუ არა. ამ ალიაქოთში სპილოც რომ ვერ შენიშნო, ცოდვად არ ჩაგეთვლება. ჩვენებიდან ზოგმა სცადა ამ გალიებში, ე. ი. ტახტრევნებში შეძრომა, მაგრამ მაშინვე გადმოხტნენ და ფეხით წამოსვლა არჩიეს.

ბოლოს ერთი ბერიკაცი გამოცხადდა, ისიც ნამძინარევი თვალებით, კარგად ჩაცმული იყო. უკან ამაღა მოსდევდა. ჩვენს წინ უძრავად გაჩერდა და უსიცოცხლოდ შემოგვაშტერდა. არ ვიცო, ასეთი ამათიური გამოხედვა საზეიმო ვითარების გამომხატველია თუ არა, ოღონდ მიუჩვეველი კაცი სიცილს ვერ შეიკავებს ქვედაწლებში გამოწყობილ ამ კიკინებიან ხალხის დანახვაზე, ტიტველი მუხლები რომ მოუჩანთ.

მე უკან ვიდექი, აღმირალის ამაღაში, ჩვენი კოლონიის კუდში. უცბად წინიდან ბრძანება გაიცა: ნ ა ბ ი ჯ ი თ ი ა რ წ ი ნ ! იგრილა მუსიკამ და მთელი რაზმიც ადგილიდან დაიძრა. მწყობრად გაისმა ფეხშეწყობით მიმავალ მეზღვაურების ნაბიჯების ბაკუნო. სილიან სანაპიროზე ასიოდე საყენი რომ გავიარეთ, ახლა მეორე ქვის კიბეს ავყევით. აქეთ-იქიდან, ერთმანეთისაგან საყენზე დაცილებით, ჩამწყრივებულ იყვნენ იაპონელი... ნუთუ ჯარისკაცები? შეხეთ ერთი, რას ჰგვანან-დარჩეულ-დარჩეულ, ტანმომცრო იაპონელებს თავზე ძაბრისებური ლაქის ქუდები ჰხურავთ და ნამძინარევი თვალებით იყურებიან. ტანი უკან გადაეწიათ, ფეხები განზე გაედგათ. მუხლები მოედუნათ. მხრებზე თითქო თოფები ეკიდათ: ყოველ

შემთხვევაში, ასე ჩანდა, რადგან თოფები შალითაში იმალებოდა, თუმცა ვინ იცის, იქნებ ცარიელი შალითებიც იყო. აქ ყველაფერს უნდა მოელოდე, რასაც სხვაგან ვერ იხილავ.

ჩვენ ჯერაც ქვევით ვიყავით, რომ კოლონა უკვე კიბეზე მიიკლაკნებოდა, ხიშტებს მზეზე ლაპლაპი გაუდიოდა, მუსიკა წინ მიდიოდა და მისი ხმა ყრუდ და ყრუდ ისმოდა. გაისმა ბრძანება: მარცხენა მხარი წინ! კოლონა გველივით შეიკუმშა რგოლად, მერე გაიჭიმა და მარჯვნივ გაუხვია: მუსიკის ხმა უფრო მიყრუვდა, თითქო თაღში შევიდაო, და უცბად მიწყდა.

ზემოთ ლურჯი, საოცარი ცა დაგვნათოდა, შორს მთების ტერასები მოჩანდა, ირგვლივ უცნაური ქუჩა გადაშლილიყო. სადაც არც სახლები ჰგავდა ჩვენებურს და არც ხალხი.

კოლონის კვალდაკვალ ჩვენც შევუხვით, ალყაფში გავიარეთ და გაკრიალებულ, მოკირწყლულ ეზოში აღმოვჩნდით, განიერ ფიცრულ პარმალის წინ, რომელსაც კარი არ ჰქონდა.

პირველი, რაც თვალში გეცემა, ეს ეზოს, ჰილობებით დაგებული ხის კიბისა და თვით იაპონელების საოცარი სისუფთავე გახლავთ. ამას მართლაც ვერ წაართმევ იაპონელებს. თვითონაც სუფთა, ფაქიზი ხალხია და ჩაცმითაც სუფთად აცვიათ. ასეთ სქელ ნაწნავს ვითომ სუნი არ უნდა ასდიოდეს, ან ხალათებზე ლაქები არ აჩნდეს? მსგავსს ვერაფერს უპოვით. მოხელებზე აღარას ვიტყვი: სუფთადაც აცვიათ და გემოვნებითაც; მაგრამ მათხოვარსაც რომ შეხედო, ტიტველი ხორცი და დაფხრეწილი ხალათი რომ მოუჩანს, ლაქებსა და ჭუჭყს მაინც ვერ აღმოუჩენ. იაპონელებს სუნი არ ასდით. თავზე დახედავ: ნაწნავებს შუა გადახოტრილი, მაგრამ სუფთა ქალა ბზიალებს; შიშველი ხელები კარგა დიდზე მოუჩანთ განიერ სახელოებში; მართალია, შავგვრემანი ფერი დაკრავთ, მაგრამ მაინც სუფთაა. თავდაჭერა წესიერი იცინან; მოპყრობა ზრდილობიანი სჩვევიათ — ერთი სიტყვით, ყველაფრით რიგიანი ხალხია, ოღონდ საქმის დაჭერა არ შეიძლება მათთან: ფეხს ითრევენ, ცბიერობენ, იტყუებიან, ბოლოს კი უარს დაგირტყამენ. რომ ცემო, ცოდოა. ისეთი წესრიგი მოუწყვიათ თავას ქვეყანაში, კიდევ რომ მოინდომონ უარით არ გაწყენინონ და საერთოდ ისეთი რამე გააკეთონ, რაც წინათ არ სჩვეოდათ,

თუნდ კარგიც იყოს, ვერ მოახერხებენ, ყოველ შემთხვევაში, თავისი ნებით. მაგალითად: ასე ორასიორდე წლის წინათ რომ გადაწყვიტეს, ევროპელები მავნებლებია და მათთან საქმის დაჭერა არ შეიძლებაო, ახლა თვითონაც აღარ ძალუძთ ამის შეცვლა. რა თქმა უნდა, უკვე ირწმუნეს, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, უცხოელები რომ შემოუშვან, თვითონაც ბევრს ისწავლიან მათგან: როგორ მოიწყონ უკეთ ცხოვრება. როგორ გამოიწაფონ ცოდნაში, როგორ გაიმაგრონ წელი და სიმდიდრე შეიძინონ.

მთავრობამ კი იცის ეს, მაგრამ ძველი ადათისამებრ ეშინია, ქრისტიანული სჯული მათი კანონებისა და ძალაუფლებისთვის მავნე არ გამოდგეს. ნეტავ ახლა მაინც გადაწყვიტონ, რომ ეს სისულელეა და უცხოელებთან დაახლოება მათთვის აუცილებელია. მაგრამ რა გზით? ვინ დაიწყებს, ვინ იტყვის პირველი? უზენაესი საბჭოს წევრები? — სიოგუნი უბრძანებს, მუცელი გამოიფათრონ. სიოგუნი? — უზენაესი საბჭო წინადადებას მისცემა, ადგილი სხვას დაუთმოს. მიკადო ვერ იტყვის და კიდევ რომ იფიქროს თქმა, სიოგუნი ახალ ხალათს არ შეუკერავს და ორი დღე ზედიზედ ერთსა და იმავე ჭურჭლით მიართმევს საჭმელს.

ცნობილია, რომ ეს მიკადო (ქეშმარიტი, კანონიერი ხელმწიფე, რომელიც უზურპატორნაცვლებს ანუ სიოგუნებს უკანა პლანზე გადაუწევიათ) ერთ ტანსაცმელს ორჯერ ვერ ჩაიცვამს, ერთ ჭურჭელზე ორჯერ ვერ ისადილებს. ამას ყოველდღე უცვლიან და სიოგუნიც ახალ-ახალს მოართმევს ხოლმე, თუმცა რაც შეიძლება უბრალოსა და იაფიანს.

იპონელებს ისე კარგად მოუწყვიათ თავიანთი შინამმართველობა, რომ საბჭო. სიოგუნის გარეშე ვერაფერს გადაწყვეტს, სიოგუნი საბჭოს გარეშე, ორთავე კი მთავრობის გარეშე. ჰოდა, ასე გასძლო ოდითგანვე მათმა სისტემამ და ალბათ მანამდე გააძლებს კიდევ ამ თავის ხელოვნურ საძირკველზე, ვიდრე მის დამხობაში არ მიეშველებიან... ამერიკელები ან თუნდაც... ჩვენ!

დღეს დღეობით კი მაინც ეშინიათ, ის თავიანთი ჩაჩი ცოტა გადაიწიონ, თავზე რომ ასე გულდაგულ ჩამოუფხატავთ, და იმ დალოცვილ ქვეყანაში მიიხედ-მოიხედონ. რარიგ და-

აფრთხოთ და გაანაწყენათ ჩვენმა უეცარმა გამოჩენამ მათ ნაპირებთან! მაშ არადა, ოთხი დიდი ხომალდი მოადგათ ვეებერთელა ზარბაზნებით, უამრავი ხალხით და ისიც ასე მტკიცედ, ჯერ არგაგონილი კილოთი უყენებენ წინადადებებს, ასე დამოუკიდებლად იქცევიან! ეს რას უნდა ნიშნავდეს?

რა წრიალი შეუღვათ, როცა ჩვენი ხომალდებიდან მათი საყარაულო ნაგების მოცილება და მოშორებით გაყვანა სთხოვეს, როცა ანაზღად ერთი ხომალდი ჩინეთში გავგზავნეთ, მეორე ჩრდილოეთისკენ, გუბერნატორის ნებართვის გარეშე, რომელიც ნაჩვევი იყო იაპონიის წყლებში ხომალდი დაუკითხავად არ შეტორტმანებულებოდა, ევროპელთა ნაგები ნავმისადგომს არ გაჰკარებოდა! ახლა კი იაპონელებს ყოველად ცივად განუცხადეს, რა სურთ და რა არ სურთ. გაძლიანებას მაინც ცდილობენ, ძველებურად ხანდახან მოთხოვნის კილოზე გადავლენ ხოლმე, მაგრამ ამავე დროს თვალებით გემუდარებიან, უარი არ უთხრა და ზემოდან ამის გულისთვის არ მოხვდეთ. ყოველი ჩვენი დანაშაული იმათ მიეწერებათ. რა გაიგებენ ჩვენი ხომალდი ზღვაში აპირებს გასვლას, გუბერნატორთან მირბიან და სასწრაფოდ ნებართვა მოაქვთ. ჩვენ სიცილით ვკვდებით. განაცხადეს, ზღვაში ხომალდი რომ დაინახონ, ბატარეებიდან სროლას ატეხნო. ამით გადმოგვიკრეს, ისეთი ზარბაზნებიც გვაქვს, რომ ისვრიანო. ისროლეთ, ვეუბნებით ღიმილით. გეთხოვენ, რეიდზე შორს ნუ გახვალთო — ჩვენ პასუხს არ ვაძლევთ და მივდივართ. გუბერნატორი კი მაინც გვეამპარტავნება: შეკითხვებს გვაყრის, თავისი უნდა გაიტანოს, მაგრამ ერთბაშად ქედს ხრის და გვითმობს.

განა რა დიდი ხანია მას აქეთ, რაც პოლანდიის მეფის რჩევაზე, ევროპელებს კარი გაუხსენითო, იაპონელები სარკაზმით პასუხობდნენ? მაგალითისთვის ჩინელები მოუყვანეს, ევროპელებს ისინიც მარტო ერთ ნავსადგურში უშვებდნენ. და აი, რა შედეგი მოჰყვაო. ხუთი ნავსადგური გაახსნევინეს, სავაჭრო ტრაქტატები დაადებინეს, დაბრკოლებებზე უარი ათქმევინესო და ა. შ. „ჩინელებს ეგ არ დაემართებოდათ, ის ერთი ნავსადგურიც რომ არ გაეხსნათო“, — იყო იაპონელების პასუხი.

ახლა კი უცხოელებმა მათ ცხრაკლიტულსაც მიუყაყუნეს

ორივე მხრიდან. მათი ჯერიც დადგა პრაქტიკულად გადაეწყვიტათ საკითხი: შეეშვეან თუ არ შეეშვეან ევროპელები, ეს კი მათთვის ყოფნა-არყოფნის საკითხს უდრის. როკ შემოუშვან, სტუმრები თავიანთ სჯულს, იდეებს, ადათებს, კანონებს, საქონელს და სიბილწეს შემოიტანენ. არ შემოუშვან... მაგრამ აგერ ახლა რომ ოთხი ხომალდი მოადგა, შემდეგ ვინძლო ათიც მოადგეს, ყველა ვეება ზარბაზნებით აღჭურვილი. მათ კი პატარა ზარბაზნები აქვთ, უდაზგებო ან ჩალია დაზგებით. აქვთ კიდევ პატრუქიანი თოფები, ხმლები, თითო-ეულს ორ-ორიც გაურქვია ქამარში და ჩინებულადაც სჭრის... მაგრამ ამ სათამაშოებით რას გააწყობენ?

შემოუშვან თუ არ შემოუშვან — სათქმელად კია ადვილი! შემოუშვან — როცა ასე მშვიდი, არხეინი ცხოვრება, მშვენიერი ჭამა და ძილი ჰქონდათ. არ შემოუშვან... ვაითუ სტუმრები თვითონ შემოვიდნენ, ისე რომ გუბერნატორმა ნებართვის გაგზავნაც ველარ მოასწროს? ვის ჰკითხონ რჩევა? ვის გაეთათბირონ? გუბერნატორი გადაწყვეტას ვერ გაბედავს. ის უზენაეს საბჭოს შეეკითხება, საბჭო სიოგუნს მოახსენებს. სიოგუნი — მიკადოს. ზეცის ამ პირდაპირ, უშუალო ნათესავს, მთვარის ძმას, ძესა თუ ძმისწულს თითქო შეუძლია გადაწყვეტა, მაგრამ ის თავის თორმეტ ცოლსა და მათ რამდენიმე ასეულ დამხმარე დიაცს მისჯდომია, ლექსებს თხზავს, ფანდურზე უკრავს და ყოველდღე ახალ-ახალ ჭურჭელზე გიანლებათ. გუბერნატორს ყოველ შემთხვევისთვის უბრძანებენ უცხოელების გაძევებას, ამოხოცვას, ყოველ შემთხვევაში, ედოში მაინც არ გამოუშვას. გუბერნატორს კი ერჩივნა ნაგასაკისთვის გვერდი აგვევლო და პირდაპირ ედოს მივდგომოდით: მან უკვე ერთი წელი იმსახურა, თანამდებობა სხვას, მის შესაცვლელად ჩამოსულს გადააბარა და ედოში თავის ოჯახთან ემზადება დასაბრუნებლად. ოჯახი იქ მთავრობას მძევლად დაუტოვებია, რა არის ამ ოჯახის ქმარსა და მამას საზღვარზე რაჟე არ ეცუდლუტა. სანამ ჩვენ აქა ვართ, მას გამგზავრების ნება არ აქვს, თუნდაც რომ მეორე გუბერნატორი ჩამოვიდეს, ჰოდა, გუბერნატორიც ცდილობს სტუმრები აქედან მოიშოროს — არ მიდიან. ცოტა ხმას რომ აიმაღლებს, ან თხოვნას არ შეუხსრულებს, ქორტა სანოვაგეს არ გაუგზავნის,

ნავებს სეირნობას დაუშლის — სტუმრები ედოში წასვლით იმუქრებიან; თუ რომ მოხელეებს დაიბარებენ და გუბერნატორი არ გაუგზავნის — იძახიან, ახლა ჩვენ თვითონ წამოვალთ ნაგასაკუში მოსაძებნადო და მოხელეებიც მსწრაფლ ეახლებიან ხოლმე. „წყეულიმცა იყავითო!“ — ფიქრობს ალბათ გუბერნატორი და მოხელეებსაც, ცხადია, ეს უდევთ გულში. მარტო თარჯიმანი კიჩიბე არ ფიქრობს არაფერზე: მისთვის სულ ერთია, აიღებენ თუ არა იაპონიას, ის სულ იღიმება, თავის ფორტებიანოს გვაჩვენებს პირში, ხი-ხიო, კვერს უკრავს გუბერნატორს და ხი-ხიო, გვეუბნება ჩვენც.

მაშ რა გზა დარჩენიათ იაპონელებს? არც შემოშვება შეუძლიათ, არ შემოუშვან და ესეც თავსატეხი საქმეა. ჰოდა, ცბიერობას მიმართავენ: ხან იტყვიან, ნაგასაკუში ყველა ღორი უკვე შეჭამეთ და ახალ სანოვაგეს მალე ვერ გამოგიგზავნი-თო; თითო იხვს ტალერად გვიფასებენ, ფიქრობენ ამით მოგვაბეზრონ თავი. მაგრამ არაფერი სჭრის! ტალერებს ვიხდით და ძვირ იხვებსაც იაფიანივით მივირთმევთ. როგორ მოიქცნენ? ქედმაღლობა გამოიჩინონ წინანდელივით, თუ ისე, როგორც დრო და ვითარება მოითხოვს? შეცბუნებულები ხან ერთ ხერხს სინჯავენ, ხან მეორეს. ხედავენ, კარჩაკეტილობის და განაპირების სისტემამ, ერთადერთ ხსნად რომ მიაჩნდათ, ვერაფერი ასწავლა მათ, მხოლოდ სხვებს ჩამოარჩინა. ვითარცა მოსწავლეთა ცუდლუტობა მასწავლებლის გამოჩენიო იფუშება, ესეც ასევე ეფუშებოდათ. მარტო დარჩნენ და ხსნა არსაითა აქვთ; სხვა აღარა დარჩენიათ, გარდა იმისა, ცრემლები დააფრქვიონ, თქვან: „დამნაშავენი ვართ, ბალები ვყოფილვართო!“ და უფროსების ნებას დაემორჩილონ.

უფროსები ვინლა იქნებიან? იქ ვერაგი, დაუცხრომელი მეწარმენი, ამერიკელები, აქ ერთი მუჰა რუსები. რუსული ხიშტი მართალია ჯერ მშვიდობიან, უწყინარ სტუმრად მოეფლინათ, მაგრამ იაპონიის მზეზე ხომ უკვე ალაპლაპდა, იაპონიის ნაპირზე ხომ გაისმა წინ! Avis au Japon! ¹

თუ ჩვენ არა, მაშინ ამერიკელებს, თუ ამერიკელებს არა, მაშინ სხვა, მათ მომდევნოს — სულ ერთია ვის — მალე მოუ-

¹ იაპონიის საყურადღებოდ (ფრანგ.).

წევს იაპონიის ძარღვებში ის ჯანსაღი წვენი შეუშვას, რომელიც მან თავისდა დასაღუბად გამოუშვა საკუთარ სისხლთან ერთად სხეულიდან, და უძალობისა და უბადრუკ გამოთაყვანების წყვილიაღში ჩაეფლო.

მე არა ერთხელ ვახანენე მ უ ც ლ ი ს გ ა მ ო ფ ა თ ვ რ ა. მგონი, ამ აღათს ახლა იშვიათად იყენებენ. ჩვენი მოსვლის შემდეგ, როცა ხელისუფლება დარწმუნდება, რომ ქვეშევრდომთა გარდა მათაც მოუხდებათ ბევრი რამ შეცვალონ, ალბათ მუცლის გამოფათვრა კიდევ უფრო იშვიათი გახდება. ახლა კი მოგახსენებთ, რას ამბობს ამაზე ჩემი სწავლული წყარო, რომლიდანაც ამ წერილის დასაწყისში რამდენიმე ადგილი მოგიყვანეთ:

„რა გვარად ხდება, რომ თვითონ ფაშვი გამოიფათრონ, აი, ამგვარად: შეპყრიან თვისსა მშობლებს და ერთად მიდიან პაგოდასა შინა, შუაგულ პაგოდასა გაშლიან ჭილობებს და ნოხებს, დასხდებიან იმაზე და ქეიფობენ, უკანასკნელ ჟამს ჭამენ მაძღრისად და ტკბილად, სვამენ ბევრს. როცა ქეიფს დაამთავრებენ, რომელიცა უნდა მოკვდეს, ადგება და ჯვარედინად გამოიფათრავს მუცელს, ისე რომ მთელი შიგანი გარეთ გამოიყრება. რომელიც უფრო კადნიერია, ამ მოქმედების გარდა ყრონტსაც გამოიჭრის. ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ხერხი, ფაშვი როგორ გამოიფათრონ, იმათში ორმოცდაათამდე აღწევს“.

თუ რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს, უცხოელებს, მგონი, იაპონელ ხალხთან ბევრი დავიდარაბა არ დასჭირდება. ისინი გრძნობენ განვითარების საჭიროებას და ეს ბევრ რამეში ეტყობათ. თანაც ღარიბები არიან და სხვებთან ურთიერთობის გაბმა სჭირიათ. რიგიან აღამიანებს, განსაკუთრებით თარჯიმნებს, რომლებსაც უცხოელებში უხდებათ ტრიალი, როგორც მე გწერდით, მოწყენისა და გონებრივი თუ მორალური საზრდოს ნაკლებობისაგან ოხვრა აქვთ შემდგარი. დაბალი კლასიკ შურითა და გაკვირვებით უცქერის ჩვენს ხომალდებს, ხალხს, ღვინოს გვთხოვს, არაყს ხარბად ყლურწავს, გადაგდებულ პურის ნაჭერს იტაცებს, ბალღური ცნობისმოყვარეობით ათვალეირებს პატარა-პატარა ნივთებს, რაიმე ჩვარი თუ გადავარდა, ჰაერშივე იჭერენ ნაევბში. ამას წინათ ერთი ნავე მოგ-

ვადგა: ორ მენიჩებს მოჰყავდა, ნავის ცხვირზე კი კარგად ჩაცმული ცამეტიოდე წლის ბიჭი იჯდა არხეინად. როგორც ჩანს, წამოსვლა უთხოვია, ხომალდისა თუ უცხო ხალხის სანახავად. მენიჩებები ჩვეულებისამებრ იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც კი გადაუგდებდნენ, მაგრამ თვითონ პირს არ აკარებდნენ, ბიჭს აძლევდნენ: ის ცნობისმოყვარედ დახედავდა და ინახავდა. თოკით ბოთლი ღვინო, არაყი, ორცხობილები, კანფეტები ჩაუგდეს — ყველაფერი აიღეს. მალალ კლასსაც, შგონი, უკვე უშიძის ამ ქვეყნიდან მოწყვეტა და ანეთი ღუნე, უნაყოფო ყოფა. ერთ თარჯიმანს დასცდა კიდევ, რომ რეზანოვის ჩამოსვლის დროს უზენაეს საბჭოში შვიდი თუ რვა წევრიდან მხოლოდ ორს მიუცია ხმა ევროპელებთან კავშირის გაბმაზე, ახლა კი მარტო ორი კაცი აღმოჩნდა თურმე ამის წინააღმდეგი. ერთი დაძახებაა საჭირო — რომ ზღვა იაპონელები მოაწყდეს თავიანთ საპყრობილის კარს გამოსასვლელად. მათ საზოგადო ცხოვრება უყვართ, ყოველივე ახალი იტაცებთ; რომ ჯამუშები უცხოელთან ყოველ წაჩურჩულებასა თუ გადახედვას კონტრბანდასავით არა სდევნიდნენ, ჩვენი ხომალდები უტრაქტატებოდაც მყისვე ნაირ-ნაირი საქონლით აივსებოდა, სიოგუნის შემწეობა აღარც დაგვეჭირებოდა, რომელიც მთელ მოგებას თვითონ იჯიბავს. თუმცა ხელისუფალთ რომ ჰკითხო, იაპონია ღარიბი ქვეყანაა და სავაჭრო არა გააჩნია რაო.

რაოდენი სიცოცხლე, რაოდენი სიმზიარულე და სიკასკასე, დიდი ნიჭი და შესაძლებლობა იმალება ამ აპათიურ გამოხედვაში, რაც წვრილმანებში, ჩვეულებრივ ლაპარაკში ჩანს, მაგრამ ისიც ეტყობა, რომ მხოლოდ შინაარსი აკლიათ, რომ სიცოცხლის საკუთარი ძალი უკვე დაშრეტიათ, გადაწვიათ და ახალ, გამაცოცხლებელ საწყისებს ითხოვს. იაპონელები ძალზე ცოცხალი და ბუნებრივი ხალხია; ჩინელებივით ნაკლებ სჩვევათ შეუსაბამობანი, მაგალითად, პედანტური, მოძველებული და უმაქნისი სწავლულობა, რაც ადამიანებს მხოლოდ აბურბუსალებს. პირიქით, ყველაფერს იძიებენ, ყველაფერს გამოიკითხავენ და ყველაფერს იწერენ. ედოში ნამყოფი თითქმის ყველა ჰოლანდიელი მოგზაური ჰყვება, რომ განზრახ მოუგზავნიდნენ თურმე მათ იაპონელ სწავლულებს, რა არის რაიმე ახალი და სასარგებლო გადმოეღოთ. ჩინელ სწავლულს კი თა-

ვისი აზრის ცოცხლად, მოსახმარ ენაზე გამოთქმაც ვერ გაუბედავს: რამეთუ აკრძალულ არს; მან ისე უნდა ილაპარაკოს, როგორც წიგნებში წერია. თუ იაპონელები ძველს მაინც ებლაუტებიან, მხოლოდ და მხოლოდ ახლის შიშით, თუმცა კი ამ ახლის სიკეთეში დარწმუნებულნი არიან. თვითონაც მოსწყინდათ და მობეზრდათ უკვე ეს ყველაფერი. ხოლო ჩინელებს სხვების მონაყოლით ამას ვერ შეამჩნევ. ქვეშარიტად იაპონელები ამ მხარის ფრანგებია, ჩინელები კი გერმანელები.

მაგრამ ვიდრემდის ჯერ არავის განუმარტავს, უფრო კი არ დაუმტკიცებიათ, რომ მათთვის ავი კი არა, კარგი სწადიათ, იაპონელებს ყოველი ცვლილება აფრთხოვთ, ყოველ უცხო სუნდობლივ ეკიდებიან და ბალღებრ იქცევიან, მიუხედავად იმისა, რომ გულში ამ ცვლილების მონატრულნი არიან. ახლა ერთი წრალი შედგომიათ, მათკენ დამიზნებულ ქვემეხებს ზომავენ, უნდათ ბატარეების აგება, ზარბაზნების, ყუმბარების ჩამოსხმა და ასე გასინჯეთ, სროლაც ახლავე იაწავლონ. ის კი ვერ შეუგნიათ, არც რუსეთი იქნებოდა რუსეთი და არც ინგლისი — ინგლისია, ვაჭრობის მხრივ აიღე, ომში თუ სხვა ყველაფერში, თუ რომ თითოეული მათსავით ცხრაკლიტულში გამოკეტილიყო. განა ბალღობა არაა იმის წარმოდგენა, რომ მათი სურვილი კმარა, ხელი არავინ ახლოს, რომ თუკი დაღუპულ ხომალდიდან მათ ნაპირებზე გამორიყულ უცხოელებს დაატყვევებენ, სავაჭრო ხომალდებს უკანვე გააძევენ, ხოლო სამხედროებს თავაზიანად სთხოვენ, წადით და აღარ მოხვიდეთო, მერე არავინ მოაკითხავთ. მათ სწამდათ, რომ ყოველივე ასე მოხდებოდა, რომ ვერავინ მოადგებოდათ კარზე, რომ არავინ მოისურვებს, ან ძალა არავის ეყოფათ.

აგერ, ახლაც თავიანთ კანონებსა და ადათებს იმიზეზებენ. სჯერათ, რომ ეს საკმარისია, რომ ამას აუცილებლად პატივს დადებენ, თუმცა თვითონ უცხო კანონებსა და ადათებს აინუნშიაც არ აგდებენ. მათ დაჟინებაში შიშოც იგრძნობა, რომ ჩვენ არ დავუჯერებთ, არ შევეუსრულებთ ჟინს. ჩვენს მოთხოვნებზე უარის თქმა კი უნდათ, მაგრამ ამასთან ისიც სწადიათ შეიტყონ, რა დაატყდებათ თავს, თუ ასე მოიქცნენ: ვითომ მართლა მოსცხებენ, ან რომ მოსცხონ, ეტკინებათ კი? ვითომ არ დაინდობენ? ეტყობა — არა; ეტყობა, ყველაფერი წამოაკეცონ

კიდევ თავზე: ქრისტიანთა სისხლი, ელჩების შეურაცხყოფა, ტყვეების დილეგებში ჩაყრა, უხეშობა, მედიდურობა, უკუდო ამპარტავენობა. საქმე ჯერ დამში არ მოსულა, რომ აგერ, კარის ზღურბლზე, ლუ-ჩუზე და ჩინეთში უკვე მოუთმენელ ცმუტს აუტანია აუარება მისიონერი; სული მიუღით, როდის დადგება ეს კადნიერად დამზობილი ჯვარი ისევ ხელახლა ზე აღაპყრონ...

იაპონელები ვერც ხომალდებს გაუმკლავდებიან: ნავების მეტი სხვა არა გააჩნიათ რა. ჩინურ ჯონკებივით ამ ნავებს ქილობის იალქნები უკეთია, იმდენი ტილო აბა სადა აქეთ, თან კიჩოც გადახსნილია: ამიტომ მარტო ნაპირ-ნაპირ შეუძლიათ ცურვა. კემპფერის თქმით, სიოგუნმა მის იქ ყოფნაში აკრძალა ხომალდების სხვაგვარად აგება, რომ უცხო ქვეყნებში არ გამგზავრებულიყვნენ, „იქ არაფერი გვესაქმებაო“.

მაპატიეთ, სულ დამავიწყდა, რომ ნაგასაკის გუბერნატორი ოვოსავა ბუნგონო-კამი-სამა მიგველის. ჩვენ პარმალზე გავჩერდით, ყარაული და დამკვრელები ეზოში დავტოვეთ. შესასვლელში, ანუ თეთრი ქილობებით მოგებულ პირველ ოთახში ჩვენი თარჯიმნებაც დავინახეთ. ყველაზე წინ კიჩიბე იდგა. მოუთმენლობას, ეტყობა, გაეტანჯა: ალბათ, რა ხანია მოსწყენოდა ეს უმოძრაობა, — ფუსფუსი, ლაპარაკი, ჩოჩქოლი, სიჩბილი მონატრებოდა. რა წამს პარმალზე შევდგით ფეხი, წამოხტა, თავი დაგვეკრა, კბილები გადმოყარა და თავგამოდებით გვანიშნა ხელით ოთახების ანფილადისკენ, წამობრძანდითო. შეიქნა მუშაბზის ფეხსაცმელების ჩაცმის ცერემონია. მე და ფადეევმა დიდი ვაივაგლახის შემდეგ ძლივს ამოვიციეთ ისინი. ფადეევი ველარც ვაცანი: თავით ფეხამდე წითელ ლივრეაში გამოწკებილიყო, საყელო გაშეშებული ადგასახე განზე მიექცია — ერთი სიტყვით, შეუდარებელი რამ გახლდათ! აღმირალის ამაღლაში ირცხებოდა, ჩემზე იყო მომსახურედ მომავრებული.

ოთახებში შევედით. ერთ მხარეზე შუშის ნაცვლად ქალაღით აწებებული ფანჯრის ჩარჩო იატაკამდე სწვდებოდა, მეორეზე — ქალაღის მოძრავი, ფრად ლამაზად მოხატული თეჯირები დაედგათ, ზოგი მოოქრული თუ მოვერცხლილი

ქალღმერთით გაკრული. ასე რომ, ვერც გაიგებდი, ერთი უზარმაზარი დარბაზი იყო თუ რამდენიმე ოთახი.

დარბაზის სიღრმეში, რამდენიმე რიგად, ერთმანეთს მკიდროდ მისხდომოდნენ ქუსლებზე ჩაცუცქული იაპონელები, მდიდრულად ჩაცმულნი, საპაცილო მედიდურობით გამომზირალნი. არც წარბებს, არც თვალს არ ატოკებდნენ. ვერ შეატყობდი, სუნთქავენ, თვალს ახამხამებენ ან ბოლოს სული უდგათ თუ არა? მერე რამდენი იყო! აგერ, დიდ ოთახში, რიგი რიგს მოსდევს; ამ პატარა ტალანში ფაიფურის თოჯინებივით დაუსვამთ ორი თმათეთრი ბერიკაცი. შემდეგ კვლავ გრძელი მწკრივები ჩარიგებულა. იქ ახალგაზრდებაც ნახავ და მოხუცებსაც, გრუზასა თუ თავის კუდივით გაწვრილებულ კიკინებს. რა სახეები, რა გამომეტყველება! ჩვენ არავინ გვიყურებს, ხარბი თვალთ არავინ გვსინჯავს, თუმცა ორმოცი წლის მანძილზე მსგავსი არაფერი უნახავთ, თავისიანების გარდა სხვა არავინ უხილავთ. ისინი კი კედელსა თუ იატაკს ჩაჩერებიან, თითქო სანაძლეო დაუდვიათ, ვინ უფრო გამოლენჩებულ სახეს მიიღებსო, მეტნაკლებად ეს ყველას მოუბერნებია; ბევრს, რა თქმა უნდა, თავისდაუნებურად.

სურათი ფრიად ორიგინალური გახლდათ. ვერ წარმოიდგენთ, რა კმაყოფილი ვიყავ ამ უცნაური, ფანტასტიური სანახაობით. იდეალური სიჩუმე იდგა. მხოლოდ ჩვენი ნაბიჯების ხმა ისმოდა. „ფეხსამოსი“, — ჩამწვდა უცბად ვილაციის ნაჩურჩულევი. დავიხედე — ჩექმები მაცვია. ჩემი მუშამბის ფეხსამოსი სადღაა? „სამი ოთახის უკან დაგრჩაო“, — მითხრეს. გატაცებულს არც კი შევინიშნავს. გამოვტრიალდი: მუშამბის ფეხსაცმელები მართლაც იატაკზე ელაგა კოხტად. ამ ოთახში მჯდარი არსებანი უჩვენოდაც ისევე გატრუნულები ისხდნენ, როგორც ჩვენსობას; ზედაც არ შემოუხედავთ ჩემთვის. ამხანაგებს დავეწიე, მაგრამ თურმე მარტო მე არ ჩამოვრჩენილვარ: ხან ერთი, ხან მეორე იხრება ფეხსამოსის ასაღებად. ბოლოს სხვებზე უფრო ნათელ და დიდ დარბაზში შევედით: მარჯვნივ, წალოში, დიდი, მოოქრული მშვილდი იდგა: ვერავინ მითხრა. გუბერნატორის წარჩინების ნიშანი იყო თუ მხოლოდ სილამაზისთვის გამოეფინათ. სხვა ოთახებივით დარბაზიც იმდენად რბილი ქილობებით იყო მოგებული, თითქო ლეი-

ბებზე მიაბიჯებდნენ. იატაკზე მოკალათებულ ადამიანთა ეფექტი აქ უფრო ძლიერი იყო. ოცდაათამდე კაცი დავითვალე.

ჩვენთან ერთად დარბაზში „ოვოსავა ბუნგონო-კამი-სამა“ შემობრძანდა. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, ასე ორმოცდაათი ოდნე წლისა. მედიდური, გორგოზი და საკმაოდ ჰკვიანურად მეტყველი სახე ჰქონდა. ოვოსავა — სახელი გახლავთ, ბუნგონო — გვარის მსგავსი უნდა იყოს, რომელიც ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებშივე სამთავროს, მამულისა და მიწების მიხედვით ეძლევათ, ყოველ შემთხვევაში, მაღალ წრეში ასეა. ნონაწილაკი მეტწილად გვარებში მეორდება და მგონი სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არ გრამატიკული ფორმა. კ ა მ ი — საპატიო სახელია, როგორც ჩვენში იციან, ეს და ეს კ ა ვ ა ლ ე რ ი ო; სამა — ბატონს, ტიტულს ნიშნავს, რაც ყოველი მოხელე კაცის სახელს ერთვის ზოლოში.

ერთმანეთს თავი დაუყარით. თავის დაკვრისას შემთხვევით დავიხედე ფეხებზე — ის წყეული ფეხსამოსი კიდევ გამძრომოდა: ჩექმების გვერდით გამოჰქიმულან. დავეყრდენი ბ[არონ] კ[რიდნერს], რომელმაც სიბრალულით გამომიწოდა ხელი, და მეც ძლივს ამოვიცვი ისინი ფეხებზე. „სირცხვილო“, — წამჩურჩულა ბ[არონმა] და ისე ჩაიციხა, ჩვენ ორის გარდა არავის გაუგონია, ხველებასავით გამოუვიდა. პასუხის ნაცვლად მისივე ფეხებზე მივუთითე: ფეხსამოსი იმასაც გამძრომოდა. „სირცხვილო-მეთქი“, — ჩავჩურჩულე მეც ჩემის მხრივ.

ამასობაში, პირველი მისალმების შემდეგ, გუბერნატორმა ითხოვა, წერილი გადაგვეცა მისთვის და მაგიდაზე მდგარ პატარა გალაქულ კოლოფზე მიათითა, იქ ჩაღვითო.

ახლა თითქო საქმის ირგვლივ უნდა დაწყებულყო მოლაპარაკება, მაგრამ გუბერნატორმა შემოგვეთავაზა, ჯერ დაგვესვენა, თუმცა, ღმერთმა უწყის, დასვენება რად გვჭირდებოდა, საუბარი კი მერე გაგვეახლებინა, და მიიშალა. შეხვედრის პირველი ნაწილი, პირობის თანახმად, ზეზე ჩატარდა.

მოსასვენებელში, როგორც ის ოთახი მოვნათლეთ, სადაც წაგიყვანეს და სადაც უკვე გამოგვევლო, აღარავინ დაგვხვდა: ჩაცუტული არსებანი გაპარულიყვნენ. იქ ჩვენი მოტანილი სავარძელი და ოთხი სკამი იდგა. მაშინვე მოვიკალათეთ ზედ. ვიცისად ადგილი არ იყო, ისინიც აქვე გაჩერდნენ ზეზე. რა ლაპარა-

კო უნდა, რომ მოსახვეწებელში უფესამოსოდ მოვედი: მისა-
ღებ დაბაზში დამრჩენოდა და მათ მოსატანად ხელახლა წა-
ვედი. ბოლოს ქუდში ჩავიწყე და ამით მოვრჩი გაწამაწიას.

ფეხდაფეხ ხმაურით შემოგვეყენნ ჩვენი ნაცნობი თარჯიმნე-
ბიც: იატაკზე დაეყარნენ და თავიანთ ადათისამებრ სამ რიგად
შემოგვისხდნენ. საუბარი გავუბით. „განა ფანჯრებში შუშები
არ გიდგათ?“ — ჰკითხა კ. ნ. პ[ოსიეტმა]. „არა“, — იყო პასუხი.
„სახლები ერთსართულიანი გაქვთ თუ ორსართულიანიც
არის?“ — ჰკითხა პ-მა. „ორსართულიანიცაა“, — მიუგო კიჩი-
ბემ და ლიოდას გადახედა. „სამიცაა ხოლმე“, — თქვა ლიოდამ
და სადაგორას გადახედა. „ხანდახან ხუთსაც ნახავ“, — დაურ-
თო სადაგორამ. ჩვენ გავვეცინა. „ხშირია მიწისძვრები?“ —
იკითხა პ-მა. „ჰო, ხდება ხოლმე“, — მიუგო სადაგორამ და ლი-
ოდას გადახედა. „ხშირი რას ჰქვია, ათ წელიწადში თუ ოც წე-
ლიწადში ერთხელ?“ „ჰო, ათ წელიწადშიც და ოც წელიწად-
ში“, — თქვა ლიოდამ და კიჩიბეს და სადაგორას ჰკრა თვალი.
„მთები ირღვევა და სახლები ინგრევა“, — დასძინა სადაგორამ.
მთელი საუბარი ამ კილოზე გაგრძელდა.

უცბად კარში თორმეტი მსახური შემოიწკაპა, სტუმრების
რიცხვის მიხედვით; თითოეულს ორივე ხელით ჩაის ფინჯანი
მოჰქონდა, ულამბაქოდ. მიეახლებოდა მსახური სტუმარს, მარ-
ჯვედ ჩაიჩოქებდა, მდაბალ სალამს მისცემდა, ფინჯანს იატაკ-
ზე დადგამდა, წამოდგებოდა, ისევ თავს დახრიდა სალამის ნიშ-
ნად და გავიდოდა. ჩვენი ტანსაცმლის პატრონისთვის ფრიად
უხერხული იყო სკამიდან დახრა ფინჯანის ასაღებად. ხან ერთი
ხელი გავიწოდე, ხან მეორე და ძლივას ავიღე. მშვენიერი ჩაი
იყო, ჩინური ყვითელი ჩაისებური, მუქი, მაგარი და სურნელო-
ვანი, ოღონდ უშაქრო.

კვლავ მოგვეახლენ მსახურები: თითოეულს გალაქული ხის
სადგარი ეკავა, ზედ ჩიბუხი, თამბაქო, საფერფლე; თინის პატა-
რა ნაკვერჩხლებიანი მაყალი ელაგა და იმავე წესით დაგვიწყ-
ვეს წინ. ეს უფრო სადავიდარაბო საქმე გამოდგა. იაპონელებს
რა უჭირთ, იატაკზე სხედან, თავისუფალი სამოსი აცვიათ, მათ-
თვის ადვილია ჩიბუხის დატენა, ნაკვერჩხლით მოკიდება, ფერ-
ფლის გამობერტყვა; ჩვენ კი სკამებიდან როგორ მოგვეხერხე-

ბა? კვლავ მელასა და წეროს მასპინძლობა გამახსენდა.

მართალია, იაპონური თამბაქოს გემო უკვე ვიცოდით, მაგრამ მაინც მოვალედ ჩავთვალეთ თავი თითო ჩიბუხი გაგვებოლებინა, თუკი ჩიბუხი შეიძლება უწოდოს კაცმა ამ სათითურებს, სადაც არათუ თუთუნი ჩაეტევა, ერთი მწიკვი ბურუნთიც არ მოთავსდება. მგონი, უკვე მოგახსენეთ ზემოთ, რომ იაპონური თუთუნი მეტისმეტად რბილია, გრძელ ბოჭკოებად იფხვნება და ისე წმინდაა, ერთი შეხედვით მუქი წითელი მტვერი გეგონება.

კიჩიბე ერთ გაწამაწიაში იყო: ხან მისაღებ დარბაზში გავარდებოდა, ხან პარმალზე, მერე ისევ ჩვენთან გაჩნდებოდა. სხვათა შორის, საკითხავად მოვიდა, თუ შეიძლება მუსიკოსებს დავუძაბოთ დასასვენებლადო. „შეიძლებაო“, — უთხრეს პასუხად და იმავე დროს ერთი ოფიცერი გაგზავნეს მუსიკოსების გასაფრთხილებლად, ერთი ჭიქა ღვინის მეტი არ დაეღიათ.

ის იყო მოწვევას მოვრჩით, რომ ისევ მსახურები გამოგვეცხადნენ, თითოეულს ხის სუფთად გარანდული, ძალზე ლამაზი, თუმიცა უბრალო კოლოფი ეკავა. სათითაოდ დაგვიდგეს წინ კოლოფები. ვინც უფროსი იყო, იმას სადგარზე დაუდგეს, სხვებს იატაკზე. გავხსენით — შიგ კანფეტები, ტორტივით ნამცხვრის მოზრდილი ნაჭერი, შემდეგ ცომივით სქელი, გულის მოყვანილობის ყელე, მერე ყოვლად უხეირო შაქრის პატარა თევზი, რაღაც ქონით შეღებილი და შეთხუპნილი, ბოლოს წვრილ-წვრილი, ხმელი კანფეტები, დაშაქრული ხილი და სხვათა შორის სტაფილო ვნახეთ. საკონდიტრო ხელოვნებაში ამაზე მეტი კადნიერება განა შეიძლება ვინემ გამოიჩინოს? მაგრამ წარმოიდგინეთ, არა უშავდა რა, უგემური არ იყო: თუ რომ ცნობილი ხალხური ანდაზა ამბობს „დაშაქრული ლანჩაც ტკბილია“, მაშინ სტაფილოზე რაღა ითქმის! დიახ, ცხრაკლიტულში ბევრს ვერაფერს მოიგონებ, უფრო სწორად, რას არ მოიგონებ, დაწყებული შაქარში მოხარშული სტაფილოთი, გათავებული თოფისწამლით.

ბოლოს კიჩიბე შემოიჭრა, ვინ იცის, მერამდენეჯერ და გვაუწყა, რომ გუბერნატორი მიგველის, თუკი დაისვენეთო. მაგრამ დაიქანცეთო რომ ეთქვა, უკეთესი იქნებოდა, უსაქმურობა

ნეტავ ვის არ დადლის. საქმის მოგვარებას იაპონელები თურმე ამას ეძახიან. ჰოდა, კვლავ მისაღებ დარბაზში გავედით და მოლაპარაკებას შევეუდქით.

უპირველეს ყოვლისა, დარბაზში გადმოტანილ სავარძლებზე დავსხედით. გუბერნატორი პატარა ამაღლებულზე დაჯდა, იატაკიდან მეოთხედ არშინზე. კიჩიბე და ლიოდა ჩვენ სკამებთან განრთხმულიყვნენ და შუბლი იატაკზე დაედოთ. ცხელოდა, კიჩიბეს სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები მოწურწურებდა. გუბერნატორს რომ მოუსმენდა, მოწინებულ, გამქვალავ მზერას ესროდა, მერე თავს წამოსწევდა, ჩვენ გადმოგვითარგმნიდა და ისევ იატაკს დაახლიდა შუბლს. ლიოდა სულ გაუნძრევლად იწვა, ოღონდ ისეთივე გამქვალავ მზერას ხან გუბერნატორს შეაელებდა და ხან ჩვენ. უფროსი კიჩიბე გახლდათ, ლიოდა მარტო მისი თარჯიმნობის შესამოწმებლად ესწრებოდა, თან კიდევ მათი ადათით ცალ-ცალკე არც სჩვევიათ საქმის გაჩარხვა. დარბაზის ირგვლივ კედლების გასწვრივ ბორდიურივით ჩარიგებულიყვნენ გუბერნატორის ყველა მოხელე და ამაღლა, რა თქმა უნდა, ტერფებზე ჩაცუცქულნი.

სამარისებური სიჩუმე გამეფდა. გუბერნატორმა გალაქულ კოლოფიდან წერილი ამოიღო და ოდნავ გასაგონი ხმით, მაგრამ მკაფიოდ დაიწყო კითხვა. როგორც კი გაათავა, გუბერნატორის მარჯვნივ მსხდომთა რიგიდან ერთი ბერიკაცი წამოდგა, გუბერნატორს მიეახლა, უფრო სწორად მუხლებზე დაეცა, თაყვანით ჩამოართვა წერილი, კიჩიბესთან მივიდა; ისევ წამოიჩოქა, წერილი მიაწოდა, ოღონდ თაყვანი აღარ უტია და ისევ თავის ადგილზე მიბრუნდა.

ერთბაშად კიჩიბეს გამგმირავი, ყრანტალა, მკვახე ხმა გაისმა: ჰოლანდიურად გვითარგმნიდა წერილის შინაარსს. სიცილი ვერ გაებედა, მხოლოდ ჰაერს მალიმალ ისრუტავდა, ხოლო მანქვასა და სლუჟ-სლუჟს ხომ ბოლო აღარ უჩანდა.

წერილი გოროჩის თანხმობას შეიცავდა წერილის მიღების თაობაზე. ის იყო ადმირალის შეკითხვაზე პასუხის მიცემა დავაპირე, რომ გუბერნატორმა ახლა მეორე წერილი ამოიღო და იმავე წესით წაიკითხა; წერილი კვლავ იმ მოხუცმა მდივანმა ჩამოართვა და იგივე ცერემონიებით გადასცა კიჩიბეს. ამ მეო-

რე წერილში ნათქვამი იყო, რომ „წერილი მიღებულ იქნება, ოღონდ პასუხი მალე ვერ გაიცემაო“.

წერილი წაკითხული არ გქონდეს და ისე თქვა, პასუხი მალე არ იქნებაო, ყოვლად ულოგიკო ამბავი გახლავთ. მაგრამ როცა იაპონელებთან გაქვს საქმე, ნაწილობრივ უარი უნდა თქვა ევროპულ ლოგიკურობაზე და არ დაივიწყო, რომ უკიდურეს აღმოსავლეთში ხარ. ზემოთ ვთქვი, რომ არც ისე წყალწაღებული, კერპი ხალხია-მეთქი: პირიქით, ლოგიკურობა და გონიერება სრ აკლიათ, თუ საჭიროდ მიიჩნის, უცხო მრწამსიც ძალუძთ გაიზიარონ. ასე სჩვევიათ ყველა ისეთ შემთხვევებში, რაშიც გამოცდილება აქვთ; ხოლო თუკი სადმე რამ მათთვის უცხო და ახალია, ფეხს ითრევენ, გამოკვლევა-გამოძიებაში არიან, იცდიან. ცბიერობენ. ვითომ მთლიანად სტყუიან კი? ჯერჯერობით ევროპელებისგან დიდი სიკეთე არ უნახავთ, ცუდი კი ბევრი იწვინის: ამიტომაც მათი განაპირება ლოგიკურ ამბავს წარმოადგენს. პორტუგალიელმა მისიონერებმა ახალი სჯული ჩამოუტანეს, რასაც ბევრმა იაპონელმა გული გაუხსნა და კიდევ იწამა. მაგრამ ლოიოლას შეგირდებმა თავიანთი ვნებანიც: სიამაყე, ძალაუფლების და ოქრო-ვერცხლის, ასე გასინჯეთ, ჩინებული იაპონური სპილენძის ტრფიალიც ჩამოიყოლეს და უამრავი რაოდენობით გაზიდეს ის აქედან, ერთი სიტყვით, ქრისტიანულის გარდა ყოვლის სიყვარული გამოააშკარავეს. რა თქმა უნდა, იცით, რაც მოჰყვა ამას: ბართლომეს ღამეები და მთელი ქვეყნიერებისგან განაპირება.

მაგრამ თუ გაეხსენებთ, რა ხდებოდა ჩვენი ძველი სახელმწიფოების ძუძუმწოვრობის ხანაში, როგორ ხდებოდნენ ისინი მათთვის გაუგებარ ყოველ სიახლეს თუ აღმოჩენას, სდევნიდნენ ასტრონომებს და ფიზიკოსებს, მაშინ იაპონელები თითქმის თავიანთ განმანათლებლებზე მეტად იმსახურებენ შეწყნარებას. უცხოელებს რომ ასე ჯიუტად იშორებენ თავიდან. ვითომ საკვირველია, ამის შემდეგ რომ ძველი სიავის გამეორების შიშმა და სიფრთხილემ დაგვაცილა ისინი, ესოდენ შეაფერხა მათი ზრდა და მხოლოდ ბუნებრივი საზრიანობა და რამდენიმე კკუის სასწავლო გამოცდილება შეუნარჩუნა, რამაც ყალბი წარმოდგენა შეუქმნათ ყველაფერ იმაზე, განათლების სახელს რომ ატარებს?

ვიდრემდე წერილს კითხულობდნენ, გუბერნატორსა და მის კარისკაცებს ვაკვირდებოდი და ვახარისხებდი, ვის საზრიანი, ცოცხალი სახე ჰქონდა, ვის წმინდა ბრყვეული ან ტვინის განძრევის საშუალების უქონლობის მიზეზით მხოლოდ დაჩლუნგებული. რამდენიმე უცნაური, გულჩათხრობილი და ცბიერი სახეც დავინახე. ბევრს თვალებში მალულად გამოუერთოდა ცეცხლი, თუმცა კი ჩვეულებისამებრ დუნედ და ზანტად იყურებოდნენ. საინტერესო გახლდათ ამ მთვლემარე ვნებათა, გაუღვიძებელ, აუშლელ სურვილთა თვალის დევნება, რომელთა ნაცვლად ბალღური თვალთმაქცობა თუ უკიდურესი მოუხერხებლობა იგრძნობოდა. მგონი, ადათად აქვთ უფროსთან რაც შეიძლება სულელური გამომეტყველება მიიღონ და ამიტომ ბევრ სახეს ნახავდით მოწიწებისგან გამოყვყჩჩებულს. თუ გუბერნატორი სხვებზე ჰკვიანი ჩანდა, ეგებ იმიტომ, რომ ყველაზე უფროსი ის იყო აქ. ედოში, ალბათ, ისიც გამოლენჩებული იყურება. ყველანი ერთიმეორეზე სასაცილონი გახლდნენ.

აგერ, ჩვენი ნაცნობებიც: ბაბა-გოროდზაიმონს, მაგალითად, ვეღარც იცნობდი; მოწიწებას, ცოტა არ იყოს, შეულახავს კიდევ. მოხელეებს სუნთქვაც ვერ გაებედათ, ისე ჩანსხდარან, თითქო მწყობრში არიანო. ბევრი ვეცადე, რომელიმეს თვალთ მიესალმებოდი, მაგრამ სულ ტყუილად: სამბრო, ოი-საბროსკი თუ თარჯიმნები თითქოს ვერც გვამჩნევდნენ.

ეს კია, უფროსების ასეთ მოკრძალებაში შიში და პირმოთნეობა არ შემინიშნავს: ისე უბრალოდ, გულწრფელად, ნაზად. ასე გასინჯეთ, თითქმის სიყვარულითაც გამოდით ეს ამბავი, რომ უსიამოდ არ გეჩხირება თვალში. რაც შეეხება საზეიმო შემთხვევებში იატაკზე განთხმას, უმოძრაობას და კომიკურ გაბღინძვას, თუ კომედია არა, აღმოსავლური ყაიდის ბალეტან ყოველ შემთხვევაში, საჩვენოდ გამართული წარმოდგენა უნდა იყოს. იაპონელებს სხვა დროს ალბათ ასე გამოთაყვანებული სახეები არ ექნებათ, ასე სანთლის კაბინეტის ფიგურებივით არ ჩარიგდებიან და იატაკზე არ იგორებენ. ერთმანეთს ალბათ უფრო სადად, გულწრფელად ექცევიან, ჩვენც ხომ ერთმანეთის მონახულებისას ყარაულს და მ-უსიკას არ დავათრევთ ყველგან. მე ასე მიმაჩნია, თუმცა მერე რა რომ მე მიმაჩნია!

აბრეშუმის ხალათების. ქვედაწელებისა და მოსასხამების აქ თავყრილობაში კიდევ ის მომეწონა, რომ ჭყეტელა, მკვეთრი ფერები აქ თვალს არ მოგჭრის. ვერ დაინახავ ერთ მთლიან, წითელ, ყვითელსა თუ მწვანე ფერს: სულ ნაზი, შერბილებული, ნარევია ერთი, მეორეა თუ მესამის. არ დაუჯეროთ იმ სურათებს, სადაც იპონელები რაღაც თუთიყუშებივით გამოჰყავთ. აქ მდაბიო ხალხიც თავისი ჩაცმულობით დიახაც არ ნიაგავს კაცების, ქალების და ბავშვების იმ ბრბოს, რომელიც სინგაპურში ერთ-ერთ პლანტაციაზე ვნახე. იქ გამოცა მალაელებისა და ინდოელების ჭყეტელა სამოსის აღრევამ და ფრინველთა კოლექცია მომაგონა საბუნებისმეტყველო ისტორიის კაბინეტში. აქ მდაბიო ხალხის ბრბოში მეტწილად, როგორც მოგახსენეთ, პირველ ყოვლისა, სიშიშველე გეცემა თვალში. მერე კი რომელიმე ერთი ფერი სქარბობს, მაგრამ ჭყეტელა კი არა, უფრო მეტად ლურჯი. მაღალი კლასის შესამოსელში ყველა ფერის ნარევს ნახავთ, ოღონდ დიდი ზომიერებითა და გემოვნებით შერჩეულს.

მართო ტანსაცმელს რომ გადავაგვლებდი თვალს და ხოტორა თავებს, გამოლენჩებულ გამომეტყველებას და გადმოყრილ ზედა კბილებს აღარ შევხედავლა, მავიწყდებოდა ხოლმე სად ვიყავ: უკიდურესი აღმოსავლეთის მაგივრად თავი თითქო უკიდურეს დასავლეთში მეგონა: ტუალეტის ფერებით — სწორედ ევროპელ მანდილოსანთა საკრებულო წარმოგიდგებოდათ. შტოფის ქვედაწელი, ისიც მქრქალი ფერისა, მხოლოდ ხუთ ბერიკაცს დაუვნახე; სხვებს ნაცარა, ან უფრო რუხი ქვედაწელები ეცვათ, ზოგს მუქი ლურჯი, *Adelaïde, vert de gris, vert de pomme*¹, ერთი სიტყვით, ყველა ჩვენს ახალმოდურ ფერებს, *couleurs fantaisie*-ს², იხილავდით აქ.

გუბერნატორს ერთი ფერის ხალათი და ქვედაწელი ეცვა, *pensée*³, წვრილი, თალხი ზოლები დასდევდა. მისი მოსასხამი სხვანაირად იყო გამოჭრილი. სხვებს ზურგი და სახელოები სადა ჰქონდათ, სახელოები მაჯასთან გაფართოებული; ჩვენი

¹ მონაცრისფრო-მომწვანო, ღია მწვანე (ფრანგ.).

² ქრელი ფერები (ფრანგ.).

³ მუქი იისფერი (ფრანგ.).

მანდილოსნების მოსასხამებს ძალიან ჰგავდა; გუბერნატორს კი სახელოები გვერდებში ჰქონდა შექრილი და პატარა ფრთებივით მიჰყვებოდა მინადგარები. როგორც შემდეგ შევიტყვე, ნახევრად საზეიმო სამოსი ყოფილა, ჩვენი ვიცემუნდირების მსგავსი. მითხარით, გეთაყვა, განა ვიფიქრებდით კი ოდესმე ან მე, ან თქვენ, რომ იაპონურ მოდელებზე მომიწევდა წერა?

ქუსლებზე ჩაცუცქვის ადათი, როგორც ერთ წიგნში ამოვიკითხე, ვითომც იმ მიზეზით წამომდგარა, რომ აღჰოსავლეთის ხალხს უზრდელობად მიაჩნია ფეხების გამოჩენა, მით უმეტეს. წარჩინებულ გვამთა წინაშეო. არა მგონია: ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სკამებზე რომ დასხდებოდნენ, ტიტველ ფეხებს ყოვლად უბოდიშოდ წამოპლაკავდნენ იმაზე უფრო მაღლა, ვიდრე საჭირო იყო და სრულიადაც არ რცხვენოდან აპირი. ვთქვათ, ჩვენ უფროსებად არ მივაჩნდით, მაგრამ ასეთი ჩვევა რომ ჰქონოდათ, ეს მაინც შეაკავებინებდათ თავს. მთელი განსხვავება აღმოსავლელებისა და ჩვენი ჯდომის ყაიდაში: მგონი, სულ უბრალო და ყოვლად ბუნებრივი მიზეზით წარმოიშვა: ევროპაში არ ცხელა: ჩვენ სინათლეს ვეტანებით და დიდფანჯრიან სახლებს ვაშენებთ, ამალღებულზე ვსხედგართ, რა არის სინათლესთან ახლოს ვიყოთ; საამისოდ სკამები და მაგიდები გვექირდება. აზიაში, პირიქით, ყველა მზეს ემალება: ამიტომაც ფანჯრებს თითქმის ვერ ნახავ. ჰოდა, რაში სჭირდებათ ჩამობნელებულ ოთახებში რაღაც საეშმაკოდ მოგონილ კონკილებზე შეყუხცდნენ, როცა თვით ბუნება აძლევს საშუალებას იქ დაჯდეს, სადაც დგას? ჰოდა, როცა იმ ადგილზე გიხდება ჯდომა, სადილობა, ბაასი, საქმობა, სადაც დადიხარ. ცხადია, შეეცდები ფეხი სუფთად იქონიო. ამიტომ აღმოსავლეთში, სახლში შესვლისას ფეხსაცმელების ან სანღლების გახდაა საჭირო. მდაბალი თაყვანისცემაც ქუსლებზე ჩაცუცქვის ადათისგან წარმოსდგება. უფროსისა თუ სტუმრის წინაშე დგომა, მათი ადათით, უზრდელობაა: სტუმარს რომ დაინახავენ, მყის იატაკზე დაეშვებიან, იატაკზე მჯდომარემ კი აბა როგორ მოგცეს მოწიწებული სალამი, თუ მიწას არ ახალა თავი?

რა გულცივი მედიდურობით და გოროზობით, რა ღირსებით ლაპარაკობდა გუბერნატორი, ოდნავ კუშტი, მაგრამ ცნო-

ბისმოყვარე გამომეტყველებით უცქეროდა მისთვის უცხო სახეებს, ქცევას, თმას, ოქრომკედით და ვერცხლით ნაკერ მუნდირებს, ჩვენს გულგახსნილ, თავისუფალ მოპყრობას ერთმანეთში! უნებურ ღიმილს ვმალავდით იმის შემყურე, რარიც ცდილობდა, თავისი ჰემმარიტად იაპონური ღირსება დაეცვა.

მაგრამ დიდხანს არ შერჩენია გოროზობა. როცა ახსნა-განმარტებას მოჰყვა, თუ რატომ ვერ მივიღებდით ელოდან საჩქაროდ პასუხს, რომლის მიზეზად, სხვათა შორის, მანძილიც დაასახელა, ანაზღად აღმირალმა ჩვეულებრივი, ბუნებრივი კითხვა დაუსვა: „ედოში ჩვენი ხომალდებით რომ წავიდეთ; საქმე განა მნიშვნელოვნად არ დაჩქარდება? შესაფერი ქარი თუ იქნა, იქ ერთ კვირაში აღვმოჩნდებით. რას იტყვის ამაზე გუბერნატორი?“ ღმერთო, როგორ შეეცვალა სახე გუბერნატორს: რა დაემართა? სად გაქრა საზეიმო, მშრალი და მედიდური კილო, ამაყი იერი? შეცბა მისი იაპონური აღმატებულება. ერთბაშად დაეკარგა მთელი სიდიადე, დამდაბლდა, რაღაც სხვანაირად დაჯდა უკვე, სხვანაირად გამოიხედა; მერე ოღნავ გადახარა მარცხნივ თავი და გულისამაჩვილებელი ღიმილით, ლბილი, შემპარავი ხმით ილაპარაკა კარგა ხანს ხმადაბლა. „ხი, ხი, ხი!“ — ეს ისმოდა მხოლოდ გადმოყარავებულ ნავის მსგავსად იატაკზე ზვინად დამხობილ კიჩობესაგან, რომელიც ყოველი ხის წარმოთქმაზე მთელი სხეულით იკრუნჩხებოდა. გუბერნატორმა ბრძანა, რომ „იაპონელის თვალს მტკივნეულად მოხვდება ნაგასაკის გარდა იაპონიის ორ ნავსადგურში იხილოს უცხოელთა ზომალდები; რომ პასუხს ამით არ დავაჩქარებთ, როცა თვითონ მივადგებით“ და ა. შ.

„საქმიანი“ ლაპარაკის შემდეგ ორივე მხარემ დიდი თავაზიანობა გამოხატა. ორივე მხარე ირწმუნებოდა, რომ გაცნობა ფრიად ესიამოვნა. ჩვენ არ ვტყუოდით: მართლაც ძალიან საინტერესო იყო გუბერნატორის ხილვა, მით უფრო, რომ ერთი თვის განმავლობაში ფრევატიდან ფეხი არ გადმოგვიდგამს და ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის გასართობს წარმოადგენდა. რაც შეეხება ბ-ნ ოვოსავას, დაფიცება შეიძლებოდა, რომ ამ წუთში მასში თვით ტყუილის ღმერთი, ტარტაროზი ბუდობდა და ალბათ გულში მასთან გვაგზავნიდა. ამბობენ, უდროოდ

მოსული სტუმარი თათარზე უარესიაო: ამ აზრით რუხები მისთვის მართლაც თათრებზე უარესი იყვნენ. ზემოთ ვთქვი, რომ ოვოსავას რაღაც ორი თვე დაჩენოდა გამგზავრებამდე, როცა ჩვენ ჩამოვედით. ეს ამბავი, მაშასადამე, ჩვენი ჩამოსვლა, იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იაპონიისათვის, რომ მთავრობამ აუცილებლად მიიჩნია ორივე გუბერნატორის ყოფნა ნაგასაკში. ჰოდა, ოვოსავა ბუნგონოს განა არ ჰქონდა მიზეზი, სტუმრობაზე დაგვმღურებოდა?

თავაზიანობის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გუბერნატორი წამოდგა და გასვლა დააპირა, მაგრამ აღმირალმა კიდევ რამდენიმე კითხვა მისცა. გუბერნატორმა ითხოვა, სხვა დროისთვის გადავდოთო, ცხადია, ყოველნაირი კითხვების შეეშინდა, რადგან ედოს ნებართვის გარეშე, არ იცოდა, რა ეპასუხნა. მან თავი დაგვიკრა და მიიმალა. ჩვენც გამოვბრუნდით. მოხელეები და თარჯიმნები ჯგროდ გამოგვეყენნ უკან. ბაბა-გოროდზაიმონიც ერია მათში. „გამარჯობა, ბაბა-მეთქი!“ — ეუთხარი. აღარ მახსოვს, რა ენაზე. გულლიად დამიკრა თავი. მგონი, უკანასკნელად ვნახეთ აქ. იმავე დღეს ჩვენი წერილის გადასაცემად გააგზავნეს ედოში. კაცი გაბედნიერებული იყო: მასაც მოეხადა წლიური ყავლი და გუბერნატორთან ერთად ეშხადებოდა ოჯახში დასაბრუნებლად ცოლისა თუ ცოლების ჩასახვევნად: მრავალცოლიანობა მათ არ ეკრძალებათ.

მოსასვენებელში რომ გავიარეთ, თარჯიმნებმა გაგვაჩერეს. გზა გადაგვიღობეს და საქმელად მიგვიპატიყეს. ოთახში დიდი, მშვენიერად გაწყობილი სუფრა გაეშალათ, ლანგრებით, ყოველნაირი მოყვანილობის ბოთლებით სავსე. მადერა, ბორდო და სულო და გულო, რა არ გინდა! ყველაფერი ევროპულ ყაიდაზე. ალბათ მაგიდა, ჰურჰელი, ღვინოები და იქნებ, კერძებიც ჰოლანდიელებისგან წამოიღეს. აღმირალმა ბრძანა, მისი აუცილებელი პირობა გაემეორებინათ, ე. ი. გუბერნატორიც დასწრებოდა საუზმეს. კიჩიბე თავს ხრიდა, ხელებს შლიდა. სიცილით იკრუნჩხებოდა, ნელ-ნელა სუფრისკენ მიიწევდა და ჩვენც თავგამოდებით გვეპატიყებოდა. სხვები უკან არ რჩებოდნენ, გზას გვიღობადნენ, რევერანსებს გვიკეთებდნენ, — სულ ტყუილი ცადილი გამოდგა. ჩვენ ერთი კი ვკარით თვალი საუზმეს და მტკიცედ ჩავუარეთ გვერდით, თარჯიმნებს ყური

არ ვათხოვეთ. რა წამს პარმალზე გამოვედით, იგრიალა მუსიკამ, ყარაულმა სალამი მისცა. სრულუფლებიან რწმუნებულს და კვლავ იმავე წყობით გავემართეთ ნავმისადგომისაკენ.

ნავმისადგომზე უეცრივ ფადეევისა თუ სხვა ჩვენი მსახურების ხელში სწორედ ის კანფეტების კოლოფები დაეინახე, რომელიც ჩვენ დაგვიდგეს წინ. „ეგ რა გიპირავს-მეთქი?“ — „რალაც კოლოფებიან“. — „სად აიღე?“ — „ჩინელმა... არა, იაპონელმა მომცა“. — „რატომ“. — „რა მოგახსენოთ“. — „მამ თუ არ იცი, რალად აიღე?“ — „რატომ არ უნდა ამელო? მითხრა: აჰა, წაიღე და ბატონებს მიუტანე სახლშიო“. — „კი მაგრამ, რა ენაზე გითხრა?“ — „თავისაზე“. — „შენც მიხვდი, ხომ!“ — „მიხვდი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. მიუხვედრელი რა იყო? რალაც მითხრა და კოლოფი მომცა, მაშასადამე: ბატონებს წაუღეო“.

სწორედ ეს ყუთი მიდგას ახლა კომოდზე. მართალია, ფადეევის მსახვრალი მარჯვენა უკვე მოხვდა, მაგრამ, ვფაქრობ რუსეთშიაც მოაღწევს. ჯერჯერობით შიგ თუთუნია, რა თქმა უნდა, ისიც იაპონური.

— თქვენ რითი გაგიმასპინძლდნენ? — ვკითხეთ მუსიკოსებს ნავმისადგომზე.

— თითო ჭიქა წყლით, — კუშტად გვიპასუხა რამდენიმე ხვამ.

— მართალს ამბობთ? — იკითხა ვილაყამ.

— ეგრე გახლდათ, თქვენო კეთილშობილებავ.

— მერე რა ჰქენით?

— დავლიეთ.

— რატომ?

— გვეგონა, რომ... რომ წყალი არ იყო.

— იქნებ კარგი წყალი იყო? — ვკითხე მე.

— მამ არადა: ზღვისას სჯობდა, — მიპასუხა ერთმა.

— ჯანზე გარგებთ-მეთქი, — შევნიშნე ეს.

ფხიზელმა არტიტებმა, ცოტა არ იყოს, უქმურად გადმოძხედეს. მეზღვაურები დიდხანს არ აძლევდნენ საშველს ამ იაპონური გამასპინძლების მოგონებით.

როგორც კი უკანა გზას დავადექით, იაპონური ნაგები კვლავ „ოსილიანის“ კივილით დაგვედევნენ, გასწრება სცადეს და კვლავ ამაოდ ჩაუარათ ცდამ.

15 სექტემბრიდან 11 ნოემბრამდე

15 და 16 სექტემბერი. გუშინ ჩვენს მიერ გამოძახებული იაპონელები გვეწვივნენ: ორი ოპერ-ბანიოსი იყო. ჩვენებმა საყვედური უთხრეს, რომ იაპონელთა ნავეები ჩვენთან ახლოს მოსვლას და დადგომას არ იშლიდნენ, უთხრეს, რომ ბუქსირით გაათრევდნენ მოშორებით და ნავეების მწკრივის იქით დიხაბც ისეირნებდნენ. ჩვენს სატრანსპორტო ხომალდს ნავეები დაეხვია იმის გამოსაქითხად, სად იყო, დიდი ხნით თუ არა და ა. შ. ამაზე მეტიც: თარჯიმნები მოვიდნენ ჩვენთან, პ[ოსი-ეტ] სუფრიდან ააყენეს იმის გასაგებად, მართალი უთხრეს თუ არა. პ[ოსიეტს] გული მოუვიდა და განუცხადა მათ, შემდეგ ამაზე ნულარაფერს მკითხავთო; ჩვენს თავაზიანობას ბოროტად იყენებთო. დღეს იაპონელებმა გუბერნატორის პასუხი მოგვიტანეს, რომ თუ გვსურს, შეგვიძლია შიდა რეიდზე დავდგეთ, ოღონდ ნაპირთან მაინცდამაინც ახლოს არა, თორემ იაპონელთა ნავეების მოძრაობას შევეშლიდით ხელს ნავმისადგომზე. ამბობენ, დღეს ახალი გუბერნატორი ჩამოვიდა ოვოსავა ბუნგონოს მაგივრადო. ახალს მიზნო ჩიკოგონო-კამი-სამა ჰქვია თურმე. ელოდან ჩამოსულმა ახალმა თარჯიმანმა ეინოსკემა ც გვინახულა. მეძინა და ამიტომ არავინ მინახავს. ჩამოსულები არ იმჩნევენ, რომ ამერიკელები ელოში ჰყავდათ. ჰგონიათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით ამის ირგვლივ; რომ საერთოდ ევროპაში, როგორც მათ ქვეყანაში, საიდუმლოდ შეიძლება შეინახოს, მაგალითად, მთელი ესკადრის სადმე გამგზავრება, ან რომელიმე სახელმწიფომ არ იცოდეს, მეორე მესამეს თუ ეომება. აღმირალს უნდა ტრანსპორტი ისევ შანხაიში გაგზავნოს იმის გასაგებად: ომია თუ მშვიდობა ევროპაშიო.

თბილა, ჩინებული დარია; პაპამ-ორჯერ ეშმაკურად შემოიპყიტა ჩემს კაიუტაში: „ისევ თბილად ხართ, — მითხრა დილით. — თორემ ლამის აგიცივდათო“. ჩემთან კი სულის შემხუთველი სიცხე იდგა. „ჩინებულია, თბილა!“ — შეუბნება ჩვეულებრივ ჩემთან შემოსული და ნიკაპიდან ოფლს იწმენდს. ჩრდილში მართლაც რეომ[იური] 21°-ს სითბოს აჩვენებს.

17-ში. მთელი დღე, გუშინ კი მთელი ღამე პეტერბურგში გასაგზავნად წერილებს ვწერდით: სტუმრების თავი არ გვქონდა, ისინი კი ისევ გვეწვივნენ საუწყებლად, რომ შიდა რეიდზე შეგვეძლო დადგომა. ჩვენებმა გამოუცხადეს, რომ მითითებულ ადგილზე უფრო შორს გვსურდა გაჩერება. იაპონელები გუბერნატორის გასაფრთხილებლად წავიდნენ და ხვალ პასუხის მოტანას აპირებენ. ნაპირზე ჯერ კრინტს არ სძრავენ: უცდიან, იქნებ წავიდეთ. როგორც ჩანს, გუბერნატორს ნაბრძანები აქვს, ადგილი მანამ არ მოგვიჩინონ, ვინემ ედოში რუსეთის წერილებს არ წაიკითხავენ და არ შეიტყობენ, რაწინა საქმე, იქნებ ნაპირზე გადმოშვება აღარც დასჭირდეთ.

18, 19, 20-ში. გოკეინსები და თარჯიმნები მოვიდნენ. ერთი ახალი გოკეინსიც ჩანს — ყოვლად ყვეუჩი სახით, ახალ გუბერნატორს ჩამოჰყოლია ედოდან. ახალი თარჯიმანი ეინოსკეც გავიცანი. ინგლისურს გაჭირვებით ამტკრევს, მაგრამ თითქმის ყველაფერი ესმის. ჰოლანდიელებისგან უსწავლია, ზოგიერთებს იქ ინგლისური ენა სცოდნოდათ. ეინოსკეც ცოტ-ცოტა ფრანგულსაც სწავლობს. მითხრა, ბევრი წიგნი მაქვს, მეტწილად ჰოლანდიური, ფრანგულიც ურევიაო. [ქო-სიეტის] სიტყვით ჰოლანდიური კარგად იცის. მოწვევა მოგვიტანეს იმ რეიდზე დადგომის თაობაზე, სადაც ჩვენ გვინდოდა. თავგამოდებით გვეპატიყებიან, კიდევ იყინებენ, რომ ფრეგატი მეორე რეიდიდან გასასვლელში გადავიდეს, რომელიც ნაგასაკის ყველაზე ახლო მდებარე რეიდისკენ მიდის. აღმირალს, პირიქით, ჩვენი ხომალდების გაწელა უნდა; კორკეტი შიდა რეიდის შესასვლელთან დადგება, შკუნა და ტრანსპორტი შიგ გასასვლელში მოთავსდებიან, ფრეგატი კი მეორე რეიდზე დარჩება; თორემ ფრეგატი რომ გასავალში დადგეს, იაპონელები თავიანთ ნაუებს უკან ჩაგვიმწყრივებენ, მეორე რეიდს გადაგვიკეტავენ და ნაუებით სეირნობის საშუალებას მოგვისპობენ. მაგრამ მივეუხვდით ეშმაკობას და არ დავთანხმდით. მერე როგორ გვეხვეწებოდნენ, როგორ გვიმტკიცებდნენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სიმშვიდის გულისთვის იკლავდნენ თავს! „ჩვენი სტუმრები ხართ, — გვეუბნებოდა ეინოსკეც, — წარმოიდგინეთ, ბაღში წვიმა მოვიდა და უფროს სტუმარს

(ფრეგატს გულისხმობდა) ქოლგა "მესთავაზეს, ის კი უარ-
ზეაო..." — „რათა უმცროსებს (პატარა ხომალდებს) დაუთმო-
სო“, — დასძინა პ[ოსიეტმა].

იაპონელთა ნავეებმა სცადეს ჩვენებისთვის დაეშალათ ცოტა;
ზომორებით სეირნობა და ხელიც დაუქნიეს. დაბრუნდითო.
ახლა წითელი ალამი ამართეს, გოკეინსების გამოძახების ნი-
შანი: მათ განუცხადეს, აღარ გაემეორებინათ ეს ამბავი; ხო-
ლო მათი ნავეები თუ კიდევ მოახლოვდებოდნენ, ჩვენები ძა-
ლით გაიყვანდნენ შორს. საერთოდ, იაპონელებს ცივად მო-
ეპყრნენ, ადმირალმა ისინი არც მიიღო, თუმცა კი მისი ხილ-
ვის სურვილი გამოთქვეს. ბრძანა მათთვის გადაეცათ, რომ
„ისედაც დიდ შეწყნარებას ვიჩენთ, მათ აღათებს არ ვარღვევათ:
ნაპირზე არ გადავდივართ; ედოს მაგივრად ნაგასაკში მოვედით,
ნაშინ როცა იქაც შეგვეძლო წასვლა. ეგენი კი არაფერს გვი-
ფასებენ, ამიტომ სეირნობას არ დავიშლითო“.

19 რიცხვში ახალ ადგილზე გადავედით, — ორი ხომალდ-ს
საბუქსიროდ 180 ნავი მოგვადგა, თუ საჭირო იქნებოდა. ფრე-
გატს სულ ახლოს შემოგხვივნენ: მენიხბეები ჩვეულებისამებრ
ტიტვლები იყვნენ, მხოლოდ რამდენიმეს ეცვა ჯვალოს ლურჯ
ჯი მოკლე ხალათი. პატარა გოგონებიც ბევრი ერია (რიგიანად
ჩაცმულნი), მაგრამ ქალი ერთიც არ იყო. საარკმლიდან გადა-
ვუყარეთ პური, ფული, თითო ფიალა რომიც დაუტრიკეთ: ყვე-
ლაფერს ხარბად დაეტანენ. ქვეყნისა ამოძვრნენ ზარბაზნებზე,
ტალანებში. ერთი ყაყანი და გნიასი შეიქნა!

ჯერ კორვეტი გადააჩოჩენ. მერე ტრანსპორტი, შემდეგ
ჩვენც გადავედით იალქნების მეშვეობით, იაპონელების დახმა-
რება აღარ დაგვჭირებია. ახლა ნაპირი უფრო ახლოა. მთელი
დღე გავყურებ ქოგრიტიდან სახლებს, ხეებს. სულ ქოხები,
უხეირო ბატარეები მოჩანს, ზარბაზნები დანგრეულ დაზგებზე
დგას. ქოხების შიგნითაც შევიჭვრიტე: ფანჯრები არა აქვთ.
მარტო შესასვლელებია; ტიტველი კაცები და ქალები ვნახე.
ქალებს მარტო უბრალო ლურჯი ქვედატანი აცვიათ; ზემოთ
ისინიც შიშვლები გახლავთ, როგორც ყველგან, ზღურბლზე
აქაც ბალები დატანტალებენ და თამაშობენ; ძაღლის ყეფაც
ისმის, ოღონდ იშვიათად.

21-ში. დღეს ცხელა. საღამოს კი ძლიერი ქარი ამოიჭრა:

მეორე ღუზაც ჩაუშვეს. იაპონელები არ გამოჩენილან: ქარია და საქმეც არაფერი აქვთ; ამასთან უკანასკნელად ცივად დავ-შორდით ერთმანეთს.

მშვენიერი საღამო დადგა: ჩამავალმა მზემ ერთბაშად გა-ანათა შორეული გორაკი, რომელიც ორ მახლობელ მთის შუა მოჩანდა, ამ მთების ძირასაა გამილილი სწორედ ნაგასაკი. წუ-თით გაბრტყვიალდა მკრთალი მწვანით მოსილი გორაკი, სხი-ვებმა ახლა მთაზე გადაინაცვლეს, მერე ქალაქი გააციხკროვნეს. მთა კი ამასობაში ჩაქუფრდა; მზის შუქი ყოველ ჩაღრმავე-ბულში იჭყიტებოდა, ციცაბო კალთებს ეალერსებოდა, რომ-ლებიც შემდეგ თალხი ფერით იმოსებოდნენ; მერე ნაგასაკის მარცხნივ მდებარე სამი პატარა გორაკი ერთად აალაპლაპა და ბოლოს მთელს ნაპირს ოქროდ დაედვარა. პატარა ბოლახები, ქოხები, ბატარეები, კლდის ნაპირებზე უზარმაზარ თაიგულე-ბივით გაბარდნილი ბუჩქები უეცრივ გაბრწყინდა. ყველაფე-რი ლამაზი იყო, პოეზიით სავსე, ბატარეებისა და იაპონელე-ბის გარდა. ამათ რა მზე უშველიდათ.

24-ში. არაფერი მომხდარა, არც ვინმე ყოფილა: ეტყობა, იაპონელები შეგვიწყურნენ, რეიდზე რომ მაინც განვაგრძობთ სეირნობას, საყარაულო ნაევების მიუხედავად, და თან ცივალაც რომ შევხვდით.

25 სექტემბერი — დღეს ერთი წელი შესრულდა. რაც „პა-ლადაზე“ ალამი აიმართა და კრონშტადტის რეიდიდან დაიძრა, მაშასადამე, რაც ლაშქრობა დაიწყო. ხომალდზე ზემოთ, პა-რაკლისი გადაიხადეს და დიდი სადილიც გამართეს. იაპონე-ლები მოვიპატოქეთ: უფროსი ბანიოსი, ხ ა გ ი ვ ა რ ი-მ ა-ტ ა ს ა გვეწვია, ის ახალ გუბერნატორს ჩამოჰყოლოდა ედო-დან.

იაპონელებს კვლავ დავუტკბით და დავუყვავეთ: ადმირა-ლის კაიუტაში მიიწვიეს, სასმელითა და ჩაით გაუმასპინძლ-დნენ და ნაპირზე გადასასვლელი ადგილის თაობაზე გამო-ჰკითხეს. თქვეს, იმედი გვაქვს, ერთი-ორი დღის შემდეგ მი-ვიღოთ პასუხი ედოდანო. იაპონელებს განუცხადეს, რომ უარს არ ვიტყოდით გასავალში შესვლაზე, თუკი ისინი იქ გზის გა-დასაღობად ჯაჭვად ჩარიგებულ ნაევებს მოხსნიდნენ. ჯერ, ჩვეულებისამებრ, თავიანთი კანონები მოიმიზეზეს, მერე

თქვეს, რომ საყარაულო ნაევებში დაქირავებული ხალხი ამით შოულობსო ლუკმაპურს. პ[ოსიეტმა] ადმირალის ბრძანებით მიუგო მათ, რომ მათი კანონები მხოლოდ ორასი წელია რაც არსებობს, ე. ი. უცხოელების შემზღვეველ კანონებს გულისხმობდა, რომ დროა გარემოების დაუთმონ და შეცვალონ. ეიონსკემ მეტად გონივრული და საფუძვლიანი პასუხი გასცა: „ხომ გესმით ჩვენი კანონები რატომაცაა ასეთი (მან ხელით გვანიშნა, როგორც იყო, ე. ი. შემზღვეველიო, ოღონდ თქმა ვერ გაბედა), უეჭველია უთუოდ შეიცვლება, მაგრამ ევროპიელთა ხომალდები, — დასძინა მან, — ხშირ-ხშირად მოდიან ახლა და ბლომადაც, ნაგასაკი კი სულ ათი წელია, რაც არსებობს, ამიტომ შეცვლის საჭიროებას აქამდე არ ვკარძობდითო“.

აი, როგორ ლაპარაკობენ ამქამად იაპონელები! ვითომ დიდა ხანია მას აქეთ, რაც ჩამოსული სტუმრების ხელ-ფეხის დაზოკვისა არ ეშინოდათ? დიდი ხანია, რაც ევროპის სახელმწიფოებს კანდიერებაში უფვლიდნენ, წერილის მოწერას როგორ გვიბედავენო.

ჩვენთან ისევ გრძელდება მხიარულება ზღვაში გასვლის წლისთავის თაობაზე. უკრავს მუსიკა, მღერიან მომღერლები. მუხღვაურებმაც მიიღეს უფროსებისგან ზედმეტი ფიალა სასმელი და იქეიფეს. სასაცილო სცენებიც გაიმართა. კაიუტ-კამპანიაში უფროს ოფიცერთან მწერავი მოვიდა და დამკვრელ მაკაროვზე შესჩივლა. **ზ უ რ გ ი ა მ ი ჰ რ ე ლ ა ო.** „მწარედ გცემა?“ — ჰკითხეს მას. „ეგრე გახლავთ, — მიუგო შეზარხოშებული კაცის ღიმილით, რომელშიც წყენა და სიამოვნება ერთად შერწყმულიყო, — წერა სულ აღარ შემძლია“; — დააყოლა თვალბაწყლიანებულმა, ხელი ჰაერში დაატრიალა, თითქო წერსო, და ისევე შემოგვლიმა. „მაკაროვი, ეტყობა: მთვრალია, ხომ?“ — „ეგრე გახლავთ“. მაკაროვს დაუძახეს. ის უფრო ფხიზლად გამოიყურებოდა და მედიდური, კუშტი იერი ჰქონდა. „რატომ სცემე?“ — ჰკითხეს. „არ მიცემია, მხოლოდ ხელი ვკარი მკერდში...“ — თქვა მან. „ეგრე გახლავთ, მკერდში მკრა“, — კვერი დაუკრა მწერავმა. „რა მიზეზით?“ — „მუშტი უნდოდა სახეში ჩაენათებინა!“ — მიუგო მაკაროვმა. „მართლა განდოდა?“ — „ეგრე გახლავთ“, — უპასუხა მწერავმა. ყვე-

ლა ახარხარდა, ორთავე გააგდეს და შერიგება უბრძანეს.

სალამოს სხვა კომედია გაიმართა: ბუკი რომ დაჰკრეს, ერთი ცნახოთ, ბუკის დამკვრელმა სულ სხვა რამ დაუკრა. მევახტე ოფიცერმა მკაცრად შეაჩერა. როცა დაკვრას შორჩნენ, ოფიცერი მივიდა მასთან. მეზღვაურს სახეზეც ეტყობოდა, დიდი საზრიანი არ უნდა ყოფილიყო. „რა დაუჯარი?“ — ჰკითხა ოფიცერმა. პასუხად დუმილი. „რა დაუჯარი-მეთქი?“ — „შემეშალა! — მიუგო მან, — დამავიწყდა“. — „ჰამა არ გავიწყდება?“ — „არა, ბატონო“. — „დღეში რამდენჯერ ჰამ?“ — „ორჯერ“. — „როდის?“ — „სადილზე და ვახშამზე“. — „საუზმეზე?“ — „საუზმეზეც“. — „მამასადამე, რამდენჯერ?“ — „ორჯერ“. — „რატომ ორჯერ: სადილზე ხომ ჰამ?“ — „ეგრე გაზღავთ“. — „ვახშამზე?“ — „ვახშამზეც“. — „საუზმეზე?“ — „ეგრე გაზღავთ“. — „მამ რამდენჯერ გამოდის?“ — „ორჯერ...“ „საუზმეს არ თვლი?“ — „ეგ რა საქმელია, ფაფა“.

27-ში. არც ერთი იაპონელი არ გამოჩენილა. მოწმენდილი, გრილი დილა იყო, ნიავი ქროდა. 15° ან 16°-ზე მეტი არ იქნებოდა. ჩვენები ნავებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და შორს გაიჭრნენ, რაც იაპონელებს არ ესიამოვნათ. მათი პატარა ნავები დიდებს მოწყდნენ და არ ვიცი რატომ, ჩვენს კატერებს გამოედევნენ. ქარი ქოდა, კატერები გრძელსა და მოკლე გალსს არტყამდნენ, უეცრივ მოუხვევდნენ, იკანკლურად იწყებდნენ სვლას და ერთმანეთს გზას უჭრიდნენ. იაპონელები შეჩერდნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მე იუტზე ვიდექ. ერთმა იაპონელმა ნავმა გვერდით რომ ჩამიარა, ჩვენებზე მანიშნა ხელით. მეც ხელით ეუპასუხე, შორს გავლენ სასეირნოდ-მეთქი.

ჩვენი და კორვეტის ოფიცრებმა გოგოლის „ქორწინება“ და „დავა“ დადგეს. სცენა კორვეტის შეკანცებზე გამართეს. „დავა“ ნაგასაკის რეიდზე ითამაშეს! ვიცოდი, რომ ემზადებოდნენ; რეპეტიციები ტარდებოდა, ბ[არონი] კ[რიდნერი] ყველაფერს მოთავეობდა; წასვლა არ მინდოდა: ვიფიქრე, საცუდაობა იქნება-მეთქი, მაგრამ არა უშავს, კარგი გამოვიდა. მ[იჩიმანმა] ზ[ელლიონიმ] თავი ისახელა: ჰუმორით ღმერთს დაუჯილდოებია, თანაც ჩვენი გამოჩენილი კომიკური მსახიობები ჰყოლია ნახული. სასაცილო იყო ლ[ოსევიც] მაქანკლის როლ-

ში. ერთი სიტყვით, მეტისმეტად სასეირო გახლდათ ორიგინალობითა და მსახიობთა უგერგილობითაც. კორვეტიდან წამოსვლისას ისეთი სურათი ვნახე, რასაც დახატულს ნახავ და არ დაუჯერებ: გასარკულ წყალს მთვარე. დანათოდა, ნელა ტორტმანებდა ფრეგატის სილუეტი, ირგვლივ ჩაბნელებული. მძინარე გორაკები იდგა, ნავებსა და მთებში შუქი ციმციმებდა. აივანოვსკის სურათები გამახსენდა.

28-29-ში. იაპონელები მოვიდნენ გუბერნატორიდან და გვამცნეს, რომ გასავალიდან ყველა ნავის მოხსნა არ შეუძლიათ; ეს გუშინ, დღეს კი, მაშასადამე 29-ში, გამოგვიცხადეს, რომ გუბერნატორს სწადია გასავალი შუაში სულ დაკეტოს და გვერდებიდან გახსნას, ნაპირთან, თითო-თითო ნავს გაიყვანსო. აღმირალმა ბრძანა ეთქვათ, რომ თუ ამას ჩაიდენენ, მაშინ ის უბრძანებს თავის ნავებს ძალით გაათრიონ ნავები. რომლებიც გაბედავენ და კორვეტისკენ შუა გასავალს გადალობავენო. თარჯიმნებმა რომ ნახეს, აღარ ეხუმრებოდნენ, მაშინვე გაგვეცალენ, ჩაიც არ დაულევიათ.

გუშინ ახალი ჩინებული თევზი მოგვიტანეს, კალმახსა ჰგავდა, ოღონდ ერთი უშველებელი რამ იყო. თითოეული ოცდაათ კაცს ეყოფოდა. ოცდაათამდე პრონსიც მოაყოლეს (შრიმსის ტიპის კიბობებია, ოღონდ უფრო მოზრდილი), ძალზე გემრიელი გამოდგა. ზაფხულის დარი დგას, შუადღისას ჩრდილში 17 გრადუსია, მაგრამ ღამით ცივა.

ჩემი დღიური პატიმრის ყურნალსა ჰგავს, არა? რა ვქნა! აქ თითქმის საპატიმროში ვართ, თუმცა ბუნება მშვენიერია, ხალხი საზრიანი, მარჯვე და ღონიერი, ოღონდ ნორმალურად და გონივრულად ცხოვრება ჯერჯერობით არ ძალუძს. გაგიკვირდებათ ალბათ, მოწყენილობისგან რით არ დავიხოცენით, ფრეგატიდან გადასვლა რომ არ შეგვიძლია; მოწყენის დრო არ გვრჩება: საქმე ყველას გვაქვს. აღმირალს უსაქმო კაცის დანახვა არ შეუძლია; უქმად მოყიალეს თუ შეგასწრო თვალი, მაშინვე საქმეს გამოგიძებნის: ხან რაღაცას დაგაწერინებს, თუმცა კი შეიძლებოდა morgen, morgen, nur nicht heute¹, ხან რომელიმე წიგნს შემოგაჩეჩებს წასაკითხად:

¹ ხვალ, ხვალ, დღეს არა (გერმ.).

თვითონ შევიჩვეს თავის ბიბლიოთეკაში, თავის შეწუხებას არ დაერიდება და დაგინიშნავს, რა წაიკითხო ან გადმოთარგმნო იქიდან.

30-ში. შესანიშნავი არაფერი მომხდარა. ბანიოსები გამოიძახეს, მაგრამ არ მოვიდნენ: ეტყობა, გული მოუვიდათ, როცა დავემუქრეთ, მათი ნაგები თუ ხელს შეგვიშლიდა, ძალით გაათრევდით მოშორებით. საერთოდ, ჩვენები უფრო მედგრად დაუღვნენ მათ. სანოვაგე მოგვიტანეს და, სხვათა შორის, დიდრონი, მრგვალი კიბოებიც მოაყოლეს, ობობებს რომ ჰგავდნენ. მაგრამ ისინი არ მომეწონა: არც მარწუხები ჰქონდათ და არც კისრები, კიბოებში კი სწორედ ესაა გემრიელი; ფეხებს არა უშავდა, ოღონდ მაგარი იყო; შუაგულში ათასნაირი საძაგლობა იყო, მაგრამ ჯამის ქვემოთ თეთრი ხორციც აღმოვეჩინეთ.

სალამოს მწუხრის ლოცვა შედგა, მეორე დღეს ღვთისმშობლის საფარვლობა იყო. მწუხრის შემდეგ იუტზე ვცემდი ბოლთას და ჩემდაუნებურად მიჩმან ბ[ოლტინისა] და მესიგნალე ფედოროვის საუბარს წავესწარ. ეს ის მეზღვაური გახლდათ, რომელსაც შეეშალა და სალამოს ბუკის ნაცვლად ლოცვის საუწყო ბუკი დაუკრა: ფედოროვი საოცრად მიამიტი ვინმე იყო. „აბა, მთვარეს დააცქერდი ერთი ჰოგრიტში,—ეუბნებოდა ბ[ოლტინი] და იუტზე წინ და უკან დადიოდა, —როგორც კი სამი თუ ოთხი კაცი დაინახო ზედ, მაშინვე მითხარი“. — „მესმის!“ ფედოროვი ჰოგრიტს მიადგა და დიდხანს იცქირა შიგ. „რატომ არაფერს მეუბნები?“ — „იქ მარტო ორი ჩანს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ“. — „რას აკეთებენ?“ — „არაფერს“. — „აბა, ჰკვიანად იყავ“. — „ვინ იქნებიან ნეტავ?“ — ჰკითხა ბ-მა. მეზღვაური დუმდა. „თქვი, რაღა!“ — „კაინი და აბელი“, — მიუგო მან. „აგერ, იმ ორ ვარსკვლავსაც მიაქციე უურადლება, დაიძახსოვრე, რა ჰკვია: აი იმას, ვენერა, ამას კი იუპიტერი“. — „მესმის“. — „თუ რამე დაემართათ, მომახსენე“. — „მესმის“. ფედოროვმა სერიოზულად დაიწყო ცქერა იქით. ერთი წუთის შემდეგ მე ვკითხე, ინგლისიდან რომ წამოვედით, რა და რა ადგილებში შევიარეთ-მეთქი. ფედოროვი გაჩუმდა. „ჰო, თქვი!“ — „იმედზე“ (კეთილი იმედის კონცხი). „მანამდე?“ — „დამავიწყდა“. — „აბა, გაიხსენე!“ — ის ჩუმად იყო. „ჰო, სად?“ — ისევ დუმილი. „ღვინოების სახელები მაინც გაიხსენე,

იქნებ მოგაგონდეს“. ღუმელი. „რა ღვინოები იყო?“ — „ქაფ-ქაფა“. — „ჰო. ფრანგულს რაღა ერქვა?“ — „რენსკისა“. — „მადერა არ გახსოვს“. — „ეგრე გახლავთ, მადერაც იყო. ჩვენ .ჩქაც ვიყავით“. — დაუმატა მერე. „ვარსკვლავებისას რას მე-ტყვი?“ — ჰკითხა უცბად ბ-მა. ფედოროვმა შეშფოთებით მიიხედა: ერთი ვარსკვლავი უკვე გამქრალიყო, პორიზონტს ნოჰფარებოდა. „სად არიან?“ — „ერთიღა დარჩენილა“. — „მეორე სადაა?“ — „რა მოგახსენოთ“. — „რა ერქვა?“ ღუმე-ლი. „ჰო, რა ერქვა-მეთქი?“ — „მადერა“, — ჩაფიქრების შემ-დეგ უპასუხა ფედოროვმა. „მეორეს?“ — „პიტერი“, — თქვა მან. ესეც გასართობი იყო, რაკი სხვა არა გაგვაჩნდა რა.

1 ოქტომბერი. ჩვენც ვზეიმობთ და ბუნებაც ზეიმობს. მოი-გონეთ ჩვენი შემოდგომის კამკამა გრილი დღეები, როცა საღმრე ქალასა თუ გრძელ ხეივანში, დამქვნარ ფოთლებით მოფენილ ბილიკებზე დასეირნობთ; როცა ჩრდილში ეგზომ გრილა, ხო-ლო თუ მზეზე გახვალ, მაშინვე ზაფხულივით გაგათბობს, დაგცხება კიდევ; მაგრამ რა წამს გადაიღელავ. ჩრდილოეთიდან გამჰვალავი, საამო ნიავი დაგიბერავს, და მაშინვე უნდა შეი-ფუთნო. ცა ლურჯად ლივლივებს, ყველაფერი ბრწყინავს, ყო-ველივე მორთულა. აქაც, განედის ამ 32°-ზე ჩვენებური ამინ-დი დგას. ოღონდაც მზის ამოსვლისა და ჩასვლის წინ დაისი თუ აისი, იმდენად დიდებულია, ჩვენსას არა ჰგავს. დღესაც ასეა: ცამ მკრთალი მწვანე გადაიკრა, საოცარი, ფანტასტიური ფერი, რაღაც ნაღვლიანი რომ იგრძნობა შიგ; ერთი წუთის შემ-დეგ მწვანე ფერი იისფერმა შესცვალა, მალა, სულ მალა ღრუბლების მურა და პირისფერი ფიორები მისრიალებდა, ბოლოს მთელ დასალიერს ძოწი და ოქრო გადაეღვარა — მზის გამოსათხოვარი სხივები... ტროპიკებს ძალუმ მიაგავს.

იპონელები, მგონი, არ ყოფილან... აჰ, მახატიეთ — იყვნენ; იყვნენ: თევზი და კიბოები მოიტანეს. ბანიოსები არ გამოჩენი-ლან: ნავები რომ გარეკეს, ეშინიათ, ვაითუ მოგეხვდესო; ან იქნებ ჩვენი უწყინარი მოპყრობა რომ ნახეს, ავეიგდეს და აღარ გვეახლებიან. მაგრამ თუ უთხარ, ჩვენი ნავებით ახლავე წავალთ-თქო ნაგასაკში, — ნუ გეშინია, მაშინვე აქ დაიბადე-ბიან. თუ შეაშინე და გუბერნატორი მოითხოვე — ისიც გა-მოცხადდება. მაგრამ მაშინ კი აღმირალის მიერ ერთხელ და

სამუდამოდ არჩეულ მშვიდობიან და თავაზიან გზაზე ზეღის აღება მოგვიხდებოდა.

მაგრამ ხანდახან კი კარგა მაგარი შეფუცხუნება არ ავნებთ. აი, დღეს, მაგალითად, სადამოს რვა საათზე რალაც პროცესია გაიმართა. ერთ დიდ ნავს ოციოდე პატარა, ფარნებით განათებული ნავი მოათრევდა ბუქსირზე; პროცესიას გაშაგებული ღრიანცელი სდევდა; ნავები კუნძულებიდან ქალაქისაკენ მიემართებოდნენ. ჩვენები, კ. ნ. პ[ოსიეტი] და ნ. ნ[აზიმოვი], სტუმრად რომ იყო, ორი ნავით კორვეტისაკენ, გასავალში წავიდნენ. პ-ის ნავში შეშის ნაკოდალი ისროლეს, ნ-ს კი წყლის შესხმა დაუპირეს, მაგრამ ვერ მოახვედრეს. პ-მა მაშინვე მოაბრუნა და ნავს მიუახლოვდა; აქ ოციოდე კაცი იჯდა: ყველა გაიტრუნა და ნავის ფსკერზე დაიშალა.

2 და 4 ოქტომბერი. ასეც გამოდგა: შიშს ძალუმ შეუძლია გასჭრას. გუშინ, ორ ოქტომბერს, ბარათი გაუგზავნეს იაპონელებს და შეატყობინეს, თუ ბანიოსები არ მოვიდოდნენ, ერთ-ერთი ოფიცერი გაიგზავნებოდა მათ მოსაყვანად ქალაქში. კარგა შეღამებულზე თარჯიმანი მოვიდა და გვაცნობა. ბანიოსები ხვალ 12 საათზე მოვლენო.

11 საათზე სამნი გამოგვეცხადენ: ოიე-საბროსკი, მეორე, ედოდან ჩამოსული, და მესამეც ახალი. ბოდიში მოიხადეს, ამდენ ხანს რომ არ მოვედითო, ყველაფერი თარჯიმანს გადააბრალეს, ვითომც ისე არ აეხსნას და თქვეს, ასეთი რამ აწ აღარ გამეორდებო. გუშინ იმათი ორი ნავი ძალით გაიყვანეს ფრეგატიდან მოშორებით; ჩემი თვალთ არ მინახვს, მაგრამ ამბობენ, სასეირო სანახავი იყო, როგორ გასასვსავეს ზელები, როცა ჩვენი კატერები მიუახლოვდა, მათი ლუზა ამოსწია და შორს გაათრია ისინიო. ბანიოსებს კრინტი არ დაუძრავთ ამაზე. უამბეს, ნაკოდალი რომ ესროლეს ჩვენს ნავს და სხვა მსგავსი სისულელები ჩაიდინეს: ბანიოსებმა ბოდიში მოიხადეს, თავი გაიმართლეს, არაფერი ვიცოდითო. გუშინდელი პროცესია — მხოლოდ თავად ფიზენსკის მოურავის ვიზიტი ყოფილა პოლანდიელებთან, ჩვენ კი რელიგიური ზეიმი გვეგონა. ნაპირზე თქვეს, ყოველდღე ველითო პასუხს.

დღეს შაბათია: ჩვეულებისამებრ სანოვაგე მოიტანეს და მწუხრის ლოცვა ისევ ჩაგვიშალეს. ყოველნაირი მწვანის,

თევზისა და გომარების გარდა, სხვათა შორის პატარა ცოცხალი ირემი თუ შველი მოგვიყვანეს, ღორის ნაცვლად; ამბობენ, მეტი აღარ გვყავს, გოჭებილა დარჩა, მაგრამ იაინი სანაშენოდ გვკირღებო.

ბანიოსებს თარჯიმნებად ლიოდა და სიოზა ახლდათ. იაპონურ ლაპარაკს რომ ჩავაკვირდი, მეტად მკლერი ენა მომეჩვენა. ხმოვნები ჭარბობს, განსაკუთრებით დაბოლოებებში. უხეშ, ხორხისმიერ ბგერებს ვერ გაიგონებ, როგორც სხვა აღმოსავლურ ენებს სჩვევიათ. ბანიოსებმა კი გვითხრეს, თითქოს და რუსული ენა ჩინურს ჰგავდეს — დიდად არ შეგვაქეს! ბევრი რამ შეეუყვეთეთ, მარაოები, გალაქული კოლოფები თუ სხვა მისთანები. არ ვიცი, მოგვიტანენ თუ არა.

4-ში. კვირაა. ჩვეულებისამებრ წირვით დაიწყო, მერე იაპონელი თარჯიმნები გვეახლნენ და გვაცნობეს, რომ ჩვენი სურვილის თანახმად ნაგებს შორს გადაიყვანენ, ოღონდ ითხოვეს თქვენ თვითონ ნუ ჩაიდნთ ამასო. წინა დღეს ვუთხარით, როგორც ჩანს გუბერნატორის ბრძანებას არ ასრულებენ, მაშინ ჩვენს თავზე ავიღებთ მისი აღმატებულების დახმარებასა და ბუქსირით გავიყვანოთ-თქო. გუშინ შესანიშნავი სადამოგვექონდა. როცა დადამდა, უცბად დავინახეთ, ქალაქისკენ მიმავალ სრუტეში თითქო ორი ვარსკვლავი მოცურავს ჩვენსკენ; მაგრამ იაპონელთა შუქი არ იყო, — არა, რაღაც უფრო კაშკაშა, ცოცხალი, ციმციმა ჩანდა. ღამის ქოგრიტში გავხედეთ, მაგრამ ყველაფერი ჩაქრა; ვხედავთ მხოლოდ, რომ ნავი მოცურავს; კიჩოს მოადგნენ და უცბად მელოდიური სიმღერა... სერენადა გაისმა! კორვეტის ოფიცრებს, პატარა კამჩატკელ ბიჭებთან ერთად რუსული და ბოშური სიმღერების სერენადის მოწყობა მოგუწებებიათ. დიდხანს დაცურავდნენ ისინი მთვარის შუქზე ფრეგატის ირგვლივ და ხელოვნურ შუშხუნებს ფალშფეიერებს სწვავდნენ. ჩვენ იუტზე ვიდექით და გასუსულები ვუსმენდით. რომ დაამთავრეს, აღმირალმა მადლობა გადაუხადა და ოფიცრები ჩაიზე მიიწვია. პატარა მგალობლებსაც გაუმასპინძლდნენ ჩაით. ბრდღვიალა შუქის დანახვზე, ერთი იაპონური ნავი სხვებს გამოეყო, მაგრამ ახლოს არ მოსულა: ვეღარ გაბედა, მხოლოდ გაჩერდა და ერთ ადგი-

ლას დიდხანს ტორტმანებდა, ალბათ უცხო სირინოზთა ხმამ დაატყვევა.

5-ში. დღეს წვიმს, ოღონდ თბილი, თითქმის ზაფხულივით წვიმაა, ასე რომ ვასკა კატამაც არ მიატოვა იუტი; მხოლოდ გიკს შეეყუჟა. დავინახეთ, ორმა შუბებიანმა და ნიშნებიანმა ნაგმა საყარაულო ნავეებს რომ ჩამოუარა ბრძანების დასარიგებლად. საყარაულო ნავეებიც ამის შემდეგ უფრო მიზორებით დადგნენ. აღმირალმა ბრძანა, ნავეებზე სიტყვა აღარ დაძრათ, ხოლო თუ ჩვენებს დაედევნებიან, ბუქსირით წამოათრიეთო თან.

6, 7, 8, 9, 10-ში. შველი დავკალით და შემწვარიცა თუ კატლებიც გიახვლით მისგან — უგემრიელესი რამ იყო! საქონლის ხორცს გაცილებით სჯობია, უფრო ნაზი და რბილია. პ. ა. ტ[ინშენევი] აღმაცერად უცქერის შველს. კიბორჩხალებს. კურდღელსა თუ სხვ. პირს ვერ აკარებს. „მაგათი ჭამა წესი არაა. და თანაც მეზიზღებაო“. შველზე იძახის, „ძალი“ არისო. დესერტად აქაური უცხო ხილი მოგვიტანეს, პოლანდიურად kakies ჰქვია, მოწითალო-მოყვითალოა. რბილი, ტკბილი და ქლიავივით გრილი; მაგრამ ქლიავი არ უნდა იყოს, უფრო ლელვის ჯიშს ეკუთვნის, როგორც მ[ამა] ა[ვაკუმი] ამბობს. აქ ჯერ კიდევ პორტუგალიელებს ჩამოუტანიათ. მათებურად კაკო-ლელვი ეწოდება. მ. ა-ი ამბობს, ჩინეთში ბლომადაა ეს ხილიო... მაგრამ შვლისა თუ ხილისთვის ახლა სად გვცალია, ბევრი ახალი, მნიშვნელოვანი ამბები მოხდა.

7 ოქტომბერს ზუსტად ერთი წელი შესრულდა. რაც კრონ-შტადტი დავტოვეთ. ეს დღე არაფრით აღნიშნულა. ცოცხლად დამიდგა თვალწინ, ერთი წლის წინათ პირველად ზღვაში რომ გამოვედი. ჩემი მყუდრო ოთახი და საწოლი კოიკამ და ატორტმანებულმა გემბანმა რომ შეცვალა, მწყრალად შემოგვხვდა რა ზღვა. დაიზუზუნა ქარმა და ტალღები წამოაქოჩრა: თვალწინ დამიდგა თოვლი და წვიმა, კბილის ტკივილი. მეგობრებთან გამოთხოვებაც...

როგორც იქნა, იაპონელი ბანოვანებიც ვიხილე: ისეთივე ქვედატანები აცვიათ, როგორც მამაკაცებს, კოფთები ყელამდე დახურული, ოღონდ თმა არ აქვთ გადახატრილი და რიგიანი ოჯახის შვილებს ქინძისთავი უმაგრებთ ნაწნავს. ყველა შავ-

გვრემანი და ფრიალ ულამაზოა! ამბობენ — დიდად წესიერები არ უნდა იყვნენო — ვერ გეტყვით, არაფერი მინახავს და იაპონელ ქალებს არ მინდა სახელი გავუტეხო — ფრეგატთან ახლა ბევრი იმათგანი დაცურავს: ყველა ულამაზოა, ჩაშავებულ კბილებით; მეტწილად თამამად უჭირავთ თავი და კისკისებენ; ხოლო ვინც შესახედად უყეთესია და უფრო მდიდრულად ჩაცმულია, მარაოს იფარებს სახეზე.

მაგრამ ეს წვრილმანი ამბებია: დიდი ვითომ რა არის? აი, რა: 9 ოქტომბერს, ნასადილევს, თქვეს, გოკეინსები მოდიანო. არც ეს იყო გასაკვირი: უკვე მიჩვეულები ვიყავით. მეგახტე ოფიცერმა ჩვეულებისამებრ კ. ნ. პ[ოსიეტს] აცნობა ეს ამბავი. გოკეინსები კაპიტნის კაიუტაში შემოიყვანეს. მე იქ ვიყავი. „ოჰო! ოიე-საბროსკი! კიჩიბეე!“ — შეევხვდი მათ და მხიარულად გავუწოდე ხელი; მაგრამ უსიტყვოდ ჩამომართვეს, სალაშზე ძლივს მიპასუხეს. ნეტავ რას ნიშნავს? მუდამ ალერსიანი, თავაზიანები იყვნენ, განსაკუთრებით საბროსკი — დიდი ხუმარა და ხითხითა ვინმე გახლდათ, ახლა კი... ყველას რა საზეიმო იერი ადევს, რატომ არავინ იღიმება? „ავად ხომ არ ხარ, საბროსკი?“ — ვკითხე, „არაო...“ — „მაშ რად მოგიწყენია, სხვებსაც რაღად ჩამოსტირის სახე?“ პასუხი არავინ გამცა. მარტო კიჩიბეს ჩვეულებისამებრ გადმოეყარა ზედა კბილები და ფაციფუცობდა: ხან ბანიოსების წინ გამოიჭრებოდა, ხან გატრიალდებოდა და დაიყრანტალებდა, უგემურად იკრიჭებოდა. ეინოსკეც აქ იყო. ამას დაწყობილი სახე ჰქონდა, გაბედულად იცქირებოდა, სხვებს როდი ჰგავდა.

ეინოსკეს, სიოზას, ნარაბოისი მეორეს საუბარში შიგადაშიგ წამოცდებოდათ ხოლმე, რა შურით გვიცქერდნენ ჩვენ თუ ყოველივე ევროპულს ისინი, ეტყობა, გრძნობდნენ და ერკვეოდნენ თავიანთ მდგომარეობაში, ნაღვლობდნენ და მუნჯ, მორჩილ ოპოზიციას წარმოადგენდნენ: ეს jeune Japon¹ გახლავთ. სადაგორა — პოლანდიელებისთვის მიჩენილ ძიძასა და რისხვას წარმოადგენს, ლიოდა, პირიქით, ძველისძველ ბოურჯულებელ იაპონელთა თანრიგს უნდა ეკუთვნოდეს. ისინი იმ მსახურებს ჰგვანან, რომლებთაც ძველი დროის ხავსი

¹ ახალგაზრდა იაპონია (ფრანგ.).

მოსდებიან, ძველ ადათებს არ ღალატობენ, ყოველივე ძველი მათ თვალში მშვენიერია, შეცვლა არაფრის სურთ და ყოველივე სიახლე ცოდვად მიაჩნიათ. სადაგორა — ბებერი, უხეში ცინიკოსია, ლიოდა, პირიქით, პირმოთნე, ქლესა მსახურია, ყველას რომ თავს უკრავს. კიჩიბე ამ ორს შუა juste milieu-ს¹ წარმოადგენს; იმათზე უფრო გონებაგახსნილია: სიახლის ისეთს მოურჯულებელ მტრობას არ იჩენს, იაპონური მმართველობის სისტემა დიდად არ სწამს, მაგრამ ვერც ფეხის ხმის აყოლა ძალუძს. ვინც ჯამაგირს მისცემს, იმას მოემსახურება. კიდევ იასიროს, კიჩიბეს ვაჟსა და სხვა მოზარდებსაც ნახავ აქ, ყველა თარჯიმნობის კანდიდატები არიან. იაპონიაში თანამდებობა მემკვიდრეობით გადადის: ვაჟი მეტწილად მამის ადგილს იკავებს.

ბანიოსებმა განაცხადეს, რომ აღმირალთან სურთ საუბარი. მე და პ[ოსიეტი] თავს ვიმტვრევდით, ნეტავ რაზე-თქო? „ალბათ, ადგილზეო“, — იძახდა ის. „უთუოდ უხეირო იქნებამეთქი!“ — დავუმატე მეც. აღმირალს მოვახსენე მათი სურვილი და, შემოიყვანეთო, მითხრა. ყველანი დასხდნენ; სიჩუმე გამეფდა. საბროსკიმ მკერდზე ჩაჰკიდა თავი; მეორე ბანიოსი, ბრუტიან² ზორზოხა ბებერი, ჩაფიქვინებული სახით, გამოშტერებული თვალებით უყურებდა ყველაფერს და ხამუშ-ხამუშ ამთქნარებდა; მესამე, ჩია ტანის იაპონელი ამ ორ შუა სულ აღარ მოჩანდა და თავის მეზობლებს გამომეტყველებასა და პოზაში ბაძავდა. ეინოსკე ჩაფიქრებული ღუშდა. მარტო კიჩიბე იჯდა თავმომწონედ და ელოდა, როდის უბრძანებდნენ ხმის ამოღებას. ჩვენც ველოდით, რა იქნებოდა.

ზოლოს საბროსკიმ ღრმად ამოიხვნეშა, თვალები მოჭუტა და ისე ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, თითქო არც ტუჩები, არც ენა და არც ყელი არ გააჩნდა; ხვნეშა-ხვნეშით ლაპარაკობდა. რომ დაამთავრა, კარგა დიდი ოხვრა ამოაყოლა. კიჩიბემ ჩვეულებრივ ღიმილით, აუშლვრეველი თვალებით, თავდახრილმა, უბრალოდ ყოველგვარი ოხვრისა და ცაღონების გარეშე გვამცნო, რომ სიოგუნი არც მეტი, არც ნაკლები, gestorben — გარდაიცვალა!

¹ ოქროს შუაგული (ფრანგ.).

ჩვენ წუთით ადგილზე გავქვავდით, სხვა არაფერი მოგვსვლია. „გადაეცით, რომ სულით და გულით ვიზიარებ მათ მწუხარებას“, — მიმართა ადმირალმა მოხელეებს. ბანიოსებმა თავი დაგვიკრეს, ზოგიერთებმა კვლავ ამოიოხრეს, ოიემ ისევ ჩურჩული გააბა. „ხი! ხი! ხი!“ — ისმოდა მხოლოდ კიჩიბეს მომაკვდავივით სლუკუნნი. მერე პაერი ჩაისრუტა და ჩვეულეზისამებრ ნაწყვეტ-ნაწყვეტ. შეგუბებული ხითხითით დაიწყო გადმოთარგმნა — ასე მხოლოდ უარის თქმისას სჩვეოდა, ამ ხითხითით კი მწარე აბის მოშაქრვა და დატკბოდა ეწადა. „ამ სამწუხარო ამბის გამო ელოდან... პასუხის მიღება --- ხო, ხო, ხო — უნმოგლიკ — შეუძლებელიაო!“ — დააბოლოვა, როგორც იქნა. თითქო ეს უკანასკნელი სიტყვები ძალით ამოგლიჯესო.

ამაზე ადმირალმა ბრძანა გადაეცათ, რომ სამაგიერო პასუხს წერილობით აცნობებდა. „ყველა განსვენებულის დაკრძალვითა და ახალი სიოგუნის ტახტზე ასვლითაა დაკავებულნი; — განაგრძობდა კიჩიბე თარგმნას, — ყოველივე ამას ცერემონია სჭირდება“ და ა. შ. ადმირალმა აკითხვინა: მალე თუ მოგვცემენო ნაპირზე გადასასვლელ ადგილს? საბროსკის პასუხი კარგა ხანს გაგრძელდა. კიჩიბემ მოუსმინა და თქვა, „ელოდან ამაზე... — აქ ხითხითმა ლამის გაგუდა... — არავითარი ნებართვა არააო მოსული“. — „ნებართვა ამ ხანში სამჯგერ შეეძლოთ გამოეგზავნათ, — მკაცრად შენიშნეს მას, — აქამდე პასუხი რატომ არა ჩანს?“ კიჩიბემ კითხვა გადათარგმნა, პასუხი მოისმინა და დაიწყო: „ელოდან ამაზე არავითარი — ხო, ხო, ხო — ნებართვა არ მოსულაო“. — „ეგ უკვე მოსმენილი გვაქვს, — უთარგმნიდათ კ. ნ. პ[ოსიეტი], — მაგრამ მოვა კი ნებართვა ან მალე იქნება? ჩვენ ქრონომეტრები გვაქვს შესამოწმებელი. ჩვენს თავაზიანობას და ყურადღებას არ აფასებთ: სხვები რა ხანია უკითხავად გადავიდოდნენ ნაპირზე. ახლა ვხედავთ, რომ ნავსაც კი მხოლოდ ხაფანგია, სადაც უცხოელებს თვალების ასახვევად და გასაცურებლად იტყუილებენ. სატახტო ქალაქი შორსაა — სტუმრებს მოლაპარაკება მოებზრდებათ, დაიღლებიან და უკანვე წავლენო — აი, რა არის თქვენი მიზანი! მაგრამ ამ ამბავს მთელი ევროპა შეიტყობს; ერთი ხომალდიც აღარ მოვა აქ, დარწმუნებული იყავით, პირდაპირ ედოს მიადგება“. კიჩიბემ ისევ გადათარგმნა და ისევ

თავისებური გააბა: „ედოდან... არავითარი პასუხი — ხო. ხო, ხო!.. მიღებული არააო...“

მოდი და ნუ დაკარგავ მოთმინებას! „გუბერნატორს ჰკითხეთ: განზრახული აქვს თუ არა ადგილი მოგვეცეს? ხვალვე გამოგზავნოს პასუხი!“ — ამ სიტყვებით დამთავრდა სხდომა.

შემდეგ იაპონელებს ჩაი და სასმელები გამოუტანეს. დალიეს თითო ჭიქა, თავი ასწიეს, მწუხარე იერი გადაიგდეს, მხიარულად ალაპარაკდნენ, კედლებს, სურათებს, ავეჯს დაუწყეს თვალის ცეცება; საესებით გამხიარულდნენ; დაღონება უკალოდ გაუქრათ, ისე რომ ექვი შეგვეპარა, ხომ არ მოგეატყუეს, ხომ არ მოიგონეს თუ ყველაფერი არა, ამ ამბის შემთხვევის დრო მაინც-თქო. მათი სიტყვებით სიოგუნი 14 აგვისტოს გარდაიცვალა, ჩვენ კი 10-ში მოვედი. იქნებ, შარშან მოკვდა, იმათ კი გვითხრეს, ახლა მიიცვალაო. იმ იმედით. იქნებ უკან გაგებრუნებულყავით. შემოწმებით როგორ შეამოწმებ: ეგენი ვინძლო თავისიანებსაც უმაღავენ ასეთ ამბავს, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხანს ალბათ. აღარ ვიცოდით რა გვეფიქრა, ვმსჯელობდით და ერთ ექვებში ვიყავით. აღმირალმა ბრძანა გუბერნატორისთვის მიეწერათ, რომ რუსეთიდან გამოგზავნილ წერილზე ედოდან პასუხს დაველოდებით. პასუხი, მათი თქმით, გზაში შესცილებოდა სიოგუნის გარდაცვალების ამბავს. უზენაესმა საბჭომ არ იცოდა. რაში იყო საქმე, და ამიტომ პასუხი ვერ მოგვცა. მაგრამ ასეთი ცნობის მოსვლას ედოდან ნაგასაკში ორ თვეზე მეტი როგორ მოუნდებოდა, როცა სამ კვირაში შეიძლება წავიდ-წამოვიდეს კაცი? რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს! ცხადია, რომ სიოგუნი ან მერე მოკვდა, ან უფრო ადრე იცოდნენ, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნის ჩვენთვის ეცნობებინათ, ან სულაც არ მომკვდარა. თუმცა ეს უკანასკნელი დაუჯერებელი ამბავი გახლავთ: თავისი მეფეების ეგზომ ღრმად პატივისმცემელი ხალხი ასეთ მიზეზს არ მოიყვანს, რომ უცხოელები გაბრუნებაზე აიძულონ, ისიც კაცმა არ იცის, გაბრუნდებოდნენ თუ არა. აღმირალმა, სხვათა შორის, ბრძანა წერილში მიემატებინათ, რომ „ეს ამბავი ჩვენი პირველი წერილების მიღებამდე მოხდა, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი იაპონელებს ჩვენს მისაღებად განკარგულებები გაეცათ და აგრეთვე რუსეთის რწმუნებულის გუბერნატორ-

თან შეხვედრის ცერემონიალი განესაზღვრათ და ა. შ. მაშასადამე, არც შემდგომ განკარგულებებს დაუშლის, რამეთუ ასეთ დიდ იმპერიაში სახელმწიფო საქმეთა მსვლელობის შეჩერება არ შეიძლება, რა გარემოებაც არ უნდა შეიქმნეს. ამიტომაც პასუხს დაველოდებით გოროჩიდან და საერთოდ იაპონიის ნაპირებს იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე არ დავტოვებთ, რამაც აქ მოგვიყვანა“.

ასე რომ, იაპონელებს ვერც ამ უკიდურესმა საშუალებამ, ე. ი. სიოგუნის სიკვდილის გამოქვეყნებამ უშველათ, რათა აღმირალისთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინათ: აუცილებლად დალოდებოდა პასუხს. ალბათ, იაპონელთათვის მართლაც მტკივნეულად ხვდება უცხოელ ხომალდთა სტუმრობა მათ ნაპირზე! უეჭველია, იმედი ჰქონდათ, რომ როგორც კი ასეთ მნიშვნელოვან ამბავს აცნობებდნენ, აღმირალი „გაბრუნდებოდა,“ პასუხს ორიოდე წლის შემდეგ გამოგზავნიდნენ, რა თქმა უნდა, უარყოფითს და საქმეს ამგვარად, ვინ იცის, როდემდე გააჭიანურებდნენ.

ერთი დღის შემდეგ იაპონელებმა გუბერნატორის პასუხი მოიტანეს ნაპირზე ადგილის თაობაზე და კიჩიბემ ისევ გააბა: „ედოდან... არაა მიღებული“ თუ სხვ. მისთანები. აღმირალმა ისინი არ მიიღო. პ[ოსიეტმა] უთხრა მათ, რომ აღმირალს პასუხი გადასცა და არ იცის, რას მოიმოქმედებს, რადგან მის აღმატებულებას პასუხი არ უთქვამს. ეს ამბავი დიდად აშფოთებთ ჩვენს ძვირფას მასპინძლებს: ერთხელ უკვე მოვიდნენ რაღაც წვრილმანებზე, სინამდვილეში კი იმაში დასარწმუნებლად, ჩვენ ხომ რასმე არ ვაპირებთ, ხომ არაფერი დაგვცდება ჩვენი განზრახვების თაობაზე. ჩვენ კი მართლაც ვაპირებთ: გვინდა უკითხავად გადავიდეთ ნაპირებზე ქრონომეტრებით. პ[ოსიეტმა] კიდეც შეაპარა ამაზე სიტყვა. იაპონელებს მაინც ეს დაეჩინებინათ, გუბერნატორს არ შეუძლია განკარგულების გაცემა, ამისთვის მოხვდებაო. „ეთქვათ, ჩვენ გადავსულიყავით, ან სხვებიც ასე მოქცეულიყვნენ, მაშინ რა მოხდებოდა?“ — ჰკითხა პოსიეტმა. „ეს მეგობრული საქციელი არ იქნებოდაო“, — იყო პასუხი. „ის კი მეგობრულია, როცა გეუბნებით, ქრონომეტრების შემოწმება აუცილებლად გვჭირდება, რომ უამისოდ ზღვაში ვერ გავალთ, თქვენ კი ადგილს არ გვაძ-

ლევთ?“ — „ედოდან... ხო, ხო, ხო... არაა მიღებული“, გააბა ისევ კიჩიბემ.

რა უნდა მოუხერხო ამ ხალხს, რომლებიც ახლა თავიანთ კანონებსა და ადათებს იმიზეზებენ. მეორე დღეს კიჩიბე მოვიდა და გუბერნატორის პასუხი წაიღო. მისი ნავი გაგვშორდა თუ არა, ბანიოსებიც გამოცხადდნენ, დღეს კი, 11 რიცხვში, მოვიდნენ და გვითხრეს, რომ წერილი გადასცეს, რომ ედოდან პასუხი არაა მიღებული და ა. შ. შემდეგ შეგვნიშნეს, პაპენბერგის მთის ირგვლივ რად დადიხართო. „გვსურს და იმიტომ“, — უპასუხეს მათ.

ფრეგატზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ბანიოსები ყოველდღე მოდიან ადმირალის განზრახვების შესატყობად. დღეს ორი უმცროსი თარჯიმანი და ორი ონდერ-ბანიოსი იყო: გვთხოვეს, ძალიან შორს ნუ ვისეირნებდით, რადგან დავალებული ჰქონდათ ჩვენი თვალთვალი, მათი ნაგები კი ჩვენსას ვერ ეწეოდა. „რატომ გვითვალთვალეთ?“ — „ნაბრძანები გვაქვს“, — თქვა მაღალმა მოხუცმა, ლურჯ ხალათში გამოწყობილმა. „მაინც ვერ დაგვიშლით“. — „რას ვიზამთ. ნაბრძანები გვაქვს! განა ჩვენ არ გვინდა, ეს ამბავი მაღლე შეიცვალოსო“, — დაურთო მერე.

მეზღვაურებში რამდენიმე ფავორიტი მყავს გაჩენილი, მათ შორის მხარბეჭიანი, ჯმუხა მეზღვაური, გვარად დიუპინი, ის არტილერიისტია. განა მარტო მხრები აქვს განიერი. დიუპინს სხვათა შორის ცეცხლსაც ეძახიან, რადგან ცეცხლის გაჩაღება აკისრია; თუ სადმე დაიძახებენ: პატრუქიო! კისრისტეხით მირბის გემბანზე ცეცხლის მისაწოდებლად. მის სპეციალობას ყუმბარებისა და ფინდინის ამწეს აწვევა შეადგენს. ამ ხუთფუთიან ამწეს ისე აიტაცებს და დადგამს, მხოლოდ ერთხელ დაიძახებს ვაჰო. ამაზე ღონიერ და ჩასხმულ კაცს ძნელად შეხვდები. ხშირად ვესაუბრები ხოლმე. „ცხელა-მეთქი, დიუპინ“, „ეგრე გახლავთ, თბილა, ამას რა სჯობსო, თ[ქვენო] მ[ალაკეთილშობილებავ]“, — მიპასუხებს ის. ისე კი თბილა, სასოწარკვეთილმა აღარ იცი, სად შერგო თავი. „იცოდე, მუშაობის შემდეგ ცივი წყალი არ დალიო, — ვეზუმრები, — ან ღამე ნოტიოზე არ დაწვე“. — „მესმის, თ. მ.-ავ, — დინჯად მეუბნება ის. „შალის წინდებს გაჩუქებ: იცო-

დვ. ჩაიცივ“. და მართლაც ერთი წყვილი მივაცემინე. დიუ-
ზინმა ჯერ კიდევ ტროპიკებში წამოიცივა ისინი, რომ შემზვდა,
მადლობა მითხრა: „უმორჩილესად გმადლობთ, თ. მ.-ავ;
ახლა თბილად ვარ, ჩინებულადო“. როცა აქ უეცრივ აცივდა
და თივთიკის სერთუკები ჩავიცვით, ვუთხარი: „ცივა-მეთქი,
დიუზინ“. — „ეგრე გახლავთ, თ. მ.-ავ. გრილა, კარგია“.
თვითონ კი ფეხშიშველა იყო. „ფეხშიშველი რალად ხარ-
მეთქი?“ — „აგრე ჯობს: ფეხი აღარ მიხურს, გემბანიც აღარ
გაბინძურდება ჩექმებითო“. ჰოდა, ამას წინათ ვუთხარი, „და-
ვინახე, ერთი იაპონელი მარტო ატრიალებდა ზარბაზნებს,
თქვენ კი, — დავუმატე. — ათი კაცი ერთს ვერ მორევიხართ,
ძლივს ძრავთ-მეთქი“. — „ეგრე გახლავთ, თ. მ.-ავ, — მი-
თხრა. — ჩვენ სად შეგვიძლია მაგდენი! ამას წინ მეც ვნახე,
ნაპრზე ტალღა რომ გადაევილო აგერ იმ დაბალ ბატარეას,
ზარბაზანი ზღვაში გადატყორცნა და წაატივტივა, იაპონელი
კი გვერდით მისდევდა და ნაპირისაკენ უბიძგებდა. ეგეთი ზარ-
ბაზნები აქვთ მაგათ!“ მერე ცოტა ჩაფიქრდა და თქვა: „მა-
გათთან ომი რომ მოგვიხდეს, თ. მ.-ავ, ნუთუ თოფებს მოგვცე-
მენ ხელში?“ — „აბა, რა უნდა მოგვცენ?“ — „ლოპარიც ეყო-
ფათო“. (ლოპარი სქელი ბაგირის ბოლოა).

13 ოქტომბერი. ახალი არაფერია. ცივი, მოწმენდილი დარი
დგას: ჩინებული ამინდია. ყველაფერი კაშკაშებს და საზეი-
მოდ იყურება. გორაკებსა და ზღვას ბრჭყვიალი გაუდის. კუნ-
ძულები და სრუტეში ამოშვერილი ლოდები ძლიერი რეფრაქ-
ციის გამო წყლიდან დაშორებული ჩანს, თითქო ჰაერში გა-
მოკიდულა. დაისი (აისის ვერასოდეს ვხედავ) მთელ ცისკიდურს
ოქროში ფერავს; აციმციმდებიან ვარსკვლავები, ყველაზე
პირველად იუპიტერი და ვენერა. ვენერა კელაპტარივით
ბრდღვიალებს. გუმინ ქოგრიტში გავნედეთ სატურნს: კარგად
გავარჩიეთ რგოლებიც. იუპიტერთან სამი თანამგზავრი მო-
ჩანს; მეოთხე პლანეტას მიფარებია.

17, 18, 19 ოქტომბერი. ველით ჩვენს ხომალდებს და უკვე
ვლელავთ. ვთქვით, ტრანსპორტი პირქარის N O მუსონის წყა-
ლობით აგვიანებს, დღე-ღამეში ოციოდე მილს ძლივს გადის,
შეკუნას რალა დაემართა? აგერ უკვე ორი თვეა, რაც წავიდა;

აკი დაუბარეს, შვიდ კვირაზე მეტი არ დააყოვნოს. ვინ რას ვარაუდობს და ვინ რას.

გუშინ, 18-ში, ადმირალმა ბრძანა ბანიოსებისთვის ეცნობებინათ, რომ შეუძლიათ საქმის გარეშეც გვეწვიონ სტუმრად, რა არის ჩვენს შეხედულებებს და ცხოვრების ყაიდას უფრო დაუახლოვდნენ. უმცროსმა თარჯიმნებმა ყველაფერი აურ-დაურჩეს, ასე რომ ორმა უცხო ონდერ-ბანიოსმა მოგვაკითხა, ეგონათ, საქმეზე ვიბარებდით. დღეს, 19-ში ისევ ისინი და, სხვათა შორის ოიე-საბროსკიც მოვიდნენ, „გუბერნატორს პატარა თხოვნა აქვსო, — გვითხრეს, — ხვალ, 20-ში თავადი ჩიკუზენი ანუ ციკუზენი მიბრძანდება სრუტეში ერთი ნაგმისადგომიდან მეორეში, თავისი ყაზარმებისა და ჯარების დასათვალიერებლადო. ჰოდა, კორვეტს ხომ არ შეუძლია, ცოტა განზე გადადგეს, გასვლა გაუჭირდებათ“. უპასუხეს, ნაგები უფრო ადვილად შემოუვლიან ხომალდს, ვინემ ხომალდი, ისიც სამხედრო, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავაო. ამ პასუხით წავიდნენ.

საბროსკის ერთი ჩასუქებული, მაღალი ონდერ-ბანიოსი ახლდა, იაპონელს სულ არ ჰგავდა სახით, ქვედაწელი რომ არა, კარის მრჩეველობას მისცემდი. ისეთი ცისფერი შტოფის ქვედაწელი ეცვა, კაცი სავარძლის გადასაკრავად ინატრებდა. როცა დასაკრავი ყუთი მოვმართე და გავხსენი, დატრიალებულ ლილვაკს ბალღური, ცოტა არ იყოს ბრიყვული სახით შეაქქერდა.

ნასადილევს თურმე რომელიღაც თავადმა ჩაიარა ამალით. ისეთი კარგი, თბილი ამინდი იდგა, როგორც ჩვენში ივლისს სჩვევია, და ისე მოწმენდილი იყო, როგორც ჩვენში ვერასოდეს იხილავ. მაგრამ საღამოობით საერთოდ ნისლი დგას, ღამღამობით კი სინესტე და სიცივეა. მოწყენითა ვართ: ცხელ-ცხელი ამბავი არაფერია, საქმესაც ვერ ვუდებთ ხეირიანად გულს. ვისვენებთ, ჩინებულ თევზს გაიხლებით ყოველდღე. წვნიანად გაკეთებულს, ღვეზელში გამომცხვარს, შემწვარსა თუ მოხარშულს; კიბორჩხალებიც არ გვაკლია, მარწუხიანი თუ უმარწუხო, სქელტყავა, უღვაშა თუ უულოვაშო, მრგვალი თუ გრძელი. ზოგიერთებმა, მათ შორის მეც, უკვე ჩივილი დაიწყეთ; კუჭი აგვიშალა ამ მონასტრულმა საქმელმა-თქო. ფა-

დეევი წერა-კითხვას სწავლობს. ასოები დაუწერე, მაგრამ ჩემთან სწავლას თავს არიდებს. ხელში გაქონილი ქაღალდი უჭირავს და ზედ დაღვლარქნილი ასოებია გამოყვანილი. ფადეევი მუყაითად იწერს იმათ და უარესად ღვლარქნის. ჩემს ნაწერს ზედაც არ უყურებს. „ვინ დაგიწერა-მეთქი?“ — „აგაპკამ, — მიპასუხა; — გასწავლიო, შემპირდა“. — „გასამრჯელოს რას აძლევ?“ — „ორ ფიალა არაყსო“.

25-ში. რა ხანია, დღიურისთვის ხელი არ მომიკიდია: რაღაც მომწყინდა და თან უქეიფოდ ვარ. თუმცა ბევრი კი იყო ჩასაწერი. უპირველეს ყოვლისა, 20-ში ღამით, ძალუმ გაგვიავდრდა. წინა დღეს და იმ დღითაც წვიმდა, შებინდებისას კი ხშირ-ხშირად ელავდა. მერე თანდათან უფრო იმძლავრა ელვამ. ისეთი ბნელი ღამე იყო, თვალში თითს ვერ მიიტანდი, მარტო ელვა აშუქებდა თვალისმომჭრელად ყურესა და მთებს. მეხამრიდები დაათვალიერეს. რას გრიალებდა მეხი! იელვებს და კარგა ხნის შემდეგ ყრუ ქუხილი ისმის — მაშასადამე შორსაა; მაგრამ იმავე წუთს უცბად თითქმის სისხლისფერი ელვა დაიკლავნება და იმავე წამს ზედ გემბანის თავზე ისმის გრუხუნნი. წუთი წუთს მოსდევს, ელვა ელვას, თითქო მთებიდან რაღაც ცვივაო: ჯერ ნახევარ ტონს აიღებს და მერე მთელ აკორდს დააგუგუნებს. თვალი გეტკინება და ყურიც დაგელდება. 7 საათზე რომ დაიწყო, ღამის 3 საათზე დამთავრდა მხოლოდ. ერთხელ მეხი ისე ახლოს დაეცა, რომ გუშაგმა დაიყვირა: „ფორ-რუსლენები დან ცეცხლი ჩამოვარდაო!“ მეორე პაპენბერგს დაეცა, მესამე წყალს — კიჩოს ახლოს. ჩემი თვალით დავინახე. კემპფერი, გოლოვინი თუ სხვები ტყუილად კი არ წერენ, იაპონიაში საშინელი ელქეჟი იცისო. მეორე დღეს ძალზე ცხელოდა, კაცს სული შეგეხუთებოდა, შემდეგ კი აგრილდა და დღემდე მშვენიერი ღარი დგას.

ბოლოს, 23-ში, დღით, იაპონელთა ზარბაზნებმა იქუხეს. „ოჰო, ხომალდი მოდის!“ ნეტავ რომელი? ყველა ავღელდით. ვინ შესაგებებლად გაემართა, ვინ მარსებზე, სალინგებზე აძვრა დასანახად. ინგლისელები ხომ არ არიან? კარგ სამსახურს კი გაგვიწივენ! არა, ეს ჩვენი ტრანსპორტია შანხაიდან, წერილები, გაზეთები და სანოვავე მოიტანა.

21-ში ოიე-საბროსკი, კიჩიბე და ეინოსკე მოვიდნენ. უკანასკნელმა ცივი უარი გვითხრა იმ წიგნებზე, აღმირალმა და მე რომ შევთავაზეთ: ეშინია. გოკეინსებმა გვითხრეს, რწმუნებულს გვინდა ველაპარაკოთო. კაიუტაში წავიყვანეთ. გამოგვიცხადეს, რომ ელოდან, ბოლოს და ბოლოს, პასუხი მოვიდა! — Grande nouvelle¹, გაგვიხარდა. „რა ამბავია? როგორი? რაშია საქმე?“ — მიაყარეს კითხვები. მოუთმენლად ველოდით, რომ ელოში მიგვიწვევდნენ, ან ამას გვეტყოდნენ, ან იმას...

მაგრამ აი კიჩიბემ ჰაერი ჩაისრუტა; გაგვიღიმა თავისი ყველაზე ტკბილი ღიმილით — კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს! „ელოდან... — დაიწყო კრუსუნით და ხრჩობით, — პასუხია გამოგზავნილი“. — „მერე?“ — „რომ თქვენი წერილები იქ... მშვიდობით ჩავიდა“, — ამოღერლა ბოლოს ოვლში გაღვრილმა, თითქო ერთი საპალნე როგორც იქნა, ადგილზე მიათრიაო. „მერე?“ — „რომ... მშვიდობით... ჩავიდაო!..“ — გაიწეორა ისევ. „გავიგონეთ. კიდე რა?“ — „კიდე... მეტი არაფერი!“ — „ეგ პასუხი არაა“, — უთხრეს იმათ. იაპონელებმა თავის მართლება დაიწყეს, რომ დამნაშავენი არ არიან და ა. შ. აღმირალმა თქვა, რომ იმედი აქვს რამდენიმე დღის შემდეგ სხვა პასუხს მიიღებს, უფრო უკეთესსა და ამაზე ჭკვიანურს. შემდეგ ნაპირზე ადგილის მიღების თაობაზე ჰკითხა. „ელოდან... — გააბა ისევ კიჩიბემ კრუსუნითა და ღიმილით, — მიღებული არაა...“ და ისევ თავის ლათაიებს მოჰყვა. „ეგ ვიცით. მაგრამ იქნება თუ არა პასუხი? ეტყობა, გუბერნატორია ამაში დამნაშავე: ამის შესახებ არ აცნობა“. ბანოსებმა თავის მართლება იწყეს, რომ დამნაშავე არც ისაა და არც ესენი. „ელოდან...“ და ა. შ.

29. — დიდი ხანია, რაც სიციხეს ვუჩიოდით? დიდ ხანია, რაც ხორცის ჭამა და ერთი ჰიქა ღვინის დალევა არ შეიძლებოდა? ახლა კი სიცივეზე გვიხდება ჩივილი. თუმცა კი მრცხვენია ამის თქმა! მოწმენდილი ამინდია, მთვარიანი ღამეები დგას; ცივი NO მუსონი მძაფრად ქრის. ყველას ისევ სამხრეთი მოენატრა, ყველას მანილა აბოდებს.

¹ დიდი ახალი ამბავი (ფრანგ.).

გუშინ, 28-ში, ის იყო ნასადილევს დაძინება დავაპირე, რომ ზღვაში ნავით გასეირნება შემომთავაზეს. ამით შიგა და შიგ ვახსენებთ იაპონელებს, რომ წყალი ყველას ეკუთვნის, იქ ხელის შეშლა არ შეუძლიათ და ამ გზით ევროპელებსაც ვუნარჩუნებთ ამის უფლებას. ჩვენი ნაგებით სეირნობა დიდი ხანია გულზე ხეთქავს იაპონელებს.

იციოთ კი, რას ნიშნავს მეზღვაურებთან ნავით სეირნობა? იქნებ გგონიათ, ჩვენი ნაგების ზანტი ლოლილია, ქალბატონები რომ ახლავთ, მუსიკა რომ გრიალებს და ა. შ.? არა: თუ აგრე წარმოგიდგენიათ ნავით სეირნობა, არ გირჩევთ მეზღვაურის მიპატიჟებაზე დათანხმდეთ: ის იგივე იქნება, გახელეხულ ცხენზე რომ შეგსვან და გითხრან, გასეირნეო. მეზღვაურები უთუოდ იალქნებგაშლილი გადიან ზღვაში, მაშასადამე, როცა ქარია, რაც ბევრს არ უყვარს, თანაც ძლიერი ქარია, მაშასადამე, ნავი გვერდზეა გადახრილი და თეარქოჩორა ზვირთები ქიმზე მალა ღება, ხანდახან კი ქიმის აქეთაც გადა მოსკდება.

N O ქარი ქროდა, ძლიერი და მძაფრი: როგორც კი ჩვენი ნავი ადგილს მოწყდა, მაშინვე ფოკის, ბიზანისა და კლივერის ფრთები გამოისხა, ძალუმ გადაფერდდა და ისე გაქანდა, ტროიკა მოგონება იყო. მივედით თუ არა პაპენზერგსა და ივოსიმას შუა მდებარე სრუტეში, ჩვეულებისამებრ, სხვადასხვა წერტილებიდან იაპონური სახელმწიფო ნაგები გამოგვეკიდნენ, რომლებიც ჯაჭვად აღარ გვერტყნენ ირგვლივ, მას შემდეგ რაც ბუქსირით გადავათრიეთ მოშორებით, ნაპირთან გვესაფრებოდნენ. ნაგები ხელის შესაშლელად კი არ მოგვედევდნენ კვალდაკვალ — ჩვენ რას დაგვეწიოდნენ, მხოლოდ უფროსებისთვის უნდოდათ ეჩვენებინათ, აქაოდა ყარაულების მოვალეობას ვასრულებთო. ჰოდა, ახლაც ერთის ამბით გამოგვედევნენ, ნიჩბებს გამალებით უსვამენ, მაგრამ რა წამს განაპირა კონცხებს და კლდეებს მოაღწევენ, გაშლილ ზღვაში გასასვლელთან, ბოლაზებში იმალებიან და იქ გველიან. როცა ჩვენი ნაგები უკან მობრუნდებიან, იაპონელები ისევ აედევნებიან და ყიყინითა და ღრიანცელით ჯგროდ მოჰყვებიან უკან, რა არის თავისიანებს დაუმტკიცონ ნავსადგურში, თითქო ჩვენებს ზღვაში გამოჰყვენ. ჩვენ კი ვხარხარებდით ამაზე.

ჩვენი კატერი ალაყაფში გავიდა თუ არა, მესამე რეიდზე, იაპონელების ნავეები ლოდებს მიეკრა, ბატარეების მხარეს, და იქ დარჩა. პაპენბერგმა წუთით ქარი დაგვიკავა და მყუდროება ჩამოვარდა, მაგრამ მთა რომ უკან მოვიტოვეთ, კატერმა ისევ გამალებით მოუსვა. კარგა დიდი ღელვა იყო, კატერი ცხვირით მიძვრებოდა ტალღებზე, ცხენივით ყალყზე დგებოდა, ტალღას ცხვირს არტყამდა და ცხენივითვე ახტებოდა ზედ. იაპონური ნავეები ამას რას გაუძლებდნენ! მეზღვაურებს უხმოდ მოეკალათებინათ ნავის ფსკერზე, ჩვენ მერხებზე ვისხედით, ქიმს ჩავკიდებოდით და ერთმანეთს ვეკვროდით, კატერი გადაფრდებული იყო და ყველას ერთ მხარეზე გვატურებდა.

ციოდა; ხელებს ხან სახელოში, ხან უბეში, ხან ჯიბეებში ვმაღავდი. ცხვირი ყველას გაგვლურჯებოდა. ნაპირთან სულ ახლოს რომ მივედით, ერთი მშვენიერი ბოლაზი ვნახეთ, ზღვიდან რომ პირველ რეიდზე შემოსასვლელის მარცხნივ მდებარეობს. შესვლისას არ მენახა; მაშინ ახლომახლო ნაპირების, ბატარეებისა და გორაკების თვალიერებით ვიყავ გართული.

მშვენიერი ბოლაზი კი იყო: ნაპირზე სოფელი და ტერასების რიგი მოჩანდა, კლდეთა წვეროებიდან ზღვისაკენ დაშვებულ ხრამებამდე დამუშავებული, ძირს მარტო ლოდები აჩხრულყოფილი ოკეანეში და გარეული თხაც ვერ აფოფხდებოდა ზედ. ერთ გოჯა მიწასაც ვერ დაინახავდი დაუმუშავებელს, თუმცა სულ აღმართ-აღმართ მიიწევდა ყანები. ყველგან ბრინჯი და ბოსტნეული ეთესა. მთების კალთები გვერდებზე სულ შეჭრილი-შემოჭრილა. რომ არ ჩამოიქცეს, შვერილები, როგორც მთელი ნაპირი, წვრილ-წვრილი კენჭებით გაუმაგრებიათ, ასე რომ წყალი, ბრინჯისთვის ესოდენ უხვად საჭირო, შვერილებზე კიბეებივით მოწანწკარებს და მათ აღარ ჩამოანგრევს. დავინახეთ საქონელი, შემდეგ უამრავი გოგო-ბიჭობა. ქოხებიდან და აგარაკებიდან რამდენიმე იაპონელი გამოვიდა. შექუჩული გვიცქერდნენ, ხან რომ შევჩერდებოდით, ხან ზედ ნაპირს მივადგებოდით, ხან უკან წავიდოდით. ვავყურებდით მწვერვალებზე გადმომდგარ ზოგიერთ ტალავრებსა და ტაძრებს, ვტკბებოდით ნაპირის პარალელურად მიმავალ კედლების გრძელი ხეივანით.

არ იფიქროთ, რომ ტაძარი მართლაც ტაძარი იყოს, რომე-

ლიც ჩვენი არქიტექტურული წარმოდგენით, მიდამოსა და სახლებს ამაყად უნდა გადმოჰყურებდეს, — არა, ეს ჩვენებურად სხვებზე უფრო მოზრდილი ქოხია, ცოტაოდენ ამალღებული სახურავით, ან დრო-ყამისაგან ჩაყამებული დიდი ტალავარი ერთს ძველ მიყრუებულ ბალში. რა გასაკვირია, რომ კემპვერს ამდენი ტაძრები დაუთვლია. მწვერვალეებზე მართლაც ბლომ-ბლომად შეფენილა ისინი, ოღონდ უქოვარიტოდ ვერ დაინახავ, თუ ზედ ნაპირს არ მიაღწევი, როგორც ჩვენ ამ ბოლაზში მოგვიხდა.

რა მშვენიერი გარეუბანი გაიშლებოდა აქ, ეს რომ ევროპელების ხელში ყოფილიყო! თუმცა მალე ალბათ ასეც მოხდება... იცით, რა თქვა ამას წინათ ერთ-ერთმა ონდერ-თარჯიმანმა მატაბემ, რომელსაც სანოვავე მოაქვს ჩვენთვის? როცა ჰკითხეს, ნაევბს კიჩოზე ჰრილი რად აქვს, ტალღები ხომ შეესხმება ან ეგეთ მოუხეშავ მაღალ საჭეს რად უკეთებენო, ჯერ კანონი მოიმიზეზა, მერე თქვა, მართლაც მოუხერხებელიაო: „მაგრამ იაპონია ამ ყოფაში დიდხანს არ დარჩება, მალე ვადატრიალება მოხდებაო“, — დაურთო ესეც. მატაბეს დამიხედეთ ერთი! თამამი კაცი არ გეგონოთ, ერთი შეუმჩნეველი, უბრალო, კეთილი, პატიოსანი სახის ვინმეა! იქნებ იმიტომაც ლაპარაკობს ასე.

როცა გუშინ ამ მეტი რომ არ შეიძლება, ისეთ დამუშავებულ გორაკებს ვუცქერდი, ჰონ-კონგი გამახსენდა, განსაკუთრებით ჯერდინისა და მატისონის სავაჭრო საწარმო, რომელსაც მთელი ერთი კუთხე დაეჭირა. იქაც მთებია, მერე როგორი მთები! სულ პიტალო კლდეები, აქაურ მთებს რას დაედრება: თანაც მოხერხებული ბოლაზი აქვს, ნაპირებთან კარგა დრმა წყალი, ხომალდებს იქ ქარი არ შეაწუხებს. ჯერდინმა კი რა ქნა? დაიჭირავა ჩინელები, მთელი მთა მოთხარა, უზარმაზარი სავაჭრო საწარმო, მაღაზიები გააშენა, იმათ თავზე დიდებული აგარაკი წამოჭიმა, დაღმართები, ხეივნები გააკეთა, დარგო ყოველი მცენარე, რაც ტროპიკებში ხარობს — ერთი სიტყვით ისე მოეწყო, როგორც ინგლისში, სადმე ვაიტის კუნძულზე მოეწყობოდა. ჰონ-კონგში ერთი გოჯა მიწა არ მინახავს დამუშავებული, ყველგან მოთხრილი მთებია, ქუჩებსა, გზებსა და ნავმისადგომებისთვის. ჩინელებს უიმშილით

სიკვდილი არ აშინებთ, თუმცა აქ ოცდაათ ათასამდე იქნებიან. უფრო სარფიანად მიაჩნიათ ევროპელებს სასახლეები აუშენონ, მიწა თხარონ, განა მარტოოდენ დასათესად, როგორც ჩინეთში, ხომალდებზე იმუშაონ, ნოქრები გახდნენ და ბოლოს თვითონაც ივაჭრონ. ასე უნდა იყოს და რა თქმა უნდა ასე იქნება აქაც, როგორც სამართლიანად იწინასწარმეტყველა მატაბემ.

ზღვაში ამ გასეირნებამ ძვალ-რბილი გამითოშა. მეხუთე საათი იწურებოდა; შემოდგომის მზე დასალიერიისაკენ ეშვებოდა დასამალად, ჩვენც ვესწრაფოდით ზღვიდან დღის სინათლით დავბრუნებულყავით და მთიდან ჩამომზღვლეულ ლოდებშუა გავიარეთ, ბატარეების ძირას, სადაც იაპონელები უოველ ზარბაზანს პატარა სახლებს უშენებენ. რარიგ მასხრად იღებდა ამ პატარა სახლებს ჩვენი არტილერიისტი კ. ი. ლ[ოსევი]. იძახდა, სახლი დამიზნების კუთხეს ხელს უშლისო და ა. შ. იაპონელმა დარაჯმა ლანძღვა დაგვიწყო და ქვეები დაგვიშინა. მაგრამ ქვეები მის ფეხებთანვე ეცემოდა. ჩვენ ვხარხარებდით. უკან კატერი რომ მოგვეყვებოდა, იმასაც დაუშინა და იქაც ხარხარი ატყდა. აგერ პაპენბერგიც — არც ახლა უბერავდა მის ძირას ქარი. კატერი ქარის ზოლს გამოხცდა და გასწორდა; იალქანი ანძაზე ატყლაშუნდა; მეზღვაურებმა ნიჩბებს მოჰკიდეს ხელი, მე კი ამასობაში პაპენბერგი დავათვალიერე. დასავლეთის მხრივ მთას დიდი ლოდი მოსწყდომოდა და პატარებიც თან გამოეყოლებინა; მათ შუა ფურათუნი ბორჯავდა; პაპენბერგის მოშორებით კიდევ ეყარა ლოდების ერთი ასეთი გროვა, რომელიც ტალღების ტყლაშუნს დაემრგვალებინა და დაეღარა; გეგონებოდა, დევები შეყრილან ჯგუფ-ჯგუფად, სხვადასხვა პოზასა და მდგომარეობაში, თავის წვრილშვილებიანადო.

როცა ნაგასაკში ილუსტრაციებს გამოსცემენ, ამ ლოდებს; პაპენბერგს და მეორე პატარა, გაღინდლულ თაგვის კუნძულს უთუოდ დახატავენ. ტექსტში იტყვიან, რომ პაპენბერგიდან ოდესღაც კათოლიკე პაპის ბერებს ჰყრიდნენ ზღვაში და ამიტომ ასე მონათლეს კუნძულიო. გადმოსაგდებად მართლაც კია მოსახერხებელი: მთელი მთა ათი თუ ათზე მეტი საყენის სიმაღლე ფრიალო კლდეებისაგან შედგება, მარ-

ტო დასავლეთის მხრივ, ასე ვთქვათ, ზედ ნაპირის არშიაზე იაპონელებს ბილიკები გაუთელიათ და ბატარეა დაუდგამთ. ბატარეა ჩვეულებისამებრ ჩამოუფარებიათ, წვეროზე კი მეჩხერი ფიჭვნარი დაურგავთ, ჰოდა, მთასაც, როგორც მოგწერეთ, ისეთი იერი აქვს, თითქო თმა ყალყზე დადგომიაო. საერთოდ, იაპონელებს ჩვევად აქვთ გორაკებზე აქა-იქ ჩაარქონ ხეები, ასე რომ აღდგომის კულიჩებს მოგაგონებთ. ქალაქის ვარდებით გაწყობილს. თავის კუნძულზე ოდეს-დაც ესპანელები ამოყლიტეს და მათი საქონლით დატვირთული ხომალდები გადასწვეს. იქ ოდესმე ალბათ მშვენიერი პავილიონი აიშართება; სხვა რამისთვის კუნძული პატარა გახლავთ.

პაპენბერგს მივადექით თუ არა, მყისვე გამოგვეკიდა ნაპირს შეფარებული იაპონელთა ნაგები, ჩვენ რომ იქ გვიცდიდნენ, და ერთი ღრიანცელით გამოყვნენ უკან, ოღონდ მოშორებით. ასე რომ, ერთად მივადექით ჩვენ ფრეგატს, ისინი კი თავიანთ ხეობებს და მივარდნილ ადგილებს. მე დიდხანს ვითბობდი სუნთქვით მუშტებს.

1, 2, 3 ნომბერი. — ხან წვიმს, ხან მოწმენდილია, ხან თბილა, ცხელა კიდეც, როგორც მაგალითად დღეს, ხან უცბად აცვივდება, როგორც ჩვენში იცის.

იაპონელები ჯერ კიდევ ამ სამი დღის წინათ მოგვადგნენ იმის სათქმელად, რომ პოლანდიელთა ხომალდი ბოლოს და ბოლოს ბატავიაში მიემგზავრება საქონლით, (არ ვიცი, გითხარით თუ არა, რომ ის აქ დაგვხვდა) და გუბერნატორი გვთხოვს, — იცით, რას? ამ ხომალდზე არ წავიდეთ! ჩვენ კი ვუთხარით: გადაეცით, რომ ევროპაში წერილები უნდა გავატანოთ და გვიკვირს, გუბერნატორს როგორ მოუვიდა თავში, ორი ევროპული ხომალდის ურთიერთობას ხელი შეუშალოს-თქო? თარჯიმნები თითქმის ღამით მოგვადგნენ ისევ და გვთხოვეს, ყოველ შემთხვევაში კოვალსკის კართან, ზღვის ახლოს დაკავშირებოდიტ ხომალდს. იაპონელებს არა სურთ. ხალხმა დაინახოს ეს ამბავი და თავის ხელისუფლებას უძღუება შესწამოს; რცხენიათ, რომ ბრძანებას არ უსრულებენ. ჩვენ უარი ვუთხარით. მაშინ თარჯიმნებმა განაცხადეს, რომ გუბერნატორმა იქნებ ხელი შეუშალოს ხომალდთან

მისვლას, თავისი ნავეებით გზა გადაღობოს. „აბა სცადოს ერთი, — უპასუხეს ასე, — უსიამოვნო შედეგი მოჰყვება და პასუხს თვითონ აგებსო“.

დიდი ზეიმი და სიხარულია: შკუნა მოვიდა! დღეს, 3 რიცხვში, იაპონელთა ზარბაზნების ბათქი გაისმა. სალინგებიდან შკუნას მოჰკრეს თვალი. პირველ საათზე ჩვენს გვერდით ჩაუშვა ლუზა. რამდენი ცინცხალი ამბები მივიღეთ!

5-ში. — მოწყენამ გული გადაგვიღია, თუმცა საქმეც გვაქვს, ირგვლივ მშვიდობაა და მშვენიერი ამინდი დგას. გუშინ ჩვენს ტრანსპორტზე წავედი, კაპიტანიც წამოვიდა. მ[ამა] ა[ვაკუმბიცი] ავიყოლიე. იქ ვივანშმეთ; ერთბაშად კ. ნ. პ[როსიეტ] გამოგვეცხადა და გვითხრა, რომ აღმირალმა გადაწყვეტილება შესცვალა: მშვიდობით, მანილავ, ლუ-ჩუე! ედოში მივდივართ თურმე. ერთი მსჯელობა და დავა შეიქნა. ამბობენ, ორცხოვნილები გამოილია: სად უნდა წავიდეთო? აღმირალი ფიქრობს, იქიდან გაგზავნოს ტრანსპორტი შანხაიში, რამდენიმე თვის სამყოფი სანოვაგის ჩამოსატანად. მაგრამ სანოვაგის ნაკლებობის გარდა ედოში გამგზავრებას პირქარი N O მუსონი გვიშლის. დღეს ბანიოსები გამოიძახეს, მოვიდა ოიესაბროსკი, კიჩიბე და სიოზა, კიდევ ერთი ბანიოსი, საბროსკის წყვილად (ბანიოსები წყვილ-წყვილად დადიან ხოლმე). საკნაოდ გამოშტერებული, უეშმაკო გამოხედვა აქვს, მუდამ ტკბილად მიცქერის ხოლმე. მის შეხედვაზე რომელიმე გულჩვილი დეიდა, გადია თუ ლოლია ქალი გაგონდება, რომლისგან ქუთის სწავლებას და დარიგებას ნუ ელი, სამაგიეროდ მუარაბას, კანფეტებს და ქომავს არ მოგაკლებს.

რომ განვუცხადეთ, ნაგასაკს ვტოვებდით, ყველა აღტაცებული დარჩა; მარტო კიჩიბეს არ დასტყობია არც დიდი მოწყენა და არც დიდი სიხარული. კითხვებსა და პასუხებს თარგმნიდა, თვითონ არაფერს კითხულობდა და არაფერი აინტერესებდა. ერთხელ პ[როსიეტმა] რომ ჰკითხა, ინგლისურს რად არ სწავლობო, თქვა, იმასაც ვნანობ ჰოლანდიური რად ვისწავლეო. „ვითომ რატომო?“ — „საქმე არ მიყვარს, მხართ ეძოვოლა ყველაფერს მირჩენიაო“, — გვითხრა.

მაგრამ ბანიოსებს რომ გაეგოთ, ჩვენ ედოში მივდიოდით,

სულაც არ გაუხარდებოდათ. მათთან კრინტიც არ დაუძრავთ ამის თაობაზე. მხოლოდ თხოვეს, ხვალ ისევ მოსულიყვნენ, წერილები და საჩუქრები წაეღოთ გუბერნატორებისა და თარჯიმნებისთვის და თან რაც შეიძლება ბლომად გამოეგზავნათ წყალი და სანოვაგე. უზურში არ არიან, რომ ეს სანოვაგე ედოში გამგზავრების საგზლად გვინდა! ხვალ ნეტავ რა მოხდება?

6-ში. — დღეს ბანიოსები იყვნენ, დილითაც და საღამოთი. ახლა იმათ დაუდგათ თავის მტვრევის ჯერი. ორივე გუბერნატორი შემფოთებულა. „ასე უცბად რა მიზეზით გადაწყდა წასვლა? როდის აპირებენ. გამგზავრებას და... სად?“ — ეწადათ კიდევ ეკითხათ, მაგრამ ვერ ბედავენ: თავად გრძნობენ, რომ არ ვეტყოდით. დღეს სიმხიარულე აღარ ეტყობათ. ბანიოსებს მათი უფროსი ხაგივარი ახლდათ. აღმირალთან მიიწვიეს. თქვეს, გუბერნატორებმა გადაწყვიტეს საბჭოში გასარჩევად მიიღონ წერილებიო. მერე მდივანმა და ბანიოსებმა კითხვები მოგვცეს: „ასე უცბად რამ გაიძულათ წასვლა?“ — „აქ რა უნდა ვაკეთოთო“, — მიიღეს პასუხი. „გუბერნატორის წერილში თუ ახსნილია მიზეზი?“ — „ამ წერილებში ჩემი განზრახვანია ახსნილიო“, — ბრძანა გადასაცემად აღმირალმა.

საჩუქრებზე განაცხადეს, ვერც გუბერნატორები, ვერც ბანიოსები და თარჯიმნები ვერ მიიღებენ: „უწმოგლიკ! — ედოდან ამის თაობაზე, — ლამის დაიხრჩო კიჩიბე, — ნებართვა არ გახლავთ მიღებულიო“. — „თუ ასეა, ჩვენც არ მივიღებთ, როცა თქვენთან გვექნება საქმეო“, — ვუთხარიო ასე.

კიჩიბე გველივით იკლაკნებოდა იმის გამოძიებისას, როდის მივიღივართ, დავბრუნდებით თუ არა, გვემუდარებოდა, ერთი დღით აღრე მაინც გვეთქვა, როცა წავიდოდით და ა. შ. მაგრამ ვერაფერს გახდა. სპუდიგ (მალე), ზერ სპუდიგ¹, პასუხობდა პ[ოსიეტი]. გვთხოვეს, წასვლამდე ერთი დღით აღრე მაინც გვაცნობეთო — ამაზეც უარი მიიღეს. იაპონელებს, ეტყობა, გუნება წაუხდათ. ახლა მათი გაბურთავების

¹ ძალიან მალე (მოლანდ.).

ჯერი დადგა. ჩვენ ვთვალთმაქცობდით, კითხვებს ოსტატურად ვუვლიდით გვერდს. ჰოდა, პირშიჩაღაგამოვლებული წა-ვიდნენ. ჩვენ სადილად დავსხედით.

გვიკვირდა, ასე რატომ შეაშფოთა იაპონელები ჩვენმა წას-ვლამ? რად გვეხვეწებიან, ერთი დღით ადრე ვაცნობოთ? რო-გორც ჩანს, პასუხი მზადა აქვთ, მაგრამ ჩვეულებისდა მი-ხედვით, თქმას აყოვნებენ. სალამოს ისევ გამოგვეცხადნენ და ეინოსკეც მოგვიყვანეს, იმ იმედით, უფრო საზრიანია და რასმე გამოსტყუებთო. მაგრამ ეს ცდაც ჩაეფუშათ. საით აპირებთო? სურდათ გაეგოთ. „საითაც ქარი წაგვიღებსო“, — ეუბნებოდნენ ღიმილით. ბოლოს ვუთხარით, რომ სადმე ახლოს ვიქნებით, აღმირალის განცხადების მიხედვით, ე. ი. ვიდრე ს ა ქ მ ე ს ა რ მ ო ვ რ ჩ ე ბ ი თ, ი ა პ ო ნ ი ი ს ნ ა პ ი რ ე ბ ს ა რ მ ო ვ შ ო რ დ ე ბ ი თ ო. „მაგრამ პასუხს ნაგასაკში მიიღებთ“, — შენიშნეს მათ. ამაზე არაფერი გვიპა-სუხნია. რა ხათაბალაში ჩავარდნენ! „ჩვენი მდგომარეობა წარმოიდგინეთ! — თქვა ეინოსკემ. — გვიბრძანეს, შეიტყვეთო, ჩვენ კი როგორც მოვედით, ისევე დავბრუნდებით“. — „ჩემს მდგომარეობაშიც შედით, — უპასუხა პ[ოსიეტმა], — აღმირა-ლი თავის განზრახვებზე აღარაფერს მეუბნება უკვე, აბა მე რა გითხრათო“. ამ პასუხითვე გაბრუნდნენ.

7-ში. — პირდაპირ კომედიას ეს იაპონელები, ნაგასაკის რეიდზე წარმოდგენა გაგვიმართეს რაღა! ის იყო რვაჯერ და-ჰკრეს ნახევარი საათი და ალამი ამართეს, რომ თარჯიმნები მოგვევლინენ. მათ ოპერ-ბაინოსები, ხაგივარი, საბროსკი და კიდევ ერთი მორიდებული, შეუხედავი ბანიოსი მოჰყვათ. ჩაგ-ვაცივდნენ, რამით უკმაყოფილო ხომ არ ვიყავით? მერე აღ-მირალის ნახვა მოითხოვეს: ჩვეულებისამებრ ყველა მის კაი-უტაში დაბრძანდა და სამარისებური ღუმილი გამეფდა.

ხაგივარი დიღხანს, ათი წუთი მაინც ლაპარაკობდა: ვი-ფიქრეთ, საშველი აღარ დაადგება-თქო. კიჩიბემ თავისებუ-რად, მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოგვითარგმნა, რო-გორც ეტყობა, მხოლოდ მთავარი აზრი, მაგრამ გამოთქმის ხერხი, წვრილმანები, ელფერი სულ დაუკარგა. კიჩიბე გონე-ბაშეზღუდული და კერპი კაცია. თუ მკვახე-მკვახეებს ეტყვიან ჰოლანდიურად, რამდენადაც შემჩნევა შეგვეძლო, იაპონურ

ენაზე შეარბილებს და ისე გადასცემს, ან არადა სულაც არ იტყვის. ადმირალი მისი უკმაყოფილოა და სურს მოლაპარაკე-ბიდან სულაც გადააყენებინოს. ეინოსკეს, პირიქით, ყველაფე-რი ესმის და ცდილობს რაც შეიძლება ზუსტად ავიხსნას.

ჯერ იმათ დაიწყეს, რომ „რაკი ადმირალი არ თანხმდება დარჩენაზე, გუბერნატორი ვერ გაბედავს, მაგრამ ერთ გარე-მოებას შესთავაზებს განსასჯელად, რათა ადმირალი ამის შე-საბამისად მოიქცეს, სახელდობრ: „გუბერნატორმა ნამდვილად იცის, რომ ათი დღის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, თერთმეტ დღეს არ გადასცილდება, ან იქნებ შვიდი დღის შემდეგაც მოვა პასუხი, რომელიც რატომღაც შეყოვნდა გზაში“.

ამაზე უპასუხეს, რომ „სამა თვის ლოდინის შემდეგ დიდი ბედენა არაა შვიდი დღე მოცდაც: მაგრამ ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ნაპირზე ადგილი, რომ ხომალდები შევაკეთოთ, ქრონომეტრები შევამოწმოთ და ა. შ. შემდეგ, თუკი ეს პა-სუხი საქმეს წან წასწევს, მაშინ დავრჩებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გავემგზავრებით... სადაც საჭიროდ მიგვაჩნია“.

ამასობაში, ჯერ კიდევ კაპიტნის კაიუტაში რომ ვიყავით, შევნიშნეთ, რომ ხან ერთი, ხან მეორე თარჯიმანი გადიოდა ნავებთან და უკან ბრუნდებოდა. ბანიოსებმა თქვეს, რომ „ად-მირალის ამ განცხადებას გუბერნატორს ვაცნობებთო და...“

უცბად კართან ჩოჩქოლი და ლაპარაკი გაისმა. ეინოსკე ადგა, კარს მიუახლოვდა, საჩქაროდ მოტრიალდა და თქვა, რომ კიდევ ორი ბანიოსი მოვიდა, მაგრამ გუშაგები არ უშვებ-ნენო. ბრძანება გაიცა, შემოუშვითო. ორი ბანიოსი შემოვიდა, ნაცნობი სახეები ჰქონდათ, ოღონდ არ ვიცი, რა ერქვათ. სა-ლაში მოგვეცეს, ხაგივარს მიუახლოვდნენ და წერილი გადას-ცეს. მივხვდი, რომ ედოდან პასუხი მოეტანათ. ხაგივარმა თვალთმაქცური გაკვირვებით წაიკითხა წერილი, საბროსკის გა-დასცა, საბროსკიმ წაიკითხა, ახლა სხვას გადასცა, და ბოლოს კიჩიბემდე მიიღწია. იაპონელებმა ერთი გაცემა და შეძახილე-ბი შექნეს, კიჩიბე ლამის გაიგუდა პირველსავე სიტყვაზე: „ფოსტა... ფოსტა... ედოდან erhalten, მიღებულიო!“

თავი ველარ შევიკავე, მიეტრიალდი და ძლივს შევიკავე გულიანი ხარხარი. თითლიბაზები! რა ეშმაკურად მოაწყვეს: ჯერ საქმის გაჯანჯლება სცადეს, ათი დღის ვადა ითხოვეს,

როცა პასუხი უკვე მოსული იყო. წერილი ჩვეულებისამებრ, ექესი თუ შვიდი სტრიქონისგან შედგებოდა. „ოთხი რწმუნებული, groote herren, წარჩინებული მოხელენი, — ეწერა შიგ, — ელოდან მოდიან აღმირალთან შესახვედრად და მოსალაპარაკებლად“.

ერთი ამათ უყურე! აი, შენი ელოც! თითქო ლოდი მოჯეხსნა მხრებიდან. ხუმრობა იყო ელოში უსანოვაგოდ გაგზავრება, მამსადამე, სულ მოკლე ხნით, და მერე გამობრუნება. ვიკითხეთ, რწმუნებულები როდის ჩამოვლენ-თქო. „ელოდან... ამის თაობაზე... არარაო მიღებული...“ კვლავ თავისი ლათაიები გააბეს. ხაგივარი და საბროსკი ხელით გვანიშნებდნენ, თან წერილზე გვიჩვენებდნენ, აი, რა სასწაული მოხდაო: ვახსენეთ თუ არა, წერილიც გაჩნდაო! ახლა კი ველარ მოვითმინეთ, ჩვენც გაგვეცინა და თვითონაც გაიცინეს. წერილი გოროჩის პრეზიდენტს ა ბ ე - ი ს ე ნ ო - კ ა მ ი - ს ა მ ა ს გამოეგზავნა ორივე გუბერნატორისათვის, რწმუნებულები მოდიანო, მაგრამ კერძოდ ვინ მოდიოდა, როდის მოდიოდნენ, გზაში არიან თუ არა, ამაზე სიტყვა არ ეწერა.

იაპონელები დაგვიპირდნენ, სალამოს გუბერნატორის პასუხს მოგართმევთო ადგილის თაობაზე, და წავიდნენ. „მამასადამე, წინანდელზე, ესე იგი გამგზავრებაზე, ლაპარაკიც ღარ იქნებაო“, — თქვეს წასვლისას და პირი მოიწმინდეს, თითქოს წინანდელ სიტყვებს იშორებენო. ჩვენ კი მსჯელობა დავიწყეთ, ჩვენს გეგმაში რა ცვლილებები მოხდებოდა. ჯერ კიდევ იაპონელები აქ იყვნენ, რომ ვერ მოვითმინე და გემბანზე გამოვედი. კაპიტანი იალქნების აკეცვასა და დაბმაზე თადარიგს აძლევდა. „ტყუილად იწუხებს თავს, განკარგულება მიეცით, ახსნან, არ წავალთ-მეთქი“.

ნასადილევს იაპონელები მოვიდნენ და თქვეს, რომ თუმცა გუბერნატორს ნებართვა არ აქვს, მაინც კისრულობს თავის თავზე და ადგილს გვაძლევსო. სალამოს ისევ გამოცხადდნენ და თქვეს, კ ი ბ ა ჩ ი ს ბოლაზს ხომ არ აიღებთო, რომელიც ჩვენს წინანდელ ელჩს რეზანოვს ეპირა. აღმირალმა უპასუხა, რომ ყოველ შემთხვევაში ჯერ ხალხს გაგზავნიდა დასათვალიერებლად. საამისოდ პ[ეშჩუროვი], კ[ორსაკოვი] და გ[ომევიჩი] წავიდნენ. რომ დაბრუნდნენ, სიცილითა და თან წყენით

თქვეს. ადგილი არ ვარგა: მოტიტვლებულია, ქვიშიანია და ლოდებზეც ჰყრიაო. აბა, გაძლება არ უნდა ამ ხალხს? აგერ მეოთხე დღეა ადგილის თაობაზეა ლაპარაკი.

მართალია, იალქნები ავკეცეთ, მაგრამ აღმირალს მაინც განზრახული აქვს წასვლა, ოღონდ ედოში კი არა, შანხაიში. იქ გავიგებთ. ევროპაში რა ხდება, და ნელს სანოვაგესაც მოვიშარაგებთ რამდენიმე თვით. იაპონელებს განუცხადეს, რომ ადგილი არ ვარგაო, გუბერნატორმა შემოთვალა, სხვა არა მქვსო: ეტყობა, გაგვიბრაზდა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ აგერ აქაც არის, იქაც: განა ცოტაა ლამაზი მიდამოები! „თუ არ მოგვცემთ, წავალთ. — ვამბობდით ჩვენ, — სანოვაგე გამოგვიგზავნეთოქო“. — „არ შემიძლია, — გვითვლიდა გუბერნატორი, — წინანდელივით ცოტ-ცოტა მოითხოვეთ ჰოლანდიელებისგანო“. იმედი ჰქონდა, ამით მაინც დაგვაკავებდა. „მაშ უსანოვაგოდაც წავალთ“, — გაუგზავნეს პასუხად.

10-ში. დღეს უეცრივ ვხედავთ, რომ კიბაჩის ბოლაზის შესავალში ხალხი ჯგროდ ტრიალებს. ბანიოსები და თარჯიმნებიც იქ არიან, ათვალიერებენ, ზომავენ, სარებს არკობენ. როგორც ჩანს, სხვა ადგილს გვიშზადებენ, მაგრამ როგორს — ისიც მოტიტვლებულია, მართალია, მწვანე ხასხასებს, მაგრამ ბრინჯისა და ბოსტნეულის ნათესია; ფეხს ვერსად დაადგამ.

გუბერნატორმა რა შეიტყო, ამ მეორე ადგილზედაც უარი განვაცხადეთ, გვიპასუხა, სხვა აღარაფერი მაქვსო, რომ ჩვენს მიერ მითითებული ადგილი თავად ომურეს ეკუთვნის და მოცემა არ შეუძლია. ორივე გუბერნატორმა ამის შემდეგ გული დაიარხინა: გამოგვიცხადეს, რომ რწმუნებულები დანიშნულია, ადგილს გვაძლევენ, მაშასადამე, თუ ამის და იმის შემდეგ მაინც მივიღივართ, იმათი ბრალი აღარ იქნება.

აღმირალმა სთხოვა მათ, რომ თუ რწმუნებულები ნაგასაკში ჩამოგვასწრებდნენ, წერილები გადაეცათ მათთვის. თან პატარა ბარათიც დაურთო გუბერნატორის სახელზე, სადაც აღმირალი აუწყებდა, რომ „მოკლე ხანში დაბრუნდება იაპონიაში, ნაგასაკში შემოივლის და თუ იქ არც რწმუნებულები დახვდებიან. არც მის წინადადებაზე პასუხი იქნება, მაშინ დაუყოვნებლივ ედოში გაემგზავრებოდა“.

ბანიოსები გვეკითხებოდნენ, ამ პატარა ბარათში რა წე-

რით, მაგრამ ზუსტად არაფერი უთხრეს, არც გუბერნატორს შეატყობინეს, სად მივდიოდით ან რამდენი ხნით ვაპირებდით წასვლას. სულ გვეგონა, რომ გაგვაჩერებდნენ, ადგილს მოგვეცემდნენ და გვეტყოდნენ, რწმუნებულები მოდიანო: მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. გუბერნატორები მიხვდნენ, ედოში არ მივდიოდით და დაწყნარდნენ. თუ ხელსაყრელი ქარი იქნა, დღესვე წავალთო, ვუთხარით იაპონელებს.

სამ საათზე, ნაგასაკში ზუსტად სამი თვის ყოფნის შემდეგ ავხსენით ღუზა: 10 აგვისტოს მოვედით და 11 ნოემბერს მივდივართ. დასაძინებლად დავწექი, მაგრამ ფეხის ბრაგუნმა და, ღუზის ჯაკვის რაჩხუნმა გამომალვიძა. ერთი წუთით გამოვედი. პირველ რეიდზე, ეგრეთ წოდებულ კოვალსკის ალყათან გავდიოდით. სულ ახლახან იყო, აქ რომ დავსეირნობდი ნავით. აგერ ბოლაზი, რომელიც დავათვალიერეთ, აგერ პაპენბერგი, შორეულ, მაღალ მთებზე ნაცნობი ხრამები და ღრანტეები, აი, კამენოსიმა, ივოსიმა, აგერ მარცხნივ ლურჯად ლივლივებს ნომოს კონცხი, აი, გაშლილი სივრცეც, უსაზღვრობა, ზღვა!

შ ა ნ ხ ა ო

სედლის კუნძულები. — მეთევზეთა ფლოტილია. — სავაჭრო შკუნით შანხაიში გამგზავრება. — გუცლაეი. — იანსეკიანი, — ხანძარი. — მდინარე ვუსუნი და მისი დაბა. — სამხედრო ჯონკები და ევროპული ხომალდები. — შანხაი. — ჩაის ამბაეი. — მდაბიო ხალხი. — საბაეო. — ამერიკელი კონსული. — ჩუქურთმისანი ჩინური ნახელავი. — ქუჩები და ბაზრები. — ღუქნები და გამყიდველები. — ხილი, მწვანელი და ნანადირევი ფრინველი. — სამიკიტნოები. — ევროპული მალაზიები. — ბუდას სამლოცველო. — შანხაური დოლარები და ჩინური სპილენძის ფული. — მიდამოები, მინდვრები, ინგლისელთა სასეირნოები. — ბანაკი და ინსურგენტები. — ტაუტაი სამკვა. — სანოვავით მოეპურეთა მიერ ქალაქის ალყის შემორტყმა. — ინგლისელების მოპყრობა ჩინელებისადმი. — ოპიუმით ვაჭრობა. — შანხაის მნიშვნელობა. — ბოგდიხანის ტახტის პრეტენდენტი. — ქრისტიანობის წარმატება ჩინეთში. — ფერმები და მიწათმოქმედნი. — ჩინური დაკრძალვა. — ფრეგატზე დაბრუნება.

იხეე ზღვაში ვართ, ისევ ქარის ნება-სურვილზე ვტრიალებთ, ან თუ მისი წყალობაა, მშვიდად მივიდევართ! რარიგ ღმუის ახლა და რარიგ ცივა! სამი თვეა ზღვას გადავეჩვიე, ახლა უფრო ამრეზილი ვუცქერი, ყველამ როგორ დაიკავა

თავისი ადგილი, როგორ მიეკრა თითქო ოთხი მესაქე საქეს, ბორბლის სახელურებს ჩაჭიდებული, როგორ აბობლდნენ ზეზღვაურები მარსებზე და როგორ შეისხა ფრთები ფრეგატმა. პაპა კი იუტიდან რუკისკენ და რუკიდან იუტზე ხეტიალს მოჰყვა. ხან ექვსს, ხან შვიდ კვანძს ვაკეთებთ ბეიდევინდზე. დიდხანს მოგვდევდა იაპონური ჯონკა დასაზვერად, საით გავემართებოდით. აღარ ვიცოდი, სიცივეს სად დავმალოდი, თიეთიკის პალტოიანად ჩავწექი ლოგინში, ბამბის საბანი გადავიფარე და მაინც ვერ გავთბი. დიდი სითბო არც შემდეგში გველოდა: შანხაიში ყინვები სცოდნია, თუმცა კი ჩრდილოეთის 31 გრადუსზე მდებარეობს.

დღეს ცხრა საათზე გამოვედი გემბანზე: მარცხნივ რაღაც კუნძული მოჩანს ნისლში; უზარმაზარ თევზირივით თავზე მოშავო-მოიისფრო ღრუბელი დასდგომია და წვიმა ზოლ-ზოლად მოდის. მოღრუბლული ამინდია; წვიმა ცრის; ჰაერი ნოტიოა, ოდნავ ქაობის სუნს დაიკრავს. გრძნობ, რომ სურდო დაგეზარათება. ზაფხულის მიწურულში ფინეთის ყურეში თუ ნევაზე რომ იცის, ღრუბლიან დღეებში, ისეთი ამინდი დგას. „ეგ რა კუნძულია-მეთქი?“ — „გოტოაო“, — მითხრეს. „მარცხნივ რაღაა?“ — „ვირის ყურებიო“. — „რაო, ყურები ვითომ რად ჰქვია? ისიც ვირისა“, — ვფიქრობდი ამ სრულიად მოტიტვლებულ, ჩაქამებულ ლოდების ჯგუფის შემყურე, — ეტყობა, ხმამაღლა გამიფიქრია, რადგან ჩემს გვერდით ერთმა თქვა: „იმიტომ, რომ წყლიდან ამოცქვეტილივით ჩანს — არ ხედავთ?“. კი ვხედავ, მაგრამ ქუდს, ჰიშკარს, ყველაფერს მიაშვენივ, ოღონდ ყურების არა სცხია რა. თუმცა ხომ ამბობენ, სუფრა მთა სუფრას ჰგავს, ლომა კი ლომსაო: ჰოდა, ამ ლოდებმაც ვითომ რა დააშავეს, რომ ამ სახელით არ მოინათლონ? აგერ, მარჯვნივ, კიდევ სამი ლოდი ამოშვენილა: ჩვენი ტრანსპორტის მეთაურმა, კაპიტან ფურუგელმა პირველმა შეამჩნია ისინი. რუკაზე ისინი ნაჩვენები არაა. ჰოდა, ჩვენებმა აღნიშნეს მისი მდებარეობა. იაპონიიდან თუ მოდიხარ, „ყურებიდან“ ოდნავ მარჯვნივ ჩანს, თითქოს სურათის მეორე მხარეს არიანო. ვინ წინადადება შემოიტანა, პალადას ლოდები დავარქვათო, ვინ სამი დარაჯიო, მაგრამ უსახელოდ დარჩნენ.

ქარმა იმძლავრა: ბრამსელები აკრიფეს, მალე მარსელებ-
ზეც აილეს რიფები. რომ იცოდეთ, რა ნატვრად გადამქცევია
ხმელეთით მგზავრობა, ისიც რუსეთში! მიდიხარ ნება-ნება,
არსად მიგეჩქარება, წასვლა შენს სურვილზეა დამოკიდებუ-
ლი, საამო თანამგზავრები გახლავს; ზღვა არ გარწევს, მარტო
ჯანჯღარებ, ამას როგორ არ გაუძლებს კაცი. ზანზალაების
წყარუნში ქარის ზუზუნნი აღარ ისმის. თუ ცივი ღამეა, ეკი-
პაეს შეათარებ თავს, ბუმბულებში ჩაეფლობი, საბანს წაი-
ხურავ — აღარაფრის დარდი აღარ გაქვს. დილით გვიან გაედ-
ვაქება მგზავრს, გასადვიებლად დათქმული დრო ძილში ორ-
ჯერ გამოჰპარვია, გაჭირვებით გამოაძრობს თავს ბალიშები-
დან. წამოხტება à l'imbécile¹ გაბურძგნილი და აქეთ-იქით
აცეცებს თვალებს: „ეს რა ხეებია, საიდან გაჩნდა, მე აქ რა
მინდა?“ მერე გონს მოვა, ქულს მოიძებნის ფათურით, მაგრამ
თავის მაგივრად ქულში ფეხი ჩაუყვია, ან ქვეშაგებში ჩაჰყო-
ლია. ხანდახან კი ველარც იპოვის. შემდეგ კითხვები წამოვა:
შორი მანძილი თუ გაიარეს, სადგურზე მალე თუ მოვლენ, რა
ჰქვია აგერ იმ სოფელს, ხევში რომ მოჩანს? მერე სადგურზე
მივა, ჩაის დალევს, დილის სიგრილე შეაურყოლებს, ტენიე-
რის სურათები მოაგონდება; შემდეგ ისევ ტყეების, ნახნავე-
ბის, შორეული დაბების, სოფლების ცოცხალი, ნაირ-ნაირი
დეკორაციების ქვრეტა. თაკარა მზე, კრაზანები, სიცხე ცო-
ტა ხნით შეაწუხებს მხოლოდ, და ისევ სადგურზე მივა, ისაღი-
ლებს, მოლიმარი სახეები შეეგებება, ორშაურიანებს დაარი-
გებს; ამის შემდეგ ისევ ძილი, ბოლოს ნაცნობე შლაგბაუმი,
ნაცნობი ქუჩა, ნაცნობი სახლი, იქ კი ვინმე მდებრობითი ან
მამრობითი, ან საშუალო სქესი... აჰ! სადა ხართ, სად, სანუკვა-
რო, ნაცნობო სურათებო? აქ მე რა დღეში ვარ? ცალი ხე-
ლით ვწერ, ცალით ტიხარს ვეჭიდები; მაგიდა ჩემსკენ მო-
ჩოჩავს, მე კედელზე მიეძვრები... ნახვამდის.

14-ში. აგერ Saddle-Islands, სადაც ხომალდები უნდა
გავაჩეროთ. შანხაიში ხომალდებით ვერ წავალთ, რომ იქ ან
მარჩხობს, ან ინგლისელებს არ წავაწყდეთ, თუკი მათთან
ომი გვაქვს. ჯერ არაფერი ვიცით. თანაც დიდი ხომალდები

¹ გეივიტ (ფრანგ.).

შანხაიში ვერ შედიან: იანსეკიანის მდინარე სულ მარჩხობე-
ბითაა სავსე: ორთქლის გემი და ლოცმანია იქ საჭირო. შანხა-
იში ორთქლის გემიც არის, „კონფუცი“ ჰქვია, მაგრამ ოთხას
დოლარს იღებს შანხაიში ხომალდის შესაყვანად. ნეტავ რას
იტყოდა პატიოსნებით სავსე ფილოსოფოსი, რომ სცოდნოდა,
მისი სეხნია ასე გაყველედ და ჩამოსულ ხომალდებს? რა თქმა
უნდა, უცხოეთს შეაჩვენებდა და დასწყევლიდა. თუმცა ვინ
იცის: ამ წარმოების აქციები რომ ჰქონოდა, იქნებ თვითონ
ორჯერ მეტად გაეძრო ტყავი. აქ უზომოდ ძვირია ქვანახშირი:
ტონა ათი გირვანქა სტერლინგი ღირს, ამიტომაც ასე ძვირს
იღებს გემი ბუქსირში.

Saddle-Islands იანსეკიანის შესართავიდან ორმოციოდე
მილზე მდებარეობს, მდინარით კიდევ ორმოც მილზე მეტი
უნდა იარო, შემდეგ ვოსუნგის, უსუნისა თუ Wiosung-ის;
როგორც ინგლისელები წერენ, თქვენ კი როგორც გნებავთ
ისე გამოთქვით, პატარა მდინარეს გაჰყვე. ჩინეთში ნაცხოვრე-
ბი შ[ამა] ა[ვაკუმი] იძახის ვ უ ს უ ნ ი უნდა ითქვას, ჩინე-
ლებს ასო გ არა აქვთო.

Saddle-Islands „სედლის კუნძულებსა“ ნიშნავს: ამაზეც
იტყობა, რომ აქ ინგლისელებს უბატონიათ. ჩინეთის ომის
დროს ინგლისელთა სამხედრო ხომალდები აქ იდგნენ თურმე.
ნაპირს ახლა ჩემი კაიუტის სარკმლიდან ვხედავ: ის პატარა
კუნძულების და ლოდების მთელ ჯგუფს შეადგენს, სასვენი
ნიშნების მსგავსად; რუკაზეც წერტილებითაა აღნიშნული. ჩი-
ნეთის მეზობლად მდებარე მეტწილ სხვა კუნძულებივით ისი-
ნიც უნაყოფონი არიან; ქარს გაუძარცვია ნაპირი. თუმცა
წერენ, აქ ბევრი ხამანწყა და — რა გგონიათ კიდევ? ნარგი-
ზები იცისო.

ეს წუთია კ. ნ. პ[როსიეტმა] დამიძახა მეთევზეთა ფლოტის
სანახავად. მეგონა, ოციოდე სათევზაო ნავი იქნება-ნეტქი, და
გასვლა არ მინდოდა: წარმოიდგინეთ, ხუთასამდე დავთვალეთ.
ჩვენგან სამიოდე კაბელტის, მაშასადამე სამასი საყენის და-
წორებით ერთ ხაზზე იყვნენ მარცხნივ ჩამწყრივებულნი. მარ-
ჯვნივ ზღვის ურჩხულის მუქი, უფერული ხერხემალივით
აჩაჩხულიყო კუნძულები: არც მწვანე, არც მალღობები არ
ჩანდა ზედ; თუმცა იქამდე თორმეტი მილი კიდევ უნდა გაგ-

ვევლო. ჩინური ნავების მესერს თვალს არ ვაშორებდი. ნეტავ რას აკეთებენ იქ ეს მეთევზეები, ვინ იცის, შიგადაშიგ მეკობრეებიც ურევია? მეტი წილი კუნძულებზე მცხოვრები ჩინელებისა ხომ მეკობრეები არიან. მათთვის კანონი არა წერია. ჩინეთის მთავრობა მეტისმეტად უძლურია და ფლოტის გარეშე მათ ვერ უმკლავდება. ინგლისელებსა თუ სხვებს, ვისაც ზღვაზე ძალა შესწევს, მეკობრეები ვერაფერს უბედავენ, მაშასადამე, არც ენაღვლებათ ეს ამბავი. იმასაც კი ამბობენ, ინგლისელები სხვადასხვა საქმეებისთვის იხმარენო მათ. სამაგიეროდ სავაჭრო ხომალდებს დიდი შავი დღე ადგათ ნეკობრეებისგან. დანაშაულში ვერ გამოიჭერ: თუ ხომალდს მოერივნენ, ყველას გამოუკლებლივ ზღვაში დაახრჩობენ; თუ ვერ მოერივნენ, სწრაფად გაეცლებიან და მერე მიდი და სდიე მათ ამ ზღვების არქიპელაგებში. თუმცა მეკობრეები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დაესხმებიან ხოლმე თავს, როცა ვაპარჯების იმედი აქვთ. მათი დაქერის მთელ სიძნელეს კიდევ ის შეადგენს, რომ მარტო ერთ ხელობას არ მისდევენ. დღეს ვაჭრობენ, ხეალ მეთევზეობენ, ყოველ მარჯვე შემთხვევაში კი — ყაჩაღობენ. ჩვენი მეზღვაურები თვალს ვერ წყვეტენ. თავიანთ წითელ კასრისებურ ჩიჩობის იაღქნებიან ნავებს რა სიმარჯვით დააქროლებენ ისინი: ეტყობა, რომ ზღვა მათ სტიქიონს წარმოადგენს. უფროსი, მგონი, არავინა ჰყავთ: დღეს აქ გაჩნდებიან, ხეალ იქ, მართლმსაჯულებას ნიადგ უსხლტებიან ხელიდან. მოსახლეობა ჩინეთიდან ცალცალკე იფანტება, როგორც მუზურო გატენილ ტომრიდან, ყოველ გარშემო თუ შორს მდებარე კუნძულებს ედება, დაწყებული იავათი და გათავებული კალიფორნიით. ჩინელებს ყველგან ბლომად ნახავ: ისინი ვაჭრებიც არიან. ჩინებულთ ჯელოსნებიც და მუშებიც. მიკვირს, აქამდე კეთილი იმედის კონცხზე რომ არ ამოუყვიათ თავი? ეს ხალხი აღბათ დიდ როლს ითამაშებს ვაჭრობაში და იქნებ არა მარტო ვაჭრობაში.

ჩვენმა ორდლიანმა მგზავრობამ აქამდე მშვიდობით ჩაიარა. ოთხშაბათს ლუზა ავხსენით, დღეს, შაბათს კი, უკვე ვუახლოვდებით ნაპირს. სულ 450-მდე მილი გავიარეთ: ეს შვიდას ვერსზე მეტი გამოდის. კი გვარწევდა, მაგრამ არც ისე ძლიერად, თუმცა გუშინ მძაფრი, ცივი ქარი ქროდა თანაბრად.

ღელვა დიდი არაა, მაგრამ გაავება ეტყობ. და არც წყნარდება: თითქო გულმოსული კაცი იყოს, გამწარებული გეჩხუბება და რისხვას კარგა ხანს ვერ დაიოკებს. ფრეგატი მარცხენა მხარეს გადაფერღებული მიარღვევს წყალს და დაძაბვისაგან შიგადაშიგ მძაფრად ყანყალებს: თითქო შენს ფეხქვეშ რაღაც ცოცხალი ძარღვები დაჭიმულა და ყოველ წუთს შეიძლება დაწყვიტოს ძალის დატანებამ; ესოდენ საგრძნობია, განსაკუთრებით ფეხებისთვის, ანძებს, იალქნებსა და ხომალდის მთელ ჩონჩხზე ჰაერის წნევა.

დღეს დილით რომ ავდექით, გუშინდელზე თბილი ამინდი დაგვხვდა; ფორდევინდზე მივდივართ, მაშასადამე, ქარი პირდაპირ კიჩოდან გვირტყამს; ხუთ კვანძს ვაკეთებთ საათში და ქარიც ზომიერია. «ყველანი ზემოთ — ლუზა ჩაუშვით!» — გავიგონე წელან. იუტზე გავიქეცი. აი, ლუზა ჩაუშვით. მაგრამ ეს რა ეამი კლდეებია! რა უდაბური ადგილები! ბუჩქსაც ვერ დაინახავ. ამბობენ, აქ სოფელიაო: ნეტავ სად? კლდეების გარდა არაფერი ჩანს.

16-ში. გუშინ ჩვენები შანხაიში შეუნით გაემართნენ. მე არ წავედი, იმედი მქონდა, კიდეც მოვასწრებდი: აქ ერთი თვე მაინც უნდა დავრჩეთ. მეც მიმიწვიეს, მაგრამ მზად არ ვიყავ, თანაც ჯერ გაიგონ, შანხაი რას წარმოადგენს, იქ რა უნდა ნახოს კაცმა და რა გააკეთოს? უშვებენ კი ჩინურ ქალაქში? ხოლო თუ ევროპულ ფაქტორიაში მოგვიხდება ცხოვრება და მის გარდა ვერაფერს ვნახავთ, წასვლა არცა ღირს: იქაც ისევ ის ინგლისელები დაგვხვდება, ისეთივე როსტბიფი, ისეთივე much obliged¹ და thank you². ჩინელებში კი ერთი ალიაქოთი და არეულობაა. ქალაქში ინსურგენტებია, ჯარი ირგვლივ შემორტყმია ბანაკად: იმედი არა გვაქვს, ჩინური თეატრი ვნახოთ, ჩინურ სადილზე დაგვაბატიყოს ვინმემ, ჩიტის კვერცხები გავსინჯოთ. ან ჩვენსობას მაინც შეეტაკებოდნენ ერთმანეთს! ამბობდნენ, აქედან შანხაიმდე ოთხმოცდაათი მილი არისო, ას ხუთი კი გამოდის, ჩვენებურად ას ოთხმოცდაოთხი ვერსი.

¹ დიდად დამაჯალბოთ (ინგლ.).

² გმადლობთ (ინგლ.).

ჩვენები დღეს აქაურ ნაპირზე გადავიდნენ, ჩინელების სოფელში იყვნენ, თევზის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ ჩინელებს უთქვამთ, ახლანდელი თუ მომავალი ნანადირევი სულ გაყიდული გვაქვსო. გასახარელი აქ არაფერია. თუმცა, დიდი ხანია სასიხარულო არაფერი გვქონია: გზად ან ინგლისურ ნავსადგურებში შევდიოდით, ან ისეთ ნაპირებზე ვდგებოდით, სადაც გადმოსვლა არ შეიძლებოდა, როგორც იაპონიაში ან გადმოსვლად არც ღირდა, ვითარცა მაგალითად აქ.

მაგრამ ჩვენები იხტიბარს მაინც არ იტყვენ და კლდეებზე სასიეროდ დადიან. გუშინ კორვეტიდანაც გადავიდნენ ნაპირზე მინდვრად ჩაის დასალევად, როგორც რუსეთში არყის ჭალას მიაშურებენ. ოღონდ თან შეშა და წყალი წაიღეს: იქ ვერ იშოვიდნენ. ვითომ ყურით მოთრეული სოფლური სიანოვნება არაა?

ზღვაში: სანანებელი გამიხდა, შანხაიში რომ არ წავედი. უსახელო კლდე, სადაც ღუზა ჩავუშვით, მარტო ჩრდილოეთის ქარისაგან გვიცავს, სამხრეთულისაგან ვერაფერს გვშველის. დღეს უეცრივ სამხრეთის ქარი ამოიჭრა, ბარონეტრი ნელ-ნელა დაეცა. სასწრაფოდ ავხსენით ღუზა და ერთი საათის შემდეგ უკვე ზღვაში ვიყავით, სახიფათო ლოდებისაგან შორს. მეთევზეთა უშიშარი ნაგებიც ბოლაზებს შეეფარა. ხან დრეიფზე ვდგავართ, ხან ზანტად მივჩოჩავთ ერთი-ორი კვანძის სიჩქარით წინ, მერე უკან. ისეთი სიბნელეა, ვზას ძლივს მივიკვლევთ. გულისგამწყალებლად, გადაუღებლივ ასხამს და ჩემი კაიუტის სახურავზე, ე. ი. იუტზე აკაკუნებს. მაგრამ პეტერბურგში გაჩახჩახებულნი დარბაზები, მუსიკა, თეატრი, კლუბები წვიმას დაგავიწყებს; აქ კი ჭრიანებს გემსართავეები, გაფელზე მკრთალად ანათებს ფარანი, ერთი და იგივე ხალხი გახვევია ირგვლივ. ერთი და იგივე საუბარი გესმის. ნეტავ შანხაიში მაინც წავსულიყავ!

დღეს, 19-ში ძლიერი ქარი უკან გვერეკებოდა ცხრა კვანძის სიჩქარით. მთელი დამე თვალი ვერ მოვხუჭე. ოთხ საათამდე ჩვეულებისამებრ ვწერდი და ის იყო დაწოლა დავაპირე, რომ მეორე გაღსზე შეუდგნენ ხომალდის მორტიალებს: ატყდა სტვენა, გაისმა განკარგულებანი; ბიზან-შკოტი და გროტა-ბრასი ჩემი კაიუტის სახურავზე ჩახრახნილ როულ-

სებში გადის. ჰოდა, როცა ამ გემსართავებს მოჭიმავენ, ისეთი გრძნობა გებადება, თითქო შენს თავისქალაზე მირაზრახებს ორი ეკიპაჟი. ამასობაში ქარი შეიცვალა და ისევ ჩვენს სადგომისაკენ წავედით. გზაში კორვეტი წამოგვეწია, ღამით ფალ-შფეიერებს ვაშუშხუნებთ. რვა საათზე ისევ იანსეკიანის ყვითელ ტალღებში გავჩნდით. ნამდვილ შესართავამდე აქედან ორმოცი მილი იქნება, მაგრამ ისეთი ჩქარი წყალია, რომ ჯერ კიდევ ამ Saddle-Islands-ებამდე რამდენიმე მილზე შემოგვხვდა ყვითელი ტალღები.

რომ მომაგონდება 5 აგვისტოდან მოყოლებული, ე. ი. იაპონიაში ჩასვლის დღიდან ნაპირზე არ ვყოფილვარ, ნაგასაკის გუბერნატორთან ვიზიტად წასვლას თუ არ ჩავთვლით, თავზარი მეცემა ხოლმე. ზუსტად სამი თვეა უკვე. არც ის ვიცი, როდის გვეღირსება ნაპირზე გადმოსვლა. მოვა შკუნა ჩვენს წასაყვანად, მოვხვდები თუ არა შანხაიში — ვერ გეტყვით. დადინარ გემბანზე, გესმის ქარის ღმუილი, აქ ის თითქმის არასოდეს ცხრება, განსაკუთრებით საღამოობით. ყურში ჩაგწვდება კიდევ რაღაც, თითქო უცხო, აქვე შერეული ხმები, ან წუთით გაიელვებს შორს გასროლილი ზარბაზნის ცეცხლი თუ მთებში გამკრთალი სინათლე: ან იქნებ სულაც არაფერია, მხოლოდ მოჩვენებებს წარმოადგენს, დასუსტებულ, დაღლილ ორგანიზმს რომ მოევიწინება... კორვეტი მხოლოდ დღეს, 21-ში დაბრუნდა ჩვენი ხანმოკლე ექსპედიციიდან, როცა სამხრეთის ქარს გავექეციო.

22-ში. ჯერ კიდევ არ გადავსულვარ აქაურ ნაპირზე. ჯერ ერთი ამ პიტალო კლდეებზე ხოხვის თავი არა მაქვს და მეორეც, რითი უნდა ვიხოხო: ჩექმები სადაა, უფრო სწორად, აგერ მათი მთელი რიგი ჩამწკრივებულა, მაგრამ ერთშიც არ ჩამდის ფეხი. ყველაზე მეტად ზღვა აფუჭებს ტყავს; ჯერ დანესტიანდება და დაობდება; მერე ცხელ კლიმატში გახმება და საწერ ქალაღივით დაიფხრიწება. შორეულ გზაზე გირჩევთ ჩექმები არ წაიღოთ, თუ წაიღებთ, რაც გაცვიათ, იმის მეტი არა; მაგრამ ბაშმაკები და წაღები ბლომად მოიძარაგეთ... თუმცა ნურც ამაზე შეიწუხებთ თავს: შემკერავს ყველგან იშოვით. ახლა ჩინური წაღები მაცვია, ჰონ-კონგში შეკერი-

ლი... აი, რას ნიშნავს მოწყენა: à propos des bottes-ზეც¹
აგალაპარაკებს.

23-ში. გუშინ დილითვე შევამჩნიეთ შკუნა; გვეგონა, ჩვენა იყო, მაგრამ არა, მეტისმეტად მაღალი რანგოუტი ჰქონდა, ჩვენსკენ იკანკლურად მოდიოდა. კაპიტანი, მ[ამა] ა[ვაკუმბი] და მე კაპიტნის კაიუტის სარკმლიდან ვუყურებდით, ყოველი მხრივ ტალღები რომ ესხმოდა და წყალში ყურყურებდა; მიბრუნებას დააპირებდა, ვერ ბრუნდებოდა, ბოლოს მოტრიალდა და ზუთი საათისათვის ფრეგატის ახლოს ჩაუშვალა. რას ვიფიქრებდით, თუ ჩვენები იქ იყვნენ. კ. ნ. პ[ოსი-ეტი] და ს. პ. შ[ვარცი] ჩამოვიდნენ შანხაიდან, მწვანელი, ცოცხალი ხარები, ქათმები, იხვები, ერთი სიტყვით, ნედლი სანოვაგე და ახალი ამბები მოგვიტანეს, თუმცა ცინცხალი არ გამოდგა: აგვისტოს ამბები იყო, ახლა კი ნოემბერი იდგა.

ჩინეთში აჯანყებაა; რუსეთში თურქეთთან საომრად ემზადებიან. კერძო წერილი ორად-ორია. შანხაიში წასვლას მთავაზობენ: კვლავ ყოყმანი მიპყრობს, ვერ გადამიწყვეტია — როგორ წავიდე, რა იქნება? სიცივე და სიზარმაცე მომერია, განსაკუთრებით სიცივე, არც სიზარმაცე უღებს ტოლს. გუშინ კაპიტნის კაიუტაში შეძინა. ჩემთან ტანსაცმლის განდა შეუძლებელია; ვწერ, ცალ ხელს კი ყილეტში ვმაღავ; ფეხებზე მყინება.

აგერ უკვე მეოთხე დღეა მძაფრი NW ღრიალებს; ფრეგატზე ბაგირი მოუშვეს, შკუნა ბაკშტოკზე აიყვანეს, ესე იგი¹ ფრეგატიდან გადაგდებულ ბაგირს ეჭიდება, როგორც ბაღლი ჩააფრინდება ხოლმე ძიძას კალთას. ეს ამერიკული შკუნაა: ამბობენ, ჩრდილოეთ პოლუსზე იყო, გორნის შემოვლით. შკუნას წ ე რ ტ ი ლ ი ჰქვია. ოკეანესთან შეფარდებით წერტილზე პატარაა, ხოლო თუ მაინც წერტილია, მაშინ მათემატიკური წერტილი იქნება. მის შემხედვარე ვერ წარმოიდგენ, გორნთან თუ იყო: ერთი დიდი ნავია, სულ 12 კაცია ზედ, შკიპერი ახლავს. გუშინ ქარმა იალქანი დაუგლიჯა, მთელი ჩვენი სანოვაგე, ქათმები, იხვები დაასველა, ერთი ხარი

¹ სიტყვების თამაში: პირდაპირი მნიშვნელობით „ბაშმაკებს“ ნიშნავს, გადატანით: „რაზეც მოგხედება“ (ფრან.).

ზვირთმა გაიტაცა. ჩვენი მოგზაურებიც ფრეგატზე რომ ამოვიდნენ, გეგონებოდა, ნეპტუნთან იყვნენ სტუმრადო.

როგორც მე მეგონა, ისეც აღმოჩნდა, შანხაი დაკეტილია; შიგ ვერ მოხვდები: ინსურგენტები არ უშვებენ. ჩვენებმა ნახეს, როცა ისინი ჯარს შეეტაკნენ. უნდა წავიდე, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩინეთის ნაპირიდან ასანახევარ ვერსზე იყო და არ ნახო, სირცხვილი იქნება. თურქეთთან ომის ამბავიც ჯერ გადაწყვეტილი არაა, არც ისაა გადაწყვეტილი, აქ ერთი თვე დავრჩებით, როგორც ვაპირებდით, თუ ორცხობილების უქონლობის მიუხედავად, ახლავე წავალთ იაპონიაში.

იანსეკიანი და შანხაი. ვისაც წასვლა გადაწყვიტა, ყველა ემზადებოდა, მე კი ჩემი ჩვეულებისამებრ ისევ ვეკომანობდი, წავსულიყავი თუ არა და ბოლოს დავთქვი, არ წავალ-მეთქი. დილით 8 საათზე აპირებდნენ წასვლას. მე ექვსზე ავდექი და წავედი. ამინდს არა უშავდა, ზომიერი ღელვა იყო, ფრეგატზე შეუმჩნეველი, პატარა შკუნაზე კი საგრძნობი. შკუნა მოვათვალიერე: ფრეგატის შემდეგ რა განსხვავება იყო! იქ მეორე თავში რა ხდება, არ იცი, ვისმე რამდენიმე დღე იქნებ ვერც შეხვდე; ყველგან წესრიგი, სისუფთავე სუფევს. აქ თითქო ნავით მიდიხარ. გემბანზე ქვეყნის ხარახურა ჰყრია; ანძებსა და იალქნებს გვერდს ვერ აუხვევ; ყველაფერი ჩამავებულია, ჩაბინძურებული, ფეხი გიცურავს, გემბანს ეწებები. შკუნის შკიპერს, ინგლისელ მეზღვაურს წინათ სავაჭრო ხომალდებზე უმსახურია. ახლა შკუნის პატრონს თვეში 25 დოლარად დაუქირავებია, აქაურ მიდამოებში დაჰყავს შკუნა სხვადასხვა საჭიროებისათვის. საჭეზე ჩალმიანა მალაელი იჯდა; მეზღვაურები ჩინელები იყვნენ.

ჩვენ ათიოდე კაცამდე ვიქნებით. ისეთი სივიწროვეა, თითქმის ვერ გაივლი. ოფიცრებიდან ბ-ნ პოსიეტი, ნაზიმოვი, კროუნი, ბელავენეცი, ბოლტინი, ოვსიანკინი, თავადი ურუსოვი მოდიოდნენ, არა ოფიცრებიდან სამნი: მ. ავაკუმი, ო. ა. გოშკევიჩი და მე. ჩვენი ხუთი მეზღვაურიც მოგვეყვებოდა, ხელოსნები იყვნენ და შკუნა „ვოსტოკზე“ რაღაცეები უნდა შეეკეთებინათ. პ[ოსიეტმა], ამერიკელების შკუნაზე ნამყოფმა, უკვე იცოდა, რომ არც შკიპერს, თუმცა წოდებით მეზღვაური იყო და ისიც ინგლისელი, არც სხვებს არავითარი წარმოდგენა

არ ჰქონდათ ხომალდის მართვაზე. ტყავის სკამზე მჯდარი მესაქე როგორც მოხვდებოდა, საქეს ისე ატრიალებდა. თავს დიხაბაც არ იწუხებდა ამაზე: წარამარა ფეხს აქანებდა, ჩიბუხს ტენიდა, აბოლებდა, იქვე, გემბანზე ბერტყავდა და ისევ თუთუნით ტენიდა. კომპასს ზედაც არ უყურებდა; თუმცა კომპასის შუშას იმდენი მტვერი, ობი თუ სხვა საძაგლობა დადებოდა, ვერც ვერაფერს დაინახავდა.

არც შკიპერი იკლავდა მინცდამაინც თავს. პატარა ხმელი კაცუნა იყო, თვითიკის ქურთუკი ეცვა და ჩაჩის მსგავსი მაულის ქული ეხურა. ჩუსანის არქიპელაგისა და სედლის კუნძულების დაფხრეწილი რუკა გამოიტანა და ბანის ქვენა საბურავზე გაშალა, თვითონ კი ისე მოიკუნტა სიცივით და ისე დაპატარავდა, თითქო თვალთაგან გაქრაო. ფეხი - ფეხზე გადადებულმა ხელები სახელოებში შეშალა და თუთუნის ღეჭვას მოჰყვა, შვიგადაშიგ პირს რომ დააღებდა... ღმერთო, რა პირი უჩანდა! ყურადღებას არავის გვაქცევდა. ოფიცრები წამდაუწუმ ახსენებდნენ, რომ ქარისა და დინებისთვის ყურადღება მიექცია. ისიც ნახევრად ინგლისურად, ნახევრად ჩინურად რაღაცას დაიყვირებდა და ისევ გაგვიქრებოდა. მესაქე ალალებელზე მართავდა; შკუნას ცხვირზე წრედ დამსხდარი ჩინელი მეზღვაურები აუწერელი სიმარჯვით მიირთმევენდნენ ორი ჩხირით ბრინჯს.

ჩვენმა ოფიცრებმა რა ნახეს, მათი იმედით შორს ვერ წავალთო, თვითონ შეუდგნენ მოთავეობას. ერთმა ხელის კვრით მოიშორა მესაქე, რომელიც შკუნას მის ნებაზე აკუნტრუშებდა და თვითონ დადგა საქესთან, მეორე რუკას დაჰყურებდა. ჩვენმა მეზღვაურებმა ჩინელები შესცვალეს, ბრძანების მიხედვით ხან სჭიმავდნენ, ხან თავისუფლად უშვებდნენ ბალახის გემსართავეებს და ისინიც ისე ჰტრიალებდნენ, თითქო თოვლზე ალალი მიდისო. საბედნიეროდ, ზურგქარი ქროდა, დინებაც ხელს გვიწყობდა; შვიდზე მეტ კვანძს ვაკეთებდით. აგერ, გავიარეთ სასვენი ნიშნები, ანუ სედლის კუნძულები. შორს, მარცხნივ, გუცლავის გუმბათივით კუნძული მოჩანს, რომელიც სახელგანთქმულ მისიონერ გუცლავის პატივსაცემად მოენათლათ ასე.

მართალია, ძალზე გვეციოდა და ძალზე ვიწროდაც ვიყავით,

მაგრამ ამ ცოტა არ იყოს გაჭირვებულმა, მოუხერხებელმა მგზავრობამაც თავისებურად გაგვართო, იქნებ იმიტომ, რომ ამ ჩვენს ერთფეროვნად გატარებულ დღეებში ცოტა სხვადასხვაობა მაინც შემოიტანა.

ერთ ხანს გემბანზე დავრჩით და მერე ქვევით ჩავედით, შიკიპერის კაიუტა დავიკავეთ. კაიუტა სოროსავეით ორი საკუჭნაოსაგან შედგებოდა. იმდენად ჩაბინძურებული და მინგრეული იყო იქაურობა, მართლაც მელიის სორო გეგონებოდა. ყველაზე მეტად იმ წყეული ზეთის სუნმა ამირია გული, რომელსაც ჩინელები საკმელში ხმარობენ; იავადან მოყოლებული პირდაპირ თავბედს მაწყევლანებს ეს სუნი: პირველად იქ ნომხვდა ცხვირში ჩინურ დუქანში და მას აქეთ ჭირივით მძლუს. სინგაპურსა და ჰონ-კონგში მას ნივრისა და სანდალოზის ხის სუნი ერთვოდა და უფრო მირევდა გულს; იაპონიაში სამი თვე აღარ მიგრძენია იგი, ახლა კი ისევ შენეფრქვია აქეთ-იქით მივიხედე, საიდან მცემს-მეთქი, და ვერაფერი დავინახე: მერხზე მარტო ტყავის საწვიმარი ქურთუკი ეგდო. ალბათ პატრონისა თუ იყო. გამოვხსენი, რაც კარადები თუ ბუჯერები იდგა: იქ ფინჯნებით ჩაი ელაგა — სხვა არაფერი, სუნი კი მაინც ისეთი იყო, კაცს წააქცევდა.

ამ პაწაწინტელა კაიუტაში ლამის მუხლებზე ვასხედით ერთმანეთს, თუმცა მხოლოდ ექვსნი ვიყავით, ოთხი ზევით დარჩა. საუზმეზე ისინიც ჩამოვიდნენ. დატევა არ გინდა? ის იყო მეზღვაურს დაეუძახეთ, სანოვაგე ამოელო, რომ დანარჩენებმაც მოგვაკითხეს. აგერ ბანის ქვენადან ვილაცის ფეხები გამოჩნდა, კარგა ხანს არ ეშველა ჩამოსვლა. შემდეგ მეორის, და ა. შ. თავდაპირველად გემბანიდან ბანის ქვენაზე რომ ჩავიხედე, ვიფიქრე, ნეტავ როგორ ჩაღიან-მეთქი კაიუტაში: კიბეს ზემოთ ორი საფეხური აკლდა, ამიტომ ჯერ ზღურბლზე, ანუ „კარლინსებზე“ უნდა დამჯდარიყავ, ფეხები ქვევით დაგეშვა და ფათურით მოგექებნა, საფეხური სად იყო, შემდეგ კი თოქს მოჭიდებულნი, ალალებელზე ისე უნდა გადმომხტარიყავ, რომ პირდაპირ მესამე საფეხურზე დაგედგა ფეხი. ამოსვლისას ხელები უნდა მოგეხმარა, მაშასადამე, ნიდაყვებით ბანის ქვენას კიდებებს მიყრდნობოდი და რომ ამოხტებოდი, ჯერ მუხლებზე დადგებოდი და მერე გაიმართებოდი წელში.

საერთოდ, კაიუტაში ჩასვლას დიდი გაბედვა სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, საუზმესა და ვახშამზე ყველამ გამოიჩინა გულადობა. სადილზე თავი შევიკავეთ: რამეთუ არ გვქონდა.

ვის არ უსადილია მწვანეზე, ქალაქგარეთ თუ გზაში? გახსოვთ, პარკებიდან, კალათებიდან თუ კოლოფებიდან დანები, ჩანგლები, პური, შემწვარი ინდაური, ღვეზელები რომ ამოლაგდება? ისე მეგონა, თითქო აქაც კვლავ იმ სამ ჭიქასა და ორ სასმისს ვხედავ, რომელიც ამგვარ შემთხვევებში უკვე მენახა. შუაქილმოტეხილი ჩანგალიც რაღაც საეჭვოდ იმზირება: სადმე მოსკოვსა თუ ნიენიდან უნდა მოხვედრილიყო აქ. აგერ ქალღმერთი გახვეული მარილი; აგერ შაშხიცი, ოღონდ მდოგვი დავიწყებით. საერთოდ აქ, მგონი, სხვა დროს დაცულ ყოველ წესსა და რიგზე აცხადებენ უარს. ერთი სასწრაფოდ ქანქლავს იხვის ფრთას, რა არის ღვეზელს მიუსწროს, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით ჩანაგდება. მეორე ჩანგალს აფათურებს დარჩენილ ნაჭრებში და ბუზლუნებს, რომ მისი საყვარელი ფრთები გაფრენილა. ვის ესაა დაუწყია საუზმობა, ვინ უკვე ჩაის მიირთმევს; აგერ ის იცდის, როდის მოვა მისი ჯერი, სუფრას მიაღწიოს და რამე უფრო არსებითი ჩაიგდოს ხელში, ჯერჯერობით კი მარტო ფორთოხალი მოუგდია და წუწნის; ვიღაცას უკვე ყველაზე მეტად უყოჩალია და ახლა ეგოისტურად აბოლებს სიგარას. შემწვრის სუნით მოტყუებული ორი ძალღიმილი ზემოდან ბანის ქვენაში იცქირება და მიწოდებულ ძვალს ხარბად გლეჯენ ხელიდან. ამას ყველაფერს კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ ჩინური ზეთის ეს მომწამლაფი სუნი არ გცემდეს ცხვირში! ლამის გული შემიწუხდა და ისევ ზევით ავედი.

მარტო ო. ა. გ[ომევიჩის] არ გაუზიარებია ჩვენი საუზმე, რომელიც თავისი სისადავით ტროას ეპოქის საკადრისს წარმოადგენდა. მას სხვა რამ აწუხებს: ზღვის სენი ტანჯავს. ზემოთ წევს ფარაჯაში გახვეული და რა წამს შეინძრევა, ფარაჯას მიუჩვეველი ძაღლები გაათორებით უყეფენ.

მაგრამ, აჰა, კუნძულებისა და ლოდების არქიპელაგს გავაღწიეთ და გუცლავიც გავიარეთ. აქ, ამ გამწვანებულ ოკეანეში, შკუნა ძალუმ აატორტმანა; წყალმა არა ერთხელ გადმოხეთქა გემბანზე. თქორი წამოვიდა. შკიპერმა თავისი საწვიმარი ქურ-

თუკი წამოიცვა და ერთბაშად საზიზლარი ზეთის სუნი დააყენა ირგვლივ. ნეტამც წინათ მცოდნოდა, რომ ამ ქურთუკის ბრალი იყო!.. წყალი თანდათან უფრო ჩაყვითლდა. მალე ოკეანეს ზღულეს გავცდით და მდინარეში შევედით. კაიუტიდან „ამოვხტი“ ნაპირების სანახავად. „სადაა-მეთქი?“ — „ნაპირები არაა“. — „ეს განა მდინარე არაა?“ — „მდინარეა“. — „იანსე-კიანი?“ — „ჰო, „ოკეანის ძე“ ჩინურად“. — „ნაპირები სადა აქვს?“... — „აგერ, აგერ“, — მეუბნება შკიპერი. ვუყურებ — ვერაფერს ვხედავ.

ბოლოს მარცხენა მხარეს ზოლი გამოჩნდა, მარჯვნივ წყალი — მეტი არაფერი. მარჯვენა ნაპირი სულაც არა ჩანს. მარცხნივ თანდათან ნათლად გამოიხატა ის. იმდენად დაბლობია, რომ წყლის ჰორიზონტს ძლივს ცილდება, რუხ თიხასაგან შედგება. მთელს გაყოლებაზე საგუბრები გაუკეთებიათ, იქიდან კუთხეებაზნეჭილი სახურავები მოჩანს, აქა-იქ ზეებს და ყანების ხნულებს დაინახავ, ისიც შანხაის ახლოს, თორემ მანამდე მთელი ცისკიდური ოდნავ შესამჩნევ თალხი არშით ისაზღვრება. მარჯვნივ კუნძული დაგვჩა. შკიპერს კუნძულის სახელი ვკითხე, მაგრამ ყრუ ბგერები ჩამყეფა, ხმოვანთა გარეშე. რუქაზე ვცადე გარჩევა, მაგრამ იქ კუნძულთა მოხაზულობის გარდა მხოლოდ რაღაც უცხო ლაქები ჩანდა, ორავე ნაპირს რომ ფარავდა. მერე უკვე ბინდბუნდმა დაფარა ყველაფერი, აღარაფრის გარჩევა შეიძლებოდა. „ოკეანის ძეზე“ გუმანით მივიწვედით. ორი ჩინელი წამდაუწუმ საძირავს ისროდა წყალში. ერთი გაჰკიოდა: three and half¹, შემდეგ half and four², და სულ ამგვარად ასხვადასხვაფერებდა კივილს. ჩვენები რუქას დაჰყურებდნენ და სიღრმეს იმით ამოწმებდნენ. სიღრმე წარამარა იცვლებოდა, 8-დან 3½ საყენამდე. როგორც ამ უკანასკნელ რიცხვზე დავიდოდა, შკიპერს ცოტა არ იყოს გულგრილობა შეერყეოდა და ხანდახან საჭეს თვითონ მოჰკიდებდა ხელს.

აქ შემოსვლა ჩვენს პატარა ხომალდებსაც უჭირს და ფრეგატისთვის ხომ შეუძლებელი იყო, თუ დიდი გემი არ შეეშვე-

¹ სამნახევარი (ინგლ.).

² ნახევარი და ოთხი (ინგლ.).

ლებოდა. ფრეგატი 23 ფუტზე ზის წყალში; იანსეკიანისა და მის შენაკად ვუსუნის ფარვატერი, შანხაი ხომ ამ მდინარეზე დგას, დიდი-დიდი 24 ფუტის სიღრმისა იყოს, თანაც მეტის-მეტად ვიწროა. Woosung-მდე (ვუსუნამდე) ბევრი ალარ დაგვრჩენოდა. ვუსუნის დაბა იმ ადგილზეა გაშენებული, სადაც ამავე სახელობის მდინარე იანსეკიანს ერთვის.

ვუსუნში ჩვეულებრივ ოპიუმით მოვაჭრე ხონალები ჩერდება და თავიანთ საქონელს აქედან აგზავნიან ნავეებით შანხაიში, ნანკინში თუ სხვა ქალაქებში. თანდათან უფრო ჩამობნელდა: ჩვენ ფრთხილად მოვდიოდით, მოღრუბლული ამინდი იდგა. „აგერ დაფიონი!“ — თქვა ვილაცამ. მართლაც ნარცხნივ, ჰორიზონტზე, ძოწისფერი ლაქა გიზგიზებდა და თანდათან უფრო დიდდებოდა. მალე შესაძლებელი გახდა გასროლის ალი და აფეთქება გაგვეჩია. შანხაიში, ექვს გარე-წეა, ბრძოლა და ხანძარი! ეს დაგვეხმარა, ჩვენი ადგილმდებარეობა განგვესაზღვრა.

ბოლოს, დაფიონის შუქზე, ვითარცა ისრაელების ცეცხლოვანი სვეტის სინათლეზე, საღამოს რვა საათზე ხონალების სილუეტებს მოვკარით თვალი, ჩვენი ტრანსპორტიც გავარჩიეთ და მისგან ორმოცდაათიოდე საუენზე ჩავუშვით ღუზა. ჩინელებმა ჩვენი მეზღვაურების დახმარებით მარჯვედ აკეცეს იალქნები და ბრინჯს მოუსხდნენ, ჩვენ კი ჩვენს იხებებსა და ჩაას. ზოგიერთები ტრანსპორტზე გადავიდნენ. თვლელმა მომერია. შეიპერი ქვევით ჩამოვიდა ჩაის დასალევად და გვიამბო, საიდან იყო მისი შკუნა, რა ადგილები მოევლო. სხვათა შორის, გვითხრა, რომ ამ შკუნასთან ერთად მეორე ზუსტად ასეთივე, როგორც თვითონ თქვა, მისი „sistership“¹ აუგოთ, მაგრამ ის ოკეანეში დაღუპულა ხალხიანად. შემდეგ გვიამბო, რომ ამ გადარჩენილ შკუნას მეკობრეთა თავდასხმა მოეგერიებინა, მერე კიდევ რაღაც გადახდენოდა თავს. თვლელ-ნამორეულს შიგადაშიგ ხან შორიდან, ხან ახლოდან, როგორც ნისლში — მაუდის ღამის ჩაჩი, ხმელი სახე, გაშტერებული თვალეები, გაქონილი ქურთუკი, კიდევ შემოსული ჩინელი მსახურის კიკინა მეცემოდა თვალში და საზიზღარი ზეთის

¹ გარი და (ინგლ.).

სუნი მომდიოდა. არც მერხზე თვლემა ყოფილა მაინცდამაინც ჰოხერხებული. მასპინძელმა შემოგვთავაზა წალოებში დაეწო-
ლილიყავით, და თავისი საწოლიც დაგვიტომო, რომელიც აქვე
წალოში, უფრო სწორად თაროზე ჰქონოდა გაპართული.
მეორე ოთახიდან, მაპატიეთ, სხვენიდან, ხვრინვა ისმოდა. იქ,
ესეთივე თაროებზე უკვე ორ-ორად მოკალათებულიყვნენ.
მერხებზედაც ორ-ორი იწვა. იქ პატარა არსენალიც ყოფილა:
მოპირდაპირე კედელი თოფებს, შუბებსა და ხმლებს გაეჭე-
და. დილით მასპინძელმა თაროდან ორი დამბაჩა ჩამოხსნა, გა-
რეთ გაიტანა და ჰაერში დასცალა, სიფრთხილეს თავი არ სტკი-
ვო. „ეგ იარაღი რაში გჭირდებათ-მეთქი?“ — ვკითხე და შუ-
ბებზე, ხმლებზე და თოფებზე მივუთითე. „ეგ ყველა ძველია,
აქ დამხვდაო, — მითხრა, — აქაურ ზღვებში სიფრთხილეა სა-
ჭიროო“.

თბილი პალტო მეცვა, ჰოდა, ამ პალტოთივე ავძვერი მას-
პინძლის ლოგინზე და კუთხეში მივიკუჭნე, ტრანსპორტზე წა-
სულ ამხანაგებიდან ერთ-ერთს ადგილი დავეუტოვე. არ ვიცი,
რას იტყოდით, რომ შეგეხებდათ, სად და როგორ მოვთავსდით
დასაძინებლად. წარმოიდგინეთ ერთი დიდი ზანდუჯი, რომელ-
საც ცალი გვერდი გამოუღეს — ჩვენი, ორი კაცის სარეცელი
სწორედ ასეთი გახლდათ. რა წამს დაეწექი, მაშინვე ჩაშეძინა.
დამით ჩამომესმა, რომ ვილაც წრიალებდა ჩემს გვერდით,
ალბათ დასაწოლად ეწყობოდა. ტრანსპორტიდან დაბრუნებუ-
ლი ა. ე. კ[როუნი] ყოფილა. მალე მიწყდა ხმაური და ჩვენც
ჩავიძინეთ. დახუთულმა ჰაერმა და ზეთის სუნმა გამოძლიძა.
რად მიღირდა სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა! დავაპირე გად-
მოსვლა — ვერ მოვახერხე: ჩემი მეზობელი გრანიტის კლდე-
სავით დამწოლოდა. ბევრი მუჯღლუგუნი ვუთავაზე ფერდებში,
ვერ იქნა და ვერ შევარხიე. აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგო-
მოდი და ამის ფიქრში ისევ ჩამეძინა. დილა იყო, რომ გა-
ბეღვიძა, შკუნა წინ მიიწვევდა. ჩინელი მაგიდაზე ფინჯნებს
ალაგებდა; მეზღვაურს ცხელი წყალი ჩამოეტანა.

მოდრუბლულია და ძლიერი ქარიც ქრის; წვიმა ცრის;
მდინარე ვუსუნზე მივდივართ; განიერი მდინარეა, ალაგ-ალაგ
ჩვენი ოკისოდენა იქნება. ნათლად ჩანს ორივე ნაპირი, სა-
გუბრებით ჩაკეტილი დაბლობები; საგუბრების მიღმა სახლე-

ბია, აქა-იქ კერპთსალოცავეებსა თუ სხვა მიზნისთვის განკუთვნილ შენობებს დაინახავ; ისინი სხვებზე მაღალი და მდიდრულია. მინდვრები ყველა დაუმუშავებიათ. პური და ბოსტნეული უკვე აუღიათ, მაგრამ სწორ-სწორი ყანები დახატულ პარკეტივით ლამაზად მოჩანს. ხეებსაც დაინახავ, მაგრამ იშვიათად და არც ფოთლებითაა უხვად შემოსილი; მე კომშის ხეებად მომეჩვენა ისინი. შორს ველარაფერს მოჰკრავ თვალს. არც მთაა, არც გორაკი, არც ბექობი — ერთი ბრტყელი, თითქო ქაობიანი ველი გაშლილა.

შანხაის ახლოს მდინარე შესამჩნევად გამოცოცხლდა. წამლაუწუმ ჯონკები გვხვდებოდა, მოწითალო, რომელიდაც ხის ბოჭკოებისა თუ ხის კანის იალქნებით. ჩინური ჯონკები ცოტაოდენ იაპონურს ჩამოჰგავს, ოღონდ კიჩო არა აქვს გაქრილი. ზოგიერთ ჩინურ ნავზე ცხვირი და კიჩო შიშველია. მხოლოდ შუაში გაუქეთებიათ ფარდული და კაიუტა; სხვებს, პირიქით, ცხვირზე მოუჩანს ფარდული. დიდი ნავეები მუქი ყვითელი ბამბუკის ძირებისგან აუგიათ, ჭილობებით მოუფენიათ, შესახედად მეტად სუფთა, მოსახერხებელი და ლამაზი ჩანს, ავეჯივით თუ სათამაშოებივით გაწყობილი. ბარჯები და ნიჩბებიც ბამბუკისავე აქვთ. სხვათა შორის, ამ მშენებლობაზე ქაფურის ხესაც ბლომად ხმარობენ, რადგან არ იხლიჩება. ჩინეთსა და იაპონიაში ქაფურის ხე ბევრი ხარობს, განსაკუთრებით ზონდის კუნძულებზე.

ეს ნავეები ზღვაში ჩინებული რამ ყოფილა: ზედ მხოლოდ ერთი გრძელი ანძაა გრძელი იალქნით. ნავის ქიმები, თუ გვერდიდან ურტყამს ქარი, წყლის ხაზს თანაბრად მიჰყვება, ცხვირი ტალღებში იფლობა, ნავი კი იხვივით მიცურავს; ჩინელი ნავში გაშხლართულა და არხეინად იყურება აქეთ-იქით. ამ დიდი ნავეებით მეთევზეები კარგა შორ მანძილზე გადიან ზღვაში. შანხაიდან ნიპოში მიდიან, საქონელი და მგზავრები გადაჰყავთ, ეს კი, მგონი, ას ორმოც საზღვაო მილს, ანუ ორას ორმოცდაათამდე ვერსს შეადგენს.

შანხაიდან სამი მილის მანძილზე სამანძა სავაჭრო ხომალდების მთელ ფლოტს გადავეყარეთ, რომელიც ვუსუნის ორივე ნაპირთან ირეოდა. ოცამდე რიგი დავითვალე, თითოეულში ცხრა თუ ათი ხომალდი იყო. ზოგან ამერიკული, ეგრეთ

წოდებული, „კლიპერები“ იდგა, დიდრონი, სამანძა ხომალდები, მეტად ლამაზები არიან და სწრაფადაც დადიან.

ნაშუადღევს მიქცევა დაიწყო; დინება ჩვენი საწინააღმდეგო გამოდგა, ქარიც. მძაფრი NW პირდაპირ შუბლში გვირტყამდა. შკიპერმა იკანკლურ სვლაზე გადაიყვანა შკუნა. ჩვენ ზემოთ ვიდექით. იალქნები წარამარა გადაჰქონდათ ხან მარჯვენა, ხან მარცხენა გალსზე. იალქანმა თუ გინდა არ წაგაქციოს, თავი უნდა დახარო ყოველ გადატანისას. შკუნა უცბად მარჯვნივ გაუხვევს და პირდაპირ ნაპირზე მიძვრება, საცაა თითქო მიეხლებათ; მაგრამ შკიპერი რაღაცას დაიყრანტალებს, ჩინელები, უფრო მეტად ჩვენი მეზღვაურები, გემსართავეებისკენ გაქანდებიან, მოუშვებენ და წუთით განთავისუფლებული იალქნები ანძებს ეტყლამუნება, ხელიდან უსხლტებათ, მერე ისევ იმორჩილებენ, გვიკვირებია „ფრთხილადო!“ ჩვენ თავს ვხრით, იალქნებს მარცხნივ გადაიტანენ და შკუნა სწრაფად იბრუნებს პირს. ათიოდე წუთის შემდეგ იგივე ამბები იწყება. ყველაფერი სველია, ფეხი გიცურავს, ერთი მხრიდან მეორეზე ჰაიპარად გადავლისას შეიძლება ბანის ქვენაში ჩავარდე. უკვე ათჯერ მაინც ვიქნებით მოტრიალებულნი.

აგერ, შანხაიც გამოჩნდა. ხომალდები, ჯონკები, მშვენიერი ევროპული შენობები, მოოქრული კერპოსამლოცველო, პროტესტანტული ეკლესიები, ბაღები, — ყველაფერი ჯერ ბუნდად გერევა თვალში, ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, გგონია, თითქო ეკლესია წყალში დგას, ხომალდი კი ქუჩაზე ასულა. მოთმინების ძაფი ლამის გაგვიწყდა: ტანისამოსის გამოცვლა, გათბობა, გასეირნება გვენატრება. პირდაპირ, სულ პირდაპირ გინდა იარო, ჩვენ კი მაინც ხან მარცხნივ. ხან მარჯვნივ ვუხვევთ. უცბად — ჰოი, საშინელებაჲ! დროზე არ მოვტრიალდით და დინებამ შკუნა უკან დაითრია, პირდაპირ ერთ უზარმაზარ მოუხეშავ; აქრელებულ ჯონკისკენ გააქანა. ძლივ-ძლივობით ავიცდინეთ ეს უბედურება და ისევ იკანკლურად წავედით. ქარი გაათრებით ზუზუნებს; წვიმა სახეში გირტყამს.

მადლობა ღმერთს, თითქმის ქალაქში შევედით ბოლოს და ბოლოს. აგერ, ნავმისადგომს, დოკს ვუახლოვდებით, ჰოგრიტში უკვე ჩვენს შკუნას ვხედავთ; ჩინური ნავეები წინ და

უკან დაფუთფუთებენ. შექუჩულ ხომალდებში კლიბერები მოჩანს, მოშორებით, ოცდაექვსზარბაზნიანი პატარა ინგლისური ფრეგატი „Spartan“¹ მოსახვევს მოფარებია. იქით ფრანგული და ინგლისური გემები დგას. შენობებზე ევროპის სახელმწიფოთა დროშები ფრიალებს, კონსულთა სახლებს მისანიშნებლად.

ცნობისმოყვარეობით ვათვლიერებდით ყველაფერს: მე თვალთ ჩინეთს ვეძებდი, შკიპერი ჩვენთან ერთად ვილატას ეძებდა. „ნაპირი ძალზე ახლოსაა, ხომ არ მოვატრიალოთ?“ — სწრაფად თქვა ერთმა ჩვენთაგანმა. შკიპერმა საჭეს სტაცა ხელი, შეპყვირა — ჩვენ უმაღლესად დავიღუნეთ, იალქნები მეორე მხარეს გადაიტანეს, შკუნა კი მაინც არ მოტრიალდა; ქარა გამაფრებთ დაეტაკა — ის მაინც ვერ შეარხია: მეჩეჩზე გაეჩხირულვართ: „შკოტები მოუშვით!“ — უყვირეს ოფიცრებმა ჩვენს მეზღვაურებს. მოუშვეს ისინი, გვერდზე გადაწოლილი შკუნა წელში გაიმართა, მაგრამ მეჩეჩიდან არ ჩამოსულა.

შკიპერმა ფეხი ფეხზე გადაიდო, ხელები სახელოებში შეიყო და არხეინად დაჯდა მერხზე, მხოლოდ აქეთ-იქით იყურებოდა. ჩინელებმა ცქვიტად აეცეს იალქნები, ჩვენი მეზღვაურები გაფხრეწილი კლივერის დაჭერას ლამობდნენ, რომელიც ბუშპრიტს ეტყლაშუნებოდა. სხვა ხომალდებიდან და ჯონკებიდან, მგონი, დაცივით გვიმზერდნენ. ისეთივე სურათი იყო, როგორც გაუვალ ტალახში კარეტის ღერძი რომ გადაგიტყდება: კარეტა წინარით ტალახში ჩაფლულა, გატეხილი ბორბალი გვერდით გდია, მეეტლეთა ჯგრო გულგრილად, ლენჩივით შემოგცქერით ხან თქვენ, ხან ბორბალს. თქვენ ზიხართ, სხვები კი მიქრიან და მიქრიან გზაზე; ზოგს ჩაეციენება. სარკმლიდან მკმუნვარედ გამომზირალს რომ დაგინახავთ, ზოგი ცნობისმოყვარეობით შემოგხედავს, უფრო მეტად კი გულგრილად ჩაგიქროლებენ გვერდზე და გაგასწრებენ. მეჩეჩზეც ამ დღეში იქნებით. საჭირო იყო ნავი გვეშოვნა. მოშორებით კი დასრიალებდნენ ხან წინ, ხან უკან ჯონკები და ხალხი მდინარეზე გადაჰყავდათ; მაგრამ ჩვენ ვინ გვაქცევდო

¹ „სპარტანელი“ (ინგლ.).

ყურადღებას. ვ. ა. კორსაკოვმა გვიშველა ისევ: დოკიდან შეგვაძინია და მაშინვე მოგვაშურა. ორნი გავყევით მას, სხვები ბარგთან დარჩნენ იმის მოლოდინში, ნავს როდის გაუღებენ დღით.

თავსხმა წვიმა მოდიოდა, ცივი ქარი მძაფრად ქროდა, პატარა დახურული ჩინური ნავი კი, სათამაშოსავით ფაქიზად გამოთლილი, ბამბუკით გაწყობილი თეთრი ჭილობებით მოგებული, მდინარე ვუსუნზე მიგვასრიალებდა. ჩინელი ზეზე მდგომი მართავდა ნავს ერთი ნიჩბით; საპირისპირო ქარსა და დინებას ძლივს უმკლავდებოდა. კორსაკოვი უცხოელთა ხომალდებს მაჩვენებდა, ფრანგულ და ინგლისურ გემებს, შემდეგ ჩინელების ნაყიდი ევროპული ბრიგი დამანახვა, რომელსაც ინგლისელი შიპერი ხელმძღვანელობდა, ე. ი. მხოლოდ იალქნებს მართავდა, ინსურგენტებთან შეტაკებაში კი არ ერეოდა. მერე სამხედრო ჯონკებს ჩავუარეთ, იმავე ინსურგენტების წინააღმდეგ განწყობულს. იქ სროლა ატყდა: ჩინელი ადმირალი სწავლებას შედგომოდა. მაშინ შევიტყვე, რომ გუშინდელ ბრძოლაში ორი ჯონკა აფეთქებულიყო. ჩინელები, სხვათა შორის, ეგრეთ წოდებული მყრალი ქოთნებით (stinkpots) მოქმედებდნენ. მარსებიდან ისვრიან რალაც განსაკუთრებული საწვავი შენაერთით სავსე ამ ქოთნებს მტრის ხომალდების გემბანებზე. ქოთნებიდან ამოვარდნილი გაზი ისეთი მახრჩობელაა, რომ ადამიანები ერთი წუთით ვერ უძლებენ და ქიმებიდან წყალში ხტებიან. ჩინელი მეკობრეები ამ ქოთნებით ესხმიან თავს სავაქრო და, ასე გასინჯეთ, სამხედრო ხომალდებსაც.

ნახევარი საათის შემდეგ ოტელის სუფთა ოთახში ვისხედით — ბუხართან. წინ სუფრა გქონდა გაშლილი, ინგლისური ადათისამებრ, აუარება კერძებით სავსე. შანხაიში უფრო ადრე ჩამოსულ ჩვენს თანამგზავრებს დიდად არ ებიტნავათ ჩვენი დანახვა. „ბევრი მოსულხართო!“ — მისალმების მაგივრად ასე შემოგვეგებნენ. „აქ ყველანი არა ვართ: ერთ საათში კიდევ ექვსი მოგადგებათ-თქო!“ — მივუვეთ ცოტა არ იყოს ნიშნისმოგებით. „მერე რა იყო?“ — „აბა, სად მოთავსდებით? ოთახები არაა, ყველა დაკავებულია: ორ-ორი და ხან სამ-სამიც ვცხოვრობთ თითო ოთახში“. — „არა უშავს, ოთხიც

დავეტევი-თქო“. ასეც მოხდა. მასპინძელს გარეგნულად თითქო სასოწარკვეთილება ეხატებოდა, გულში კი ცას ეწეოდა. იძახდა: „სახლი იერიშით წამართვესო“. შეიქნა ერთი ფაციფუცი და წრიალი. საიდან გამოაძვრინა ტახტები, დივნები, ბალიშები? სასტუმროს ნომრები ისედაც ბანაკს ჰგავდა, ახლა კი დილიყნების კანტორას დაემსგავსა.

ჩვენი სასტუმრო, Commercial house¹ შანხაის სხვა შენობებივით აგარაკი გეგონებოდა. დიდ, ორსართულიან ქვის სახლს ირგვლივ ქვის ვერანდა თუ გალერეა ევლო, განიერი პარმალი ჰქონდა, გარშემო გამხმარი ტვიის, კვიპაროსის, ნაირ-ნაირი ბუჩქებისა თუ სხვათა ბალი ერთყა. ფანჯრებს ჟალუზები ეკიდა; ეტყობა, აშენების დროს ზაფხულისთვის უფრო გაეწიათ ანგარიში, ვინემ ზამთრისთვის. კედლები თხელი იყო, ორ აგურზე მეტი სიგანის არ იქნებოდა; ფანჯრები დიდრონი; ყველგან ორპირი ქარი გიბერავდა. მჭიდრო არაფერი იყო; კედლიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა. ჩვენ რომ ჩამოვედით, ციოდა; ბუხრებს ვეტანებოდით, იქიდან კი შავი მწვანე კვამლი გამოდიოდა.

ზამთარი დიახაც არ შეენის აქაურობას, როგორც ჩვენს მამულს ზაფხული. ცა ლურჯია, ტროპიკულ კოლორიტს იკრავს, მიბნედილი; მწვანე ხასხასებს; ბევრი ყვავილი ჰქნობას არ აპირებს. სიცივე მხოლოდ რაღაც ერთი თვე გრძელდება, დიდი-დიდი ექვს კვირას გასტანოს. ზამთარი ფეხის მოკიდებას ვერ ასწრებს და ისე გაიპარება, ბუნებას ვერაფერს უხერხებს.

მთელი საღამო შინ გავატარეთ, ევროპის ახალ ამბებზე ვბასობდით, გუშინდელ ხანძრის, ალყის შემომრტყმელთა ბანაკის თაობაზე ვლაპარაკობდით, ამას წინ ქალაქის გადაწვა რომ სცადეს და ვერ მოახერხეს, მერე ალყაშემორტყმულ ინსურგენტებსა და შანხაის ოლქის მმართველ ტაუტაი სამკვზე ვიმსჯელებთ, რომელსაც სამეფო კარი შემოსწყრომოდა და იმ შემთხვევაში პირდებოდნენ შენდობას, თუ რომ ქალაქს დაიკავებდა. იმ საღამოს ზარბაზნების ზათქიც გავიგონეთ, გრიალი ხშირ-ხშირად მეორდებოდა: საიმპერატორო ჯარს

¹ კომერციული (ინგლ.).

ინსურგენტებისთვის სროლა აეტეხა, თუმცა ამ უკახასკხელთ სროლა ვერას აკლებდა, პირველებისთვის კი წყალში ჩაყრილ შრომას წარმოადგენდა.

მეორე დღეს, 28 ნოემბერს (10 დეკემბერს) დილით ავდექით და... სადილად წავედით. არ გჯერათ განა? მაშ რა დავარქვა სასადილოში ოც კაცზე გაშლილ სუფრას? ერთს როსტბიფის ნაჭერი უდევს წინ და ოზნივარი ადის, მეორეს ერბოკვერცხიანი შაშხი, იქ სოსისებია, შემწვარი ცხვრის ხორცი; ჩაის სულ ბრლოს მოგართმევენ. ინგლისელები ამას საუზმეს ეძახიან. ისაუზმებ და გინდ მაშინვე წაუწევი ძილს. „ეს ჩაია თუ ყავა?“ — ვეკითხები ჩინელს, ფინჯანი რომ მომიტანა. „Tea or coffee“¹ — უაზროდ იმეორებს ის. „Tea, tea“, — ალულულდა მერე, როცა მიმიხვდა კითხვას. „ასეთი შავი ჩაი ვის გაუგონია?“ — გავსინჯე. მართლაც ისეთივე მიქსტურა გამოდგა, რომელიც ჩაის სახელით ლონდონში გიახელით და მერე კაპშტატშიც. იქ აპატიებ კაცს, მაგრამ ჩინეთში ჩინელმა ასეთი ჩაი მოგართვას; სად გაგონილა!

ვითომ შანხაიში კარგი ჩაი არ მოიძებნება? როგორ არა! აქ ყველანაირ ჩაის იგემებ, რაც კი ჩინეთში მოდის. საქმე ისაა, ვის რა მიაჩნია კარგად. „კარგ“ ჩაის ჩვენ ნაზ, სურნელოვან, ყვავილის ჩაის ვეძახით. მისი სუნი და გემო განა ყველა ადამიანის ცხვირსა და ენას შეუძლია აღიქვას: ბევრისთვის მეტისმეტად ნაზია. ასეთ ჩაის აქ პეკოეს (Pekoe flower) უწოდებენ. ინგლისელები კარგ ჩაის, თუმცა ყოველნაირ ჩაის (მათთვის ეს სულ ერთია) განსაკუთრებული ხარისხის შავ ჩაის ან შავისა და მწვანის ნარევს ეძახიან. ეს ნარევი მეტისმეტად ნარკოტიკული გახლავთ, ვაი მას, ვინც დაღვეს, ენასა და სასას დაუწვავს, როგორც ინგლისელების ყველა სასმელსაქმელს სჩვევია. ისინი საქმელში ჯგაგარსაც ჩაპყრიან, ოღონდ კი ყრონტი მოუქავოს. ჩაისაც იგივეს სთხოვენ, რასაც ინდურ სოიასა და წიწაკას, მაშასადამე, სამსალასავით იყოს. ჩვენ კი ცილს გვწამებენ, თითქო ჩაის კი არა, ყვავილის ნაყენს ვსვამდეთ, უასმინის მაგვარს.

დაე, ვისაც უნდა, ის შემედავოს ამაში: გასტრონომიის სა-

¹ ჩაი თუ ყავა (ინგლ.).

კითხში ინგლისელები ავტორიტეტად არ გამოდგებიან. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ჩინეთში ჩაის ზოგიერთი მოტრფიალე შიგ მართლაც ურევს ყვავილებს თუ სხვა სურნელოვან ბალახბულახს. იაპონიაში ხანდახან მიხაკს ჰყრიან. მგონი, მ. იოაკინფიც იხსენიებს ამ უკანონო შენარევს, როცა ჩინელები შავ ჩაიში ყასმინის, ხოლო ყვითელში ვარდის ფურცლებს აგდებენ. მაგრამ ეს უკვე თვით ჩინელების შერყვნილი გემოვნებაა, მეტისმეტი მოყირჭების შედეგად წარმოდგარი. ჩვენშიც ხომ ნახავ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ბეგარმულიან ან რეზედიან ბურნუთს ეწევიან, სელიოდკას (ქაშაყს) შავი ქლიავით მიირთმევენ და ა. შ. ინგლისელები ამ თავის შავ ჩაის ხვრეპენ და გაგონებაც არ სურთ, რომ ჩაის თავისი თეთრი ყვავილი აქვს.

ჩვენთან ჩაის სმა დამოუკიდებელი, აუცილებელი მოთხოვნილებაა; ინგლისელებისთვის, პირიქით, საუზმის დამატებას, თითქმის ჰამა-სმის საკმაზს წარმოადგენს; ამიტომაც მათთვის სულ ერთია, ჩაი პორტერს. ჰგავს თუ კუს წვნიანს. ოღონდაც შავი იყოს, სქელი, ენაზე იკბინებოდეს და არც ერთ სხვა ჩაის არ ემსავსოს. ამერიკელები მარტოდმარტო მწვანე ჩაის სვამენ, ყოველნაირი შენარევის გარეშე. ჩვენ გვანცვიფრებს ესოდენ ბარბაროსული გემოვნება, ინგლისელები კი დაგვიცინიან, ჩაის სახელით რომ რალაც გულისამრევ სასმელს გიახლებით. ჩინელები, ჩემი თვალით ვნახე, უბრალო, მძიმე ჩაის სვამენ, ე. ი. მდაბიო ჩინელები, ბრბო; პეკინში კი, როგორც მ[ამა] ავკაუმმა, მითხრა, რიგიანი ხალხი მხოლოდ ყვითელ ჩაის შეექცევა, რა თქმა უნდა, უშაქროდ. მაგრამ მე — რუსი კაცი ვარ და მომხმარებელთა უთვალავ რიცხვს ვეკუთვნი. კიახტიდან მოყოლებულ ფინეთის ყურემდე რომ დასახლებულან, ამიტომ პეკოე მოგვართვით, ყვავილოვანი და არა ყვავილებით შენელებული ჩაი. ვნახოთ, ვინძლო ინგლისელებმაც დაიხვეწონ ალლო და გემო და *Pekoe flower*-ის ჩაის სიტკბო იგრძნონ, ამასთან მისი დაყენებაც ისწავლონ და კომბოსტოსავით არ ხარშონ.

თუმცა, სხვა ერებს შეიძლება ეპატიოთ, თუ კარგი ჩაის გემო არ იციან: ჯერ უნდა გამოსცადოს კაცმა, რას ნიშნავს ქიჩა ჩაი, როცა ოცდაათგრადუსიან ტეხურ ყინვიდან თბილ

ოთახში შეხვალ და სამოვარს მიუჯდები, რომ მერე ჩაის ფასი გაიგო. რა ნეტარებით შეევსით ნავასაკში კაპიტან ფურუგელმის მოტანილი ჩაის ერთი კოლოფი, 16 ესპანური ტალერ-რომ ღირდა; შიგ 70-მდე რუსული გირვანქა იქნებოდა; მერე რა ჩაი იყო! ჩვენში გირვანქას 5 ვერცხლზე ნაკლებად არ ჰოგევენ.

ნასადილევს... მაპატიეთ, ნასაუზმევს ქუჩაში გამოვედით; ჩვენი ოტელი კუთხეში იდგა გზაჯვარედინზე. ალყაფის კარიდან პირდაპირ ქუჩა იწყება, სახლები არ მოჩანს, მხოლოდ ქვის გალავნები მისდევს ერთმანეთს და იქიდან მწვანე იჭყიტება. მარჯვნივ ისეთივე ქუჩა გაქიმულა, მარცხნივაც ასე, ყველა ერთმანეთსა ჰგავს. ყველა სახლს ეზო არტყია, მეტწილად ყველა ლამაზია; არქიტექტურა თითქმის ერთნაირია: სულ სააგარაკო სახლების სტილია. ჯერ ა[დმირალს] მივაკითხე სამსახურის საქმეებზე, რომ მერე კარგა ხანს შესვირნა. ქუჩებში ხალხი ბლომად ირეოდა. ევროპელს იშვიათად შეხვდები, აქ თითზე ჩამოსათვლელი ყოფილან. სულ აზიელებია, ინდოელები, ჯგრო-ჯგროდ დადიან სპარსეები თუ ფარსეები, ინდოეთის ნახევარკუნძულიდან თუ ტიბეტიდან. ისინი აქ მდიდართა ნასუფრალის შემყურე ძაღლების როლს თამაშობენ და წვრილმან ვაჭრობას მისდევენ, რაც ევროპელებს საძრახისად ჩაუთვლიათ. ეს სპარსეები, მგონი, ისინი იყვნენ, სინგაპურში რომ შეგვხვდნენ. გრძელი პალტო ეცვათ, მოსკოველი ბერძნების სამოსის მსგავსად; თავზე რაღაც ვიწრო კოკოშნიკივით ეხურათ, მუშამბასავით პრიღლა, ქრელი ჩითის. სომხებს ძალზე მოგავან.

ჩინელები ცოცხალი, საქმიანი ხალხია: უქმად მოყიალეს ვერავის ნახავ. ღრიანცელი, ალიაქოთი, კიჟინა და ყაყანი დგას ირგვლივ. ყოველ ნაბიჯზე მებარგეები გეჩეხებიან. ტვირთს სწრაფი, დიდი ნაბიჯებით მოათრევენ, ერთ კილომეტრზე გაჰკივიან და შეწყობილად მოაბიჯებენ. ისინი ჰონ-კონგელ და სინგაპურელ ჩინელებს არ ჩამოგავან: თვინიერი, მორიდებული და მეტად სუფთა ხალხია. კაცებსა და ქალებს ფაქიზად აცვიათ, ქუჩებიც ჰონ-კონგივით არა ჰყარს, თუ ბაზრებს არ ვიგულისხმებთ. აგერ, მებარგეს აგურების წყება მოაქვს, ოლონდ ჩვენი კალატოზებივით პირდაპირ მხარზე კი ა

უწყვია, ხალათსა თუ ხიფთანს კი არ ითხვრის; მხრებზე ბამბუკის მხრეული გაუდევს, აქეთ-იქით ორი ფიცარი უკონწიალებს სასწორის თვლებივით და ზედ ლამაზად აწყვია რუხი ავურები. მისი შეჩეხება საშიშს არ წარმოადგენს. კი არ დაგეჯახებათ, მწყობრი ყვირილით გაგაფრთხილებთ, ხოლო თუ ვერ გაიგონეთ და გზას არ დაუთმობთ, შეჩერდება და თვითონ ჩამოგეცლება გზიდან. ყოველივე ფაქიზად გამოიყურება. წარმოიდგინეთ, ნახატსაც კი მოგაგონებთ: კრიალი გაუდის ბამბუკს, ავურებს, მებარგის ტანსაცმელს, მის კიკინასა და თავზე წამოსკუპულ ქეჩის პატარა, ნაცარა ქუდს, ლენტისა თუ ხვერდის არშია რომ არტყვია. ჩაიხედავ მებორნის ნავში: თვალს ესიამოვნება პირდაპირ, შიგ ჩაჯდომა მოგესურვილება. ფიცარი გალაქულია — ეს ბამბუკის ძირი გახლავთ; საჩიხესა და მერხებს სუფთა კილობები აფენია. თუ რაიმე ქურქელს მოჰკარით თვალი, საჰქლის ქოთანს იქნება ეს თუ ფინჯანი, ყველაფერი სუფთაა; ხელის მოკიდება არ შეგეზიზღება და ამოთხვრის არ შეგეშინდება.

სხვათა შორის, მებარგეთა მთელი მწყკრივი შემხვდა: თითოს ჩაის ორ-ორი დიდრონი ყუთი მოჰქონდა. თვალი გავადევნე მათ. მდინარიდან მოაბიჯებდნენ: იქ ნავებიდან გადმოჰქონდათ ყუთები და ვაჭრების სახლებში ეზიდებოდნენ. უკან ჩაით მობნეული კვალი რჩებოდათ, როგორც ჩვენში ტომრების თრევისას ფქვილიან ბილიკს სტოვებენ ხოლმე. ადგილობრივი კოლორიტი გახლავთ! ბელლებში ყუთებს უკვე საბოლოოდ, ჰერმეტიულად ხურავენ და ამერიკულ კლიპერებსა თუ ინგლისურ ხომალდებზე მიაქვთ.

სანაპიროზე გამოვედით; იქ უფრო გაცხოველებული ფაციფუცი დავხვდა. აქ ევროპისა და უკიდურეს აღმოსავლეთის დაახლოება უფრო მკვეთრად გეცემა თვალში. ნაპირზე დიდებული ევროპული სახლები წამოჭიმულა, კოლონადებით. აივნებით, არისტოკრატიული სადარბაზოებით. კარისკაცებსა და მეზოვეებს თავიანთი კოფრები, ხალათები და შარვლები აცვიათ; ქუჩაში ასეთივე ხალხი დაბორიანობს. ხან ვაჭარი მოდის, მეტი რომ არ შეიძლება, ისე გადახოტრილი, კიკინა გულდაგულ დაუწნავს, თეთრი თუ ნაცარა წოპწოპა ქუდი ხურავს, ფარფლებაწეული, ან აბრეშუმის ხიფთანი აცვია. ან

სკვრის ქათიბი; ხან შავი მუშა შეგხვდება, უქულოდ. დაწვინს-თვის რომ ვერ მოუტლია, კიკინა ორპირად შემოუგრაგნავს თავის ღიახაც „არასწორ შუბლზე“. იქ მთელ ჯგროდ დამდგარან მუშები და ელიან, როდის დაიქირავენ ან სა-პუშაო გამოუჩნდებათ. ერთი ყაყანი გააქეთ თავიანთ არაპარ-პონიულ ენაზე. აქ დალაქს გაუშლია დუქანი, პატარა ხის კა-რდა დაუდგამს, შიგ მისი საოსტატო იარაღი აწყვია, სკამიკ პოუტანია, ზედ მეორე ჩინელი წამოსკუპულა და კატასავით ნაამები განაბულა, ვინემ დალაქი თავსა და სახეს უპარსავს, ყურებს უწმენდს, თმას უწნავს და სხვ. აქვეა მოძრავი სამზა-რეულოც, მოშორებით ღობესთან ფაიფურის დუქანი მოუ-წყვიათ. მენავეები ჯგუფად დგანან ნავმისადგომზე, თავიანთ ნავეების ახლოს, რომლებიც ნაპირთან მოჯარულა. გამოჩნდე-ბა ევროპელი და ხალხიც ნელ-ნელა იწევს განზე, ადგილს უთმობს. რეიდზე მსუბუქად იხატებიან სამხედრო ხომალდე-ბი, გვერდით დიდრონი ორჩხომელები დამდგარა, შორიახ-ლოს ჩინური სამხედრო ხომალდებიც მოჩანს, სხვადასხვა მხა-რეს მიმართული წვრილ-წვრილ ანძებით. ევროპული სავაჭ-რო ხომალდის მოყვანილ კიჩოდან ჩინური ხომალდის ქიმზე ნახატი თევზის თვალი იჭყიტება. ყველა ფუთფუთშია, ცლიან თუ ტვირთავენ, ყველა ჩქარობს, ყატყატებს, ერთი გადაძახება-გადმოძახება შექნილა...

ვუსუნის გაღმა ნაპირს გავხედე, მაგრამ ის დაბლზობა, ვაკე და თვალი საინტერესოს ვერაფერს ნახავს. იმ მხარეს ყა-ნები, ქოხები გაშლილა; ნაპირებზე სათევზაო ადგილებია შე-პოლობილი, სხვა არაფერი ჩანს. იმაზე ერთფეროვან, მო-საწყენ ადგილს ძნელად მონახავს კაცი. ამბობენ, ბევრ ადგილს ასე სჩვევია, რომ მოშორდები, მის სიკარგეს მერე დააფასებო. შანხაიც სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის, რომ დასტოვებ, მა-შინლა მოგეჩვენება საამოდ. მდინარის თვალიერებაში კონ-სულების დიდებული სახლები და საბაჟო გამომეპაჩა, რომე-ლიც ახლა ცარიელი იყო და სამხედრო ხომალდებიდან ინგ-ლისელი ჯარისკაცები ჩაეყენებინათ შიგ. ერთ დროს კერბთ-სამლოცველო ყოფილა, ამიტომაც დანარჩენი შენობებისგან თავისი ფერად-ფერადი არქიტექტურით მკვეთრად გამოირჩევა. შეუმჩნევლად მივედი ამერიკელი კონსულის სახლამდე. ამ

მხარეს ეს უკანასკნელი ევროპული სახლი გახლდათ; შემდეგ ჩინური უბანი იწყება, ევროპულისგან ვიწრო არხი ჰყოფს.

ამერიკელ კონსულ კანინგამის სახლი, ის ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილ ამერიკელი სავაჭრო სახლის როსელისა და K^o-ის წარმომადგენელია და აქ, შანხაიში ერთ-ერთ საუკეთესო შენობად ითვლება. ასეთი სახლის აშენება ორმოცდაათი ათასი დოლარი ჯდება. სულ ბაღშია ჩაფლული, უფრო სწორად ხეებით დაბურული ეზო არტყია. განიერი ვერანდა ლამაზ კოლონდას ებჯინება... ზაფხულობით ალბათ იქ სიგრილე სუფევს; მზე არ ეცემა ქალუხებით დაფარულ მინებს. შესასვლელში, აივნის გადმოხურულის ქვეშ, ვეება ზარბაზანი იდგა, პირით ქუჩისკენ.

სახლი... მაგრამ ხომ იცით, როგორ რთავენ რიგიან, ე. ი. მდიდართა სახლებს: აქაც ჩვენსავით სჩვევიათ. აბრეშუმის ფარდები იატაკამდე ჰკიდია, სარკეები ტბასავით კამკამებს კედლებში, ყველგან ხალიჩები, ბრინჯაო. თუმცა ჩვენებურისგან მაინც განსხვავდება: მაგალითად boiserie¹, მძიმე კარადები, მაგიდები, საწოლები — აქაური, ჩინური ნახელავია, მშვენიერი მუქი ხისა, მოზაიკურად მოჩითული, წმინდად, ფაქიზად ნახარატევი. თუ ვისმე პაპისეული სახლი შემორჩენია. ძველებურ ყაიდაზე მორთული, ასეთი მოზაიკური ავეჯის ნიმუშები დახვდება იქ. განსაკუთრებით საწოლებია განსაკვიფრებელი: ჩვეულებისამებრ ორსაწოლიანი გახლავთ, ფარდებჩამოფარებული, როგორც ინგლისში მოსდგამთ. ოჯახებსა თუ სასტუმროებში ყველგან ორსაწოლიან ლოგინზე მოგათავსებენ, თუნდაც სულ უცოლო იყოთ. პირველად საოცრებად მეჩვენა ინგლისურ საწოლთა ჭრელფარდებიან კატაფალკაზე აძრომა; განსაკუთრებით გრძელ, მთელი საწოლის სიგანე დაბალ, მრგვალ ბალიშზე მეუხერხულა თავის დადება, დამბლის დასაცემად სწორედ მისწრებას რომ წარმოადგენს. მაგრამ მიჩვევას რა არ შესძლებია!

როგორც ცნობილია, ჩინელები ჩინებულად აჩუქურთმებენ ხეს, ქვასა და ძვალს. აბა, სხვას ვის ეყოფა მოთმინება, თუნდაც გერმანელს, ესოდენ წმინდად, ფაქიზად მოაჩუქურ-

¹ ჩუქურთმანი ხის პანელი (ფრანგ.).

თმოს ნივთი, ხოლო მოთმინება თუ ეყო, ღმერთმა უწყის, რა მამასისხლად დააფასებს. აქ, როგორც ჩანს, ადამიანის მარჯვენა და დრო არაფრად ფასობს. ასეთი შრომა და მოთმინება რაზე მნიშვნელოვან ან აუცილებლად საჭიროზე რომ დაიხარჯოს, კიდევ ჰო, თორემ ისეთ ფუჭ რაღაცეებზე იხარჯება, რომ აღარ იცი, რა გაიკვირვო: ჩინელის ნამუშევარი თუ ნივთის გამოუსადეგარობა? მაგალითად, კაკლისა თუ ნუშის ნაჭუჭზე ადამიანთა ჯგუფებს ნახავთ სხვადასხვანაირ პოზაში ამოჭრილს, პროცესიებს, ტაძრებს, სახლებს, ფანჩატურებს, თითოეული კაცის სახესაც კი გაარჩევთ. ნუშის სქელ ნაჭუჭისგან ჯონკას გამოგიკვეთენ, მთელი მისი შემადგენლობით, ადამიანებით თუ სხვა დანარჩენით; ჩიჩობის ნახატსაც კი შეამჩნევთ; ეს რაა კიდევ: ისეთ კარ-ფანჯარას გაგიკეთებენ, რომლებიც იხსნება და შიგ ადამიანი ზის. ალბათ, რამდენს უნდა ფასობდეს, არა, ეს? ჩვენ კი ხუთ, ექვს დოლარად ვყიდულობდით ასეთი კაკლების, ვითარცა ბლითების ასხმას.

ბ. კანინგამის სახლში ადმირალი იდგა და ხშირად მიხდებოდა იქ ყოფნა. ამიტომ ჩვეულებრივ ვიზიტი გავუყეთე სახლის პატრონს. ნაციონალურ ტანსაცმელში მორთულმა ჩინელმა მსახურმა მითხრა, რომ ბ. კანინგამი თავის კაბინეტშიაო, და იქით გავწიეთ. ტანმორჩილი, ქერა, უჩინო ბ-ნი კანინგამი ტკბილად შემხვდა, ინგლისურ შეხვედრას რაღაც არ ჰგავდა: ხელი არ მოუჭერია და მხარი არ ამოუგდია მისალმებისას, ჩვეულებრივ ისე მომექცა, როგორც ბრიტანელთა გამოკლებით ადამიანები ერთმანეთს ექცევიან. კაბინეტში — ის მხოლოდ ზრდილობის გამო შეიძლებოდა მოგენათლა კაბინეტად, უფრო სწორი იქნებოდა კანტორა დაგერქმია — ბიუროს, სადაც მასპინძელი იჯდა, ორი-სამი მაღალზე მაღალი ტაბურეტისა და უცილობელი ბუხრის გარდა სხვა არაფერი იდგა. კანინგამმა შემომთავაზა, დაბრძანდითო. რის ვაი-ვაგლახით ავძვერი ამ ანტისაბუხასილო სკამზე, ბ-ი კანინგამიც ასეთსავე ტაბურეტზე დაჯდა. ამ სიმაღლიდან თავისუფლად ვჭვრეტდით ერთმანეთს. „რით ჩამობრძანდითო?“ — მკითხა ბ[მა] კ[ანინგამმა]. ის იყო პასუხი დავაპირე, რომ შემთხვევით ფეხი შევატოკე, მრგვალი, ხრახნიანი საჯდომი რბილად მოტრიალდა და პირით კედლისკენ აღმოვჩნდი. „შკუნით-მეთქი“, — მივუგე

კედელს და აძავე დროს ხაწყებდა გავივლე გულში: „ხეტავ ამერიკული თუ ინგლისური მოხერხებაა-მეთქი?“ მერე ფეხები ავამოძრავე და ისევ წინანდელ მდგომარეობას დავუბრუნდი. „დიდხანს დარჩებით აქ?“ — „დამოკიდებულია გარემოებაზე-მეთქი“, — ვუპასუხე და სკამის ბალიშს ჩავეჭიდე, რომელიც ისევ ამოძრავებას აპირებდა. „პატივი დამდეთ და ხვალ ჩემთან ისადილეთო“, — მითხრა მასპინძელმა თავაზით. „ახლაც მომწყდით“, — შეეძლო დაეყოლებინა, თუ რომ გულწრფელობის გამოჩენა მოენდომებინა და ამაზე მეტად ვერაფრით მამებდა. მაგრამ ვიზიტი უამისოდაც დასრულდა.

კონსტულის სახლიდან მე და ბ[არონი] კ[რიდნერი] სასეინოდ წავედით. „აბა, მაჩვენეთ, რაც აქ ყველაზე ღირსშესანიშნავია, — შევეხვეწე ჩემს თანამგზავრს, — თქვენ აქ კარგა ხანია ცხოვრობთ. ეს გზა საით მიდის?“ — „ეს?.. არ ვიცი“, — მითხრა და კითხვის თვალით გახედა გზას. „ქალაქი, ინსურგენტები, ბანაკი სადაა?“ — მივაყარე კითხვები. „იქ, იმ მხარეს უნდა იყოს სადღაც“, — მითხრა და თითოთ სივრცეში მანიშნა. „აგერ იქ, რა მოჩანს? — განვაგრძე ისევ, — სხვა შენობებზე მალლა, კერპოსალოცავებია თუ სასახლეები?“ — „ეგრე ჩანს...“ — მიპასუხა ბ[არონმა] კ[რიდნერმა]. „დუქნები სადაა აქ? წამიყვანეთ: რაღაც-რაღაცეები მაქვს საყიდელი“. — „აი, ვიკითხოთ“, — თქვა ბარონმა და მიიხედ-მოიხედა, ვისთვის ეკითხა. მე გამეცინა, ბ[არონმა] კ[რიდნერმა] ჩაახველა. ესე იგი სიცილში ამყვა. „ხვალ კონსტულთან სადილობთ?“ — მკითხა. „ვვახშობ, ოღონდ ცოტა ადრე, შვიდ საათზე“. — „გამორჩეული სადილი იქნება, წვეულება, — ჩაფიქრებით მიპასუხა ბ[არონმა] კ[რიდნერმა], — ალბათ დიდ სასადილოში გაშლიან სუფრას. ფრაკი ჩაიცვით“.

ამასობაში მდინარიდან არხზე გადმოვუხვევით, პატარა ხიდი გადავიარეთ და მოფუსფუსე ჭრელჭრულ ბრბოში ამოვყავით თავი, საღაც ერთი ღრიანცელი იდგა, ყველა სწვადასწვანიირად გაჰკიოდა, ერთმანეთს ეჯახებოდა, მუჯღლუგუნს კრავდა, ნაირ-ნაირი სურნელი იფრქვეოდა და ნაირ-ნაირი სამოსი ეცვათ, ერთი სიტყვით, ბაზარში გავჩნდით. აქ ჩინელი მოსახლეობის სრული სურათი წარმომიდგა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, როგორც ბუნებას შეუქმნია.

იცით კი, ყველაზე უფრო პირველი შეხედვით რამ გამოცა? რა იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება? ასე მეგონა, თითქო ანაზღად ჩვენს რომელიღაც მოსკოვის ჩარჩო-ბაზარში მოვხვდი-მეთქი, ან არადა პეტერბურგიდან გადაკარგულში მდებარე საგუბერნიო ქალაქის ბაზრობაზე, სადაც განიერ ქუჩებსა და მაღაზიებს ჯერ არ შემოულწევიათ, სადაც ერთსა და იმავე ადგილას კიდევ ვაჭრობენ, კიდევ საჭმელს ამზადებენ, სადაც აბრეშუმის საქონელი იმ ღუქანში იყიდება, აქეთ რომ უზარმაზარი სამოვარი თუხთუხებს, იქით კი კრენდელე; ბი დაუხვავებიან, სადაც მეზობლად მოთავსებულან ხილის ღუქანი და ქალამნებისა თუ ცალულების სავაჭრო. განსხვავება მხოლოდ წვრილმანშია: ჩვენში კუპრი და ხრალი — აქ აბრეშუმი და ჩაია; ჩვენში ხისა თუ ქაშანური ჭურჭლის ზეინებია — აქ ფაიფურის. მაგრამ ჩინური მდაბიური საქმელები კერძთა სიუხვით, შესახედაობით, სიმყარით და ათასნაირობით ჩვენსას უკან მოიტოვებენ. რას არ ნახავ აქ? აფსუსს, რომ ყველაფერს ვერ დაათვალიერებ: ფადევის თქმისა არ იყოს, „სულს წაგანთხევიებს“, დასათვალიერებელი კი რამდენია! ზღვა, მდინარე, მიწა, ჰაერი — აქ ერთმანეთს გასჯობრებია, ვინ მეტ საბოძვარს მიჰმადლის ადამიანს — და ეს ყველაფერი მყის თვალში გხვდება... ამას კიდევ გაუძლებს კაცი, თუ რომ ცხვირშიც არ გეცემოდეს.

გრძელი, გაუთავებელი, გადახურული შესანვევები, უფრო სწორად ტალანები ყოველი მხრივ მიემართება და ჭეშმარიტ ლაბირინთსა ჰქმნის. თუ გნებავთ, ეს ყველა სახლებია, ერთმანეთზე მიჯრით მიშენებული, ზემოთ საცხოვრებლებით და ქვემოთ ღუქნებით. სახურავები ლამის ერთმანეთს მიჰკვრიან ორივე მხრივ და ამიტომ მუდამ ჩაბნელებულია აქაურობა. ამ ლაბირინთში ტრიალებს სწორედ ეს მიღეთის ხალხი. ჯერ მარტო ვაჭრებს ვერ აუვლი გვერდს, ხოლო გამყიდველებსაც თუ მივუმატებთ, მგონი, გავლაც შეუძლებელი უნდა იყოს, თუმცა აქ ნიადაგ მიქცევა და მოქცევა ხალხის. აგერ, გასაოცარი სიმარჯვით მიძვრებიან მებარგეები, ვეებერთელა ტვირთს, ჩაის ყუთებს, აბრეშუმის ფუთებს ეზიდებიან, თითქმის ზვინისოდენა ბამბა ამოუიღლიავენბიათ. აგერ ორს მიცვალებული მიაქვს, ჩვენსავით მხრებით კი არა, ხელებზე დაუ-

ვენებიან. იქ კული მიაბენინებს წერილს, აქ ქათმებიან კალათას მოათრევენ. ყველა მორბის, ყველა მოკივის, მოგამღერებს, რომ გზა მისცე. ეს ჯოხს უბრაახუნებს ფიცარს: მაშასადამე, ტილოს ჰყილის; იმას ცოცხალი გარეული იხვები მოჰყავს, მკვდარი ხობბები მხარზე გადაუკიდნია, ან პირიქით. მეწვრილმანეები ჩვენებურებივით ღრიალებენ. ეს-ესაა, ერთს აუქციეთ გვერდი, რომ მეორე მხარზე მსუბუქად გეხებათ. უკან იხვეთ, მაგრამ საჩქაროდ მესამე მოგაყვირებს — და განზე გახტებით, რადგან ორივე ხელში რაღაც ნაწლავები თუ გრძელი, მიწაზე დათრეული თევზი უჭირავს. „თავს სად უშველოთ? ორი ძროხა მოდის“, — მეუბნება ბ[არონი] კ[რიდნერი] და ჩვენ დუქანში შევცვივდით, ძროხებმა კი გზა გააგრძელეს. სავაჭროების მოღიავებულ კარებთან სანოვავე გამოუფენიათ: სხვადასხვა ხარისხისა თუ ჯიშის თევზები — გამხმარი, დამარილებული; ხმელი, ნედლი, ერთი ხმალსა ჰგავს და ხმალიც ჰქვია სახელად, მეორეს ორად გაყოფილი თავი აქვს, იქ მრგვალია, აქ ბრტყელი, შემდეგ კიბოები, შრისმები, ზღვის ავლადილება მოჰყვება. გარეულ ფრინველს ვინღა მოსთვლის, განსაკუთრებით ხობბებსა და იხვებს; ჰკიდია კარებზე, ჰყრია იატაკზე.

აგერ სიღრმეში გაფართოებული დუქანი, კაცებითა და ქალებით სავსე. ეს სასადილოა. გინდა მიხვიდე და უთხრა: „პურ-მარილი გაამოთ-მეთქი!“ ხალხი ჯგუფად შემოსჯდომია ცალ-ცალკე მაგიდებს, როგორც ჩვენში. პატარა, უყურო, ლურჯ ფინჯებიდან ჩაის სევამენ, მაგრამ შაქრის კენიტს არ ატანენ, როგორც მხარბეკიან მეეტლეთ სჩევვიათ: შაქარი არ არის და ჩაიზე არც ხმარობენ. სამაგიეროდ ყველა აბოლებს პატარა, გრძელ. წვრილტარიან ჩიბუხებს; არც ეს ჰგავს ჩვენებურს: ჩვენში მოკლე ჩიბუხები და გრძელი ყალიონები იციან. დუქნის სხვადასხვა კუნძულებში მდგარ მომცრო ღუმელებს ოხშივარი ასდით, ბოლქვებად ეხვევა ხალხს თავზე. მერე სასადილოდან ქუჩაში გამოიჭრება; გამვლელს გახელვებით ეცემა ცხვირში და კვამლივით ქრება! რა არ არის აქ! ცომის ლავაშები au naturel¹ ჰყრია, თუ მოითხოვენ, მყის მღუ-

¹ უშად (ფრანგ.).

ლარეში ჩადებენ და რამდენიმე წუთის შემდეგ მზას მიაართმევენ. იქვე რალაც შავი შექამანდი თუხთუხებს, ღორისა თუ თევზის ნაჭრებით, სპარტანულს ტოლს არ დაუდებს. შჩიც კი დავინახე — დიახ, ზოზინა შჩი: მდულარე წყალში მშვენიერი მწვანე კომბოსტოს თავი და მგონი, ცხვრის ნაჭერი იხარშებოდა. იალლოებს, შემწვარ ხორცს და პატარა ღვეზელებსაც შეექცევიან.

ბევრი ნაცნობი რამ ვიხილე აქ, მაგრამ ბევრი უცხოც ვნახე, განსაკუთრებით ვიყნოსე. ღმერთო ჩემო, რას არ სკამს ადამიანი! რა თქმა უნდა, იმას ვერ ვიტყვი, რას გიწლებოდათ ერთი ჩინელი ბაზარზე საქვეყნოდ... წინათ მეგონა, მოგზაურები ბევრს უმატებენ-მეთქი, მაგრამ ახლა ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ ზოგი რამ კიდევ მიუჩქმალავთ. — რა საწებლები არ მზადდება აქ! ეს ყოველივე იხარშება, იწვება. ითუთქება, დულს, შიშხინებს და მისი თბილი თბივარი და სუნი ყოველ კუთხეს ეფინება: ტყუილად გაირჯებით, ამ სუნს ეწრაფრით ჩაახშობთ: ვერც პაჩულები და ვერც თვით ოთხი ყაჩალი ვერას გიშველით. განსაკუთრებით ორი საზიზღარი სუნი გდევს ფეხდაფეხ: გულისამრევი ზეთის, მგონი. გუნჯუთისა უნდა იყოს, და ნივრის.

მხოლოდ ხილის ფარდულთან მოითქვამ სულს: აქ თვალიც და ყნოსვაც დაგიტკებათ. გაკვირვებით შეხედავთ ამ ვეებერთელა ლიმონებს — ფორთოხლებს, რომლებსაც ინგლისელები პამპლ-მუსს ეძახიან. ექვსი-შვიდი წლის ბავშვის თავისოდენა იქნება; თითნახევარი სისქის კანი აქვს. დესერტზე მოაქვთ ზოლმე, თუმცა არ ვიცი, რად იწუხებენ თავს: ჭამა შეუძლებელი გახლავთ. ჩვენ ერთი პირობა გავსინჯეთ და ყოვლად უხეირო გამოდგა: არც ლიმონის სიმყავე გააჩნია, არც ფორთოხლის სიტკბო. ამბობენ, ახლა მკვახეა, დამწიფებაში კანი უთხელდება და ტკბილი ხდებაო: ვინძლო ეგრეა. შემდეგ ზვინებად დახვავებულა მანდარინები, როგორც ჩვენში კარტოფილს დაპყრიან, პატარ-პატარა, მაგრამ ძალზე ტკბილსა და სურნელოვან ფორთოხლების ჯიშს წარმოადგენს. სიკარგე იმაშიც ეტყობათ, რომ კანი ხელად ძვრება ბოჭკოებიანად და კვარცხივით გაფტქვნილი, წვნიანი, თითქმის გამჭვირვალე ნაყოფი შეგრჩებათ ხელში. იქ იყო კიდევ ოვალური, თურინ-

ჯის მსგავსი ნაყოფი, კაკალზე ოდნავ პატარა, მისი სახელი დამაფიწყდა. ჰაშნიკად ავიღე, გავტყვირე და გადავაგდე. ჰამპლ-მუსზე მწარე გამოდგა. ჩინელებს ირგვლივ გაეცინათ. როგორც შემდეგ შევიტყვე, არც ტყუილ-უბრალოდ. კიდეც ეგრეთ წოდებული ყუყუბებიც ვნახე, წვნიკა, მშრალი ლედვი, ერთი პატარა კურკით გულში. მათზე სხვას ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რომ გემოთი ოდნავ ხურმას ჩამოჰგავს: ისევე გულისამრევი უნათო სიტკბო ახასიათებს, ისევე გეკრობათ კბილებზე. კაკლები, სულო და გულო, როგორიც გნებავთ: ბერძნული თხილი თუ ნუში, ფუსტული თუ სხვა. მწვანელი ჩინებულია. განსაკუთრებით მოგრძო კომბოსტოს დოყადოყა თავები, გრძელი წითელი სტაფილო, მსხვილი ხახვი და ა. შ.

სავაქროების რიგებს გავყევით, სადაც თითქმის დედიშობილა მუშები უმოწყალოდ უბაგუნებდნენ თავიანთ სახელოსნოში ბამბას, სადაც ერთი ღრიანცელი და რაკარუკი იდგა, — და ამერიკელ ფოგის მალაზიას მივაღექით. იქ ყველაფერს ნახავ: მზა ტანსაცმელს, ჰურკელს, ქსოვილს, ღვინოს, ყველს, ქაშაყს, სიგარებს, ფაიფურს, ვერცხლს. სანოვაგის ფარდულემშუა ერთ ჩინურ დუქანს გადავეყარეთ, საგალანტერიოს ჰგავდა. იქ ნაირ-ნაირი წვრილმანები იყიდებოდა. ოცდაათამდე გამოჩუქურთმებული ფიგურა ვიყიდე რბილ, ფერად აგალმატოლიტის ქვისაგან (agalmatolite, fragodite, pierre à magots ou à sculpture; Bildstein, Speckstein aus China)¹, უბრალოდ ყიროვიკს რომ ეძახიან. ჩინეთის გარდა ეს ქვა ალაგ-ალაგ უნგრეთსა და საქსონიაშიც მოიპოვება.

ეტყობა ამ ქვეყნად ისეთ კუთხეს ვერსად ნახავ, რომ საქონელი ჯერ მამასისხლად არ დაგიფასონ. ჩინელმა ამ ქვის ნახელავში ოცდაორი დოლარი მოგვთხოვა, მერე კი რვად დაგვიტმო. ეს სუსტი მხარე ყველას მოსდგამს, გინდ განათლებული ხალხი იყოს, გინდ ნახევრად განათლებული, და ბოლოს, ველური. ვინ ვისგან გადმოიღო: ჩვენ ვესესხეთ აღმოსავლეთს, თუ აღმოსავლეთმა — ჩვენ?

ბოლოს პატარა, მღვრიე მდინარის პირას გავედით და ვიწ-

¹ ამ ქვის ჯიშების ფრანგული და გერმანული სახელებია (რედ).

რო, მორკალულ ბოგირისკეხ გავწიეთ. იქ კატარა საძლოც-
ველო იდგა: შიგ ბუდას კერპი იყო. მის ძირას მათხოვარი
გასაკითხს აგროვებდა. ბოგირზე ინგლისური გემის „სპარტა-
ნის“ გუშაგი დადიოდა, ქუდი ეხურა, მეზღვაურის ხალათი
ეცვა და მხარზე თოფი ეკიდა. ბოგირის ჩასავალთან ჩინელი
მისჯდომოდა მოხარშული ბრინჯის ქვაბს. ქვაბთან ხალხი
ირეოდა. ჩინელი გადახდიდა ჭინჭს, ქვაბიდან ხელით ამოი-
ღებდა ერთ მუქა ბრინჯს, თავის წინსაფარში ჩაპყრიდა, გა-
ქოსწურავდა და მუშტარს უკვე მშრალს მიაწოდებდა. თვალს
არ მოგტაცებთ ჩინური საჭმელები, განსაკუთრებით იმ ზეთის
წყალობით, საჭმელში რომ ხმარობენ! კარაქი აქ არ იციან:
ევროპელებისთვის ის ინგლისიდან ჩამოაქვთ, და ისიც, როცა
შანხაიში გავსინჯეთ, ამძალებული გამოდგა: ჩინელები შიგა-
და შიგ ღორის ქონსაც ხმარობენ.

ჰო, ფულზედაც მოგახსენებთ კიდევ. შანხაიში ორი სა-
ხის ფულსა აქვს გასავალი: ესპანურსა და ამერიკულ დოლარ-
ებს და ჩინურ შავ ფულს. ესპანურ დოლარებს, კერძოდ
კარლოს IV-ის დროისას, ყველაზე დიდ უპირატესობას ანი-
ჭებენ და არ ვიცი რატომ, შანხაურს ეძახიან. შანხაელ ვაჭარ-
თა საზოგადოება ჩინურ ბეჭედსაც კი ასვამს ზედ, იმის ნიშ-
ნად, რომ ყალბი არაა. შინა ომის გამო ბანკირებმა საოცრად
ასწიეს დოლარის კურსი, ასე რომ დოლარი თუ ჩვენს ფულზე
ჩვეულებრივ 1 მან. 33 კაპიკი ღირდა, ახლა 2 მანეთამდე
ავიდა. მაგრამ ეს მაშინ, თუ ბანკირისაგან მიიღებთ ფულს,
თორემ სინამდვილეში იგივე ფასი შერჩა მიმოქცევაში, მაშა-
სადამე, იმაზე მეტი საქონელი არ მოგივათ, რასაც წინათ
იყიდდით. ყველა გადაცვლას დაეშურა, ესე იგი ყოველი მხრი-
დან ჩამოზიდეს დოლარები, ლონდონსა თუ სხვა ადგილებში,
იმათზე თამასუქები აიღეს და დოლარში ორი შილინგი მოი-
გეს. თუ რასმე ყიდვას აპირებდი, ორჯერ მეტი უნდა გადა-
გეხადა; აქ კი უამისოდაც ყველაფერი ძვირია, რაც ევროპი-
დან ჩამოაქვთ. ვაი მას, ვისაც დიდი მარაგი სჭირდება. უდიდეს
ზარალში ჩავარდება! სხვა დოლარები, ე. ი. ესპანურივე,
ოღონდ კარლოს მეოთხის კი არა, არამედ ფერდინანდისა თუ
სხვათა, მექსიკურის ჩათვლით აქ 80 ცენტად ფასობს. გარდა
ამისა. ნახევარ კრონებიცა და შილინგებიც გაღის, ოღონდ ისი-

ნი ცოტაა ხმარებაში. სამაგიეროდ, შავი ფული, ანუ კაში აუარებაა. იმას დაუყურსავ, თითქმის თვითნაბად სპალენძისგან ჭრიან და შესახედად მეტად ბინძური რამაა; ხუთშაურიანისოდენა იქნება. ტლანქად ამოკვეთილი ჩინური ნაწერით. შუაში კი გახვრეტილია ბაწრის ამოსაყრელად. თავდაპირველად უცბად ვერ მიეხვდი, რას ნიშნავდა ეს გრძელი ასხმულები, ხან ხელზე, ხან მხარზე, ხან კისერზე რომ ჰქონდათ ფარღულივით ჩამოკიდებული.

ერთხელ დუქანში რაღაც ვიყიდე, 30 ცენტის საფასური და უცბად ათასამდე ხურდა მომცეს. დოლარში 1500 ცალი ითვლება. აღარ ვიცოდი, რა მექნა, მაგრამ მათხოვრებმა მიშველეს: თითქმის სულ მათ დავურიგე. რაც დამრჩა, 50 ცალამდე, თქვენ ჩამოგიტანთ სანახავად, ვითარცა საინტერესო რასმე.

„უკვე პირველი საათი ყოფილა, შინ უნდა დავბრუნდეთ, — მითხრა ბ[არონმა], — მე უნდა ვისაუზმო (ის ოტელში არ ცხოვრობდა), თქვენ კი ისადილოთ“. ძველი გზით აღარ წამოვედი, არხს გავეყვით და პირველსავე გრძელ, საკმაოდ ვაწრო ქუჩაში შევუხვით, რომელიც პირდაპირ-სასადილოსკენ მიემართებოდა. იქაც ვაჭართა სახლები იდგა, მაღალი გალავნებითა და ბალებით, იქ კუნტრუმით მირბოდნენ მებარგეები და ტვირთს მიათრევდნენ. ადრე მოგვიხდა მოსვლა; ჩვენები ყველა არ შეკრებილიყო: ვინ სამსახურის საქმეზე წასულა, ვინ სახეტილოდ, სხვებს ჩინელთა ბანაკში მოეწადინებინათ შეპარვა.

ერთი საათის შემდეგ მთელ სახლში გორვის ხმა გაისმა: გვაუწყებდნენ, სასადილოში წასასვლელად მოვმზადებულიყავით. ნახევარი საათის შემდეგ სადილზე ჩავედი. სუფრასთან მსახურები ტრიალებდნენ, ყველა ჩინელი იყო. განსაკუთრებით ბიჭებმა გაგვამხიარულა. იმათ პატარა სახეებს, სიმსუქნისაგან ოდნავ მოჭუტულ თვალებს, გამობურცულ თათრულ შუბლებს და საფეთქლებს დიდი საზრიანობა და მატრებაზობა ეტყობოდათ; მკვირცხლად დარბოდნენ წინ და უკან, საინებს გვიცვლიდნენ, პურს, წყალს გვაწოდებდნენ და ამასთან ისედაც ენის სამტვრევ ინგლისურს უარესად ამტვრევდნენ. სხვათა შორის, აქ ყავისფერი სახეც დავინახეთ, თეთრი ჩალმითა

და ჩალმაზე უფრო თეთრი კბილებით. ის სახე როგორღაც მეცნაურა, ისიც თითქო ტკბილად გვიღიმოდა. ვინაობა და სადაურობა გამოვკითხე. „Madrasman“! — მიპასუხა მან, — გიცნობთ, სინგაპურში ვნახეთო“. — „აქ როგორ მოხვდითქო?“ — „ისე, სამუშაოდ ჩამოვედიო“. „იქ რას აკეთებდი, რა იყავი?“ — „ვაჭარიო“. — „სტყუიხარ, გეთყვა, — ვიფიქრე გულში, — ტრაბახობ, ბუნების ნახევრად ველური შვილი კი გქვია!“ მყისვე მომაგონდა, ვინც ბრძანდებოდა: იქ პატარა კარეტას დაატარებდა ქალაქში და ერთხელ მთელი ქუჩა გვერდით მომდევდა, მეხვეწებოდა, მისი კარეტის ნომერი დამემახსოვრებინა და სხვა არ ამეყვანა. აქ კი მეზუფეტედ მუშაობს, სტუმრებს საკმელს ურიგებს, ჩინელ ბიჭებს კი — წკიპურტებს.

მეორე სადილი პირველზე ბარაქიანი გამოდგა. წვნიანის გარდა მოხარშული თუ შემწვარი ცხვრის ხორცი, მოხარშული თუ შემწვარი საქონელი, მოხარშული თუ შემწვარი ქათამი იყო, მერე ბატი, შაშხი, მწვანილი. ეს პირველ თავად. მეორე კერძად ნანადირევი ფრინველი და ნამცხვრები მოგვართვეს. ისიც და ესეც ერთად. შემოაქვთ, ჩემის აზრით, იმ მიზნით, რომ სტუმრები დაცალკევდნენ და ვინ ნამცხვარს მიუჯდეს. ვინ შემწვარს. ნამცხვარი ისეთი იყო, როგორც ლონდონში, პორტსმუტში და კეთილ იმედის კონცხზე ვიგემე: applepie². ტკბილი ერბო-კვერცხი და პუდინგი ჩიტყურძენათი.

ნასადილევს ბ[არონმა] კ[რიდნერმა] გამომიარა და ისევ მე წავიყვანე ქალაქისა და მისი მიდამოების სანახავად. ვუსუნის სანაპიროზე გამოვედით, მარცხნივ გავუხვიეთ, ინგლისის კონსულის დიდებულ სახლს ჩავუარეთ, მერე პორტუგალიელ, დანიელ თუ სხვა კონსულთა სახლებს. გზაში მეზარგეები გვხვდებოდნენ, თანაბრად გვიკიოდნენ: „ა-ა! ა-ა!“ — ო, ჩაის ეზიდებოდნენ და ისევ გულუხვად აბნევდნენ ქუჩაში. იქ ფრანგული ხომალდების მეზღვაურები ათურმას თამაშობდნენ: ლამაზი, ახოვანი და კარგა ჩაცმული ხალხი იყო. ვუსუნის შენაკად ერთ პატარა მდინარეს და ბორანს მივადექით.

¹ მადრასელი (ინგლ.).

² ვაშლის ნამცხვარი (ინგლ.).

ნავმისადგომზე სამუშაოდან დაბრუნებული მდაბიო ხალხი ირეოდა ბლომად, გაღმა მხარეს გადასასვლელად თავიანთ ჯერს ელოდნენ ნავზე. იქ კი პირველად ფუნის გროვა გეცემოდა თვალში, წამურტლული ნაპირი, ორი-სამი ბინძური ქოხი, ორი-სამი გამჟვნარი ხე და იმათ შემდეგ კი — დახული ყანები.

ჩავიარეთ ბოსტნების ღობეები, სხვადასხვა პურეულით დათესილი ყანები, სადაც ბამბის ბუჩქები გაბარდნილიყო და ჯერ ქალაქთან ყველაზე ახლოს მდებარე სოფელს მივადწიეთ. ბამბუკის ქოხები ერთმანეთს მიწებებოდა, ფანჯრები არ ჰქონდათ, მხოლოდ და მხოლოდ კარი იყო გაჭრილი. სოფელში ბინძური არხი მიიკლაკნებოდა, ფუნით სავსე გეჯები იდგა, ყანების გასანოყიერებლად. სიმყრალემ კინალამ დაგვახჩო, ვინანეთ, რად შემოვიარეთ-თქო. ნოტიო, თიხიან მიწაზე ფეხი გვიცურდებოდა. ძაღლები საყეფრად მოგვდეგდნენ, ძაღლებს ჩინელი ბებრუხუნა მოსდევდა დასაოკებლად. რამდენიმე ჩინელი ზღურბლზე ვახშობოდა, ორი ჩხირით ფინჯნიდან მარჯვედ იყრიდნენ პირში ბრინჯს და ისე იტენებოდნენ, რომ ჩვენს სალამზე ჩინ-ჩინ (გამარჯობაო), პასუხი ვეღარ მოგვეცეს, მხოლოდ ტკბილად დაგვიკანტურეს თავი.

ასეთი სიმყრალის, ასეთი უბადრუკი სილატაკის, ასეთი სიბინძურის მიუხედავად არ შეიძლება გამჭირახობა, წესრიგი და ყაირათიანობა არ შეგემჩნია, თუნდაც სამინდვრო და სასოფლო მეურნეობის წვრილმანებში. უბრალო თვალითაც მყის დაინახავდი, რომ უპირატესად სამიწათმოქმედო ქვეყანაში ხარ და ბოგდიხანის მარჯვენა, ვითარცა ამ ქვეყნის დიდი მოღვაწისა, ტყუილად არ ეხება წელიწადში ერთხელ სახნისს: ყოველი საგანი ჩახედულად გამოუყენებიათ საქმეში; ყოველივე დამუშავებულია, დამთავრებული; ვერ ნახავ დაუდევრად გადაგდებულ ჩალის ბლუჯს, წაქცეულ ღობეს ან ნათესებში მოყიალე ძროხას თუ თხას; არსად გდია უქმად თუ უმიზნოდ დამპალი კუნძი, ან რაიმე გამოსადეგი საგანი. აქ, მგონი, ყოველ ნაყოფს, კენჭს, ნაგავს — თავისი დანიშნულება გააჩნია და საქმეს ხმარდება.

ნიადაგი ბუნებით ჭაობიანია, მაგრამ ჭაობის ნატამალიც არა ჩანს. ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი არ დარჩენილა:

ყოველი კვალი თუ ხვრელი თანასწორი და თანატოლია. დარბიული, ბინძური სახლებიც ჭკვიანურად ატეხნიან, ყოველზე უგულისხმიათ; ყოველი კუნძული მოუხმარიათ: ყველაფრისთვის ადგილი მიუჩენიათ და შეძლებისდაგვარად წესრიგში მოუყვანიათ.

სოფელი გავიარეთ და ეგრეთ წოდებულ პრომენადაზე, ევროპელთა ფეხითა თუ ცხენებით ქალაქაგრეთ სასეირნო ადგილზე გამოვედით: ეს განიერი გზა ქალაქიდან მინდორ-მინდორ გადიოდა და მიწაყრილს უვლიდა გვერდს, რომელიც იმპერიალისტების ბანაკს ქალაქისაგან ჰყოფდა. ამ ადგილის ნახვისას ცირკის მოედანი მოგაგონდება: ისე გაუფხვიერებიათ ცხენების ფლოკეებს აქაური მიწა. ჩვენი მისვლისას შანხაელ ევროპელ ქალებსა და კაცებს სწორედ დიდი ჰქონდათ გამართული და წინ და უკან დააჭენებდნენ, ვინ ინგლისიდან ჩამოყვანილ წმინდა ინგლისური სისხლის დიდებულ ტაიქებს, ვინ პატარა ჩინურ ცხენებს. მხოლოდ ერთი ოჯახი დასეირნობდა შარაბანით და კიდევ ერთი მანდილოსანი, მგონი, პასტორის ცოლი, მოჰყავდა ოთხ ჩინელს ორ ბამბუკის ჯოხზე შედგმულ რკინის სავარძლით. რამდენიმე ფეხით მოსეირნე ოფიცერი და ჩვენ შევადგენდით მაყურებლებს, თუმცა ჩვენ უფრო მომქმედ გმირებად ჩავითვლებოდით, ქემშარიტ მაყურებლებს ჩინელები წარმოადგენდნენ, ქალაქისა თუ სოფლის მშვიდობიანი მცხოვრებლები, ვაჭრები და მიწის მუშები, რომელთაც დღიური საქმე უკვე მოეთავეებინათ. რა ნაირ-ნაირ პორთულობას არ ნახავდი აქ: ვაჭრის აბრეშუმის კოფთასა და შარვალს, გლეხის ლურჯ ხალათს, იმპერიალისტის კამზოლსა და შარვალს, ზურგზე რომ წრე თუ რომელიმე ასო ამოექარგათ. მთელი ეს საზოგადოება დიდი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მათ საზღვრებში ძალით შემოჭრილ ამ ხალხს, რომელიც არა მარტო აქ თავის ნებაზე დასეირნობდა, ბოძებიც კი ჩაესვა და ზედ წაეწერა, მასპინძლებს აქ სიარული ეკრძალებათო. ჩინელები ყოველ მხედარს შენიშვნებითა და სიტყვებით ხვდებოდნენ და აცილებდნენ. განსაკუთრებით ცხენზე მოჯირითე ქალები იქცევდნენ მათ ყურადღებას: ეს ხომ არნახულ სურათს წარმოადგენდა მათთვის! ჩინელი ქა-

ლები დღესდღეობით მხოლოდ და მხოლოდ საოჯახო ნივთს შეადგენენ: ქალბატონობამდე ჯერ ბევრი უკლიათ.

ჩვენი სხვა თანამგზავრებიც შემოგვიერთდნენ აქ. გავარღვიეთ ცნობისმოყვარეთა მწკრივები, მიწაყრილს მივადექით, არხზე რკალივით გადადებულ ბოგირზე ავედით და ბანაკს გადავხედეთ. ჩინელი მოხელეები და ვაჭრები ტახტრევენებო წარამარა მიჰყავდათ და მოჰყავდათ იქიდან. ერთად შექუჩულ კარვების თავზე უამრავი ფერად-ფერადი ბაირალეები და ნიშნები ჩაერქოთ, რაც ამ მოხელეთა არისტოკრატიული სამეფოს, საგვარეულო ღერბები და წარჩინების ნიშნები გახლდათ. ბანაკიდან ხამუშ-ხამუშ სროლის ხმა ისმოდა, მეტწილად ფუჭი მუხტით, როგორც ინგლისელმა ოფიცრებმა გვითხრეს, იმის დასამტკიცებლად, რომ ბანაკელები ფხიზლად არიან და დარაჯობენ. მართლაც მარტო დარაჯობენ და აშინებენ ერთმანეთს. ნისლიანი ღამეც რომ იყოს და მოწინააღმდეგე არ ჩანდეს, სროლას მაინც არ იშლიან. მდინარე ვუჭუნდიან ღამის იერიში და ხანძარი რომ დავინახეთ, ისიც ხომ ბრძოლის კარიკატურას წაშობადგენდა.

იმპერიალისტებს აქ შანხაის ოლქის მმართველი, ტაუტაი სამკვა სარდლობს. შეყრილი ჯარი ქალაქის კედლებს შემოარტყა ბანაკად, თვითონ კი ჯონკები აიჩინა ადგილ-სამყოფელად და მდინარიდან აწარმოებს ბრძოლას. თითქო რა დიდი ამბავი უნდა მაწანწალებისა და ბოგანოების გაჩეკვას? მაგრამ აქამდე ყოველმა ცდამ ფუჭად ჩაუარა, ევროპელები მტკიცედ ადგანან ნეიტრალიტეტის გზას, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ევროპელს, დღეში, მგონი, ის ოც დოლარს ჰპირდება გასამრჯელოდ, თუკი მასთან სამსახურს იკისრებს. მობალისენი აქამდე ნაკლებად ჩანან. ღამის იერიში მარცხით დაუბოლოვდა. ქალაქის გადაწვა მოინდომა, ვერც ეს მოახერხა: მარტო ერთი გარეუბანი გადაიბუგა, რადგან ქარი საპირისპირო აღმოჩნდა და ცეცხლი სხვა უბნებს აღარ მოედო. მერე რაქდენი გულქვაობა გამოიჩინეს წვრილმანებში, თუმც საჭიროება არ მოითხოვდა! ინსურგენტები კი ვერც ამით დააშინეს. თავიანთ ციხე-სიმაგრეში გამოკეტილ მემამბოხეებს საქმელსანოვაგე ქალაქის გალავნიდან შემოუღლით და სხვა არაფერი აღარღებთ.

მე რომ მიწაყრილზე ვიდექი, ამ დროს რამდენიმე იმპერიალისტმა უცბად ხალხში ერთს, შესახებდად მეტად უწყინარ კაცს, სტაცეს ხელი და ბანაკისკენ წაათრიეს. ვიფიქრე, ჩვეულებრივი ქუჩური სეირია, ჩხუბი თუ მოხდა-მეთქი. მაგრამ აქ ამბის შემსწრე ერთმა ინგლისელმა ამიხსნა, რომ იმპერიალისტები თურმე ასე იქერენ ყველას, ვინც წინდაუხედობას გამოიჩენს, მეამბოხედ შერიცხულს ბანაკში წაიყვანენ, თავს წითელი ნაპრით წაუკრავენ, აქაოდა ჯანყის ნიშნად, მერე თავს მოჭრიან და შუბზე წამოაცვამენ. ყოველი ინსურგენტის დამპყერს ჯილდო ეძლევა. „Oh that's bad, very bad!“ (საშინელებათაო!) დასძინა ბოლოს ინგლისელმა, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

მაგრამ ინსურგენტებიც მშვენივრად უხდიან საჩაგვიროს. ამას წინათ მათ გამოაცხადეს, ქალაქის ჩაბარებაზე თანახმა კართო, და მოლაპარაკებისთვის რწმუნებულების გაგზავნა ნოითხოვეს. ტაუტაი სიხარულით ცას დაეწია და ცხრა მოხელე ანუ მანდარინი გაუგზავნა ამალით. მაგრამ რა წამს რწმუნებულებმა ქალაქში შედგეს ფეხი, ინსურგენტებმა ისეთი საშინელი წამებით ამოჰხადეს სული, როგორც ყველა შინა ომების ხანას სჩვევია ხოლმე.

ის ინგლისელი, რომელზედაც მოგახსენეთ. შთაბეჭდილებათა და თავგადასავალთა მაძიებელი გახლავთ. ყოველდღე დილიდან მიეშურება ხან ბანაკში. ხან ალყაშემორტყმულ ქალაქში, დატენილი დამბაჩით ჯიბეში, იმის სანახავად, იქ რა ხდებაო. აინუნშიც არ აგდებს, რომ ჩინეთის სახელმწიფო ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე უარი განაცხადა. თუკი ევროპელი საგანგებო ნებართვისა ან გაფრთხილების გარეშე საომარ მოქმედებათა ადგილზე აღმოჩნდება და იქ უსიამოვნება შეემთხვევა.

ჩვენებსაც მოეპრიანათ ბანაკში წასვლა; ვიცოდი, იმათ რომ მალე მოაბრუნებდნენ, ამიტომ აღარ გავყვევი, ვუთხარი, აქ დაგიცდით-მეთქი და გზის პირას ძელზე ჩამოვჯექი ინგლისელ ქალთა ჯირითის საყურებლად. აგერ, ტანარული, მედიდური ქალბატონი მოაგელეებს ცხენს, ერთი იმ დიდებულ ქალთაგანი, რომელიც გრძელ შალში შებურულნი მძლეეთამძლედ მოაბიჯებენ და რომელთაც. შენდა უნებლიეთ. გზაზე ჩამოეც-

ლები ხოლმე. ის მონუმენტივით აღმართულიყო ერთ მოსულ ტაიჭზე. ტაიჭიც თითქო გრძნობდა, ვინ ეჯდა ზურგზე და გოგმანით მოჰყავდა. გვერდით ინგლისელი ვაჟბატონი მოსდევდა ცხენით, ფეხები ლამის მიწამდე ეთრეოდა; რამდენადაც მისი ცოლი ტანსრული და წარმოსადეგი გახლდათ, იმდენად ის გაფშეკილი და დიდებულებას მოკლებული ჩანდა. მეორე ტანმორჩილი, შეუხედავი, ტინგიცა ქალბატონი პატარა თაფლა ცხენს მოაჩიქჩიქებდა და ისე რიგად ეხეთქებოდა უნაგირს, ხმასაც გაიგონებდი. მესამე, რომ იტყვიან, კალმით ნახატი ლამაზთაგანი გახლდათ: თეთრყირმიზი სახე, პაწაწინა, მოკუმული ალისფერი ბაგე, ლურჯი თვალები და შიგ მეტყველი პატარა ჰკუა. ამ ქალბატონებს იმდენად წვრილი, ვერ ვიტყვი წერწეტა, წელი ჰქონდათ, ისე შემოეტმასნათ ამაზონკები, რომ ჩინელი მაყურებლები, მგონი, სიბრაალულის თვალთ უფრო უტკერდნენ, ვინემ სიამოვნების.

დიღხანს არ დამპირვებია ჩვენების ცდა; როგორც მეგონა. ისეც მოხდა: ისინი მართლაც არ შეუშვიათ. სახლში სხვა გზით წამოვედით, კვლავ ყანებსა და ბოსტნებს ჩავუარეთ. ალაგ-ალაგ ყანებში ვედროებით ჰყრიდნენ ნაკელს; ჰოდა, რაც ძალი და ღონე შეგვწევდა, გამოვექეციით ამ სურხელოვან იდილიას. ბინდდებოდა. მზე ჩაეშვა; ცას შევხედე და ნაწილობრივ ტროპიკები მომაგონდა: ისეთივე ღიავარდისფერი თალი გადმოგვხუროდა, ოქროსფერი რომ გადაჰკრავდა, ოღონდ ვნებით გალურსულ ჰაერში მოსრიალე ღრუბლების უცხო რამ სურათებით აღარ იყო მოქარგული; მხოლოდ აქა-იქ ციციგებდნენ თეთრი ვარსკვლავები. ქუჩები და გზები მთვარეს ორ, თეთრ და შავ ნაწილად გაეყო. „ზამთარიც ეგეთი უნდა! ნეტავ მოგვცა ასეთი-მეთქი!“—ვიძახდი მე და ბამბის გამხმარ ბუჩქებში ძლივს მივიკვლევდი გზას, სადაც ტოტებზე აქა-იქ შემორჩენილი ბამბა თოვლის ღინღლივით ქათქათებდა. თივთიკის პალტოში დამცხა კიდევ სიარულში. მოშორებით ჯენტლმენები და ლედები მიაჰქენებდნენ ცხენს და სადილზე მიიჩქაროდნენ.

ექვს საათზე უკვე სახლში ვიყავით და მესამედ მოვუსხედით სადილს, რომელსაც ჩაი მოაყოლეს. ამ სადილის ანუ, როგორც მ[ამა] ა[ვაკუმს] დაეყინებინა, „ვანშმის“ განმასხვავებე-

ლი ნიშანი ის იყო, რომ წვნიანი არ მოგვართვეს, სამაგიეროდ პილპილიანი სოსისები შემოიტანეს, თუმცა იმდენი პილპილი ექნათ, უფრო სწორი იქნებოდა სოსისიანი პილპილი დაერქმიათ. ჩაიშიც, მგონი, პილპილი ჩაუყრიათ. ჭამა ვერ შევძელით: მარტო შვიპერთა სტომაქს ძალუძდა სადილობიდან სამი საათის შემდეგ ფლეგმატურად შეექანქლა ხორცი.

საღამოს კლუბში მოვიყარეთ თავი, ე. ი. ერთ ყველაზე დიდ დარბაზში, სადაც მდგმურთა მეტ ნაწილს დაედო ბინა. სადაც უფრო მეტად ჩახჩახებდა ლამპა, ბუხარი არ ხრჩოლავდა და სადაც ქვანახშირი უფრო ბარაქიანად მოჰქონდათ, ვინემ სხვა ოთახებში. თეატრს აქ ვერ ნახავ, ვერც საზოგადოებას შეხედები, თუ გნებავთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სადაც კი ინგლისელებს ფეხი ჩაუდგამთ, ყველგან სუფთა ბინა, ქვანახშირით გაღუზღუზებული ღუმელი, მშვენიერი ხორცი, ხერესი და პორტვეინი დაგხვდებით, ოღონდ საზოგადოების ძებნაზე ტყუილად ნუ გაირჯებით. ინგლისელები ყველგან ახერხებენ ქედმაღლობა, მოუქნელი ადათები და მოწყენა დაასადგურონ. ვთქვათ, სადილად დაგპატიყეს; თქვენ ფრაქსა და თეთრ ჟილეტში გამოწყობილი, სტუმრად ეწვევით; თუ მადა მოუცია ღმერთს, ისე გამოძლებით, ვითარცა საზღაპრო გმირები ერთ დროს, ან მეეტლები ახლა, სმით უფრო მეტს შესვამთ, ოღონდ ლაპარაკი ნაკლებ მოგიხდებით. *ce n'est pas de rigueur*¹. მერე კი უჩუმრად გაიპარებით. მაგრამ დაუპატიყებლად მისვლა გულში არც გაივლით. საქმე თუ გაქვთ, კი ბატონო, ისიც განსაზღვრულ საათებში, ისე. სალაყბოდ კი — ნურას უკაცრავად. დღევ ასე აქვთ გაანგარიშებული: დილით ყველა დაკავებულია, მერე სეირნობენ. შვიდი საათიდან ათამდე თუ თერთმეტამდე სადილობენ, მერე კი სძინავთ. ინგლისში კლუბებია, სადაც ნაცნობებს შეგიძლია შეხვდე, ვისთანაც ყოფნას მიჩვეული ხარ. აქ კი ევროპული ცხოვრება ისე სწრაფად გადმოუნერგავთ, უცხო ნიადაგზე უესვის გადგმა ჯერ ვერ მოუსწრია და მოწყენაც ალბათ იმითომ გამეფებულა. არ ვიცი, ყმაწვილკაცობა აქ რას აკეთებს; ხნიერები კი სიმდიდრის მოხვეჭისთვის იღწვიან. ვინმე მის:

¹ ეს სავალდებულო არ გახლავთ (ფრანგ.)

ტერ კანინგამი თუ სხვა აქ ხუთ წელს დაჰყოფს, ორას ათას დოლარამდე გაიკრავს ჯიბეზე და მერე საიდანაც მოსულა, იქ მიემგზავრება, ხოლო თავის ადგილს იმავე საეაქრო სახლის სხვა წევრს დაუთმობს.

კლუბში ყველა სხვადასხვანაირად ვატარებდით დროს: ვინ წერდა, ვინ კითხულობდა, ვინ რაღაცას ჰყვებოდა, ვინ უხმოდ აბოლებდა სიგარას და უსმენდა. მაგრამ ყველა კი ბუხარს ახლოს უჩოჩდებოდა, რამეთუ ლამაზი ცისა და კამკამა ღამეების მიუხედავად, ზამთარს მაინც თავისი გაჰქონდა, მით უმეტეს აქაურ სახლებში.

ერთი პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩი] ტ[ინმენევი] გახლდათ. რომელმაც აქ მარტო დარჩენილმა მოახერხა საუკეთესო ოთახში გადასვლა და მთელი ფრეგატის ნებიერმა აქაც შესძლო მთელი სახლის გულისყური მიეპყრო. პირველს მას ულაგებდნენ ოთახს და ყველაზე კარგადაც, კალათში უფრო მეტ ქვანახშირს უყრიდნენ, ვინემ სხვებს. ჩვენ თითო მუჟა ქვანახშირს შემოგვიტანდნენ და მერე რამდენიც არ გვეხვეწა: აინუნში არავინ გაგდებდა. ამაზე მეტი უსამართლობა იქნებოდა! ოთხმა კაცმა სააქციო კამპანია შევექმენით პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩის] ოთახიდან ქვანახშირის მოპოვებაზე. რომ გვეთხოვა — ან სულ უარს გვეტყოდა, ან არადა, მისივე თქმის არ იყოს, ერთ ციციქნას მოგვეცემდა. ჩვენ კი ორი ოთახის გათბობა გვესაპირებოდა. ჰოდა, ასე გადავწყვიტეთ: ი. ვ. ფ[ურუგელმი] ტ[ინმენეს] სასმელ-საჭმლით მომარაგების საქმეებზე გაუბამდა საუბარს, რაც მის საყვარელ საგანს წარმოადგენდა, ვ[ოინ] ა[ნდრეევიჩი] კ[ორსაკოვი] და ა[ლექსანდრ] ე[გოროვიჩი] კ[როუნი] ამასობაში ქვანახშირის კალათს გააპარებდნენ. მე ყველაზე იოლი საქმე მერგო: ვ[ოინ] ა[ლექსანდროვიჩისა] და ა[ლექსანდრ] ე[გოროვიჩის] უკანდახევა უნდამეფარა. საამისოდ ბუხართან ზურგით დავდექი და ინგლისელებივით ოდნავ გადავიწიე ფრაკის კალთები, თუმცა ვერ გეტყვით, ამას რისთვის სჩადიან. ფურ[უგელმა] შანხაურ კომბოსტოზე გაუბა ტ[ინმენეს] საუბარი, რა ნედლი და ქორფააო. ეკითხებოდა, შჩიში თუ გამოდგება და ა. შ. ქვანახშირი რა ხანია უკვე გუზგუზებდა ჩვენს ოთახებში, პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩი] კი ისევ კომბოსტოს თაობაზე ჰყვებოდა. ჩვენც ზრდი-

ლობის გამო ვუგდებდით ყურს, ფურცელშიც ყურადღებით, მე უგულისყუროდ.

მეორე დღეს, როგორც კი ავდექი და ვისადილე, უკვე ნაცნობ ქუჩებს გავყევი. მაღაზიებში რაღაც მინდოდა მეყიდა და შემეკვეთა, სასტუმროს მარცხნივ ქუჩაზე რომ გავედი, იქ მოთხრეს, მაღაზია მეოთხე თუ მეხუთე სახლის შემდეგ არისო. შეექვსე სახლიც გავიარე, გამოვბრუნდი, ისევ ჩავიარე, მაღაზია ვერსად აღმოვაჩინე, რას ვიფიქრებდი, რომ ერთი განიერი, ხეებით დაჩრდილული პარმალი იყო სწორედ მაღაზიის შესასვლელი. იქ ერთი ხნიერი, შავთმიანი, წვერცანცარა კაცი შემომეგება, გრძელი შლაფორ-სერთუკი ეცვა. გამოთქმაც წმინდა ინგლისური არ ჰქონდა. „ებრაელიაო!“ — ჩამჩურჩულა ჩემთან მყოფმა გ[როშევიჩმა], რომელსაც უკვე მოესწრო ევროპელთა უბნის შემოწმება. როგორც ფოგისა თუ მთელი პროვინციის სხვა მაღაზიებში, აქაც ყველაფერს ხახავდი. ვიყიდეთ ჩექმები, წაღები და ფოგთან გავეშურეთ სიგარების საყიდლად. კარებში მაღალი, შავთმიანი კაცი შეგვეფეთა. „ფოგი ეს არისო, — მოთხრა ისევ გ[როშევიჩმა], — ებრაელიაო!“ მეძებარი ძალღივით ყნოსვით გრძნობს ხოლმე ის ებრაელებს.

ქუჩას პირდაპირ დავადექით და პატარა მდინარეზე გავედით. მე ბ[არონ] კ[რიდნერს] შეეუარე. „წამო, ქალაქს გაჩვენებთ-მეთქი“. ის ხმაამოუღებლივ გამომყვა. ეს მდინარე ევროპულსა და ჩინურ უბნებს შუაზე ჰყოფდა, სიგანით სულ ხუთი საენი იქნებოდა, იანსეკიანივითა და ვუსუბივით ისიც მღვრიე ტალღებს მოაგორებდა. მდინარე ჯონკებს გაეცოთ, სადაც ჩინელები ოჯახებით ცხოვრობდნენ; ნაპირებზე ვაჭრებს, მენავეების და სხვადასხვა ჯურის ხელოსანთა მოსახლეობა ირეოდა. ერთ ადგილას საამო სუნმა შეგვაჩერა: იქ ქაფურის ხის სახელოსნო ყოფილა. ფარდულაა და ღუქანში შევედით და კუბოებს, ზანდუკებსა და სკივრებში ამოვყავით თავი. ქაფურის სურნელი შორიდან კი გვეცა, მაგრამ რომ შევედით, ისე ძალუმად შეგვეფრქვია, ასე გვეგონა — ლოყებზე უცბად ქაფურის ყურბალიშები მოგვადეს-თქო. გვინლოდა, ამ ხის ზანდუკები გვეყიდა, მაგრამ ჩინელებს ვერა გავაგებინეთ რა. ჩვენ ინგლისურად მოვმართავდით, ისინი თავის ენაზე გვპასუ-

ხობდნენ; თითებით ვცადეთ ახსნა-განმარტება, არც ამით გამოვიდა რამე. აქ მომუშავე ორი გოგო, ერთი მეტად ტურფარამ, ჩვენი შემხედვარე ჩუმ-ჩუმად კისკისებდა, წითურა ძალი ღრენით გვიბღვერდა; ქაფურის სუნი ცხვირში გვიღიტინებდა. ბურბუშელებს გადავაბიჯეთ, ქუჩაში გამოვედით და ფოგთან შევიარეთ, მერე კიდეც ერთი ფრანგული მაღაზიის საძებრად გავწიეთ, რომლის არსებობაზე რალაც საეჭვო ხმები დადიოდა და აგერ მეორე დღეა ვერ აღმოგვეჩინა.

სწრაფად გავიარეთ ბაზარი, მისი ყოველნაირი სურნელით გაყლენთილი ჰაერი, ჩავუარეთ ბამბის სართველ სახელოსნოებს, სასადილოებს, მეწვრილმანეებს, ბუღის სამლოცველოებს და ბოგირზე გადავირბინეთ. „ახლა საით, მარცხნივ თუ მარჯვნივ!“ ვკითხე ბ[არონს]. „საითაც გნებავთ, გინდაც წარცხნივ!“ პირდაპირ ვიწროზე ვიწრო, ბნელი; ტურტლიანი შესახვევი მოჩანდა, როგორც ტარაკანების სოროდან, ისე მოძვრებოდნენ იქიდან ჩინელები, მარჯვნივ დიდი ევროპული ქვის შენობა იდგა; მოღიავებულ ალყაფიდან გზა ხეებით დაჩრდილულ სუფთა ეზოში, განიერ, სუფთა პარმალისკენ მიდიოდა. მარცხნივ მთელი ახალი ჩინური უბანი გადაიშალა ჩვენს წინ, სავაჭროთა ახალი ლაბირინთი, გაღმა მხარესთან შედარებით უფრო სუფთა და მდიდრული. ქსოვილების, ავეჯის ღუქნები იდგა; თვალი მომტაცა ჩინურმა ავეჯმა, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მისმა ჩუქურთმებმა და ხის მოზაიკამ. აქ ვერ ნახავთ სასადილოებს და ამიტომ ნაკლებ ირევა ხალხი. ღუქნები შეთხელდა; ჩავუარეთ მაღალზე მაღალ გაღავნის კედლებს, ბამბუკის ლობეებს, ლობეებს იქით წყება-წყებად დაწყობილი აგურები მოჩანდა, ბოლოს ერთი უზარმაზარი, მთლიანად გადათხრილი ეზო გადავიარეთ, ალაგ-ალაგ ბალახი რომ მოდებოდა, და ალყაშემორტყმული ქალაქის კედლებთან გავჩნდით.

როგორც ცნობილია, ჩინელები საშინელი პედანტები არიან, ქალაქი ქალაქად არ მიაჩნიათ, თუ კედელი არ ავლია ირგვლივ; ამიტომაც ყოველი ქალაქი, მათ შორის შანხაიც, კედლითაა შემორაგული.

რა სურათი გადაიშალა ჩვენს წინ! ჯერ შორიდანვე ჩავვხვსმა ადამიანთა არეულ-დარეული ყაყანი, მაგრამ ვერ მივხვდით, თუ რას მოასწავებდა. ახლა კი მივხვდით. კედლისგან

თხრილი გვაშორებდა; თხრილის გაღმა, კედლის ძირას, ათასამდე კაცი ირეოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღრიალებდა. კედლის თავს ბუზივით დახვეოდა ინსურგენტების ასევე ათასამდე ბრბო და ისინიც ასევე გაჰკიოდნენ. ქვემოთ ჰეწერილმანეები იყვნენ. რის ჩამოტანა, ჩამოთრევა, თუ ჩამოზიდვა შეიძლებოდა, ყველაფერი ჩამოეხიკათ. საკლავი. მწვანელი, ხილი, შეშა, მთელ-მთელი მორები ნელა მიჩოჩავდა ზემოთ კედლისკენ; რუხი აგურის კედელი ძალზე მაღალი იყო, თვალის ზომით ექვსი საყენის სიმაღლე იქნებოდა და მეტად განიერიც. ალყაში მოქცეულები ყურისწამლები ღრიალით მოითხოვდნენ ვინ ღორს, ვინ კომბოსტოს, ვინ ქათამს. ვაჭრობდნენ, ილანძლებოდნენ, ბოლოს რიგდებოდნენ; ზემოდან თოკით ეშვებოდა კალათა, შიგ ფული ეყარა და ქათმებით, ფორთოხლებით, ტანსაცმელით სავსე ადიოდა; იქ ფიცრებს მიათრევდნენ, აქ კამათობდნენ. ერთი ალიაქოთი იყო. გარეშეები ვერაფერს გაარჩევდნენ. მხოლოდ ამაში კი დავრწმუნდი, რომ ჩარჩებს იმპერიალისტებზე მეტი ენერგია და ჰკუა გამოეჩინათ ქალაქის ალყის შემორტყმაში. ისინი მხოლოდ ზანტად ისერიან თოფებს, ალყა იმიტომ შემოერთყათ. შიგ მოქცეულები ამოეჟლიტათ, ესენი კი მათი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის იღვწოდნენ.

ჩვენები მაინც შეძვრნენ ბანაკში, ინგლისელ ოფიცრებს შეჰყოლიან. იქ შემწვარი ღორების, ქათმების თუ ლავაშების ზეინი ენახათ, ზარბაზნებისთვის ზვარაკად შეწირული და ლულების წინ ჩამწკრივებული.

ალყის შემომორტყმელთ, რა თქმა უნდა, კი შეეძლოთ ქალაქის სურსათ-სანოვაგის მომარაგებაში ხელი შეეშალათ, მაგრამ ვაი რომ თავისუფლება ალყაში მოქცეულებზე ნაკლებ გააჩნიათ. ისინი თითქმის ვერც ბედავენ ბანაკიდან ცხვირის გამოყოფას, მაშინ როცა ინსურგენტებს ყოველდღე ვხვდებოდით ქუჩებში, ევროპელთა უბანში თამამად მოსეირნეთ. ინსურგენტებს ტანსაცმელიც სხვანაირი აცვიათ; არც შუბლს იხოტრავენ, რამეთუ მანჯურიელების მიერ შემოტანილ დამამცირებელ ადათად მიაჩნიათ. მაგრამ ერთნიც და მეორენიც ინგლისელებსა და ამერიკელებს უჭირავთ ხელში. პ[ოსიეტს] ენახა, ქალაქიდან ბანაკში დაბრუნებულ ორ მხედარს ინგლი-

სელები's სასეირნოდ განკუთვნილ ადგილზე რომ გაეკლოთ და ზომალდ „სპარტანის“ ინგლისელ ოფიცერს ორივე ჯოხით ისე უბრეგია ამის გულისთვის, რომ ერთი ცხენიდანაც კი გადმოვარდნილა. თბრილი და კედელი, სადაც მეწვრილმანეები ვაქრობენ, პირით ქალაქისაკენაა მიქცეული; ერთი ყუმბარაც რომ ევროპულ უბანში მოხვდეს, მაშინ ალყაშემორტყმულები თუ ალყაში მოქცეულები კონსულებს ვერ გადაურჩებიან. ერთხელ შემთხვევით მოხვდა ფრანგული გემის ბორბალს ყუმბარა: კომანდირს უნდოდა ქალაქისთვის სროლა აეტეხა. არ ვიცი, როგორ მოაგვარეს საქმე.

საერთოდ, ინგლისელები ჩინელებსა თუ სხვა დანარჩენ. განსაკუთრებით მათ ქვეშევრდომ ხალხებს, ვერ ვიტყვი, ულმობლად ექცევიან-მეთქი, მაგრამ მბრძანებლურად, უხეშად. აბუჩად კი ეკიდებიან, ისე რომ გული გეტკინება. ამ ხალხებს ისინი ადამიანებად არ თვლიან, მუშა პირუტყვად მიაჩნიათ. მართალია, არ სცემენ და ასე ვთქვათ, კიდევ უვლიან, ე. ი. კარგად აკმევენ, ბლომდაც აძლევენ გასამრჯელოს, მაგრამ თავის ზიზღს კი ვერ მალავენ მათდამი. ოტელში ჩვენთან ერთი ოფიცერი დადიოდა ხშირად, ფლოტს არ ეკუთვნოდა, სამხედრო ჯარში მსახურობდა ზომალდ „სპარტანზე“. ასე ოცი წლის ყმაწვილი იყო. მგონი, იმასაც თავგადასავალით ტრფიალი ჭირდა. გვარად სტოკსი გახლდათ; წარამარა დაიარებოდა ალყაშემორტყმულ ქალაქში და ბანაკში. ქუჩებში მასთან ერთად დავსეირნობდით. პოდა, თუ ჩვენს წინ ჩინელი მიდიოდა, ჩვენ რომ უკან მივყვებოდით, არ იცოდა და გზაზე არ ჩამოგვეცლებოდა, სტოკსი უბოდიშოდ კიკინაში ჩაავლებდა ხელს და განზე გაათრევედა. ჩინელი ჯერ გაოგნდებოდა, მერე გულში ჩახშობილ აღშფოთების ღიმილით გამოგვაყოლებდა თვალს. ამაზე მორჩილ, უწყინარ და თავახიან ხალხს, როგორც ჩინელებია. კანტონელების გამოკლებით, ხომ ვერსად ნახავ: კანტონელები ყოველი დიდი ქალაქის ხალხივით ტლანქი და შფოთის თავია. აქ კი ერთხელაც არ შემინიშნავს, ჩინელმა რომ ევროპელს დაცივნით შეხედოს: მხოლოდ მოწიწებულ, მორიდებულ ყურადღებას ამჩნევ. ინგლისელები კი აი, როგორ უხდიან სამაგიეროს: იმათ ხარჯზე მდიდრდებათ, ოპიუმით წამლავენ და კიდევ აქეთ აბუჩად იგ-

დებენ თავიანთ მსხვერპლთ! ჩვენი სასტუმროს პატრონი დონალდი — რა თქნა უნდა, ერთი ბაჯაჯღანა ინგლისელი, ინგლისში რომ ალბათ სამათხოვროდ ჰქონდა საქმე, თორემ უცხო ქვეყანაში რად გადმოიხვეწებოდა დუქნის გასახსნელად გადდიღრების იმედის გარეშე — ეს დონალდიც კი თურმე, როგორც ტ[ინხმენევემა] მიაბზო, ისე სცემდა თავის დუქნის ერთ-ერთ ჩინელ მსახურს, რომ „კიდევ შემეცოდო“, — დააყოლა კეთილმა პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩმა].

არ ვიცი, მათში ვინ უფრო საჭიროებდა ცივილიზებას. ვფიქრობ, ჩინელების ზრდილობა, უწყინარობა და, ასე გასინჯეთ. ვაჭრობის ფხაც რომ ინგლისელებს მოსცხებოდა. ურიგო არ იქნებოდა.

ქორ-ვაჭრების ალყის ცქერით რომ დავტკბით, თხრილის კიდეს გავყევით ფრანგი კონსულის სახლისა და ფრანგულ მაღაზიის საძებრად. დილით წამოწვიმა და წებოვან ლაფშუხები გვეფლობოდა. რის ვაინაჩრობით მივალწიეთ პოგირს. სახლების სახურავზე ფრანგული ბაირალი დავინახეთ, მაგრამ მაინც არ ვიცოდით, იქ როგორ მოვხვედრილიყავით. ბოგირთან ყოყმანით გავჩერდით. იქვე დიდი ევროპული ქვის სახლი იდგა, ალყაფის კარა მოღიავებული იყო. ეზოში შევედი, სახლის კარა შევალე და ნათელ, დაკრიალებულ, მშვენიერ მაღაზიაში გავჩნდი, ევროპის სატახტო მაღაზიებს რომ ჰგავდა. „სადა ვარ-მეთქი?“ — ვეკითხე ხმამალა. „რემის ფრანგულ მაღაზიაშიო“, — მიპასუხა აქ ჩვენზე ადრე მოხვედრილმა გ[ოშვეიჩმა]. ხანში შესული, საშუალო სიმაღლის შავგვრემანი კაცი მომიახლოვდა და ფრანგულად დამელაპარაკა. „მაღაზიის პატრონს შეხედეთო“ — მითხრა რუაულად გ-მა. შევხედე. „რაციო-მეთქი?“ — „განა ვერ ამჩნევთ?“ — „ვამჩნევ... მერე რა ვიხსნა?“ — „ებრაელიაო“, — მითხრა.

ამ ჩემი ნარკვევით, რომელიც ინგლისელებისთვის გახსნილ ხუთი ნავსადგურადან ერთ-ერთს ეხება, ვერაფრით ვერ დაასკვნით, თუ რა ბრწყინვალე როლს თამაშობს ახლა შანხაი და შემდეგშიც რა მომავალი ელის! აქაურ ზღვებში მან თვისა აღებ-მიცემობის კოლოსალური რიცხვებით ახლაც კი დაჩრდილა ჰონ-კონგი, კანტონი, სიდნეი და კალკუტას, ანუ როგორც ინგლისელები ეძახიან, „კალკატის“ — შემდეგ პირ-

ველა ადგილი დაიკავა. სულ ოპიუმის წყალობა კი არის! ოპიუმისთვის სწირავენ ჩინელები თავის ჩაის, აბრეშუმს, სამკურნალო, საღებავ ნივთიერებებს, ოფლს, სისხლს, ენერგიას. კეუას, სიცოცხლეს. ინგლისელები და ამერიკელები გულგრილად ართმევენ ყოველივე ამას, ფულად აქცევენ და ასევე გულგრილად ყლაპავენ ოპიუმის გამო რაც საყვედურებზედებათ თუ ხედებოდათ ძველად (რა თქმა უნდა, მაშინ უფრო მეტად) არც წითლდებიან, ისე ისმენენ ამ საყვედურებს და ერთიმეორეს აბრალებენ. ინგლისის მთავრობა კრინტს არ სძრავს — აბა, სხვა რაღა დარჩენია, რადგან მმართველობის სათავეში მდგომ ბევრ პირს თვითონ გააჩნია ინდოეთში ხაშხაშის პლანტაციები და ხომალდებით თვითონვე გზავნიან იანსეკიანში. შანხაიმდე 16 მილის მანძილზე ვუსუნში მთელი ფლოტი დგას ეგრეთ წოდებულ ოპიუმის ხომალდებისა. იქ არის ამ შხამ-სამსალის საწყობი. სხვა ხომალდებს მხოლოდ ჩამოაქვთ და ტვირთავენ, ესენი კი ასაღებენ. ჩინეთის მთავრობამ აკრძალა ოპიუმით ვაჭრობა და კიდევ შეაჩვენა მოვაჭრენი, მაგრამ შეჩვენებას რა ფასი აქვს, თუ ძალა არ მოგდევს? საბაჟოში, ცხადია, ოპიუმს არ გაატარებენ, მაგრამ თუ ვინმემ მოახერხა და ჩუმად გააპარა, უზარმაზარი მოგების მეტი რა დარჩება.

მთავრობას არც საბაჟოებისგან აყრია დიდი ხეირი, საბაჟოს მოხელეები იმავე შენობაში წამოსკუბულან, სადაც წინათ ბუდა იყო დაბრძანებული, ე. ი. კერპოტაძარში. ჩინელები ხაზბად ეტანებიან ოპიუმს და მსწრაფლ ასაღებენ თავიანთ ქვეყანაში, ჩინეთის მთავრობას მარტო მაშინ აქვს უფლება ხომალდებზე საქონელი შეამოწმოს, როცა დარწმუნებულია, რომ იმას აღმოაჩენს, რასაც ეძებს. მაგრამ რა უნდა აღმოაჩინოს! მოსყიდული აგენტები წინასწარ ატყობინებენ ხოლმე პატრონს და ტვირთს მყისვე ან მდინარეში გადაუშვებენ, ან ნაპირზე გააპარებენ: ტყუილი ეჭვის გამოჩენისთვის კი მთავრობას შავ დღეს დააყრიან. ამიტომ არც არასოდეს ხდება შემოწმება. ინგლისის მთავრობა თავს იმით იმართლებს, რომ რა ნება აქვს ინდოეთში ხაშხაშის მოყვანა აკრძალოს, ჩინეთში ოპიუმის შეტანაზე მეთვალყურეობის გაწევა კი მისი საქმე არაა, ჩინეთის მთავრობის მოვალეობას შეადგენსო. აი, რას

ამბობს ის მთავრობა, რომელიც ზანგებით ვაჭრობის წინააღმდეგ წმინდა კავშირში მონაწილეობს!

მაგრამ რა აზრი აქვს ტყუილ-უბრალოდ კიდევ ერთი პატარა კენჭი ესროლო ბოროტებას, რომელსაც ათასი მოხვედრია და სულ ფუქად კი ჩაუვლია? განა საკვირველი არაა: საქმე იმდენად ნათელია, დავაც კი არ შეიძლება; ბრალდებული მხარე სდუმს, აღიარებს—რა დანაშაულს, მსჯავრიც დადებულია, ანაჩენის შემსრულებელი კი არავინა ჩანს!..

ამ პირუტყვის შემბრალებელ ხალხის უნამუსობა პირდაპირ ზალაც გმირობას აღწევს, როცა საქმე საქონლის გასაღებაზე მიდგება, რა საქონელიც არ უნდა იყოს, თუნდაც შხამი! ინგლისელთა ანგარების მეორე მაგალითი კიდევ უფრო განაცვიფრებს კაცს: კაფრებს რომ თოფები და თოფის წამალი არ ჰქონოდათ, ინგლისელები ერთი ომით მოუღებდნენ ბოლოს მათ ძარცვა-გლეჯას და ამბოხებებს. ამიტომაც სიკვდილით ისჯებოდა ყველა, ვინც მათ თოფის წამალს მიაწოდებდა; კაფრები კი მაინც ცეცხლმსროლელი იარაღით განაგრძობდნენ ბრძოლას. დიდხანს არავის მოსვლია თავში გამოეძია, რა გზით იძენდნენ ისინი სამხედრო მასალას: მაგრამ ერთხელ ერთი ნავსადგურიდან წამოსვლისას გზაში თოფისწამლის რამდენიმე ყუთი აფეთქდა, რომლებიც სხვა დანარჩენ საქონელთან ერთად მიჰქონდათ კაფრებთან.—**ინ გ ლ ი ს ი ს ვ ე ხ**ომალდებიდან! ამ ნუგბარს თურმე თავიანთივე თანამემამულეთა გასამანსპინძლებლად ეზიდებოდნენ: ვაი ასეთ ვაჭრობას და ვაი ასეთ ერს!

ენა არ მიბრუნდება აქაური ვაჭრობის ჯამი გითხრათ. ოცდათხუთმეტი წლის წინათ მთელს ჩინეთში ევროპელებს ახუთმეტიოდე მილიონი მანეთის (ვერცხლით) საღირალი საქონელი ჩამოჰქონდათ. აქედან ოპიუმში მეოთხედ ნაწილზე მეტს არ შეადგენდა. თორმეტი წლის წინათ, ჩინეთის ომამდე. საქონლის ჩამოტანა ორჯერ გაიზარდა, ე. ი. ოცდაათ მილიონამდე თანხას მიაღწია, ვერცხლის ფულზე. ოპიუმში უკვე ოთხ მეხუთედს, დანარჩენი საქონლისა კი მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენდა. ეს უკვე მთელ ჩინეთში. ახლა კი მარტო შანხაიში გაცილებით მეტი ჩამოაქვთ. შანხაი უდაოდ პირველი ხარისხის როლს თამაშობს ჩინეთის ვაჭრობაში. ის თავისი მეზობელ ქა-

ლაქების: ამოის, ნინგპოსა და ფუ-ჩუ-ფუს ხარჯზე არ ამალ-
ლებულა; ამ ადგილებს თავისი მოღვაწეობის ასპარეზი ჰქონ-
დათ, მუდამ თავისი საქონელი და ეს ყოველივე დღესაც გააჩ-
ნიათ.

მაგრამ კანტონსა და ჰონ-კონგს არ შეიძლება ცოტაოდენ
მაინც არ დაეკარგათ თავიანთი მნიშვნელობა მას აქეთ, რაც
ჩრდილოეთში ეპქრობა გაიხსნა. ჩრდილოეთის მხარის ბევრმა
საქონელმა გამგზავრების უახლოესი წერტილი ჰპოვა და ამ
ორ ადგილზე მათმა ნაკადმა იკლო კიდევ. მაგრამ სრული და-
ცემის საფრთხის ვარაუდი კი უსაფუძვლოა. კანტონის გალა-
ვანში ერთ მილიონამდე მცხოვრები იმყოფება და არა ერთი
ათეული სახლობს მის დაქვემდებარებულ თუ ახლოსმდებარე
ოლქებში, რომელთაც სულაც არ აწყობთ სხვა ადგილებში
ეძიონ სამუშაო და გაასაღონ საქონელი. ამიტომ კანტონი მე-
დამ დარჩება ამ მცხოვრებლებისთვის ბაზრად. თანაც ის
ფართოელის ქალაქია: არც ისე ადვილი საქმეა მისი საქონ-
ლის ფართო ნაკადი სამხრეთ ნავსადგურიდან სხვა მხარეს
მიაქციო. მით უმეტეს თუ ამ ნავსადგურს თავის მხრივ კიდევ
პირველობის უფლება გააჩნია. ჰონ-კონგიც არ დაეცემა შან-
ხაის ამალღებით. ესაა ცოტაოდენ დაკარგავს, როგორც საწყო-
ბი, მნიშვნელობას და დაკარგა კიდევ. ბევრი ხომალდი უშუა-
ლოდ შანხაის მოადგება ხოლმე, მაშინ როცა წინათ დასატვირ-
თად თუ გადმოსატვირთად ჰონ-კონგში მიემართებოდა.

შანხაის ამალღების მიზეზს მისი ხელსაყრელი გეოგრაფიუ-
ლი მდებარეობა წარმოადგენს ვეებერთელა მდინარეზე. რამ-
დენიმე ხალხმრავალი სავაქრო, მანუფაქტურული ქალაქები,
მათ შორის ნანკინი და სუჩუფუ, შანხაის ზემოთ მდებარეო-
ბენ ამ მდინარეზე. შანხაის მოსახლეობის მხრივ ყველაზე კნ-
ნი ადგილი უქირავს; იქ მხოლოდ სამასი ათასამდე მცხოვრები
ითვლება (ასე იყო ალყამდე), ჩინური ქალაქისთვის ეს ცოტას
შეადგენს, მაგრამ იმ ქალაქებისთვის, განსაკუთრებით კი პრო-
ვინციებისთვის, სადაც საუკეთესო აბრეშუმში და ჩაი მოდის.
შანხაი სავაქრო გარეუბანს წარმოადგენს. ეს ორი რამ კი ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი დარგი გახლავთ, ჩინეთი ჯერჯერობით
მხოლოდ მათი წყალობით იძენს ევროპული და ამერიკული

ბაშბის, შალის თუ სხვა საქონელს. ოპიუმით ვაჭრობა წარმოებს ლითონის, მეტწილად ვერცხლის ფულზე.

ერთმა ჩვენმა თანამედროვე მოგზაურთაგანმა, სახელდობრ ბ-მა ნოპიჩმა, დედამიწის გარშემო დანიურ კორვეტ „გალათე-ზე“ რომ იმოგზაურა, ბ-ნ სტენ-ბილის მეთაურობით, ცალკე წიგნად გამოსცა მის მიერ შემოვლილ ადგილებში აღებ-მიცემობის ირგვლივ შეკრებილი ცნობები. ეს კეთილსინდისიერი, სასარგებლო ნაშრომი გახლავთ. მართალია, ნოპიჩი ჩინეთში 1847 — 1848 წლებში იმყოფებოდა, მას აქეთ კი სავაჭრო სტატისტიკა კარგა გვარიანად შეიცვალა, განსაკუთრებით შენაჯამში, მაგრამ ზოგერთი საერთო დასკვნები და მონაცემებდღემდე რჩება ძალაში. სხვათა შორის, არ შეიძლება მისი საფუძვლიანი რჩევა არ მოიყვანოს კაცმა: რომ ჩინეთში საქონლის გაგზავნისას ჩინელების გემოვნება და ჩვევები უნდა იქნას გათვალისწინებული: მაგალითად, მაუდი თუ სხვა რამ ნაწარმი მათი საყვარელი ნიმუშების მიხედვით, ამა თუ იმ ფერისა, ამა თუ იმ ყაიდის დამზადდეს. კიდევ იძლევა წვრილმან. მაგრამ სასარგებლო დარიგებებს, როგორ თოფებად შეიკრას ქსოვილები, რა იარაღი გაუკეთდეს თუ სხვ. იმასაც ურჩევს ვაჭრებს, რომ ჩინელებს ნიმუშებით კი არ გაუმასპინძლდნენ. იმ პირობით, საქონელი თუ მოეწონებათ, შემდეგ მოგიტანთ: „საქონელს რომ ნახავენ, — ამბობს ის. — ჩინელებს ხელდახელ უყვართ ყიდვა, თუკი მოეწონათ“.

ახლა, როცა ჩინეთში ჯანყი და ამბოხია. ვაჭრობას კოპი შეუღდა და კრიზისი ბობოქრობს. ბევრს მოხვდება კარგა შორს მანძილზე ის ლახვარი, რაც ვაჭრობას ჩაეცა აქ; მიწისძვრასავით შეაზანზარებს ის ჰონ-კონგს, სინგაპურს, ინდოეთს. ინგლისსა და შეერთებულ შტატებს. მართალია, აღებ-მიცემობა, განსაკუთრებით ოპიუმით ვაჭრობა, არ შეწყვეტილა, მაგრამ ყველა ჩინელი კაპიტალისტი დაიფანტა, და გასაღება წინანდელთან შედარებით ზანტად ხდება, თუმცა თავისთავად მაინც უზარმაზარ თანხას შეადგენს. თვით შანხაიში დუქნები და სახლები დაიკეტა; მდიდარმა ვაჭრებმა თავს უშველეს. ვინც კი დარჩა, ინსურგენტებს კონტრიბუცია გადაუხადეს. ერთ-ერთი ვაჭარი კათოლიკე აღმოჩნდა და ორმოცი ათას

ესპანური პიასტრი შეაწერეს ხარკად. მაგრამ, მგონი, ბოლოს ექვსი თუ შვიდი ათასი გადაახდევინეს.

ხომალდები კვლავ საქონელს ეზიდებიან ქალაქსა თუ მის მიდამოებში, თუმცა წინანდელზე ნაკლებად და საბაჟოსაც გვერდს უვლიან. ტაუტაიმ პროტესტი განაცხადა საბაჟო წესების ამ აშკარა დარღვევაზე და ინგლისის კონსულს მიმართა, ბაჟი გადაიხადეთო. კონსულმა მიუგო, რომ არ იცის, აქვს თუ არა უფლება აღვილობრივ ხელისუფლებას, ბაჟი მოითხოვოს, როცა ვაჭრობის დაცვა არ შეუძლია და თვით ვაჭრები არიან იძულებულნი ამაზე იზრუნონ. ყოველ შემთხვევაში საქმის გადაწყვეტა ომის დამთავრებამდე გადაიდო — ომს კი დამთავრების პირი არ უჩანს, თუ რომ დასაწყისით ვიმსჯელებთ; ასეა თუ ისე, შანხაური ომი მალე არ მორჩება.

ინსურგენტების მთავარი პუნქტი ახლა ნანკინშია, რომელიც იანსეკიანზე კარგა ზემოთ მდებარეობს. იქვე ცხოვრობს მათი მთავარი ხელმძღვანელი და ამავე დროს ტახტის პრეტენდენტი ტაიპინ-ვანი. ნანკინელ ინსურგენტებს შანხაი მეტისმეტ უმნიშვნელო პუნქტად მიაჩნიათ და ამიტომ იქ მაშველ ჯარს არ აგზავნიან. ფრანგი რწმუნებული ბურბულონი გემით გაემგზავრა ნანკინში: ტაიპინ-ვანმა იგი არ მიიღო, თავის მდივანს დაავალა რწმუნებულის მიღება. ფრანგის შეკითხვაზე, თუ ახალმა მთავრობამ ფეხი მოიკიდა, რას აპირებს, როგორ იმოქმედებსო, ტაიპინ-ვანმა მიუგო, რომ მისი ქვეშევრდომები, ვითარცა ქრისტიანები, ევროპელებს ძმებად ერგებიან და ისინიც ამ მხრივ იმოქმედებენ, ოღონდ არავითარ ვალდებულებას არ იკისრებენო. ასე რომ, ფრანგი რწმუნებული ხელმოცარული მობრუნდა. მაგრამ ეს პასუხი ევროპელებმა მეტად საყურადღებოდ მიიჩნიეს. ყველა აჯანყებული ნაძირალა აქ თავს ქრისტიანად ასაღებს. ქრისტიანობა აქ პროტესტანტებმა თუ აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა ნესტორიანელებმა გაავრცელეს, მერე კი ბუდიზმში აითქვიფა.

თუმცა ქრისტიანობა აქ ყოველნაირი გზითა და საშუალებით ვრცელდება. იცით კი, რა უწყობს ხელს მის გავრცელებას? რაღა ჩინელთა რელიგიური ინდიფერენტობი. ფანატიკოსობის იმით არაფერი სცხიათ, ვერც ბუდისტებმა გადმოსდეს ეს მათ. კონფუციის მოძღვრება — რელიგია კი არაა, უბ-

რალოდ სამარადღღეო მორალია, პრაქტიკული ფილოსოფია, რაიც სხვა რელიგიას ხელს არ უშლის. კათოლიკური სამღვდღ-ლოება ჩინელ ხალხში, მართალია, იმ აგზნებას ვერ კპოვებს, რასაც თავის მიმღვეართაგან თხოულობს, თუ ამ ხალხმა ზნე და ნირი მთლიანად არ გამოიცვალა, ამას კი დიდი დრო სჭირღება, მაგრამ ვერც ფანატიკურ წინააღმღვეობას წააწყღება და დღემღვე არც წაწყღდომია, მხოლოდ ხელისუფღება უძალიანღღება ზანტად და სისტემატურად, პოლიტიკური სიფრთხილის თვალსაზრისით.

ჩინელების პრაქტიკულ და ვაქრულ ბუნებას, მგონი, პროტესტანტული რწმენა უფრო აძღვეს ხელს, ვინემ კათოლიკური მოძღვრება. პროტესტანტებმა ვაქრობით დაიწყეს და რელიგია მხოლოდ ბოლოს შემოიტანეს, ჩინელები პირველს დაეხარბნენ და შეუღმჩნეველად ეზიარნენ მეორეს, რომელიც მათ არაფერში უშლის ხელს. კათოლიკებმა, პირიქით, რელიგიით დაიწყეს და სწადიათ ხელდახელ მოაქციონ ჩინელები, მთელი სიწმინღითა და უანგარო თაყვანისცემით, თუმცა ჩინელებს აქამღვე რელიგიური იღვის მსგავსი არაფერი გააჩნდათ. მართალია, ზეციურ სულებს კი ეთაყვანებთან, მაგრამ ეს თაყვანისცემა უბრალო ხალხისთვის კანონად არ ითვღება, ის მხოლოდ ბოღდიხანის პრივილეგიასა და მოვალეობას შეადგენს, რაზეც, მგონი, ერთხელ უკვე მოგახსენეთ.

შანხაიში სამი წიგნი მაჩუქეს ჩინურ ენაზე: ახალი აღტქმა, გეოგრაფია და ეზოპეს იგავ-არაკები — რაც პროტესტანტ მისიონერების ზრუნვის შეღდეგს წარმოადღვენს. ისინი თარგმნიან და ლონდონში ბეჭღდავენ წიგნებს — თავზარს დაგკემთ, მერე რამღენს, — მილიონობით ცალს, ჩინეთში ჩამოაქღტ და უსასყიდლოდ არიგებენ. მე დამისახღლეს ინგლისელი მღიდღრის გვარი, რომელმაც სხვებთან ერთად უზარმაზარი თანხა გაიღო ამ წიგნებისთვის. მეღგორსტი ერთ-ერთი ყველაზე საქმიანი მისიონერი გახღავთ: ოცღდაათი წღელა ჩინეთში ცხოვრობს და ქრისტიანობის გავრცეღებაზე დაუცხრომღად იღღვის: ევროპულ წიგნებს ჩინურად თარგმნის, ერთი აღღელიღდან მეორეზე ვადადის. ახღა შანხაიში ცხოვრობს. ჩვენმა სინოლოგებმა ინახულეს ის და მის მიერ გამოცემული ბეგრი წიგნი შეი-

ძინეს, ევროპაში მათ იშვიათად შეხვდები. ზოგიერთი კიდევ გვაჩუქა.

მხოლოდ ერთმა რამემ შეიძლება შეაფერხოს ქრისტიანობის გავრცელება: ეს გამავრცელებელთა ქიშპი იქნება. სამწუხაროდ, ნაწილობრივ უკვე არსებობს კიდევ. კათოლიკე მისიონერები თავიანთ მოწაფეებს უკრძალავენ პროტესტანტების გამოცემული წიგნები იყილონ, პროტესტანტებმა შანხაიში რამდენიმე ათასი ცალი თავიანთი გამოცემები ჩამოიტანეს და დაარიგეს. ეს გამოცემები მეტწილად კათოლიკე ჩინელებს ერგოთ, მათ თავიანთ მოძღვრებს მიუტანეს, იმათ კი დასწვეს.

უკვე მეშვიდე საათი დაიწყო, როცა მე და კ[რიდნერი] ამერიკელ კონსულთან წასასვლელად მზადებას შევუდგით. უნდა გაგვეპარსა წვერი, ჩაგვეცვა, ისიც ამ სიცივესა და სივიწროვეში, ასე ბანაკად აყრილ-დაყრილებს. „ჩემი სამართებელი ხომ არ აგილიათ?“ — მეკითხება კ[რიდნერი] და კუთხეებში დაბუჯარობს. „არ ამილია; ჩემს ჩექმებს რომ ვერ ვხედავ, თქვენ ხომ არ ჩაიცვით? ქვეყნისა ეყარა, ახლა კი ერთიც არა ჩანს“. მსახურის გარეშე მეტად ძნელია ტანსაცმლის ამოთრევა გატენილი ჩემოდნის ძირიდან. „ოჰ, ამ მოგზაურობამ გული გააწყალა პირდაპირ!“ — ისმის მეორე ოთახიდან ჩვენებრ მაშვრალის ოხვრა და კრუსუნი, ფრაკს რომ საკუთარი ხელით წმენდს. ისიც სადილზე წასასვლელად ირთვება, მაგრამ მიუჩვეველს ჯაგრისი ხელიდან უსხლტება, ტანსაცმელთან ერთად, იატაკზე ეცემა და საწყალი ლანძღვა-გინებით იფხანს გულს.

ჩვენ სწორედ დროზე, მაშასადამე, უკანასკნელნი მივედით. სასტუმროში რვა კაცს მოეყარა თავი. ჩვენ ოთხისა თუ ხუთის გარდა ინგლისელი და ამერიკელი ხომალდების კაპიტნები, კიდევ ვიღაც ნეგოციანტები და ყმაწვილი ხალხი დაგვხვდა, კანინგამის კანტორაში მომსახურენი და მომავალი ნეგოციანტები.

სუფრა კერძებით იყო გაჭედილი. „ნეტავ ვინ შეჭამს ზორცის, ფრინველისა თუ თევზის ამდენ ხორაგს?“ — ამას გაივლებს გულში, ვინც ინგლისელი და ამერიკელი. არაა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ინგლისსა და შეერთებულ შტატებში მსახურებს ცალკე არ უმზადებენ საჭმელს; ისინი იმას-

ვე მიირთმევენ, რასაც ბატონები, ამიტომ გასაკვირი არაა, სუფრაზე მთელი ხარი და ცხვარი რომ შემოაქვთ.

სამი გრაფინი, პორტვეინით, ხერესითა და მადერით სავსე, სუფრას უვლიდა და ყოველი სტუმრის წინ წუთით ჩერდებოდა. ვისაც რა მოეგუნებებოდა, იმას იხსამდა. შამპანურს მსახური მთელი სადილის განმავლობაში ატარებდა და რა წამს ცარიელ ჭიქას შენიშნავდა, მყისვე ავსებდა. „ბ. კანინგამს თქვენთან სურს ღვინის შესმა“, — წმინდა ინგლისურით მათხრა რიგიანად ჩაცმულმა ჩინელმა, შამპანური რომ დამინახა და თავისი მორთულობით ცოტა არ იყოს ჩვენი მდიდრულად მოკაზმული იაროსლაველი დედაკაცები მომაგონა. თითქმის არც ერთი სტუმარი არ გამორჩენია ამის უთქმელი. ვისმესთან ღვინის შესმა ეს ნიშნავს, ასწიო შენი სასმისი, უჩვენო, ვისთანაც სვამ, ისიც თავისას დაგანახებებს, ერთმანეთს თავს დაუქრავთ და დასცლით. ერთი წუთის შემდეგ ჩემმა მეზობლებმა შესვეს ჩემთან ერთად, მერე კი ვისაც ვისთან სურდა, ყველა ჯვარედინად მოჰყვა სადღეგრძელოებს.

კიდევ კარგი, ბოლომდე დაცლა სავალდებულო არ იყო, თორემ, ვისაც სმა არ უყვარდა, სწორედ შავ ღღეში ჩავარდებოდა. მაგრამ დაცლა აუცილებელი არ გახლდათ, ოღონდაც სასმისი შეავსე და მერე გინდ დალიე და გინდ არა.

კანინგამს, რა თქმა უნდა, დიდებული ღვინო ჰქონდა. ევროპიდან ჩამოაქვთ მისთვის. აქაურ მხარეში, ე. ი. სინგაპურსა, ჰონ-კონგსა და შანხაიში ღვინო არაფრად არ ვარგა. ხერესში, მადერასა და პორტვეინში ბლომად ურევენ ალკოჰოლს, რაც პირენეის ნახევარკუნძულის ღვინოებს სულ მთლად უქარგავს ნაზ სურნელს და გემოს. თუმცა მეტწილად ეს ღვინოები კეთილი იმედის კონცხიდან ჩამოაქვთ. შამპანური ამერიკიდან მოდის და ყოველად უხეიროა.

ამ ამერიკულ შამპანურს მთელი სანდვიჩის კუნძულები გაეცსო და ახლა ჩინეთშიც მოუყიდნია ფეხი.

ღვინოების გარდა ყველაფერი აალაგეს და დესერტი შემოიტანეს. სასადილოსავით აქაც ბროწეულები, ხმელი ლეღვი ანუ ყუყუბები, კაკალი, მანდარინები, პამპლ-მუსი და ბოლოს ის პატარა ფორთოხლები ანუ თურინჯები დაალაგეს, რომლის დაჭაშნიკებამ ასე შემარცხვინა ბაზარში. „განა ეს იქმება-

მეტეი?“ — ვკითხე ჩემს მეზობელს. „Yes, o yes!“ — მითხრა მან, ერთი თურინჯი აიღო, წვერო მოაჭრა, გული გამოაცალა, საინზე დადო, ცარიელი ქერქი კი შექამა. „ეგ რა არის, ვითომ გემრიელი იქნება?“ — „გასინჯეთ და ნახეთო!“ — გავსინჯე: ქერქი ტკბილი და სურნელოვანი გამოდგა, მაშინ როცა გულო მტავე პქონდა. ყველაფერი უკუღმართად ყოფილა აქ: ხალის ქერქს ჰამენ, გულს კი აგლებენ!

ერთი შეცდომა მომივიდა და ძლივას გამოვასწორე. ყავა და სიგარები რომ მოგვართვეს, ვთქვი: „ძალიან მომწონს ინგლისური ადათები, ნასადილევს სუფრაზე რომ ხილს შეექცევიან, ღვინოს სვამენ, აბოლებენ და ბაასობენ-მეტეი...“ „ინგლისელებს სიგარების გაბოლება არა სჩვევიათ, — ცქვიტად მომიჭრა ჩემმა მეზობელმა, — ეგ ჩვენი ადათიაო“. შევხედურას მეუბნება-მეტეი. რა იაღლიში მომსვლია: ინგლისელი არ ყოფილა, ამერიკელებთან სტუმრად მყოფი კი ინგლისელებს ვაქებ. ჩემს პირდაპირ მჯდომმა ბ[არონმა] კ[რიდნერმა] ჩაიქირქილა, თითქო ჩაახველაო. მაგრამ მოდი და გაარჩიე: ერთნაირად ლაპარაკობენ, ლოცულობენ, ჰამენ და ერთნაირად სძულთ ერთმანეთი!

ნასადილევს ცალკე გალერეებში გაგვიყვანეს ბილიარდზე სათამაშოდ. მასპინძელმა და რამდენიმე სტუმარმა რომ შეიტყვეს, ჩვენ ხუთბურთიანი რუსული პარტიის თამაშს ვაპირებდით, სანახავად შემოვიდნენ, მაგრამ მე და პ[ოსიეტმა] ნახევარი საათის მანძილზე ერთი ბურთიც რომ ვერ ჩავადეთ, იდგნენ, იდგნენ და წავიდნენ. რუსულ პარტიაზე, ვინ იცის, არცთუ ხელსაყრელი შეხედულება შეექმნათ.

მესამე, მეხუთე, მეათე თუ სხვა დღეები ერთფეროვნად მიჰყვებოდა ერთმანეთს. ჩვენ ვკითხულობდით, ვსეირნობდით, ინსურგენტებისა და იმპერიალისტების კანტიკუნტ სროლას უგულისყურად ვისმენდით, დღეში სამჯერ ვსადილობდით. რაც საქმე გვქონდა, გავაკეთეთ და გაღმოვაკეთეთ, წერილები გავგზავნეთ, სხვათა შორის, აღმირალმა პეტერბურგში კურიერად ლეიტენანტი კროუნი გაამგზავრა, მოხსენებითი ბარათები, საქონლის ნიმუშები თუ ჩვენი ამ ადგილებში მოგზაურობის სხვა ცნობები გაატანა. ყველას მოგვწყინდა. დროა, უკვე სხვაგან გავწიოთ — ვიძახდით ჩვენ. — აქ ყველას ვიცნობთ

და ყველა გვიცნობს უკვე. ყველას ვესალმებით და ველაპარაკებით-თქო.

ნ დეკემბრის ერთ ყველაზე დიდებულ ზამთრის მზიან დღეს ოთხმა გადავწყვიტეთ მთელი დღე სასაიროდ წასვლა: შ[ამა] ა[ვაკუმმა], ვ[ოინ] ა[ნდრეევიჩ] კ[ორსაკოვმა], პ[ოსიეტმა] და მე. 15° სიბოლო იდგა. დიდხანს ვიარეთ ნაპირ-ნაპირ და დოკს მივადექით, რომლის პირდაპირ იდგა შკუნა. მერე ტივით გადავსერეთ ვუსუნის ტოტი, იქვე მეორე ტივით მიემართებოდნენ ბლომად ჩინელები. ტივი რომ ნაპირს მოწყდა, ერთმა ბებერმა ვაჭარმა დააპირა ჩვენსაზე გადმოხტომა, მაგრამ ვერ მოახერხა და ნაპირზე შეკრებილ მაყურებლების გულის გასახარებლად წყალში მოადინა ტყაპანი. ბებერს შვიდი წლის ბიჭისთვის, მისი ვაჟი თუ შვილიშვილი იქნებოდა, ჩაეკიდა ხელი და ისიც წყალში ჩავარდა. „ტატა, ტატა! (მამაო)“, — ყვიროდა ბიჭი წყალში. ჩემმა გულფიცხმა მეზობელმა პ[ოსიეტმა], ის ხომ მყის იქ დაიბადებოდა, თუ ვისმე რამე უჭირს, აქაც თავი გამოიჩინა და ბიჭი წყლიდან ამოათრია. სხვებმა მოხუცი ამოიყვანეს.

პორტში შევიარეთ. შკუნას ქიმს დიდი ჩინური ნავი მოსდგომოდა, ხის ჩუქურთმიანი ნახელავი, ლარნაკები, ბამბუკის ტროსტები, კერპთა ქვის ქანდაკებები თუ სხვა ნივთები მოეტანათ გასაყიდად. ერთი პირობა კი შევეცადე, ცოუნება დამეძლია, თვალდახუჭულმა და ყურდაცობილმა ჩავუარე, მაგრამ ამ სისულელეებში ათი დოლარი მაინც მივახარჯე. მერე შკუნაზე მსუბუქად წავისაუზმეთ, კვლავ ნაპირზე გადმოვედით და დოკი გავიარეთ. დოკს რაბები არა აქვს, როცა ხომალდს შიგ შეუშვებენ, გასასვლელს შლამით ამოავსებენ ხოლმე. ხოლო გამოშვების დროს შლამს ნაპირზე ამოჰყრიან და დააზინებენ: ცოტა შრომა როდი სჭირია! მაგრამ შრომა რა ბედენაა ჩინელებისთვის? დოკი -კერძო პირს, მგონი, ინგლისელს ეკუთვნის. დოკის გვერდით კარგა დიდ ფართობზე ქაფურის საოცრად გრძელი და სქელი ხეები ჰყრია. ამ ხე-ტყეს ხომალდების შესაკეთებლად ხმარობენ.

იქიდან გარეუბანში გავედით, რომელიც დოკს ირგვლივ შემორტყმოდა. ერთ ვიწრო, დუქნებით გაჭედულ ქუჩას დავადექით, სადაც სადილების ონშივარი გამოდიოდა, გამყიდ-

ველი თუ მუშტარი ბლომად ირეოდა, და პატარა მდინარის პირზე აღმოვჩნდით, მერე ხორაგეულის ბაზარი გავიარეთ და შიგადაშიგ გავჩერდით. იქ ჩვენთვის უცხო რაღაც ხილი თუ ბოსტნეული დავინახეთ, ჩაშავებული, ხმელი, ოღნავ წაბლს რომ მოაგავდა და პაწაწინა რქებით იყო დამშვენებული. მ[ამა] ა[ვკაუმმა] თხილიც დავგანახა და გვითხრა, „წყლის მსხალი“ არისო.

ვ[ოინ] ანდრეევიჩი კორსაკოვს ყველაფერი შეუძლია შექამოს, რაც ხელში მოხვდება, — გინდ ვეშაპი იყოს, გინდ რახი, მისთვის სულ ერთია, ერთხელაც არ დაიღრიჯება, ისე უსინჯავს იშვიათი თავდადებით ყოველივეს გემოს და ქებით არ იღლება. ჩინეთის ქუჩებზე სხვადასხვა ასეთი ნუგბარი, თხილი, თაფლისკვერები, ხილის თათარა და სხვა იყიდება.

მდინარიდან მარჯვნივ მოვუხვიეთ და მინდვრებს გავყევით. ყანები კი არა, დარბაზები გეგონებოდა კაცს. პატარა ყანებზე ამაღლებულ ბილიკებით მივდიოდით, რომლებიც ყანების მიჯნას წარმოადგენდა. მიჯნაზე ვეება ხეები გაშლილიყო. სოფლებს ვერ ნახავ, სულ ფერმები მისდევს ერთმანეთს. ყოველ გლახს შემოღობილი სახლი უდგას თავის ყანაში, ინგლისი მოგაგონდებათ. ბევრ ყანაში საფლავის ქვები დავინახეთ, ხან მეტისმეტად უბრალო, ხან მეტისმეტად გაპრანჭული. მეტწილად ოთხკუთხედი თუ მოგრძო ქვებია, ერთ ყანაში კი თეთრი ქვისაგან გამოკვეთილი ცხენებისა და მხედრების ჯგუფი შევამჩნიეთ. ტლანქად იყო ნათალი, მაგრამ ისიც უნდა გაიხსენო, ამათ რა ოსტატები აკეთებენ!

ვიწრო ბილიკს გაბაწრულად რომ მივყვებოდით ყანაში, უცბად ოთხივე ადგილზე შევჩერდით. მოშორებით პროცესია მიემართებოდა: მებარგეებს რაღაც ზანდუკი მოჰქონდათ... „კუბო უნდა იყოსო“, თქვა ვიღაცამ. მსწრაფლ იმ მხარეს გავექანეთ: პროცესია ერთ-ერთ ყანაში შეჩერდა. კუბოს რამდენიმე ქალი მიჰყვებოდა, ყველას თეთრი კაბები ეცვა, თეთრი თავსაფრები წაეკრათ. რამდენიმე ბავშვი და ძალი ახლდათ. მებარგეებმა კუბო დადგეს, დედაკაცები ზუზუნებდნენ ან, როგორც ჩვენს სოფლებში ამბობენ, „გოდებდნენ“. ოთხი მათგანი გულგარეშე მოთქვამდა, თითქო მხოლოდ მოვალეობა აიძულებდათ, ან იქნებ დაჭირავებული მომტირალეებიც იყვნენ.

სამაგიეროდ მეხუთე, ხანში შესული ქალი მღუღარე ცრემლებად იფრქვეოდა. იმ ქალებმა რომ თვალი მოგვეკრეს, შერცხვათ და ხმას დაუწიეს; ყმაწვილები შემკრთალი შესცქეროდნენ კუბოს, კუდჩამოვარდნილმა ძაღლმა დაგვინახა თუ არა, ჩუმად შემოგვიღრინა. მეხუთე დედაკაცს არაფერი ესმოდა, იმდენად შთაენთქა მწუხარებას. ქვეთინით მოთქვამდა რაღაცას; რა თქმა უნდა, სიტყვები ვერ გავიგეთ, მაგრამ მწუხარების ენა ყველასთვის გასაგებია. დაეტაკებოდა საწყალი კუბოს, ხელებს მოხვევდა, თავს დაადებდა, წუთით გაიყუჩებოდა და მერე ისევ კენესით გააბამდა ტირილსა და ზარს. მეტად მძიმე სურათი იყო, ამიტომ საჩქაროდ გავეცალეთ იქაურობას. მაგრამ მისი გოდება, სლუკუნითა და ქვეთინით შიგადაშიგ შეწყვეტილი, კიდევ კარგა ხანს მოგვდევდა უკან. სადაც კუბო დადგეს, იქ საფლავი არ იყო გათხრილი. ჩინელები ისე სტოვებენ კუბოს, ხანდახან თავახდილსაც და მერე ასაფლავებენ ხოლმე.

მივდიოდით ყანებში, სადაც ნაირ-ნაირი ბოსტნეული ეთესა. ფერმები ერთიმეორისაგან ას ორმოცდაათი, ორასი საყენით იქნებოდა დაცილებული. ვიჭყიტებოდით სახლებშიც; „ჩინ-ჩინო“, ვეუბნებოდით მცხოვრებლებს: ისინი გვიღიმოდნენ და შინ გვეპატიუებოდნენ. ერთი ფერმის კარიდან ქალბატონი ჩინელმა გამოგვხედა. სათვალე ეკეთა, უშველებელ შუშებს მარტო ცხვირი იჭერდა. ხელში წიგნი ეკავა. მ[ამა] ა[ვ]აკუმ-მა ჩამოართვა წიგნი, სათვალეც მოხსნა, თვითონ გაიკეთა და ხმამაღლა ისე ჩააბულბულა ჩინური, როგორც რუსული. ჩინელმა გაოცებით პირი დააღო. კონფუციუსის წიგნი აღმოჩნდა.

ქალაქისკენ გამოვბრუნდით. გზაში ვჩერდებოდით და მოხასხასე ნათესებითა და ყანებით სწორკუთხედად დასერილ მინდვრებს ალტაცებით გავცქეროდით. ყანებში ბრინჯი და ბამბის ბუჩქები ეთესა, ბუჩქებს ბამბა აღარ ესხა და ძალზე ულამაზოდ მოჩანდა: მისი ხმელი, შავი წიწნელები თითქო ნახანძრალის შედეგად იყო დარჩენილი. ფეხშიშველა ჩინელებს, მუხლებამდე წყალში მდგართ, ბრინჯის ჩითილები მიწიდან ამოჰქონდათ და სხვა ადგილს რგავდნენ. გარეუბანში კვლავ ჩინურ ქალაქის ორომეტრიალში მოვხვდით: ისევ შემოგვეფრქვია ნაირ-ნაირი სურნელი, გაგვაყრუა მეწვრილმა-

ნეთა კვილმა, საკმელების შიშინმა და შიშინმა, ბამბისსართველ სახელოსნოებიდან ერთი ტკაცანის ხმამ. კაცს პირდაპირ სული შეეხუთებოდა! ჩქარა, ჩქარა, სუფთა ჰაერზე, ამ საინტერესო სცენებიდან შორს! მაგრამ მაინც მოვკარი თვალი ერთ ღუქანთან მჯდარ ჩინელს, ნეტარებით მიზნედილსა და თვალდახუჭულს, რომელსაც ცოლი კიკინას უვარცხნიდა. სხვა ღუქნებთან ნაწილი ჰამდა, ნაწილი წვერს იპარსავდა.

ბორანს რომ მივუახლოვდით, მეტად საინტერესო მანქანას სანახავად გავჩერდით, აუზიდან წყალს რომ ქაჩავდა მალა, ტერასებზე გაშენებულ ყანების მოსარწყავად. ის გრძელ, ღერძის გარშემო მოტრიალე კიბეს წარმოადგენდა, რომელიც საფეხურებით ხაზავდა წყალს და ზევით მიათრევდა. მანქანას ძროხა ატრიალებდა, რომელიც კიბეს ირგვლივ უვლიდა. იაპონელებივით არც ჩინელები გაახლებიან ძროხას: საძოვარი ადგილი სად გააჩნიათ; საქონელი იმდენი ჰყავთ, რამდენიც სამუშაოდ სჭირდებათ, ამიტომ ძროხებიც ვერ გადაურჩნენ აქ უღელს.

ასე მოწყენით, უდარდელად გავატარეთ დღეები 15 დეკემბრამდე. ერთბაშად ფოსტით ცნობა მოგვივიდა დასავლეთ სახელმწიფოებთან მოსალოდნელ განხეთქილების თაობაზე. ყოველ წუთს ელოდებოდნენ გემის ჩამოსვლას, რომელსაც ოსტ-ინდოეთიდან ფოსტა უნდა ჩამოეტანა. თუ რომ ის ომის ამბავს მოიტანდა, მაშინ ჩვენი შკუნა შესაძლოა ინგლისის სამხედრო ხომალდებს ჩაევდოთ ხელში. ჩვენს 52-ზარბაზნიან ფრეგატსა და 20-ზარბაზნიან კორვეტს, ცხადია, აქაური ხომალდები ვერას დააკლებდნენ, მაგრამ ისინი 90 მილის მოშორებით იდგნენ, ვუსუნის მარჩხობზე შემოსვლა არ შეეძლოთ. შკუნას მეთაურმა და შანნაიში მყოფმა ოფიცრებმა ბრძანება მიიღეს Saddle-Islands-ზე ეჩქარათ დანარჩენებთან შესაერთებლად: მე ჩემს ნებაზე მიმაგდეს: შემეძლო დავრჩენილიყავ და მერე ჩინური ნავით დავბრუნებულიყავ. ისინა დიდრონი, გადახურული ბამბუკის ნავებია, პრიალა, გალაქული, მოჩუქურთმებული და ნაირ-ნაირალ მორთული. მაგრამ ოთხმოცდაათ მილზე ამ ნავით მგზავრობა სწორედ სატანჯველს წარმოადგენს. ვიწროდ, მოუსვენრად იქნები და მლაშე ტალღებიც ბევრჯერ გადაგვევლება თავზე.

ალარ ვიცოდი, რა მერჩია და მოლუშული ვიჯექი სჯუთარ ჩემოდანზე; ჩემი ამხანაგები კი ამასობაში ერთი ალიაქოთით სტოვებდნენ დუქანს. კულები შემოდრიოდნენ და გადიოდნენ, ბარგი გაჰქონდათ. ყველა წავიდა; მეცხრე საათი იყო, შკუნას კი ნაბრძანები ჰქონდა ათზე გასულიყო. ჩვენებიდან ბევრი კანინგამთან იყვნენ სადილზე, სხვებმა, მათ შორის მეც, უარი ვაქვეით. ის გამოსათხოვარი სადილი გახლდათ. ბოლოს სწრაფად გადავწყვიტე გამგზავრება, ჩვენს მწერავს დავუძახე, რომელიც დუქანში ცხოვრობდა, წერილების გადაწერას აწარმოებდა, ორი კაცი მოვაყვანიე და გზას გავუღვიქით.

ჩინელებმა დიდრონ, ფერად-ფერად ფანრებიან ბამბუკის სქელ ლატანზე ჩამოჰკიდეს ჩემი ჩემოდანი და „აა-აა-აა-ს“ ყვირილით წაიღეს. მე და მწერავი ძლივს ვეწეოდით იმათ. ნავმისადგომს მივადექით: ბნელოდა, კაციშვილი არ ჰქანებდა ზედ, არც ნავი მოჩანდა სადმე. კულიმ დაიყვირა: შექუჩულ ჯონკებიდან ვილაც ერთი კაცი ყრუდ გამოეხმაურა, მაგრამ არავინ დაძრულა. კული მეორე მხარეს მიბრუნდა და უფრო ხმა-მალლა გასძახა: ერთი ხომალდის გვერდით ჩოჩქოლი შეიქნა და ნიჩაბი ამოძრავდა: ნავი წამოვიდა. იმავე დროს ჯონკებზე შეიქნა ნიჩბების გამალეებული სრიალი. ბოლოს გზას გავუღვიქით: ისევ ბნელოდა; მარტო მდინარე ლაპლაპებდა სარკესავით ვარსკვლავთა შუქზე. ნახევარი საათის შემდეგ ძლივს მივადწიეთ შკუნას. შორს, ქალაქში, სროლა ისმოდა.

შკუნა ხალხით იყო გაჭედული: ზოგიერთებს დასაჯდომი ადგილიც ვერ მოენახათ. მაგრამ ვუსუნში ბევრი გადაჯდა ტრანსპორტზე და ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ: საწოლი ყველგან გაემართათ, სადაც კი შესაძლებელი აღმოჩნდა, იატაკზე, კაიუტებში, მერხებზე. მე კაპიტნის კაიუტაში დავწექი. იქ ყუთების, ფუთებისა და ჩემოდნების მთები იდგა. გალიებში მიტეკცილი ცხვრები და ქათმები ბლავილითა და კაკანით ყოველ წამს გვახსენებდნენ თავს. მათ შორის წყვილი ცოცხალი ხოხობიც ერია, რომლებიც თავის სიცოცხლეში პირველად მოხვდნენ ალბათ ასეთ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჩემს პირდაპირ მ[ამა] ა[ვაკუმი] იწვა. ეტყობა, რალაცაზე მსჯელობდა, რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ძილმა მოუსწრო ამ დროს. სახეზე ჩაფიქრება დარჩენოდა, პირი ღია

ჰქონდა და ნიდაყვზე დაყრდნობილს ხელში სათუთუნე ეკავა. „ერთი მაგრად რომ დაარწიოს ხომალდი, უთუოდ გადმოვარდება-მეთქი“, — ვიფიქრე. რწევა კიდევ დაეწყო. იმის მოლოდინში, როდის მოხდებოდა ეს ამბავი, მეც ჩამძინებოდა. ძილვეძილში დავინახე, როგორ შემოვიდა კ[რიდნერი], ჯერ ჩვენ დაგვხედა, მერე მისთვის დარჩენილ ადგილს, რომელიც სამჯერ იმაზე ნაკლები იყო, ვინემ მისი სიმაღლის კაცს დასკირდებოდა, ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა და მერე დაწვა: ფეხები იატაკზე ეწყო, თავი კი, მგონი, საღდაც თაროზე. შემოვიდა პ[იოტრ] ალექსანდროვიჩი ტ[ინშენევიცი] და ზრდილობიანად გვთხოვა იატაკზე დაწოლის ნებართვა! „იმედი მაქვს, არ დამიშლით, — დაიწყო ჩვეულებრივი ენამჭევრობით, — პატარა ადგილი დავიკავო: არ მინდა ვინმე შევაწუხო, მაგრამ ასეთ გარემოებაში სივიწროვეს კაცი ვერ აცდებდა, ამიტომ“ და ა. შ. პასუხი არავის გაუცია, ყველას ეძინა თუ თვლემდა; მან ამოიოხრა, ჯერ რაღაც ტყავი გააგო იატაკზე, მერე თავისი პალტო, და, როგორც ჩანს, მეტად შეწუხებული დაწვა. დილით მწარედ შემომჩივლა, რომ ჩემი საბანი სულ თავზე ეცემოდა და სახეზე უღიტინებდა.

როგორც კი გაშლილ ზღვაში გამოვედით, გ[ოშევეიჩმა] თვ-სი ჩვეულებრივი ხარკი გადაუხადა რკეანეს; მისი შემხედვარე მ. ა-იც ასევე მოიქცა, თუმცა არცთუ დიდი ხალისით. არა მეზღვაურებიდან მარტო მე არ შეევუწუხებებივარ არც ერთხელ ზღვის ავადმყოფობას: არ განმიცდია და ვერც ვერაფერს ვიტყვი მასზე.

სადამოს რეიდზე მოტორტმანე ჩვენი ხომალდები დავინახეთ, შვიდი საათისათვის კი ღუზა ჩავუშვით და სახლში აღოვეყავით თავი. სახლიო! ხანდახან რას ეძახის ადამიანი სახლს? რა დაცინვაა ბედისა!

მშვიდობით! ნუ შემომწყრებით, თუ ეს წერილი ღუზე მოგეჩვენათ, დაკვირვებებითა და ფაქტებით ღარიბი და მშრალი: ჩემთან ერთად იანსეკიანი და მისი ნაპირებიც დაადანაშაულებთ: ისინიც ისევე უბადრუკი და უინტერესოა, ოღონდაც სიმშრალეს ვერ შესწამებ: რაა გასაკვირი, რომ ჩემს წერილშიც ასევე აისახენ.

რუსები იაპონიაში

სამაგიერო საჩუქრები. — ახალი სახეები. — ცნობა იაპონელ რწმუნებულთა თაობაზე. — მათთან შეხვედრის პირობები. — ახალი წელი. — ისევ ნაგასაკში გამგზავრება. — სალუტი. — რწმუნებულები და ორივე გუბერნატორი. — მისალმებანი; სადილი; საუბრები. — შორისდებულნი. — რწმუნებულთა მობრძანება ფრეგატზე. — შეხვედრა; სადილი. — საჩუქრები. — იაპონური ხმლები. — საზეიმო მიღება და სადილი იაპონელებთან. — სიოგუნის გამოგზავნილი საჩუქრები. — წერილი უზენაეს საბჭოდან. — ნაგასაკში ხშირ-ხშირი მგზავრობა კონფერენციისათვის. — იაპონელთა ახალი წელი. — რწმუნებულთა მეორედ მობრძანება ფრეგატზე. — გამოსამ-
 • შეიღობებელი სადილი მათთან. — გამგზავრება.

კვლავ ნაგასაკის რეიდი.

ოთხი დღე მოვუნდით Saddle-Islands-დან ში ს, ნაგასაკში დაბრუნებას, სადაც სამი თვე დავყავით და უკვე ჩვენ სახლად გვეგულებოდა. გვეგონა კი, ორ დღეში მივიდოდით. რას ვიფიქრებდით, პირქარი თუ ამოიჭრებოდა და ორმოცი საათი გვაყურყუტებდა თითქმის ერთ ადგილზე. ამ მოკლე გადასავალზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. რწმუნებულთა აღმოსავლეთი იტყვი: ზღვაზე ის ხომ უჩვეულოს არ წარმოადგენს. მეოთხე დღის ბოლოს გოტოს კუნძული დავინახეთ, მერე ყველაფერი ბნელმა მოიცვა, აქამდე თავს ვიკლავდით, მალე მივსულიყავით ადგილზე, ახლა კი დავგვიანება გავგვიხდა საზრუნავი. ნაწილი იალქნებისა აკეცეს, საათში მხოლოდ ხუთი მილის

სიჩქარით მივდიოდით, რა არის შესასვლელს გათენებისას მივდგომოდით. ნაგასაკში შეუმჩნეველად შევიპარეთ.

დილაადრიან ხმაური და ბაკაბუჯი ჩამესმა; დროდადრო ჩემს სარკმელში ნაცნობი გორაკის მზით გაბრწყინებული მწვანე მწვერვალი გამოკრთოდა. ფაღვევა ჩაი შემოიბრუნა, შითხრა, იაპონელი უკვე გვეახლა და ქალაქი მოიტანაო, რომელსაც ყოველ უცხოელ ხომალდს წარუდგენენ ხოლმე. „ღუზა ჩაუშვეს თუ არა-მეთქი?“ — „ჯერ არაო“. — „განა რეიდზე არა ვართ?“ — „ეგრე გახლავთ“. — „მამ რა გვაჩერებს?“ „იკანკლურად მივიღვართ, პირქარია, ნახევარი ვერსი კადე გვიკლია“. მაგრამ აი, მივაღეჭით კიდევ, აი, გაისმა ბრძანება: „ბოლში უკან მოიტოვეთ!“ მერე „ღუზა დაუშვით!“ ხომალდი დადგა; მე გემბანზე გამოვედი.

ცოტა ცივა, როგორც ჩვენში სექტემბრის მზიან დღეს სჩვევია, მაგრამ ნიავი არა ქრის. ნაგასაკი ცისებრ ლურჯად ლივლივებს, ტალღები ოდნავ დგაფუნობს. იგივე გორაკები დგას, მაგრამ იერი სულ სხვა დაუკრავს: თითქოს მზეს გადაუხრუკავსო, მურა ფერი დასდებია. სწორედ ამგვარი მომეგლინა ერთი წლის წინათ მადერას მთები, მხოლოდ ერთი ფვის როგვიანებით. აქაც, როგორც იქ, ალაგ-ალაგ ნორჩი ბალახი ამოყრილიყო, მაგრამ მაინც რაოდენი განსხვავებაა! იქ ბაღები ჰყვავის, სურო და ვაზი ჩაფრასტებად შემოხლართვია კედლებს, ყვავილები მორცხვად იჭყიტებიან ღობეებიდან, იანვარში კვიპაროსის, ტვიისა და ელიოტროპის. სურნელით გაუღენთილი თბილი სიო ქრის; იქ ტაძრები, აგარაკები, ღვინო, ქალები შნოსა და ლაზათს მატებს ბუნებას — დუღს და გადმოდუღს სიცოცხლე! აქ — თაღამისა და სტაფილოს ბოსტნებს ჰჭრეტ, ყვავილები არ იჭყირება ღობეებიდან, ტაძრების ნაცვლად ფიცრული კერპთსალოცავეები ამართულა; ღვინის მაგივრად — საკია; ქალებსაც ნახავ, მაგრამ როგორს? ქალს გააჩნია. გადაგვეფურცლა ცხოვრების პირველი გვერდი და თანაც ცივა!

წინანდელით წაეწყო დღეები დღეებს. აგერ იაპონელი ბანაოსებიც მობრძანდებიან: სიოზა ახლავთ. მშვიდობით ჩამოსვლა უნდა მოგვილოცონ. პ[ოსიეტს] კაპიტნის კაიუტაში ელაპარაკებიან და მერე აღმირალს გამოეცხადნენ იუტზე, პა-

ტივისცემის აღსანიშნავად. ყველაზე უფროსი ამჯერად ბავშვური სახის ოიე-საბროსკი იყო, აღმირალის წინ ჩაცუქული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა უკვე, რა არის საცულ-ლუტო რამ აღმოეჩინა. „აჰ! გ[ონჩაროვ]! გ[ონჩაროვ]!“ — შემომძახა ბალღივით, თვალი რომ მომკრა, და ჩაიხიხითა; მაგრამ სერიოზულმა კითხვამ შეაჩერა: „რწმუნებულები თუ ჩამოვიდნენო?“ — „სამი დღის მერე იქნებიანო“, — სიოზას პირით გვაუწყა მან. „თუ არ ჩამოვლენ, — ნაბრძანები იყო დასამატებლად, — როგორც განზრახული გექონდა, ედოში წავალთ. დრო ძვირად გვიღირს და ვერ დავკარგავთ. რწმუნებულები ეგებ აქაც არიან უკვე, მაგრამ თქვენ არ გვეუბნებით!“ — „არა, არ არიანო“, — მოჰყვნენ რწმუნებას. მუქარამ ისე დააფრთხო, მაშინვე გაგვეცალნენ.

სალამოს ჩემს კაიუტაში ვკითხულობდი: კედლიდან ისეთი ხმა მომესმა, თითქო კვარს ნაფოტებად აპოხენო. „ვინ არისმეთქი?“ — ვიკითხე. „ვინ და იაპონელებიო“. — „ისევ? კვარს ვინდა აპოხს?“ თურმე კიჩიბე ლაპარაკობდა. კაპიტნის კაიუტაში წავედი. იქ ეინოსკე, კიჩიბე, უფროსი ბანიოსი ხაგივარი მატასა, ისევ ოიე-საბროსკი და კიდევ ორი შემცვლელი დამხვდნენ: ყველა ნაცნობი: „გამარჯობა, ეინოსკე! გაგიმარჯოს, კიჩიბე!“ კიჩიბემ ჩემი სახელი დაიყრანტალა, ეინოსკემ ხელი ჩამომართვა, ოიემ ჩაიხიხითა, ხაგივარიმ ხარივით მოდრიკა თავი და მუშტი მომაჩეჩა. ის შემცვლელი ბანიოსიც აქ დავინახე, რომელიც ერთხელ გულკეთილ მამიდასავით ტკბილად შემომციცინებდა.

ისინი აღმირალს მივგვარეთ. „გუბერნატორებმა გვიბრძანეს, სალამი გადმოგვეცა და შვიდობით ჩამოსვლა მოგველოცაო“, — თქვა ხაგივარიმ. კიჩიბე ოთხჯერ შემოტრიალდა სკამზე, დაიყრანტალა და სიცილით გაგუდულმა დამარცვლით გადმოგვითარგმნა ყოველი სიტყვა. „გუბერნატორებს მადლობა მოახსენეთ ყურადღებისათვისო“, — უპასუხეს მათ. კიჩიბემ პასუხი გადათარგმნა: ბანიოსების ოთხი გადახოტრილი თავი ერთად დაიხარა. ხაგივარიმ კვლავ რაღაც წარმოთქვა. „მათმა აღმატებულება გუბერნატორებმა ბრძანეს, თქვენი ჯანმრთელობა გვეკითხა“, — გვითარგმნიდა კიჩიბე. „მადლობა გადაეცით. ვიმედოვნებთ, ისინიც ჯანმრთელად არიან“, —

იყო ნაბრძანები პასუხად. კვლავ თავის დახრა და პასუხა: „ჯანპრთელად გახლავით“. „გუბერნატორებს სურთ, — განაგრძნობდა კიჩიბე, — რწმუნებული შემდეგშიც კარგად იყოს ჯანზეო“. საპასუხოდ მათაც იგივე ესურვათ.

ღმერთმა უწყის, როდის მოთავდებოდა ეს მოკითხვები, რომ ბანიოსებისათვის სასმელი არ გამოეტანათ და არ გაეცნობოდნათ: რწმუნებულები თუ აქ არიანო? განაცხადეს, რწმუნებულები არ ჩამოსულან, შეცდომით თქვეს, სამი დღის შემდეგ, თორემ ხუთ დღეზე ადრე ვერ ჩამოვლენ, ისიც ეს ხუთი დღე 8 ან 9 დეკემბრიდან უნდა ვიანგარიშოთ... სიტყვა აღარ დაამთავრებინეს. „თუ შაბათს აქ არ იქნებიან, — უთხრეს მათ (ეს ამბავი ოთხშაბათს მოხდა), — ჩვენ წავალთ“. შეიქნა ერთი ღრიტინი, გვეხვეწებოდნენ, მათ ჩამოსვლამდე მაინც მოგვეცაღა: „მერე კი როგორც გენებოთ, ისე მოიქეცითო“, დასძინეს ესეც.

როგორც ჩანს, გუბერნატორს ნაბრძანები ჰქონდა ჩვენი დაკავება, ისიც წარჩინებულთა ჩამოსვლას ელოდა, რომ მერე ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოეხსნა, რასაც ჩვენ განვიზრახავდით. თუმცა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი: ეგებ რწმუნებულები დიახაც აქ არიან. მართალს რას გაიგებ? მოტყუების ყოველგვარი საშუალება და ხერხი მათ მხარეზეა. შეუძლია თქვან, ერთი რწმუნებული გზაში ავად გახდა და დანარჩენი სამი იმის გარეშე საქმეს ვერ დაიწყებსო და ა. შ. — შემოწმება შეუძლებელი გახლავთ.

ჯერ დილითვე ვთხოვეთ, იმდენი წყალი და ხორაგი მოეტანათ, ედოში თუ წასვლა მოგვიხდებოდა, კარგა ხანს გვყოფნოდა. ბანიოსებმა ბევრი ფრინველი, ბოსტნეული, ხილი მოგვიტანეს, კანფეტები კოლოფებით კი არა, სუნდუკებით მოზიდეს, გუბერნატორისაგან საჩუქრად გამოგზავნილი. ჩვენებმა შემჩნევა მისცეს, ერთხელ აკი უკვე უარი ვთქვით საჩუქრებზე, რადგან თვითონ გუბერნატორმა ჩვენგან არაფრის მიღება არ ისურვაო. ისევ ერთი ხვეწნა-მუდარა შეიქნა. კიჩიბე ლამის გამოძვრა თავის ხალათებიდან, ზამთარი იყო და ამიტომ ხუთი ცალი ჩამოეცვა, რომ დავეყოლიებინეთ, მაგრამ ვერა გააწყო რა. აღმირალმა ბრძანა, ხორაგი ისევ ნავებში გადაეხადათ.

მაშინ თარჯიმნებმა ნებართვა ითხოვეს, გუბერნატორებთან წავალთ და მათ პასუხს შევიტყობთო. ბანოსები დარჩნენ. ვაჩვენეთ სურათები, პატარა ორღანაც მოვმართეთ, ერთი სიტყვით, ყოველნაირად შევეცადეთ მათ გართობას. გუბერნატორის საჩუქრები ამასობაში პირამიდად იდგა გემბანზე. ფეხებდაბორკილი ღორები თავგამოდებით ცდილობდნენ წამოდგომას და ყურთასმენის წამლებად ქვეცროდნენ. დაწულ კალათში ჩაჭექყილი მამლები ერთმანეთს ეძიძგილავენ ბოდნენ სივიწროვის მიუხედავად; დედლები გააფთრებით კაკანებდნენ. გემბანზე ნივრის, თაღამისა და ფორთოხლების სუნი ტრიალებდა. „ხი, ხი, ხი!“ — კვლავ გაიძახოდა კაიუტაში კიჩიბე, ეინოსკე კი დამტვრეული ინგლისურით ჩუმად, შემპარავად მეკითხებოდა, სად ვიყავით. „ჩინეთში-მეთქი“. „რა ნახეთ?“ — „ბევრი რამ, სხვათა შორის, ინსურგენტებისა და იმპერიალისტების ომი“. — „კიდევ რა?“ — „კიდევ...“ ვიცოდი, რის გამოტყუება ეწადა, მაგრამ მინდოდა გამეწვალე ბინა. „კიდევ ამერიკელები-მეთქი“. „შინც ვინ?“ — „ცოცხლად გამაწყვეტინა მან. „კომოდორო პერი...“ — „კომოდორო პერიო?..“ — გაიმეორა მეტის გაფაციცებით. „ამერიკულ კორვეტ „სარატოგას“ კაპიტანიც ვნახეთ!“ — „სარატოგა“!.. ამ ხოზალღების სახელები იაპონელებისათვის ნაცნობი იყო, ისინი ეღოში იყვნენ ნამყოფნი. „პერი სადღა? შეერთებულ შტატებში?“ — მკითხა და თავისი ცხვირი ლამის ცხვირზე მომადლო. „შეერთებულ შტატებში კი არა, ამოეშია“. — „ამოეში?“ — „ან ნინპოში“. — „ნინპოში?“ — „იქნებ, ჰონ-კონგშიც იყოს“, — შევნიშნე გულგრილად.

ნახევარი საათის შემდეგ ეს საუბარი ზაგივარის გადასცა: გავიგონე, „ამოე, ნინპო, ჰონ-კონგიო“, — რომ უსახელებდა. ზაგივარიმ ჩაიწერა.

— რა გიჭირთ, შანხაიში რომ წახვიდეთ, — ვუთხარი ეინოსკეს, — ევროპული ქალაქის ნიმუშს მაინც ნახავდით.

— ო, რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან, — მე მეტსაც ვნატრობ: დედამიწას ირგვლივ შემოვუარო. მეტად მიტაცებს ამაზე ფიქრი.

— ჰოდა, რუსეთში წამოგვეყვით. იცით, რა ქალაქები, ტაძრები, სასახლეებია იქ! რა ჯარს ნახათ!

— რუსეთში რა მინდა, — სწრაფად გამაწყვეტინა მან, — იქ ქალები არ ყოფილან.

— ვინ გითხრათ ეგ ამბავი? როგორ თუ არაა ქალები: plenty (ბევრია)! ცოლი გყავთ?

— დიახ, ათი თვის გოგონაც მყავს უკვე; ამ დღეებში ყვავილიც აუცრეს.

— მაშ ქალებთან რაღა გესაქმებათ?

ეინოსკემ ჩაიციანა. ამ იაპონელ დონ-ჟუანს ვერ უყურებთ!

სალამოს გუბერნატორიდან პასუხი მოგვევიდა, საჩუქრების მიღებაზე ყაბულს იყო. რწმუნებულთა ჩამოსვლაზე გუბერნატორი კვლავ დროს გეტხოვდა, შაბათის ნაცვლად ხუთშაბათამდე დაგვეცადა და ისიც დაემატებინა, მთავრობის სრული ნდობითა და უფლებებით არიან აღჭურვილები. ეს იმიტომ შემოგვითვალა, მათი ჩამოსვლით დავეინტერესებინეთ. ბანიოსებმა გვითხრეს, რწმუნებულებს ექვსასი კაცის ამაღა მოჰყვება, ამიტომ ნელა მოდიან, ოთხივე ერთად კი არ წამოსულან, არამედ ცალ-ცალკეო. ამაზე ნაბრძანები იყო ეპასუხათ, რომ თუ გუბერნატორი პირობას იძლეოდა, შეხვედრა ხუთშაბათს მოხდებოდა, ჩვენ დავიცდიდით, თუ არა ედოში გავემგზავრებოდით.

ეტყობა, ამ გადაწყვეტილებამ ფრიად გაახარა ისინი; ამიტომაც შეიძლებოდა დასკვნა გამოგვეტანა, თუ ოთხი არა, ერთი რწმუნებული მაინც უკვე აქ ბრძანდებოდა.

ხელდახელ გაიტანეს გემბანიდან გუბერნატორის გამოგზავნილი კანფეტები და სანოვაგე და ჩვენის მხრივ საჩუქრების განსაზღვრის თაღარიგს შევეუდექით. იმავე საღამოს ბანიოსებს გაატანეს ჯერ მხოლოდ პირველი გუბერნატორის, ოვოსავა ბუნგონოს საჩუქრად მალაქიტის სამაგიდო საათი, ბრინჯაოს ფიგურებით შემკობილი, და ორი ბროლის ლარნაკი. გარდა ამისა, ლიქიორები, ზერესი და რამდენიმე თავი შაქარიც გაუგზავნეს. იმათ რაფინადი არ გააჩნიათ, მხოლოდ შაქრის ფხენილსა ხმარობენ.

ახლა მეორე გუბერნატორის, ოპერ-ბანიოსების, ორი უფროსი და სხვა უმცროსი თარჯიმნების, ერთი სიტყვით ოციოდე კაცის საჩუქარი უნდა გამოგვეძებნა. დიდი სადავიდარაბო საქმე გაგვიჩნდა: ტრანსპორტზე მთელი ტრიუმი უნდა გადა-

გვექება, სარკეები, მაუდი, ქსოვილები, ჯიბის საათები თუ სხვა მოგვეძია, ' მერე განგვესაზღვრა, ვისთვის რა მიგვეცა. ესეც დიდი სახლფორთო გახლდათ: უფროს პირებს ყველას ვიცნობდით სახელით, სხვებს კი არა; მარტო სახე გვახსოვდა. ამიტომაც სიაში შემდეგნაირად გვყავდა ისინი მონათლული: ეს ელამიო, ეს ხიხაო, ჩოფურა, კოჭლიო, სხვები ჩვენი თახამემამულეთა გვარებით ჩავწერეთ, ვისაც ცოტაოდენ მოგვაგონებდნენ. რის ვაი-ვაგლახით მოვაგვარეთ ეს ამბავიც. ორი დღე შევწირეთ საჩუქრებს. მეორე გუბერნატორს ტრიუმო, პატარა ხალიჩა და ორი ფერადი ოთახის ფარანი გავუგზავნეთ. ბანიოსებს თითო-თითო სარკე, მაუდი და სახალათე ნაჭრები მივეცით. ვინც კი რამეში გამოგვადგა, არავინ დაგვეიწყებია. ყველაზე წერილფეხა მოხელეებსაც კი, წყლისა და სანოვავის მოტანას რომ ზედამხედველობდნენ, თითო-თითო სახალათე და პატარ-პატარა ნივთები ერგოთ.

იპონელებს მაუდი არ გააჩნიათ და ყველამ არც იცის მისი ხმარება. ამიტომ განზრახ ვაჩუქეთ, რომ მისი ფასი შეეტყვოთ და ხმარებას მიჩვეოდნენ. საქიროებით კი მართლაც სჭირდებოდათ: ზამთარში სამი თუ ოთხი სელის ნაჭრის ხალათები აცვიათ, რომელიც ერთ მაუდის ხალათსაც ვერ შესცვლიდა. მდამიო ხალხი მზეზე სულ ტიტლიკანა დადის, სიცივეში კი რაღაც ძონძს მოიგდებენ ხოლმე მხრებზე. პირდაპირ გული გეტკინებოდა, ის საცოდავები, გატიტვლებული მკერდით, მხრებით და ფეხებით, სიცივისაგან გალურჯებულები, სამი თუ ოთხი საათი რომ კანკალებდნენ ნავებში და ბანიოსებს ელოდნენ, რომლებიც ჩვენთან კაიუტაში იხსდნენ.

ვაჩუქეთ კიდევ სარკეებიც, ისინი ხომ საამისოდ გაპრიანებულ ლითონს, ხანდახან კი ფაიფურსაც ხმარობენ; დავარიგეთ სურათები, თერმომეტრები, კომპასები, ქალის ნესესერები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მათ ცნობის წადილს გაუღვიძებდათ და მოთხოვნად გადაეჭყეოდათ.

მეორე დღეს, 24 რიცხვში, შობის წინა დღეს დიდებული ამინდი დაიჭირა: ასეთ დღეს ძნელად დაივიწყებს კაცი. ცასა და ზღვას ცისფრად გაუდიოდა ლივლივი; თბილოდა, სიოც კი არ უბერავდა. ნაგასაკის ყურის შეხედვას არაფერი სჯობდა! მზის სხივებში მოცურავე თვითონ ნაგასაკიც კი რაღა-

ცას დამსგავსებოდა. მურა გორაკებს შუა აქა-იქ მწვანედ და-
ღანებდა ახლად დათესილი ბრინჯის, პურისა თუ ბოსტნეუ-
ლის ჯეჯილი. ზღვას გახედავ — მისი ლაქვარდი საბური
თვალუწვდენელზე გადაჭიმულა.

იმ დღეს ბანიოსებთან ერთად ერთი უცნობი მოხელე, სი-
ნოცარა ტომოტარო გვეწვია, რწმუნებულთა ამალის
წევრი, თქვეს, ვითომც წინდაწინ ჩამოვიდაო, მაგრამ, ცხადია,
იმათ ჩამოჰყვებოდა. ამბავი მოგვიტანეს, რომ გუბერნატორი
პირობას იძლევა, შეხვედრა მოხდებოა, მაშასადამე, ხუთშაბათს
შედეგობდა. ასე რომ, დარჩენა მოგვიხდა.

როგორც იქნა, იაპონიაში ჩვენი ყოფნის ყველაზე საინტე-
რესო ეპოქა დაგვიდგა: თავი ებმება იმ საქმეს, რომლის გუ-
ლისთვის ორი სახელმწიფოს ექსპედიცია ერთსა და იმავე
დროს ჩამოვიდა აქ. ერთი მსჯელობა და კამათი გვაქვს ერთ-
მანეთში, თუ რა მოხდება: ამ უსუსური, ჩამორჩენილი, მაგრამ
ცბიერი ხალხის წყალობით სწორ დასკვნას ვერ გამოიტანს
კაცი. ერთ-ერთ ჩემს წინანდელ წერილში კიდევ მოგახსენეო
მათი მოქმედების ხერხებსა და საშუალებებზე: რაც არ უნდა
დიდი მესაიდუმლე იყო ადამიანის გულის, რა გამოცდილებაც
არ უნდა გქონდეს, ძნელია გონებისა და ლოგიკის ჩვეულებ-
რივი კანონებით იმოქმედო იქ, სადაც ხალხის მსოფლმხედვე-
ლობის, ზნეობისა და ადათების გასაღები არ გაგაჩნია, ძნელია
ნის ენაზე ელაპარაკო, როცა გრამატიკა და ლექსიკონი ხელთ
არ გიპყრია.

გუშინ იაპონელები გააფრთხილეს, რომ ჩვენ კარგი აღგა-
ლი გვესაჭიროებოდა ნაპირზე, ოღონდ წინათ მინიშნებული-
დან არც ერთი არ გამოდგებოდა. საამისოდ თურმე უკვე მომ-
ზადებული ყოფილან. ხაგივარიმ მაშინვე ამოიღო უბიდან გეგ-
მა და კიდევ გვაჩვენა, სად მოგვცემდნენ აღგილს: სადღაც ქა-
ლაქის მეზობლად აერჩიათ.

„იქ კერპთსამლოცველოა, მაგრამ ბონზები დროებით დას-
კლიანო“, — დასძინა მან. გარდა ამისა, ერთი თუ ორი სახლი
ყოფილა კიდევ, საიდანაც ვილაც მოხელეებსაც გამოაძევებდ-
ნენ. ხვალ კ. ნ. პ[ოსიეტი] ადმირალის ბრძანებით, სანახავად
წავა. გუბერნატორები, მგონი, ყოველნაირი საშუალებით
ცდილობენ ჩვენი გულის მოგებას, ყოველ შემთხვევაში, ასე

უნდა მოგვაჩვენონ. რა განსხვავებაა, რაც ამ სამი თვის წინათ იყო. ჩვენი ჩამოსვლით გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ ედო-ში, ჩვენს მოსალაპარაკებლად იქიდან გამოგზავნილმა წარჩინებულმა მოხელეებმა და ბოლოს, ალბათ გუბერნატორებისთვის მიცემულმა ინსტრუქციებმა, ჩვენ როგორ მოგვეცეოდნენ, — საკმაოდ მოაკვეცეს კული მათ აღმატებულებათა ამპარტავნობას.

ამჯერად სიბნელეში ისე ჩუმად მივადექით ნაგასაკს, რომ ნომოს კონცხიდან ვერც კი შეგვნიშნეს. ჩვენი მისვლა ქალაქს მხოლოდ მაშინდა აცნობეს ბატარეათა ბათქით, როცა უკვე ღუზას ვუშვებდით. იაპონელებს მოულოდნელად წავადექით თავს. რეიდზე ერთი საყარაულო ნავიც არ ჰქაჟანებდა; სამიოდე საათის შემდეგ უკვე მოგვევლინენ, თანაც საკმაოდ ახლოს, მაგრამ კატერი გავაგზავნეთ, ბუქსირით შორს გადაეთრიათ. შკუნა და ტრანსპორტი საკმაო ღრმად შეიჭრა ნაგასაკის ყურეში, ასე რომ, მეტად შინაურულად მოვეწყვეთ. ნავები თვალიდან დაგვეკარგნენ და მერე აღარც გამოჩენილან. გუბერნატორები ყოველ წადილს ხელდახელ გვისრულებენ.

ღღეს, 26-ში; მოხელეები კვლავ გვეწვივნენ საჩუქრებზე მადლობის მოსახსენებლად და კვლავ გვიჩვენეს ადგილის გეგმა. სანოვაგის გამო მათაც მადლობა გადაუხხადეთ.

შობა ისე ჩავატარეთ, თითქო რუსეთში ვყოფილიყავით. იაპონელები რომ გავისტუმრეთ, მწუხრის ლოცვა მოვისმინეთ, გუშინ წირვა და პარაკლისი იყო, მერე ერთმანეთს მივულოცეთ და აღმირალთან ვისადილეთ. შემდეგ მუსიკა უკრავდა. ეინოსკემ ყველა საზეიმოდ მორთული რომ დაგვინახა, გვეითხა, რას ზეიმობთო. მართალია, იაპონელებთან ქრისტიანულ რელიგიაზე ლაპარაკს ვერიღებოდით, მაგრამ მაინც ვუთხარი (ხომ უნდა მიეჩვიონ ნელ-ნელა ყველაფერ ჩვენებურს); სწორედ ამისთვის ვართ აქ ჩამოსულნი.

მგონი, არც ისე შორსაა ის დრო, როცა აქ კვლავ შემოადწევს სჯული ღვთისა და აიმატება ჯვარი, ოღონდ ისე კა, რომ ვერა ძალა უკვე ვერ მოსრავს მას. მაგრამ როდის? ვითომ უფალი არ შეგვეწვევა თუნდაც პირველი, ფრთხილი ნაბიჯი ჩვენ გადავდგათ? აქაურ მთავრობასთან დიდი დავიდარაბა კი დაგვეკირდება — იმდენად მტკიცეა ამა ქვეყნისგან განაპირე-

ბის სისტემა! ყოველი საშუალება და სახსარი უკვე უღონიათ დაახლოების ხელშესაშლელად: იოლი არაა ჩვენს ყოფაცხოვრებას გავაცნოთ ხალხი და ევროპელების მხარეზე გადმოვიბიროთ. ვინემ მოსატყუილებელს არ დაანახებებ, ვერც მოიტყუილებ. მთავრობამ ეს მშვენიერად იცის და ამიტომაც სასტიკად კრძალავს ფუფუნების ყოველგვარი საგნის ჩამოტანას, მით უმეტეს, ახლისას. ჩვენი საჩუქრები მოხელეებისათვის არ მიუტიათ. ეინოსკემ გვიოხრა გუშინ, ნივთების სიას ეღოში უბირებენ გაგზავნას. თუ იქიდან ნებართვა მოვა, მაშინლა დაარიგებენ თურმე. ყველაფერი იკრძალება აქ: დღეს პ[ოსიეტმა] ვერცხლის საათები უნდა მისცეს ბანიოსებს, სხვა საჩუქრებთან ერთად დავიწყებოდათ ამ სამი დღის წინათ იმათი გაგზავნა. თითქო ყოვლად უბრალო საქმე ჩანს, არა? ნურას უკატრავად, ჯერ გუბერნატორს უნდა შეეკითხონ, ის საბჭოს მიმართავს, საბჭო სიოგუნს, სიოგუნი მიკადოს — აირია მონასტერი! დღეს ისიც უთხრეს, რომ პ[ოსიეტთან] ერთად ორი კი არა, როგორც წინათ იყო შეპირებული, სამი კაცი წავაო აღვილის სანახავად. ამ პატარა ამბავმაც ისევ ექვცო გამოიწვია: დიდი თათბირების შემდეგ ისიც კი გადაწყვიტეს, სულ უარი ეთქვათ, მაგრამ ვინ დაუჯერა.

ყველაფერში ასეთ წესს და რიგს მისდევენ ნიადაგ. იძულების გარდა სხვა ვერავითარი საშუალება ვერ შეაცვლევინებთ ასეთ კანონს, საღ აზრს ვერ ჩაუნერგავთ. კარგა ხანს კიდევ არავის გააჰაჰანებენ თავიანთ ქალაქებში თავისუფლად, არავის შეუშვებენ ქვეყნის შიგნით, კერძო ურთიერთობას არავის გააბჰევიანებენ, თუნდაც მაშინ, უცხოელებთან ვაჭრობა რომც გადაწყვიტონ. თუკი ახლაც უკვე აღარ ძალუძთ იაპონელებს ეს ვაჭრობა ისევ შეზღუდონ, როგორც პოლანდიელები ჰყავთ შებოჰილი, მეორეს მხრივ ვერც ევროპელები შესძლებენ ნებაყოფლობით დაიყოლიონ ისინი, პირწმინდად ევროპულ ყაიდაზე იმოჰმედონ. ვერც ეშმაკობით, ვერც ჩიჩინითა და დარწმუნებით ვერას გახდებიან. კიდევ მათი მხდალი ბუნების იმედი უნდა იქონიო. ევროპელების მხრივ მუქარამ და იაპონელების მხრივ მშვიდობიანობის სურვილმა იქნებ შესძლოს ზოგიერთ შეზღუდვაზე მათ ხელი ააღებინონ. ერთი სიტყვით, მხოლოდ არაჩვეულებრივმა

საგარეო ვითარებებმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეიძლება შეარყიოს მათი სისტემა, თუმცა ხალხს თავისთავად რეფორმები არ გაუჭირდება.

დღეს, 28 დეკემბერს, რუსული სტილით, ხაგივარი, ოი-საბროსკი და საბრო მოვიდნენ და გვაუწყეს, რწმუნებულება ჩამოვიდნენო. წარმოიდგინეთ, ეინოსკესა და კიჩიბესაც აბრეშუმის საზეიმო ხალათები ეცვათ, ახალი კოფთები (კოფთები მუდამ შავი აქვთ) და აბრეშუმის ქვედაწილები. პირველი შეხვედრა ხუთშაბათსაა დანიშნული. აღმირალს სურს, რომ რწმუნებულები ფრეგატზე ეახლონ, რადგან თვითონ ერთხელ უკვე იყო ნაპირზე და თავისი მთავრობის წერილები გადასცა. მაშასადამე, რაკი პასუხი ჩამოიტანეს ამ წერილებზე, თვითონვე უნდა მოართვან. მაგრამ ჯერ მაინც არაა გადაწყვეტილი, როგორ მოხდება.

აღგილი ნახეს უკვე: ამბობენ, კარგიაო. კ. ნ. პოსიეტს სა-ნახავად ვ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, ი. ვ. ფურუგელმი და კ. ი. ლოსევი გაჰყვნენ. მარცხენა კონცხზე მოგვეცეს თურმე აღგილი, სრუტიდან შიდა რეიდზე შესასვლელში. დღეს ბანიოსებს უთხრეს, ფრეგატი ნაპირთან უფრო ახლოს უნდა მიიწიოს. შორს სასიარულო რომ არ იყოსო. იაპონელებმა ისევ აითრიეს ფეხი, ისევ ერთი თათბირი გამართეს და ბოლოს კვლავინდებურად — გუბერნატორს ვკითხავთო, დააყოლეს.

გუბერნატორს რომ ჰკითხეს, მას ეთქვა, რომ ჯერ კიდევ ზოგი რამ გადასატანი ჰქონდათ თურმე, მოხელებსა და ბონზებს იქაურობა არ დაეცალათ. გუშინ და დღეს შეხვედრის თაობაზე იყო ერთი მსჯელობა. აღმირალმა განაცხადა, თუ რომ 1 (13) იანვარს შეხვედრა არ მოეწყობოდა, ნაგასაკში აღარ გაჩერდებოდა. ბრძანა გადაეცათ, რომ რწმუნებულებს თავისთან ელოდა, იმათ კი შემოთვალეს, რომ იქით ვწვეოდით, რადგან გზას მეტად მოქანცათ. აღმირალმა რამდენიმე პირობა შესთავაზა, მაგრამ რადგან ექვი ჰქონდა, ჩვეულები-სამებრ დროს იხელთებენ და საქმეს გააჯანჯლებენო, მხოლოდ საღამომდე დაუდო ვადა. ბანიოსები საღამოს გამოცხადდნენ და თქვეს, რწმუნებულები ყაბულს არიან და ამ პირობების შესახებ წერილს თხოულობენო. წერილი გაგზავნეს.

დღეს, 30-ში, გავიღვიძე თუ არა, მითხრეს, კიჩიბე და

ენოსკე დილის ექვსი საათიდან აქ სხედანო, — აი, თურპე როგორ შეფუცხუნებულან! რა დღეში ჩავარდა კიჩიბე: „წოლა და უსაქმობა ყველაფერს მირჩევნიაო!“ — რომ იძახის. ბანოსების წერილი მოიტანეს, პოლანდიურ და იაპონურ ენებზე, იმ წერილში ყველა ჩვენს პირობაზე იყო გამოთქმული თანხმობა ორის გარდა: პირველი, რომ ფრეგატის შემადგენლობა მინიმუმულად გილზე ნვალვე გადავიდოდა. ამაზე თქვეს: ადგილი ჯერ მზად არ არის და სამ დღეს კიდევ გთხოვთ მოცდასო. მეორე, რომ რწმუნებულები მეორე დღეს კი არ მოვიდნენ ჩვენსა, არამედ ორი დღის შემდეგ.

ადმირალმა აღარ შეიწუხა თავი ამის გამოსარკვევად, მითუმეტეს, რომ იაპონელებს დიდად სწამდათ ბედნიერი და უკუღმართი დღეები. ირჩია, თვითონ წვეოდა იმათ, ოღონდაც ამ სისულელეებს არ დაეყოვნებინა საქმის მოგვარება.

შეხვედრის მთავარ პირობებს წარმოადგენდა ის, რომ ერთ-ერთი რწმუნებულები ადმირალს სახლის შესასვლელთან უნდა შეეგებებოდა, რომ სადილით ან საუზმით გამასპინძლებას რწმუნებულებიც დაესწრებოდნენ, და არა როგორც ოვოსავამ მოინდომა: უიმისოდ გაგემასპინძლებოდა. შემდეგ ჩვენი ყარაული მუსიკოსების გარდა, ორმოცი კაცი საგან იქნებოდა შემდგარი; ოფიცრები სამჯერ მეტი გამოჰყვებოდა, წინანდელთან შედარებით; ჩვენ ცხრანავით გავემართებოდით. ბოლოს ჩვენის მხრივ, რწმუნებულებს ჩვენც სათანადო პატივით მივიღებდით და, სხვათა შორის, თუკი თვითონ მოისურვებდნენ, ზარბაზნებით მივცემდით სალუტს.

ამ უკანასკნელ პირობაზე რწმუნებულებმა შემოთვალეს, რომ სალუტის თაობაზე წამოსვლამდე ერთი დღით ადრე გვაცნობებდნენ. მაგრამ ადმირალმა გადაწყვიტა, არ მოეცადა. ისინი დათანხმდებოდნენ თუ არა მათთვის სალუტი მიგვეცა, და როგორც კი ჩვენი კატერები ფრეგატს მოსწყდებოდნენ,

თავისი ამალისათვის ესალუტა. ჰო, ჰო, რა ალიაქოთი შეუდგებოდათ! სხვა დანარჩენი კი წინანდელივით მოეწყობოდა, ღომალდები ალმებით მოირთვებოდა, მეზღვაურები ქანდარებზე გამოიჭიმებოდნენ და ა. შ.

1854 წელი

1(13) იანვარი. მომილოცნია ახალი წელი! ნეტავ როგორ გააცილეთ ძველი წელი და როგორ შეხვდით ახალს? ალბათ ჩვეულებისამებრ შეიკრიბეთ, იცეკვეთ, იხმაურეთ, ბანქო ითამაშეთ, მერე შუაღამის დარეკის მოლოდინში ვინ იცის რამდენჯერ დაამთქნარეთ, როგორც იქნა ნანატრი წუთი იხელთეთ და ბაკლები ასწიეთ — ერთი სიტყვით, როგორც ხუთი, ათი წლის წინათ, არა?

ჩემს სიცოცხლეში პირველად გავატარე ძველი წლის უკანასკნელი დღე სულ სხვანაირად, წინანდელ დღეებს სულ არ ჰგავდა. იმ დღეს იაპონელ დიდკაცებთან გახლდით სადილად. ჰოდა, თუ არ მოგწყინდებათ, გუშინ რაც ვნახე, დაწვრილებით მოგაყვებით და ყური მათხოვეთ. პირობას ვერ მოგცემთ, გუშინდელ სურათებსა და სცენებს მათი ორიგინალური, ბრწყინვალე კოლორიტი შევუნარჩუნო. ერთს კი ალგითქვამთ: პატიოსნად და სწორად გადმოგცეთ ამბავი, როგორ გავატარეთ ის გუშინდელი დღე.

ფრეგატს დილის 11 საათზე უნდა მოემწყდარიყავით. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, დროს მარტო იმის გასარკვევად ნიშნავენ ხოლმე, რამდენით შეიძლება კაცმა დაიგვიანოს — რიგიან საზოგადოებაში ასე გახლავთ მიღებული. ჰოდა, ვით რიგიანი საზოგადოების ხალხი, ჩვენც პირველის ნახევარზე მოვწყდით ფრეგატს.

ვინ იცის გელიმებათ სიტყვაზე მო ვ წ ყ დ ი თ ო: რიგიან ხალხში ამას არ ხმარობენ: მაგრამ აქ ჩვენთვის მო ვ წ ყ დ ი თ ო ფეშენებელურ სიტყვას წარმოადგენს.

ჰოდა, ცხრა. ნავით გავემართეთ ნაპირისაკენ, ნაგები ერთ ვერსზე იქნებოდა გაჭიმული. ახლაც იგივე წესითა და რიგით მივდიოდით, როგორც პირველად გამგზავრების ხანს. წინ კაპიტან-ლეიტენანტი პოსიეტი მიგვიძღვოდა საადმირალო

გიჩით, ხაპირზე უხდა დაგვხვედროდა და ყარაული ჩაემწკრივებინა; მერე კარაპით თვით ყარაული მისდევდა, ორმოცდაათამდე კაცი შემადგენლობით; მას მუსიკოსების კატერი მიჰყვებოდა, შემდეგ სკამებითა და მსახურებით დატვირთული კატერი; ორ მომდევნო ნავზე ოფიცრები ისხდნენ: თხუთმეტამდე კაცი ხომალდებიდან. ბოლოს ადმირალის კატერი მისრიალებდა: ადმირალის გარდა შიგ ოთხივე ხომალდის კომანდირი მოთავსებულიყო: ი. ს. უნკოვსკი, კაპიტან-ლეიტენანტი რ[იმსკი]-კორსაკოვი, ნაზიმოვი, ფურუგელმი, შემდეგ ლეიტენანტი ბარონ კრიუდნერი, ჩინური ენიდან თარჯიმანი, თ. ა. გოშქევიჩი და თქვენი მონა-მორჩილიც. უკან ორი ველობტი და კიდევ გიჩკა მოდიოდა ზოგიერთი ოფიცრებით.

მეზღვაურები ქანდარებზე ჩამწკრივდნენ და წინანდელივით „ვაშას“ ყოჩინით გაგვაცილეს; ფერად-ფერადი ალმები ისევ ერთ წუთში გაიშალა და ზემოდან უეცრივ ჩამოყრილ ყვავილებივით დაცვივდა გემსართავებზე. მუსიკა სახალხო ჰიმნს აგრილებდა. ამ ყოველივემ წინანდელივით მოახდინა შთაბეჭდილება. მე კი მოუთმენლად ველოდი სალუტს: ეს იაპონელებისთვის მოულოდნელი ამბავი იქნებოდა. მინდოდა მენახა, რასა იქმოდნენ?

ჰო, დამავიწყდა მეტქვა, რომ დანიშნული დროის ნახევარი საათით ადრე, წინანდელივით ახლაც გვეწვია გუბერნატორის შემდეგ ყველაზე წარჩინებული მოხელე და გვაუწყა, რომ რწმუნებულები მიგველოდნენ. იაპონური ადათის მიხედვით უკან ბანიოსებისა და სხვა მოხელეთა კუდი მოსდევდა. წარჩინებულმა მოხელემ ჩაი მიირთვა, cherry brandy-ს (ალუბლის სასმელის) ორი სასმისი დასცალა და წავიდა.

ის იყო იაპონელებმა ნავებში ჩაჯდომა დააპირეს, რომ ადმირალმა დაავალა კ[ონსტანტინ] ნ[იკოლაევიჩ] პოსიეტს თარჯიმნებისთვის ეთქვა, ბანიოსებმა იაპონელთა ნავებს უბრძანონ ფრეგატს გაეცალონ, სალუტის მიცემას ვაპირებთო. წინასწარ აღარ უნდოდა ეთქვა, იცოდა, გუბერნატორები წინააღმდეგი წავიდოდნენ და თხოვნას შემოთვლიდნენ, სალუტს ნუ მისცემთო. ბანიოსები ამ მოულოდნელმა ამბავმა ადგილზე გაახვეა. ერთს ის იყო კიბეზე უნდა დაედგა ფეხი ჩასასვლელად, მაგრამ რამდენიმე წუთი ფეხი ჰაერში გაუშეშდა.

მის კვალდაკვალ დანარჩენებიც შედგნენ. წარჩინებული მოხელე უკვე თავის ნაეში იჯდა და სხვებს უცდიდა. გონს რომ მოეგო, ბანიოსმა მასთან მიიღბინა ახალი ამბის საუწყებლად, მსწრაფლ მობრუნდა და მოხელის თხოვნა გადმოგვცა, ნუ უსალუტებთ, ვიდრე გუბერნატორს არ ვაცნობებთო. სწორედ ეს არ უნდოდათ ჩვენებს. „არ გვცალია, არა,—ვაჩქარებდით იაპონელებს — ჩქარა წადით, ჩვენც ახლა მოვდივართო.“ მაგრამ ვინ მოიცვალა ფეხი, ტრაპთან მდგომნი ისევ და ისევ გვევაჭრებოდნენ.

ვიცოდით, იაპონელებს რა შიში შეუღებოდათ, და სიცილის ვედარ ვიკავებდით. „misverstand“¹ — ჩამესმა ერთბაშად თარჯიმნის ნათქვამი და ახლოს მივედი, რაშია-მეთქი საქმე: ამბობდა, ჩვენს ბატარეებზე ხალხი არაა გაფრთხილებული სალუტის თაობაზე და გაუგებრობა მოხდებო: შესაძლოა, იმათაც გაისროლონ ზარბაზნებიო. „მერე რა, ისროლონ, — უთხრეს პასუხად, — წესიც ეგეთია — სალუტზე სალუტით უნდა უპასუხოთო“. მაგრამ წასვლა მაინც ვერავის გადაეწყვიტა: „დროა, დრო, — აჩქარებდნენ იმათ, — სადაცაა გაისვრიან: აგერ, უკვე ქვემეხებთან დადგა ხალხიო“. ნეტავ აქამდეც გვეთქვა ეს ამბავი. ჩალის სანდლების ისეთი ერთსულოვანი ფლარტუნი შეიქნა ტრაპზე, მსგავსი, მგონი, ჯერ არ გვსმენია. იაპონელები წავიდნენ და თან ყველა თავისი ნავიც წაიტანეს.

ჩვენც დავიძარით ადგილიდან. ის იყო ჩვენმა ნავებმა ფრეგატის ცხვირს მოუხვიეს, რომ ფრეგატის ერთი გვერდიდან კვამლის ბოლქვი გამოიჭრა და ბათქი გაისმა. მთებსაც უეცრივ გამოელევიძათ, ისეთი გამოძახილი შექნეს, თითქო ვილაც დევმა ხარხარი ატეხაო. ისევ გაისმა ფრეგატიდან ზათქი, მერე კორვეტმა მისცა ბანი, მერე ისევ ჩვენთან იგრიალა, მერე ისევ იქ: მთებში ხარხარი გაძლიერდა. სროლა ზედიზედ მოსდევდა ერთმანეთს: ხან ორივე ხომალდზე ერთსა და იმავე დროს იგრიალებდა, ხან ერთი დაასწრებდა, ხან მეორე: მთები ჰიჭინაზე სკდებოდნენ, გუბერნატორები, ალბათ, იმათზე უარესად.

თ უ ი ა პ ო ნ ე ლ ტ ს თ ვ ა ლ ს მ ტ კ ი ვ ე უ ლ ა დ

¹ გაუგებრობა (პოლანდ.)

ხვდება, როგორც გუბერნატორმა ბრძანა შეხვედრის დროს, იაპონიის ნავსადგურებში უცხო ხომალდთა ხილვა, წარმომიდგენია, იაპონელის ყურს რა ტყვიასავით მოხვდება უცხო ზარბაზანთა გრიალი. მათი ზარბაზნები პატარაა და მთებს ვერ გააღვიძებს ბათქით. ვუცქერდი ნავებს, იაპონელთა ბატარეებს: იქ ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ორი ძალი დაწრიალებდა წინ და უკან და დასამალ ადგილს ეძებდა, მაგრამ ვერ მოენახა: ზათქის ხმაზე მთებისკენ მოკუყურცხლავდნენ, მაგრამ მთების გამოძახილი ისევ კუდს ამოაძუებინებდათ უკან. აგერ დამთავრდა სროლა: დადუმდა ზარბაზნები, მთებმა ისევ ძილს მისცეს თავი, ძაღლები დაცხრნენ, მაღლობებზე რამდენიმე კალთებჩამოფორიავებული იაპონელი გადმოდგა. ჩვენი მენიჩბენი მღუპარედ, მაგრამ ძლიერად აწვებოდნენ მკერდით ნიჩბებს. უკვე კარგა სიღრმეზე შევიჭერით ყურეში, ყუმბარების კვამლი კი კვლავ ზანტად მიიპარებოდა წყალზე და ზღვისკენ ნელი-ნელ მიიწევდა. შორიდან, მოწინავე კატერიდან მუსიკის სუსტი ხმა მოდიოდა.

სწრაფად მივსრიალებდით წინ და უკვე ნაცნობ ტურფა ბოლაზებს, გორაკებს, კლდეებს - და ტყეებს ვუვლიდით გვერდით. მეც, როგორც პირველ მგზავრობის ჟამს, ჩემებურად გავირთე თავი, წარმოდგენაში ამ მაღლობებსა და ქალებს ტაძრებით, აგარაკებით, ფანჩატურებით და ქანდაკებებით ვამშვენებდი, ყურეს — გემებისა და ანძების ტყით; ნაპირებზე ევროპელებს ვასახლებდი: თითქო ვხედავდი კიდევ პარკების ბილიკებს, ცხენით მოჯირითე ქალებს; ქალაქის ახლოს კი რუსული, ამერიკული, ინგლისური ფაქტორიები მეზმანებოდა...

იაპონელთა ნავები ჯგროდ მოგვევებოდნენ, კვლავ თავს იკლავდნენ ჩვენს გასწრებაზე, განსაკუთრებით ქალაქის ახლოს. მათი მენიჩბეები ხან გაილურსებიან, ხან სასოწარკვეთით აღრიალდებიან: „ოსილიან! ოსილიანო!“ ჩვენებიც უნებლიეთ მათ ღრიალს აპყვებიან, ნიჩბებს გამალებით მოუსვამენ, მაგრამ თითქო უცხად მოვიდოდნენ გონს და ისევ მშვიდად მიარღვევდნენ წყალს.

მაგრამ სინდისიც კარგი საქონელია, დროა უკვე ადგილს მივადწიოთ. ამ იაპონურ, უპირატესად ცხრა მთას იქითა სა-

ხელმწიფოში კიდევ შეიძლება კაცმა გაიმართლოს თავი, რომ „ზღაპარი ადვილად ითქმის, საქმეა ძნელიო“. ეს ანდაზა, მგონი, სულაც აქ უნდა იყოს დაბადებული და მერე შემოვი- და აღმოსავლეთის გზით ჩვენში, როგორც ბევრი სხვა რამ... მაგრამ ჩვენ გავიზარდეთ და ეს ანდაზა მხოლოდ ზღაპრად შემოგვრჩა.

იაპონიაში, პირიქით, აქამდე გაძნელებულია საქმის გაკე- თება, და არც ისინი უყვართ, ვინც საქმეში სულსწრაფობას გამოიჩენს. ჩვენი ზომალდებიდან ნავასაკამდე მთელი სამი სა- ათის სავალია. იაპონელები ხშირ-ხშირად მოდიან ჩვენთან: რა დიდი ამბავი უნდა, ქალაქთან ახლოს მიგვიწვიონ, რომ ამ სიარულში ტყუილუბრალოდ დრო არ დაკარგონ? არ შეიძლე- ბა. რატომ? უზენაეს საბჭოს უნდა ჰკითხონ, უზენაესი საბჭო სიოგუნს. ჰკითხავს, ის მიკადოს მიაშურებს.

იაპონელთა ნაევებს უსიკვდილოდ უნდოდათ ჩვენებთან ერ- თად მიდგომოდნენ ნაპირს: ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა შედე- გიც მოჰყვა ამას. ერთი ნავი მეორეს ეჩხირებოდა გზაში, ამის გამოისობით ყველა ისე ჩაიხერგა, რომ ებრძანებინათ, ჩვენ ნაპირზე არ მივეშვიოთ, ამაზე უკეთესად ვერც მოახერხებდნენ, როგორც ახლა მოიქცნენ ჩვენს შესაშვებად.

შემდეგ კვლავინდებურად ყველა თავის წესზე და რიგზე დადგა, დამკვრელები თუ ყარაული. იაპონელთა ჯარებიც გზის ორივე მხარეს ჩამწკრივდნენ, ე. ი. ისევ ის ჯარისკაცები იყ- ვნენ თავზე მუყაოს ქუდებით და მხრებზე თოფებით თუ quasi-თოფებით შალითაში, ფეხები განზე გაეჩაჩხათ და მუხლები წამოეკუხათ. ცხენიც იყო თურმე, მაგრამ ვერც ახ- ლა შევნიშნე, ნორიმონებიც მოეტანათ, ის ბერიკაციც შემოგ- ვეგება, ჩაბუთული თვალებით და გუნდ-გუნდი თარჯიმნე- ბიც და ბანიოსებიც დაგვხვდა. ხალათაკაპიწებულები იაპონელე- ბი კუნტრუმ-კუნტრუმით გამოგვყვნენ უკან, მედიდურობა ვისლა ახსოვდა, ხან ვის გაძვრებოდა ფეხსაცმელი და ხან ვის, ჩვენთვის უნდოდათ დაესწროთ მისვლა. შესასვლელში კვლავ ის პირები დაგვხვდნენ ჩაცუცქული. მხოლოდ პარმალზე, პი- რობის თანახმად, რწმუნებულთა შორის ყველაზე უმცროსი იდგა და თავზე რალაც უცნაური რამ დაეხურა.

ხეირიანად ვერც მოვასწარიოთ მისი დათვალიერება. წინ

ვაგვიძლვა და ჩვენც უკან მიეყევით. ოთახების გაყოლებაზე პირველ მისვლასთან შედარებით უფრო ნაკლები მოხელეები დაგვხვდა ჩამოწკაპული. მისაღებ დარბაზში მთელ ბრბოდ შევედით. ამ წყნარს გაღერებს ალბათ აროდეს სმენიათ ესოდენი ხმაური და მოძრაობა. აქამდე მხოლოდ აჩრდილებივით დასრიალეზდნენ თეთრწინდებიანი იაპონელი მოხელეები, თავის თავისთვისაც შეუმჩნეველად და ზოგჯერ ხოხვითაც უზღებოდათ აქ შემოსვლა: აგერ ახლა კი შესძრა აქაურობა ეგზომ ძალუმმა ნაბიჯებმა!

რა წამს კი მისაღებ დარბაზში შევედგივ ფეხი, კულისებივით გადაიწია თეჯირები მოპირდაპირე მხარეს და იქიდან მძიმე-მძიმედ, ერთმანეთის მიყოლებით, ოთხივე რწმუნებული გამოემართა. ჯერ ოდნავ მოხრილი ბერიკაცი გამოჩნდა; სიბერისაგან პირი ოდნავ ღიად რჩებოდა ნიადაგ. მას მეორე, ორმოცდახუთიოდე წლის კაცი მოჰყვებოდა, დიდრონი თავისფერი თვალებისა და ჰკვიანი, თამამი სახის პატრონი. მეამე, მეტად ხნიერი, ხმელ-ხმელი, შავგვრემანი იყო, თითქოთელი ცხოვრება განდევილად გაეტარებინოსო, ისე დაეხარათვალები. სახე, ცოტა არ იყოს, ჩიტს მიუგავდა. მეოთხე შუახნისა იქნებოდა: ერთი ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, ბევრს რომ უნახავ, და არც არაფერს გამოხატავდა. ასეთ სახეზე მაშინვე ამოიკითხავ, რომ ყოველდღიური საზრუნავის გარდა არა აწუხებს და ადარდებს.

ოთხივე ერთ რიგში ჩამწკრივდა და ერთმანეთს ყველა მივესალმეთ. მარჯვნივ ნაგასაკის ორივე გუბერნატორი აძოდგომოდა რწმუნებულებს, მარცხნივ ელოდან ჩამოსული კიდევ ოთხი კაცი ედგათ, როგორც ჩანს, წარჩინებული გვამები. რწმუნებულების უკან მათი საჭურველთმტვირთველნი დალაგდნენ, ხელში მდიდრული ხმლები ეკავათ; მარცხნივ, ფანჯრებთან, მოხელეები ჩამწკრივებინათ, ისინიც უთუოდ ელოდან იქნებოდნენ: ყოველ შემთხვევაში, არც ერთი არ გვეცნაურა იმათგან. ოთხივე რწმუნებულს განიერი მოსასხამები წამოესხათ, ხრალივით გაფშევილ მდიდრული აბრეშუმის ნაჭრისა, რომელიც ძლივს დგებოდა ნაკეცებად; სახელოები მაჯასთან მეტისმეტად გაგანიერებული ჰქონდათ, წინ, ნიკაპიდან მოყოლებული ქამრამდე, იმავე ნაჭრის გულისპირი ეკი-

დათ; მოსასხამის შიგნით ჩვეულებრივი ხალათი და ქვედა-
წელი მოუჩანდათ, რა თქმა უნდა, ისინიც აბრეშუმის. ბერი-
კაცს მწვანე ეცვა, მეორეს თეთრი, ოლონდ აქა-იქ ზოლები
დაჰყვებოდა. ოთხივე რწმუნებულსა და გუბერნატორსაც
კინკრიხოზე პატარა, შავი, წახნაგოვანი გვირგვინი ეხურათ,
რომელიც ძალიან ჰგავდა ქალების ხელსაქმის კალათას, უფრო
სწორად, ასეთი ძარებით ჩვენი დედაკაცები დადიან სოკოს
საკრეფად. როგორც შემდეგში შევიტყვე, ამ გვირგვინებს
პაპიე-მაშედან აკეთებენ. რწმუნებულთა მარჯვნივ მდგარ ორ
მოხელეს ისეთივე მოყვანილობის გვირგვინი ეხურა, მესა-
მეს სამკუთხა, მეოთხეს კი კვადრატული, ოლონდ ოდნავ
ბრტყელი. უფროსებს გვირგვინები ნიკაბთან თეთრი ზონრე-
ბით შეეკრათ, უმცროსებს შავით. ამას კიდევ რა უშავდა:
ოლონდ მესამე რწმუნებულს, ორივე გუბერნატორსა და კი-
დევ ერთ მოხელეს აბრეშუმის შარვლები ეცვათ და კოჭები-
დან ერთ საყენზე დასთრევედათ. გუბერნატორები ძლივძლი-
ვობით მოდიოდნენ, რის ვაი-ვაგლახით ადგამდნენ ნაბიჯს.

ეს სამოსი რომელიღაც წოდებისა თუ თანამდებობის-
თვის მიეკუთვნებინათ. ჩვენი მუნდირებივით ისიც ყველაზე
საზეიმო სამოსს წარმოადგენს. უცქერ ამგვარად მორთულ
იაპონელს, ოდნავ თავჩაკიდულს, მოსასხამი რომ მოუგდია,
შუბლზე გვირგვინი დაუკოსებია, ამ სიგრძე შარვალი ჩამო-
უცვამს და ძალაუნებურად გაიფიქრებ, რომ ვიღაც ცუდ-
ლუტს თავი უმტვრევია, როგორ შეემოსა ადამიანი იმდენად
საჩოთიროდ, რომ არათუ სიარული და სირბილი შესძლებოდა,
განძრევის თავიც არ ჰქონოდა. სწორედ ასეა იაპონელები
ჩაცმულნი: ამ ტანისამოსში დიდი ვაკუაცობა უნდა სწორედ
თავისუფლად გაინძრე. იმიტომაცაა გამოგონილი, რომ ისხდ-
ნენ და იბღინძონ. ხოლო როცა ჩაცუტქულ იაპონელს იხილავ,
იმასლა იტყვი, რომ ეს შესამოსი მჯდომარე კაცისთვის ზედ-
გამოჭრილია და ამ შემთხვევაში თავისებური მედიდურობა
და, ასე გასინჯეთ, შნოც არ აკლია. მდიდრული აბრეშუმის
ეს ნაჭრები, სხეულს თავისუფლად რომ შემოხვევია, მშვენივ-
რად ეხამება ამ ზარმაც ცოცხალ მასას, რომელსაც ქანდაკე-
ბის დიდებულება და უმოძრაობა შეუწარჩუნებია.

ორივე მხარე ერთ ხანს უსიტყვოდ მივაჩერდით ერთმა-

ნეთს და თავით ფეხამდე გაეზომეთ — ჩვენ ისინი, იმათ ჩვენ. ჩვენი ნაცნობი ოვოსავა ბუნგონო, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი ღირსებით და სიამაყით მიგვიღო, ახლა უკან მოქცეულიყო, სახე ბერიკაცის ყურთან მოუდიოდა და თავდახრილი იდგა, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ მობრუნებულა. მხოლოდ ხანდახან გამოაპარებდა ხოლმე ჩვენსკენ ალმაცერად თვალს. მიზეზიც ჰქონდა საბღვერი: რალაც ერთი თვე კიდევ დარჩენოდა მას ელოში გამგზავრებამდე, ახლა კი ჩვენი წყალობით წელიწადნახევარია აქ ყურყურტებს და ღმერთმა უწყის, კიდევ სანამდე იყურყურტებს! მეორე გუბერნატორს, მიზნო ჩიკოგონოს, სახეზე ვერაფერი სიბრძნე ეხატებოდა, მაგრამ ბრაზიანად კი იყურებოდა.

რწმუნებულებმა ნიშანი მისცეს, რომ ლაპარაკი სურდათ. თვალის დახამხამებაში, საიდან გამოტყვრნენ საიდან არა; ორ მოპირდაპირე კუთხიდან გველებივით მიუხონდნენ ფეხებთან ეინოსკე და კიჩიბე.

ეინოსკემ და კიჩიბემ შუბლი მიაკრეს იატაკს, სუნთქვა შეიგუბეს, ამ ყოფაში სმენად გადაიქცნენ. ლაპარაკი ბერიკაცმა დაიწყო. თვალი ველარ მოვწყვიტეთ, იმდენად მოგვხიბლა მან პირველი შეხედვითვე. ასეთ მოხუცებს ყველა ერში შეხედები. თვალებსა და ტუჩებთან ნაოჭების ქსელი მისჯროდა; გამოხედვა, ლაპარაკი, ყოველი ნაკვთი მოხუცის ჰკვიან, ტკბილ სათნოებას მოწმობდა — დიდი ხნის სიცოცხლისა და პრაქტიკული სიბრძნის ნაყოფს. ვინც ამ ბერიკაცს დაინახავდა, მის ბაბუობას უთუოდ ინატრებდა. თანაც ზრდილი კაცის მიმოხვრა ჰქონდა. ლაპარაკი კი დაიწყო, მაგრამ ტუჩებსა და ენას უკვე ღონე აღარ მოსდევდა: მძიმე-მძიმედ ლაპარაკობდა; თითქოს ერთი ბოთლიდან მეორეში გადასხმული სითხის ლიკლიკი გესმოდა.

კიჩიბემ თავი ასწია, ჯერ თითქო კისერში რალაც გაეჩხირო და ის გადაყლაპა და მერეღა გადმოგვითარგმნა მისალმება. ბერიკაცი აღმირალს ჩამოსვლას ულოცავდა და ჯანის სიკეთეს უსურვებდა. აღმირალიც ასევე მიესალმა. კიჩიბემ იატაკამდე დახარა თავი და გაღათარგმნა. ბერიკაცმა ასეთივე სიტყვებით მიმართა ახლა ხომალდის მეთაურს; მაგრამ გრძობათა ეს ოფიციალური გამოხატვა, ოვოსავასთვის ესოდენ

შესაფერი, რატომღაც აღარ უზღებოდა ბერიკაცს. ისე ტკბილი, კეთილი თვალით გვიყურებდა, თითქო სულ სხვა რაღაცის, უფრო გულწრფელის თქმა უნდაო, და მართლაც გვითხრა მერე. მაგრამ ახლა კი თარჯიმნის მოვალეობის შემსრულებელ კ. ნ. პოსიეტისა და ბოლოს სხვა ოფიცრების მისალმებას განაგრძობდა.

ბერიკაცი ლაპარაკს რომ მორჩა, მის მარცხნივ მდგარმა მოხელემ ცერემონიალმაისტერის როლს რომ ასრულებდა, იმავე წუთს ჩურჩულით დაიძახა: „ეინოსკე!“ და მერე რწმუნებულზე ანიშნა. ეინოსკე სწრაფად მიუხონდა მეორეს ფეხებთან და შუბლი იატაკს ახალა; მანაც იგივე მისალმებანი გაიმეორა. იგივე წესითა და რიგით. თარჯიმნები ხოხვით მიეახლნენ მესამე, მეოთხე რწმუნებულებს და ბოლოს გუბერნატორებსაც. მათაც რიგრიგობით გაიმეორეს მისალმებანი, რუსულ სახელებს მკაფიოდ გამოთქვამდნენ. აღმირალმა სამადლობელი მისალმება გამოთქვა თავისა და ყველას სახელით.

ამ ცერემონიალის დროს ყველა ფეხზე იდგა, ყველა საზეიმოდ იყო მორთული: აბრეშუმის ქვედაწელებს თვლა არ ჰქონდა, როგორც ეტყობა, საზეიმოზე საზეიმო შეკრებას წარმოადგენდა. კიჩიბე და ეინოსკეც აბრეშუმებში შემოსილიყვნენ: კრების შავი თუ ცისფერი მოსასხამი, ზურგზე და მხრებზე ამოქარგული თეთრი ღერბებით, აბრეშუმის ხალათი, ისეთივე ქვედაწელი და ბამბის თეთრი წინდები ეცვათ.

სანამ მისალმებებს. ლაპარაკობდნენ, როგორც გუბერნატორთან პირველ შეხვედრისას, ახლაც წამილო ფიქრებმა. ეს მეორე შეხვედრაც იგივე სურათს წარმოადგენდა, რაც პირველი, ოღონდ უფრო ბრწყინვალე ელფერს ატარებდა. თვალი და ფიქრი უცბად ვერ მიჩვეოდა ამ ახალ სანახაობას. არ მჯეროდა, თუ ცხადში ვხედავდი ყველაფერს. ხანდახან მეგონა, თითქო ბალღი ვარ, გადია საოცარ ზღაპარს მიყვება უცხო ხალხზე, მე კი მის მკლავზე ჩამძინებია და სიზმარში ვხედავ ყველაფერს-მეთქი. მართლაც, სადა ვარ ახლა? ვინ შემომხვევია ირგვლივ, ვინ არიან ეს შუბლგადახოტრილი, მუმიებივით დაწვჩაშავებული, თავჩაყიდული, თვალდახრილი ხალხი, გრძელი, განიერი სამოსი რომ აცვიათ, უმოძრაოდ დგანან, ტუჩებს ძლივს ატოკებენ და ჩვენი ყურისთვის ძნე-

ლად დასაქერი ყრუ ბგერები ამოუდით პირიდან, შიგადაშიგ
ოხვრით შეწყვეტილი? ათასწლიან სამარხებიდან ხომ არ წა-
მომდგარან ძველთაძველი მიცვალებულნი და აქ სათათბიროდ
შეკრილან? სჩვევიათ კი სიარული, ღიმილი, სიმღერა, ცეკვა?
იციან კი, ჩვენ, ადამიანები, როგორ ვცხოვრობთ, რა გვახა-
რებს და გვაწუხებს, ან იქნებ დიდი ხნის ძილმა დაავიწყათ
ადამიანური ყოფა? ეს რა სახლია, რა ოთახი: ფანჯრები ქა-
ლადლით გაუწეზიათ, ოთახში აკლდამის სიბზნელე და სინესტე
მეფობს; ირგვლივ მოოქრული თეჯირები დგას, ზედ ყარ-
ყატები — უკვდავების ემბლემა — ახატია? სახურავს მხოლოდ
უბრალო, ოთხკუთხა ხის ბოძები იკავეებს; ქერი არა აქვს, გა-
რანდული ფიცრებით გაუმართავთ მხოლოდ, სწორედ რომ
პირველყოფილ სახლს მოგაგონებთ, როგორც პირველად გა-
ჩენილ ადამიანთ მოუგონიათ. სადა ვარ, სად?

ვაი რომ მალე გამიქარწყლდა ეს ილუზია, რითაც თავს
ვირთობდი: აგერ ერთმა დრომოკმულმა, ყველაზე მიხრწნილ-
მა, კერძოდ ბერიკაცმა, უბიდან თხელი ქაღალდის დასტა გა-
მოიღო, ფურცელი მოახია, ცხვირი მოიხოცა და მერე ქაღალ-
დი თავის უძირო სახელოში ჩააგდო. „ოჰო! მაშ ცოცხლები
ყოფილან-მეთქი“.

მიგვიპატიე, და ის ვ ე ნ ე თ და ერთი ჭიქა ჩაი მიირთ-
ვით, ვინემ სადილი გამზადდებაო. მადლობა ღმერთს! ცოცხ-
ლებში ვყოფილვართ: აქ ჭამა სცოდნიათ. იაპონური სადილი:
რა სიხარბით ვკითხულობდი ხოლმე უცხო სადილების, ე. ი.
უცხო ხალხის სადილთა აღწერას, ყოველ წვრილმანს ვაკვირ-
დებოდი, გახსოვთ, თქვენთვისაც მითქვამს, რარიგ მწადია
ჩინელებთან, იაპონელებთან ვისადილო-მეთქი! აგერ, ეს ნატ-
ვრაც შემისრულდა. მე pique-assite.¹ გახლავართ, ლონდონი-
დან მოყოლებული ედომდე. რა იქნება, რას მოიტანენ, როგორ
დასხდებიან — აი, რა გვაინტერესებს ყველას.

„დასასვენებელში“ ჩაი მოგვართვეს, გვითხრეს, განსაკუთ-
რებული ყურადღებით გასინჯეთ. ეს დანაყილი ჩაი ყოფილა.
ყველაზე მაღალი ხარისხის: ერთ მთაზე მოდის თურმე მხო-
ლოდ, რომელსაც დაწვრილებით აგვიწერს კემპფერი. ნაწი-
ლი ამ ჩაისა სიოგუნის და მიკადოს კარს ხმარდება, ნაწი-

¹ მსუნავი, მესუფრია (ფრანგ.)

ლი, უფრო მდარე ხარისხის, წარჩინებულ მოხელეთ. ფხვნილად ქცეულს ადუღებული წყლით საესე ფინჯანში ჰყრიან და ჩაიც მზად არის. ჩინებული ჩაია, მაგარი და სურნელოვანი, მაგრამ უშაქროდ არცთუ დიდად გემრიელი გვეჩვენა. თუმცა ქება-დიდება კი არ დაგვიკლია.

ჩაის შემდეგ ჩიბუხები და თუთუნი მოგვიტანეს, მერე კანფეტების ისეთივე წმინდად გარანდული, ფიჭვის ყუთები მოგვართვეს, რომელსაც კუთხეებიც კი მთლიანი ხისა ჰქონდა. რა ფაქიზ, რა გულდაგულ ნამუშევარს წარმოადგენდა! თუმცა კი ეს ყუთები თითქმის ერთი წუთისთვის მზადდება: სტუმარს კანფეტებს მიართმევენ, მერე შინ გაუგზავნიან. ის კი, რა თქმა უნდა, გადაავდებს. კანფეტებად შაქრის ფხვნილში არეული გახეხილი მუხუნო, მგონი, სტაფილოც და კიდევ სხვა მსგავსი რამ იყო, მერე თევზის, ვაშლისა თუ სხვათა ნაირ-ნაირი მოყვანილობის ტკბილეული, წითელი და თეთრი ბრინჯისგან ნახელავი.

ჩვენს გვერდით თარჯიმნები ისხდნენ იატაკზე; ბანიოსებიდან მარტო ხაგივარი და ოიე-საბროსკი დავინახე. გუბერნატორთან შეხვედრისას ჩვენი შეხედვისაც ეშინოდათ, ვინ იცის, დიდი პატივისცემითაც არ გვიყურებდნენ, სანამ ელოდნენ რწმუნებულები არ გამოგზავნეს და იმათ საზეიმო, საპატიო მიღება არ მოგვიწყვეს. მაშინ სხვებიც გაიძრ-გამოიძრნენ, აღარ იციან, სად დაგვსვან, ხელს გვართმევენ, გვილიმიან, გემასპინძლობენ.

ნახევარი საათის შემდეგ ცერემონიალმაისტერი მოგვეახლა და სადილად გვთხოვა. ბოდიში მოიხადა, სივიწროვის გამო ყველას ერთად რომ ვერ დაგვსვამდა და სხვადასხვა ოთახებში მოგვათავსებდა. ადმირალი, ი. ს. უ[ნკოვსკი], კ. ნ. პ[ოსი-ეტ] და მე კვლავ მისაღებ დარბაზში შეგვიყვანეს; ჩვენთან მარტო ორი რწმუნებული დარჩა სადილზე, დანარჩენები გაილაღნენ. ამ ვეება დარბაზში სამოცი კაცის სუფრა თავისუფლად გაიშლებოდა; მაგრამ იაბონელებმა თითოეულს ცალ-ცალკე მაგიდა დაგვიდგეს. რწმუნებულები ამაღლებულზე ისხდნენ და კერძებსაც იქ მიართმევდნენ ხოლმე.

აგერ, ზუსტად ექვსი მსახური გამოჩნდა, რამდენიც სტუმარი ვიყავით. თითო მსახურს ხელში ლანგარი ეკავა, რაზედაც

ქალღმერთში შეხვეული რაღაც იდო, რაიც თევზად მივიღე. ლანგრები ერთი წუთით დადგეს, მერე შემოვიდნენ და ისევ გაიტანეს: ჩვენს წინ მხოლოდ ცარიელი მაგიდები დარჩა, კედლისაგან საგანგებოდ ჩვენთვის გაკეთებული. „ოჰო, არც თუ დიდად პატრიარქალური ადათი ჰქონიათ, ნეტავ რას ნიშნავს-მეთქი?“ — ვიფიქრე გულში. „ეგ ჩვენებური ადათია, — გვითხრა ბერიკაცმა, — ამ ლანგრის შემოტანა და მყისვე გატანა სიამტკილობის სიმბოლოს წარმოადგენსო“. თურმე თევზი კი არ შემოუტანიათ, როგორც მე მეგონა, ლანგარზე რაღაც ზონარი იდო, წელას რომ მოგავდა. ჯერ ზღვის ბალახად ჩავთვალე, მაგრამ რომელიღაც ლოკოცინას აპკი ყოფილა, რითაც ის კლდეებს ეკრობა ხოლმე. ჰოდა, იმათში ეს სიმბათიის, ერთგულების, სიტყვასიტყვით რომ ვთქვათ, „მიწებების“ სიმბოლო გახლავთ.

კვლავ ექვსი მსახური, ექვსი ვაჟკაცი შემოვიდა-მეთქი, ვიტყვოდი, როგორც ზღაპრებს სჩვევია, თუ რომ ვაჟკაცობის ნატამალი სცებოდათ. ღმერთმანი, ბევრს არ მოვიტხოვდი და ცოტაზეც ყაბულს ვიქნებოდი, რომ მთელ ამ კრებულში ვაჟკაცური სილამაზე, როგორც ჩვენ გვესმის, ვისმე ჰქონოდა. კიდევ ბერიკაცი სჯობდა ყველას, სიბერის, ჭკუისა და სიკეთის მადლს იმდენი მომხიბლაობა მიენიჭებინა. მეორე რწმუნებულიც მოგივიდოდა თვალში ჭკვიანური და თამამი გამომეტყველების წყალობით და არც ოვოსავა დაიწუნებოდა, სახეზე იღუმალი ფიქრი და გრძნობა რომ ეხატებოდა, თუმცა ამ გრძნობას ჩვენი სიძულვილი უფრო დაერქმეოდა. დანარჩენებისთვის ნეტამც არ გვეყურებინა. ეინოსკესაც არა უშავდა რა, ისიც იმიტომ რომ ევროპელს ჰგავდა და სახეზე ფიქრის და განათლების კვალი აჩნდა. მაგრამ ღმერთო, რა დღეშია ეინოსკე და კიჩიბე! ორთავე ჩვენსა და რწმუნებულს შუა იატაკზე განრთხმულან მეძებარი ძაღლებივით და... გგონიათ საკმელად მომზადებულან? არა, სათარგმნელად.

ამასობაში მსახურები ყოველ სტუმარს წითელი ხის გალაქულ სადგრებს ურიგებდნენ, მანდილოსანთა ფეხსადგამი სკამის ოდენას. რომ მოგიტანდნენ, პატივისცემის ნიშნად ჯერ თავამდე ასწევდნენ, მერე მუხლებზე დაეცემოდნენ და მარჯვედ, ნელა დაგიდგამდნენ წინ. ექვსჯერ მოგვეახლენ მსახუ-

რები და ექვსი სადგარი ჩამოგვირიგეს. მაგრამ ჯერ ხელი არავის უხლია საქმელისთვის. სადგარი ხის გალაქული, ჩაის ფინჯნების მსგავსი ჯამებით იყო გაჭედილი; ყოველ ჯამს ხისავე ლამბაქი ეხურა. ლურჯი ფაიფურის ჩვეულებრივი ფინჯნებიც ელაგა, საქმლით სავსე და კიდევ პატარა ჭიქებით სოიაც დაეწყოთ, თან ორი ჩხირიც მოეყოლებინათ.

„მაშ უსადილოდ დავრჩენილვართ-მეთქა“, — ვფიქრობდი ამ სწორი, თეთრი, თითქმის ბლაგვი ჩხირების შემყურე, რომლითაც ვერც რბილსა და ვერც მაგარ საქმელს ვერ აიღებდი. ნეტავ რითი უნდა ვქამოთ? ჩემს მეზობლად მჯდარი უნკოვსკიც, ეტყობა, იგივე ფიქრს შეეპყრო. ან იქნებ შიმშილმა აიძულა, რომ ორი ჩხირი ხელში აეღო და ნაღვლიანად დაჰყურებდა მათ. რწმუნებულებს გაეცინათ და, როგორც იქნა, სადილის დაწყება გადაწყვიტეს. ამ დროს კვლავ შემოვიდნენ მსახურები, თითოეულს ლანგრით ვერცხლის კოვზი და ჩანგალი მოჰქონდა ჩვენთვის.

„იმის დასამტკიცებლად, რომ რაც მორთმეულია, ყველაფრის ჰამა შეიძლება, პირველები ჩვენ დავიწყებთ, — გვითხრა ბერიკაცმა. — არ ინებებთ, ფინჯნებს თავი გადახადოთ და რაც გეამებათ, მიირთვათ?“

„ნეტავ ამ ჯამში რა იქნება-მეთქი?“ — გადავუჩურჩულე ჩემს მეზობელს და ჯამს თავი გადავხადე: შიგ მოხარშული, უმარილო ბრინჯი აღმოჩნდა. მარილი და პური კი არსად ჩანდა.

ჯამი ცოტა ხანს ასე მეჭირა ხელში და მერე ისევ დავდგი. „ამაში რა უნდა იყოს?“ — ვიფიქრე მეორის გადახდაზე: შიგ რალაც მუჭი კერძი ჩაესხათ; კოვზით გავსინჯე — გემრიელი იყო, ჩვენ ჰარხალს წაავადდა და მწვანის ძირებიც ჩაეხარშათ შიგ.

„ბრინჯს ჩვენ ყველა კერძს ვატანთ, — შეგვნიშნა მეორე რწმუნებულმა, — ვინმე გამოცვლას ხომ არ ინებებს, თუკი ჯამში უკვე გაუცივდა?“

განიერი, მრგვალი სახის პატრონი ცერემონიალმაისტერი, მიჰყლეთილი, ოდნავ აპრეხილი, ნოღა ცხვირი რომ ჰქონდა, რწმუნებულების ამალღებული ადგილის გვერდით იდგა და მსახურებს თვალით და ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით აძღვედა განკარგულებებს.

ენოსკეს უკან ორი მსახური ჩაცუცქულიყო, ერთს ჩაი-
დანი ეკავა, მეორეს ხის გალაქული ტოლჩა, ცხელი ბრინჯით
სავსე.

ამასობაში ჩვენ ერთი ფინჯნიდან მეორეზე გადავდიოდით
და ერთმანეთს ხამუშ-ხამუშ გადავულაპარაკებდით მხოლოდ.
პოსიეტმა ხმადაბლა მითხრა: „გასინჯეთ ერთი, ლურჯ ფინ-
ჯანში კიბორჩხალების რა გემრიელი ვინეგრეტია. მგონი, გა-
ხეხილი თევზი თუ ქვირითი მოუყრიათ; მწვანელიც აქვს და
კიდევ რაღაც“. — „უკვე გაიხელით, — მივუგე მე. — უმი თევ-
ზი არ გაგისინჯავთ?“ — „არა, აბა, რომელია?“ — „აგერ,
წვრილ ნაჭრებადაა სიგრძეზე დაქრილი...“ — „ეგ იყო უმი
თევზი? ნახევარი თითქმის გავათავე!“ — თქვა და სახე დაელ-
რიჯა.

მეორე ფინჯანში თევზის კერძი იყო, ჩვენებურ სალიანკა-
სავით. მეხუთე თუ მეექვსე ფინჯანს რომ გადავხადე თა-
ვი, — შიგ წყალივით სუფთა, კამკამა ბულიონში თევზის პა-
ტარა ნაჭერი ვნახე მოტივტივე. ვიფიქრე, უხა იქნება-მეთქი,
და ოთხიოდე კოვზი მოვხვრიბე, მაგრამ უგემური მეჩვენა. ის
მართლაც ცხელი წყალი იყო და მეტი არათფერი.

ჩემი მეზობელი ჩხირებით ჭამას ეძალებოდა, ასე რომ
მის შემყურე იაპონელებს არა ერთხელ მოკვვარა ღიმი,
თუმცა არც ჩვენ ვიყავით ნაკლებ სასაცილო. არა ერთხელ
მიიფარეს იაპონელებმა სახელო პირზე, ჩვენ რომ ეჭვით ჩა-
ვაშტერდებოდით საქმელებს და მერე უნდობლად ვუსინჯავ-
დით გემოს. მხოლოდ მე მესამე ფინჯნის შემდეგ გასინჯვას
თავი ვანებე და ყოველგვარი ანალიზის გარეშე გაიხელით და-
ნარჩენი სულ იმ ერთი კოვზით, პური არ მქონდა და ძალაუ-
ნებურად ბრინჯს ვაყოლებდი. ის კი მახსოვს, რომ შემწვარი
თევზი იყო, მოხარშული ხამანწკები, თუმცა იქნებ სიპინაც
იყო და გემოთი ჰგავდა მხოლოდ ხამანწკას. ო. ა. გ[ოშკევიჩმა]
მითხრა მერე, ტრეპანგიც მოგვართვესო; რაღაც შავი, ნაზი,
ლორწოიანი კი ვჭამე, ოღონდ ვერ ვიტყვი, რა ერქვა. ტკი-
ლიც მომხვდა პირში, მგონი, მსხალი უნდა ყოფილიყო, წითე-
ლი და ტკილ საწებელმოსხმული, მერე მუავეც და მწნილიც
შევახარამუნე: მუავე — ზამთრის ბოლოკი გამოდგა, იაპონე-
ლებს მარილის მაგივრობას რომ უწევს. ლურჯ ფაიფურის
ფინჯანში რაღაც ცომი ჩაეზილათ, ტაფამწვარის გემო დაპ-

კრავდა, მოხარშული სტაფილოც ერია. შემდეგ ცხელ წყალში იხვის ფრთა და მოხარშული მწვანილი ცურავდა.

სადგრის უკან ყველა სტუმრის წინ კიდეც ერთი ცალკე სადგარი იდგა, ზედ მთლიანად შემწვარი თევზი იდო, თავი და კუდი ზემოთ აპრეხოდა. რა ხანია მის მოჩოჩებას ვაპირებდი და ხელიც წავუწვდინე, მაგრამ მეორე რწმუნებულმა დაძინა-ხა. „ეს თევზი თითქმის ყოველ სადილზე შემოაქვთ, — მითხრა მან, — ოღონდ არავენ ჭამს; სტუმარს კანფეტებთან ერთად შინ უგზავნიანო“. ერთი ხეირიანი კერძი აღმოჩნდა და იმასაც არ ჭამენ! გული არ გააწყალა სწორედ ამ ემბლემებმა და სიმბოლოებმა!

მსახური ყველას მოგვადგებოდა და ხელს გამოგვიშვერდა: მეგონა, ცარიელი ფინჯნების გამორთმევა უნდა-მეთქი და სამი მივაწოდე. იმან კი ერთი წუთის შემდეგ იმავე კერძებით გავსებული მომიტანა. რა უნდა მექნა? ვიფიქრე, ვიფიქრე და ისევ ჭამას შევუდექი, მოხარშული თევზიც მეორედ უნდა მიმერთმია, რომ ჩემმა მოსაუბრეებმა ჭამა შეწყვიტეს და მეც მოვისვენე. მასპინძლებს ძალზე ეამათ ჩვენი ჭამა-სმა: ბერიკაცი ტკბილად შემოგვეყურებდა ყველას და ჩემი მეზობლის ჩხირებით ჭამის ცოდვილზე გულიანად ხითხითებდა.

სადილის დასასრულს მსახურებმა აქაფქაფებული ჩაიდნები შემოიტანეს. ცნობისწადილით ატანილები შევეყურებდით, ნეტავ რა არის-თქო. „ახლა საკი უნდა მიირთვათო“; — გვითხრა ბერიკაცმა. მსახურებმა წითელ, თითქმის ბრტყელ გალახულ ჯამებში ჩაგვისხეს გამთბარი სასმელი. თითო ფინჯანო შევსვით. სხვა ხორაგთან ერთად წინათაც ამოგვიტანეს ხომალდზე რამდენიმე დოქით ეს სასმელი. მაშინ არ მოგვეწონა. გამთბარი უკეთესი ყოფილა: გემოთი ძალადაკარგულ რომს მოგვაგონებს. საკი ბრინჯისგან გამოხდილ ღვინოს წარმოადგენს. მერე ისევ შეგვივსეს ჯამები. უარი დავაპირეთ, მაგრამ ბერიკაცმა გვითხრა, სამი უნდა დალიოთო. ჩვენც სამჯერ დავლიეთ და ჩვენმა მასპინძლებმაც. სადილობის დროს წამდაუწუმ ცხელ ბრინჯს გვიმატებდნენ. საკის შემდეგ ისევ მოიტანეს აქაფქაფებული ჩაიდანა. მეგონა, ისევ საკი იქნება-მეთქი. ბერიკაცმა კი შემოგვთავაზა—ახლა „ცხელ წყალს ხომ არ დააყოლებთო!“ მასხრად ხომ არ გვიგდებენ?

ნახეს რაღა ნუგბარი! „არ გვინდა-თქო“, ვუპასუხეთ ჩვენ. მაგრამ მერე გავიფიქრე, თუ იაპონურ სადილს მიირთმევ, ბარემ მთელი ეშხიცი უნდა გაიგო-მეთქი და ცხელი წყალიც გავსინჯე: ისეთივე უგემური გამოდგა, რუსულ სუფრაზეც რომ გამესინჯა. „მაშ, ბრინჯს ცხელ წყალს ხომ არ მოასხამთ და არ მიირთმევთ?“ — შემოგვთავაზა ისევ ბერიკაცმა. ამაზე უარი განვაცხადეთ. ორმა რწმუნებულმა კი თავისი ბრტყელ-ძირა ჯამები მიაწოდეს, მღულარეთი გაივსეს და შესვეს, წყურვილს ცხელი წყლით ვიკლავთო, აგვისხნეს ასე.

მასპინძლებმა დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. უკვე დროა, მათი სახელებიც მოგახსენოთ: ბერიკაცს ტსუტსუი ხიზე-ნო-კამი-სამა ერქვა, მეორეს კავაძი სოიემონ-ნო-კამი... თუმცა კამი კი არა, ძიო-სამა, მაგრამ ეს სულ ერთი გახლავთ: ძიო და კამი ერთნაირი ტიტულებია, მესამეს ალაო ტოსანო-კამი-სამა; მეოთხეს... დამავიწყდა მისი სახელი, მერე გეტყვით. თუმცა ეს ორი უკანასკნელი მხოლოდ რიცხვისა და წონის მისამატებლად უფრო გამოეყოლებინათ, სინამდვილეში სულ თავდახრილები ისხდნენ და ორი უფროსი რწმუნებულის ლაპარაკს უხმოდ ისმენდნენ, იქნებ არც ისმენდნენ და მხოლოდ ისე ისხდნენ.

ნასადილევს ჩაი მოგვართვეს, რაღაც ორიგინალური სურნელი ასდიოდა; ძირზე მიხაკის კაკალი დავინახე — რა ბარბაროსობაა, ისიც ჩაის ქვეყანაში!

ბერიკაცი ტკბილ მზერას არ გვაშორებდა და ღიმილს არ გვაკლებდა.

„ჩვენ მრავალი ასეული, თქვენ კი მრავალი ათასეული ვერსი გამოიარეთ, — დაიწყო მან ჩიფჩიფით, — თავის დღეში ერთმანეთი არ გვინახავს, ასე ვიყავით მოწყვეტილები მანძილით, ახლა კი ერთმანეთს გავეცანით, ვსხედვართ, ვმუსაიფობთ, ერთად ვსადილობთ. რა უცნაურია და თან რა საამო!“ ჩვენ ყველანი ამასვე ვგრძნობდით და აღარ ვიცოდით, როგორ გადაგვეხადა მადლობა ამ გულთბილი სიტყვებისათვის. ჩვენც იგივე ფიქრები აგვშლოდა, ასევე უცნაურად გვეჩვენებოდა ეს დაახლოება. მე განვაცხადე, რომ ზოგიერთი კერძი ევროპულს მაგონებდა, რომ იაპონელებს ვითარცა რიგიან ხალხს, საჭმელების ყადრი და ფასი სცოდნიათ. მართლაც, თეთრი

საწებლით შემზადებული თევზი დიახაც ჩინებული საკმელა იყო. პურიც რომ მოეტანათ, მართლაც მშვენივრად დანაყრდებოდა კაცი. უპუროდ კი რაღაც უცნაური გრძნობა გებადებოდა: გამძლარი არ ხარ, ოლონდ ჰამა მეტი არ შეგიძლია. ნასადილევს ჩვეულებისამებრ თვლემა კი არ გერევა, ფიქრი გიპყრობს. რომ გაეიხსენე, რას წერდნენ იაპონურ სუფრაზე. და სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, საქმელებს სასაქმებელ ზეთზე აკეთებენო, ბევრი ვიცინე. წარმოიდგინეთ, ისინი მცენარეულ ზეთსაც იშვიათად ხმარობენ, იმასაც მხოლოდ ბოსტნეულში; დანარჩენი წყალზე ითუშება ან იხარშება, ცოტაოდენ საკსა თუ სოიას შეურევენ მხოლოდ. ისიც ვუთხარი მასპინძლებს, რომ ჩვენში უკიდურესი აღმოსავლეთის ხალხებიდან აღწერილობით იაპონელები ითვლებიან პირველ ადგილზე, დახვეწილი ჩვევებისა და ცხოვრების წყალობით, რაშიც ახლა ჩვენი თვალთ დავრწმუნდით-თქო.

როგორც იქნა, დამთავრდა სადილი. ყველაფერი გაიტანეს და ხუთიოდე წუთის შემდეგ ჩაი და კანფეტები მოგვართვეს, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ყუთებით. შიგ ყანდისგან დამზადებული ბამბუკის რტოები, ბაფთები, გულეები და თევზიც იყო, დიდკაციდან მოყოლებული მათხოვრამდე იაპონური სუფრის აღფა და ომეგას რომ წარმოადგენს, შემდეგ რაღაცნაირი გახეხილი მუხუნდო, შაქრის ფხენილით მოყრილი და ბრინჯის კანფეტები.

როცა ბოლოს ესენიც გაიტანეს, ადმირალმა თქვა, რომ სურს რწმუნებულებს ორი კითხვა მისცეს იმ საქმის თაობაზე, რამაც აქ ჩამოიყვანა, და სთხოვეს, პასუხი დღესვე გასცენ. ბერიკაცმა ქაღალდის დასტა ამოიღო, მუყაითად მოახია ერთი, ცხვირი მოიხოცა, ქაღალდი სახელოში შეინახა და მერე სათნოდ განაცხადა, რომ იაპონური ადათის მიხედვით პირველ გაცნობის დროს საქმეზე ლაპარაკი არაა მიღებული, რომ ზრდილობა და სტუმარმასპინძლობის კანონებიც ამას მოითხოვს. ადმირალმა შენიშნა, რომ ეს სრულიად არ შეუშლის ხელს ჩვენს შორის დამყარებულ მეგობრობას; რომ ეს კითხვები სულაც არ მოითხოვს თავსამტერევე პასუხს, უბრალოდ ორი სიტყვით ითქმება, ან ჰო, ან არა. ვამჩნევდით, რარიგ ეზარებოდათ იაპონელებს საქმეზე ლაპარაკი. საერთოდ, დიდ-

კაცობასა თუ წვრილფეხობას ნასადილევს მეტწილად შორის-
დებულებით უფრო სჩვევიათ აქ საუბარი, რის გადმოცემაც
სიტყვებს არ ძალუძს. ყოველ კუთხეში ბოყინი ისმოდა. საქ-
მეზე ლაპარაკი უზრდელობად ითვლება, ეს კი არაფრად მი-
აჩნიათ!

ადმირალი დაყაბულდა, ეს ორი კითხვა წერილობით გამო-
ეგზავნა მეორე დღეს, ოღონდ იმ პირობით, რომ საღამოსვე
შემოეთვალათ პასუხი. „აბა, როგორ დაგპირდეთ, როცა არ
ვიცი, რა კითხვებიაო?“ — თქვეს იაპონელებმა ამაზე. ჩვენ
ვიცი, რა კითხვებია და ვიცი, რომ პასუხის გაცემა შეიძ-
ლებათ, უთხრეს მათ. იაპონელებმა აღგვითქვეს, რაც შე-
საძლებელია, გავაკეთებთო, და მეგობრულად დაგშორდით
ერთმანეთს.

ფრეგატზე მუსიკით და ისეთივე წესით დავბრუნდით,
როგორც წამოვედით. ისეთივე მოწმენდილი, თბილი დარი-
ღგა. ნავმისადგომისკენ მიმავლები გზადაგზა ფარდების შიგ
ვიჭყიტებოდით. დავინახეთ ვიწრო ქუჩა, ჩია ხეები და მი-
მალული ქალები. „კარგსაც შერებიან, რომ იმალებიან ეს
შაკვბილა დიაცებო!“ — იძახდნენ ზოგიერთები. „კატა ვერ
შესწვდა ძეხვსაო“, — იტყვიან თქვენ. ქალები მართლაც შავ-
კბილა გახლავთ. მხოლოდ გათხოვებამდე ინარჩუნებენ ბუნებ-
რივ, თეთრ კბილებს, გათხოვების უმალ რალაც ნივთიერებით
იშავებენ.

ფადეევმა, რომელიც სხვა მსახურებთან ერთად გვახლდა
სტუმრად, მითხრა, რომ მათაც ამჯერად კარგად გამასპინ-
ძლებოდნენ. „რა მოგიტანეს-მეთქი?“ — „წითელი და თეთრი
ფლავი; მაგრამ რა, თქვენო მ[აღალკეთილშობილებავ], სულს
წაგანთხევივსო“. — „ვითომ რატომ?“ — „იმიტომ, რომ თვე-
ზი კისელივით იყო, მარილი არ გააჩნდა და არც პური მოგვი-
ტანესო!“

ფრეგატზე მისულებს ფეხდაფეხ უამრავი ნავი მოგვყვა,
უფროსმა მოხელემ გვკითხა, კმაყოფილები ვიყავით თუ არა:
მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო, თორემ სინამდვილეში დავა-
ლებული ჰქონდა ჩვენი გაცილება და მერე იმის მოხსენება,
ფრეგატზე თუ უვნებლად მიგვიყვანა. ჩვენ რომ რაი-
მე უბედურება თუ უსიამოვნება შეგვემთხვეოდა გზაში, ვაი მის

დღეს და მოსწრებას, თუნდაც გამცილებელი არაფერ შუაში ყოფილიყო.

ერთი საათის შემდეგ კაიუტები ყუთებით გაივსო: ერთ დიდ ყუთში ჩვენი ძველი ნაცნობი თევზი აღმოვაჩინე, სადილად რომ მოგვართვეს, მეორეში ტკბილი, მეტად გემრიელი პური, მესამეში კანფეტები. „თევზი აქედან მომავორე-მეთქი“, — ვუთხარი ფადევეს. სალამოს ვკითხე, რა უყავი-მეთქი. „მე და ჩემმა ამხანაგებმა გიახელითო“, — მითხრა. „მერე კარგი იყო?“ — „ცოტა კი ჰყარდა, თორემ ისე რა უშავდაო“.

მეორე დღეს, 1854 წლის 1 იანვარს, ეინოსკე გვეწვია ხვალინდელ დღეზე შესათანხმებლად. ყველა საზეიმოდ მორთული რომ დაგვინახა, გვკითხა, რა მოხდაო. ახალი წელი დადგა-თქო, ვუთხარით. ეინოსკემ მოგვილოცა. შამპანური გამოვატანინეთ, რომელსაც, მგონი, ფრიალ ეტრფიალებდა. ისა და მასთან ერთად მოსული ბანიოსები ცოტა შეზარხოშდნენ: ბანიოსებს სახე წამოუჭარხლდათ, ეინოსკე კი ინგლისური, ჰოლანდიური და ფრანგული ენების ნაგასაკის კილოსთან შეზავებით ბოდიშს გვიხდიდა, ბევრი დავლიეო. ამის დასამტკიცებლად თავისი ძაღლის სარჩულიანი მოსასხამი დაავიწყდა ჩვენსა. შამპანურს ამერიკელებთან დაჩვეოდა, მერედა რა მალე: იმათ ხომ მხოლოდ ექვსი დღე დაჰყვეს აქ!

გრილა: შუაგული ზამთარი დგას და მხოლოდ ექვსი გრადუსია სითბო. ცა მოწმენდილია, მთვარიანი ღამეებია; წყალს ძალუმ აბრჭყვიალებს. საერთოდ, თუ აქამდე განცდილით ვამსჯელებთ, ნაგასაკი კლიმატის მხრივ მთელს დედამიწაზე დალოცვილი ადგილი ყოფილა. ზომიერი ამინდი სცოდნია: თუ ჩრდილოეთის ქარი ქრის — მოწმენდილი ამინდია და გრილა, თუ სამხრეთის — წვიმს. მაგრამ ჩვენსობას უფრო ხშირად უღრუბლო ამინდი იდგა.

ხვალინდელი დღესასწაული არ შემდგარა, თუმცა კი ჯერ არნახულ და არგაგონილ ზეიმს ვაპირებდით. ზეიმი ესე ფრიალ მნიშვნელოვან ამბავს წარმოადგენს, რომელიც ადასტურებს, რაოდენ ყოვლისშემძლეა დრო და ვითარება. განა ამ ცოტა ხნის წინათ არ იყო უკიდურესი აღმოსავლეთის ხალხებს, განსაკუთრებით იაპონელებს, ძაღლზე ნაკლებ არ მივანდით? ჩვენთან საერთო არაფერი სურდათ, გვიუცხოვებდნენ, არ გვიკა-

რებდნენ? გუბერნატორმა მოინდომა, ჩვენც ესოდენ... ქედ-
მალღურად, თუმცა ზრდილობა რომ არა, უფრო სწორი იქნე-
ბა ვთქვა, სულელურად მივიღეთ: ახლა კი ოთხი ბობოლა
იაპონელი მოხელე აქეთ აპირებს ჩვენთან სტუმრად მოსვლას!
მგონი, მსგავსი არაფერი მომხდარა თავის დღეში იაპონე-
ლებისა და უცხოელების დამოკიდებულებაში! ორი დღით
გვთხოვეს გადადება და შეპირებული ხუთშაბათის ნაცვლად
კვირას დათქვეს მოსვლა. რალაც უქმე ჰქონიათ და იმიტომ
გადაუდვიათ.

ჰო, ეინოსკე, სხვათა შორის, ხაგივარის მოჰყვა სალუტის
თაობაზე ახსნა-განმარტებისთვის. გვეგონა, შეხვედრისას
გვეტყოდნენ ამაზე რასმე. მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ: მას-
პინძლებმა სტუმარ-მასპინძლობის კანონს პატივი დასდეს.
სამაგიეროდ, ხაგივარი ახლა გვეწვია გუბერნატორის საყვე-
დურით სალუტის გამო. ჯერ ხუმრობით ვუპასუხეთ, მერე
ვუთხარით, თქვენ ხომ გადაჭრით არ გითქვამთ უარი სალუტ-
ზე, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ თანახმა იქნებოდით და ჩვენ
თავს ვუსალუტეთ-თქო. ძალიან გვთხოვეს, ზარბაზნები აწ
აღარ გვესროლა. „ახლა საბაბიც არ გვაქვს — და არც ვის-
ვრით, თუკი რწმუნებულები თვითონ არ მოინდომებენ სა-
ლუტსო“, — უპასუხა პ[ოსიეტმა]. — „არ მოინდომებენ,
არაო!“ — კვერი დაუკრეს მათ. „თუ სხვა ადმირალი ჩამოვი-
და, — იკითხა ეინოსკემ, — მაშინ კი ისვრით?“ — „არა გვეგონია,
აქ რომელიმე ადმირალი ჩამოვიდეს, ამიტომაც სროლას არც
ვაპირებთო“, — უპასუხეს მას.

მგონი, იმათ უფრო სხვა რამის გამოტყუება ეწადათ ამ
კითხვით: ინგლისელები მოვლენ თუ არაო? ერთხელ კიდევ
გამოთქვეს იაპონელებმა ვარაუდი, თქვენ ალბათ ფეხდაფეხ
სხვა ერებიც მოგყვებიან, ვაჭრობაზე მოსალაპარაკებლად
დაო.

ახალი წლის საღამოს, როცა ყველანი უკვე დასაძინებლად
დაწვნენ, ორი მოხელე მოგვადგა, რწმუნებულებისგან გამოგ-
ზავნილები, და ორი მეორეხარისხოვანი თარჯიმანი მოიყო-
ლიეს, სიოზა და ლიოდა. ადმირალის ორ შეკითხვაზე პასუხი
მოეტანათ. კ. ნ. პ[ოსიეტს] ეძინა; გემბანზე მე გავედი მათ
შესახვედრად. წერილში ნათქვამი იყო, რომ რწმუნებულები

ახლა ვერაფერს უპასუხებებს ამ კითხვებზე, მათ რუსეთიდან გამოგზავნილ წერილზე უზენაესი საბჭოს პასუხი აქვთ ხელთ და აღმირალი იმას რომ წაიკითხავს, იქნებ ამ კითხვებზე პასუხიც არ დასჭირდესო. სხვა რა გზა გექონდა, უნდა მოგვეცადა.

ევროპულ ხომალდებზე უჩვეულო სტუმრების დასახვედრად მზადებას შევუდექით. რამდენი დავიღარაბა, რამდენი ფიქრი და თავისმტვრევა მოგვიხდა ამ ორი დღის მანძილზე! ყველა სტუმარი ერთად რომ აგვეთქვიფა და ერთ სუფრაზე დაგვესვა ევროპული წესის და რიგის მიხედვით, არ შეიძლებოდა. აქ ისე მკაცრად იცავენ წოდებათა განსხვავებას, ამის უგულველყოფით სწორედ მტრებს გავიჩენდით. საერთოდ, იაპონელებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს კაცი, მით უმეტეს რომ ზრდილობა და ზრდილობის კანონები მათში დიდ მეცნიერებად ქცეულა, რამეთუ სხვა რამ არ გააჩნიათ რა ჯერხნობით. როდის იყო, გვალტიერი რომ წერდა იაპონელებზე, ჩვენი ზრდილობა იქ უზრდელობად ითვლება და პირიქითო. მაგალითად: სტუმარს ჩვენ ზეზე ვხვდებით, ისინი მჯდომარეო. პატივისცემის ნიშნად ჩვენ ქუდს ვიხდით, ისინი ფეხსაცმელსო. გარეთ რომ გამოვდივართ, ჩვენ პალტოს ვიცვამთ, ისინი განიერ შარვალს ან ქვედაწელსო, ხოლო სტუმრად რომ შევლენ, იხდიანო. (ჩვენთან მოსვლისას იაპონელებს ქვედაწელი არ გაუხდიათ: ნეტავ ხომ არ შეცვლილა იაპონიაში ეს ადათი გვალტიერის შემდეგ?) ჩვენი ქერა თმა და თეთრი კბილები იმათ ზიზღსა ჰკვრივთ; იაპონელი ქალები კბილებს რაც შეიძლება იშავებენ; იქნებ თმებიც შეეღებათ შავად, თუ რომ ისედაც ნახშირივით შავი არ ჰქონოდათო. ჩვენი ქალები ფეხში მდგომარეობაში, როგორც ზოგიერთები ეძახიან, განიერ ხალათებს იცვამენ, მათი ქალები შემოტმასნილ სამოსს ატარებენ. მოლოგინების შემდეგ ჩვენში დედასა და ჩვილს თბილი წყლით ბანენ (მგონი, ასეა არა?) იმათში ცივია მიღებულიო. არ ვიცი, ამ წინააღმდეგობების დასახველებისას გვალტიერმა ნეტავ ის ამბავიც რად არ ახსენა იქვე, რომ სადილზე ისინი საქმელს, როგორც

ზემოთ მოგახსენეთ, ცხელ წყალს აყოლებენ, ჩვენ კი ცივს. იქნებ ესეც ახალი შემოღებული აქვთ?

ღიახ, ეს ყოველივე ასე გახლავთ: პარალელის გავლება კიდევ ბევრის შეიძლება. მე, მაგალითად, ერთხელაც არ მინახავს იაპონელი წელგამართული დადიოდეს ან იდგეს, უთუოდ ნახევრად მოკუზულია, ხელები მუდამ მუხლებზე უწყევია და თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ვინმე ისეთი ხომ არ ჩანს, თაყვანი ვცეო. რა წამს თავის დარს და ტოლს დაინახავს, მყის მუხლები მოედუნება, თითქო ბოდის იხდის, ფეხები რომ აბია, მერე სწრაფად მოიხრება, თითქო წელში გადატყდაო, ხელებს მუხლებზე გასკიმავეს და რამდენიმე წუთს ამ ყოფაში გაშემდება; შემდეგ უცბად გასწორდება, ისევ მოიხრება, და ასე სამჯერ ან მეტჯერ გააკეთებს. ხანდახან ორი იაპონელი ოუ შეხვდა ერთმანეთს და გაჩერება ან ლაპარაკი არ სჭირიათ, ამ მდგომარეობაში, ე. ი. მოდუნულები გასწორდებიან ერთმანეთს. იაპონელი მსახურებიც ნახევრად მოხრილები, მუხლებზე დალაგებული ხელისგულებით დარბიან, ვინძლო, თუ დასკირდათ, იატაკზე გართხმა არ დააგვიანდეთ. წარჩინებული გვამის დანახვაზე იაპონელი უმალ ეცემა იატაკზე, ქუსლებზე ჩაიცუცქებს და მიწამდე ეთაყვანება. რწმუნებულებსაც კი თავი მუდამ ქვემოთ ედრიკებათ: თავჩაკიდულნი სხედან, რამეთუ უზენაეს პირთა წინაშე ისინიც ჩვეულნი არიან ძირს განრთხმას. აქ, ნაგასაკში, რა თქმა უნდა, ამაში გარჯა არ სჭირდებათ, მაგრამ ედოში კი?

4 იანვრის დილას ფრეგატმა საზეიმო იერი მიიღო: გარეცხილ, სილითა და კენჭებით გახეხილ გემბანს, თუმცა მე კი ამ ამბავმა ღამით ძილი გამიფრთხო, თეთრად გაუდიოდა ქათქათი; სპილენძის ნაწილებს ბრჭყვიალი გაჰქონდა მზეზე; გემსართავები ღამაზ ბოღაზებად დაეწყოთ, ერთ ასეთ ბოღაზში ყველა ჩვენგანის ნებიერი კატა ვასკა მოკალათებულყო. ყველა მოირთო და მოიკაზმა. იუტზე სასიგნალო აღმებისგან კარავი მოაწყვეს, შიგ ხალიჩებისგან დასაჯდომი გაუკეთეს ოთხ რწმუნებულს, მათ ამაღას კი სკამები მოუმზადეს. აღმირალის ისედაც მდიდრულად მორთულ კაიუტაში რწმუნებულებს ასეთივე დასაჯდომი მოუწყვეს საგანგებო მაგიდასთან. მეორე მაგიდა აღმირალისა და მისი ამაღის სამი კაცისთვის

იყო განკუთვნილი. ერთ პატარა მაგიდაზე, განცალკევებით, იაპონელების ცერემონიალმაისტერი მოთავსდებოდა. თარჯიმნებს ორი სკამი გაუმზადეს, თუმცა ვერც ზედ დაჯდომა და ვერც სადილობა ვერ გაბედეს, იატაკზე იყვნენ ჩაცუცქულები.

11 საათზე ბანიოსები მოგვადგნენ და საჩუქრები მოიტანეს, რწმუნებულებს რომ აღმირალისთვის გამოეგზავნათ. ყველაფერი უბრალო ხის ყუთებში ეწყო, ყუთები კი ხისავე სადგრებზე დაედგათ, ფეხიან ტახტრევენებს რომ ჰგავდა. ასეთი სადგრები ნაწილობრივ ჩვენებურ მაგიდების მაგივრობას უწევთ. იაპონელებს კადნიერებად მიაჩნიათ საჩუქრების იატაკზე დადგმა. ყოველ ყუთზე ქაღალდში შეხვეული კვლავ „მიწებების“ სიმბოლო იდო.

მერე რა საჩუქრები გამოეგზავნათ, კაცი თვალს ვერ მოწყვეტდა. ერთს შავი გალაქული ზარდახშა მოერთმია, ზედ ოქროთი იყო ამოხატული ტაძრები, ფანჩატურები, მთები, ხეები. ლაქი საოცრად სქლად იყო დადებული, ამბობენ, რამდენიმე ათეულ წელიწადს სძლებსო, სარკესავით ლაპლაპი გაჰქონდა. ასეთ გალაქულ ნივთებს სხვაგან ვერსად შეხვდება კაცი. მეორე კოლოფი მოწითალო-მოოქროსფრო, ლაქში ჩამკვდარი ნაპერწკლებით იყო მოწინწკლული. ზარდახშაში ნაირნაირი პატარა ნივთები ელაგა: სასაკმეველე, იაპონელები რომ ქამარზე ატარებენ, და კიდევ ბევრი სხვა რამ. მეორეს ოქროთი გაწყობილი სამელნე მოერთმია, საწერი მოწყობილობა, ტუში, ფუნჯები, ქაღალდების დასტა და გაფერადებული ცვილის სანთლებიც მოეყოლებინა.

მაგრამ ყველაზე დიდებულ, ძვირფას საჩუქარს თავისი ღირსებითა და მნიშვნელობით ხმალი წარმოადგენდა. ხმლის ჩუქება მათში მეგობრობის უტყუარი ნიშანი გახლავთ. იაპონურ ხმლებს ამქვეყნად ვერცერთი ხმალი ვერ შეედრება. მათი გატანა სასტიკად იკრძალება. ხმლის პირს, თუ ეინოსკემ არ მოგვპტყუა, ჯალათი მისჯილებზე ცდის თურმე. ოსტატი ხმალს გაამზადებს თუ არა, პირდაპირ ჯალათს აძლევს, ის კი ამ ხმალს გამოცდის, რამდენი თავის მოკვეთა შეუძლია ერთად. ხოლო მოკვეთილი თავების რაოდენობას ოსტატი მერე ხმალზე ამოკრის ხოლმე. ამით ფასდება თურმე მათში ხმლის

ღირსება. ადმირალისთვის ბოძებული ხმალი, ეინოსკეს თქმით, სამ თავს გადაჭრის. იაპონელებისთვის ხმალზე ძვირფასი არა არის რა. ხმლის პირი მუდამ სარკესავით ლაპლაპებს, როგორც ამბობენ, ვერც დააორთქლებო. ეინოსკესთვის მეგობარს უჩუქნია ხმალი და მისი სიტყვით, ხუთასი წლისა იქნება.

მე არაფერი გამეგება ხმლებში, მაგრამ კავადის ბოძებულ ხმლის ლაპლაპითა და მოქედულობით თვალი ვერა და ვერ გავიძლე. ქარქაში, მგონი, ზვიგენის ტყავისა უნდა ჰქონდეს, უნდა დასაყვად ყველაფერი აბრეშუმში ამოუკერიათ. მოხუცმა ტსუტსუიმ ამ ხმალს ძვირფასი მორთულობა მოაყოლა, ზარნიში თუ სხვა. საჩუქარი ღირსშესანიშნავი გახლავთ, მით უმეტეს ჩვენი საქმის დასაწყისში! რწმუნებულებმა არა ერთხელ გადმოგვიკრეს, რომ ეს საჩუქარი იაპონიის დამოკიდებულებას გამოხატავს რუსეთისადმიო. ჰოდა, შესანიშნავს კიდევ უფრო იმიტომ წარმოადგენს, რომ საჩუქარი, ცხადია, მთავრობის დასტურითა და კიდევ ბრძანებითაა გამოგზავნილი, მისი ნებართვის გარეშე ხომ ვერც ერთი იაპონელი, ვინც არ უნდა იყოს ის, ვერც საჩუქრის გაგზავნას და ვერც მიღებას ვერ გაბედავს. ერთხელ ეინოსკემ ჩუმად უთხრა პ[ოსიეტს], თქვენმა მეზღვაურმა ერთ იაპონელს ცარიელი ბოთლი აჩუქაო. „მერე რა მოხდა?“ — უთხრა პ[ოსიეტმა]. — „ნება მომეცით, უკან გამოგვგზავნო, — შეეხვეწა ეინოსკე, — თორემ ვინც საჩუქარი მიიღო, ცუდი ღლე დაადგებაო“. — „მამ ადექით და წყალში გადააგდეთ“. — „არ შეიძლება: ჩვენ მოგიტანთ, თქვენ კი, თუ გინდათ, თვითონ გადააგდეთო“.

ხედავთ, რა ხალხია! რა სისტემა შეუქმნიათ ყოველნაირი კონტრაბანდისგან თავის დასაზღვევად! მოდი და ამის შემდეგ იმედი იქონიე, ვაჭრობა გააბა მათთან, გააქრისტიანო, გაანათლო, როცა შენობას ასეთი ცხრაკლიტული ადევს და გასაღები დაკარგულია? ნეტავ როდის ან რა გზით მოხდება ეს? რომ მოხდება, ეს გარღვეულია, ოღონდ არა მგონია მალე.

ჩინეთში უკვე დაიწყო ეს ამბავი და თავიანდაც გრძელდება. როცა შანხაიში მივიღოდი, მეგონა, ნანკინის ტრაქტატის თანახმად, გარკვეული საზღვრის იქით ევროპელი ფეხსაც ვერ გადააბიჯებდა, ჩვენ კი მთელი მისი მიდამოები მოვიარეთ და თითქმის პეტერბურგივით ვიცნობთ ახლა. რალაც

ათიოდე წელი გავიდა ჩინეთში ხუთი ნავსადგურის გახსნის შემდეგ — ევროპელებმა კი თითქმის მთლიანად დაისაკუთრეს ისინი. ყოველივე შეპარვით, ნელ-ნელა კეთდება. მაგალითად, ჩინეთში უცხოელებს ცხენით ერთი დღის სავალზე შეუძლიათ მხოლოდ შეღრმავება, ამერიკელ კონსულს კი შანხაიში, სადაც მთებში აქვს აგებული აგარაკი, ზღვიდან ოთხმოცი მილის დაშორებით. როცა პროვინციის გუბერნატორმა პროტესტი განაცხადა ამის თაობაზე, კონსულმა უპასუხა, რომ კათოლიკე მისიონერებს ამაზე შორსა აქვთ სხვადასხვა ადგილებში მონასტრები: ჯერ გუბერნატორმა ისინი გამორეკოს იქიდან და მერე აგარაკზე ისიც იტყოდა უარს. მისიონერების გამოძევება კი შეუძლებელ ამბავს წარმოადგენს, იმდენად ღრმად გაუდგამთ ფესვები. ჰონ-კონგში კათოლიკე ეპისკოპოსმა თქვა, რომ ჩინელთა შორის ხუთასი ათასამდე კათოლიკე ირიცხებაო. ყველანი ფარულად ექომაგებიან თურმე მისიონერებს, მთავრობის თვალთაგან მალავენ, თავიანთ მიდამოებში ასახლებენ და ყოველნაირად ეხმარებიან. უფროსობა მოსყიდული ჰყავდათ და მისიონერებიც აშკარად ეწვივიან თავიანთ საქმიანობას. გუბერნატორს სკოდნოდა მისიონერების ამბავი და კონსულის პასუხზე ამიტომ კრინტი აღარ დაუძრავს.

მეორედ გუბერნატორი იმავე კონსულს ჩააცივდა, ხომალდს რად ამზადებდა გასამგზავრებლად, რომელიც მეექვსე ნავსადგურში, ლამის თვით პეკინში, ისიც მგონი, ოპიუმით, როცა მხოლოდ ხუთი ნავსადგურიაო გახსნილი? „მაშ კუნძულ ჩუსანთან, — შეესიტყვა ისევ კონსული, — რომელიც ევროპელებისთვის არაა გახსნილი, ინგლისის ხომალდები რად დგას ამდენი ხანი? გარეკეთ ისინი და პეკინში აღარც მე გავგზავნი ხომალდებსო“. გუბერნატორმა, ცხადია, იცოდა, რად იდგა ინგლისის ხომალდები ჩუსანთან და ვერ გარეკა ისინი. ჰოდა, ამერიკული ხომალდი კიდეც წავიდა, სადაც აპირებდა.

ერთი შედეგათი რომ მისცა, გუბერნატორი იძულებული შეიქნა ათიც დაეშვა და ხმა არც ამოეღო, თორემ ხეირი არ დაეყრებოდა. კანონების პირველ დამრღვევს თვითონ ის წარმოადგენს. ევროპელები კი მეტად და მეტად შლიან ფრთებს, ასე რომ, ჰეკინში ამას მხოლოდ მაშინ შეიტყობენ,

როცა ისინი უკვე მის კედლებს მოადგებიან და როცა წყალ-დიდობასავით მოვარდნილ უცხო გავლენის ხელის შემშლად ძნელი იქნება.

თუმცა ეს ამბავი არც ისე მალე მოხდება სხვადასხვა მიზეზების წყალობით: ყველა სხვა ადგილებში მცხოვრებლები, სიზნანტით ხდება ეს თუ უვიცობით, ევროპელების მეურვეობას ადვილად ნებდებიან, და ისინიც მალე იწყებენ ხოლმე იქ ფარფაშს. ჩინელები, პირიქით, მეტწილად თვითონ არიან ვაჭრები, ინგლისელებსა და ამერიკელებს კიდევ სჯობიან ანგარიშაინობითა და სპეკულანტური ნიჭით, ასე რომ შინაურ ვაჭრობას ხელიდან არ გაუშვებენ. ამიტომაც ვერც ერთნი დ. ვერც მეორენი შიდა ჩინეთში ფეხს ვერ იკიდებენ და იქ არავითარი პირდაპირი ურთიერთობა არა აქვთ გაბმული. ვაჭრობა ჩინელი კომისიონერების მეშვეობით ხდება, რომლებიც ჩაის პლანტატორებისა და აბრეშუმის ფაბრიკის მეპატრონეებისაგან საქონლის შესასყიდლად დადიან ხოლმე ქვეყნის სიღრმეში.

თუ იაპონიასაც უწერია უცხოელებს ფართოდ გაუხსნას კარი, იქ კიდევ უფრო გაჯანჯლდება ეს ამბავი; ვინძლო ომიც გახდეს საჭირო. მაგრამ ამ მხრივაც ჩინეთთან შედარებით იაპონიას დიდი უპირატესობა გააჩნია. თუ რომ ევროპელებისგან სამხედრო ხელოვნება ისწავლეს და თავისი ნავსადგურები გაამაგრეს, მაშინ ყოველგვარი შესევა და თავდასხმა ვერას დააკლებს. მართო ღალატი თუ დაღუპავს მას: ე. ი. თუ ვინმემ მოახერხა შინა ომი ატეხოს შიგ, სამთავრო თავადები მეტროპოლიის წინააღმდეგ ააჯანყოს — აი, მაშინ კი დამარცხდება იაპონია. მაგრამ ვიდრემდის იაპონია თავის ახლანდელ სისტემას ჩასჰიდებია, უცხოელთა გავლენისგან თავი შორს უქირავს, მხოლოდ ცოტაოდენ დათმობაზე მიდის და თავისიანები ძველებურად შიშის კანკალში ჰყავს, უფლებას არ აძლევს ცარიელი ბოთლიც კი მიიღოს ნებართვის გარეშე, კიდევ დიდხანს იბოგინებს ის თავისი ძველი საწყისებით, დიდხანს იცხოვრებს ასე სადად და ზომიერად. ამჟამად კი შეიძლება ერთი დაკვრით გაანსნევირო კარი: იაპონია იმდენად სუსტია, ვერა ომს ვერ გაუძლებს. მაგრამ საამისოდ ინგლისელებივით მოქცევა უნდა გჩვეოდეს, ესე იგი, მაგალი-

თად, იაპონელთა ნავსადგურებში შეიჭრე, უკითხავად გადი მოხვიდე ნაპირზე, თუ გაგიძალიანდნენ, ჩხუბი დაიწყო, მერე იქით იჩივლო, შეურაცხყოფა მომაყენესო და ომი გამოუცხადო. ან მეორენაირი ხერხით: შემოიტანო ოპიუმში და როცა ამის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიიღებენ, მაშინაც ომი გაუმართო.

დიდხანს გვალოდინეს რწმუნებულებმა. რა ხანია იუტზე და შკანცებზე დავდიოდით. უკვე ერთი-ორჯერ კამბუზშიც შევირბინეთ, თითო-თითო ცხელი ღვეზელისა თუ კატლეტის შესაქმელად, ისინი კი მაინც არ ჩანდნენ და არა!

ბოლოს, პირველი საათი იქნებოდა დაწყებული, რომ ნაპირიდან მთელი ფლოტილია დაიძრა ჩვენკენ. ორმოცდაათი თუ სამოცი ნავის შუა ნელა მოცურავდა ორი უზარმაზარი დახურული ნავი თუ ორჩხომელი, როგორც ორი კუბო, კუბოებივითვე წითელი ქსოვილით გადაკრული, რაზეც მოოქრული მშვილდები, ისრები, შუბები და თოფუზები იყო ჩარქობილი. ორსართულიან ნავებს ირგვლივ ვალერეები ევლო მენიჩბეთათვის. ზემოთ ამაღა მოეთავსებინათ, ქვემოთ თვით რწმუნებულები ბრძანდებოდნენ. უამრავ პატარა ნავს ბუქსირით მოჰყავდა დიდები. დიდი ნავის ცხვირზე ერთი იაპონელი გადმომდგარიყო, რაღაცა თეთრი პატარა ცოცხო ეკავა ხელში, აქნევდა და ბუქსირს ხელმძღვანელობდა გონგის მწყობრ ხმასა და ხალხის ყიჟინში. ყურისწამლები ხმაური იღგა. ორივე კუბო საპარადო ტრაპს მოადგა და გვერდი-ვერდ დადგა.

ბანიოსებმა და თარჯიმნებმა, თითქო სავსე ტომრიდან მოცვივიანო, მთელი გემბანი წალეკეს. მათ სამოცამდე კაციან გან შემდგარი ყარაული მოჰყვა. იაპონელებმა გადაწყვიტეს, ცერემონიალში არ ჩამოგვრჩენოდნენ. ამაღისა და მსახურების გასამასპინძლებლად და წესრიგის დასამყარებლად რამდენიმე ოფიცერი იყო დანაშნული. ბოლოს რწმუნებულებიც გადმობრძანდნენ. კ. ნ. პ[ოსიეტი] და მე მათ შესასვლელთან მივეგებეთ, აღმირალი თავის კაიუტის კართან. ფრეგატის დათვალიერება შევთავაზეთ და ისინიც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. როგორ მეგონა, თუ ბერიკაციც წამოვიდოდა, სად ექნება-მეთქი ამის თავი? იმან კი საოცარი სიციქვიტე გამოი-

ჩინა, გემბანი მოიარა, სულ ქვემოთ, არსენალშიც ჩაძვრა. დაღლა სულაც არ დატყობია. ყველაფერზე ჩერდებოდნენ, ყველაფერს კითხულობდნენ, თუ რამე გადაფარებული ან ფარდაჩამოკიდებული დახვდებოდათ, გადასწევდნენ და რა არისო, რისთვისაა საჭიროო, გვაცივდებოდნენ.

ისინი ადმირალის კაიუტაში შევიყვანეთ. კაიუტა ძალზე მდიდრულად იყო მორთული: კედლები, ანუ საზღვაო ტერმინით, ტიხრები და კარები წითელი ხისა იყო, იატაკი ანუ გემბანი, ხალიჩებით მოგებული; სარკმლებზე წითელი და მწვანე მძიმე ფარდები ეკიდა. ოთხივე რწმუნებულისთვის განიერი, დაბალი დივანი მოემზადებინათ, კრელი, ინგლისური ნოხებით მოფენილი. რამდენიმე წუთი იქ დაყავით და მერე ზემოთ, კარავში ავედით. რწმუნებულებს ისე ექირათ თავი, თითქო მთელი ცხოვრება დიდ წრეში გაეტარებინათ; ევროპული ხომალდი, ავეჯი, მორთულობა თავის დღეში არ ენახათ და ყოველივეს დიახაც უნდა გაეკვირვებიათ. ყოველ ნაბიჯზე ახალ, უცხო საგნებს ხედავდნენ. მეორე დღეს კი გამოგვიტყდნენ ამაში, მაგრამ აქ კი არც საქციელში, არც გამოხედვაში არ შეტყობიათ გაკვირვება თუ აღტაცება. მუსიკაც პირველად მოისმინეს, ოღონდ მხოლოდ ერთი აქნევდა მუსიკის შეწყობილად თავს, როგორც ჩვენს მელომანებს სჩვევიათ ოპერაში.

იაპონელებს ჩაი მოართვეს. ამასობაში მთელი შემადგენლობა გემბანზე ჩამწკრივდა; ჯერ თოფით ვარჯიში დაიწყო, მერე მარშით სიარული. ოთხასი კაცი ანძებს უვლიდა მარშით, იუტიდან წინა ერდომდე და უკან, მაგრამ ყველაზე ეფექტური განგაში იყო: ყოველი ბანის ქვევიდან თავკებივით მოძერებოდნენ მეზღვაურები და სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ თავიანთ ქვემეხებისკენ. მე უკვე თვალი მქონდა მიჩეული, მაგრამ ამ სანახაობამ მეც გამიტაცა; ხოლო ვისაც თავის დღეში მსგავსი არაფერი ენახა, იმას რა უნდა მოსვლოდა! რწმუნებულებს ქვემეხების მოქმედებაც აჩვენეს. ადმირალს მათ მადლობა გადაუხადეს და სთხოვეს, მეზღვაურებისთვისაც გამოეცხადებინა მადლობა. „მადლობთ, ბიჭებო“, — თქვა ადმირალმა. „მზად ვართ!“ — ერთხმად იქუხა ოთხასმა კაცმა და კვლავ დიდი ეფექტი მოახდინა.

რწმუნებულებისა და ცერემონიალმაისტერისთვის სუფრა აღმირალის კაიუტის სასტუმროში გაიწყო. მეორე მაგიდასთან აღმირალი და ჩვენ სამნი ვისხედით. სასადილოში რწმუნებულთა ამალიდან თერთმეტი კაცი და ჩვენს კაიუტ-კამპანიიდან ათი კაცი დასვეს. ყარაულს საბატარეო გემბანზე მიუჩინეს ადგილი.

იაპონელებმა კი ითხოვეს, სადილი ევროპულ ყაიდაზე გაგვემართა, მაგრამ ჩანგლებით ხომ არ ვაიძულებდით ექამათ და ამიტომ ჩხირები გავაკეთებინეთ. პურსაც არ გიახლებიან და ამიტომ წამდაუწუმ ცხელ-ცხელ ბრინჯს აწოდებდნენ. არც თევზებს იყენენ ჩვეულები: წვნიანი და უხა ჩაის ფინჯნებით მიართვეს. სასადილოში, სადაც ამაღა სადილობდა, მაგიდაზე მურაბითა და ნამცხვრებით სავსე საინები ეწყო. სტუმრებმა ჯერ იმით დაიწყეს და წვნიანის შემოტანამდე სულ მჭა-სამსალეს მთელი ნამცხვრები და კანფეტები, ალბათ იფიქრეს, რაკი მოტანილია, რაღას ვუცადოთო. „ეს რა არისო?“ — კითხულობდნენ ყოველ კერძზე და თითქო სულ რაღაცას ელოდნენ. მეტწილად თევზეულით ვუმასპინძლებოდით, მაგრამ თარჯიმანმა გვითხრა, ხორცეულს ელიანო. მათთვის ის ხომ უცხო ხილს წარმოადგენს. ხორცი სულაც არა სძულთ, პირიქით, კიდევ უყვართ, მხოლოდ იმიტომ არ ჰამენ, რომ აკრძალული აქვთ საქონლის ნაკლებობის გამო. პირუტყვს სამუშაოდ იყენებენ მხოლოდ. ხორციან საქმელებიდან მათთვის განზრახ შილაფლავი და შაშხი მოვამზადებინეთ. სხვა, მგონი, არაფერი. ფრეგატზე იმ დღეებში საქონლის ხორცი არ გვექონდა. დანარჩენი თევზისა და ფრინველის კერძები იყო. სტუმრები სიამოვნებით შეექცნენ ცხვარს, განსაკუთრებით მეოთხე რწმუნებულს ეამა ფრიად. ერთი საინი რომ მოასუფთავა, მსახურს თავისი ხელით გაუწოდა, იმის ნიშნად, კიდევ დამისხიო. სუფრები, ხელსაწმენდები, სამარილეები — ყოველივე იქცევდა მათ ყურადღებას. მაგრამ რაც მართალი მართალია, იაპონელებსა და ევროპელებს შორის დიდ განსხვავებას მაინცდამაინც ვერ შენიშნავდი, იმდენად დაკვირვებოდნენ და გადმოელოთ ჩვენი წესი და რიგი. ოლონდ მარტო კავაძიმ მისდია წამით იაპონურ ადათს. როცა რაღაც კრემივით თხელი ნამცხვარი მოიტანეს ბისკვიტებით და გემო გაუსინჯა, რო-

გორც ჩანს, მოეწონა, ჯიბიდან ქალაღი ამოიღო, საინზე დარჩენილი სულ შიგ გაახვია და უბეში შეინახა. „არ იფიქროთ, ვინმე ლამაზმანისთვის მიმაქვსო, — გვითხრა, — ჩემი ხელქვეითებისთვის მინდაო“.

ამ შემთხვევის წყალობით საუბარი შეუმჩნეველად ქალებზე გადავიდა. იაპონელებს ცოტა არ იყოს მსუბუქი ცინიზმი დაეტყოთ. აზიელებივით იმათაც ხორციელი ვნება იტაცებს, არც მალავენ და არც ებრძვიან ამ თავის სუსტ მხარეს. ამის ირგვლივ უფრო დაწვრილებით თუ ვნებავე შეიტყოთ, კემბუფერი ან ტუნბერგი წაიკითხეთ. უკანასკნელს მთელი თავიკი აქვს მიძღვნილი ამ ამბისათვის თავის მოგზაურობაში. მეკი შიგ იაპონიაში არ ვყოფილვარ, იაპონელებთან არ მიცხოვრია და ამიტომ მხოლოდ მათი საუბრებიდან ზოგ რასმე მოვკარი ყური ამ საგანზე.

მე და პ[ოსიეტი] წარამარა ვდგებოდით სუფრიდან, ხან შამპანურს ვუსხამდით ჩვენს სტუმრებს, ხან ვაჩვენებდით, ესა თუ ის კერძი როგორ მიერთვათ, ხან ვუხსნიდით, რისგან იყო დამზადებული. ამ ჩვენი თავაზიანობის და ყურადღების გამო აღარ იცოდნენ მადლობა როგორ გადაეხადათ.

სმით ზომიერად სვამდნენ. მართალია, დიდი ცნობისმოყვარეობით აქაშნიკებდნენ ღვინოს, პატარა ყლუპებით, მაგრამ ბაკალს მთლიანად არ კლიდნენ. მხოლოდ მეოთხე რწმუნებულმა, ბრგე, ჩასუქებულმა კაცმა დასცალა ოთხი ბაკალი.

ერთი პირობა კი ვცადეთ, ხვალინდელ შეხვედრაზე ჩამოგვეგდო სიტყვა, მაგრამ რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ ჩვენი საზეიმო დახვედრითა და საამო საუბრით იმდენად გაერთვნენ, საქმე სულაც გადაავიწყდათ.

თარჯიმნები იატაკზე ხოხავდნენ: რამდენჯერ არ მოვიპატივე მეორე ოთახში, ხელებითა და ფეხებითაც აცხადებდნენ უარს სადილზე, ვითარცა ამ grooten herren — წარჩინებულ გვამთა თანდასწრებით ყოველად მიუღებელ საქმეზე. მაგრამ ყელი კი გაშრობოდათ. კიჩიბე ისე რიგად ტრიალებდა იატაკზე ყოველმხრივ, თითქო ძაღლები შემოსევიან და გლეჯენო. „ხი, ხი!“ — ყოველ წამს ეხმაურებოდა ის ხან ერთს, ხან მეორეს. სადილის ბოლოს, რაიც მას არ უგემია, სულ ჩაეხრინწა ხმა და გამოთაყვანდა. კიჩიბეს და ეინოსკეს თითო

ბაკალი შამპანური დაეფსხი, ამაზეც უარის თქმა დააპირეს, მაგრამ კავაძიმ თავი დაუქნია, იმათაც მიწას ახალეს თავი, ხარბად დასცალეს; მერე მადლიერი თვალებით შემომხედეს და მადლობის ნიშნად ბაკლები შუბლთან მიიტანეს.

მეორე ოთახში შევიხედე: იქ დიდი ქეიფი იყო გახურებულ. რამდენიმე შეჭარხლებულმა სახემ და ტკბილმა ღიმილმა დამიდასტურა, რომ მოსაუბრეთაც ეგემათ ჩვენი ღვინოები. მათ შორის ერთი პირწმინდად გადახოტრილი თავი შევამჩნიე. კიკინაც კი არ ჰქონდა: ის ექიმი ყოფილიყო. ექიმები და ქურუმები თმას სრულებით არ იჩერებენ. ჩვენს ექიმებს გაცნობოდა, მეტად ცოცხალი კაცი ყოფილა, ჰოლანდიურიც ცოტ-ცოტა სცოდნოდა. დესერტზე, როგორც იმათ ცხელი საკი მოგვართვეს, ჩვენებიც გლიტვეინით გაუმასპინძლდნენ. რწმუნებულებმა ცოტა მოსვეს, უფრო ცნობისმოყვარეობის გამო. მერე მათი ადათის მიხედვით, ჩვენც ყოველ რწმუნებულს თითო კანფეტების ყუთი დავუდგით. აქ უკვე ველარ შეიკავეს სიამოვნება თუ გაკვირვება და გაოცების შეძახილი აღმოხდათ — ძვირფასი წითელი ხის კოლოფები, ხისავე მოზაიკით მოჭედილი, მართლაც მეტად ლამაზი იყო. ჭრელ-ჭრელ კანფეტებმაც, რა თქმა უნდა, თვალი მოსჭრა. შემდეგ ბევრი ფერად-ფერადი გრავიურა ვაჩვენეთ და ვაჩუქეთ კიდევ, მოსკოვის, პეტერბურგის, ჩვენი ჯარების ხედებით, კიდევ ინგლისში ნაყიდი ქალების, ხილის, ყვავილების სურათები და სხვ. სიამოვნებისა და გაოცების შეცხადებები კვლავ გაისმა!

ბოლოს, ბინდისას, უცხო ტომის ეს შემოსევა მოთავდა და ყველანი გაქრნენ, გვთხოვეს კი, რომ ჩვენც ვწვეოდით.

მეორე დღეს, 5 იანვარს, დილაადრიან თარჯიმნები დავადგენთ თავს სტუმრების რიცხვის გამოსარკვევად. როცა უთხარეს, ცოტანი იქნებიანო, გვთხოვეს, მეტი წამოგვეყვანა, ყოველ შემთხვევაში, ყველა უფროსი ოფიცერი მაინც. თქვეს, რომ ჭეშმარიტი, საზეიმო მიღება სწორედ ამ დღეს იყო დანიშნული და დიდი წვეულება გაიმართებოდა. აბა, დიდ წვეულებათზე როგორ ვიტყვოდით უარს? ვინც წასვლას არ აპირებდა ისინიც კი წამოვიდნენ.

მართლაც, ნავმისადგომზე უფრო მეტი ხალხი დაგვხვდა,

ალიაქოთიც მეტი იყო; უფრო ბობოლა მოხელები შემოგვეგებნენ, ჰრელზე ჰრელ ქვედაწელებში. ამჯერად წოპწოპა ქუდებიან ჯარისკაცების გარდა კიდევ ვილაც მსახურები დავინახე, რომლებსაც ბამბუკის გრძელი ლატნებით თევზის ბუშტებისგან გაკეთებული თეთრი ფარნები მოჰქონდათ. ნავმისადგომის პირდაპირ ახალთახალი გალერეა მოჩანდა, სადარაჯოს მსგავსი. იქ ოთხ მწკრივად ჩაცუტქულიყო ორმოცდათამდე იაპონელი. ზემოთ, ტერასის მარცხნივ და პირდაპირ, ასეთივე გალერეები იდგა: არ მახსოვს, წინათ იყო თუ არა. ოპო! აგერ, ცხენიც! ძლივს არ დავინახე: ჩალისფერი ჯაგლაგი მუსიკას დაეფრთხო, წიხლებს ისროდა და კიბისკენ მიიწევდა. მხედარი ძლივს უჭერდა თავს; თუ არ ვცდები, იაპონელთა კავალერიის წარმომადგენლად მოეყვანათ. მაგრამ ჩვენ ყარაული უფრო ნაკლები გვახლდა და ისეთი ზარზეიმით აღარ მივდიოდით.

იაპონელი რწმუნებულები და მათი ამაღა კვლავ მეტად საზეიმოდ იყვნენ მორთულნი. ტსუტსუიმ და კავაძიმ განაცხადეს, რომ უზენაესი საბჭოს წერილი ჰქონდათ ჩვენთვის გადმოსაცემად. „ბატონი ბრძანდებით, მოგვეციოთ, სად არისო?“ — ჰკითხეს მათ. „აი, აქ, — მიგვითითეს რკინით აჭედელ თეთრ სკივრზე, როგორსაც ჩვენში ვაქრის ძველებურ სახლში ნახავდით, და იქვე მდგარ, აბრეშუმით გადაკრულ, ფუნჯებით მორთულ ყუთზე. — „წერილს ვინ ჩაიბარება?“ აღმირალის ბრძანებით ო. ა. გ[ოშევეიჩი] წარსდგა წინ. ცერემონიალმანისტერი თაყვანით მიეახლა ყუთს და გახსნა. „ნუთუ ამხელა წერილია-მეთქი!“ — ვფიქრობდი და ცნობისმოყვარეობით შევყურებდი ყუთს. „ინებეთ და ჩაიბარეთო“, — თქვა თარჯიმანმა. გ-მა ყუთი აიღო და ხელში ძლივს დაიკავა. მერე „მოსასვენებლისკენ“ გაემართა, ჩვენ უკან მივყევით, სკივრიც კვალდაკვალ გამოგვაყოლეს. „ნეტავ ის დიდი სკივრი რაღად მოაქვთ-მეთქი?“ — გავიფიქრე კვლავ და სკივრს გაკვირვებული შევაცქერდი. სკივრი გახსნეს: შიგ მეორე, უფრო პატარა სკივრი იდგა, შემდეგ მესამე, მეოთხე, ერთმანეთზე მორჩილი. სწორედ ამ მეოთხე სკივრში იდგმებოდა ის აბრეშუმის ყუთი, რიცხვით მეხუთე. მაგრამ ასე რამ დაამძიმა ნეტავ? თავი რომ ახადეს, შიგ თეთრი გალაქული ხის მეექვსე და უკანასკნელი

ყუთი აღმოჩნდა, ფაქიზად ნამუშევარი, ვერცხლით მოქედ-
ლი კუთხეებით; სწორედ ამ ყუთში იდო გოროჩის გამოგზავ-
ნილი გუჯარი, რუსეთის წერილის პასუხად, მოოქრულ
პერგამენტივით სქელ ქაღალდზე ეწერა და რამდენიმე აბრე-
შუმის შალითაში იყო გახვეული. რა ჩხირკედელა ხალხია!

შემდეგ ცერემონიალმაისტერი ისევ შემოვიდა და განა-
ცხადა, რომ მ[ისმა] უ[დრიდებულესობა] სიოგუნმა რუსეთის
რწმუნებულს საჩუქრები გამოუგზავნა და თხოვს მიიღოს ისი-
ნი. ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ საჩუქრებს პატივის-
ცემით იღებდა, თითოეულისთვის ორივე ხელი უნდა შეეხო.
„აღბათ, რაღაც იშვიათი საჩუქრები იქნება! — ვფიქრობდით
ყველა, — აკი თვით სიოგუნმა გამოგზავნა!“ „რა საჩუქა-
რია?“ — ჩურჩულით ვეკითხებოდით პ[ოსიეტს], რომელიც
დარბაზში იყო საჩუქრების სანახავად. — „რა და ბამბა“, —
გვითხრა. „როგორ თუ ბამბა?“ — „ჰო, აბრეშუმის ბამბა და
აბრეშუმის ნაჭრებიო“. — „აბრეშუმს კიდევ არა უშავს-თქო“.

ამასობაში მსახურებმა სადგრები შემოიტანეს ლოგინები-
ვით გაშლილი, ზედ აბრეშუმისა და ბამბის ნაჭრები ელაგა.
წითელი და თეთრი აბრეშუმი იყო, სახეებით ნაქერი, ოღონდ
იმდენად უბრალო, რიგიან სახლში ფანჯრებზე ფარდებლად
ვერ დაკიდებდით. „ვითომ რაო, ამაზე უკეთესი არ გააჩნიათ ან
იქნებ სიოგუნს არ შეუძლია ბოძება?“ როგორ არა აქვთ
ლიონშიაც კი იმაზე უკეთეს ვერაფერს მოქსოვენ, როგორიც
რწმუნებულებს აცვიათ ტანზე. მაგრამ იაპონელები ამ ნაჭ-
რებს არც არავის აძლევენ საჩუქრად, არც არავის უჩვენებენ,
რა არის მათ დოვლათს ვინმე არ დახარბდეს და ვაჭრობის
სურვილი არ აღეძრას. ამასთან როგორც ლითონების, აბრე-
შუმის გატანაც ისევე აკრძალულია. იაპონიაში აბრეშუმი
ცოტაა. საამისო ნედლეული ჩინეთიდან შემოაქვთ და საკუ-
თარი საჭიროებისათვის ამზადებენ. საუკეთესო, მდიდრულ-
ქსოვილებს იაპონიის სამხრეთით, ერთ პატარა, მიუვალ კლდე-
ზე გადასახლებულები აკეთებენ. ვერა ნავი ვერ მიუდგება ამ
კლდეებს, პატიმრებისთვის დათქმულ ვადებში მოაქვთ სანო-
ვაგე და ისინიც თოკებით მიათრევენ ხოლმე ზევით. თვით
კუნძული პატარა და უნაყოფო ადგილს წარმოადგენს.

ბოლოს გუჯარის სკივრი და საჩუქრები, — ყველაფერო

აიტანეს. ისევ გამოგვეცხადა ცერემონიალმაისტერი და გვა-
ჯწყა, რომ მ[ისმა] უ[დიდებულესობა] სიოგუნმა ბრძანა სადი-
ლი გაემართათ ჩვენთვის. როგორც ჩანს, დიდებულ სადილს
გვიწყობდნენ. ექვსის ნაცვლად თითოეულს თორმეტი სადგარი
ანუ სკამი დაგვიდგეს. თითოეულ სკამზე ორი, სამი, ზოგან კი
მეტი ფინჯანი იდგა კერძებით. გარდა ამისა, ნაირ-ნაირი
პაწაწკინტელა მაგიდები, კოლოფები ჩამოერიგებინა სათამა-
შოებივით; შიგ მწვანლისა და ნაქრებიდან მეტად ოსტატუ-
რად ნახელავი ყვავილები ჩაერქოთ. ყვავილების ძირას საუზმე
დაელაგებინათ: მეტად გემრიელი, დაპრესილი ყვითელი ხი-
ზილალის ნაქრები, უმი თევზი, წითელი პასტილა, კიდევ რა-
ღაც თევზეული, ყველს რომ ჰგავდა.

ცალკე, საგანგებო მინიატურულ მაგიდაზე, ხის ჯოხზე ჩი-
ტი დაესვათ, ბუმბულით შემოსილი, კუდიცა და თავიც ჰქონ-
და, ჩიბუხს ჩამოგავდა. ვინემ მე ჩაფიქრებული დავცქეროდი
საქმელებს, რითი დავიწყო-მეთქი, ნაკამურა ტამეია, ცერე-
მონიალმაისტერი მომიახლოვდა და ჩიტზე მიმითითა, ხომ არ
ჰიირთმევთო, „ნეტავ როგორ უნდა ვჭამო ბუმბულიანი-მეთ-
ქი?“ — ვფიქრობდი, ხელში რომ ავიღე. მაგრამ ბუმბულში
ნაქრებად დაქრილი შემწვარი ჩიტის ხორცი აღმოჩნდა, ძალზე
გემრიელი. მთელი ჩიტი გიახელით. ნაკამურამ მანიშნა, კი-
დევ ხომ არ ვინებებდი? „ჰმ!“ — დავუქნიე თავი დასტურის
ნიშნად. მსახური წამოხტა, მინიატურული სადგარი გაიტანა
ჩიტის ნარჩენებით და მეორე მომართვა. ამასობაში სხვა კერ-
ძებსაც გავუსინჯე გემო: ჯერ ტკბილი შეჭამანდი შევჭამე,
გუფთასავით რომ ეყარა შიგ რაღაც, თუმცა მაკარონსაც მო-
გავდა. სხვა კიდევ რა იყო — ველარ გავარჩიე. შემდეგ სოკოს
შეჭამანდი მოსდევდა; სოკოები მთელ-მთელად იყო მოხარ-
შული; თევზების ბულიონი თუ სანელებლიანი თევზი, მოხარ-
შული მწვანელი, კიბორჩხალები, მოხარშული ხამანწყები,
აუარება დამარილებული თუ დაწნილებული ბოსტნეული:
ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევე იყო, როგორც პირველად,
ოღონდ ბევრი რამ დაემატებინათ კიდევ.

თავ და კულაპრეხილი თევზიც მოეტანათ მაშინდელივით,
ოღონდ წინანდელზე გაცილებით მოზრდილი. ამ წითელ, სქელ
თევზს ჰოლანდიურად steinbrassen ჰქვია, იაპონურად კი

ტაი. ის იაპონელების ნუგბარ საქმელს წარმოადგენს; მართლაც, მეტად გემრიელია.

ხელოვნურმა ყვავილებმა და ბუმბულიანად მორთულმა ჩიტმა ძველისძველი ევროპული სამზარეულო მომაგონა, რომელსაც თავი მოსწონდა ასეთი მოკაზმულობით. განა დიდი ხანია, რაც სტაფილოსა და ჭარხალს სხვადასხვა ფიგურებად ჭრიდნენ, საქმელებს ნაირ-ნაირად ალაგებდნენ, შაქარყინულის ტაძრებს აგებდნენ და თუ სხვა? ალაგ-ალაგ ახლაც შემორჩენილა ესოდენ დახვეწილი სუფრა. თანამედროვე გასტრონომია ამგვარ მოპრანქვა-მორთულობას თავს არიდებს, რადგან პირის გემოსთვის ის არაფრის მაქნისია. თვალის დატკობა კი მის საქმეს არ წარმოადგენს. ამ წერილმან ხელოვნებას — შაშხის კანფეტით მორთვას, ხოლო მაიონეზისგან ყვავილნარის შექმნას ის ზიზღის თვალით უცქერს.

კვლავ საკი მოგვართვეს და დავლიეთ, იაპონელებმა ამას კიდევ ცხელი წყალიც დააყოლეს; კვლავ ტკბილეული გამოგვიტანეს, ოღონდ წინანდელზე ბლომად. ჩვენი ამფიტრიონები განსაკუთრებით ტკბილ ცომს გვთავაზობდნენ გულდაგულ, რომელიდაც მუხუდოსგან დამზადებულს. ვიგებთ ლურჯი, თეთრი და წითელი კანფეტები, ზოგს კარტოფილის გემო ჰქონდა, ზოგს ქუმელისა. ხაშხაშიც ბლომად ეხმარათ, ოღონდ ბრინჯი უფრო სჭარბობდა: ბრინჯის ვარსკვლავებს, სამკუთხედებს, პარალელოგრამებს თუ სხვათა და სხვათ ნახავდი. ცომიდან ბლანჩით გაეკეთებინათ რაღაც, გულში შაქრის ფხვნილი ჩაედოთ, როგორც ლერწმიდან მიუღიათ, იმ პირველყოფილი სახით; იყო ტკბილი კვერები და სხვანი და სხვანი. შემდეგ კიდევ დანაყილი, ძვირფასი ჩაი მოაყოლეს, გათქვეფილი და შოკოლადივით აქაფებული.

იაპონელთა საქმელებს უფრო მეტად იმ ამბავმა შემარიგა, მცენარეული ზეთის ხსენება რომ არ იყო. იაპონელები დღემდე სამჯერ ჭამენ და მეტად ზომიერად. დილით, ადგომისას — ძალიან ადრე, უთენია კი დგებიან, — მერე შუადღისას და ბოლოს 6 საათზე. იმდენად მცირე ულუფა სჩვევიათ, კარგი მადის კაცს მათი სადილი საუზმედაც არ ეყოფა. იაპონელები პატარა ფინჯნებით მიირთმევენ საქმელს და იმასაც არ ავსებენ. მთელ ფინჯანში ერთი პაწაწა თევზის ნაჭერი გდია, მეო-

რეში სამი სოკო ტივტივებს ცხელ წყალში, შემდეგ საწებლიანი თევზის კერძიც იმ ზომისაა, ერთ მაღიან ლუკმად არ ეყოფა კაცს. ყველა კერძი ასეა. გოლოვნინი მართალი ყოფილა, როცა ამბობდა, რომ მასთან ერთად ტყვედ მყოფ მეზღვაურებს საკმელს ცოტას აძლევდნენ. იაპონელები ალბათ თავისებურად სამყოფს აძლევდნენ, იმათ კი არ ჰყოფნიდათ.

შემდეგში შევიტყვეთ, რომ დიდებული სადილის მოსამზადებლად სიმაბარელ მთავრის მზარეული ჰყოლოდათ მოწვეული. სიმაბარა ნომოს კონცხის გაღმა მდებარე დიდი ყურეა, ნავსაკიდან ოციოდე მილზე. როცა მთავარი სამეფო კარს ეწვევა ხოლმე, მზარეულიცო, თქვეს იაპონელებმა, თან ახლავს, რა არის თავისი ოსტატობით ხალხი გააკვირვოსო.

შელამებისას გამოვეთხოვეთ ჩვენს მასპინძლებს და მუსიკის გრიალით დავბრუნდით უკან. მოხელები ფეხდაფეხ მოგვყვნენ იმის გამოსარკვევად, კმაყოფილები ვიყავით თუ არა, და საჩუქრებიც მოიტანეს. ამ საჩუქრებმა სწორედ შავ დღეში ჩაგვყარა! ყუთები წყალში რომ გადავისროლოთ უხერხულია. იაპონელები დაინახავენ და იტყვიან, საჩუქრებს არაფრად ავდებენო, არადა შესანახი ადგილიც არ გაგვაჩნია. დიდი თევზი ცალკე ყუთში იდო, კანფეტებსაც ცალკე ჰქონდა ყუთი, ტკბილ პურსაც ასევე განსაკუთრებით. რამდენიმე პაწაწინტელა სადგარი კი შეჰოვინაზე და თუ ჩამომყვა, მაშინ ნახავთ მოთმინებისა და იმავე დროს წვრილმანობის ამ ნიმუშს.

სიოგუნის საჩუქრებიც — ბამბა თუ სხვა მოიტანეს და ყველაფერი გემბანზე დააწყვეს: გავლა აღარ შეიძლებოდა პირდაპირ. ბამბა იმდენი იყო, მგონი, მთელ ფრეგატს გასწვდებოდა სიგრძე-სიგანეზე.

მეორე დღეს დაიწყო მოლაპარაკება და ჩვენი ყოველდღიური მგზავრობაც ნავსაკში. ახლა უკვე ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე მივდიოდით ორი კატერით. ერთში ადმირალი და ჩვენ ოთხნი: პ[ოსიეტი], გ[ოშკევიჩი], პ[ეშჩუროვი] და მე ვიყავით. მეორეში მსახურები სკამებითურთ. როცა ნაპირზე გუბერნატორის სახლში სკამების დატოვება დავაპირეთ, მისმა აღმატებულებამ ხელ-ფეხი გაფარჩხა, უარი გვტკიცა. თქვა, მაშინ მე მომიხდება იქ ძილი და ყარაულობაო. „ცეცხლი რომ გაჩნდეს, ხომ დაიწვა. ვირთხებიც ბლომად დაძვრე-

ბიან ამ სახლში, გააფუჭებენო“. ყველას გაგვეცინა, ვერც იმან მოითმინა და კბილები გადმოყარა. „ნუ გეშინიათ, არ გაზღვევინებთ, სკამები გვაქვსო“, — შეეპასუხა ადმირალი. „თქვენ არ გვაზღვევინებთ, მაგრამ ერთი სკამიც რომ გაფუჭდეს, მაინც მე მომკითხავენო“, — შენიშნა გუბერნატორმა და არ დაგვყაბულდა, ოღონდ შემოგვეთავაზა, თუკი თრევა გეზარებათ, იაპონურ ნავში დატოვეთ, ის წაიღ-წამოიღებსო. ასეც მოვიქეციით.

არ მახსოვს, მოგწერეთ თუ არა, რომ ნაპირზე ადგილი მოგვიჩინეს, მხოლოდ გუბერნატორმა დრო ითხოვა სახლის მოსაწყობად და ა. შ. მაგრამ დღე დღეს მისდევდა, ამ საბაბს კი ე. ი. ჩვენი ბინის მოწყობას არაფერი ეშველა. როცა უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, გუბერნატორი იღიმებოდა: როგორც ჩანს, თავისი ნებით არ სჩადიოდა ამას. რა თქმა უნდა, დავალებული ჰქონდა საქმე ჩვენს წასვლამდე გაეჭიანურებინა და მშვენივრადაც ახერხებდა ამას. ბოლოს, მეტი გაეჭიანურება რომ აღარ შეიძლებოდა, თქვა, ბინა მზადააო, ოღონდ ისეთი პირობები წამოგვიყენა ამასთან დაკავშირებით, დათანხმება შეუძლებელ ამბავს წარმოადგენდა: მაგალითად, ბანიოსებს უნდა გავეცილებინეთ ნაპირზე და იქიდან ხომალდებზე მოგვეყოლოდნენ. ადმირალმა ბრძანა მათთვის გადაეცათ, რომ ადგილი აღარ იყო საჭირო და წერილი ამ პირობების თაობაზე უკანვე გააბრუნა. იაპონელებსაც ეს უნდოდათ. დიახაც არ სურდათ უცხოელებისთვის ნაპირზე გადმოსვლის შეღავათი მიეცათ: ჩვენთვის რომ ადგილი მოეცათ, მერე სხვებისთვისაც უნდა დაეთმოთ, მათ კი იმედი ჰქონდათ, რომ ამ აუცილებლობას ან სულაც თავიდან აიცილებდნენ, ან შესაძლებლობისდა მიხედვით შეზღუდავდნენ, ან არადა ბოლოს რაც შეიძლება შორს გადაწევდნენ.

ადმირალისა და რწმუნებულთა ნაგასაკის კონფერენციების საგანს არ შეევეხები: ეს მოლაპარაკებანი შემდეგში შეიძლება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი აღწერის მასალა გახდეს. ამ უბრალო წერილებში კი მე, როგორც პანორამაში, ჩვენი მოგზაურობის მხოლოდ გარეგნული მხარე ვითავე წარმოგიდგინოთ.

ჩვენ ხშირ-ხშირად, თითქმის დღეგამოშვებით, მივდიოდით

ნაგასაკჷმი. მოხელეები ყოველდღე გვაკითხავდნენ ხოლმე წასაყვანად, თუმცა კი ბევრჯერ ვთხოვეთ, თავი არ შეეწუხებინათ, რამეთუ გზა უკვე ვიცოდით. მაგრამ იაპონელებს მაინც უნდათ თავის ხალხს აჩვენონ, რომ უცხოელებს მხოლოდ მათი წედამხედველობის ქვეშ შეუძლიათ ნაპირზე გადმოსვლა.

აბა, რა უნდა გააწყო ამ ხალხთან? უბრძანებ, აქაურობას გაეცალეთო, ისინი ნავებით ფრეგატს მოშორდებიან და შორიასლო დადგებიან. ხოლო დავიძრებით თუ არა, მენიჩბეები ისევ თავის „ოსილიან! ოსილიანო!“ — შემოსცხებენ და ჩვენს გასწრებაზე თავს იღებენ.

მეორე კონფერენციისათვის დანიშნულ დღეს საძაგელი ამინდი დადგა: მთელი ღამე საშინელი ქარი გრიალებდა, წვიმა კოკისპირულად ასხამდა. იაპონელები როგორ წარმოიდგენდნენ, თუ ჩვენ წავიდოდით, ამიტომ აღარ მოგვაკითხეს და არც ნაპირზე დაგვიხვდნენ. ჩვენ კი ლაბადები წამოვისხით, ქოლგები მოვიმარჯვეთ და გზას გავუდექით. წყალი წურწურით ჩამოგვდიოდა, ჩვენ კი ვითომც აქ არაფერიო, გზას ვაგრძელებდით. იაპონელები სახტად დაგვირჩნენ. ბუზებივით თავიანთ კუთხეებს შებუღებოდნენ ამ ავდარში, სახლებში შაყლები გაეჩაღებინათ გასათბობად. მაგრამ ვაი რომ ვერ გაეთბოთ. ხელებს აუ გაითბობდი მარტო და თავბრუ დაგესხმოდა. ნეტავ თვითონ როგორ უძლებენ ამას? სხდომების დროს თითქმის ყოველთვის ფარაჯებსა და პალტოებს ვიცვამდით ხოლმე. ამან მიზეზი მისცა იაპონელებს, საყელოზე ხელი გადაესვათ. როცა კვითხეთ, ბეწვები თუ გაქვთო, გვითხრეს, წავები და მელიები კი გვყავს, ოღონდ ბეწვს თითქმის არავინ ატარებსო.

შეხვედრის დროის დანიშვნა ადმირალს მიანდევს. ერთხელ ადმირალმა შეხვედრა ორი დღის შემდეგ დანიშნა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, იაპონელებმა ითხოვეს, უფრო ადრე, ესე იგი მეორე დღეს დაენიშნა. საქმე ის გახლდათ თურმე, რომ კავაძის ედოში, თავის ცოლთან ენატრებოდა წასვლა და მოლაპარაკებას ამიტომ აჩქარებდა. „ხორცი აქაა, სული კი ედოში ფრინავსო“, — უთქვამს არა ერთხელ.

ეს კავაძი ყველას მოგვივიდა თვალში თუ მეტად არა. ყოველ შემთხვევაში იმდენადვე, რამდენადაც მოხუცი ტსუ-

ტსუი, ოღობდ უფრო სხვა ძხრივ. ის ძალზე ჭკვიანი იყო, რაც არ შეიძლება კაცმა არ დააფასო, თუმცა ამ თავის ჭკუას ჩვენსავე საწინააღმდეგო ოსტატურ დიალექტიკაში ამჟღავნებდა. მაგრამ მისი ყოველი სიტყვა, გამოხედვა, მიხვრა-მოხვრაც კი ფხიზელ ჭკუას, გონებამახვილობას, გამჭრიახობას და გამოცდილებას ამჟღავნებდა. ჭკუა ყველგან ერთნაირად ჭრის: ჭკვიან ხალხს ერთი საერთო ნიშნები გააჩნიათ, როგორც ამ ქვეყნად ყველა სულელს, რა ეროვნების არ უნდა იყოს ის, რა არ ეცვას, რა ენაზე არ ლაპარაკობდეს, რა სჯულს არ მისდევდეს და რა შეხედულება არ ჰქონდეს ცხოვრებაზე.

მე მომწონდა, მდიდრულ მარაოზე დაყრდნობილი კავადი როგორ იცქირებოდა და ისმენდა, როცა სიტყვა მისადმი იყო მიმართული. შუა სიტყვამდე პირი ნახევრად ღია ჰქონდა ღარჩენილი, თვალები ოდნავ შეფიქრიანებული. ეტყობოდა, დაძაბული ყურადღებით ისმენდა. შუბლზე მსუბუქი ნაოჭები წამისწამ ეცვლებოდა, რაზეც აშკარად ემჩნეოდა, როგორ თანდათან ულაგდებოდა თავში სხვისი ნათქვამი და მერე ამ ნათქვამის საერთო აზრი უყალიბდებოდა. მოლაპარაკე შუამდე რომ მივიდოდა და კავადიც მისი სიტყვის მთავარ აზრს უკვე დაიჭერდა, პირი მოეკუმებოდა, შუბლი გადაეტკიცებოდა და სახეზეც ნათელი მოეფინებოდა: უკვე იცოდა, რა ეპასუხნა. თუ რომ მოპირდაპირე მხარის კითხვაში კიდევ სხვა, ფარული აზრი იმალებოდა, კავადის სახეს უნებლიეთ მსუბუქი ღიმი გადაურბენდა. როცა თვითონ დაიწყებდა ლაპარაკს და დიდხანს ილაპარაკებდა, საკუთარი აზრები მთლიანად მოიცავდა, თვალებში კი პირდაპირ ჭკუა ეხატებოდა. თუ ბერიკაცი ლაპარაკობდა, კავადი თვალებს დახრიდა, მოხუცს არ შეხედავდა, თითქო ეს საქმე მას სულაც არ ეხებოდა, ოღონდაც შუბლზე მოთამაშე ნაოჭები, ქუთუთოებისა და წამწამების ხამხამი საჩინოდ ხდიდა, რომ ჩვენზე მეტი ყურადღებით მას უსმენდა თურმე. როგორც ჩანს, მთელი მოლაპარაკება კავადისთვის დაეკისრებინათ, ტსუტსუი კი ისე, უფრო მეტი სიღარბაისლის მისანიჭებლად გამოეგზავნათ, ან იქნებ მისი საამო ნირის წყალობითაც.

ერთხელ, კერძო საუბარში, ადმირალმა მტკიცება დაუწყო მათ, რომ ტყუილად ეშინიათ ვაჭრობის, რომ ვაჭრობა მხო-

ლოდ და მხოლოდ დოვლათს შემატებს ხალხს, რომ არც ერთი ერი ვაქრობას არ დაუქცევია, პირიქით, ააყვავაო. იაპონელებს დაუსახელეს კიდეც, უცხოელებს რითი შეეძლოთ ევაჭრაო მათთან. „აი, მაგალითად, გეტყობათ, რომ პირველი საოჯახო მოთხოვნილება გაკლიათ, — ფანჯრები ქალაღლითა გაქვთ გაწებილიო, — ეუბნებოდა აღმირალი და აქეთ-იქით იხედებოდა, — ამიტომაც ოთახებში სიბნელე და სიცივე მეფობს. ჩამოგიტანენ მინას, გასწავლიან, როგორ გააკეთოთ. ის ქალაღდს სჯობია და იაფიც ღირსო“. „ჩვენ კამჩატკასა და მის მიღამოებში — განაგრძო შემდეგ მან, — თევზი ბევრი გვაქვს, ოღონდ მარილი არ გვაბაღია. თქვენ მარილი გაქვთ. მოგვეციოთ და სამაგიეროდ დამარილებულ თევზს ჩამოგიტანოთ. თევზი ხომ იაპონიაში ერთ-ერთ მთავარ საქმელს წარმოადგენს. ყველა მუშახელს ბრინჯის მოყვანას რად აკლავთ? ლითონების მოპოვებაზე მოიხმარეთ, ბრინჯს კი ზონღის კუნძულებიღან ჩამოგიზიღავენ — უფრო მღიდრები გახღებითო...“ — „ჰო, — გააწყვეტინა კავაღიმ და უეცრივე აზიღა განიერი ქუთუთოები, — კარგი იქნება, უცხოელებმა თევზი, შუშა, ბრინჯი თუ სხვა მსგავსი აუცილებელი საქონელი ჩამოგიტანონ: მაგრამ ვთქვათ აი, ისეთი საათები ჩამოზიღონ, როგორც თქვენ გუშინ გვაჩუქეთ და რაზეც ყველას თვალები აცაბაღა წაუვიღა, მაშინ ხომ იაპონელებმა ტყავი გაიღრეს იმისთვის...“ კავაღის ჩინებული სასაღიღო, ასტრონომიული საათი გაუგზავნეს საჩუქრად, ჩვეულებრივი ციფერბღატის გარღა კიღევ მთვარის ცვლიღება იყო აღნიშნული და ორი თერმომეტრიც იღგა შიგ. ყველას გაგვეციღა ამაზე და თვითონაც გაიციღა. „თუმიცა ეს ჩემი სიტყვები იმის დასტურად ჩათვალეთ, რომ საათი ძალზე მომეწონაო“, — დაურთო ესეც.

ამის შემდეგ კვლავ საქმეზე ლაპარაკი ვცაღდეთ, მაგრამ რაღაც თავი ვერ მოება. „არა, ეტყობა, ეს საუბარი სიციღიღი-თვე უნღა დავამთავროთო“, — დაუმატა კავაღიმ და ღიღკაცური სიზანტიღთ წამოიწია ქუსლებიღან.

აბა, რით ჩამოუვარღება ის ევროპელს? იმიოთ, რომ ერთხელ ნამცხვარი ქალაღღში შეახვია, ხოლო მეორედ სარღალა თევზის საწებელა მოტლიკა თეფშიღან, რომელიც ძალზე ეგემჩიღლა? ეს აღღგიღობრივი აღათებია — სხვა არაფერი. აქამღღ

თვალთ არ უხილავს თეფშები და კოვზები, ორი ჩხირით მი-
ირთმევდა, შეჭამანდს ფინჯნიდან გიახლებოდათ. ან განა ის
შეიძლება უსაყვედურო, რომელიმე კერძს რომ გასინჯავდა,
თეფშს ქედმალღურად გადააწოდებდა ეინოსკეს, რომელიც
პუდელივით მიცუტქვოდა ფეხებთან? თარჯიმანი კი თაყვა-
ნით ჩამოართმევდა თეფშს და მოასუფთავებდა ხოლმე.

ვაკვირდებოდი ყოველივე ამას და როგორც ჩინეთში ბაზ-
რებმა და ბაზრებში ხალხის ქედვამ ჩვენს ძველ ბაზრებთან
მსგავსებით გამოაცა, ისევე ამ ადათების მსგავსებამ გამაკვირ-
ვა ჩვენს ძველ ჩვეულებებთან. ჩვენში ძველ ბატონებსა და
ქალბატონებს ასევე უსხდნენ ფეხებთან გამორჩეული მსახუ-
რები და მოახლეები და ასევე უგდებდნენ მათ ნაჭრებს, ნა-
სუფრალად მონათლულს; ჩვენშიც ასე მოქონდათ შინ წვეუ-
ლებაში ნამყოფებს ნაირ-ნაირი ტკბილეული და საჩუქრები.
განა რა დიდმა ხანმა განვლო, რაც გრიბოდოვმა თავის კომე-
დიაში ეს „ნასუფრალი“ სიცილად აიღო? ძუძუმწოვრობის
ეპოქაში აზიური აკვნიდან გამოგვყვა აღზრდაში რამდენიმე
ჩვევა და ადათი და არც ახლაა მთლიანად ამოძირკვეული, მით
უმეტეს, მდაბიო ხალხში.

რვა თუ ათი ათთბირის შემდეგ რწმუნებულებმა განაცხა-
დეს, რომ უკვე დრო იყო ედოში დაბრუნებულიყვნენ. ზოგი-
ერთ საკითხში მუჯაალი ითხოვს, საბუთად მოიყვანეს რა, რომ
ხელმწიფე გარდაეცვალათ, რომ ახალი სიოგუნი მეტად ახალ-
გაზრდაა, ამიტომ ხალხის დასანახად ჯერ ძველი კანონების
პატივისცემა უნდა გამოიჩინოს მან, და არა ხელდახელ დაარ-
ღვიოს ისინი, ხოლო შემდეგში ისე გააკეთოს, ვითომ აუცი-
ლებლობამ აიძულა ამაზე. თანაც სათათბიროდ ყველა მთავარი
უნდა მოიწვიოს, ისინი კი სამოცამდე ყოფილან თურმე.

როცა ერთხელ, მგონი, ჰკითხეს იაპონელებს, უცხოელებ-
თან ვაჭრობას ასე რად აყოვნებთო, კავადიმ პასუხად თქვა:
„ვაჭრობა ჩვენში ახალი, უმწიფარი საქმეა; ჯერ უნდა მოვი-
ფიქროთ, რით ვივაჭროთ. ქალსაც ხომ მაშინ ათხოვებენ, —
დაუმატა მან, — როცა შელერდება. ვაჭრობა ჩვენში ჯერ არ
შელერებულაო...“

შვიდი თუ რვა მოლაპარაკების შემდეგ ფრეგატზე უკვე
ცერემონიალმაისტერმა ნაკამურა ტამეიამ დაიწყო სიარული,

ეინოსკესა და ოთხ მდივანს მოჰყვებოდა, რომლებიც ყოველივეს იწერდნენ, რაც კი ითქმებოდა. რა სწრაფად ითვისებს ხელქვეითი უფროსობას აქ, თუმცა განა მარტო აქ! ნაკამურა დათვივით უშნოდ აბობლდებოდა ხოლმე იმ ადგილზე, სადაც რწმუნებულები ისხდნენ, როგორც ბევრ იაპონელს სჩვევია, ხელებს დამუშტავდა და მუხლებზე დაეყრდნობოდა, შუბლს შეკმუნნიდა და მედიდურად მოჰყვებოდა ლაპარაკს. მაგრამ ერთხელ კი დიდ ხათბალაში გაება: აღმირალმა რწმუნებულების გადასაცემად მას დაბეჭდილი პაკეტი მისცა. შიგ დიდი მნიშვნელობის წერილები იყო.

ნაკამურამ მშვიდობიანად მიიტანა ის, სადაც ჯერ არს. მაგრამ მეორე დღეს, საოცრად შეშფოთებული მოვიდა პაკეტთან და შეგვემუდარა, უკანვე დაგვებრუნებინა... „როგორ თუ დავიბრუნოთ? ეგ რა წესია, ან რა საჭიროა, მიზეზი არ არსებობს!“ — ბრძანა აღმირალმა გადასაცემად. „არსებობს, არსებობს, — იძახდა ნაკამურა, — მითხრეს, პაკეტით არამც და არამც არ დაბრუნდევ, და მეც ვერ გავბედავ წასვლას. ჰქენით სიკეთე და აიღეთ!“

რწმუნებულებაც დამფრთხალან თურმე: „წერილებში ისეთი რამ წერია, — დაუმატა ნაკამურამ, — რაზეც ედოდან არაფერი უბრძანებიათ: იქ იფიქრებენ, რომ ვითომ მათ გამოგწვიეს იმაზე, რაზეც თქვენ სწერთო“. ნაკამურამ რომ ნაზა, წერილებს არ დააბრუნებდნენ, შეიხვეწა, პირდაპირ გოროჩის სახელზე გაეგზავნათ. ამაზე თანხმობა უთხრეს.

რარიგ გაიხარა, როცა პ[ოსიეტმა] აღმირალის ბრძანებით წერილებს ხელი შეახო: ეს ხომ აღებას ნიშნავდა. სიხარულით ცას დაწეულმა ქამრიდან ბრინჯაოს სუნამოს შუშა მოიხსნა, რომელსაც ყველანი (ე. ი. ბობოლა მოხელეები) ატარებენ, და პ[ოსიეტს] უბოძა. ყველას გაგვეცინა. ნაკამურა რალაციით ველურს ჰგავს, თუმცა მხოლოდ გარეგნობით. გამოხედვით, ხმითა და მიმოხვრით ცოტა არ იყოს ნადირს მოგაგონებთ. პ[ოსიეტი] და მე ისე შევეუყვარდით, სულ მხრებზე გვითათუნებდა. ხელს გვართმევდა. ჯერ კიდევ ფრეგატზე პირველად წვევისას, როცა ოთხი რწმუნებული და ნაკამურა აღმირალის კაიუტაში ჩვენთან სადილად ისხდნენ, ჩემდამი დიდი განწყობა გამოამჟღავნა: საღღეგრძელოები რომ წარმოთქვეს, ნაკამუ-

რამაც წარმოთქვა სადღეგრძელო და თქვა, რომ ყველა **ხ**ნახვა ძალზე გაუხარდა, განსაკუთრებით კი ჩემი. ჩვენ გავვეცინა. თუმცა მე და პ[ოსიეტმა] ალბათ იმით მოვიგეთ მისი გული, რომ სტუმრებს გულდაგულ ვუმასპინძლებოლით, შამპანურს ვუსხამლით, მათ შორის მასაც. „ჩვენ ასე ვერ გაგიმასპინძლებით“, — დაღონებით იძახდნენ ისინი, ცოტა არ იყოს შურითაც. ნაკამურას მეტად მოეწონა კაპიტნის კაიუტაში პიანინო. რომ დაუკრეს, ალტაცებაში ზოვიდა. „კოტო, კოტო!“ — ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიძახოდა და ფორტეპიანოზე გვიჩვენებდა. მგონი, ასე ჰქვია იაპონურ მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელიც ფორტეპიანოს ჩამოგავს გარეგნულად და რომელზეც იაპონელი ქალები უკრავენ.

ვიდრე ადმირალი ნაკამურას მიერ მოტანილ წერილს კითხულობდა, გასართობად მას სხვადასხვა სურათები ვაჩვენე, სხვათა შორის შარშანდელი ქალების მოდეიც. სურათებში ჟურნალებში იყო ჩაკრული. ქალების ფიგურებმა და ტანსაცმელმა დიდი ეფექტი მოახდინა. ეს რომ შევამჩნიე, ჟურნალიდან სურათები ამოვხიე და ვაჩუქე. სიხარულით ცას დაეწია. კიდევ ლონდონის ხედებიც ვაჩუქე, დასტად რომ იყო შეხვეული და მოცულობით თვრამეტი ფუტი გახლდათ. ტემზის ქვეშ გვირაბში ვიყიდე ისინი. ნაკამურას გაუხარდა, მეორე დღესვე საუკეთესო თუთუნის, ორი ჩიბუხის და ორი პატარა ქისა მომიტანა საჩუქრად და მითხრა: „ტ ა ბ ა კ ო, ტ ა ბ ა კ ო ო“. თუთუნთან ერთად ეს სიტყვა პორტუგალიელებს შემოეტანათ.

ნაკამურას რომ ვართობდი, ტუნბერგის პატარა იაპონური ლექსიკონი და სასაუბრო ავიღე ხელში და ლათინური ასოებით დაწერილი იაპონური წინადადებების კითხვა დავიწყე. ნაკამურამ და სხვა იაპონელმა მოსაუბრეებმა არაჩვეულებრივი ხარხარი შექნეს. სხვათა შორის, იქ ერთი ისეთი წინადადებაც იყო: „მაჩენენ მისურის სახლიო“. მისურის ნაცვლად კი მე გუბერნატორ ოვოსავას სახელი ჩავსვი, რამაც სტუმრები ფრიად შეაცბუნა და, ასე გასინჯეთ, შეაშინათ კიდევ. ნაკამურამ, მისმა თანამოსაუბრეებმა და ორმა თარჯიმანმა წიგნში ჩაიხედეს, გუბერნატორის სახელი იქ საიდან მოხვდაო. ეშმაკობა რომ გამიგო, ნაკამურა ახარხარდა და თითოთ დამემუქ-

რა. მაგრამ საზრიანი და თავაზიანი კაცი რომ არის ეტყობა, თუმცა კი დათუური ხეხედულება აქვს.

ყველაზე საზიზღრად ეინოსკე იქცეოდა. კავადისთან იყო თარჯიმნად მიჩენილი და ამიტომ მოლაპარაკებათა ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ის თარგმნიდა. ჰოდა, თავში აუევარდა კიდევ ეს ამბავი, სხვა რწმუნებულებს ყურს ძლივს ათხოვებდა ხოლმე: თუ კავადი არ ესწრებოდა, სკამზე გადაიშალარებოდა. ერთი სიტყვით, არც მალავდა, რომ განათლება მიეღო უკვე. ასე რომ, მოლაპარაკების ბოლოს გაცილებით უარესად ეკირა თავი, ვინემ დასაწყისში. არც წაქეიფებაზე იძახდა უარს: წამანურს მალიმალ თხოულობდა. ერთხელ ნაკამურას თანდასწრებით ოთხი ბაკალი შესვა და ისე გამოთვრა, რომ რასაც ეუბნებოდნენ, იმას კი არ თარგმნიდა, საკუთარი ტვინით მოჰყვა მსჯელობას. მაგრამ დაემუქრენ, სხვა თარჯიმანს ავიყვანთო. კიჩიბე არ გაყოყოჩებულა. კბილებდაკრეკილი კუთხეში იჯდა თავისთვის და „ხი-ხიო!“ ყოველ მხარეს გასძახოდა. „კიჩიბე!“ — თუ დაუძახებდნენ, სწრაფად მიტრიალდებოდა ხან ერთ, ხან მეორე იაპონელისკენ და „ხიო!“ — გაეხმიანებოდა. „კიჩიბე!“ — დაუძახე ერთხელ ხუმრობით. „ხი!“ — გამოძახა იმან და ჩემკენ გამოხონდა, მაგრამ შეცდომას რომ მიხვდა, უწყინრად გაიცინა და უკანვე გახონდა.

ნაგასაკში რომ წავიდოდით, იქ ყოველდღე, ნაშუადღევს, საუზმეს მოგვართმევდნენ, სამი საათისათვის კი ბანკეტს გვიწყობდნენ, ანუ ჩაისა და კანფეტებს მოგვიტანდნენ. ჩვენც ვუძახინდებოდით ხოლმე ნაკამურასა და მის ამალას და ჩვენთან ამიტომაც მოუხაროდათ. გუბერნატორის მოხელეები თვალთ აღარ დაკვინასავს, რაკი საქმე უკვე რწმუნებულებსა და მათთან ჩამოსულ მოხელეებთან გვექონდა. განსაკუთრებით ხორცსა და ალუბლის სასმელს ეტანებოდნენ ისინი. თან არც გართობას ვაკლებდით: ჯადოსნურ ფარანს ვაჩვენებდით, ორთქლმავლის მოძელს, რელსებს. პირდაღებულები შესცქეროდნენ, როგორ მიქროდა თვითონ მანქანა და ორთქლს უშვებდა; მათთვის ვუკრავდით პატარა ორღანებზე და ბოლოს მათთვის გრიანებდა ჩვენი ნამდვილი მუსიკა.

აღმირალმა ბრძანა ნაკამურასთვის გადაეცათ, რომ რწმუნებულებს თხოვს ფრეგატზე მეორე, გამოსათხოვარ სადილზე

ეწვიონ. ამასობაში იმათი ახალი წელიც დადგა, რომელიც იანვრის ახალი მთვარით იწყებოდა. 17 იანვარი იყო. აღმირალმა ორ უფროს რწმუნებულს თავისი სავიზიტო ბარათები და საჩუქრად ალუბლის სასმელები, ლიქიორები, ხარის ნაწილი, ნამცხვრები გაუგზავნა. შემდეგ პატარა ორღანები, სურათები, ალბომები და თუ სხვა აჩუქეს.

20 იანვარს ჩვენი სტილით, რწმუნებულები დაგვიპირდნენ, მოვალთო, და მოვიდნენ კიდევ. გვითხრეს, ფრეგატზე სიხარულით მოგვიწვევდა გულიო. ჩაი გავუწყვეთ, მერე აღმირალმა საქმეზე დაუწყო მათ ლაპარაკი.

სადილის წინ ისევ აჩვენეს მათ საბატარეო გემბანზე გასგაში, მაგრამ ამ სურათმა, მგონი, შიშით ლამის გააქრო. უჩვეულო კაცს მართლაც შეაძრწუნებს, როცა დაფლადის ხმაზე, ოთხასი კაცი ერთბაშად ზარბაზნებთან მიიბრუნს, — ფეხებში ამ დროს ნუ გაებლანდები, თორემ წაგაქცევენ—ახსნიან ზარბაზნებს, გამოაგორებენ, დატენიან, გასვრიან (მაგალითისთვის ფისტონებზე იანვარიან მზოლოდ), მერე ისევ ქრთან მიაგორებენ. თითქმის ხუთარშინიან ქვემეხებს სათამაშოებივით დააფრიალებენ. ზარბაზნთა გრიალი, მეზღვაურების ბრახბრახი, ფისტონების ალი და გრუხუნნი. ბრძანების სიტყვები — არა მარტო იაკონელს ატკენს თვალს. ჩვენს სტუქრებს, როგორც ჩანს, დიდად არ ეამათ ეს ამბავი. მოხუც ტუტსუის შიშით ლამის გული წაუვიდა... ბრძანება გაიცა, განგაში საჩქაროდ შეეწყვიტათ. წინა დღეებში იპონელებმა ეინოსკე მოგვიგზავნეს, ახალ სამიზნიანი თოფი და ზარბაზნის ფისტონები გვთხოვა გვეჩუქებინა. ვითომც თავისთვის. მაგრამ, ცხადია, ედოდან ექნებოდათ ნაბრძანები. აღმირალმა უარი უთხრა: ასეთი საგნები მხოლოდ იმათ შეიძლება ეჩუქოს, ვისთანაც დიდი მეგობრობა გაკავშირებს და ხშირი მიმოსვლა გაქვსო.

განგაშის შემდეგ საიალქნო ვარჯიში აჩვენეს: რამდენიმე წუთში შლიდნენ და კეცავდნენ იალქნებს.

შემდეგ მაგიდან შემოვუსხედით, ახლა უკვე ევროპული წესით. ყველანი, ე. ი. ოთხივე რწმუნებული, ტამეია და ჩვენ შვიდნი ერთად ვისხედით. დანარჩენებს კაიუტ-კამბანიაში გაუშალეს სუფრა. კიჩიბემ და ეინოსკემ კვლავ იატაკზე მოიკა-

ლათეს, ორი უფროსი რწმუნებულის ფეხებთან. კერძები ევროპული წესით შემოჰქონდათ. მე კავადის დავტრიალებდი, [ქოსიეტი] ტსუტსუის. კავადი ყოველი კერძის თაობაზე შეკითხებოდა, ყველაფერს ირკვევდა, ბერიკაცი კი, რასაც არ პიართმევდნენ, ყოველივეს თათქო შეუგნებლად ილოდნებოდა. პირველ სადილთან შედარებით ახლა უფრო მეტად მოუღბინეს სასმელებს, ჩვენგან ესწავლათ თითოეულის სადღეგრძელოს შესმა. წარამარა ჩვენც გვივსებდნენ ჭიქას და თვითონაც ისხამდნენ. ჩვენ ცოტას მოვსვამდით, ისინი კი პატიოსნად გამოსცლიდნენ ხოლმე ჭიქას.

შუა სადილზე კავადის ცოტა მღელვარება დაეტყო, თუმცა ბერიკაცს არაფერი დამჩნევია. შამპანური მოიტანეს. როცა საცობი ამოვარდა და ღვინო შადრევანივით გადმოისხა, სტუმრებმა თვალები დაჭყიტეს. ეინოსკე უკვე გამოცდილი იყო და სასწრაფოდ აუხსნა მათ ამ ღვინის თვისება. აღმირალმა სადღეგრძელო წარმოთქვა: „ჩვენი საქმის წარმატებას გაუმარჯოსო!“ კავადიმ ერთი ბაკალი შამპანური და სამი სირჩა ნაყენი რომ დალია, თავი მაგიდაზე ჩამოღო, ერთი წუთით ასე გაირინდა, მერე თავი გააქნია, თითქო თვლემას იშორებსო, და გამოფხიზლებულმა სწრაფად იკითხა: „როდის შეიძლება, რომ აღმირალი და ჩვენ უკანასკნელად მიგვიპატიყოს სადილზე?“ — „როცა ინებებს, თუ დიდად არ შეწუხდებო“, — უთხრეს პასუხად. მაგრამ მაინც ითხოვა, გარკვეული დღე დაგვენიშნა. როცა აღმირალი ორი დღის შემდეგ შეპირდა, კავადიმ დაუმატა, რომ ამ დღისთვის აღმირალის ნათხოვნი უკანასკნელი წერილებიც მზად იქნებაო. „ნახვამდის, როდის გნახავთო?“ — სულ ამას გვეკითხებოდა კავადი. იმედი ჰქონდა, ვეტყოდით, ნაგასაკიდან საით გავემართებოდით, მაშასადამე, რუსეთში თუ დავბრუნდებოდით. ეინოსკემ ერთხელ აღმირალის კაიუტაში მაგიდის გაზომვა დაიწყო. „რად გჭირდებაო?“ — ჰკითხეს. „თუ კიდევ ჩამობრძანდებით, თქვენს დასაპატიყებლად ასეთი რომ გავაკეთებინოთ“. ეგონა, ჩვენს განზრახვებს გავუმჟღავნებდით ამ შემთხვევაში: მაგრამ არაფერი გვითქვამს. „ნახვამდისო“, კი ვეუბნებოდით, ოღონდ სად, როდის — ამაზე კრინტს არა ვძრავდით.

იაპონელებს გულის ფრიალი ატეხოდათ: ვთქვათ და ედოს

მივადგეთ უცებ? მაშინ ხომ წყალში ჩაეყარათ რწმუნებულებს მთელი ნაშრომი, ნაგასაკში ჩამოსვლა ხომ ტყუილად შერჩათ. უნდოდათ, ჩვენი ელში წასვლა როგორმე აეცდინათ, სხვათა შორის იმიტომაც, ვაითუ იქ ამერიკელებთან პირი შეგვეკრა და ვაჭრობა მაშინვე გაგვეჩაღებინა, ისიც მარტო მოლაპარაკებათა გზით კი არა. რა თქმა უნდა, გაზეთებიდან იცით უკვე, რომ იაპონელებმა ამერიკელებს სამი ნავსადგური გაუხსნეს. აღმირალი ვარაუდობს, ამის შემდეგ იაპონიის კარჩაკეტილობა თავისთავად მოისპობა, ტრაქტატების გარეშეო. ვეშაპსაჭერი ხომალდები შემთხვევას არ გაუშვებენ ნავსადგურებში შეიარონ, მით უმეტეს, რომ იაპონელებს, რომელთაც ვაჭრობის მსგავსი არაფერი სურთ დაუშვან, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ვიდრე ამ საკითხს საფუძვლიანად არ მოიფიქრებენ ერთმანეთში და არ გადაწყვეტენ, გაგონებაც არ უნდათ შეშის, სანოვაგის თუ წყლის მიტანის საფასური აიღონ. ვეშაპმჭერთ კი ეს ფრიად აწყობთ, განსაკუთრებით შეშა უღირთ ძვირად: ცნობილია, რომ ვეშაპს დაიჭერენ თუ არა, ოკეანეშივე გადადნობენ ხოლმე ქონად. ახლა აუარება ვეშაპმჭერი ხომალდი დაცურავს: აბა, როგორ უნდა მიაღვენონ თვალი, რომ იაპონიის ნავსადგურებში მათ არ ივაჭრონ, რომლებიც მხოლოდ იმისთვის გახსნეს, ხომალდებმა ცოტა ხნით შეირბინონ, სანოვაგე, წყალი მოიმარაგონ და იქაურობას სწრაფად გაეცალონ? იაპონელები ნაპირზე გადმოსვლას, საქონლის გადმოტანას დაუშლიან; არა ერთხელ ატყდება კინკლავი, იქნებ ჩხუბიც გაიზართოს, ჯერ პატიოსანი გზით, მერე კი... ვინ არ იცის, რაც მოსდევს ხოლმე ამას.

სადილზე ერთი წუთით გამოვართვი კავადის მარაო დასათვალიერებლად: უბრალო მარაო იყო, პალმის ხისგან ნაკეთები, ქაღალდი ჰქონდა გადაკრული. უკან დაბრუნება რომ დავაპირე, მაშინვე მითხრა, „სახსოვრად“ დაიტოვეო, როგორც ეინოსკემ გადმომითარგმნა: მადლობა გადაუუხადე, მაგრამ ვალში რომ არ დავრჩენილიყავ, ჩემს საათს ოქროს ძეწკვი მოვხსენი და მივაწოდე. კავადი ერთი წუთით შეჩერდა, მოისმინა ჩემი მადლობის თარგმანი, თქვა, რომ მადლობელია და საჩუქარს მიიღებს. შემდეგ სუფრიდან წამოდგა და ეინოსკეს რაღაც გადაუჩურჩულა. საქმე თურმე რაში ყოფილა: კავადისა და

ტსუტსუის ჩემთვისა და პ[ოსიეტისთვის] ჩიბუხების ორი ყუ-
თი მოემზადებინათ საჩუქრად. როცა ოქროს ძეწკვი ვაჩუქე,
ალბათ, თავისი საჩუქარი უკვე ეცოტავა. კიჩიბემ ამაზე არ-
ფერი იცოდა. ნასადილევს გვერდიდან აღარ მომცილდა და
ჩვეულებისამებრ სიცილით და კრუსუნით ლამის გაიგუდა.
ორჯერ დამიწყო ლაპარაკი, ბოლოს ვედარ მოითმინა და მე-
სამეჯვრაც ალაპარაკდა, მერე რა რომ მე ჰოლანდიური არ
მესმოდა: „მათმა აღმატებულებამ, ტსუტსუიმ და კავადიმ
გთხოვათ თქვენ და პ[ოსიეტს] პატარა საბოძვარი მიიღოთ...“
ეინოსკემ აღარ დააცალა სათქმელი და სასადილოში გაიყვანა
ჩიბუხები ყველა პ[ოსიეტს] აჩუქეს, ჩემი წყალობით იმას ორ-
მაგი საჩუქრები ერგო.

მეორე დღეს კავადიმ სამი აბრეშუმის ნაჭერი და ოთხი
პალმის ჩიბუხი გამომიგზავნა, სპილენძის ტარიანები. სპილენძს
ოქროსავით გაჭონდა ლაპლაპი; იაპონურ სპილენძში მართ-
ლაც ბევრი ოქრო ურევია. ტსუტსუის ვერცხლის მოოქრუ-
ლი კოვზი ვაჩუქე, სევადიანი, ჩვენი სოფლური კოვზების
ყადის, ვუსურვე, რომ კოვზით ჭამას მიჩვეოდა და თავისი
შვილებიც დაეჩვია, „იმ იმედით, რომ რუსებთან ხშირად მო-
უხდებოდათ სადილი-მეთქი“. სამაგიეროდ ორი პატარა ყუ-
თი გამომიგზავნა; ერთი გალაქული იყო, სადაფით მოქედილი,
მეორე ხისა, ზვიგენის ტყავი გადაეკრათ, პაწაწკინტელა სად-
გარს წარმოადგენდა, საგზალი რომ მიაქვთ ხოლმე. მეტად
ორიგინალური ნივთი გახლდათ. მესამე რწმუნებულს porte-
monnaie ვაჩუქე, იმან კი ნახევარ დუეინ თუთუნის ქისებითა
და დანის ტარებით დამასაჩუქრა. იაპონელებს ნაირ-ნაირი
ბალთები ჰკიდიათ ხოლმე ხმლებზე, სხვათა შორის, პატარა
დანებიც. საჩუქრად ბოძებული ჩემი დანის ტარი მეტად ფა-
ქიზი ნახელავი იყო. ზედ ყვავილები, ჩიტები და იაპონურა
წარწერა ამოეხატათ. ნაკამურამ სპილენძის სამელნით, ფუნ-
ჯით და ტუშით დამასაჩუქრა.

ადმირალისთვის გამოგზავნილ საჩუქრებს ხომ მთელი გემ-
ბანი და კაიუტა გაეჭედა. თვითონ ნივთები მაინცდამაინც
დიდი არ იყო, მაგრამ ყველა საგანგებოდ გაკეთებულ, იმდე-
ნად მკვიდრ ყუთში იდო, თითქო მთელი საუკუნე უნდა ეხმა-
რა კაცს. ბევრი საჩუქარი მართლაც შესანიშნავი გამოდგა.

ზოგი თავისი სიკოხტავით, ზოგიც თავისი იშვიათობით ჩვენში. ფაიფურის ლარნაკები და ფინჯნები მშვენიერი რამ იყო, გალაქული ნივთები ხომ იმათზე უკეთესი. გამოეგზავნათ პატარა მაგიდები, კარადები, თაროები, თეჯირებიც კი. შემდეგ თოჯინები მოსდევდა, იაპონურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ხახჯალი, ხანჯლის მოკაზმულობა თუ სხვა. კიდევ სოიაც მოეყოლებინათ — რამაც თავბედი გვაწყველინა! ერთ-ერთ მოხელეს თხუთმეტამდე პატარა კასრით ეჩუქებია სოია. არ დავიწყებიათ საკი, რაღაც ხმელი თევზი, ხიზილალა უბერნატორს ისევ მწვანილი გამოეგზავნა, ყოველივე ეს გამოსათხოვრად.

ნასადილევს ადმირალმა კავადის ოქროს საათი აჩუქა; „იმ ძეწვევისათვის, რომელიც ახლა გაჩუქესო“, დაუმატა ესეც. კავადი აღტაცებული დარჩა: ჯერ კიდევ სხდომებზე სულ თავის სქელ, მოუხეშავ ვერცხლის საათს გვიჩვენებდა, რომელსაც ჩვენში ახლა სოფლის დიაკვანსაც ვეღარ უნახავ, თითქო ამ საჩუქარს გვეხვეწებოდა. ტსუტსუსი უფრო პატარა საათი აჩუქეს, ისიც ოქროსი და ორი აბრეშუმის ნაჭერი. სხვა ორ რწმუნებულს თითო-თითო ნაჭერი უბოძეს.

იაპონელები რვა საათზე გამოგვემშვიდობნენ. ფრეგატს ათიოდე საუენზე რომ მოცილდნენ, ერთბაშად ქანდარებობ ბოლოებზე თავდაპირველად ნაპერწყლებმა იღვა, მერე ცეცხლი აკამკამდა, ჯერ სუსტად, შემდეგ კი მთელი ფრეგატი უეცრივ თითქო აბღღვრილდა და მთელი მიდამო კარგა შორს ბენგალიურ შუშუნების ფანტასტიურმა დაფიონმა გააჩახჩახა. გემბანზე ნემსსაც კი დაინახავდი — ისე გაეკაშკაშებინა დაფიონს ფრეგატი და მიმავალი იაპონური ნავები, წყალს ხომ თითქო ცეცხლი წაკიდებოდა. ამან დიდი ეფექტი მოახდინა: მეორე დღეს იაპონელებს მხოლოდ ეს ამბავი ეკერათ პირზე, გვეკითხებოდნენ, რა იყო, როგორ, რისგან, გვეხვეწებოდნენ, გვეჩვენებინა, როგორ გავაქეთეთ.

შაბათს ჩვენ ვეწვიეთ სტუმრად. რიგიანი დღე იდგა, მაგრამ ოთახებში ბნელოდა, ციოდა და სინესტე იგრძნობოდა. სადილობამდე ერთმანეთის მისალმება-მოკითხვაში და მეგობრობის ფიცში გავატარეთ დრო. გუბერნატორებსაც შევეურივდით. ადმირალმა უთხრა მათ, რომ თუმცა ჩვენი ურთიერთდამოკი-

დებულება მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო, ნაპირზე ადგილის მიჩენის თაობაზე, მაგრამ მას ესმის, რომ გუბერნატორებს თავიანთი უფროსების ნების გარეშე არაფერი გაუკეთებიათ, ამიტომ პირადად მათი საწინააღმდეგო არა აქვს რა, პირიქით, მადლობასაც მოახსენებს ზოგიერთი წყალობისათვის, სანოვაგის, წყლისა თუ სხვათა მოწოდებისთვის; მაგრამ მხოლოდ ამას თხოვს გუბერნატორებს, რომ თავიანთ უფროსებს მოახსენონ, თუკი მათ განზრახული აქვთ უცხოელებთან რაიმე კავშირი დაამყარონ, დროა უკვე იფიქრონ ამ ყველა შეზღუდვის გაუქმებაზე, რაიც ყოველმა კეთილშობილმა ერმა შეიძლება შეურაცხყოფად შერაცხოს. გუბერნატორმა მიუგო, რომ უფროსებს აუწყებს ამ ამბავს, აღმირალს კი სთხოვს მხოლოდ აპატიოს ის ამბავი, რომ სანოვაგე ხანდახან იმდენი არ მისდიოდა, რამდენიც საჭირო იყო, არ ჰქონდათ და იმიტომ. გუბერნატორებს საჩუქრად თითო აბრეშუმის ნაქერი გაუგზავნეს; მათაც სამაგიერო საბოძერები გამოგზავნეს, მხოლოდ არ ვიცოც რა: იმდენი ყუთები მოზიდეს, რომ მოგვბეზრდა კიდეც გამორკვევა, შიგ რა იყო.

რწმუნებულების გამოსათხოვარი სადილი კარგი გამოდგა. ხახვის შექამანდი, სოიათი და სანელებლებით შეკაზმული, ძალზე გემრიელი იყო. შიგ გუფთის გუნდები დაცურავდა, ოღონდ არ ვიცოც, რისი. კვლავ სიამოვნებით გაიხელით წითელი დაპრესილი ხიზილალა, საწებლიანი თევზი, ცხელი ბრინჯის ორი ფინჯანიც დავცალე. ნაკამურა ჩვენი მიბაძვით წამდაუწყურ დაგვტრიალებდა თავს და ბეჯითად გვიმასპინძლებოდა. „კიდეც რასმე ხომ არ ინებებთო?“ — გვეკითხებოდნენ მასპინძლები. „არა, არაფერს, მადლობას მოგახსენებთ-თქო“. — „იქნებ ერთი ფინჯანი ბრინჯი ან საკი ინებოთ კიდეც?“ — „არა, არა, დავნაყრდით-თქო“. — „მაშ, ცხელ წყალს ხომ არ დააყოლებთ?“ — ტყბილად გვეკითხა ბერიკაცმა. ამაზეც უარი განვაცხადეთ. „მაშასადამე, შეიძლება აალაგონ?“ — „ბატონი ბრძანდებით-თქო!“

ნასადილევს „ბანკეტი“ მოგვართვეს. ლურჯი ქაშანურის თევზზე ბრჭყვიალ-ბრჭყვიალი გაჰქონდა კანფეტებს. მერე რა ნაირ-ნაირი მოეტანათ! ყვითლები, წითლები, ბრინჯის ფქვილით მოყრილები, პირში კი ვერც ერთს ვერ ჩაიდებდი. ყოვე-

ლივე ეს ერთად შეახვიეს თეფშებიანად და შინ გამოგვიგზავნეს. ფადევეს დღესასწაული გაუთენდა! შემდეგ თითოეულს სადგარი დაგვიდგეს წინ, ზედ აბრეშუმის ნაჭრები და კიდევ სიოგუნის საჩუქრები ეწყო. სელის აბრეშუმისა და, მგონი, ბამბის ნაჭრებიც იყო. ყველა ოფიცერს თითო ყუთი მოართვეს ერთი დუჟინი, სიფრიფანა, თითქმის გამჭვირვალე ფაიფურის ფინჯნებით სავსე, — ისინიც იაპონიის ხელმწიფის სახელით. ქსოვილებს ისინი, მგონი, უფრო დიდ საჩუქრად თვლიან. მაგრამ ამ მსუბუქ, თითქმის გამჭვირვალე, ორიგინალურ ფინჯნებში სიამოვნებით გაცვლიდა კაცი მათ.

რწმუნებულებმა კვლავ დააპირეს გამოეტყუებინათ ჩვენთვის, სად მივდიოდით, ოხოტის ზღვაში, ე. ი. პეტერბურგისკენ ხომ არ ავიღებდით გეზს: „ახლა ჯერჯერობით ჩინეთში გავწევთ, — უთხრეს მათ, — ოხოტის ზღვაში ყინულებია, არ შეიძლება“. ასეთი გულჩახვეულობა, ეტყობა, არ მოეწონათ. ტყუილად ჰუტავდა კავაძი თვალებს, ტუჩებს იკვნეტდა: მას ღიმილით შესცქეროდნენ. ვაი მისი ბრალი, ჩვენ თუ ელოში წავედით!

ადმირალი არც აპირებდა ტყუილი შიშით ეწამებინა იაპონელები: გადაწყვეტილი ჰქონდა განეცხადებინა მათთვის, რომ გაზაფხულამდე არ მოვბრუნდებოდით, ოღონდ ამის თქმა წასვლისას უნდოდა, რომ იაპონელები აღარ გამოდაეებოდნენ. ჰოდა, ღუზა რომ ავხსენით, მაშინდა შეეკუთვალეთ ეს ამბავი. დამშვიდობებისას ტსუტსუიმ და გუბერნატორებმა კიდევ გამოგზავნეს საჩუქრები, რაც დარჩენილი ჰქონდათ: პირველს ქვეყნის ყუთები გამოგზავნა ადმირალის, პ[ოსიეტის], კაპიტანისა და ჩემთვის, გუბერნატორებს კი წვრილფეხობა და მწვანელი ყველასთვის.

ზურგქარი ქროდა, წყნარი ამინდი იდგა. უკვე აღარ იყო საჭირო სხვა ჩვენს ხომალდებთან ერთად გვევლო. ადმირალმა ისინი წინ გაუშვა, ლიკეის კუნძულებზე უბრძანა წასვლა. ჩვენ კი ყველა იალქანი გავშალეთ და 24 იანვარს ამ თვალუწვდენელ სივრცეზე გავსრიალდით სამხრეთისაკენ. შკუნა ჯერ კიდევ მანამდე გაემგზავრა შანხაიში იმის გასაგებად, რა ხდებოდა ევროპასა და ჩინეთში. იმასაც ლუ-ჩუზე ჰქონდა ნაბრძანები მისვლა. ნეტავ თქვენს წერილებს არ ჩამოიტანს? რაღაც

იმედი არ მაქვს, ჩემსას თუ იღებთ? მანილა, მანილა! აი, ჩვენი საოცნებო, ჩვენი ალთქმის ქვეყანა, სადაც ჩვენი სული და გული, ჩვენი ფიქრები მიილტვის. იქ იგივე ესპანეთი დაგვსვდება, ბერებს, სინიორებს, ღუენიებს, ხარების ბრძოლას ვნახავთ, და თანაც ტროპიკული ესპანეთი გახლავთ!

XII

ლიკეის კუნძულები

ნაპირის ხედი. — ბო-ტსუნგი. — ბაზილ გალი. — იდილია. — სა-
ტახტო ქალაქის გზა. — დედაქალაქი ჩუდი. — ქვის სამუშაოები. —
პეიზაჟები. — მცხოვრებლები, სახლები, ტაძრები. — ყანები. — სამე-
ფო კოშკი. — კუნძულთა დამოკიდებულება. — პროტესტანტი მისი-
ონერი. — იდილიის უკუღმა მხარე. — ნაპა-კიანი. — მისიონერის
სადგომი. — ნაპა-კიანის გუბერნატორი. — ჩინელ ემიგრანტთა ხო-
მალდი. — გასეირნება და გამგზავრება.

ნაპა-კიანის ნავსადგური, 1854 წლის 31 იანვრიდან
9 თებერვლამდე.

მთელი ეს ხანი სულ თქვენ მაგონდებოდით, ჩემო ფიქრია-
ნო ოსტატო: დილას რომ თქვენს სახელოსნოში შემოვიდოდი
ხანდახან, სადმე ჩარჩოების უკან, ტილოსთან მჯდარს მოგ-
კრავდით თვალს, შემოქმედების ოცნებით გატაცებულს შეუმ-
ჩნევლად მოგეპარებოდით, გიციქვრდით, თავდაპირველად მსუ-
ბუქად, მკრთალად, ბუნდოვნად რომ მოხაზავდით ესკიზს. ყვე-
ლაფერი გადღლაბნილი ჩანდა ჯერ: ხეები წყალს შერთვოდა,
ცა დედამიწას... რამდენიმე დღის შემდეგ კი ის მკრთალი ეს-
კიზები უკვე გარკვეულ სახეებად გადაქცეული დამიხვდებო-
და: ნაპირი სიცოცხლით სუნთქავდა, ყოველივე კაშკაშებდა და
ნათლად იხატებოდა...

თქვენი ესკიზებივით მკრთალ სურათებად მომეგლინა პირ-
ველად ლიკეის კუნძულები. ეს ვეება მიწა, მოლურჯო თუ
მორუხო, ალაგ-ალაგ ამოკუზული, ალაგ-ალაგ ზოლად მისდევ-

და ცისკიდურს. ნაპირიდან ხუთი-ექვსი მილი და მარჯნის ბრაგების გრეხილი გვაშორებდა. ამ ქვის კედელს გაცოფებით ეხეთქებოდა წყალი, ფურთოვანი ხან სწორ საბურად ეფინებოდა ზღვას კარგა მანძილზე, ხან მაღლა ხტებოდა და ბროლის კორიანტელად ცვიოდა ირგვლივ. შორიდან გეგონებოდა, წყლიდან თეთრი სქელი კვამლის ბოლქვები ამოჭრილაო; ირგვლივ ლურჯზე ლურჯი ზღვა ლივლივებდა და ბრაგებიდან მარგალიტისა და ზურმუხტის ნაკადები იფრქვეოდა. ნაპირი შავად მოჩანდა; მაგრამ როცა სხივი უეცრივ რომელიმე ნაკვეთს დაეცემოდა, ჯეჯილით მოღაღანეს, რარიგ მწვანედ ახასხასდებოდა ეს ნაკვეთი!

ორ უკანასკნელ დღეს მძაფრი ქარი ქროდა, როგორც იქნა, დაცხრა და ბრაგების გაღმა, რეიდზე შესვლის ნება მოგვცა. ეს ალიონზე ყოფილა; მეძინა და არაფერი გამიგია: გემბანზე რომ გამოვედი, ერთბაშად ნაპირის დასრულებული სურათი დამიხვდა, ლამაზად მიკიბულ-მოკიბული კიდეებით, მთელი თავისი მომხიბლავი წვრილმანებით, გაბრწყინებული და ათასფრად მოციალე.

ნაპირი დაბლობი მოჩანდა, განსაკუთრებით ნაგასაკთან შედარებით. სამაგიეროდ, რა ნაირ-ნაირი სურათები გეშლება წინ! ჩვენს მარცხნივ ზღვაში შეჭრილი მიწის ნაკვეთი ქარს გამოეფიტა, აქა-იქ ამოყრილიყო მხოლოდ ბალახი, შიგადაშიგ მელოტივით მოჩანდა წვიმისაგან ჩაქამებული მარჯნები, ალაგ-ალაგ ბუჩქები და თიხის ფლატეები. ჩვენს პირდაპირ ნაპირი კარგა მანძილზე დაშორებოდა თავთხელს და ერთიმეორეზე უკეთეს პეიზაჟების კოლექციას წარმოადგენდა. დაბლობის ნაწილი გაბარდნილ ბაღებში ჩაფლულა; გორაკები ყანებს დაუსერავს, თითქო ფერად-ფერადი საკერებელი დაუდვიათო. გორაკის წვეროებს კედარების გვირგვინი ედგა, რომელიც მეგობრულად ამოსდგომოდნენ ერთმანეთს მხარში ჰორიზონტალურად გაშლილი ტოტებით.

ნეტავ რა მცენარეებია იქ, იმ შეჯგუფულ ხეებში? რა თესია ყანებში? როგორია სახლები?.. ჩქარა, ჩქარა ნაპირისაკენ! ორი რუხი მარჯნის კლდე ნაპირებს დიდ მანძილზე მოშორებია და წყალს გადმოყუდებია; ერთის მწვერვალზე პროტესტანტული ეკლესიის სახურავი მოჩანს, მის გვერდით მძიმედ

განრთხმულა ხშირ ბალახში და ბუჩქებში ქვის უზარმაზარი ლოდები, ნაირ-ნაირი ფორმის: ცილინდრული, ნახევარწრიული თუ ოვალური; იმხელებია, შორიდან შენობები გვეგონა, საფლავის ძეგლები კი გამოდგა. შემდეგ, მარჯვნივ, ნაპირი ისევ ზღვისკენ წამოსულა და ხან კორდებად, ხან დაბლობ, ქვიშიან მარჩხობებად მისდევს, რომელიც ზღვის მოქცევას დაუფარავს. თითქმის ზედ ნაპირს მიჰყვება ბრაგების გრენილი, რომლებსაც გამალებით ახტება ფურთუნი; ალაგ-ალაგ წყლიდან ლოდები ამოშვერილა; მიქცევის დროს კი დაინახავ, ხოლო მოქცევისას წყალში იმალება.

საერთოდ, მთელი რეიდი მარჩხობებით და ბრაგებითაა მოფენილი. თუ კარგი რუკები არ გაგაჩნია, ფათერაკს ვერ აცდები! აქ კი მხოლოდ ერთი ბიჩის რუკა ვარგა. ერთი საათის შემდეგ ჩვენი კატერი თიხიან ნაპირს მიებრჯინა და მიქცევის დროს გათავთხელებულ ნავმისადგომის ლოდებს ხერხემლით გაეხახუნა. ნავიდან გადმოვხტით და თავი ამოვყავით ბალში-თქო, ვერ ვიტყვი, ვერც ტყეს დავარქმევ, უფრო პარკი იყო, სადაც ერთმანეთს ჩახლართვოდა ნაწილობრივ ნაცნობი და ნაწილობრივ უცნობი ხეებისა და ბუჩქების ტოტები. ჩვენს ჩრდილოელ ნაცნობებიდან აქ ცოტაოდენი ფიჭვები ვნახეთ, დანარჩენი სულ უცხო, ჩვენში არნახული ხეები იყო.

როგორც იავასა და სინგაპურზე, აქაც ისევ მეცა ტროპიკული ტყეების ტკბილი, ცხარე სურნელი; თბილი, ნოტიო არომატული ანაორთქლი შემეფრქვია. ჩავუარეთ წითელი ხისა თუ სხვა ტყეებს, რომელიც ისე მისჯროდნენ ნაპირს, თითქო ერთმანეთის წყალში გადაყრა უნდათო, და ბილიკს გავყვებით მეორე დიდი ტყისა თუ ბალისკენ, რომელიც შორიდანვე გვიტყუებდა. გავიარეთ თიხიანი მარჩხობი, სადაც ორმოებში ქურჭელი ჩაედოთ ზღვის წყლიდან მარილის მისაღებად. მარჩხობის იქით პატარა სოფელ ბო-ტსუნგის ხეივანი თუ შუკა იწყებოდა, თქვენ რაც გნებავთ, ის დაარქვით.

აიღეთ ბაზილ გალის მოგზაურობა (1816 წლისა), მან ერთ-ერთმა პირველმა მოინახულა ლიკეის კუნძულები, და დახედეთ წიგნში ჩადებულ სურათს, კუნძულის ხელს: ეს სწორედ ის კუნძულია, რომელსაც ჩვენ მივაღექით. გაგეცინებათ ამ ზღაპრული ლანდშაფტის, ამ უზარმაზარი ხეების ტევრში მი-

მალულ ქოხების, ლამაზი ნაკადულების დანახვაზე. ყოველივე ეს იმ პეიზაჟებს მოგაგონებთ — ხაესის ხეები, შუშისგან გაკეთებული წყალი და ქალაქის ადამიანები რომ აქვს. მაგრამ როცა ორიგინალს დაინახავთ, მაშინ სურათის უძლურება მოგვრით ღიმილს, სინამდვილისთვის რომ ვერაფერი მიუმგვანებია.

რას წარმოადგენს ეს „ლიკეის კუნძულები“, ან როგორც ჩვენ ძველ გეოგრაფიებში ეწერა, „ლიკი-კიეუ“, ან როგორც უცხოელები ეძახიან „ლო-ჩიო“ (Lo-Chio), ხოლო მცხოვრებელთა გამოთქმით „დუ-ჩუ“? გადაშლით იგივე გალს, ფიქრობთ, მოგზაურობას წაიკითხავთ და იდილიას კი წააწყდებით. დიას, ეს იდარია გახლავთ, წყნარი ოკეანის უკიდურესო წყლებში გადაკარგული. ახლა კი ზღაპარს დაუგდეთ ყური: ხე ხეს, ფოთოლი ფოთოლს ისე მიწყობია, ვერსად დაბურდულს, უწესრავოდ, უნებლიეთ არეულს ვერაფერა ნახავ. როგორც ჩვეულებრივ ბუნებას სჩვევია. თითქოს ყველაფერი გამოანგარიშებულა, მოვლილი და ლამაზად განლაგებული, როგორც დეკორაციებში თუ ვატოს ნახატებში გინახავთ. კითხულობთ, რომ ადამიანები, ცხენები, ხარები — აქ ჯუჯებად იზრდება, ქათმები და მამლები კი დევისხელაა; ხეები კოლოსალური ტანის აყრილა, მათ შუა კი ოდნავ მოჩქეფს ნაკადულთა ვერცხლისფერი ძაფები და საამოდ ჩსრილებს თეატრალური ჩანჩქერები. ხალხიც სათნოა, მისი საკმეღი მარტო ბოსტნეულია, ერთმანეთს თავაზითა და ზრდილობით ეკიდებიან; უცხოელებს მეგობრობის, ალერსისა და თაყვანის მეტი მათგან სხვა არაფერი უნახავთ. პატრიარქალურ ცხოვრებას ეწევიან, მოგზაურებს ჯგრო-ჯგროდ ეგებებიან, ხელს ჩაკიდებენ, სახლში შეიყვანენ და თაყვანით გამოუდგამენ წინ მათი ყანებისა და ბაღების დოვლათსა და ბარაქას... ეს რა არის? სადა ვართ? უძველეს მწყემსებთან, ოქროს ხანაში? ნუთუ თეოკრიტე მართალი იყო?

ყოველივე ეს მიელავდა თავში, როცა აკაციების, ტვიებისა და ბანიანების ჩრდილში მივდიოდით; მათ შუა აქა-იქ პალმები მოჩანდა. განზე გადაუხევედი, ბუჩქებს ვარხევიდი, ფოთლებს აქეთ-იქით გადავწევდი, მხოხავ მცენარეებს ვაცქერდებოდი და მერე სირბილით ვეწეოდი ამხანაგებს.

რაც უფრო შორს მივდიოდით, ნაკლებ და ნაკლებ ვუჯი

რებდით თვალებს: ხეებს შუა მართლაც სურათივით ჩახუტებოდა ერთმანეთს ქოხები, მარჯნების გალაგებით შეზღუდული; მარჯნები ისე მკიდროდ დაეწყით, რომელი ზარბაზანი არ შედრკებოდა ამ ციხე-სიმაგრის წინაშე: ეს ყოველივე კი მხოლოდ ქოხის შემოსაღობად დაეხარჯათ. ლობეშიც ვიხედებოდი: პაწაწკინტელა სახლებს ბოსტნები და პატარა ყანები შემოხვეოდა. სოფელში სულ ლობეები მისდევდა ერთმანეთს: გაღმა თუ გამოღმა ყველგან ხეები ხარობდა, იქიდან ყვავილები იქყიტებოდა. შორიდანვე მოგყარი თვალი, ალაყაფის კართან მდგარ ბამბუკის გრძელ კომბლებზე დაყრდნობილ მცხოვრებლებს; მათ შორის დარბაისლური მიმოხვრით, ჩაფიქრებული, დინჯი სახეებით, განიერ, სადა, მაგრამ სუფთა ხალათებში, განიერი ქამრები რომ ერტყათ, მოჩანდნენ მოხუცებიო, სირცხვალი იქნებოდა გეთქვა, უთუოდ ბერიკაცებს იტყოდი. გრძელი თეთრი წვერები ჰქონდათ, უკან გადავარცხნილი და კინკრიხოზე კონაღ შეკრული თმა. როცა ახლოს მივედით, მდაბალი სალამი მოგვეცეს, თავი დახარეს და ხელები ძირს ჩამოუშვეს. ზურგს უკან ბაღლები ეფარებოდნენ მფრთხალად.

„ამას რას ვხედავ? — ვიძახდი უფრო და უფრო გაოცებული, — აგრე თეოკრიტეს კი არა, მაღამ დეზულიერსა და ჰესნერსაც დაუჯერებ. იმათი მენალკები, ხლოები და დაფნისები მართლა ცოცხალი გეგონება, ოღონდაც ბაფთიანი ბატკნები აკლია“. ამ დროს თითქოს განგებ, ამ იდილიის შესავსებად, ჩვენი ცხვრებიც გადმოერეკათ ნაპირზე სასეირნოდ.

„სად მივდივართ?“ — იკითხა უცებ ერთმა ჩვენგანმა. ყველანი შევჩერდით. „ეს გზა საით მიდის?“ — ვკითხე ერთ მცხოვრებს ინგლისურად. მან ყურზე მიიდო ხელი, თავი გაიქნია და, არ მესმისო, მანიშნა. „მოდით, დიდაქალაქში წავიდეთ, — თქვა ი. ვ. ფურუგელმა. — ჩუიაში ანუ ჩუდიში (Tshudi, Tshue — ჩინურად შოუ-ლი, ჰთავარი ადგილი, მაგრამ მცხოვრებლები შულის გამოთქვამენ): იქამდე ერთ საათის სასიარულო იქნება. მაგრამ მშვენიერი გზა მიდის უღამაზეს ადგილებში“. — „წავიდეთ“.

აღტაცებით შევეყურებდი, რასაც ვხედავდი, არ მაკვირვებდა ტროპიკული მცენარეები, თბილი, ლბილი, სურნელოვანი

ჰაერი, — ეს ყოველივე სხვაგანაც შენახა, შაოცებდა მხოლოდ ტყის, გზის, ბილიკების, ბაღების ასეთი სინარნარე, ასეთი მოვლილი პირი, შაოცებდა ბერიკაცთა სადა სამოსელი, მათი პატრიარქალური, დარბაისლური იერი, მკაცრი, ჩაფიქრებული გამოხედვა, ყმაწვილების სპეტაკი, კდემამოსილი სახეები; მიწის თუ ქვის სამუშაოებს რომ ვუყურებდი, მიკვირდა ისიც, ნეტავ რა მარჯვენამ გააკეთა-მეთქი. ეს ქიანჭველების სადგომი ან მართლაც იდილიური ქვეყანაა, ძველთაძველ ხალხის ცხოვრების ნაწყვეტი. თითქო როგორც გაჩნდა, საუკუნეების მანძილზე მერე აღარაფერი შეცვლილა აქ. რაც სხვებისთვის ბუნდოვან თქმულებად დარჩენილა, აქ თანამედროვეობას, წმინდაწყლის სინამდვილეს წარმოადგენს. აქ კიდევ შესაძლებელია ოქროს ხანა.

ტყე ხელმწიფის ან ღიდკაცის ბაღი და წალკოტი გეგონება. ყოველივეს ადამიანის ფიზიკური თვალი და მოამაგე მარჯვენა დასტყობია, ის ართმევს ბუნებას დოვლათს და ბარაქას; ოღონდ სიდიადეს და სიამაყეს არ უმახინჯებს და არ უბღალავს. ამ მარჯნის ღობეებს რომ უყურებ, გგონია, შიგ ასეთივე მკვიდრი ქვის სახლები დაგხვდება და შეცდები კი: იქ მორცხვად დგანან პატარა სათამაშო სახლები, კრამიტით გადახურული, ან ღარიბულ ქოხებს დაინახავ, საღორეების მსგავსს, ბრინჯის ჩალით დახურულს, ბამბუკით შემოწნული სამი თხელი ფიცრის კედლით, მეოთხე არ გააჩნია: სახლის ერთი მხარე სულ ღიაა. თუ საჭიროა, ქაღალდით გაწებილ ჩარჩოთი იხურება, შუშა აქ არ იშოვება. ისიც ჩარჩოები მდიდრებს აქვთ სახლებში, ქოხები მუდამ ღია რჩება. ღელეზე გადებულ ლამაზ, ერთთაღიან ხიდს მივადექით. ისიც მარჯნის დიდი ფილებისგან იყო მკვიდრად ნაგები... ვინ ასწავლა ამ ბუნების შვილებს შენება? უნებურად იკითხავ შენთვის. აქ ხომ არავინ ყოფილა, სულ რაღაც ორმოცი წლის წინათ შეიტყო მსოფლიომ მათი არსებობა, მაშინდა მოვიდნენ აქ ადამიანები, ვისაც ასეთი ხიდების შენება შეეძლო; თვითონ მათ აქედან ფეხი არსად გაუდგამთ.

ეს ძველი სამყაროს ერთადერთი გადარჩენილი კუნძულია, ბიბლიასა და ჰომეროსში რომ წაგიკითხავთ. აქ ველურები არ გეგონოთ, ხალხი ცხოვრობს, მწყემსავი თვისი სამწყსოსი,

პატრიარქალური ადამიანები, რომელთაც სწამთ სჯული, ეს-
მით ადამიანის მოვალეობა, სიკეთე და სათნოება. აქ მოაშუ-
რეთ, თუ გასურთ ბიბლიური და ოდისევსისეული ადგილები,
იმდროინდელი საცხოვრებლები, სტუმარ-მასპინძლობა, პირ-
ველყოფილი ცხოვრების სიმშვიდე და სისადავე საკუთარი
თვალთ იხილოთ. გაგიკვირდებათ, რომ აქ ისევე ცხოვრობენ,
როგორც ამ ორი ათასი წლის წინათ, რომ აქ არაფერი შეც-
ვლილა. ადამიანები, მათი ვნებანი, მათი საქმენი — ყოველივე
მარტივია, უბრალო, პირველყოფილი. ბუნებაშიც სილამაზე
და სიმშვიდე სუფევს: მზე აცხუნებს და აყირმიზებს ყოველი-
ვეს, წყალნი წყნარად მოჩქევენ, ნაყოფნი მზა ჰკიდია ხეებ-
ზე. წიგნებს, თოფისწამალსა თუ სხვა რამ წარყენას აქ ვერ
ნახავ. ვნახოთ, შემდეგში რა იქნება. ნუთუ ცივილიზაცია აქ
მიკარგულ, ძველთაძველ სამყაროსაც შებღალავს?

შებღალავს და კიდევ შებღალა უკვე. ამერიკელები. ანუ
როგორც იაპონელებმა შეარქვეს, შე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა-
ტ ე ბ ი ს კ ა ც ნ ი ჩვენს ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე გამ-
გზავრებულან აქედან, დაუტოვებიათ სწეული მეზღვაურები და
ორი ოფიცერი, მათთან ერთად უწყებაც, სადაც სხვა ერების
ხომალდებს აუწყებენ, რომ ეს კუნძულები მათ თავიანთ
მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ა შ ი აიყვანეს, იაპონელთა ბატონობის სა-
წინააღმდეგოდ, რაზეც რაღაც პრეტენზიები გააჩნიათ, და
აძიტომ სთხოვენ სხვებს, აქ არ იმბრძანებლონ. ამერიკელებს
ქვანახშირის საწყობი ფარდულიც აუშენებიათ, რის შემდეგ
შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი ს კ ა ც ი, კომოლორი პერი,
იაპონიაში წასულა.

„სად მიდის ეს ხიდი?“ — ვკითხეთ ი. ვ. ფ[ურუგელმს], რო-
მელიც ჩვენზე ადრე ჩამოსულიყო თავის ხომალდ „თავად
მენშიკოვით“ და კუნძულის მდებარეობას უკვე გაცნობოდა.

„ნაპაში ანუ ნაპა-კიანში: აგერ ისიც!“ — გვიპასუხა და
ლელის გაღმა კრამიტის სახურავების გროვა დაგვანახვა, რომ-
ლებიც ნაპირს მიჰკვროდნენ და მწვანეში სულ ჩაკარგულიყ-
ვნენ.

დედაქალაქის გზა სოფელში გადიოდა და ჩვენც ამ გზას
გავყევით. ხეები, აქ რომ ლალად ხარობს, ჩვენში სათბურებში,
გეჯებში იზრდება. სოფლის ბოლოს ბაზარი დაგვხვდა. თმა-

გაჩეჩილი, ეშმაკის მაშხალასავით შავი დედაკაცები ქუსლებზე ჩაცუკულიყვენენ მიწაში ჩარჭობილ, ბამბუკის გრძელტარიან ქოლგების ქვეშ და თუთუნს, თაფლისკვერებს, ცერცვისგან მოზეილ რაღაც თეთრ ცომს ჰყიდდნენ, რომელსაც იქვე ხელდახელ აცხობდნენ ტაფებზე. ჩვენს დანახვაზე ზოგიერთებმა მიპყარეს საქონელი და ჭიშკრებსა თუ ვიწრო შუკებში შეძვრნენ დასამალად; ვინც ვერ მოასწრო, სახელოებში შემალეს თავი. ღმერთო ჩემო, ეს რა გონჯები ვნახე! ამათ უნდა ერქვას ქალი, დედა, ცოლი! ნეტავ ვინ თხოულობს მათ? მამაკაცები ლამაზებია, ტანწერწეტნი: ყოველი მათგანი დიხსაც გამოდგებოდა პენალკად, ხლოა კი რასა ჰგავს; ღმერთო! არა, ცხელი კლიმატი მანდილოსანთ ხეირს არ აყრის, მშვენიერ სქესად აქ ჩვენი ძმა, ლიკეელები ანუ ლუ-ჩინცელები უნდა შეერაცხონ და არა ეს მზით გარუჯული ლუ-ჩინცელი დიაცები.

ხომ იცით პარგოლოვოს გზა: აი, ასეთი მოკირწყლული გზა მიჰყვება სატახტო ქალაქშიც, მხოლოდ ქვის მაგივრად მარჯნებია მოგებული: ალაგ-ალაგ ისე წვეტიანებია, ფეხსაცმელშიც კი გესობა. როგორ დადიან ლიკეელები ამ გზებზე ფეხშიშველი? მაგრამ ალაგ-ალაგ კი მარჯნები ისე გასიპულა, პარკეტოვით მიცურავს ფეხი. სოფლიდან რომ გამოვედით, დიდებულ ხეივანში ამოვყავით თავი. ორივე მხრიდან მცენარეთა მჭიდრო კედლები ერტყა. ბანიანებს სიმაღლესა და სილამაზეში არც სხვა სქელტანიანი ხეები ჩამოუვარდებოდა, რომელთა ბოჭკოებისაგან იაპონელები თავიანთ საწერ ქალაქს ამზადებენ; შემდეგ ტვიების ნაირ-ნაირი ჯიში წამოვიდა. შიგადაშიგ ბაღში ქოქოსის პალმასაც დაინახავდი და მარაოსებურსაც. მაგრამ პალმები იავასა და სინგაპურთან შედარებით დაჩიავებული მეჩვენა: ეტყობა, აქ შესცივნია — ფოთლები მეჩხრად ასხია და პატარა ზომისაც აქვს. ჩავუარეთ ერთ ვეება, მაღალი გალავნით შემოვლებულ ქვის შენობას. სამი შესავალი მაგრად აეკეტათ, ალყაფზე ჩინური წარწერები ჩანდა: ის ბუდისტური მონასტერი ყოფილა. გალავნის ნახვრეტებიდან რამდენიმე თავგადახოტრილი ბონზა იჭყიტებოდა.

ამ ადგილმა ჩვენი ძველებური, განთქმული ევროპული ბაღები მომაგონა. ხეივნებიდან უამრავი ბილიკი და შუკები უხვევდა მარცხნივ — ტყესა და იქ ერთმანეთთან ჩახუტებულ

ქოხებსა და ფერმებისაკენ, მარჯვნივ — ყანებისაკენ. გზა გველივით მიიკლაკნებოდა გორაკებსა და ველებზე... ვაჰ, რა ადგილი გადაგვეშალა. უეცრივ წინ, როცა ტყე გავიარეთ! თითქოს ანაზღად ფარდა გადასწიესო. შორს გორაკები, ველები, ხეები, ფერდობები, ხრამები მოჩანდა, მუქად ლივლივებდა ტყეები, ახლოს ტერასებითა და ბრინჯის ჯეჯილებით მოჩითული ყანები, შაქრის ლერწმის პლანტაციები, ბოსტნეულის კვლები ღაღანებდა — ხან მკრთალად, ხან ზურმუხტივით მწვანედ!

ჩვენს წინ გადაშლილ ტყეებიან და გორაკებიან სივრცეს მზე უხვად აფრქვევდა სხივებს: ყანებში აქა-იქ ხალხი მუშაობდა, ბრინჯის ჩითილებს რგავდა ან კარტოფილს, კომბოსტოსა თუ სხვას იღებდა. ყოველივე ამას ისეთი სიმშვიდის, სათნოების, ნეტარი შრომისა და ბარაქის მადლი გადაჰფენოდა, რომ მძიმე, ხანგრძლივი და ბოლოს საშიშ მოგზაურობის შემდეგ ეს ადგილი ყველაზე წარმტაც, საიმედო სავანედ შეჩვენა.

ყოველივე ამას ხეებსა და ქოხებს ვერ დაუძახებ: ესენი ქველთაძველი სოფლები, ოდები, კარვები და კარმიდამოებია; სქვანაირად ვერც შეკადრებ მონათლო. მეუცხოვებოდა საკუთარი თავი და ამხანაგებიც, ჩვენი მოკუდრუცუნებული, შემოტმასნილი ტანსაცმელი, ჩვენი გამალებული ბაკაბუკი უშველებელ ბანიანების ჩრდილში. მორჩილი, ლამაზი ცხენები, ევროპელებს მიუჩვეველნი, ჩვენს დანახვაზე ფრთხილდნენ, ტლინებს ისროდნენ და განზე ხტებოდნენ. ჩვენს დანახვაზე მათი მძლოლები თვალებზე ჩალის ქუდებს აფარებდნენ და ჩავლას ეშურებოდნენ. შემოხვედრილი დედაკაცები თუმცა ტლინებს არ ისროდნენ, მგარამ ისინიც იფარავდნენ სახეს, ხოლო თუ მოასწრებდნენ განზეც გაგვიხტებოდნენ. მართო ერთი პატარა, ცამეტიოდე წლის გოგო ბალიდან გზაზე გამოვიდა და გაბედულად, ცნობისმოყვარეობით შემოგვაშტერდა, როგორც თამამ ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე ცქერა. წარმოიდგინეთ, ლამაზი იყო. „შეხეთ ერთი, რამოდენა მამალია! — წარმოთქვა ვილაცამ და მამალზე მიათითა, — ყოველ შემთხვევაში, ჩვენებურზე ერთნახევარჯერ მაღალი იქნება!“

ფიქვების, ბანიანებისა და ღია მწვანე ბამბუკების ჩრდილს მივყვებოდით, პ[ოსიეტმა] ბამბუკიდან იქვე მოტეხა მშვენი-

ერი მწვანე ხელჯობი. ბამბუკებს ლობეებიდან გამომზიარალი ბანანები ენაცვლებოდა, შემდეგ ლამაზი ხეების მწკრივი და სხვანი და სხვანი. „განა ეს ქერი არაა?“ — იკითხა ვილაცამ. მართლაც ჩვენი ხუჭუჭა ქერი აღმოჩნდა! ტერასებიდან წყლის ძაფები მოწანწკარებდა და ბრინჯის ნათესებს რწყავდა.

დავიბენით, აღარ ვიცოდით, რისთვის გვეყურებინა: აგერ, მგზავრები მიიჩქარიან ერთი ქალაქიდან მეორეში, პატარა ცხენები მოჰყავთ ზედ აკიდებული ტვირთით. აგერ შორს მთა ამართულა, მისი ხავერდოვანი, მწვანე დაღმართი თავისკენ გვიტყუებს, ამოდით და კედარების ჩრდილში მოისვენეთო; მზეს თითქო გამოსაჩენად გაეჩახჩახებინა იგი, გვერდით კი გრილ ჩეროში ველი შემალულა, მაღალი გაღავნებით შემორაგული ქოხები ტოტებს ისე გადაუბურავს, თითქმის აღარც მოჩანან. რა ბარაქაა მცენარეების! ნიადაგის რა მრავალფეროვნება! ყველგან სისუფთავე, ყველგან წესრიგი მეფობს. იმდენად მდიდარი, იმდენად მრავალფეროვანი სურათები გეშლება წინ, რომ ბოლოს შენც აღარ იკლავ თავს, ვაი, ეს არ გამომჩრჩეს, ვაი, ის დავიმახსოვროო. არხეინად იყურები აქეთ-იქით. სულ ერთია, საითაც არ გაიხედავ, ყველაფერი ტურფა, კეკლუცი და ხასხასაა.

გზა გააღმართდა. ცხელა. პალტოები გავიხადეთ: ჩვენი მათდისა თუ სქელი ნაჭრის ვიწრო ტანსაცმელი ყოველად აუტანელია ამ კლიმატში. წარმომიდგენია, ზაფხულში რა პაპანაქება იქნება! კიდევ კარგი, რომ ზღვის ბორიო ყოველი მხრივ უბერავს და სიგრილე მოაქვს! ეს კურთხეული კუნძულები კი განედის მხოლოდ 26°-ზე მდებარეობს. აბა ვინ არ აყვანს მათ მ ფ ა რ ე ლ ო ბ ა შ ი ?

მთაზე თითქო სათამაშო ქოხები დაგვხვდა; აფსუსს, რომ ამ მთლიან ლობეებს შეფარებინან; თუმცა სხვანაირად არც შეუძლიათ: ლუ-ჩინიც გრივალისა თუ ტაიფუნების ზოლში შედის, პოდა, თუ რომ ასეთი გამძლე გაღავანი არ იცავდეს, გრივალი ამ ჩიტის გალიებს ბუჩოსაებრ დაანიავებს. მთაზე მაღნარი უკვე არ იყო, სამაგიეროდ სულო და გულო, რას არ ნახავდი მის ძირას გაშლილ ველზე! აღტაცებამ მომქანცა უკვე: გულგრილად დაყურებდი აყვავებულ ატმის ხეებს. ტვიისა და გუნდის ბუჩქებს! ავედით მთაზე, გადმოვხედეთ გა-

დაშლილ სივრცეს და მისი სილამაზით, მრავალფეროვნებით დაბნეულები მუნჯივით ვიდექით. თვალი შორს სწვდება: კუნძულს ორივე მხრივ შემორტყმია ზღვა. აგერ ბრაგაც, ფურთუნის დორბლი რომ მოდგომია, გუშინ დაღუპვას რომ გვექადნებოდა! „ამ ქარიშხალში მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს, ღმერთს თქვენზე ვევედრებოდით, — გვითხრა ერთმა აქ დარჩენილმა ამერიკელმა ოფიცერმა, მგონი, მეთოდისტმა, — ყოველ წამს ველოდი, ზარბაზანი იგრიალებს-მეთქი“. ქარიშხლების ამინდი იდგა, რეიდში შესვლა, როგორც მოგახსენებთ, დიდ სახიფათო საქმეს წარმოადგენდა.

ბოლოს მივალწიეთ ქალაქს. „ოჰო! ამ დედაქალაქს ნუ ეხუმრები!“ — გაიფიქრებ განიერი კარიბჭის დანახვაზე, რომელსაც ჩინური ფრონტონი და ჩინური წარწერები აქვს.

„ნეტა რა წერია? წაგვიკითხეთ“, — ვთხოვეთ გ[ოშვევიჩს]. „ვერ ვხედავ, მაღალზეაო“, — გვითხრა მან. სულ დაგვაიწყდა, რომ ბეცი იყო.

კარიბჭეში შევედი: ჩვენს წინ უსასრულო განიერი ქუჩა, ანუ ისევ ის გზა გადაჭიმულიყო, რომელმაც აქ მოგვიყვანა, ოღონდ მსხვილი მარჯნების მაგივრად გზატკეცილივით კენჭებით მოეკირწყლათ. ორივე მხრივ ბალები თუ პარკები მისდევდა, დიდებული ხეებით. ღობეებიდან აქა-იქ კრამიტის წითელი სახურავები მოჩანდა. არავინ შემოგვეგებებია, არავის გამოუხედავს ჩვენთვის: თითქო მთელი ქალაქი დაცლილიყო. თითო-ოროლა შემხვდური, სხვათა შორის ერთი ექიმი ანუ ბონზა, თავგადახოტრილი, ბალახის ტილოს ხალათში შემოსილი, სწრაფად გვივლიდნენ გვერდს. ხოლო თუ ჩვენ თვალს დავაშტერებდით, უდიდესი შორჩილების, უფრო კი შიშის იერით, თითქმის მიწამდე გვიხრიდნენ თავს და საჩქაროდ გზას აგრძელებდნენ. ზოგიერთ ჭიშკარს წუთით მოადგებოდნენ აღამიანები და მაშინვე იმალებოდნენ, ან ქუჭრუტანებიდან გვიმზერდნენ. ამ ქუჩაზე, ეტყობა, მაღალი თუ მდიდარი კლასი ცხოვრობს. შენობებისკენ ქვის განიერი ტალანები მიემართება. დიდი ნაბიჯებით მივყვებოდი გზას; ქუჩამ მარცხნივ მოუხვია და ჩვენ სახლის წინ აღმოვჩნდით.

ამ ოთხარშინიან, ქვის ვეება კედლება კოშკს ალაგ-ალაგ ზავსი და მხოხავი მცენარეები შემოხვევია. ტლანქად ნათალა

განიერი ქვის პარმალი მთავარ შესასვლელს მიბრჯენია, ფიცრებით აკედილს. კარიბჭის ორივე მხარეს კვარცხლბეკებზე სფინქსივით განრთხმულა მარჯნის ცხოველები. სიცოცხლის ნიშანწყალი არსაით იგრძნობა; ზღაპარივით ყოველივე გაქვავებულა, ჩვენ კი თითქო ცხრა მთა გადმოგვევლო და აქ ფასკუნჯის მოსატაცებლად მოვსულვართ. კარიბჭის გვერდით, ცალკე ხის გალერეა აეგოთ, საყარაულოს მსგავსი, როგორც ნაგასაქმი ვნახეთ. შიგ კილოფებზე დატუტქულიყვენენ ლიკელები, ალბათ სასახლის მსახურნი: არც ისინი შერხეულან — მათაც გაქვავებულად ჩათვლიდი. ცოტა ხანს ჩამოვეჯექით აქ დასასვენებლად და მერე მთის ძირისკენ დავეშვით დაქანებულნი, ბანიანებით და კედარებით შემორაგული ტერასით. ხეებში ყოველ მხრივ მიიკლანებოდა ბილიკები, ალაგ-ალაგ ჩუმი ჩხრიალთ ჩანჩქერებს გადმოეჟონა. აგერ გალავნით შემოღობილი კერბთსამლოცველო, ირგვლივ ბასეინი უვლიდა; შორს ვიწრო, თუმცა სწორი ქუჩები მოჩანდა; მთის წვეროზე თუ ფერღობებზე შეფენილი სახლებისა და ფაცხების სახურავები — ქეშმარიტად ძველი სამყაროს კარვები და ოღები გეგონებოდა!

მართალია, ველურების ბინძურ, უხეშ, ზანტ და შფოთიან ყოფას არა ჰგავს, მაგრამ არც სულიერი ცხოვრება გამეფებულა აქ: ნათელმოსილი არსებობის კვალი არსად ატყვია. დამუშავებული ყანები, დაკრიალებული ქოხები, ბაღები, ხილისა და ბოსტნეულის ზვინები, ადამიანთა ღრმა სიმშვიდე იმას მოწმობს, რომ ცხოვრებას აქ შრომის წყალობით მატერიალურ კეთილდღეობის უმაღლესი საფეხურისთვის მიუღწევია; რომ ზრუნვა, ვნებათა ჭიდილი, ინტერესები მცირე საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა საზღვრებს არ სცილდება; რომ ჰკუთასა და სულს ჯერ ისევ ტკბილი, ბალღური ძილი დაუფლებია, როგორც პირველყოფილ წარმართ მწყემსთა სამეფოში; რომ ამ ყოფას იმ მიჯნამდე მიუღწევია, სადაც სულის მეუფება იწყება, და იქით აღარ წასულა... მაგრამ ყველაფერი მზადაა უკვე: ერთ კართან რელიგია დგას, ჯვრითა და ნათელის შარავანდელით, მორჩილად უცდის ამ ბალღთა გაღვიძებას; მეორესთან „შეერთებული შტატების კაცნი“, ბაძბისა

და შალის ქსოვილებით, თრფებით, ზარბაზნებით და უახლესი ცივილიზაციის სხვა იარაღებით...

ტერასიდან ჩამოვედით, კოშკს ირგვლივ შემოვუარეთ და ისევ ზევით ავყევით მარჯნის ქვის ციცაბო ბილიცს. სხვანაირი ბილიკი არც შემხვედრია. ქუჩებიდან ყანებში მიმავალი ბილიკებიც კი კიბე-კიბე მისდევს, მარჯნებით მოგებულნი. ლიკეელები უკან მოგვედევნნენ მორიდებით, კარგა დაშორებით. ი. ვ. ფ[ურუგელმს] არ მოეწონა მათი თანხლება და ხელი აუქნია, წადითო: ლიკეელები იმავე წუთს მოიდრკნენ წელში და არც გასწორებულან, ვინემ ფურუგელმმა თვალი არ მოაშორა. შემდეგ კი მაინც მოგვედიეს, ხან ბუჩქებს ეფარებოდნენ; ხან კი გზას მოჰყვებოდნენ მოშორებით, თუ ბუჩქები არსად იყო. მე თითოთ ვანიშნე ერთს, ახლოს მოსულიყო. უცბად ვერ გაბედა მოახლოება: გადმოდგამდა ორ ნაბიჯს და გაუბედავად გაჩერდებოდა. როგორც იქნა, მოაღწია ჩემამდე. ამასობაში ერთ მეტისმეტად ციცაბო, მიხვეულ-მოხვეული მარჯნის ბილიკზე მოგვიხდა დაშვება. ის დაბურულ ტყეში გაეკაფათ, ხრამებსა და ლამაზ ხეებზე, სადაც პალმები, ტყიები და კედრები გაბარდნილიყო. როცა ლიკეელს მხარზე დავეყრდენი ჩასვლისას, მგონი, მეტად კმაყოფილი დამრჩა ამ ამბით, ნელა, ფრთხილად მიდიოდა და თუ წავიბოროძიებდი, ან გასიპულ მარჯანზე ფეხი დამიკურდებოდა, ხელს მყისვე მაშველებდა. ამ მაშველით გულდაიმედებული სიცილით ვუცქერდი, ჩემი ამხანაგებიდან ვისმე რომ ფეხი დაუსხლტებოდა და გასიპულ ადგილზე თავის შეკავებას შეეცდებოდა, ან ვინმე ციცაბოზე უეცრივ დაქანდებოდა, პირველსავე შეხვედრილ ხეს მიასკდებოდა და მოეჭიდებოდა.

ქვემოთ ერთი უმშვენიერესი პატარა ტყე გავიარეთ, სადაც ბანიანებსა და კედრებს გაეშალათ ტოტები, განგებ რომც მოენდომებია, ასე ლამაზად ვერავინ ჩაარიგებდა ჭალას, მერე მდელიოზე გამოვედით! იქ ერთი უშველებელი, ალბათ მიწისძვრის შედეგად მოხვედრილი მარჯნის ლოდი ეგდო, ხავსსა და ბალახს სულ დაეფარა. რომანტიკოსებმა მაშინვე განაცხადეს, რა კარგი იქნება აქ მთელი დღით მოვიდეთ და დამკვრელებიც წამოვიყვანოთო. „საუზმე და სადილიც არ დაივიწყოთო“, — დაუმატა უფრო ჰკუადინჯმა ხალხმა. შემდეგ ერთ

გვერდით ქუჩაზე ვაძოვედით, სადაც პატარა სახლები იდგა და ყოველ სახლს ბანანებისა და ყვავილების გუნდი ეხვია.

აქედან მეორე ქუჩაზე გავედით, გავიარეთ რამდენიმე სახლი; ქუჩა უეცრივ გადაიხსნა. ცალ კიდეზე სახლები გაქრა. შეუღარებელი სურათით დატყვევებულები ადგილზე გავჩერდით. წარმოიდგინეთ სარკესავით კამკამა გუბურა, როგორც მარლია; გაღმა მხრიდან შიგ მთა იხატება, ჯაგრისივით თუ ქურქივით მუქი თუ ღია ფერის მწვანით შემოსილი, ნაზზე ნაზი, ლბილი, ნაირ-ნაირი ფოთლებითა და წვეტიანი წიწვებით შემკობილი. ეს ვეებერთელა თაიგული ისე მჭიდროდ იყო შეკონილი, რომ ნიადაგს თვალს ვერ მოატანდი.

გზა რომ გავაგრძელებთ და წინ გავიხედეთ — სხვა მოულოდნელმა სანახაობამ მიიპყრო ჩვენი გულისყური. როგორც ჩანს, ის ყველაზე დასახლებული სავაჭრო ქუჩა ყოფილა. მაგრამ მცხოვრებლებს ნეტავ რა დაემართათ? ზრგი შიშით იშვერდა ჩვენსკენ ხელებს: ვის მოუსწრია და დუქნები დაუკეტია, ვინ ღიად სტოვებს და სხვადასხვა მხარეს გარბის. ხელით ვანიშნეთ, მოსულიყვნენ, თავი დავუჯარიტ, ქულები დაეუქნეთ: გაგიგონიათ, უარესად დაიფანტნენ. ჩემი თვალთ დავინახე, ერთი სახლის სახურავზე ქალი რომ თავზარდაცემული გარბოდა: მიფრიალებდა ლურჯი ხალათის კალთები, გაჩეჩილი თმა მხრებზე ჩამოშლოდა, ტიტველ ფეხებს მარდად ამუშავებდა. მაგრამ ყველამ მაინც ვერ უშველა თავს. დარჩენილი მამაკაცები უნდობლად გვიყურებდნენ, დედაკაცები სახეს იფარავდნენ. საქონელი აქაც იგივე იყო, რაც პირველ ბაზარზე. აქვე დავინახეთ სამჭედლო, კიდეც ხერხაუდნენ შეშას, ღებავდნენ უბრალო ნაჭრებს, ჰყიდდნენ მწვანისლეულს, თამბაქოს და ნაირ-ნაირ ტკბილეულს.

მოვიარეთ ისევ პარკი, მივადექით კერპთსამლოცველოს, მაგრამ დაკეტილი დაგვხვდა. ჭიშკართან მჯდარმა ბერიკაცმა ქოთანს გამოგვიწოდა ნაკვერჩხლებით, სივარის მოსაკიდებლად. ხელით ვანიშნეთ, შიგ შესვლა გვინდა-თქო, მაგრამ ტკბილი ღიმილით და თავის ქნევით უარი გამოგვიცხადა. კერპთსამლოცველოს ჭიშკართან, ხის წალოებში, ორი გაფერადებული ხისავე კერპი იდგა, ისეთი მახინჯი სახის, როგორც ჩვენში ტარტაროზებს ხატავენ ხოლმე. დავაპირეთ კუნ-

ძულზე მეორე კერპოსამლოცველოში შესვლა, მაგრამ ვინემ ჩვენ ქვევით ვიყავით, მცხოვრებლებმა მოასწრეს მისი დაკეტვაც. ხალხში რამდენიმე ხოტორა ბონზა შევამჩნიე. ყველა ახალგაზრდა იყო, ერთი თითქმის სულ ბიჭი. ტაძრების მსახურნი იქნებოდნენ.

რამდენიმე ქუჩასა და შესახვევში რომ შევიხედეთ, მერე შარაგზაზე გამოვედით და შინისკენ გავემართეთ. დავიქანცე უკვე და ყოველი ცხენის ზურგს ნეტარებით შევცქეროდი. მაგრამ მცხოვრებლებმა ცხენები არ გვათხოვეს, თუმცა კი ერთ ღობეზე ისინი აუარება დავინახე შეკაზმული და დაბმული. მთიდან დაშვებისას ერთი პატარა, სუფთა ეზო შევამჩნიეთ; ჰიშკარს რომ მივადექი, იქ წითელცხვირა, წითლად დამეჭექებული სახის მოხუცი დამხვდა, თავი დამიკრა და სახლში შევიდა; მე უკან მივყევი, რამდენიმე ამხანაგმაც გამომდია. სახლი კერპოსამლოცველო გამოდგა, კერპი არ იდგა, მხოლოდ საკურთხეველი და ღარიბული საოჯახო კურკელი აღმოვაჩინეთ. საკურთხეველის კედლებსა და სვეტებს ჩინური წარწერები ჰქონდა. ეს, მგონი, ბუდისტების სალოცავი არ იყო, ძველთაძველი ჩინური რელიგიის მიმდევრები ლოცულობდნენ. მეორე ოთახში შევიჭყიტეთ. ეტყობა, სადარბაზო იყო, ისეთი ქათქათა ჰილობებით მოეგოთ, ფეხის დადგმა შეგარცხებოდა. სახლის პატრონები, მგონი, სადილობდნენ. ჩვენთვის ჩაის მოსართმევად წამოდგომა დააპირეს, მაგრამ მათი შეწყუხება არ მოვიწოდეთ და იქაურობას გავეცალეთ.

ამბობენ, მცხოვრებლები თურმე უფრო იმიტომ არ გვიჩვენებენ სახეს, რომ სწორედ ჩვენი ჩამოსვლის წინ ქვრივი დედოფალი გარდაცვლილა, მცირეწლოვანი მეფის ნაცვლად კუნძულების მმართველი რეგენტის დედა. ორმოცდაათ დღეს გლოვა გამოუცხადებიათ. ბევრი ვნახეთ კიდევ თეთრი ბალახის ტილოს ხალათებში. თეთრი ფერი აღმოსავლეთში ხომ ძაძად ითვლება.

ლიკეის კუნძულებს მეფე გამგებლობს. სამასიოდე წლის წინათ აქ იაპონელთა, კერძოდ თავად სატსუმის ხომალდები მოადგა, კუნძულები დაიპყრო და ხარკი შეაწერა. აქაური მისიონერის თქმით, ხარკი ორასი ათას მანეთამდე აღწევს ჩვენს ფულზე. მაგრამ სხვების ჩვენებით კუნძულებს ხუთჯერ მე-

ტის მოცემა შეუძლიათ. ამ ციფრების მიხედვითაც გამოიტანს კაცი დასკვნას, რაოდენ ნაყოფიერია ეს კუნძულები. თავადი სატსუმი ტყუილად როდი ითვლება: იაპონელ თავადებში ყველაზე მდიდრად.

ხარკს ლიკეელები ნატურით იხდიან. იაპონელებს მიაჩვენ ბრინჯი, რომელსაც ხარისხით იაპონურიც კი ვერ სჯობია, თამბაქო, ამბრა, ბანანის ბოჭკოების ქსოვილები და საკი. აქაური საკიც საუკეთესოდ ითვლება. იაპონელები თავიანთ ბრინჯს ბლომად ცვლიან ლიკეის ბრინჯზე, რისგანაც საუკეთესო საკი იხდება.

ლიკეელებმა ერთი პირობა კი სცადეს იაპონიას განდგომოდნენ, მაგრამ ხელახლა აღმოჩნდნენ დაპყრობილები. ლიკეის მეფე გამეფებამდე ჩვეულებრივ იაპონიაში მიემგზავრება და საბოლოოდ იქ აკურთხებენ ხოლმე.

ახლანდელი მეფე თორმეტი წლისა გახლავთ. თხუთმეტი წელი რომ შეუსრულდება, მაშინ წავა იაპონიაში. მეფე აქ დატყვევებულივით ჰყავთ თავის მკვიდრ კოშკში (ჩვენ ის კოშკი ვნახეთ) და არავის ეჩვენება. როგორც მოგეხსენებათ, აღმოსავლეთში მეფე რომ ხალხს დაენახოს, დიდ უკადრის საქციელს წარმოადგენს. აქაური მისიონერი ერთხელ თურმე რაღაც შემთხვევის წყალობით, ჩინელად გადაცმული კოშკში შეიპარა და შეუმჩნევლად მიაღწია მეფის პალატებს. მეფე ბურთს თამაშობდა და უცხო კარგა ხანს არ შეუმჩნევია. მაგრამ რომ დაინახა, მყისვე მიიძალა. კარისკაცებმა თავყვანით შემოარტყეს წრე დაუპატიებელ სტუმარს და უკან გამოაბრძანეს.

ლიკეელები ერთ დროს ჩინელებზეც იყვნენ დამოკიდებულნი და ხარკს მათაც უხდიდნენ; მაგრამ იაპონელებმა XVII საუკუნეში ჩინეთიდან იაპონიის დასაპყრობად გაგზავნილი ჩინური ფლოტი და დესანტი რომ გაანადგურეს, ლიკეელებიც იხსნეს ჩინელთა უღლიდან. თუმცა ლიკეელები მაინც პეკინში მიემგზავრებიან იქაურ სასწავლებლებში განათლების დასამთავრებლად და ჩინურიც ამიტომ ყველამ იცის. საკუთარი დამწერლობა მათ არ გააჩნიათ: იაპონური ასოებით წერენ. მართალია, პეკინში ხარკი აღარ მიაქვთ, მაგრამ არც ხელცარიელები მიდიან, როგორც მისიონერმა გვითხრა, — საჩუქრებს მიაართმევენ თურმე. ლიკეელები დაჟინებით უარყოფენ

იმ ამბავს, რომ იაპონელებს ხარკს უხდიან, ამბობენ, ჩინელებზე ვართ დამოკიდებულიო. იქნებ იაპონელების წაქეზებით იძახიან ასე, ან იქნებ ამერიკელებისაგან შეიტყვეს, რომ ამერიკელებსა და ევროპელებს შეიძლება იაპონიასთან უთანხმოება მოუვიდეს, ჰოდა, ლიკეელებიც გადაუდგნენ იაპონელებს, რა რომ არც ერთი მხარე არ გადაიმტერონ.

გ[ოშკევიჩმა] და მ[ამა] ა[ვაკუმმა] ლიკეელებში ერთი ხაცნობი გამონახეს. ის თურმე თორმეტი წლის წინათ გაუცვნიათ პეკინში და ერთმანეთი დაუსაჩუქრებიათ. სადაურსა სად შეხვედება კაცი, არა! „თქვენ გრაფინი მაჩუქეთო“, — უთხრა ამ ლიკეელმა მ. ა-ს. უკანასკნელმა მოიგონა, რომ მართლაც ასე იყო.

ლიკეელები დიდად უარობენ იაპონელების, ჩინელებისა და კორეელების ნაშიერობას. პირველი შეხედვითაც შეამჩნევ, რომ ლიკეელების არსებობაში ჩინელებს მონაწილეობა არ მიუღიათ. კორეელები ჯერ არ მინახავს და ვერ ვიტყვი, ჰგვანან თუ არა ლიკეელებს. ლიკეელებს დიდრონი თვალები აქვთ, ჩინელებივით ვიწრო კი არა, სწორი სახე და არც ლაწვმალღებია. მისიონერის თქმით, მათი ენა იაპონურსა ჰგავს და, მგონი მის იდიომს წარმოადგენს. ლიკეელები და იაპონელები ერთმანეთს უგებენ. უფრო საგულისხმოა, რომ ისინი ნათესავად მოხვდებიან ერთმანეთს.

შინ ზღაზვნით ვბრუნდებოდით. ჩვენი შეხვედრა კვლავ შიშის ზარს სცემდა ყველას გზაში. ერთ ათიოდე წლის ბიჭს ბოსტნეულის გალა მოჰქონდა და ექვსიოდე წლის ბიჭიც ხელჩაკიდებული მოჰყავდა; ჩვენ რომ დაგვინახა, გალა და ბიჭი მიატოვა და უკანმოუხედავად მოჰყურებდა გვერდითი ბილიკით ყანისაკენ. სოფელ ბო-ტსუნგში რომ გამოვიარეთ, სამნი, პ[ოსიეტი], ა[ვაკუმი] და მე ერთი სახლის ჰიშკარში შევედით. გვეგონა, ჰიშკრიდან პარმალს მივადგებოდით, მაგრამ ღობე ლაბირინთივით მისდევდა, მეორე მხარესაც ღობე მიჰყვებოდა და ერთად დერეფანი შეექმნათ. ჯერ მარჯვნივ გავუხვიეთ, მერე მარცხნივ... მივედით ვითომ? გაგიგონიათ, მარჯვნივ ისევ დერეფანი დაგვხვდა, გვეგონებოდა, მგლის ხათვანგი მოუწყვიათო. მერე მარცხნივ შეუხვიეთ კიდევ და ერთ პატარა ბაღში აღმოვიჩნდით. წინ სახლი იდგა, რომელსაც მე-

სამე და უკანასკნელი ბამბუკის ღობე ევლო. შესვლისას ერთ მუგუზალივით შავ, ტანდაბალ დედაბერს შევეჩხებთ, გატყლანნილი სახე ჰქონდა. ბიჭივით ისიც ისე დაფრთხა, რომ კისრისტეხით გადაირბინა კვლები და ტყისკენ მოუსვა. ჩვენ სიცილი აგვიტყდა; დედაბერმა უფრო მოუჩქარა ნაბიჯს. ალყათის გაღება დავაპირეთ, დაკეტილი დაგვხვდა; ახლა ჰიშკარს მოვუარეთ, ისიც ჩარაზული აღმოჩნდა. რა გზა იყო, უნდა გავბრუნებულიყავით. ერთხელ კიდევ გავხედეთ კვლავ სირბილით მიმავალ დედაბერს და გასასვლელისაკენ გავტრიალდით. უცებ სახლიდან საჩქაროდ გამოვიდა ნამძინარევი მოხუცი კაცი, ჰიშკარი გაგვიღო, მდაბლად დაგვიკრა თავი და შეგვიპატიჟა. ბაღში შევედით; მან ერთი კედელი ანუ ჩარჩო გადასწია. თუთიყუშის გალიებივით პაწაწინა ოთახები დავინახეთ, დაკრიალებული და გალაქული ნივთებითა თუ თეთრი ჭილობებით მორთული. შიგ ადარ შევსულვართ, სიგარის მოკიდება ვითხოვეთ. მეორე, ახალგაზრდა ლიკეელმა მაშინვე გამოგვიტანა ქოთანნი, შიგ ღველფი ეყარა. მივათვალეგრეთ იქაურობა — ყვავილები, ალოე, ბანანები, სხვა ვერაფერი დავინახეთ; მასპინძელს მადლობა გადავუხადეთ და გამოვტრიალდით. გავიხედე, დედაბერი სად არის-მეთქი? ამასობაში იმას ტყის პირთან მიერბინა უკვე, ბანანს ამოფარებოდა და ორანგუტანგივით ტოტებიდან გვიქვრეტდა. რა დაინახა, გავჩერდით და სიცილით ვათითებდით მასზე, ტყის სიღრმეს შეერია.

ამხანაგებს ნაპირზე დავეწიეთ, უკვე კატერში სხდებოდნენ. მაგრამ ვინემ ჩვენ ვსეირნობდით, წყალს დაეკლო და კატერის ხერხემალი ფსკერს ეხახუნებოდა. ძლივძლივობით გამოვალწიეთ თავთხელს და ხომალდზე მივედით. იქ სტუმრად სამი გრძელწვერა ბერიკაცი დაგვიხვდა. თეთრი, შავზოლუბიანი ხალათები ეცვათ, შიშველი ფეხები სანდლებში გაეყარათ. ნაპაის გუბერნატორს გამოეგზავნა ჩამოსვლის მოსალოცად. საჩუქრად მწვანილეული, კვერცხები და ქათმები მოგვართვეს. ჩაიზე დავპატიყეთ. ერთი თავისუფლად ესაუბრებოდა გ[როშკევიჩს] ჩინურად, მეორეს ინგლისური სკოდნოდა, თუმცა მცირედ. ესეც დიდი მიღწევაა, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი ევროპული ენები მათთვის სულ უცხოს წარმო-

ადგენს, როგორც ფორმით, ისე რაობით. ვანა რა დიდი ხანია, რაც „შეერთებული შტატების კაცნი მფარველობენ“ ამ ბალებს, მაგრამ ზოგი რამ უკვე უსწავლებიათ კიდევ... ლიკეელებმა ადგვიტყვეს, რომ ხარებს, თევზს, მწვანილს მოგვიტანდნენ ფულზე საყიდლად და წავიდნენ.

მეორე დღეს, 2 თებერვალს, ის იყო ნაპირზე წასვლა დავაპირეთ, რომ ინგლისელი მისიონერი ბეტელგეიმი გვეწვია. ერთი კათანდარა კაცი იყო, ებრაელს მოგავდა იერით, ფერ-მკრთალი კი არა, უფრო გამოხუნებული სახე უჩანდა, ხელე-ბი ცოტა არ იყოს ფრინველის კლანჭებს უგავდა. დიდი ენა-ქარტალა ვინმე გამოდგა. სასიამოვნო კაცის შთაბეჭდილებას არ სტოვებდა, ლაპარაკში, ხმის კილოშიც, მისალმებაშიც რა-ღაც სიმშრალე, გულჩათხრობილობა ეტყობოდა, ერთი სიტყვით, გულს არ ინადირებდა. რვა წელია თურმე ლუ-ჩუზე ცხოვრობს, მაისში ინგლისში მიემგზავრება, იქ აპირებს სახარების ლიკეურ და იაპონურ ენებზე გამოცემას. ცოლ-შვილი უკვე ჩინეთში გაუგზავნია და როცა მეორე მისიონერი ჩამოვა მის შესაცვლელად, თვითონაც იქ გაჰყვება პერის, რომელიც დაჰპირებია წაყვანას.

რვა წელი ლუ-ჩუზე ყოფნა — ჰემმარიტად ქრისტიანულ თავდადებას წარმოადგენს! მისიონერს ინგლისური, გერმანული და ფრანგული სცოდნია, ოღონდ ფრანგულს ძალზე ამტკრევს. მცხოვრებლების, ხალხთ-მოსახლეობის, მრეწველობის, ზნე-ჩვევათა და ადათების ირგვლივ გამოკითხეთ.

— ეს რა კუთხე ყოფილა, რა ხალხი! — ვიძახდით ჩვენ. — ბაზილ გალს რომ კითხულობ, არ გჯერა, ხოლო შენი თვალით რომ ნახავ, დარწმუნდები, გადაუქარბებია კი არა, ცოტაც უთქვამსო.

— ჰო, კუთხე მართლაც მშვენიერია, — წარმოთქვა ბეტელგეიმმა, — მეღვილის ყურე და ჩრდილოეთით ერთი ადგილიც რომ ნახოთ, თავი სამოთხეში გეგონებათ.

— ან მცხოვრებლები როგორია? რა სისადავე, რა სტუმართმოყვარეობა სჩვევიათ! გგონია, ულისთან ერთად მოგზაურობ იმ მეფე-მწყემსების სამეფოში, რომლებიც მოგზაურებს წინ ეგებებოდნენ და ერთის ყოფით უმასპინძლდებოდნენ...

— განა შემოგეგებენ და გაგიმასპინძლდნენ? — გვეითხა პასტორმა.

— არა, შეგებების რა მოგახსენოთ, უფრო გვაცილებდნენ...

— ჰო, მაგათ შეგებებაზე მეტად გაცილება სიამოვნებთ: ეგენი ხომ პოლიციელები და ჯაშუშებია.

— პოლიციელებით? განა ეგენი აქაც არიან?

— მაშ არა და! აბა ვინ უნდა გითვალთვალოთ, სად წახვალთ, რას გააკეთებთ, ვინ მოგიახლოვდათ, დაგელაპარაკათ, რომ მერე თავისებურად გაუსწორდნენ...

— რას ბრძანებთ? მაგ ამბავს ვინ დაიჯერებს? ისეთი უწყინარი, გულუპრყვილო, გულღია ხალხი ჩანს: თავის დაკვრაზეც ეტყობათ...

— ეშინიათ და იმიტომ. თუ იაპონელები უცბად დატყბნენ, თქვენ და ამერიკელები რომ ასე შეიარაღებული მიადექით, ლიკეელებმა ვით არ უნდა მოიკატუნონ თავი, კუნძულზე ხომ სულ სამოცი თუ ოთხმოცი ათასი მცხოვრებია!

— მე მაგათი უბრალოება და შრომისმოყვარეობა მხიბლავს, — ვთქვი მე. — ამქვეყნად თურმე ისეთი კუთხეც ყოფილა, რომელსაც არც მეზობლის, არც სხვისი ხელის გამართვა არ სჭირია! ამ ბუნების შეილებს რომ უთხრა ალბათ, რას ითხოვთო, დიოგენივით ეგენიც, მგონი, მზეს ნუ გვიფარავთო, მოითხოვენ. ზომიერი, თავშეკავებული ხალხია.

— უბრალოები კი არიან, ოღონდ თავშეკავებას... — შენიშნა მისიონერმა, — ვერ დააბრალებ: ძალზე ლოთობენ.

— ლოთობენო! რას ბრძანებთ, გეთაყვა? — გულმხურვალედ გამოვექომაგეთ ჩვენ (სულით და გულით გვეწადა ოქროს ხანაზე ეს იდილია და ოცნება შეგვენარჩუნებინა), — ღვინო სადა აქვთ, რა უნდა დალიონ?

— საკი ვითომ სასმელი არაა? — გვიპასუხა ბეტელგეიმიმა, — აქაური იაპონურსა სჯობია, რომივით მაგარია.

— ლოთობენო! — ვიძახდი შეცბუნებულნი.

— და თამაშობენ კიდევ, — დასძინა პასტორმა.

— უჰ, ეს უკვე მეტისმეტია! ნუთუ მართალს ამბობთ? რა უნდა ითამაშონ? ალბათ ყოვლად უწყინარი გასართობები აქვთ: ჭიდაობენ, დარბიან, როგორც ძველად ოლიმპიურ ასპარეზობაზე იყო...

— წარმოგიდგენიათ: ეს დარბაისელი, ბრძენი ბერიკაცები — ჯაშუშები, ყომარბაზები, ლოთები ყოფილან! ამას ვინ იფიქრებდა!

— ჰო, ბანქოსავით აქვთ რაღაც, მათხოვრებიც კი ბურბუშელებითა თუ ნაფოტებით თამაშობენ და რაც კი აბადიან, ყველაფერს აგებენ.

— ესეც შენი იდილია, ოქროს ხანა, ოდისეა! ნეტავ ვისგან ისწავლეს? — დავაპირე მეკითხა, მაგრამ მომაგონდა, რომ მასწავლებელი შორს არ ჰყავდათ: განათლებას ჩინეთიდან იძენდნენ, იქ კი, ბაზარზე, ჯგროდ შექუჩული ხალხი დავინახე, მიწაზე მჯდარ მეორე ჯგროს რომ შემოხვეოდა, რომლებიც, თუ არ ვცდები, ზარს თამაშობდნენ. თითოეული ფულს დებდა, ვინმე იღბლიანი კი მერე ერთიანად წაბოჭავდა ხოლმე და თამაშიც თავიდან იწყებოდა. ზარის მოთამაშენი ისე გაეტაცათ თავიანთ საქმეს, მაყურებლებს ვერ ამჩნევდნენ. არც მაყურებლები აქცევდნენ მათ ყურადღებას და ზარს ჩაცივებით დასცქეროდნენ. ისიც გამახსენდა, რომ ლიკელებიდან არც მანილაა შორს, სადაც მამლების ძიძგილის სანაძლეო მთელ ქონებას აკარგვინებს ხალხს, რომ წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულებზე თამაშს ისევეა გადაყოლილი ხალხი, როგორც ყოველ ევროპულ კლუბში.

— საოცარია პირდაპირ, ესოდენ სათნო ხალხს რომ ყველაზე ფიცხი ვნება შეჰყრია! — ვთქვი მე.

— სათნოდაც ვერ მოვნათლავთ მათ! — სიტყვა ჩამომართვა პასტორმა, — აქ კათოლიკე მისიონერები ცხოვრობდნენ: მცხოვრებლები გასაქანს არ აძლევდნენ, ამ ცოტა ხნის წინათ კი... ერთი არაკათოლიკე მისიონერიც შემოელახათ...

— ნეტავ ვინ იყო?

— მე გახლდით, — თავმდაბლად მიპასუხა ბეტელგეიმმა (თუმცა ამ თავმდაბლობაში, მგონი, მორჩილება არ იგრძნობოდა) და განაგრძო, — შემდეგ უკვე ქრისტიანული ერების ხომალდებმა ხშირ-ხშირად დაიწყეს აქ შემოვლა, კერძოდ ინგლისის მთავრობამ ნება დართო, წელიწადში ერთხელ გამოეგზავნათ ერთი სამხედრო ხომალდი ლუ-ჩუზე ჩინურ ნავსადგურიდან, რათა შეემოწმებინათ, მცხოვრებლები როგორ გვექცეოდნენ. ჰოდა, ისინიც ახლა წელში იდრიკებიან ჩვენს

წინაშე. მაგრამ უბირა, ბინძური. უხეში ხალხი კი გახლავთ...

ექვი შემეპარა, საცოდავ ლიკეელებს ასე უმოწყალოდ რომ კიცხავდა. ჩვენებმა მითხრეს, როცა ლიკეელებს ვკითხეთ, მისიონერი სად ცხოვრობსო, ამ უკანასკნელებმა აშკარად გამოამყდავენეს მისდამი სიძულვილი, ერთს კიდევ უთქვამს ინგლისურად: „Bad man, very bad man!“ (ცუდი, ძალზე ცუდი კაციო).

ამ სიძულვილს სიძულვილითვე რომ პასუხობდა, რაც ვერაფერი ქრისტიანული საქციელი იყო, პასტორი, ალბათ ცოტა კიდევ აზვიადებდა ამ პიგმეების მინიატურულ ცოდვებს. ისინი მართლაც მუდამ ავი თვალით უცქერდნენ მისიონერებს. რამდენიმე წლის წინათ აქ ორი კათოლიკე ბერი დასახლებულა. მცხოვრებლებმა არ იცოდნენ მათი ვინაობა და მეტად კეთილად ეკიდებოდნენ, ყველაფრით ამარაგებდნენ; მაგრამ რომ შეიტყვეს, ვინც იყვნენ, სათოფედ აღარ გაეკარნენ. შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, პირიქით, მდაბლად უკრავდნენ თავს; მაგრამ რა წამს მისიონერები პირს გაალებდნენ საქადაგებლად, ლიკეელები ყურებში თითებს დაიცობდნენ და უკანმოუხედავად გარბოდნენ. რომ ვერაფერი გააწყვეს, მისიონერები ფრანგული სამხედრო ხომალდით, რომელსაც, თუ არ ვცდები, ადმირალი სესილი მეთაურობდა, უკანვე გაემგზავრნენ ჩინეთში.

ბეტელგეიმმა გვითხრა, რომ ლიკეელებს დაუბრკოლებლივ უკითხავდა ქადაგებას მათ სახლებში და ისინიც ვითომ უსმენდნენ. მაგრამ არა მგონია, მართალი იყოს, თუ იმით ვიმსჯელებთ. აქ როგორ ეპყრობიან მას. ისიც კი თქვა, რამდენიმე კაცის მონათვლა მოვახერხეო.

— იაპონელები რომ ხელს არ მიშლიდნენ, მეტსაც მივადწევდი, — დაასკვნა მან ბოლოს. — ისინი ყოველ წელიწადს ჩამოდნენ აქ ხარკის და საქონლის წასაღებად სამოცი ნავით, ლიკეელები კი იაპონიაში თექვსმეტამდე ნავს აგზავნიან. იაპონელები დიდხნობით რჩებიან ხოლმე, ხალხს უცხოელებისგან განაპირების თავიანთ სისტემას უნერგავენ, სხვათა შორის, ქრისტიანების სიძულვილისაც. ახლაც 600-მდე იაპონელი იქნება აქ. თმა მოიზარდეს, აქაური ტანსაცმელი ჩაიცვას და მალულად უთვალთვალებენ მცხოვრებლებსა და

უცხოელებს. ხომ ხედავთ, აქ ყველაფერს იაპონური სული სცხია: რელიგია, ადათები, ჩვევები, დამწერლობაც კი იქიდანაა გადმოსული, თუმცა სანახევროდ ჩინური ასოები ურევია. ნიადაგი ერთნაირ ნაყოფს იძლევა აქაც და იქაც და მრეწველობაც ერთნაირი აქვთ. ესენიც ისეთსავე ქსოვილებს, ისეთსავე გალაქულ საკნებს ამზადებენ, ოღონდ უფრო უხეშსა და უბრალოს; იმასვე სჭამენ, რასაც ისინი. ერთი სიტყვით, აქ იაპონური ყოფა მეფობს და მეორე პატარა იაპონიას წარმოადგენს. ბაზილ გალს ნუ დაუჯერებთ, — დააბოლოვა მან და მის წინ მდებარე გალის წიგნი გასწია, — შიგ ერთ სიტყვასაც მართალს ვერ ნახავთ; ყოველივე ჭეშმარიტების დიამეტრალურად საწინააღმდეგოა!

მე მართლაც არ მჯერა გალის, მაგრამ არც ამ მისიონერის ნათქვამი მწამს მაინცადაძიხც: პირველს მეტისმეტად გაეგენ ფეხქვეშ, მეორე კი... მიბეგვეს; ამიტომაც ლაპარაკობენ სხვადასხვანაირად.

მე მხოლოდ ჩემი შიში გავუზიარე, რომ მას და მის მონაცვლეებს აჩქარებით მთელი საქმე არ ჩაეფუშათ. „თუ იაპონიამ თავისი ნავსადგურები ყველა ერს გაუხსნა სავაჭროდ, — ეუთხარი მე, — ვინ იცის, იქნებ დაეშუროთ და საქონელთან ერთად ახალი აღთქმის თქვენი თარგმანებიც გაგზავნოთ. წინასწარ მითქვამს, რომ იაპონიას ისევ ჩააკეტინებთ კარს, რელიგიას ვერაფერს შემატებთ და ვაჭრობასაც ჩაფუშავთ. იაპონელები აქამდე ყოველ ხომალდს ამოწმებენ, ყოველ საგანს აღნუსხავენ, განა სავაჭრო ქიში ამოქმედებთ, მხოლოდ ის აწუხებთ, მათ ქვეყანაში რომ ქრისტიანულმა წიგნმა თუ ჯვარმა, ერთი სიტყვით, რელიგიამ არ შემოაღწიოს. ადამიანთა რიცხვსაც ინიშნავენ, იაპონიაში მღვდელი რომ არ შემოეპაროთ და რელიგია არ იქადაგოს, რისაც ესოდენ ეშინიათ. აქ მკაცრ ზომებს კარგა ხანს არ მოეშვებიან, თუ რომ ევროპულ ცხოვრებაზე არ გადავიდნენ. სჯობს, ჯერ დაიცადოთ, — დავასკვენი ბოლოს, — ვიდრე ევროპული ფაქტორიები არ დაარსდება. ისინი, რა თქმა უნდა, უფლებას მოითხოვენ, თავიანთ სახლებში ჩაატარონ წირვა-ლოცვა. საეკლესიო წიგნები და ნივთები ჯერ ამ ფაქტორიებში გაგზავნეთ, იაპონელები par le

temps qui court¹ უკვე ველარ აკრძალავენ ამას, იმათგან კი ნელ-ნელა იაპონელებიც ეზიარებიან!“.

ამ საუბარში რომ ვიყავით კაიუტაში, მესიგნალემ გვამცნო, სამანძა ხომალდი მოდისო. ყველანი ზემოთ ავედით. მარჯვნივ, კუნძულის მხრიდან დიდი სავაჭრო ხომალდი გამოჩნდა, ყველა იალქნები გაეშალა და პირდაპირ ბრავასკენ მოექანებოდა.

ჯანლიანი ამინდი იდგა, ქარი ქროდა, მერე წვიმაც წამოვიდა. ჭოგრიტში მაინც გავარჩიეთ, რომ ხომალდზე ინგლისის ალამი ფრიალებდა. აღმირალმა მაშინვე შტურმანი ოფიცერი გაგზავნა ნავით, ის ხომალდი მეჩეჩისთვის აეცდინა. ორიოდ საათის შემდეგ ხომალდმა უკვე ჩვენს ახლოს ჩაუშვა ლუზა.

მაგრამ რა ამბავია მის გემბანზე? ზღვა ხალხს გაექვდა გემბანი და ფრასავით ერთმანეთს მიკვროდა. კითხვა რად უნდოდა, ისედაც აშკარა იყო, რომ ემიგრანტები იქნებოდნენ. სწორედ ასეთი ხომალდი ვნახეთ მადერას კუნძულთან, ემიგრანტებით სავსე, ავსტრალიაში მიემართებოდა. მაგრამ საიდან მოჰყავთ ან საით მიდიან ისინი? ბეტელგეიმმა თქვა, იქნებ მეორე მისიონერი ჩამოჰყავა ამ ხომალდს ჩემს შესაცვლელად, და ამბის შესატყობად წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ მობრუნდა და ერთი ახალგაზრდა კაცი მოიყოლა, ასე ოცდაექვსი წლის. აღმირალს გააცნო, ჩემი მონაცვლეაო. სადილად ჩვენთან დარჩნენ. ახლადჩამოსულმა პასტორმა, ისიც ინგლისელი ყოფილა, გვაუწყა, რომ ხომალდი ჰონ-კონგიდან მოსულა, ზუსტად ერთი თვე მონდომებია გზას, სან-ფრანცისკოში მიემართება და ხუთასი ჩინელი ქალი და კაცი მიჰყავს თან. ვის ან რას არ ნახავ ახლა სან-ფრანცისკოში? ამ ქალაქის წარმოშობა რომისას ჰგავს: ორთავე ბოგანოებისგან შედგა.

ნასადილევს ჩვენები ნაპირზე გადავიდნენ in's Grüne² ჩაის დასალევად. ეს ამბავი კი გამომეპარა, სამაგიეროდ ინგლისური ხომალდის ჩამოტანილი გახეთით კი ბევრი ახალი ამბავი შევიტყვევებოვრიდან, ჩვენთვის მეტად საინტერესო. თურქეთთან საქმე მოგვარებულა; მაგრამ ინგლისი და საფ-

¹ ამჟამად (ფრანგ.)

² ბუნების წილში (გერმ.)

რანგეთი ჩვენს წინააღმდეგ მაინც აგრძელებენ თურმე ინტრიგებს. მთელი ევროპა გაფაციცებით ელის, რა მოხდება...

შვიდი საათი იქნებოდა, ნავი რომ გამომიგზავნეს წასაყვანად. უკვე ბნელოდა. ჩვენები კონცხზე დამიხვდნენ, ჭალის ახლოს. ხელდახელ ვუამბე ცხელ-ცხელი ამბები და ტყისკენ გავყევი ბილიკს, მათ მსჯელობას აღარ მივუგდე ყური. რა კარგი იყო! ვტკბებოდით თქვენთვის უცხო შთაბეჭდილებებით. თბილი, მიბნედილი, მთვარიანი ღამის ნათელი მწუხრი იდგა, შრიალებდა წყვდიაღში ჩაფლული ჭალა, ბანიანებს, პალმებს თუ სხვა უცხო ხეებს ნელი სიო სულ სხვაგვარად აშრიალებდა. ვინემ ჩვენს არყებსა და ვერხვებს, უფრო რბილად, უცხო ხმაზე. ბაყაყებიც სხვაგვარად, ჩვენებზე ხმამალა ყიყინებდნენ და კასტანეტებივით ჭახჭახებდნენ. შორიასლოს ტალღა ეტყლაშუნებოდა ნაპირს, შორს ბრაგებზე ფურთუნი ღრიალებდა. მესმოდა ჩემი ამხანაგების ცხოველი ლაპარაკი. დამიძახეს, წავიდეთო. გამოვტრიალდი და ლიკეელების ჯგროს შევეჩხე, რომლებიც კარვიდან უთვალთვალებდნენ თურმე ჩვენებს. უეცრივ მდაბლად დამიკრეს თავი და ასევე წელმოხრილებმა გამატარეს.

მეორე დღეს ნაპირზე გავეშურეთ სავიზიტოდ. ჯერ ამერიკელ ოფიცრებს ვეწვიეთ. არ ვიცი, ნაყიდი ჰქონდათ თუ „მფარველობის“ გზით დაჩემებული, ეს კია, თავისა და მეზღვაურებისთვის საკმაოდ დიდი სახლი დაეკავებინათ, წინ დიდი ბოსტნით, სადაც ტკბილი კარტოფილი, ტარო, ცერკვი და თამბაქო ეთესათ. იმათთან აღარ შევსულვარ, ზღვის პირზე გავწიე, თავთხელს გავყევი, გორაკზე ავძვერი, იქიდან მღვიმეში გადავედი, სადაც ჩვენი ზომალდების მეზღვაურები დაბანაკებულიყვნენ და მერე ტყეში ჩვენი იდილიაც მოვინახულე: მეზღვაური კორმჩინი იქ ცხვრებს აძოვებდა. ყველგან, წარმოიდგინეთ, ტყეშიც კი, ქვის ნაგებობანი, გალავნები, ღობეები, კარვები, ბოსტნები და ყანები დამხვდა. ყოველივე დაემუშავებინათ, ყველგან სუფთა ბილიკები ან მარჯნის გზები გაეყვანათ.

ფართობით თუ ვიმსჯელებთ, კუნძული ძალზე დასახლებული უნდა იყოს, სივრძით ოთხმოცი ვერსი იქნება, სიგანით ექვსიდან თხუთმეტამდე თუ თვრამეტამდე. ამ ფართობზე კი

სამოცი-სამოცდაათი ათასი მოსახლე ცხოვრობს. ნაპაშიო, მისიონერმა გვითხრა, ოცი ათასამდე კაცია, ჩუდიშიც ამდენივეო.

ჩვენებს ნაპაში მიმავალ ხილზე დავუცადე და ქალაქში გავსწიეთ მისიონერების მოსაძებნად.

ჩუდივით აქაც ქვის გრძელი, მკვიდრი გალავნებით შემოვლებული ქუჩები დაგვხვდა. ისეთი დიდებული ხეები ჩარჩებულყო, გეგონებოდა, ხეივანში მივდივარო. ქიშკრებზე მცხოვრებლები გადმომდგარიყვნენ. მგონი, ცოტა გაუქარწყლდათ ჩვენი შიში, რა ნახეს, აუგს არაფერს ჩავდიოდით. ქალაქში მცხოვრები ბევრი იყო და ამიტომაც გაცხოველებული მოძრაობა სუფევდა. ქვეყნის ხალხი ირეოდა თუ მიდი-მოდოდოდა. საკმაოდ დიდ ტვირთს მოათრევდნენ, განსაკუთრებით დედაკაცები. ზოგიერთებს ბავშვები მოეკიდათ ზურგზე ან უბეში ესვათ.

არ ვიცოდით, რომელ მხარეს წავსულიყავით: უამრავი ქუჩა და შესახვევი მიდიოდა. უკან ხალხის ჯგრო მოგვეყვებოდა; ინგლისურად ვკითხეთ, მისიონერის სახელიც ვუთხარით — მცხოვრებლები ყურზე გვიჩვენებდნენ და თავს იქნევდნენ: „ყრუები ვართ, არაფერა გვესმისო“. ზოგიერთები ამ ჩვენი კითხვის შემდეგ ერთმანეთში მოითათბირებდნენ, აგერ, ერთი გაგვიძღვებოდა წინ და ზღვის ნაპირზე გამოგვიყვანდა, მერე ისევ ერთი სჯა-ბაასი შეიქნებოდა და ისევ ახალი მეგზური მოგვევლინებოდა. ერთმა გვატარა, გვატარა ტლაპოში, მერე ქალაში შეგვიყვანა, და კაკტუსებისა თუ სხვა ბუჩქებში დამალულ, ხშირი ბალახით მოდებულ ბილიკით გორაკზე მდებარე სასაფლაოზე გამოგვიყვანა, იმ უზარმაზარ საფლავის ძეგლებთან, რომლებიც ჩვენ ზღვიდან დავინახეთ და თავდაპირველად ქალაქი გვეგონა. ბრაზი მომერია.

— ახლა კი ვხედავ, მართლაც ლოთები და ყომარბაზები ყოფილხართ... — ვბუზღუნებდი ლიკეელებზე.

— თანაც დიდი თაღლითები, განზრახ გვაწანწალებენ ასე, — დაუმატა მეორე ამხანაგმაც.

მესამეს კი ჩვენს დრტვინვაზე სიცილი აუტყდა. ბოლოს ერთმა ლიკეელმა მეორედ გამოგვიყვანა ზღვისპირის მეჩეჩზე და მერე სხვებივით ხალხის ჯგროს შეერია. მაშინ ერთი ლი-

კელი ძალით გამოვითრით ჯგროდან და წინ გავიმძღვარეთ გზის საჩვენებლად. სხვა რა ჩარა ჰქონდა, წყალზე გადმოკიდებულ ერთ რუხ კლდესთან მიგვიყვანა და მის გვერდით მდებარე მწვანე გორაკზე და ბუჩქებში მიმავალ ბილიკზე მიგვითითა. „ისევ აღმართხო!“ — ავბუზღუნდით მოთმინებადკარგულები, გორაკზე ავედით, პროტესტანტულ ეკლესიას მივადექით, მერე გორაკიდან დავეშვიტ და მისიონერების ბაღსა და სახლთან ამოვყავით თავი. თურმე მთელი ეს ხანი სულ ამ ადგილს ვუტრიალებდით ირგვლივ. როგორც კი ბაღში შევედით, ორი უშველებელი ძალი ყეფით გვეცა.

მისიონერი პარმალზე გამოგვეგება და ისეთივე ქაღალდით აწებილ ჩარჩოიან ოთახში შეგვიყვანა, როგორც ლიკეელების სახლში ვიხილეთ. იქ დაგვხვდა ახლახან ჩამოსული ინგლისური ხომალდის შკიპერი და მისი ახალგაზრდა, ულამაზო ცოლი, რომელსაც კბილი სტკივებოდა. ახალი მისიონერის ცოლიც იქვე აღმოჩნდა, ისიც ყმაწვილი და უშნო ქალი, წინა კბილები არ ჰქონდა. მხოლოდ პასტორის წიგნებითა და ხელნაწერებით სავსე კაბინეტს გააჩნდა ორი პატარა უშუიანი სარკმელი, რომელიც, მგონი, შეერთებული შტატების კაცს უჩუქებია მისთვის. კარზე მისი მეორე საბოძვარიც — დიდი ვერცხლის ლარნაკი ეკიდა. სხვა დანარჩენს — ხის ტლანქად ნაჩოკნ მაგიდას, ისეთსავე სკამებსა და დივანს, — უბრალოსაც ვერ უწოდებდი.

მისიონერმა ღვინო და რალაცნაირი ქადაპურის ორცხობილები შემოგვთავაზა. ბოდიში მოიხადა, ორი სასმისისა და ორი ჭიქის მეტი არ გამაჩნიაო. ადმირალმა მეორე დღესვე ერთი დუჟინი ღვინო და ერთი თუ ორი დუჟინი სასმისები და — გინდა არ გინდა შესვი! — ჭიქები გაუგზავნა. მისიონერმა ბევრი გალაქული ნივთი გვაჩვენა, აქაური ნამუშევარი საჭმლის ჯამები, სადგარები, უსკურები, ლანგრები თუ სხვა: მაგრამ იაპონელთა ნახელავის შემდეგ ისინი ზედაც არ დაიხედებოდა. ბეტელგეიმმა ადმირალს თხოვა, რამდენიმე ნივთი მის სამახსოვროდ წაეღო. ყველაზე უკეთესი პარმალთან მდგარი დიდებული ბანიანი იყო, მთელ ეზოს რომ ჩრდილს ჰფენდა და კიდევ აუარება ნაირ-ნაირი ბუჩქები თუ ყვავილები. ვაი რომ ლუ-ჩუზე შხამიანი გველები სცოდნია. მისიონერმა

გვითხრა, ორი გველი ოთახებში დავიჭირეო. ეზოში გამავალ-
გალერეაში პატარა აფთიაქი და დიდი ბიბლიოთეკა მოეთა-
სებინათ. რამდენიმე ლიკეელი ქიშკართან შეგროვილიყო და
ეზოში გვიჭკვრეტდნენ; მისიონერმა არცთუ ტკბილად დაუქ-
ნია მათ ხელი, აქედან მოწყდითო. „ცემა-ტყეპა ვერ დაუვიწყ-
ნიაო!“ — ჩამჩურჩულა ერთმა ამხანაგმა. მისიონერმა ჩვენ-
ნავით ფრეგატამდე მიგვაცილა.

გზაში აღმირალმა კაცი გაუგზავნა ქალაქის თავს და შე-
უთვალა, რომ სწადია ქალაქისთავი ფრეგატზე ეწვიოს და
უკვირს კიდევ, აქამდე როგორ არ ეწვია. ისიც დააბარა, რომ
ჩვენ თვითონ წავალთ სასახლეში, მათი სამეფო კარის სანა-
ხავადო. ამ ამბავმა ყველაზე მეტად გასჭრა. მოხელემ თუ
ქალაქისთავის მდივანმა პასუხად შემოთვალა, თუ რამე მნიშ-
ვნელოვანი ამბავი გვქონდა სათქმელი, მაშინ, რა თქმა უნდა-
მოვიდოდა.

— ძალიან მნიშვნელოვანიაო, — დააბარეს ასე.

ქალაქისთავი მეორე დღეს აპირებდა მოსვლას, მაგრამ
კოკისპირულად ასხამდა წვიმა. ბოლოს გუშინ, 7 თებერვალს
გვეწვია ქალაქის თავი ფრეგატზე, მდივანი, თანაშემწე, ჩი-
ნური ენის თარჯიმანი და პატარა ამაღა ახლდა. ის მაღალი,
თმაჭალარა მოხუცი გამოდგა, არცთუ პატრიარქალური შესა-
ხედაობის, წითელი ცხვირი ჰქონდა დამახინჯებულ სახეზე.
აფსუს იდილიავ! — ეწერა, დიდი ლოთიფოთი ვინმე უნდა
ყოფილიყო, ცხვირი და ცხვირის მიდამო ლურჯსა და წითელ
ძარღვებს დაესერა. ჩახრინწული, წრიპინა ხმით ლაპარაკობდა.
მისი ამხანაგი მაღალი, ზორბა კაცი იყო, ორმოცდაათიოდე
წლის, შავი თხელი წვერი სხვებივით მასაც ნიკაპიდან დაწყე-
ბოდა. დანარჩენებს არა უშავდა, ყველა საღ-სალამათად გა-
მოიყურებოდა. თავზე დადებულ თმის კონაში გუბერნატორს
ოქროს სარკი გაერკო, თანაშემწესა და თარჯიმანს ვერცხ-
ლის, დანარჩენებს კი სპილენძისა ეკეთა. გუბერნატორს უკან
თექვსმეტი წლის ყმაწვილი ეჯდა და წამდაუწუმ ჩიბუხს
უტენიდა. არც ის ივიწყებდა და მისთვის გასამასპინძლებლად
მირთმეულ ბისკვიტებისა და სასმელების ნარჩენს უწილადებ-
და. გუბერნატორმა აღმირალს რაღაც ორი ტორტი მოართვა-
სამაგიეროდ დიდი სამოვრით და შუშის ჭურჭლით დაასაჩუქ-

რეს. უფრო ადრე კი გამოგზავნილი საკლავისა და მწვანი-
ლეულის სანაცვლოდ მაუდის ნაჭერი გაუგზავნეს სახალათედ.
აჩვენეს კიდევ იაპონელთა საჩუქრები და სხვათა შორის ად-
მირალისთვის ბოძებული ხმალი.

— ხმლები თუ გაქვთ? — ჰკითხეს მას.

— არა.

— მაშ რა იარაღი გაგაჩნიათ?

— აი, ეს, — მიუგო მან და მარაოზე უჩვენა.

გუბერნატორს მადლობა გადაუხადეს სანოვაგის გამოგ-
ზავნაზე, განსაკუთრებით ხარებსა და თევზებზე. თხოვეს
შემდეგშიც, რა თქმა უნდა, ფულზე, ყველაფერი მიეწოდები-
ნათ რუსული ხომალდებისთვის, თუკი რამ დასჭირდებოდათ.
სხვათა შორის, ისიც უთხრეს, რომ რაკი კუნძულზე მარილის
მოპოვებას მისდევენ, შესაძლოა ხომალდებმა მარილის, ბრინ-
ჯისა თუ სხვა საგნების საყიდლად შემოიარონ: ჰოდა, არ შე-
იძლება ვაჭრობაც გამართონ?

— არა, არა! ჩვენ მხოლოდ ჩვენი სამყოფი მოგვეყავს, —
მსწრაფლ მიუგო გუბერნატორმა, — ისიც ბრინჯს ჩვენ, უფ-
როსები მივირთმევთ, მდაბიო ხალხს ცერცვითა თუ სხვა ბოს-
ტნეულით გააქვს თავი.

— იმასაც გთხოვთ, მცხოვრებლებს უთხრათ, ნუ გაგვირ-
ბიან: ცუდს არას დაუშავენთ, — განვაგრძეთ ჩვენ.

— იმიტომ გარბიან, რომ უცხოელები აქ იშვიათად მო-
დიან და ჩვენები ჯერ არ მიჩვევიან. თანაც ამერიკელები რომ
იყვნენ აქ, ხანდახან ყანებიდან მუხუდლოს ცერცვს კრეფდნენ:
ერთსა თუ რამდენიმე კაცს რომ ჩაედინა, კიდევ არა უშავდა,
მაგრამ როცა ყველა...

დავარწმუნეთ, ჩვენები ხელს არაფერს ახლებენ-თქო.

— ჰო, მოწყალება მოიღეთ და ქალების მხრისაც გააფრ-
თხილეთ...— განაგრძო თარჯიმანმა. — ერთი ამერიკელი ჩვენს
ქალს ხელზე წაეპოტინა; ჩვენში კი მკაცრად უყურებენ ამ ამ-
ბავს, ასე რომ ქმარი შეიძლება კიდევ გაეყაროს. ამიტომაც
გაუბრებინ ისინი უცხოელებს.

შენათ, რა ზნედაცულები ყოფილან: ხელზე წავლებაც
არ შეიძლება თურმე! ოქროს ხანაში, განსაკუთრებით ბიბლი-

ურსა და ჰომეროსის დროს, ამ ამბავს უფრო შემწყალედ ხედებოდნენ!

ნასადილევს ნაპირზე გადმოვედით, ზანტად და ჩაფიქრებით დავეხეტებოდით ტყეებში, უფრო სწორად ბაღებში, შემდეგ სადღაც გავუხვიეთ, კედარებს შუა ერთ კორდს მივაგენით, მოლზე ცოტა ხანს ვიწექით, მერე კერპთსალოცავში შევედით, კიდან წყალი დავლიეთ, საღამოთი კი ნაპირზე გიახვლეთ ჩაა, ტვიებისა და პაპირუსების ჩრდილში — ერთი სიტყვით, საღამო წმინდა იდილიურად გავატარეთ.

ჩვენს აქ ყოფნაში ამინდი სულ იცვლებოდა: ხან ჩრდილოეთის მუსონი უბერავდა, შიგადაშიგ ქარიშხლის სიძლიერეს აღწევდა, ხან გულის გამწყალბელი თავსხმა წვიმა მოდიოდა. სამაგიეროდ მზე რომ წამით გამოაჭყეტდა — ყოველივე ნარნარი, გამკვირვალე გახდებოდა, ყოველივე სიხარულით იბნდებოდა... ოღონდაც ჩვენ ცუდი ამინდი ბლომად გვერგო — თებერვალს აქ თურმე ასე სცოდნია. ემიგრანტების ხომალდი დიდი უიღბლო გამოდგა, სულ რაღაც ემართებოდა. ამ სამი დღის წინათ ღუზის ახსნა დააპირა და მეჩეჩზე გაიჩხირა. ჩვენი ხომალდებიდან დაუყოვნებლივ მიეშველა ხალხი: ეს რომ არა, მალე ვერ მოწყდებოდა მეჩეჩს და ქარს ძლიერად რომ დაებერა, ნაფოტებად დაიმსხვრეოდა; თვითონ კაპიტანმაც დაამოწმა ეს ამბავი. ჩვენებმა მოინახულეს ის ხომალდი და თქვეს, რომ ისეთ სიბინძურეს, დომხალს, ალიაქოთსა და ქაოსს კაცი ვერ წარმოიდგენსო. იმ დიდ ხომალდზე მხოლოდ ოციოდე მეზღვაური ჰყოლიათ და ისიც ხეიბრები. იალქნების მართვაზე ხალხი არ ჰყოფნით თურმე, გემბანზე შექუჩული ჩინელები კი განძრევის საშუალებას არ აძლევენ. ისეთი ღრიანცელი და გნიასი დგას, ჩვენთანაც კი ისმის. ხომალდის შესამსუბუქებლად და მეჩეჩიდან უფრო ადვილად გადმოსაყვანად ყველა ჩინელი კაცი თუ ქალი ორი საათით ჩვენთან გადმოიყვანეს. ისინი ერდოზე და შკაფუტზე დააბინავეს და თოკებით შემოუღობეს ადგილი. მაღალი, მოყვანილი მამაკაცები ბევრი ერია. ქალები მეტწილად ახალგაზრდები იყვნენ, ყველა გაუთხოვარი, თოთხმეტიდან ოც წლამდე. განსაკუთრებით ერთმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. მგონი, ქალების უფროსი იყო, როგორც მამაკაცებს ჰყავდათ თავიანთი მამა-

სახლისი. სახელად აჩა ერქვა. ულამაზო იყო, მაგრამ ეშხი მაინც არ აკლდა. სითამამე ეტყობოდა. ინგლისელივით ლაპარაკობდა ინგლისურს. განიერი და გრძელი აბრეშუმის ცისფერი კაბა ეცვა, რომელიც თითქო ბოშური შალივით ჰქონდა მოგდებული მხარზე. თეთრი, სუფთა შარვალი უჩანდა. ლამაზ არცთუ სიმანინჯემდე პატარა ფეხზე ევროპული ფეხსაცმელი ემოსა. ზარბაზნის დაზგაზე იჯდა, ირგვლივ გაბედულად იუბრებოდა და კეკლუცად გამოწეულ ფეხს წამლაუწუმ აქანებდა. სხვა ქალები ერთად მიმსხდარიყვნენ იატაკზე. მამაკაცები მეტნი იყვნენ და ცხვრის ფარასავით ირეოდნენ. აჩას გამოვკითხეთ, სად ესწავლა ინგლისური და კალიფორნიაში რისთვის მიდიოდა. გვითხრა, სამი წელი ვცხოვრობ უკვე სანფრანცისკოშიო. ახლა ოთხი თვით წამოსულიყო ჰონ-კონგში, რომელიდაც მალაზიისთვის ქალების დასაქირავებლად, და უკან ბრუნდებოდა... მამაკაცები შავ მუშად მიდიოდნენ.

ზომალდი, როგორც იქნა, მეჩეჩიდან გადმოიყვანეს და ჩინელები უკანვე გადასხეს. მაგრამ პირქარი იყო და გზა ველარ გააგრძელა.

სამი დღის წინათ ორივე მისიონერი მეტად სერიოზული სახით გამოგვეცხადა, თეთრ ტილოს ქუდეში, თეთრ ჰალსტუხებსა და შავ ფრაკებში გამოწყობილნი და თქვეს, მეტად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გაცნობოთო. „სავაჭრო ზომალდზე ჩინელები შკიპერს არ ემორჩილებიანო“, — განაცხადეს მათ და გვთხოვეს, ჩინელების მამასახლისები დაგვებარებინა და უკმაყოფილების მიზეზი გამოგვეკითხა: ადმირალის გამოძახების შემდეგ სამი მორთულ-მოკაზმული, დარბაისელი იერის ჩინელი გვეახლა. თქვეს, რომ მათ წყალს არ აძლევდნენ; კასრთან რომ მიდიოდნენ, მეზღვაურები მუშტების კვრით უკანვე აგდებდნენ თურმე. „ჩხუბიც ამიტომ მოხდა, — დაუმატეს მათ, — სხვა მიზეზი არ ყოფილაო“. ვუთხარით, რა საფრთხეც ელოდათ, თუ შკიპერის მოთხოვნილებებს არ შეასრულებდნენ, ისიც დაეუმატეთ, რომ ზღვაში საჭიროა მისი ყოველი ბრძანება უსიტყვოდ შესრულდესო.

— ვიცი, ვიცი, — გვიპასუხეს მათ, — ჩვენ მხოლოდ იმას ვთხოვთ, წყალი საკმარისად მოგვეცეს, ის კი ყოველი წესრიგის გარეშე ცოტ-ცოტას იძლევა; კასრებს გასდის, წყა-

ლი იკარგება, ოქროს მთამდე (კალიფორნიამდე) კი არსად აპირებს შევლას. ჩვენ მგზავრობის ფული გადახდილი გვაქვს, თითოეულმა სამოცდაათი დოლარი დავდეთ.

ბოლოს მოვარიგეთ ისინი ერთმანეთში. ჩინელებს მორჩილების პირობაზე ხელი მოვაწერინეთ, შკიპერს კი ვურჩიეთ, წესრიგი დაეცვა და წყალი მეტი მიეცა, სან-ფრანცისკოშიც პირდაპირ არ წასულიყო, სანდვიჩის კუნძულებზე შეეარა. ასე დავმორდით ერთმანეთს. სალამოს კიდეც დავინახეთ, აჩა რომ თავის ხელქვეითებთან დასეირნობდა ნაპირზე. სამი დღეა ხომალდი წავიდა; შკიპერმა და მისიონერებმა აღარ იცოდნენ, მადლობა როგორ გადაეხადათ ჩვენი ხომალდის უფროსებისთვის. ღუზის ახსნაშიც ჩვენი მეზღვაურები დაეხმარნენ, მარტო შკიპერი ვერას გააწყობდა. ჩვენ ზევით ვიდექით, როცა ამ უზარმაზარმა, ხალხით გაკედლილმა, ბინძურმა, შეუღებავმა ხომალდმა, გარეთაც და შიგნითაც მოუვლელ-მოუწესრიგებელმა, ნელა ჩაგვიარა გვერდით.

— მიაღწევს კი? — ვიკითხე დაეჭვებულმა.

— მიაღწევს, — დარწმუნებით მიპასუხა ჩემს გვერდით მდგარმა მეზღვაურმა, — ვითომ რად არ უნდა მიაღწიოს, მია! გუშინ, 8-ში, ჩვენც უკანასკნელად გადავედით ნაპირზე. რომანტიკოსებმა თითო ბუტერბროდი წაიღეს და დილაადრიან გაეშურნენ, სხვები ნაშუადღევს წავიდნენ, მე და კაპიტანმა ლ[ოსევემა] კი ნასადილევს გავწიეთ და კუნძულზე სხვადასხვა მხარეს დავიფანტენით. სოფელ ბო-ტსუნგში აღარ გავვივლია, არც დიდ გზაზე გავსულვართ, მარცხნივ ავიღეთ გეზი, ჭალა გადავკვერით და ყანებში ამოვყავით თავი, რომლებიც უსწორმასწოროდ, გორაკ-გორაკ მისდევდა ყოველი მიმართულებით. ერთი გორაკიდან მიდამოს გადმოვხედეთ; თითქო მწვანედ მღელვარე შუა ზღვაში აღმოვჩნდით, მწვანე მცენარეების გარდა არაფერი ჩანდა. ბილიკ-ბილიკ წავედით, ჩავუარეთ ყანებს, ბამბუკის ღარიბულ ფაცხებს, რომლებსაც ირგვლივ ბოსტნები ერტყათ. ფაცხების წინ ჩიჩობზე ბოსტნეული იყო გაშლილი გასახმობად. საღეჭი თამბაქოც ვნახეთ გაფენილი. აქაური თამბაქო ჩინებული განლავთ: იაპონურზე მაგარი და მუქია; იაპონური ხომ მეტისმეტად ნაზი და სუსტია. მარტონი მივდიოდით. თავდაპირველად ქუ

ჩაში ვილაც გამცილებელთა ჯგრო აგვედევნა, მაგრამ ყანებში შევეხვიეთ თუ არა, მყის მიგვატოვეს. ბილიკი ხან გორაკზე აღიოდა, ხან ხევ-ხევ ეშვებოდა. სიცხემ გვაიძულა ყანებში მიგვეტოვებინა და დაბურულ ხეივანებში გვეძია გრილო. სოფლის შუკებში შევედით. ყველგან ერთი და იგივე სურათი: მეორდებოდა. მცხოვრებლები ისე აღარ გვიფრთხილდნენ, გოგო-ბიჭები ღიმილით გვესალმებოდნენ წელმოდრეკით. გვეთამაშებოდნენ და თუ რომელიმეს ხელს წავატანდით, უცბად კისკისით იფანტებოდნენ.

დიდ მონასტერთან, მთავარ ხეივანში გამოვედით, რომელიც დედაქალაქის გზას წარმოადგენდა და იქ ხიდის მოაჯირზე ჩამოვჯექით. ამ გზაზე დიდი გაცხოველებული მიმოსვლა წარმოებდა. მიდი-მოდოდნენ ბოსტნეულით დატვირთული ადამიანები, ან ცხენები მოჰყავდათ ზურგზე აკიდებული ბრინჯის საპალნეებით, თამბაქოს კონებით თუ სხვა. ცხენები ჩვენს დანახვაზე ფრუტუნით იხევდნენ უკან. ყანებში ყველგან მუშაობდა ხალხი. შაქრის პლანტაციისაკენ გავწიეთ. შარაგზიდან მას ბრინჯის წყლით სავსე ყანები ჰყოფდა, რომლებიც დამყაყებულ, ხავსმოდებულ გუბურებს მოგაგონებდა.

შაქრის ლერწმის მიწდორს ირგვლივ შემოვუარეთ. აქ მეტიმეტად ახლო-ახლო დაუთესიათ იგი, სხვა ადგილებში უფრო შორი-შორს რგავენ. ბუჩქებივით კარგა მაღალზე აყრილა. ლერწამს იქვე ჰრიდნენ და მახლობელ გორაკზე ეზიდებოდნენ პრესში, რომელსაც ხარი ატრიალებდა. ლერწმების გაღმა შექუჩულ ხალხს მოვკარი თვალი. „რას აკეთებენ-თქო?“ — ვკითხეთ ერთმანეთს. კარგად რომ დავაკვირდით, დავინახეთ, ორ ჩვენს მეზღვაურს ლიკეელებისთვის თოხი ჩამოურთმევეია და მუყაითად თხრიდნენ ტკბილი კარტოფილის კვლებს. მიწის კოლბოხები და კარტოფილი ყოველ მხრივ ცვიოდა. გარსშემოხვეული ლიკეელები კი დაკვირვებით დასცქეროდნენ მათ მუშაობას.

„აგრე, აგრე!“ — ისმოდა თოხის ყოველ დარტყმაზე.

გორაკისკენ გავემართეთ, სადაც გუშინ ვიყავით და სადაც კერპთსამლოცველო იდგა. გზად გლეხები შემოგვეყარა. მშვენიერი, მუჭი, პრიალა, სქელზე სქელი ბამბუკის ჭოკები ეკავათ, რაზეც ტვირთს ჰკიდებენ ხოლმე.

მინდოდა ახლოდან დამეთვალეირებინა ასეთი ქოკი და ერთს ხელი გავუწოდე ბამბუკის ჩამოსართმევად. ამ ამბავმა მთელი ჯგრო ერთბაშად შეაცბუნა. გაწითლებულმა ლიკელებმა მყის გამოთაყვანებული სახე მიიღეს, ერთმანეთს გადახედეს და უკან-უკან დაიხიეს. ქოკი არამც და არამც არ მაჩვენეს.

რა სარგებლობაც აქ, მის სამშობლოში, ბამბუკს მოაქვს, არ ვიცი, ჩვენში იმას რა შეედრება. რა სამსახურს არ უწევს ის ადამიანს! რას არ აკეთებენ იქიდან ან იმის წყალობით! არყის ხე თუ მოუდგება გვერდით, თუმცა ვერც ის გაუწევს მთლიანად ტოლობას. ვინ მოსთვლის, რაში ან სად იყენებენ მას. ბამბუკისაგან აკეთებენ ღობეებს, ტყრუშულს, სახლის კედლებს, ნაგებს, აუარება ქურჭელს, სხვადასხვა წვრილმან საგნებს, ქოლგებს, მარაოებს, ხელჯოხებს თუ სხვას; ბამბუკი უწევთ წიკპლის მაგივრობასაც; ბოლოს მისი ნორჩი ყლორტებისაგან მურაბასაც ხარშავენ, ილის მურაბის მსგავსად.

გორაკზე რომ ავედით და კერპთსამლოცველოს წინ ფანჩატურში დავსხედით, უცბად ტევრიდან ერთი ლიკეელი გამოძვრა, მახლობელ სახლის ბაღჩაში ასკილის ორი ყვავილი მოწყვიტა, მერე ჩვენდამი პატივისცემის ნიშნად სულ მოიკრუნჩხა და თაყვანით მოგვართვა ყვავილები. ცხადია, ნაბრძანები ექნებოდა ჩვენთვის შორიდან ეთვალთვალა. შემდეგ სახლიდან ერთი თორმეტოდე წლის ბიჭიც შემოგვიერთდა. ორთავე ქუსლებზე დაგვიცუცქდნენ წინ და დაშტერებით დავვათვალეირეს ჯერ ჩვენ, მერე ჩვენი ტანსაცმელი თუ თან რაც გვქონდა. ლ[ოსევმა] უბის წიგნაკი ამოიღო, მე შიგ ბიჭი ჩაეხატე, ფურცელი ამოვხიე და მივაწოდე. რა ნახატი იყო! ჩემი ხატვის მასწავლებელს, რა თქმა უნდა, თავში არ მოუვიდოდა, თუ ჩემს ოსტატობას ლიკეის კუნძულზე ვაჩვენებდი. ბიჭი აღტაცებული დარჩა. მივეციით მათ სიგარები: კვესი, გარდა ამისა, უფროს ლიკეელს დოლარიც ვაჩუქე. უბიდან მან კაში (სპილენძის პატარა ჩინური ფული) ამოიღო და ხან იმას დახედავდა, ხან დოლარს. შევეცადე ამეხსნა მისთვის, რომ დოლარში ასეთი ხურდა ათას ოთხასამდე იქნებოდა. ჩინეთში თუ სხვაგან სხვა ფული არ იხმარება. ამერიკელებმა ესპანური დოლარები შემოიღეს ხმარებაში. ჩი-

ნეთში ჩვენ დოლარებზე ვყიდულობდით სანოვაგეს. ბიჭმა პატარა ჩაიდნით ჩაი მოგვიტანა, თუმცა არაფრის გემო არ ჰქონდა. ნახევარი საათი დავრჩით კენარი თურინჯგებისა და ტყეების ჯიშის სხვა ხეებით შემორაგულ ამ ფანჩატურში.

ბინდი ჩამოწვა, ჩვენ რომ შარავნაზე გამოვედით. აქ უ[ნკოვსკი] დაგვხვდა და დაგვიყოლია, მასთან ერთად წავსულიყავით ფრეგატზე ველბოტით, რომელიც ნაპაში ელოდა. „შორს არააო“, — გვითხრა. გზას მარცხნივ დავადექით, გადავიარეთ მეორე ხიდი, გადავჭერით ტყე, მინდორი და ბოლოს ქუჩებს გავყევით — გზის გათავებას საშველი აღარ დაადგა. ამ ყანებს რომ ჩაუვლით, სადაც არხებია გაყვანილი და ჩასადენებია გაკეთებული, ამ წესრიგსა და წესიერებას რომ იხილავთ, კუნძული სანიმუშო ფერმა ან შესანიშნავად მოწყობილი მამული გეგონებათ. ყანებსა თუ ზოგიერთ სახლებიდან სასუქის სურნელი შემოგეფრქვეოდა, როგორც ჩინეთში. სასუქს გოვზაკებში აგროვებენ. ის ნაირ-ნაირი სიბინძურისგან შედგება, მათ განსაკუთრებულ ადგილებში ახვავებენ, სადაც მერე ღებება. თესვის დროს კი ყანებს მოასხამენ ხოლმე, როგორც ჩინეთში ვნახე. ამბობენ, ჩვენს სასუქზე უკეთესიაო. „სარეველა ბალახი ნაკლებ ამოდისო“, — მითხრა ლ[ოსემა]. აგრონომიის დიდმა მცოდნემ.

მივდიოდით და მივდიოდით ამ სიბნელეში, დაწყევლილ ქუჩებს დასასრული აღარ უჩანდა: სულ ღობეები და ბაღები მისდევდა ერთმანეთს. უკან ის ლიკველი მოგვეყვებოდა, რომელმაც ყვავილები მოგვართვა. სადაც ტალახი იყო ან წვეტიან მარჯნებზე ფეხის დაბიჯება გამიჭირდებოდა, ხელს მომაშველებდა და წუმპეებზე შემომატარებდა. ეტყობა, სულ ზეპირად იცოდა, სად იყო ისინი. სამწუხაროდ, გზა აგვრეოდა და რომ ჩვენი გამყოლი არა, მთელი დამე უგზო-უკვლოდ ვიხეტიალებდით. ბოლოს მდინარესა და ველბოტს მივალწიეთ და როცა გაშლილ ზღვაში გავედით, შვებით მაშინდა ამოვისუნთქეთ.

აღმირალმა მოინდომა ნაპაკიანის გუბერნატორს ვიზიტით სწვეოდა, მაგრამ გუბერნატორს თავის სახლში მიღება არ შეეძლო და შემოთვალა, თუ ინებებთ, მთავრობის სახლში მიგიღებთო. მიზეზად ის მოიყვანა, რომ უცხოელებთან

წმირი შეხვედრები აკრძალული აქვთ. ამით აიხსნება ის ამბავი, ნაგასაკის გუბერნატორმაც თუ რატომ ისურვა ჩვენი მიღება მხოლოდ და მხოლოდ სახაზინო სახლში.

მაგრამ კმარა, მგონი, ლიკეის კუნძულები თუ ლიკეის კუნძულების ამბავი. კმარა ჩემთვისაც და თქვენთვისაც! თუ გასურთ უფრო დაწვრილებით გაეცნოთ ამ ადგილის სიგრძედს, განედს, ფართობს, კუნძულთა რაოდენობას, ნუ დაიზარებთ და რუკას დახედეთ, ხოლო მცხოვრებლების ზნე-ჩვეულებებზე, ნაწარმზე, ისტორიაზე ბიჩისა და გელჩერის ნაშრომებში წაიკითხეთ. ხომ გახსოვთ ჩვენი პირობა: წერილებს მარტო იმაზე მოგწერთ, რასაც ჩემი თვალით ვნახავ და რასაც განვიცდი.

დღეს ავხსენით ღუზა და ახლა უკვე წყნარი ოკეანის ტალღებში ვტორტმანებთ; მაგრამ აქ რომც დავრჩენილიყავით, არა მგონია, ნაპირზე გადასვლა მეფიქრა. მარტო ბუნება და პირუტყვეული, თუნდაც თავისებური ყოფა, ადამიანს არ დაამყოფილებს, მის გულისყურს ვერ შთანთქავს: სიცარიელე დიდი გრჩება. ახალი, შენებურთან სულ განსხვავებული რა? რომ ღრმად განიცადო, ამისათვისაც საჭიროა, იქვე გვერდით: შესაღარებლად, სხვა განვითარებული ყოფა-ცხოვრების პარალელი მისდევდეს.

მ ა ნ ი ლ ა

ლუ-ჩუდან მანილამდე

მანილის ყურე. — კორეხიდორის, ცხენისა და მონაზვნის კუნძულები. — რეიდზე შესასვლელი. — მდინარე პასიგი. — ქუჩები, ღუქნები, ოტელი. — ბინონდოს გარეუბანი და ძველი ქალაქი. — ტაგალები, ჩინელები, მეტისები და ესპანელები. — შიდაშოები. — მცენარეულობა. — პლანტაციები. — კალსადო. — ფრანგი მისიონერები. — კილისა და ანანასის ბოქვების ნახელავი. — სანტა-კრუსისა და მიგელის ტაძრები. — ჯარისკაცთა წვრთნა. — ქალები. — ხელიები ოჯახებში. — აბაზანები. — ვიზიტად ესპანელებთან. — თამბაქოს ფაბრიკა. — ფრანგი ეპისკოპოსი. — ესპანური მონასტერი. — სობორო. — მომლოცველები და მქადაგებელნი. — მამლაყინწათა ძიძგილობა. — ხეთა ჯიშები. — ბაგირის ფაბრიკა. — სიგარებით მომარაგება. — მანდილოსნები ფრეგატზე. — საიდან წარმოიშვა სიტყვები ლესონი და მანილა. — ბუნების სიმშვენიერე. — გეოგრაფიული, ისტორიული და სტატისტიკური შენიშვნები ფილიპინის კუნძულებზე.

9 თებერვალს დილაადრიან დავტოვეთ ნაპაკიანის რეიდი. პირქარის წყალობით დიდ ლუ-ჩუსა და ლიკეის სხვა პატარა კუნძულებს შუა მოგვიწია იკანკლურად სვლა. ამ პატარა კუნძულებიდან ერთი წყებისთვის მოგზაურებს ამა-კერიმა დაურქმევიათ. მისიონერ ბეტელგეიმის თქმით ამა-კერიმა ლიკეელების ენაზე, აგერ იქ, შორს, კერიმააო, ნიშნავს. რამდენ ამის მსგავს თარგმანსა და მოსაზრებას არ შეხვდები ამქვეყნად!

ტრანსპორტმა „თავად მენშიკოვმა“ და კორვეტმა „ოლი-

ვუცამ“ ბრძანება მიიღეს წინ წასულიყვნენ, შკუნა „ვოსტო-
კი“ კი იმ კუნძულის დასათვალისწინებლად და შეძლებისდაგვარად
აღსაწერად გაიგზავნა, რომელიც ლეიტენანტმა პანაფინ-
დინმა აღმოაჩინა 25°-ის განედზე. 10 რიცხვში მთელი დღე და
ღამე იკანკლურად გვატარა ქარმა და ორმოც მილზე მეტი არ
გავვივლია. სამაგიეროდ 11-ში, დილის 8 საათზე მეტისმეტად
ძლიერად დაჰბერა N 0-მა და რწევაც დაიწყო. მარსელებზე სა-
მი რიფი აკეცეს და ბრამსტენგები დაუშვეს. ფორდევინდი 11
კვანძის სიჩქარით მიგვაქროლებდა. არ მიყვარს ეს ფორდევინ-
დი, რომელსაც ფადევეი ფორდაკის ეძახის: კიჩოდან ქრის
ხოლმე და ქანდარებსა და იალქნებს ამიტომ პირდაპირ აყენე-
ბენ. ხომალდიც მარტო ხერხემალს ეყრდნობა და ხან მარჯვნივ,
ხან მარცხნივ ფერდდება.

11-ში, სალამოს ცხრა საათზე, ჩრდილოეთის ტროპიკი გა-
დავქვრით. ბინდდებოდა. ღამით თითს თვალში ვერ მიიტანდი;
ცა ღრუბლებს დაეფარა; ქარი ღმუოდა; ღამის ორ საათზე ბა-
შის კუნძულების ჯგუფში უნდა გაგვევლო, გასული წლის 9
და 10 ივლისს სწორედ იქ დაგვეძგერა გრიგალი. ამ სრუტეს,
სადაც უნდა გაგვევლო, სიგანე 19 მილამდე ექნებოდა, მაგრამ
სიბნელეში ძალაუნებურად ექვი გეპარება, ვაითუ რუკაზე შეც-
დომა იყოს, ვაითუ დინებამ სწორ მიმართულებას აგვაცდინა
და რასმე მიგვაჯახა. საბედნიეროდ, დილით მოწმენდილი დარი
დაგვიდგა და საშუალება მოგვეცა სწორი დაზვერვა მოგვეხდი-
ნა. დათქმულ საათზე ნაპირი დავინახეთ, თუმცა სიბნელე კი
იყო; მერე სრუტე მშვიდობით გადავქვრით და ახლა კვლავ ჩი-
ნეთის ზღვაში ვირწევით.

დღეს, 12-ში, დიდებული დარი დაგვიდგა. ლუ-ჩუსთან უკვე
ზღვა ლურჯად კამკამებდა, აქ, ტროპიკებში კი, ლაყვარდად გა-
დადის. მზე ხანდახან ისე აცხუნებს, კაცს არაქათს გაცლის,
როგორც ჩვენში იცის ავდრის წინ. თბილი ჰაერი ნაირ-ნაირი
სურნელითაა გაყენითილი; მზე ყველგან ატანს. გამოჩნდა
მფრინავი თევზები, ქაშაყებისოდენა, ბლომ-ბლომად დაფრი-
ნავენ, გუნდად თუ ცალ-ცალკე.

ღამით ცოტა ჩადგა ქარი; აღარ გვარწევდა და კარგადაც
გამოვიძინეთ. ცხრა კვანძის სიჩქარით მივდიოდით. თბილი, სა-
ამო ნიავი ქროდა, ნერვებს ცივი წყალივით გიმშვიდებდა. ნა-

სადილევს, ერთიც ვნახოთ, ძლიერმა ზურგქარმა დაჰბერა იმ ნაპირიდან, რომელიც მარცხნივ ჩანდა და რომელიც ლუსონის ნაპირი იყო. ლუსონი კარგა დიდი კუნძული ყოფილა; მის ჩრდილოეთ ბოლოდან მანილამდე სამას მილამდე იქნება, ხოლო მანილადან სამხრეთ კიდემდე, ვინ იცის, კიდევ რამდენი დაითვლება! ვისაც არ შეხედავ, ყველას ხელში მანილას აღწერა უქირავს, ყველა რაღაცას ნატრობს. ვინ ბუნების უფრო დიდებულ სურათების ნახვაზე ოცნებობს, ვის უცხო ხალხი, მათი ადათ-ჩვევები აინტერესებს, ვის ნიანგთან შეხვედრა იტაცებს, ვის კრეოლ ქალთან, ამას სიგარების იმედი აქვს, იმას ბალახის ტილოს საცვლების შეკვეთა სურს; ყველას სხვადასხვა ოცნება ხიბლავს. ზ[არონი] კ[რიდნერი] ყველა მოგზაურის წიგნებს სინჯავს და სწუხს, რომ შიგ ოტელებზე არაფერი წერია: ვაითუ მართლა არ დაგვხვდეს სასტუმროებიო!

ცა დიდებულ ვარსკვლავებს მოუკენქია, ზღვა ფოსფორულად ბრჭყვიანავს. პირველად სამხრეთის ჯვარს მოვკარი თვალი, თითქმის ზედ ცისკიდურზე ეკიდა. რა ხანია აღარ მენახა. აგერ ჩვენი დიდი რვილიც; მოშორებით ორიონი ციმციმებს. ასეთ მდიდრულ ნადიმს ყველგან ვერ ნახავ ცაზე: აქ მხოლოდ ორი ნახევარსფეროს დიდკაცობას მრუყრია თავი.

სალამოს ექვსზე უეცრივ ჩადგა ქარი. ახლა 11-12 კვანძის ნაცვლად 1 $\frac{1}{2}$ კვანძის სიჩქარით მივლოდავთ. რა უცნაური ადგილები ყოფილა აქ: ხან ქარიშხალი, წარმოიდგინეთ, გრიგალიც კი ამოიჭრება, ხან სიოც არსაით ქრის. თითქმის ყველა ზღვაოსანი დაბრკოლებულა ამ გზაზე. ერთ-ერთი ჩვენი მოგზაური ბაშიდან მანილამდე ცხრა დღე მოსდომებია გზას; თუმცა სულ რაღაც ოთხას ორმოცდაათი მილი იქნება. ჩვენ სამასი მილია დაგვრჩა. გვეგონა, ზეგ მივიდოდით, ახლა კი...

ალბათ სწვევიხართ რომელიმე ფერწერის მოტრფიალეს და მისი სურათების გალერეა დაგითვისაღიერებიათ: ზოგიერთ თავისი ძვირფასი სურათის წინაშე იმდენ ხანს გაუჩერებიახართ, სურათი კიდევ... მოგბეზრებიათ. სწორედ ამ დღეში ვართ ჩვენც შტილში მოხვედრილები, ამ გაუჩიებულ ზღვისა და ლურჯი ცის ცქერისას. მერედა რა ტურფა რამაა ეს საუცხოო, კამკამა, მტრედისფერი ცა, ზღვის ლაქვარდი, თვალუწვდენელი სივრცე, ნაპირიდან მონაბერი თბილი, ნოტიო სიო.

მაგრამ ვაი რომ ძალე გყირქდება ზღვის პოეზია, ტროპიკული ცა. კაშკაშა ვარსკვლავები: მოგენატრება პეტერბურგის ღამეები, როცა შუალამისას ცა თითქო დაბნელებას დააპირებს, მაგრამ უცბად ისევ ინათებს, თითქო სატირლად გამზადებული ბავშვი იყოს, რომელიც უცბად გახსნის წარბს, გაიცინებს და ისევ სათამაშოდ მირბის!..

შორს ზღვაში ჩვენებრ ტორტმანებს სამი ხომალდი, უქარობით ფრთებჩამოყრილი, ღრუბელივით ლურჯად ლივლივებს ლუსონის ნაპირიც. გემბანზე უსაქმობა გამეფებულა; არ ირხევა იალქნები; ამ თაკარა სიციხეში არც სამხედრო წვრთნის თავი აქვს ვისმე. დღეს კვირაა; წირვის შემდეგ ყველანი იუტზე ვიდექით და შორს გავიციქირებოდით. აგერ გვერდით ჩაგვიქროლა დელფინების ხროვამ: ჯერ მარტო ერთი მოცურავდა— ზემოთ მხოლოდ შავი წვეტიანი ფრთა უჩანდა. მალე უამრავი გამოჩნდა, ტალღიდან ტალღაზე მოგორავდნენ. ერთი დიდი ზვიგენიც დიდხანს აყოლებდა თვალს ფრეგატს. ორჯერ გადაუგდეს სატყუარიანი კაკვი; ორჯერ სტაცა ზვიგენმა პირი, ერთხელ კიდევ ამოათრიეს ზევით, მაგრამ კაკვი გატყდა. უქმად მყოფთ ეს წვრილმანებიც კი გვართობდა! ხვალ მთვარის მოვანებას ველით: ამბობენ, ამინდი შეიცვლება, ძლიერი ქარი ამოიჭრებაო. დღეს ყველიერი დაიწყოს; ყველას გული წყდება, რომ მანილაში კარნავალს ვერ ჩაუფსწრებთ.

16-ში, როგორც იქნა, მანილის ყურის შესასვლელს მივადექით. ის მსოფლიოში ყველაზე ვეებერთელა ყურეა. შესასვლელის შუაგულში კორეხიდორის პატარა კუნძული დევს, რომელზეც შუქურა დგას. მის მარცხნივ, კუნძულისა და ერთიმეორისაგან ოდნავ მოშორებით ცხენისა და მონაზვნის პიტალო კლდეები აყუდებულა; მარჯვნივ პატარ-პატარა ლოდები მისდევს ერთმანეთს. საღამოს ექვს საათზე იკანკლურად შევედით ყურეში. კორეხიდორის ნაპირს ნავი მოსწყდა და ჩვენ გამოგვდია, ალბათ, „ჯანმრთელობის ამბის“ შესატყობად. მაგრამ რას დაგვეწოლა! 9 კვანძის სიჩქარით მივდიოდით. გზაში ერთ უცნაურ, ჩინურსა თუ ინდურ ხომალდს გავასწარით და ათი საათისთვის მანილის რეიდზე ჩავუშვით ღუზა. ნაპირამდე ხუთიოდე ვერსი იქნებოდა.

რეიდს ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით მივალწიეთ. ქარი

ჩადგა. დალამდა. თქვენ არ იცით თბილი და უტყვი ტროპიკული ლამეების ამბავი, როცა არაფერი ანათებს და მაინც ჩახჩახებს ყველაფერი. არ ქრის სიო, არ ისმის ჩქამი. მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებენ. სამხრეთ ჯვარს, კონოპუსსა, ჩვენს რვილსა და ორიონს შუა ოქროს ღილივით ყვითლად კამკამებს იუპიტერი. ბრილიანტივით ბრჭყვიწიანს კონოპუსი, მისი ბრჭყვიწილი ნთქავს არგოს ხომალდის სხვა ვარსკვლავთა მკრთალ შუქს, ყველა ერთად კი ირმის ნახტომის უფსკრულში იძირება. რა დიდებული სურათია!.. მაგრამ, ჩუ! ზარი გუგუნებს! რა ხანია არ მსმენია ზარის რეკა. გუგუნის ხმა მთელ რვილს მოეფინა და მიწყდა. ქალაქის მოკიაფე შუქს გავცქეროდი: მათ ირგვლივ ყოველივე ბინდში შთანთქმულა. სულში ცნობისწადილის საამო გრძნობა აღმეძრა; მივიწყების ფერფლიდან წარმოდგენაში გამიცოცხლდა კათოლიკური სამხრეთის სურათები და სახეები. უცბად მომინდა ძველისძველი მონასტრის მონახულება, ჩაბნელებულ ტაძრებში შესვლა, ნანგრევებზე ხეტიალი, იქვე გვერდით მწკანეს რომ ამოუყრია ტანი, ოქროს ძონძებში გახვეულ სიღარიბის ხილვა, ზანტი ესპანელის, ტურფა ესპანელი დიაცის ჭკერტა — ერთი სიტყვით, მომენატრა იმ გრძნობის და სილამაზის განცდა, რამაც ჯერ დამალა და რასაც ახლა უკვე გადაჩვეული ვიყავ.

მაგრამ როგორც ამერიკელი ვილკსი და ფრანგი მალია (Mallat) ამბობენ და წერენ, აქ ოტელები არ უნდა იყოს, უცხოელები 11-საათის შემდეგ ქალაქს სტოვებენ, რომელიც დამლობით იკეტება, გასაჩერებელ ადგილს ვერსად ნახავ, სამაგიეროდ აქაურები თურმე ძალზე სტუმართმოყვარენი არიან და ყოველი სახლის კარი ჩვენთვის ღიაა. ეს ამბავი ცოტა არ იყოს საგონებელში გაგდებს: სად გაჩერდე, რომ არავინ შეაწუხო და არავინ დაიჯალო? ან მოგზაურისთვის მოსახერხებელი პირობები თუ გააჩნიათ?

დავიღალე. ნახვამდის: ვინძლო ხვალ ვნახო და შევიტყო, რას წარმოადგენს ერთი მანილა. ლუ-ჩუდან ათას ექვსასი ვერსი გამოვიარეთ 9-დან 16-თებერვლამდე... მანილა! აგერ, იმასაც მივალწიეთ. მერე რა მიულწეველი მოჩანს იგი პეტერბურგიდან! თუმცა პეტერბურგიც აქედან ზუსტად ისევე მიულწეველი გეჩვენება — არც მეტი და არც ნაკლები. ნახვამდის. მანილაში რასაც ვნახავ, ყველაფერს გამცნობთ.

16 თებერვალს, როგორც კი ავდექით, დილითვე გამოვედი იუტზე მანილას სანახადად. „აბა, სად არის-მეთქი?“ — ვფიქრობდი გულში და აქეთ-იქით ვიხედებოდი: ირგვლივ არაფერი ჩანდა! მაშინდელივით ახლაც ზღვაში ვართ; შორს ლურჯად ციმციმებდა ნაპირები; ამას ყოველდღე ვუმზერდით ლუსონის ნაპირ-ნაპირ მომავალნი. „მანილა სადაა-მეთქი?“ — ვკითხულობ. „აგერ, აგერ იქ,“ — მეუბნება პაპა და თითო სივრცეში მაჩვენებს. „იქით არ იყურებით; აი, აქეთ გაიხედეთო“, — უმატებს ის და მატრიალებს. ნაპირის ოდნავ შესამჩნევი არშია დავლანდე: ზედ რაღაც ქათქათებს თეთრად. სახლები თუ ტაძრები უნდა იყოს; უკან; კარგა შორს, მთები მოჩანს. „ეგაა მანილა-მეთქი?“ — „ჰო; აგერ ის კი კავიტაო“, — მეუბნება პაპა, ახლა მარჯვნივ მაბრუნებს და მანილასთან თითქმის ზურგით მაყენებს. მაგრამ იქ უკვე ვერაფერს ვხედავ: არც სახლები ჩანს და არც ეკლესიები. ნაპირის ზოლი სიზმარში ნახულივით ლივლივებს, ხოლო ამ ზოლსა და ჩვენს ფრეგატს შუა მეთევზის ნავის იალქანი კრთის. ჩვენს შორიახლოს ფრანგული სამხედრო გემი „Colbert“-ი და რამდენიმე სავაჭრო ხომალდი დგას. „მანილა მაინც არა ჩანს-მეთქი!“ — ვიძახი მე. „აბა რა გამოაჩენს! — სიტყვას მართმევს პაპა, — მისგან ორნახევარ მილზე ვიქნებით“. — „განა უფრო ახლოს ვერ დავდგებოდით?“ — ვეკითხები მე. „ჩვენი ფრეგატი... რას ამბობთ! იქ სიღრმე ექვსი, ხუთი საყენი იქნება. სავაჭრო ხომალდებს რა უჭირთ — მდინარეშიც შეუძლიათ შესვლა“.

„ნაპირზე ვის სურს გადასვლა! — გამოაცხადეს ორ საათზე, — ახლა ნავი მიდისო“. ექვსი კაცი ჩავსხედით კატარღაში, ყველას თეთრები გვეცვა — ამ მზეში სხვანაირად ვერც გამოპყოფთ თავს, და წავედით. ტილოს ტენტს შევეფარეთ; მაგრამ სიცხემ მაინც შეგვიხუთა სული. შემთხვევით თუ ხელი, ფეხი ან მხარი გაჰყავი — იმ წუთში დაგებრუქება. ცისფერი წყალი სულ არ ირხევა, ხომალდებს, რომლებსაც გვერდით ჩავუარეთ, თითქოს ეძინათ: იქ არაფერი მოძრაობდა; გემბანებზე არავინ ჰქანებდა. უზარმაზარ ყურეზე მძინარე ბუზებივით მხოლოდ აქა-იქ დახოხავდნენ ნავები.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით, უფრო ნათლად იხატებოდა ნაპირი: აგერ რუხი, გრძელი კედელი გამოჩნდა, იმის იქით სამრეკლოები, მერე ერთმანეთზე მიჯრილი სახლები. მდინარის შესასვლელიც გადაგვეხსნა წინ, მდინარე ქვის სანაპიროებში ჩამჯდარიყო. მარჯვენა ნაპირზე, ზედ შესართავთან, შუქურას მაღალი კოშკი იდგა.

მდინარე პასიგი მშვენიერ, სწრაფ მდინარეს წარმოადგენს; ზედ დიდი მიმოსვლაა გაჩაღებული. ნაპირებთან ორ-სამ წყებად დგანან ხომალდები, ჯონკები, ნაეები, ძლივს გავალწიეთ მათ შორის, შიგ და შიგ ნიჩბებსაც ველარ ვანძრევდით და ქიმებზე ვაწყობდით. ხომალდებზე დიდი ფაციფუცია: ზოგს ტვირთავენ, ზოგს ცლიან. მაშინვე ეტყობა დიდი ნავსადგური რომაა. ზოგიერთი ხომალდი თითქმის გვერდზე გადაწოლილა, ზედ შეკეთება წარმოებს. ყველგან ტიტლიკანა, მოწითალო-მოშავო კანის ხალხი მუშაობს: ყველანი ინდოელები არიან. მარცხენა ნაპირზე ციხე-სიმაგრე დგას. „აგერ, მანილაყო. — გვითხრა ბ[არონმა] კ[რიდნერმა] და ციხე-სიმაგრეზე მიგვითითა. ის უკვე სწვეოდა გუბერნატორს, — ეს ესპანური უბანია; მთავრობა აქ არის“. „ის რაღაა?“ — ვკითხეთ ჩვენ და მოპირდაპირე ნაპირზე მივუთითეთ. „ეგ ბინონდოს გარეუბანია: ვაქრობა აქ წარმოებს, უცხოელებიც აქ არიან“. ჯერჯერობით მხოლოდ ეს შევიტყვე.

„სად მივადგეთ ნეტავ?“ „ერთი ნავმისადგომი აგერაა; აი, იქ მოშორებით ხილთან მეორე უნდა იყოს“. — „მაშ, რომელიც ახლოსაა, იმას მივადგეთ!“ — თქვა ერთმა. „იქ რატომ? უფრო შორს წავიდეთ“, — შეეპასუხა მეორე. — „აქაც კარგი იქნება“. შეიქნა ერთი დავა; უმრავლესობამ დაუყოვნებლივ მიდგომა იჩინა, მაგრამ ამ დროს დინებამ მარჩხობზე გავვართია, შლამში უქმად დაგდებულ ლუზისკენ. „საქე მარცხნივ გადაიტანე, საქე მარცხნივ!“ — იძახდა ერთი. — „მარჯვნივ გაუხვიე... — ბრძანებას იძლეოდა მეორე, — აი, ასე! ახლა მივადგით!“ — „არა, არა, აგერ იმ ნავმისადგომზე წავიდეთ!“ — გადაწყვიტა უმრავლესობამ და ჩვენც იქით გავეწიეთ. როგორც შემდეგში დავრწმუნდით, აქ კი გვიჯობდა თურმე გადმოსვლა.

ისევ მდინარეს დავეყვით. ერთ ნაპირს ბინძური პაკვაუზების, სახლების, გრძელი ღობეების რიგი მიჰყვებოდა; მწვანეს

ვერსად დაინახავდი; ქვის ყორეებიდან შიგადაშიგ ბანანების ორ-სამ ფოთოლს თუ მოჰკრავდი თვალს, მზისკენ გამოწვდილს. მარჯვნივ, ციხე-სიმაგრესთან პატარა ბალახი ამოყრილა; იქ ბავშვები ყრიაშულობდნენ. ჩრდილში კამეჩები გაწოლილან. უზარმაზარი რქები მსრებზე გადაუწყვიათ. ზოგან კისრამდე წყალში ჩამდგარან. გალავნის კედელზე გუშაგები დადიან, წითელფოჩიანი დიდი ეპოლეტები უკეთიათ, ულანის კივერები ჰხურავთ, მაუდის მუნდირები აცვიათ, აშურმებიანი. „ციხე კარგად ჰქონიათ გამაგრებულო“, — იძახდნენ ჩვენები, არტილერიასა და სქელ კედლებს რომ ათვალეერებდნენ.

აი, გამოჩნდა ხიდიც. ძლივს გავძვერით ხომალდებსა და ნაევებში, ნავმისადგომის ქვის კიბეს მივადექით და ქუჩაზე გავედით. ოჰ, რა სიციხეა! ცხელმა ჰაერმა ლამის სული შეგვიხუთა: თითქო თონეში ამოგვეყო თავი. „ესაა მანილაო?“ — იძახდა ერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამგზავრი, რომელსაც მანილა ყვავილების ქვეყნად წარმოედგინა. — აბა სადაა დიდებული სანახაობა, პოეზია?... ოჰ, რა მყარალი სუნი მოდის“. — უცბად დააყოლა მან. მართლაც რომ ჰყარდა იქაურობა. გავედით ერთ ქუჩაზე, სადაც დუქანი დუქანს მიჰყვებოდა, და სიმყარლის მიზეზსაც მივხვდით: დუქნებიდან ჩინელების ლურჯი, ხოტორა თავები და მზაკვარი სახეები იჭყიტებოდა. რაღა ებრაელები და რაღა ეგენი აზიაში: სად გინდა ამათ არ შეხვდე? და სადაც არ შეხვდები, ყველგან ნიერის, სანდალოზის ხისა და ზეთის სუნს აფრქვევენ. თუმცა სინგაპურსა და ჰონ-კონგთან შედარებით ისინი აქ უფრო სუფთები ჩანან. დუქნებიც უფრო მოვლილი აქვთ და ჩვენებურ ქარვასლებს მოგაგონებთ, ოღონდაც ზემოთ გაწყობილ საცხოვრებლებით. მქედლებსა და ღურგლებს აქ ნაკლებ შეხვდები; არც ქუჩაში იხრაკება და ცხვება საქმელი. მაგრამ ტიტლიკანებს კი ბლომად შეეყრები. ეს თეთრი, დონდლო სხეულები სწორედ რომ უსიამოდ გხვდება თვალში, თითქო გასაყიდი საქონელი იყოს ცხვრის ხორცის ნაჭერსა და შაშხს შუა გამოდებული.

დავაპირეთ ვისმესთვის გვეკითხა ფრანგული ოტელის ამბავი, რომელზეც დილით გვითხრეს. გვინდოდა გაგვეგო, შეიძლებოდა თუ არა იქ დაბინავება, ეკიპაჟის დაქირავება თუ სხვა. მაგრამ ქუჩაში კაციშვილი არ ჰაჰანებდა; იშვიათად თუ გაირ-

ბენდა საპალნეაკიდებული ინდოელი ან ჩინელი და მერე ისევ ცარიელდებოდა. მარტო ძაღლები და ღორები გაშოტილიყვნენ აქა-იქ ლობეების ჩრდილში. ვკითხეთ ჩინელებს, ვკითხეთ ინდოელებსაც ინგლისურად და ფრანგულად: „სად არის აქ ოტელიო?“ შემხვედურები ან ლენჩებივით შემოგვაშტერდებოდნენ, ან კითხვითვე გვიპასუხებდნენ: „Signor?“ მაშინ შევეცადეთ ესპანური წინადადება შეგვეკოწიწებინა, თუმცა ესპანურის ინჩიბინჩი არავის გაგვეგებოდა. საკმაოდ ხანგრძლივი კონფერენციის შემდეგ ძლივს შევადგინეთ ხუთი სიტყვა, რაიც გულისხმობდა: „ფრანგული ოტელიო სად არისო?“ ამ წინადადებით მივმართეთ ერთი ყაზარმასავით გრძელი, ყვითელი სახლის ჩრდილში უქმად ატუზულ ჯარისკაცს. მეორე ჯარისკაცი გუშაგად იდგა. პირველმა შემოგვხედა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ჩინელთა რიგებში წაგვიყვანა. დუქნებიდან ხან საპნის, ხან სახარაზო საქონლის, ხან ცხარე სანელებლის, ჩაისა თუ სხვათა სუნი გვეფრქვეოდა. ბოლოს ჯარისკაცმა ერთ ეზოში შეგვიყვანა, სადაც აუარება ეტლები და ცხენები იდგა. ცხენების წმენდით გართულმა მეეტლეებმა კითხვის თვალით შემოგვხედეს, ჩვენ იმათ შევაცქერდით, მერე ყველა ერთად ჯარისკაცს შევაშტერდით. „ნეტავ რა ვუთხარით ამას?“ — იკითხა ერთმა ჩვენგანმა, ქუჩაში გამეფებული სიციხით და სიმყრალით გულგადალულმა. „ეტყობა, კარგი რაღაც გვითქვამს, თავლაში რომ მოგვიყვანა!“ — „ესპანურად მაინც რაღაც გამოგვესვლია, აბა აქ რატომ მოგვალავდა!“ — დაუმატა სანუგეშოდ ვილაცამ. „ფრანჩესკა, ფრანჩესკაო“, — გაუუმეორეთ ჩვენ ჯარისკაცს. ერთ-ერთმა მეეტლემაც რაღაც ჩაულაპარაკა. ჰოდა, ისევ დუქნების რიგზე გამოგვატარა და მშვენიერ ქუჩაზე გამოგვიყვანა. ვზა და ვზა უკეთესი და უკეთესი დუქნები გვხვდებოდა. ბოლოს ჩვენი მეგზური ერთი კარის წინ გაჩერდა და გვანიშნა, აქ შედითო.

შევედით და ევროპულ მაღაზიაში აღმოვჩნდით. მაგრამ იქ ისეთი ეკლექტიზმი სუფევდა, ერთბაშად ვერ იტყოდით, ამის პატრონი რითი ვაჭრობდა. იქ იდგა ორი-სამი სამაგიდო საათი, ხელთათმანების კოლოფი, რამდენიმე ღვინის ყუთი, ფორტეპიანო, ეყარა ქსოვილები, ეკიდა ოქროს ძეწკვები, ერთმანეთს ჩახუტებოდნენ უამრავი ეტაჟერები, ლამაზი მაგიდები, კარაღე-

ბი და დღენებო, ფანჯრებზე ლარნაკები ეწყო, მაგიდაზე რაღაც მანქანა, მერე ქალღმერთი, სუნამოები. გულდაგულ დავათვალიერეთ ყოველივე, ვინაიდან მალაზიაში არავინ იყო და არც არავინ გამოგვევება. ხუთიოდე წუთის შემდეგ ასალგაზრდა, მაღალი, ქერა, ძალზე ლამაზი ფრანგი გამოვიდა, ჩვეულებისამებრ გემოვნებით ჩაცმული, და ჩვენს დანახვაზე სახტად დარჩა. მას ხნიერი, დაბალი, მეტად ულამაზო ფრანგი ქალი შემოჰყვა, კიდევ უფრო მეტი გემოვნებით მორთული. ქალმაც გაკვირვებით შემოგვხედა. ჩვენ და დუქნის პატრონები ერთად ავლაპარაკდით. შევჩვილეთ, რომ ცხელოდა, რომ ქუჩებში არავინ ქაჭანებდა, რომ ესპანურს გარდა სხვა ენა არავის ესმის, რომ ოტელი ვერა და ვერ აღმოვაჩინეთ. ისინიც თავის მხრივ გვამშვიდებდნენ, რომ ახლა სიესტას ხანია, ყველას სძინავს, ამიტომ ქუჩაში მდობიო ხალხის გარდა, არავინ დადის, მდობიო ხალხს კი ფრანგულისა და ინგლისურის არა გაეგება რა, სამაგიეროდ ესპანურად, ჩინურად და პორტუგალურად ლაპარაკობს, რომ სიესტამდე და სიესტას შემდეგ ქუჩაში მდობიო ხალხის გარდა მაინც არავინ ჩნდება, არამდობიონი ეტლებით დასეირნობენ და ისინიც მხოლოდ ესპანურად ლაპარაკობენო. „ოტელიო, — უკანასკნელი ნუგეშიც მოგვეცეს, — მართლაც არის: ფრანგ დემიენს აქვს გახსნილი, ძალიან კარგი კაცია, ოღონდ მეტი სმეტად შორსააო. აგერ, თუ გნებავთ, კული მგაცვილებთ, გასამრჯელოდ ერთი რეალი ან ცოტა მეტი მიეცითო“.

ფრანგმა ქალმა ამ პრაქტიკულ ცნობებს ისიც დაუროთო, რომ მანილაში მხოლოდ ექვსიოდე ფრანგი ცხოვრობს, რომ ამერიკელი და ინგლისელი ნეგოციანტებიც ცოტანი არიან, დანარჩენები სულ ესპანელებიაო. რომ იმათ თავიანთი წუთისოფელი ჭამასა და ძილში მიუდით, რომ თვითონ კათოლიკეა, მაგრამ სხვა რელიგიებსაც დათმენით უცქერს, ასე გასინჯეთ, ლუთერიანულსაც, რომ გულით და სულით სწადია ესპანური მონასტრების ნახვა, მაგრამ იქ ქალებს არ უშვებენ, — და ამ სიტყვებს გულის სიღრმიდან ოხვრაც ამოაყოლა. „მანილაში ბერი ბევრია-მეთქი?“ — ვკითხე მე. „On ne voit que ça, m-r !“, — მიპასუხა ქალმა. დამშვიდობებისას პატრონებმა გვთხოვეს, თუ

1 მარტო იმათ ნახავთ, ბატონო (ფრანგ.)

კი ავეჯი რამ დაგკირდებათ, პატივი დაგვდეთ და გვეწვი-
ეთო.

ინდოელის მეთაურობით, თუმცა ფადევეი მათ ბოშებად
ნათლავს, კვლავ ქუჩა-ქუჩა გავეშურეთ. ჩვენ გამყოლს ლერჯ
შარვალზე გადმოშვებული თეთრი პერანგი ეცვა, ჭილის ქუდი
ეხურა და ფეხშიშველა მოტანტალებდა. გავყვეით ქუჩებს და
შეძლებისდაგვარად ზურგს ვუქცევდით უამრავ ღუქნებს, სა-
დაც მეტისმეტად იგრძნობოდა ჩინელთა არსებობა.

ვიდრე ღუქნების ქვის თალებში მივდიოდით, კიდევ რა გვი-
შავდა. მაგრამ აგერ მოთავდა ღუქნები; დაიწყო მეორე ქუჩა,
გზაჯვარედინები, მოედნები; მზის გულზე გადავიდიოდით ქუ-
ჩიდან ქუჩაზე. ასე გასინჯეთ, ქოლგაც ვერას გეშველოდა, წა-
ლებში ფეხები გვიხურდა. აგერ ის ბიდიც, რომელსაც მოვადე-
ქით: იმის იქით დიდი ეკლესია გამოჩნდა: წინ, ახალ ქუჩაზე,
კვლავ ღუქნების რიგი წაეწყო, მაგრამ ისინი კიდევ უფრო
უხეირო გამოდგა. ქუჩებში კვლავ ინდოელები და ჩინელები,
შიგ და შიგ მეტისებიც გვხვდებოდნენ. დავინახეთ ერთი მეტი-
სი ქალი, რომელსაც ებანავა, სველი თმა ზურგზე გადმოეშალა
და მზისთვის მიეფიცებინა გასაშრობად.

მეტისები მანილის ნიადაგზე სხვადასხვა ადგილებიდან გად-
მორგულ ყვავილებს, ანუ ჩინელების, ესპანელებისა თუ სხვა
მოდგმათა ნაჯვარევეს წარმოადგენენ ინდოელებთან. ესპანელი
მეტისები თავს იღებენ, რა არის ყველგან ესპანელებად გაასა-
ღონ თავი, თუმცა შეუძლებელს კი ეტანებიან: მეტისმეტად
შავგვრემანი სახე, მეტისმეტად შავი თმა ყოველ ნაბიჯზე ააშ-
კარავენ მათ არა წმინდა ესპანურ სისხლს. თვითონაც ესმით
ეს ამბავი და მორჩილად ეგუებიან ამას. მათ ქალებს თავისებუ-
რი სამოსიც დაუჩემებიათ: ღიაფერის ზოლებიანი თუ ჭრელ-
ჭრელი ქვედატანი აცვიათ, თავზე თეთრი მანტილია მოუსხამთ.
Pur sang¹ ესპანელ მანდილოსნებს მხოლოდ და მხოლოდ შა-
ვი მოსასხამები ჰხურავთ. ესპანელებს იმდენად მოაქვთ თავი
თავიანთ ნახევარკუნძულზე დაბადებისა და აღზრდის პრივი-
ლეგიით, რომ აქ დაბადებულნი, თუნდაც მშობლები ესპანელე-
ბი ჰყავდეთ, ევროპელ ესპანელებთან შედარებით აქაურ საზო-

¹ წმინდა სისხლის (ფრანგ.)

გადოებაში რამდენიმე პროცენტით დაბლა ფასდებიან. ერთი ყმაწვილი ესპანელი ქალი... თუმცა კი ეს ამბავი უფრო მოგვიანებით შევიტყვე, ამიტომ აღარც დავეშურები თქმას და როცა მისი რიგი მოვა, მაშინლა გვიამბობთ, თუკი... თუკი არ დამავიწყდა.

ქუჩები, სახლები, დუქნები — ყოველივე ეს პროვინციულურს წარმოადგენს და როგორც ახლა ვხედავ, ამქვეყნად ყველა პროვინციულ ქალაქს მიაგავს, მათ რიცხვში ჩვენსასაც: ისეთი-ოოი არძიო ლობიებს, გრძელ შესახვევებს დაინახავ, სადაც სახლები არა დგას და სადაც ისევე მოსდებია ბალახი ყველაფერს, ისეთივე სიცარიელე სუფევს, ისეთივე ეკლექტიზმი მეფობს ვაჭრობაში და ისეთივე უსიცოცხლობა შეიმჩნევა ყველგან.

ჩვენი წინამძღოლი ერთ შესახვევთან შეჩერდა, დაგვიცადა, როდის დავეწეოდით და ორლობეს გაჰყვა, საიდანაც მზეზე დახრუკული ბანანები იჭვრიტებოდა. ამ შესახვევში სახლებს სულ ვერ დაინახავდი, სამაგიეროდ ბალახი უფრო ამობიბინებულყო და ჩრდილშიც სხვა ქუჩებთან შედარებით უფრო მეტი ღორი და ძაღლი გამოტილიყო. ბოლოს სახლიც დავინახეთ, ერთი უფრო მოშორებით, გადასახვევში იდგა, კიდევ მეორეც მოჩანდა იქვე — ეს იყო და ეს. „ნეტავ როდის გათავდება ეს გზა-თქო?“ — ვიძახდით სიცხისგან არაქათგამოღეულები. ტაგალი პირველი სახლის საკმარად ბინძურ ალაყაფთან შეჩერდა. „Fonda-ო!“ — გვითხრა და ეზოზე გვანიშნა ხელით. ჩვენ უნდობლად შევიკვირეთ შიგ და რა გგონიათ: კვლავ ეტლები და ცხენები დავინახეთ. „ეს რას ნიშნავს: მასხრად ხომ არ გვიგდებს ნეტავ?“ — ავბუზღუნდით ყველანი. ტაგალი კი ჯიუტად გაიძახოდა: „Fonda, fonda-ო!“ — „მერე რა რომ fonda-ა, ჩვენ ოტელში წავიყვანე!“ — ავყვირდით ვინ ფრანგულად, ვინ ინგლისურად. საბედნიეროდ, ვილაც ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და ინგლისურად აგვიხსნა, რომ ეს ფუნდა ანუ ოტელი არისო. „ცხენებსა და ეტლებს აქ რაღა უნდა?“ — გულმოსულებმა ვიკითხეთ. „ფონდას პატრონს ეკიპაჟებიც ჰყავსო“, — გვიპასუხა მან.

მაშინ ყველა დავმშვიდდით, ეტლებით და ცხენებით გატენილი ეზო გადავირბინეთ, კიბეზე ავედით და უზარმაზარ სასა-

დილო დარბაზის დალოცვილ ჩრდილს შევაფარეთ თავი. აქედან ყოველმხრივ ღია გალერეა მიემართებოდა სხვა ოთახებში; შემდეგ ტალანები მისდევდა. რა ბედნიერება იყო! მზე აღარ გვაცხუნებდა: ყველგან ორპირი ნიავი უბერავდა, სამწუხაროდ, ის ნიავი ყოველთვის როდი გიბერავს შენს ნებაზე. ჩრდილოეთში ჩავვძახიან, ორპირ ქარს მოერიდეთო, აქ კი სანატრელად გიხდება. ოტელმა სინგაპური მოგვაგონა: ისეთივე გრძელი დარბაზები, გრძელი მაგიდა და ჭერზე მიმაგრებული მარაო დაგვიხვდა. ყველგან გასაწევ-გამოსაწევი ჩარჩოები გაეკეთებინათ მთელი ფანჯრის სიგრძეზე. ჰქონიათ აივანიც, უბრალოდ რომ ვთქვათ ფარდულების სახურავი შემოუღობავთ ხომალდის ქიმბივით, უფრო სწორად... აივანივით.

ცნობისმოყვარეობით შემოგვეყურებდნენ ინდოელ მსახურთა ჯგრო, სადაც მეტწილად ბიჭები მოჩანდნენ. თუმცა ტაგალები საერთოდ ტანმორჩილები არიან და შესახედაობაც პატარა აქვთ. ლიმონათი რომ მოვითხოვეთ, მსახურების მთელი ჯგრო ისეთი ყოფით გავარდა გარეთ, რომ დარბაზში იატაკმა, მაგიდებმა და სკამებმა ზანზარი დაიწყეს. მაშინდა შევამჩნიე, რომ იატაკი და ჭერი სახელდახელოდ ჰქონდათ ნაგები. იატაკის ქუჭრუტანებიდან მშვენიერად მოჩანდა, რა ხდებოდა ეზოში; ქვევიდან ყოველი სიტყვა ისმოდა ოთახში და პირიქით. ისიც შევამჩნიე, რომ ჩარჩოებში შუშის მაგივრად რაღაც სხვა იყო ჩადგმული. ერთმა თქვა: „ქარსიაო!“ — მეორემ გადაწყვიტა: „არა, თუნუქია, სიმაგრეზე განა არ ეტყობაო!“.

ამასობაში მსახურები ისეთივე თქარათქურით შემოჰქენდნენ, როგორც გავარდნენ, და რამდენიმე ბოთლი ლიმონათი შემოგვიტანეს. ლიმონათს გამგელებით დავეწაფეთ. მხოლოდ ამის მერე ვიკითხეთ, სად იყო სასტუმროს პატრონი და მისი ნახვა თუ შეიძლებოდა. მსახურები კვლავ ისეთივე ბრაგაბრუგით გაცვივდნენ უკან. სასტუმროს პატრონი, m-r Demien, ოცდათხუთმეტამდე წლის კაცი გამოდგა, მეტად სასიამო შეხედულების და სათნო იერის. თეთრი ქურთუკი ეცვა და ჭილის ქუდი ეხურა. ზრდილობიანი კაცი რომ იყო, ზედვე ეტყობოდა, ოღონდ ზედმეტი ცმუტიაობის გარეშე. თავი უბრალოდ ეჭირა, თუმცა ღირსებას არ კარგავდა. არც ყბედლობა და ტრაბახი სჩვეოდა, რაც ფრანგებს ნაკლებ ახასიათებთ. გამოგვიცხადა, რომ

ოთახს დღე-ღამეში ერთ ნახევარ პიასტრად აქირავენს, საუზმე, სადილი და ვახშამიც ამაში შედისო, რომ ეკიპაჟებიც ჰყავს; ორცხენიანი ეტლი მთელი დღით ორ ნახევარი პიასტრი ღირს, ნახევარი დღით პიასტრი და ერთი ჩარეჟიო. რომ საუზმე ათ საათზეა, სადილი ოთხზე, ჩაი და ვახშამი რვა საათზეო. „თუმცა, ჩემთან, როცა მოგესურვებათ, მაშინ გაგიშლიან სუფრას, comme chez tous les mauvais gargotiers“¹, — დაუმატა მან. „Excellent, m-r Demien“², — უთხრა გულაჩუყებულმა ბ[არონმა] ქრიდნერმა].

„ერთი ეს გვითხარით, გეთაყვა, — დავუწყეთ მასპინძელს გამოკითხვა, — ქალაქი როგორ დავათვალიეროთ?“ „თქვენ რა გნებავთ ნახოთ?“ — „უპირველეს ყოვლისა, ესპანური ქალაქი, მერე ღირსშესანიშნაობანი!“ — „ეგ შეიძლება“. — „ტაძრები, მაგალითად?“ — „ეგეც შეიძლება“. — „მაშ უბრძანეთ ერთი, ცხენები შეაბან და ბარემ წავალთ...“ — „ტაძრებს ვერ ნახავთ ახლა, დაკეტილი იქნება,“ — გვითხრა დემიენმა. „წირვა როდისაა?“ — „დილის რვა საათამდე, მერე ცხელა“. „მაშ სიგარების ფაბრიკაში წავალთ“, — „არა, იქ დილის თერთმეტამდე უშვებენ მხოლოდ, ნაშუადღევს ყველა დასასვენებლად მიდიშოდის. ცხელა. გუბერნატორის ნებართვა თუ გაქვთ?“ — „ნებართვა?“ — „ჰო“. — „არა გვაქვს“. — „თუმცა არა უშავს, ქალაქში ნაცნობი თუ ვინმე გყავთ და ის დირექტორს იცნობს, გაგატარებენ“.

ამ მოულოდნელმა დაბრკოლებებმა სწორედ საგონებელში ჩაგვაგდო. „კიდევ კუნძულის დათვალიერება გვინდა: წმ. მატეოს მღვიმის და ტბების ნახვა... ცხენებს ხომ გვიშოვით?“ — შევეკითხეთ შემდეგ. „კი ბატონო, რამდენიც გენებოთ, ოღონდ აქაური უფროსობა უცხოელებს მაინცდამაინც დიდი სიხარულით არ უშვებს იქ... თუმცა გუბერნატორმა თქვენ იქნებ ნება დაგართოთ, რაკი იშვიათი სტუმრები ბრძანდებით“. „ნეტავ რითი სჯობია აქაურობა იაპონიას? — წარმოვთქვი ნაწყენმა, — სხვა რა გზაა, უთხარით, ეტლი შემობან, ქალაქში მაინც გავისეირნებ და თან სიგარებსაც ვიყიდი...“ დავაყოლე მერე. „ახლა

¹ როგორც ყველა უხეირო ღუქანშიო (ფრანგ.)

² ჩინებულიაო, ბატონო დემიენ (ფრანგ.)

ეტლს ვერ მოგცემთ...“ — „ხომ არ ხუმრობთ ,ბ-ო დემიენ?“ — „სულაც არა: აქ მხოლოდ ადრე დილიდან ნაშუადღევამდე შეიძლება სიარული; მერე ხუთი საათიდან საღამოს თერთმეტ საათამდე; თორემ ცხენებს ხომ სიქა გაეცალათ“. — „სიგარების მალაზია სადა დგას? გვაჩვენეთ, ფეხით წავალთ“. — „არის ერთი სახელმწიფო მალაზია, მაგრამ იქ ყოველთვის არ იშოვება სიგარები... ფაბრიკაში ჯობდა გეშოვნათ...“ — „პირდაპირ რაღაც უბედურებაა! ფაბრიკაში მოხვედრა ალბათ ძნელია, არა?“ — „ძნელია.“ — „მაშ სიგარებს სად შოულობენ? ქუჩაში ყველა ეწეოდა“. — „კერძო ღუქნებში კი არის, მაგრამ უხეიროა“. — „თქვენ ხომ არ გაქვთ?“ — „არა, აქ ყველა იმარაგებს საკუთრივ“.

ჩვენ მხრები ავიჩეჩეთ. დემიენს კი ჩვენი მდგომარეობა, ეტყობა, დიდ ნეტარებას ანიჭებდა და ელიმებოდა. „ის მაინც გვიჩივთ, ახლა რა ვქნათ?“ — „რაღა აქ დაისვენეთ, ჯერ სამი საათია, ოთხზე სადილს გაშლიან: თუ გნებავთ, ისადილეთ, მერე კი თქვენი გულისთვის უფრო ადრე შევებმევიანებ ეტლს და სასეირნოდ წაბრძანდით. სიგარების საყიდლად კი ახლავე გავგზავნი კაცს“. — „უკვე ნასადილევი ვართ“, — ვუპასუხეთ ჩვენ. „ნასაუზმევი, — სასწრაფოდ შეგვისწორა ბ[არონმა]. — რა მოხდა ვითომ, რომ ვისადილოთ? განა აქაური ადათ-ჩვევები არ უნდა შევისწავლოთ...“ — „შუშის ნაცვლად რა ჩაგისვამთ ფანჯრებში?“ — ვკითხე მასპინძელს. „სადაფის ნიჟარები“. — „ვითომ რატომ?“ — „ოთახში სინათლეს ნაკლებ ატარებს და სიცხესაც იჭერს. თანაც ისეთი მიწისძვრებია, შუშა ვერც გაუძლებს“, — დასძინა ბოლოს.

დავჯექით ორპირ ქარზე, ფანჯარასთან და შემოღობილ მოედანს გადავხედეთ, რომელიც ალბათ ჯარისკაცთა საწვრთნელად იყო განკუთვნილი და ტოტებგაშლილი ხეების დიდი ხეივანი ევლო. შემდეგ სახლების სახურავები მოჩანდა, მწვანე აქა-იქ მოჩანდა შიგ. მეორე მხრივ, აივნიდან, უკეთესი გადასახედი იყო. აივანი პასიგზე გამოდიოდა, ზედ უამრავი ხომალდები, უცნაური ნაგები, ინდოელები დაფუთფუთებდნენ. ციხესიმაგრის გალავნიდან ტაძრების გუმბათები და ჯვრები მოჩანდა. ფუნდუქში სხვადასხვა ჯურის ხალხი შემოდიოდა, ზოგს თეთრი ქურთუკები ეცვა, ინდოელებს ჭუჭყიანი პერანგები, ჩი-

ნელგებს არც ერთი და არც მეორე. კამეჩები ნაირ-ნაირ ტვირთს მიაბრუნებდნენ: როგორც ჩანს, სიცხეში სიარულის მხრივ კამეჩები ცხენების კატეგორიაში არ ითვლებოდნენ.

სადილობისთვის ფუნდუკი ცოტაოდენ გამოცოცხლდა: ოთახებიდან მდგმურების ნამძინარევი სახეები გამოჩნდა: ერთი ვიღაც მეტად სანდომიანი, მაღალი, ქალარა მოხუცი იყო, როგორც გვითხრეს, ირლანდიელი, ესპანური ჯარის პოლკოვნიკი, ღია მწვანე სერთუკი ეცვა. მეორე ფრანგი იყო, ფერმკრთალი, შავზე შავი თმით და თეთრზე თეთრი ქურთუკითა და შარვლით, ბამბაში გამოხვეული გეგონებოდა. ის ნაზი ფალცეტოთი ლაპარაკობდა. შემდეგ, სიცხის მიუხედავად, გარედან რამდენიმე ინგლისელმა შეიპერმა შემოაბოტა: რა მხარბეჭიანი, რა ჯმუხა ხალხი იყო! რა გამრუდებული ფეხები ჰქონდათ! ოთხთავე კამეჩივით შემოიზღაზნა და ისეთი ბეჯითი, მწყობრი ბრაგუნით გამოჰყვენენ აივანს, იატაკმა სულ ზანზარი დაიწყო. ამ ჯურის ინდივიდუმს წინიდან თუ შეხედავ, მარტო ლურჯ, სქელი მაუდის ქურთუკს, იმავე ქსოვილის შარვალს, ქუდს და ქუდის ქვემოთ სახის ნაცვლად წითურა, ჯაგარა თმით შემოვლებული წითელი ხორცის მრგვალ ნაჭერს და უზარმაზარ, ტლანქ, თითქმის ვერა ძალით ვერ გახსნილ მუშტებს დაუნახავ: ვაი მას, ვისაც ეს მუშტი მტრობისა თუ მეგობრობის ნიშნად მოხვდება: უკნიდან შეხედავ — სურათი იგივეა, ოღონდაც ქუდი ზედ მხრებს მიდგმა. კიდევ რამდენიმე კაციც შემოემატა, ასე რომ სულ ოცამდე სტუმარი შეიყარა. მსახურები საოცარი სიმარჯვით დაფაცურდნენ: გარბოდნენ და შემორბოდნენ კვლავ ერთის ბრაგვანით, თითოეულს რაღაც კერძი შემოჰქონდა, მაგია მალე ისე გაავსეს, სუფრა აღარც მოჩანდა.

სულო და გულო, რა არ შემოეტანათ! სულ კი ხორცეული იყო, ნაირ-ნაირად დამზადებული, არც ფრინველი აკლდა; მწვანულილიდან ხომ მთელი ბოსტანი გამოვიდოდა, სხვათა შორის სიმინდიც ვნახე კარაქთან ერთად. მაგრამ ხილი კი ცოტა იყო: მისი სეზონი ჯერ არ დამდგარიყო.

სუფრა ინგლისური და ფრანგული სამზარეულის ნარევს წარმოადგენდა: მწვანულილი, მაგალითად, ფრანგულად იყო მომზადებული, ხორცეული და თევზეული ინგლისელებივით მთელ-მთელად, დაუჭრელად შემოეტანათ; მათ მისატენებლად

ისევ ფრანგული რაგუ მოეყოლებინათ, შემდეგ სოია, პიკულები. ყველა კერძი ერთად იდგა სუფრაზე, მაგრამ თანამეინახენი ერთმანეთს როდი აწუხებდნენ, ინგლისელთა ადათის მიხედვით, ესა თუ ის მომიჭერთო. „ნეტავ ამდენი რამ რაში სჭირდებოდათ? — იტყვი უნებლიეთ ოცი, ოცდაათი კერძის დანახვაზე, — განა არ სჯობდა ჩვენებურად ორი-სამი შემოეტანათ?...“ თუმცა, აღარ ვიცი, რა სჯობია: ცოტა-ცოტა გასინჯო ოცი კერძიდან, თუ ორს მიასკდე ისე, რომ ნასადილევს კაცი იმის ექვში იყო, საღამოს ცოცხალი იქნები თუ არა, როგორც ეს ზოგიერთს მოსდის...

მსახურები სადილზედაც დამთხვეულებივით ფართიფურთობენ, ერთმანეთს უჯიკავენ, გიყებივით დარბიან, მერე უცბად უძრავად დაერქობიან, მოგაშტერდებიან და თვალებით გეხვეწებიან, რამე გვიბრძანე კიდევო.

ნასადილევს ცოტათი აგრილდა; ყველანი გაიკრიფნენ. მე მშვენიერი, პატარა ეტლი მომართვეს. შიგ წყვილი, ტანმორჩილი, მაგრამ ლამაზი, ჩამრგვალებული, მარდი ცხენი ება. „მეეტლეს უთხარით, ჯერ მანილაში გამატაროს, — ვთხოვე ფუნდუკის პატრონს, — მერე კი გარეუბნებში გამიყვანოს, ოღონდ რომლებიც მოშორებით არის და უფრო საინტერესოს წარმოადგენს“. „კალსადოზე განა არ გაივლით?“ — მკითხა მან. „კალსადო რაღაა?“ — „სასეირნო ადგილია ციხე-სიმაგრის გვერდით, ზღვისპირზე: იქ საღამომობით ყველანი ეტლებით დასეირნობენ“. — „არა, ეგ შემდეგ იყოს-მეთქი“. ფუნდუკის პატრონი დიდხანს უხსნიდა რაღაცას მეეტლეს. აი, მეეტლემ გააქროლა ცხენები. ქუჩები ჯერ კიდევ გახურებული გახლდათ. ამ ქუჩებში ძლივს მოვჩანჩალებდით დილით სასტუმროსკენ ფეხით მომავლები. მე ბეჯითად ვიყურებოდი აქეთ-იქით, რა არის მალე მიმეჩვია თვალი ქალაქისათვის.

ჩავუქროლეთ გარეუბანს, სადაც უკვე ბლომად ირეოდა ხალხი, მეტწილად ტაგალები და ჩინელები, ნაწილობრივ მეტიხებიც: მთელი ეს ბრბო ან სამუშაოზე მიემართებოდა, ან სამუშაოდან ბრუნდებოდა; სხვები, თითქო სიგრილით გახარებულნი, უბრალოდ გამოსულიყვნენ სახლებიდან სასეირნოდ, ღუქან-ღუქან დადიოდნენ, ან ჯგრო-ჯგრო იდგნენ და მუსაიფობდნენ.

ტაგალები ულამაზო ხალხია: უმეტესობას ბრტყელი, თუ ჩამოგრძელებული სახეები აქვთ. საკმაოდ განიერი ცხვირი, წვრილი თვალები, პირისკანი არცთუ წმინდა შავგვრემანი. ევროპულად იკრეწენ თმას, ბამბის შარვლები აცვიათ, ბამბისავე პერანგი ზემოდან გადმოუშვიათ: კოსტარუწა ვაჟბატონები მარმამის პერანგებში გამოწყებილან, ევროპულ ყაიდაზე ნაკერი გულისპირით. ქულებს ნაირ-ნაირს ნახავეთ: ბევრს ქილის ქუდი ჰხურავს, კიდევ უფრო მეტს ევროპული, მეტწილად ნაცარა აბრეშუმისა. ასევე აცვიათ მეტისებს, თუმცა მათში ევროპულად გამოწყობილებსაც შეხვდები.

ტაგალი ქალები გაცილებით ლამაზებია მამაკაცებზე: სწორი სახეები, ცოცხალი თვალი, საზრიანი, ცბიერი, კქკლუცი გამომეტყველება სჩვევიათ, როგორც ღმერთს დაუდგენია. დიდი კოპწიები კი ბრძანდებიან, რასაც მყისვე შეატყობ გამოხედვაზე, როცა შეაშტერდები, და შეკავებულ ჩალიმებაზე. მერე რა დიდებული, შავგვრემანი ფერი გადაჰკრავთ, რა ცოცხალ, ვნებით სავსე თვალებს ატრიალებენ, სქელი, შავი ნაწნავი პატარა თავზე მაგრად შემოუგრავნიათ გამოსაჩენად, რამეთუ არაფერი ჰხურავთ! ამ ქალების წერწეტა ტანი ალბათ განციფრებაში მოგიყვანდათ: სიმაღლე დიდი არა აქვთ, მაგრამ მშვენივრად მოყვანილები კი არიან, მით უფრო, რომ ამ მშვენიერ ტანის ჩამოსხმაზე ბუნების გარდა არავის უზრუნვია. ვერც ქამარს უნახავთ, არც წელთან შემოჭერილ ზონრებს, ასე რომ კორსეტის არსებობას არაფერი ამჟღავნებს. მთელ სამოსს ტანზე მჭიდროდ, უპერანგოდ შემოტმასნილი ბამბის ქვედაწელი შეადგენს; ქვედაწელზე კიდევ დიდი შალი აქვთ შემოხვეული; ზემოთ მხოლოდ სპენსერი აცვიათ, მეტწილად მარმამისა, უსარჩულო, ქვედაწელზე ის დამაგრებული არაა. ამიტომაც ქალების ყოველ ნარნარ მიმოხერაზე ხშირად მოგხვდებათ თვალში შავგვრემანი სხეულის ზოლი, სპენსერსა და ქვედაწელის შუა რომ უეცრივ გამოჩნდება.

ბევრს, განსაკუთრებით დედაბრებს, კაბის ზემოთ, ყელზე, სპილენძისძეწკვიანი ჯვარი თუ წმინდანთა მედალიონი უკიდიათ, რომელიც ხან სპილენძისაა და ხან ვერცხლისა. მე მგონი, დამატება არ სჭირდება, რომ ყველა აქაური ინდოელი კათოლიკეა. კუნძულის შიგნით, მივარდნილ ადგი-

ლებში, კიდევ შეგზვდებათ თურმე მცირერიცხოვანი ტომები, უფრო სწორად მოუქცეველ ველურთა ბრბოები; იმათ ნეგრიტებს (negritos) ეძახიან. ესპანეთის მთავრობა ხანდახან ჯარისკაცთა პატარა რაზმებს აგზავნის მათ მხარეში, თითქო ნადირები იყვნენ და მონადირენი სჭირდებოდეთ.

ამ ტანკენარ ბანოვანთა შორის ტაგალების გარდა ხან ჩინელებს დაინახავთ თავიანთ კოფთებსა და კოჭებში მობლანდალუ კიკინით, ხან კი ბერები მიიკვლევენ გზას. კაცებიცა და ქალებიც თითქმის ყველანი აბოლებენ სიგარებს.

გარეუბანი დაეტოვეთ, პასიგზე გადებული გრძელი, საკმაოდ ვიწრო ხიდი გადავიარეთ, ყაზარმებს ჩავუარეთ და ციხე-სიმაგრეში შევედით. — გარშემო წყლით სავსე განიერი თხრილი და ღორღით ნაგები რუხი, მკვიდრი გალავანი ერტყა. გავიარეთ კიდევ ერთი შიდა, თეთრად შეფეთქილი აგურის გალავნის ალყაფი და ესპანური ქალაქის გრძელ, ვიწრო, ჩაბნელებულ ქუჩაში ამოვყავით თავი. ორსართულიანი სახლები ერთმანეთს მიჯრით მისდევდა, აივნები არშიად ევლო და ჩარაზულ კარაღებს ჰგავდნენ. პირველ ქუჩაში ქვემო სართულები ჩინელთა დუქნებს ეკავა. თითქმის ყველგან ევროპული საქონელი იყიდებოდა.

ქუჩიდან ქუჩაზე ისე მიქროდა ეტლი, თვალი მიქრელდებოდა: ხან რომელიმე გახსნილ მოედანზე გამოვიჭრებოდით და მზის სხივი გადაედვრებოდა ყოველივეს, ტაძარს, ქუჩას, ტაძრის წინ მდებარე ბაღს, მის ნაზად მოხასხასე ხეებს, ჩვენ და ჩვენს ეტლს, ხან ისევ გრძელი მოსახვევის წყვილიადში ჩავეფლობოდით. გაიეღვებდა დუქნის აბრა, გახსნილი ქალუზები, ბებერი ესპანელის ნამძინარევი სახე; იქ არფა იდგა ფანჯარაზე; აქ ბავშვის თავი; საგუშაგოზე მდგარი ჯარისკაცი ჩანდა. მინდოდა მეეტლისთვის მეთქვა: ნელა იარე-მეთქი, მაგრამ რა ენაზე მეთქვა? იგივე ამბავი გამეორდებოდა; რაც ფონდაზე მოგვივიდა. აგერ დიდ მოედანზე გამოვგრიალდით, შუაში ბალი და შიგ ბრინჯაოს ძეგლი დგას. „Stop, halt“! — ვეუბნები მე. მეეტლე მაინც მიაჭენებს ცხენებს. მოთმინება და შეკარგა და შევეხე ზურგზე. ის სწაფად მობრუნდა ჩემკენ

¹ გააჩერე (ინგლ. და გერმ).

და კითხვის თვალთ შემომხედა. ძლივ-ძლივობით გავაგებინე ხელებით, გადმოსვლა მინდა-მეთქი.

მოედანს ირგვლივ შემოვუარე; ის პარალელოგრამს ქმნის: ერთი მხრივ გენერალ-გუბერნატორის ორსართულიანი, უახლესი ნაგებობის ქვის სასახლე დგას; ქვემოთ მინების ნაცვლად ფანჯრებში რკინის ხარხები ჩაუდგამთ. აქ ყველა სახლი ორსართულიანია; ქვემო სართულებში დუქნები და საწყობებია გამართული, ხშირი მიწისძვრები იცის და ამიტომ იქ საცხოვრებლებს არ აწყობენ. შენობებს ორნაირი ხერხით აგებენ: ან მეტიმეტად მკვიდრად, როგორც მონასტრებს, ყაზარმებს, სახაზინო სახლებს აგებენ ხოლმე. არაჩვეულებრივი მიწისძვრა უნდა იყოს, რომ ამ შენობათა ვეებერთელა კედლები შეარყიოს, ან არადა ჰაიჰარად აკოწიწებენ ბალაგანებივით, როგორც ფონდა და თითქმის ყველა კერძო სახლია აგებული. იქ ისეთი მოქნილი ჰერი და იატაკია, რომ ნიადაგის რყევას მორჩილად მიჰყვება, ცოტა ხანს იხანხალებს და თავის ადგილზე რჩება. ამბობენ, აქ სახლებიცა და ხალხიც მიწისძვრებს უკვე მიჩვეულნი არიანო. სასახლის პირდაპირ რატუშა დგას, ზემოთ კოშკი ადგია. მესამე მხარეზე სობორო მოჩანს, მეოთხეზე დიდი, კერძო სახლები ჩამწყრივებულა ერთ ხაზზე.

მოედანს პირდაპირ ცეცხლი ეკიდება, თუმცა კი მეხუთე საათი ილევა. სახლებში ქალუზები დაუეკეტავთ, გეგონება, შიგ არავინ ცხოვრობსო. ხავსით მოდებული რუხი ტაძარიც მკვდარივით გაუუჩულა. არსით ხმა, არსით ძახილი; ჩიტიც კი არ ფრენს ცაში. სასახლის ალაყაფთან მდგარი ჯარისკაციც კარლოს IV-ის ძეგლივით დარქობილა და გაშეშებულა. ძეგლის გვერდით, ბაღში თუ დღევანდელი არა, გუშინდელი ჩარგული იქნება ეს გატიტვლებული ბუჩქები — მომავალში ხეებად რომ უნდა იქცნენ; ისე საბრალისად გამოიყურებოდნენ, თითქო ამ მზის ქვეშ გახარების იმედი გადაწყდომიათ.

მინდოდა ბალის ირგვლივ შემომველო, მაგრამ ასეთი თავგანწირვა ველარ შევძელი: ოცდაათიოდე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ისევ ეტლში ჩავჯექი. მეეტლემ კვლავ უღმობლად გარეკა ცხენები. ისევ ამერია თვალეებში საგნები, მაგრამ ქალაქს უკვე გამოცოცხლების პირი დამჩნევია. ქალუზები აქა-იქ გაეხსნათ. გამოჩნდა ხალხი. ერთ აივანზე ახალგაზრდა ქალი იჯდა და ხა-

რიხას დაყრდნობოდა. ფერმკრთალი სახე და შავი თვალები ჰქონდა; ცოცხლად იყურებოდა, ეტყობა, არც სძინებია. საღამოს ალბათ აქ გამოცხადდება მამაცი ვინმე დაშნითა თუ აბრეშუმის კიბით აღჭურვილი. ქალს თვალი მივაშტერე და ისიც სწრაფად მიიმალა. აქა-იქ რკინისხარბიანი ალაყაფის კარიც გაეღოთ სახლებში; ისმოდა ბორბლების რახრახი; იქ, ერთ აივანზე მთელი ოჯახი გამოფენილა, საღამოს სიოთი დასატკობად.

უამრავი ქუჩები, კოშკები და სახლები რომ მოვიარეთ, ციხე-სიმაგრის მეორე კორიბჭედან ზღვისპირზე გამოვედით. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ესპანური ქალაქი მძინარე და მეტად სასიამო დიდ ქალაქს წარმოადგენდა. იქ რომ მივიდიოდი, მართალი გითხრათ, მეგონა, ქვეყნის დაცემისა და გალატაეების კვალს ყველგან შევამჩნევდი. გაპარტახება, უწესრიგობა, ერთი სიტყვით გაკოტრების მთელი პოეზია დამიხვდებოდა, მაგრამ კეთილმოწყობამ და სისუფთავემ კი გამაკვირვა: ყველაფერს მოვლილი პირი უჩანდა და დოვლათიანობაც ეტყობოდა.

გზა ქალაქგარეთ სანაპიროს მიჰყვებოდა. გავცქეროდი უკიდევანო ყურეს, ჩვენს ხომალდებს, მზით გაცისკროვნებულ მთებს, უფრო ახლოს მდგაროთ ძოწისფერი დადებოდათ. შემდეგ ლილისფრად ლივლივებდნენ. სულ შორეულები კი ლურჯად მოჩანდნენ ცისკიდურის ნისლში. მერე უფრო უკეთესი სურათი გადამეშალა: ერთ დიდ მწვანე ველზე. სადაც ჩვენ მივქროდით, ინდოელთა სოფლები ბანანებისა და პალმების ჩრდილს შეჰყუყუოდა. ხეები გაუთავებელ კედლად მისდევდა ველს. ბანანებს ნაზი. ყვითელში გადასული მწვანე ფოთლები, პალმებს მუქი, ხეშეში ფოთლები მოუჩანდა.

მეეტლე გაშმაგებით მიაქროლებს ცხენებს: ძლივს ვასწრებ მარჯვნივ და მარცხნივ გახედვას. აქ ბამბუკის კიდელი ამართულა; ასეთი მაღალი კენარი ხეები თავის დღეში არსად მინახავს; გოლიათურ ბუჩქებივითა თუ ვაგულავით გაზრდილან, ისრების კონასავით აზიდულან ზევით და იქ კი სხვადასხვა მხარეს გაუშლიათ ტოტები შემოეგ შერეული ტყე მოსდევს უსიერ ტვერად. ალაგ-ალაგ შიგ ჰურის ხის ლივისა თუ ბროწეულის მტევნები ჰკიდია, როგორც მე მომეჩვენა ასეთ

სწრაფ ქრიალში. მწვანე ტვერიდან უეცრივ ტაგალების სოფელში შევიჭერთ, ჩავუქროლეთ ქოხებს, რომელთაც კედლის ნაცვლად იქვე ამოყრილ ბამბუკის დაწნული მესრები ჰქონდათ და ბანანის ფოთლებით იყო დახურული. თუმცა ეს ბანანები ისედაც მთელი წლის განმავლობაში თავზე გადაშლია ქოხს. სოფელს კვლავ ტყე-ბაღნარი ენაცვლება, რომელიც კარგა სიგრძეზე, რამდენიმე მილზე გრძელდება. შემდეგ მწვანე კელელი ერთბაშად იხსნება, უცქერ მინდვრებს, კვლებს, სათიბებს, ფერმებს, ნახირს, აქრელებული ყანები საკერებელივით დასდებია მინდვრებს და ჰორიზონტზე ლურჯად მოლივლივე ტყემდე გრძელდება. ალაგ-ალაგ ტყის დეკორაცია თამბაქოს, ყავისა თუ ბოლოს შაქრის პლანტაციას მალავს. ერთი ყვავილობს უკვე, მეორეგან აულიათ ნაყოფი, მესამე ესაა ამოწვერილა. მაგრამ ბანანებს ყველასთვის უჯობნია. ყოველ კუთხესა თუ ქუჭრუტანაში მის კანდიერ, ხასხასა ფოთლებს გამოუყვია თავი და მსხვილ, მძიმე მტევნებს გადაჰფარებია. ყოველივე გადაბარდნილა აქ, ყველგან მწვანეა, ყოველი კუთხე იავასავით ბაღნარად ქცეულა, ტიტველი მიწის ერთ გოჯსაც ვერსად მოკრავ თვალს.

რამდენ პაწაწა ხიდსა და ლელეს გადავუარეთ ჩვენ! ყველგან საცხოვრებელი შეფარებულა, ყველგან მყუდროებაა, ღრმად შექრილი კუნძულებია: იქ ტყეში გზადაკარგულ და უმოძრაოდ გარინდულ პატარა მდინარეში ყვავილებითა და მწვანით მორთულ-მოკაზმული აგარაკები იმზირებიან. წყალზე თითქო სათამაშო ხიდი გადაუგდიათ, როგორიც თეატრებში გვინახავს და ნაწილობრივ შავ მდინარეზეც გვიხილავს.

აივნებზე უკვე გამოფენილან *de la vieille roche*¹, ხმელ-ხმელი, ნამძინარევი ესპანელები და ბუნების სასწაულთ ზარმაცად ჰვრეტენ. მათ დანახვაზე დონ-კიხოტი მოგაგონდება. რვალური, ნიკაპთან წაგრძელებული სახე, ულვაშები და წვერები, ისიც ულვაშებს რომ ჰგავს, თავზე არახჩინი, სახეზე კარგად ნაცნობი ღარები, იგივე უტყვი, ნაწილობრივ მწუხარე ჩაფიქრების, თითქმის ტანჯვის ბეჭედი, რაც უწიგნურობის გამო ამ თავს თითქოს ვერ გამოუთქვამს. ესპანური სკოლის ყველა

¹ ძველი ყაიდის (ფრანგ.)

სურათზე ნახავთ მსგავს სახეებს. სხვებს ჯერ კიდევ სძინავთ, ან გაუღვიძიათ და საკმელს შეეჩქევიან. თვალცქაფთ ტაგალი ქალები ქოხსა თუ ქოხის გვერდით რაღაცას საქმიანობენ, ჩამვლელებს უეცრივ ახედავენ და უთუოდ რაღაცას ეტყვიან თვალებით: ან თითქო ჰკითხავენ რასმე, ან დაცინვით შეაშტერდებიან, ან სხვა რასმე გამოთქვამენ, მაგრამ ყოველივეს კი მკვევრმეტყველურად. მამაკაცებს ვერაფერს შეატყობ: გულგრილი ცნობისმოყვარეობით ნელა შეგაცქერდებიან, თან ან მკერდს, ან ზურგს თუ სხვა რასმე იფხანენ, როგორც ჩვენშიაც სჩვევიათ ხოლმე მინდვრად კაცებს, წუთით რომ მოაშორებენ მზერას გუთანსა თუ ცელს ჩამვლელის დასანახად. ნაწილი ხარებს დატრიალებენ, სხვები ყანებსა და ბოსტნებში მუშაობენ, მესამენი დუქნებში სხედან და რაღაც უზადარუკობას ჰყიდიან, დანარჩენები ყიდულობენ ყოველივე ამას, სკამენ, აბოლებენ, უფრო ხშირად კი ჯგრო-ჯგროდ მიმსხდარან ქუჩებში, ბალებში, შესახვევებში თუ ყანებში და თითქმის ყველას მამალი ჰყავს ილღიაში ამოჩარული.

მამალი ტაგალის განუყრელი ამხანაგია. ის ყველგან თან დაათრევს მას. ვნახე დუქნის კარებთან მიბმული მამლაყინწებიც, აბა რა, პატრონი ვაჭრობს და მამალიც ხომ იქვე უნდა იყოს. ეტლს ხშირად ვაჩერებდი და იმის სანახავად ჩამოვდიოდი, რას აკეთებენ-მეთქი. მეგონა, სახელგანთქმულ მანილის მამლების ძიძგილაობას ვნახავდი, მაგრამ მხოლოდ საბრძოლო სამზადისს ვხედავდი; მამლებს აღიზიანებდნენ, ერთმანეთს უსევედნენ, მაგრამ როგორც კი რაინდები მეტისმეტად გაიფხორებოდნენ, კუდით იჭერდნენ ხოლმე. აქ თურმე მხოლოდ ძალების მოსინჯვა სწარმოებდა, მათ თვისებებს ამოწმებდნენ და ნამდვილი შეტაკებისთვის ამზადებდნენ. შეტაკებანი უქმეებში ხდებოდა, საგანგებო ცირკებში. უცნაური იყო ამ მოზრდილი ადამიანების ცქერა, რომლებიც ჩაფიქრებული, ხანდახან კი საქმიანი გამომეტყველებით შესციცინებდნენ ამ ბალღურ გასართობს. ძალაუნებურად ეეროპა წარმომიდგა თვალწინ, ზანქო და ისეთივე საქმიანი სიფაქები...

როცა ქალაქის მიდამოებში გავედით, საიდანღაც ერთი ეტლი გამოტყვრა, ხან გაგვისწრო და ხან უკან ჩამოგვრჩა. შიგწინა სკამზე ავგუსტინელი ბერი იჯდა, ჰკვიანი სახე ჰქონდა,

შავი, მეტად მეტყველი თვალები, გადახოტრილი კინკრიხო. უქულოდ იყო, თეთრი ტილოსა თუ მუშამბის განიერი სამოსი ეცვა; ეს კიდევ არაფერი, ფრანგმა ქალმა ხომ მითხრა: *on ne voit que ça*¹ -ო. მაგრამ ბერს გვერდით ჩინელი ამოჯდომოდა. თუმცა არც ესაა იშვიათი ამბავი მანილაში. ჩინელს ღია ქერა თმა, ცისფერი, ყოველ შემთხვევაში, ჭროლა თვალები, თეთრი, უფრო კი მოწითალო სახე ჰქონდა ცხვირის ჩათვლით. ერთი სიტყვით, როგორც ევროპელს ახასიათებს. ცოტა რომ დაეფიქრდი, ეს ამბავიც არ მივიჩნიე უცხოდ. „ვითომ რად არ უნდა ჰქონდეს ჩინელს ევროპელივით ქერა თმა და წითელი ცხვირი? ინგლისელებმა ხომ რა ხანია გაანათლეს ჩინეთი და ბევრი თავისი შემოიღეს იქ, ალბათ ცხვირებიცა და ქერა თმაც-მეთქი...“ მაგრამ ამ ჩინელს გულზე დიდი ოქროს ჯვარი რად კილია? თუ ქრისტიანია, ჩინური სამოსი რაღად აცვია? თავისიანების ეშინია, იმალება? არა მგონია: მაშინ ჯვრის ტარებასაც მოერიდებოდა. ბოლოს კათოლიკე ბერს გვერდით რაღად ამოჯდომია? ან მათ პირდაპირ ვინ ზის, დიდკაცურად შავ სამოსში რომ გამოწყობილა, ხმელ-ხმელი კაცია და ქუდი კი არ ჰხურავს, ხელში უჭირავს? ან ყველანი რად დადუმებულა და სხვადასხვა მხარეს იცქირება?

ამ ამბავმა დიდი ცნობის წადილი აღმიძრა; თვალი ყოველწამს ეტლისკენ გამირბოდა, ისე რომ, ავგუსტინელ ბერს მოთმინება გაუწყდა და თავი დამიკრა. ალბათ, ეგონა, ასე დაჟინებით და გაკვირვებით რომ ვუყურებდი, მინდოდა მომსალმებოდა. მეც შემრცხვა და მერე ერთხელაც აღარ გამიხედავს კალიასკისაკენ. ამიტომ არ ვიცი, სად და როდის ჩამოგვშორდა.

მზე უკვე ჩადიოდა; ნაშუადღევის მკვდარი საათის ხანმა განვლო; უმოქმედობა დამთავრდა. ხეებს, გზას და წყალს ზღვის ბორიომ დაუბერა ისე ნაზად, ლბილად და ფრთხილად. როგორც მხოლოდ დედა შეუბერავს ხოლმე მძინარე ბაღს სახეზე, რა არის აბეზარა ბუზი მოაშოროს. სიოს ვერა გრძნობ, ოღონდ სიგრილე. სითბო და სიმშვიდე შემოგეხვევა; ტოტები არ ირხევა და ერთმანეთს არ ეტყულაშუნება, როგორც ჩვენს

¹ მარტო იმათ ვხედავთო (ფრანგ).

ჩრდილოეთის მადნარში იცის; მხოლოდ ფოთლები ჩურჩულე-ბენ, თუმცა ყველანი არა: ზოგი ლანჩივით სქელია — აბა იმას რა ააშრიალებს და შეარხევს!

მეეტლე კი კვლავ მიმაქროლებს და მიმაქროლებს, ხან მიყრუებულ შესახვევებში შეევგრიალდებით, სადაც ღარიბული, მაგრამ სუფთა ქოხები დგას, ხან ისევ ყანებსა და პლანტაციებში გავდივართ. ხეებიდან კვლავ ისეთ ფერებში შეღებილი იდილიური სურათები იცქირება, რომლის დარი რა თქმა უნდა, მამა თეოკრიტესაც არ დაესიზმრებოდა. ყველგან ხალხი ირევა; აივნებზე აუარება თავები მოჩანს.

ჩაუვარეთ ერთი დიდი შენობის ნანგრევებს, როგორც ჩანს, მიწისძვრის წყალობით დანგრეულს. ეტლიდან გადმოვედი და გალავანში შევიხედე. იქ ერთი კედელი დავინახე ორი-სამი ფანჯრით, აგურებისა და ღორღის გორებს ბალახი მოდებოდა.

ტაგალთა სოფლებში ქოხებს შუა ბევრი ლამაზი, მსუბუქად ნაგები სახლი დგას. ისინი ქალაქელთა აგარაკებია. როგორც ბატონმა დემიენმა მითხრა დილით, მიწისძვრის პირველსავე ბიძგებზე ისინი თურმე აქეთ მორბიან. აქ კაცი არ გაიჟყლიტება: ყველაფერი წვრილ-წვრილ ლატნებისა და წნელებისაგან შედგება; კედლები არ გააჩნია: მის ნაცვლად ფანჯრებია, ქალუხების საშუალებით რომ იკეტება. ქალუხები საღამოობით იხსნება და სახლის მთელი მოწყობილობა ჩანს. ტაგალებს სანახავე არაფერი აქვთ: საკმლისთვის თითო-ორილა ქურქელს, მერხებსა და იატაკზე ფეხმორთხმულ ოჯახს დაინახავ. ქოხები ბოძებზეა შეყენებული, რადგან მდინარეები აქ პერიოდულად დიდდება და წვიმებიც პერიოდულად მოდის; ქოხის ქვემოთ ღორები, ქათმები და მთელი ოჯახური მეურნეობა დაბინავებულია. უფრო შეძლებულთა ქოხებს ბამბუკის ტყარუშული ღობე არტყია ირგვლივ, უფრო ხშირად კი ბანანების ბუჩქები ღობავს. ბევრ ქოხში დაკიდებული მუნდირი დავინახე, ხანდახან კი შავგვრემანი ტაგალი მეომარი ოტელოსავით იჯდა იქვე თავის ოჯახში.

მანილის მიდამოები დიახაც მშვენიერია, განსაკუთრებით მზის ჩასვლისას არაფერი შეედრება მას: შუადღისას ტრამალივით თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს და სიცხით ითანგება. ეს მიდამოები, ეს მცენარეულობა, ეს მხიარული, მუდამ სა-

ზეიმოდ მორთული ბუნება რომ არა, ღმერთმანი, მანილაში ჩამოსვლა არც ელირება, თუ არ სიგარებისთვის.

ქალაქში მეორე მხრიდან შევედით; იქ უკვე აქა-იქ აენთოთ ფარნები: ბინდი შემოპარულიყო. ჩინური ღუქნები ნაირფრად ჩახჩახებდა. ბინდით მოცული ქუჩების ტროტუარებზე მოსიერნენი მიაბიჯებდნენ. ქვაფენილზე ეტლები დაგრილებდნენ. კვლავ ხილით გავემართეთ ციხე-სიმაგრისკენ, მაგრამ ხილი ეტლებს ისე გაექედათ, იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ხუთიორღე წუთი ვიცადეთ ეტლების რიგში, ვიდრე წასვლას შევძლებდით. როგორც იქნა, გამოვადწიეთ ხალხის ბრბოს, ციხე-სიმაგრის გალავანს ჩავუარეთ, გლასისზე გამოვედით და ეკიპაჟთა მწყრივებს შევევრიეთ.

ნეტავ სად მოვხვდი? ნოვინსკთან თუ ეკატერინგოფში ვარ 1 მაისს? გლასისზე ორი ხეივანი მიემართება, დიდრონი, განიერფოთლებიანი ხეებით ჩარიგებული. ხეივნებს შუა ორადგილიან თუ ოთხადგილიან კალიასკების გაუთავებელი ძაფი მოძრაობს, სადაც სინიორები და სინიორინები, ჯენტლმენები და ჯენტლმენი ქალები სხედან, და კარგა დიდ ფართობს უვლიან გარეუბნიდან მოყოლებული ციხე-სიმაგრის გავლით, ზღვის პირამდე. ყურის ნაპირზე ასამდე ეკიპაჟს მოეყარა თავი: მოსიერნენი ზღვის ცქერით ტკებოდნენ და მშვენიერ მუსიკას უსმენდნენ. ჰოლკის მუსიკოსები უკრავდნენ თურმე. მეც შეეჩერდი ნაცნობი ოპერული ჰანგების და უცნობი პოლკებისა თუ მაზურკების მოსასმენად. ბევრი მამაკაცი თეთრებში იყო გამოწყობილი. მარტო მაღალი წრის ვაჟბატონებს ეცვათ მაუდის ტანსაცმელი და შავი აბრეშუმის ქუდეები ეხურათ. მთელი ეშხი სწორედ ის გახლავთ, ევროპელის იერი შეინარჩუნო, ევროპულ სამოსს და ადათებს არ უღალატო, თუნდაც სიცხემ სული ამოგართვას. ესპანელი ქალები ყველანი თავდაუხურავი იყვნენ, მანტილიებიც არ ესხათ; ინგლისელი და ამერიკელ ქალბატონებს ქუდეები ეხურათ. ბნელოდა და სახეს ვერ გაარჩევდი. ალაგ-ალაგ ჟანდარმები დაეყენებინათ. მათ სამკუთხა ქუდეები ეხურათ, მუქი ფერის მუნდირები ეცვათ და ტანმორჩილ, მაგრამ ღონიერ, ჩახსმულ ცხენებზე ისხდნენ. წესრიგს მკაცრად იცავდნენ; ვერც ერთი ეტლი ვერ გაბედავდა მეორისთვის გაესწრო ან მწყრივში ერთ ადგილზე გაჩერებულიყო.

სწორედ ეს ყოფილა ცნობილი კალსადო, ანუ სასეირნო, რომელზეც დემიენმა მითხრა.

მეც ერთი-ორჯერ წინ და უკან ჩავიარე და მერე ოტელისკენ გავწიე. კალსადო სად წაშვივა. თუნდაც რომ წამივიდეს — რა ბედენაა: ეს იგივე მოსკოვი, პეტერბურგი, ბერლინი, პარიზი თუ სხვ. გახლავთ. „ფონდაში“ კვლავ გაშლილი დამიხვდა გრძელი სუფრა, კვლავ ოცამდე კერძი იდგა ზედ, თითქმის იგივე, რაც დილით გიახელით, ოღონდაც წვნიანის გამოკლებით. ამას ჰქვია ჩაის სმა, თუმცა ჩაი კი არ ჩანს. მალე ერთი მეორის მოყოლებით ყველანი შეიყარნენ — ჩვენებიცა და უცხოებიც. გაიბა ერთი ცოცხალი საუბარი, ვინ სად იყო, რა ნახა და გაციგონა. მე აივანზე წავედი და ჩაი იქ მომიტანეთ-მეთქი, დავიბარე. ღმერთო, რა მიქსტურა მომართვეს! ნელ-თბილი, მუქი და ჭუჭყიანი შაქრისგან ამტუტებული ნაყენი. მანილაში მშვენიერი შაქარი მოდის, მაგრამ რაფინადის. ერთი ქარხანაც არ გააჩნიათ. ყველაფერი ამერიკაში, კეთილი იმედის კონცხზე, ჩინეთის ნაპირებზე გააქვთ. ამიტომაც თეთრი შაქრის ერთ ნატეხსაც ვერ იშოვით. მერე რა, რომ ჩინეთი აქედან ორ ნაბიჯზეა, ერთ ჰიქა კარგ ჩაის ვერსად დალევ. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ უცხოელებმა არ იციან, რა არის ჩაი. მარტო რუსებს ესმით მისი გემო და ყადრი.

მთვარიანი ღამე იყო. გაყუჩებდი პასიგს, რომელიც აივნიდან რამდენიმე საყენზე მიჩხრიალებდა, მონასტერთა სილუეტებს, ოღნავ მოტორტმანე ხომალდებს, შორს ვილაც უკრავდა ქნარზე და არა ფორტეპიანოზე, მღეროდა ქალი. უცქერ ირგვლივ მიდამოს და ვერ წარმოგიდგენია, როგორ უნდა მოიღუშოს ეს ცა, როგორ გაქრეს ეს ფერები, როგორ გაიძროს ბუნებამ ეს საზეიმო მორთულობა.

„თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — შემაწყვეტინა ვილაცამ ფიქრი: ჩემს წინ მეზღვაური იდგა. — კატერი საცაა წავა. თქვენს დასაძახებლად გამომგზავნეს“. რეიდზე ისეთი სიმშვიდე და სიწყნარე აღარ სუფევდა, როგორც ქალაქში. იალქნებგაშლილი კატერი ისარივით მიქროდა. ქვემოდან შადრევნებით იჭრებოდა ოქროსფერი ქაფი და ზღვას კარგა მანძილზე აშუქებდა. ნახევარ საათში უკვე შინ ვიყავით.

24 თებერვალი. რა ხანია დემიენის ოტელში ვცხოვრობ

უკვე ჩვენები დილით მოდიან და სალამოს ისევ ფრეგატზე ბრუნდებიან. ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღეს ქალაქში გადაბარგება გადაწყვიტე, მაგრამ ვიზიტით გვეწვივნენ ესპანელები. ხომალდზე მარტო მევახტე ოფიცერი და კიდევ რამდენიმე კაცილა დარჩა, ვისაც სამსახურის გამო ვერ მოეხერხებინა წასვლა. კაიუტაში ფადევეი მშველოდა ბარგის ჩალაგებას, ნაპირზე ვაპირებდი გადასვლას. უეცრივ კ[რიდნერმა] შემოპყო კარებში თავი. „ესპანელები მოდიანო“, — მითხრა. „მერე მე რამეთქი!“ შემეხვეწა, — „სიკეთე ჰქენით და მიიღეთო“, — „მე რა უნდა მოუხერხო?“ „მე სულ ვერაფერს მოუხერხებო“. თუმცა ლაპარაკის დრო სად იყო — გემბანზე უკვე ექვსიოდე იდაღო ამოვიდა. ოღონდ ესენი აღარ ჰგავდნენ აივნებზე რომ ესპანელები დავინახე, ან კიდევ ველასკესისა თუ სხვათა პორტრეტებზე ნახულს. რამდენადაც იდაღოები დაერქმეოდა, იმდენად ჯენტლმენებადაც მონათლავდით. ყველას ფრაკები, პალტოები თუ სერთუკები ეცვათ, ზოგიერთი თეთრ ქურთუკში გამოწყობილიყო „Commendante de bahia!“ — მითხრა ერთმა იდაღომ და მალა, ლამაზ, ულვაშებიან მამაკაცზე მიმითითა. მაგრამ Commendante de bahia-ს არც ინგლისური, არც ფრანგული არ სცოდნოდა, ცხადია, არც რუსული ესმოდა ერთი სიტყვა, მე კი ესპანურად მხოლოდ fonda და კიდევ muchacho ვიცოდი, რაიც ოტელში შევიტყვე და რაიც „ბიქს“ ნიშნავს. ახლა ჩემს ლექსიკონს კიდევ ორი სიტყვა მოემატა fuogo — ცეცხლი, anda — გასწი! საბედნიეროდ, იმათ ორი ახალგაზრდა კაცი ახლდა, რომლებიც, მართალია, ძალზე ცუდად, სამაგიეროდ სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ ფრანგულს. ერთი, Vincenzo d'Abello-ს¹ აქაური გაზეთის რედაქტორისა და ღალის ამკრეფის ვაჟი იყო, მეორეს Carmena² ერქვა; ორთავე რედაქციაში მსახურობდა და ღალის აკრეფაზეც იღვწოდნენ.

აქამდე კარგად ვერ გამიჩვევია „Commendante de bahia“, — ანუ ყურის კომენდანტი რაღას უნდა ნიშნავდეს. გუშინ დილას უკვე გვეწვია ვილაც ნავსადგურის კაპიტანი, ოღონდ ის სხვა იყო. ნეტავ ეს რაღას ნიშნავს? დავათვალიე-

¹ ვინსენტო დ'აბელო (ესპ.)

² კარმენა (ესპ.)

რებინეთ მათ ფრეგატი, გამოვიძახეთ დამკვრელები, გავუმასპინძლით ჩაით, მხოლოდ ჩვენებური, სურნელოვანი ჩაით და არა მიქსტურით. გველაპარაკენ თურქებზე, ინგლისელებზე. ახსენეს სინოპის ამბავიც, რაზეც ახლახან მოვიდა ცნობა. მე კი ყურის შესავალში მდებარე კუნძულ კორეხიდორზე, სიგარებზე ვესაუბრე. დამპირდნენ, რომ ფაბრიკის დათვალიერებასა და სიგარების ყიდვაში დიდად შემიწყობდნენ ხელს.

მხოლოდ მეორე დღეს, დილით შევეძელი ქალაქში გადაბარგება. ბარონი კ[რიდნერი] ნაპირიდან დაბრუნდა და ერთი ჩინელი მოიყვანა. რა ყოჩალი ვინმე გამოდგა ეს ჩინელი! დიდრონი თაფლისფერი თვალებიდან სულ ნაპერწყლებს ისროდა, წამოლაქდაქებულ სახეზე დიდი, ოდნავ კეხიანი ცხვირი უჩანდა. გემბანზე გაიარეს და თან წმინდა ფრანგულით ბაასობდნენ. „აი, ფრანგი მისიონერი, ჩინეთში ცხოვრობსო“, — მითხრა ბარონმა და ერთმანეთი გაგვაცნო. გუშინ ქალაქგარეთ ნახული სურათი უკვე ნათელი გახდა ჩემთვის. „თქვენ აქ მარტო არა ხართ, — ვუთხარი ფრანგს, — გუშინ ერთი თქვენიანი ვნახე, იმასაც ჩინურად ეცვა, გულზე ოქროს ჯვარი ეკიდა...“ — „პირმრგვალი ხომ არ იყო, სახე და ნაწილობრივ ცხვირი მოწითალო ჰქონდა, არა... figure rubiconde? ¹“ — მკითხა ფრანგმა. „ღიახ, ღიახ.“ — „ეგ ჩვენი ეპისკოპოსია, monseigneur Dinacourt ²: ჩინეთში, ჯეჯიანის (ანუ ჩეჩიანისა თუ შეშინის) პროვინციაში ქრისტიანების წინამძღვარია. ახლა აქ ჩამოვიდა დასასვენებლად. სისხლი აწვება თავში. ხომ არ გნებავთ ინახულოთ? მეტად გაუხარდება და აქეთ გეახლებათ.“ — „ფრიად სასიამოვნოა-მეთქი“. — „ესპანელ ეპისკოპოსსაც ნახავთ ალბათ“. — „დიდი სიამოვნებით... განსაკუთრებით აქაური მონასტრები გვაინტერესებს“. — „ჩინებულისა: monseigneur Dinacourt ესპანურ მონასტერში ცხოვრობს თვითონ. ხვალ, თუმცა არა, ხვალ ქალაქგარეთ მინდა გავიდე, pueblo ³-ში. ზეგ მობრძანდით ჩემთან, პორტუგალიელ ეპისკოპოსის სახლში ვდგავარ და ერთად წავიდეთ“.

¹ წითელკანიანი — (ფრანგ.)

² მონსენიორ დინაკური (ფრანგ.).

³ სოფელში.

ოტელი ერთადერთ თავშესაყრელ ადგილს წარმოადგენს შანილაში მოხვედრილ მოგზაურების, ვაჭრებისა და შიპერებისთვის. ოთახებში წარამარა შედიან და გამოდიან ესპანელები, ამერიკელები, ერთეპოლეთიანი ფრანგი ოფიცრები და ჩვენები. ფრანგები ჩვეულებისამებრ ყველას უკრავენ თავს. ინგლისელებიც თავის ჩვეულებისამებრ ცდილობენ არავის შეხედონ სახეში. ჩვენები ასეც იქცევიან და ისეც, როგორც საჭიროება მოითხოვს, და ამ შემთხვევაში ყველას სჯობიან.

არაერთხელ მომისმენია საყვედური, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ადგილებში უცხოებთან ისე ენაწყლიანები არა ვართ, რომ ფრანგები ჩვენზე თავაზიანებია და ა. შ. ვითომ სამართლიანი კია ასეთი საყვედური? რა საჭიროა ერს ისეთი თვისება მოახვიო, რაც მას ოდითგანვე არ მოსდევს? ინგლისელები საზოგადო ადგილებში ერთმანეთს სულაც არ სცემენ ხმას. „ჰოდა, იმიტომაცაა იმათი საზოგადოება ასე მოსაწყენიო“, — იტყვიოთ თქვენ. სრული ჭეშმარიტებაა: რკინიგზით მიდინართ, სასადილოში სადილობ თუ თეატრში იმყოფები — ყველგან ღუმილი მეფობს. სამაგიეროდ, ინგლისელები ერთმანეთს არ აწუხებენ საზოგადო ადგილებში. საზოგადო სიმშვიდის პატივისცემა მათში დიდად განვითარებულია... და მართლაც მოწყენამდე მიდის. მაგრამ აგერ ჩემი ამხანაგი, ბ[არონი] კ[რიდნერი] პარიზში იყო და აი რა მოგვიყვა: პარიზის რკინიგზით რომ მიდიოდა, თურმე ერთხელ ერთ ვაგონში მეტად მხიარულად გაატარა დრო, მეორეში კი პირდაპირ შიშის ზარი დაეცა. უკანასკნელში რამდენიმე მეტისმეტად ენაყბედი და „თავაზიანი“ ხალხი შემოსულა: ერთნი მღეროდნენ, სხვები ხარხარებდნენ, მესამენი აბოლებდნენ; მაგრამ ისეთი ხალხიც ყოფილა, რომლებიც არც მღეროდნენ, არც ხარხარებდნენ და არც ეწეოდნენ. წამდაუწუმ ამას გაიგონებდი: — „თავი დამანებეთ, მეძინება“. — „თუ გნებავთ, დაიძინეთ, მეც თქვენსავით მაქვს გადახდილი ფული და სიმღერა მწადია“. — „ჯანდაბას მწეველები!“ — „დაწყნარდით, თორემ ერთ-ორს ისეთს გეტყვიოთ...“

აღარ ვიცი, რომელი სჯობია: ღუმილი თუ ასეთი საუბარი? თუმცა, აგერ იმ ამერიკელ კეპტენსაც რომ გამოელაპარაკო, რომელიც მუშტებშეკუმშული, პირმოკუმშული, ზღვისფერი

თვალეების მხეცური ბრიალით მოდის შენკენ, ისიც მყისვე გაშლის მუშტებს და, რა თქმა უნდა, მოგიყვებათ, საიდან მოდის, სად მიდის, რითი ვაქრობს, რა უფრო სარფიანია, ჩამოტანა თუ გატანა და ა. შ. ენის ლაქლაქსა და მოსწრებულ სიტყვებს მისგან ნუ ელით. ფრანგისგან ხომ არ თხოულობთ, ინგლისელივით თავი გადააკლას თავის ცხენებს, ტყე-მინდვრებში იჭენოს, სადმე ამერიკაში გაემგზავროს დათვებზე სანადიროდ, ან მთელი დღე მდინარეზე ანკესობაში გაატაროს... ერთი სიტყვით, სპორტს ასევე გადაჰყვეს. „ეგ სპორტიო, — შემნიშნა ბ[არონმა] კ[რიდნერმა], ამ საკითხზე რომ ვესაუბრებოდი, — მხოლოდ ჭკუნაკლებობის ნიღაბს წარმოადგენს, ან ყოველ შემთხვევაში იმას ამტკიცებს, რომ თავი არა აქვთ, უკეთ მოიხმარონ უნარი და შესაძლებლობაო...“ იქნებ, მართლაც ასე იყოს: სამაგიეროდ ამ სპორტული ვარჯიშის წყალობით რა ჯანი მოსდევთ ინგლისელებს! სპორტი ხომ იმათ ახალგაზრდობის აღზრდის სისტემაშიც აქვთ შეტანილი.

დუქნები რომ ჩამოვიარეთ, იქ ჩალის ქუდები და სასიგარეები ვიყიდეთ. რომ დაინახეს, ამ საქონელზე დიდი მოთხოვნილებაო, ვაჭრებმა, განსაკუთრებით ჩინელებმა, ფასებს აუწიეს. ჩვეულებრივი სასიგარეები სამ დოლარად მოგვეყიდეს დუქიანი. ეს კიდევ იაფი გამოდგა მაგრამ სხვები, უფრო დიდი, რბილი, ლამაზი და კოხტა, თითო ცალი სამი დოლარი დაგვიფასეს და რის ვაივაგლახით დაგვითმეს ერთ-ნახევრად. აბა, რა შეედრება მანილის ჩალის ქუდს? ის წმინდა და ატლასის ქალღღივით პრიალაა, თავზე თითქო არც გახურია — თან მზესაც არ ატარებს; მიუხედავად ამისა, ტაგალებისა და ხელოსნების გარდა ვერავის დაუნახავთ თავზე, რადგან ეს ქუდები აქაური ნახელავია და ერთი დოლარი, დიდი-დიდი დოლარ-ნახევარი ღირდეს. მაღალი წრის ვაჟბატონები, როგორც გითხარით, შავი აბრეშუმის ქუდებს ატარებენ; ჯენტლმენებს — დაბალი, ულამაზო, უხეში ჩინური ჭილის ქუდები ახურავთ, რომელიც სამ დოლარად იყიდება. მანილა ანანასების ძირების, პინის ბოქკოების ნახელავითაცაა განთქმული. ამ ბოქკოებიდან მზადდება მარმაშივით მსუბუქი, გამჟვირვალე ქსოვილები და ცხვირსახოცები, სწორედ ის ძვირადღირებული ნაჭრები, რომლებიც ჩვენს ქალბატონებს საღამოს შეკრებულებაზე დააქვთ საჩვენე-

ზლად და ცხვირის მოსახოცად ვერ იმეტებენ. კარგა ხანს ვერ მივხვდი, ჩვენი ოტელის გალერეაში რას ჰყიდდა ყოველ ცისმარე დღე იატაკზე ფეხმორთხმული ინდოელი ქალი. მას ირგვლივ მუდამ ეხვეოდა ზოგიერთი ჩვენი დაცოლშვილებული თანამგზავრი.

დუქნიდან დუქანში სიარულისას რამდენიმე დასტა სიგარებიც ვიყიდეთ, თუმცა ყოვლად უვარგისი კი გამოდგა. ფრეგატზე დარჩენილ ერთი ჩვენი ამხანაგის დაეალებით ბურნუთი რომ მოვიკითხეთ, გვითხრეს, მთელ მანილაში ერთ გირვანქასაც ვერ იშოვიეთო. ყველგან ევროპულ საქონელს გვაჩეჩებდნენ, მაუდს, აბრეშუმს თუ სხვა ქსოვილებს, საათებს, ძეწკვებს; განსაკუთრებით ავეჯის მაღაზიის პატრონმა ფრანგმა ისე შეგვიწუხა სული, გინდა თუ არა ძეწკვი იყიდეთო, თითქო მთელი მისი კეთილდღეობა ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

დაქანცულები დავბრუნდით შინ. ჯერ კიდევ ადრე იყო, მე ჩემს ოთახში წავედი და წერილების წერას ჩავუჯექი, მაგრამ ვეღარ შევძელი, ისე მომერია დაღლილობა; კალამი ხელიდან მივარდებოდა, აზრებს თავი ვერ მოვაბი; ლამის ქალაღზე ჩამომეძინა. ძალაუნებურად მეც ნაშუადღევის ჩვეულებას მივდიე, დავწექი და საღილობამდე გემრიელად გამოვიძინე.

ნასადილევს მე და ბ[არონმა] კ[რიდნერმა] ქალაქგარეთ გავწიეთ. გზაში ორ ტაძართან გავჩერდით. ერთი ბინონდოს გარეუბანში იდგა, ხიდგაღმა, მეორე ქალაქგარეთ იყო, ინდოელთა სოფლების მისავალში. პირველის გალავანთან იეზუიტი შემოგვხვდა, შავი ანაფორა ეცვა, შავი, დიდრონფარფლიანი ქუდი ეხურა — ვგონებ, გეცნობათ ასეთი ქუდი. იეზუიტმა თავი დავვიკრა: „Don Basilio!“ — გაბმით წაუძღერა ჩემმა თანამგზავრმა, სალამზე რომ უპასუხა. ტაძარი სულ ახალი სტილის, წმინდა იტალიური გამოდგა, გოტიკურისა თუ მავრიტანულის არაფერი ეცხო. ტაძარს შიგნით ჯვრის მდებარეობა ჰქონდა. ქანდაკებები იდგა: იესო ქრისტე, რომელსაც ლილისფერი ხავერდის ანაფორა ემოსა, ჯვარი ეჭირა და თავზე ეკლის გვირგვინი ედგა, და კიდევ ღვთისმშობელი ჩვილი ყრმით ხელში — ორივე ცვილისგან იყო ნაკეთები. სხვები, მგონი, ხისა უნდა ყოფილიყო. ვერ ვიტყვი, რომ დიდ მოწონებას აღვიძრავდა კაცს გულში... პირიქით. მწუხრის ლოცვა დამთავრებულიყო, მაგრამ

მლოცველები მაინც ბლომად იყვნენ ტაძარში. რამდენიმე შავებში გამოწყობილი ესპანელი ქალბატონი, მეტისი დიაცები მანტილებსა და ზოლებიან ქვედაწელებში ორ-ორად, სამსამად დაჩოქილიყვნენ მუხლებზე, თავი ლოცვანში ჩაერგოთ და მანტილები სახეზე ჩამოეხურათ. ამოდ ვიცადეთ, იქნებ აქეთ-იქით მიიხედონ, მაგრამ ერთიც არ განძრეულა, ასე, რომ მათ სახეზე ვერც სასოების გრძნობა და ვერც სხვა რამ ამოვიკითხეთ. ბიჭები სამ-სამად დაჩოქილიყვნენ მწკრივში. ერთნი ლოცულობდნენ, სხვები წამღერებით. იმეორებდნენ და თან ცელქობასაც ასწრებდნენ. ყველანი ტაგალები იყვნენ. მოზრდილი მამაკაცი არც ერთი არ ჩანდა. მღვდელი ჩაფიქრებით და მოთმინებით უსმენდა ათიოდე წლის ბიჭს, რომელიც მუხლებზე მდგარი ყურში უჩურჩულებდა თავის ცოდვებს მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჩვენ ტაძარში დავყავით. მეორე ტაძარშიც იგივე ამბავი დაგვხვდა, ოღონდ ის უფრო ღარიბული ჩანდა. ესპანელი თუ მეტისი ქალები იქ აღარ გვინახავს, მხოლოდ ტაგალი დიაცები იყვნენ. ბლომად შევამჩნიეთ ხის ქანდაკებები, მეტად ტლანქად ნაჩორკნი.

გარეთ გამოვედით... რა მდიდრული, რა დიდებული იყო ბუნება, რა ოსტატმა და რა ხელმა შექმნა იგი! გავიარეთ სანტაკრუცის, მიგელის გარეუბნები, გადავედით არხზე, რომელსაც სასლების აივნები და პარმალები დაპყურებდნენ, გავედით ერთ პატარა ხიდზე, მიყრუებულ ქუჩებსა და შესახვევებში და პასიგზე ამოვეყავით თავი.

მხოლოდ აქ დავინახე, რა დიდი ქალაქი ყოფილა, რამდენი ქუჩა და უბანი დაქსაქსულა პასიგის ნაპირებზე და რამდენჯერ კრის ქუჩები პასიგს გაღმა თუ გამოღმა! აღარც გავიკვირდება, როცა შეიტყობ, რომ აქ ას ორმოცდაათი ათასი მცხოვრები ცხოვრობს. წუთით შევჩერდით ერთ ადგილზე, სადაც გზა მარჯვნივ უხვევდა ჯაჭვის ხილით ციხე-სიმაგრისკენ და მაგელანის ობელისკს უვლიდა. მარცხნივ კი... ოჰ, რა სურათი იშლებოდა მარცხნივ! თუ მანილაში მოგიხდათ ყოფნა. სანტაკრუცის გავლით მიგელისკენ წაყვანილეთ ეტლი: იქ მდინარე პატარა კუნძულს ქმნის, როგორც მხოლოდ სიზმრად თუ დაესიზმრება კაცს ან სურათზე ნახავს. იქ პაწაწინა ჭობი დგას ბუჩქებში; ერთი ნაპირიდან წყალში სახლებს, ქობილს, აგარაკების

მწკრივი ისარკება, მეორეზე მდელი ბიბინებს, იქით პლანტაციები გაქიმულა. ვიშ, რა სურათებია, ვიშ, რა საღამოა! „ჩვენში კი ახლა ქურქებშია შეფუთნილი ხალხი, მარხილებით დადიან, კავეები ქრიალებს...“ ვუთხარი ბ[არონს]. „ოპერაც მიდის“, — დაამთავრა მან. „არა, ახლა იქ დიდმარხვია და ომი!“

მეეტლემ ისევ გააქროლა ცხენები. მაგრამ ისეთი ტურფა აღვილები ჩანდა, რომ ჩემმა თანამგზავრმა მეეტლე გააჩერა და მოახერხა მისთვის აეხსნა, რომ სანადლეო კი არ გვექონდა ვისმესთან დადებული, რაც შეიძლება ჩქარა შემოგვევლო მიდამოები, არამედ სეირნობა გვეწადა. ახლა ნელი ჩორთით გავწიეთ; მეეტლე, ეტყობა, დიდად კმაყოფილი არ დაგვრჩა, სამაგიეროდ ცხენები და ჩვენ ფრიალ ბედნიერად ვგრძნობდით თავს. შორს და შორს უფრო ტურფა და ტურფა მიდამოები აღმოჩნდა. ბიჭები ეტლს მოსდევდნენ და მოწყალებას გვთხოვდნენ: თუმცა, მგონი, ანცობით უფრო მოსდიოდათ. მოზრდილები იქვე თავიანთ ქოხებთან გაჩერებულიყვნენ და არაფერს ითხოვდნენ. ქალაქგარეთ ყოველ ნაბიჯზე ბიჭები ფრანებს უშვებდნენ. ამ ამბავმა ჩემი პატარაობა და პროვინციული ქალაქები გამახსენა. ოღონდაც ჩვენში, მთელი რუსეთის გაყოლებაზე, ფრანი ყველგან ერთნაირია, ცნობილი ნექის კუდითა და სატკაცუნებლით. აქ კი ნაწილი, პეპელას ჰგავდა, ნაწილი ჩიტსა თუ სხვას. ზოგ ქოხს ადამიანის სადგომს ვერ მიამსგავსებდი. ზოგს ბოძები ისე მოგრეხოდა, საგონებელში ჩაგადგებდა, რა ძალა იქერსო. იქიდან ხან ბალლი გამოხობდებოდა, მერე ქათამიც გამოძვრებოდა, ბოლოს ძალლიც გამოხტებოდა და წიწილასა და პატრონს ამოუცუცქდებოდა გვერდში. მეორეგან მთელ სადგომს კერია შეადგენდა, რომელსაც სახლის კერიას ვერც უწოდებდი, რამეთუ თვით სახლი არსად ჩანდა; კერიაზე რაღაც იხრაკებოდა; თავს დედაბერი დასტრიალებდა, ბანანსა თუ ტაროს, კარტოფილის კვალსაც იქვე დაინახავდი. აქ კი მეტი არც გახლავთ საჭირო.

ქალაქში დაბრუნებისას ყაზარმებსა და პლაცს გადავაწყყდით სოფლებშუა. გზის ორივე მხარეს დიდი, ყვითელი შენობები ჩამწკრივებულიყო, სადაც ათასამდე კაცი მაინც მოთავსდებოდა. პოლკოვნიკი გარეთ სავარძელში იჯდა, სადარაჯოს გვერდით ერთ დიდ, გაწმენდილ მინდორზე. ახალგაზრდა ოფი-

ცრები ჯარისკაცებსა წვრთნიდნენ. წვრთნა დილის ათიდან თორმეტ საათამდე და საღამოს ხუთიდან რვაამდე გრძელდება.

ჯარისკაცები სულ ტაგალები იყვნენ. ზოგი იძახის, ექვსი ათასამდე იქნებიან, ზოგი—ცხრა ათასამდეო. ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები ესპანელები არიან. მოედანზე ფეხშიშველი ინდოელი რეკრუტები მწყობრში დადიოდნენ წინ და უკან, ოცეულებად დაწყობილები. უნტერ-ოფიცერი წინ მიუძღვებოდათ, ოფიცერი კი, ხელში ბამბუკის ჯოხით, ძერასავით დატრიალებდა ირგვლივ. ჯოხი დაუცხრომლად მოქმედებდა, ხან შიშველ ქუსლებს, ხან მხრებსა და ხან დამნაშავის კეფაზე ადენდა ბლღვირს... მე სწრაფად გავეცალე იქაურობას.

კაც-საღოზე გახურებული სეირნობა დავგვხვდა. ქალაქელები ეტლებით მობრძანებულნი იყვნენ, სოფლელები ფეხით. ბევრი ლამაზი სახე ვნახეთ, ბევრი ფერმკრთალი შავთვალა სინიორა, რომლებიც თავდაუხუტრავი იყვნენ და ხელში ჯადოსნური მარაო ეპყრათ. ისინი ყველაში გამოირჩეოდნენ ამაყი გამოხედვით, მიმოხვრიათა და არისტოკრატიული ზვიადობით. მეტისი ქალები სულ სხვა ნირისა არიან. დაქირავებული კალიასკით თამამად შეიჭრებიან ხოლმე ეკიპაჟთა მწყრივში, დაურიდებლად იყურებიან აქეთ-იქით, თუ შეხედავ, საპასუხო მზერას გესვრიან, ნაცნობებს ან იქნებ უცნობებსაც შესცინიან... წრეში ბევრი ცხენით დასეირნობდა, ეკიპაჟების მარცხნივ თუ მარჯვნივ, ხეივანსა და მინდორში. ამასობაში ტაგალი კაცები და ქალები გაუთავებელ ნაკადად ბრუნდებოდნენ ნავსადგურიდან, ფაბრიკებიდან თუ სამუშაოდან შინ. ზოგი ქალი ხარზე იყო გადამჯდარი.

უეცრივ მახლობელ მონასტრიდან მწუხრის ზარი გაისმა. ეკიპაჟები თუ ფეხით მიმავლები მყის შეჩერდნენ და ადგილზე გაქვავდნენ. მამაკაცებმა ქუდები მოიხადეს, ქალებმა პირჯვარი გადაისახეს, ტაგალ დიაცებიდან ბევრმა მუხლი მოიყარა. მხოლოდ ორმა ინგლისელმა თუ ამერიკელმა ჩაიქროლეს ეტლით წრეში და ქუდები არ მოიხადეს. წუთიც და ყველამ ისევ გზა გააგრძელა. ეს Angelus-ი გახლავთ. მოედანს ხუთჯერ შემოვუარეთ. ჩამობნელდა. ბევრი წავიდ-წამოვიდა. ჩვენ ესკოლტაზე გავეშურეთ, სორბეტოს ანუ ნაყინის საჭმელად.

ქვემო სართულის ერთს გრძელზე გრძელ, ქვისიატაკიან

დარბაზში, ერთ გრძელსა და სხვა პატარ-პატარა მაგიდებს ჩვენები და უცხოები, — ინგლისელები, ესპანელები, ამერიკელები, მეტიხები შემოსხდომოდნენ, ნაყინს მიირთმევდნენ და ლიმონათს სვამდნენ. ათიოდე ტაგალი და ერთი ზანგი ისე მოგვეცივდნენ, თითქო ჩვენი წაქცევა გადაეწყვიტათ, თურმე კი იმის შეტყობა უნდოდათ, რას ვინებებდით. მე ერთიც მოვიკითხე, მეორეც და გავსინჯე. არა, გეთაყვა, ასეთ ნაყინს მართო ტაგალი თუ შექამს. ვინც ევროპიდან ჩამოსულა, იმას გაუჭირდება ამ დაშაქრული თოვლის ყლაპვა. მერე გავაბოლე სიგარა და ისევ ესკოლტას ქუჩას გავყევი. ის ყველა სხვა ქუჩებს სჯობია; საღამოობით განახჩახებულა და მაღალი კლასის მოსეირნეებით არის სავსე. ისინი მხოლოდ საღამოობით ეწვევიან ხოლმე დუქნებს.

შინ, ჩაი რომ დავლიე, ვერანდაზე კარგა ხანს ვიჯექი, მერე ჩემს ოთახში ჩავიკეტე და წერილების მიწერა დავაპირე; მაგრამ სხვებივით ჩემთვისაც ქოქოსის ზეთის სანათური მოეცათ. თავიდან ხომ გაჭირვებით პარპალებდა, ბოლოს კი ისე მიიბუეუტა, რომ ჩემს ლოგინს ძლივს მივაგენი სიბნელეში და ლურჯი მარმარის მიჩიგდანში შევეძვერი. ის ლეიბის ქვეშაა დამაგრებული და არ იხსნება. ამ სიფრთხილის მიუხედავად ქინქლები მაინც ახერხებენ შემოძვრომას. ორი-სამიც რომ შემოძვრეს, ისეთ დღეს დაგაყენებენ, მეორე დილას ათიოდე წითელი წინწკალი მაინც დაგაჩნდება და რამდენიმე დღე არ გადაგივლის. ამას წინათ თვალი მოვკარი, რომ დერეფნიდან ჩემს ოთახში ორი-სამი გოჯის სიგრძე ხელიკი შემოძვრა. როგორც კი მის დასაპერად ადგომა დავაპირე, მაშინვე მიიმალა. მეორე დღეს მუსიე დემიენს შევჩივლე ეს ამბავი, ვთხოვე, მოაძებნინეთ და იქაურობას მოაშორეთ-მეთქი. „რატომ? — მომიჭრა ჩვეულეებისამებრ, — ის არ იკბინება“. — „მართალია, მაგრამ მაინც ხელიკია, ქვეწარმავალი, ლოგინზე რომ ამომიძვრეს, რა სასიამოვნო იქნება“. — „პირიქით, ძალიანიც კარგი იქნება, — მითხრა მან, — შვიდი თვე ლოგინში მყავდა ერთი ხელიკი, ჰოდა, ქინქლას ერთხელაც აღარ უკბენია, ისე მარჯვედ იჭერს მათ. თუ იქ იქნება, ერთი კოლოც ვერ გიკბენთ...“ — „შემდეგ სად წავიდა?“ — ვკითხე ხელიკის ამბით დაინტერესებულმა. „მოკვდა“. — „თავისით?“ — „არა, ძილში გამიჭყლეტია“.

ჩემთვის მართლაც აღარ უკბენიათ კოლოებს, მაგრამ ლოგინში ხელიკის ყოფნას მაინც ორი-სამი კოლოს არსებობა მერჩივნა. თუმცა მერე ერთხელაც არ მომიკრავს თვალი. „მორიელები სხვაა, — მეუბნებოდა დემიენი, — c'est très mauvais !; წინათ ხშირად ვნახულობდი სამზარეულოში: შეშას მოჰყვებოდნენ ხოლმე. მაგრამ მას აქეთ, რაც ქვანახშირით ვახურებ, ერთიც აღარ მინახავს“.

„რა ბედნიერებაა ზღვაში დიდხანს ყოფნის შემდეგ ხმელეთზე, ლოგინში დაძინება, რომელიც არ ირწევია, მაგიდიდან არაფერი ცვივა, ბიზან-შკოტი თუ გროტო-ბრასი თავზე აღარ დაგრიხინებს, კედლები არ ზანზარებს!..“ — ვფიქრობდი გულში და უცბად გამახსენდა, რომ აქ მიწისძვრა ჩვეულებრივი, ყოველწლიურ მოვლენას წარმოადგენს. ღმერთო, შენ დამიფარე ასეთი რწევისგან!

დილით ლოგინში ან ჩაის, ან ყავასა თუ შოკოლადს მოგართმევენ. შემდეგ შეგიძლიათ ბარე სამჯერ ისაუზმოთ, რადგან ზოგიერთები ათ საათზე საუზმობენ, როგორც დაწესებულია, ამასობაში სხვები სეირნობენ და საუზმეს უფრო გვიან მიირთმევენ. ეს ბედნიერება კი დოლარ ნახევარი ღირს. თანაც როგორ აბაზანასაც მოისურვებთ, იმას მიიღებთ. თბილში ოთხ რეალს გადაიხდით, ცივი უფასოა — ასე წერია დარბაზის კედელზე გაკრულ განცხადებაში. წყალი პირდაპირ პასიგიდან მოდის. აბაზანები ეზოში გამავალ ვერანდაზეა მოწყობილი. პირველად იქ muchacho-მ, ბიჭმა მიმიყვანა. „წყალი, agua სად არის-მეთქი?“ — ვკითხე. მან ზონარზე მიმითითა, ხელით მანიშნა, უნდა ჩამოსწიო, და გავიდა. დავდექი აბაზანაში, ჩამოვწიე ზონარი, წყალი არ წამოვიდა. მეორედ მოვწიე — მაინც არაფერი ეშველა; მთელი ძალით ჩამოვქაჩე — ხუთიოდე წვეთი დამეცა, უფრო სწორად ოთხი, ერთი მეორის მიყოლებით, მეხუთე — უფრო მოგვიანებით, მეექვსე გამოჩნდა და დაეკიდა. რამდენიც არ ვქაჩე, მეტს ვერ მივალწიე. გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი, ჩავიცვი და გამოვედი. გვერდით მეორე კარი დავინახე; გავხსენი, ისეთივე პატარა სააბაზანო იყო, ოღონდ აბაზანა არ იდგა, ზონარიც ეკიდა, ზემოთ შხაპის

1 ისინი ძალზე საშიშია (ფრანგ.)

წურწურა გაეკეთებინათ. ოღონდ მოდის კი წყალი? „ერთი ვსინჯავ-მეთქი, — ვიფიქრე, — მერე რა, რომ აბაზანა არა აქვს: ქვის იატაკი კიდევ სჯობს-თქო!“. ისევ დავდექი წურწურას ქვეშ. ზონარს ხელი შევახე თუ არა, ჯერ მსხვილ-მსხვილი წვეთები ჩამოიღვარა და მყის გამაგრილა. უფრო მაგრად რომ მოვქაჩე, ჩანჩქერივით იქუხა წყალმა. „რა კარგია, რა ჩინებულ-ლი!“ — ვიძახდი ხმამაღლა და ვექაჩებოდი და ვექაჩებოდი ზონარს. წყალი ნიაღვრებად მესხმებოდა თავზე. ზემოთ გრი-ალი და თუხთუხი ისმოდა, თითქო მთელ მდინარეს აქეთ გა-მოეტია. „ახლა მეყოფა-მეთქი“. ქაჩვას თავი დავანებე, მაგრამ წყალს არც უფიქრია გაჩერება, პირიქით, მეტი და მეტი გაშ-მაგებით მიტევდა და შხეფების კორიანტელში მახვევდა მე. კედლებს, სავარძელსა და სავარძელზე დალაგებულ ჩემს-საცუ-ლებსა და სამოსს. „ეს რა ამბავია-მეთქი?“ — ვფიქრობდი და შეშფოთებული ვეძებდი, ზამბარა ხომ არსად არის, ეს წყალ-დიდობა შემეჩერებინა. ვერაფერი აღმოვაჩინე. ზონარი საპი-რისპირო მხარეს. გადავქაჩე, ვიფიქრე, გაჩერდებოდა; ხელს ვახლებდი თუ არა, უარესად მოთქიშინებდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა: ჩაცმით ვერ ჩავეიცვამ; გამოვიდე, შიშველი როგორ გა-მონჯალ? ისიც კი ვიფიქრე, ტანსაცმელს ხელს დავავლებ და სირბილით გავქანდები ჩემს ოთახამდე-მეთქი. მაგრამ ამ უე-ღურეს საშუალებას ხანძრის ან მიწისძვრის შემთხვევაში თუ მიმართავ, ან თუ წყალი კისრამდე მოგწვდა, ჯერჯერობით კ-მხოლოდ მუხლამდე მწვდებოდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბო-ლოს გადავწყვიტე, რომ დიდად შესაშფოთებელი არაფერი მქონდა. დახრჩობით არ დავისრჩობოდი, გაცივებით მით უმე-ტეს რა გამაცივებდა, გულითაც რომ მდომებოდა; საუზმე ჯერ აღრეა, თუ დამაგვიანდა, მერეც გამიშლიან; დაე, ითქიშინოს: ვინმე ხომ შემოვა ამასობაში. ჰოდა, დავიკრიფე გულზე ხელე-ბი, რამდენიც გინდა ითქიშინე-მეთქი.

სამიოდე წუთის შემდეგ ერთბაშად კარი ნელ-ნელა გაიხსნა. „Muchacho!“ — დავუყვირე გულმოსულმა. ინდოელის მაგიე-რად ფადევის სახე დავინახე. რარიგ გამიხარდა იმისი დანახვა! „შენ აქ რა გინდა-მეთქი?“ — „საცვლები და ტანსაცმელი მო-გართვით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ“. — „ამ წყალს რა-მე მოუხერხე, ძმაო, — შევჩივლე მას, — ლამისაა დამახრჩოს“.

ფადეევმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რა დღეშიც ვიყავ, და თავის ჩვეულების მიხედვით სიხარულით ცას დაეწია. ტყუილად იკენეტდა ტუჩებს — სიცილს ვერა და ვერ იკავებდა. ერთი-ორჯერ კიდევ მოქაჩა ზონარს, იმ მიზეზით, მანქანას გავაჩერებო. „არა, მოიცა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბოშას მივიყვან ისევო“, — მითხრა მან, როცა წყალი ვერ იქნა და ვერ შეაკავა. „ბოშამ“ რაღაცნაირად მოსწია ზონარი, მერე გვერდით, მეორე სააბაზანოში შევარდა, რატომღაც იქ ზემოთ აძვრა და წყალიც შეწყდა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი ოთახის იატაკის ქვეშ ფადეევის ხმა გავიგონე, რომელიც ეზოში თავის ორ ამხანაგს ჩემი ბანაობის ანეგდოტურ ამბავს უყვებოდა. დემიენს რომ ვუამბე ჩემი გაკირვება, გაეცინა. „ორივე აბაზანას ღარი გაუფუჭდა. შესაკეთებელიაო“, — თქვა გაკვრით. „დიდიხანია, რაც გაუფუჭდამეთქი?“ „არა, ამ ზამთარსო...“ კაპშტატის Welch's hotel-ში ჩამტვრეული შუშისა არ იყოს, ახლაც ვიფიქრე, უთაურობას ისევ ჩვენ გეწამებენ, ამბობენ, რუს კაცს უღარდებოდა სჩვევიაო: არა, გეთაყვა, უღარდებოდა ჩვეულებრივ ადამიანური თვისება ყოფილა.

ბოლოს ერთ დილას, ადრიანად, მაშასადამე, საათის ცხრაზე მოვიყარეთ თავი და ახალგაზრდა აველოსა და კარმენასთან გავწიეთ ვიზიტით. ამ თავაზიანობას სიგარების სამეფო ფაბრიკის დათვალიერება და სიგარების ყიდვა ედო სარჩულად. მეეტლემ ესპანურ ქალაქში გაგვიყვანა და აველოს მამის, აქაური გაზეთის რედაქტორის სახლს მიგვაყენა. ალაყაფიდან დახურულ ეზოში შევედით და რედაქციაში ამოვყავით თავი. ფარდულის კუთხეში, ზედ ალაყაფის კართან, ორი თუ სამი ახალგაზრდა კაცი იჯდა, ალბათ თანამშრომლები თუ იყვნენ. ერთი განსაკუთრებულ საწიგნეს მიჯდომოდა, როგორც ჩანს, უფროსი იყო. ყველანი წერდნენ. იქვე შორიახლოს ტაგალები ეს-ესა. დაბეჭდილ გაზეთის ფურცლებს კეცავდნენ. უფროს თანამშრომელს ფრანგული სცოდნოდა. აველო და კარმენა ვიკითხეთ: გვითხრა, ისინი უკვე სამსახურში იქნებიან, ღალის აკრეფის ადმინისტრაციაშიო, და ტაგალი გააგზავნა მათ დასაძახებლად. ჩვენ კი ზემოთ, ოთახებში, შეგვიპატიჟა, ცოტა ხანს მოუცადეთო.

მუქი ხის სუფთა, გაკრიალებულმა კიბემ პირდაპირ ერთ უმველებელ გალერეა-დარბაზში შეგვიყვანა. დიდებულად იყო მორთული, მშვენიერი ფარდები ეკიდა, ახალი მოდის ავეჯი ეწყო. ყოველ კუთხეში დივანი, პატეები, პატარა მაგიდები იდგა. მაგიდებზე აუარება პატარ-პატარა, ლამაზი ნივთები ელაგა, ვითარცა კარგი ჟურნალის რედაქტორს შეჰფერის. ტაგალმა დედაკაცმა მუშაობას ანება თავი, წამოდგა და ბატონებისთვის ჩვენი მისვლის სამცნობლად გავიდა: ერთი წუთის შემდეგ მაღალი, ჩასუქებული მოხუცებული ქალი შემოვიდა. 'შევერცხლილ თავზე საბურთი არ ეხურა, სახე ფერმკრთალი ჰქონდა, შავი თვალები კეთილად უციმციმებდა, სახეზე სათნო ღიმილი დასთამაშებდა, სულ თეთრები ეცვა: სწორედ ძველებურ სურათს წარმოადგენდა, რომელიც სურათების გალერეის კედლიდან გარეშეულიყო. ის რედაქტორის მეუღლე გამოდგა. ჩვენ თავი დავუჟარიტ ერთმანეთს და ავლაპარაკდით, ის ესპანურად, ჩვენ ჯერ ფრანგულად და მერე ინგლისურად, მაგრამ ამან შედეგი არაფერი გამოიღო, თუმცა როგორ არა, შედეგად სავარძელი აღმოჩნდა, რაზეც მოხუცებულმა ქალმა მიგვიითთა. ჩაბრძანდითო. ჩვენ ისევ ვცადეთ გამოლაპარაკება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ბოლოს მოხუცი ქალი გავიდა, გასვლისას რაღაც გვითხრა, ალბათ გვთხოვა, დაიცადეთო. ხუთიოდე წუთი კიდევ შევიცადეთ და ეს დრო დარბაზის დათვალიერებას მოვანდომეთ. სხვათა შორის, იატაკში აქაც ისეთივე ფარალალები აღმოვაჩინეთ, როგორც ფონდაში. მთელი ჰერიც ცარცით შეღებილ პატარა ფიცრებისგან იყო შეკოწიწებული. როგორც ჩანს, მიწისძვრა აქ სახუმრო ამბავს არ წარმოადგენდა და ყველას ნიადაგ შიშში ამყოფებდა. მაგრამ ამ დაკვირვებებმა თავი მოგვაბეზრა და წასვლა გადავწყვიტეთ.

ფეხისწვერებზე მშვიდობით გამოვალწიეთ დარბაზიდან. კიბეზე ჩავედით და კარებში აველოსა და კარმენას შევეჩხეთ. იმათ მოგვაბრუნეს, დაგვსვეს, სიგარები მოგვართვეს, საუზმეც და პირის გასველებაც შამოგვთავაზეს და ბოლოს გუშინდელი გაზეთიც გვაჩვენეს. შიგ ჩვენი ფრეგატი მეტად გულთბილად იყო მოხსენიებული, ისიც ეწერა, ესპანელებს როგორ შევხვდით იქ და კიდევ სხვა და სხვა. ჩვენ გავახსენეთ, ფაბრიკის ნახვასა და სიგარების ყიდვაში დახმარებას რომ დაგვპირდნენ. აველო თავის მამასთან გავიდა, მერე მობრუნდა და კარეტის

შებმის განკარგულება გასცა. მან თითქმის ძალით ჩაგვსვა შიგ, თვითონაც ჩაჯდა, კარმენაც მოისვა, ჩვენს მეეტლეს კი უბრძანა, უკან გამოგვეყოლოდა.

ფაბრიკა ბინონდოს გარეუბანში დგას და უზარმაზარ, ორსართულიან კვადრატულ შენობას წარმოადგენს. რამდენიმე ფლიგელი და მინაშენი აქვს, უამრავი ალაყაფის კარი და ჭიშკრები, შიგნით კი დიდი ეზო. მთავარ ალაყაფთან აველო მოვლასპარაკა დარაჯებს და იმათ არ შეგვიშვებს. ამ დროს საბაჟოს ოფიცერი მოვიდა ცხენით: აველომ იმას მიმართა — არც იმან შეგვიშვა. „ამას უპროტექციოდაც მივადწევდით-მეთქი“, — გადავულასპარაკე ბარონს. ყველას ეს დაეუინებინა, ფაბრიკის დირექციისაგან ბილეთი არის საჭიროო. ჩვენ იქ გავემართეთ, საბედნიეროდ, შორს არ ყოფილა. სხვადასხვა ოთახებსა და განყოფილებებში ხეტიალის შემდეგ ბოლოს ხელთ მოვიგდეთ ბარათი და წავედით. მერე დარაჯებმა ხელიდან ხელში გადასცეს ის ერთმანეთს, ათვალეირეს, ზემოთ აიტანეს, ხუთიოდე წუთის შემდეგ კი ერთმა ბებერმა ტაგალმა ისევ ძირს ჩამოიტანა. ამასობაში კი ჩვენ გზაზე ვიხრუყებოდით. თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება უფრო მეეტლესა და ცხენებს შეეხებოდა, რადგან ჩვენ კარეტაში ვისხედით. ტაგალმა მიგვიწვია, წამობრძანდითო; ჩვენ ერთი დარაჯიც გამოგვეყვა.

ვიდრე ალაყაფიდან ეზოში შევიდოდით და კიბეს ავივლიდით, შენობიდან თანდათან უფრო ძლიერად ისმოდა თითქო უამრავი ჩაქუჩის კაკუნი. გავიარეთ თამბაქოს ანცემებით, ცარიელი ყუთებით, თამბაქოს ფურცლების მონაჭკრებით დახერგილი რამდენიმე დერეფანი. შემდეგ ზემოთ ავედით და ერთ გრძელ დარბაზში შევედით, სადაც ჭერი, როგორც ყველგან ისევე თხელი ფიცრებისაგან იყო შეკოწიწებული და ხის ბოძების მწყკრივი იმაგრებდა.

დარბაზის იატაკზე, დაბალი და გრძელი ხის მერხების წინ, რიგრიგად ჩამსხდარიყვენენ ექვსასამდე თუ შვიდასამდე ტაგალი დიაცები, თხუთმეტი წლის ასაკიდან ხნიერებამდე: თითოეულს ხელში მრგვალი, სიპი ქვა ეკავა, გვერდით, იატაკზე კი ფოთლოვანი თამბაქო ეყარა ბლომად. ის ქალბატონები თითო ფურცელს იღებდნენ, მერხზე წინ დაიდებდნენ და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ქვებს უბრაზუნებდნენ. ამ რახუნში არათუ

ერთმანეთის ლაპარაკს გაიგონებდი, თვალსაც ვერ ჩაუკრავდი. რამდენი თავი მოტრიალდა ჩვენსკენ, რამდენმა შავმა, ცბიერმა თვალმა შემოგვანათა! ხმა არავის ამოუღია, სამაგიეროდ თვალები უფრო მეტად მეტყველებდნენ და ხელები უფრო გამალებით მუშაობდნენ. ალბათ, შეამჩნიეს, როგორ გვემანჭებოდა სახე ამ ყურისთვის უჩვეულო კაკუნზე და მთელი ღონით დასცხეს და დასცხეს. მეტი წილი სიცილს ვერ იკავებდა, რა ნახეს, გაძლიერებულ რაკუნზე ჩვენ რომ უფრო მეტად დაგვემანჭა სახე. ეს მათთვის მოულოდნელი გართობა, თავისებური კეკლუცობა გამოდგა.

ჩვენს ყმაწვილ თანამგზავრებს არცთუ დიდად აწუხებდათ ხმაური; ზოგიერთ მუშა-ქალთან შეჩერდებოდნენ ხოლმე და არათუ ლაპარაკს ახერხებდნენ, ერთმანეთის ნათქვამსაც იგებდნენ. მინდოდა რაღაც მეკითხა კარმენასათვის, მაგრამ მეც კი ვერ გავიგონე, რა ვთქვი. თან რაღაც ზეთის, ალბათ თამბაქოს ზეთის სუნი იდგა მთელ დარბაზში და ფრიალ უსიამო იყო.

მაგრამ, აი, უკვე გამოვდივართ დარბაზიდან. „ახლავე გათავდება-მეთქი ყველაფერი“, — ვაიმედებდი თავს. მართლაც გამოვედით, მაგრამ ახლა მეორე, ზუსტად ისეთივე დარბაზში შევედით, იმის იქით კიდევ ერთი დარბაზი მოჩანდა; ყოველ ნაბიჯზე სულ ახალი და ახალი ოთახები ჩნდებოდა. „ნეტავ რამდენი ქალი მუშაობს-მეთქი აქ?“ — ვიკითხე ორ დარბაზის შუა პატარა, ცარიელ ფართობზე გაჩერებულმა. „რვიდან ცხრა ათასამდეო“, — მითხრა აველომ. „რას ამბობთ!“ — „ღიახ. ახლანდელი გუბერნატორი ფაბრიკის გადიდებასა და გაუმჯობესებას აპირებს. მეტად მომგებიანია“. — „რვა, ცხრა ათასი-მეთქი!“ — გავიმეორე გოცებულმა და ამ მეტწილად ეშხიან, ყაღისფერ სახეებს გადავხედე, რომლის პატრონები ისე მჭიდრო რიგებად მიმსხდარიყვნენ, თითქო ადლუმზე არიანო.

ყოველ დარბაზში ჩვენს გამოჩენაზე ერთი და იგივე ამბავი მეორდებოდა: ინდოელი ქალები ჯერ ცნობისმოყვარეობით შერკვეპდებოდნენ, მერე კაკუნს მთელი ძალით შემოსცხებდნენ და ღიმილს ძლივს იკავებდნენ. ჩვენ უგულისყუროდ ვიხედებოდით აქეთ-იქით, სახე საცოდავად გვემანჭებოდა და გასვლას ვესწრაფებოდით. ქარხანაში მკაცრი წესრიგია დამყარებული. ინდოელი ქალები არ იციინიან, არ ლაპარაკობენ: მათი

საქმე მხოლოდ კაკუნი და კაკუნია. ამბობენ, თავი მეტად პატიოსნად უჭირავთო: საამისოდ ყველა ზომაა მიღებული. გარდა ორი-სამი ბებერი ტაგალი კაცისა და ორი-სამი მოხელე-ზედამხედველისა იქ სხვა მამაკაცს ვერ ნახავთ.

სხვა ოთახებში მოხუცი ქალებიდან ზოგი სიგარას ახვევდა, ზოგი ბოლოებს უჭრიდა, ზოგი წონიდა, თვლიდა და ა. შ. ყველა განყოფილება აღარ მოგვივლია: ეს ნიმუშიც საკმარისი იყო.

გასასვლელის წინ, უკანასკნელ ოთახში, ერთ-ერთი განყოფილების გამგე — ალფორადორი უჯდა ბიუროს. მას თურმე ინგლისური სცოდნოდა. რა შეიტყო, რუსები ვიყავით, პირველ ყოვლისა, გვაუწყა, პეტერბურგიდან ბევრი შეკვეთა მოგვდისო, მერე აგვიხსნა, რომ ის რამდენიმე თვის წინათ ჰავანადან გამოეწვიათ საგანგებოდ, რა არის სიგარის დაგრაგნის ჰავანური ხერხი დაენერგა, რადგან მანილური ხერხი სხვა და სხვა მიზეზების გამო მოხერხებული არ გახლდათ. თქვა, რომ მანილის თამბაქო ჰავანისას არ ჩამოუვარდება, რომ აქ დამზადების ბევრი ხერხი არ იციან და მეტად უხეიროდ გრავნიანო. დაგრაგნას კი მისი აზრით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თქვა კიდევ, თამბაქოს რამდენადმე გემოსაც უცვლისო. „აგერ, ორი სიგარაა, ერთი ჯიშის თამბაქოსი, ოლონდ სხვადასხვანაირად დაგრაგნილი, — გვითხრა მან და თამბაქოს ორი ღერი მოგვაჩეჩა, — ეს საუკეთესო ჯიშისა არის, ერთი ჰავანურად დაგრაგნილი, უფრო შავრად და ირიბად, მეორე აქაური ხერხით, პირდაპირ. ერთი დღეს დაამზადეს, მეორე გუშინ“, — დააბოლავა მან თითქო სივარების უფრო მეტად შესაქებად.

ორივე სიგარას ხელში ვატრიალებდი და უნდობლად დავყურებდი: „გუშინ და დღესააო დამზადებული, — ვიძახდი ჩემთვის, — ნახა რაღა გასამასპინძლებელი!“ და ლამის თანჯარაში მოვისროლე, მაგრამ უზრდელობაში ჩამეთვლებოდა და ისევ ჯიბეში შევინახე. კარეტაში რომ ჩავჯდები, მაშინ გადავაგდებ-მეთქი. „არა, არა, მოსწიეთო“, — ჩამცივებოდა მაინც ალფორადორი. მეტი რა გზა იყო, გავაბოლე. გავაბოლე და უეცრივ მსუბუქი, სურნელოვანი კვამლი დაიკლაქნა. ჩემდა გასაკვირად, სიგარას იოლად მოეკიდა, თამბაქოც ჩინებული გამოდგა, თუმცა კი ფერფლი მაინცდამაინც თეთრი არ დარჩა.

„ოჰო, მშვენიერი სიგარა ყოფილა!— ვტკვი მე, — შეიძლება კ ვიყილოთ ისინი?“ — „არა, ეს ჰავანური ხერხით გახლავთ დაგ-
რაგნილი. მზად ჯერ არა გვაქვს, ორიოდ კვირაში იქნება, —
დაუწია მან ხმას და იმავე ოთახში იატაკზე მჯდარ რამდენიმე
დედაბერს ზურგით მოუბრუნდა, რომლებიც სიგარებს გრაგ-
ნიდნენ. — შემიძლია რამდენიმე ათასი დაგიმზადოთ...“ —
„არა მგონია, ჩვენ ამდენ ხანს დავრჩეთ აქ. მაღაზიაში რატომ
არ იშოვება ისინი?“ — ვკითხე მე. „აქაური ქალები თავისებურ
გრაგვნას არიან მიჩვეულები და ამიტომ ჰავანური ხერხით ნე-
ლა მუშაობენ. აგერ ახლა მეორე სიგარა მოსწიეთ, აქაურად
დაგრაგნილი“. რომ გავაბოლე, ისიც მომეწონა, თუმცა პირვე-
ლი მართლაც სჯობდა. ან იქნებ იმიტომ მომეჩვენა, ალფორა-
დორმა წინასწარ რომ მითხრა. „ასეთებს თუ მაინც გვაშოვნი-
ნებთ?“ — „მასეთებს და უფრო პატარებს, მეორე ხარისხისას,
მაღაზიაში იყიდით.“ — „ორივე ბოლოდან მოჭრილს თუ ვიშო-
ვით იქ?“ — „ჩირუტებს? Plenty, o plenty (ბევრს!), — მომი-
გო მან, — ისინი მესამე და მეოთხე ხარისხისა გახლავთ, ინდო-
ეთიდან დაწყებული ამერიკამდე, ინდოეთისა თუ აღმოსავლეთ
ოკეანეზე ჩირუტებს ეწევიან მხოლოდო“.

მართლაც სინგაპურსა და ჩინეთში ჩირუტების გარდა სხვა
სიგარები არც გვინახავს. ალფორადორი შეგვპირდა, სიგარებს
ორ კვირაზე ადრე მოგიმზადებთო, და ბარათი მოგვცა შესასვ-
ლელში წარსადგენად, როცა მის ნახვას მოვისურვებდით. გა-
დაუხანდეთ მადლობა ალფორადორს, მერე ბ-ტ აველოსა და
კარმენას და შინ გავეშურეთ, ფაბრიკის ნახვით და ესპანელთა
თავაზიანობით ფრიად კმაყოფილები, თუმცა უსიგაროდ კ
დავრჩით.

შინ ამბავი დავგვხვდა, რომ გენერალ-გუბერნატორი სადი-
ლად გვიწვევდა. ჩემი საპარადო ტანსაცმელი ფრეგატზე დამ-
რჩა და ამიტომ ველარ წავედი. თავდაპირველად გული დამწყ-
და, ესპანურ სადილზე რომ ვერ მოვხვდი, მაგრამ მითხრეს, სა-
დილი გაჭიანურებული, უხეირო, მოსაწყენი იყო და ამ სა-
დილზე გუბერნატორისა და ხერესის გარდა ესპანური არაფერს
დაერქმეოდაო. გუბერნატორი სეირნობაზე ვნახე, ეტლში იჯდა
და ჯოკეები ახლდა, ულანების რაზმიც მოსდევდა; ხერესიც

დალუღი მქონდა, ასე რომ, შემდეგ აღარ მინანია წაუსვლელობა.

სალამოს ოტელში დაბინავებულ ფრანგს შევთავაზე ჩემს ეტლში ადგილი. ჯერ ს.-მიგელის გავლით მინდვრად გავედით. იქიდან ესკოლტაზე შევიარეთ, სალამოობით ჩვენი შეკრების ადგილზე, მერე კი მუსიკის მოსასმენად გუბერნატორის სახლისკენ გავწიეთ. ბალის ირგვლივ, მოედანზე ეკიბაჟები ჩამწყრივებულნიყო. შიგ მოსეირნენი ისხდნენ. აქ მეტწილად ეტლებით დასეირნობენ. მათ მაგალითისთვის აღარ მიმიბაძია, ეტლიდან გადმოვედი და მოედანზე დავიწყე ხეტიალი.

რა სალამოა! რა სანახაობა! ტაძარი და რატუშა მთვარის შუქს გაექათქათებინა, სასახლე კი ჩრდილში მიმალულიყო; ბრინჯაოს ძეგლი მოჩვენებასავით ჩანდა მთვარის ნათელზე. რა ნაზი, რა მწყაზარია ეს შუქი, რა ნეტარებით გალურსულა თბილი ჰაერი — თან მშვენიერი მუსიკაც გესმის. აქ რვა საპოლკო ორკესტრია, გარდა ამისა, კერძოც ბევრია. ერთმა თქვა, სამასამდე იქნებაო: ალბათ თუ იხუმრა. ან იქნებ მართალიც არის. ამბობენ, აქ მხოლოდ ცეკვავენო, ასე რომ დიდმარხვაზე რომ არ ჩამოვსულიყავით, ბევრ სალამოსა და შეკრებაზე მოგვიწვედა დასწრება. — აქ და ცეკვა! ამბობენ, ინკვიზიციის მოსპობით ესპანეთში ყოველნაირ წამებასაც ბოლო მოეღო! არა მგონია, ყველას! დაკვრაც კი ძნელია ამ სიციხეში, ისინი კი ცეკვავენ თურმე!

მუსიკოსები ყველანი ტაგალები არიან: ხელოვნებაში, საერთოდ, ისინი დიდ ნიქს იჩენენ. მშვენიერი სმენა აქვთ: ამბობენ, პოლკებში უნოტოდ ასწავლიანო. არ ვიცი, რამდენად მართალია, ოღონდაც იმას კი ვიტყვი, რომ მათი დაკვრა ყველა ორკესტრს შეშურდებოდა, რომელ ქვეყანაშიც არ გინდა — ისე სუფთად, მკაფიოდ და გამომეტყველად უკრავენ.

ორკესტრები რიგ-რიგობით ჩერდებოდნენ სასახლესთან, ორ-სამ პიესას ასრულებდნენ და მერე ყაზარმებში მიდიოდნენ.

ყველაზე მეტად, სხვათა შორის, ვერდის უკრავდნენ, აქ ის ყველას ურჩევნიათ, მისი ორიგინალობა. გაბედულება იტაცებს თუ მისი სიახლე მოსწონთ, ამის გამორკვევა უკვე ვეღარ მოვასწარი.

უკანასკნელი ორკესტრი უკვე შინ ბრუნდებოდა, ჩრდილში

მიმალულ ქუჩებში საზეიმო მარშის ხმები იფრქვეოდა. ეკიპაჟები ამოძრავდნენ და სხვადასხვა მიმართულებით გაგრი-
აღდნენ. მე და ფრანგმა ციხე-სიმაგრეიდან ისევ ზღვის ნაპირზე
გავისეირნეთ, დაცარიელებული კალსადო ჩავიქროლეთ და ქა-
ლაქში მოვბრუნდით. ფრანგმა მთხოვა, ერთ სახლთან გამაჩე-
რეთო. „ცოტა ხნით აქ უნდა შეეჩერდეო“, — წამიმღერა თა-
ვისი ფალცეტოთი და კარებში მიიმალა. ამ დროს ზემოთ, სარ-
კმელთან, ქალის ჩრდილმა გაიელვა და ჟალუზები დაიკეტა...
ოტელში აღარავინ დამხვდა: ნაწილი რეიდზე წასულიყო, ნა-
წილი საღამოზე, სადაც დილიდანვე მიგვიწვია კარმენამ, სხვები
უკვე დაწოლილიყვნენ. მე წერილებს ჩავუჯექი.

ბოლოს მისიონერებთან წასვლა გადაწყვიტეთ და პორტუ-
გალიელი ეპისკოპოსის სახლისკენ გავემართეთ. იქ, ახალგაზრდა
მისიონერთან მონსინიორი დინაკურიც დაგვხდა, ჩინურად ჩაც-
მული ეპისკოპოსი და კიდევ ერთი ბერი, ისიც მეცნაურა.
„ავგუსტინელთა მონასტრის წინამძღვარი გახლავთ, ფრანგუ-
ლად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ყველაფერი ესმისო“, — ასე გა-
გვაცნო ეპისკოპოსმა ბერი. მომაგონდა, რომ ეს სწორედ ის
ბერი იყო, რომელიც ქალაქგარეთ სეირნობისას კალიასკაში
ვხახე.

მოგვართვეს სიგარები — ეპისკოპოსმა, როგორც ქეშმა-
რიტმა ფრანგმა, ორი-სამი შეკითხვა მოგვცა ჩვენი მოგზაურო-
ბის ირგვლივ და მერე გულთბილად და მხიარულად მოგვიყვა
თავისი ამბავი. გვითხრა, რომ ოცი წელია ჩინეთში ცხოვრობს,
რომ ჯეძიანის პროვინციაში თავის სამწყოსს მოძღვრობს, რომ
ჯეძიანში თხუთმეტ მილიონამდე მოსახლე ითვლება. თქვა,
ჩინეთის მოსახლეობას სამას მილიონამდე როცა ანგარიშობენ,
გადაჭარბებულად არ უნდა მიიღოთო. მის პროვინციაში რამ-
დენიმე ქალაქია, სადაც ორი-სამი მილიონი მოსახლე ცხოვ-
რობს, მათ შორის განთქმული ქალაქი სუჩეუც არისო. „ქრის-
ტიანი რამდენი იქნება-მეთქი?“ — ვკითხე. „მთელ ჩინეთში
ხუთასი ათასამდეო“. „ცოტაა-მეთქი“. „ღიახ, ცოტაა; მაგრამ
ახლა უფრო მალე წავა გაქრისტიანების საქმე, — მიპასუხა
ეპისკოპოსმა, — განსაკუთრებით საშუალო და დაბალ კლასებ-
ში. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ბუდელი ბონზები და სწავ-
ლულები გვიწვიენ. მათზე არაფერი მოქმედებს: პირველები

ბრმა ფანატისკოსები არიან, მეორენი — პედანტები, სქოლასტიკოსები: მკედარ სიტყვაში ხედავენ მეცნიერებისა და განათლების არსს. მთელ სიძნელეს ის წარმოადგენს, როგორმე დავარწმუნოთ, რომ აქ მათი სიკეთისთვის ვართ ჩამოსულები და არა ჩვენდა სახეიროდ. ეს კი ვერა და ვერ წარმოუდგენიათ და არც გვიჯერებენ“. — „ქრისტიან მისიონერებს ვინძლო მალე ახალი საღვაწლო საქმეები გამოუჩნდეთ და იაპონიაში დათრუგვნილი ქრისტიანობის აღდგენა მოუზღდეთ. იაპონია ხომ დღე დღეზე უთუოდ გაუხსნის კარს ევროპელებს...“ — ვთქვი მე. „*A coups des canons, monsieur, à coups des canons!*“¹ — დასძინა ეპისკოპოსმა.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ორი, მგონი, იეზუიტი ბერი შემოვიდა და საუბარი გაგვაწყვეტინეს. მათ მუხლი მოიყარეს ეპისკოპოსის წინაშე, მისი კურთხევა მიიღეს და დასხდნენ. ეპისკოპოსმა თავის ბინაში მიგვიწვია, წმ. ავგუსტინის მონასტერში. მონასტერი ესპანურ ქალაქში ყოფილა, ერთი დიდი კუთხე ეჭირა და ერთის მხრივ ზღვას გადაჰყურებდა. ის ნამდვილ, უშველებელ სააბატოს წარმოადგენს, გალერეები, უამრავი დერეფნები, სენაკები ჰქონდა, სადაც კაცს გზა-კვალი აერეოდა. ჩვენ ეპისკოპოსის ბინაში დავისვენეთ ცოტა ხნით, წინამძღვარი კი ტაძარში წავიდა მოკლე ლოცვაზე, რასაც ზარის რეკვა აუწყებდა. საუზმე შემოგვთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი.

წინამძღვარი მალე მოვიდა და გუბერნატორისაგან ახლახან მიღებული ოფიციალური ცნობა მოგვითხანა, ესპანეთის დედოფალს ქალი შესძენიაო.

ის კვლავ მიიმალა, ჩვენ კი მონასტრის თაღებსა და გალერეებში გავემართეთ. გალერეებში ყველგან უხეირო სურათები ეკიდა კედლებზე: წმინდანთა გამოსახულებანი და მანილაში მცხოვრებ და გარდაცვლილ ეპისკოპოსთა პორტრეტები. ეკლესიის კარიბჭეებში რომელიღაც ძველებური მხატვრობის დიდი ტილოები ეკიდა. „ეს სურათები აქ საიდან მოხვდა-მეთქი?“. — ვიკითხე მე და წმ. პავლეს მოქცევის სურათზე მივეუთითე. არც ეპისკოპოსსა და არც ჩვენს ნაცნობ ახალგაზრდა მისიონერს

¹ მხოლოდ ზარბაზნების შემწეობით, ბატონო, მხოლოდ ზარბაზნების შემწეობით (ფრანგ.)

არაფერი სცოდნოდა ამის თაობაზე: ისინი აქ მარტო სტუმრები იყვნენ.

ვიწრო, ხვეული კიბით მთავარი ტაძრის ქანდარაზე ავედით. პირდაპირ გაგვაცოქა ქანდარის, კათედრის, ორღანის ფაქიზმა, ოსტატურმა ხის ჩუქურთმებმა. ხე მუქი იყო და ნაზი ფერები გადაჰკრავდა. „ვისი ნამუშევარია-მეთქი? — ვკითხე განციფრებულმა, — ნუთუ ევროპიდან ჩამოიტანეს? ევროპაში ეს ბუაზერები წარმოუდგენლად ძვირი ეღირებოდა“. — „სულ ინდოელების, ტაგალების ნამუშევარია, — მითხრეს მათ. — აი, შეხედეთ: ახლაც აქ მუშაობენ. შარშანდღემა მიწისძვრამ ტაძარი დააზიანა და ახლა ხელახლა აკეთებენ, მხატვრობაც სულ ტაგალებს ეკუთვნისო“. ხატებს გადავხედე. არა, მხატვრობა, ეტყობა, ტაგალებში ჯერ უსუსურობის ხანაში ყოფილა. მუსიკა, ძერწვასა და ჩუქურთმაში კი კარგა შორს წასულან. რაც შეეხება სურათებს, ისინი დიდად არ სჯობიან ჩვენში, ქუჩებში რომ იყიდება ტროტუარებზე. „ეს ხომ მანილაა, — მითხრა ახალგაზრდა მისიონერმა, ალბათ სახეზე შემამჩნია ამ სურათებით დატოვებული შთაბეჭდილება, — ველურ ინდოელთა ქვეყანა, რომლებიც ამ სამასი წლდს წინათ თითქმის ნადირები იყვნენ...“ — „დიახ, მაგრამ მას შემდეგ სამასმა წელმა განვლო! — ვთქვი მე. — ეს ტაძარი ქალაქის გალავნის კბილაა: შეიძლებოდა მურილიოს თანამემამულეთა მხატვრობით შემკოთ“.

ქვემოთ ჩამოვედით. ეპისკოპოსმა ალაგ-ალაგ გაბზარული კედლები, ალაგ-ალაგ ჩამოცვენილი ბათქაში, გაწეულ-გამოწეული ბოძები გვიჩვენა. ეს ყველაფერი მიწისძვრის კვალი ყოფილა. „განა ასე ხშირია-მეთქი ისინი?“ — „თითქმის ყოველ წლობით ხდება, ცოტა მაინც შეინძრევა ხოლმე, — მითხრა მან. — აგერ იეზუიტთა ტაძრისგან ახლა მხოლოდ ნანგრევები-ღა დარჩაო“. დიდ ტაძარში რომ შევედით, ეპისკოპოსმა და ახალგაზრდა მისიონერმა მუხლი მოიყარეს, გულხელი დაიკრიფეს, თავი ჩაჰკიდეს და წუთით გაირინდნენ. მერე ისევ წამოდგნენ და ცოცხალი ლაპარაკი გაგვიბეს. მათი სიტყვით, ეს ყველაზე ლამაზი ტაძარი იყო მანილაში. ის მართლაც რომ კარგია: მთავარი და გვერდითი ეკვდერების მშვენივრად გამოზომილი ფართობი უფრო დიდს აჩენს ტაძარს, ვიდრე სი-

ნამდვილეში არის. ზემოდანაც ძალზე კარგადაა განათებული: საკურთხევლიდან მოშორებულ კუნჭულებსაც თანაბრად სწვდება შუქი. ტაგალელთა მხატვრობა რომ არა, ეს წერწეტა, მაღალი თაღები, მსუბუქი გუმბათი კაცის თვალსა და გულს გაიტაცებდა. ოღონდაც ეს მხატვრობა გიშლის ხელს და ეკლად გესობა: პირდაპირ თანა გსდევს ეს ნათელი თუ ლურჯი ქვეტელა ლაქები.

სკულპტურაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. სწორედ მტკივნეულად გილიზიანებს არტისტულ ნერვს, თუმცა კი გეუბნებიან, ვისი ნაოსტატარიც არის. როცა კაცს მის ესთეტიურ გრძნობას შეუბღალავ, მოთმინება და შეწყალება უკვე აღარ ძალუქს. ყველა კედელი და თაღის სვეტი მძიმე, ჩაყამებული, მოოქრული კანკელებით იყო ჩარიგებული, მაშინ როცა მისი სტილი თეთრ, სუფთა სივრცეს თხოულობს და გემოვნებით შერჩეულ, დიდი ღირსების სურათებს. ხშირად ხდება ხოლმე, როცა შენობის არქიტექტურა მხატვრობას ჩაგრავეს, ან სულაც შეუმჩნეველს ხდის; აქ კი პირიქითაა. ვცდილობდი მხატვრობისთვის არ შემეხნედა და ბუაზერებს თვალს არ ვამორებდი.

შემდეგ ეკლესიის სალაროში წაგვიყვანეს. იმის წინა ოთახში მერხები და სანოტეები იდგა — ის ტაგალების საკლასო ოთახივით ყოფილა. რამდენიმე ტაგალი კიდევ იჯდა ფლეიტებითა და კლარნეტებით. ისინიც ისევე მიცვაგდნენ ეპისკოპოსს ხელზე საამბოროდ, როგორც მონასტრის გზაზე ეზოში შემოხვედრილი ტაგალები. ზოგიერთმა მუხლიც მოიყარა. ეპისკოპოსმა ტაგალებს უბრძანა, რამე დაეკრათ. იმათ, მგონი, მარში დაუკრეს, მაგრამ სასახლესთან მოსმენილი ორკესტრი უფრო სუფთად და მწყობრად უკრავდა. ეტყობა, მართლაც ნოტებით ასწავლიდნენ. „ნეტავ ამათ ხომ არ მოხატეს ტაძარი?“ — ვიფიქრე გულში. მე და ბ[არონმა] არტისტებს ფული მივეციტ და ჯერ ეკლესიის სალაროში შევედიტ, რომელიც გაქედილი იყო საეკლესიო ჭურჭლიტ სავსე კარადებით. საითაც არ გაიხედავდი, ყველგან ოქრო ბრწყინავდა; შემდეგ ისევე დერეფნებში და სენაკებში გავედიტ. ფლეიტისა და კლარნეტის ხმა ყველგან ისმოდა; მაღლიერებით სავსე არტისტები მოშლილი არღანით ვერა და ვერ გაჩერებულიყვნენ.

ჩაუჯარეთ კარებს, რომლებზეც ეწერა: მ ნ ე, შემდეგ ეკლე-

სიის მოლარე, და მნესთან შევჩერდით. „C'est un bon enfant, — თქვა ეპისკოპოსმა, — entrons chez lui pour nous reposer un moment“. — I a une excellente bière. monseigneur.¹ — დაუმატა ნაზი ხმით ახალგაზრდა მისიონერმა.

კარი ხნიერმა ბერმა გაგვიღო. სულ თეთრები ეცვა, თმა შევერცხლოდა, მთელი სახე თითქო მოქანჩოდა, მაგრამ სიყვითე მაინც ეხატებოდა ზედ. მისი სენაკი ბნელი გამოდგა, რა არ ეყარა შიგ, ფუთები, ყუთები; ყველაფერს მტვერი დადებოდა. ავეჯი სხვადასხვანაირი იყო; კუთხეში, ქრელი ფარდის იქით, ლოგინი მოჩანდა. დიდ, მრგვალ მაგიდაზე ანგარიშები და რეგისტრები ეწყო, ეტყობა, მუშაობა შეგაწყვეტინეთ. ეპისკოპოსის პირით გამოგვკითხა ზოგი რამ მოგზაურობაზე, დიდი ხნით თუ ვიყავით ჩამოსულები, ან რამე ხომ არ გვჭირდებოდა. „ლუდიო“, — უთხრა ორივე ფრანგმა. ბერი დატრიალდა და ტავალს უბრძანა, იქვე კუთხეში დაწყობილი ორი ყუთი გაეხსნა და ინგლისური ელისა და პორტერის რამდენიმე ბოთლი გამოეტანა. მაგრამ თავდაპირველად უზარმაზარი ლანგარი მოგვართვეს სიგარებით. მერე რა ნაირ-ნაირი სიგარები ეწყო ზედ! სხვადასხვა ზომისა და ჯიშის, ჰავანურად თუ მანილურად დაგრაგნილი... აი, თურმე სად უნდა ეძიო მანილაში კარგი სიგარები!

ნახევარი საათი ვისხედით იქ, ეპისკოპოსი ლაპარაკობდა სულ. გვიამბო ჩუსანის არქიპელაგის ამბავი და ჩინეთის მარგალიტი უწოდა მას. „ისეთი ნიადაგი და ჰავაა, სამოთხეში გეგონება თავი, — თქვა მან, — იქ რვა წელი დავყავი, ირლანდიელ კათოლიკეთ აქეთ კოლონია დაარსებულნი: ჩინელებზე საკმაოდ დიდი გავლენა მოიხვეჭეს, ბევრი ევროპული ადათი შემოიღეს და დიდებულად ცხოვრობენ. ჩუსანელი ჩინელები ჩინეთის თითქმის ყველა სანაპიროს ამარაგებენ თევზით, საამისოდ რამდენიმე ათასი ნავით გადიან კარგა შორს ზღვაში“. ამ ციფრმა დამაეჭვა; მინდოდა ჩემი ეჭვი ბ[არონ] კ[რიდნერისთვის] გამეზიარებინა და უნებლიეთ ფრანგულად არ წამომცდა! ჩემი ეს გონებადაფანტულობა ეპისკოპოსის ბრალი იყო, რომელმაც არ ვიცი რატომ, ჩუსანის ამბები ინგლისურად მოგვიყვა. „დიახ,

¹ „ის კარგი ბიჭია... შევიდეთ, ცოტა დავისვენოთ“. — „მშვენიერი ლუდიო აქვს, მონსენიორ!“ (ფრანგ.)

რამდენიმე ათასიო“, — დამიდასტურა ეპისკოპოსმა ფრანგულად.

შემდეგ სულ ზემოთ, სარეკრეაციო დარბაზში აგვიყვანეს. „იქიდან მშვენიერი ხედი იშლებაო“, — გვითხრა ეპისკოპოსმა. დარბაზის გასაღები ერთ ბერს ჰქონოდა და იმაჰთან შევედიო. ასეთი ჩასუქებული, ლამაზი, დაჟღაჟა ბერი არასოდეს მენახა. სახეზე სულ ღიმილი დასთამაშებდა. კედელზე მშვენიერი პატარა სურათი „გარდამოხსნა“ და „ღვთისმშობელი“ შევამჩნიესხვა სურათების შემდეგ შევბა ვიგარძენი მისმა შემხედვარემ. მაგრამ მხატვრის გვარი კი ვერაფრით ვერ ამოვიკითხე. მუქ ფონზე რამდენიმე თეთრი წერტილი ძლივს გამოირჩეოდა. „ეს სურათი აქ საიდან მოხვდა-მეთქი?“ — „იტალიურ მონასტრიდანო“. სხვა ვერაფერი შევიტყვე მის ირგვლივ.

სარეკრეაციო დარბაზში კვლავ ხვეული კიბე ადიოდა. დარბაზი გრძელ, დახურულ გალერეას წარმოადგენდა, ფანჯრები სამი მხრივ გადიოდა. იატაკი უბრალო, ხისა იყო; ფიცრებს სულ კრაჰკრაჰი გაუდიოდა. ყველაფერს მტვერი ეყარა. ეტყობა, აქ იშვიათად შემოდრიოდნენ. სავარძლებზე ვერ დაჯდებოდით, მტვერი ყველაფერს სქლად დადებოდა. კაცი იფიქრებდა, აგვესტინელებს დასასვენებლად არა სცალიათ, სულ შრომასა და ღვთის ლოცვაში ატარებენ დროსო. შუაში ბილიარდი იდგა მოციონისთვის; ფანჯრებთან, სამფეხზე დიდი ჰოგრიტი დაეყუდებინათ. ფანჯრებიდან მართლაც მშვენიერი ხედი იშლებოდა; ერთი მხრივ მთელი ყურე მოჩანდა, მეორეს მხრივ ესპანური ქალაქი, მესამედან ტყეები და სოფლები! ნეტავ რა გული უძლებთ, მთელი დღე და ღამე აქ არ სხედან და ამ მშვენიერი სურათით არა ტკბებიან! ფანჯრებს ძლივს მოგვაცილეს. ეპისკოპოსმა რიგ-რიგობით ორთავეს გვეთამაშა ბილიარდი. საკმაოდ ძლიერი მოთამაშე აღმოჩნდა.

კართან ზურგმიბრუნებულს უეცრივ ქალის კაბების შრიალი, მსუბუქი ნაბიჯები მომესმა და მსწრაფლ მოვტრიალდი. თეთრი მარმარის ხალათები დავინახე... თორმეტიოდე აგვესტინელი ბერი შემოსულიყო, ყველა ახალგაზრდა ჩანდა, სიგარები ეკავათ. ზოგს ნამძინარევი სახეები, წამოწითლებული ლოყები ჰქონდათ, სხვები ცოცხლად იყურებოდნენ. ცნობის-

მოყვარეობით შემოგვცქერდნენ შორი ქვეყნიდან ჩამოსულებს და დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს. სამწუხაროდ, ესპანურის გარდა სხვა ენა არავის სცოდნოდა. „ჩვენი ბრალია, თქვენთან ლაპარაკს რომ ვერ ვახერხებთ, — გვითხრეს ახალგაზრდა ფრანგის მეოხებით. — რუსებმა ფრანგული, ინგლისური და გერმანული იციან, ჩვენც კი უნდა გვცოდნოდა ერთ-ერთი ენაო“. — „ესპანეთი რომ ახლოს იყოს, ჩვენ ესპანურადაც ვილაპარაკებდით-მეთქი“, — ვუპასუხე მე.

მოულოდნელად ზარბაზნების ბათქი გაისმა. რეიდზე მდგომმა ხომალდებმა სალუტი მისცეს ახალ დაბადებულ პრინცესას საპატიოდ. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ ეპისკოპოსსა და დავემშვიდობეთ. ეპისკოპოსმა პარმადამდე მოგვაცილა და გვითხრა, რომ რეიდზე აუცილებლად მოგინახულებთო. „ესპანელ ეპისკოპოსთან ხომ არ წამობრძანდებითო?“ — გვკითხა მისიონერმა; მაგრამ უკვე პირველი საათი სრულდებოდა და ეს ამბავი მეორე დღისათვის გადავდეთ.

„ნეტავ რას აკეთებენ აქ ფრანგები? — ვფიქრობდი ოტელისაყენ მიმავალი, — ეპისკოპოსი ამბობს, თავში სისხლი მასხამს და სამკურნალოდ ჩამოვედიო: ნინპოში ცხელო; მანილაში ვითომ კი გრილა! ახალგაზრდა ფრანგი კი სულ ქალაქგარეთ, პუებლოებში დადის, რაღაც საქმეებზე...“

მეორე დღეს კვირა იყო და დილაადრიან ავდექით, რათა ტაძრები მოგვევლო. სამ ტაძარში შევიარეთ, ვნახეთ მანილის სობოროც, ძველი, XVI საუკუნის ნაგებობა. სხვა საირველო ტაძრებისგან მხოლოდ სიდიდით განსხვავდება. ისევე უგემოვნებოდ არის მორთული, ისეთივე უხეირო ნახატებია, როგორც გარეუბნების ტაძარსა და მონასტრებში. ორღანიც არაფრად ვარგა, სხვაგან ჩელო და ფლეიტა სცვლის მას.

მარტო ერთი ტაძარი გამოირჩევა სხვებისგან, უფრო მდიდრული, უფრო სუფთა და ნათელია. მხატვრობასაც ცოტას ნახავთ შიგ და არც მჭრქალი ვარაყი თუ ზიზილპიპილები ჭარბობს, მრევლიც უკეთესი დაიარება, უფრო კარგად არიან ჩაცმულ-დახურულნი, უფრო რიგიანი ჩანან, ვინემ სხვა ადგილებში.

ეკლესიებში ესპანელებს ვერ წააწყდებით; ესპანელი ქალებიც ცოტანი შეგხვდებით. მეტისებით, ტაგალებითა და სხვადა-

სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ევროპელებითაა ისინი სავსე. ყველგან ქადაგებას მიეუსწარი. მოძღვრები დიდი გატაცებით ქადაგებდნენ, თუმცა მათი გატაცება ყალბი მომეჩვენა; მიმოხვრადა ხმის კილო ყველას გაზეპირებული ჰქონდა.

ნაწირვეს ცირკში გავემართეთ მამლების ძიძგილაობის სანახავად. ფუნდუქში მცხოვრები ფრანგი Pl. დაგვიპირდა, გაჩვენებთო. ის მეტად თავაზიანი და ყურადღებიანი კაცი გახლდათ. ოტელში შეეუარეთ. ცირკები ბლომად ჰქონიათ. ჯერ ბინონდოს გარეუბანში გავემართეთ, მაგრამ იქ არაფერი დაგვხვდა, არ ვიცი, რატომ. შემდეგ მეორეში წავედით, ტონლოს გარეუბანში. ნახევარი საათი მაინც ვიტრიალეთ ქალაქში და ძლივს მივალწიეთ გარეუბანს. მთელი უბანი მოღრეცილი ქოხებისაგან და ტაგალებისგან შედგებოდა.

ფრანგმა გზაში დაგვიდასტურა, რომ ტაგალებზე ბედნიერი ხალხი ამქვეყნად არ არსებობსო. „არაფერი არ აკლიათ, მუშაობით ცოტას მუშაობენ, თუ ერთი რეალი, ე. ი. ტალერის მერვედი (დაახლოებით 14 კაპიკია ვერცხლის ფულზე) მაინც გამოიმუშავენს დღეში, მთელი დღე კისრამდე ეყოფათ. ინდოელი ბრინჯს იყიდის; ბანანი, ტყბილი კარტოფილი ან ტარო ხომ გამოუღლევლად აქვს. სადილად მეტიც არ უნდა. კიდევ დარჩება ფული ქოქოსის არაყი იყიდოს. ესპანელები მათ კარგად. ტყბილად ექცევიან, ასე რომ, ტაგალები თავიანთ ბედს ლოცავენ. რა თქმა უნდა, მეტად რომ გარჯილიყვნენ, მეტი დოვლათიც ექნებოდათ, ამ ჩიტის ბუდეებში აღარ იცხოვრებდნენ. მაგრამ საამისოდ მათმა მბრძანებლებმა, მაშასადამე ესპანელებმაც მეტი ფხა უნდა გამოიჩინონ: ისინი კი ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო, ისე შეჭფერიან ერთმანეთს“. — „tel maitre, tel valet“¹. — იგივე გვითხრა წინააღმდეგ ეპისკოპოსმაც. „ფილიპინის კუნძულები სხვის ხელში რომ იყოს, რა სიმდიდრეს ამოიღებდა აქედან კაცი. მაგრამ ესპანელები დიდი უქნარა და ზარმაცზე ზარმაცი ხალხიაო!“ — დასძინა მან ოხვრით.

ახალ გუბერნატორს, მარკიზ ნოვიჩელისს ყველა დიდი იმედით შეჰყურებს და დიდ სიკეთეს მოელოან მისგან. მან სხვადასხვა რეფორმები წამოიწყო; ახალ გუბერნატორს თავის წი-

¹ რაც ბატონი, ის მსახურიო (ფრანგ.)

ნამორბედებზე მეტი უფლებაცა და ძალაც გააჩნია: ის აქ პატარა მეფეს წარმოადგენს. მის ძალაუფლების გადიდების საბაბს სასულიერო პირები წარმოადგენენ, რომელთა გავლენა ამ კოლონიაში მეტისმეტად საგრძნობი შეიქნა. ამ ხმამ მეტროპოლიამდეც მიაღწია; თანაც სხვა კუნძულებზე ინდოელები ცოტა გათავებდნენ. ჩვენ ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე კუნძულ მინდანაოზე იმათ ოციოდე ჯარისკაცი მოჰკლეს. საამისოდ სასტიკი ზომები შეიქნა საჭირო. ჩვენ რომ ანეერში ხომალდი შეგვხვდა, იმით თურმე ახალი ჯარი მოჰყავდათ. კარმენაც იმ ხომალდზე იყო, რომელსაც ძველი ნაცნობივით შევხვდით. გუბერნატორს ჯერჯერობით მხოლოდ ერთში ემდურებთან. მეტისმეტად ქედმაღლობს, გვარიშვილობით თავი ფრიად მოაქვს და იმითაც ამაყობს, რომ მისი ცოლი დედოფლის პირველ შტატს-დამას წარმოადგენსო. ჰოდა, ამიტომ მამალივით ყოყლოჩინობს თურმე...

მაგრამ აი, ცირკი და აი, მამლებიც. ცირკი ერთი უშველებელი ბამბუკის გალია გახლავთ, როგორშიც მამლებს სვამენ ხოლმე. სულ ფარდალა შენობაა: შორიდანაც კი დაინახავს გარეთ მყოფი, რა ხდება შიგ. მაყურებლებისთვის გაღერების სამი იარუსი ჰქონიათ, შუაში კი მრგვალი მოედანია მოძიგილავეთათვის. კონუსური სახურავიც ბამბუკის ფოხებისგანაა დაწნული, ასე რომ ისიც გამჭოლია. მაგრამ შიგ გარდა ამისა რამდენიმე გამოჰკრილია ჰაერის სამოდრაოდ. ძლივს გავარდევით შესასვლელში გაქედილი ხალხის ბრბო, თითო რეალი გადავიხადეთ და გალიაში შევედით. თვითონ გალიაში ხუთსამდე მაყურებელი იქნებოდა, გარეთ დაახლოებით ათასი. უკანასკნელნი მაყურებლებად არ ითვლებიან, ისინი მონაწილეთ წარმოადგენენ და თითოეულს მამალი ჰყავს ილიაში ამოჩრილი. მაყურებლები მთლიანად ტაგალები, ჩინელები და მეტისები იყვნენ. ზემო გაღერებაში სამი თავისუფალი ადგილი ძლივს მოვნახეთ. ქალები ამ ფარდალა გაღერებაში როგორ დასხდებოდნენ, მით უმეტეს ზემო სართულებში. ამიტომ ცირკში მხოლოდ მამაკაცებსა და მამლებს ნახავდით — არც ქალები და არც დედლები არსად ჩანდნენ. სამაგიეროდ რამდენი მამალი იყო! რა გააფთრებული, გაუთავებელი ყვივილი იდგა გალიაში თუ გალიის ირგვლივ!

მოედანი ჯერ ცარიელი იყო. იქ ერთი ტაგალელი რიგის მიმცემი დადიოდა. ვარდისფერი მარმაშის პერანგი ეცვა. სანაძლეოს ფულს აგროვებდა. ინდოელები ისე დაუდევრად ისროდნენ მუჟა-მუჟა დოლარებს, შიგა და შიგ ოქროს დუბლონებსაც, რომ გაკვირვებული ვუცქეროდი. რიგის მიმცემი ძირს, მოედნის ქვიშაზე, წყება-წყებად აწყობდა ფულს. მოედნის ერთ კუთხეში ტაგალები ჩაცუცქულიყვნენ თავიანთი მამლებით, რომლებსაც დღეს უნდა ეძიძგილავათ.

აგერ, ორი ტაგალი გამოვიდა და მამლები ერთმანეთს მიუსია, რა რომ საზოგადოებისათვის მეომრების ძალა და გულონობა ეჩვენებინა. მამლები ცოტა კი გაიფხორნენ, მაგრამ მერე გულგრილად მიუბრუნეს ერთმანეთს ზურგი. ისინი უკანვე გაიყვანეს. მოედანი დაცარიელდა. „ეს რას ნიშნავს-მეთქი?“ — ვკითხე ფრანგს. „მამლებმა მაყურებლის ნდობა ვერ მოიხვეჭა, ამიტომაც სანაძლეოს არავინ ჩამოვიდაო“.

კუთხეს ახლა ორი სხვა მობაეჟრე გამოეყო და ასევე მიუსიეს ერთმანეთს მამლები. ოღონდ კუდით კი ეჭირათ ისინი, რომ ნაადრევად არ ჩაბმულიყვნენ ჩხუბში. მამლები გაიფხორნენ, ბიბილოები გაუწითლდათ და ის იყო ერთმანეთს დაეძგერნენ, რომ პატრონებმა კუდებით გააშველეს. მამლები საიმედო გამოდგა. მაყურებლებში მღელვარება შეიქნა. ხალხი ამოძრავდა: ხმაური უეცრივ მოვარდნილ ტალღასავით ატყდა და თანდათან გაძლიერდა. ყველა დოლარებს იწვდენდა, ერთმანეთს უძახოდნენ, ელაპარაკებოდნენ, სანაძლეოს დებდნენ, ვინ ყვითელი მამლის მომხრე იყო, ვინ თეთრისა. ჩვენც გამოგვიწოდეს ხელები, მხრებზე, ზურგზე გვეხებოდნენ, სანაძლეოს გვთავაზობდნენ.

ამასობაში პატრონებმა მამლებს ცალ ფეხზე მიმაგრებულ დეზებიდან ტყავის ქარქაშები მოხსნეს. აი, რიგის მიმცემმა ნიშანი მისცა და ყველა გაირინდა. მამლები ერთმანეთს დააძგერეს. ერთმა თავისუფლების წუთით ისარგებლა, სამჯერ ააფართხუნა ფრთები და ისეთი ყიყლიყო შემოსცხო, თითქო გული უნდა მოიოხბოსო; სხვები, უფრო სულწასულები, პატრონის ილღიაში შემოსძახებენ ხოლმე ყვილის. ყიყლიყოს შემდეგ მამალმა მშვიდობიანი საქმიანობა გააბა, საკენკის ძებნა დაიწყო იატაკზე და ორჯერ გააფხაკუნა ფეხი. მაგრამ პატ-

რონმა ხელი დაავლო, მოეფერა, დაბაბზე ჩამოქაჩა და მეორე მამალს მიაგდო, რომელიც პატრონს ხელიდან უსხლტებოდა. მაშინ ორივე მეომარს კისერზე ბუმბულის სამაჯურები აეფოფრა, თავი დახარეს და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. კარგა ხანს იფხორებოდა ორთავე და ბოლოს უცბად მიახტნენ ერთმანეთს. მაგრამ ერთი მამალი მეორეს გადაახტა, მერე ხელდახელ ისევ საომარი პოზიცია დაიჭირეს და ისევ დახარეს თავები. შემდეგ სამჯერ ძლიერად მიასკდნენ ერთმანეთს, რამდენიმე ბუმბული ფრიალ-ფრიალით დავარდა. მერე ერთი ისევ გადაახტა მეორეს, დეზით გაჰკაწრა, მეორეც გადაახტა და მეტოქე იმანაც ისე გაჰკაწრა, რომ გვერდზე გადააკოტრიალა. მამალი მყისვე წამოხტა და მეტის გაშმაგებით ეძგერა მტერს. შემდეგ უკვე ველარაფერი გავარჩიე: რაინდები ხან გორაობდნენ, ხან ერთმანეთს ეტაკებოდნენ ბიბილოებში, ხან ერთი იყო ძირს და ხან მეორე.

„ამ სეირს ჩვენშიც ყოველ დღე ნახავს კაცი სოფელში, — ვუთხარი ბ[არონს], — ოღონდ ასეთ ჩხუბის დროს დედაკაცი ჩვეულებრივ ქარცახით მორბის გასაშველებლად, ან მეეტლე მოუქნევს მათარხს, ან ბიჭი ესვრის ხოლმე ქვას“. მალე თეთრი მამალი ცალ ფრთაზე დაეცა, წამოხტა, კოჭლობით გაიქცა, ისევ დაეცა და ბოლოს ხოხვით წამოვიდა მოედანზე. ფრთა მიწაზე დასთრევდა და სისხლის კვალს სტოვებდა.

მამლების ყოველ ძლიერ დამგერებაზე მაყურებლებში ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილები შეიქნებოდა: მაგრამ როცა დამარცხებული გაიქცა, ხალხმა ისეთი გაშმაგებული ღრიალი მორთო, რომ ადამიანს თავზარს დაგცემდა. ყველა ადგილიდან წამოიჭრა, ყველა ღრიალებდა, რა სახეები ჰქონდათ, რა გრძობები ეხატებოდათ ზედ! მიზეზი კი მხოლოდ მამლების ჩხუბი იყო! „არა, ამას ჩვენში ვერ ნახავო,“ — მითხრა ბარონმა. გარეშე მაყურებლისთვის მომენტი მართლაც ყველაზე შესანიშნავი იყო.

გამარჯვებულის პატრონმა თავის მამალს დაავლო ხელი და ფული ჩაიჯიბა; მისი მოქიშპე უხმოდ შეერია ხალხს. მაყურებლებიც უხმოდ აძლევენ ერთმანეთს წაგებულ ფულებს. შემდეგ კიდევ ორი ტაგალელი გამოვიდა და იგივე გაიმეორა, მაშასადამე, მამლები ღეზებით შეაიარაღეს და ერთმანეთს დააძ-

გერეს. ხალხშიც ისეთი მღელვარება და ყაყანი ატყდა, როგორც თქვენს მოწონებულ სინაგოგაში! მამლები ერთმანეთს დაეტაკნენ და ერთი წუთის შემდეგ დიდმა წითელმა მამალმა ნაცარას ღეზებით ფეხები გადაუხლიჩა. ნაცარა ზურგზე დაეცა და გულაღმა აიფარჩხა. ირგვლივ ბურტყლი ეყარა და სისხლი იდგა. დამარცხებულ მამალს ერთი ჩამობრანძული ტაგალელი აიყვანდა, მკერდიდან ერთ მუჭა ბურტყლს ჩამოაგლეჯდა, მერე ბურტყლს დიდ ტომარაში ჩაპყრიდა, მამალს კი პატრონს უბრუნებდა. „მამლები მერე სადღა მიჰყავთ-მეთქი? — კკითხე ფრანგს. — ალბათ მკურნალობენ, არა?“ — „არა, სალათით ვიახლებიანო“. — მიპასუხა მან. „ბურტყლი რაში სჭირდებათ?“ — „არ ვიციო“, — მითხრა ფრანგმა. ახლა ჩემს მარცხნივ, გვერდით მჯდარ ჩინელს კკითხე ეს ამბავი. „Signor?“ — კკითხვა შემომიტრიალა მან. დამეიწყდა, რომ მანილა ჰონ-კონგი, სინგაპური და ბოლოს ჩინეთი არ იყო, სადაც ჩინელები ინგლისურად ლაპარაკობენ.

ხანდახან დამარცხებულის პატრონი თავის მამალს ხელში აიყვანდა და შეტაკების გაგრძელებას ითხოვდა, თავდადებით ამტკიცებდა, ბრძოლა კიდევ შეუძლიაო. ერთხელ ასეთმა დამარცხებულმა მართლაც მოიგო ომი. ცოტა სულმოთქმულმა მისმა მამალმა მოქიშპე წააქცია, ღობეში შეამწყვდია და გაწიწმატებულმა ძირს დაგდებულ მტერს, რომელიც ფრთებს ძლივსლა ამოძრავებდა, ნისკარტით და ღეზებით კორტნა და ცემა არა და არ შეუწყვიტა.

ერთი საათი დაეყავით ცირკში და მერე წავედით. ამბობენ, ეს თავშესაქცევი მზის ჩასვლამდე გრძელდებაო. მთავრობა თურმე ცირკებს იჯარით იძლევა და დიდ მოგებასაც იღებს. ზემოთ, მგონი, უკვე მოგახსენეთ, მამლების ძიძგილაობა რა შემოსავალსაც იძლევა. ტონდოს პროვინციაში ხაზინა ხარკად 80000-მდე დოლარს იღებს, სხვა ადგილებში ხან 20-ს, ხან 15000-ს. ტაგალები ხანდახან ათას დოლარამდე ჩამოდიან სანადლეოზე. „გამიგონია, რომ აქ ხარების ბრძოლაც იციან, — კკითხე ფრანგს, — არ შეიძლება ვნახოთ?“ — „არა ღირს, ისინი ესპანური ბრძოლების პაროდიას წარმოადგენენ. ტორეადორებაც აქ უნტერ-ოფიცრები გამოდიან, დავრდომილ ხარებს ეომებიანო...“

სასტუმროში სადილად კარმენა, აველო, გუბერნატორის ადიუტანტი და სხვა ბევრნი მოვიდნენ. აველომ გადმოგვცა, დედამისი წუხდა თურმე, ესპანურის გარდა სხვა ენა რომ არ იცოდა და ჩვენ ჯეროვნად ვერ დაგვიხვდა. გვითხრა, დედამ გთხოვათ, კვლავ შემოიარეთ, საკუთარ სახლივით იგულეთ ჩვენი ოჯახიო და სხვ.

ნასადილევს ყველანი წავედ-წამოვედით. მე კვლავ მარტო გავეშურე ქალაქგარეთ, ვჩერდებოდი, სადაც მომეწონებოდა, ქალებში ვიხედებოდი, ყავისა და თამბაქოს პლანტაციებისაკენ ბილიკებს მივყვებოდი. მშვენიერი შარაგზა მისდევდა; შორეული მთების ლურჯი, ბნდი ფერი უფრო და უფრო გარკვეული ხდებოდა მიახლოვებისას. ერთ პატარა სოფელში დელეს გავყვევი. ნაპირზე ბუჩქები და ხეები იზრდებოდა. მივიდიოდი და აღტაცებული შევყურებდი, თუმცა თითქმის არც ერთი ხის სახელი არ ვიცოდი. ფრანგმა თავის მაღაზიაში ათამდე მშვენიერი ხის ჯიში მაჩვენა, დაწყებული წითელი ფერიდან შავით გათავებული. ყავისფერ, ვარდისფერ, ყვითელ, მუქ ხეებს საოცრად ნაზი ხაზები დაჰყვებოდა და ნაზი ფერი გადაჰკრავდა. მერე რა ვეება იყვნენ! ფრანგმა მაჩვენა არშინნახევრიანი დიამეტრის მაგიდები, რომლებიც ერთი ნაპრისგან გამოეთალათ. ამბობენ, მანილაზე ათასამდე ჯიშის ხე ხარობსო.

ვიდრე მე დელის პირას დავეხეტებოდი, ჩემი მეეტლე, მთელი მსოფლიოს მეეტლეთა ადათისამებრ, სოფლის დუქანში გაქცეულიყო საკმელად თუ სასმელად. რომ დავბრუნდი, აღარ დამიხვდა; ეტლთან ბიჭები, მათხოვრები თუ უბრალო ტაგალები შეგროვილიყვნენ ილღიაში ამოჩრილი მამლებით. დელემდე ეტლით მივედი და ისევ მანილაში მოვბრუნდი სასახლესთან მუსიკის მოსასმენად.

შეუნა 23 თებერვალს (7 მარტს) მობრუნდა. ჩვენი საზოგადოებაც ცოტაოდენ გაიზარდა. პ[ოსიეტი] ტბებზე გაემგზავრა, გ[ოშევიჩი] დაბა ს. მატეოში წავიდა, იქაური მღვიმის სანახავად.

ამბობენ, ტბებზე, საცხოვრებელი ადგილებიდან შორს, ერთი მთის მწვერვალზე ჩამქრალი ვულკანის კრატერში დაგუბებული წყლის ბასეინია თურმე, კაიდანებით სავსეო. ბასეინის გარშემო ტყეში ხეებზე ძერისოდენა თუ უფრო დიდი ღამუ-

რები ბუდობენ. იქ მხოლოდ გულადი მონადირეები ბედავენ წასვლასო. ხელიკის ჯიშის ცხოველებს აქ ბლომად შეხვდები თურმე; ამას წინათ 21 ფუტის სიგრძე კაიმიანი დაუჭერიათ თითქო. ერთმა აქაურმა მცხოვრებმა მირჩია, ნანგრევებს ნუ მიუახლოვდებით, იქ ერთი ფუტის სიგრძე ხელიკები ბუდობენ, რომლებიც ადამიანებს გულზე ახტებიან და ბრჭყალებით ისე ებლაუჭებიან, თათებს ხორცში თუ ჩაიტოვებ, თორემ სხვაგვარად ვერ მოიშორებო. მხოლოდ ერთი ხერხით შეიძლება მათი მოშორება, სარკე უნდა მიუშვირო: მაშინ თავიანთ გამოსახულებას მიახტებიან ხოლმეო. მან გვითხრა, მე და ჩემმა ამხანაგმა თოფით მოვკალით ორი ასეთი ხელიკიო.

ამასობაში გამოგვიცხადეს, რომ ზღვაში სულ მალე, ოთხ დღეში გავალთო. ასე მალე როგორ იქნება? — ვიძახდი მე, — თუმცა კი არ ვიცოდი, ლუკონიაში მეტ ხანს რაზე უნდა დავრჩენილიყავ. ჩვენ თითქმის ყველაფერი ვნახეთ; შიდა კუნძულზე შესვლას სულ ცოტა ერთი კვირა მაინც დასჭირდებოდა, თანაც აქაური მთავრობა დიდი ხალისით არავის უშვებს იქ. მაგრამ მანილას დატოვება მაინც მენანებოდა!

წასვლამდე სამი დღით ადრე დილით პ[ოსიეტმა] შემომიარა და მითხრა: „ჩვენი ბანკირის საბაგირო ქარხანა ხომ არ გინდათ დაათვალიეროთ? საბანკირო სახლის ერთ-ერთი პატრონი, ამერიკელი მეგფორი წაგვიყვანსო“. ცოტა არ იყოს, მეუხერხულა ბანკირის ფაბრიკაში წასვლა. მასთან ვიზიტითაც კი არ შემევიღია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი გამოთქვა ხშირად ვწვეოდით სახლში. შევლით კი იმიტომ არ შევეუარე, რომ ამას უთუოდ სადილზე დაპატიება მოჰყვებოდა. სადილი ხუთზე იქნებოდა, სწორედ მაშინ, როცა მანილაში საუკეთესო დრო დგება, როცა ხორცი და ფრინველი კი არა, პაერი უნდა ყლაპო, როცა მინდვრად, ზღვის პირზე უნდა გახვიდე, ამწვანებულ მიდამოებში ისეირნო, ერთი სიტყვით, იცოცხლე და ისულდგმულე. ამ დროს კი მოდი და სადილზე იყურყუტე!

მაგრამ მე მაინც გავყევი პოსიეტსა და მეგფორს; მით უმეტეს რომ გავიგე, ჩემთვის უცნობი გზით უნდა წავსულიყავით ფაბრიკაში. ეს გზა საკმაოდ მიყრუებული, განმარტოებული გამოდგა და უფრო მეტად მომეწონა. გამიკვირდა, რომ მანილის ახლოს ამდენი ხელუხლებელი მინდვრები და ადგილები

ყოფილა, როგორც ჩანს, სრულიად მივიწყებული. „ან ნასვენ-
ნი ყანები იქნება ეს მიწდვრები, — ვფიქრობდი ამ ცარიელ, ვე-
ნებერთელა ფართობების შემყურე, — აქაური ნიადაგი ისევე
საჭიროებს შესვენებას, როგორც ჩვენი ჩრდილოეთის ყანები,
ან იქნებ უთაურობა და სიზარმაცა მიზეზი-მეთქი“. მაგრამ
ვისთვის უნდა მეკითხა: ჩვენ კ. ი. ლ[ოსევი] მოგვეყვებოდა,
რომელიც მშვენიერი, გამოცდილი მეურნე იყო და რუსეთში
ერთ დიდ მამულს კარგა დიდ ხანს მოურავობდა, მაგრამ მისი
ცოდნა პურეულითა და სამყურით შემოისაზღვრებოდა და
ტროპიკულ ნიადაგზე ჩემზე მეტი არ გაეგებოდა.

ფაბრიკას კარგა დიდი ფართობი ეკავა და რამდენიმე შე-
ნობისგან შედგებოდა. ყველაზე შესანიშნავი ამ ფაბრიკაში ის
იყო, რომ თოკი იქ ბანანის მსგავს ხის ბოჭკოებისგან მზადდებ-
ოდა, მაშინ როცა მთელ მსოფლიოში ყველგან ქერელისგან
კეთდება. მეგფორმა ამ ხეს plantin-ი უწოდა. ბოჭკოები შიდა
კუნძულიდან მოაქვთ საპალნეებით და პირველ ყოვლისა, და-
სავარცხნ განყოფილებაში გზავნიან. იცით ისინი რა ფერისაა?
დაახლოებით ღია ნექისა. დავარცხნისას მასალას ოდნავ წაუს-
ვამენ ქოქოსის ზეთს. დახვევებულ ნექაში ძლივს გავიკვლიეთ
გზა. მას ოდნავ ზეთის სუნი ასდიოდა. ბოჭკოებს სამჯერ
მაინც ვარცხნიან, ჯერ დიდრონი, უხეში კბილანებით, მერე
წვრილით, გრძელ-გრძელ ქიტებად გამოდის და მხოლოდ ამის
შემდეგ გრეხენ მანქანები თოკებად.

მანქანები ამერიკიდან ჰქონიათ ჩამოტანილი. ფაბრიკაში
ვნახეთ ეს ფოლადის დაზგები და ბორბლები. ხომ იცით, რა
ნაკეთებია, რა პრიალა და ლამაზებია. გინდა აიღო და სადმე
დარბაზში მორთულობასავით დადგა. ფარდულები სიგრძით
ხუთას ნაბიჯამდე იქნება, შიგ ლიანდაგია მოწყობილი და ზედ
ბაგირის დამგრეხი მანქანა დადის. მუშები ტაგალები არიან,
ოსტატები ამერიკელები. ბიჭებს ნახევარ რეალს აძლევენ დღე-
ში (დაახლოებით შვიდი კაპიკი ვერცხ. ფულზე), მოზრდილებს
ერთ რეალს. დილის ექვსი საათიდან საღამოს ექვსამდე უხდებ-
ათ მუშაობა; თუ საჭიროა, ღამითაც მუშაობენ და გასამრჯე-
ლოსაც საამისოდ ცალკე იღებენ. „ცხადია, ცოტას აძლევენ, —
ამბობდა აგრონომი ლ[ოსევი], — მაგრამ იმათ ხომ ქურქების,
ჩექმებისა და ხელჯაგების ყიდვა არ სჭირიათ წლის განმავლო-

ბაში. თანაც ფაბრიკაში სკამენ და სვამენ“. ოსტატი საშია; წელიწადში ათას რეაას, ათას ხუთას და ათას დოლარს იღებენ. საქონელს მეტწილად ამერიკაში გზავნიან, ნაწილს ბაგირების სახით, ნაწილს კი ბოჭკოებად. იქ „პლიანტინის“ ასეთი თოკები ხომალდებზე ქერელის ბაგირს ურჩევენიათ, თუმცა მას მხოლოდ მოძრავი გემსართავეებისთვის ხმარობენ, გაფისულ უძრავ გემსართავეებს კი ქერელის ბაგირისაგან ამზადებენ.

როგორც სინგაპურში, მანილაშიაც სახომალდო ნაწილები მაღაზიაში რუსული ქერელის ბაგირები იყიდება. მას ყველა ბაგირს ამჯობინებენ ამქვეყნად, ოღონდ გაცილებით ძვირია. ჩვენს ხომალდზე რამდენიმე მანილური გემსართავე წამოიღეს. მაგრამ იალქნების გაშლისას ისეთნაირი მუსიკა გაისმოდა, ყველა ყურებს იცობდა: გეგონებოდა, ათასი მარხილი მოჭრილებს თოვლზეო. ამბობენ, ხმარებაში მოითელება და შემდეგ აღარ იჭრიალებსო. ფაბრიკა წელიწადში 130 000 დოლარს ატრიალებს. ის სტარჯის ეკუთვნის, რომელიც ამჟამად მანილაში ამერიკული სავაჭრო სახლის Russel და C¹-ის წარმომადგენელია, კიდევ მეგფორს. ჩვენ რომ იქ წაგვიყვანა და მისი ძმის ქვრივს. მეგფორის ძმა ამ ორიოდ წლის წინათ ინდოელებს მოუკლავთ, რომლებიც ფაბრიკას გასაძარცვავად დასხმიან. ესპანეთის მთავრობამ დამნაშავეები დღემდე ვერ აღმოაჩინა. თქვეს, ამერიკელი კომოდორი პერი მოვა აქ თავისი ესკადრით და მათ აღმოჩენაში დაეხმარებათო.

რამდენიმე წლის წინათ ფაბრიკაში ხანძარი მოხდა. იცით, მიზეზი რა იყო? ფაბრიკაში მუშებს სიგარების წევა ეკრძალებათ. ერთ ბიჭს, რომელსაც ალბათ წარმოუდგენლად მიაჩნდა, როგორ შეიძლება მანილაში სიგარა არ მოსწიოს, ჩუმად გაუბოლებია. ამ დროს ზედამხედველი შემოსულა: ტაგალმა კი დანაშაულის მისაჩქმალავად სიგარა ნეჭების გროვაში შემალა.

ქალაქში სანტა-კრუცას გარეუბნით დავბრუნდით, ჩემმა ამხანაგებმა ვილაც მარგარიტასთან შეიარეს ანანასის ბოჭკოებისგან ნაქსოვ ცხვირსახოცებისა და ქსოვილების საყიდლად. მე კი შინ გამოვწვიე.

გვითხრეს, გამგზავრება დააჩქარეთო; ამიტომ სიგარების

1 რასელი და კამპანია (ინგლ).

ყიდვაზე უკვე უნდა მეზრუნა. ჩემი ბარათით გავემართე ფაბრიკაში ალფორადორთან. ალაყაფთან ვილაც ახალგაზრდა მოხელე შემომხვდა, ერთი უსაქმობით გაბეზრებული ვინმე, როგორსაც, მგონი, მთელი ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებაში ნახავთ. უკვე წასვლას აპირებდა. როცა ჩემი ბარათი ვაჩვენე, მობრუნდა და, რაკი სხვა საქმე არ ჰქონდა, ალფორადორთან მიმაცილა. დარბაზებში კვლავ ჯოჯოხეთური კაკუნი მოვისმინე, თამბაქოს სუნი ვიყნოსე და ბოლოს ალფორადორის სამყოფს მივალწიე.

მან, პირველ ყოვლისა, ჰავანურად დაგრავნილი სიგარა შემომთავაზა. მერე ჩემს კითხვაზე მიპასუხა, რომ სიგარები მზად არ გვაქვსო; „ოთხიოდე დღის შემდეგ გვექნებაო“. — „მე ერთი დღის მერე მივდივარ-მეთქი“. ალფორადორმა ამაზე მხრები აიჩეჩა. „მალაზიაში იყიდეთ, როგორიც შეგხვდებათ, — დაუმატა მან, — თუ არა და ინსპექტორს მიმართეთო“.

უსაქმურმა მოხელემ ინსპექტორთან წამიყვანა. მან მირჩია, მალაზიას მიმართეთო. ჩვენ იქით გავეშურეთ, (მოხელე არ მცილდებოდა). მალაზია ფაბრიკის ადმინისტრაციის შენობაში ყოფილა მოთავსებული. ჩვენ ჯერ ადმინისტრაციაში შევედით. იქ ერთ-ერთი ადმინისტრატორი, სქელი ესპანელი, რომელიც იმდენადვე ჰგავდა ესპანელს, რამდენადაც გერმანელს, იტალიელს, შვედს თუ ვისაც გნებავთ, ადგილიდან წამოდგა, სათვალე შუბლზე აიწია, მოხელეს დიდხანს ელაპარაკა რაღაც, თუმცა თვალი ჩემთვის არ მოუშორებია, მერე თავი დამიკრა და ისევ თავის ქალაღლებს ჩაუჯდა. მის ირგვლივ ტაგალი კაცები და ქალები შეგროვილიყვნენ გასამრჯელოს მოლოდინში. „რა თქვა-მეთქი?“ — ვკითხე ჩემს გამყოლს. მან ფრანგულად მელაპარაკა რაღაც დიდხანს. ფრანგული კი არა უშავს იცოდა, მაგრამ მე თითქმის ვერაფრით გავუგე. ალბათ იმიტომ, რომ ყოველ სიტყვას „გულახდით გეუბნებით, გესმით ჩემიო?“ ატანდა ფრანგულად.

არ ვიცი, საჩუქრის მიღება უნდოდა ჩემგან თავისთვისა თუ სხვისთვის, — თუმცა რაღაც არ ეტყობოდა, — ეს კია, რომ ხან იმას მეუბნებოდა, რა ბოროტება ხდება აქ, ხან იმას, რა სიმკაცრე ჰქონიათ შემოღებული. სხვათა შორის, ერთი წინადადების აზრი ისიც იყო, რომ ოფიციალურად, ჩვეულებრივი

გზით, უფროსების შემწეობით აქ ძხელად გახდება კაცი რასძე, რომ სჯობს „უბრალოდ მიხვიდე,“ — და ყველაფერს იგივე ფასში მოგცემენო. „მე გულახდით გეუბნებით, ხომ გესმით ჩემიო?“ — დაასვენა ბოლოს.

„სიგარები გაქვთ?“ — ვიკითხე მაღაზიაში. „არა“, — მიპასუხა ინდოელმა ნოქარმა, „ახლებურად, პავანურად დაგრაგნილი, პირველი ხარისხის მინდა-მეთქი“. მოხელემ ჩემი კითხვა გადაუთარგმნა, ტაგალის პასუხი კვლავ უარი იყო. „იმდენად ცოტას ამზადებენ, მაღაზიამდე არც აღწევსო“, — თქვა მან. „მამ აქაურად დაგრაგნილი იყოს, ოღონდ პირველი ხარისხისა და მსხვილები-მეთქი“. — „ყველა გაიყიდაო“, — მიპასუხა. „დღეს მივიღებთ კიდევო“. — დაუმატა მერე. „მეორე ხარისხისაც არა გაქვთ?“ — ვკითხე. ტაგალმა ყუთები გადაქექა, ქალაღში შეხვეული ერთი დასტა ამოაძვრინა, 125 ცალი, წინ დამიდო და მითხრა: „Una peso-ო“. — „ასეთი დასტა ოცამდე მიიღე დამკირდება-მეთქი“. ტაგალმა ყუთში ჩაიხედა. „მეტი აღარაა, ყველა გაიყიდა, დღეს მივიღებთო“.

აქ მხრების აჩვევის მეტი რაღა დარჩენოდა კაცს, მაგრამ იმდენად გაბრაზებული ვიყავ, ნაწყენობის ამ საერთო გამოსახვის თავიც არ მქონდა. მამ სად უნდა იშოვოს კაცმა სიგარები? ვფიქრობ, ნევის პროსპექტზე ტენკატეს მაღაზიაში უფრო ადვილად მოახერხებს. არ გახსოვთ, ვილაცამ ბედნიერების საძიებლად მთელი ქვეყანა რომ შემოიარა და დაბრუნებისას სასთუმალთან იპოვა ის. ნეტავ ეს მოგზაური მანილაში ხომ არ ყოფილა და სიგარები ხომ არ ჰყვარებია? ეტყობა, ეს ქვეყანა ასე ყოფილა მოწყობილი, რომ ვოლგასა და ურალზე ხეირიანი ხიზილალა ვერ იშოვო, ეპერნეში რიგიანი შამპანური ვერ დალიო, ტორჟოკში სახელგანთქმული ქათმის კატლეტები ვერ მიირთვა. იმათ ახლა პეტერბურგში უფრო გემრიელად ამზადებენ.

„მამ მაღაზიაში რა მოგეძევათ? — ვიკითხე ბოლოს, — ის ყუთები ხომ ცარიელი არ იქნება: შიგ სიგარებია?“ — „ჩირუტებიო“ — მითხრა ნოქარმა. ჩირუტები ორივე მხრიდან წაჭრილი სიგარებია (მანილიდან პეტერბურგში, მგონი, მხოლოდ ისინი ჩამოაქვთ). ესენი, რამდენიც გნებავთ, იმდენია: მათში მესამე და მეოთხე ხარისხისაც არის, ზოგი დიდი და ზოგი პატარა.

ჩემი გამყოლი კი სულ ყურში ჩამჩურჩულებდა პირმო-
ბრუნებული, რომ „ადგე და პირდაპირ უნდა მიადგეო“, მაგრამ
სად ან ვის — ამას არ მეუბნებოდა. „გულახდილად გეუბნებით,
ხომ გესმით ჩემიო?“ — აყოლებდა ბოლოს. „ვისმე ფული
ხომ არ უნდა ვაჩუქო?“ — ვკითხე ბოლოს მოთმინებადაკარ-
გულმა“. „Non, non, — თავგამოდებით მიპასუხა. — მაგრამ ხომ
იცი, რა ბოროტებაც ხდება, რა სიმკაცრეა... თუმცა არა
უშავს: თქვენ ყველაფერს იშოვით... გუბერნატორმა აკი მიგი-
წვიათ — ჩემი თვალით გნახეთ იქ: მაგრამ მაინც ადგეთ და...
უბრალოდ უნდა მიადგეთ: ხომ გესმით ჩემი?“ — „სალამოს შე-
მოვივლი აქ, — გადაჭრით ვთქვი მისი ყბედობით დაღლილ-
მა, — იმედი მაქვს, ყველა ხარისხის სიგარა ექნებათ...“ — „გარ-
და ჰავანურად დაგრაგნილებისა და პირველი ხარისხის“, —
დასძინა მოხელემ და ტაგალს რაღაც უთხრა ესპანურად... მე ის
ფაბრიკამდე მივიყვანე და შინ გამოვბრუნდი.

ამ გადაკრული სიტყვების აზრი, მგონი, ის იყო, რომ ფაბ-
რიკაში დამზადებულ მთელ სიგარებს ოფიციალური გზით
სწრაფად ინაწილებდნენ სავაჭრო კანტორები ბითუმად, მალა-
ზიას თითქმის არაფერი მიუღდის; რომ აქაური მოსახლეობა ჩი-
რუტებს ეწევა, ჰოდა, მალალი ხარისხის სიგარების შოვნა ამი-
ტომაც ძნელია. მაგრამ თუ ვისმე სურს აუცილებლად კარგი
სიგარები იშოვოს არცთუ დიდი რაოდენობით, მან ყოველგვა-
რი ფაქტურისა თუ შეკვეთის გარეშე ფაბრიკის ერთ-ერთ თა-
ნამშრომელს უნდა მიმართოს, ან უბრალოდ პირდაპირ მალა-
ზიაში მივიდეს, როგორც ჩემი გამცილებელი ნართაულად მე-
უბნებოდა, და რამდენიც სჭირდება, შეუკვეთოს. ჰოდა, იმავე
ფასში, აღმინისტრაციისა და მალაზიის გარეშე, სადაც, ცხადია,
ეს ფული არ ჩაირიცხება, რამდენიც სურს, იმდენს იშ-
ოვის.

ყოველ შემთხვევაში, მე ასე გადავახურდავე ჩემი გამცი-
ლებლის ნართაული სიტყვები. *Et vous, mes amis, vous com-
prenez? ja vous parle franchement.*¹

სალამოს, როგორც იქნა, რის ვაი-ვაგლახით მოვიმარაგე
სხვადასხვა ხარისხის რამდენიმე ათასი სიგარა, ჩემთვისა და

¹ თქვენ კი გამოგეთ, მეგობრებო? მე გულახდილად გეუბნებით (ფრანგ).

რამდენიმე ამხანაგისთვის, ყველა ზომისა და სიდიდის და თანაც ახალთახალი. ყუთებს ყველას ნიშნად ესვა: Febrero, (თებერვალიო), ე. ი. ჩვენი იქ ყოფნის თვე. სიგარებზე იმდენი დაკვეთა აქვთ, შესრულებას ვეღარ ასწრებენ. სხვა ჩემი თანამგზავრები ჩვენი ბანკირის შემწეობით მომარაგდნენ, მაგრამ მარტო ჩირუტები კი იშოვეს. ათასი ცალი საუკეთესო ხარისხის სიგარა აქ თოთხმეტი დოლარი ღირს (დაახლოებით 19 ვერცხლის მანეთი), ჩირუტები კი რვა დოლარი. პეტერბურგში პირველს ვერსად იშოვი, მეორეს კი თუ არ ყცდებით, ექვს, ყოველ შემთხვევაში, ხუთ მანეთად (ვერცხლის ფულით) იყიდი ას ცალს. რამდენს იგებენ, არა! მანილაში თუ სიგარები არა, ისე თამბაქო არ იყიდება. მისი გატანა არ შეიძლება. ამბობენ, სიგარების კიდევ რამდენიმე პატარა ფაბრიკა არსებობსო, მაგრამ არც ისინი მინახავს და არც სიგარეტებისა თუ პაპიროსების ფაბრიკაში ვყოფილვარ.

ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ გავიდოდით ზღვაში. საკირო იყო ფრეგატზე გადაბარგება. უკანასკნელ ორ დღეს კიდევ შემოვიარე მანილას მიდამოები, ვიყავი ესკოლტაზე, როზარიოზე, დუქნებში. გუშინ ჩემი ჩემოდნები ხომალდზე გავგზავნე, დღეს, ნასადილევს კატერით მეც იქ გავემართე. ჩვენ ფრანგი Pl და კიდევ ერთი ესპანელი მოგვეყვებოდა. ის თურმე წინათ ხომალდზე მსახურობდა, ახლა კი როგორც თვითონ გვითხრა, commandant des troupes¹ გახლავთ. იმ დღეს ფრეგატზე რამდენიმე ესპანელი უნდა ვეწვეოდა ოჯახებით, სადაც ჩვენი ყმაწვილკაცები იყვნენ მიღებულინი.

ის იყო კატერში ვსხდებოდით, რომ უცბად გვითხრეს, სტუმრები უკვე მოდიან, ნაწილმა კიდევ გაგასწროთო. ჩვენ კი ისევ ნაპირთან ვიდექით! რარიგ დატრიალდნენ ჩვენი ყმაწვილკაცები! პასაგიდან გამოვედით თუ არა, მყისვე იალქნები გააშლევინეს. კატერი სწრაფად გასრიალდა. ნაპირთან შედარებით სიწყნარე სუფევდა და კატერი მშვიდად მიდიოდა, მაგრამ შორს ვხედავდით, როგორ ყურყუმელაობდა ტალღებში სტუმრების დახურული ორჩხომელი.

¹ ხმელეთის კომანდირი (ფრანგ).

ნაშუადღევის სამი საათიდან ექვსამდე მანილის რეიდზე დღის სხვა საათებთან შედარებით თითქმის მუდამ უფრო ძლიერად უბერავს ქარი. იმ დღეს კი სხვა დღეებზე მეტად ქროდა და ტალღები წამოეჭოჩრა. „ორჩხომელს უნდა დავეწიოთ, — ამბობდა ბ[არონი], — შკოტი მოსკიმე! შკოტი მოსკიმეო!“ — იძლეოდა წარამარა განკარგულებებს. იალქნები ისე დაიბერა, რომ ნავი ცალი გვერდით წყალზე თითქმის გაწოლილიყო: თუ რომ მეორე კიდეს არ ჩაებლათუქებოდი, დაჯდომა გაგიჭირდებოდა. ფეხებით ხან ნაყინის კასრს ვებჯინებოდი, ხან კანფეტების, ფორთოხლების და მანგუს კალათებს, რომლებიც სტუმრების გასამასპინძლებლად მიგვქონდა და ნავის ფსკერზე უწესრიგოდ ეყარა. ჩვენ კი ღელვა წარამარა ფსკერზე ჩაგდებას გვიქადდა. „რითები ხომ არ ავკრიფოთ?“ — იკითხა ბ[არონმა] კ[რიდნერმა]. „საჭირო კია, მაგრამ მაშინ ნელა წავალთ, სტუმრებს ვეღარ მივუსწრებთ, — თქვა ბ[უტაკოვმა], — ხედავთ, აგერ უკვე სად არიან, ფრანგების გემის უკან: ვაჰ, როგორ აპროწილებს იმათ!“

ჩვენი კატერი ხან ყალყზე დგებოდა, ხან ცხვირით ტალღას ეხეთქებოდა, ციცხვივით ამოხაპავდა წყალს და შხეფებიანად და ქაფიანად აქეთ-იქით ისროდა.

ჩვენ მაინც გავუსწართ სტუმრებს, თუმცა თუ გადაბრუნება არ გველოდა, შეიძლებოდა ნავში წყალი შემოგვევარდნოდა. ეს უკანასკნელი გარემოება კი ბ[არონისთვის] უფრო მეტი თავზარი იქნებოდა; მაშინ რით უნდა გამასპინძლებოდა ესპანელ ბანოვნებს, თუკი ნაყინსა ან კანფეტებს მლაშე წყალი გადაევილებოდა?

ზღვის ღელვის დროს ხომალდის ქიმთან მიდგომაც დიდ თავსატეხს წარმოადგენს. ნავს ტალღა თითქმის ქიმამდე ააგდებს, ჰოდა, შენც ამ წუთით უნდა ისარგებლო და ტრაპზე გადახტე. თუ არ გადახტი, ტალღა ისევ უკან, ქვესკნელში ჩაითრევს ნავს.

ის იყო გემბანზე ავხტი, რომ სტუმრებიც ფეხდაფეხ მოადგნენ ქიმს. სულ შვიდი ესპანელი იყო, აქედან სამი ქალი, ორი ესპანელი — დედა-შვილი და ერთიც ინგლისელი ქალბატონი. მოწვეულებიდან სხვები აღარ წამოსულან, ღელვის შეშინებოდათ. სტუმრების ჩაით, ნაყინით და ხილით გავუმასპინ-

ძლდით. როგორც შევნიშნე, ხილს მარილი არ უნდა კლებოდა, რადგან ერთმა სტუმარმა მიაშინა რომ ჩაკბიჩა მანგუ, უცბად შეჩერდა, ჯერ ნაყოფს დახედა და მერე ჩვენ გადმოგვხედა. მართალია წყალი არ შემოგვვარდნია ნავში, მაგრამ ზღვის წყალს როგორ ავუკრძალავდით შხეფები არ შემოეხსა.

ინგლისელ ქალბატონს კი გაუუბით ასე თუ ისე საუბარი, ოღონდ ესპანელ მანდილოსნებთან ძლიერ გავვიქირდა. ქალიშვილი ფრიად მოხდენილი არსება გახლდათ; ფორტეპიანოზე ყოვლად უხეიროდ უკრავდა, ინგლისელი ქალი კი ყოვლად უხეიროდ მღეროდა. ქალიშვილს ამინდზე ვუთხარი რაღაც, ნახევარი ფრანგული და ნახევარი ინგლისური მოვიშველიე, იმ იმედით, თუ ერთ ენაზე ვერა, მეორეზე მაინც გაიგებდა. მან კი მგონი, მუსიკაზე მიპასუხა რაღაც, ნახევრად ესპანურად და ნახევრად... ჩემი ფიქრით, ტაგალურად.

ბოლოს, გამოვეთხოვეთ მანილას და აგერ ახლა ლუსონის პირისპირ უქარო ზოლში ვტორტმანებთ. რაც ნაპირზე გადავედი, ჩემს კაიუტაში ერთხელაც არ ვყოფილვარ. ახლა კი შიგ სიგარების ყუთები, საცვლები და ტანსაცმელი დამხვდა დახერგილი. მე და ფადეევმა რის გაჭირვებით მივაწყ-მოვაწყეთ ყველაფერი კუთხე-კუთხე, მაგრამ კაიუტა კი ნახევრად დაპატარავდა. „ჭილის ქუდები საღღა-მეთქი?“ — ვიკითხე. — „აგერ იქო“, — მიპასუხა ფადეევმა და ჭერზე მიმითითა. „იქ როგორ დაამაგრე?“ — ვკითხე გაკვირვებულმა. თურმე სულ უბრალო ხერხით კი: ფადეევს სამი თუ ოთხი ქუდი ერთმანეთში ჩაუდგამს და ფარფლები ლურსმნებით მიუჭედია ჭერზე: საგულდაგულოდ დაუმაგრებია, არა?

„მანილაზე განა სხვა აღარაფერია სათქმელიო?“ — მეტყვით ალბათ თქვენ. უკმაყოფილო დამრჩით? მეც ასევე ვარ. მეც რაღაც დიდს ველოდი. რას? იქნებ უფრო ბრწყინვალე, უფრო მცხუნვარე კოლორიტს, უფრო მეტ პოეტურ ოცნებებს და ჩვენ, ევროპელებისათვის უცხო, თავისებურ ყოფას. ვნახე კი, რომ აქ ცეკვავენ და ბევრსაც ცეკვავენ. ძილითაც ბევრი სძინავთ, ცხენიათ ყველაფრის, რაც თავისას მოაგონებთ. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ კლიმატის მიუხედავად აქ ყველანი მაუდის ტანსაცმელში გამოწყობილნი მიდიან წვეულებებზე. თეთრს მხოლოდ დილაობით იცვამენ, შავი ქუდები ხურავთ,

მანილის ჩალის ნაზ, მსუბუქ ნახელავს ჩინური ტლანქი ნახელავი ურჩევნიათ, ასე გასინჯეთ, ინდოელიც კი მაუდის პალტოში ირთვება, არ კადრულობს ჰაეროვან ქსოვილს, რომელიც მის მშობლიურ მიწაზე გაზრდილ მცენარეებისაგან მზადდება და ცდილობს მეტისს დაემსგავსოს, მეტისი თავის მხრივ ესპანელობაზე იკლავს თავს, ესპანელი კი ინგლისელობას ეპოტინება.

ადამიანები ბევრჯერ იცვლიან კანს. ამ კურთხეულ კუნძულზედაც, როგორც ყველგან, ისინიც გარდაქმნილან, ზნე-ადათები შეუცვლიათ, ბუნებისგან ნაკარნახევი სამოსი უკუფუგდიათ, თავისი ენა დავიწყებიათ, ოღონდაც კუნძულისა და ქალაქების სახელის გამოცვლა აღარ გახსენებიათ. იქნებ შეცდომაში შეგიყვანოთ მანილასა და ლუსონის მეღერმა სახელებმა; ისინი ხომ ესპანეთს მოაგონებს კაცს. მაგრამ იმედი გაგიცრუვდებათ: ეს ესპანური სახელები კი არა, ინდური გახლავთ. სიტყვა მანილა, ან უფრო სწორად მანილა ორ ტაგალურ სიტყვიდან mayron nila-დან წარმოსდგება, რაც სიტყვასიტყვით: იქ ნილა არისო, ნიშნავს. ნილა კი ერთი ჯიშის ბალახს ეწოდება, რომელიც პასიგის ნაპირებზე ხარობს. მაირონ-ნილას ეძახდნენ იმ ინდურ დაბას, რომლის ადგილზე ამჟამად მანილაა გაშენებული. ლუსონიც ტაგალურ სიტყვა ლოსონგიდან წარმომობილა: ლოსონგი ერქვა თურმე იმ როდინს, რომელშიც ამ კუნძულის მცხოვრებლები ბრინჯს ნაყავდნენ, როცა პირველი ესპანელები მოვიდნენ აქ. ჰოდა, ამ უკანასკნელებმა კუნძულსაც ლოსონგი დაარქვეს. ვითომ რატომ არა? აკი ჩვენი მეზღვაურები ინგლისელებსაც ასეებს ეძახიან, სიტყვა I say ანუ „ეჰეი, გესმის!“ — მიხედვით, რასაც წამდაუწუმ ხმარობენ ინგლისელები საუბარში. ტაგალი ანუ ტაგაილოგიც მდინარეების მცხოვრებს ნიშნავს.

სამაგიეროდ ლუსონის ბუნება, როგორც ყველგან, ისევე უცვლელია, და როგორც არსად, ისეთი ლამაზი. რა დიდებულისა ჩრდილოეთისა და სამხრეთი ცის ეს კავშირი, თითქო ერთად შეყრილი, ერთმანეთს ჩაკონილ-ჩახუტებული მზეთუნახავი იყოს! რა ახლოს ჩანან ერთმანეთთან... ჯვარი და დიდი რვილი, ორიონი და კონოპუსი... ჩამავალი მზე საოცარ ფერებში — იასპისფერად, ლილისფერად, ლაქვარდად, ბოლოს ისეთ უცნაურ, მუქსა და მშვენიერ ფერად ღებავს ცას, ადამიანის ხელი

იმას ვერ გადაიღებს! როგორ შექმნას მან აქაურ ვარსკვლავთა გამჟვალავი თეთრი შუქი? როგორ დახატოს მზის ჩასვლის შემდეგ შვებით გალურსული საღამოს ცა, თბილი, მწყაზარი, მთვარიანი ღამე? საუცხოოა ცისფერი ყურეც და მწვანე ნაპირი, შორეული მთები, პალმები, ბანანები, კედრები, ბამბუკები, შავი, წითელი, ყავისფერი ხეები, ნაკადულები, პაწაწა კუნძულები, აგარაკები — ეს ყველაფერი ბრწყინვალე, მომზიბლავი, ფანტასტიური მშვენებითაა საესე!...

და მიუხედავად ამისა, მაინც არაფრის გულისთვის არ დავრჩებოდი ამ ბუნების წიაღში საცხოვრებლად! როცა დილაადრიან ადგები და ფანჯარას გახსნი, გულს კი გაგიხარებს შემოჭრილი გრილი სიო, მაგრამ დიდხანს არ გასტანს ეს ბედნიერება: ისაა, ძილს გაგიფრთხობს, სასიცოცხლო ძალებს გაგიღვიძებს, საქმის წყურვილს აღგიძრავს, რომ მის კვალდაკვალ იმავე ფანჯრიდან გავარვარებული ატმოსფეროს ოხშივარი შემოგეფრქვევა. შორს ვერ გაიხედავ: ტალღები ნაკვერჩხლებით ღვივის, შენობათა კედლები თვალისმომჭრელად ქათქათებს, ჰაერი ცეცხლივით ელავს. საათის ათზე თუ თერთმეტზე. ნაშუადღევის ხანზე, უკვე არას ვიტყვი, გინდა სახლში იჯდე. გინდ კარგით გაისეირნო, სიცხე მაინც არაქათს გაცლის: ტყუილად შეებრძოლები ძილს. ლაპარაკს მოინდომებ — შუა სიტყვაზე დაგამთქნარებს; აზრი არ ჩამოგყალიბებია — რომ უკვე ძილმა მოგტაცა თავი. მაგრამ არც ძილი განიჭებს შვებას; ბალიში სულს გიხუთავს, უმსუბუქესი ქსოვილი ბორკილებად გეჩვენება. სუნთქავ — გცხელა, ქარს ეძებ — სადაა. გამშრალი პირის გასველება გინდა — წყალი თბილია, ყინულს ჩააგდებ შიგ — ანთება მოგივა. საღამოს ცოტა სულს მოიბრუნებ, ერთ ნეტარებაში ხარ, მაგრამ ამასაც დეკემბერში, იანვარში და თებერვალში თუ შეძლებ: სხვა დროსო, ამბობენ, სიცოცხლე ჩამწარებული გვაქვსო. ზაფხულის თვეებში კოკისპირული წვიმები, ქექა-ქუხილი, შიგა და შიგ გრიგალი და მიწისძვრები იცის. წვიმაში ვერც ფეხით და ვერც კარგით წახვალ სადმე. ქალაქსა და მის მიდამოებში წყალია აღიდებული; მიწისძვრა შინაც იგრძნობა და გარეთაც, როგორც ხომალდზე რწევის დროს ხდება: ყველა თავზარდაცემული დარბის, ინდოელები მიწას განერთხმიან ხოლმე....

მაგრამ სალამოსაც, ამ შეხუთულ, გალურსულ ჰაერში, ამ მთვარის გამქვალავ შუქზე, პალმათა ნელ შრიალში, ბუნების უშფოთველ სიმშვიდეში იგრძნობა რაღაც ისეთი, რაც ტვინს გიმძიმებს, ნერვებს გიჩუჩუნებს, წარმოდგენას გიმღვრევს. სალამოობით ვერანდაზე რომ ვიჯექი, ისეთი გულისღევა ამიტანდა, როგორც შარშან სინგაპურში მემართებოდა. ნეტარებ და თან წუხილი გიპყრობს! ამ მცხუნვარე ბუნების შმაგი ალერსი ისეთ მდიდარ ზმანებებს გივლენს სიზმრად, რაც ჩრდილოეთში თავის დღეში არ დაგესიზმრება.

მაგრამ მანილაში მაინც არ დარჩება კაცი, გული ჩრდილოეთში გაუწევს, თუნდაც იქ თოვლის გარდა თავის დღეში ვერა ნახოს რა! ჩვენი ნერვები არ ყოფილა ამ მგზნებარე ალერსისა და აქაური ბუნების მადლიანი ძალისთვის გაჩენილი.

აღბათ მეტყვიტ, განა ჩვენშიც არ იცის ასეთი ცხელი დღეები და ტურფა სალამოებში?... როგორ არა, ჩვენშიც გამოერევა პაპანაქება დღეები, თუმცა პალმები არა გვაქვს და არც ფანტასტიური ფერებით იღებება ცა: აქ განუწყვეტლივ შემოქმედი და ჩვენში დიდხნობით უქმად მყოფი ბუნება ქვეყნის ძალას ხარჯავს, რომ სამ თვეში აქ მკვდარ მიწაზე სიცოცხლე შექმნას. მაგრამ ნადიმს ის ჩვენშიაც მართავს, თუმცა ის ღარიბ-ღატაკის ნადიმსა ჰგავს, რომელსაც სიცოცხლეში ერთხელ მოუქაჩლებია თავი დიდებული ზეიმის გასამართავად. შემდეგ კვლავ უსიხარულო ყოფას მიეცემა, ბევრს მოიკლებს და ბევრზე იძუნწებს. ჩვენი ბუნებაც ხომ ასეა: ჩრდილოეთის თაკარა ცხელ დღეს უკვე გრძნობ მიწის შეხუთულ სუნთქვას, რაც დამით ავდარს, წვიმის ნიაღვარს და დიდი ხნით ამინდის შეცვლას მოასწავებს. აქ კი დღე დღეს ტყუპებივით ჰგავს, სულ ცხელია. სულ მხურვალეა, სულ ძლიერი, მოწმენდილი. და უშფოთველია — და ასე მისდევს ისინი ერთმანეთს კარგა ხნის მანძილზე.

იქნებ თქვენ მაინც უკმაყოფილო დამრჩით ჩემი ესკიზით და კიდევ რასმე მოითხოვ: მაგრამ რას? თუმცა ვხვდები უკვე. აღბათ გეზარებათ მშვიდ სავარძლიდან ადგომა, თაროდან წიგნის გადმოღება და წაკითხვა, რომ ფილიპინის კუნძულები აღმოსავლეთის სიგრძედის 114° და 134° — შუა და ჩრდილოეთ განედის 5° და 20° — შუა მდებარეობს, რომ ყველაზე დიდი კუნძული ლუსონია, დედაქალაქ მანილათი, შემდეგ მაგინდანაოს, სუ-

ლუს, პალაუანის კუნძულები მოდის სიდიდით, მერე პატარები: სამარი, პანაი, ლეიტი, მინდორო და მრავალი სხვა.

1521 წელს პირველად მაგელანი მოადგა თავისი ხომალდებით მაგინდანაოს კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და ესპანეთს ახალი, აყვავებული კოლონია შესძინა. პასიგის ნაპირზე ამიტომაც აუმართეს მას ძეგლი. მეორე ექსპედიცია მაგინდანაოს 1524 წელს მოადგა, ხუან გარსია ხოზე დე-ლოაიზას მეთაურობით. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ზღვაოსანმა ვილალობოსმა შემოიარა აქ და სწორედ მან მისცა ამ კუნძულებს „ფილიპინის“ სახელწოდება, ტახტის მემკვიდრის, ფილიპე II-ის საპატიოდ, რომელიც იმხანად მხოლოდ და მხოლოდ ასტურიის პრინცი გახლდათ.

1664 წელს მიგელ ლოპეც ლეგასპი ეწვია აქაურობას ავგუსტინელთა ორდენის ხუთი ბერიტა და ხუთი ხომალდით, რა არის კუნძულები ჯვრითა და იარაღით დაემორჩილებინა. ზოგიერთი ახლადამოჩენილი კუნძულების ინდოელებს, სადაც მაგელანსა და ლოაიზას არ შეეღწიათ, ევროპელების დანახვამ თავზარი დასცათ. მათ აუწყეს თავიანთ მეთაურებს, რომ „წერილი, წინწილაკუდებიანი ხალხი ჩამოვიდა, რომ ისინი მესხ ისვრიან, ქვას ჭამენ, ცეცხლს სვამენ, ცხვირიდან კვამლი გამოუდით, ცხვირები კი, — დასძინეს თანაც, — გრძელზე გრძელი აქვთო“. ინდოელებმა ორცხობილები ქვებად მიიღეს, დაშნა კუდად, ყალიონი — ცეცხლად, ხოლო ცხვირები ისევ ცხვირებად, ოღონდაც გრძელზე გრძელი მოეჩვენათ. მაგრამ განა იმიტომ, რომ ესპანელებს მეტისმეტად გრძელი ცხვირები აქვთ, უბრალოდ თვითონ ინდოელებისთვის ეს უკანასკნელნი მეტად მოკლე და გატყაპნილი მიუნიჭებია განგებას.

მეფის ბრძანებით ლეგასპიმ ლოსონგის ანუ ლუსონის კუნძულიც დაიმორჩილა. მან პასიგზე დააარსა ახლანდელი ქალაქი და წინათ ამ ადგილზე მყოფი დაბა მეირონ-ნილას ანუ შემოკლებით Mai-Nila-ს სახელი შეუენარჩუნა. ლეგასპიმ ჩინელებიც ჩაითრია და ვაჭრობა გამართა ძათთან, რაც დღემდე იფურჩქნება. მალე ფრანცისკელები, დომინიკანელებიც ჩამოვიდნენ და ტაძრები ააგეს. მათში ყველაზე ძველი ავგუსტინელთა მონასტერია, რომელიც ესკურიალის ამშენებელი არქიტექტორის გეგმითაა აგებული.

ამის შემდეგ მანილა არა ერთხელ გამხდარა ჩინელების და ასე გასინჯეთ, იაპონელ მეკობრეების თავდასხმის მსხვერპლი. შემდეგ ჰოლანდიელებმაც მიაკითხეს და შურიანი თვალი იქაც შემოანათეს, ბოლოს 1762 წელს ინგლისელები, ესპანეთთან ომის დროს, თავს დაესხნენ მას და საბოლოოდ დაარბიეს. მაგრამ ერთი წლისა და შვიდი თვის შემდეგ ზავი დაიდო და კოლონია ესპანეთს დაუბრუნდა.

ალბათ იტყვიან, ისტორიაზე მეტად მცირე ცნობებიაო. მაგრამ ღირს კი მასზე ბევრი ლაპარაკი? ფილიპინის არქიპელაგს ეითარცა parvenu¹-ს, ჯერ კიდევ არა აქვს უფლება გენეალოგიური ხე იქონიოს. მასზე თუ ილაპარაკებ, მაშასადამე, ესპანეთის ძლიერებაზე უნდა მოჰყვე XV, XVI და XVII საუკუნეებში. ამ ძლიერებას აქაურ მიყრუებულ კუთხეებშიც ჰქონდა გამოცხადილი, მხოლოდ ყრუდ. მსოფლიო მაშინ პატარა ნაკუწზე იყო მოკუნჭული: მას დასათამაშებდა მთელი სიძლიერით განგების მზე და მისმა სხივებმა აქაც შემოაბუთეს. მაგრამ იქნებ, როგორც ძველ ევროპაში, ის ოდესმე აქაც აკაშკაშდეს: მაშინ მოგზაურს მძიმე მოვალეობა დაეკისრება, უნდა იქექოს აქაურ არქივებში და შედიდურად აუწყოს ზარმაც მეგობრებს ამ კუთხის ისტორია.

ვაჭრობაზეც სამ სიტყვას მოგახსენებთ: მანილიდან ამერიკაში, ჩინეთში, ევროპასა და განსაკუთრებით ინგლისში გააქვთ: შაქარი, ინდიგო, ქერელი, სიგარები, რომი, ხე-ტყე; შემოაქვთ ბამბეული და შალეული, რკინა, სახომალდო ნაწილები, სანოვავე, ფოლადის ნაწარმი, შეშა, თიხის ჭურჭელი.

ყოველწლიურად ორასამდე ესპანური თუ უცხო ხომალდები ჩამოდის და ამდენივე გადის.

ჩამოტანილი საქონლის თანხა მილიონ ნახევარ პიასტრს აღწევს, ხანდახან ორამდეც აღის; გააქვთ სამი მილიონის საღირალი....

(იხილეთ: „Kaufmännische Berichte, gesammelt auf einer Reise um die Welt von W. N. Nopitsch“)².

.ესაა და ეს, სათქმელი მგონი მეტი აღარ დამრჩა.

¹ მეტიჩარა (ფრანგ).

² „სავაჭრო ანგარიში ვ. ნოპიტისა, ჩაწერილი მის მიერ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის დროს“ (გერმ.)

VI

მანილიდან ციხვირის ნაპირებამდე

მორყეული ანძა.—ბატანის კუნძული.—Padre და ალკადი.—სულოი. — კამიგუინის კუნძული, პიო-კვინტოს ნავსადგური. — წითელი ხე. — ფრინველები და მწერები. — ბანანები. — იხუების მულაპაეი ურჩხული. — ტროპიკულ ტყეში სადილობა. — ვეშაპი. — ზეიგენი. — ჰამილტონის კუნძული. — კამელიები. — კორეელები. — ცნობები შანხაიდან. — ნაგასაკი. — მეორე გუბერნატორი. — საჩუქრები. — სანოვაგე. — გოტოს კუნძულები. — კორეის ნაპირები; მათი აღწერა და რუკებზე შემოწმება. — ლაზარევის ყურე. — ნაპირზე გასეირნება. — დიდი ნისლი. — გველი. — მცხოვრებლებთან დაახლოება, — უსიამოვნება. — ტაიშანგას მდინარე. — ისტორიული შენიშვნა კორეაზე. — თათრის სრუტე. — ქარიშხალი. — დიდი ყურე. — მცხოვრებლები. — ტუნგუსი აფონკა. — გილიაკები.

1854 წლის 27 თებერვლიდან 22 მაისამდე

მანილა 27 თებერვალს, სალამოს დაეტოვეთ. ლუსონის გასწვრივ კვლავ შტილში მოვხვდით და ისეთივე ლოღვა-ლოღვით მოგვიხდა სვლა, როგორც აქეთობას.

ხუთიოდე დღე კი ვიჩანჩალებთ ასე, მაგრამ კუნძულის არეს რომ გამოვალწიეთ, შიგ შუბლში გვეძგერა ნორდ-ოსტის მძაფრი მუსონი.

თავდაპირველად ერთი რიფი აიკეცა, მერე მეორე და ბოლოს ოთხივე აიღეს. ძლივძლივობით მივიწვევდით წინ, უფრო სწორად ერთ ადგილზე ვტრიალებდით. დიდხანს ვიარეთ ერთი გაღსით, რვა რიცხვში კი ისევ იმავე ადგილზე მოვედით, სადაც

შვიდში ვიყავით. კილის რწევა აუტანელი გახლდათ, თუმცა მე ის გვერდით რწევას მირჩევნია, კუთხიდან კუთხეში მაინც არ გისვრის. მაგრამ ვისაც ზღვის სენი შეჰყარია, მისთვის უდიდეს საწამებელს წარმოადგენს.

შკუნა, ტრანსპორტი და კორვეტი ჩვენ მოგვეყვებოდა, მაგრამ აღმირალმა ისინი სხვადასხვა მხარეს დაგზავნა. ტრანსპორტი „თავადი მენშიკოვი“ შანხაიში გაემართა, ცნობების შესაკრებად, შკუნა კუნძულ ბატანზე წავიდა, ლუზის ჩასაშვები ადგილი უნდა შეერჩია და სანოვაგე მოემარაგებინა, კორვეტ-მაც საითლაც გასწია. ჩვენ თვითონ ჰამილტონის პატარა კუნძულზე მივეშურებოდით, კორეის ნაპირებთან, და ტრანსპორტს იქ დავუცდიდით.

დავშორდით თუ არა ხომალდებს, ქარმა იმძლავრა. უეცრივ ჩვენი ფოკ-ანძა უკან-უკან გადაიხარა, რაც გროტანძის დაცემაზე უფრო საშიშს წარმოადგენდა. საერთო განგაში ატყდა: გზის გაგრძელება სახიფათო იყო. ჩრდილოეთში შეიძლება მძაფრი ქარები დაგვხვედროდა და ფრეგატი შავ ღღეში ჩაეგდო. მესამე ღღეს ანძა კიდევ გაიბზარა. ფოკი სასწრაფოდ მოაცილეს. საჭირო იყო რომელიმე ნავსადგურში წასვლა, ოღონდ სად, რომელში? ყველას ჰონ-კონგი აჯობებდა, მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, პირდაპირ ინგლისელებს მივადგეთ. ისევე უკან, ბაბუიანის კუნძულების ჯგუფისაკენ, კამიგუინის კუნძულზე გადაწყდა წასვლა, მისი ნავსადგური პიო-კვინტო ლუსონთან შორს არ მდებარეობდა.

მაგრამ ბატანზე უნდა შევიაროთ და შკუნას ვაცნობოთ, რომ ფრეგატს აქ არ დაელოდოს, ჩრდილოეთისაკენ გააგრძელოს გზა. ბატანისკენ იკანკლურად ვიარეთ; ქარი ისეთი ძალით ღრიალებდა, მთელი დამე თვალი არ მომიხუტავს: კაიუტას ჩაკეტავ — დაიხრჩობი, კარს ოდნავ გამოხსნი — ტყესავით გუგუნებს ირგვლივ.

გუშინ 9-დან 10 რიცხვის დამის ჩათვლით დინებამ ღღე-ღამეში 35 მილით გაგვათრია ჩრდილოეთისკენ, თუმცა წინა ღღეს ობსერვაცია კარგი გვექონდა და ბატანის ზემოთ ამოგვაყოფინა თავი. სამაგიეროდ, ზურგქარის წყალობით რასწრაფად დავსრიალდით ქვემოთ! ეს ის ბატანი გახლავთ, სადაც შარშან ივლისის თვეში ტიფონი ანუ ჩინურად „ტაიფუნი“ ე. ი. ძლიე-

რი ქარიშხალი გვეძგერა. მაშინ ვერა და ვერ მივაგენით მის აღმოსავლეთ ნაპირზე ნავმისადგომს: თურმე იქ არ ყოფილა და რას ვნახავდით. ახლა კი ხელად აღმოვაჩინეთ სამხრეთ-დასავლეთით. შკუნა და კიდევ ამერიკელთა ვეშაპმჭერი იქ დაგვიხვდა.

კუნძული კარგი რამაა, სულ მთაგორიანია და მწვანედ გააქვს ბიბინი. ყურეში ლაღად თარეშობს სამხრეთის ქარი. ღუზის ჩაშვება იქ საშიშია, თუმცა წლის ამ დროს, ე. ი. როცა ნორდ-ოსტის მუსონი ქრის, გაჩერება თავისუფლად შეიძლება: სამხრეთის ქარი არ უბერავს. მაგრამ მაინც ვერ დაენდობი. ვთქვათ და დაუბეროს? კლდეებს შუა (ისინიც ამწვანებულია) სიწყნარე სუფევს. ნავმისადგომი იქაა აგებული: სიღრმე თანაბარი არა ჰქონია. ალაგ-ალაგ 50 საყენია, ალაგ-ალაგ 38, იქვე, გვერდით კი — შვიდი. დავინახეთ მონასტერი, მერე ესპანელი ალკადის სახლი და მწვანეში ჩაფლული სოფელი. ნაპირის ნახვა გულსა და თვალს ახარებს. ჩვენები გადავიდნენ, მე კი დავრჩი. მგონი, ცოტა ის სენი შემეყარა, გერმანელები Heimweh-ს¹ რომ ეძახიან. უბრალოდ რომ ვთქვათ, სახლი მენატრება. ღმერთი მომცემს კი გაძლებას! რაც შორეთში მიტყუებდა და რაც სიახლეს წარმოადგენდა, მან უკვე დაჰკარგა თავისი მომხიბლაობა. წინ მხოლოდ უსიამო შფოთი და მღელვარება მელის, ვინ იცის, კიდევ რა შეგვემთხვევა.

ღღეს დილით ჩვენთან padre² და ალკადი საუზმობდნენ. კაიუტიდან არ გამოვსულვარ, რაღაც არ მინდოდა, მაგრამ სარკმლიდან კი სიამოვნებით ვუცქერდი ორ ინდოელ ბიჭს, რომლებიც იმათ მოჰყვნენ და ჩვენი მუსიკოსების დაკვრაზე პირდაღებულნი ვახევდნენ. მალე გაკვირვება სიამოვნებამ შეუცვალათ: გემბანზე გვერდი-გვერდ ჩამოსხდნენ, მუსიკოსებისთვის ძვალი არ მოუშორებიათ. ბიჭებს ატორტმანებდა. უმცროსს ყვითელი სახე გაუმწვანდა და ზარბაზანს მოეფარა. უცბად პადრემ დაუძახა: მას არ გაუგია. ამის გულისთვის პადრემ ისეთი მუჯღუფგუნი ჰკრა, ყაჩაღს უფრო შეჰფეროდა, ვინემ მოძღვარს. ხარები და მწვანილი გამოგვიგზავნეს კუნძულიდან. კარაპი-

1 სამშობლოს ნაღველი (გერ.)

2 მღვდელი (ესპ.)

დან ერთი ხარი რომ ამოსწიეს, მარყუქი უეცრივ დაცურდა და მუხლიდან კისერზე მოექცა. ხარმა ენა გადმოაგდო, მაგრამ გემბანზე სწრაფად ამოიყვანეს და გაანთავისუფლეს. კარაპაზე მყოფ ერთ მეზღვაურს ეგონა, ხარი უკანვე, კარაპაში ჩამოვარდებო, ამიტომ ზღვაში გადახტომა ირჩია; მაგრამ ხარი უკანვე არ ჩავარდნილა და მისმა წინდახედულობამ საერთო ხარხარი გამოიწვია. მოწყენის მიუხედავად მეც სიცილი ამიტყდა.

სანოვაგე რომ მოვიმარაგეთ, ღუზა აევსენით და ახლა კამიგუინის კუნძულზე მივეშურებით ანძების შესაკეთებლად.

ზღვაში ღამით გავედით; აქ თურმე კუნძულები ყოფილა მიმოფანტული, ჰოდა, ჩვენც მეტი სიფრთხილისთვის განთიადამდე პატარა იალქნები გვექონდა გაშლილი და ბაშის კუნძულებთან ვიდექით. მე მეძინა. დილით ძილში ჩამომესმა, ფრეგატმა ფორღევიდზე რომ სიჩქარეს უმატა. ამ დროს მუდამ განდაგან ქანაობს ხოლმე ხომალდი. ოთხი საათისთვის ღუზის ჩაშვებას ვფიქრობდით. სულ სამოცი მილი გვექონდა გასავლელი, ათი კვანძის სიჩქარით მივდიოდით, ე. ი. ათ მილს, ანუ ჩვიდმეტ ვერსზე მეტს ვაკეთებდით საათში. მაგრამ ამ გამოანგარიშებისას დინებაც არ უნდა დაივიწყო; აქ კი საპირისპირო დინება შეგვხვდა. ზურგქარი ათი კვანძის სიჩქარით მიგვაქროლებდა, ხოლო დინება ხუთი კვანძით გვაბრუნებდა უკან. ხუთი საათისთვის მივუახლოვდით კამიგუინს. მხოლოდ ისე ნელა მივიწვევდით, მზე დასავლეთისკენ გადაიხარა და ჩვენ მაინც ისევ შესავალთან ვიყავით.

ამასთან ისიც დაერთო, რომ კუნძულთან პირდაპირ სულოში მოვხვდით. არ იცით, „სულო“ რა არის? ღმერთმა ნურც გამოგაცდევინოთ. სულოი ქარისა და დინების შეყრას წარმოადგენს. ნორდ-ოსტის ქარი ქროდა, დინება კი SW-დან იყო. რა ღვთის რისხვა ყოფილა! ასეთი უზარმაზარი, ასეთად მღელვარე ფურთუნი არასოდეს მენახა. ქარი მაინცადამაინც ძლიერი არ იყო, ორივე მხრიდან ერთმანეთს შემსკდარი ტალღები კი მთებივით წამოიმართებოდა და ნაირ-ნაირ ფორმას იღებდა. ერთი ტალღა რომ პირამიდისავეით აეყუდებოდა და ესაა აქეთ-იქით შხეფებდად დამსხვრევას დააპირებდა, როგორც მისი წეს და რიგ არს, უეცრივ მეორე გადაეღობებოდა, ხომალდის ბადეებს ზემოთ ამოხტებოდა, მერე უკან გაიჭრებოდა,

ღრმა ხეცს წარმოქმნიდა, და ხომალდიც მთელი სისწრაფით ამ ხეცში ჩაქანდებოდა ხოლმე. უკნიდან ახლა სხვა ტალღა უჯიკავებდა და ხომალდიც გვერდზე გადაყირავებული ეგდო გულისგადამლევე მთელი ერთი წუთის მანძილზე. ტალღები გემბანს ეტყლაშუნებოდა და ესხმოდა, ხომალდიც ქიმებით ხაპავდა წყალს, რაც ხომალდებისთვის დიდ ხათბალას წარმოადგენს. პატარებს არაერთხელ გადალეკავს, დიდებსაც კი შეიძლება ანძები წაგლიჯოს. საბედნიეროდ, ქარმა მალე გამოგვიყვანა წყნარ ადგილზე, მაგრამ ბოლაშში შესვლა ვერ მოვაწარით და მთელი ღამე ისევ ზღვაში ვიყურყუტეთ. მერე რა იმედი გვქონდა, ღუზას ჩაეუშვებდით, ვიბანავებდით და დასაძინებლად დავწვებოდით.

მეორე დღის დილას, 11 მარტს, ჩრდილოეთის მხრიდან შევედით პიოკვინტოს ბოლაშში და იმავე სახელწოდების პატარა კუნძულის უკან დავდექით, რომელიც რეიდს ქარისგან იცავდა. ბოლაში დიდი ყოფილა. ნაპირები ქოჩორა, გაუვალ მწვანეს შეემოსა. კუნძულზე ჩამქრალი ვულკანიც არის, პალმებიც. ბანანებიც, აუარება ნიჟარები. ჩემსობას მეზღვაურებმა პ[როსიეტს] მთელი ტომარა ნიჟარებით მოუტანეს. ჩემთვისაც შევუკვეთე. ექიმმა ექვსიოდე ფრინველი მოჰკლა, ოქროსფერები, წითლები, ყვითლები: იმათ გამოშიგნავენ და ქალაღდით დატენიან. გ[როშევიჩს] კარგი სანავარდო დაუდგა. მე ნაპირზე ვერ გადავდივარ: რევმატიზმმა გამიხსენა და საფეთქელში მტეხს. ფრეგატიდან ვუცქერი, ფურთუნი რომ ნაპირს ეძგერება, მალღა აასხამს და თეთრ განიერ არშიად იმსხვრევა. ოკეანე თითქო თავზე ევლებღა ამ კუნძულებს: ხან ეთამაშებღა, ხან ღრიღლით და ბრაზით ასკდებღა, ხან ყოველი მხრივ შემოერტყმებღა და აღერსიანად ეხვევღა თავის გულის საყვარლებს, მარგალიტებღად იფრქვევღა, ნაპირებთან ბუყბუყებს და ბრჭყვიღღა ნიჟარა, ზღვის ზღარბი თუ ღამაში, მის მიერ გასიბული მარჯანი მოაქვს თითქო შვილებისთვის სათამაზოდ.

ფადეევი დღეს ნაპირზე იყო და ერთმანეთზე უარესი ნიჟარები მომითრია. ერთში ცოცხალი კიბორჩხალღა ვნახეთ, რომელიც ამ უზარმაზარ ნიჟარას თან დაათრევღღა. „რღ სერიი იყოო!“ — მოთხრღ ფადეევმღ. „აღბათ ვისმე ფათერღკი შეემთხვღ-მეთქი“, — ვიფიქრე, მისი ხასიათი რომ ვიცოღდი. ასეც გღ-

მოდგა. „ჩვენმა ბიჭებმა, — განაგრძო მან, — რაღაც ცერცვი-
ვით მცენარე ჭამეს, მე მარტო ერთი გავსინჯე — რა უშავდა,
ოღონდ პირი ისე შემიკრა, ვეღარ გავალე, იმათ კი მუცელი
აატიკვათ და ყველაფერი წამოარწყევინათ: ახლა კვენსიან“. —
„როგორ შეიძლება უცხო მცენარეების ჭამა? — შევნიშნე მე, —
აქ მომწამლავიც ბევრია.“ — „კიდეც რაღაც ნაყოფი ვნახეთ...
კაკალს ჰგავდა, მაგრამ არც კაკალი იყო, თითქო ვაშლსაც ჩა-
მოგავდა, წითლებიც იყო და მწვანეებიც. თითო-თითო წითელი
გავსინჯეთ, ძალზე მჟავე გამოდგა; მწვანეც გვინდოდა გაგვე-
სინჯა, მაგრამ ბიჭები ისე დაკრუნჩხა და ააკრუსუნა — სიცი-
ლით მოვკვდი! ბატონებსაც სეირი მოუვიდათ, — დაამატა მან
და შეეცადა სიცილი შეეკაებინა, — ფურთუნში მოხვდნენ:
ნაპირს რომ მოადგნენ, ნავი მოტრიალდა, ზვირთი თავზე გადა-
ევლოთ და ყველანი სულ ამოწუწა. აგერ ისინიც!“ — დასძინა
მან და სარკმელზე მიმითითა. მართლაც ყველანი ამოლუმპუ-
ლები მოდიოდნენ.

16 მარტი. მე ხან კბილი მტკივა, ხან მოწყენა მიპყრობს. მე-
რე რა დროს! აქოჩრილა მწვანე, ლურჯად ლივლივებს ცა და
ზღვა, კაშკაშებს მზე, ცხელა და თანაც მსუბუქი სიო ქრის.
ნაპირზე გადასვლა მეზარება. წარამარა მესმის, ამან წელამდე
წყალში გასტოპაო, იმას ქვებზე მოუხდა სიარულიო, მესამემ
ლიანებში გზა ვერ გაიკვლიაო. ყოველივე ამან წასვლის ხალი-
სი დამიკარგა. მაგრამ ამ დილას, გემბანზე გამოვედი თუ არა,
უ[ნკოვსკი] შემხვდა და წასვლა შემომთავაზა. „შეხეთ, ფურ-
თუნი აღარაა, ნაპირიდან უბერავეს ქარი, წყალში სიარული არ
მოგიხდებათ, ფესს არ დაისველებთ და კბილი არ აგტიკვათო“.
მეც ავიღე ქოლგა, დავიხურე ჭილის ქუდი და ველბოტით გავ-
წიეთ ნაპირისაკენ.

ფურთუნი მართლაც არ იყო, ნაკადულში თითქო მარხილით
შევსრიალდით. მეზღვაურები წყალში ჩახტნენ, ველბოტი თა-
ვისკენ გაათრიეს და ჩვენც პირდაპირ ქვიშიან ნაპირზე ჩამოვხ-
ტით. ნაკადული ნიქარებით, მარჯნებით, კენჭებით იყო სავსე —
ერთი სიტყვით, წყლის გარდა ყველაფერს ნახავდი შიგ. შევე-
დით ტოტებგადაშლილ ხეების კამარაში და ნოტიო, ცხელი
ორთქლი შემოგვეფრქვია. ნაპირი მთლიანად ტევრით იყო და-
ბურული, მეტწილად წითელი ხეები ხარობდა. მწვანე თმასავით

სქლად ამოყრილიყო. წითელი ხე აძლევს სწორედ მთელ კუნძულს აქოჩრილ იერს. მაგარი, პრიალა, ღია მწვანე ფოთლები აქვს, ზოგს პატარა, ზოგს გრძელი, თანაც ისეთი სქელი, კაცს ლანჩად გამოადგება.

ჩვენებს კარვები ზედ ნაპირზე გაეშალათ, ხეების ძირას. იქ გ[ომევეიჩი] დაგვიხვდა, ირგვლივ მწერები, პეპლები, კიბორჩხალები ეხვია, ცოცხალი თუ მკვდარი, გამოშვიგნული თუ გამოუშვიგნავი ფრინველები, გველები, ხელიკები, ხუთი წუთი ჩრდილში შევისვენეთ და მერე ნაპირს გავყევით მეორე, მეტად ტურფა ნაკადულისკენ. ტყით წასვლა შეუძლებელი იყო. ლიანები ისე შემოხვეოდა ხეებს, რომ არც გადაბიჯება და არც მათი გარღვევა შეიძლებოდა. ისევ ნაპირ-ნაპირ უნდა წასულიყავი, რომელიც მსხვილი და წვრილი კენჭებით იყო მოფენილი და მოქცევა პერიოდულად ფარავდა. კენჭები ხან ფეხისგულებში გვესობოდა, ხან ფეხიდან გვისხლტებოდა და ყოველ მხრივ იფანტებოდა. წაქცევით არ წაიქცეოდი, მაგრამ ფეხი კი შეიძლება ორივე მოგეტეხა. ასე ვიარეთ ორიოდე ვერსი, უკვე იმედიც გადამიწყდა, ვეღარც მივალთ-მეთქი, რომ უცბად ჩვენები დავინახეთ. ხე მოექრათ და კანს აცლიდნენ. ეს რა ვეებერთელა ტანი. ჰქონია ამ წითელ ხეს! მარტო კეთილი იმედის კონცხზე მინახავს ამსიგანე მუხები და კიდევ ჩინეთში ჭაფურის ხეები. აქედან დაჩრდილული ნოტიო ბილიკით ერთ ცარიელ კარავს მივალწიეთ, ცოტა ხანს შევისვენეთ და მერე ფიცრით ისეთ სწრაფ ნაკადულზე გადავედით, როცა აყანყალებულ ბოგირზე გასვლისას ფსკერზე გრძელი ჯოხით დავეყრდენი, იმავე წუთს გამომგლიჯა დინებამ და ზღვაში გაიტანა.

შემდეგ სულ ტყით გავყევით ნაკადულის პირს. პირდაპირ გამაკვირვა აქაურმა მცენარეულობამ. ზემოთ მთლად მწვანე თალი გვიფარავდა მზისგან. ერთიმეორეზე ლამაზი, მაღალი, შეფოთლილი და ქოჩორა ხეები თავთავებივით მიჰკროდნენ ერთმანეთს. აუარება წითელი, ყვითელი, მწვანე ჩიტი დასრიალებდა ტოტებში, ბუჩქიდან ბუჩქზე. რა ყვირილი იღვა! ზემოდან ხან კვნესა, ხან სტვენა ჩამოგესმოდა, ერთი ჩიტი კი ისე ჭახჭახებდა, ყურები უნდა დაგეცო კაცს. არც მწერები ჩამოუვარდებოდნენ. ბევრი უშველებელი პეპელა დავინახე, მერე კრაზანას მსგავსი მწერები, ლურჯები იყვნენ, ბუსუსებიანი

და თავზე ნიშანი ჰქონდათ. ერთმა ასეთმა მწერმა ამას წინათ, გომევიჩის ყუთში უკვე ქინძისთავზე ჩამოცმულმა, სიგარა რომ მივეუტანე ახლოს, ბოლომდე გამიკვნიტა ნესტრით. პეპლე-ბიც სულ ნაირ-ნაირები არიან; ხელისგულის ოდენებსაც შეხვ-დები. ბუზები პატარები და უბრალოებია, მაგრამ იმათაც არა-ჩვეულებრივი ფორმა და ფერები ახასიათებთ.

ერთ მინდორზე რომ გამოვედი, იქ ინდოელთა ფაცხები და პლანტაციები დავინახეთ. ესენიც მანილელი ტაგალები ყო-ფილან, ნაწილი გამოქცეულა, ნაწილს კი თავისი სურვილით დაუტოვებია ლუსონი. ყველანი ესპანურად ლაპარაკობდნენ. კუნძულზე ორასამდე მოსახლე იქნება. საცხოვრებლები სხვა-დასხვა ადგილასაა გაფანტული. მერედა რა საცხოვრებელი! არშინნახევრის სიგრძე ოთხი ბოძი, ზედ ფიცრებია დაგებული, შემდეგ ბამბუკის ჯოხების სამი კედელი, მეოთხე ღიაა, სახუ-რავად პალმის ფოთლები. შიგ ღარიბი ქურქლეულობა მოჩანს, ირგვლივ ქათმები და ძაღლები დაბორიალობენ. მცხოვრებ-ლებს ყარგა დიდ ფართობზე გამოუწვიათ ტყე პლანტაციების-თვის. ბანანებს, სიმინდებს, ტარობსა და თამბაქოს შორის ლამის გზა ამერია. ბანანები სწორედ დიდებული სანახავია, ჯერჯერობით ნაყოფი არ შეთვალულა და ძირს დაკიდებულ, დიდ ლილისფერ კვირტში შემალულა. კვირტის ფურცლები რომ გაიხსნება, წითელ ფერს დაიკრავს, მერე ჩამოცვივა და ნაყოფის მთელ მტევანს გამოაჩენს. ქოქოსები აქ არ დამინახავს. სხვა ჯიშის პალმები კი ბევრია, განსაკუთრებით არეკი.

დავიღალე, კარვებთან კუნძუზე ჩამოვეჯექი და მხიარულ ნა-კადულს დავაცქერდი. მის ორივე ნაპირზე ბუჩქები და ლერწ-მები აყრილა. ნაკადული განიერ ბასეინად იშლება. წყალი ბროლივით კამკამებს. ჩვენი მეზღვაურები შიგ საცვლებს რე-ცხავდნენ და ლიანებზე აფენდნენ. ერთ უზარმაზარ ხეს ისე შე-შოხვეოდა ლიანები, რომ გოლიათს მოგაგონებდათ, რომელსაც ლაოკონივით გაუწვდენია ხელები მაღლა და ამ ბადისგან გა-მოსხლტომას ლამობს, მაგრამ ვერა და ვერ მოუხერხებია. ქვე-შოთ, ხის ტანის გარშემო თუ გასწვრივ, სქელი, მცენარეული თოკები ჩახვეულა და ჩაზრდილა; ზემოთ ისინი ძაფებივით წვრილებია. კ[რიდნერმა] დააპირა ერთის გაგლეჯა და ვერ გა-გლოჯა, დანითაც კი ძლივს გადაქრა. ჩიტებს სხვადასხვა ხმაზე

მოერთოთ გალობა, მაგრამ ჩრდილში ისე იყვნენ მიმალულნი, მხოლოდ თითო-ოროლას მოვკარი თვალი. „ღამით საშველი არ შოგვცეს, თ[ქვენო] მ[აღალკეთილშობილებავ], — მითხრა მეზღვაურმა, რომელსაც ნაპირზე გაეთია ღამე, — კარვის ქვეშ შეძკრებიან და რაც ძალი და ღონე აქვთ, ჩხავიან“. თავზე აქაურმა მტრედმა გადაგვიფრინა, თავი თეთრი ჰქონდა, ზურგი მომწვანო, ჩვენებურზე მოზრდილი იყო. ყვაეები (ფრთების მოყვანილობით ვარჩევ), პირიქით, ჩვენებურებზე პატარაა: ლურჯები და ცისფერებიც არიან, ოღონდ ფრთები შავი აქვთ და ჩვენებური ყვაევივით ფრთებზე თეთრი, სიმეტრიული ხალები ასხია.

ჩრდილში ერთი საათი შევისვენეთ და უკან გამოვბრუნდით. ამჯერად კენჭებზე სიარული პირდაპირ წამებად მეჩვენა. მიღიხარ, მიღიხარ, გგონია, მალე გათავდება, გაიხედავ და თვალუწვდენელი მანძილი დაგრჩენია კიდევ. შუადღის მზე უღმობლად გთუთქავს. ქოლგა და განიერი ჭილის ქუდი ნაკლებ გიფარავს. ჩრდილში შეხვალ, ხეების ძირას, — ლიანებში გებლანდება ფეხი. ფურთუნი ლაშქარივით მოემართება ჩვენ-კენ და ფეხებთან გვემსხვრევა. შორიდან მათი ხმა მეხის ქექასა აგავს. აქეთ-იქით გავიფანტენით. რაკი სხვა საქმე არ მქონდა, ავდექი და ისევ გზადაგზა მოქცევით დატოვებულ ნიჟარების შეკრებას მივყე ხელი. განსაკუთრებით პატარები იყო მეტისმეტად ლამაზი. ზოგიერთები კიდევ მოძრაობდა: კიბორჩხალები ჯერ ცოცხალნი ყოფილან შიგ. თუ გზაში ფიქრმა გაგიტაცა, კიბორჩხალები გამოძკრებიან და მარწუხებით ხელში ჩაგაფრინდებიან.

19. დღეს ნაპირზე გადაწყვიტეს სადილობა. გარეთ აუშლ-ვრეველი სიმშვიდე და აუტანელი სიცხე მეფობს. რაც უფრო უახლოვდები ნაპირს, მეტად გცემს ცხვირში ნაპირზე მიმოფანტული და დროდადრო მოქცევით დაფარული დამპალი მარჯნების სუნი. მარჯნები ფრეგატზე მოიტანეს და ეს სუნიც თან მოჰყვა იმათ. ყველამ ბლომ-ბლომად მოიმარაგა. ფადეევს პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე მივყავარ: ყოველდღე ნიჟარები მოაქვს ჩემთვის; ლოკოკინები იხოცებიან და ლბებიან. კაიუტაში აღარ გაიძლება.

სამი დღეა თურმე, რომ ჩვენი კარვების ახლოს, ჰაობიან

ღელედან ყოველდღე რაღაც ცხოველი გამოდის, ორიოდ არ-
შინის სიგრძე. გუშინ მკვდარი იხვი შეუჭამია. იხვები, ქათმები
და ცხვრები ფრეგატიდან ნაპირზე გადაიყვანეს. ერთი მომკვ-
დარა და იმ ცხოველის არჩივი გამხდარა. „რა ცხოველია ასე-
თი?“ — ეკითხებოდნენ მეზღვაურებს. „გველივით კული აქვს,
ორ ფეხზე დგას“, — იძახდა ერთი. „პირში ორი ისარი
უჩანს“, — ამბობდა მეორე. „ეგ ურჩხულია, თ. მ., — დაასვენა
მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ერთმა უნტერ-ოფიცერმა. — სამი
დღეა ვყარაულობთ, მაგრამ ვერ მოვიგდეთ: ხშირ-ხშირად მო-
დის, მაგრამ მცირე ხნით. მარტო დღეს მოვახერხეთ ზურგში
გვეთაქა ნიჩაბი. ახლა იქ მიხელკა კერნი ზის, მესაქონლე, და
თოფით დარაჯობს“.

ღელისაკენ გავიქეცი, ორ ადგილას დავაპირე გასვლა, მაგ-
რამ ტყის გადაჭრა შეუძლებელი აღმოჩნდა. გვიმრები და
სქელტანა წითელი ხეები კედელივით ამართულან. ლიანები ბა-
დესავით გაშლილა. მეზღვაურმა ბილიკი მიჩვენა და მალე ღე-
ლეს მივადექით. ერთ ადგილას ბასეინი შეექმნა, კუნძებით,
დამკვნარი ტოტებითა და ხმელი ფოთლებით ჩახერ-
გილი. ბუჩქებთან უმოძრაოდ მდგარი თოფიანი კაცი
დავინახე. „აქ რას აკეთებ-მეთქი“ — „ურჩხულს ვუცდი,
თ. მ...“ — ჩამჩურჩულა სუნთქვაშეკრულმა. მის ახლოს
ორი იხვი ეგდო, ერთს უკვე მუცელი გამოკმული ჰქონ-
და, ირგვლივ ღეშის მოყვარული ბუხების მთელი გუნდი და-
ზუზუნებდა, მეორე ხელუხლები იყო. სწორედ ამ მეორეზე ამ-
ყარებდა მიხელკა კერნი თავის იმედებს. მეც მასთან დავრჩი.
მაგრამ რაკი იმას ჯილდოს შეჰპირდნენ, თუ დაიციდიდა და დაი-
ჭერდა, მე კი არაფერს ველოდი, ამიტომ მოთმინება დამეყარ-
გა და ისევ კარვებს მივაშურე.

ერთ კარავთან ჩვენებს მოეყარა თავი და ვილაცას შემოხვე-
ოდნენ. ნაბიჯს აფუჩქარე. ვნახოთ, წრეში გ[ოშკევიჩი] დგას და
ხელში რაღაც უჭირავს. „ეგ რა გაქვთ-მეთქი?“ — „აი, ნახე-
თო“, — მითხრა და ზედ ცხვირთან მომიტანა ერთი არშინის
სიგრძე ხვლიკი. წინა და უკანა თათები ლიანით ჰქონდა ზურგზე
შეკრული. ხვლიკი მტკივნეულად ახამხამებდა თვალებს, დრო-
დადრო გრძელ წვრილ ენას გადმოაგდებდა და უმალ ისევ მა-
ლავდა. „აი, თურმე ვის უჭამია იხვები!“ — ვთქვი მე. „რას ბრძა-

ნებთ: ის გაცილებით დიდი იყო!" -- შემომძახეს აქეთ-იქიდან. „და არც ასეთი“, — თქვა ვიღაცამ ხალხიდან. „ფრთები ჰქონდაო“, — დაუმატა უკრაინელმა მეზღვაურმა. აღარ გამოვედავე და კარავში შევედი. იქ ფეხს ვერსად დააბიჯებდი: ნაინაირ ფერის და ზომის ნიჟარებისა და კიბორჩხალების მუზეუმად გადაქცეულიყო. კიბორჩხალებში ზოგი პირდაპირ შესაზარი სიდიდის და თან ისეთი თვალწარმტაცი ფერისა იყო, როგორც სხვა ყველაფერი აქაური მადლიანი მზის ქვეშ. იქვე სამ ინდოელს მოერთხა ფეხი იატაკზე. რა არ მოჰქონდათ გომკევიჩისთვის, ოღონდაც ცხვირსახოცი, ძველი პერანგი თუ გაცვეთილი ფეხსაცმელი მიეცა მათთვის. ერთს ცოცხალი გველი მოჰყავდა, მეორეს ნიჟარებით სავსე ტომარა, რისთვისაც მხარზე გადაკიდებული ბადით მიემართებოდა ფურთუნში, მესამეს ფრინველი თუ ხოქო.

სიგარის ნამწვი მიწაზე დავაგდე: ინდოელებმა ხარბად დატაცეს ხელი და რიგ-რიგობით გააბოლეს. მაშინ სათითაოდ ჩამოვურიგე სიგარები: რა სიხარული მიანიჭათ ჩემმა საჩუქარმა, როგორ მიკრავდნენ თავს! შემდეგ კარავგარეთ გავედი და ფიცარზე დავაპირე წამოწოლა: უნდა გენახათ, როგორ გამოცვივდნენ, ფიცარი გაწმინდეს, ქვეშ კენჭები შეუღვეს.

რაც არ უნდა მიაჩვიო თვალი ამ ნაპირებს, გინდ ტყიან ნაპირს მოავლო მზერა, გინდ ერთ სეზე, ბუჩქზე, კორძიან ხის ტანზე გაგიჩერდეს თვალი, უნებლიეთ მაინც სულში აღტაცების ძრწოლა დავისადგურებს, და რაც არ უნდა ქვაგული გქონდეს, ამ ბუნების სასწაულებს მაინც განცვიფრების ბარაქიან ხარკს გადაუხდის. როგორ დულს და ჩქეტს აქ სიცოცხლე! რა საკვირველი რამ სამუშაო სრულდება თითქმის შენს თვალწინ! რამდენი ოსტატობაა დახარჯული ყოველ ნიჟარაზე, ბუზზე, მოღრეცილ როკზე, დიდებული სამოსით რომ შემოსილა!

ჩვენ კარვებში ვისადილეთ; მაგრამ მარჯნები ისე ჰყარდნენ, ჰამა შეუძლებელი იყო. მთელი სადილი თევზეულისგან შედგებოდა: უხა, შემწვარი თევზი, უზარმაზარი ზომისა და ბრჭყვიალა ფერების გომარი; თუმცა ის ვახშამზე გადავინახეთ. გომარს ყრვლად უზადო, უცნაური ფერის კისერი ჰქონდა, აბრეშუმით ლივლივებდა და ყავისფერი ზოლები დაჰყვებო-

და; ზურგი ლურჯი და ბრჭყვიალა, მოწითალო უღვაშები არ-
ჰინზე ჩამოჰყარდა.

როგორც სხვა ყველაფერი, თევზებიც აქ მრავალფეროვანი,
ბრჭყვიალები და უცნაურები შეუქმნია განგებას. გ[ოშკევის] ა-
უარება თევზი მოუტანეს ძაფზე აცმული. რა საოცრებას არ
ნახავდი იქ? ერთი ცარიელი თავია, პირი კი ისე პატარა აქვს,
კოლო ვერ შეუძვრება. მეორე მარტო მუცელია. მესამე მხო-
ლოდ ზურგად ქცეულა, მეოთხე სულ ფორეჯებშია, ერთს
თვალი შუა ტანზე მოქცევია. სხვა ერთი შეხედვით ტყავის
პორტმანი გეგონება და ა. შ. ყველანი კი ნაირფერად არის შე-
ფერილი. დესერტად ბანანები მოიტანეს; ზოგიერთებს უყვარს,
პე კი ჭამა არ შემიძლია: ცომივითაა და გულის არევამდე
ტკბილი, ცოტა არ იყოს, ტკბილზე დამზადებულ კვერებს
პოგავს.

ნასადილევს ყველანი გავიფანტენით: ზოგი საბანაოდ წა-
ვიდა დელეში, ზოგი პელენგების დასაქერად ნაპირებზე, ზოგი
კარვებში დარჩა გამოსაძინებლად. მზე რომ ჩავიდა, მე ხომალ-
დზე წამოვედი.

ფადევემა ისევ ნიყარები დამახვედრა და ხამანწკების ლან-
გარივით დაბიდგა წინ. „სანამდე უნდა მაჩეჩო ეს საძაგლო-
პა?“ — ვუთხარი მე და ნიყარების ყუთზე ხელი ავუკარი. „აბა,
შეხეთ ერთი, რა კარგებიაო“. — მეუბნებოდა და ყუთიდან ხან
რქიანი, ხან წითელი, ხან ლურჯი, დაწინწკლული ნიყარები
ამოჰქონდა. „აი, ეს ნახეთ, ეს; ეს კი რა ლამაზია!“ და პირდა-
პირ ცხვირში ჩამჩარა. ნიყარას ლეშის სუნი ასდიოდა. „ეს რა-
ლაა?“ — „გამოვფხიკე: შიგ ლოკოკინები იყო, ეტყობა, აყ-
როლდაო“. — „აქედან მომავორე! გ[ოშკევის] წაუღე-მეთქი!“

დღეს ყველანი გადმობარგდნენ ნაპირიდან: ფრეგატზე სა-
მუშაოები დამთავრდა. კიბეები რომ ასწიეს, ფოკ-ანძა თითქო
ზონრებით შესართული მოჩანს. ტყეში ხეები მოჩეხეს, ცხადია.
წითელი ხეები, ვინიცობაა შემდეგში რაიმის შეკეთება კიდევ
დაგვეკირებოდა. ნაპირიდან ცხვრები, იხვები, ქათმები გადმოი-
ყვანეს. არ ვიცი, ურჩხულსაც წამოიყვანენ თუ იქ დატოვებენ
მკვდარი იხვების შესასანსლად.

ამ სამი დღის წინ ფრეგატიდან ნაპირზე დადგმულ საფარს
ყუმბარები და ბრანდსკუგელები ესროლეს. ხვალ აქედან წას-

ვლისას იგივეს გაიმეორებენ. ინგლისელებს თუ შევხვდებით, როგორ მოქმედებენ საარტილერიო ჭურვები, ხომ უნდა ვიცოდეთ.

რაც არ უნდა მიჩვეული იყო ზღვაზე ყოფნას, ღუზის ყოველი ახსნისას მოწყენა აგიტანს ხოლმე: კვირაობით, ხანდახან კი თვეობით ზღვაში ცურვა მხოლოდ აუცილებლობაა და არა სიამოვნება. სანგრძლივად ცურვისას სიზმრებიც აღარ გაქვს კაცს ისეთი, როგორც ხმელეთზე. ხან გესიზმრება, თითქო სარკმლის რაფაზე წევხარ, ტალღების აქაფებულ უფსკრულს მხოლოდ ერთი არშინი გაშორებს, თვალს ვერ სწყვეტ ქაფის ნაირ-ნაირ ნაყუს, ხომალდის მეორე გვერდი კი სამიოდე საყენზე აყუდებულა წყლიდან; ხან თითქო ნისლში რომელიღაც ახალ კუნძულს ხედავ, იქ გინდა წასვლა და ბრაგები კი გიშლიან ხელს....

დღეს ორი ამბავი შეგვემთხვა და მაშასადამე, ორი გასართობი გამოგვიჩნდა: ბოლანში ვეშაპი შემოვიდა და ნაპირთან ყურყუმელაობა შექნა. გარდა ამისა, ნაპირზე გადაყვანილ ქათმებიდან ასიოდე ცალი გავვიფრინდა. უცნაურია სწორედ: ტყეში რამდენიმე დღით ყოფნამ ფრენის ნიჭი ისე განუვითარათ, რომ ვერავინ შესძლო მათი დაჭერა, ციცარებიცით დაფრინავდნენ ხიდან ხეზე. თუ გაგარეულდნენ, უეჭველია, ფრენის ნიჭიც დაუბრუნდებათ, რაც ალბათ დამონებულმა მღვამარეობამ დაავიწყებინათ ოდესღაც.

ღუზა ავხსენით, ზურგქარმაც დაგვბერა, მაგრამ სამიოდე მილზე გავედით თუ არა, პირქარი გვეძგერა. ჯერ ერთ გვერდზე გავუხვიეთ, მერე მეორეზე — იკანკლურად გავწიეთ. სამი დღის წინათ ბატანი გავიარეთ, გუშინ დილით ბაშის, ბაიეტის თუ სხვათა ჩრდილო კუნძულთა ჯგუფში ვიყავით; მეორე დღეა უკვე უქაროდ მოვლოდავთ, ერთ-ორ კვანძს ვაკეთებთ. მადლობა ღმერთს, მოღრუბლულია, თორემ აუტანელი სიცხე იქნებოდა. ღმერთმა უწყის, როდის მივალთ: ვინ ორ კვირას ვარაუდობს, ვინ ექვსს. დილით იუტზე რომ დავდიოდდი, პ [ოსიეტს] ვუთხარი: „რა მოწყენილობაა, ნეტავ რამე მაინც მოხდებოდეს, ცოტა გავერთობოლით-მეთქი“. ბედმა თითქო მისმინა სამღურავი, ისეთი წარმოდგენა გავვიმართა, როგორც მხოლოდ ტროპიკულ ზღვებში შეიძლება. და თუმცა

ეს იქ საკმაოდ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, კაცს მაინც შეაქცევინებს თავს. ამაზე იმდენჯერ დაუწერიათ, ასეთი უშუალო მოწმე, თითქმის მონაწილე რომ არ ვყოფილიყავ, შეიძლება არც მესხსენებინა.

ნასადილევს ჩვეულებისამებრ კაპიტნის კაიუტაში წავედი სიგარის მოსაწვევად და დივანზე დავეჯექი იმის მოლოდინში, მოსაკიდებლად ცეცხლს როდის მომიტანდნენ. კაპიტანი სავარძელში იჯდა, ცხელოდა, კარ-ფანჯრები მოღიავებული იყო. ხუთი წუთი არ გასულა, რომ ზემოთ, ჩვენს თავზე, რაღაც ჩოჩქოლი და ალიაქოთი შეიქნა; სირბილი და ფეხების ბრაგუნე გავიგონეთ. კაპიტანმა კაიუტიდან გასვლა დააპირა, მოვალეობა ამას აკისრებდა, მაგრამ გასვლამდე სარკმელში გაიხედა, რა მოხდაო, და ველარც მოშორდა. ვიფიქრე, გემსართავი მოწყდებოდა, ან მსგავსი რამ მოხდებოდა და ფეხი არ მომიცვლია. უეცრივ გავიგონე, იუტზე ბევრი რომ ჰყვიროდნენ: „ამოათრიე, ამოათრიე“, — სხვები კი იძახდნენ: „არა, გაჩერდი! არ ამოათრიო, გაწყდებო!“

სარკმელს მივევარდი, ვხედავ, ქვემოდან ურჩხულის საშინელი, გამოლენჩებული დინგი მაყურებს. სარკმლიდან ორ თუ სამ საყენზე წყალზე ეკიდა გოჯნახევიარის სისქის კაკვით დაჭერილი ზვიგენი. კაკვი ზემო ყბაზე წამოცმოდა. ჰოდა, ტკივილებისაგან მთლიანად დაედო პირი. ზემოდან მთელი ხახვა კარგა სიღრმეზე მოჩანდა, ირგვლივ პატარა, მაგრამ წვრილი და ბასრი კბილები ჰქონდა ჩაკიწყიწებული, მთელი ყბა ხერხს მოგავგონებდათ. სიგრძით ერთი საყენი იქნებოდა. კუდი წყალში სხმარტალებდა, დანარჩენი ზედაპირზე ამოექაჩათ. ზვიგენი ნელა ირხეოდა თოკის მოძრაობასთან ერთად, ხან ზურგით გვიბრუნდებოდა, ხან მუცლით. ზურგი მუქი ლურჯი ჰქონდა, ლილისფერს გადაიკრავდა. მუცელი კი ქათქათა თეთრი, თითქო ცარციით შეღებილი. ხუთიოდე წუთი გაუნძრევლად იდგა. თითქო საშუალება მოგვეცა კარგად დაგვეთვალიერებინა: ოღონდაც დიდრონ, შავ, მრგვალ თვალებს ატრიალებდა წამისწამ, ალბათ ტკივილები აწუხებდა და იმიტომ. ზვიგენის კუდთან შემფოთებით დაწრიალებდნენ წინ და უკან მისი ჩვეულებრივი თანამგზავრები, პატარა ყვითელი შავზოლება თევზები, „ლოცმანებად“ მონათლულნი. ხანდახან სამი თუ ოთხიც დაჰყვება ხოლმე. უეცრივ ზვიგენი აწრიალდა, ამაღ-

ძაგდა და ისე აატყლაშუნა კუდი, წყლის შხეფები კარგა შორს ცვიოდა ირგვლივ. ხან რგოლივით მოიკაკებოდა, ხან კიჩოს ესეთქებოდა, მერე ისევ წყალს დაუშენდა კუდს და ისევ უმოძრაოდ დაეკიდებოდა.

ხარბად ვუმზერდი ამ სანახაობას, რისი გულისთვისაც პეტერბურგში, ვინ იცის, რას არ გაიღებდნენ. მე, ასე ვთქვათ, მაყურებელთა პირველ რიგებში ვიდექი. ჰოდა, მოქმედი გმირის ეს გამოლენჩებული, ჯავშანივით სქელი ტყავით გადაქიმული დინგი რომ არა, ვისთვისაც სანსვლის მეტი სხვა ნიჭი ბუნებას არ ურგუნებია, ალბათ ორგანულად მეტად თუ ნაკლებ განვითარებული ფიზიონომიაზე ტანჯვისა და სასოწარკვეთის ყოველ შეგრძნებას წავიკითხავდი.

ამასობაში ზვიგენის სიმძიმემ, თან თავის დასხლეტიც ცდამ და ფართხალმა რკინის კაკვი ნელ-ნელა გაშალა და თოკიც გასაწყვეტად ააჭრიალა. ზვიგენის ერთი გაბრძოლება იყო საჭირო, რომ წყალში ამოეყო თავი და დავლად თან გაეყოლებინა კაკვი, თოკის ნაგლეჯი და გახლეჩილი ყბა. „დაიპი! დაიპი! ჩქარა ამოსწიე!“ — ისმოდა ამასობაში ზემოდან. „არა, მოიცა, არ ამოსწიო! — ყვიროდნენ სხვები, — გაწყდება; წვერო მოიტა!“ (წვეროს იმ თოკს ეძახიან, რომელსაც ხომალდიდან მომდგარ ნავს გადაუგდებდნენ ხოლმე).

ზვიგენი კი ამ დროს ისვენებდა. ხახის სიღრმეში ყბის ძვლები, მერე მოვარდისფრო ხორცი და შემდეგ ცარიელი შავი სივრცე მოჩანდა. წვეროდან ფართო მარყუქი გააკეთეს და ზვიგენს წამოაცვეს. „აი, ეგრე, ეგრე! — ისმოდა ზემოთ მოწონებული შეძახილები, — ფრთებქვეშ ამოუყარე!“ (ფრთებს მეზღვაურები საცურავ ლასტებს ეძახდნენ, რომლებიც ზომითა და მოყვანილობით მართლაც ფრთებს მოგავს.) მარყუქი ფრთებქვეშ ამოუყარეს თუ არა, ზვიგენი უკვე დაჰერილად ჩაითვლებოდა. ჰოდა, ზემოთკენ ასწიეს კიდეც. მაშინ კი მოიკრიბა მთელი ღონე ზვიგენმა, დაიკლაკნა, კუდი ჰაერში ააფათქუნა, ხან კიჩოს მიახეთქა, ხან კიჩოსთან დაკიდებულ ნავსა თუ რაც გზაში მოხვდა. კუდის ბოლო ჩვენს საარკმელსაც მოხვდა და უკან დამახევენა.

მაგრამ ვაი რომ ვერაფერმა უშველა, მისი აღსასრულის საათს უკვე დაეკრა. „გაიწიეთ, გაიწიეთ!“ — გაჰყვიროდნენ,

იუტზე, როცა ზვიგენი ზევით აათრიეს. გაისმა შემფოთებული ბრაგაბრუგი, მერე მძიმე სხეულის ზღართან და შემდეგ ღარ-ტყმების ხმა.

მე და კრიდნერი კარს ვეცით იუტზე გასაქცევად, მაგრამ რომ გავალეთ, ვნახეთ, მეზღვაურები ჯგრო-ჯგროდ იხევდნენ იუტიდან, ზვიგენი სადაცაა შეკანცებს დაეცემაო. როგორ გამოვმხტარიყავით? ვინ იცის, იქნებ ის ამ წუთში... მაგრამ ცნობისწადილმა მაინც დაგვძლია, გამოვხტით და იუტზე ავირბინეთ.

იქ ოციოდე კაცი თოკის ბოლოებს ჩასჭიდებოდა, რითაც ურჩხული იყო შებოჭილი. ის კი გემბანზე ფართხალებდა; დახოხავდა და კულა იქნევდა; ირგვლივ ყველა შემოცლოდა... ა. ა. კოლოკოცეცემა ნაჯახს დაავლო ხელი და ყბის ქვემოთ ჩასცხო — სისხლი თქრიალით წამოვიდა ხელისგულისოდენა ჭრილობიდან და გემბანი შეღება. ვილაცამ კიდევ მარჯვედ ჩასცა დიდი დანა მუცელში: იქიდან ჭუჭყიან ჭინჭივით გადმოიყარა შიგნეული. ზვიგენი ერთბაშად გაყურდა. მაშინ ბ[არონმა] შ[ლიპენბახმა] განდშუჸი აილო (ეს თითქმის მკლავის სიმსხო ხის პალოა, რითაც ზარბაზნებს ატრიალებენ) და ხახაში ჩაურკო: განდშუჸი თითქმის მთლიანად ჩაიმალა შიგ. ხაზიდან ოთხ წყება კბილები დაიკრიჭა. ქვემო ყბა მოუსვენრად ინძროდა. მტაცებელი ზურგზე გადააბრუნეს და თოკებით გიკზე მიაბეს.

ჩვენ ირგვლივ შემოვხვეოდით, მეზღვაურებიც იქვე მოქუჩულიყვნენ, სხვები ვანტებზე ამძვრალიყვნენ. ყველანი ვუთვალთვალბდით, ცოცხალი არის თუ არა კიდევ-თქო, მაგრამ ზვიგენი სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. „არა, მორჩა, ამდენი ჭრილობა აქვს, ჩაძაღდა ალბათო,“ — ამბობდნენ ზოგიერთები. სხვები პირიქით, ეჭვს გამოთქვამდნენ და ზვიგენის გამძლეობის შავალითები მოჰყავდათ. ყოფილა შემთხვევა, მკვლარი ჰგონებიათ, სამი საათის შემდეგ კი წინდაუხედავად მიახლოვებულებისთვის ხელ-ფეხი გადაუკვნეთია.

განკარგულება გაიცა, რომ გემბანზე სისხლი ჩამოერეცხათ. მეზღვაურებმა წყალი და ნეჭები მოიტანეს. ამის შემდეგ ერთმა ჩვენგანმა ნაჯახი აილო და ზვიგენს ნელ-ნელა ლასტები ჩამოაჩეხა, მეორემ დანით სხვადასხვა ადგილას კან-

გაუქრა, სქელი ტყავი აქვს თუ არა და შიგ რა არისო. ჩვენ მოხალისე ნატურალისტიც გამოცნადდა, ზვიგენის გვერდით ჩაცუკდა, კანი მოუსინჯა, მერე თავი და თვალები დაუთვალიერა გულდაგულ. ხახიდან პალოც გამოუღღეს და გასისხლიანებულ თავ-პირზე წყალი გადაასხეს. ბევრა მობეზრდა უკვე ცქერა და დაიშალნენ. დრო იყო, ზვიგენიც მოეშორებინათ იქიდან. ჰოდა, თოკები მოხსნეს, ზვიგენი ისევ პირქვე გადმოაბრუნეს და გატანა დაუპირეს. ამ დროს ვიღაცას მოეპრიანა კიდევ დანით ზურგი გადაეფხიკა მისთვის: უტბად ზვიგენი შეცახცახდა, კუდი მარჯვნივ და მერე მარცხნივ მოიქნია; ყველა განზე გახტა; ერთმა მეზღვაურმა ვერ მოასწრო, ორი ლაზათიანი მუჯლუგუნიც მიიღო: ერთი ნაკუთალებში, მეორე უფრო ზემოთ... და გადაკოტრიალდა; ყველა ახარხარდა და მტაცებლის მოთვინიერებას ხელახლა შეუდგნენ.

მაგრამ ეს ამბავი ახლა არცთუ ისეთი იოლი გამოდგა. ზვიგენს ხომ უკვე თოკები შემოხსნეს და პირიდან პალოც ამოაცალეს. დაჩეხილი, დაჭრილი, ფაშეგადმოყრილი ზვიგენ-გემბანზე ბორგავდა, გველივით იკლაკნებოდა, კუდით ძლიერად არტყამდა წრეებს და ხომალდის კიდეს თანდათან უანლოვდებოდა. ვერავის გაებედა მიახლოვება. ეს მისთვის უკანასკნელი ხელსაყრელი წუთი იყო, რითაც შეეძლო ესარგებლა. ერთი დაკლაკნა, ერთი კუდის მოქნევა კიდევ და ვიდრე განდშებუგისა და ნაჯახის მოსატანად გაქცეული ხალხი დაბრუნდებოდა, უკვე ქიმიდან ზღვაში მოადენდა ზღართანს და თავის სტიქიონში მაინც დაღევდა სულს. მაგრამ ის ერთი წუთით გაიყუჩა და ჩვენებიც ხელახლა ნაჯახით და პალოთი მისდგნენ. „თავში დასცხე, — ყვიროდნენ აქეთ-იქიდან, — ოღონდ ფეხებს გაუფრთხილდი: მოშორდი, მოშორდი!“

ყველაზე ახლოს ის მეზღვაური დატრიალებდა, რომელსაც მან ორი მუჯლუგუნი უთავაზა. ეტყობა, გული მოსვლოდა ან იქნებ მუჯლუგუნებით მიყენებულ ტკივილს ჯერ არ გაეგლო, ეს კია, რომ პალოთი ხელში უკან დასდევდა ზვიგენს და თავში უმარჯვებდა დარტყმას. დავიწყებოდა, რომ ფეხშიშველი იყო და ზვიგენის ხახაც ლამის ფეხებზე ენებოდა. ზვიგენი კი ისე მარჯვედ ატრიალებდა კუდს. რომ თავში მოხვედრა ძნელ ამბავს წარმოადგენდა, მეტწილად ზურგზე უბრა-

გუნებდნენ, რაც მას, ეტყობა, არაფერს აკლებდა. ბოლოს მეზღვაურმა მოახერხა და ორჯერ თხლიშა ზვიგენს თავშიაც. ზვიგენმა მხოლოდ მიმართულება შესცვალა, კლაკვით კი ისევ იკლაკნებოდა და ისევ სწრაფად დახოხავდა. მეორემ ნაჯახი თავის ქვემოთ ჩასცხო: ნადირი მოტყდა და უფრო ნელა გახოხდა. „თავი მოჩეხე, თავი!“ — უყვიროდნენ მას. მეზღვაურმა მეორედ დაარტყა: ზვიგენმა ძლიერად გაიწია წინ; მესამეჯერაც ჩასცხეს ნაჯახი: ზვიგენმა კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ უფრო სუსტად. „ახლა მორჩა მაგის საქმე!“ — თქვა ჰეზღვაურმა და მეოთხე დარტყმით თავი ტანს ჩამოაცალა. მაგრამ არც ამით მორჩა საქმე: ტანი კვლავ არათანაბრად, ნელ-ნელა იკლაკნებოდა, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო ღუნედ, თავი კი მოუსვენრად ამოძრავებდა ყბებს. ზვიგენს ტანში განდშპუგი გაურჴეს და გაიტანეს. ყველანი დაიშალნენ.

ამ წარმოდგენით აღინიშნა ტროპიკებთან ჩვენი გამოთხოვება. ტროპიკებს საცაა დავტოვებდით და იქ უკვე აღარ მოვბრუნდებოდით.

საღამოს, აღმირალთან ჩაიზე რომ მივდიოდი, საერთო კაიუტის ბანის ქვენაზე შევჩერდი, ნეტავ მაგიდაზე რომ ვეება ტაფა დგას, შიგ რა არის-მეთქი. „შემწვარ ზვიგენს ხომ არ გასინჯავთ?“ — მკითხეს სუფრასთან მჯდომებმა. „არა-მეთქი“. — „ჰაშ იმის უხასაც არ მიირთმევთ?“ — „მეხუმრებით? განა საპაგისოდ ვარგა?“ — ვკითხე მე. „ჩინებულა!“ — მიპასუხეს ზოგიერთებმა. როგორც შემდეგ გავიგე, სწორედ ისინი მიქებდნენ თურმე, ვისაც პირი არ დაუყარებია ამ „ჩინებული“ კერძისთვის.

ზვიგენის ტყავს ღურგლებში დიდი გასავალი აქვს ფიცრის გასაპრიალებლად; გარდა ამისა, გადასაკრავადაც ხმარობენ მას; იაპონიაში ხანჯლის ქარქაშს აკეთებენ იქიდან. ერთმა იაპონელმა პატარა სკივრი მაჩუქა, ზვიგენის ტყავგადაკრული. ძალზე ლამაზია, ნატვიფრ ტარსიკონს ჩამოგავს. მერე ერთი პატარა თევზი მაჩვენეს, სიგრძით მეოთხედი არშინი; ზვიგენის ზურგზე მიკრული უნახავთ, სულ მისი ზურგის ფერი მუღლია. ჩვენში იმას ჩვეულებრივ „ტმანნიას“ ეძახიან. ერთ გვერდზე მას ზვიგენის ხორკლიანი ტყავის ანაბეჭდი აჩნდა.

გუშინ, 25 მარტს, ვეშაპმჭერი დავინახეთ: ღუმელი დაენტო დაჭერილი ვეშაპის ქონის სადნობად. იმ სიმორეზე ჩანდა ცეცხლი და კვამლი, ხანძარი გეგონებოდა. დღეს ტროპიკებიდან გამოვედით და მაინც ცხელა. სამაგიეროდ შტილი ზურგქარმა შეცვალა. თერთმეტი კვანძის სიჩქარით მივქრევართ. კიდევ რა მოხდა! ჰო! სამი მაიმუნი გვეყავდა და ერთი ქიმიდან გადავარდა. ტალღებმა უმალ შთანთქა. დღეს ბინდისას ფრეგატს რომელიდაც ჩიტი დასტრიალებდა, უფრო და უფრო ახლოს არტყამდა კამარას. ეტყობა, დაღლილი იყო და შინამდე მიღწევის იმედი გადაწყვეტოდა. ორჯერ დაეშვა ნაეზე და ისევ გაფრინდა. მე და კ[რიდნერი] იუტზე წავედით. ფრიმველს ველარ მოვკარით თვალი. უცბად დავინახეთ, მეზღვაურს მოჰყავს ჩვენთან, ცალი ხელი კისერში წაუჭერია, ცალით ფეხები გაუკავებია. ზღვის იხვების ჯიშის გამოვლა, ყრუჩუნას რომ ეძახიან, ყოვლად უგემური ხორცი აქვთ. მეზღვაურს უთხრეს, გ[როშევიჩისთვის] მიეყვანათ; ის დარიშხანით წამლავს ცხოველებს და მერე შიგნავს. არაფრით არ დავანებე, ეს მუხანათობაა, ჩვენთან თავი შემოათარა და მოკვლას კი უპირებთ, არ შეიძლება-მეთქი. ჯერჯერობით საქათმეში შეამწყვდიეს. ხვალ, ალბათ, გაუშვებენ.

29 მარტი. მივეცურავთ, მივეცურავთ და მაინც სამასიოდღე მილი კიდევ დაგვრჩა კორეის პატარა კუნძულ ჰამილტონანდე. მოხერხებული ნავსადგური აქვს და რანდევუც იქ დავუნიშნეთ ჩვენს შკუნას. ხან ზურგქარი ამოიჭრება და ორასიოდღე მილს გაგვაქროლებს, ხან შტილი დადგება და სამ კვანძს მივდივართ მხოლოდ. ახლა მესამე დღეა კოკისპირულად წვიმს; ქუჩაში გამოაგლა (ასე შევარქვეთ ზედა გემბანს) არ შეიძლება. სამაგიეროდ სიწყნარე სუფევს. მიხარია, საქმეს შემიძლია მოვიკიდო ხელი. რაც უფრო ჩრდილოეთისკენ ვიხრებით, მით უფრო შესამჩნევად აცივდა. წვიმაც სამხრეთისას, ზაფხულისას არა ჰგავს. ყველამ მაუდის ტანსაცმელი ამოიღო. — გუშინ მეზღვაურმა საცხოვრებელ გემბანზე ყველაზე უხამიანი ტროპიკული მწერი centipes, ასფეხა დაიჭირა. მოწითალო ფერის იქნება, სიგრძით გოჯნახევარი. ოღონდ ასი ფეხი კი არა, ოცდაოთხი ფეხი აქვს. ჯერ მეგონა, კიბოს კისერია-მეთქი. თუ ვიკბინა და მაშინვე ზომები არ მიიღე, ვერ გადაჩრები. ადა-

მიანებს ის თავზარსა სცემს; დიდი ცხოველები გაურბიან; ავითონ ის კი წიწილას უფრთხის: როგორც კი დაინახავს წიწილა ასფენას, მაშინვე დააფრინდება, დაკორტხის და ფეხების გარდა სულ გადასანალავს.

თუმცა ჩვენთან ცოტ-ცოტა ყველაფერი მოიძევება, განსაკუთრებით ტარაკანები გავვიმრავლდა; ალბათ მანილიდან ან კამიგუინიდან წამოვიყოლიეთ. ახლა კი, ამ ნისლსა და წვიმაში, აუარება მერცხალი შემოგვესია. ჩრდილოეთისკენ მიფრინავდენ, ცხელი ქვეყნებიდან უფრო ზომიერში. ავდარმა და ლამემ შუა ზღვაში შეისწროთ და ფრეგატს დიდხანს დატრიალებდნენ გუნდ-გუნდად, თანდათან მოგვიახლოვდნენ და ბოლოს არაქათგამოცლილები გემბანზე, ნაევებში და გემსართავებზე ჩამოახდნენ. ბევრი დაიჭირეს, ტარაკანებით დაანაყრეს და მეორე დღეს გაუშვეს. საკმაოდ მოწმენდილი დარი დადგა. მხიარულად დაგვფრენდნენ თავს და მერე ნელ-ნელა გაუჩინარდნენ. შემდეგ ბელურებიც მოგვევლინენ. მათაც ნაევებში ბურღული დაუყარეს, გამოძლნენ და გაფრინდნენ.

მაგრამ რომ აცივდა და მძაფრმა ქარმა დაჰბერა, ასფენები და ტარაკანები უმალ გაქრნენ. სამი რიფი აკეცეს, დღეს, 31 მარტის დილას კი მეოთხეც აიღეს. გროტ-ტრისელები დადგეს. N^o 1 ქრის და სიცივე მოაქვს. ტროპიკები ხუთი დღეა რაც დაეტოვეთ — და ლამის ყინვები დაგვიდგა, 10°-სითბოც არ იქნება. მადლობა ღმერთს, ქარი ცხრება!

ნაგასაკიდან სამოც მილზე ვართ; ზურგქარი იქითაც ბერავს, მაგრამ ახლა ხელს არ გვაძლევს იქ შევლა: ჯერ ჰამილტონზე უნდა მივიდეთ.

4 აპრილი. როგორც იქნა, 2 აპრილს მივაღექით ჰამილტონს. შკუნა უკვე იქ დავვიხვდა, შანხაიში გაგზავნილი ტრანსპორტი კი ჯერ არა ჩანს. დუზის ჩაშვება რომ დაიწყეს, იუტზე გამოვედი და ნაპირს გადავხედე. ჩვენი მეზღვაურების თქმით, მოხერხებული ნავსადგური აქვს. ნაპირები კი თითქმის არ ჰქონია. ეს პატარა კუნძული სამიოდე მილის სიგრძე იქნება. კლდოვანია, ლოდებით დაფარული, აქა-იქ გაფშეკილი ბუჩქები და მეჩხერი ხეების ჯგუფები მოჩანს. „ეგ სულ კამელიებიაო, — მითხრა შკუნის მეთაურმა კ[ორსაკოვმა]. — ნაპირზე აბანო მოვაწყვეთ. და მეზღვაურები ამ კამელიებით ახურებე-

ნო მას“. ჩვენებიდან ბევრი მაშინვე გადავიდა ნაპირზე. შორიდან რომ ვუტკეპრდი, მაინცდამაინც მომხიბლავი არ მეჩვენა, ჰოდა, არც გადასვლა მიჩქარია. პატარა ბოღაზების გაყუჩებულ წყალზე აქა-იქ კორეელთა ქოხები იყო ჯგუფად მიყუჩული. მხოლოდ ჩალის სახურავეები მოჩანდა. ხამუშ-ხამუშ მცხოვრებლები დავბორიალებდნენ აქა-იქ, სუდარებივით სულ თეთრებში გამოწყობილნი. აჰა, ბოლოს ეს ხალხიც ვნახეთ. უკიდურეს აღმოსავლეთის ციკლს რომ ეკუთვნიან.

პოლიტიკურად კორეა შეიძლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოინათლოს. მას საკუთარი ხელმწიფე ჰყავს, საკუთარი კანონები, საკუთარი ენა გააჩნია. ოღონდ მის მეფეებს, რომლებიც თავიანთი ღირსებით ხელმწიფეთ უტოლდებიან, ტახტზე ჩინეთის ბოგდიხანი ამტკიცებს. მხოლოდ ამაში იხატება კორეის დამოკიდებულება ჩინეთზე. ამას გარდა კიდევ ყოველწლიურად კორეიდან ჩინეთში ორასამდე კაცი მიემგზავრება, ბოგდიხანს ახალ წელს მიულოცავს. ეს უფრო ცალკე გასულ ვაჟის დამოკიდებულებას ჰგავს, რომელსაც მამის ოჯახი დაუტოვებია და თავისი კერა გაუჩაღებია.

სამწუხაროდ, დღემდე მეტად მცირე ცნობები მოიპოვება კორეის მდგომარეობასა და მართვა-გამგებლობაზე, მის სიმდიდრესა და ნაწარმზე, მცხოვრებთა ზნესა და ადათებზე. ვ[ამა] ა[ვაკუმმა] მარტო ეს მითხრა, რომ ჩინეთის ბოგდიხანის მიერ კორეის მეფის ტახტზე დამტკიცების ადათს დღემდე წმინდად მისდევნო. კორეის ელჩები პეკინში საჩუქრებითა და სათხოვრით ცხადდებიან, რამეთუ ახალი მეფე ტახტზე დაუმტკიცონ. ბოგდიხანი ჩვეულებრივ ამტკიცებს ხოლმე. საჩუქრებს იღებს და ელჩებს გაცილებით მეტად ხელდატვირთულს ისტუმრებს უკან. თუმცა მათ საქმეებში ის არ ერევა ერთხელ თურმე კორეის მთავრობამ ჩინეთის ხელისუფალ აცნობა, რომ კორეის ნაპირებთან მომდგარ რომელიღაც ევროპელთა ხომალდებს, მგონი, ინგლისელებიაა უნდა ყოფილიყო, უბრძანა, იქაურობას გასცლოდა. ეს ამბავი ჩინელებს მიბაძვით ჩაუდენიათ, რომლებსაც ის ხომალდები გაურაჟიათ. ბოგდიხანმა კი ბრძანა კორეელებისთვის ეუწყებინათ, რომ „ეს მას არ ეხება და როგორც თვითონ სურთ, იანე მოიქცნენო“.

ისიც ცნობილია კიდევ, რომ ჩინელებმა და კორეელებმა მოლაპარაკების შედეგად გადაწყვიტეს, მათ სახელმწიფოება შორის მდებარე ზოგი მიწები დაუსახლებლად დაეტოვებინათ, რათა ახლო მეზობლობა აერიდებინათ, და ამ ორ ერს საბაბი არ ჰქონოდა, უსიამო შეტაკებები და უთანხმოებანი მოსვლოდათ.

როცა ჩვენი ნავი ფრეგატიდან ნაპირისაკენ გაემართა, დავინახეთ, რომ სოფლიდან აუარება ქალები და ბავშვები მთებისაკენ გაცვივდნენ, ეტყობა, შიშის ზარს აეტანათ. ხოლო ნავი ნაპირს რომ მიადგა, მამაკაცები ჯგრო-ჯგროდ დაეხვივნენ ჩვენებს, ხელებსა და კალთებში ექიდებოდნენ და სოფლისკენ არ უშვებდნენ. მაგრამ იმათ ჩინურად დაუწერეს, რომ ქალებს შეუძლია მშვიდად იყვნენ, რომ რუხები მარტო იმიტომ გადმოვიდნენ, ნაპირის დათვალიერება და სეირნობა უნდათ. კორეელებიც აღარ უშლიდნენ ამის შემდეგ სიარულს, ოღონდ ცდილობდნენ ჩვენები სოფლისაკენ არ გაეშვათ.

ჩვენები ერთ საათში მობრუნდნენ უკან და ორი ბერიკაცი პოიყვანეს თან, როგორც ჩანს, მამასახლისები. მათ ფეხდაფეხ კორეული ნავი მოჰყვა. ის იაპონურსა ჰგავდა, ოღონდ კიჩო არ ჰქონდა გაჭრილი. შიგ კიდევ სამი თუ ოთხი ბერიკაცი და აუარება უბრალო, ფეხშიშველი, თმააბურძენილი და ჩამობრანძული ხალხი იჯდა. ყველას, დიდკაცებსა თუ წვრილფეხობას, თეთრი ბამბისა თუ ბალახის (grasscloth) განიერი ხალათები ესხათ. ქვეშ კიდევ პერანგები მოუჩანდათ; გარდა ამისა, ასეთივე ქსოვილის შარვლები ეცვათ, დიდკაცებს თეთრი და სუფთა, წვრილფეხობას თეთრი და ბინძური. ზოგიერთთ ღია ყვითელი ან ლურჯი ხალათები ემოსათ, თუმცა ასეთნი ცოტანი იყვნენ.

სანდლებიც მათ, იაპონელებივით, ზოგს ლერწმისგან დაწნული, ზოგს ჩალისა, ზოგს კი ბამბის ამოეცვათ. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მათი თავსახური იყო. ლიკეელებივით თმებს ისინი ქვემოდან ზევით ივარცხნიან და კონად იკრავენ თავზე, ამ კონის ზევით კი ქუდს იფხატავენ. ქუდიც ამაჰ ჰქვია! ქუდის ცა თმის კონას ძლივს მალავს, ფარფლები ქოლგასავით განიერია. ამ ქუდებს რომელიღაც ლერწმისგან წნავენ ისე წმინდად, რომ ბეწვებისაგან დაწნული გეგონებათ,

მით უმეტეს თუ შავი ფერისაა. კაცი ვერ მიხვდება, ის ქულები რისი მაქნისია. იმდენად გამკვირვალეა, მზისგან ვერ დაგიფარავს, წვიმა და მტვერიც თავისუფლად ატანს შიგ. თუმცა სკვადასხვა ქულებსაც ნახავ: ზოგი ნექიაა გახლავთ, ზოგი ზღვის მცენარეებიდანაა და ჩაჩის მოყვანილობა აქვს.

ჩვენი სტუმრებისთვის თვალი არ მომიშორებია: როგორც გენებოთ და მე კი ვიტყვი, რომ ჩინელები, იაპონელები, კორეელები და ლიკეელები ერთი ძირისგან წარმოსდგებიან. ჩინელებს მათ შორის პირველი ადგილი უჭირავთ, ვითარცა უფროსებსა და რიცხვითაც მრავალს. ძნელია მათ მსგავსებაში კაცს ეჭვი შეეპაროს. მალაელებს თუნდაც ერთი შეხედვით ამ ოთხეულის ტომს არაფრის გულიანთვის არ მიათვლი. კორეელები უფრო ლიკეელებს ჰგვანან, ოღონდაც უკანასკნელნი უფრო პატარებია, პირველნი კი მეტად მოსულები. კორეელები გრძლად მოშვებულ წვერს ატარებენ და ცხენის ძუასავით გაფშეკილი აქვთ; ზოგს ლოყებსა და ქვედა ყბას უფარავს მთლიანად; სხვებს, პირიქით. მარტო ნიკაპზე მოუშვიათ. ბევრი სპილენძის დიდ სათვალეს ატარებს, თავზე ზონროთ შემოხვეულს. მგონი სიბეცის გამო კი არა, თვალები სტკივან და იმიტომ. ხალხში ბევრი თვალმტკივანი შევნიშნე.

1786 წელს ედოში იაპონელ რინსიფეს თხზულება გამოვიდა, სახელად იაპონიის სამი უახლოესი სამეფოს — კორეის, ლუ-ცუს (ლუ-ჩუს) და ესოს (მატსმაის) მთავარი მიმოხილვა. კლაპროტს ეშოვნა ეს თხზულება, ჩინურ გეოგრაფიებიდან შეევსო და ფრანგულად გადმოეთარგმნა. იქ, სხვათა შორის, კორეელებზე ასე წერია: „კორეელები იაპონელებზე, ჩინელებზე თუ სხვებზე მოსულები და ჩასხმულებია. შენიშნულია, რომ კორეელი იაპონელზე ორჯერ მეტს ჭამს. კორეელები ცბიერობით, სიზარმაცით, კერპობით გამოირჩევიან და თავის შეწუხება არ უყვართ“.

სტუმრები სუფრაზე დავსვით და ჩაით, პურით, ორცხობილებითა და რომით გავუნასპინძლით. შემდეგ წერილობით გავუბით საუბარი ჩინურ ენაზე. ისე სწრაფად წერდნენ. თვალს ვერ შეასწრებდი ფუნჯს.

პირველ ყოვლისა, ის შეგვეკითხნენ, ჩრდილოელი თუ სამ-

ხრეთელი ბარბაროსები ვიყავით? ჩვენ კი დავუწერეთ, რომ ქათმები, მწვანელი, თევზეული მოეტანათ და ფული გამოერთმიათ, ან რომსა, ტილოსა თუ სხვა საქონელში გადაეცვალათ. ბერიკაცმა აიღო ეს ბარათი, მამალივით გაიფხორა და სასაცილო მედიდურობით ამღერებით ჩაიკითხა ნაწერი. ცოტა არ იყოს, ჩვენებური სალოსების ლაზარობიის გალობა გამახსენდა. შემდეგ ჩინურად დაგვიწერა პასუხი, რომ „პატივცემული ქათმები არ გვყავსო“. ტყუილი კი იყო. ჩვენებს ენახათ ქათმები.

სხვები ამასობაში პურსა და ჩაის შეექცეოდნენ. ერთი კორეელი თითით ჩაძვრა კარაქში, მეორემ პური რომ მოკბიჩა, ნარჩენი ჩვენთვის მოინდომა ჩაეტენა პირში, მესამემ ორი სასპისი სუფთა რომი ყლურწა ერთი მეორეზე და წარბიც არ შეიკმუხნა. დანარჩენები ტანსაცმელს, თეთრეულს, ჩექმებს გვისინჯავდნენ, მაუღზე ხელს გვისვამდნენ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ის მოეწონათ. განსაკუთრებით ჩვენმა სითეთრემ მიიპყრო მათი გულისყური. თვალს ვერ გვაშორებდნენ ხელებზე, თუმცა კი თვითონაც მხოლოდ ოდნავ მოშავგვრემანო. საკმაოდ მოვლილი ხელები ჰქონდათ, ცხადია, მაღალ კლასზე მოვახსენებთ, თორემ უბრალო მუშა ხალხს, როგორც ყველგან, ნაჯაფარი კვალი ამჩნევია.

ბერიკაცს ისევ გაუმეორეს, რომ სანოვაგე მუქთად არ გვინდოდა, ამა და ამ საქონელში გადავუცვლიდით. მან ისევ წაიკითხა ჩამოთვლილი საქონელი, ცოტა ხანს გვიყურა და მერე თქვა: „პუდიო“. ნეტავ რას ნიშნავდა: არ შეიძლება? თუ არ მინდა? სთხოვეს ჩინურად დაეწერა ეს სიტყვა. რომ დასწერა, „არ ვიციო“, გამოვიდა. ვიფიქრეთ, ვერ მიხვდა და მუშამბის ნაჭერს, რომი, ორცხობილები ვაჩვენეთ. ის მაინც „პუდი, პუდიო“, გაიძახოდა. ახლა მეორე ჩოფურა კორეელს მივმართეთ, ის უფრო თამამი ჩანდა და საოცარი სიმარჯვით წერდა ჩინურად. მან ბარათი წაიკითხა, თითით ყველა სიტყვა დაითვალა ნაწერში, რითაც ქსოვილები, პური, არაყი იყო აღნიშნული და წარმოთქვა: „პუდიო“.

ნაწერი მესამეს გადავეცით. „პუდი, პუდიო“, — იმეორებდა სიცო ჩაფიქრებით. მ[ამა] ა[ვაკუმბი] ხელახლა მოჰყვა ახსნა-განმარტებას. ბერიკაცი დიდხანს უსმენდა ყურადღებით, მერე

უცებ ცოცხლად აიქნია ხელი, თითქო მიხვდა საქმის შინაარსს. „ოპ, ძლივს არ გაიგო-თქო“, — გაგვიხარდა ჩვენ. ბერიკაცმა მ. ა-ს სახელოში ჩასკიდა ხელი, მერე ფუნჯი აიღო და ისევ „პუდი“ დაწერა. „ეტყობა, არ უნდათ მოცემა-თქო“, — გადაეწკვიტეთ ჩვენ და უკვე აღარ მივძალეებივართ.

საერთოდ კორეელები იაპონელებზე და ლიკეელებზე უფრო უხეშნი ჩანან, როგორც შეხედულობით, ისე მოქცევით. თუმცა კი სამთავე ერთ ცივილიზაციას — ჩინურს ზიარებია. კორეაში ჩვენ მაღალი კლასის ხალხი არ გვინახავს. ამ ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე რომ ვლაპარაკობ, გაკვრით იმასაც მოგახსენებთ, რა სხვაობა არსებობს ჩინელებისა და ამ დანარჩენი სამი ერის სახლების მორთულობაში. ჩინელებს სახლებში ავეჯი, მაგიდები, სავარძლები, საწოლები, ტაბურეტები, სკამები თუ სხვა რამ გააჩნიათ, ეს სამი ერი კი იატაკზე ქამსა და სვამს და იქვე ირთხამს ფეხს. ამიტომაც იატაკი რომ არ დასვარონ, რაც სუფრის მაგივრობასაც უწევთ, იაპონელებში შესვლისას ფეხსაცმელებს იხდიან, ჩინელები კი არა.

კორეელებმა კაიუტაში შაცხოვრის ხატი დაინახეს. როცა გვკითხეს, „რა არისო“ და ჩვენც ავად თუ კარგად ავუხსენით, წამოდგნენ და მდაბალი, მოწიწებული თაყვანი სცეს ხატს. ამასობაში ფრეგატზე ასამდე კორეელი მოგროვდა, ასე რომ, ჩვენები იძულებული იყვნენ, მეტი აღარ შემოეშვათ. იმათ კარგა ხანს დაჰყვეს ჩვენსა და ბოლოს წავიდნენ.

მგონი, ესეც საკმარისი უნდა იყოს თქვენთვის. მაგრამ ისე რა წამიყვანს აქედან, ერთხელ მაინც არ გადავიდე ნაპირზე და კორეის მიწაზე ფეხი არ დავადგა. ჰოდა, ექვსი თუ შვიდი კაცი კატერით ერთ-ერთი სოფლისკენ გავეშურეთ. ორმა თოფები წამოვიღეთ ფრინველებზე სანადიროდ, მესამემ წყვილი დამბაჩა წამოიყოლა. ნაპირზე კარგა ბლომა ხალხი შემოგვეხვია და შეეცადა სოფლის გზისთვის ავეცილებინეთ: მაგრამ ჩვენ იოლად გავარღვიეთ მათი ბრბო, რადგან ვანიშნეთ, რომ მხოლოდ სოფლის გავლა გვინდოდა, მინდვრებში და გორებზე გასასვლელად. რა ნახეს, ძალით ვერაფერს გააწყობდნენ, ისევ თვითონ ირჩიეს გამოყოლა, რა არის ჩვენს ნებაზე არ გვეხეტიალა. ჩვენ სულ სოფლის გულში მივიწვიედით, იმათ კი განაპირა-განაპირა მიეყავდით. თუმცა მალე

ჩვენც დაგვეკარგა სურვილი ორ ნაბიჯის სიგანე ქუჩებში შევღრმავებულიყავით.

ორლობეები, სადაც ჩვენ მივდიოდით, უსწორმასწორო ქვე-ბისგან იყო უშნოდ ნაგები, ყოველგვარი დულაბის გარეშე. ყორეებიდან მხოლოდ ჩალის სახურავები მოჩანდა, სხვა არაფერი. რა დიდი განსხვავებაა ლიკეელების ღობეებსა და ამათ ქვის ყორეებს შორის! იქ გულდაგულ აეგოთ ყველაფერი. დიდი მოთმინებით, წესრიგითა და ხელოვნებით; აქ სიზარმაცის, დაუდევრობის და უგერგილობის ბექედი ესვა. როგორც ჩანს, ყორეელებს მართლაც არ უყვართ „თავის შეწუხება“. თუ ჩვენ ღობეში შექვრეტას ან ჭიშკარში შესვლას დავაპირებდით, — უნდა გენახათ, რა ალიაქოთი შეუდგებოდაა ყორეელებს! კალთებში ჩაგვეჭიდებოდნენ და საკმაოდ უხეშადაც გვიჯიკავებდნენ. მაგრამ ხელებზე რომ დავარტყამდით, მყისვე მორჩილად იდრეკდნენ თავს და იმ ძალღებვივით მოგვეყვებოდნენ, რომლებიც გამვლელებს აედევნებიან, კბენის სურვილი კლავთ, მაგრამ გაბედვით კი ვერ გაუბედავთ.

მხოლოდ მაშინ დაიმშვიდეს გული, როცა ჩვენ ვიწრო შუკებიდან მინდვრად გავედით და ბექობებს ავყევით. მეტი წილი უკან გამოგვეყვა. აქ მეტად თავაზიანები გაგვიჩინდნენ, უფრო მოხერხებულ ბილიკებს გვიჩვენებდნენ, ყვავილებს გვიწყვეტდნენ, კარგ გადასახედებზე გვითითებდნენ.

ჩვენ პუტრისა და ქერის ყანებში მივდიოდით. აქა-იქ ზრინჯიც მოჩანდა, ოღონდ ძალზე ცოტა. ზოგან კამელიების ბუჩქებიც აყრილიყო. თუმცა უფრო კლდეები და ლოდები ქარბობდა. ყველაფერი მოტიტვლებული იყო და უბადრუკად. დაღვრემით გამოიყურებოდა. რა გასაკვირია, მცხოვრებლებმა სანოვაგე რომ არ მოგვიტანეს: თვითონაც ალბათ ლამის შიმშილით იხოცებიან. მათ საჭმელს ნაპირზე გამორიყული ზღვის კომბოსტო და ლოკოკინები შეადგენენ. კომბოსტოს ისინი წყალში ალბობენ. დღეს ოციოდე თევზი, თთხი კასრი წყალი მოგვიტანეს. ბერიკაცმა კიდევ უბიდან ქაღალდში შეხვეული ხმელი ტრეხანგები ამოაძვრინა (ზღვის ლოკოკინების ჯიშს წარმოადგენს, დახორკლილს) და გამოგვიწოდა. სამაგიეროდ ლურჯი ბამბის ქსოვილის ნაჭერი და თვალზე საფენი მისცეს მისი ვაჟისთვის, რომელსაც თვალეები სტკიოდა.

კუნძულის ჩრდილოეთი მხარე რომ მოვიარეთ, სადაც ორი ლამაზი ბოლაზი ვნახეთ, ტბასავით ხეებით შემორაგული, მერე სოფელში მოვტრიალდით. ჩვენმა მონადირეებმა გზაში სამი თუ ოთხი ფრინველი მოჰკლეს. სოფელში, ზღვის პირზე, ქილოფები იყო გაფენილი; ზედ ორი ბერიკაცი იჯდა, ჩვენთან სტუმრად რომ იყვნენ, და მიგვიპატიყეს, დაბრძანდითო. თითქმის მთელი სოფელი გამოფენილიყო იშვიათი სტუმრების სახაზავად.

მათ ისევ დაწვრილებით დაგვათვალეირეს ყველანი, გაგვისინჯეს ტანსაცმელი, თმები, ხელები; მე წაღები გამხადეს, წინდებიც, ქოლგაც, ქუდიც დამითვალეირეს. წერილობითი საუბარი გავაბით ჩინურ ენაზე მ[ამა] ა[ვაკუმისა] და გ[ოშევიჩისა] შემწეობით. „რამდენი წლისა ხარო?“ — გვეკითხებოდნენ სათითაოდ. „30—40-ისო“, — ვპასუხობდით ჩვენც. „რასა ბრძანებთ, — იოცებდნენ კორეელები, — გვეგონა, 60 თუ 70-ისა იყავითო“. აღმოსავლეთში ეს უდიდეს ქათინაურს წარმოადგენს. თუ გითხრა, „80 წლის იქნებით, მამად და ბაბუად შემფერიტო“, — უნდა ჩათვალო, რომ დიდად შეგაქო. ისიც გვეკითხეს, დიდხანს თუ დარჩებითო. „თუ დიდხანსო, — გვითხრეს — ჩვენი ქვეყნის ადათით მაშინ უნდა სადილით გაგმასპინძლდეთო მთავრობის სახელით“. იაპონელებსაც ხოპ ასე სჩვევიათ. ჩვენ ვუთხარით, რომ ორ დღეში წავიდოდით და გამასპინძლებას ვერ მივიღებდით.

ხალხში ერთი კორეელი დავინახე, კრიალოსანი ეჭირა ხელში. მგონი, ბუდელი ბონზა უნდა ყოფილიყო. თავზე ნეჭის ქუდი ეხურა.

5 აპრილი. გუშინ პატარა უსიამოვნება მოგვიხდა. ჩვენებიდან სამი გაემგზავრა ნაპირზე. მათ კორეელების ჯგრო შემოხვევიათ, ფეხი აღარ გადაუდგმევინებიათ. ემუქრებოდნენ თურმე და ხელიც უკრავთ თხრილში ჩასაგდებად. ჩვენები ფრეგატზე მობრუნდნენ, შეიარაღებული მეზღვაურები წაიყვანეს და ისევ ნაპირზე გასწიეს. საჭირო იყო მკაცრი ზომები მიეღოთ. დღეს დილაადრიან მოვიდა ბერიკაცი და გრძელზე გრძელი საბოდიშო წერილი დაწერა, მეტად ვწუხვარ მომხდარი ამბით, ვაი რომ დამნაშავეებს ვერ გვიჩვენებთ, თორემ სასტიკად დავსჯითო. გვთხოვა, გული ნუ მოგივათ და კორე-

ულებს ბოდიში მოხადა, არ იციან „ოთხ ზღვებს შუა“ ე. ი. ამ-
ქვეყნად რა ხდებაო. მასა და მის ამხანაგებს ჩაით, არყით, ორ-
ცხობილებით გაუუმასპინძლდით და დიდი ხნითაც გამოვე-
თხოვეთ, თუ სამუდამოდ არა.

მართლაც, საიდან ეცოდინებათ, რა ხდება „ოთხი ზღვის
შუა“. ევროპელები თითქმის არ სწვევიან კორეას. უკანას-
კნელად აქ ბელჩერი იყო, მგონი 1842 წელს. ეს მამაცი მოგ-
ზაური და გაბედული მწერალი გახლავთ: მეტად ცოცხლად
აგვიწერს ხოლმე თავის მოგზაურობების ამბებს. მან ორჯერ
შემოუარა დედამიწას და ახლა პოლარულ ქვეყნებში მოგზა-
ურობს. მისი მოგზაურობანი ერთიმეორეზე საინტერესო თავ-
გადასავალს წარმოადგენს. რა არ გადახდენია თავს? ამდენა
ჭარიშხალი არავის შეხვედრია. გრიგალის დროს ჰონ-კონგში
ანძების მოჩეხვა მოუხდა; სადღაც ბორნეოზე მისი ხომალდი
გვერდზე გადაწვა და სამიოდე კვირაში, სხვის დაუხმარებ-
ლად, წამოუყენებია. ის პირწმინდა ზღვის მგელი გახლავთ.
თან რა მომხიბლავად ჰყვება თავის თავგადასავალს. სად არ
ყოფილა თავისი ფრეგატით! კორეაშიც მოვიდა, ჰამილტონის
კუნძული აღწერა, მერე მეორე, მეზობლად მდებარე კველ-
პარტის დიდ კუნძულსაც ეწვია, სადაცო, მისი თქმით, ქალა-
ქები, ციხე-სიმაგრეები და დიდძალი მოსახლეობა არისო.
ჩვენს ირგვლივ ჰორიზონტი სულ კუნძულებითაა მოფენილი.
კორეის არქიპელაგს თვლა არა აქვს. კორეა ჯერ კიდევ ერთ
ვრცელ, თითქმის ხელუხლებელ სამყაროს წარმოადგენს
ზღვაოსნების, ვაჭრების, მისიონერებისა და სწავლულე-
ბისთვის.

აგერ უკვე ოთხ ერს გავეცანით მეტად ნუ ნაკლებ; რომ-
ლებიც თითქმის მთელ უკიდურეს აღმოსავლეთს შეადგენს.
ერთს ყოველდღე ვხვდებოდით და მნიშვნელოვანი საქმეებით
ვიყავით დაკავშირებული, მეორეს ზერელედ გავეცანით, მე-
სამეს სტუმრად ვეწვიეთ მხოლოდ, მეოთხეს ერთი თვალი გა-
დავაკლეთ. ოთხივე ერი ერთ ოჯახს ეკუთვნის, თუ წარმო-
შობით არა, — ზოგიერთები იაპონელებს, მაგალითად, კური-
ლიელების ფესვს აკუთვნებენ, — აღზრდით მაინც, ამ მეორე
დაბადებით, კულტურით, ჩვევებით, ადათებით, ნაწილობრივ
ენით, სჯულით, სამოსითა თუ სხვ.

ყველა ამ ხალხს ერთი საერთო ფიზიონომია, ხასიათი, გონების მიმართულება, ერთი საერთო ზნეობრივი ცხოვრება გააჩნია, ოღონდ ელფერი სხვადასხვა დაპკრავს და სწორედ ამით განირჩევა ერთმანეთიგან. მაგრამ რა ფიზიონომიაა და რა ცხოვრება, არ იკითხავთ! რა შვეებით ვუცქერდი კაფრებსა და ზანგებს აფრიკაში, მალაელებს ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე, და რა ნაღველით ვაკვირდებოდი ჩინურ უბნებში ჩინელთა ცხოვრების წვრილმანებსა და ახლოს გაცნობილ პირებს, ვისმენდი სხვა, იქ ნამყოფი, გამოცდილი ხალხის მონაყოლს. კაფრები, ზანგები, მალაელები — ხელუხლებელი საყანეა, თესლს რომ მოელის, ჩინელები და მათი მონათესავე იაპონელები გამოფიტული, გავერანებული ყანაა. ჩინელები ამ ოჯახში უფროს ძმებს წარმოადგენენ; უმცროსები მათ აზიარეს ცივილიზაციას. მოგეხსენებათ, ეს ცივილიზაცია რასაც წარმოადგენს, რაზე შეჩერდა, რარიგ მიიხრწნა და ცხოვრებას მოწყდა, რარიგ ბორკავს აზიის კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის უზარმაზარ ხალხმოსახლეობის მთელ ძლიერებას იაპონიის კუნძულების ჩათვლით.

რა გააცოცხლებს ამ გამოფიტულ ნიადაგს? რა ახალი საფუარი ააფუებს ამ უზარმაზარ, გადამპალ მასას? გაიხსენეთ, ამ ჩვენს პატარა ევროპის კონტინენტზე რამდენი ნაირ-ნაირი ელემენტი შეიყარა, როცა სასიცოცხლო წვენი დაძველდა და დამქანდა, რამდენი ახალი ძარღვი გაიხსნა და ქორფა, ახალი სისხლი შეიწოვა? ახლა ნახეთ, რა მუშაობა დულს ჩვენს ახლოს, რა არის ბოსფორიდან დაწყებული არაბეთის ყურემდე მიძინებული და დაუძლურებული აღმოსავლეთი გამოაფხიზლოს. მაგრამ რას წარმოადგენენ ისინი აქაურ ხალხმოსახლეობის მასასთან და როგორ შეედრებიან მას. თუმცა მუშაობა მაინც დაიწყო აქ, ოღონდაც ძნელსა და ჯერჯერობით უმადურ საქმეს წარმოადგენს. დაიწყო ჯერ ძველი, დამპალი ფესვების და სარეველა ბალახის ამოძირკვით.

ჩინეთი ველარ იბოგინებს ისე, როგორც აქამდე ბოგინობდა. ის არ მიდიოდა წინ, არ მოძრაობდა, მხოლოდ კონველსიურად სუნთქავდა და საკუთარი გამოფიტვის მსხვერპლი ხდებოდა. არ გააჩნდათ მათ არც ერთიანობა და არც მთლიანობა, ორგანული სახელმწიფოს ცხოვრების პირობები, რაც ესოდენ

უზარმაზარი ქვეყნის სამოძრაოდ არის საჭირო. პოლიტიკური საწყისი არ აღუდებს ხალხს ერთ მთლიან განუყოფელ სხეულად, რელიგია შინაგან სითბოს არ ანიჭებს სხეულს.

ჩინელებს არა აქვთ ნაციონალური, პატრიოტული გრძნობა და რელიგია. ეს სამი საწყისი კი სახელმწიფო მანქანის შეუცდომელი მოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. არიან ჩინელები, მაგრამ ერი არ არსებობს; მათ ენაზე სიტყვა მამულიც კი არ არსებობს, როგორც ერთმა ჩვენმა სინოლოგმა გადმომცა.

ყოველივე ეს უცნაურია, თუმცა ახალ ამბავს არ წარმოადგენს, თუ ბრამინულ ინდოეთსა და წარმართულ ეგვიპტეს მოვიგონებთ: იმათაც მოქამეს თავისი დრო და სხვებისგან დასკირდათ ძალისა და სიცოცხლის დასესხება, იანე როგორც გამოფიტულ ყანას თესლის შეცვლა სჭირია. თქვენ იცით, რა მოხდა ან რა ხდება ინდოეთში; რა თესლით და რა სიძნელით ხელახლა ჯეჯილდება ეს ყანაცა და რა ხდება ეგვიპტეშიც. ჩინეთი ამ ორზე უფრო მიხრწნილი გახლავთ, მაშასადამე, უფრო ნაკლები იმედია თავისთავად აღორძინდეს. დიდხანს არ გაჰყვათ ჩინელებს ის ცოტაოდენი ზნეობრივი ქვემარატივებათა საგზალი. ცხოვრების საწყისების განვითარებისას უმალ დაეშრიტათ და სიყრმეს ვერც მიაღწიეს, რომ უკვე დაბერდნენ. მათში მოასწრო განვითარება და ფეხვის მოკიდება ინდივიდუალურმა და ოჯახურმა საწყისმა, მაგრამ საზოგადო თუ სახელმწიფო ცხოვრებამდე აღარ დასცალდა მომწიფება, ხოლო თუკი მომწიფდა, ალბათ ხალხების წარმოუდგენელმა გამრავლებამ მოსპო და არია, ეს კი სახელმწიფოებრივ თუ რომელიმე სხვა ცენტრალიზაციას შეუძლებელსა ხდის.

ოჯახის შემდეგ ჩინელი თავისი კერძო საქმეების ერთგული გახლავთ. ისე არსად გამოდგება რუსული ანდაზა: „ღმერთს ვერ შეწვდები, მეფეს ვერ მიაღწევო“, როგორც ჩინეთში, მერე რა, რომ ბოგდიხანი წელიწადში ერთხელ საკუთარი მარჯვენით ხნავს მიწას, სწავლულებს ცდის და სხე. ჩინელებმა იციან, რომ ეს მხოლოდ მასხრობაა და ხელისუფლებასა და ხალხს შორის დიდი უფსკრული არსებობს. მართალია, კანონები არ აკლიათ და არც კანონის შემსრულებელნი, მაგრამ ესეც ისევ მასხრობა და კომედია გახლავთ; რომელ-

საც ორივე მხარე შეგნებულად თამაშობს. კანონები დიდი ხანია მოკვდა. ისინი იმდენად მოწყდნენ ცხოვრებას, რომ მათი ადგილი მთელმა სისტემამ დაიკავა, რაც კანონების დარღვევისთვის დაჯარიმების თავისებურ ტარიფს წარმოადგენს. ამიტომ შეუძლია ჩინელს რაც სურს, ის გააკეთოს: თუ მოხელეა, ქვემდგომებიდან ქრთამებს იღებს და ზემდგომებს აძლევს. თუ ჯარისკაცია, ჯამაგირს კი იღებს, მაგრამ ზარმაცობს და ბრძოლის ველიდან გარბის. სულაც არ ფიქრობს, რომ მისა სამსახური ოჯახის შენახვა კი არა, ომია. ვაჭარმა მხოლოდ თავისი დუქანი იცის, მიწათმოქმედმა ყანა და თავისი საქონლის მუშტარი. ყველა ისინი სახელმწიფოს მთლიანობისა და კეთილდღეობაზე ზრუნვის გარეშე მოქმედებენ. ამიტომაც არ გააჩნიათ არც კორპორაციები, არც საზოგადო დაწესებულებანი, ამიტომაც აქვთ ასეთი მიდრეკილება ემიგრაციისადმი. პროვინციელებსაც დიდი კავშირი არა აქვთ ერთმანეთში: გზები თითქმის არ არსებობს, მხოლოდ მდინარეები და რამდენიმე არხია მათი სავალი გზა. თუ საქონლის წაღება უნდა, ვაჭარი ხალხს ქირაობს და რის ვაივაგლახით იკაფავს ბილიკს. სხვ: დარდი ჩინელს არ აწუხებს, სახეზე ამათია ან წვრილმანი. საყოფაცხოვრებო საზრუნავი ახატია. ან რა აქვს სადარღებელი? წინ წასვლა არ სჭირდება: ყველაფერი მზამზარეულია...

ხელმწიფეზე უფრო შორს ღმერთია ჩინელებისთვის. ძველი ჩინური რელიგიის მიმდევართ არ შეუძლიათ ზეციერი სულები ილოცონ: აკრძალული აქვთ. ყველას მაგიერ ბოგდიხანი ლოცულობს. ბუდისტები კი სალოცავად ბონზებს ქირაობენ და თვითონ ფეხი არ უცდებათ ტაძრებში.

მეცნიერებასა და ხელოვნებაში იგივე წვრილმანობა და უმოძრაობა ასახულა. მეცნიერება ათადან ბაბადან სულ ერთი და იგივეა. ჭეშმარიტებანი ერთხელ და სამუდამოდ დაწერილია, შესწავლილი და აღარც იცვლება. მეცნიერები უკვე ყბედობით დაიღალნენ; ისე გამოჩერჩეტდნენ, რომ უბრალო, საღად მოაზროვნე ხალხის სამასხრონი გახდნენ. მხატვრები წვრილმანებზე აცდნენ დროს, ფიცრიდან თუ კაკლის ნაჭუჭიდან თლიან ბაღებს, ფანჩატურებს, ნავებს, თითქოს ნემსიო ხატავენ ყვავილებს და ფერად-ფერად კაბებს, როგორც ამ ხუთასი წლის წინათ ხატავდნენ. სხვა ნიმუშები აბა საიდან უნდ:

გადმოიღონ. საკუთარი წყაროები ამოეშრიტათ, ჰოდა, მათი ცხოვრებაც სულ ერთნაირად, წვეთწვეთად გამომდინარე ჩანჩქერსა ჰგავს, რომლის ჩუხჩუხი კაცს თვლემას მოგვრის და არა სულს ჩაუდგამს.

მაგრამ მე ევროპასა და ჩინეთის შუამდებარე ვიწრო ბილიკზე დავსეირნობდი და ვხედავდი, როგორ ახლოვდებოდა ეს ორი ხელი: ერთი ბრმას გამოეშვირა და ფათურით ეძებდა მისკენ გამოწვდილ თვალხილულის ხელს; მე ვსეირნობდი ევროპულ სახლებსა და ჩინურ ქოხებს, ხომალდებსა და ჯონკებს, ქრისტიანულ ეკლესიებსა და კერპთსალოცავეებს შუა. — მუშაობა გაჩაღებულია. ნაწილი ხომალდებისა „ახალი აღთქმის“ ეგზემპლარებით ადგება ნაპირს, ნაწილს ყოველნაირი, ნაზი და უხეში სამსალა მოაქვს. მესმოდა სროლა; ორივე მხარე ყუმბარებს ესროდა ერთმანეთს. შედეგი რა მოჰყვება ამას? რა უფრო ადრე შეითვისება: ხსნა თუ სამსალა — ჯერ არავინ იცის, ყოველ შემთხვევაში, რეფორმა უკვე დაწყებულია. ინსურგენტების უკვე ზღვა ლაშქარი მოდის ძველი, კანონიერი დინასტიის აღსადგენად, თავს ქრისტიანებად ასაღებენ, თუმცა მეტად საეკვო ქრისტიანები, რაღაც ეკლექტიკოსები კი გამოდიან. მაგრამ ბოლოს ხომ მაინც მიხვდნენ, რომ წარმატებას ისე ვერ მიაღწევენ, თუ ქრისტიანული ცივილიზაციის ბაირალი არ ააფრიალეს, — ეს კი ბევრს ნიშნავს უკვე. ქრისტიანობა მათ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან აიტაცეს, კათოლიკური ბერები, პროტესტანტები თუ აზიის კონტინენტიდან შემოდღეული ათასი მაწანწალა გახლდათ მათი მასწავლებელი და მოძღვარი.

იაპონელები უფრო დახვეწილი და მაშასადამე უფრო განვითარებული ხალხია: გასაკვირი არცაა, ისინი ჩინელებზე ორჯერ ნაკლები იქნებიან. თანაც თავიანთ კუნძულებში არიან ჩაკეტილები და ხელისუფლებისთვის არცთუ ძნელ ამბავს წარმოადგენს სახელმწიფოს წესიერი მართვა-გამგებლობა. იქ სახელმწიფო ცხოვრების ემმაკურად შექმნილსა და ღრმად მოფიქრებულ სისტემას ვერაფერი შეარყევს, თუ გარეშე ძალა არ ჩაერია. ყველა ამ სისტემაზეა დამოკიდებული, თვითონ უზენაესი ხელისუფლებაც მას ემორჩილება. თუ სისტემა შეირყა, პირველი ეს გამგებლობა დაემხობა. ჩინელებმა აზიარეს

იაპონელები, კორეელები და ლიკეელები თავიანთ უსუსურო, დაუძლურებულ ცივილიზაციას და კარჩაკეტვის ის სისტემა გადასცეს, რისგანაც თვითონ პირველნი განთავისუფლდნენ, რამეთუ კონტინენტზე ცხოვრობდნენ. იაპონელები ჩინელებზე იოლად შეიცვლიან ტყავს: თუ მათი სისტემა დაეცა, ისინი მალე იქცევიან კაცებად; მერე რამდენი საწინდარი გააჩნიათ წარმატებისათვის! ახალგაზრდებს უკვე ესმით, რომ ყველაფერმა ძველმა დრო მოჰპა და გარედან გაახლებას ითხოვს.

იაპონელი ჩინელივით ეგოისტია, მაგრამ სულ სხვა მხრივ: თუ ჩინელს სახელმწიფო საწყისების, ცენტრალური, უზენაესი ძალაუფლების შეგნება არ გააჩნია, იაპონელი, პირიქით, ამას ყველაზე მალა აყენებს; თუმცა კი მხოლოდ შიშით მოსდის და არა საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობის სურვილით, არა ამ კეთილდღეობაზე მზრუნველ ხელისუფლების სიყვარულითა და მადლიერებით. იაპონელს მხოლოდ შიში აჩერებს; მუდამ რაღაც აფრთხობს: ან სისულელე არ ჩაიდინოს, ან ვინმემ ცილი არ შესწამოს და ამისათვის არ დაისაჯოს. იაპონელმა იცის, რომ მართვა-გამგებლობის სისტემა უშეცდომოდ მუშაობს, რომ მას მკაცრად უთვალთვალევენ და სასჯელი არ აცდება. ჩინელს ეს ამბავი ნაკლებ ადარდებს, რადგან ამ სისტემას აქ დიდი ხანია საერთო კეთილდღეობისადმი გულგრილობამ და ეგოიზმმა გამოუთხარა ძირი: იქ კაცს კაცისა არ ეშინია; როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთი ხელქვეითი ქვემდგომისაგან იღებს საბოძვარს, ისიც თავის მხრივ თავის ხელქვეითს ართმევს და ყველა ისე იქცევა, როგორც თვითონ მას მოეპრიანება.

რაც შეეხება ლიკეელებს, იმათ დიდი-დიდი თხუთმეტრა, ოცი წელი დასჭირდეს, რომ თავიანთი ხალათები გაიძრონ, ბამბუკის ჯოხები და მარაოები თოფებსა და ხმლებზე გასცვალონ და ისეთივე ადამიანები გახდნენ, როგორც სხვები. ისინი ცოტანი არიან; არც ძალა მოსდევთ; იაპონიას რომ მოსწყდნენ, რომლის შიში ჯერ კიდევ აქვთ — ყველაფერი შეიცვლება იქ, როგორც მაგალითად სანდვიჩის კუნძულებზე შეიცვალა.

აი, რა ფიქრები მომდიოდა თავში, როცა ჩინეთზე წაკითხულსა და გავონილს ვისმენდი და ამ ხალხების ყოფა-ცხოვ-

რებას ვაკვირდებოდი! იქნებ სინოლოგები, განსაკუთრებით სინოფილები ბევრში შემომედავონ, მაგრამ ჩემს თქმულს უცილობელ ჭეშმარიტებად არა ვთვლი. მე პირადად ასე მომეჩვენა...

ხვალ ღუზას ავხსნით და ერთი კვირით ნაგასაკში გავწევთ, მერე კორეის ნაპირებს ჩავევლით და სამშობლოსკენ გავემართებით, ჩვენს სამფლობელოებისკენ ავიღებთ გეზს. ახლაკი ნაადრევია იქ წასვლა: იქ ჯერ კიდევ ყინულებია. აქ, ამ კორეის სამხრეთ ნაპირზედაც, განედის 34⁰-ზე ისე ცივა, როგორც ჩვენში ამ დროს პეტერბურგში იცის, თუმცა ამავე განედზე დასავლეთით, მაგალითად მადერაზე, შარშან იანვარში ცხელოდა. აღმოსავლეთიც იმიტომ ჰქვია.

დამავიწყდა მეთქვა, რომ 2 აპრილს, ჩვენთან ერთად ჰამილტონის კუნძულს ჩვენი ტრანსპორტიც მოადგა. ევროპაში ახალი ამბები იგივე ყოფილა, რაც მანილაში შევიტყვეთ, სამაგიეროდ შანხაიში ბევრი ახალი მომხდარა. როგორც ვფიქრობდი, ისეც გამოდგა. ევროპელები მაინც ჩარეულან შინაურ ომში. ტაუტაია-სამკვას ჯარებს უწესრიგობა მოუხდენიათ. ისინი უდისციპლინო ნაძირალების ხროვას წარმოადგენენ; უფრო ყაჩაღები დაერქმის, ვინემ ჯარი. შანხაიში საღამოობით საშიში გამხდარა სიარული: ბანაკიდან ევროპელთა უბანში ჯარისკაცები მოდიოდნენ თურმე და გამვლელებს ესხმოდნენ თავს; სხვათა შორის, ერთ ინგლისელს დატაკებიან, რომელიც ცოლთან ერთად სეირნობდა. ინგლისელი ლედი ბანაკში წაუთრევიათ; ინგლისელს ცოლი დაუცავს და თერთმეტი ქრილობა მიუღია, ერთი მეტად მძიმე. ამასობაში სხვა ევროპელები მოშველებიან და ის არამზადები გაუქცევიათ. ამ ამბავმა ფეხზე დააყენა ყველა ინგლისელი, მეზღვაური თუ კანტორის ახალგაზრდა მოსამსახურე. შეიარაღებულან თოფებით, დამბაჩებით, ერთი ქვემეხიც წაუღიათ და ბანაკისკენ წასულან. იქ რამდენიმე ყუმბარა ჩაუგდიათ და ბევრი დაუხოცავთ.

შემდეგ ყველა ევროპელ კონსულს, მათ შორის ამერიკელსაც, ტაუტაიასთვის შეუთვლია, რომ თავისი ბანაკი აეყარა და მეორე მხარეზე გადაეტანა. ახლა ალყაშემორტყმულ ქალაქისა და ევროპელთა უბნის ირგვლივ სიმშვიდე სუფევს. მაგრამ ევ-

როპელებს მაინც არა აქვთ გული საგულეს: სულ შექუჩულები დადიან და იარაღსაც თან ატარებენ. კანტორებში ვაჭრები ბიუროს რომ უსხედან, დატენილი რევოლვერი გვერდით უდევთ. ღმერთმა იცის, რითი ღამთავრდება ეს ყველაფერი.

დღეს ღუზის ახსნას ვაპირებდით, მაგრამ პირქარი ამოიჭრა. ჩვენ ვმარხულობთ: ვნების კვირა დგას.

მეორე დღეს, 7 აპრილს, ნაშუადღევს სამ საათზე დავიძარით, 9-ში კი, დღის ორ საათზე, ნაგასაქის რეიდზე ჩავუშვით ღუზა. ჩინებულად ვიმგზავრეთ, ისეთი სიმშვიდე სუფევდა, თითქო მდინარეში მივცურავდით. იაპონელები თვალებს არ უჯერებდნენ, ასე ჩქარა რომ ჩამოვბრუნდით; თუმცა კი მანძილი მხოლოდ 180 მილია.

ყველანი რომ ისევ გვიხილა, ოპერ-ბანიოს ოიე-საბროსკის კმაყოფილების სიცილი აუტყდა. თუმცა შეიძლება მიზეზი მისი რეგვენობაც იყო. კიჩიბე ძველებურად რევერანსებით შეგვხვდა, კრუსუნებდა და ისტერიული სიცილით იბრჩობოდა, როცა ნაგასაქის გუბერნატორის თხოვნას გვაუწყებდა, ნაევბით ბატარეებს ნუ მიუახლოვდებითო. ხოლო რომ ვკითხვით, გუბერნატორს ზომ რამე არ აქვს ნაბრძანები ჩვენთვის გადმოსაცემად თავისი უფროსებიდანო, ისევე გვიპასუხა, „ედო-დან... პასუხი... nit erhalten, მიღებული არააო“.

მეორე თარჯიმანი ეინოსკე ედოში ყოფილა და იქ „შეერთებული შტატების კაცებთან“ ჯახბრობდა. შევიტყვეთ, რომ ეს „კაცნი“ მშვიდობიანად ეწევიან მოლაპარაკებას; რომ იმათაც ისევე დაპყვებიან სეირნობისას ნაევბი, ისევე არ უშვებენ ნაპირზე და ა. შ. ისიც გავიგეთ, რომ იმათი ერთი გემი მეჩეჩს მჯახებია და რეიდზე ლამის ჩაძირულა; ხალხი იაპონელთა ნაევბზე გადააშულა, მაგრამ ნახვრეტის ამოქოლვა მოუხწრიათ. ამერიკელები ედოში კი არა, მხოლოდ ედოს ყურეში ყოფილან, რომელიც წყალმარჩხია და იქიდან ხომალდებით დედაქალაქს ოცდაათიოდე ვერსზე ახლოს ვერ მიაღებენ.

მანილაში რომ ვიყავი, იქ ინგლისურსა და ამერიკულ გაზეთში ედოს სახლებისა და ტაძრების ნახატები ვნახე, რომლებიც პერის ესკადრის ერთ-ერთი ოფიცრის ჩახატულად იყო გასაღებული. ის კი დავიწყებოდათ დაემატებინათ, რომ ისინი

ზიბოლდის სურათებიდან იყო მხოლოდ გადმოღებული. იმაზე აღარას ვიტყვი, რა ამბავი ატეხეს გაზეთებმა ვითომც ამერიკელების წარმატებაზე იაპონიაში და სავაჭრო ტრაქტატის დადებაზე. ამერიკელებს იაპონიაში სამი ნავსადგური გაუხსნეს, ეს შეიძლება მართალიც იყოს: ნავსადგურები წყლით, ქვანახშირითა და სანოვაგით მოსამარაგებლად მისცეს; მაგრამ ქეშმარიტ ვაჭრობამდე ჯერ ბევრი უკლიათ. ჩვენც ხომ შეგვეძლო ასევე გვექაქანა ჩვენს წარმატებებზე იაპონიაში და კვადრატში წარმოგვედგინა ისინი? აკი გამოვიდოდა, რომ კარგა ხანია იქ ვაჭრობას ვეწყევით უკვე.

გუბერნატორს გადაეწყვიტა სანოვაგე თვითონ მოეწოდებინა ჩვენთვის და არა პოლანდიელების მეშვეობით, თანაც უსასყიდლოდ; ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სანოვაგის მოწოდება რაც შეიძლება ნაკლებ დამსგავსებოდა ვაჭრობას. იაპონელებს ძალზე უნდოდათ თავიანთი პირველი შეცდომა გამოესწორებინათ და გუბერნატორსაც ეწადა ჩვენს წინააღმდეგ მიღებული ზომებით თავისი უფროსების მოწონება დაემსახურებინა. ეს მეორე გუბერნატორი მიზნო ჩიკოგონოკამი-სამა გახლდათ, რომელიც აქამდე პირველის ოვოსავაბუნგონოკამი-სამას ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა. ოვოსავა რწმუნებულებს გაჰყოლოდა ედოში, ახალ გუბერნატორს კი გადაუწყვეტია დაემტკიცებინა, რომ მართოსაც შეუძლია ყველაფრის გახერხება. მაგრამ მას განუცხადეს, რომ სანოვაგე ძველებურად, ფულით გვინდა მივიღოთ. პოლანდიელთა მეშვეობით, ხოლო თუ პირდაპირ იაპონელები ჩავვაბარებდნენ, ჩვენგანაც უნდა მიეღოთ ყოველთვის იმდენივე საღირალის საჩუქრები.

ეს ამბავი გაცვლა-გამოცვლას უფრო ჰგავდა უშუალოდ იაპონელებთან და ამან დიდად დააფრთხო გუბერნატორი. რაღა უნდა ექნა: ჰოდა, მისმა აღმატებულებამ შემოთვალა, რომ თარჯიმნებმა სწორედ არ გადმოგვეცეს — ჩვეულებრივ ასე იძვრენენ ხოლმე თავს, თუ რამე ღონისძიება არ გამოუვიდათ, — რომ ის თანახმაა წინანდებურად პოლანდიელებმა მოგვაწოდონ სანოვაგე და მხოლოდ იმას ითხოვს, სანოვაგის ნაწილი საჩუქრად მივიღოთ, სამაგიეროდ ისიც კონტრ-პრეზენტზე არ იტყვის უარს, ხოლო გუშინ რომ ჩვენს ნაგებს იაპო-

ნელების ნავებმა სეირნობის დაშლა დაუპირეს და ირგვლივ შემოეხვივნენ, ამაზე კრინტი არ დაუძრავს. ჩვენები, როგორც შეეძლოთ, თურმე თავიდან იშორებდნენ ნავებს, ბოლოს ზ[ელიონი] თავისი ნავით ისე შექრილა მათ შუა, რომ ერთისთვის ცხვირი მოუგლეჯია. მოგლეჯილი ნაწილი ფრეგატზე მოიტანეს.

სალამო პირველ საათზე გვეწვია ოიე-საბროსკი ამ შემთხვევის თაობაზე ახსნა-განმარტების მოსაცემად.

ნაგასაკი ამჯერად რაღაც დაღვრემით იყურებოდა. კორდებს მწვანე ფერი ჩაქრობოდა, ხეებზე აქა-იქ მოჩანდა ფოთლები, თანაც ციოდა. მართალია, აპრილი იღვა, მაგრამ ჩვენში, ჩრდილოეთში, წარმოიდგინეთ, უფრო თბილა ხოლმე. ჩვენ მსუბუქი პალტოები მოვისხით და ისე დავსეირნობდით. აქ ზამთრის სუსხი კიდევ იგრძნობა. კიჩიბემ გუშინ გვითხრა, ერთ თვეზე აღრე არ დათბებაო.

დღეს 11 აპრილს — აღდგომაა. წირვა წესის და რიგის მიხედვით ჩავატარეთ: სამივე ხომალდიდან მოიყარა ხალხმა თავი; მერე გავიხსნილეთ. ნაგასაკიდან კვერცხები გამოვიწერეთ, შევღებეთ და ერთმანეთს მივულოცეთ აღდგომა. სუფრაზე შაშხი, როსტბიფი და კულიჩები ეწყო — ერთი სიტყვით, ისე ვიზეიმეთ, როგორც ხმელეთზე.

12 აპრილს სულ ხროვა-ხროვად მოგვიტანეს სანოვაგე. დღეს ოიე-საბროსკი და თარჯიმნები მოვიწვიეთ სადილზე, მაგრამ ორი საათის ნაცვლად ხუთზე გამოცხადდნენ. მე ისინი არ მინახავს, თქვეს კი, ბლომად მიირთვესო. ოიეს თავის სიკოცხლეში პირველად ეჭამა ხორცი და მდოგვიც პირველად ენახა. ჰოდა, ვიდრე მის გაფრთხილებას მოასწრებდნენ, მთელი კოვზი მდოგვი გადაუსანსლავს. შუბლი გასწითლებია და ცრემლები მოდგომია თვალებზე. გუბერნატორს თოთხმეტი არშინი მაუდი, სპილენძის სამოვარი და ერთი კასრი დამარილებული ხორცი გაუგზავნეს საჩუქრის სანაცვლოდ. ზეგ ლუზის ახსნას ფიქრობენ და ციმბირის ნაპირებისკენ გეზის აღებას.

14 აპრილი. გუშინ დანარჩენი სანოვაგე და გუბერნატორის გამოსათხოვარი საჩუქრები მოიტანეს. მას მწვანილი, ფრინველები და სხვ. გამოუგზავნია. იაპონელებმა აღმირალთან მიირ-

თვეს ჩაი. მათ აჩვენეს, როგორ უნდა ეხმარათ სამოვრები, ჩამდენიმე ცალი ხომ ვაჩუქეთ.

სალამოს ჩვენმა მეზღვაურებმა ცეკვა-სიმღერა გააჩაღეს. ნავებიდან ბევრი უბრალო იაპონელი მენიჩზე და მსახურება ამოვიდნენ საყურებლად; განცვიფრებულნი და პირდაღებულნი უყურებდნენ, ჩვენი ორი მეზღვაური, ერთი უღვაშებაბზე-კილი, სახემოქუშული მესაქე და მეორე შავქილვაშიანი, ხნიერი ბოცმანი საჩხარუნებლებით ხელში დიდხანს რომ ცეკვავენ გაშმაგებით, თითქო დიდ მძიმე საქმეს აკეთებდნენ. ერთი რომ დაიღლებოდა, სვეტივით დაერქობოდა ადგილზე; მეორე იმავე წუთს ჯერ ნელ-ნელა დაიწყებდა ხტუნვას, მერე ფეხებს ჩქარ-ჩქარა გაუსვამდა, თან ძირს იყურებოდა, შემდეგ სწრაფად დაეცემოდა მუხლებზე და ბუქნას მოჰყვებოდა. შიგა და შიგ კიუინას დასცემდა ხოლმე; გუნდი მღეროდა. დანარჩენები უხმოდ, დინჯად შესტყეროდნენ. იაპონელები დიდხანს რა მოგვეცილდნენ. მაგრამ ცეკვა-სიმღერა რომ დამთავრდა, ისინიც მომღერლებივით და მოცეკვავეებივით უხმოდ, გაუღიმებლად დაიშალნენ.

15 აპრილი. გუშინ ერთმა იაპონელმა მანილაში ნაყიდი კილის სასიგარე დამინახა; დიდხანს ვერ მოწყვიტა თვალი; საჩუქრად რომ მივაძლიე, ჯერ თავი შორს დაიჭირა, მაგრამ რომ აღარ მოვეშვი, გამოპართვა და უბეში ჩაიდო. მე და პ[ოსიეტს] გაგვიკვირდა, აღება როგორ გაბედა, ისიც სხვების თანდასწრებით-თქო. მაგრამ მალე მივხვდით მიზეზს: კაიუტაში რომ დავბრუნდით, სასიგარე იმ დივანზე აღმოვაჩინეთ, სადაც იაპონელები ისხდნენ. მეტად მოსაბეზრებელი ხალხი კია. ვერ შეეკითხები — ან მოგატყუებენ, ან გაიღურსებიან. კიჩიბე ავად გახდა და ველარ მოვიდა. ვიკითხეთ, რით არის-თქო ავად. მისმა ვაჟმა გვითხრა, კუჭი აქვს აშლილიო, მეორე იაპონელმა — თავი ტკივაო, მესამემ — ფეხები, თვითონ კი მეორე დღეს განაცხადა, ყელი მტკიოდაო. მართლაც ახველებდა. თუ რაიზე შეეკითხე, პირველად ყურის მოყრუებას დააპირებს, მერე ტალეირანივით მოტყუებას. ტალეირანი ხომ ყველას ურჩევდა, პირველ გულისტქმას ნუ აპყვებით, სხვისთვის სასიკეთო შეიძლება იყოსო. ერთხელ ვკითხეთ მათ: პირველი სავაქრო ქალაქი რომელი გაქვთ-თქო? ერთმა „ოსაკიო“

თქვა, — მეორემ „იასიკო“ (ნიფონის დასავლეთ ნაპირზე). მესამემ „მიაკო“, მეოთხემ... მაგრამ ერთბაშად ენაზე იკბინეს, ამდენი როგორ წამოგვეცდაო და შიშით გაილურსნენ. საბროსკის ერთხელ სტერეოსკოპი ვუჩვენე. „იაპონური პეიზაჟის ნახვა თუ გინდა-მეთქი?“ — ვკითხე თარჯიმნის შემწეობით გერმანული, ინგლისური და პოლანდიური ენების ნარევიით და რომელიღაც, მგონი, ზიბოლდის ხელი ვაჩვენე. „ფირანდო, ფირანდო!“ — გაკვირვებით შენიშნა თარჯიმანმა გეისტრამ ანუ ნარბაიოს პირველმა. ფირანდო ერთი პატარა დაბაა, სადაც წინათ პორტუგალიელები და ესპანელები ვაჭრობდნენ. ის ნაგასაკის დასავლეთით მდებარეობს. მაგრამ ოიემ რაღაც გულმოსულად ჩაულაპარაკა და იმანაც ენა ჩაიგდო. ყველგან და ყოველთვის, თუნდაც წვრილმანებში, სისტემატურად სტყუიან, ყველაფერს მალავენ, ვინაიდან სულ იმის ეშინიათ. უცხოელებმა იაპონიაში გზა არ გაიკაფონო. სულ ფრანგი ეპისკოპოსის სიტყვები მიწიოდა ყურში, მანილაში რომ ვლაპარაკობდით, იაპონია მალე გაიხსნებაო და ასე თქვა: „მხოლოდ ზარბაზნების წყალობით. ბატონებო, ზარბაზნების წყალობით“.

დღეს იაპონელებმა კვლავ წაიღეს კონტრ-პრეზენტები და წავიდნენ. ამ წუთას გავდივართ ზღვაში. შკუნა იაპონიის ახლომახლო კუნძულების აღსაწერად მიემართება, მერე შანხაიში შეივლის, ჩვენ კი ციმბირის ნაპირებისკენ გავწევთ. მანამდე, მგონი, კორეის ნაპირებზეც შევივლით. ტრანსპორტი ჩვენ მოგვეყვება. ედოში წერილი გაიგზავნა, სადაც რწმუნებულება ანივაში მოიწვიეს შემდგომი მოლაპარაკებებისთვის.

დამავიწყდა მეთქვა, რომ გუბერნატორიც დაეწია სიხარულით, როცა გაიგო, ჩვენ მივდიოდით. გახარებულმა საჩუქრად უამრავი კარტოფილი, თევზეული, გალაქული მაგიდები და ყუთები გამოგვიგზავნა. სამაგიეროდ სასაღილოს საათი მიაჩვენეს ჩვენებმა. მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის ის იყო, რომ წასვლისას შევეუთვალეთ, ედოში არ მივდივართქო. „სახლში მალე დაბრუნდებითო?“ — მკითხა ოიემ. უნდოდა ჩემთვის რამე წამოეცდინა: „როცა იაპონიაში საქმეებს მოვრჩებით-მეთქი“. „თქვენ კი როდის გაემგზავრებით ედოში, ცოლთან-მეთქი?“ — „არ ვიცი, არ დაუნიშნიათო“ —

მიტხრა მან. სტყუის კი: ალბათ დღეც, საათიც და წუთიც იცის თავის გამგზავრების, მაგრამ მართლის თქმა არ შეუძლია — ხოლო რატომ არ შეუძლია, ეს იქნებ, მართლაც არ იცის. ტყუილი იაპონელებს არავითარ სიკეთეს არ მატებთ, რადგან საპასუხოდ აქეთაც ატყუებენ; სხვაგვარად არც შეიძლება. რა წამს მოვედით, მაშინვე კითხვები მოგვყარეს: სად ვიყავით, საიდან მოვედით, რომელ ნაპირზე გადავედით და ა. შ. მათ უთხრეს, რომ ლუ-ჩუზე და ბატანში ვიყავით. ჰოდა, მაშინ ძებნა დაუწყეს, ეს ბატანი სად არისო. გუშინ გამოგვიტყდნენ კიდევ, რუკაზე ვერ ვიპოვეთ და გვაჩვენეთო. გენერალურ რუკებზე ამ კუნძულს სახელი არ აწერია; მთელი ჯგუფი საერთო სახელწოდებით, ბაშით არის მინიშნებული. საზღვაო რუკაზე აჩვენეს ბატანი. მთელი კუნძული გადმოიხატეს, რა თქმა უნდა, ელოში დაწვრილებით მოსახსენებლად. ასე რომ, ერთიმეორის მოტყუებას ბოლო აღარ უჩანს. მათი ექვიანი ხასიათი რომ დავინახეთ და ისიც გავიგეთ, რა რიგ სძულდათ ესპანელები, აღარ ვუთხარით, რომ მანილაშიც ვიყავით: ღმერთმა უწყის, რა დასკვნას გამოიტანდნენ ჩვენი ლუცონზე ყოფნის გამო.

ამ სამი დღის წინათ, არ ვიცო, რა მიზეზით, ქალაქებზე რომ ვლაპარაკობდით, ისევ წამოცდათ, რომ ნიფონის კუნძულის დასავლეთ მხარეს მდებარე იასიკო თუ ესიკო იაპონიაში ყველაზე მდიდარი ქალაქიაო, ხოლო მის პირდაპირ მდებარე პატარა საღოს კუნძულზე კი აურაცხელი მინერალური სიმდიდრე მოიპოვებო. აღმირალს ახლავე უნდა შეიაროს იქ.

16 აპრილი. აგერ მეორე დღე გოტოს კუნძულებსა და მათ ირგვლივ მდებარე ლოდებს ვუვლით. ნაპირების აწერას აწარმოებენ, მაგრამ დინება გვიშლის ხელს: განზე გვიტაცებს. ჩინელებს ტყუილად კი არ გამოუთქვამთ: „იაპონიის საქონელს რა სჯობია, მაგრამ გოტოს ვინ შემოუვლისო“. განსაკუთრებით ხომალდებისთვის წარმოადგენს ეს თავსატეხს. გოტო, მგონი, სულ ხუთი კუნძულისაგან შედგება.

ქარი არა ქრის, მშვენიერი ამინდია: ცა მოწმენდილია, თბილა. ნაპირთან იკანკლური სვლით დავდივართ. შორს იაპონელთა ნაგები მოჩანს; ნაპირებზე მცენარეულობას ვერსად მოვკარით თვალი. აუარება წითელი ქვირითი დანაყილი აგუ-

რევით მოჰყრია ალაგ-ალაგ ზღვას და ღამ-ღამობით თვალის-
მომჰრელი, ფოსფორული ბრჭყვიალი გააქვს. გუშინ ისე ძლი-
ერ ლაპლაპებდა, გეგონებოდა, ხომალდის ძირიდან ალი ამო-
იქრაო. იალქნებიც კი გაანათა მისმა შუქმა. კიჩოს უკან ცეცხ-
ლის განიერი ქუჩა რჩება. ირგვლივ ბნელა. სადაც წყალს არა-
ფერი აშფოთებს, იქ არც ანათებს.

18 აპრილი. გავიარეთ ჩუ-სიმას კუნძული. კარგ ამინდში
აქედან კორეისა და იაპონიის ნაპირები მოჩანს. აქა-იქ მეთევ-
ზეთა პატარა ნაგები დასრიალებენ, სხვა ვერაფერს დაინახავ.
ამ წყლებში სიცოცხლე არ დუღს, ყველაფერი დაღუშებულა.
იაპონელები ამბობენ, რომ კორეელები იშვიათად, მხოლოდ
შემთხვევით თუ შემოივლიან, ან საქონლის ჩამოსატანად, ან
წასაღებადო.

მერე რა სანავარდო იქნებოდა აქ ევროპელთა სავაჭროდ და
საზღვაოსნოდ, რა ახლოსაა აქედან იაპონია და კორეა, ხოლო
ორივედან კი შანხაი! იაპონიიდან კორეამდე ალაგ-ალაგ ასი
მილი იქნება, ალაგ-ალაგ, ჩრდილოეთისკენ, ას სამოცდათხუთ-
მეტი — ორასი, მაშასადამე ას სამოცდათხუთმეტი, სამასი და
საძას ორმოცდაათი ვერსი. იაპონიიდან შანხაიმდე კი შვიდას
ვერსზე ცოტა მეტია. ინგლისიდან იაპონიამდე ფოსტა ორ
თვეს უნდებოდა, ოტ-ინდოეთის გზით. ნეტავ როდის იქნება,
რომ ეს ქვეყნებიც ერთი ჯაჭვის რგოლებად იქცევიან და ევ-
როპაში წერილებს, საქონელს თუ სხვ. გაავზავნიან? რა სი-
ცოცხლე გაჩაღდებოდა აქ, ამ ყურეებში, რომლებსაც ნიპონი-
სა და ჩუ-სიმას ნაპირები დაუკბილია, თუკი ზღვაოსან ერებს
ნავარდის უფლება მიეცემა!

დღეს, 19 აპრილს შტილი თითქმის ქარიშხლად გადაგვექ-
ცა. ჯერ NO-დან მოიჭრა ქარაშოტი, მერე მუდმივმა, ძლიერ-
მა და ბოლოს მძაფრმა ქარმა დაჰბერა, ასე რომ, მარსელებზე
ოთხივე რიფი აკრიფეს. ხომალდი რაღაც უცნაურად, დიაგო-
ნალურად ირწეოდა, რაც ფრიად უსიამო ვახლდათ. ზღვის
მიჩვეულებსაც კი ცოტა არ იყოს რეტი დაასხა. მე მაინც ვე-
რაფერი დამაკლო, ოღონდაც თავი ამტკივდა ცოტა. საღამოს
და ღამით ცოტა გაყუჩდა.

გუშინ და დღეს, 20-ში და 21-ში, კორეის ნახევარკუნძუ-
ლიდან ორიოდ ვერსზე მივცურავდით, განედის 36°-ზე. იუტ-

ზე ნაპირების აწერას აწარმოებდნენ, თუმცა სანახავი კი არაფერი იყო: სულ უდაბური, აქა-იქ საცოდავი ბალახითა და ხეებით დაფარული ნაპირები მოჩანდა. სოფლებს ხანდახან თუ მოკრავდი თვალს: იქაც ისეთივე ქოხმახები იდგა, როგორც ჰამილტონზე და ისევე მიტმასნოდა ერთმანეთს. ნაპირზე ალაგ-ალაგ დაბორილობდნენ მცხოვრებლები. ზღვაზე ბევრი ნაგები იყო, ალბათ მეტევეზებისა იქნებოდა.

სალამოს ხუთ საათზე ერთ ზოლაზში ჩავუშვით ლუზა. ამბობენ, კორეის ნაპირის რუკები არასწორიაო, თუმცა ისედაც მხოლოდ ერთი თუ ორი ცალი არსებობს. მართლაც უცბად ჩრდილოეთისაკენ ერთი ნაპირი აგვეყუდა წინ, რომელიც რუკაზე აღნიშნული არ იყო. მართებულად არ არის ჩათვლილი უცბო ნაპირებთან სალამოს გზის გაგრძელება და გათენებამდე შეეჩერდით. ჩრდილოეთისკენ ზურგქარი ქროდა; თბილი და მზიანი დარი იდგა. ერთი ჩვენი კატერი ნაპირს მიადგა: როგორც ჰამილტონზე, მცხოვრებლები აქაც შეჩოჩქოლდნენ და აწრიალდნენ და ისეთივე შეხვედრა მოგვიწყვეს, ესე იგი ნაპირზე შეგროვდნენ კეტებით ხელში, რა არის ჩვენები არ გაეშვათ. მხოლოდ მაშინ მისცეს გზა, როცა ჩვენებიდან ზოგიერთებს თოფები დაუნახეს. მათ ჩინურად დაწერეს ქალაღზე: „რა ხალხი ხართ? რომელი სახელმწიფოსი, ქალაქისა თუ სოფლის? სად მიემართებითო?“ კატარღაზე არვის სცოდნოდა ჩინური და რუსულად დაუწერიათ ფრეგატის სახელი, წელი, თვე და რიცხვი. მცხოვრებლებს ხელებით უნიშნებიათ, წყლისთვის ხომ არ მოსულხართო. ჩვენებს უთქვამთ, არაო. ააე დაშორებიან ერთმანეთს.

25 აპრილი. კორეის ნაპირის გარღა სხვას ვერაფერს ვხედავთ. აღწერა გრძელდება, ჩვენ უკვე განედის 39°-ზე ვართ. უფრო შორს ვიქნებოდით, თუ რომ ორი დღე პირქარს არ ებერა და ერთ ადგილზე ტყუილუბრალოდ არ ვექანავეთ. ნაპირს ნისლი გადაჰფარებოდა. გუშინ ისევ დავინახეთ ნაპირი.

კორეაზე წერენ, ზამთრობით ისე ცივა და ზაფხულობით ისე ცხელა, ნიადაგი სულ გამოფიტულიაო. მგონი, ასეც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ნაპირები ამის ნათელი დამადასტურებელია. 37°-დან მთაგორიანი ნაპირები დაიწყო. შორს ერთიმეორეზე მაღალი, უზარმაზარი მწვერვალები მოჩანს.

შუბლი ისე დაკმუჭნიათ, გული გეტკინებათ. მწვერვალებზე ალაგ-ალაგ თოვლი ბრჭყვიალებს, ალაგ-ალაგ ქვიშა ქათქათებს. ზღვის პირას ნაპირი დაბალია, ქვიშიანი და უდაბური. მხოლოდ აქა-იქ ამოყრილა ბალახი; ზოგან ბუჩქები მოჩანს. ადგილ-ადგილ სოფლები მიწებებულა; ნაპირებთან ხამუშ-ხამუშ ნავეები გასრიალდება უნდილად. ეტყობა, დღიურ ლუქმას' შოულობენ, თევზებს, ტრეპანგებს, სიპინებს იჭერენ.

დღეს ერთბაშად ერთი ნავი გამოემართა ჩვენკენ. შიგ შვიდი კორეელი იჯდა. ყველას ჭეჭყვიანი ფერის თეთრი ხალათები ეცვა, ხალათის ქვეშ ისეთივე ქსოვილის ქურთუკები თუ კამზოლები და იმავე ფერის დაბამბულ შარვლები მოუჩანდათ; ერთს ქუდი ეხურა. მათი ყვირილი შორიდანვე გავიგონეთ. ვანიშნეთ, გემბანზე ამოსულიყვენ. თუმცა რომ ამოვიდნენ, ვინანეთ კიდეც მათი დაპატყება. ვერაფერი გავაგებინეთ: ჩინურად ვერც ლაპარაკი და ვერც წერა შესძლეს, თანაც ყველა, მთვრალი იყო. მეზღვაურები ირგვლივ შემოეხვივნენ და მათი ხალათებისა და კონად შეკრული თმების შემხედვარე თავიანთ აზრებს გამოთქვამდნენ. „ლიტვაზე უარესიაო!“ — გავიგონე ერთი მეზღვაურის ნათქვამი. „ლიტვა რაა, ჩერქეზებზე უბედურები ყოფილან! — შეესიტყვა მეორე, — ხალხი კი ჰქვიათო!“ კორეელებს ორცხობილები გამოუტანეს და ისინიც წავიდნენ. გ[ოშკევიჩმა] ჩინურად დაუპირა იმათ გამოლაპარაკება. ჰოდა, ერთ-ერთმა წასვლისას ხელი მოხვია და გადალოშნა. ჩვენ გავვეცინა, საწყალმა ოსიბ ანტონოვიჩმა კი აღარ იცოდა, როგორ მოეშორებინა ამ უბოდიშო ალერსის კვალი.

ჩვენთან გაბურებული მუშაობაა, ბროუტონის რუკებს ამოწმებენ. მან გასული საუკუნის მიწურულში იმოგზაურა ვანკუვერთან ერთად, ოღონდ სხვა ხომალდით. ვანკუვერი ამერიკის დასავლეთ ნაპირების აღწერას აწარმოებდა, ბროუტონი აზიის კონტინენტთან მოგზაურობდა. ლიკეის კუნძულების ახლოს, მეჯიკო-სიმას კუნძულებთან დაემსხვრა ხომალდი, თვითონ გადაარჩა და მცხოვრებლებმა მშვენივრად მიიღეს. მისი რუკა სწორი არ არის: სულ შესწორება სჭირდება გზადაგზა. ასე რომ, რუკებზე კორეის გამოსახულება მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს ახლა. ბროუტონის ნაჩვენებ ბოლავს ვეძებ-

დით, იმ განედზე, სადაც აღნიშნული ჰქონდა, ვერა და ვერ აღმოვაჩინეთ. მაგრამ გუშინ, რუკაზე აღნიშნულის საპირისპიროდ, ჩრდილოეთით, დიდი ყურე გადაგვეშალა. შიგ რომ შევედით, ეპეიც არ შეგვაქვლია, თუ ამოდენა აღმოჩნდებოდა. სულ პაწაწა კუნძულებითაა მოფენილი. რაც უფრო წინ მივიწევდით, ახალ-ახალი, პატარა ყურები გვეშლებოდა თვალწინ. სიღრმე ყველგან მშვენიერია. შუა ყურეში, კუნძულოვან ნაპირებთან ჩაუშვით ღუზა. ზღვა უკვე აღარ მოჩანს. ნაპირებს ყოველ მხრივ ჩაუქეციათ; დეღვა აქ საშიში აღარ არის. უზარმაზარი ბასეინი დგას. შიგ მთელი სამხედრო და სავაჭრო ფლოტები დაეტევა. ყოველი მხრიდან კონცხები დაგვეყრებენ; აქა-იქ პატარა თანაყურეებს, კლდეებს და ალაგ-ალაგ ობლად დაყრილ ლოდებს ვხედავთ. ცოტა არ იყოს ნაგასაკი მოგვაგონა. ესაა მხოლოდ ნაპირები არც ისეა აქოჩრილი და არც ისე მკმუნვარედ იყურება, როგორც შორიდან გვეჩვენა. ორი-სამი მილის მანძილიდან ხავსი რომ გვეგონა, ახლოდან ხეები და ბუჩქები გამოდგა. მწვანე ჯეჯილიც ბევრგან დეღავდა. შიგ და შიგ სოფლები გაბნეულა, ხან მთის კალთებზე. ხან მარჩხობებზე, თითქმის ზედ ნაპირთან მიყუყული.

დღეს, სადილის შემდეგ, ხუთი საათი იქნებოდა, ხუთნი გავემართეთ ნაპირისაკენ. თან წავიღეთ სამოვარი, ბადე და თოფები. აგერ მივადექით კიდეც და ნაპირზე გადმოვედით, სადაც, ალბათ, ევროპელს ჯერ ფეხი არ დაედგა. მისიონერებ, მოსვლაზე თავი რად უნდა შეეწუხებინათ: ჯერ ერთი, შორს იყო და თანაც უღაბური ადგილი გახლდათ. ბროუტონი ან სხვა ბოლაზზე ლაპარაკობს, ან თუ აქ მოვიდა, ალბათ ნაპირზე არც გადმოსულა, თორემ მის განსაზღვრაში შეცდომა არ მოუვიდოდა.

ჩვენი ნავი მაღალი მთების ძირას, ქვიშიან მარჩხობზე გაჩერდა. იქ ლატნებზე სათევზაო ბადეები იყო გაშლილი, პატარა დელე ჩამოდიოდა, სიგანით ორი არშინი. მთელი ნაპირი ნიუარებით იყო მოფენილი. სოფლების ახლოს ფიჭვის გარდა ისეთი ხეები იდგა, რომლებიც ჯერ არსად მენახა. ერთს ფოთლები მწვანე კი არა, ფერფლისფერი ჰქონდა, მეორეს ნორჩი ლიმონის ხესავით მკვეთრი მწვანე, შემდეგ კიდეც თითქმის ტიტველი ხეები ვნახე, ადამის ლელვის ხესავით გამხმარი, რუ-

ხი ტანით და გამხმარი ტოტებით; ოღონდაც ამ რუხ ტანზე სულ სხვა ბუჩქები ამოყრილიყო და გაზაფხულის ქორთა მწვანესავით ხასხასებდა. ლამაზი კი იყო, მაგრამ უცნაურად იყურებოდა: თავისი არაბუნებრივობით ფერუმარლით შეთითხნილ და გამოკოპწიავებულ ბებრუხუნას მოგაგონებდათ:

სამწუხაროდ, ჩვენი მოხალისე ნატურალისტები არ გვახლდნენ თან და ამ ხეების ამბავი ვერავის ვკითხეთ. ხეების ძირას ქოხები დავინახეთ. შემდეგ ზღვის მოქცევისაგან ალაფებულ ქვიშნარს გავყევით. ამასობაში მცხოვრებლებს შორს მოეყარათ თავი; ოთხმა კაცმა, მათ შორის ერთმა მოხუცებულმა, კომბალი რომ ეჭირა ხელში, ბალახზე მოირთხეს გვერდი-გვერდ ფეხი და, მგონი, საზეიმო შეხვედრისთვის — სიტყვების სათქმელად, მოსასალმებლად თუ სხვა მსგავსი ცერემონიალისთვის — მოემზადნენ. ყველა ხალხს, ვინც ბაღობის ხანას ჯერ კიდევ არ გამოსცილებია, უყვარს ასეთი ყოყლოჩინობა, ასეთი დეკორაციები და ოჩოფეხებზე შედგომა. ჩვენ კი მხოლოდ, თვალი გადავავლეთ, თავი დაუქნიეთ და სოფლისკენ ნაპირს გავყევით. ვინ იცის, რა ბარბაროსებად და ტუტუტებად მოგვნათლეს! მაგრამ რომ დაინახეს, სოფლისაკენ მივდიოდით, თავიანთი გაბღენძილობა სულ გადაავიწყდათ და ყვირილით, როგორც ჩანს, ლანძღვა-გინებით დაგვედევნენ, ხელებით გვანიშნებდნენ, სოფლებში არ წავსულიყავით; თუმცა ჩვენ იქ ფიქრადაც არ გვქონია შევლა, მხოლოდ მთამდე მივედით. რომელიც ნაპირზე ამართულიყო და გზა გადაეღობა.

ეს კი შევამჩნიეთ, რომ ქოხები თიხით ჰქონდათ შეგლესილი ჰამილტონის კუნძულისგან განსხვავებით: ეტყობა, აქ საბუჟმრო ზამთარი არა სტოდნია; ახლა კი ისე ცხელოდა, სერთუკები გავიხადეთ და ჟილეტის ამარა წავედით. მზე ჩადიოდა, მაგრამ სიცხისგან მაინც სული გვეხუთებოდა. კორეელები უკან მოგვდევდნენ. ბრგე, ზორბა ხალხი ყოფილა, ჰემმარიტი ათლეტები, ტლანქი, მოწითალო-მოშავგვრემანო სახეებით და ხელებით: არც ქცევაში ეტყობოდათ იაპონელების სიაზიზე. სიფაქიზე და შემპარველობა, არც ლიკეელებივით მოწიწება ემჩნეოდათ და არც ჩინელების საზრიანობა გააჩნდათ. სწორედ საჯარისკაცო ხალხი იყო. მათ კი ჩინური სწავლულობის სენი შეყროდათ და ლექსებსა წერდნენ! მ[ამა] ა[ვაკუმმა] ჰა-

ღალღზე ჩინურად დაუწერა, რომ ჩვენ რუსები ვიყავით, ნაპირზე სასეირნოდ გამოვედით და მათსას არაფერს ვახლებთ ხელს. ერთ-ერთმა კორეელმა ნაწერი წაიკითხა და კითხვა დასწერა: „რუსო კაცო, ჩვენ მხარეში რა ქარმა გადმოგადლოთ. რა საქმემ გაგაშლევინათ იალქნები? ხომ კარგად ხართ და სიკეთე არ გაკლიათ? ჩვენ უბრალო, მეორეხარისხოვანი ხალხი ვართ, თქვენ გატყობთ, სულ სხვა, დიდი ადამიანები უნდა იყოთ“. ყველაფერი ეს ლექსად იყო დაწერილი.

მე და ბ[არონი] კ[რიდნერი] წინ წავედით. ამიტომ არ ვიცი. რა უპასუხეს ჩვენებმა. გავჩერდით თუ არა, კორეელებმა მაშინვე წრე შემოგვარტყეს. ჰამილტონის მცხოვრებლებივით დიდი ცნობისმოყვარეობით გაგვისინჯეს ტანსაცმელი, ხელები. თავები, ფეხები და თან ერთმანეთს რაღაცას გაცხარებით ეტუტუნებოდნენ.

ამასობაში ჩვენებმა ბადე ისროლეს და ერთი ქამბალა. ერთი ზღვის ვარსკვლავი და ერთი ტრეპანგი დაიჭირეს. უეცრივ ძლიერი ნორდ-ვესტი ამოიჭრა და ისეთი სუსხი მოიტანა. სიცხე ისე უცბად შესცვალა სიცივემ, რომ სურთუკის ჩაცმა ძლივს მოვასწარი. მთები ნაფლეთ-ნაფლეთა ღრუბლებით შეიბურა, ზღვა აბუყბუყდა, ტალღებმა ყრუ გუგუნი შექნეს.

ჩვენს ირგვლივ ზღვის პირზე ბლომ-ბლომად დაფრინავდნენ უზარმაზარი იხვები, წითელნისკარტა ღაღღები, თოლიები, მტრედები და აუარება პატარა ფრინველები. ხან აქ, ხან იქ იჭექებდა თოფა და საღამოს, ვახშამზე მშვენიერი კერძი მოგვემატა. თუმცა მე რაც შეიძლება ჩქარა მინდოდა ფრეგატზე დაბრუნება. ჩაის მომზადებას ჯერ არც შედგომოდნენ, მზე კი უკვე ჩადიოდა. სერთუკების გარდა სხვა არაფერი გვქონდა წამოღებული, ამასობაში კი ისე აცივდა, კაცი სიამოვნებით გაეხვეოდა ქურქში. მდელივთ ცხენები გამოერეკათ საძოვრად, კვიციები იყვნენ თურმე. ვნახეთ საქონლის ნაკვალევი, ვნახეთ ნაურმალიც. ეტყობა, კორეელები მეოჯახე ხალხი ყოფილა.

მე ნაპირ-ნაპირ გავწიე ორჩხომელისკენ, რომელიც კონცხის გაღმა, თითქმის ზღვაში გასულიყო. ასე რომ, სამი ვერსის გავლა მომიხდა. მალე ბ[არონი] შ[ლიპეზბახი] და გ[ოშევიჩი] შემომიერთდნენ. გ-ის ჩანთაში რაღაც სულიერი ინძრეო-

და: უკვე მოესწრო ნაირ-ნაირი ცხოველების მოგროვება; ხელში ყვაველებისა და ბალახების კონა ეკავა.

ბოლოს ორჩხომელი დავინახეთ და მივუახლოვდით. ის იყო ვერძი ამოეწია და დაძვრას აპირებდა. ფრეგატიდან სულ ცოტა სამიოდე ვერსზე ვიქნებოდით. მთვარე ამოვიდა, მაგრამ ისეთი ნისლი იდგა, ფრეგატი ხან თვალთაგან გვეკარგებოდა, ხან უცბად გამოჩნდებოდა. არა ერთხელ სულ მოგვეფარა თვალისა და მაშინ ვარსკვლავებზე ვიღებდით გეზს, მაგრამ ისინიც მალე გვემალებოდნენ. შიგ ღრუბელში მივცურავდით, რომელიც ელვის სისწრაფით მოსრიალეზდა, მთებს, ნაპირებს, წყალს ეხვეოდა და ბოლოს ცაზე და მთვარეზეც განერთხა. საშინელი ნესტი იდგა. სერთუკები და ქუდები სულ დაგვისველა. ნაპირზე ცეცხლი გამოკრთა, ჩვენ: ჯიუტი ამხანაგები იქ ჩაის სასმელად დარჩნენ.

საათნახევარი მაინც ვილოდეთ, ვიდრე ფრეგატს არ მივალწიეთ. სამაგიეროდ რა სიამოვნებით შემოვუსხედით კაიუტაში ჩაის სუფრას! სწორედ ამ დროს გ[ომქვევიჩის] ერთი უშველებელი გველი შემოუყვანეს დიღის ზეიმით. მახრჩობელების გარდა ამხელა გველი მართლაც არ გვენახა: სიგრძით ორი არშინი იქნებოდა და ტანითაც სქელი იყო. რკინის ყუთში ჩაესვათ და კიდეც ინძრეოდა. იქიდან სპირტიან, დიდ, შუშის ქილაში გადაწყვიტეს მისი გადასმა; ჯერ ვერაფრით ვერ გამოვდინებ, ხოლო რომ გამოვადგეს, ლამის სანანებელი გაუხდათ: უცბად გასრიალდა იატაკზე და ძლივ-ძლივობით მოახერხეს მისი დაქერა. მეზღვაურს ის ბუჩქში ენახა. იმ ბუჩქზე კიდეც ყარყატი და კაჭკაჭი მსხდარან. კაცმა არ იცის, რა მიზნით მოეყარათ ერთად თავი, იქნებ კრილოვის რომელიმე დაუწერელ რგავ-არაკის გათამაშებას აპირებდნენ.

28 აპრილი. დღეს ნისლის წყალობით ვერც გაზომვა მოხერხდა და ვერც ნაპირის დათვალიერება. სამაგიეროდ, კორელების მთელი ჯგრო გვესტუმრა. ჩემი კაიუტიდან ვხედავდი, რა სახეები გაუხდათ, როცა ჩვენმა ორკესტრმა დაუკრა. კაიუტიდან ფორტეპიანოს ხმა რომ გაიგონა, ერთი კორეელი განცვიფრებისგან იატაკზე განერთხო.

1-ი მაისი დან. იაპონიის ზღვა და კორეის ნაპირი.

ჩვენები ყოველდღე გადადიან ნაპირზე ხან სიღრმის გასა-

ზომად, ხან სანადიროდ; მდინარეებსაც მიჰყვებიან აღმა ოცი-
ოდ ვერსზე ქალაქების მოსაძებნად. მე მონაწილეობა არ მიმი-
ღია ამაში: მოგზაურობა წიგნი გახლავთ, სადაც იმ ფურცლებ-
ზე შეჩერდები მხოლოდ, რომლებიც უფრო მეტად მოგწონს,
სხვებს კი ისე გადაავლებ თვალს, ვინძლო ამბები დააკავში-
რო. „რას ამბობთ, ახალი გამოუკვლევია ადგილები ეს ხომ
დიდი ბედნიერება! მალე ასეთ ადგილებს კაცი ვეღარც ნა-
ხავს“, — მეტყვიან ალბათ. მადლობა ღმერთს, რომ ვერ ნა-
ხავს. ეს ბაღლები მართლაც მოსაწყენი ხალხია. თანაც კორე-
ელები არც ისეთი უცხო ხილია ჩვენთვის. ზემოთ მოგახსე-
ნეთ, რომ მორალური მხარე ჩინელებისგან აქვთ ნასესხება;
ხოლო ნივთიერი მხარე ვინ მისცათ — ვერაფერს გეტყვით.
ერთ-ორ სოფელს რომ ნახავ, ერთ-ორ შექუჩულ ხალხს რომ
წააწყლები — მეტის ნახვაც აღარ გჭირდებათ. ყველგან ისეთი-
ვე მიტმასნილი ქოხები, ირგვლივ დახნული ყანები დაგხვდე-
ბათ, ყველას ისეთივე თეთრი განიერი ხალათები აცვიათ, ისე-
თივე მალალაწვიანი სახეები აქვთ, ჯვრის ტუზიანივით გა-
პარტყნილი ცხვირები, წვერის ნაცვლად თითქო ცხენის ძუე-
ბი, ღიად დარჩენილი პირები და ყუყუჩი გამომეტყველება; ყვე-
ლაფერს ლექსად წერენ და ამღერებით კითხულობენ. აბა
დიდხანს რაზე უნდა შეგიჩერდეს თვალი?

სხვა საქმეა, ქალაქებში რომ თავისუფლად შეგეძლოს შეს-
ვლა, სხვა მცხოვრებლების ნახვა, მათი ყოფა-ცხოვრების გაც-
ნობა. მაგრამ იქ არ გვიშვებენ. ზუნებას დიდი თავისებურება
არ გააჩნია. რომელიმე ადგილ-მდებარეობა იმდენად არის სა-
ინტერესო, იტყოდა სწავლული მოგზაური, რამდენადაც ის
ახალია, როგორც ყოველი უცხო ადგილი.

ერთი თავისებურება კი შევამჩნიე კორეელებს. მათ ქვე-
ყანაზე თუ რასმე შეეკითხები, მართალს გეტყვიან, ხალხიან
მოგიყვებიან, რას აკეთებენ, რას საქმობენ. ამ ყურის სახელიც
გვითხრეს, სადაც ჩვენ ვიდექით, მისი ნაპირები, კონცხები.
კუნძულები, სოფლები დაგვისახელეს. იბიც კი თქვეს, რომ
მათი ახლანდელი ხელმწიფე აქაური ყოფილა; აგვისხნეს, რომ
აქედან სამხრეთით, ერთი დღის სავალზე, ერთი დიდი და სა-
ვაჭრო ადგილია, სადაც საქონელი ჩამოაქვთ თურმე გასაყი-
დად ყოველი მხრიდან. ის ადგილი ჩვენ უკვე გამოგვევლო.

„რა საქონელია-თქო?“ ვიკითხეთ. პური, ე. ი. ხორბალი, ბრინჯი, მერე ლითონები, რკინა, ოქრო, ვერცხლი თუ სხვა ნაწარმი გამოდგა.

როცა ვკითხეთ, თუ შეიძლება საქონელი გადასაცვლელად ჩამოვიტანოთ-თქო, ამაზეც დასტურით გვიპასუხეს. ვითომ გვეტყოდნენ ამას იაპონელები, ლიკეელები, ჩინელები? — არაფრის გულისთვის. ეტყობა კორეელებს ჯერ არა უწვინვიათ რა, საგარეო კავშირი არავისთან ჰქონიათ და პოლიტიკის გამომუშავება არ მოუსწრიათ. სჯობია კიდევ, თუ სულაც არ გამოიმუშავებენ. ევროპელების დასაახლოებლად უფრო იოლად, სწრაფად გადაადგამენ ფეხს და უფრო ადვილად შეიცვლიან კანს.

თუმცა ჩვენ მხოლოდ სოფლელებსა და მიწის მუშებს შევხვდით. მაღალ კლასსა და მთავრობას, ცხადია, წარმოდგენა ექნებათ სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებაზე, მაშასადამე, პოლიტიკაზეც: მათ ხომ ჩინელებთან, იაპონელებთან და ლიკეელებთან აქვთ კავშირი. ევროპული ცხოვრების ყაიდაც და დამოკიდებულებაც, რა თქმა უნდა, მათთვის ცნობილი იქნება. მცხოვრებლებმა აქ გვითხრეს, რომ რუსებზე და მათ ქვეყანაზე არასოდეს არაფერი სმენიათ. ჩვენ ეს ამბავი საწყყენად არ მიგვიღია. მათ არც ინგლისელებზე და ფრანგებზე სმენიათ რამე. აბა, ჩვენში, სადმე მიყრუებულ ტრამალში ჰკითხეთ რომელიმე გლეხს, ბევრი თუ იცის ინგლისელებზე, ესპანელებზე ან იტალიელებზე? ხომ არ ურევს ის ყველას გერმანელებში, როგორც კორეელებს ჩინელებისა და იაპონელების გარდა სხვები „ბარბაროსებად“ მოუნათლავთ? თუმცა კორეელებს კი უნდა ჰქონდეთ ჩვენზე წარმოდგენა, სოფლელებზე არ მოგახსენებთ, მთავრობაზე ვამბობ. კორეელები პეკინში დადიან. ჩვენებს, მ[ამა] ა[ვაკუმსა] და გ[ოშკეიჩის] იქ უნახავთ ისინი და მგონი, მათი თხოვნით კიდევ რაღაც გამოუწერიათ მათთვის რუსეთიდან.

აქ ისიც გვითხრეს, რომ კორეის დედაქალაქში რაღაც იაპონელთა სასტუმროსავით ყოფილა, სადაც სამასამდე იაპონელი ცხოვრობს; ისინი თავიანთი საქონლით ვაჭრობენ თურმე. იაპონელებს ვერ უყურებთ? როცა მათ ვკითხეთ, კორეელებთან თუ ვაჭრობთ-თქო, გვითხრეს, რომ თუ ქარიშხალმა

კორეის ნაპირებზე გარიყათ, მაშინდა სარგებლობენ შემთხვევით. კორეელები თავიანთ თავსა თუ ქვეყანას ჩაოსინს თუ ჩაუსინს ეძახიან. კორეა კი ერთ-ერთი მათი ძველი დინასტიის სახელს წარმოადგენს.

მე მგონი, ახლა ყველაზე მოხერხებული დროა მათთან კავშირის დასამყარებლად, როცა მათ ჯერ კიდევ არ გასჯდომიათ სისხლში ევროპელთადმი უნდობლობა, არ ჩაკეტილან და მათ მთავრობას მკაცრი ღონისძიებები არ მიუღია უცხოელებისა და მათთან ვაჭრობის წინააღმდეგ. ხალხს კი გაცვლა-გამოცვლა დიახაც უნდათ. უნდა გენახათ, როგორ ეძგერენ შუშის ჭურჭელს, სპილენძის ღილებს, ფაიფურს — ერთი სიტყვით, რაც კი დაინახეს! ჩვენს მაუდის სერთუქებზე ხომ სულ აცაბაცა წაუვიდათ თვალები; ხელს უსვამდნენ მაუდს, სინჯავდნენ ჩექმებს. ცარიელ ბოთლში სიხარულით გაგიცვლიდნენ თავიანთ უზარმაზარ ლერწმის ქუდებს. ჩვენებიდახ ყველამ გაუცვალა ბოთლები ქუდებში. აგერ, ფადეევმაც კი მომითრია ერთი ასეთი ქუდი და კაიუტაში დამიკიდა, თუმცა ბევრი ვეხვეწე, არ მჭირდება-მეთქი. „ყველა ბატონსა აქვს, მარტო თქვენს! მ[ა]ლაკეთილშობილება! დარჩაო!“ — ჯიუტად დაიჩემა და ქუდი კიდევ დამიკიდა ლურსმანზე. მთელი კედელი იმან დაიჭირა. გაცვლით იშოვეს აგრეთვე აუარება ლერწმისტარიანი სპილენძის ჩიბუხები. გასაცვლელი სხვა ირაფერი გააჩნიათ. სანოვაგე რომ მოვთხოვეთ, ერთი პირობა კი ჩაფიქრდნენ, მერე კი თავისი პუდი მოგვანახლეს და მხოლოდ სამი მამალი მოგვიყვანეს. ხარები, ცხვრები, ღორები არ მოუყვანიათ.

სამი დღის წინათ ჩვენებს ღელეში შეეცურათ და იქ ერთი რომელიღაც უფროსი უნახავთ, რომელიც ცხენით ჩამოსულიყო და დამკვრელებიც მოეყვანა. მას თურმე ჩაით გაუჩასპინძლდნენ, მაუდის ჩუქებაც დაუპირეს, მაგრამ უარი უთქვამს, უფროსების ნებართვის გარეშე ვერ მივიღებ, ჩვენში მკაცრი კანონებია და ამ კანონების მიხედვით საჩუქრების მიღება არ შემძლეო.

სანამ ღუზაზე ვიდექით, ხალხის ერთი ჯგრო მეორეს სცვლიდა. როგორც ბუნების შვილებს სჩვევიათ, ველურობის საკმაოდ დიდი ღოზა რომ უჩქეფთ სისხლში, არ შეიძლება მა-

თაც უცხოელებისადმი შიგა და შიგ მტრობა არ ეგრძნოთ. ასეც მოხდა. სამი დღის უკან კორეელების ბრბომ იმ კლდეზე მოიყარა თავი, რომლის გვერდით ერთი ჩვენიანი სიღრმეს ზომავდა. ჰოდა, ნავს თურმე ქვეები დაუშინეს. მათ ფუჭი ტყვიები ესროლეს, მაგრამ ეტყობა, ცეცხლმსროლელ იარაღზე წარმოდგენა არა ჰქონიათ. გუშინ დილას ამ კლდის მახლობლად მდებარე სოფელში წერილი გაგზავნეს და ახსნა-განმარტება მოითხოვეს. სალამოს პასუხი მივიღეთ, სადაც ბოდიშებს იხდიდნენ, ქვეები ბიჭებმა ისროლეს, რომლებსაც „ქკუა არ მოეკითხებათო“. მაგრამ სტყუოდნენ კი. ეს ბიჭები თოთხმეტი პტკაველის სიმალლე იყვნენ, წვერებითა და კეფაზე კონაღ შეკრული თმებით. მათი ბიჭები ჩვენი გოგოებივით კიკინებით დადიან და თმა შუაზე აქვთ გადაყოფილი.

ის იყო პასუხი წავიკითხეთ, რომ უეცრივ ჩვენი პარტია მობრუნდა, მდინარეზე ათიოდე ვერსზე წასული. ყველანი აღელვებულნი იყვნენ: თურმე დიდ საფრთხეში ჩავარდნილან. ერთ ნაპირზე აუარება ხალხი მოგროვილიყო; ზოგიერთებს ჩვენებისთვის ენიშნებიათ, ნაპირს მოალექითო, და რალაც ქალაღი დაუნახებიათ. როცა ჩვენები მიადგნენ, იმათ ქალაღი არ მიუტიათ, ერთი მამაკაცი მოუყვანიათ, მიწაზე გაუწვევიათ და რალაც ნიჩაბივით ჯოხით დაუწყიათ ცემა. ამის შემდეგ ისიც გაუშოტიათ, ვინც ნიჩაბს ურტყამდა თურმე და ისიც გაუჯოხიათ. ჩვენებს ეს კომედია მეტად სულელურად მოჩვენებიათ და უკან წამოსულან. მაშინ ერთი ნატყეპი კაცი უკან დადევნებიათ, ერთი ჩვენი მეზღვაურისთვის ხელი უტაკია და ბრბოში შეუთრეგია. აქ წეწვა დაუწყიათ, ხან იქით ექაჩებოდნენ თურმე და ხან იქით, მაგრამ ჩვენები მიშველებიან. კორეელები თურმე იმათაც დაესხნენ თავს, მაგრამ ჩვენები ისეთი ღონით, სიმარჯვით და ხანრისხებით სცემიან რამდენიმეს და ისე მოუთელიათ, რომ სხვებს უკან დაუხევიათ. როცა ჩვენები კატერში სხდებოდნენ, კორეელებმა ქვეები, ჯივჭავეები დაუშენიათ და რამდენიმე კაცი ჩვენებიდან კიდევ დაუსისხლიანებიათ. მაშინ ფრინველისთვის გამიზნული საფანტი ესროლეს მათ და ერთი, მგონი, კიდევ დაჭრეს. ამ ამბავს ცოტათი შეუშინებიათ კორეელები, მაგრამ ვიდრე ჩვე-

ნები ნაპირს მოსწყდებოდნენ, ქვის სროლა მაინც არ შეუწყვეტიათ.

მეორე დღეს დილაადრიან ორჩხომელი და კატერები გაგზავნეს შემთხვევის ადგილზე. შიგ შეირაღებული ხალხი ისხდა. სოფლიდან ყველანი გაკრეფილი დაუხვდათ, ცოლ-შვილითა და ქონებით, მარტო ბერიკაცები დარჩენილიყვნენ; სწორედ ისინი იყვნენ საჭირო და მომხდარ ამბავზე სწორედ იმათ მოთხოვეს პასუხი. ბერიკაცებმა თაყვანის ცემით განმარტეს, რომ რამდენიმე არამზადას ხალხი აუჯანყებია, რომ მათ, უფროსებმა, ვერაფრით ვერ დააწყნარეს ისინი, რომ დამნაშავენი ისინი არ არიან და ბრალს ნუ მოჰკითხავენ, „შვილების დანაშაულზე მამები პასუხს ვერ აგებენო“ და ა. შ. ისიც დაუმატეს, რომ დამნაშავენი დაჭრილებია, ერთი თითქო სასიკვდილოდაც, ასე რომ უკვე დაისაჯენო. მათთან რა უნდა გავვეწყო, მაგრამ გადაწყვეტილი კი იყო, პირველსავე ადგილიდან, სადაც გაჩერდებოდით, მათ დედაქალაქში ქალაღი გავვეგზავნა მომხდარი ამბის თაობაზე.

დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე, ღუზა ავხსენით და აი. ახლა ზღვაში ნელ-ნელა ვირწევით. მთვარიანი ღამე დგას. ოღონდაც ისე ცივა, თავი რუსეთში გეგონება.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს დიდი ყურე, ახლა რომ დავტოვეთ და დაწვრილებით ავწერეთ, განსვენებულ ადმირალ ლაზარევის პატივსაცემად მისი სახელით მოვნათლეთ.

5 მაისი. იაპონიის ზღვა; კორეის ნაპირი. ჩვენ მხოლოდ დღეს, აი, ეს არის მხოლოდ შევედით განედის 41⁰-ზე. ისიც უეცრივ ამოჭრილმა ზურგქარმა გავგაქანა წინ. სულ ნაპირნაპირ მივყევით; აღწერა გრძელდება. კორეა 43⁰-ზე თავდება. იქ მანჯურიის ნაპირი იწყება. დღეს ზღვაზე მოყიაღე ნავებიდან ფრეგატზე ისევ კორეელების ჯგრო შემოგვესია. მე არ გავსულვარ, ჩემს კაიუტაში ორმა-სამმა გაბურძენულმა თავმა და მოყვითალო-შავგვრემანმა სახემ შემოიჭყიტა. რა გნისაი და ყრიამული შეექნათ! როცა ჩვენი ოთხასი მეზღვაურიდან ყველანი მუშაობენ, ზემოთ ასეთ ხმაურს მაინც ვერ გაიგონებ. ერთმა პ[ოლიეტს] ვერცხლის კოვზი მოჰპარა და განიერ შარვალში დამალა. კოვზი წაართვეს, ქურდი კი ქოჩრით გაათრიეს კაიუტიდან.

ნასადილევის იმ ნაპირებს გავყურებდი, რომელთაც გვერდით მიეყვებოდით. ფიქალის ფრიალო კლდეები დევებივით აყუდებულან ერთიმეორეზე. ვაი იმ ზღვაოსნებს, ვინაც აქ მიემსხვრევა, ამ ციცაბო, კბოლოვან ადგილას ხსნას ვერსად ჰპოვება. ნაპირს თუნდ მიაღწიოს, გინდ იმაზე ასულა და გინდ სწორ, გასიპულ კედელზე. არსაით მოჩანს საცხოვრებელი, ვერ დაინახავ ტყეს. ფერჩამკვდარი ბალახი აქა-იქ ფარავს მთების დამრეც ფერდებს. ნაპირმა უეცრივ მოუხვია IV-სკენ. და ჩვენც ამ მიხვეულ-მოხვეულებს მივყვებით. მალე მანჯუარიასთან სასაზღვრო მდინარე ტამანი, ტუიმენი თუ ტაი-მენი უნდა გამოჩნდეს.

ორი საათის წინ, შუალამისას, კ[რიდნერმა] უეცრივ დამაძახა, იუტზე წამოდით, ვეშაპის სუნთქვა მოვისმინოთ. „გემსართავეების ჰერიალი მესმის-მეთქი მხოლოდ“, — ვუთხარი მკ. ცოტა ხანს რომ მივყურადე. „მოიცათ, მოიცათ... გესმით?“ — მითხრა მან. „მართლაც არ მესმის: ეს მანილის ბალახის გემსართავეების მუსიკაა...“ მაგრამ ამ დროს უცბად ზედ კიჩოსთან ბოხი, მძიმე, ხანგრძლივი სუნთქვა გაისმა, თითქო გვერდით ორთქლმავალი მოგვეყვებოდა. „არ გაიგონეთ?“ — მითხრა კ[რიდნერმა]. „კი, მაგრამ ნუთუ ეგ ვეშაპია?..“ უცბად იმაზე ძლიერი ქშენა მოგვესმა ახლა ქვემოდან, პირდაპირ ჩვენს ფეხებთან. „არ იცი, რა არის?“ — ვკითხე ჩემს ფავორიტ მესიგნალე ფიოდოროვს, რომელიც გვერდით მედგა. „ეგ ვეშაპია არაა, — მიპასუხა, — წყლის კაცებია: აქ ქვეყნისა ყოფილაო!“ — დააყოლა მერე, აგდებით ჩაიქნია ხელი უფსკრულისკენ, ზურგი შეაქცია და ისე ამოიხვნეშა, ვეშაპს თითქმის არ დაუღო ტოლი.

9 მაისი. როგორც იქნა, სასაზღვრო მდინარე ტამანგაც აღმოვაჩინეთ. იქიდან ექვსიოდე მილზე გავჩერდით. გუშინ ჩვენებმა მთელი დღე იმ მდინარეზე იარეს აღმა-დაღმა, გასაზომად და აღაწერად. ამბობენ, განიერი მდინარეაო, სიგანით ორ ნახევარი ვერსი, მეტად მოხერხებული ზომალდებისთვისო. თქვენ, რა თქმა უნდა, ხარბად წაიკითხავთ შემდეგში მთელი კორეის ნაპირისა და მდინარის დაწვრილებით, სპეციალურ აღწერას, რაზეც აი, ამ წუთში კედლის იქით ჩემი მეზობელი. ამ ადგილების აღწერაში ფრიალ აქტიური მონაწილე პ[ე]შჩუ-

როვი] იღწვის. მე მხოლოდ ზოგადად, ზერელედ გადმოგცემთ. ფარგლითა და სახაზავით შეუმოწმებელს.

დღეს თუ არა ხვალ დავემშვიდობებით ალბათ კორეას, მაგრამ გული არავის გვწყდება. ჩვენებმა უკვე ნახეს მდინარეზე კორეის ნაპირის გაღმა მესაზღვრე ყარაული. აქ იწყება მანჯურია და ამ ადგილებზე ნაპირი ლაპერუზის მიერაა გამოკვლეული.

ვინ იცის კორეის ამბავი? მხოლოდ მარტო ჩინელები ხდიათ მას ნაწილობრივ ყურადღების ღირსად. ე. ი. ყოველწლიურად ხარკს ართმევენ, კიდევ იაპონელები მცირედ ვაჭრობას აწარმოებენ მასთან. მაგრამ ნახეთ ერთი, რას ჰყვება მამა იაკინთო მანჯურიის, მონგოლეთის თუ სხვათა სტატისტიკური აღწერის მეორე ნაწილში ამ მიწაწყალზე, რომელიც მერიდიანით 80-ზე მდებარეობს.

კორეის სახელმწიფო, ანუ ჩაო-სიანი ტროადელების, პირველი ბერძნების ეპოქაში ჩამოყალიბებულა. ამათაც ჰქონიათ თავისი ილიადები, ჰყოლიათ აიაქსები, ჰექტორები, აქილევები. ჰომეროსი ყველა ერს აღმოუჩნდება. მე უკვე გითხარით, რა ტრფიალი სჭირთ კორეელებს ლექსებისა. ანუ გასინჯეთ კორეის ერთ დედოფალს მეზობელი მხარე რომ დაუმორჩილებია, თვითონ დაუწერია ამ შემთხვევის თაობაზე ოდა და ჩინეთის ბოგდისხანის კარზე გაუგზავნია. ბოგდისხანიც, როგორც მ. იაკინთი წერს, ფრიად კმაყოფილი დარჩენილა. ესაა აქაური აგამემნონებისა და ჰექტორების სახელები ჩვენს ლექსებში ვერ ჩაჯდებოდა, თუმცა თუ გნებავთ, სცადეთ, ვეი-მანი. ციცზი, ვეი-უ-ცუი და ა. შ. ილიონისდარ დედაქალაქს ფხინსიანს ეძახდნენ.

მაგრამ ეს სულ კორეის ისტორიის ბნელი ადგილებია; მათი ისტორია ცოტაოდენ ნათელი ხდება ჩვენი წელთაღრიცხვის მეშამე საუკუნიდან. მისი პირველი მკვიდრები მანჯურელების ტომისა ყოფილა, რომელთაც ციმბირელები ტუნგუსებს უწოდებენ. მათ ჩინეთიდან გადმოსახლებულებიც შეერივნენ. ქრისტეს დაბადების შემდეგ ერთ-ერთმა ტუნგუსმა გაომ გაო-ლის სამეფო დააარსა.

მ. იაკინთის თქმით, ევროპელებმა ეს სახელწოდება როგორღაც მოახერხეს კორეად გადაეკეთებინათ. ეს მარ-

თალსა ჰგავს. აღმოსავლეთ ოკეანეში ბევრი კუნძულის მცხოვრებლები, მათ შორის იაპონელები, კანაკელები (სანდვიჩის კუნძულიდან) და ლიკეელები ასო ლ-ს რ-დ სცვლიან. იაპონურსა და ჩინურ მილს ზოგი ლ-ს უწოდებს, ზოგი რ-ს. ნაწილი ლიკეის კუნძულებს ლი უ-კი უდ ნათლავს, ნაწილი რი უ-კი უდ, სხვები კიდევ რ უ-კ უდ. გონოლულუს ბევრნი გონორურუს ეძახიან და ასეც წერენ. პოდა, გაო-ლის კო-რიდ გადაკეთებას ვითომ რა შეუძლიდა ხელს? ამ გადაკეთებაში კი ევროპელებზე მეტად თვით კორეელებს მიუძღვით ბრალი. როცა მე მათი . თანდასწრებით კორეა წარმოვთქვე, მათ ერთხმად გაიმეორეს კორი, კორიო! მ[ამა] ა[ვკაუმის] მეშვეობით კი მაშინვე ამიხსნეს, რომ ეს მათი ძველი სამეფო გვარეულობის სახელი ყოფილა. ამიტომაც ევროპელების მთელი დანაშაული კო-რის კორეად გადაკეთება გახლავთ. მაგრამ ვითომ კი ბევრი დარჩათ ჯადასაკეთებელი?

გაო-ლის სამეფოს დაარსების შემდეგ განგებამ ჩინელების, იაპონელების, მონღოლების სახით ია საბურთაოდ გაიხადა, მაშასადამე, ხან ვის დაუმონა, ხან მოაოხრა და დაანგრა, ხან ძველი დინასტია დაამხო და ახალი დაამკვიდრა. კორეის მეფეებმა რა ნახეს, განგების ძალას ვერ გაუმკლავდებოდნენ, ირჩიეს თავისი ნებით დამორჩილებოდნენ ჩინეთის სახელმწიფოს. ჩინელები ხან თავის ოლქად იხდიან კორეას, ხან სინდისი შეაწუხებთ ხოლმე და კვლავ დამოუკიდებლობას აძლევენ. როცა V საუკუნეში ჩინეთს მონღოლები მოაწყდნენ, კორეელებმა იმათაც მოუდრიკეს ქედი. ხანდახან კორეელები უცებ განაწყენდებიან და ჩინეთის ჩამოცილებას გადაწყვეტენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს ხოლმე: ჩინელები ან ისევ მოარჯულეებენ თვითონ, ან კორეელები თავისი ნებით მიაშურებენ მათ მფარველ კალთას.

ამ მორჩილებისა და ჩინეთის უფროსობის აღიარებისთვის ჩინელებმა მოხარკეები თავიანთი ცოდნით და ნაწილობრივ ენით დააჯილდოვეს, ასე რომ, კორეელები, რაც მნიშვნელოვანი თუ სამეცნიეროა, ჩინურ ენაზე წერენ, რაც უბრალოდ მიაჩნდათ, კორეულზე. ვნახე მათი წიგნებიც: დამწერლობა არც ისეთი გაპრანჭული და რთულია, როგორც ჩინელებს სჩვევიათ. შემდეგ ჩინელებმა თავიანთი მანუფაქტურის საქო-

წელიც უბოძეს და ლექსების წერაც შეასწავლეს. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ჩინელები კიდევ მფარველობდნენ კორეელებს და კიდევ ნებას რთავდნენ მონღოლებსა და ტუნგუსებს. ხარკი აერთავთ მათგან. ბოლოს, XIV საუკუნის მიწურულში. ტახტზე ლის საგვარეულომ მოიკიდა ფეხი. მეფედ ახლაც იმათი გვარი ზის და ჩინეთში გამეფებულ მანჯურელთა დინასტიას ხარკს უხდის ან საბოძვარს უგზავნის.

კორეა რვა ოლქად ანუ, მ. იაკინთის თქმით, გზად იყოფა. მებრალეებით და სახელებს ამიტომ აღარ ჩამოგითვლით; თუ დაგაინტერესათ, კეთილ ინებეთ და განთქმული სინოლოგის წიგნში ჩაიხედეთ. ამ რალაცნაირი ჩიტიის ენის სახელწოდებებით გაპრელებულ სტრიქონებს რომ ვკითხულობ, ჩვენთვის მხოლოდ სახელით ნაცნობ მხარის ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ფილოლოგიური ცნობებით სავსეს, სწავლული მამის ყოვლის დამთრგუნველ ცნობისწადილისა და უზარმაზარი მოთმინების წინაშე მოწიწებით ვხრი თავს და კრძალვით ვპარავ კორეის ირგვლივ შემოთმობსენებულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს — მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გულისთვის. ვინძლო, ეს იკმართ და ამ სახელების ლაბირინთს აღარ გაჰყვეთ: შეგწყვეთ კი ძალა? ვაითუ გუშინდელი ოპერის შთაბეჭდილება პოგიშხამოთ.

18 მაისს თათრის სრუტეში შევედიო. მთელი დღე და ღამე დალოცვილი ზურგქარი მიგვაქროლებდა, მერე შტილმა შეგვაფერხა, მერე N და NO-ს პირქარმა დაჰბერა და მატსმაისის ნაპირიდან სიცივე, წვიმა და ჯანღი გვაფრქვია. ტროპიკებიდან ასე უცბად სად ამოვყავით თავი! აღარ ვიცი, სიცივეს სად დავემალეთ. დაღამდება და ვაი გახდას და დაწოლას. გათენდება და უფრო მეტი ვაი აღგომას.

დრო და დრო ნაპირი გამოჩნდება, რომლის გასწვრივაც მივემართებით ჩრდილოეთისკენ, მერე ისევ ნისლში ეხვევა. ღამდამობით ხანდახან ჭყვირილი გვესმის: ერთნი ამბობენ — სიგები ჭყლოპინობენო, სხვები — სელაპებიო. მართალი უფრო უკანასკნელი უნდა იყოს, თუკი სელაპებს ჭყლოპინი შეუძლიათ. რადგან ისინი ზოგჯერ გუნდ-გუნდად დასრიალებენ ხოლმე დღისით ფრეგატის ირგვლივ, წყლიდან თავს ჰყოფენ და ერთმანეთს დასდევენ, თითქო დაჭერობანას თამაშობენო. თუ

არადა, როგორც მესიგნალე ფილოლოგიც თვლის, წყლის
კაცები უნდა იყვნენ.

გუშინ, 17 მაისს, სადილობისას გვაცნობეს, რაღაც შკუნა
მოჩანსო. განკარგულება გაიცა, ალამი ამართეთ და ზარბაზანი
გაისროლეთო. შკუნამ ჩვენი ალამი ამართა. ვაშა! შკუნა „ვოს-
ტოკი“ მოდის თურმე ჩვენკენ, ევროპის ახალი ამბები და
წერილები მოაქვს... ყველა გამოცოცხლდა. ერთი საათის
შემდეგ გაზეთებს ვკითხულობდით. რაც ევროპაში მარტის
თვეში მომხდარა, ყოველივე შევიტყვეთ. შეიქნა ერთი მსჯე-
ლობა, სჯა-ბაასი, ვარაუდი.

ჩვენმა ხომალდებმა ბრძანება მიიღეს, რუსეთის ნაპირე-
ბისკენ აეღოთ გეზი. ნეტავ რა მოხდება? ჩქარა მაინც მივალ-
წით ჩვენს ნაპირებს. სულ ორას ორმოცდაათი ვერსი დარჩა
იმ ადგილამდე, სადაც გადაწყვეტილი იყო შემდგომ განკარ-
გულებას დავლოდებოდით.

ცივა, ყველაფერი მოწყენით გამოიყურება, როგორც ჩვენ-
ში შემოდგომობით იცის, ყველაფერი მობუზულა, ამ დროს
ხომ ადამიანიც თავის გულში იკეტება, გარე შთაბეჭდილებებს
დიდი ხნით უხურავს გულისკარს, ძალაუნებურად დაღვრემ:
იპყრობს. მაგრამ ასე ზამთრის პირს სჩვევია, აქ კი გაზაფხუ-
ლობითაც ასე სცოდნია. ბუნების გამოღვიძებას და სულის
ჩადგმას არაფერი გაუწყებს, არ გზიბლავს თავის მშვენებით.
ყველას ნაპირი ენატრება, სხვათა შორის მიზეზი ისიც არის.
რომ სანოვაგე საცაა გაგვითავდება. სუფრაზე დამარილებუ-
ლი ხორცი და ბოსტნეული განშირდა. ცხოველთა სამეფოდან
ფრეგატზე ორი-სამი ცხვარი დარჩა, რომელთაც ფეხზე დგომა
აღარ ძალუძთ, ორი-სამი ღორი, რომელთაც ფეხზე დგომა არა
სურთ, კიდევ ხუთი-ექვსი ქათამი, ერთი იხვი და ერთი კატა.
ღროა, ღრო უკვე...

20 მაისი. „ახალი რა არის-მეთქი?“ — ვკითხე ჩემს გასაღ-
ვიძებლად შემოსულ ფადეევს. „ახლა ლუზაზე ვაპირებთ გაჩე-
რებას, — მითხრა, — ნაბრძანებია, ბაგირი ამოიღეთო“. მართ-
ლაც, დაღლილი მოგზაურისთვის ფრიად საამო ხმა გავიგო-
ნე: ტრიუმიდან ამოთრეული ლუზის ბაგირის რაჩხარუჩხი.

მაინცდამაინც ნუ დაენდობით, თუ მეზღვაურისგან სიტყვა
ბ ა გ ი რ ი გაიგონოთ. ბაგირი ისეთი ჯაჭვი გახლავთ, რო-

მელსაც ნახევარი დუქინი სპილო რომ მიუბა, ისინიც ვერ გაწყვეტენ. ის იქერს ას ორმოცდაათ ფუთიან ღუზას, ხოლო როცა „ქერელის ბაგირს“ გიხსენებენ, მაშინ ის მართლაც ბაგირი იქნება.

მშენიერი დილაა, ზღვა ტროპიკებივითა ლურჯად კამკამებს. თბილა, თუმცა ტროპიკების სითბოს არა ჰგავს, მაგრამ თევთიკის პალტოში მაინც შეგიძლია გემბანზე ბოლთის ცემა. აღარ გაიყინები. ნაპირებს მივყვებოდით. ნაშუადღევს ათიოდე მილი გვაკლდა დანიშნულ ადგილამდე; ყველა ზემოთ გამოეფინა. მეც ამოვედი იმის სანახავად, ჩვენს ღროებით თავშესაფარში, ერთ-ერთ ბოლაზში როგორ შევიდოდით. მთავარია შესასვლელი აღმოაჩინო, თორემ ბოლაზში მერე ადვილია შესვლა. გამოთვლილია უკვე და აღარ შევცდებით.

„აგერ იმ კონცხის უკან უნდა იყოს შესასვლელი, — იძახის პაპა, — მხოლოდ უნდა შემოვუაროთ. მარჯვნივ აიღე! მარცხნივ რალას გადასწიე?“ — დაუმატა მან მესაქის მისამართით. ათიოდე წუთის შემდეგ ვილაც ამოვიდა ქვემოდან. „შესასვლელი სადაა?“ — იკითხა მან. „აგერ კონცხის...“ — უნდოდა ეთქვა პაპას, გაიხედა — და... სადღაა კონცხის! „ეს რა სასწაულია! სად გაქრა? ამ წუთში იქ არ იყო“, — გაიძახოდა ის. „მარსოფალები აუშვით!“ — დაიყვირა მევახტემ. დაჰბერა ქარმა. მოიტანა სიცივე, წვიმა, ნისლი, ფრეგატი ძალუმად გადააფერდა და ნაპირები წამში გააქრო. ყველაფერს თეთრი-წყველიანი გადაეფარა. ას საყენზე ვერაფერს დაინახავდი, შკუნაც კი აღარ მოჩანდა, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ქანაობდა ჩვენს გვერდით. სასწრაფოდ უნდა მოვცილებოდით ნაპირს! იმედი გვქონდა, ქარიშხალი ჩადგებოდა და ბოლაზში შევიდოდით. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა: ქარი ჩადგომას არ ფიქრობდა, არც ნისლი აპირებდა გაკრეფას, პირიქით, ზემო იალქნები მთლიანად შებურა.

ასე ჩაიარა საღამომ. ათის ნაცვლად უკვე თექვსმეტ მილზე ვიყავით ნაპირისაგან. „ხვალ, ალბათ, უთენია შევალთ“, — ვამბობდით დაწოლისას. „ახალი რა არის?“ — ვკითხვ დილით გამოღვიძებულმა ფადეევს. „ვასკამ ტოროლა შესანსლა“, — მითხრა მან. „რას ამბობ, სად მოიხელთა?“ — „ბადეში დაიჭირა“. — „მერე ვერ წაართვით?“ — „როსტრში შეძვრა, ველარ

მოვძებნეთ“. — „საწყალი! სხვა რა ამბავია?“ — „სხვა არაფერი“. „როგორ თუ არაფერი: ღუზაზე არ ვდგებით?“ — „სად უნდა დავდგეთ: ვერ ხედავ, რა ამინდია! შიშველებიდან ერლო აღარა ჩანს“.

ისევ მთელი დღე დავეხეტებოდით, სრუტეზე იქნაკლურად დავდიოდით და პოზიციებს ვინარჩუნებდით. ქარი გააფთრებით ქროდა, ტალღები არც ისე დიდი იყო, მაგრამ უსიამოდ კი გვარწევდა და მოულოდნელად გვიბიძგებდა ხოლმე გვერდებზე. მეორე დღეს საღამოს ზემოთ ავედი; ვხედავ, ყველანი იუტზე შეყრილან. „რა მოხდა-მეთქი?“ — ვიკითხე. „შევდივართო“, — მითხრეს. მართლაც, ერთ სარკესავით ლაპლაპა ბასეინის განიერ კარში შევდიოდით. გარშემო ციცაბო, თითქო ჩამოჩხილი ნაპირები ეხვია და ფიჭვების, არყის, სოკების, ბალახფიჭვების თვალგაუტანი წვრილიანი შრიალებდა ზედ. საკმევლის მაგარი სურნელი შეგვეფრქვია ყველას. გავიარეთ დიდი ყურე და მარცხნივ და მარჯვნივ ორი სხვა ბოლაზი დავინახეთ, რომელიც გრძელი ენებივით შექრილიყვნენ ნაპირებზე. დიდი ყურე კი თავისით გრძელდებოდა კიდევ ორიოდ მიღზე. წყალი არ ირხეოდა, ცა გალურსულიყო, ზღვაში კი, კონცხების მიღმა ქარი მძვინვარებდა. პატარა ბოლაზში, თითქმის ზედ ნაპირთან უკვე ჩვენი ხომალდი, „თავადი მენშიკოვი“ იდგა, მოსვლა დაესწრო ჩვენთვის! ნაპირზე უკვე კარვები გაეშალათ, სადაც ათიოდე კაცი ტრიალებდა ამავე ხომალდიდან. ძაღლები დარბოდნენ. ღუზა ჩვენც ჩაუშვით.

ნეტავ ეს რა მხარეა: სადა ვართ? არც მე ვიცი და არც სხვებმა იციან, მგონი: აქ ვინ იქნებოდა, ამ მიყრუებულსა და უდაბურ ადგილზე ვინ მოვიდოდა?

ცხოვრობს კი ვინმე აქ? ან რა ხალხია? ხალხები მრავლადაა, ოღონდ კი არ ცხოვრობენ.

აქაური ხალხები, რომლებსაც ჩვენი მეზღვაურები უკვე გამოელაპარაკნენ, თუმცა არ ვიცი რა ენაზე, მსოფლიოს ყველა ხალხს ყველაფერს აგებინებენ ხოლმე თავისებურად. საკუთარ თავს ო რ ო ჩ ა ნ ე ბ ს, მ ა ნ გ უ ს, კ ე კ ე ლ ე ბ ს უწოდებენ. ეს ტომებია თუ საგვარეულო სახელები? ვერც ამას გეტყვით. ჩვენები უმეტესობას საერთო სახელით, ტუნგუსებად ნათლავენ. ისინი აქ არ ცხოვრობენ, ერთი ადგი-

ლიდან მეორეზე დაეხეტებიან, თევზის საჭერად ზღვისპირზე ჩამოდიან. ამბობენ, მათ მალე დათვები მოჰყვებიან, ამავე საქმისთვისო. ჯერჯერობით ჩვენც ამას მივყავით ხელი: ქვეყნის თევზია, ქამბალა, ღორჯო, კალმახი, ლლაბუტა. მალე პერიოდული თევზი დაიძრება აქეთკენ, უფხოთა ჯიშიდან, ქაშაყი თუ სხვა. ახლა ჩვენთან თევზის მეტი სუფრაზე სხვა არაფერი შემოაქვთ. ცხენების მაგივრად ნაპირზე ოცდაათიოდე გაძვალტყავებული ძალლი დაბორიალობს, მაგრამ ტყეს რომ შესედავ, რწმუნდები, ვერც ძალლით, ვერც ცხენით და ვერც ფეხით ვერ გახვალ იქ. მე ერთი პირობა ვცადე და ხან ჭაობში ჩავეფლე, ხან კუნძებზე და ტოტებზე მოვიტეხე კისერი.

მაშ რა ნაპირია მაინც? რა ბოლაზია? — მკითხავთ თქვენ. რა და მანჯურის მიყრუებული ნაპირი გაჭიმულა, მაშასადამე, ჩინელებს რომ ეკუთვნის.

ივნიისი. — არა, ეტყობა, ნაპირი მწყენს. ტყეში გავივლი თუ არა. დაღლილობას და სიმძიმეს ვგრძნობ; გუშინ ტყეში დამეძინა, მიწაზე გაგებულ ბრეზენტზე და შემაცივა. ნაპირს თურმე სულ გადაეჩვეულვარ. ფრეგატზე, ზღვაში, თავს უკეთ ვგრძნობ. ჩემს კაიუტაში მშვენივრად ვარ მოწყობილი: მივეჩვიე ჩემს კუთხეს, სადაც მოტრიალება გაუჭირდება კაცს; ან ლოგინზე უნდა დაწვე, ან სკამზე დაჯდე, ან ნაბიჯი გადადგა კარისკენ და გარეთ ხარ უკვე. მივეჩვიე, წინ რომ ბიზან-ანძა მქონდეს, გემსართავეები ჭრიალებდეს, ქიმიდან კი ზღვა მოჩანდეს.

დავეხეტები ამ ტყეში, მაგრამ ყოვლად უთავებოლო ტყეა, სად ესა და სად ტროპიკული. იქ ან ტევრს ვერ გაარღვევ, ან თუ გაარღვიე და გახვედი, თვალი ვერ გაგიძლება ხეების სილამაზის, მათ ნაირ-ნაირ დაჯგუფებათა და მოყვანილობის ცქერით; აქ ყველგან შეგიძლია გაიკვლიო გზა, მაგრამ რა, ხეები სულ ერთნაირად დგანან და სანთლებივით ამართულან; სულ სოჭი, ბალახფიჭვა და ნაძვია; ნაძვი, ბალახფიჭვა და სოჭია, ხანდახან თუ გამოერევა არყის ხე; საითაც არ გაიხედავ, ყველგან ეს მესერი აგეყუდება; თვალი ვერ წვდება ამ უკიდევანო, ჭმუნვით მოცულ ტყეს. აქ ხეები ერთმანეთს უშლიან გაზრდას, მაგრამ ხეირი ამით არც ერთს დაჰყრია.

ტროპიკებში თუ ერთმა ხემ სხვები დაჩაგრა, სამაგიეროდ თვითონ გაიფურჩქნება და გაიშლება დიდებულად!

ჩვენ ასე თუ ისე დაეუახლოვდით მოხეტიალე მანგუელებს, ოროჩელებს, ანუ ციმბირელთა თქმით, ტუნგუსებს. ერთი ტუნგუსი შემოგვეჩვია, სახელად აფონკა, და მისი ამხანაგი ივანი — ჩვენები ასე ეძახდნენ მათ. აფონკას მოურიგდნენ, ცხენ-ირმები ანუ ციმბირულად დომბები მოეკლა და ხორცი ჩვენთვის მოეტანა. უკვე სამი მოკლა კიდეც: ოცდახუთი ფუთი ხორცი გამოვიდა მთლიანად. ცხენ-ირმის ხორცი საქონლისაზე მეტად მეგემრიელა. აფონკა დათვებზეც ნადირობს. ამას წინათ ერთ ჩვენთანს ვაპყვა ტყეში სანადიროდ. „გასამრჯელოდ რა მოგცე, აფონკა?“ — უკითხავს იმას, — ფული გინდა?“ — „არა“, — იყო პასუხი. „მაშ მუშაშობა, ტილო?“ — „არა“. „აბა რა გინდა?“ — „ერთი ბოთლი არაყიო“.

იციტ კი, რით ნადირობს ეს ჩვენი აფონკა მხეცებზე? შენაშნული მაქვს, ვინც სათევზაოდ წითელ ხიატარიან ბრჭყვიალა ფოლადის ანკესებით მიდის, ხოლო სანადიროდ ინგლისსა და საფრანგეთიდან გამოწერილი თოფები მიაქვს, ის მუდამ ხელცარიელი ბრუნდება ხოლმე. აფონკა ცხენირმებსა და დათვებს კაჟიანი თოფით ხოცავს, რომელიც მგონი, სულაც მისი ხელითაა გაკეთებული, ან არადა დიდი ხნის წინათ ვეშაპმკერებს გაუცვალა რაღაცაში და რომელიც წარამარა იშლება, ასე რომ, ყოველ ნადირობის შემდეგ ჩვენი მკედლების საცოდვილო ხდება. ამ რამდენიმე დღის წინ ორლულიანი მშვენიერი თოფი მისცეს საფანტით. მაგრამ ტყეში წავიდა თუ არა, მაშინვე მობრუნდა. „რა მოხდა?“ — ჰკითხეს. „ეს თოფი აღარ მინდა, — თქვა, — არ მეხერხება აქედან სროლაო“. დამპირდა, დათვის ტყავებს მოგიტან „ერთ ბოთლ არაყშიო“.

გილიაკების ტომზე ჰყვებიან, რომ ისინი აქ ზამთრობით, 30°-ს ყინვაში, ფიჩხების ძირას ცხოვრობენ თურმე, ქალებიც თავიანთი ძუძუმწოვარა შვილებით აქ ათენებენ ღამეს, თუ ძალიან შესცივდათ, მაშინ კოცონებს გააჩაობენ, ხე-ტყე, სულო და გულო იმდენია. მათი საჭმელი გორბუშა თევზი და ღანძილია.

მაგრამ ისინი ცოტანი არიან, ამიტომ სიცოცხლე არ იგრძნობა აქ და ყველგან უდაბურება სუფევს. ფრეგატს იშვიათად

ჩაუვლიან გვერდს ბაიდარკებით ნახევრადველური აქაური მკვიდრნი, ისიც დიდი შიშით. მარტო აფონკა მოდის დაური-
დებლად ჩვენთან. ტყეებსა და მდინარეებზე სანადირო ხე-
ტიალისას ის ხან ჩინეთის საზღვრებს აღწევს, ხან ჩვენსას, ასე
რომ, ცოტ-ცოტა ყველას ენა იცის და, რა თქმა უნდა, ყვე-
ლას ერთმანეთში ურევს, სხვათა შორის ველურების კილოკა-
ვებსაც. მუდამ ცდილობს სტუმრობისთვის ის დრო შეარჩიოს,
როცა ხომალდის შემადგენლობას ღვინოს ურიგებენ. ჰოდა,
მასაც რომ მიაწვდიან, გადაყლურწავს, მადლობასაც არ გადა-
იხდის, კრინტსაც არ დასძრავს, მოტრიალდება და წავა.

ერთხელ ტევრში ძლივ-ძლივობით შევალწიე და დავინახე,
რომ ერთი სქელი მორის ბოლოებზე აქეთ-იქით ორი კაცი
გადამჯდარიყო. ეს მორი ჩვენი ხომალდებზე რალაცის შესა-
კეთებლად დასკირებოდათ. ერთი მალალი, ლამაზი, მშვიდი და
აუღელვებელი სახის კაცი იყო. ის ჩვენი მეზღვაური გამოდგა-
მეორეს, ტანმორჩილსა და შევგერემანს, თმა დათვის ზალნის
ფერისა და სიხშირის ჰქონდა, სახეც ბრტყელი და გამომეტყ-
ველებაც. ყოველად უდრეკი გულგრილობის გამომხატველი.
ის იქაური მკვიდრი გახლდათ. ჩვენსას დაეპატიჟა მორის გათ-
ლაზე, ისიც მეორე ბოლოზე დასკუპულიყო, მორი რომ არ
განძრეოდათ, და ჩიბუხს აბოლებდა. ნაფოტები და ნატეხები
პირდაპირ თავპირზე უცვიოდა: როცა ნაფოტები თვალებში
ჩაეყრებოდა, აუჩქარებლად, ნელა და მშვიდად აახამხამებდა
თვალებს, თავს კი შაინც არ მიაბრუნებდა და არც დათვივით
ბალანში ჩაცვენილ ნატეხების ამოღებაზე იწუხებდა თავს.
რუსი ღონივრად იქნევდა ნაჯახს და ხეში კარგა ღრმად
არკობდა. ყოველ მოქნევაზე მკერდში რალაც დაუბუბუნებდა
ხოლმე. რომ დაამთავრა, ნაჯახი ახლა ტუნგუსს გადასცა. მან
კი ჩიბუხი მისცა. რუსმა გააბოლა და ბოლოს შემოაჯდა,
ტუნგუსი კი ჩეხვას მიჰყვა. ნაფოტები და ნატეხები ახლა კაზა-
კისკენ გაფრიალდნენ და თვალებში ჩაუცვივდნენ; ისიც თა-
ვის მხრივ, თვალების ხამხამს მოჰყვა.

ნეტავ რა სამოგზაუროა ეს მკმუნვარე ადგილები! ან რა
კლიმატი სცოდნია აქ! ზაფხული თითქმის არ დგება: დილით
არც ცივა, მაგრამ არც თბილა, საღამოობით კი ძალიან
აცივდება ხოლმე. ნისლმა ლამის საკუთარი ცხვირიც დაგიმა-

ლოს. გუშინ ზარბაზნების ბათქი შექნეს, დოლები ააბრაახუნეს, რა არის ჩვენი ნავეებისთვის, რომელშიც ოფიცრები ისხდნენ, ფრეგატის ადგილ-მდებარეობა ემცნოთ, ქარი მეტწილად მძაფრი და ცივი ქრის, თითქმის არასოდეს ცხრება, შუა ივლისი კი დგას!

მაგრამ მოგზაურობაც დასასრულს უახლოვდება. ვგრძნობ, რომ შორეული მგზავრობისგან განკურნება მჭირია, წამლად კი მხოლოდ ხმელეთი მეგულება. კიდევ ცოტაოდენა ხანი, ერთი-ორი კვირა და მე სამშობლოს მიწა-წყალზე დავადგამ ფეხს. Dahin! dahin! ¹ მაგრამ თქვენ მაინც მალე ვერ გიხილავთ. მთელი ციმბირი უნდა გადმოვლახო, გზა ფართო, უხიფათო, მოხერხებული მიდევს წინ, ოღონდ დიდი და ხანგრძლივი! თანაც ციმბირი სტუმართმოყვარე, ციმბირი შესანიშნავი გახლავთ. განა გაგიძლებს გული საკურიერო ეტლებით ისე გადალახო, თვალი დახუქო და ყური დაიცო? ვგრძნობ, რომ იქიდანაც არა ერთხელ მომიწევს წერილების მოწერა თქვენთვის.

უცნაურად კია ადამიანი შექმნილი: ნაპირი გენატრება, მაგრამ ფრეგატის დატოვებაც გულსა გწყვეტს. რომ იცოდეთ, რა მოხდენილი, რა კეთილშობილი ხომალდი გახლავთ ის, რა ხალხი შეყრილა ზედ, აღარ გაგიკვირდებათ, თუ რაოდენი გულისტკივილით ვტოვებ „პალადას“!

¹ მანდეთ! მანდეთ! (გერმ.)

VII

ღაბრუნება ციმბირის გზით

ოსოტის ზღვა. — ვეშაპშეკერი. — პეტროვსკის საზამთრო სადგომი. — აიანის კლდეები და რეიდი. — სამგზაერო სამზადისი. — ცხენით მგზავრობა. — ჯუჯუჯურზე ასვლა. — მთები და ქაობები. — ნელკანი და მდინარე მაია. — იაკუტები და რუსი ახალმოშენენი. — კვლავ ცხენით მგზავრობა. — ტყეები და ქაობები. — იურტები. — ურშები.

1854 წლის აგვისტო.

შკუნა „ვოსტოკის“ ისაროვით წვრილი, წერწყტა რანგოუტი ამურის ციციბო, მაგრამ მწვანე ნაპირებს შუა ლუზაზე ირწევა, ჩვენ კი სანაპირო ქვიშაზე დავსწირნობთ, წნელით ზედ რალაცეებს ვხატავთ, ზანტად ვუქვერეტთ შკუნას და გულხელდაკრეფილები ვუცდით, როდის გვეტყვიან, წასვლის დროა, რათა ჩვენს მიერ განვლილ ამ უზარმაზარ გზაზე ეს უკანასკნელი ნაბიჯიც გადავდგათ; ციმბირის ნაპირებზე პირველ სადგურ აიანამდე ხუთასიოდე ვერსილა გვიკლია.

როგორც იქნა, 12 აგვისტოს, მოგზაურთა გუნდი აღმოსავლეთ ციმბირის ვენერალ-გუბერნატორის მეთაურობით ნაპირზე გადმოვვლით. სტუმრები ათიოდე კაცი ვიქნებოდით, მსახურებიც ამდენივე, შკუნის ოჯიკრები და მეზღვაურები ოცდაათზე მეტი. ახლა ბარგიბარხანას არ იკითხავთ!

თუ რომ ის ტვირთი, რაც ხომალდზეა, ერთ თავისუფალ ადგილზე გამოაწყო. წინდაუხედავი კაცი უთუოდ სანაძლეოს ჩამოვა, ეს ყველაფერი იქ არაფრით არ დაეტევაო, და წააგებს კიდეც.

ჰოდა, როცა ჩვენ ყველანი შკუნაზე გადავედით, ბარგი-ბარხანა აქა-იქ ჩავჩურთეთ, როცა ჩვენს-ჩვენს კუთხეებში წავედ-წამოვედით, განსაკუთრებით დასაძინებლად რომ დავ-წექით, იცით, კიდეც რამდენი დაეტეოდა თავისი ბარგით! ჩემოდნის ამბავიც ხომ ასეა: არაფრით არ გჯერა, რაც წასაღებად ამოლაგებული გაქვს, ყველაფერი ჩაეტიოს, მაგრამ მერე კი აგერ ერთს, მეორეს და მესამესაც ჩაატენი.

რა თქმა უნდა, ამ დროს ისე ველარ მოიქცევი და იმ ჩვეულებრივ წესს ველარ მისდევ, როგორც თავისუფლების ხანს, სამაგიეროდ სხვა, ახალი წესრიგი დაგიფუძნდება. კაპიტნის კაიუტაში, მაგალითად, გაშლილად, — როგორც რიგიანი ხალხია მიჩვეული — სულ სამი კაცი თავსდებოდა, ხოლო თუ შევიწროვდებოდით, დიდი-დიდი ხუთი. ამ კაიუტაში კი ახლა თერთმეტი კაცი ვუსხედით ხოლმე სუფრას, ხოლო ოფიცრების კაიუტაში — ექვსი. თურმე მარტო საგნებს არ სჩვევიათ ელასტიურობა!

ერდოდან ერთ გრძელ, განიერ ფიცარს შემოიტანდნენ. ერთ თავს დივანზე დადებდნენ, მეორეს რაღაცას შეუდგამდნენ და ჩვენი მაგიდაც ეს იყო. დივანზე თუ სამი კაცის ადგილი იყო, ხუთი ჩაეჭეჭებოდა. ერთ ხელს რომ ქამისთვის იხმარდი, მეორე უკან უნდა შემოგელო უქმად. დანარჩენი ექვსი კაცი სუფრის მეორე მხარეზე ჩარიგდებოდა. ერთი ვინმეც მორცხვად აიტუზებოდა კარებთან. მსახურებს კარში მხოლოდ ცხვირის შემოყოფა და კერძის მოწოდება შეეძლოთ. ძილითაც ვის მაგიდაზე, ვის სკამებზე, ვის მერხებზე გვეძინა.

ამუროს ჯერ მთლიანად გამოუყვლვევი, რუკაზე „გადაუტანელი“ შესართავი, უამრავი მარჩხობებითაა სავსე. ისინი რომ ნიადაგ უცვლელი იყოს, მაშინვე შეიწავლიდნენ. მაგრამ მარჩხობებს მღინარის დინება წარმოშობს და ამიტომ ყოველ წელიწადს იცვლებიან. ამ წყლების აღიღება თუ დაკლება ჯერჯერობით ზღვაოსნებს თავიანთ კონტროლის ქვეშ არ მოუქცევიან, ჰოდა, ჩვენც ხშირად მეჩეჩზე ვიჩხირებოდით, რომელიმე კონცხთან თუ კლდესთან. კიდეც ბედი, ლიმანში მღელვარებაზე არ მოგვისწრო, თუმცა ერთხელ მაინც კარგა ლაზათიანად გვახათქუნა ქვიშაზე. ამ დროს ვახშამს ვუჯექით. ჩვენი იმპროვიზირებული სუფრა და ჩვენ ისე გვაბტუნავა. ერთმანეთს გაჯ-

ვირვებული. შევეცეცებოდით. ერთხელ მეჩეჩზე გაჩხირულ შკუნისთვის იძულებული გახდნენ ორივე გვერდზე ბიჯგები შეეყენებინათ, მთლად მხართეძოზე, რომ არ გაწოლილიყო.

მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ლიმანს გამოვადწიეთ, აზიის კონტინენტსა და სახალინის კუნძულს შორის მშვიდობიანად გავძვერით, ოხოტის ზღვაში გამოვედით და ღუზა ქეიშიან ისარაზე, ჩვენს ერთ პატარა ახალშენთან, პეტროვსკის სადგომთან ჩავაგდეთ.

1849 წელს ლაპერუზის მიერ გადაუწყვეტელი ამოცანა პირველად სამხედრო ტრანსპორტმა „ბაიკალმა“ გადაწყვიტა. მისი გაგზავნილი ნავეები ოხოტის ზღვიდან ამურის ლიმანში გავიდნენ და დაამტკიცეს, რომ სახალინი კონტინენტთან არ იყო დაკავშირებული, როგორც წინათ ეგონათ.

აქამდე ეს ამბავი მარტო გილიაკებმა, ოროჩანებმა, მანგუალებმა და სხვა მოხეტიალე ტომებმა იცოდნენ, მაგრამ დიდ მნიშვნელოვნად არ თვლიდნენ და ამიტომ სდუმდნენ. ახლაც კი ფრიალ უკვირთ, ასე რომ აცივლებიან, შესართავი სად უფრო ღრმია და სად თავთხელიო.

ამ სრუტის აღმოჩენის შემდეგ აზიასა და სახალინს შუა ჩვენი რეისი რიგით მესამე მოდიოდა. ამ შკუნამ ერთხელ უკვე იმოგზაურა ამურიდან აიანამდე და ახლა მეორედ მიდიოდა. ამ შემთხვევის აღსანიშნავად, როგორც კი სრუტე გავიარეთ, კაიუტაში ყოვლად უდროოდ დროს დიდის ამბით შემოიტანეს ფიცარი, სუფრის მაგიერობას რომ გვიწევდა, მინიშნულ ადგილზე დადვეს, თერთმეტი კაცის მაგივრად ჩვიდმეტი მოვეუსხედით, ხელდახელ საუზმე გავმართეთ და რამდენიმე ბაქალი შამპანურიც ვყლურწეთ.

ისე მენატრებოდა მოგზაურობა ბოლოს და ბოლოს დამესრულებინა, რომ ჩვენებს ნაპირზე აღარ გავყევი პეტროვსკის სადგომში, მოუთმენლად ველოდი, როდის დაბრუნდებიან და ოხოტის ზღვას როდის გავადწივით, ნაპირზე ფეხს მყარად დავაბიჯებ და შინ ამოვყოფ-მეთქი თავს.

მაგრამ დაგვბერა ძლიერმა ქარმა, ნაპირთან კავშირი გავწყვეტინა და ჩვენები ერთი დღე და ღამე აყურყუტა ნაპირზე. ბოლოს ისევ გზა გავაგრძელეთ. გზაში, თავის შესაქცევად, მოვინდომეთ ომში მონაწილეობის მიღება და ფრანგული

ან ინგლისური ხომალდის დაკავება. ერთხელ საკმაოდ დიდი ხომალდი დავლანდეთ. განკარგულება გაიცა, იქით დაეძრათ შკუნა. ამასობაში ჩვენი პატარა ექვსი ზარბაზანი დატენეს, სააბორდაჟო იარაღი მოამზადეს და გაბედულებით შეიარაღებულებმა, ზურგზე ხელებდაწყობილებმა, უცხო ხომალდს დაუწყვეთ ცქერა, რა არის აღკაზმვით გამოგვეცნო, ვისი უნდა ყოფილიყო. ალამი ამართული არ ჰქონდა. ბარონ [ქრიდნერს] საჭიროდ ეცნო, თვითონაც შეიარაღებულიყო. გემბანზე ორი დატენილი დამბაჩით გამოგვეცხადა, მაგრამ გულმავიწყობით პირით ჯიბეში ჩაედო. ამ გულმავიწყობის წყალობით ვერც ის შეამჩნია, როგორ ამოვუძვრინე იაინი ჯიბიდან და მის კამერდინერს, აფანასის მივეცი, თავის ადგილზე შეენახა ისევ. ამასობაში ხომალდზე ამერიკული ალამი აიშართა. ჩვენ მაინც არ დაუუჯერეთ, გაგონილი გვექონდა, ინგლისელებს რომ ლელო გაჰქონდათ სხვადასხვა ზღვებში სხვების აღმების ქვეშ. შკიბერს გამოვუძახეთ და საბუთები მოვთხოვეთ. შკიპერიც გამოცხადდა, ერთი სასმისი ღვინო შესვა და გვითხრა. რომ ვეშაპმჭერი იყო. ამ ტიპის ხომალდები ოხოტის ზღვაში დიდძალ მოგებას პოულობენ და ხანდახან ორასამდე თუ მეტიც შემოღის იქ.

მტერზე გამარჯვების იმედი რომ გავვიცრუვდა¹, ისევ აიანისკენ განვაგრძეთ გზა. მოღრუბლული ამინდი იდგა, მაგრამ თბილოდა, ღელვაც ცოტა იყო, სწორედ ჩვენ რომ გვეჭირდებოდა, ისეთი. ნ. ნ. მ[ურავიოვის] სადილები შესანიშნავი გახლდათ, საზოგადოებაც რჩეული და მხიარული, ღვინოც ჩინებული, თუმცა მე ის ნაკლებ მედარდებოდა, სიგარები მანლისეული, და ყველა მშვენიერ გუნებაზე იყო.

ჩვენი თავაზიანი შკუნა თავს არ ზოგავდა, რომ ჩვენი მოუთმენელი ნატვრა შეესრულებინა. მუყაითად სწევდა მუქთად ნაშოვნ, სახალინზე ჩვენი მეზღვაურების ხელით მოგროვილ ქვანახშირს, იალქნებითაც შემოსილიყო და საათში თოთხმეტი ვერსის სიჩქარით მიექანებოდა. პორიზონტიც

¹ სწორედ ამ დროს, კერძოდ 16 აგვისტოს, როგორც თავის დროზე შევიტყვეთ, განსაცვიფრებელი გპირობა ჩაიღინეს ჩვენებმა. ერთმა მუჭა რუსებმა ზღვის იქით მხარეს, კამჩატკაზე მრავალრიცხოვანი მტრის ჯარი მოიგერიეს.

აღარ გვეჩვენებოდა ისე შორი და უსაზღვრო, როგორც სხვა და სხვა ოკეანეებში, თუმცა მიწის ამობურცული ზედაპირი აქაც მალავდა შორეთს და წყლისა და ცის გარდა ირგვლივ ვერაფერს ხედავდა თვალი. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი მაშულის მინდვრები და სახლები გველანდებოდა, ზღვის ნოტიო ჰაერს რომ ვყლაპავდით, მისი სუნთქვა გვეგონა. როგორც იქნა, მეოთხე დღეს ცისკიდურზე სახლებისა და მინდვრების ნაცვლად რაღაც რუხ, მიუკარებელ მრისხანე კედელს მოვკარით თვალი. ის უზარმაზარი კლდეები გამოდგა.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით, მით უფრო საზარელი, უფრო ციცაბო და მიუკარებელი ჩანდა იგი. ადამიანის საცხოვრებლის ჰაკანება არსად იყო; ან რა აბოგინებდა აქ ადამიანს? ამ კლდეებზე, მგონი, თოლიებსაც კი თავზარს სცემდა დაფრენა. უდაბური, ტიტველი ადგილი, მაღალი კლდეები, რომელთა სიმაღლე კაცს ძრწოლას მოგვრიდა, ქარის სისინ-ზუზუნნი — აი, რას წარმოადგენდა აქაურობა. ძველად აქ დიანხაც დამშვენდებოდა ყაჩაღთა კოშკი, თუ რომ ვინმე გასაძარცვავეი ჰყოლებოდათ, ახლა კი ბატარეები დაიდგმებოდა მართო. „ის ალბათ წავის სორო იქნებო!“ — თქვა ვილაცამ და კლდეში მრგვალ, სწორედ გამოქრილ ხვრელზე მიგვითითა, წყლის სიმაღლეზე რომ მოუდიოდა პირი.

ახალი ნაპირისა და ყოველი ახალი ადგილის საერთო ხედზე დაკვირვება, თვალის მიჩვევა, წვრილმანთა შესწავლა მოგზაურის პრივილეგია გახლავთ, მისი შრომის საზღაური და თან ისეთი ნეტარება, რომელსაც უდიდესი ოსტატის სურათის ჰვრეტაც კი არ აგრძნობინებს კაცს. დააკვირდით ერთი მოგზაურებს, როცა ისინი ნელა უახლოვდებიან ახალ ადგილს; ცისკიდურზე ჯერ მხოლოდ ლურჯად მოჩანს ნაპირის ხაზი, ყველას კი უკვე ზევით მოუყრია თავი. გულგრილს, კუდში მაჩანჩალას, ზარმაცს, ნამძინარევს ვერავის დაინახავ. ისინი გაქვავებულივით დამდგარან, მუნჯივით წართმევიათ ენა და თუ ვინმემ რაღაც იკითხა, გაუბედავად, ჩურჩულით წარმოთქვამს, პასუხს კი თითქმის ვერასდროს მიიღებს. მათი სახე ჯერ დაძაბულ ყურადღებას, თვალეები კითხვის ნიშანს გამოხატავს, მერე ფიქრების, ცოცხალ შთაბეჭდილებათა მთელი ფურცელი გადაეშლებათ სახეზე, დაკმაყოფილებული თუ და-

უკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა. ჩემი ამხანაგების შემჩნევლად ამ ალიაქოთში მოგზაურობის უფლებით ვსარგებლობდი და თან ახალი ნაპირის ცქერით ვტკბებოდი და თან ჩემს შთაბეჭდილებებს თანამგზავრთა გამომეტყველებით ვამოწმებდი. „აიანი სადღაა?“ — კითხულობენ ბოლოს სულწასულები და უსიცოცხლო კლდეებს თვალს სწყევტენ, რომლის შესწავლას არცთუ დიდი ხანი სჭირია.

რა გინდ ტურფა, რა გინდ საინტერესო არ უნდა იყოს ნაპირი, მოგზაურის თვალი მხოლოდ მაშინ გაბრწყინდება: სიხარულით, როცა კი სიცოცხლეს დაინახავს იქ. ამასობაში შექუნამ სვლას უკლო და პირდაპირ კლდეებისკენ მიიწევედა. აგერ, ორი კლდე უეცრივ განზე გადაგა და თვალწინ ჯერ რეიდზე ჩამწყრივებული სავაქრო ხომალდები და მერე ნაპირზე გრძელი ფიცრული შენობა გადაგვეშალა წითელა სახურავით.

სახურავი ყველაზე მეტად უჩქროლებს გულს მოგზაურს, მით უმეტეს თუ წითელია: ეს მთელი პოემა გახლავთ, რომლის შინაარს — დასვენება, ოჯახი, კერია, ერთი სიტყვით ყველა საოჯახო სიკეთე წარმოადგენს. ვინ არ ყოფილა თავის დროზე ყარიბ ულისად და შორით მოსულს თვალით ითაკა არ უძებნია? „ეგ პაკპაუზიაო“, — ცივი წყალი გადაგვასხავილაცამ, თითქო მოგზაურთა ხეაშიადს ჩასწვდაო, და იმ სახურავზე მიგვითითა, რომელმაც ყველას ეგზომ აგვიჩქროლა გული.

ხეობა თანდათან განივრდებოდა. ბოლოს ჩვენ წინ ორ წყებად ამართული, არყებითა და ფიქვებით შემოსილ მალალ მთებს შუა მდებარე ვიწრო ხევი გადაიშალა. რიგ-რიგობით გამოჩნდა უწესრიგოდ მიმოფანტული ორიოდ ფრიად უბრალო სახლი, ერთმანეთისათვის ოჩოჯუხა ქოხივით რომ მიუქცევიათ ზურგი; მათ უკან მორცხვად ამართულიყო ტაძრის მწვანე გუმბათი და ზედ ოქროს ჯვარი. ზედ ნაპირთან, ქვიშაზე ბატარეა იდგა, მარცხნივ ვერფი მოჩანდა, ჯერ ჩვილ მდგომარეობაში, ახალი ხომალდის ჩონჩხით, შემდეგ კარვების მთელი ბანაკი, ორი-სამი იურტა და მათ შუა ალაგ-ალაგ ქაობი ადგილები. აი, მთელი აიანის სურათიც.

ის არც ქალაქი, არც სოფელი. და არც დაბა არ გეგონოთ, მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული კომპანიის ფაქტორიას წარმოადგენს. ოხოტის ნავსადგურის შესაცვლელად დაარსებულა აქ ამ ათიოდე წლის უკან, რადგან ის ნავსადგური ყოველად მოუხერხებელი გახლავთ ზღვისა და ხმელეთის გზით მისადგომად. ნავსადგურს ზღვის მხრივ აიანზე გაცილებით გაშლილი მდებარეობა აქვს, ოღონდ ხმელეთის გზა იაკუტსკამდე აუარება დაბრკოლებას შეიცავს, თუნდაც ეგრეთ წოდებული შვიდი მთაგრეხილი ავილოთ, რომელიც სტანოვოის მთაგრეხილის განშტოებებს წარმოადგენს და სადაც გასვლა მეტად საძნელაა. კამჩატკისა და კურილიის მთავარეპისკოპოსის, მის უსამღვდელესობა ინოკენტისა და კამჩატკის ყოფილი გუბერნატორის ბ. ზავოიკას მეშვეობით იქნა მოძებნილი ახლანდელი გზა ოხოტის ზღვისკენ და საფუძველი ჩაეყარა აიანის ნავსადგურს.

ეს ნავსადგური მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდანაა გახსნილი და ჩრდილოეთის ქარი საკმაოდ დიდ მღელვარებას წარმოშობს შიგ. ამერიკულ კომპანიას აქ უცხო საქონელთა საწყობები გაუხსნია, საქონელი ხომალდებს ჩამოაქვთ, უცხოელთა ხომალდებს კი ხე-ტყით, ღუზებით, საზღვაო რუკებით, ორცხოზილებით, ტილოთი თუ სხვ. ამარაგებს.

თუ რომ აქ ვაჭრობა გაიშალა და ოდესმე დიდი გასაქანი მიიღო, ალბათ ბრეკვატერი ანუ ჯებირიც აიგება და რეიდს ჩრდილოეთის ქარებიდან დაიცავს. ჯერჯერობით კი ეს რუსეთის ერთი მიგდებული პატარა კუთხე გახლავთ, პეტერბურგიდან ათი ათას ხუთას ვერსზე დაშორებული, ორასიოდე მცხოვრებით, რომლებსაც, ნავსადგურის უფროსის კანტორაში რამდენიმე მომსახურისა და მათი ოჯახების გამოკლებით, პატარა მოხელენი, აქ სამსახურში გამოწვეული კაზაკები და ბოლოს იაკუტები შეადგენენ. კომპანიის მოხელეები სახლებში ცხოვრობენ, კაზაკები — კარვებში, იაკუტები კი — იურტებში. კაზაკები აქ სამხედრო სამსახურს ეწევიან. იაკუტებია სამოქალაქოს. პირველები ყარაულად დგანან და წესიერებას იცავენ. ერთი პოლიცემისტერადაც კია. იაკუტებს მგზავრები გადაჰყავთ და ტვირთი გადააქვთ, ზაფხულში ცხენებით, ზამთარში კი ძაღლებით. იაკუტები ყველანი ბინადარ ყოფა-ცხოვ-

რებას ეწევიან და ქრისტიანები არიან, ყველას სუფთად და კლიმატის შესაფერისად, გვარიანდაც აცვია. ქალები და კაცები ზაფხულობით ფრიზის კაპოტებს ატარებენ, ზამთარში — ირმისა თუ სელაპის გადმობრუნებულ ტყავს. სამუშაო გამუდმებით აქვთ რუსების წყალობით, მაშასადამე, სასმელ-საჭმელიც არ აკლიათ. თან ტკბილადაც ეპყრობიან; რაც ჩემი თვალითა ვნახე.

„ღუზა ჩაუშვით!“ — მოგვესმა უკანასკნელად ეს სიტყვები. გული კიდეც სიხარულით შეგვიქანდა, რომ მყარ მიწაზე დავდგამდით ფეხს და მეტს აღარც დავცილდებოდით, და კიდეც გვეტკინა, რომ ზღვას დავემშვიდობებით და აწ აღარ დავუბრუნდებოდით.

მორჩა, მოთავდა ზღვაში სრბოლანი, მაშ, შეგობრებო, დაუშვით აფრა!

ალბათ შევძახებდით მეტისმეტი სიხარულისაგან, რომ მართლაც ამით დასრულებულიყო სრბოლა. მაგრამ ვაი რომ ათი ათასი ვერსი მიკლია კიდეც იმ წითელ სახურავამდე, როცა შემეძლება ვთქვა: შინა ვარ-მეთქი! რა უზარმაზარია ეს ჩვენი ითაკა და რა გზა უდევს ჩვენს ულიაებს წინ, ვიდრე თავიანთ პენელოპებს მიაღწევენ! რას არ შეეყრები, რას არ განიცდი ამ ათი ათას ვერსის მანძილზე! შეგზვდება თოვლის მთელი ოკეანეები, ქაობები, მშრალი უფსკრულები და ქორომები, საკუთარი ორმოცგრადუსიანი ტროპიკები, მარადმწვანე ფიჭვნა, ყოველი ჯურის ველურები, ყოველი ჯურის მხეცები, მოყოლებული შავი და თეთრი დათვებით და გათავებული ბალღინჯოებითა და რწყილებით, თოვლის გრიგალები, რწევის მაგივრად ჯანჯლარი, ზღვის მოწყენის ნაცვლად ხმელეთის დარდი, ყოველნაირი კლიმატი, წლის ყოველნაირი დრო, ვითარცა დედამიწის გარშემო მოგზაურობის ექაშს...

ყოველ ამ ხიფათსა და განააცდელს ვითომ მშვიდობით, უვნებლად გადურჩება კაცი? ამიტომაც ასე ჩაფიქრებით, ჭოჭმანით გავყურებდით ნაპირს და სტუმართმოყვარე შკუნის დატოვებას არა ვჩქარობდით. ღმერთმა იცის, რამდენ ხანს ვისხდებოდით კიდეც იქ, იმ ლამაზი კლდეების პირდაპირ, რომ ჩვენთვის არ გამოეცხადებინათ: „ბატონებო! შკუნა ხვალ კამჩატკაზე მიემართება, ამიტომ დღესვე ინებეთ აქედან გადაბრძა-

ნებაო“, თუმცა სად, არავის უთქვამს. ეჭვი არაა, ნაპირი იგუ-
ლისხმებოდა.

მაგრამ აიანი ჯერ უსუსური ყმაწვილი გახლავთ და სასტუმ-
რო ჯერ არ მოუწყვიათ შიგ. ამიტომ მგზავრები, ნაპირს რომ
მოივლიან, და რაც სკირღებათ, იყილიან, ჩვეულებრივ დასაძი-
ნებლად ხომალდს მოაშურებენ ხოლმე. ჰოდა, ეს სიტყვები რომ
მოვისმინე, შეცბუნებულმა ბ[არონ] კ[რიდნერს] შევხედე, ის
აფანასის მიაშტერდა, აფანასი ტიმოფეის, ორთავემ თავად
ო[ბოლენსკის] მიაპყრეს თვალი, იმან ტ[ინხმენევს], ტინხმენევი
მეტლე ივან გრიგორიევს შეაცქერდა თავის მხრივ. ივანი თა-
ვად ო[ბოლენსკის] ჩამოჰყვა ფრეგატ „დიანაზე“, რომელსაც
ამერიკის ირგვლივ შემოევლო.

ჩვენმა მსახურებმა ბრძანება რა მოისმინეს, მთელი ბარგი-
ბარხანა გეშანზე გამოათრიეს და იქ გაჩერდნენ. ბარგში ჩემს
ქოლგას მოვკარი თვალი, რომელიც ინგლისში მქონდა ნაყიდი
და კაიუტის რომელიღაც კუთხეში იყო მიგდებულნი. „ეგ რა-
ლად წამოიღე?“ — ვკითხე ტიმოფეის. „დატოვება მეაფაუ-
საო“, — მითხრა მან. „ზღვაში გადააგდე, ყოველგვარ ხარახუ-
რას რა გვათრევიანებს?“ მაგრამ ტიმოფეი ქოლგას გადაე-
ფოფრა და განმიცხადა, რომ არაფრის დიდებით არ გადააგ-
დებდა ამ მშვენიერ საქონელს და სიხარულით მოატარებდა
ციმბირს. ასეც მოიქცა.

მერე მოგვართვეს ნავები, ჩვენი მსახურებიანად და ბარგი-
ბარხანიანად სანაპირო ქვიშაზე გადაგვსხეს და პირწმინდა
რობინზონებივით დაგვყარეს იქ. მერე რა რომ ციმბირი კუნ-
ძული არაა და ქალაქები და ცივილიზაცია გააჩნია? იქამდე
ორი, სამი თუ ხუთი ათასი ვერსი იქნება მაინც! გავყურებდით
ხან შუენას, ხან შენობებს ნაპირზე და არ ვიცოდით, ღამე სად
გავვეთია. ამასობაში ერთი ვიღაც შტაბ-ოფიცერი მოგვიან-
ლოვდა, სახელები გამოგვკითხა, თავისივე გვითხრა და ვახშამ-
ზე მიგვიწვია სახლში, ხოლო მეორე დღეს სადილადაც დაგვ-
პატიყა. ის ნავსადგურის უფროსი აღმოჩნდა.

ბ[არონ] კ[რიდნერს] სული ჩაედგა და სახე გადაებადრა.
„არა, მოგზაურებს მართლაც სწყალობს ბედით! — ფრანგუ-
ლად წამოიძახა მან. — ბევრჯერ მივუწვევებვართ სადილზე თუ
ვახშამზე, მაგრამ ორივეზე ერთად კი არასდროს. ამ უდაბურ

ნაპირზე, ამ ველურებში კი სადილზე და ვახშამზე ერთად მიმიპატიუესო!“

მაგრამ სადილი და ვახშამი თავშესაფარს როდი ნიშნავდა. სალამო ახლოვდებოდა და მალეც დადამდებოდა. შენობებს ჩავუარეთ და შიგ შევიჭკრიტეთ. ერთში დუქანი იყო, მაგრამ დაკეტილი დაგვხვდა. აქ ჯერჯერობით ვაჭრობის ის წესი შემორჩენილა, როცა მუშტარს რამე უნდა, ვაჭარს მოსძებნის. დუქანს გააღებინებს, რაც უნდა გადააზომინებს თუ მოაჭრე-ვინებს და მერე ვაჭარი ისევ გამოკეტავს დუქანს. მეორე შენობაში ვილაც ბინადარი ყოფილა. ლოგინიც იდგა, საოჯახო ნივთებიც იყო, ტარაკანებიც არ აკლდა, ოღონდ ღუმელები ვერსად დავინახეთ. მესამე, მეოთხე შენობა ხალხით დაგვხვდა გაქედლილი, ნაწილი ამ დაბის მცხოვრებნი იყვნენ, ნაწილი ჩვენი უფრო მარჯვე ამხანაგები.

მაგრამ ასე თუ ისე, მე მაინც აღმომაჩნდა ბინა, თუმცა ვისთან ვიმყოფები — თვითონაც არ ვატი ჯერ; ლოგინი ფიცრებზე მაქვს გაგებული, ჩემი ბარგი მიწყობილ-მილაგებულია. ზედა სამოსი დაკიდებული, მე კი მაგიდას ვუზივარ და წერილებს გწერთ მოსკოვში თუ ვოლგაზე.

— ქეშმარიტად ბედი სწყალობს მოგზაურებს-მეთქი! — ვიტყვი მეც ბ[არონ] კ[რიდნერციით]. აღვიღებ განთავრუ-ულდა, გენერალ-გუბერნატორის ზოგი მოზელე უკვე გზას გაუღდა. ჰოდა, ერთმა მათგანმა, მოზელეებსა თუ კაცთა შორის ყველაზე თავაზიანმა და გულითადმა მ. ს. ვ[ოლკონსკიმ] მე და კიდევ ერთი ჩემი ამხანაგი სასწრაფოდ დაგვაბინავა თავის ოთახში. მართალია, იქვე, გვერდით, ტიხარს იქით, მიცვალე-ბული ესვენა და საღამოდან მოყოლებული დავითნის კითხვა მესმოდა, მაგრამ ამ ამბავმა როდი დამიმალა მე თავად მკვდარივით მძინებოდა.

გზის გაგრძელებას სამი დღის შემდეგ ვაპირებდით, ამიტომ ყოვლად უზრუნველად ეპყრობოდით ყველაფერს. ყველა ულისი სამ პარტიად გაგვანაწილეს, რომ ცხენების მხრივ გზაში დაბრკოლება არ შეგვხვედროდა. ერთი პარტია უკვე გაემგზავრა, მეორე ერთი დღის შემდეგ აპირებდა წასვლას. დავრჩით ჩვენ სამნი: თავადი ო[ბოლენაკი], ტ[იხმენევი] და მე, თან ჩვენი ოთხი მსახური. თავადს შეეტლე ივან გრიგორევი,

გონიერი, ენაწულიანი კაცი ახლდა, რომელსაც უკვე დასტყობოდა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის ბეჭედი და კიდევ ყპაწვილი ბიჭი ვანიუშკა, ყოველგვარი ბეჭდის გარეშე სახეზე, რომელსაც ცხენზე შეხტომას, უმიზნოდ ქენებასა და მოფარებულში, განსაკუთრებით თავანზე ჩიბუხის გაბოლებას არაფერი ერჩივნა. ტ[იხმენევეს] ვიტული მოჰყვებოდა, ფრეგატის მებღვაური, მე კი მზარეული ტიმოფეი.

მესამე პარტია რომ გაემგზავრა, მაშასადამე მეოთხე დღეს, მაშინდა გაემართეთ ჩვენ მსჯელობა, რითი გვემგზავრა, რა წაგველო თან და ა. შ. წასვლა მეექვსე დღეს გვქონდა გადაწყვეტილი, როცა ცხენები დაბრუნდებოდნენ და დაისვენებდნენ. ზამთარში აქ ძაღლებით, ეგრეთ წოდებულ ნარტებით მგზავრობენ, რომლებიც გრძელ, დაბალ ციგებს წარმოადგენენ და თითო-თითო კაცი ზის შიგ. ზაფხულობით ცხენებით მოგიხდება ორასი ვერსის გავლა, ბარგიც ცხენებზეა აკიდებული. შემდეგ, მდინარე მაიაზე და ალდანზე ნაევებით დაეშვები უქვსასიოდე ვერსზე, შემდეგ ას ოთხმოც ვერსს ისევ ცხენებით გაივლი ჭაობებში, იაკუტსკამდე დარჩენილ ორას ორმოცდაათ ვერსზე კი ურმებით იმგზავრებ.

როცა ჯერ კიდევ ტროპიკებში ვიყავით და ხანდახან თავში გაგვიეღვებდა, რომ შინ შეიძლება ციმბირის გზით მოგვხდებოდა დაბრუნება, ციმბირში ნამყოფი ჩვენი თანამგზავრები გვეუბნებოდნენ, ბარგი აიანში დატოვეთ და მხოლოდ აუცილებელი წაიღეთ თან. აქ კი გვირჩევენ, არაფერი არ დატოვოთ, ყველაფერი, გინდაც წიგნები, შეგიძლიათ ბარგის ცხენებს აკიდოთ და ისე წაიღოთ.

ისიც კი მითხრეს, თუ რომ ცხენით მგზავრობას არ ვისურვებდი, (მართლაც არ მსურდა), შეიძლება საქანით (შემოკლებული საქანელა) გავმგზავრებულიყავ, რომელიც ორ ცხენს მიჰყავს, ერთი წინაა შებმული, მეორე კი — უკან. „ეს ძალზე მოხერხებულია. კითხვაც, შეგიძლიათ შიგ და ძილიცო“. ამას რა აჯობებდა? გახარებულმა მაშინვე ვთხოვე ჩემთვის საქანი გაეკეთებინათ. ერთი კაზაკი შემპირდა, მე და მან პაკჰაუშში ტყავი და ჩითი ვიყიდეთ და ისიც შეუდგა მუშაობას.

„რას ბრძანებთ! — შემაშინეს მერე ნავსადგურის უფროსის სუფრაზე, სადაც თხუთმეტიოდე კაცმა მოვიყარეთ თა-

ვი, — საქანით მარტო ბებრუცუნებსა და მანდილოსნებს დაატარებენ“. არ ვიცი, რა განსხვავებას ჰპოვებდა ჩემი მოსაუბრე მანდილოსანს და ბებრუცუნებს შორის. „ბერიკაცს თუ შეუძლია დაჯდეს?“ — ვკითხე მე. „შეუძლიაო“, — მითხრეს. „ჰოდა, მაშ მეც საქანით გავემგზავრები-მეთქი“.

„ღმერთმა დაგიფაროთ! — შემომძახა ერთმა გამოცდილმა კაცმა, — გაჩენის დღეს დაიწყევლით! ათჯერ მაინც ვყოფილვარ იმ გზაზე და ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ. ნახევარ ვერსს არ გაივლით, რომ მიატოვებთ. ვთქვათ, ფონი გაქვთ გასასვლელი: წინა ცხენი წელამდე წყალში შევიდა, უკანა კი ჯერ ბექობიდან არ ჩამოსულა, ან პირიქით. წინა ცხენი ხიდზე შეხტა, უკანა კი ფეხს ითრევს: თქვენ რა დღეში ჩავარდებით ამ დროს? თანაც გზად ხან ხეობები, ხან ტყეები, ხან ბილიკები გექნებათ გასავლელი, იქ კი საქანი ვერ გაივლის. ჯვარზე ეცემებით!“

„არაა მართალი, — შეესიტყვა ერთი მანდილოსანი (ისიც გამოცდილი გახლდათ. გამოუცდელს იქ ვერავის ნახავთ), — საქანით მიმგზავრია და ძალიანაც მომეწონა. თუ გინდა დაწვეები, თუ გინდა დაჯდები. გზაში ქაოვასაც კი ვახერხებდი. ცხენზე კი დაიტანჯებით ჭაობების გავლის დროს; იაკუტური უნაგირები საზიზღრობა გახლავთ...“

„უნაგირი აქ იყიდეთ, ამერიკულ კომპანიაში, ჩერკეზული იშოვება. რბილიცაა და განიერიც...“ — „არა, არა, საქანით გამემგზავრეთ...“ — „ცხენით სჯობს. მალღობას მეტყვეთ მერე...“ — „მაგათ ყური არ დაუგდოთ...“ — „საქანით ჯუჯუჯურზე ვერ ახვალთ...“

„ეს ჯუჯუჯური რაღაა?“ — ვკითხე ამდენი გაფრთხილებებით სახტად დარჩენილმა და სათითაოდ გადავხედე ყველას.

„ჯუჯუჯური არ იცით, რა არის?“ — შემემკითხნენ უცებ ყველანი, — წარმოგიდგენიათ, ჯუჯუჯური არ ცოდნია!..“

„ჯუჯუჯური, — დაიწყო ერთმა სწავლულ-პედანტური კილოთი, — ტუნგუსურად „დიდ ამონაზნექს ნიშნავს“... — „მაშ ფიქრობთ, რომ ამ ამონაზნექზე საქანით...“ — „ვერ ახვალთ.“ — „ცხენი კი...“ — „ვერ აგიყვანთ!“ — ერთხმად მიპასუხა ყველამ. „მაშ როგორ მოვიქცე?“ — „ფეხით აღით, მით უმეტეს თუ გამყოლად იაკუტები გეყოლათ, უკნიდან ხელს

მოგაშველებენ“. — „იმათ ვილა მოეშველებათ?“ — „ისინა მიჩვეულები არიან“. „უბრძანეთ, ნალებით დაგჭედონ,“ — მირჩია ვილაცამ. მოღუშულმა გადავხედე მოსაუბრეს, რამ აიძულა ასეთი შეურაცხყოფა მოეყენებინა-მეთქი. „იაკუტებს ეგეთი ნალები აქვთ ადამიანებისთვის“, — დაუმატა ამ ჩემმა ვითომ შეურაცხმყოფელმა. „ნალები რა საჭიროა? ახლა ხომ ზამთარი არაა“. „იქ ღორღი ჰყრია, ფეხი არ დაცურდება“, — დასძინა მეორემ. „მამ მეტად ციცაბო მთა ყოფილა?“ — ვიკითხე. „ღიახ, ისეთი ციცაბოა, ცოტა კიდევ მეტიც რომ იყოს, ვერც საქანით, ვერც ცხენით და ვერც ფეხით კაციშვილი ვერ ავიდოდა ზედ,“ — წარმოთქვა ერთმა.

განა იმიტომ ვერ გავბედე სუფრა მთაზე ასვლა, ან საერთოდ ყველა მთას გვერდი ავუარე და უტურფესი სურათებით თვალი ვერ დავიტკბე, რომ ამ ტუნგუსურ მონბლანზე ავმძვრალიყავ — ისიც ჩემი სურვილის უნებურად!

„ნუ გეშინიათ, მანდ ასვლაზე იოლი არაფერია, — დამანუგეშა ერთმა ყველაზე გამოცდილმა მოსაუბრემ, — ერთი რვაჯერ მაინც ვიქნები ასული და ჩამოსული მაგ მთაზე, — ისეთი არაფერია. აი, მხოლოდ შარშანწინ რომ ჩამოვდიოდი, როცა ყინული მოლიბული იყო, მაშინ კი... იცით, მწვერვალი მართლაც კუზივით აქვს ამოწეული, პირდაპირ ვერ გადაჭრი, ზიგზაგებით უნდა მოუარო. ჯერ სითბომ დაიჭირა, მერე ისევ ცოტა მოყინა. მაგრამ ისე კი, თოვლი მარტო ზემოდან შეეკრა, ისიც სადაც ამოხნეჭილიყო. იაკუტმა ერთი პირობა დაჭედვა დამიპირა, მაგრამ სითბოს ფაშარი გაეხადა, შეიძლება ჩავვარდნილიყავ შიგ და ამიტომ უნალოდ წავედი. ყველაზე ამოკუზული, ძნელი ადგილი ორმოცდაათ საუენამდე იქნებოდა გაჭიმული; შემდეგ უკვე ქვიანი ადგილი იწყებოდა და თოვლი აღარ იდო. წინ მე წავედი, ათიოდე საუენის მოშორებით ამხანაგი მომყვებოდა. ქუსლით თოვლის ფენას მსუბუქად უნდა დაწოლოდა, თორემ ჩაიფლობოდა. ნელ-ნელა ვიარე და მშვიდობით ავედი, ხუთიოდე საუენი დამრჩენოდა მარტო, უცებ ქუსლი რაღაც დაბრკოლებას წააწყდა. ფეხის დაჭერა ვერ მოვასწარი, რომ დავცურდი და... („ვაი“, შევყვირე მე უნებლიეთ) პირდაპირ ამხანაგს მივაწყდი: ორივემ უფსკრულის პირას ამოვყავით თავი. ამხანაგს თავზარი დაეცა.

მე ძალა მოვიკრიბე და მუშტი თოვლში ვაძგერე, მკლავი მხრებამდე ჩავიდა შიგ. ამან შემიკავა და დავეკიდე. იაკუტებმა გამომიხსნეს მახისგან“.

ნუგეშიც ამას მიქვია!

„მეც კინალამ დავიღუპე ამ სამიოდე წლის წინათ იქ,—თქვა მასპინძელმა, — ჩემი სიბრიყვით კი მომივიდა. მე და მსახური წავედით, ორ ნარტში ჩვენ ვისხედით, მესამეზე სანოვავე გვეწყო. ზედ მთასთან მოგვისწრო ქარიშხალმა. მწვერვალიდან ისე გამძვინვარებით უბერავდა, შუა მთაზე ერთმანეთს მივეკარით, აღარ ვიციოდით, როგორ გავვეგრძელებინა ასვლა, ცოტაოდენ მიყუჩდა თუ არა, იაკუტმა ხელი მტაცა და კუზზე ამათრია, შუამდე რომ მიმიყვანა, ნაჯახი გაღმომიგდო და ჩემი მსახურის ამოაყვანად გამოტრიალდა. ხოხვით წავედი ზემოთ, უცბად ქარმა დამქროლა... მიწას მთელი ძალით მივეკარ, მაგრამ ვგრძნობ, ღონე არ მყოფნის, ქვევითეკნ მითრევს, წუთივ და... რის ვაივავლახით ჩავარქე ნაჯახი თოვლში და დავეკიდე; ქარმა გადამიარა. შვევით ამოვისუნთქე და მარჯვედ გავცოცდი ზევითეკნ. კიდევ ერთი საუენი და უკვე მწვერვალზე მოვექცეოდი. მაგრამ უფრო ძლიერად მეძგერა ისევ ქარი პირდაპირ შუბლში და ჩვენი ნარტები იაკუტებიანად და ირმებიანად ქვევით გააქანა. თვალევი დავბუქე, თითქმის გონდაკარგული დავაწექი ნაჯახს და მთას გავეკარი. მეჩვენებოდა, თითქო ჩემს ირგვლივ მგლები და დათვები დაძრწოდნენ, ამ ადგილს ისინი ბლომად სჩვევია. უცბად ვილაც ჩამათრინდა უქნიდან. „დათვია-მეთქი!“ ვიფიქრე და სახე თოვლში ჩავყავი. თურმე იაკუტი ივანი მოსულყო ჩემს ასაყენებლად. „შემებრალეო“, — მითხრა. მე სული მოვითქვი. „სხვებს უშველეთქო!“ — ვუთხარი, მწვერვალზე თვითონ ავხოხდი და დაუძლურებული დავეგდე პირველსავე ბუჩქებთან. სცვივე არც მიგრძენია. ერთი საათის შემდეგ ნარტებიც ამოვიდნენ. მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა“.

„ნეტავ „სიბრიყვედ“ რა მიაჩნია-მეთქი?“ — ვიფიქრე გულში.

აქვე მიაბნეს, რომ ზამთარში მთიდან კი არ ჩამოდიან ფეხითა თუ ცხენით, უბრალოდ მოხოხავენო. გამოხსნილი ირმები თავისით ჩამორბიან ქვემოთ, ნარტებს კი გრძელ ფიჭვს გა-

მოაბამენ ტოტებიანად და ხალხითა და ტვირთით ქვევით და-
აცურებენ. მარხილში ჩაწოლილი, კიდეებს ხელ-ფეხით ჩაფ-
რენილი მგზავრი ერთი ორჯერ გადაყირავდება — და სხვა
არაფერი. თოვლიან მთიდან ასეთი დაშვება განსაკუთრებით
კამჩატკაზეა მიღებული. სამსახურის თაობაზე იქ ნამყოფმა
კაცმა მიაგმო, რომ ერთი ასეთ ციცაბო მთის მიახლოებისას,
საიდანაც ძაღლებმაც კი ვერ გაბედეს დაშვება, ტუნგუსმა
რიგ-რიგად გამოსხნა ძაღლები და კლდიდან ძირს ჩამოაგდო.
როცა რიგი იმ ნარტზეც მიდგა, სადაც მგზავრი იწვა, მას
თურმე თავზარი დასცემია.

„გაჩერდი, გაჩერდი! რას სჩადი?“ — ყვიროდა სასოწარკ-
ვეთილი მგზავრი თურმე თავისი დახურული ნარტის სარკმ-
ლიდან. მაგრამ იაკუტს რაღაც ჩაუბუტბუტებია თავის ენაზე
და ნარტისთვის ხელი უკრია. ვიდრე მგზავრი გონს მოვიდოდა,
უკვე ჰაერში გადადიოდა ყირას და ბოლოს ფაშარ თოვლში
მოაღინა ზღართან. მერე თვითონ ტუნგუსიც ჩამოებერტყა,
თოვლში ჩაფლული ძაღლები ამოათრია, ნარტებში შეაბა და
გზა გააგრძელა.

ზოგიერთ ადგილებში ნარტები თურმე ლავგარდანების
შგავს ყინულის კიდეებზე გალიან. ქვევით ზღვა მოჩანს. ასე
რომ, ნარტების ცალ მხარეს კავები ხანდახან ჰაერში მისრია-
ლებენო... ფუჰ, მოსასმენადაც კი საშინელია!

ამასობაში ჩვენ ცხესების მოლოდინში აიანში დავსვირ-
ნობდით, კარტს ვთამაშობდით, კიდეც ვცეკვავდით. მე ჩემი
საქანის სანახავადაც წავედი. ის პატარა ჩარდახიან ნავს წარ-
მოადგენს. კ-ზაკი ფარღულში დამხვდა, პირი ლურსმნებით
გამოეტენა, იქიდან თითო-თითოდ იღებდა და მუყაითად
აკრავდა საქანს ჩითს და ტყავს. „ხურჯინები თუ გაქვთო?“ —
გვკითხეს ჩვენ. „რა არის-მეთქი?“ — „ხურჯინები არ იციო?“
„რაღაც საშინელებას მეტყვიან ისევ!“ — ვიფიქრე. თურმე კი
უბრალოდ ტყავის ორ ჩანთას წარმოადგენს, რომელსაც ცხენს
აქეთ-იქით გადაკიდებენ, შიგ საჭმელსა და ისეთ რამეებს აწყობ-
ბენ, რაც გზაში შეიძლება დაგჭირდეს. — „ყუთები თუ
გაქვთ?“ — გვკითხეს მერე. „არა, ვითომ საჭიროა?“ — „აბა,
ბარგს რითი წაიღებთ? ჩემოდნები და ტომრები არ ჩაგყვებათ:
ცხენები ხან ხეს მიახეთქებენ, ხან ჰაობში ჩაეფლობიან და ა. შ.

თითო ყუთში ორ ფუთ ნახევრამდის ჩააწყვეთ და ცხენს აჰკიდეთ. ჩემოდანი გადაადგეთ“. — „რატომ უნდა გადაადგოთ? ყველაფერი წაიღეთ!“ — შემნიშნა გამოცდილმა კაცმა. „ქოლგის წაღება თუ შეიძლება?“ — იკითხა ტიმოფეიმ, თუმცა ლამის თვალებით შეევჩამე. „ქოლგაც წაიღეთ“, — იყო პასუხი.

„სარების ყიდვა არ დაგავიწყდეთო!“ — „ეს რაღა?“ — „სარი იაკუტური წაღებია, ცხენის ტყავისა; შიგ ჯერ თივას ჩააფენთ და მერე ფეხს ჩადებთ, რომ წყალმა არ შეატანოს, თორემ იქაურ ლაფებსა და ტალახებში ვერც ფეხით გახვალთ და ვერც ცხენით. ჩემთან შემოიარეთ და მე გაშოვნინებთ“.

ჩემმა თავაზიანმა მასპინძელმა მ. ს. [ვოლკონსკიმ] თავის სახლში წამიყვანა. ალექსანდრა მომიყვანეთო, უთხრა მსახურს. მალე ახალგაზრდა იაკუტი ქალიც გვეახლა, იაკუტებში ის ალბათ ლამაზად ჩაითვლებოდა, მიტყლაპული ცხვირი ჰქონდა, წვრილი თაფლისფერი თვალები და განიერი დაწვებიცი ყირმიზად უღუოდა. „გამარჯობაო...“ — და ჩემმა მასპინძელმა რაღაც ჩაულაპარაკა იაკუტურად. „რას ნიშნავს-მეთქი?“ — „მშვენიერ ქალსო“. — „სარები გაქვს?“ — „მაქვს“. — „მოგვიტანე“. — „კარკი,“ — მიუგო ქალმა და ხუთიოდე წუთის შემდეგ სპილოს სარგო ჩექმები შემოიტანა, ცხენის ოფლითა და ქონით ამყარალეული, რითაც ყოფილიყო სწორედ გაპოხილი. „ჩქარა აქედან გაათრიე! — ვიყვირე მე, — ვინ იცვამს ნეტავ ამას?“ — ვკითხე მ. ს—ს. „ვინ და ძალიან რიგიანი ხალხი, — მითხრა, — თქვენც მაგას ჩაიცვამთო!“.

მაგრამ სარები მე ტიმოფეის გადაველოცე, რომელიც უნაგირზე ჩაიდნებით, ერთი სიტყვით, მისი ხელობის აუცილებელი საგნებით სავსე ტომრის აკიდებით იყო მეტისმეტად გართული, ქოლგის სადმე ჩაკეხებებს ხომ მთელი მისი გულსყური შეეპყრო. მეეტლე გრიგორევი ყოველივეს მცდელო-თვალებით აკვირდებოდა. „ეგ არაფერია: ცხენითაც იმგზავრებს კაცი, ოღონდაც ყველაფერი წესრიგში გქონდესო“. — იძახდა ის ავტორიტეტული მედიდურობით. ვანიუშკა რაღაც კობტა, ლამაზი ლაგამით იწონებდა თავს და ტყავის ქამარს ყოველდღე მეტად და მეტად იჭერდა წელზე.

ბ. ა. ტინხმენევმა ხმელეთზეც ითავა ჩვენი სმა-ჭამის საქმე, წარამარა პაკპაუზში მირბის, ხან შაშხი, ხან ყველი მოაქვს

იქიდან, წარამარა ფულს თხოულობს და დღეში სამჯერ მინც გვაყვება, რას შევქამთ და რას არა. „არა, ვარიებს თვალით ველარ იხილავთ, — ოხვრით გვეუბნება ის, — ვერც კატლეტებსა და ბრინჯს იგემებთ, როგორც ფრეგატზე. ვაი, სულ დამავიწყდა, აქაურ პაკაუზებში ნეტავ ტკბილი ხომ არაფერა მოეძებნებათ? ერთი გავიქცევი: იქნებ შავი ქლიავი ან ქიშმიში ჰქონდეთ: კომპოტი გაკეთდებოდა“. ჰოდა, დასტაცებს ქულას ხელს და გარბის.

ბოლოს, ერთ მართლაც მშვენიერ დღეს იმ სახლთან, სადაც ვცხოვრობდით, ჩვენი ქარავენი გაიჭიმა, რვა მხედრისა და ჩვიდმეტი ცხენის შეშადგენლობით, ბარგის ცხენებიც შიგ შედიოდა. „საქანი სად არის-მეთქი?“ — ვიკითხე. ერთმა იქაურმა თანამშრომელმა შემომხედა და ჩაიღიმა, ხოლო კახაკმა, ვისაც ჩემთვის საქანი უნდა გაეკეთებინა, მის მაგივრად შეკაზმული ცხენი მომგვარა. ზედ ჩერქეზული უნაგირი ედგა და ჩემი ბალიშიც იდო. „საქანი ვერ მოესწროო“, — მითხრა ზ[არონმა]. მივხვდი, რომ ჩემს სასიკეთოდ მოვეტყუებინე, რის მაღლიერიც გზაში ბევრჯერ დავრჩი, უხმოდ შევჯექი ცხენზე და უხმოდ ავეყვი აღმართ ბილიკს მთისკენ.

აიანის ყველა მცხოვრები ირგვლივ შემოგვხვეოდა, ყველა გზას გვილოცავდა. ჩ. და ფ. უსერთუქებოდ გამოგვყვნენ ფეხით ერთ ვერსზე. ერთ კლდეს რომ მოვუხვიეთ, ჩ.-მ გვითხრა: „ზღვას გადახედეთ: მეტს ველარ ნახავთო“. სწრაფად მოვბრუნდი და მაღლიერი, სიყვარულით სავსე, თითქმის აცრემლებული თვალი გადავავლე. ზღვა ლურჯად კამკამებდა, მზის სხივზე ვერცხლისფრად ბრწყინავდა. კიდეც წუთი და კლდეს მოეფარებოდა. „გ ე მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ი, ლ ა ლ ო ს ტ ი ქ ი ა ვ, ე კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ა დ...“

აიანიდან გზა მთებს შუა, ხევებში მიდის, მდინარეებისა და მთის ლეღების კალაპოტს მიჰყვება, რომლებიც წვიმებში ისე დიდდება, რომ ცხენები ფონითაც ძლივს გადიან და ყურებამდე წყალში იმალებიან. მხედარი რა დღეში იქნება ამ დროს? მგონი, ცხენზე არა ნაკლები გასაჭირი დაადგება. ახლა შესამჩნევად დამშრალიყო და მხოლოდ ლანჩებოდა დაგვისველა. აღლანზე რომ გადავედით, მაშინდა მოგვიხდა უნაგირებზე ფეხების აწყობა.

ამ უდაბურ პეიზაჟებში საშინელს ვერაფერს ნახავთ, ოღონდაც ბევრჯერ აგიტანს ნაღველი. გზას ხშირი, ბალახფიჭვების ტყე მიჰყვება. ვიწრო, კუნძებით მოფენილ ბილიკზე მიღიხარ. მერე ტყე გაიშლება და ერთ დიდ, ლოდებით საცხე ქაობს დაინახავ, რომელიც წვიმებში ალბათ გაუყალი იქნება. მდინარეთა კალაპოტი მეტწილად რიყისგან შედგება, ხოლო კედელივით აყუდებულ, ალაგ-ალაგ ტყით შემოსილ, ალაგ-ალაგ პატალო და უდაბურ კლდეებიდან ჩამოყრილი ლოდები თითქო მეტი ეშხისთვის მიუყრ-მოუყრიათ აქეთ-იქით. ადამიანის საცხოვრებლის ჭაჭანება არსით არაა, კაციშვილი არ შეგეყრება. ამ გზაზე, მგონი, პირველად 1845 წელს გაიარა ადამიანი და ეს ადამიანი, თუ არ ვცდები, კამჩატკისა და კურილის მთავარეპისკოპოსი, მისი უსამღვდელოება ინოკენტი უნდა ყოფილიყო. ის ახალ, უფრო მოხერხებულ გზა ეძებდა ზღვისკენ, იაკუტიიდან ოხოტისკენ მიმავალ გზას მოსაწონად აღარ თვლიდნენ და აიანისკენ სწორედ მან გაკაფა ტრაქტი.

ხეებზე აუარება პატარა ცხოველი დაბტოდა. აქაურები მათ ბურუნდუჩკებს ეძახიან, მგონი, იგივე უნდა იყოს, რაც თრითინა. იანნი ჩვენი ძაღლისა და მეეტლე ივანის გულსიყურს ფრიად იტაცებდნენ. დავინახეთ ხეზე მარღად აცოცებულ სიასამური, თუმცა შავ ციყვს უფრო ჰგავდა. „ვაჰ, თოფი მოგვცა ახლო!“ — შესძახეს ჩემმა ამბანაგებმა.

ეს გზა მშვენიერია ცხენით სასიარულოდ, თუმცა წვიმაში კი რა მოგახსენოთ. იოლად გავიარეთ ოცდათვრამეტი ვერსი და მხოლოდ ორჯერ მოგვიხდა ცხენებიდან ჩამოსვლა. ერთხელ აიანის ახლოს, როცა ვიპაუზებთ და ჩ.-სა და ფ.-ს გამოვემშვიდობეთ, რომლებმაც გამოგვაცილეს, და მეორედ შუა გზაზე, როცა ბალახზე წამოვწიქით ცოტა ხნით ბოგირთან. შემდეგ აღარსად გავჩერებულვართ. მაგრამ მოსაწყენი კი იყო: ჩვენს მეგზურ-იაკუტს, წინ რომ მიგვიძღოდა, ერთი სიტყვა რუსული არ სცოდნია, უდაბნოც დადუმებული დგას, ბოლოს ჩვენც გავიკმიდეთ ხმა და საღამოა შვიდ საათზე უხმოდ მივადექით იურტას, სადაც ღამე გავათიეთ.

იურტებზე უარესი წარმოდგენა მქონდა, მეგონა, მხეცის ბუნაგებივით იქნებოდა: ეს კი ისეთივე ძელური ქოხია, ოღონდაც კედლის ძელები ვერტიკალურადა დგას; თანაც ბაღლინ-

ჯოებსა და ტარაკანებს ვერ ნახავ შიგ. ორი ბუხარი აქვს, კვამ-
ლი სახურავში აღის; მერხები სუფთაა ჩაი დავლიეთ და დი-
ლამდე მკვდარივით გვეძინა.

კიდევ ერთი დღე ვიარეთ და ღამე ჯუჯუტურის ძირას,
იერტაში გავათიეთ. ორი იაკუტი დაეიქირავე მთაზე გამოსა-
ყოლად და ასვლაში დასახმარებლად. რა გზა გამოვიარეთ გუ-
შინ! სულ უდაბნოები, და უდაბნოები, თუ გნებავთ უბიწო,
შეულახავი, მაგრამ მოსაწყენი და მკმუნვარე. მივყვებოდით
მთის ბილიკებს, საბედნიეროდ, ტყეებით შემოსილ ხევების
პირას, ფონით გადავედით აუარება მდინარეზე, მთის ლელეზე
და რამდენიმეჯერ გადავქერით ალდამა, მერე უღრან ტყეებში
შევვლრმავდით და დიდხანს ვიარეთ ვიწრო ბილიკებით, რომ-
ლებსაც ხან პორიზონტალურად გაზრდილი ტოტები ჭრიდა,
ხან კი ისეთი წუმპიანი ორმოები, რომ ცხენიცა და მხედარიც
გაცბუნებული შედგებოდა მის პირზე, როგორ გადავიდე ან
გადავბტე ამა თუ იმ ადგილსო. ამბობენ კი, ეს კიდევ მოგონე-
ბაა იმ ტლაპოებთან, რომლებიც წინ გველის და სადაც ცხე-
ნები თავამდე აფლობიანო. „მხედარი რას აკეთებს ამ
დროს?“ — ვიკითხე მე. „ტლაპოში აღენს ტყაპანაო,“ — მი-
თხრეს პასუხად.

ტყეში კვლავ აუარება ბურუნდუჩკები და quasi-სიასა-
მურები ვნახეთ. გვეგონა, დათვსაც ვნახავდით, მაგრამ ვერ
შეეხვდით; ოღონდ სადგურზე იაკუტმა, ცხენები ტყეში სა-
ძოვრად რომ წალალა, „შიეძლება დათვი შემხვდესო“, ისე-
თი თოფი გადაიკიდა, რომელიც სწორედ ადამიანის პირველ-
ყოფილ ნახელავს ჰგავდა. ცხენებს აქ შვრიას არ აძლევენ, რა-
მეთუ არა აქვთ, სამაგიეროდ ბალახი იმდენია, რამდენიც ნე-
ბავთ. სადგურზე მისვლისას ცხენებს ტყეში წაასხამენ და
დილამდე იქ ტოვებენ. ტყე ჯერ ფოთლოვანი იყო, მერე
ნაძვი, ფიჭვი, ასკილი გაერია. სელშავი და ცირცელი ბლომად
გვხვდებოდა გზაში. ჩვენმა მეზღვაურმა მთელი ტოლჩა სელ-
შავი მოაგროვა. ცირცელი კი სიამოვნებით გიახლათ მეეტლე
ივანმა, ოღონდაც გული წყდებოდა, ჯერ წაყინული არ არისო.

დავინახეთ მერიმე ტუნგუსების ქოხები და ირემთა ჯოგე-
ბიც. სიჩუჟე და დუმილი მოგვდევდა თან. მხოლოდ ერთხელ
დაიქიკვიკია რომელიღაც ჩიტმა, მაგრამ, ეტყობა, თვითონვე

შეეშინდა და ხმა გაიკმინდა. ხანდახან ქაობიდან უცბად გამოხტებოდა ლაინი, ალაგ-ალაგ ბატები ან იხვები მიფრინავდნენ ცაში, რომლებიც აქ მხოლოდ სტუმრებს წარმოადგენენ. არც მწერების ბაიბური ისმოდა.

გუშინ ოცდათხუთმეტი ვერსი გავიარეთ და სულ არ დავლლილვართ. დღეს რა იქნება? ოჰ, ჯუჯუჯურ, ჯუჯუჯურ, გონებიდან რომ აღარ მცილდები!

ბოლოს ამ იაკუტურ თუ ტუნგუსურ მონზლანსაც მივაღწიეთ. შვიდი საათი იქნებოდა, სადგურიდან რომ გამოვედით და აღმართს შეუმჩნეველად ავყევით. ქეშმარიტად ქეების ოკეანე გვეხვია ირგვლივ. შიგა და შიგ ნახევარ ვერსზე მიწის ბილიკი გამოჩნდებოდა და ისევ დაიკაოვებოდა. იაკუტური ცხენები ტანმორჩილია, მაგრამ ღონივრები და გამძლეები, ზომიერად, ბეჯითად მიაბიჯებენ. მე გუშინდელი ცხენი გამომიცვალეს, ნალები გასცვეთოდა. სამაგიეროდ სხვა, უფრო ღონიერი თონხარიკი მომიყვანეს, რომელიც á la გლეხურად იყო გაკრეჭილი.

იმ სადგურიდან, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ, ჯუჯუჯური რვა ვერსით იქნებოდა დაშორებული. მალე ორივე მხრივ ერთიმეორეზე ციცაბო, რუხი და მიუვალი მთები წამოიშართა. თითქო ვისმე ხელოვნურად დაეზინებია პირამიდალური ქვის გროვები. ერთი შეხედვით არც ერთზე არ შეიძლებოდა ასვლა. ზოგი მორუხო ფერს გადაიკრავდა, ზოგი მომწვანოს, ისე კი ყველა კუშტად გამოიმზირებოდა, ცაში ამაყად აემართა მხარბეჭი და ქვემოთ არც კადრულობდნენ დახედვას. მხოლოდ ლოდებს თუ იბერტყავდნენ მხრებიდან.

მე აქეთ-იქით ვიხედებოდი, მინდოდა გამომეცნო, ამ მთებიდან მრისხანე ჯუჯუჯური რომელი იყო: ეს ხომ არაა ნეტავ? არა, იმაზე ასვლა სწორედ არ მინდა: ფრიალო კალთები აქვს და ზედ ერთი პატარა ბუჩქიც არ ჩანს; მეორეზე დიდრონი ლოდები ჰყრია. რა ხანია ერთ მთაზე ვხედავდი, კედელივით სწორს, ზედ ციცაბო წვერზე თოვლის ზვინი მიჰყინვოდა და ბეჭედში ჩასმულ აღმასივით გამოიყურებოდა. „რა თქმა უნდა. ეს არ იქნება-მეთქი“, — ვიფიქრე და იაკუტს ვკითხე: „ჯუჯუჯური სადაა-თქო?“ — „ჯუჯუჯურიო“ — გაიმეორა მან და სწორედ იმ მთაზე მიმითითა, ყინული რომ მისწებებოდა

შუბლზე. „იმაზე რა ამიყვანს-მეთქი?“ — ვფიქრობდი გულში.

ამასობაში, ჩემდა შეუმჩნევლად, რა ხანია უკვე ავყოლო-
დით თურმე აღმართს, შედარებით აცივებულყო და აასვლე-
ლად მხოლოდ ის „ამონაზნექი“ დაგვრჩენოდა, თავზე რომ
დაგვკიდებოდა. მე კიდევ არ მჯეროდა, იმაზე ცხენით ან ფე-
ხით ასვლა თუ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი ქარავანი კი უკვე
დაძრულიყო და იაკუტებსაც ერთი შეძახილები შეექნათ.
ქვებმა ენა ამოაღგეს ჩვენ ფეხქვეშ. ჩვენი ქარავანი ბილიკზე
გაიბაწრა ზიგზაგურად. ორი ბარგის ცხენი თავით გადაყირავ-
და, ერთზე ჩემი ჩემოდნები ეკიდა. ის მთაზე დავტოვეთ და
გზა გავაგრძელეთ.

მე ორ იაკუტს მივყავდი, ერთი ქამრით მიმათრევდა წინ,
მეორე უკნიდან მშველოდა. ერთი შვიდჯერ მაინც ჩავიმუხლე
დასასვენებლად, ტახტად უფრო ხავსიან ლოდებს ვირჩევდი,
ხანდახან იაკუტს ჩამოვადებდი მხარზე თავს. ორი ამხანაგი
უკვე ასულიყო და მწვერვალიდან ქვებს ესროდენ ყინულის
შუბლს. რარიგ შევნატროდი მათ ბედს! ძალისაც კი მშურდა,
რომელმაც ერთი-სამჯერ მაინც აირბინა მწვერვალზე და ისევ
ჩვენთან დაბრუნდა. ახლა კი ამონაზნექის ყველაზე ციცაბო
ადგილზე იდგა და იქიდან გვიყეფდა, ეგრე რად მოიზღაზნე-
ბითო. მე კიდევ ორასიოდე ნაბიჯი დამრჩენოდა. ქვები
ფეხქვეშ გვისხლტებოდა და გორდებოდა, იაკუტებმა
თითო-თითო ჯოხი დაგვირიგეს. ბოლოს მეც ავედი. ერთმა
ჭიქა პორტვინმა ძალა შემმატა. რარიგ მეამა ღვინო, სხვა
დროს რომ პირს არ ვაკარებდი! ერთ იაკუტს, მე რომ მივყავ-
დი, ცხვირიდან სისხლი წასკდა.

დანარჩენი გზა სადგურამდე ჩინებული გამოდგა. ღელის
პირზე, ხავსიან მიწაზე დავლიეთ ჩაი და მერე თითქმის გზა-
ტყევილით გავწიეთ. აქეთ-იქით ფიჭვის, არყისა და ნაძვის
მშვენიერი ხეივანი გვერტყა. ვნახეთ ლამაზი ჩანჩქერი და
თითქო აფეთქებით მიყრილ-მოყრილი მომწვანო ლოდები.

ჯუჯურზე ყველაზე მეტად ჩემმა ტიმოფიმ ისახელა
თავი. ის იყო ჩვენი ქარავანი ციცაბოს აპყვა და ქვებმა რაკ-
რაკი მორთეს ცხენების ფლოქვებს ქვეშ, რომ ერთბაშად ტი-
მოფეი ადგილს მოსწყდა და ქენეზით გასწია ზემოთკენ. აგერ
გაასწრო ბარგის ცხენებს, გაასწრო მეგზურებს, უკან მოიტოვა:

ძალიც და ზელეზგაშლილი, რაღაც დამფრთხალივით, გაშმაგებით მიქროდა მთაზე. „ტიმოფეი! სად მიდიხარ? ხომ არ ვაგეყდი! — ვუყვიროდი არაქათგაცლილი, — მთა დიდია, დაგღლის!“ მან ხელი ჩაიქნია და ზევით და ზევით ქენებით გასწია. ცხენებს ილაჯი უწყდებოდა და ეცემოდნენ, ძალმაც კი გადმოაგდო ენა; მარტო ტიმოფეი მიქროდა გაუჩერებლივბოლოს ისა და ჩვენი საჯდომი ცხენები მწვერვალზე აიჭრნენ და ერთდროულად მოგვეფარნენ თვალს. „რა გრჯიდა-მეთქი?“ — ვკითხე მერე. „ერთხელ...“ — დაიწყო მან და ველარ გააგრძელა, სული შეეგუბა. სადგურზე მიამბო მხოლოდ. „ეგრე რა მიგარბენინებდა ზევით?“ — ვკითხე მე. ტიმოფეიმ ცოტა ხანს იყუჩა და მერე დაიწყო: „ერთხელ ბუიდეურედან კონსტანტინებოლში მივდიოდი. ერთი წუთით ჩამოვედი ცხენიდან... ცხენმა კი აიღო თავი და გამასწრო. ფეხით მომიხდა მერე თხუთმეტამდე ვერსზე ჩანჩალი...“ — „მერედა რა?“ — „ჰოდა, შემეშინდა, ვაითუ ამ ცხენებმაც გამასწრონ, როცა მწვერვალზე ავლენ და ფეხით არ მომიხდეს-მეთქი სიარული“. — „ეს ცხენები გაგასწრებენო!“ — მწარედ ჩაიცინა შეეტლე ივანმა. ცხენები ავიდნენ თუ არა, ერთ ადგილზე დაერკვნენ და თავები ჩაჰკიდეს.

ცარიელი იურტა ჩელასინსა და მაილს შუა 27 აგვისტო.

ცხადია, არ გიკვირთ, რომ არაფერს ვამბობ, გზაზე ვინ შეგვხვდა და შეგვეყარა? დაწყებული ყინულოვანი ოკეანიდან გათავებული ჩინეთის საზღვრებით აქ არავინ ცხოვრობს, მომთაბარე ტუნგუსების გარდა, რომლებიც ამ უზარმაზარ სივრცეებზე აქა-იქ არიან გაფანტულები. ჩიტებიც კი გავლით გადაუფრენენ ხოლმე აქაურობას. ამბობენ, ნადირი ბევრიაო, მაგრამ ბურუნდუჩკებისა და ციყვების მეტი არა გვინახავს რა, თუმცა მადლობა ღმერთს, რომ არ გვინახავს: დათვთან შეყრა სიამოვნებასა და იქნებ ცოტაოდენ სარგებლობას მარტო მან მიანიჭებდა, ჩვენ გაგვანციფრებდა, ცხენებს კი თავზარს დასცემდა.

გული ნაღველით აგვესება ამ უტყვი უდაბნოების გავლისას. შესაძლებელი რომ იყოს, ამ მთებსაც კი გაელაპარაკებოდი, ჰკითხავდი, როდის გაახილეს თვალი მათ და მათმა ირგვლივ მყოფმა საგნებმა, როდის იხილეს ეს ქვეყანა; ჰკითხავდი,

უნდა არ უნდა შეგყროდა, თუნდაც ამ ჩვენს მეგზურ იაკუტს გადაუგდებლი სიტყვას: იაკუტურად დაზებირებულ კითხვას მისცემდი: „კას პიროსტა იამ?“ (რამდენი ვერსიოა სადგურამ-ღე?). ისიც გეტყვის პასუხს, ოღონდ შენ ვერ გაიგებ, ან გეტყვის გრა-გრა (შორსააო), ან ჩუგესო (ახლოაო, მალეო), და შერე ისევ ხმაგაკმენდილი საათობით მიჰყვები გზას.

ამ დაუმუშავებელ უდაბნოში სრულყოფილ ადამიანს ჯერჯერობათ არაფერი ესაქმება. ან თავზებელაღებულ პოეტი უნდა იყო, რომ ათასობით ვერსზე უდაბურების დიდებულებით და საკუთარი დუმილით დატკბე, ან ველურად დაზადებულ, რომ ეს მთები, ლოდები, ხეები საკუთარი სადგომის მორთულობად და ავეჯად მიიჩნიო, დათვები — ამხანაგებად, ფრინველი კი — სანოვაგედ.

გუშინ თერთმეტი საათი გავატარეთ უნაგირზე, ხოლო შეჩერებებსაც თუ ჩავთვლით, თორმეტ ნახევარი გამოვა. ჩელასინიდან უკეთესი რომ არ შეიძლება, ისეთი გზა ყოფილა, ჰევიცი კი არ იყარა, მაგრამ თოთაშეტ თუ თხუთმეტ ვერსზე უტბად ტყით დაფარულ ჭაობში შევედით. ტყე თმასავით ხშირია, ჭაობებში ცხენები მუცლამდე ეფლობიან და არ იციან, რა ქნან, მხედრებმა მათზე ნაკლებ ვიცით, რა ვიღონოთ. ჭაობის გადასვლისას მარტო იმას ფიქრობ შეშფოთებულ, რომელი ფეხი წაუბოროციდება ცხენს.

ყველგან ხავსი და ჭაობი ჩანს, ტყუილად მოატარებთ თვალს ირგვლივ. ამ უკიდვგანო ტუნდრებიდან გამოსავალს ვერ დაინახავ და მეგზურის გარეშე ვერც გახვალ. ვაი მას, ვისაც მარტო გაუბედავს ამ მხარეში ცხვირის შეყოფა: გზა არაა და ვერც მიმასწავლებელს ნახავ ვისმე. ჭაობებმა გვარიანად შეგვაფერხა, ასე რომ, სადგურს ველარ მივატანეთ და დამე ერთ ცარიელ, მიტოვებულ იურტაში გავათიეთ. დავანთეთ ცეცხლი, დავლიეთ ჩაი და დავწეკით. ციოდა; გუშინ ცოტა გადმოფიფქა, ქარი ქროდა, ცა მოღრუბლული და მოქურხებული იყო — შემოდგომა იგრძნობა. ჩვენი მეგზურები გასათბობად შემოგვიჩოჩნენ: თითო ჭიქა ჩაი მივეცი, გვინდოდა არაყიც დაგველეინებინა, მაგრამ არ გვქონდა: ჯუჯურზე რომ ორი ცხენი გადაგვიტრიალდა, მაშინ დაგვემტვრა, ან იქნებ ჩვენმა ამაღამ თვითონ მოახერხა მათი დამტვრევა,

ვინ იცის... შემდეგ იაკუტებმა ცხენები დელის გაღმა გარეკეს საძოვარდ, იქ ცეცხლი ააბრიალეს და თავიანთი ორი კერძი მოიხარშეს: წყალზე მოხარშული ერბოიანი ფაფა და უერბოდ წყალზე ნახარში.... ფაფა.

მეტლე ივანსაც თავის მხრივ შესანიშნავი ცნობა შეუტყვია, რომ აქაური ცხენები თითქო ორმოცდაათ წელს ცოცხლობენო. ეს ამბავი ჩვენც გვაუწყა. არ ვიცი, მართალია თუ არა.

ცხენებს უკვე აჰკიდეს ბარგი, წასვლის დროა, გუშინ ჩვენ ორმოცი ვერსი არ გაგვივლია. მაილი აქედან რამდენიმე ვერსზეა.

კვლავ ცარიელი იურტა, 28 აგვისტო.

რომელი ჯუჯკური, რომელი რიყე გზა, რომელი მთის დელე შეედრება ქაობებს! აგერ, წუმპიან ადგილს მიადგებით: ზემოდან წყალი ადგას, მეგზური ჩერდება და აქეთ-იქით იხედება, შემოვლა ხომ არააიდან შეიძლებაო. თუ არა, უხალისოდ მიუშვებს ცხენს. ცხენიც იმაზე მეტად უნდილად, თუმცა კი უპროტესტოდ, ფრთხილად შეაბიჯებს, მას სხვები მიჰყვებიან. უცბათ მას წინა ფეხები დაუცდა, მეორეს უქანა, მესამეს წინაცა და უქანაც. მხედარი შეშფოთებული ზის, ისიც დასაცემად ემზადება, თუ ცხენი წაიქცა, ოღონდ ისე კი, კისერი არ მოიტეხოს. ამასობაში ცხენი გრძნობს, რომ ღრმად და ღრმად ეფლობა: აი, გამწარებით გაიბრძოლა, ხან კუსუბო ასწია ზევით, ხან ზურგი, ხან თავი. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება ამ დროს მხედარი! ხოლო თუ ილაჯგაწყვეტილი ცხენი ბოლოს გვერდზე გაწვა, საჩქაროდ თქვენც გაწეკით. უფრო ნაკლები საფრთხე მოგელით. მეც ასე მოვიქეცი ერთხელ.

ძლივს მივჩანჩალდით მაილამდე. იქ მშვენიერი ახალი, სუფთა იურტა დაგვიხვდა ოროთახიანი, სარკმელებში შუშის ნაცვლად ქარსი ჩაედგათ, იატაკი ნაძვის ტოტებით მოეფინათ. მერხებს კრიალი გაჰქონდა, ბუხარიც ისეთი იყო, სასტუმროში არ შეგრცხვებოდა გადატანა, ოღონდაც თუ შეღებავდი. მაილიდან ამ იურტამდე ოცნ ვერსი გავიარეთ მაგრამ წამდაუწუმ შემოვლა გვჭირდებოდა გზისთვის და კარგა ხანს მოუუნდით. ამ წამებაზე თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ. ტყეში, მართალია,

უფრო გამშრალი ადგილები იყო, სამაგიეროდ ხავაში გეფ-
ლოზა ფეხი და ნიადაგიც ყანყალებს. გვერდს უვლი ხეებს.
ისინი ფეხებზე გეხახუნებიან. ტოტები სახეს გიკაწრავს, ცხენი
ხან ორმოში ჩახტება და სწრაფად ამოიჭრება ისევე კოლბოხებ-
ზე, ხან შეცბუნებული გაშეშდება შუა გზაზე გახერგილ მორ-
თან, ბოლოს ინასაც გადაახტება და კვლავ ლაფიან ორმოში
ამოჰყოფს თავს.

მართალს მეუბნებოდნენ აიანში! ხანდახან იაკუტი უცებ
ვაგვიჩერდება, თურმე გზა აერია: წინ სულ გაუვალი, გაუთა-
ვებელი ქაობია, გზა არ მოჩანს, ჰოდა, ჩვენი უკან ვბრუნდებ-
ით. ტანჯვას პირდაპირ! მეეტლე ივანი ნუგეშს გვაძლევს,
იძახის, „რამდენიც არ მივლია, გზა არ მინახავს გუბე არ ყო-
ფილიყოს ზედო“. მართალი კია.

მაილში სხვა ცხენები მოგვცეს, შესახედად არც ისინი ექნა
ღმერთს, მაგრამ ფრთხილი და გამძლენი კი იყვნენ და ნაბი-
ჯიც სწორი ჰქონდათ. იაკუტები ალერსით და ყურადღებით
გვექცევიან. უნაგირებიდან ხელით გადმოვყავართ და ხელითვე
გვსვამენ ზედ. თორემ უნაგირზე რა აგვაძვრენდა, ისიც სამგ-
ზავრო ტანსაცმლით.

ამინდი გუშინ მშვენიერი იყო, დღესაც ჩინებული დილა
გათენდა. ჩვენი გასართობი მარტო ის არის, გამოვიცნოთ, რა
ნირის ცხენი შეგვგვდა, იკბინება, ტლინკების აყრა სჩვევია
თუ ზარმაცია და მეტი არაფერი. ხანდახან ეშმაკობაააც იჩე-
ნენ. ამ ცხენებს უკვე ისეთი სიცქვიტე აღარ სჩვევიათ, რო-
გორც სტანოვოის ქედის გაღმა მათ მოძმეებს. თუ უნაგირი
ცურავს და მოსართავი მოსაჭერია, ცხენი მუცელს გაბერავს
და მერე ვეღარც მოუჭერ. ზოგს ფიცხი ცხენი შეხვდა; სწო-
რედ ასეთი ერგო ტიმოფეის. გაფიცხდება ცხენი თუ არა, უნა-
გირზე მიმაგრებული ქვაბები ერთ რაჩხარუჩხს შექნიან. სხვე-
ბი ენამწარობენ ამის თაობაზე, განსაკუთრებით მეეტლე ივანი.

ეს ივანი მეტად თავისებური ვინმე გახლავთ. თავის შეხე-
ლულებებზე და რწმენაზე ვერც თუ ადვილად გადაახვევინებ,
მაგრამ ენაწყლიანი კაცია და სამსახურს არ დაგზარდება. სია-
მაყით ჰყვება, სანდვიჩის კუნძულების მეფემ მისი წვეკრისა და
განსაკუთრებით ტანსაცმლის წყალობით დიდკაცად რომ მიი-
ღო და ხელი ჩამოართვა. ერთს საღამოს საგრძნობლად აგვი-

ცივდა. თავადმა ო[ბოლენსკიმ] ტყაბუქი მოსთხოვა. „ჩემოდან-შია ჩადებული და ამოკერილიო“, — თქვა ივანმა. „ტყუილია, ტომარაში უნდა იყოს, აბა მაჩვენეო!“ — უთხრა თავადმა. „არა, ჩემოდანშიო“, — იმეორებდა ივანი და ტომარას ატრიალებდა. „მაგ ტომარაში რაღა გაქვს?“ — ჰკითხა თავადმა. „აბა რა ვიცი, რაღაც ტყავი უნდა იყოსო“. — „ერთი ამას უყუროთ! — გვითხრა თ[ავადმა] ო[ბოლენსკიმ], — ბრაზილიურა გველის ტყავი ტომარაში ჩაუდვია, ტყაბუქი კი ჩემოდანში დაუშალა!“ — „ვიფიქრე, გველის ტყავი კი შეიძლება გადავადო, ტყაბუქი კი აფსუ'ია-თქო“. — „აი ასე წამომითრია ორი ქოქოსის კაკალი ოხოტის ზღვამდე, — თქვა თ. ო-მ. — კიდევ კარგი, დავუნახე და გადავაყრევი, თორემ ჩემოდანში შეინახავდა“. — „მაგ კაკლებს რაზე ათრევედი, ივან გრიგორევ? — ვკითხე მე. — მოგეწონა განა გემოთი?“ — „მაგათი გემო რა მოსაწონია, — მითხრა უდიდესი ზიზღით, — იმიტომ წამოვიღე, მოსკოვში ვნახე, დუქანში თითო ეგეთი კაკალი ხუთი ვერცხლის მანეთი ღირდა, ვიფიქრე, იქ მივასაღებ-მეთქი“.

ნელკანი, 29 აგვისტო.

გუშინ, საღამოს რვა საათზე, ძლივძლივობით მივჩანჩალდით ცხენებით უკანასკნელ სადგურზე. ორმოცი ვერსი გამოვიარეთ, მხოლოდ შუა გზაზე შევეისვენეთ საათნახევრით ტყეში. დიდი მოსაბეზრებელი გზა იყო, თუმცა ტყეში იმდენი ფრინველი შეგვხვდა, მათმა თავხედობამ ბრაზიც კი მოგვგვარა. როჭოები ფეხებში დაუძვრებოდნენ ცხენებს, ციცრები ყოველი ბუჩქიდან ამოფრთხილდებოდნენ, იხვები ყოველ გუბეში ჭყუმბალაობდნენ. „აფსუს, რომ თოფები არა გვაქვს!“ — წარმოთქვა ვილაცამ. „რატომაც არა გვაქვს, ორი მშვენიერი თოფია“. — „დენთი თუ არის?“ — „დენთიც არის, საფანტიც და ტყვიებიც“. — „მაშ რატომ არ ვისვრით? მოიტა თოფები!“ — „ჩემოდანის ძირშია, ვინ ამოიღებს“, — თქვა ივან გრიგორიევმა. „გველის ტყავს კი ხელით მოათრევეს!“ — დაიჩივლა თ. ო — მ. „გველის ტყავის გადაგდებას რა უნდა“, — თავს იმართლებდა ივანი. „ქოქოსები კი ტყუილად არ წამოიღე, — შევნიშნე მე, — მართლაც სარფიანად გაასაღებდი...“ — „მაშ

არადა, ასიოდე ცალი რომ მქონოდა, კარგა ფულს გავაკეთებ-
დი“, — მითხრა ივანმა, რომელმაც სერიოზულად მიიღო ჩემი
შენიშვნა.

მაილის სადგურიდან ნელკანამდე სულ მთაგრეხილები მის-
დევს; ჩვენ ისინი უნდა გადაგვეჭრა. ცაცაბო მთა მარტო ორი
შეგვხვდა, დანარჩენები ოდნავი დაქანებული იყო. მაგრაჰ
ვერც ცაცაბო მთებიდან მოვახერხეთ ცხენების ჩორთით წა-
მოყვანა: ამაში სწორედ დიდი სიკერავე გამოიჩინეს, თავისი
ვერა და ვერ გადავათქმევინეთ. ეს მთები სტანოვოის მთაგრე-
ხილის განშტოებებია, ჯუჯუჯურიც იმათ ეკუთვნის. ყოველი
მთის ძირას ჭაობია გაშლილი; რაც არ უნდა კარგი, მშრალი
ამინდი იდგეს, მათ გაშრობას საშველი არ ადგება. ან ოდნავ
იყინებიან, ან ლაფის ტბორებად რჩებიან. თან ვერაგულად ხავ-
სი და ბალახი ედებათ ზედაპირზე, ასე რომ არ იცით, ცხენი
მუხლებამდე ჩაეფლობა, მუცლამდე თუ ნესტოებამდე. არა
ერთს წამოაცდენია „ვაიმეო!“ როცა ამ მტანჯველ დუმილში
კოლბოხებს, ტბორებსა და ბუჩქებს უვლიდა, გზის გათავებას
კი ბოლო არ უჩანდა.

სალამოს ძლივს მივალწიეთ ნელკანს და მათაზე გადავედით.
აქ გავიგონეთ რუსი დედაკაცებისა და გლეხების ლაპარაკი.
იაკუტებთან ლაპარაკს რაღაც ვერ ვახერხებთ; მარტო ივან
გრიგორევი ელაყბება იმათ წამდაუწუმ, თუმცა რას ეუბნება
ან როგორ — კაცმა არ იცის, ორთავე მხარე კი კმაყოფილი
რჩება.

ნელკანში რამდენიმე იურტა და ახალთახალი სახლები
იდგა. სადგურის ზედამხედველი და კაზაკი მალიშევი გამო-
სულიყვნენ ჩვენს შესახვედრად, ერთმა ჩაიწე მიგვიწვია, მეო-
რემ — ვახშამზე და მშვენივრადაც გავვიმასპინძლდნენ. ვახ-
შამზე მშვენიერი შჩი მოგვართვეს ახალი კომბოსტოთი და
კიდევ შემწვარი იხვი. ამერიკული კომპანიის სახლში, რომელ-
საც აქ თავისი პაკაუზი გააჩნია, თავისივე საქონლით ვაჭ-
რობს (მეტწილად ბამბისა თუ სხვა ქსოვილებით და სხვადა-
სხვა საგნებით, რაც ამ მხარეს ესაჭიროება და რაც გვარიანად
იყიდება), დიდი, ნათელი ოთახი ჰქონიათ, ფანჯრებში შუშის
ნაცვლად ქარსი ჩაუდგამთ, ამბობენ, შიგ თბილა კიდევო.
სადგურის ზედამხედველის ბინაშიც სისუფთავე დაგვხვდა, სი-

დიდითაც კარგა დიდი იყო. რუსული ღუმელების გარდა იაკუტური ბუხრები ანუ ჩუვალელებიც გაუმართავთ: ამ რუსულ-იაკუტურ სითბოსაგან, ჩვენი ანდაზის საწინააღმდეგოდ, „ძვლები მართლაც ტეხვას დაგიწყებს“.

მშვენიერად გამოვიძინეთ და დავისვენეთ. ღამით უკვე შეგვეძლო წასვლა, მაგრამ პური არ იყო გამომცხვარი და დილამდე უნდა გვეცადა. შვიდ კაცს მაიას ნაპირებზე მდებარე სადგურებზე საკმლის შოკნა გაგვიჭირდებოდა. ახლა ექვსასი ვერსი გვქონდა გასავლელი მდინარით, მერე ისევ ცხენზე მჯდომთ ას ორმოცდაათი ვერსი უნდა გვევლო ჭაობებით. საფოსტო ტარანტალებიც ყოფილა აქ, მაგრამ ყველა ცხენით მგზავრობას არჩევს ამ გზაზე. შემდეგ იაკუტსკამდე მხოლოდ ათასი ვერსი დაგვრჩებოდა ეტლით სასიარულო. წარმოგიდგენიათ, რა ცოტაა!

მაია ეკლუცად იკლაცნება, მისი ქვიშიანი მარჩხობები ისე სტუმართმოყვარედ გამოიყურება, თითქო გვეუბნება: „არ გაგიშვებთ, არაო“. ტყე იაე აღარაა ჩაშავებული და მეჩხერ მესერივით გაკრული, როგორც ჭაობებში, მდინარისკენ ის შესაძინევად მსხვილდება. ვერხვნარი და ფიქვნარი უფრო ხშირად გვხვდება ახლა. ამ ამბავმა აუწერლად გაახარა ივან გრიგორევი. „აგერ, ვერხვნარი, აგერ ფიქვნარიო!“ — ამბობდა ის და ნაცნობ ხეებზე სიამოვნებით გვეითებდა. ნავი მზადაა, პური გამოგვიცხვეს, ხორცი ვიყიდეთ — ასე რომ, მივიღივართ. ახლა საგზაო ხარჯს, რამდენი მენიჩბეც გვყავს, იმდენზე გადავიხდით.

30 და 31 აგვისტო. იმაზე ჩინებული პირობები, როგორც ჩვენ დავგიდგა ამ გზაზე, ყოვლად წარმოუდგენელი გახლავთ. დიდებული, თბილი ამინდი იდგა. მდინარე ყოველი მოსახვევის შემდეგ უფრო და უფრო სასიამოვნო სანახაობას გვიშლიდა. ნაპირები ხან ფლატე იყო. ტყით შემოსილი, ხან კლდოვანი აიშართებოდა. ნავი წარმოუდგენელი სიწრაფით მიექანებოდა. ოცდარვა ვერსი ორ საათში გავიქროლეთ და სადგურ ბატანგაზე თუ ვატანგაზე მივედით. გზაში როგორც იქნა, ჩემოდნებიდან თოფები ამოვალაგეთ, თუმცა ივან გრიგორევმა დიდად გაგვიჯანჯლა საქმე, და ვანიუშკას გადავულოცეთ. ჯერ ერთი იხვი მოჰკლა, მერე ბევრი მიაყოლა კიდევ.

მაგრამ ამოყვანით ვერც ერთი ვერ ამოვიყვანეთ. შორიდან დავინახავდით დინებას ფრენით აყოლილებს და დავეწეოდით, კვლავ გაგვიფრინდებოდნენ, ხოლო ვინც დარჩებოდა, ვაი რა ძვირად უჯღებოდა დაუდევრობა.

ბატანგაზე მეტად საზრიანი ბერიკაცი ცხოვრობს, სახელად პიოტრ მანკოვი, მასა და მის ცოლს ერთი ქონი უჭირავთ. ყველანი გადმოსახლებულები არიან. ცდილობენ აქ პურეულის მოყვანა გააერცელონ, მაგრამ სახსარი ნაკლებ გააჩნიათ და არც მიწა ვარგა ყველგან. ნაწილობრივ ნადირობით ირჩენენ თავს. ბატანგადან შვილ ტოტამდე თოთხმეტი ვერსი იქნება. მაგრამ ამინდი არია: როცა სიბნელეში სადგურს მივადექით, ცივმა ქარმა დაბერა. იქ იაკუტებს, რუს გლეხკაცებს და ქალებს კოცონი აებრიალებინათ და გარს შემოსხდომოდნენ. დედაკაცები ძალზე ლამაზები გამოდგნენ, განსაკუთრებით ერთი თექვსმეტიოდე წლის გოგონა იყო მეტად ტურფა რამ. შევედით იმათ ღარიბ ქონში, დავლიეთ ჩაი, მოვასმინეთ, როგორ უძნელდებოდათ ცხოვრება და რამდენი რამ აკლდათ, თუმცა ახალ მხარეში ფეხის მოკიდებას მუდამ ასეთი სიძნელე და გაჭირვება მოსდევს. ქონსა თუ ქონის გარეთ ფეხშიშველი, მკერდმოღელილი გოგო-ბიჭობა დარბოდა. მუცელსაც კი არაფერი უფარავდათ. ორი პერანგი რომ მივეცით, ზიკებმა მაშინვე ჩამოიცივეს დიდი სიხარულითა და სიამაყით. აღარ იცოდნენ, მადლობა როგორ გადაეხადათ.

სანამ ჩვენ ქონში ვიჯექით, ქარი ამოიჭრა, თოვლი ბარდნით წამოვიდა, ერთი სიტყვით ქარბუქმა, ანუ აქაურად „პურგამ“ გაშალა ფრთები. გლეხები შეგვეხვეწნენ, მთვარის ამოსვლამდე მოიცადეთ, თორემ ბნელა და ცურვა გაგიჭირდებათ, მარჩხობი ბევრგანააო. ამაზე კი დავთანხმდით, მაგრამ დასაძინებლად ნავში წავედით, რა არის მთვარის ამოსვლის უმაღლესი გავეგრძელებინა გზა. ღამით დამესიზმრა, თითქო ცხენით მივდივარ და ისევ ღრანტ-ღრანტე ვხტუნაობ. თურმე მდინარეს გავუთრევივართ. სიცივემ გამაღვიძა. მარჩხობზე გავჩხირულვართ. მუხლებამდე წყალში ჩამდგარი იაკუტები ნავის მარჩხობიდან გადმოთრევენს ღამობდნენ, თუმცა უარესად კი გაჩხირეს ზედ. მალე ისე გულდაგულ გავეჩხირეთ, რომ ჩვენი ძალებით თავს ვერ დავიხსნიდით. ჩვენები ვინ ლატნით,

ვინ ნიჩბით შეიარაღდნენ, მაგრამ ძვრა მაინც ვერ უყვეს ნავს.

„გამოთრევა არაფრით არ შეიძლება!“ — ერთხმად განაცხადა ყველამ.

სადგურამდე შეიდიოდე ვერსილა გვიკლდა. ერთი რუსი მეგზურთაგანი იქ გავგზავნეთ, რომ საფოსტო ნაფი ჩამოეყვანა. ტიმოფეის კი ვუბრძანეთ შჩი და გუშინდელი იხვი მოემზადებინა სადილად. ნავის ცხვირზე მიწა დაეყარათ და კოცონი წუთით არ ქრებოდა იქ. მალე ოხშივარი აუვიდა ქვაბს. ერთი საათის შემდეგ ყველანი სადილს შემოვუსხედით. მოგეხსენებათ ალბათ, სადგურებზე, ჭალებსა თუ პიკნიკზე როგორც სადილობენ. ვინ ტოლჩიდან ჭამდა, ვინ ფინჯნიდან, ვის სკივრი გაეხადა მაგიდად, ვის სადგარი. როცა მაგიდა დაგვეჭირდებოდა, ჩვეულებრივ ივან გრიგორევეს ვეტყოდით: „მაგიდა გააჩინეო“. „მესმისო“, — იტყოდა პასუხად და ტყეში გასწევდა: თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩვენს წინ უკვე მაგიდა იდგა. ერთ იურტას არც კარი გააჩნდა და არც სარკმელი. „მესმისო“, — გვითხრა მან და სარკმელი ცხენის საოფლეებით ამოჩურთა, კარი კი ისეთი გაუკეთა, დილას ვერას გზით ვერ გავხსენით და გასამტვრევი გავვიხდა.

ბოლოს, უკვე ოთხი საათი იქნებოდა, რომ სადგურიდან ჩვენს საშველად წამოსული ხალხი მოგვადგა. ჩვენ კი, სხვათა შორის, იმათ დაუხმარებლად მოვახერხეთ უკვე მეჩვირდნი ნავის დაძვრა. რატომ ვიყურყუტეთ ოთხი საათი ერთ ადგილზე — კაცმა არ იცის. სადგურზე მალე მივედით. იქ დედაკაცებმა სელშავი, კომბოსტო დაგვახვედრეს და თავიანთ გამწარებულ წუთისოფელზე შემოგვჩივლეს: ეს უკვე ჩვეულებრივი ლათაიები გახლდათ!

ამ სადგურს მაიმაკანი ჰქვია. აქედან ოცდამეორი ვერსია იკტენდას სადგურამდე. ახლა მივდივართ კიდეც. იქ მთებზე ჯერ არ დამდნარა გუშინდელი თოვლი; შემოდგომის ქარი ქრის; ცა მოღრუბლულია, მოქუთრუხებულა; მდინარეს დაჰკარგვია მხიარული იერი და ისე დაღონებია სახე, როგორც ცელქ, საყვარელ ბავშვს დაულონდება ხოლმე უცებ. ისევ მთები, ისევ ახოები, კუნძულები და მინდვრები გვხვდებოდა გზად. იკტენდამდე სულ სიბნელეში ვიარეთ, კაიუტაში ვიწვიქით

სანთლის შუქზე და არაფერი დაგვინახავს, სიცივისაგან ფეხები გვეყინებოდა.

იქტენდიდან ტერპილის სადგურამდე ოცდა რვა ვერსია, ამდენივე იქნება ცეპანდინის სადგურამდეც, სადაც დილის რვა საათზე მივედით; ეს 56 ვერსი სრულ წყვდიადში და ძილში განველეთ. ამინდი ისეთივე იდგა, ცივი და მოღრუბლული. ცეპანდინის სადგური ერთ ღარიბ, უსარკმლო იურტას წარმოადგენს. აქ, ვგონებ, ზამთრობით სადგური აღარც არის ხოლმე და ალბათ იურტაც იმიტომაა ასეთი უბადრუკი. თუმცა იქნებ ტუნგუსები ცხოვრობენ შიგ.

ტუნგუები კიდეც მონადირეობენ, კიდეც ირმებს აშენებენ და შეეტლეობენ. ზამთრობით ისინი ირმებით დაატარებენ მგზავრებს, მაგრამ როგორც ამბობენ, არცთუ ისე სასიამოვნო მგზავრობა გახლავთ, როგორც ნევაზე გინახავთ, სადაც ვილაც აჩხანგელსკიდან გადმოხვეწილი საზოგადოებას ასეირნებდა ხოლმე: შორიდან ხომ ყველაფერი ან უკეთესი გეჩვენება და ან უარესი, მაგრამ ახლოდან რომ ნახავ, მაშინ კი სულ სხვა აღმოჩნდება. აქ ირმებით მგზავრობა სახიფათოც კი არის, რადგან მაია უსწორმასწოროდ იყინება, ყინულჭკრილებიც ბლომად რჩება ზედ, თანაც ირმები სირბილს ვერ უძლებენ და ბლომად იხოცებიან.

მკმუნვარე, უდაბური და ღარიბია ეს მხარე. როგორც არ ცდილობენ, პური მაინც ცუდად მოდის. ამბობენ, იაკუტსკთან უკეთესი მდგომარეობააო: ხალხიც ბევრია, პურიც ბლომადაა, წესრიგიც მეტია და შრომასაც არ იზარებენო. ვერაფერს გეტყვით; ვნახოთ, რა იქნება. აქ კი რომ დააკვირდები, სათიბებზეაც ვერ დაინახავ; ქაობებს გაუესია აქაურობა; თივა ცოტაა და საქონელი იღუპება. ბოსტნეული კარგად მოდის. ნელკანიდან დაწყებული ყოველ სადგურზე კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი თუ სხვა იშოვება.

იაკუტები მაღალაღწვიანი, წვრილთვალება ხალხია, ცხვირიც პაჭუა აქვთ, წვერს იწიწკნიან, შავი თმა აქვთ და თვითონაც შავვკრემნები არიან. ალბათ წარმოშობით სამხრეთიდან არიან და მანჯურეელთა ტომს ენათესავენ. ყველა გაქრისტიანებულია და სპილენძის ჯვარს დაატარებს. ყველა ლოცულობს, მაგრამ ამბობენ, რომ ეკლესიის კანონებს, ე. ი. მარხვას

არ იცავენო. ან როგორ უნდა დაიცვან, როცა საჭმელი არ მოეძეებათ. რასაც დაიხელთებენ, ციყვი იქნება, ცხენის ხორცი თუ სხვა საძაგლობა, იმას ჭამენ; თან რუსებს პურსაც თხოვენ. რუსები ყველანი ძველ რწმენას მისდევენ, ყველანი ბაიკალის პიდამოებიდან არიან ჩამოხვეწილები. მაგრამ ჯვარი კი ინოკენტისა თუ მისი წინამორბედების წყალობით ყველგან აუბართავთ.

ჩაბდას სადგური, 2 სექტემბერი.

ჩვენ კვლავ მაიაზე მივცურავთ; ცივა: შემოდგომის ქარი ზამთრისად გადაიქცა; თოვლი მოდის. ხელ-ფეხი გვეყინება. ნაპირებს შეყვითლებული ხეები მისდევს. მდინარეზე ჩამოცვნილი ფოთლები დაფარფატებენ, ირგვლივ ყველაფერს მწუხარე იერი დაჰკრავს. ნასაუზმევს უცქერი, უცქერი ამ სურათებს და მერე ძილს მისცემ თავს, ნასადილევსაც იგივე ამბავი მეორდება. რუსული სადგურები დაიწყო. იაკუტები აქ მხოლოდ მეეტლეებად მუშაობენ და ჯამაგირს იღებენ. რუსები კი სადგურის ზედამხედველებად განუწესებით. საგზაო ხარჯსაც სულ ისინი ღებულობენ და სახელმწიფოც, გარდა ამისა, თითო სულ გლეხზე ორ ფუტს, ხოლო ქალზე ერთ ფუტ პურს იძლევა. ისინი მოვალენი არიან სახელმწიფოს მიერ მიცემულ საფოსტო ნაგებს მოუარონ. სულზე 1½ კაპიკს იღებენ ვერცხლის ფულით საგზაო ხარჯად. მაიაზე სულ ოცდაერთი სადგურია, თითოეული ოცდაათ, ოცდახუთ და ორმოც ვერსზე მდებარეობს. რუსებში პური შეგიძლია იშოვო; ბოსტნეულიდან კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი, მიწამხალა მოდის, აქა-იქ ძროხებიც ჰყავთ; იშოვი რძეს, ნაღებს, აგრეთვე სიგის ჯიშის თევზს. ზოგიერთ სადგურებზე. მაგალითად ამაში თუ სხვაგან, სადაც ამერიკული კომპანიის კანტორებია, საქონლის ხორციც იშოვება.

რაც ქვევით ვეშვებით. მდინარე თანდათან ღრმავდება, მაგრამ მეჩეჩზე ორჯერ მაინც გავეჩხირეთ: ღამით ბუნდოვნად შემომესმა ხმაური და წრიალი; იაკუტები წყალში ჩაცვივნულიყვნენ ნავის გამოსათრევად. გუშინ ერთმა მენიჩბემ კაიუტის კარში შემოგვძახა: „თქვენო მაღალკეთილშობილებავ! თქვენო მაღალკეთილშობილებავ!“ — „რა იყო-მეთქი!“ —

ვკითხე, ჩემს ამხანაგებს ეძინა. — „ღრიალი თუ შეიძლება?“ — „თუ მოგწონს, კი ბატონო, ოღონდ ყველას გაადვილებ. რაში დაგპირდა?“ — „სადგური ახლოსაა: მაგრამ სადაა მისადგომი, არა ჩანს; იქ გაიგონებენ და შუქს დაანთებენ“. — „თუ მასეა, იღრიალე-მეთქი!“ მთელი მდინარე ფალცეტოებმა და დათვურმა ბანმა გააყრუა. რაღაც საშინელება იყო! ახლა ყოველდამ ამ ყოფაში ვართ, როცა სადგურს ვუახლოვდებით.

ღიახ, ეს მგზავრობა უკვე აღარ ჰგავს ფრეგატზე ფუფუნებით ცურვას: ჩემოდნებზე გაუხდელად გვძინავს; ღვედებთანში გვერქობა, პალტოში ვიფუთნებით; ჩვენი კაიუტის კედლები ჰაიჰარაღაა ნაგები; ნახვრეტებში თითი გაეტევა; ქარი ლაღად დანავარდობს და ზუზუნებს შიგ. ყველაფერი à jour¹, მაგრამ, ღმერთის წყალობით, კიღვე არა უშავს, უარეპიც შეიძლება ყოფილიყო.

ღღეს ივან გრიგორევემა თავი შემოძყო ჩვენს კაიუტაში: „არ შეიძლება ეს ქვა გადავაგღოთ?“ ხელში რაღაც ლამაზი, ჰრელი ქვა ეკავა. „რას ამბობ! ეგ პეტერბურგში უნდა ვაჩვენო: შესანიშნავი ქვაა, ბრაზილიიდან ჩამოტანილი...“ — „საცვლები საღ წავიღო, ღიდ აღგიღს იჰერს, — ამბობღა ივან გრიგორევი. — ნეტავ რა ქვაა აეთი? საღესაღ. მაინც ვარგოღეს!“

ჩაბღის საღგურიღან მაღალი კღღოვანი ნაპირი მიჰყვება სამიოღე ვერსზე, გეგონება, განგებ გაუკეთებიათ სანაპირო, მღინარე აქ განიერია, ჩვენი ოკის სიფართე იქნება; ნაპირებზე მეჩხერი ტყე გაზრღიღა. გღეხები ზაიკალიღან არიან ჩამოსახლებულები. პური აქ გვარიანად მოღის, მაგრამ გღეხები ბურუნღუჩკების ღორმუცეღობას უჩივიან. ეს ის პატარა ტყის ცნოველებია, თავგების მსგავსი, რომლებიც ჩვენ ასე მოგვეწონა ტყეში. რუსები იაკუტებს არ აქებენ, ცუდი მუშებიღაო. „ერთი მანეთიც რომ მისცე ღღიურად, მიწას თავცოცხალო მაინც არ მოხნავსო“. ნიჩბების ტრიალი კი არ სწყინღებათ ოცღაათ-ორმოცი ვერსის მანძიღზე, ხოლო რა წამს მეჩეჩზე გავეჩხირებით, მაშინვე ფეხშიშველი ჩაცივიღებიან ნავის გამოსათრევეღ წყაღში, თუმცა კი ღიღი სუსხი ღგას. გაღმოსახლებულები აქ თითო-თითო, ორ-ორ ან სამ-სამ ოჯახად

¹ აჟურულია (ფრანგ.).

ცხოვრობენ. ქალები ლამაზებია, მალღები, წერწეტები, საამონაკეთები აქვთ. ყველანი ბაიკალიდან ჩამოსულან, ნაწილი ლენინდანაც.

უსტ-მაი, აღდანის დაბა, 3 სექტემბერი.

ჯერჯერობით შოვათავეთ წყლით მგზავრობა. დღეს უკანასკნელ სადგურზე მივედით. სამივე სადგურის გაყოლებაზე მთელი დღე ისევ ფიქალის ზუნებრივი სანაპიროს ცქერით ვტკებოდი. ასეთი პეტერბურგსა და სხვა რომელიმე დედაქალაქს რომ მისცა, ადამიანის ხელი ვერაფერს მიამატებდა თუჯის ხარისის გარდა. გადმოლეკილი მდინარე თავის კვალსა სტოვებს და ფენა-ფენად ნიშანს ადებს ზედ. განსაკუთრებით თიხის ნაპირებზეა ეს ნიშნები ლამაზი. თიხა მაგარია და ისინი კიბეებივით რჩება: შორიდან მთელი ნაპირი ხის კიბეს მოგავს.

ზაფხულში არაფერი სჯობია მიაზზე ცურვას: კუნძულები, კონცხები, არყნარი, ტირიფები, ნაძვნარი ყოველ მხრივ შემორტყმია დასალიერს; ყველაფერი ლამაზია, ყველაფერი გზიბლავს, ოღონდაც სოფლები, ქალაქები, დაბები გაკლია თვალში. რაც ქვემოთ ვეშვებით მიაზზე, გადმოსახლებულები უფრო კმაყოფილები გვხვდებიან თავიანთი ხვედრით. სადგურებზე ყველგან აშენებენ ქოხებს, ყველგან პირველად თვალში ბოსტანი გეცემა; მოცელილი კანაფი უკვე ძნებად აწყვიან. ტუნგუსებიც ნელ-ნელა ეჩვევიან ახალ ყოფას. გუშინ ურიადისა თუ ურიახის სადგურის პატრონი, რომელსაც უამრავი წვრილშვილი ეხვია, თავის ბედს ლოცავდა. აქებდა, რომ პური კარგი მოდის, ოღონდაც ხელი გაანძრე; რომ კანაფიდან ტანსაცმელს აკეთებენ, რომ რაც აკლიათ, უფროსები ყველაფრით უმართავენ ხელს: პურით. საქონლით, რომ ყველაფრით კმაყოფილია, ოღონდ ერთი რამ აკლია... „რა-თქო?“ — ვკითხეთ ჩვენ. „კატები, ბატონო, — გვითხრა მან, — უკანასკნელ კაპიკს არ დავიშურებდი კატაში: თაგვებმა პირდაპირ აგვიკლეს, ვერაფერს დადებ, ვერც თევზს, ვერც ფრინველსა თუ ყურცქვიტას (ყურდღელს) — სულ ამომიჭამენო“.

სადაც კი კომბოსტოს, სტაფილოს, რძეს შემოგვაძლევენ საყიდლად, ყველგან უდიდესი სიამოვნებით ვიღებთ და გულუხვად ვუხდით საფასურს, ოღონდაც გადმოსახლებულებს ამ ახალ ადგილებში ცხოვრების ხალისი არ დაეკარგოთ, ოღონდაც თავიანთი საქონლის გასაღების იმედი არ გადაუწყდეთ. კარგი იქნება, ყველა გამგელღმა საამისოდ არ დაიშუროს, რაც შეუძლია. დღეს მე და თ[ავადმა] ო[ბოლენსკიმ] დაბიდან გამოვისეირნეთ და ტყეში შევედით. იქ ორი იაკუტი შეგვხვდა კალათებით წელში. კალათებში ნანადირევი ეწყო: როჭო, იხვა და ჩინებული დიდი თევზი. „სად მიდიხარ-თქო?“ ვკითხეთ ჩვენ. „არ იცი“, — გვითხრეს მათ, მაშასადამე, რუსული არ გვესმისო.

„უა ვისთან მიგაქვთ? — ვკითხეთ და ფრინველსა და თევზზე მივუთითეთ. „ყიდი“, — ე. ი. იყიდეთ, — გვიპასუხეს მათ. ისინი ჩვენთან გავაგზავნე. იქ ყველაფერი უყიდიათ და რაჟდენიც იაკუტებს ნდომებიათ, იმდენი მიუციათ. თუმცა ამის გულისთვის ჩვენი გასავალის მოთადარივე პ. ა. ტ[ინმენევმა] კარგად გამოგვთათხა.

ასეთი ვაჭრობის შედეგად ჩვენი ნავი ცოტა არ იყოს ჩინურ ჯონკას დაემგანა. ზემოთ (ფარდულის თავზე) ნანადირევი და ბოსტნეული აწყვია, ნავის ცხვირზე საქონლის ხორცი, იქვე ცეცხლი ბუტბავს და ოხშივარი ასდის ქვაბებს. ამ ფლამანდურ ტილოს ძალი ავსებებს, რომელიც კუდს აქიციანებს და ლუქმის დასათრევად მარჯვე დროს ეძებს. ერთ იურტაში კიდევ გამოიჩინა თავი: იაკუტებს არც თაროები გააჩნიათ და არც სადგრები რუსებივით, თავიანთ ჯამებსა და ლანგრებს პარდაპირ მერხის ქვეშ ალაგებენ. ჰოდა, ჩვენ რომ შემოგვეგებენ, ვახშმის ნარჩენები საჩქაროდ მერხის ქვეშ შეაწყვებს. ვიდრე ჩვენ დავსხდებოდით. ძალღმა მათი ჯამები სულ ამოვლიბა. „კარგიც უქნია: საჭმელს მერხის ქვეშ რა უნდაო!“ — თქვა ივან გრიგორევმა.

ჩვენ მსახურები ბლომად გვახლავს, ამას კი ცოტა არ იყოს არეულობა შემოაქვს. სამ კაცს ოთხი კაცი მოგვეყვება, თუმცა სამთავეს ერთიც გვეყოფოდა. ახლა კი ერთმანეთს ხელს უშლიან და ზარმაცობენ. „უკვე საფარეშო გაგვიმართეს, —

სამართლიანად ჩიოდა თ[ავადი] ო[ზოლენსკი], — ამაზე უარესი არა მგონია რამე იყოს. რამდენიც არ უნდა უძახო, ვერ გააღვიძებ, ვერ გააგონებ, ზარმაცობენ, სულ სძინავთ, ერთმანეთის იმედი აქვთ, ჩვენს სიგარებასაც ეწევიან“.

დღეს, სეირნობიდან რომ ვბრუნდებოდით, ყმაწვილი გლეხის გოგო შემოგვხვდა, მეტად ტურფა რამ, მაგრამ რაღაც ავადმყოფური სიყვითლე კი გადაჰკრავდა. ცარიელ, დაშთავრებულ ქოხისკენ მიდიოდა. „გამარჯობა! ავად ხომ არ ხარ?“ — ვკითხვით ჩვენ. „ავად ვიყავი: ერთი თვე თავი მტკიოდა. ახლა გამოვკეთდი,“ — თამამად გვიბასუხა მან. „რა ლამაზი ხარ!“ — უთხრა ერთმა ჩვენთაგანმა. „უყურე, რას ამბობს! — უბასუხა მან, — ისა არა ჯობს შემოხვიდეთ და ნახოთ, კარგად თუ ვაშენებთ ქოხს?“

ჩვენ შევედით: ღუმელი ჯერ არ დაემთავრებინათ; გამოუმწვარ აგურებისგან აეგოთ. ჰერი ძალზე მაღალი გაეკეთებინათ; სამი დიდი ფანჯარა ქუჩისკენ გადიოდა, ორიც ეზოში, ერთი სიტყვით, დიდსა და ნათელ ოთახს წარმოადგენდა. „უფროსები გვიბრძანებენ, მაღალი ქოხები და დიდი ფანჯრები გააკეთეთო“, — გვითხრა ყმაწვილმა გოგომ. „აგურებს ვინ აკეთებს?“ — „ვინა? მე და მამა“. „შენ კაცის საქმეებიც შეგიძლია?“ — „მამ არადა, მორებსაც ვჩეხ და ყანასაც ვხნავ.“ — „ნუ ტრახახობ!“ — მის ძმას ვკითხვით, მართალს თუ ამბობდა. „მართალიაო“, — გვითხრა მან. „მე რად არ დამიჯერეთ, გეგონათ, ვტყუოდი: ტყუილი ცოდვაა! — შეგენიშნა ლამაზმანმა. — ჩვენს სახლში ყველას მე ვუყერავ, ვხარაზობ კიდევ“. — „სტყუიხარ, აბა, ფენსაცმელი გვაჩვენე“. მართლაც რიგიანად შეკერილი ფეხსაცმელი გამოდგა. „აქ ჰვავრიელი ადგილებია, — გვითხრა მან, — ოღონდაც მუშაობა არ დაიზარო და ჰკავი მშვენივრად მოდის, განსაკუთრებით საშემოდგომო, კანაფიც კარგია; საქონელსაც არ აკლია საქმელი. არაყი არ იშოვება, კაცები ველარ სვამენ. აქ კარგად მოვიდგით ფეხი, ცარიელ-ტარიელები კი ჩამოვედით. ახლა ძროხაც გვყავს, ხბოც, ცხენიც; ნელ-ნელა ოჯახს ვმართავთ. აგერ ახალი ქოხი გვინდა სადგურად გავაჭირავოთ“.

ამ მხარეში არაყი მართლაც არ იშოვება — ვისაც სმა არ უყვარს, ყველა მოხარულია ამ ამბოს: ძალაუნებურად ყველა

კარგად იქცევა, არავინ იკოტრებს თავს. ჩვენც გვიხარია, რომ არაყი არა გვაქვს. (მსახურები ამბობენ, მთაზე დაიმსხვრაო).- თუშკა პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩი] სადამოებით საცოდავად იხვეწება ერთ ჭიქა არაყს, ვიყინებო. მაგრამ უარყოფ უკეთეს დღეში ვართ: ჩვენები ფხიზლად არიან, ჩაის ყლურწავენ. მარტო, არც არავინ გამხდარა ავად, ჯანზე უფრო უკეთ გრძნობენ თავს. აქ ბოქაული დაგვიხვდა. ცხენების მოაყვანად გაგზავნა წინდაწინ ხალხი და ისიც შეუთვალა, მარქათა ცხენები დაეხვედრებინათ. ისევ ცხენით მოგვიხდება მგზავრობა; ისევ ჭაობებში და სოფლებში უნდა ვიწოწიოლოთ! გულს გვიკეთებენ, გზა აქ უკეთესიაო — ღმერთმაც ქნას! ამბობენ, ცხენით მარტო ოთხმოცი ვერსია გასავლელი, მერე ეტლით შეიძლებაო. რვაასი ვერსი უკვე გამოვიარეთ: ორასი ცხენით და ექვასი ნავით მიახზე; იაკუტსკამდე ოთხასი ვერსილა დაგვრჩენია. იქიდან ლენაზე სამი ათას ვერსს გავივლით, ირკუტსკიდან კიდევ ექვსი ათასი იქნება—ეს ციფრები თავზარს დასცემს სწორედ ადამიანს! უნდა დავეშუროთ, რომ იაკუტსკიდან ლენაზე სამგზავროდ ნავში ათ სექტემბერზე გვიან არ ჩავსხდეთ, თორემ მდინარე გაიყინება და ირკუტსკამდე ველარ მივალწევთ.

ტყეში, ტუნდრაზე, 5 სექტემბერი.

ალარ შემძლია, ჭაობებმა ილაჯი გამაცალა! ცხენები მუცლებამდე ეფლობიან. იაკუტი გვეუბნება: „რა არ ხდება, ხანდახან სული ძვრებათ კიდევ; ყველაფერს სჯობს ფეხით თუ ნაბიძ-ნაბიძო,“ როგორც თვითონ გამოთქვამს უდიდესი სინაზით. „ზაფხულობით აქ სულ წყალი და წყალი დგას, — განაგრძო მერე, — ფოსტალიონი მოდიოდა, ცხენით ველარ შესძლო და ნაბიძ-ნაბიძ წამოვიდა, წყალი მკერდამდე სწვდებოდა, ციოდა, გაიყინა, ძალზე ჯავრობდა“.

უსტმაის თუ ალდანის დაბიდან აგერ მეორე სადგური გამოვიარეთ. გუშინ ოცდათერთმეტი ვერსი დავფარეთ; იქაც ჭაობები იყო, მაგრამ აქაურთან მოგონებაა. მათი წყალობით სადგური ჩვიდმეტ ვერსზე მოუწყვიათ. ალიონზე ავდექით დიდილს სუსხით გაყინულ გზას გავუდექით. ცხენებს ყოველ ნაბიჯზე უცურდებათ ფეხი; დაქედნილები არ ყოფილან. თ[ავა]-

დი] ოქბოლენსკი] ამბობს, რომ შვრიას არ ჰამენ და ფლოქვები ამიტომ უფრო მაგარი აქვთო.

ჩემი ამხანაგები ბარგიანად წინ წავიდნენ; მე მხოლოდ ჩემი მსახური დავიტოვე. სადაც გზას არა უშავს, ცხენით მივიღივარ, სადაც უხეიროა — ფეხით მივყვები. შარაგზა ტალახის ვარცლად გადაქცეულა. მეგზური, იაკუტთა ჩვეული თავაზიანობით, ხიდან ტოტს ტეხს, შტოებს დანით აცლის და კომბალს მაწვდის. დღეს იურტაში გავათიეთ ღამე. ეს რა სასაჯელი იყო! უხეირო ძელები პაიპარად მიუჭედიათ, ნახვრეტები ქალაღლით ამოუესიათ, მერხებზე თივა ჰყრია, ბუხრის ცეცხლს სად დაემალო, არ იცი, სამაგიეროდ გუშინ ჩაი გიახელით იაკუტელ ბანოვანებთან ერთად. ისინი სუფრაზე მოვიპატიეთ, მამაკაცები კი, სადაც მოთავსდნენ, იმავე კუნძულში დავტოვეთ. იაკუტ ქალებს ირმის ტყავის შაღალი, წოპწოპა ქუდები ეხურათ, თეთრი ხალათები ეცვათ და განთქმული სარები ემოათ ფეხზე. ამ მიზეზით ახლოს ვერ ვეკარებოდით. ორი ახალგაზრდა იყო მათ შორის. ჩაი დავუხსნით, ქუდები მოიხადეს, თმა გაისწორეს და პირჯვარი გადაიწერეს, ჰიქები რომ აიღეს ხელში. ერთმა რძე მოგვიტანა. აქ უკვე ძროხები ჰყოლიათ. მაგრამ ნახვამდის ჯერჯერობით: დროა უკვე კოლმობ-კოლმობ საჩიქჩიქოდ გავწიოთ!

ვიდრე მე ტყეში წერილებს ვწერდი და ჰაობებს ფრთხილად ვუვლიდი გვერდს, ჩემმა ამხანაგებმა მიცადეს თურმე სადგურზე და მერე გზა გააგრძელეს. ჩაი, შაქარი, ასე გასინჯეთ, ხორციც კი დამიტოვეს, ხოლო ჩემი ბარგი — ლოგინი, საცვლები და ფული თან წარიტანეს. ნახევარი საათის მოსული არ ვიქნებოდი, რომ თ[ავადი] ოქბოლენსკი] მობრუნდა. გზაში ბოქაული შეხვედროდა. ამ უკანასკნელმა იმდენი სიკეთე გამოიჩინა (ბ. ატლასოვი იყო გვარად, კამჩატკის ერთ-ერთი უმამაცესი დამპყრობის ატლასოვის შთამომავალი), რომ განზრახ წავიდა თურმე წინ ჩვენთვის ცხენების დასახვედრებლად. შემდგომ სადგურიდან, მართალია გაჭირვებით, მაგრამ უკვე შეიძლება ურმით მგზავრობა. ურემი მხოლოდ ერთია: ამიტომ ის მე დამითმეს, სხვები კი ცხენებით იმგზავრებენ.

ჰოდა, ახლა მარტო ვიმყოფებით მე და ჩემი მსახური ამ უღარიბეს იურტაში, სადაც უამრავი ფარღალალებია კედ-

ლებში და სადაც იაკუტების ოჯახი ცხოვრობს. კარგად მიმი-
ღეს. ბუხარში შეშები შეუმატეს, სულ წინ გამომჭიმეს, რძე
მომართვეს. ოღონდაც საუბარი ვერა და ვერ გავუბი; რასაც
არ ვკითხავ, „არ გვესმისო“, მეუბნებიან. სიღუბნური, სივე-
ლური და... სიბინძური სუფევს-მეთქი ვიტყვოდი, მაგრამ რომ
მიმოვიხედე, ვერსად ტარაკანი თუ სხვა საძაგლობა ვერ შე-
ვამჩნიე... თუმცა ისიც უნდა ითქვას, მწერს რა აბოგინებს იქ.
სადაც კედლები დაუგმანავ ძელებისგან შედგება და მხოლოდ
აქა-იქა თიხით გაგლესილი? ბუხარი სულ გუზგუზებს, ვიღრე
არ ჩააქრობენ; იურტაში კი მაინც სიცივე დგას. ოჰ, ჩქარა
გავცილდეთ ნეტავ ამ უკაცურ, უტყვ მიდამოებს! კაცს გული
გადაგლევა: ოცდაათი ვერსის მანძილზე კაციშვილი არ გაი-
ჭაჰანებს, არავინ შეგხვდება, საცხოვრებელს ვერსად დალან-
დავ; არც გზა ჩანს სადმე! სულ ტყეები და ჭაობებია. ამბობენ,
აქედან უარესი გზა მიდისო. ნუთუ იმაზე უხეირო იქნება, რო-
გორც დღევანდელ ჩვიდმეტ ვერსზე მოგვიწია? იაკუტსკამდე
კიდევ სამას ორმოცდაათამდე ვერსია დარჩენილი. არა, ეტყო-
ბა, ლენაზე მდინარის გაყინვამდე ვერ მოხვდები; ალბათ
იაკუტსკში მომიხდება ცდა, ვინემ ზამთრის გზა დადგება.

თქმა არ უნდა, რომ ამ ტრაქტზე დიდი ხანია უკვე საურმე
გზა შეიქნებოდა, თუ რომ... მგზავრები ჰყავდეს; მაგრამ ისინი
ისე ცოტანი არიან, ისიც შემთხვევით მოხვედრილები, რომ
გზის გაყვანის ხარჯსა და შრომას ვერაფერი აანაზღაურებს.

აქ, ამ სადგურზე უკვე იგრძნობა დოვლათი. მასპინძელს
ოთხი თუ ხუთი ძროხა ჰყავს და მაგიდას წითელი ჭინჭი
აფარია.

ნ სექტემბერი. დღეს ოცდათერთმეტი ვერსი გავიარეთ,
თითქმის სულ ჩორთით. საოცრად თვინიერი ცხენი მომგვარეს,
ფეხი არ უსხლტებოდა. ეს გზა მართალია გაცილებით სჯობია
გუშინდელ ჩვიდმეტ ვერსს, მაგრამ ალაგ-ალაგ ისე გავვიჭირო-
და მაინც, ნუ იტყვით! მიდიხარ მშვენიერ ბილიკზე, უცებ
ასიოდე საუენზე ჭაობი გადაიჭიმება. როცა ამ დილით იურტი-
დან გამოვედი ცხენზე შესაჯდომად, ყველაფერი ღამით მო-
სულ თოვლს დაეფარა. როგორ ვივლით-მეთქი? მიკვირდა
პირდაპირ. ღრანტეები, ორმოები თუ კოლხონები თოვლს
ვერაგულად დაემალა! უკეთესი კი გამოდგა: როცა არ ხედავ

თურმე, არც ფიქრობ განსაცდელზე. ფათერაკის მოლოდინით
თუ ეგვი კაცს უფრო აწუხებს, ვინემ თვით ფათერაკი. ჩემის
ფიქრით, ყოველი კაცი რწმუნდება ამაში ყოველ ნაბიჯზე.

ჩვიდმეტი ვერსი რომ გავიარეთ, მეეტლის ცხენმა დასვე-
ნება მოიგუნება ტყეში, მე კი საუზმობა, ბალახი თოვლს დაეს-
ველებინა და ზედ წამოწოლა შეუძლებელი იყო. ვილაცის მიერ
დატოვებული მარხილი რომ დავინახე, ზედ დივანივით წამოვ-
წევი მხართეძოზე. ირგვლივ უდაბნო მერთყა. თუმცა რომელი
უდაბნო: ფიჭვისა და ნაძვის ტყეები, ალაგ-ალაგ მთები და
ჭაობები გადაქიმულიყო! პეტერბურგსა თუ მოსკოვს ოცდა-
ათიოდე ვერსზე დაშორდით სადმე ტყეში და იგივე უდაბნოში
ამოჰყოფთ თავს. ოღონდ თავი დააჯერეთ, რომ ირგვლივ ათა-
სიოდე ვერსზე კაციშვილი არ ცხოვრობს, როგორც მე ახლა
ჩემს თავს ვაჯერებ, ვითომ ახლომახლო ადამიანები სახლობენ.

დღეს, მზე არ იყო ჩასული, რომ სადგურზე მოვედით,
თუმცა ვერ გეტყვით, სად. სახელები პირდაპირ საშინელი
ქვეიათ. ამინდი აირია. იქ ძროხები, ცხენები და სხვათა შორის
ურემი დამიხვდა, მთავარ იურტასთან სხვადასხვა ნაგებობე-
ბიც იდგა, ყველაფერს საოჯახო წესრიგისა და შეძლების
ბეჭედი ატყვია. ურემი ჩემთვის მოუმზადებიათ. ჩემი ამხანა-
გები ამ დილით წასულან წინ. აქ უკვე ნაურმალის კვალი ჩანს.
იურტაც უკეთესია, ოღონდ ფარღალალები ბლომადაა და სა-
ხურავიდანაც სულ რაღაც გვეყრება თავზე, ალბათ თავგები
დაწრიალებენ. ორი იაკუტი ქალი რაღაც ქვაბს დასტრიალებდა.
ისე აცვიათ, თუ საყურეები არა, მამაკაცებისგან ვერ გამოარ-
ჩევ. მეეტლები ვახშობენ. ცეცხლი ტყაცუნებს, ნაპერწკლები
აქეთ-იქით ცვივა, ასე რომ, შიშით ვერ დაიძინებ.

7 სექტემბერი. მგონი, ცხენზე ჯდომას თავი დაეუკარი-
უკვე. აგერ მეორე სადგურია ურმით ანუ სკატით მივდივარ,
როგორც რუსები და იაკუტები ეძახიან, თუმცა არ ვიცი, რა
ენაზე. ურემი ჩვეულებრივია, ოღონდ უფრო დიდი, გრძელი
და ღრმა. დღეს დილით რომ ჩავჯექი, ასე მეგონა, დივანზე
გავგორდი-მეთქი! ნეტავ თუ ფიქრობთ, რაკი ურმით მივდი-
ვარ, უკვე გზა და ნაურმალია გაკაფული: სულაც არა, ხან
ბილიკებზე, ხან გაყინულ კოლბოხებზე, ხან ბალახზე მივჩიქ-
ჩიქებთ. ამ გზის შემხედვარე უთუოდ იტყვი, არც ფენით,

არც ცხენით არ გაისვლება, შეიძლება ზტუნვა-ზტუნვით იარო მხოლოდ. იაკუტმაც იმდენი გვაზტუნავა, სული შეგვეგუბა ლამის. მე ღვედებიდან ეგრეთ წოდებული ლასტი გამიკეთეს და აღარც მაჯანჯლარებს!

მეორე სადგურ იჩუგეი-მურანსკიდან ეგორ პეტროვიჩ ბუშკოვს მოვყავდი. ის მეშჩანინი გახლავთ, ოთხი ცხენის პატრონია და იაკუტ მენარდესთან მეეტლედ მუშაობს ქირით. ამ იაკუტთან ერთად ცხოვრობს კიდევ იურტაში. ცოლ-შვილიც იქა ჰყავს. კარიდან მისმა თერთმეტიოდე წლის გოგონამ გამოგვხედა, მშვენიერი გოგო იყო, წმინდა წყლის რუსული სახე ჰქონდა. „რა ჰქვია-მეთქი?“ — ვკითხე. „მატრიონაო, — მითხრა მამამისმა, — რუსული არ იცისო“, — დაუმატა თან. „ღედა იაკუტი ჰყავს? აგერ, ის ხომ არა?“ — ვკითხე მე და ერთ არსებაზე მივუთითე, რომელიც ქალის გარდა ყველად ფერს ჰგავდა. „არა, რუსია; მაგრამ ჩვენ სულ იაკუტებთან გვიხდება ცხოვრება და ამიტომ ყმაწვილებმა რუსული არ იციან“. ვაჰმე, რაოდენ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი მაინც უცხო-უცხოს ტრფიალი: თუ ფრანგულად და ინგლისურად არა, მაშ იაკუტურად უნდა ილაპარაკონ ყმაწვილებმა! რამ მოიყვანა ეგორ პეტროვიჩი ბუშკოვი იჩუგეი-მურანსკის სადგურზე, რად მუშაობს ქირით იაკუტთან, რამ აიძულა მასთან ერთად იურტაში ეცხოვრა — ეს მისი საიდუმლოება გახლავთ, რომელიც ვერა და ვერ ამოვხსენი.

ახლა არ იყო იურტები გიქეთ და გიდიდეთ, მწერებს შიგ ვერ ნახავთ-მეთქი, მაგრამ წინა სადგურზე იმდენი ტარაკანები დამიხვდა, ჯერ იმდენი არც ერთ რუსულ ქოხში არ მინილავს. შიგ შესვლა ვერ გავებდე. აქაც იგივე ამბავია, მაგრამ ღამეს კი ვათევ! მხოლოდ აქ მარტო ტარაკანები არ უნდა იყოს. დავიჯერო, მათი წყალობით ვწრიალებ გვერდიდან გვერდზე?

მაშასადამე, დღეს ორმოცდაათობმეტი ვერსი გავიარე. ცხენები არაა: ყველა ჩემს ამხანაგებს წაუყვანიათ. მეეტლებმა მითხრეს, მათ თურმე ერთი სადგური ურმებით უმგზავრიათ, მერე კი ცხენებით გაუგრძელებიათ გზა. აქ ას ოთხმოც ვერსს რუსებით დასახლებულ ამგინის დაბამდე ყველა ცხენით ამაჯობინებს გავლას; თუმცა სამოცდა ჩვიდმეტი ვერსის შემდეგ უკვე ურმითაც შეიძლება იმგზავრო. მეც სწორედ ასე მოვი-

ქეცი. ოღონდ ნაურმალს ნუ გაჰყვებით, მეტწილად ბილიკებს ან მთლიანად ჭაობს მისდიეთ. ის ბალახით მოდებულ კოლბოხებითაა მოფენილი, რომლებიც ჰვავის მოცელილ ძნებს ძალზე წააგავს. საკმაოდ ლამაზ სანახავს წარმოადგენს: ურეში ნჯღრევა-ნჯღრევით მიდის, იაკუტს კი ჩორთით მიჰყავს ცხენები იქ, სადაც ჩვენებური მეეტლე ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულზეც შეყოყმანდება.

გზა თანდათან გამოცოცხლდა. ალაგ-ალაგ ძელური იურტების გარდა თიხით შეგლესილიც ჩანს. დავინახეთ თივის ზვინები, იქვე ძროხები ბალახობდნენ. ეგორ პეტროვიჩს ათიოდე ძროხა აბადია.

ტყე მრავალფეროვანი და დიდრონი გახდა. ვეებერთელა ფიჭვები და ნაძვები, ლამაზად წამოქცეულები, მეზობელ ხეებს დასწოლიან. ბალახი ბარაქიანად ბიბინებს. „ვაჰ, რაჟღენი თივა! არავინ კი არ თიბავს!“ — წამლაუწუმ იძახის გულსტკივილით ტიმოფეი, თუმცა ბარე ათჯერ მაინც აეუბსენი, ვინ უნდა გათიბოს, როცა ამ მიდამოში კაციშვილი არ სახლობს-მეთქი. „რა ტყუილად იკარგებაო!“ — ოხვრით ამბობს ის.

მალალი მთები არა ჩანს, მაგრამ სულ კი გორაკების ძირას შივდივართ, ისინი მალნართაა დაფარული. იაკუტები წარაჩარა გვხვდებიან; მშვიდი, ზრდილობიანი ხალხია; გორაკებიდან თუ გზიდან იმწამსვე გადმოუხვევენ, რა არის გამვლელს მიესალმონ. ამგიდან იაკუტსკამდე ექვსი სადგურია. მაგრამ იქ უკვე ურმით შევიძლია მგზავრობა, სადგურებზე ტარანტასებიც ჰქონიათ. უეჭველია, აიანის ტრაქტზეც შეიქმნება საურმე გზა. წლიდან წლამდე მდგომარეობა უმჯობესდება; სავერსო ბოძები უკვე დადგმულია; სასადგურო სახლების ასაშენებლად განკარგულებაც გაცემული ყოფილა. ერთი ნახეთ, ახლაც რა მთები მოთხარეს, რა გაუვალი ჭაობები აქციეს გასავალად! რამდენი შრომა, მოთმინება, ყურადღება დახარჯულა იმ სივრცის გამო, სადაც თითქმის არავინ დადის, სადაც თითქმის არავინ ცხოვრობს! ნეტამც ჩვენს სატახტო დიდკაცობას დაანახვა, აქაური თანამშრომლები (თვით გენერალ-გუბერნატორის ჩათვლით) ამ სივრცეებზე როგორ დააჰყენებენ ცხენებს, ვინძლო სირცხვილით გაწითლებულიყვნენ თავიანთი ეგრეთ წოდებული დაუცხრომელი შრომის თაობაზე... თუმცა ვინ იცის, იქნებ არც გაწითლებულიყვნენ!

არ გჯერა, თუ იაკუტის მიდამოებში მიდიხარ, სადაც წინათ ყვავსაც არ გავარდნია ძვალი. მინდვრები პურის და ქერის ყანებს გამოუცოცხლებია, ერთ გოჯზე ამოწვერილი ჯეჯილიც ვნახეთ, ოღონდ ჰვავს ვერსად მოვკარით თვალი. პურა უკვე ძნებად შეეკრათ, თივა ზვინებად დაედგათ. მშვენიერი დღე იდგა. ჩვენი ზანზალაკის ხმა რომ მოესმათ ლელესთან, ცხენების რემა დამფრთხალი გავარდა განზე, ამ ხმას ისინი ჯერ აქ მიხვეულნი არ ყოფილან. მარტო მათ შუა მოქცეულმა ძროხამ თითქო გაკვირვებით გამოიხედა, ნეტავ რამ დააფრთხოთო. ნესტოში რგოლგაყრილი ხარი, იაკუტი ქალი რომ მოჰყავდა, უეცრივ შედგა, სახე მოატრიალა და ჩვენს ქარავანს ალმაცრად გამოხედა.

ნატარის საღვურამდე ცხრა ვერსის მოშორებით მაიას შენაკად პატარა მდინარე ამაზე პირველყოფილი სახის ბორანიოთ გადავედით. ის ლაფნით შეკრულ ცხრა მორს წარმოადგენდა, სხვა არაფერი გააჩნდა, თუმცა კი ზედ ურენი და სამი ცხენი იდგა.

მორე ნაპირზე სხვა, დასვენებული ცხენები ვიშოვე. სწრაფად გამაქროლეს ჩინებულ გზაზე, მამასადამე ერთ სწორ მინდორზე. ნაურმალი ზედ არ ჩანდა: ეს ჯერ კიდევ უკანასკნელი ზემო საღვური იყო. შემდეგ ერთიმეორეზე უკეთესი და მდიდარი მინდვრები გამოჩნდა. მინდვრებში ქერის ძნები და თივა გრძელი მარხილებით მოქონდათ ხარებს, — დიახ, მარხილებით, მერე რა, რომ თოვლი არ იღო. ეტყობა, ბორბლის ოსტატობა აქ ჯერ ყველგან არ ყოფილა გავრცელებული, ან იქნებ კოლბოხებსა და ქაობებზე მარხილი უფრო გამოსადეგი იყო — არ ვიცი და ვერაფერს გეტყვით: ეგორ პეტროვიჩმაც ვერაფერი მითხრა ამაზე. „შეძლებული იაკუტები ცხოვრობენო აქ“, — ესლა თქვა ჩემს შენიშვნაზე, მდიდარი მხარე ჩანს-მეთქი. — „ქვავი არ მოჰყავთ?“ — ვკითხე მე. „არაო“. — „მამ რას ჰამენ? — „ქერის ფქვილს: ერბოში ან წყალში ზელენ ლავაშებს და აცხობენ, ხან ფაფას იკეთებენ“. — „ამგის დაბის იქით თუ თესენ?“ — „არა, არ თესენ: იქ ცივა და პური იყინება“. — „აკი სულ რაღაც ოცდაათი თუ

ორმოცი ვერსია განსხვავება“. „ღიახ, ჩვენც ეგ არ გვიკვირს სწორედ“. — „თევზს თუ იჭერენ ამგაში?“ — „როგორ არა, ნაირ-ნაირს, ოლონდაც პატარებია“.

ფრინველზე აღარაფერი მიკითხავს, ვინაიდან ყოველ ას ნაბიჯზე ცხენებს ხან როჭო აუფრინდებოდა ფეხქვეშ, ხან ცი-ცარი. ციცრები სულ გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ ხეებზე, ტბებში, ჩვენგან ოციოდე საყენზე იხვები ჭყუმპალაობდნენ. „ნადირი თუ იცის-მეთქი“ — „არა, ბატონო, არ გაგვიგია: ყურგარძელები ბლომადაა, კიდევ ბურუნდუკებიც“. — „დათ-ვები და მგლები?..“ — „თვალთაც არ გვინახავს“.

მოდო და დაიჯერე. მაიაზე პიოტრ მანკოვმა გვითხრა, ძალზე ბევრნი არიანო, მაგრამ მადლობა ღმერთს, ნადირებს მალე გასწყვეტენ და ტყეში ცხოვრება საშიში აღარ იქნებაო. „ვითომ რას დაგიშავებთ ნადირი?“ — ვკითხე. „როგორ თუ რას? მთელ იურტას სულ ძელ-ძელად დაანგრევს“. — „განა ვისმე დაუნგრია?“ — „არა, არ გამიგონია“. — „ნადირი თუ გინახავს მაინც აქ ახლომახლო?“ — „რას ბრძანებთ, ღმერთმა დამიფაროსო“.

მალე მივადექით ამგის დაბას. ის ორ-სამ ვერსზეა გაფანტული; აქ სულ იაკუტები სახლობენ, მეტწილად ქოხები უდგათ, მაგრამ არც რუსულ ქოხებს ჰგვანან მთლიანად და არც იაკუტურს. ხატების ქვეშ მდგარ მაგიდაზე წითელი ჭინჭი თითქმის ყველას უფენია და ევროპის და ცივილიზაციის ნიავს გაუწყებს. ამგაში ჭინჭი უკვე წითელი მაულის ნაჭერმა შესცვალა. სადგურის პატრონმა კაზაკმა მეტად ცივად განმიცხადა, ცხენები არა მყავსო: ჩემს ამხანაგებს წაუსხამთ თითქო სუყველა. „ცხენები აუცილებლად მჭირდება-მეთქი“. „არააო“, — ცივად გამიმეორა მან. „თუ ქალაქში დამაგვიანდა მისვლა, — უფრო მეტი მედიღურობით ვუთხარი მე, — და მკითხეს, რად დაიგვიანეო, მეც მიზეზად ვეტყვი, შენ რომ ცხენები არ გყავდა...“ თუმცა ვინ მკითხავდა ამას ქალაქში ან რისი გულისთვის, ეს არც კაზაკმა იცოდა და არც მე. ამ ამბავმა მაინც გასჭრა. „ჩაის ხომ არ მიირთმევთ აქ?“ — „შეიძლება დავლიო, რად მეკითხები?“ — „ცხენებს ამასობაში მოგიგვარებთო“. დავყაბულდი და მღვდლის სახლისკენ გავწიე. დაბაში ფერისცვალების ფიცრული საყდარი დგას. სამი მღვდე-

ლიც ჰყავთ; ისინი სად არ დადიან ცხენით ამ უზარმაზარ სივრცეებზე ლოცვანებით ხელში. თვით დაბაში ექვსასამდე სული ცხოვრობს.

როგორც კახაკმა მითხრა, ისეც მოგვარდა საქმე: ერთი საათის შემდეგ ისე მიმაქროლებდნენ ცხენები, ლამის სუნთქვა ნეკვროდა. ერთ ტროიკაზე მე გახლდით, მეორეზე ჩემი ბარგობარხანა. საათნახევარში უკვე ჯვრის სადგურზე გავჩნდით. „მაგრამ ცხენები არააო“, — მაუწყა რუსმა იაკუტმა. უნდა მოგახსენოთ, რომ მაგრამ-ს აქ დიდი ჯაფა და გარჯა ადგია, როგორც შევნიშნე. „მაგრამ ძროხა მოწველეო“, — ეტყვის უცბად ერთი რუსი იაკუტი მეორეს, ყოვლად უმიზეზოდ: ის წარმოშობით რუსია, ლაპარაკით იაკუტი. ევორ პეტროვიჩი კი დაბაში ვიღაც კაცს რომ შეხვდა, იაკუტურად გამოელაპარაკა. „იაკუტია-მეთქი?“ — ვკითხე. „არა, რუსია, ჩემი ღვიძლი ძმაო“. — „რუსული იცის?“ — „როგორ არა“. — „მაშ რუსულად რად არ ელაპარაკები?“ — „ასე ვართ მიჩვეულებიო...“

ჯვრის სადგური უფრო ფერმას წააგავს, მთელი ანგის დაბა და მისი მიდამოები კი გერმანული კოლონია გეგონება. ჩინებული საქონელი ჰყავთ, ქალები ხარებით დადიან; იურტები სუფთა აქვთ (თუ რწყილებზე არას ვიტყვი).

„მაგრამ ცხენები მჭირდება-მეთქი“, — ვუთხარი. „არააო“ — მიპასუხა რუსმა იაკუტმა. „თუ რომ ქალაქში დამავიანდა, — დავიწყე მე, — და იქ მკითხეს, რატომ...“ — გავიმეორე დანარჩენი. წარმოიდგინეთ, აქაც გასკრა ჩემმა ფანდმა. გამოცხადდა ოთხი, ჰემმარიტად იაკუტელი იაკუტი და სასწრაფოდ შეაბეს ცხენები. ბარგის ურემს სანი ცხენი შეუბეს, მეოთხე უკნიდან მიაბეს, მე თავად წყვილი ცხენი მერგო. „ასე რატომ-მეთქი?“ — ვიკითხე მე. „იმას გზაში შეეუბამთ“, — მითხრეს იაკუტებმა. „მაშ ცოტა ფეხით გავისეირნებ-მეთქი“, — ვთქვი, ვეება ფიჭვებს ჩავუარე და მშვენიერ მინდორს გავყევი. „არ იქნება, ბატონო: შუა ცხენი თხასავით სკუპ-სკუპით წყდება ადგილს, გზაზე ვერ გავაჩერებთო“. — „კარგი ერთი, როგორ ვერ გააჩერებ!“ — ვუთხარი და გზას დავადექი. კარგა ხანს მესმოდა, როგორ მომყვიროდა რუსი იაკუტი ხ ა ტ ე ი (ასე ეძახდა ის თავის თავს

და სხვებიც ასე უწოდებდნენ) და მეხვეწებოდა, რომ დაემჯდარიყავ. ერთი ვერსი რომ გავიარე, უცბად უკნიდან გამზაგებული თქარათქური გავიგონე. სანანებელი გამიხდა, რად არ დავჯექი-მეთქი. ვერაფრით ვერ გავაჩერეთ. ზ ა ტ ე ი მ (ალბათ ზაკხეიმ) მათ მინდვრისკენ უქცია პირი, ხეს მიაგლო და ამით გააჩერა. მე დავჯექი, ცხენებმა ერთბაშად უკან მოატრიალეს. ურემი აპრიკინდა. ზატეიმ აღარ იცოდა, რა ექნა. მოცივიდნენ იაკუტები; ცხენებმა ტლინკები აპყარეს. ბოლოს ისინი გამოხსნეს და ერთი მესერაზე მიაბეს, ჭაობს რომ ერტყა. ცხენმა გაიწია; დამპალმა მესერმა ველარ გაუძლო, ცხენმა ტყისკენ მოუსვა და თან მესრისეული თითქმის მთელი მორი გაითრია . . . თოკით.

„ახლა დილამდე ველარ დავიჭერთ, ცხენები სხვა აღარა გვყავს!“ — სასოწარკვეთილებით იძახდა ზატეი. შემეცოდა, მაგრამ ჩემი ბრალი კი იყო ყველაფერი. „რა გზაა, გათენებამდე დავრჩები ისევ აქ, ცხენები დაისვენებენ და მერე გავუდგეთ გზას-მეთქი“ — ვუთხარი მე.

ზატეის სახე გაებადრა, მე კი გული დამწყდა, აქ რომ უნდა დავრჩენილიყავ და დრო დამეკარგა. „რას იზამ, ბიფშტექსი მოამზადე და სამოვარი დადგი-მეთქი“, — ვუთხარი ტიმოფეის. „ნეტავ რისგან? — წარბი შეკრა მან, — ბარგი და სანოვაგე კი წაიღეს უკვე“. ამ ამბავმა უფრო მეტად დამალონა. გამობხსნილ ურემში დავრჩი და თავი ჩავქინდრე. „ჩაი გავამზადო?“ — მკითხა ტიმოფეიმ. „არა-მეთქი“, — მოლუშვით მივუგე. იაკუტები ცნობისმოყვარედ შემომკექეროდნენ. უცბად მასპინძლის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი მომიახლოვდა, რუსული სცოდნოდა. „ბატონო“, — მორიდებით შემომბედა. „რა იყო-მეთქი?“ — კუშტად გავეხმაურე იმასაც. „ჩვენ იხვი გვაქვს, ღღეს მოკლეს, ვახშმად ხომ არ ინებებ?“ — „იხვი?“ — „ჰო, კიდევ ციცარიც გვაქვს“. ყურებს არ ვუჯერდი. „სადა გვაქვს? აბა მაჩვენე“. ის იურტაში გაიქცა და ციცარი და იხვი გამომიბრებინა. „ღღისით ჯერ კიდევ ტყეში სეირნობდა ორთავე“. „ამდენ ხანს სად იყავი, თუ ციცარი და იხვი გქონდა! ტიმოფეი, შეხე. აგერ იხვი და ციცარია...“ — „ვიცი, ვიცი, უკვე ტაფასაც ვხეხავ“, — გამომძახა ტიმოფეიმ. ერთი საათის შემ-

დღე მშვენიერ ვახშამს ვუჯექი. იაკუტმა კიდეც ორი წყვილი ცრცარი და როჭო მომიტანა სახვალიოდ.

9 სექტემბერი. „მაგრამ ცხენები თუ არის?“ „ვიკითხე ირგალახის სადგურზე. „ცხენები არააო“,—მივიღე პასუხად. „თუ რომ დამავგიანდეს და ქალაქში მკითხონ“ და ა. შ. „ცხენები არააო“, — გაიმეორა რუსმა იაკუტმა.

გზა მშვენიერი იყო, მაშასადამე, ტალახიანი, ცხენებისთვის ყოვლად ცუდი, მაგრამ მხედრისთვის კი ფრიად რბილად სავალი. ყველგან მინდვრები და თივა მოჩანდა, პური კი ვერსად დავინახეთ, ქალაქიდან ჩააქვთ თურმე. როგორც იქნა, ერთი ლამაზი იაკუტელი დიაცი ვიხილეთ, თქმა არ უნდა, კეკლუცი ვინმეც გამოდგა. რომ შეგვაძინა, ვუყურებდით, ხან თივის ზეინს ამოეფარა, რომელსაც ადგამდა, ხან ხარს, რქებიდან კი ეშმაკურად გვიჭვრიტინებდა...

დიდებული ფიჭვების ტანსა თუ ირგვლივ მიწას ხავსი მოსდებოდა. ხავსს ირმები წიწკნიან, იაკუტები კი წეკოში ურევენ. „კარგია, ჩინებულნი! — მითხრა ერთმა იაკუტმა და თავისი ჩიბუხი მომაწოდა, — მოსწიეო“. რა მიღირდა ამ თავაზიანობის აცდენა, მაგრამ უზრდელობაში ჩამომერთმეოდა. გავაბოლეთ: უცნაური, მაგრამ არცთუ უსიამო გემო ჰქონდა, ნარკოტი არ იგრძნობოდა.

გუშინ კიდეც ერთგან აგურა ჩაი გავსინჯე: მასშიც ცოტა იყო ნარკოტი; უფრო სამკურნალო ბალახის გემოს დაიკრავდა. ამ ჩემი ტროიკით ირგალახის სადგურზე რომ მივიქროლე, საწინააღმდეგო მხრიდან მეორე ტროიკა მოგრიალდა; შორიდანვე ვკარი თვალი, როგორ მოქროდა. შუა ცხენი სწორედ თავხელური ქენებით მოდიოდა, კისერი მალა აელირა, კიდურა ცხენები კი თავს იქნევდნენ, ხან მიწამდე დახრიდნენ, ხან ზევით ასწევდნენ, როგორც ლოთიფოთ ხალხს სჩვევია. ჩემს ცხენებს მოუახლოვდნენ და ერთმანეთი მეგობრულად დაყნოსეს. ჩვენ, ე. ი. მხედრებმაც ჯერ გადავხედეთ და მერე თავი დავუკარით ერთმანეთს. „ზასედატელი“ ყოფილა. „აი, ცხენები არა ჰყავთ-მეთქი“, — მაშინვე შევჩივლე მას. ის მამასახლისს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა იაკუტურად. ასე მეგონა,

აი, აგერ შემეკითხებიან: „Parlez vous jacouth?“¹ და მეც გაწითლებული ვეტყვდი: „Non, messieurs“².

შემდეგ „ზასედატელმა“ მითხრა, ცხენები ეს-ესა მოვიდნენ, მართლაც არაქათი აქვთ გამოცლილი, „სჯობს რიქრაქამდე მოიციადოთ, თორემ მთავორიანი ადგილია, ღამით კი...“ და ა. შ.

სხვა რა გზა იყო: „ზასედატელი“ ამ შემთხვევებში ავტორიტეტს წარმოადგენს და მეც მის გადაწყვეტილებას დავემორჩილე. ჩაის მოვუსხედით. „სულ ახალი ნანადირევი ციცრები მაქვს-მეთქი“, — ვუთხარი. „ჰოო! — მნიშვნელოვნად გააგრძელა მან. — „მე კი კიტრები მაქვს,“ — დასძინა მერე. „ჰოო — უფრო გავბერე მე, — საქონლის ხორციც მაქვს“, — უფრო იმის დასატყუებლად, გამეგო კიდევ რა ებადა მას. „თეთრი პურიცო“. „ეგ ძალიან კარგია; მე შავი მაქვს“... „ჩინებულია!“ — დააყოლა თანამოსაუბრემ. „მაგრამ ჩემს მსახურს გუშინ ღიმონის სიმქავე გადაეყარა ზედ: აღარ იქმება. სამაგიეროდ ინგლისური სუპები მაქვს, პრეზერვებში“, — დავუმატე ესეც. „ძალიან კარგი, მე არაყიც წამოვიღე...“ — „არაყიო!“ მაშინ კი იძულებული გავხდი მის წინ ქედი მომედრიცა.

იმას მთელი მარანი წამოეხიკა. თქვენთვის ფრიად ნაცნობ ეგრეთწოდებულ საგზლის „სკივრიდან“ ჯერ ფინჯნები ამოალაგა, მერე ღამბაქები, დანები, ჩანგლები, მარილი, პატარა კვერები, კიტრები და ბოლოს ჩვენი დაკარგული მეგობარი — არაყი. „მე კი, — დავურთე ეს საბოლოოდ, — მზარეულიც მყავს-თქო“.

1. იაკუტური იცით? (ფრანგ).

2 არა, ბატონებო (ფრანგ).

VIII

ი ა კ უ ტ ს კ ი ღ ა ნ

ურასა. — სადგურის ზედამხედველი. — ღამის სათვეი ლენის პირას. — ბორანი. — იაკუტსკი. — საგზაო მზადება. — ბეწვის სამოსი. — რუსი მისიონერები. — სახარების იაკუტური თარგმანი. — იაკუტები, ტუნგუსები, ყარაგაულები, ჩუჩები. — მოხელეები, ვაჰრები. — გაცილება.

შებინების ხანი იყო, როცა მე, ჩემი მსახური და მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა ორი სამცხენა ურმით ვერხვის ბუჩქნარში სილაზე სიარულის შემდეგ ლენის მარჯვენა ნაპირზე ობლად მდგარ არყის იურტას მივადექით.

იურტასთან სამოცდახუთიოდე წლის მოხუცი შემომეგება: სადგურის ზედმხედველის მუნდირი ეცვა და დაშნა ეკეთავიფიქრე, ალბათ აქ ცხოვრობს-მეთქი, ოღონდ ის ვერ გამეგო. ასეთი ამბით რად შემხვდა, დაშნა რად აღეჭურვა, ხელი ქუდთან რად მიედო და თვალს რად არ მაცილებდა. „ზედამხედველი ბრძანდებით-მეთქი?“ — თავი დაეუკარი და ვკითხე. „ღიახ, აზნაური გახლავართო“, — მიპასუხა მან. მე ხელმეორედ დაეუკარი თავი. აი, თურმე რატომ აუსხამს დაშნა! გამოსარკვევი ისლა დამრჩა, ასეთი პატივით რისთვის შემეგება: ვინმე უფროსხომ არ ვეგონე?

მაგრამ ეს გარემოება აუხსნელი დამირჩა ისევ: იქნებ ჩვეული იყო მგზავრების ასე შეგებებას, ან იქნებ თავისი აზნაუ-

რობითა და დაშნით უნდოდა თავის მოწონება. გავიგე მხოლოდ, რომ აქ არ ცხოვრობდა, მარტო ღამის სათევად გაჩერებულიყო და ხვალ მიეშურებოდა რომელიღაც სადგურზე, თავის სამსახურში.

„თქვენ საით მიბრძანდებით: ასე ვთქვათ ქალაქში?“ — მკითხა მან. „ღიახ, იაკუტსკში. მებორნეები და ნავეები თუა აქ?“

„როგორ თუ არ არი! აბა სად გაიქცეოდნენ? აგერ მებორნეები!“ — მიმითითა მან მოშორებით შექუჩულ იაკუტებზე.

„ნავეები სადაა?“ — მივუტრიალდი იმათ. „იაკუტებს რუსული არ ეყურებათ“, — გამაწყვეტინა ზედამხედველმა და იაკუტურად ჰკითხა. ისინი აფუსფუსდნენ, ზოგიერთები ნაპირისაკენ წავიდნენ, მეც იმათ გავეყვი. ნავმისადგომთან ოთხი ნავი იდგა. ამ იურტიდან იაკუტსკამდე ცხრა ვერსს ანგარიშობენ: ხუთი წყლით და ოთხი კიდევ ხმელეთით.

„დალამებამდე უნდა მოვასწრო გაღმა გასვლა“, — ვთქვი მე.

„რისთვის არ მოასწრებთ, მოასწრებთ!“ — შემნიშნა ზედამხედველმა და კვლავ იაკუტურად ჰკითხა მებორნეებს, რამდენ ხანში გამიყვანდნენ გაღმა. „იძახიან, სამ საათში გავიყვანთო“.

„რას ამბობთ: სამი საათის შემდეგ ხომ დაღამდა!“ — შევესიტყვე მე.

„უნდა მოგახსენოთ, ბატონო, — დაიწყო მან, — წრეულს წყალმა ძალზე დაიკლო; ამიტომაც ბევრი კუნძული და მეჩეჩი გაჩნდა. სადაც წინათ პირდაპირი გადაქრა უხერხდებოდა, ახლა კუნძულ-კუნძულ მიჰყვებიან“.

„აბა მდინარე სადაა?“ — ვკითხე და ჩემს თვალწინ გადაშლილ ქვიშრობების, მინდვრებისა და ბუჩქების უკიდვგანო სივრცეს გავხედე.

„აი, სწორედ მანდაა, — მითხრა ზედამხედველმა და მინდვრებზე, ქვიშრობებზე და ხუთი არშინის სიგანე რუზე მიმითითა, სადაც ნავეები იდგა. — ეგ სულ კუნძულებია“, — დააყოლა მან.

„მაშასადამე, ვოლგასავით გაღმა, მთიან მხარეს იქნება განიერი“, — დავასკვენი ჩემთვის.

ზედამხედველი ისევ გამოელაპარაკა იაკუტებს და დაშამ-
შიდა, ეგენი ორ საათსაც არ მოუნდებიანო, ოლონდაც დარ-
ჩენილ ოთხი ვერსის გასავლელად გაღმა ნაპირზე ვერაფერს
ვიშოვიდი და ქალაქში კაცის გაგზავნა მომიხდებოდა ცხენების
მოსაყვანად.

„გაღმა იურტა თუ არის სადმე, მოცდა რომ შეიძლებო-
დეს?“ — ვკითხე მე.

„ასე ვთქვათ, არ გახლავთ, — მითხრა, — ბუჩქები კია...
იურტა ვითომ რაში გპირდებათ?“ — „სანამ ცხენებს მოიყვა-
ნენ, ჩემოდნები სად დავალაგო?“ — „სად და ნაპირზე: ვი-
თომ გაიქცევიან? თუ არადა ნავში დატოვეთ: არ დასწონისო“.
(ე. ი. არ დაამძიმებსო).

საგონებელში ჩავვარდი: უდაბურ ნაპირზე ღამის თევა ვე-
რაფერი სასიამოვნო ამბავი იყო; ქალაქში ღამით კაცი რომ
გავგზავნო ცხენების მოსაყვანად, რომელმაც იქით-აქეთ რვა
ვერსი უნდა გაიაროს — თავშესაფარს როდის მივალწევ? ჩე-
მი ეჭვები ბერიკაცსაც გავუზიარე.

„გაღმა კარგი გზა მიდის, არც ლაფი დგას, არც ორმოე-
ბია, — მითხრა მან, — სასიამოვნოცაა ფეხით სიარული“.

„ჩემი მსახური ქალაქს არ იცნობს; ვერც ცხენებს მიაგნებს
და ვერც სასტუმროს“, — შევეპასუხე მოხუცს.

„ასე ვთქვათ, იაკუტსკში სასტუმროც არ არის“, — გამაწყ-
ვეტინა ზედამხედველმა.

„როგორ თუ არ არის: მაშ მე სად უნდა გავჩერდე?“ — ვი-
კითხე ამ ახალი, მოულოდნელი გარემოებით შეშფოთებულმა.

„თქვენი სამოგზაურო მოწმობა ქალაქის გამგეობას გაუგ-
ზავნეთ. ბინასაც ხელად მოგიძებნიან; ვალდებულები არიან“.

„A tout malheur remède“,¹ — ჩავილაპარაკე თითქმის
ჩემთვის.

„რა ბრძანეთ?“

„არაფერი, იაკუტურად წამომცდა რაღაც. აი, რას გეტყ-
ვით, ბ. ზედამხედველო: ჩემის ფიქრით, ახლა რომ გაღმა გავი-
დე, შუა ღამეზე ადრე ქალაქში მაინც ვერ მოვხვდები. ყველას
ძილი უნდა დავეფრთხო იქ. ამას არა სჯობია აქ, იურტაში გა-

¹. ყოველი გაპირვების ტალკვესი (ფრანგ).

ვათიო ღამე?..“ — „ცხადია, სჯობია, — მომიგო მან, — კარგი იურტაა, თბილი, არც არაფერი დაგეკარგებათ; ოლონდაც იმდენი რწყილია, პირდაპირ სასწაული“.

იაკუტურმა ენამ უკვე თავი მომაბეზრა, ამიტომ ამ რუსულ-მაც ფრიად გამახარა, თუმცა მისი რუსულიდანაც ბევრი არ მესმოდა. გადაწყდა, რომ ამდამ აქ ვრჩებოდი. ჩვენ იურტაში, უფრო სწორად, ურასაში შევედით. ეს ერთი დიდი კარავი იყო, კონუსური ფორმის, არყის ქერქისგან ნაგები და საკმაოდ მჭიდროდაც ნაკერი, ასე რომ ქარი მაინცდამაინც ვერ თარეშობდა შიგ. ირგვლივ მერხები იდგა, ზედ თივა ეყარა, იატაკზეც თივა გაეშალათ. შუაში ღია კერია დაედგათ, ზემოთ კვამლის გასასვლელად ნახვრეტი დაეტოვებინათ. კიდევ ორი მაგიდა იდგა და ზედ წითელი მაუდი ეფინა. ერთზე ცხრილი დაედოთ, სადაც სადგურები და ვერსები იყო დასახლებული. მელანიც და კალმისტარიც დავინახე იქვე. იურტა სამხედრო კარავს მოგავდა, მით უფრო, როცა ზედამხედველმა თავისი დაშნა ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

ზედამხედველი ჩაიზე დავიპატიე. „ჩაი და შაქარი სულ გამოგველია“, ხმადაბლა მითხრა ჩემმა მსახურმა. „განა აღარაფერი დაგვრჩა?“ — „დიდი-დიდი ორ ჯერზე იკმაროს“. — „მეტი რად გვინდა, ჩვენც ორნი ვართ“, — „ხვალ დილას რაღას მიირთმევთ?“ ვიცოდი მისი ზნე. ყველაფრის გამოტირება რომ უყვარდა. „ახლახან არ იყო, შაქარი და ჩაი ბლომად რომ გინახე?“ — შევნიშნე მე. „მარტოს რომ გესვათ, კიდევ ჰო, თორემ სადგურ-სადგურ ხან იაკუტები დაიწვიეთ, ხან იაკუტი დედაკაცები, აგრემც მათი...“ — „აბა, შემკობა არ იყოს! მოიტა, რაცა გაქვს!“

„მითხარით, გეთაყვა, იაკუტსკი რა ქალაქია?“ — ვკითხე ზედამხედველს.

იაკუტსკზე კერძოდ მარტო ის ვიცოდი, თუმცა ჩემზე მეტი, მგონი, არც თქვენ გეცოდინებათ, რომ ის ამავე სახელწოდების მხარის მთავარი ქალაქია, ჩრდ. განედის 62°-ზე მდებარეობს. ბეწვეულით ვაჭრობას აწარმოებს და როგორც ახლა შევიტყვე, სასტუმრო... არ გააჩნია. ისიც კი აღარ მახსოვდა, ან იქნებ არც მცოდნია როდისმე, რომ შიგ სულ ორი ათასი შვიდასი მოსახლე ცხოვრობს.

მაგრამ ვერც ზედამხედველმა მამცნო ბევრი რამ: დაუმატა მხოლოდ, რომ იქ ერთი ქვის სახლი დგას, დანარჩენი ფიცრულიაო; რომ არყით ვაჭრობა მიდის; რომ ბატონები სულ კარგებია და ვაჭრებიც ბობოლა ჰყავთო; რომ ზამთრობით ქალაქში ცხოვრობენ, ზაფხულობით კი ზაიმკებზე (აგარაკებზე) გადადიან, კლდის ძირას, „ე. ი. კლდეს ისე ამბობენ, თორემ მსგავსი არაფერიაო“. რომ მგზავრები ცოტა-ცოტააო; თუ გზის გაგრძელება მინდა, უნდა ვიჩქარო, თორემ შემოდგომით ლენაზე მგზავრობა არ შეიძლება, ნაპირით კი უვარგისი გზააო და ა. შ.

შემდეგ ისიც გამანდო, რომ უფროსების განკარგულებით შორეულ სადგურზე გადაიყვანეს ვინმე ზედამხედველ ტატარინოვის მაგიერ, ის კი მის აღგილზე დანიშნეს. მაგრამ ეს ამბავი მისი ოჯახური მდგომარეობისათვის ყოველად მოუხერხებელი იყო, ამიტომ დაბეჯითებით სთხოვა ტატარინოვს სამსახურიდან გადამდგარიყო, რა არის წინანდელ აღგილზე გადაყვანა ეთხოვა. მხოლოდ ის არ დათანხმდა, პოდა, ამიტომაც ძალიან მთხოვს უფროსების წინაშე შუამდგომლობა გაეუწიო.

მე ყველაფერი აღვუთქვი. „პლოტნიკოვი ვარ გვარადო“, — დაუმატა ესეც. „ძალიან კარგი — პლოტნიკოვი-თქო,“ — ჩავიწერე უბის წიგნაკში და თვალწინ ცოცხლად დამიდგა „რევიზორის“ ასეთივე სცენა.

მერე ზედამხედველმა მიაგებო, რომ გზაში მგლები და დათვები არსად ჰაჭანებენ, რომ მარტო იაკუტები შემხედება; „კიდევ ყურგრძელებია (ყურდლები), სწორედ სასწაულადო“. რომ ოხოტის გზაზე საკუთარი იურტა უდგას, იქ მისი ორი ხანში შესული, სნეული ქალი ცხოვრობს, შინაბერად დარჩენილები, რომ, ასე ვთქვათ, ჯვრის სადგურზე დათვებმა იციან შემოვლა, მხოლოდ საოცარი ის არის, საქონელს არას ერჩიან, თან დაჰყვებიან ხოლმე, მარტო თევზს იპარავენ მორდიდან...“ „მორდიდან?“ — ვკითხე. „პო, თევზის საჭერად დგამენ, თქვენში სალიკებს ეძახიან“...

ზედამხედველს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მის ნალაპარაკებს ასე მუხანათურად ჩავიწერდი იქვე, მის თვალწინ.

ჩაი მოიტანეს. ჩემს მსახურს შაქრის თხუთმეტიოდე ნატეხი ეშმაკურად აეხორხლებია პირამიდისავით, რათა ჩვენი საგზლის

სიღარიბე არავის შეემჩნია, შაქარი ზედამხედველს მიუვჩოჩე-
მან სულ პატარა კვნიტი აიღო. რომ ვთხოვე, ჩაი დაეშაქრა,
მითხრა, თავის დღეში არ დამიშაქრიაო. ჩემი მსახურისთვის და
ჩემთვისაც ეს ამბავი დიახაც სიურპრიზი გამოდგა. დილისათვის
ერთი ჭიქა ჩაი კიდევ შემეძლო დამეღია. ზედამხედველმა სამი
ჭიქა შესვა, შაქრის დარჩენილი ნაშენი კი ისევ ლამბაქზე და-
დო, რაც ჩემმა მსახურმა ყაირათიანობის გადაკრულ მაგალი-
თად მიიჩნია.

ამასობაში დაღამდა კიდევც. მსახურს ვუთხარი, ვახშამი გა-
ეწყო და ზედამხედველიც დავპატიყე. „ერთი ციცარიღა დაგე-
რჩაო“, — გულმოსულად ჩამიჩურჩულა მსახურმა. „დანარჩენი
რა იქნა? იაკუტმა ხომ რამდენიმე ცალი მოგვყიდა“, — „გუ-
შინ ვიღაც მგზავრი არ დაიპატიყეთ“, — უფრო გულმოსულად
მიპასუხა მან. „მამ ინგლისური პრეზერვის სუფი გააცხელე“.
„გუშინ უკანასკნელი გავხსენით“, — მითხრა და კერიაზე ერ-
თადერთი ციცარი შემოდგა გასაცხელებლად.

ზედამხედველმა ნესესერიდან თეფში, დანა, ჩანგალი და
კოვზი ამოაწყო. „უყურე შენ, კოვზიც მოიმარჯვებო!“ — ჩუმად
ბუზლუნებდა ჩემი მსახური, რომელიც ციცარს ტაფაზე ატრია-
ლებდა და თან შეშფოთებული გასცქეროდა ზედამხედველის
ყოველ მოძრაობას. ზედამხედველი კი გაუნძრევლად მისჯდო-
მოდა თავის ჭურჭელს, ცხადია, შეპირებული ვახშმის მოლო-
დინში.

ჩემს კუთხეში მიმალული სიამოვნებით ვუთვალთვალე ბდი
ორთავეს. ერთბაშად კარი გაიღო, იაკუტმა ოხშივარასული ქვა-
ბი შემოიტანა და მოხუცს დაუდგა წინ. თურმე ზედამხედველი
ჩვენს ვახშამს სულაც არ ელოდა. იმავე წუთს ტიმოფეიმ დიდის
ზარზეიმით დამიდგა ციცარი. დაპატიყებაზე კრინტი აღარ დაძ-
რულა.

როგორ გგონიათ, შუა სექტემბერში ტანგანდილი ეზოში
რომ დაწვები, ვითომ გაცივების არ უნდა შეგეშინდეს? არყის
ქერქი განა რა კედლად ჩაითვლება. პეტერბურგში თუ ასე მოი-
ქეცი, უთუოდ გაცივდები, მოსკოვში უფრო ნაკლებ, მაგრამ
მაინც შესაძლოა იქაც გაცივდე, ხოლო თუ უფრო შორს წახვე-
დი და განსაკუთრებით მინდვრად, ქოხში მოგიხდა ღამის თევა,
ფრჩხილიც არ აგტკივდება. ჩვენ დავეწქით. მსახურმა ლოგინი

მომიწყო, დიახ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ლოგინი არ გამაჩნდა: მერხზე თივა ბლომად დაყარა, შემდეგ ფარაჯა გააგო ლეიბად, წვიმა რომ არ ატანდა, ზემოდან ზეწარი, საბნად კი დაბამბული ფარაჯა გაშალა. სასთუმლად ჩერქეზული უნაგირი მედო, რომელიც იმ პირობით მომაქირავეს, იაკუტსკში ჩამეტანა. სწრაფად გავიხადე და უფრო მეტი სისწრაფით შეეძვერი ლოგინში.

ზედამხედველი სხვაგვარად მოიქცა: ის მეთოდურად შეუდგა სამოსის გახდას, ჯერ ერთი გაიძრო ნელა, მერე მეორე. მოკლედ, არაფერი შეირჩინა, დაწყებული სათვალისდან ჩექმებით გათავებული. შემდეგ ასევე ნელა ჩაიცვა ღამის სამოსი: თავდაპირველად ყურებში ბამბა ჩაიტენა და მოსახვევით აიკრა, მეორე მოსახვევი თავზე წაიკონჭა, მერე ყელზე შარფი შემოიხვია. ასე რომ, ამ გახდა-ჩაცმამ ბერიკაცი შეუმჩნევლად ბებრუხუნად აქცია. ბუხრის ალი მოქანჯულად უნათებდა სახეს, მოსახვევიდან გამოჩენილ ჭალარას, კერიას მიშტერებულ უსიცოცხლო, აპათიურ თვლებს და ნელად მოცმატუნე ტუჩებს.

ვუყურებდი მოხუცს და ცეცხლს. ერთი მხარე თბილად მქონდა, — კერია მათობოდა; კედლისკენ მიქცეული ზურგი კი პირიქით, გამყინოდა. კარგა ხანს იჯდა უმოძრაოდ ზედამხედველი; ამასობაში მეც რული მომეკიდა.

„გავბედავ და გეტყვით,— უცბად წამოიწყო ზედამხედველი და ლოგინიდან წამოიწია. ასე სჩვეოდა ყოველი დალაპირაკების დროს, — რომ ცეცხლის გაჩენის შეშინია; თივა იქ ბლომადაა, კერიაში კი ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლება, ღამით გავიყინებთ. რას იტყვით, ორი იაკუტი რომ დავაყენო კერიასთან, ცეცხლს უყურონ...“

„როგორც გენებოთ, ოღონდ ორი რა საჭიროა?“

„ერთმანეთსაც მიხედავენ“.

ორი იაკუტი შემოვიდა და კერიას მიუჯდა. ზედამხედველი ხუთიოდე წუთს კიდევ იჯდა, ბურნუთი მოსწია, ამოიოხა, მერე ილოცა და ბოლოს ისეთი კვნესა-კრუსუნით დაწვა, თითქო ავადმყოფის სარეცელზე წვებოდაო. „ღმერთო, შემინდე მე ცოდვილს! — ოხვრით ამოიღადღადა და საწოლზე გაიჭიმა. — ოჰ, ღმერთო ჩემო! ოჰ-ოჰ! ვაი!“ — დააყოლა მერე, გადატრიალდა და საბანი წაიფარა. კარგა ხანს მესმოდა კიდევ

მისი თანდათან მისუსტებული ოხვრა და შეძახილები, მის ყურებაში ბოლოს მეც ჩამეძინა.

ღამით რომ გამომეღვიძა, ვიგრძენ, მარტო ზურგი კი არა, მთელი სხეული გამყინოდა. არც ტყუილად: კერიაში ცეცხლი საცაა ჩაქრებოდა, მხოლოდ ხანდახან ნაპერწკალს ტყორცნიდა ხან მერხს, ხან ზედამხედველის ტყაბუქს, ხან იატაკზე დაყრილ თივას. ზემოდან ლალად მოქროდა ღამის სიცივე და მერე როგორი... ორივე იაკუტს ჩემს სამგზავრო ჩანთაზე დაედოთ თავი, ცხვირი ცხვირთან მიეტანათ და მკვდარივით ეძინათ. ზედამხედველს ძილიც საღმობიერი ჰქონდა. ეტყობა, მის ხანში ესეც გასქირებოდა საწყალს. ჯერ ახვრინდებოდა, შიგა და შიგ კრუსუნს გამოურევდა, მერე ტუჩებს ააწყლაპუნებდა, ხვრინვას შეწყვეტდა და სტვენას გააბამდა.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ იურტაში მართლაც რწყილები სასწაულად იყო.

მეორე დღეს მოწმენდილი და თბილი ამინდი იდგა. ხუთი იაკუტის თანხლებით ლენაზე გადავედი, ე. ი. ვიწრო-ვიწრო დელეები გადავჭერიტ, რომლებიც უთვალავ კუნძულებსა ჰყოფდა. როცა იაკუტებმა ნიჩბები ამოძრავეს, ისეთი ჭრიალი და რახრახი შეიქნა, იფიქრებდი, ალალი დაიძრაო. ჩვენი მეზღვაურების შემდეგ ლენელი მენიჩბეები სწორედ ლლაპებად მეჩვენენ! ერთი იაკუტი უქმად წაოთსკუბულიყო, მაშინ როცა თხუთმეტიოდე წლის ბიჭი ზედ აკვდებოდა ნიჩბებს. ეს ამბავი არცთუ ისე სასარგებლოდ მეჩვენა ბიჭისათვის და იმ უქმად მჯდარ იაკუტს ვუთხარი, ნიჩბისთვის მოეკიდა ხელი. მან დიდის ხალისით ჩაირკო ჩიბუხი სარში და ნიჩაბს მოუჯდა. „ეგ ვინ არის-მეთქი?“ — ვიკითხე. „მამასახლისია, ნასლეგიდან ქალაქში მიდისო“; — მითხრეს. ვინანე, ასეთი დიდკაცი როგორ შევაწუხებ-მეთქი, მაგრამ სინანული გვიანი გამოდგა. პირდაპირ წელში ტყდებოდა, ისე უსვამდა ნიჩაბს. ამასობაში ბიჭმა ჩექმიდან გაჩორკნილი ხის ნაჭერი ამოიღო ზედ ამოხვრეტილი რომ ჰქონდა (ჩიბუხი გახლდათ), ერთი მწიკვი მომწვანო ფურცლოვანი თამბაქო ჩაჰყარა, მერე დანით ნავს ხიწვი აათალა და ისიც შიგ ჩააფშვნა. შემდეგ კვესს გაჰკრა, ხავსის ბლუჯას მოუკიდა აბედის ნაცვლად და ეს ყველაფერი გააბოლა. „ხეს რაღად

ჰყრი-მეთქი ჩიბუხში?“ — ვკითხე — „სიმაგრისთვისო!“ — მიპასუხა.

შორს უკვე იაკუტსკის ტაძრების გუმბათებს გაჰქონდა ბრჭყვიალი. „ლენაზე როდის მივალთ-მეთქი?“ — წარამარა ვკითხულობდი, მეგონა, მდინარე მთიანი ნაპირისაკენ უფრო ღრმა იქნებოდა, მაშასადამე, კუნძულები აღარ გამოჩნდებოდა და მთელი თავისი სიმშვენიერით და ღიღებულებით გადაამუშავებოდა წინ. ერთი იაკუტი, რომელიც თავს იღებდა რუსულის ცოდნაზე, მიხსნიდა და მიხსნიდა რაღაცას, მაგრამ ვერაფერი გამაგებინა. ერთ კუნძულზე იაკუტები ნაპირზე გადმოვიდნენ, ნავიც ამოათრიეს თოკით, კუნძულის მეორე ბოლომდე ასე გადაათრიეს, იქ ისევ ჩახსდნენ და უკვე აღარ მახსოვს, მერამდნე ლელეზე გადამრყვანეს შემდეგ. ნავი ნაპირს მიაყენეს. ფიცრული კიბის ძირას.

„აქ არისო!“ — განაცხადეს იაკუტებმა. „რა არის-მეთქი?“ „ნაბიძ-ნაბიძ უნდა იარო!“ — „ლენა სადღაა?“ — ვკითხე. იაკუტებმა ზედამხედველივით ხელი უკან, ქვიშრობებისა და მინდვრებისკენ გაიშვირეს. გავხედე ნაპირს: იქ არაფერი ჩანდა. თუმცა ბუჩქები სასწაულად მოდებოდა, მათ შორის ძროხების ნახირი და ორი-სამი ცხვარი დაბოროილობდა. ცხვრები რა ხანია აღარ მენახა. ლენაზე თურმე სულ რამდენიმე სული ცხვარი გამოუგზავნიათ ამ ცოტა ხნის წინათ, რათა რუს ჩამოსახლებულთ და იაკუტებს მოეშენებინათ. ნაპირზე კიდევ ერთი მწყემსური წნელის ფაცხა იდგა.

ერთმა იაკუტმა ქალაქში წასვლა და ცხენების ჩამოყვანა იკისრა. ტიმოფეი იმას გაეყოღე, მე კი ნაპირზე ჩამოვჯექი დათვის ტყავებზე. ვერ ვიტყვი, აქაურმა ბუნებამ გული გამიხარა-თქო. ამაზე მკმუნვარე არემარე ძნელად თუ სადმე მოიძიება. ერთის მხრივ ლენა ჩანდა — უკვე მოგახსენეთ, როგორიც, თვალი მხოლოდ ქვიშრობებს, ბუჩქებს და მინდვრებს ხედავდა, მეორე, იაკუტსკის მხარეს — მინდვრებსა, ბუჩქებსა და ქვიშრობებს. შორს მთები ლივლივებდა ლურჯად, ოდესღაც. მგონი, სწორედ ისინი უნდა ყოფილიყო მდინარის ნამდვილი ნაპირი. იაკუტსკი ერთ ვეება მეჩეჩხება აშენებული, რაც გაშლილ ქვიშრობებზე, ბუჩქებსა და პატარა ტბებზე ეტყობა. ამ-

ბობენ, ლენა ადიდებისას ახლაც ქალაქამდე აღწევს და მის მიდამოებს ნაწილობრივ ლეკავსო.

რაკი სხვა საქმე არ მქონდა, თავს იმ ფიქრით ვიქცევდი, რომ ორი წლის მოგზაურობის შემდეგ ძლივს მეღირსება-მეთქი პირველი რუსული, თუმცა კი პროვინციალური ქალაქის ხილვა. მაგრამ იაკუტსკი პირწმინდად რუსული ქალაქი მაინც არ იყო, მიუხედავად იმისა, შიგ რუსული საყდრები და რუსული სახლები იდგა, რუსი მოხელეები და ვაჭრები ცხოვრობდნენ. ასე რამ მოატიტვლა მაინც ყველაფერი! სად გაგონილა, რუსეთში პატარა ბაღია თუ ბალი არ ჰქონდეს რუს კაცს, თუ ვაშლებისა და მსხლებისა არა, არყისა და აკაციების ჩრდილი არ ეფინებოდეს სახლებსა და მესრებს? ან განა ეს წვრილთვალება, ცხვირგატყლაპული ხალხი რუსებია? როცა ქალაქის გზას გავუდექი, იაკუტი კაცები და იაკუტი დიაცები მხვდებოდნენ ხარებზე. ცხენებზე თუ ურმებზე შესკუპულნი.

ქალაქელი იაკუტები უფრო გამოპრანქულები ჩანან. კაცებს სქელი მაუდის ხიფთანები აცვიათ, ქალებსაც ასევე, ოღონდაც ამ უკანასკნელთ კალთებსა და ქობებზე განიერი წითელი არშია დაჰყვებათ. ერთსაც და მეორესაც მაღალი ბეწვის ქუდები ხურავთ, თუნდაც მშვენიერი დარი იდგეს და ცხელოდეს. იაკუტები ჩვენსავით იკრეკენ თმას. ოღონდაც უკან ორი გრძელ, წვრილ ბლუჯას იტოვებენ, რაც ალბათ შუა აზიიდან აღმოსავლეთის ოკეანის ნაპირებზე შემოსეულ ხალხის ბრბოებთან ნათესაური კავშირის შემორჩენილი ნაშთია. ამ ბლუჯებს: რომ ვუყურებდი, ჩინელების კიკინები მახსენდებოდა, რომლებიც მათ მანჯურელებისაგან გადაიღეს. თუმცა იაკუტები უფრო მოკლედ იკრეკენ, აქ იქნებ იაკუტები თმას იმიტომ უშვებენ უკან, რომ ყურები და კეფა ზამთრის სასტიკი სუსხისგან დაიფარონ.

რამდენადაც მე შევნიშნე, იაკუტები სულ ტყუილად მიაჩნიათ მომთაბარე ხალხად. ტუნგუსებს, ჩუქჩებს თუ დანარჩენ აქაურ ტომებს რაც შეეხება, მათ სხვა ზნე სჩვევიათ. თუ ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდნენ და ის უფრო მოხერხებული გამოდგა, ძველს თავის დღეში არ დაუბრუნდებიან. იაკუტები, პირიქით, თუ დროებით თავიანთი იურტიდან სხვა ადგილზე გადაინაცვლეს, სადაც საქონლის უკეთესი საძოვრები დახვდათ,

დიდხანს მაინც არ რჩებიან იქ და უკანვე ბრუნდებიან. მათ მეტწილად ორი იურტა აქვთ, ერთი საზაფხულო და ერთი საზამთრო. თუ ასეა, მაშინ ჩვენც მომთაბარე ხალხი გამოვდივართ, რადგან ზაფხულობით პარგოლოვოში, ცარსკოე სელოში თუ ორანიენბაუმში მივეშურებით.

იაკუტთა ტომი, ან საერთოდ იაკუტურად მოლაპარაკეთა რიცხვი ამ მხარეში ორასი ათასამდე ითვლება. აქედან ას ხუთი ათასი მამაკაცია. მხარე ოლქებადაა გაყოფილი, ოლქები ულუსებად, ულუსები ნასლეგებად, ანუ ნოსლეგებად, ანუ... თუმცა მეტი აღარ ვიცი. ფილოლოგიის უმეცარნი მათ ჩვეულებრივ ნოჩლეგებს (ღამის სათევებს) ეძახიან.

ულუსში რამდენიმე ასი, ხან ათასი თუ მეტი მოსახლე ცხოვრობს. სოფლებსა და ქალაქებს ვერ ნახავთ, მათ ეს „ნასლეგები“ ცვლის. ნასლეგად ერთიმეორისაგან ოციოდე ვერსზე გაფანტული იურტები ითვლება, სადაც ერთი ძირიდან წარმომდგარი მოდგმა თუ გვარი ცხოვრობს ორ ან სამ ოჯახად. ულუსს ადგილზე არჩეული და რუსი უფროსების მიერ დამტკიცებული თავი ხელმძღვანელობს, ნასლეგებს — მამასახლისი და მისი თანაშემწეები. ერთი გვარის ხალხს რუსები მოგვარეებს ეძახიან. ისინი ზრუნავენ ერთიმეორის საჭიროებებზე, ყოველ შემთხვევაში, მოვალენი არიან იზრუნონ, და, თუ არ ვცდები, წესრიგი და ბეგარის ბეჯითად გადახდაც მათ ეკითხებათ.

იმასაც გაგახსენებთ, რომ იაკუტიის მხარე 1852 წლის პირველი იანვრიდან დაწინაურებული იქნა, ირკუტსკის საგუბერნიო უფროსობისგან გამოჰყვეს და მისი მართვა-გამგეობა საგანგებო სამოქალაქო გუბერნატორს მიანდვეს. თუმცა სხვა გუბერნიების დარად ისიც აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორის მთავარ გამგებლობას ემორჩილება.

მერე რა, რომ ქალაქის მოსახლეობას იაკუტები შეადგენენ, მე მაინც გულს სიხარული მომეფინა, ქალაქში რომ შევედი და დრო-ჟამით ჩაშავებულ ერთსართულიან, ფიცრულ სახლებს ჩავუარე: ეს რუსეთი გახლავთ, თუნდაც ციმბირის რუსეთი ერქვას! მას ბევრი თავისებურება სჩვევია გინდ ბუნების მხრივ, გინდ ადამიანთა ზნის, ადათების და, როგორც თქვენ ხედავთ, ნაწილობრივ ენის მხრივ. სწორედ ეს აძლევს მას ესოდენ და-

მხასიათებელ, ცოტა არ იყოს პირქუშ, მაგრამ მედიდურ იერს.

ქალაქში რომ მივდიოდი, ფანჯრებიდან ტკბილად მოდიმარე სახეები მიმზერდნენ, ჭიშკრებიდან კი გაავებული ძაღლები, რომლებიც პატარა ქალაქებში მეტისმეტად სერიოზულად ეციდებიან თავიანთ მოვალეობას. მხიარულად გავცქეროდი ღროდადრო ჩავლილ ნაირ-ნაირ მსუბუქ ეჭლებს და შევეტლებე, ზოგს რომ ზაფხულის ხიფთანი ეცვა და ბეწვის ქუდი ეხურა, ან პირიქით, ტყაპუქი მოეგდო და ზაფხულის ქუდი წამოეყოსა. აგერ საკმაოდ მოზრდილი სასტუმრო ბაკიც, აგერ ერთადერთი ქვის სახლი, სადაც საერო სასამართლო მოთავსებულია.

სასტუმრო ბაკში მეტი წილი დუქნებისა შიგნიდან იღებოდა. იაკუტები ბლომად შედიოდნენ და გამოდიოდნენ იქიდან. ამბობენ, მუშტრების უმრავლესობას ისინი შეადგენენო. დანარჩენი მოქალაქეები წელიწადში ერთხელ ყიდულობენ ყველაფერს, რაც სჭირდებათ, აქაურ ბაზრობაზე. ჩავუარე ძველებურ, ნახევრად დანგრეულ გალავანსა და რამდენიმე კოშკს: ისინი ამ მხარის დამორჩილების დროინდელი ციხე-სიმაგრის შემორჩენილი ნაშთებია. იაკუტსკი ორასიოდე წლის წინათ. 1630 წლებში ენისეიდან წამოსულმა კაზაკებმა დააარსეს. იაკუტები ბევრჯერ დაესხნენ ციხე-სიმაგრეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. მაგრამ შემდეგ თვით კაზაკებში ჩამოვარდნილმა ქიშმა აიძულა ჩვენი ხელისუფლება ამ მხარეს თვითონ დაპატრონებოდა და იაკუტსკსაც მალე ეწვია ვოევოდა.

დავინახე საავადმყოფოც, საპატიმრო, პურის სახაზინო მალაზიები; მერე ბაზარს ჩავუარე, სადაც იაკუტი ქალების და კაცების ქრელი ბრბო ირეოდა. ბევრს ნახავ რუსულსაც და არარუსულსაც, რაც უამთა ვითარებაში რუსულადვე გადაიქცევა. მალე უკვე ბინაში ვიყავი და ჩემს ოთახში სადილს ვუჯექი.

ნასადილევს ამხანაგებისკენ გავწიე, რომლებმაც ჩამოსვლა ჩამომასწრეს. ერთი დღის შემდეგ ისინი ისევ გაუღებოდნენ გზას. მე მიწოდდა იმათ გავყოლოდი კვალდაკვალ, მაგრამ ბეწვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მქონდა საყიდელი. ლენაზე შეიძლება ყინვები დაეჭირა.

„ქუჩაქი სად ვიყიდო-მეთქი?“ ვკითხე ერთ იაკუტსკის მცხოვრებს, ისინი ჩემს ამხანაგებთან დამიხვდნენ. „რისი გნე-

ბავთ: მელიის, ტარაბაგანის, თეთრი მელასი თუ ციყვის?“ — მკითხა მან. „რომელიც უფრო თბილი იქნება“. — „მამ დათვისა აჯობებს“. — „ჰოდა, დათვისას ვიყიდი“. — „დათვისა შიძიმე იქნება“, — წარმოთქვა მეორემ. „მაშინ თეთრი მელიისა იყოს“. — „ახლა აქ ბეწვეულიდან ვერაფერს იშოვით...“ — მითხრეს ესეც. „იაკუტსკში ბეწვი ვერ ვიშროვო!“ — „ვერ იშოვით, აი, ზაფხულში რომ ჩამობრძანებულეყავით, მაშინ სასწაულად ეყარა ბეწვები: ჰოდა, ჩინებულსაც იყიდდით, როგორც მოგესურვებოდათ და თანაც იათად“. — „მაშინ სულაც არ ვიყიდდი. ზაფხულში ბეწვი რაში მკირდებოდა?“

„ყველაფერს სჯობია კუხლიანკა იყიდოთ, განსაკუთრებით ორპირი...“ — მითხრა ახლა სხვამ, ჩვენს საუბარს რომ ყური მოუგდო. „კუხლიანკა რაღაა-მეთქი?“ „ეგ ირმის ტყავის პერანგია, ბანჯგვლიანი პირით. თუ ორპირს იყიდით, ქვემოთაც ექნება ისეთივე ბეწვი და ქურჭი აღარც დაგჭირდებათ“.

„არა, ეგ მძიმეა ჩასაცმელად, — გააწყვეტინა ვიღაცამ. — ორპირ კუხლიანკაში ველარ გაინძრევი. ისა სჯობს, ერთპირ კუხლიანკასავით გაკეთებული პიჩიკის პალტო შეიძინოთ, მორჩა და გათავდა.“ — „პიჩიკის პალტო როგორია-მეთქი?“ — „ახალგაზრდა ირმების ტყავის პალტოს ეძახიანო“.

„ყველაზე უკეთესი ბორლოვის დოხაა, — ჩაერია მეოთხე, — მაშინ სხვა აღარაფერი დაგჭირდებათ“. — „ეგ ბორლოვის დოხა რას წარმოადგენს?“ — „გარეული თხის ტყავია, თბილი, რბილი, მატყლიანი. რაც უნდა ყინვა იყოს, ვერ შეატანს“.

„ღმერთი იწამეთ! — თქვა ახლა კიდევ ვიღაცამ, — დოხა როგორ შეიძლება? მატყლი სცვივა“. — „მერე რა რომ სცვივა?“ „როგორ რა: პირში, თვალებში რომ შეუძვრეს?“

„სად ვიყიდი დოხა. ან კუხლიანკა? — გავაწყვეტინე მე. „ახლა ვერსად იშოვით: აი, ზაფხულში უნდა ჩამობრძანებულეყავით, — ერთხმად გაიმეორა ყველამ. — როცა აქ ზემოლენიდან, ირკუტსკიდან ვაჭრები ჩამოდებიან, ისინი ყიდულობენ ხოლმე მთელ ბეწვეულს“.

„არ დაგავიწყდეთ ტორბასებისა და პიჩიკის ჩიყების შეძენა“, — შემნიშნეს ესეც. „ტორბასები და ჩიყები რაღაა?“ — „ტორბასი ირმის ბეწვის ჩექმებია, ჩიყები ნუკრების ტყავის წინდები“. „მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც, იცოდეთ, ბეწვის

შარვალია“, მითხრა სერიოზულად ფრიად დარბაისელმა კაცმა. „არა, გეთაყვა, ნება მიბოძეთ, ამაზე უარი ვთქვა“. — „ჰოდა, ბევრჯერაც მახსენებთ!“ — მითხრა წინასწარმეტყველის კილოთი. „ბეწვის საბანიც წაიღეთ, იცოდეთ“, — დაუმატა მეორემ.

„ბეწვის შარვალი რაღაში დამკირდება?“ — შეეძახე სასოწარკვეთილმა, იმდენად დამაშინა ამ გაფრთხილებებმა! „ყინულზედაზე რომ მოხვდეთ, მერე...“ — „ეს ყინულზედა რაღაა-მეთქი?“ ვკითხე. „ყინულზედას წყაროებს ეძახიან, რომლებსაც დიდი ყინვაც ვერ ჰკრავს. ისინი მთებიდან ლენაში მიჩხრიალებენ. წყალი ყინულის ზევით რჩება; იქ რომ მოხვდეთ — ცხენები ვერ მოასწრებენ გამოთრევას და კავებიც მიეკრობა ყინულს: მაშინ მეეტლეს სადგურზე მოუხდება წასვლა, მოსაშველებლად ხალხი და ცხენები რომ ჩამოიყვანოს. თქვენ კი რამდენიმე საათს ყინვაში უნდა იცადოთ, ხან ნახევარი დღეც გაივლის ლოდინში... ჰოდა, მაშინ კი მოიგონებთ ბეწვის შარვალს“.

„ბეწვის საბანი რაღად მკირდება?“ — ვიკითხე მე. „ლენაზე თითქმის მუდამ ქრის ხიუსი...“ — „ეგ ხიუსი რას წარმოადგენს?“ — „ქარია, რომელიც თოვლს წამოხვეტავს ხოლმე; ყინვაში კი ქარზე უბედური არაფერია: შარვალი ვერ გიშველით; საბანი თუ დაგიფარავთ მარტო...“ „თოფრაკაც უნდა გქონდეს, ფეხები რომ დამალოთ“, — დაუმატა მეორემ. „ოღონდ ამას ყველაფერს ზაფხულში სკირია თადარიგი!“ — აყოლებს თან ყველა. „ოჰ, ნეტამც ზაფხულში ჩამობრძანებულყავით, მაშინ, იცოცხლე, ჩვენში იშოკება ბეწვეული!..“

მართალი გითხრათ, ბრაზი წამეკიდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. „ერთი ბებერი უნდა დაიბაროთ, — მირჩიეს ასე, — მას ღუქნებში დააქვს ხოლმე ბეწვეული, თუმცა რა ხანია არ გამოჩენილა...“ — „არა, არ დაიბაროთ,“ — მითხრა მეორემ. „რატომ არა, კაცს გაუფგავნი“. — „არა, ახლა ის...“ — „რა დაემართა?“ — „სულ მთლად გალოთდა. დიდი საძაგელი ბებერია! თანაც ჩინი წაერთვა“. — „ჩინი წაერთვა?“ — გავიმეორე მე. „ჰო, დაბრმავდა“, — დაძინა მან.

მაშასადამე, რაკი არაფრის შოვნა და ყიდვა არ შეიძლება, კაცი ველარ გამგზავრებულა? თურმე ყველაფერი შეიძლება:

à tout malheur remède. ამ გასაჭირში რომ მნახა, ერთმა მა-
ცხოვრებელმა მიჩნია, ალექსეი იაკოვლიჩს, პიოტრ ფიოდო-
რიჩს ან ალექსანდრე ანდრეანიჩსა თუ ქსენოფონტ პეტროვიჩს
მიმართეთო: იმათ უთუოდ ექნებათ დოხებიცა და დათვის
ტყავებიცო. „ეგ ალექსეი იაკოვლევიჩი და პიოტრ ფიოდორი-
ჩი ვინ არიან-მეთქი?“ — „აგერ, ისინი: აქაური მკვიდრებია,
ერთი ამა და ამ ადგილზე მსახურობს; მეორე აქა და აქაო“. —
„მაგრამ იმათ რომ არ ვიცნობ...“ ა. ი.-მა, პ. ფ.-მა და ა. ა.-მა
თვითონ დამასწრეს. ჯერ თავისთან მიგვიწვიეს მე და ჩემი
ამხანაგები სადილადა. მართალია, ბოდიში მოიხადეს, ასე უბ-
რალოდ რომ დაგიხვდითო, მაგრამ ამ პატარა ქალაქისთვის
ღიახაც არ დაერქმეოდა უბრალო გამასპინძლება, მათ მართ-
ლაც ჰქონოდათ დოხები, კუხლიანეები და დათვის ტყავები.
ჰოდა, კიდევ დავვითმეს, აქაოდა მგზავრები ხართ, ნაცნობები
არ გაგაჩნიათ, ამიტომაც ყველა უნდა დაგინაცნობდეთო; რაკი
დუქნებში არ შეგიძლიათ იყიდოთ, მამსადადამე, კერძო პირის-
გან უნდა შეიძინოთ, რომელიც, მართალია, ამით არ ვაპრობს,
მაგრამ აქ ცხოვრობს და საშუალება აქვს ყოველთვის შეიძი-
ნოსო.

ალბათ იტყვიო, ასე თუ ყოველდღე მგზავრებს გაუმასპინ-
ძლდნენ და ასე თუ არიგეს ყველაფერი, ხომ ქანცი გაწყდათ
დახვედრა-გამასპინძლებაში და ნივთების მომარაგებაშიო: არ
გახლავთ მართალი. მგზავრები რომ ყოველდღე ჩამოდიოდნენ,
მაშინ აქ ფუნდუქსაც გამართავდნენ; ბეწვეულზე რომ მოთხოვ-
ნილება გაჩნდეს, მაშინ ყველაფერს ზევით კი არ გაავზავნიდ-
ნენ, აქაც გაჰყიდდნენ. საქმეც იმაშია, რომ იაკუტსკში მგზავ-
რები ჯერ კიდევ იშვიათ სტუმრებს წარმოადგენენ და ამიტო-
მაც ასე ევლებიან თავს. მაგრამ დიდხანს კი გასტანს ასე? არა
მგონია. გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და თუ იაკუტსკში
მოვიხვდით, ჩამოსვლა, ალბათ პოლიცია აღარ შეიწუხებს თავს
თქვენს დაბინავებაზე და დუქანშიც ყველაფერს შეიძენთ, რაც
დაგჭირდებათ. სამაგიეროდ გულთბილი და სტუმართმოყვარე
ქ. პ.-ი, პ. ფ.-ი, ა. ი.-ი თუ სხვანი იქნებ ველარც კი გაიცნოთ.

აგერ ახლა ოთახში მიწყვია დოხა, მგლის ბეწვის პალტო, ყარ-
ყუმის ქუდი, ციყვის ტყაპუქი, კურღლლის საბანი, ტორბასეა. პიუიკის წინდები, თეთრი მელიის ხელჯაგები და ძირს გასაგე-

ბად რამდენიმე დათვის ტყავი. როცა ამას ყველაფერს იცვამ. გრძნობ, როგორ გეკარგება ნელ-ნელა ადამიანის სახე და ციყვის, კურდღლის, ირმის, თხის და დათვის იერი გეძლევია. კუხლიანკა და დონა განძრევის საშუალებას გეკარგავს. პიეი-კის წინდებსა და ტორბოსებში ფეხებს ვერ მიატყუპებ ერთმანეთს, ხოლო როცა ორპირ ბეწვის ქუდს, ანუ აქაურად მალახაის დაიხურავ, ფიქრები უკვე ზოზინით გიწყებენ თავში ჩუჩუნს და ბოლოს სულაც გაგიქრებიან. კიდევ რამე რომ მიიმეტო, მგონი, რაღაც საკვირველი მეტამორფოზა გეწიოს კაცს.

ყოველივე ამას ორმოც გრადუსიან ყინვისგან დასაცავად იცვამს თურმე ხალხი. „ორმოცი გრადუსი!—გავიმეორე მე,— ჩვენთან ოც გრადუსამდე თუ ავიდა, ქალაქში მხოლოდ ამაზე შეიქნება ლაპარაკი, ვისდა ახსოვს პოლიტიკა თუ ლიტერატურა.“ — „თქვენი ოცი ჩვენს ორმოცზე უარესია“, — მითხრა ერთმა, რომელიც ურალს გამოღმა იყო ნამყოფი. „ვითომ რატომ?“ — „ქარის წყალობით. იქ თხუთმეტ გრადუსზე თუ ავიდა და თან ქარიც დაერთო, უკვე საშინელებაა; აქ კი ორმოცი გრადუსის დროს სიოც არ ირხევა და ჩქამი არ ისმის. მიწას სქელი წყვედიანი განრთხმია; მზე სისხლისფრად ელავს, სხივებს კი არ ისვრის. ოთხი საათით გამოჩნდება, ნისლს ვერაფერს აკლებს და ისევ მიიმალება.“ — „თქვენ რას აკეთებთ?“ — „ჩვენ რა გვიშავს, ოღონდაც სუნთქვა ჭირს მხოლოდ: მკერდში დანასავით ვესობა“. — „ამ ყინვებში როგორ ატარებთ დროს?“ — ვკითხე ერთ ქალბატონს. „ვიზიტებზე დავდივართ“. „რას ბრძანებთ!..“ — „აბა როგორ იქნება, ქრისტეშობა, ახალ წელი არ მივულოცოთ: ნათესავეები მყავს, დეიდა, ბებია, რომ არ ვესტუმრო, ხომ შემომიწყენ“.

როგორც შემდეგში შევნიშნე, აქ თურმე ყველა დადის ვიზიტებზე: ქალბატონიც, მეეტლეს და ცხენიც. ქალბატონს სასტუმროში მიაბრძანებენ, მეეტლეს საჯალაბოში, ცხენს კი ფარდულში უკრავენ თავს.

„რით მიდიხართ ხოლმე, ალბათ დონა გაცვიათ და მალახაი გხურავთ?“ — ვკითხე ამ ქალბატონს. „არა, ქუდებსა და სალოპებში ვართ“. — „რა თქმა უნდა, პეტერბურგელ ქალბატონების სალოპები არ გეცმევიათ, რომლებიც კანფეტის ქალაღი-

ვითა, ვერცა გრძნობ, მხრებზე თუ გასხია. ალბათ თივთიკსა ან მაუდს უღებთ სარჩულად?“

თურმე სალოპებიც ისეთივე ყოფილა: „თხელი ნაჭერი აქვს გამოდებულიო“.

მიუხედავად ზამთრის ხანგრძლივობისა, მიუხედავად მძვინვარე, უღმობელ სუსხისა, რა სიცოცხლე ჩქეფს მაინც ამ მხარეში! მე ახლა გზადშემოვივლი, ცოცხალი მოწმე ვარ იმ ქიმიურ-ისტორიული პროცესისა, როცა უდაბნოები დასახლებულ მიდამოებად იქცევიან, როცა ველურები ადამიანები ხდებიან, რელიგიასა და ცივილიზაციას პირუტყვეული ბუნებისთვის ბრძოლა გამოუცხადებია და მთვლემარე ძალებს სასიცოცხლოდ მოუწოდებს. იცვლება ნიადაგის სახეცა და ფორმაც, ტყდება სუსხი, მიწას ართმევენ სითბოს და ახარებენ მცენარეულობას, ერთი სიტყვით, იგივე ხდება, რასაც, ჰუმბოლდტის თქმით, კონტინენტებსა და კუნძულებზე ახდენს ბუნების იღუმალი ძალნი. ალბათ იკითხავთ, ვინ არის ის გოლიათი, რომელიც ხმელეთსა და წყალს თავის ნებაზე ატრიალებს? ვინ არის, რომ ნიადაგსა და ჰავას სცვლის? გოლიათები, ბევრია, მთელი ლეგიონები; ყველას ხელი ურეგია ამ ლაბორატორიაში: თავადაზნაურობის, სასულიერო პირების, ვაჭრების, ახალმოშენთა — ყველა მოწოდებულია საშრომად და ყველა დაუცხრომლად იღწვის. ხოლო როცა ეს ოდესღაც ბნელი, ყველასათვის უცნობი, ახლა კი სრულიად მზა, დასახლებული, განათლებული მხარე განცვიფრებულ კაცობრიობის წინაშე წარსდგება და სახელსა და უფლებებს მოითხოვს, დაე მაშინ გამოიკვლიოს ისტორიამ, ვინ ამართა ეს შენობა, მაგრამ ვაი რომ ისევე ვერ გამოიკვლევს ამას, როგორც ვერ გამოაკვლია, ვინ ააგო უდაბნოებში პირამიდები. თვით ისტორია დაამატებს მხოლოდ, რომ ეს ის ხალხია, ვინც მსოფლიოს ერთ კუთხეში ხმა აღიმალა შავკანიანთა ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, ხოლო მეორე კუთხეში ალეუტებსა და კურილიელებს ცხოვრება ასწავლა და რწმენა მისცა, — ჰოდა, სწორედ ამ ხალხმა შექმნა და გამოიგონა ციმბირი, დაასახლა და გაანათლა იგი, და ახლა სურთ ყოვლის შემოქმედს დაუბრუნონ მის მიერ ჩაყრილი თესლის ნაყოფი. ციმბირის შექმნა კი ისე იოლი არ გეგონოთ,

როგორც სადმე დალოცვილ, მადლიან ცის ქვეშ არის ეს ამბავი ადვილი...

მე არც მეორე დღეს გავმგზავრებულვარ და არც მესამეს. ჭაობებსა და მდინარე მიახზე ცხენით ჩიქჩიქსა თუ ნავით ცურაობის დროს, როცა დილ-დილობით ყინვა მსუბუქად აჰერდა, ფეხები გამცივებოდა. იაკუტსკში რომ ჩამოვედი, მესამე დღეს კიდევ გამისივდა. ექიმმა მითხრა, რომ ლენაზე ჩემი მგზავრობა არ შეიძლებოდა, ვიდრე სიმსივნე არ დაცხრებოდა.

ერთი კვირის შემდეგ უკვე კარგად გავხდი და განგზავრება დავაპირე. „სად მიდიხართ? როგორ შეიძლება! — მითხრეს სხვებმა, — ახლა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოასწრებთ წყლით მგზავრობას: საცაა შუგა დადგებაო.“ — „შუგა რაღა უბედურებაა-მეთქი?“ — „პატარა ყინვაა: მაშინ უნდა გაჩერდეთ და რომელიმე სადგურზე დაუცადოთ ზამთრის გზის შეკვრას. ის არ გირჩევნიათ, აქ მოიცადოთ.“ — „ნაპირით რომ გავყვე?“ — „რასა ბრძანებთ, მთა-მთა გინდა იაროთ? დმერთმა დაგიფაროთ! ფოსტა წელიწადში ორჯერ გადმოდის იქ და ისიც რა წვალებითა და ვაივაგლახით. ცხენით სულ კლდე-კლდე უნდა იაროთ, ვიწრო ბილიკებით, უფსკრულებზე გადახვიდეთ, თანაც ფეხები გტკივათ! გირჩევნიათ, მოიცადოთ: სულ რაღაც ორი თვე დარჩა...“

„ორი თვე! რა საშინელება!“ — შევძახე სასოწარკვეთილებით. „იქნებ თვენახევარზე მეტი არ დაგკირღეთ!“ — მანუგეშა ვილაცამ. „არა, გეთაყვა, წრეულს ლენა ადრე არ შეიკვრება, — ამბობდნენ სხვები, — შემოდგომა თბილი იყო და თოვლი ნაადრევად დაღო — ეს იმას ნიშნავს, ზამთრის გზა მალე არ დადგება...“

ფეხის სიმსივნე გამიქრა, მაგრამ ამასთან ყოველგვარი იმედიც გადამიწყდა დაზამთრებამდე მგზავრობის. ამასობაში ქალაქში ყველა გავიცანი; იქ სადილი გამიმართეს, აქ საუზმე, ვინ დღეობა გადაიხადა, თუ თავისი არა, ცოლის, ბოლოს დედის. თქვენი პირის გემოს ამბავი რომ ვიცე, მოგახსენებთ, რომ აქ მშვენიერი თევზი — ნელმა სცოდნია, რომელიც პეტერბურგელთა სუფრაზე დიდ მოწონებაში იქნებოდა. გემრიელია, მოხარშულიც კარგია, ღვეზელის გულადაც ვარგა და შემწვარიც ჩინებული გამოდის. ამუყუყებენ კიდევ. გარეული ფრინვე-

ლიც შესანიშნავი აქვთ: ციკრები, გნოლები და როჭოები ყოველდღიურ კერძს წარმოადგენს. მაგრამ აქაური მკვიდრები თითქმის პირს არ აკარებენ ქათმისა და ხბოს ხორცს, როგორც სხვა მხარეში, ვთქვათ, კურდღელს არ სჭამენ. ბოსტნეულიც ნაკლებ აქვთ, კომბოსტოსა და კიტრების გარდა. ღვინო ძვირია: შამპანურის ბოთლი 6 ან 7 ვერცხლის მანეთიანი ღირს; სამაგიეროდ სასმელები დიდებული ჰქონიათ.

ადათები აქ პატრიარქალური სუფევს: სტუმრები ისადილებენ, მასპინძელს გამოეთხოვებიან და შინისკენ გასწევენ დასაძინებლად, მასპინძელიც გამოიძინებს, საღამოს კი ისევ შეიყრიან თავს და ვახშმის მოლოდინში ბოსტონს ჩაუჯდებიან. საზოგადოება ერთია, — მოსამსახურე ხალხი, ვაჭრები, მათი ცოლები, — ერთმანეთს ყოველდღე ხვდებიან და... დიდი სიამტკბილობაც აქვთ.

ამ სიტყვებზე იმიტომ კი არ წავებორძიკე, რომ უმართებულო იყოს. მიზეზი ისაა, იაკუტსკის ირგვლივ ერთი წიგნი ჩამივარდა ხელში („იაკუტსკში მგზავრობა“) და იაკუტსკის საზოგადოებაზე იქ სულ სხვა რამ ამოვიკითხე. ავტორი უჩივის ვითომც აქ გაბატონებულ დაბეზლების წყურვილს (გვ. 126), წვეულებებზე გამეფებულ მოწყენას, ერთიმეორის უნდობლობას და ა. შ. არ ვიცი, რა გითხრათ: მე მსგავსი არაფერი შემინიშნავს, პირიქით, მგონი. თუმცა დავას არ დავიწყებ: მაშინ (1832 წ.) შეიძლება ასეც იყო. პატარა ქალაქი მალე იცვლის იერს: ეს დამოკიდებულია, რა გარემოება შეიქნება, ვინ პირველობს საზოგადოებაში. მე რაც შემეხება, სადილებზე ფრიად ცოცხალი საუბარი და დროსტარება გვექონდა; უნდობლობა არავისთვის შემიმჩნევია. ყველა დიდის ხალსით მიირთმევდა და განუწყვეტლავ ბაასობდნენ. ერთმანეთთან თითქმის ყოველდღე იყრიან თავს, წრე არცთუ დიდი ჰყავთ. ზემოთხსენებულ წიგნში ისიც კია ნათქვამი, რომ საღამოს მოწვეული სტუმრები ღამის ორ საათამდე ყურყუტებენ და მერე ვახშმად შინ ბრუნდებიანო. ახლა ასე არ გახლავთ: აბა, ერთი სცადეთ უვახშმოდ გაპარვა, მასპინძლები პარმალზე დაგიჭერენ და ალთებში ჩაგაფრინდებიან. მე ვახშობას ჩვეული რომ არ ვიყავ, ზშირად აღარ ვიცოდი, როგორ დამეხსნა თავი და ბოლოს მაინც ვახშობა მიწევდა.

ჰორებს, რასაც აგრეთვე წიგნის ავტორი იხსენიებს, ჩემამდე არ მოუღწევია, რა თქმა უნდა, გამვლელი კაცი ვიყავ და ჩემთვის საინტერესო არ იქნებოდა. ავტორი მართალია, რომ ამბობს, ჰორები ყველა პატარა ქალაქს სჩვევიაო. მაგრამ ვითომ მართო პატარებს? დიდ ქალაქებში იმიტომ არ გესმის, რომ არც მოსასმენად გცალია და არც გასამეორებლად. არა, ახლა იაკუტსკში სწორედ რომ რიგიანი საზოგადოება დაგხვდებათ. ჩემის აზრით, ისეთ კუთხეში რომ გადავეგდე ბედს, სადაც ქიშპი, შუღლი თუ ჰორები არ არსებულებო, სადაც მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა, უშფოთველი სიმშვიდე, ერთმანეთის ნდობა და თავშეკავება დამენახა, შემეშინდებოდა კიდევ, აქ უთუოდ რაღაც ამბავი იმალება-თქო... იმასაც გეტყვით, რომ ვაქრები აქ საკმაოდ განათლებულნი არიან, უზრუნალებს იწერენ, კითხულობენ, ზოგი თვითონაც წერს. თითქმის ყველას საღდაც უსწავლია, ირკუტსკის გიმნაზიაში მაგალითად; თანაც წვერს არ ატარებენ, ევროპული ტანსაცმელი აცვიათ, ასე რომ, საზოგადოებაში დიდ უთანასწორობას ვერ შენიშნავთ.

დაბეზღებაზე რომ ლაპარაკობდა, ავტორი ვინძლო ამ შეცოდებაში იაკუტებს გულისხმობდა: იმათ მართლაც სჩვევიათ ეს ზნე, მაგრამ, როგორც ყური მოვკარი, ახლა უფროსებია მეცადინეობით ისინიც ნელ-ნელა ხელს იღებენ ამაზე.

თუ რომ თქვენ, ძვირფასო აქპოლონ ნიკოლაევიჩი, რუსთა პიკეტი ტრამალში ევროპის ჩანასახად მიგაჩნიათ, და სავსებით მართალიც ბრძანდებით (იხ. ფელეტონი „ს. პ.-ის ვედომოსტში“, № 176, 1854 წ. 11 აგვისტოს), მაშინ რად მიიჩნევთ ამ მხარეში გაწეულ ღვაწლსა და გმირობას, რომელიც ყაჩაღების, მექრთამეების, დაუსჯელ ბოროტების მხარედ იყო შერაცხული და რომელზეც ამდენი საშინელი ამბავი გაგვიგონია? აბა, ჩემსავით იმგზავრეთ ოხოტის ზღვიდან იმ ადგილებში, რომლებიც ჩვენს გეოგრაფიაში ჯერ კიდევ მონათვლას მოელის, ეს კიდევ რა, ჩვენთან, ევროპაში, ბევრი ვერც დაგისახელებთ, რა ჰქვია თვით ამ მხარეს, არ იცის მისი საზღვრები, მცხოვრებლები, მდინარეები და მთები; თქვენ კი აქ რომ მგზავრობთ, გხვდებათ სავერსო ბოძები, ხიდები, რომელთაგან ერთი ორას ნაბიჯზეა გადებული. რა თქმა უნდა, ეს ხიდი ძე-

ლებისაგან იქნება შეკრული, მაგრამ მისი წყალობით გაუვალ ქაობზე გახვალთ. მიაღებთ სადგურს, რა თქმა უნდა, ერთ უბადრუკ იურტას, მაგრამ თავს ხომ შეაფარებთ, კერიასთან ხომ გათბებით. ზაფხულში ცხენებს დაგახვედრებენ, ზამთარში ირმებს, თქვენც იაკუტის წინამძღოლობით უსიერ, უღრან ტყეში თამამად შეღრმავდებით, მდინარის, მთის ნიაღვრების კალაპოტს გაჰყვებით, მთების ძირას გაიკვლევეთ გზას ან კლდეებზე ახვალთ გაკვალულ და — ვაჰმე, სად ხარ, რომანტიკავ? — ყოვლად უხიფათო ბილიკებით. თქვენ არც დახრჩობის საშუალებას მოგცემთ ვინმე, თუ მაინცდამაინც თვითონ არ მოიკალით თავი, როგორც ეს ერთ ვილაც ახირებულ მეშჩანინს დაემართა შარშან. გამოცდილმა იაკუტებმა უთხრეს თურმე, კოკისპირული წვიმების შემდეგ სიარული სახიფათოა: მთიდან მომსკდარი ნიაღვრები ცხენებსა და მხედრებს მყის ითრევს და იტაცებსო. მან არ დაიჯერა, გაფიცხდა, ერთი ალიაქოთი შექნა; იაკუტები მშიშარა და თვინიერი ხალხია; ამიტომ წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. ისიც წავიდა და ნიაღვარმა დაახრჩო. გზაზე დადგმულ ჯვარზე დაწერილია მისი დაღუპვის ამბავი და წინდაუხედავი ხალხის ჭკუის სასწავლს წარმოადგენს. თუ ღრმა ქაობს მიაღებთ, სადაც კაცი შეიძლება ჩაიფლას, იაკუტი ცხენიდან ჩამოხტება, მუხლებამდე ლაფში შეტოპავს და თქვენს ცხენს მშრალზე გაიყვანს. ტყეში თუ შედით, ის წინ გაგიძღვებათ და ტოტებს გასწევს, რომ არ დაგკაწროთ. ციცაბოზე ასვლისას ქამარს შემოგახვევთ და ისე აგათრევთ. სადაც მეტად უხეირო გზა დაგხვდებათ, სადაც ღრმაა ან ცხენს შეიძლება ფეხი დაუცურდეს, შეჩერდება და გეტყვი: „აქ არ ვარგა, ნაბიძ-ნაბიძ უნდაო“. მერე დანას ამოიღებს, ჯოხს მოჭრის და თქვენ მოგცემთ, თუმცა არც იცის, არყის ფულს მისცემთ თუ არა. დიახ, ამას იაკუტი სჩადის, ამ ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ ნახევრად კაცი, ნახევრად პირუტყვი რომ იყო!

„სადაა ნეტავ საზარელი, თითქმის გადაულახავი გზა?“ — ეკითხებით თავს, ათას ორას ვერსს რომ გაივლით: ყველგან სადგური გხვდებათ, ყველგან ცხენებს გახვედრებენ, ზოგ ადგილებში, როგორც მაგალითად მდინარე მაიაზე, ახალ ხორცს, ნანადირევ ფრინველს იშოვიან, ხოლო რძეს, ბოსტნეულს,

ე. ი. კომბოსტოს, სტაფილოს თუ სხვას, ყველგან იყიდით, ამერიკელი კომპანიის აგენტებს ჩაიცა და შაქარიც აქვთ.

არ დაივიწყოთ კი, რომ ეს მხარე უსახელო უდაბნოდ ითვლება! თუმცა მართლა უდაბნო კია. არა ერთხელ აგიტანს ძრწოლა ამ უკაცრიელ, გოლიათ, მოტიტვლებულ მყინვარების შემხედვარეს, სადაც მთელი ზაფხული არ დნება ღრანტეებში თოვლი, ან ამ ტყეებში შესულს, სადაც ლერწამივით მისტყუპებია ხე ხეს, ამ ლატაკ მიწას რაც წვენი აქვს, სწუწნიან და ძალთა მოქარბებისგან თუ ნიადაგის უქონლობისგან თვითონვე ტყდებიან ძირში. დაინახავთ ხეებზე ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე პატარა ნადირებს, მიწიდან აფრთხილებულ, ადამიანის იშვიათი გამოჩენით დამფრთხალ ფრინველებს. შორიდან ყურს სწვდება მთის ჩანჩქერთა ჩხრიალი, ხან კი ისეთი ღუმელია გამეფებული ირგვლივ, რომ ვერ გაგიბედავს ლაპარაკი თუ სიმღერა, რათა უდაბნო არ გააღვიძო და საკუთარმა ხმამ თვით არ დაგაფრთხოს. საშიში კი არაფერია. საფრთხე ისევე არ გელით, როგორც ზღვისპირა ქუჩიდან ლიტეინიაზე გასვლისას. გზაში მოწყენით გაბეზრებული სადგურებზე უბის წიგნაკში ვიწერდი ხოლმე გაკვრით ნახულსა და გაგონილს. რომ გნახავთ, ყველაფერს წაგიკითხავთ, ასე რომ, იმის დაწვრილებით დადასტურებას იხილავთ, რასაც ახლა გეუბნებით.

ვინ იცის შემესიტყვონ, რომ აქ მარცხიც ხდება და გზაში შეფერხებაც ხშირიაო, განსაკუთრებით ზამთარში; ხანდახან ირმები არაა სამყოფი, ხან თუ მგზავრი ბევრი შეიქნა, ცხენებს მალე ეცლებათ ღონე და მაშინ... ჰო, მედალი რომ გადააბრუნოთ — აღმოჩნდება, მგზავრი ზოგჯერ შუა გზაზე რჩება. უნდა იცოდეთ, რომ შვრია აქ ოხოტის ზღვიდან დაწყებული იაკუტსკამდე არსად მოდის, ცხენები მარტო თივაზე გადადიან, ამიტომ ღონეც არა აქვთ. თუ მგზავრი ბევრი იქნა, როგორც მაგალითად ჩვენი ტრანსპორტიდან დაბრუნებული ოფიცრები იყვნენ, რუსეთიდან ზღვით მოსულები, მაშინ ცხენები ვერ უძლებენ ხშირ-ხშირ მგზავრობას. ირმები სამყოფი ხანდახან საკვების ნაკლებობის მიზეზით არაა. განსაკუთრებით დიდი თოვლი თუ დადო, ირმები თეთრ ხავსს, რომელიც მათ საკმელს წარმოადგენს, ფეხებით ველარ აგლეჯენ და შიმშილით იხოცებიან. ირემი ნაზი და სუსტი ცხოველია. მგზავრიც ამიტომ ფერხდება

სადგურებზე. ისეც ხდება, ცხენებს ქანცი ელევათ და მგზავრს ფეხით უხდება სადგურამდე ჩანჩალი.

მაგრამ ყველა დაბრკოლებათა მიზეზი, როგორც ხედავთ, ბუნება გახლავთ. მის წინააღმდეგ კი ჯერჯერობით ძნელია გადაპყრელი ზომების მიღება. ძნელია, მაგრამ შეუძლებელს. ცხადია, არ წარმოადგენს. ადამიანი ბოლოს და ბოლოს ბუნებასაც სძლევს ხოლმე, თუმცა რა პირობებში! თუ რომ აქ, მაგალითად, დიდი თანხა ჩაჰყარო და უამრავი მუშახელი მოიხმარო, სადგურებზე ბევრი ცხენი იყოლიო, მათ საკვებად შერია ჩამოიტანო, რაც აუარებელ ხარჯს მოითხოვს, მაშინ ყველა დაბრკოლება, შექველია, გადაილახება. მაგრამ, საკითხავია, ვისთვის უნდა გაიწიოს ამდენი ხარჯი და შრომა. ანაზღაურდება კი ეს? მადლობის მთქმელი იქნება ვინმე? ფოსტა თვეში ერთხელ მიდის, გზა მთელი ნახევარი წლის მანძილზე სრულიად მიგდებული და მიყრუებულია. და მაინც რამდენჯერ გადაუხდის გულითად მადლობას ბედისგან ამ უკაცრიელ გზაზე გადმოტყორცნილი კაცი აქაურ უფროსებს, რომ ბევრი რაჟ გააკეთეს, რომ ბევრი რამ ნელ-ნელა კეთდება — რომ გზაზე სიარული საშიში აღარაა, რომ შეგიძლია თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც გააღწიო ამ სულ მცირე დაუდევრობის შემთხვევაში მართლაც გაუვალ ადგილებს! ერთგან ჭაობებს შუა, კარავში ინეინერი ოფიცერი ცხოვრობდა, იქ ბრბოდ ირეოდნენ იაკუტები, მიწას ტეხდნენ, გზას ასწორებდნენ, ხიდს აგებდნენ. აღდანის დაბაში ბოქაული დაგვიხვდა, კ. პ. ა[ტლასოვი] გვარად: რომ დაინახა, ჩვენს სამ კაცს, ოთხ მსახურსა და ბარგს თვრამეტი ცხენი გვჭირდებოდა, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა. „არ ვიცოდი, თუ მოხვიდოდით, — გვითხრა მან, — ახლა იქნებ სადგურებზე უკვე გაუშვეს ზედმეტი ცხენები. შიკრიკი უნდა გავგზავნოო წინდაწინ“. ჩვენ იქ გვათიეთ ღამე; დილას. ინათა თუ არა, ცხენები უკვე მზად დაგვიხვდა. ბოქაულისთვის მადლობის სათქმელად რომ წავედით, ველარ ვნახეთ. „სად არის-თქო?“ — ვიკითხეთ. „წინ წავიდა ცხენების საქმის მოსაგვარებლად, — გვიპასუხეს, — შიკრიკს აღარ დაენდოო“. ბოქაული მესამე სადგურზე შემოგვხვდა, გზის ყველაზე უფარგის ნაწილში. „ყველაფერი მზადააო, — გვითხრა, — ცხენებს ყველგან დაგახვედრებენო“. ნახევარი საათიც არ დაისვენა,

არც ჩვენი მადლობა მოისმინა, მოაჯდა ისევ ცხენს და ტყემო შეიქრა, სადაც კოლბოხებზე, ქანქრობებზე და კუნძებზე უნდა ეხტუნა და სადაც ტოტებს სულ ტყაცატყუცი აუყენა.

დიდი თოვლისა. და უღონო ცხენების მიზეზით გამოწვეულ დაბრკოლებათა გარდა კიდევ მთის მდინარეებს სჩვევიათ თურმე აღიღება; ქაობები მაშინ წყლით ივსება და მგზავრი ხანდახან წელამდე წყალში მისტოპავს. „მგზავრები რას ამბობენ-მეთქი?“ — ვკითხე იმ იაკუტს, რომელმაც ეს ამბავი მომიყვა. „გული მოდიოთ“, — მითხრა, მაგრამ ესეც ისევ ბუნებრივ დაბრკოლებებს წარმოადგენს და მის წინააღმდეგ, როგორც მოგახსენეთ, საქმიან ზომებს იღებენ.

ერთმა ავბავმა გამაკვირვა და გამაზარა კიდევ. აბა, რა ვაიციოთ ხენა-თესვის თაობაზე ციმბირის ამ კუთხეში, რომელიც, მგონი, სულაც სამოწყალოდ მიათვალეს საცხოვრებელ ადგილებს, იაკუტიის მხარეს? მარტო ის, რომ ხენა-თესვამ აქ ვერ მოიკიდა ფეხი და ვერც მოიკიდებს: ჩვენ კი მდინარე მაიაზე, სულ ახლახან დასახლებულ დაბებში, ნავიდან სადგურზე გადმოსვლისას პირველი, რაც თვალში გვეცა, ბოსტნები და პურის ძნები იყო, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ქერისა და კანაფის. ალაგ-ალაგ ახალმოშენენი მოსავლის ქებით ვერა ძლებოდნენ. ვინ არიან ეს ახალმოშენენი? რუსები გახლავთ, დანაშაულოსათვის ბაიკალიდან ან ლენის ნაპირებიდან აქ გადმოყვანილნი თუ გამოწვეულნი. რამდენიმე ოჯახი ერთად სახლდება ხოლმე ახალ ადგილებში. სახელმწიფო არა მარტო სახსრებს აძლევთ, პირველ ხანებში ფეხი მოიკიდონ და ცხენები, საქონელი შეიძინონ, არამედ ნიადაგ ეხმარება. ყოველთვიურად მაშაკაცზე ორ ფუთს და დედაკაცზე ერთ ფუთ პურს ურიგებთ. ახალმოშენენი მღინარე მაიაზე და ალდანზე ვნახე: მათ ტუნგუსები და იაკუტები ჰყავთ დაქირავებული მიწის დასამუშავებლად. პირველად არ უნდოდათ თურმე ამ უკანასკნელთ გარჯა, ცხენის, ციყვების, ქერქისა თუ ყოველნაირი უბედურების ქამა ერჩივნათ, მაგრამ ერთი წელი რომ იშუშავეს და ქერის ერბოიან ფაფას გემო გაუგეს, მეორე წელს თავისი ფეხით მოადგნენ სამუშაოდ.

მაგრამ სულ უნაყოფო ადგილებიც არის: მთავრობის განკარგულებით ახალმოშენენი აქედან სხვა ნაკვეთებზე გადაპ-

ყავთ. მდინარე ამგას რომ მიეუახლოვდი (ის უკვე იაკუტსკთანა ახლოს), უცბად ისე მეგონა, ვოლგის ნაპირებზე მოვხვდი-მეთქი: აღაღანებულ ყანებს მოეჩითათ მინდვრები. „ნუთუ ხორბალია-მეთქი?“ — ვიკითხე განცვიფრებით, ჩემთვის ნაცნობი ოქროსფერი, გაბუმბლული თავთავები რომ დავინახე. „ხორბალი გახლავთ სწორედ, — მითხრა მსახურმა, — აგერ ქულა-გიცო!“

თვალს ვერ მიუწვდენდი ამ ვეება მინდვრებს და თივის უთვალავ ზვინებს, სადაც იაკუტები დაფუსფუსებდნენ და ხარებს თივას უდებდნენ, პურს იღებდნენ. დავინახე ქალები, ბალები, ცხენების ჯოგი და შემოლობილი საძოვრები. „ეს სადა ვარ? აქ ვინ ცხოვრობს-მეთქი?“ — ვკითხე ჩემს მეეტლეს. „წელმაგარი იაკუტები ცხოვრობენო“, (წელმაგარი — მდიდარსა ნიშნავს), — მომიგო მან. დიდებული ამინდი იდგა, თვალები აცაბაცა წამივიდა, ხან მომიკლ პურზე გამიშტერდა მზერა, ხან ტევრში მიმალულ მდიდარ იურტაზე, ფარდულები და გომურები რომ შემოხვეოდა ირგვლივ, ხან ხარზე გადა-მჯდარ ჭრელჭრულებში მორთულ იაკუტ დიაცზე.

მდინარე მაიაზე და აღდანზე ხენა-თესვა და ბოსტნეულის მოყვანა სულ ახლად წამოწყებული საქმეა და აქაურ მთავრობის თაოსნობის შედეგს წარმოადგენს. ახალმოშენენი ლოცვა-კურთხევით ავსებენ ამ თაოსნობას. „ჩვენთვის გააკეთეს ეს ყველაფერი, — ამბობენ ისინი, — ხოლო თუ სადმე რაიმემ არ გაიხარა, მაშასადამე, თავის დღეში არც გაიხარებსო“. როცა იაკუტსკის ახლოს იაკუტებმა ხენა-თესვას მიჰყვეს ხელი, აქაურმა მთავრობამ მათი მოსავალი შეისყიდა და მაიას ახალმოშენეთ დაურიგა. ამგვარად, შარშან თუ სამი წლის უკან 12 ათასამდე ფუთი იქნა შესყიდული. იაკუტებმა მეტი მუყაითობით მოჰკიდეს ხელი ხენა-თესვას. მეორე წელს ფუთი პური უკვე უფრო იაფი გახდა, მაშასადამე 2 მ. და 50 კაპიკის (ასიგნაციებით) ნაცვლად 1მ. და 50 კაპიკად იყიდებოდა. მდინარე ამგაზე ხენა-თესვას წინათაც მისდევდნენ, მაგრამ აქაური მცხოვრებლების თქმით წრევანდლამდე შედეგი ძალიან ცუდი ჰქონდა. ახლა წლიდან წლამდე უკეთესდება მოსავალი. კერძო პირები ხელს უწყობენ ხენა-თესვისა და მესაქონლეობის დაწერვას: ვინ ხორბალს უსასყიდლოდ სწირავს სათესად, ვინ

ცხვრებს აგზავნის, ცხვარი ხომ აქამდე თვალით არ უნახავთ
ლენის გაღმა, ვინ საკუთარ შრომით აძლევს მაგალითს.

მაიაზე ერთი სამსახურიდან გადამდგარი მაიორი სოროკინი
ცხოვრობს. აქ რომ ჩამოსულა, ტუნგუსები დაუჭირავებია და
ოთხი დესეტინა დაუთესია. თითო დესეტინას დათესვა 45 მა-
ნეთი დასჯდომია, თუმცა იხარებდა თუ არა, ჯერ წარმოდგენა
არც ჰქონდა. შრომა წყალში არც ჩაყრია: ფული მოგებით და-
იბრუნა და ტუნგუსებიც მეორე წელიწადს ხელახლა მოადგ-
ნენ სამუშაოდ. ეზო საქონლით ჰყავს სავსე, პირდაპირ თვალს
სიამოვნებს ამ ზორბა პირუტყვების ცქერა. პატივისცემითა და
შიშით ავუარეთ გვერდი ერთ მის ხარს, რომელიც ინგლისის
რომელიმე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე არცთუ უკანას-
კნელ ადგილს დაიკერდა. სოროკინს ოჯახი სავსე აქვს დოვ-
ლათით; სადილად მშვენიერი საქონლის ხორცი, ფრინველი,
ნაღები მოგვართვა. ახლა მთელი თავისი მიწები გადაუწყვეტია
ეკლესიას შესწიროს და თვითონ სხვა ადგილზე გადასახლდეს.
სადაც ალბათ ასევე ააყვავებს ყველაფერს. ისიც თავისებური
გმირი გახლავთ, პატარა გოლიათი. მას კი, ვინ იცის, რამდენი
მოჰყვება! ამ გმირთა რიცხვი კი ლეგიონია. აქაურ შთამომავ-
ლობას დროთა ვითარებაში ალბათ აღარ ეცოდინება, ვინ და-
ლოცოს და აკურთხოს ამ დიდი თაოსნობისთვის. ამ საქმის წი-
ნამძღოლთა სახელები ხალხმა თუ შემოინახა, ესეც დიდი ამბავი
იქნება. სოროკინის სახელი არსად ჰქუხს, თუმცა იმ არე-
მარეში კარგა მანძილზე იცნობს ყველა და ყველა ამბობს,
„სწორედ ასეც“ უნდა მოიქცესო. კედლებზე ჩარჩოებში ქე-
ბის სიგელები უკიდია, რომელიც აქაურ მთავრობას უბოძებია
მისთვის. მაგრამ სიგელები ჩრდილში მიუუყულა და ერთბა-
შად ვერც მოჰკრავ თვალს. სოროკინს, რა თქმა უნდა, სატრა-
ბახოდ არ გამოუმზეურებია ისინი, უბრალოდ რუს კაცს ჩვეუ-
ლებად აქვს ყოველი ოფიციალური ქაღალდი, პასპორტის
ჩათვლით, კედელზე ჩამოჰკიდოს.

კიდეც ერთი ამბავი უწყობს ხელს დიდად ამ თაოსნობას.
ოხოტის ზღვიდან მოყოლებული იაკუტსკამდე ერთ წვეთ
არაყს ვერსად იშოვით. უკვე მოგწერეთ, რომ სტანოვრის ქედის
ერთ-ერთ მთაზე, ჯუჯკურზე ანუ ზუჯურზე, ამ იაკუტურ
თუ ტუნგუსურ მონბლანზე, ჯაგლაგი ცხენი წაგვექცა და მთე-

ლი ჩვენი არყის მარაგი (ასე მოგვეხსენეს მსახურებმა) სულ მთლად დაღწეა. ამიტომ მთელი ეს გზა ჩვენი ძველებს დარად ფრიალ პატრიარქალურად გავიარეთ და წყლის მეტი არაფერი გვიგემა. ჩვენმა მსახურებმა ეს თხუთმეტი თუ თვრამეტი დღე ფხიზლად გაატარეს, თუმცა ამას დიახაც არ მოელოდნენ. ერთი ჩვენი ამხანაგი (თავდაპირველად სამნი ვმგზავრობდით ერთად), დიდი გამჭირდავი ენის პატრონი, ირწმუნებოდა, ჩვენებს რომ სცოდნოდა იაკუტსკამდე არაყს ვერსად იყიდდნენ, არაყი მაიზე ეგების აღარც დაღწეულიყო.

ათას ორასი ვერსის მანძილზე აქ არაყს ვერსად მოსძებნის კაცი. იქ, სადაც მხარე მჭიდროდ დასახლებულია, სადაც ხალხს ლაგამს სდებს ხელქვეითის მდგომარეობა, საზოგადოებრივი აზრის სიმკაცრე და სიქველის მაგალითები, იქ ღვინო თუ არაყი ხალხის უმრავლესობას ვერ გარყვნის და წაახდენს. აქ კი, ამ ახალგაზრდა მხარეში, სადაც მთავრობის ყველა ღონისძიება და მოქმედება იმისკენაა მიმართული, რა არის უზარმაზარ ოჯახს ერთი მუჟა უცხო ტომის ხალხი, კაცობრიობის ეს ველური ბალღები, შეურწყას და შეურიოს, რომელთათვის წესიერი, სისტემატური შრომა ჯერჯერობით სატანჯველსა და ყოვლად ზედმეტ უცხო ხილს წარმოადგენს და ამიტომ ფრთხილ, თანდათანობით აღზრდას მოითხოვს — აქ ღვინო ისევე დაღუპავდა ამ ერთ მუჟა ხალხს, როგორც ამერიკაში დაღუპა ინდიელები. ღვინის იჯარა ოხოტის ზღვის მიმართულებით იაკუტსკის კარებს არა სცილდება. მთავრობას ეს ღონისძიება ღრმად გაუანგარიშებია, — ასე რომ, აზიაში ევროპის ჩანასახს კი აღარ წარმოადგენს, ცივილიზაციის რუსული, თავისებური ნიმუში გახლავთ, რისთვისაც ურიგო არ იქნებოდა ზოგიერთ ევროპელ, ოსტ-ინდოეთიდან ჩინეთში დამავალ ხომალდს მიგბაძა.

მაგრამ გეყოფათ ჩემი უბის წიგნაკიდან იმ ამბების მოტაცება, რაც ზღვიდან მოყოლებული იაკუტსკამდე ვნახე და ჩავიწერე. რომ ვნახავთ, საამბობელი აღარა დამრჩება რა. ახლა თვითონ იაკუტსკს დავუბრუნდეთ.

მე აქაური საზოგადოების თითქმის ყველა წევრს გავეცანი: ვინ მსახურობდა და ვინ ვაჭრობდა, ვინ არც მსახურობდა და არც ვაჭრობდა: ყველანი დიდი თანაგრძნობით მეკითხებოდნენ

ჩემი ყარიბობის ამბებს და დიდი ცნობისწადილით ისმენდნენ ჩემს მონაყოლს. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ იმათი უბრალო, თითქო უმოძრაო ყოფა მოგზაურობებზე არა ნაკლებ ღვაწლსა და თავდადებას შეიცავდა? შევიტყვე, რომ მათი ცხოვრება სულაც არ იყო უმოძრაო და მთვლემარე, სულაც არ ჰგავდა ჩვეულებრივ პროვინციულ ყოფას, რომ აქაურთა საქმიანობის ჯამში უამრავი ღვაწლი იფარებოდა, რაზეც სხვა ადგილებში ქვეყანას გააყრუებდნენ ლაპარაკით და ყველგანაც გააჭრელებდნენ. ჩვენში კი თავმდაბლობის წყალობით ამაზე კრინტს არ სძრავენ. მარტო იაკუტსკის სამხარეო არქივში ინახება ის მასალები, რომლებიც იაკუტსკის მხარის მომავალ ისტორიკოსისათვის ფასდაუდებელი იქნება. ზოგიერთებს მოუკიდიათ ხელი აქ თუ ირკუტსკში ძველი ხელთნაწერების გარჩევისთვის და, ცხადია, გამოაქვეყნებენ კიდევ. მხოლოდ ეს შრომები წარსულს ეხება. ახლანდელ მოღვაწეთა გმირობა კი ყოველგვარი რიხისა და ჰაიპუსის გარეშე შევა ოფიციალური საცავის ნუსხებში და მათი სახელების გამომზეურებას კარგა ხანს არ მოუწევს კიდევ რიგი ისტორიაში.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მისიონერებზე მინდა მოგახსენოთ. აქ, იაკუტსკში, ისინი ორნი არიან: მღვდლები — ხიტროვი და ზაპოლსკი. იცით, რას აკეთებენ ისინი? ათი წელია იაკუტსკში ცხოვრობენ და აქედან სამი წელი ერთ ადგილზე, თავიანთ ოჯახის ჰერქვეშ არ ექნებათ გატარებული. ნიადაგ ადგილიდან ადგილზე გადადიან, ხან იაკუტებს, ხან ტუნგუსებსა თუ სხვა ტომებს მიაკითხავენ: გაქრისტიანებულებისთვის კურთხევანი მიაქვთ, სხვებს მოსაქცევად ამზადებენ.

„რა ადგილებში იყავით-მეთქი?“ — ვკითხე ერთ მათგანს. „სადაც მოგვიხდებოდა, ხან ჩრდილოეთში, ხან სამხრეთში, ხან ათასი ვერსის მანძილზე, ხან ათას ხუთასის, ხან კი სამი ათასის სიშორეზეო!“ — „ვინ ცხოვრობს იმ ადგილებში, მაგალითად: ჩრდილოეთში?“ — „ცხოვრებით არავინ ცხოვრობს, მხოლოდ იაკუტები, ტუნგუსები, ჩუქჩები დადიან ქოჩად. ცხენებით მგზავრობენ. ამ გზებზე, მეტწილად ცხენებს ვერც ცვლიან, ხან ირმებითაც უხდებათ სიარული. კოლიმისა თუ სხვა უდაბურ გზებზე სადგურებიც კი არის, მაგრამ დიდი მანძილია ხოლმე

მათ შორის, — ოთხას-ოთხასი ვერსი, ყველაზე მცირე — ორასი ვერსი იქნება!“

„ორასი ვერსია მცირე! სად ჩერდებით? ღამეს სად ათევთ?“ — ვკითხე. „ალაგ-ალაგ სამზარეულოები დგასო“. — მითხრეს.

ამ სიტყვაზე ეგებ მართლაც მზარეული წარმოგიდგეთ თვალწინ და ვინძლო ბიფშტექსის, კატლეტების სუნიც იგრძნოთ...

„სამზარეულოო, — მითხრეს, — ცარიელი იურტაა, სადაც არავინ ცხოვრობს; ზემოთ ერთი ხელოვნურად გაჭრილი ნახვრეტი აქვს, კედლებში კი უთვალავი ბუნებრივი ფარღალალები. შუაში კერია დგას — მეტი არაფერიო!“ მაშასადამე, quasi-სამზარეულო ყოფილა.

თუ გნებავთ ის ჭეშმარიტ სამზარეულოდ აქციოთ, მზარეულიც თან ჩამოიყვანეთ, ამასთან არც სანოვავე დაივიწყოთ და ზოგჯერ შეშის მარაგიც იქონიეთ, ტყე ყველგან არ არის; ცეცხლის გასაჩაღებელიც ჩამოიტანეთ, ვინაიდან ვერავის ესესხებით, მეზობლები იმ არემარეში არავინ გეყოლებათ; ათასზე თუ უფრო მეტ ვერსზე პირდაპირ უდაბნო გადაჭიმულა, მარცხნივ მეორე უდაბნოს დაინახავთ, მარჯვნივ მესამეს და ასე შემდეგ.

„ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, თუ სამზარეულო დაგხვდა! — ამბობდა მამა ნიკიტა, — თორემ ხანდახან ასიც არაა...“ — „მაშინ რას შერებით?“ „მაშინ თოვლზე ვათევთ ღამეს!“ — „იმედია, ორმოცგრადუსიანი ყინვა არ იქნება“. — „ორმოც გრადუსზეც ვათევთ ღამეს: რა გზაა მეტი?“ — „რას ამბობთ, აკი ამბობენ, 40°-ზე სუნთქვა ჭირსო...“ — „ძნელია, რა თქმა უნდა, ცოტა მეკრდში ეკლებივით გესობა, მაგრამ მაინც სუნთქავ. ცეცხლს გავაჩაღებთ ხოლმე, თანაც თოვლში თბილა. ყინვას არა უშავს, — დაუმატა მერე, — მივეჩვიეთ უკვე, თან შეფუთნულებიც ვართ. ქარბუქმა თუ მოგვისწრო, უბედურება ისაა...“

ზღვის ქარიშხლები ქარბუქთან თურმე მონავონი ყოფილა: ეს თოვლის გრიგალი ცასა და დედამიწას წყვილიაღში ახვევს და თოვლის კორიანტელებს ციბრუტრით ატრიალებს: ვერც წინ, ვერც უკან ნაბიჯს ვერ გადადგამთ. თუ ქარბუქმა მოვის-

წროთ, გაჩერდით ერთ ადგილზე, თუ დაიძარით — ვერც წინ სავალს მიაგნებთ და ვერც თქვენს მიერ გავლილსა თუ გუშინდელ გზას: სადაც ბეჭობები იყო, იქ ორმოები და ხეხვები დაგხვდებათ; ისა სჯობს იღვით და არ გაინძრეთ. „ერთხელ ქარბუქში მივალწიეთ იურტას, — მიყვებოდა მამა ნიკიტა, — ამხანაგები კი ჩამოგვრჩნენ. ძაღლების აღდოს არ ენდნენ, სხვაგან გადაახვევინეს ძალით და გზაც აერიათ. სამი დღე ველოდით იმათ, ხოლო როცა გადაიკარა, იურტას კარებთან ვნახეთ. უკანასკნელი დამე აქ გაეთიათ, ექვდაც არ მოსვლიათ, თუ ეს სადგომი იყო“. წარმოიდგინეთ, რა ამინდი უნდა ყოფილიყო!

ამ დღეებში მღვდელმა ზაპოლსკიმ დავალება მიიღო, სამხრეთისკენ გამგზავრებულიყო ათასი, ათასნახევარი ვერსისა თუ კიდევ მეტი რადიუსით: აქ ჯერ მანძილები არავის გაუზომია — რამეთუ ახალ ადგილს წარმოადგენს. ის გამოსაკვლევად მიდის. ვინ ცხოვრობს იქ, უფრო სწორად, ცხოვრობს კი ვინმე... და თუ ცხოვრობს, მისდევს თუ არა რაიმე სჯულს და სახელდობრ რომელს და ა. შ. ერთი სიტყვით, უნდა შეიტყოს ყველაფერი, რაც მის მოვალეობას შეადგენს.

„ახალ ადგილზე როგორ მიდიხართ? რითი?— ვკითხე მე, — რას შექამთ? სად გაჩერდებით? იმ გზაზე აღბათ სამხარეულობები არ იქნება...“ — „ჰო, ძნელია, მაგრამ ეს პირველად იქნება ასე, — მომიჭრა მან, — მეორედ უფრო გაადვილდება“.

ჰოდა, პირველად სწორედ ის მიდის, მაშასადამე, იმედი აქვს, მეორედაც წავიდეს, ეგებ მესამედაც. „უნდა გამოვიკვლიოთ, არის თუ არა იმ გზაზე ან სადმე მოშორებით მცხოვრებლები, — განაგრძო მან, — რომ მომავლისთვის ირმების ჩამოყვანაზე მოველაპარაკოთ...“ — „რა სიშორეზე შეიძლება ირმების ჩამოყვანა?“ — ვკითხე მე. — „თუნდაც ექვსასიშვიდასი ვერსი იყოს, მაინც ჩამოიყვანენ. რა გიკვირთ? — დასძინა მან, — პირველი ხომ მე არ ვიქნები: იქ, აღბათ, უთუოდ იყო ვინმე: ციმბირში კუთხეს ვერ მოსძებნით, რუსი კაცი არ იყოს ნამყოფი!“ შესანიშნავი სიტყვები გახლავთ! „დიდხანს კი აპირებთ იქ დარჩენას?“ — ვკითხე მე. „ვფიქრობ, ზაფხულში დავბრუნდე“. ახლა კი ოქტომბერი დგას!

თქვენ ხედავთ, რომ აქ რელიგიის მხრივ იგივე კეთდება,

რაც ალუუტებისთვის გაკეთდა. საჭირო არაა, მგონი, იმ მწყემსთმთავრის სახელი გაგახსენოთ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იღწვოდა ჩვენს ქვეშევრდომ ამერიკელ ტომთა გასაქრისტიანებლად. თქვენ იცნობთ მას, როგორც „ალუუტის კუნძულთა უნლაშკინის მხარის ჩანაწერების“ ავტორს. წიგნი 1840 წელს გამოაქვეყნა დეკანოზ ვენიამინოვმა (ამჟამად კამჩატკის, ალუუტისა და კურილიის მთავარეპისკოპოსმა ინოკენტიმ). ავტორი შესაეაღში მოკრძალებით უწოდებს ჩანაწერებს ჩვენი ამერიკული კოლონიების მომავალი ისტორიების მასალებს. მაგრამ ამ მასალებს რომ წაიკითხავ. ახალგაზრდა, ნაკლებ ცნობილი მხარის სხვა ისტორიას აღარც ისურვებ. ყოველ ნაწილს, — ეთნოგრაფიულს, გეოგრაფიულს. ტოპოგრაფიულს თუ ბუნებისმეტყველურს — არც სისრულე აკლია და არც გარკვეულობა. მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება ეკლესიის მდგომარეობაზეა მიქცეული ახალმოქცეულთა შორის, რომლის წარმატებას ამდენი შრომა და თავდადება მონანდობა მან მრავალი და მრავალი წლის მანძილზე. ეს წიგნი შესანიშნავი იმითაც არის, რომ მშვენიერი, იოლი და ცოცხალი ენითაა დაწერილი. გარდა ამისა, მ. ვენიამინოვმა ალუუტთა ენაზე თარგმნა სახარება, მანვე გამოსცა ალუუტური და ალუუტურ-კადიაკური დედნები, რომელთაც თან დართულაქვთ ერთსა და მეორე ენაზეც მცნებები, სჯულის სიმბოლონი, უფლის ლოცვანი, ყოველდღიური ლოცვანი, მერე სათვალავი და ციფრები. იგივე ამბავი, თუ არ ვცდები, კოლოშელებისთვისაცაა გაკეთებული.

თუ გნებავთ, უფრო დაწვრილებით გაეცნოთ ამერიკაშმართლმადიდებელ ეკლესიის მდგომარეობას, წაიკითხეთ 1840 წელს ამ სათაურითვე გამოქვეყნებული დეკანოზ ი. ვენიამინოვის ბროშურა. ახლა მისი უსამღვდელესობა ინოკენტი უფრო ფართო სარბიელზე იღწვის აქ, ორასი ათასი იაკუტის, რამდენიმე ათასი ტუნგუსის და სხვა ტომების სამწყოს უძღვის, სამი ათასი ვერსის სიგანისა და სიგრძის ფართობზე რომ მიმოზნეულან. მისი ხელმძღვანელობით ითარგმნება სახარების სიტყვა მათ ღარიბ კილოკავზე, რომელსაც არ ძალუძს მოქალაქეობის უფლება მიიკუთვნოს ჩვენს ენებში. მე შემთხვევით მოვხვდეს სახარების გადამთარგმნელ კომიტეტზე, რომელიც მწყემსთ-

მთავრის წყნარ სენაჲში შეგროვილიყო. აქაური სასულიერო პირებიდან ყველამ იცის იაკუტური ენა. თარგმანის შავი უკვე დასრულებულია. როცა მე კომიტეტში ვიყავ, იქ მათეს სახარების საბოლოო განხილვა წარძობდა. იაკუტურ თარგმანს ბერძნულ, სლავიანურ და რუსულ ტექსტებს უღარებდნენ. ყოველ სიტყვასა და გამოთქმას ყველა წევრი მკაცრად სწონიდა და ამოწმებდა.

დარბაისელ მამათ არა ერთხელ გასჭირვებიათ შესაფერი სიტყვები მოენახათ იაკუტურ ენაზე არა მარტო ზნეობრივ, არამედ საგნობრივ ცნებათა გამოსახატავად, რამეთუ თვით ეს საგნები იაკუტებს არ გააჩნიათ. მაგალითად, იაკუტებს არა აქვთ სიტყვა ნაყოფი, რადგან თვით ცნება არ არსებობს. აქაურ ცისქვეშ არავითარი ნაყოფი არ ხარობს, ასე გასინჯეთ, მაყალო ვაშლიც კი: ჰოდა, ეს სახელი აბა რისთვის უნდა ეწოდებინათ. აქვთ ცირცელი, სელშავი, ტყის მოცხარი, აქაურად ჰმანას რომ ეძახიან, ყვითელი ჟოლო — მაგრამ ესენი ზომ კენკრულია. თვით იაკუტებმა რუსების მიერ შემოტანილ საგნებს სახელი რომ ვერ მოუნახეს, ისევ რუსული სახელები შეარქვეს და იაკუტური ენის შემადგენლობაში იმათ სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი. პურს ისინი ასევე პურს ეძახიან, რადგან პურს რუსებმა მიაჩვიეს. ასეა სხვების მხრივაც. ასეც მოიქცა უსამღვდელოესობა ინოკენტი, როცა სახარებას ალექუტთა ენაზე თარგმნიდა. ასე იქცევიან სახარების იაკუტურ ენაზე მთარგმნელნიც.

ერთ-ერთი მისიონერი, კერძოდ მღვდელი ხიტროვი, იაკუტური ენის გრამატიკას აღგენს, რათა იაკუტებმა წერა-კითხვის შესწავლის დროს იმით იხელმძღვანელონ. წიგნი უკვე დამთავრებულია. ხედავთ, რა საქმე წამოუწყიათ აქ. როგორც მითხრეს, აქაური სასულიერო უფროსობის გეგმები და შრომები მთავრობის მიერ მოწონებული ყოფილა. იაკუტური ენის გარდა სახარება უკვე ტუნგუსურადაცაა გადათარგმნილი. ტუნგუსური ენა, ამბობენ, მანჯურიულს ჩამოგავს, როგორც იაკუტური — თათრულს. ყური მოვკარი აგრეთვე: რომ ტუნგუსური ენის გრამატიკაც შეუდგენიათ, ყოველივე ეს სასულიერო პირების წყალობას წარმოადგენს. ხოლო ერთმა აქაურმა პედიკმა ტუნგუსურ-რუსული სიტყვარი შეადგინა, რამდენიმე

ათასი სიტყვისაგან. რაკი ტუნგუსებს წიგნი არა აქვთ, მაშასადამე, არც მწიგნობრები ჰყავთ, აქაურმა სასულიერო უფროსებმა განიზრახეს საცდელად ჯერჯერობით სახარების თარგმანის წერილობითი ასლები დააგზავნონ ტუნგუსთა ქოხებში. რათა ტუნგუსურის მცოდნე ჩვენმა მღვდლებმა თარგმნის კითხვით მათ შორის თანდათან განავრცელონ სარწმუნოებრივი კრებარტებანი, ხოლო როცა მათში წერა-კითხვა გავრცელდება და შესაძლებელი გახდება ნაბეჭდი თარგმანის მიწოდება, უკვე მზად იყვნენ სახარების საფუძვლიანი აღქმისათვის.

თქვენი ცნობისმოყვარეობის დასაქმყოფილებლად წერილს თან ვურთავ ამ შრომების ნიმუშს: უფლის ლოცვას იაკუტურ, ტუნგუსურ და კოლოშელთა ენებზე, როგორც მე აქ გადმომცეს. ინგლისური გამოთქმები სწორედ მონაგონია ამ ბგერებთან, რომელთა გამოთქმაში არა მარტო ყელი, ენა, კბილები, ლოყები, არამედ წარბები, შუბლის ნაოჭები და, მგონი, თმაც კი მონაწილეობს! ან გრამატიკას არ იკითხავთ! ხან ბრუნვის ნიშანი სახელის წინაა მოქცეული, ხან კუთვნილებითი ნაცვალსახელი სახელს ერწყმება და ა. შ. წარმოიდგინეთ, ეს ყოველივე მაინც დასძლიეს და გადალახეს.

დამავიწყდა მეთქვა, რომ იაკუტური ანბანისთვის რუსული ასოებია გამოყენებული, მხოლოდ ზოგიერთებია ოდნავ შეცვლილი განსაკუთრებული ნიშნების საშუალებით, რათა ჩვენი ენის ნაწილობრივ ყელისმიერი, ნაწილობრივ ცხვირისმიერი ბგერათა ნაკლოვანება შევსებულიყო. მაგრამ თქვენ აღბათ უკვე იცით ეს ამბავი ბ. ბეტლინკის წიგნიდან, „Ueber die jakutische Sprache“¹, რომელიც ს.-პეტერბურგშია გამოცემული. ხოლო თუ არ იცით, ჩაიხედეთ მაინც. ეს ვრცელი ფილოლოგიური ნაშრომია, ოღონდ ზოგადი ნაშრომი, რომელიც მხოლოდ მასალად გამოდგება იაკუტური ენის მომავალი საფუძვლიანი გამომკვლევისთვის. ამ წიგნში იაკუტური ენის ფორმები გადმოცემულია მონგოლურსა და სხვა აზიურ კილოებთან შედარებით. თვით ბ. ბეტლინკი თავის წიგნში არ კისრულობს ამ ენის საფუძვლიან მცოდნეობას და სხვა ავტორიტეტებს იმოწმებს. ალექსანდრისა და ტუნგუსების ანბანისათ-

¹ იაკუტური ენის სახელმძღვანელო (გერმ.)

ვისაც რუსული ასოებია გამოყენებული, რაკი ამ კილოებს არა-
ვითარი დამწერლობა არ გააჩნიათ.

ახლა მიხიონერებზე ვიკმაროთ და სხვებზეც ვთქვათ რამ-
დენიმე სიტყვა. თქვენ იცით, რომ იყვნენ და ახლაც არიან ისე-
თი ადამიანები, რომლებიც პოლუსებს სულ ახლოს მიადგნენ,
ყინულოვანი ზღვისა და ჩდრილოეთ ამერიკის ნაპირები შე-
მოიარეს, უკაცრიელ ადგილებში შეიჭრნენ, ხანდახან წაღის
ყელის ნახარშის გარდა სხვა საკმელი არ გააჩნდათ, მხეცებთან
ბრძოლა და სტიქიონებთან ჭიდილი უხდებოდათ — ისინი გმი-
რებად არიან ჩარიცხულნი, მათი სახელი ყველამ ვიცით, შთა-
მომავლებიც არ დაივიწყებენ, მათზე ვწერთ წიგნებს, მათ სუ-
რაათებს ვხატავთ და ბიუსტებს ვაქანდაკებთ. ერთმა მაგნიტის
ისარის განხრილობა გამოიკვლია, ის მეორე ნახევარსფეროში
უახლოესი გზის აღმოსაჩენად იყო წასული, სხვებმა ვერა აღ-
მოაჩინეს რა და გაიყინნენ. მაგრამ ყველა დიდების მოსახვეჭაღ
იდებდა თავს. იცის კი ვინმემ იმ ტიტულოვანი და კარის მრჩე-
ვლების კოლეგიის ასესორების, პორუჩიკებისა და მაიორე-
ბის სახელები, რომლებიც ყოველწლიურად გაუვალ უდაბნო-
ებში, ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე მიდიან, თოვლში სძი-
ნავთ, 40°-იან ყინვაში — მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო
საჭიროებისადა გამო? მათ სურათებს არავენ ხატავს და წიგ-
ნებს არავენ წერს. ნამსახურობის ნუსხაშიც კი გაკვრით ექნე-
ბათ ჩაწერილი: „მთავრობის სხვადასხვა დავალებებს ასრუ-
ლებდნენ“.

ნეტავ რა საჭიროებისთვის მიემგზავრებოან ისინი იქ?
ვთქვათ, ერთ ადგილზე ახალი ხორცი შემოაკლდათ, ჰოდა, მო-
ხელესაც ათასი ვერსის სიშორეზე გზავნიან ამდენი და ამდენი
ასეული ხარისა და ირმის მოსამარაგებლად და ახლა სხვა ათასი
ვერსის მანძილზე მათ მისაწოდებლად. სხვაგან რაღაც შემთხვე-
ვა მოხდა, მოსამსახურე პირსაც ერთნახევარ თუ ორი ათასი
ვერსის მანძილზე უკრავენ თავს გამოძიების მოსახდენად ან
უბრალოდ რომელიმე გადაკარგული ადგილის მოსანახულებ-
ლად, ყველაფერი იქ წესრიგში არის თუ არა. არ დაგავიწყდეთ,
რომ იმ მხარეებში შარავნებს ნაკლებ შეხვდება კაცი, ზამთარ-
ზაფხულ ცხენით მგზავრობენ, ან ისე ვიწრო გზა დახვდება,
წალიკ-წალიკ უნდა შეაბას ცხენები. მეორეს, მაგალითად, ნიჟ-

ნი-კოლიმის მზრავში მიამგზავრებენ, — იცით კი, სად არის მერე? ყინულოვან ოკეანესთან, იაკუტსკიდან ორი ათას ხუთას. სამი ათას ვერსის მანძილზე, სადაც ჩუქჩების ადგილ-საცხოვრებელია. რა გგონიათ, რისი გულისთვის, მათი მიწების დასაპყრობლად და ხარკის შესაწერად? ჩუქჩები აქამდე ველურ მდგომარეობას არ ასცილებიან, თავიანთ ტუნდრებს ჯიუტად ეკიდებიან და შიმშილის მსხვერპლნი არა ერთხელ გამზადიან, როცა თევზი თუ ნაღირი შემოაკლდებათ. რა სახარბიელო დავლაა, არა! მაშ რად აგზავნიან ხალხს იქ? იმად, რომ ველურები კაცად გახადონ, ადამიანურ ცხოვრებას მიაჩვიონ, ყოველგვარი ანგარებისა და სასყიდელის გარეშე, რადგან მათ წასაგლეჯი არა გააჩნიათ რა.

ჩუქჩებს ჩვენს ახალმოშენეთაგან თავი შორს უჭირავთ, ჰგონიათ, რუსები მოვლენ და ყველას ყელს გამოგვეჭრიანო, რუსებიც ამასვე ფიქრობენ ჩუქჩებზე და საფუძველიც უფრო მეტი გააჩნიათ. ამიტომაც ორთავე მხარე ერიდება ერთმანეთს, — თუმცა კი გვერდიგვერდ ცხოვრობენ, შიმშილობის დროს ერთმანეთს ხელს არ უმართავენ, არ ვაჭრობენ და ვინძლო დაერიონ კიდევ ერთმანეთს.

რამდენადაც მე შევიტყვე, ერთი მოხელე მათ დასაახლოებლად ყოფილა გაგზავნილი. „მერე რა გზით გაახერხეთ-მეთქი?“ — ვკითხე მას. „დაყვავებითა და საჩუქრებით, — მითხრა ასე. — რის გაჭირვებით შემოვიტყუე მათი მამასახლისები იურტაში ჩემთან, ჩაით გავუმასპინძლდი, დავარწმუნე, საფრთხე არაფერი ელოდათ. ამის შემდეგ ბევრი ოჯახი გადმოვიდა ჩვენს მხარეზე“.

ჩუქჩებსაც მიუპატიჟნიათ თურმე თავისთან. „ჩვენ ხომ გესტუმრეთ, ახლა შენც გვესტუმრეო“, — უთქვამთ მათ და თავიანთი ადათისამებრ გამასპინძლებიან: სადილზე, ამიტომაც პირი ვერაფრისთვის დაუკარებია. ჭუჭყიან ქოთანში ჩუქჩ დედაკაცს ირმის ხორცი მოუხარშავს, მერე ამოუღია და ხელით გაუნაწილებია ყველასთვის, მერე რა ხელებით, ღმერთო! როცა მას ამ კერძზე უარი უთქვამს, მეორე, ყველაზე სანუგბარო, შეუთავაზებიათ: ირმის უმი ტვინი. „ჩვენ ხომ ვქამეთ შენთან, შენც, გინდა არ გინდა, უნდა ჭამოო“, — უთქვამთ ასე.

მან ბევრი საინტერესო რამ მიამბო მათ ირგვლივ. ერთ

ჩუქის თურმე ფრიად დაუტკბა, გვერდით მოისვა სადილზე, ისიც მერე აღარ მოშორებია გვერდიდან, მეგზურად დაჰყვებოდა, მთელ დამეებს სასთუმალთან უთევდა თვალმოუხუჟავად, მისთვის ძილი რომ არაფერს დაეფრთხო, და მსოლოდ ჩუქების მიწაწყლის საზღვარზე დასცილდა. აბა ერთი უხეშად მოექეციოთ და დააფრთხეთ — მერე რამდენი წელი მოუნდება ამ შთაბეჭდილების წაშლას და აღმოვხვრას!

საყურადღებოა ის ამბავიც, როგორ აწარმოებენ ჩუქებმა ვაჭრობას, ესე იგი გაცვლა-გამოცვლას მეორე ტომთან — კორეალებთან ანუ კარაგაულებთან, რომლებიც ყინულოვან ოკეანეში ჩამავალ მდინარეების შესართავებთან მდებარე კუნძულებზე ცხოვრობენ. ჩუქისა და კარაგაულს ცალ ხელში რომ გასაცვლელი საქონელი უკავიათ, მეორეთი გრძელ დანას ჩადრენიან და ერთმანეთს თვალს არ აცილებენ, აბა, რას გააკეთებნო. ერთმა წამით რომ თვალი მოაშოროს, მეორე მყისვე ჩასცემს დანას და მთელ მის საქონელს დაისაკუთრებს. მოკლულზე არავინ გაიცხელებს თავს. „აღბათ, ცუდი კაცი იყო!“ — იტყვიან და დავიწყებას მისცემენ მის ამბავს.

კორეალებზე კი, მაგალითად, ბევრ კარგს ამბობენ, ტუნგუსებზე ხომ იმათზე მეტს. ეს უკანასკნელნი პატიოსანი, კეთილი და შრომისმოყვარე ტომია. კორეალებსაც ძლივს გააქვთ თავი თევზით და ნადირით, მათ იურტებშიც ხშირად ისეთი სამზადისია, როგორც კოლიმისა თუ სხვა უკაცრიელ გზებზე მდებარე ცარიელ სამზადებში. შიმშილობის დროს ერთმანეთში თანაბრად იყოფენ რასაც იშოვიან, ნადირი იქნება ეს, თევზი თუ სხვა რამ. როცა ერთ კორეაქს ასეთი გაყოფისთვის დაჯილდოება დაუბირეს, ვერაფრით ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. „რისი გულისთვისო?“ — კითხულობდა ის. „იმიტომ რომ შენი ნადავლი სხვას გაუყავიო“. „აბა რა, იმათ რომ არ ჰქონდათ!“ — თქვა განცვიფრებულმა. როგორ არ უჩიჩინეს, მაგრამ ჯილდო მაინც ვერ მიადებინეს. კორეალებს ნამუხიანობასაც უქებენ. ერთი კორეაქის ქალს ნამუსზე ხელი აუღია. კორეალების ადათით ის უნდა მოეკლათ. მამამისს ეს ვერ გაუკეთებია. ერთადერთი ქალი ყოფილა და ძალიან ჰყვარებია. „მე არ შემიძლია, თვითონ ჩამოიხრჩვე თავიო“, — უთქვამს და თოკი

მიუცია. ქალმა თავი ჩამოიხრჩო და მამაც რამდენიმე წელს თურმე ცხარე ცრემლით დასტიროდა.

იაკუტებზე, სულ სხვას ჰყვებიან. აქებენ, ნიჭიერი, შრომის-მოყვარე, საზრიანი ხალხიაო, მაგრამ როგორც ყველაზე მრავალრიცხოვან ტომს აქ, ნაკლიც უკვე ახჩენია: ცოტა არ იყოს, ქურდობა უყვართ. მკვლელობა მათში იშვიათად ხდება. მხდალები არიან და სასჯელისა ეშინიათ. მაგრამ ბაცაცობაში კი ისეთ ფხიანობასა და გაქნილობას იჩენენ, ლონდონელ თაღლითებს სწორედ არ ჩამოუვარდებიან. ერთმა იაკუტმა, ვთქვათ თუ ძროხა მოიპარა, ზამთარში ნაკვალევით რომ არ მიაგონ, სარებს ან ცხენის ტყავის ისეთივე წაღებს ჩამოაცმევს ძროხას, როგორც თვითონ აცვია. მაგრამ არც ძროხის პატრონია აჯამი ვინმე: დილით მიწაზე კი არ დაუწყებთ კვალს ძებნას, ზევით ცაში აიხედავს. ყვავები საით მიფრინავენო. ჰოდა, ხშირად ნაქურდალსაც აგნებს და დაკლული ძროხის ტყავით თავის საკუთრებას ცნობს.

ერთხელ რამდენიმე იაკუტი სხვის ეზოში გადამძვრალა ცხენის მოსაპარად. ალაყაფის ჭიშკარი დაკეტილი დახვდათ და ცხენის გამოპარება არ მოხერხდებოდა; მაშინ ლობეზე გადაყვანა მოუნდომეს თურმე ცხენს. წინა ფეხებით რომ გადააჩოჩეს, მერე კუდით გულდაგულ დაუწყეს ქაჩვა ცხენის მეორე ნახევრის გადასათრევად. ცხენი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხვდებოდა მოგზაურობის ამ ახალ ხერხს და თავის მხრივ დიდ პროტესტს აცხადებდა ფეხებითაც და თავით. ხმაურზე პატრონი გამოსულა, ქურდები მყისვე მიმალულან. მართო ქუჩაში მყოფი ერთი ბაცაცა დარჩენილა. „შეხე, შეხე, ბატონო, — დაუყვირა მან, — რას მოუსწარი: ცხენს გაპარავდნენ თურმე.“ — „ვითომ კი მომპარავდნენ“. „აჰა, უკან წაიყვანე“. ლობეზე ცხენი ვეღარ გადმოიყვანეს, რადგან გარეთ ქურდი თურმე ლაგამით ჩაჭიდებოდა და არ უშვებდა. „აქედან ვერ გადავიყვანთ, — უთქვამს მას, — მოდი, ისევ ხელი. ჰკარი და აქეთ გადმოაგდე. მერე ჭიშკარი გახსენი და შემოგიყვანო“. ასეც მოიქცნენ. ქურდმა, რა თქმა უნდა, მერე პატრონს არ დაუცადა, შეჯდა ცხენზე და გაჰქუსლა.

იაკუტები აქ ყველა მეეტლეებად, მსახურებად და ხელოსნებად მუშაობენ. ისინი კარგი მეეტლეები, მქედლები არიან, მაგ-

რამ ყველაზე მეტად ხუროობა და ღურგლობა ეხერხებათ. ცოტა გემოვნებაში მოიკოჭლებენ, რადგან ნიმუშები არ გააჩნიათ. აქაური ძველისძველი დივნები და მაგიდები სახლიდან სახლში ფორმაშეუცვლელად გადადის. ახალ ავეჯსაც ამის მიხედვით აკეთებენ. მიეცით ნიმუში და ისინიც ზუსტადად ისეთივეს გააკეთებენ. იცით, რას მოტანას დამპირდა ამ დღეებში ერთი იაკუტა? მამონტის ძვლისა თუ ლომთევზას კბილისგან ნაქანდაკვე რამელის ბიუსტს. აქ თურმე მისი პატარა ბიუსტი ჩამოუტანიათ თაბაშირისაგან და იაკუტიც იმის მიხედვით აკეთებს. სად იაკუტი და სად რაშელი — არა!

მამონტის ძვლის ნამუშევარზეც მოგახსენებთ ბარემ ორიოდღე სიტყვას. იცით ალბათ, რომ ამ ძვლის მარტო პატარა ნაჭრებს კი არა, მთელ ჩონჩხებს პოულობენ ხოლმე აქ. მითხრეს, რომ ამას წინათ მამონტის ჩონჩხი უპოვიათ. პოდა, ვილაცას მოპრიანებია ჩუქჩებისთვის ეთქვა, იაკუტსკში მოგიხდებათ ამის წადებაო. ჩუქჩებიც ამდგარან, ნაწილ-ნაწილ დაუტეხიათ და ისე გაუქრიათ, კვალიც აღარ დაუტოვებიათ.

გამვლელს ვერ ნახავთ, იაკუტები და განსაკუთრებით იაკუტი ქალები ამ ნახელავით არ მიაღგნენ. საათის ნაჩუქურთმევი დასაღვამი ვიყიდე, ოღონდაც ფეხზე ვერ ჩერდება და სულ იქცევა. მაგრამ უნდა ნახოთ ერთი, რა ნახელავია! ისეთივე ადამიანდელ ნაკეთობას წარმოადგენს, როგორც თვითონ ძვალია და ისეთივე ადამიანობის წარწერა აწერია: საჩუქრად სიყვარულის ნიშნადო. კოლოფებზე რატომღაც რუსული ლერზია გამოხატული. სამწუხაროა, რომ ეს მხარე ასე მივარდნილია, რომ მისთვის ყურადღების მიქცევა ძნელია: აქ იმდენი ძვალი იშოვება, იმდენი იაკუტია, რომ ჩვენი მაგიდები ამ ლამაზი მასალის პატარა ნივთებით იქნებოდა სულ გაჭვდილი. თ[ავადმა] ო[ბოლენსკიმ] მოიწადინა დაუმუშავებელი ძვლის პატარა ნატეხი ეყიდა და თან წაეღო. „თუ ცოტა გნებავთ, გიშოვითო“, — უთხრეს. „სულ პატარა ნატეხი მინდაო“ — სთხოვა მან. „თვრამეტ ფუთამდე რომ იყოს?“ — ჰკითხეს იაკუტებმა. მაგრამ თავადს თხოვნა აღარ გაუმეორებია.

კიდევ რამდენიმე სიტყვა იაკუტებზე. ბ. გედენშტრომი (თავის წიგნში „ნაწყვეტები ციმბირზე“, — ს.-პეტერბურგი 1830) სხვათა შორის, ამბობს, რომ „იაკუტიც მხარე — ერთ-ერთ იმ

მცირერიცხოვან ქვეყნებს ეკუთვნის, სადაც განათლებას ანუ ადამიანთა შეხედულება-წარმოდგენების არის გაფართოებას (sic) [გვ. 94] ზიანი უფრო მეტი მოაქვს, ვინემ სიკეთე. ამ უდაბნოს მცხოვრები (განაგრძობს ავტორი) თავის თავს მსოფლიოს სხვა მცხოვრებლებს რომ შეადარებს, თავის ბეჩავ მდგომარეობას მიხვდება და მის გასაუმჯობესებლად კი საშუალებას ვერ გამოიხატავს...“ აი, როგორ აზროვნებდნენ ზოგიერთები ამ ოცდახუთი წლის წინათ!

ავტორს განათლებული საზოგადოების მანკიერებანი: მკვეხარობა, ანგარება, გაქნილება თუ ა. შ. თითქო განათლების განუყოფელ ნაწილად მიაჩნია, თითქო ეს ბიწი თვით განათლებასაც სჩვეოდეს. მე მგონი, სასაცილოცაა ამტიცო კაცმა, რომ ეს ბიწიერებანი ადამიანთა საზოგადოებაში მხოლოდ და მხოლოდ განათლების ნაკლებობას ამხილებს. თუ ველურებს ყველაზე მეტად საგნის სიბრტყეივალე და ხორციელი სიამოვნებანი იტაცებთ — რაც სრულ სიმართლეს წარმოადგენს, — მაშ მათ ბალღებივით სჭირიათ თვალისქერა და აქაც სწორედ ასევე იქცევიან. ზემოთ ვთქვით, რომ იაკუტიიდან მოყოლებული ოხოტის ზღვამდე არაყს ვერსად ნახავთ; ფარული შეტანის წინააღმდეგ კი მეტად მკაცრ ზომებს იღებენ. მაგრამ თუ ეს ბოროტება მაინც შეიპარა, ისეთი უმნიშვნელო ხარისხით იქნება, ხალხის დაღუპვას ვერ შესძლებს. ფაქტებით დასტურდება, რომ დაბეზლებაც შემცირდა სასამართლოებში. „მკვეხარობა, პატივმოყვარეობა და ანგარება“, ცხადია, დიდ ბიწიერებას წარმოადგენს, მაგრამ ესეც მხოლოდ მაშინ, თუ თვალი ვერ დაიჭირე ბალღებზე და ბოროტებას სადავე მიუშვი; ამ მანკიერებებმა კი, როგორც ავტორი უწოდებს მათ, გონიერი აღზრდა-განათლებისას შეიძლება სამიწათმოქმედო, სამანუფაქტურო და სამრეწველო საქმიანობას შეუწყოს ხელი, რომლებიც, მართალი რომ თქვას კაცმა, მათ გარეშე ვერც დამკვიდრდებოდა სადმე. რა გაკეთებულა პატივმოყვარეობისა და ანგარების გარეშე, რა თქმა უნდა, გარკვეულ ხარისხში? „უდაბნოს მცხოვრები (ამბობს ავტორი) თავის ბეჩავ მდგომარეობას მიხვდება და მის გასაუმჯობესებლად კი საშუალებას ვერ გამოიხატავს“. პირიქით, როცა მიხვდება, სწორედ მაშინ გამოიხატავს ან გამოუხატავს, როგორც ახლა ხდება.

იაკუტის განათლება ახლა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ვაჭრობას მიაჩვიონ, რაც უკვე კეთდება. მერე რა, რომ ის უდაბნოში ცხოვრობს, განათლებამ უდაბნოს დაძლევის საშუალებაც გამოუჩინა. აკი ეგონათ წინათ, აქ პური არ მოვაო. მაგრამ უნარიანად, სიყვარულით მოჰკიდეს ხელი და კიდევ მოიყვანეს. ახლა ცხვრის მოშენებას შეუდგნენ. რა თქმა უნდა, ჯერ კარგა დრო გაივლის. ვიდრე იაკუტის ფაბრიკებში ნაქსოვ მაუდს ჩაეცივამდე; მაგრამ დღესდღეობით ეს საჭიროც არაა. მადლობა ღმერთს, დიახ, მადლობა ღმერთს, ავტორის საწყენად არ ვამბობ, რომ იაკუტეები ახლა ხის ქერქის მაგივრად პურს ჰამენ, ნადირის ტყავის ნაცვლად რუსულ მაუდს იცვამენ! პირველყოფილი სათნოება და სიკეთე, ადამიანების სისადავე და უბრალოება განა რა ისეთი განძია, გულდასაწყვეტი იყოს! ამბობენ, ველურები არ ლოთობენ, არ ქურდობენ — ჰო, ჯერჯერობით არც დასალევი და არც მოსაპარი არ გააჩნიათ. არ სტყუიან — იმიტომ, რომ არ დასჭირვებიათ. კეთილი, მაგრამ ველურ ყოფაში დარჩენა ხომ მაინც არ შეიძლება. განათლება ხანძარივით მოჰკიდებია მთელ მსოფლიოს. „დაე აცილოს ღმერთმა ამ ამბავს (მაშასადამე განათლებას) იაკუტეები თუ მსგავსნი მათნი, რომლებსაც საკუთარი მიწა-წყლის ბუნება დედინაცვლად გაჰხდომიათო“, — იძახის ავტორი (გვ. 96). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: განათლებულნი კაცნი! არ წახვიდეთ იაკუტებთან: თქვენ მათ გარყვნი-თო! რა ახირებული კაცი ყოფილა ეს ავტორი? მამ ქურქი სად ვიშოვოთ? ეს ყველაფერი ხომ იაკუტებს გააჩნიათ, თუ მათ არა, მაშასადამე ტუნგუსებს, ბოლოს ალეუტებს, კოლოშებს და ა. შ. უნდა მივაკითხოთ ისევ და ისევ იმ ველურებს! ბუნებას არცთუ მთლიანად უდევინაცვლია, როცა მათი ქვეყანასიასამურებით, ციყვებით, ყარყუმებით და დათვებით დაუ-ჯილდოვებია.

ბ. გედენშტრომის წიგნი 1830 წელსაა გამოცემული. იქნებ ავტორმა შემდეგ თვითონაც უარი თქვა თავის პარადოქსზე.

თუმცა ორივე დასახელებული წიგნი „იაკუტსკში მგზავრობა“ და „ნაწყვეტები ციმბირზე“ შეძლებისდაგვარად დამაკმაყოფილებელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს აქაურ მხარზე და სამართლიანადაც დაიმსახურეს საზოგადოების მოწო-

ნება. პირველი წიგნი ორჯერ, თუმც იქნებ მეტადაც იქნა გა-
მოცემული. თუ მოისურვებთ ამ შორეულ კუთხეზე უფრო
მეტი რამ შეიტყოთ და უფრო მართალიც, გირჩევთ ეს ორი
წიგნი წაიკითხოთ. მე კი მხოლოდ მგზავრი ვიყავ აქ, შემთხვე-
ვით შუა გზას შერჩენილი და ერთი-ორი კვირით მოცალეობის
ქაშ ამ მკრთალი ნარკვევის დაწერალა შეეძელი.

მაგრამ ბარონ ვრანგელის წიგნზე უფრო დიდ ავტორიტეტს
მაინც ვერ დაგისახელებთ: თქვენ დიდი ხანია იცნობთ მას. ამას
დაეუმატებ მხოლოდ, რომ ამ წერილისა და მოგზაურის სახე-
ლი ციმბირელთა ხსოვნაში ნიადაგ ცოცხლობს და მის წიგნს
უთუოდ უნახავთ ციმბირში ყოველ განათლებულ კაცს.

მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დამრჩა სათქმელი ზოგიერთ
იაკუტელ ვაჭრებზე, რომლებიც თავის მხრივ აქაურ ჰერკულე-
სის სვეტებს, ანუ ყინულოვან ოკეანესა თუ მის საპირისპირო
მხარეს, უცნობ უღაბნოების მიჯნას აღწევენ. ერთი მათგანი
პაგალითად ნიჟნი-კოლიმიდან კიდევ ხუთასი ვერსის სიშორე-
ზე დადის, ჩუქჩებთან, იაკუტსკიდან კი ნიჟნი-კოლიმამდე სა-
ში ათასი ვერსი ითვლება, მეორე სამხრეთით, მდინარე უღუზე
მიემართება, მესამე დასავლეთით, ვილიუსის ოლქში.

„რა პატარაა ეს დედამიწა და რა დიდია რუსეთით“, — ამ-
ბობს ერთი ჩემი თანამგზავრი, რომელმაც ჩემსავით მთელს
დედამიწას შემოუარა და ციმბირს ეწვია. სრული სიმართლე
გახლავთ. რუსეთიდან ბერლინში თუ წახვალთ, მყის მოგზაუ-
რად მოინათლებით; აქ კი სამი ვეროპის ხელა სივრცეს მოივ-
ლით და მაინც მხოლოდ მგზავრად დარჩებით. რუსეთში არ არ-
სებობენ მოგზაურები, ყველა მგზავრია, თუმცა კი სწორედ ახ-
ლა შეტრიალდა პირუკუ საქმე. განა რკინიგზებით მოგზაურო-
ბას მოგზაურობა ჰქვია? ისინი იმიტომაა მოგონილი, რომ მან-
ძილი მხოლოდ „გაიაროს“ და ვერაფერი კი შეამჩნიოს. ახლა
ვხედავ, რომ ამ ჩვენს მიკარგულ კუთხეებში კიდევ შეიძლება
იმოგზაუროს კაცმა ამ სიტყვის ძველებური მნიშვნელობით,
გადაიტანოს ათასი გაჭირვება და დაბრკოლება, თან წაიღოს
ლამის ერთი წლის სამყოფი საგზალი, ბუმბულის ქვეშაგები და
სამოვრები. თუმცა აქაური მთავრობის წყალობით ესეც ნელ-
ნელა ქრება და უფრო კეთილმოწყობილად ეწყობა ყველაფე-
რი. ვინძლო მალე აღარც კი მოგცენ საშუალება თოვლზე დაი-

ძინო, ხოლო სამზადებში მართლაც მზარეულები დაგიყენონ. ვაჰმე, ხომ გაწყდა მაშინ მოგზაურთა მოდგმა! დაუებრუნდეთ ისევ ვაჰრებს.

ვაჰრებს ცხენების გარკვეული რიცხვი მიჰყავთ ხოლმე, რაც დამოკიდებულია საქონლის რაოდენობაზე, ხანდახან ორმოცამდეც კი აღწევს; თითოეული ვაჰარი თავისი რადიუსით შემგზავრება ზოგიერთ თავშესაფარ პუნქტებზე, რომლებსაც დიდებულ სახელს ბაზრობას ეძახიან. იქ განსაზღვრულ დროისთვის თავს იყრიან ყოველი მხრიდან იაკუტები, ჩუქჩები, ტუნგუსები და სხვები, და გაცვლა-გამოცვლა წარმოებს. ჩუქჩები უბრალო ფოთლოვან თამბაქოს ყიდულობენ, რომელთაც აქ ჩერკასულს ეძახიან, რკინის ნაწარმს, ნაჯახებს, ლურსმნებს თუ სხვათ. იაკუტები — ბამბისა და შალის ქსოვილებს, დაბას; ჩითებს, ბამბის ტილოს, სქელ მაუდს, ჩაის და შაქარსაც; უკანასკნელი მეტწილად ჩინეთიდან ჩამოტანილი ყანდის სახით იყიდება.

ვაჰრები ართმევენ მათ ბეწვეულს, ზაფხულსა და შემოდგომის ნანადირევს. ხოლო ამ საქონელს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათგან აქ ივლისის ბაზრობაზე ჩამოსული ირკუტსკელები ყიდულობენ, შემდეგ ნიჟეგოროდის და ერზრტის ბაზრობაზე თუ კიახტაში ჰყიდიან თავის მხრივ, იქიდან კი ჩინეთში თუ სხვაგან იგზავნება.

აი, საიდან წარმოიშობა ყარყუმის მუფტები და ბოა, ციყვის ქათიბები და მელიის სალოპები, სიასამურის ქურჩები და საყელაოები, ეტლისთვის დათვის კალთები — ერთი სიტყვით ის ყველაფერი, რითაც ასე ვკობტაობთ ურალის გამოღმა! ვაჰრები ნოემბერში მიემგზავრებიან და აპრილში ბრუნდებიან. ხანდახან ცოლებიც მიჰყვებათ და ყველაფერს მშვენივრად ეგუებიან გზაში, ცხენით მგზავრობასაც, თუ სამზადებში არა. ღია ცისქვეშ ძილს, მთელი თვეობით უდაბურ, მიყრუებულ ადგილებში ცხოვრებას და არც საამბობლად და საკვებრად აქეთ ეს ამბავი გამხდარი. რომელიმე ამერიკელი ან ინგლისელი მსახურების და ველურების ამალით, თოფებით, კარვებით სადმე მთებში წავა, დათვის მოკლავს — და მთელი ქვეყანა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს და მხოლოდ ამაზე გაჰყვიის!

თუმცა ვაჰრებმა შემომჩივლეს, რომ ბეწვეულით ვაჰრობა

ახლა გაცილებით შენელდა, ასე რომ, შორეულ კუთხეებში მგზავრობა აღარც კი ღირსო. მიზეზად რას არ ასახელებდნენ. ხან ვაჭრობის დაცემას, ხან ნადირის გაწყვეტას აბრალებენ, ამბობენ, მონადირეებმა აშიტომ გააძვირესო ბეწვი. ნაწილობრივ ჩინეთში შექმნილი არეულობითაც ხსნიან, ბეწვის გასაღებაც ამ მიზეზით გაჭირდა და გაიაფდაო.

მაგრამ მიზეზი, მგონი, სხვა უნდა იყოს; ლენის გასწვრივ ზოგიერთ პუნქტებში ოქროს სამადნოები გაიხსნა. ოქროს-მრეწველებმა იქ დაიდვეს ბინა და თავიანთ გარშემო მოქმედების ახალი ცენტრები შექმნეს. ხალხმა იქით იწყო დენა, მუშახელი იქ იყო საჭირო, საქონელიც იქ საღებოდა. ალბათ მალე გახდება საქვეყნოდ ცნობილი იმ დაბებისა და პატარა ქალაქების სახელები, რომლებსაც დღეს-დღეობით ნაკლებ იცნობენ: ეს ოლეკმინსკი, ვიტინა თუ სხვანი გახლავთ. აქ უკვე ხშირ-ხშირად იმეორებენ ამ სახელებს. ხალხი იქ უფრო და უფრო მკვიდროდ სახლდება, უდაბური ლენა გამოცოცხლდა, ზამთარ-ზაფხულ ადის და ჩამოდის ზედ ხალხი. ამ ამბავმა მრავალი ხელი და თანხა მოაკლო იაკუტსკს.

ასე ვიფიქრე და ასეც გამოვუცხადე ვაჭრებს. ისინიც დამეთანხმნენ. საერთო თვალსაზრისით ეს მეტად კარგ ამბავს წარმოადგენს, ამ ხუთი, ექვსი, ათი კაცისთვის კი არა. იმპერიის ამ მცირედ დასახლებულ ნაწილში ვაჭრობა სისხლის მიმოქცევა-სავით მოძრაობს და ხალხმოსახლეობის გავრცელებას უწყობს ხელს. ერთი ადგილი რომ მიყრუვდება, გვერდით მეორე არ-ხდება, შემდეგ მესამე — და ა. შ. ამასობაში კი ხალხი სხვადა-სხვა მხარეს იფანტება, მივარდნილ ადგილებში მკვიდრდება და ოქროს ნაცვლად მიწის წიაღიდან სხვა რამის მოპოვებას იწყებს.

მაგრამ კმარა უკვე. კარგია იაკუტსკში დასვენება ძნელი გზის შემდეგ, თავაზით სავსე მცხოვრებლებიც ბლომად არიან, მაგრამ ორი თვე აქ ყურყუტი სწორედ მომქანცველი არის. ღმერთმა დაგიფაროთ მოწყენილობისა და ორმოცგრაღუისიან ყინვების რისხვისგან! დროა, დრო, ტეხურმა ყინვებმა დაიჭირა უკვე: 32, 35 და 37°-ია; მალე სუნთქვაც გაჭირდება. შარშან ყინვა აქ, ამბობენ, 48°-მდე აღწევდაო.

მე კი ისევ პეტერბურგისეულ თივთიკის პალტოში და რე-

ზინის კალოშებში დავდივარ. დამცინიან და თან მაფრთხილებენ, გაცოდებითო, მაგრამ არა უშავს: მარტო წარბები, წამწამები, ულვაშები, წვერი ვაგეყინება და სახე ყინულის ზარადად გექცევა; ყინვა გუგებსაც გტყენს.

აგერ, ოთხთვალაც უკვე გარეთ დგას, გაყინული შჩის ნაკრებიც, გაყინული ხინკლებიცა და ხიწიწიც მზადაა; ღვინის ბოთლებს ქეჩა შემოაკრეს, ჰკავის პური და თეთრი ფუნთუშები ქვა და რკინად გამხდარა.

მე ყველას გამოვეთხოვე: ვინ გზაში ღვეძელს მატანს, ვინ თევზი გამომიგზავნა საგზლად, ყველა მეხვეწება, უთუოდ მისი სასმელი დავაჭაშნიკო, ლაბა გავსინჯო... მიუჩვეველ კაცისთვის სწორედ დიდ გასაჭირს წარმოადგენს! კარგი ნაცნობები თავშიშველი მაცილებენ პარმალზე და ელიან, როდის ჩავჯდები მარხილში, როდის გავალ ეზოდან, — მათთვის ეს არაფერია. დიახ, გამგზავრებუს დროა უკვე!

იაკუტსკი, 1854 წ.
ნომბერი.

IX

ი რ ა უ ტ ს კ ა ნ დ ე

ქალაქი ოლექმა. — ლენა. — სადგური ლენაზე. — ორმოცი გრადუსი ყინვა. — ღვინო და ყინულის შჩი. — იურტები და ჩუვალები. — ტყეები. — ტუნგუსები. — ვიტიმა. — კირენსკი. — ცხენები და მეეტლენი.

იაკუტსკიდან 26 ნოემბერს გამოვედი, 36°-ი ყინვა დგას; პერი წმინდა, მშრალი და სუსხიანია, ფილტვებს გისერავს, ვაი მას, ვისაც გული აწუხებს! სამაგიეროდ არც გაცივდები და არც ფლუსი დაგემაართება, როგორც პეტერბურგს სჩვევია, სადაც საამისოდ მხოლოდ ქურქის მოღედვა კმარა.

მერე რა დიდებული ცა ყოფილა აქ, თუმცა იაკუტური ცა კი ჰქვია. რა ნაზად კამკამებს და რა წარმტაც ფერებს გადიკრავს! დონა ანუ თხის (გარეული თხის) რბილი ტყავი ყოველგვარ ყინვისგან მიფარავს და შიგნიდან ტყაპუჭის ჩაცმა აღარ მქირდება: მხოლოდ თავს დავიმძიმებ და სხვა არაფერი. თხის ტყავი რბილია, გაბუმბლული და 40°-შიც გათბობს! ესაა, ქარს ვერ ეპუება, თუმცა იმას ნეტავ ვინ შეეპუება. რა უნდა ქნათ? ჩამოიფარეთ ეტლის ჩარდახი ან ჩაიმაღეთ, ან როგორც გნებავთ, ისე მოიქეციოთ. ცხენები ქარში პირს უკან ატრიალებენ, მეეტლებიც ამასვე სჩადიან, მგზავრები სახეს ბალიშში მალავენ — მაგრამ თავს ტყუილად იწუხებენ. ის მაინც გიშუმხავს კისერს, ზურგს, მკერდს და უთუოდ ცხვირში

გეტაკება. წარმოიდგინეთ, მე ქუსლიც გამეყინა, რომელიც ყველაზე უგრძნობელ ნაწილს წარმოადგენს იმათთვის, ვინაც აქილევესს არ ეთვისტომება.

მაშ ასე, მე გზას დავადექი. შემეკითხებით ალბათ, ტროპიკების შემდეგ ყინვა როგორ გეამაო? წარმოიდგინეთ, არა უშავს რა. ამ ჩემს ღია ოთხთვალაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც ოთახში. წინათ კი მეშინოდა, ვფიქრობდი, 30°-ზე ოცდაათ ვერსსაც ვერ გავივლი-მეთქი; ახლა შევიტყვე, რომ 30°-ზე უფრო უკეთესად და უფრო ჩქარა იმგზავრებ. მეეტლეები, რაც ძალი და ღონე აქვთ, მირეკავენ ცხენებს, ხელ-ფეხი ეთოშებათ, ცხვირსაც წაუყინავდათ, თუ რომ ყელზე ბოა არ ჰქონდეთ შემოხვეული.

მე ისევ უდაბნოში მიღვეს გზა და ალბათ დიდხანს ვერ გამოვალწევ კიდევ. მთელი დღეები, კვირეები, თითქმის თვეები მოვუნდები. ეს არც მგზავრობა გეგონოთ და არც მოგზაურობა, ეს თავისებური ცხოვრებაა, იმდენად გრძელია ეს გზა, იმდენად ერთფეროვნულად მისდევს დღე დღეებს, სადგური სადგურებს, იშლება თვალუწვდენელი თოვლის მინდვრები და ლენის ორივე მხარეს მაღალი, ლამაზი ბალახტიკვებით შემოსილი მთები მიჰყვება.

კიდევ უფრო ერთფეროვნულია გრძელი ღამე, რომელიც დღე-ღამის სამი მეოთხედის მანძილზე დასადგურებულა ამ უდაბნოებზე. მზე მაღალზე ვერ ბედავს ამოსვლას, მთებიდან გამოაჰყეტს ხოლმე თვალს, სამიოდე საათი ასე რჩება მწვერვალეებზე გადმომდგარი და მერე იმალება, თავის ნაცვლად კი ცეცხლოვან დაფიონს სტოვებს ხანგრძლივად. ამ კაჰკაჰა ცაზე ვარსკვლავები ისევე თვალისმომჭრელად კიაფობენ, როგორც სხვა არცთუ ეგზომ სასტიკ ზეცაზე.

ლენის ნაპირებზე რუსი ახალმოშენენი ცხოვრობენ, მათ გარდა იაკუტებიც ბევრია: ამიტომ რუსები აქაც იაკუტურად ლაპარაკობენ, ასე გასინჯეთ, ერთმანეთშიაც კი. იაკუტებისა და თითო-ოროლა გამვლელის გარდა სხვას ისინი ვერავის ხედავენ. ზაფხულობით ხენა-თესვას მისდევენ, ჰეავი და ქერი მოჰყავთ, მეტწილად საკუთარი საჭიროებისათვის, მუშტარი აბა ვინ ეყოლებათ. ვინც ლენის სათავეში ცხოვრობს, მათ შეუძლიათ ზედმეტი ჰირნახული მდინარით ჩაიტანონ ოქროს

საქადნობებზე გასასაღებლად, რომელიც ქალაქ პირენსკა და ოლეკმას შუა მდებარეობს.

ზამთრობით გლეხებს სადგურებზე ცხენები ჰყავთ გასაქირავებლად. ცხენები დიდი ღონისა არ არიან, მაგრამ სიმარდე კი აქვთ. მათ საკმელს მარტო თივა შეადგენს, ამიტომ სადგურებს შორის თუ დიდი მანძილია, ცხენებს ძალა ეკარგებათ და ძლივ-ძლივობით მიატანენ ხოლმე სულს. ყველა სადგური ბექობზეა გაშენებული, ასვლა-ჩასვლისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ეკიპაჟი ლენის თავდაღმართზე თითო ცხენს ჩამოჰყავს, ქვემოთ კი სხვებსაც უბამენ. ვიდრე დაიძრებოდეს, ოთხი თუ ხუთი მეეტლე აკავებთ მათ, ხოლო როცა მორიგე მეეტლე დაჯდება, ყველა შემოეცლება ხოლმე და სამცხენა თუ ხუთცხენა ეტლი მთელი ძალით გააჰყენებს მარხილს. ოღონდაც ღონე მალე ეცლებათ. თოვლი ღრმია და ჰენებისას შიგ იფლობიან.

გამიკვირდა, ლენელი გლეხები რომ ასეთ წვრილმანს აქცევენ ყურადღებას და თავდაღმართზე ერთი ცხენით ეშვებიან: ეს ჩვენ ხასიათში არა ზის. იმას რა სჯობია, როცა ტროიკას ზემოდან ჩამოაქროლებ! მაგრამ მთავრობა არ აძლევს ალბათ ნებას, სიფრთხილე დაიცავითო, უბრძანებს! თუმცა კი მიხარია, ჩემი მოყვასი კისერს რომ არ მოიტეხს და არც მე მომტყდება კისერი.

ბერს უყვარს გზა, არა იმიტომ, რომ იმოგზაუროს, ადათჩვევებს გაეცნოს, ადგილი გამოიცვალოს თუ სხვადასხვა, არა, უბრალოდ გზაში ყოფნა სიამოვნებთ. ხომ არის ისეთი ხალხი, რომელსაც ბინიდან ბინაზე გადასვლას, შემოდგომის ტლაპოსა და ლაფში ხეტიალს არაფერი ურჩევნია. იმას რა სჯობია, ამბობენ მგზავრობის მოტრფიალენი, როცა გაყინული, მთლად შეჭირბლული თბილ ქოხში შეხვალ, ქოხს, საკუქნაოს, ბალახანებს სიცივეს მოჰფენ, სკამლოგინის ქვეშაც თითქოს ცივი ნიაფი დატრიალდება და ზედ ჩამომწკრივებული ყმაწვილები ტიტველ ფეხებს აალაგებენ. კატაც კი გამოძვრება სკამლოგინიდან და ღუმელს მიაშურებს... „აბა, დიასახლისო, სამოვარიო!“ — ეტყვი შენ. ატყდება ერთი ალიაქოთი: სცენაზე გამოჩნდება კარგად ნაცნობი სამგზავრო სკივრი, აწკრიალდება ჰიქები, სურნელოვანი ოხშივარი აუვა

პატარა გრაფინს, ღუმელში ატკაცუნდება ცეცხლი, ტაფაზე დასხმული ერბო, გამოლაგდება არაყი, ხიზილალა, თეფშები და ა. შ. თუ მგზავრი ეულად არაა, შეიქნება ერთი ცხოველი საუბარი, ხოლო თუ მარტოა, ვინმე ბერიკაცს გამოძებნის და გამოცდას ჩაუტარებს: „პური რამდენი მოგდით, როგორი მოსავალია, სად ასაღებთ? შენ რას იმალები, ლამაზო? — სიტყვას ესვრის იქვე ახალგაზრდა გოგოს, — მოდი!“ ან პირდაღებულ, დაუბანელ ბიჭუკას შაქრის ნატეხს მიაჩრის. ყოველივე ამას ის „სიამოვნებას“ ეძახის. თუმცა რატომაც არა? მაგრამ როცა ეს სიამოვნებანი ჩემებრ გაუჭიანურდება, მაშინ სხვა სახელს გამოუძებნის.

აქ სწორი, საფოსტო გზა მიდის, ცუდს მასზე ვერაფერს ვიტყვი, ოღონდაც ბევრი მოძრაობა რომ არაა, ძნელად სავალს წარმოადგენს. ფოსტა ან რომელიმე სამსახურის კაცი რომ გაივლის, მერე ისევ კარგა ხანს მიყრუვდება ხოლმე და პირველსავე ქარზე ისევ თოვლი წაბარდნის. მგზავრს ხელახლა უხდება გზის გაკვალვა თოვლის ხიაწებში. ამიტომაცაა, აქაური გზა ასე რომ უძნელდებათ ცხენებს მუდამ. ხან მდინარეებზე მიიკვლევ გზას, ხან მინდვრებზე, კუნძულებზე თუ ნაპირ-ნაპირ მიდიხარ. ერთი სადგურიდან ნაპირს რომ გაკყევი, მერე ლენის შენაკადზე დაეშვები, იქიდან ისევ ნაპირზე ახვალ და ტყეს მისცემ თავს. ხან პირიქით, სადგურიდან სადგურამდე სულ ლენას მისდევ, ტკბები მთებისა თუ ტოროსების, ანუ სადაც ლენა უსწორმასწოროდ გაიყინა, იქ ამართული ყინულის ბორცვების ცქერით, ზოგან მდინარეზე ოხშივარს დაინახავ ამოსულს. „ეგ რა არისო?“ — იკითხავ. „ყინულზედააო“, გეტყვიან, მაშასადამე. ყინულიდან ამონაქონი წყალი იქნება ან ლენის ყინულზე დანადენი, ალბათ მინერალური მთის წყაროები, რადგან ხანდახან სულაც არ იყინებიან, გაზია შიგ და იმიტომ. გაზაფხულისთვის, თებერვალსა და მარტში, ამბობენ, ლენის გზა ჩინებული და დატკეპნილი არისო.

რამ უნდა გაართოს კაცი ასეთ გრძელ გზაზე? აი, მოხველი სადგურზე. „ჩქარა მოიტა ლენის ერთი ნაჭერი და შჩის ერთი კვერიო“, — ეტყვი მსახურს. ყოველივე ეს გაყინული მოგაქვს გზაში: ხინკლები, ციცრები თუ სხვა რამ ფრინველი,

აქ რომ აუარება იცის, ისინიც ამ დღეშია. გაყინული შავი და თეთრი პურიც თან უნდა იქონიო. სადგურებზე რძე, აქა-იქ კვერცხები და შიგა-შიგ ბოსტნეულიც შეიძლება იშოვო, მაგრამ დიდი იმედი მაინც ნუ გექნება. მგზავრების ნაკლებობის გამო მცხოვრებლები მხოლოდ თავის საწყობს იტოვებენ, და თუ სამადნოები ახლოსაა, ზედმეტს იქ ასაღებენ. ეს სამადნოები დიდად უწყობთ ხელს აქაურებს და სამუშაოს აძლევთ. ყველა იქით მიემართება. მოხმარების საგნებზე თანდათან იზრდება მოთხოვნილება, ირკუტსკიდან სამადნოებზე უკვე ხშირ-ხშირად მიდის და მოდის დატვირთული ალალი, ასე რომ, მრავალმოსახლიანი ცენტრი იქმნება და სამოქმედო სარბიელიც იშლება. აქაც იგივე მეორდება, რაც კალიფორნიაში და ავსტრალიაში მოხდა და იმ განძის იგავ-არაქს მოგავს, მოხუცმა რომ თავის შვილებს დაუტოვა. მთავარი ხომ ოქრო არაა.

პირველ დღეებში ძალზე მოუჭირა ყინვამ. ერთი წუთით ხელის გამოყოფა თუ დაგჭირდა, ძვლებამდე ჩაგატანს სიცივე; ფიცარიც კი რკინასავით იშუშდება. ერთ სადგურზე ვიკითხე, რამდენი გრადუსი იქნება-მეთქი ყინვა. „ორმოცდაათიო ალბათ, ბატონო“, — მითხრა დედაბერმა. ჩემს მსახურს ჩაეცინა. „ორმოცდაათი გრადუსი არ შეიძლებაო“, — თქვა მან. „იჰ! გეთყვა, ჩვენში სამოცდაათიც იცისო“, — მიუგო ქალმა. „როდის მორჩება ეს ყინვები?“ — „აპრილში, ჩემო ბატონო. მაისში ყველაფერი დადნება, შუა ივნისამდე კი უკვე გამომშრალიაო“. — „აქ როგორ ცხოვრობთ?“ — ვკითხე — „გამოვნატურდით უკვეო“, — მითხრა ქალმა. „ზაფხული თუ კარგი გაქვთ?“ — „გვარიანია, ოღონდაც მოკლე გახლავთ: პურს ვთესავთ, მაგრამ ხანდახან ჰყინავს, ყოველ წელს არ მოდის, ხოლო თუ მოვიდა, მოსავალი კარგია“.

მეორე ადგილზე სადგურის ზედამხედველმა სხვა საუბრით შემაქცია. სადილზე მიმიპატიჟა. „რა გაქვთ-მეთქი?“ — „ღლაბუტა გვაქვსო“. — „ხორცი თუ გაქვთ?“ — „ცხვრისაო, ბატონო“. — „მალე თუ გაამზადებთ?“ — „ხელდახელ გაგიმართავთ“.

საიდან შეიქმნა ეს ენა, ან გამონატურება მაინც, ნეტავ, ვინ შემოიტანა აქ?

სადგურებსა და იურტებში ბუხრები ახუ ჩუვალეებიც ჩინებული აქვთ. როგორც კი გარედან შეხვალ, სითბო მყისვე შემოგეხვევა და ძვალს გაგიტბობს. ბალახფიქვას მთელ-მთელ კუნძებს ღუზღუზი გააქვს. ის არყის ხესაც სჯობია შეშად: დიდებულად ანთია და დიდხანს არ იწვება. გლეხები, დედაკაცები და ბიჭები მაშინვე დაგეხვევიან, ვინ ყელსახვევს გამოგართმევს, ვინ ქუდს, ხელჯოხებს, ბუხარს მიაფიცხებენ და ხელად გაგიშრობენ. ერთი მერხს გამოგიწევს, მეორე სკამს მოგიტანს. სადგურებზე მეტწილად სისუფთავე სუფევს, ნესტი არსად იგრძნობა და ოთახიც საკმაოდ დიდია. მაგიდები, მერხები, საწოლები სუფთა ხისაგანაა გამოთლილი. ძველ ქოხებს გაზაფხულზე უპირებენ ახლებურად და უფრო უკეთესად გადაკეთებას. სივიწროვეში ამოხუთვის ნება აღარავის აქვს. ერთ ხანს მე იაკუტსკიდან ერთ გზობაზე ოფიცერი მომყვებოდა, რომელიც ძველი ნაგებობების დასათვალიერებლად მოველინებინათ.

უდაბნოს ის უპირატესობა აქვს, რომ ქურდობა იქ არ ხდება. კიბიტკა გინდ ქუჩაში გააჩერე და გინდ ქვეყნის შეეტლეები იდგეს მის გვერდით, შიგ არაფერი დაგეკარგება. გზაშიც სიმშვიდეა. მგლებსაც კი ვერ შეხვდები, ხოლო თუ არიან, სადმე ერთ ადგილზე თავმოყრილია და ისიც იშვიათად. დათვებს ზამთრობით სწინავთ.

რაკი მე ძნელი გზა მიღვევს წინ, ხუთ ან ექვს ცხენს მიზამენ სოლმე შიგ, თუმცა კი ეტლი საკმაოდ მსუბუქი მაქვს. მაგრამ კავეები რკინითაა დაქვედილი, აქ კი უიმისოდ მგზავრობენ: ისინი ფაშარ თოვლზე დიდად ამძიმებენ ეტლს. კიდევ ერთი ორასიოდე, სამასი ვერსი და მერმე უკვე წალიკ-წალიკად შემობამენ შვიდ, რვა და ათ ცხენსაც, დამოკიდებუ-ლია, რა ეკიბაეი იქნება. იქ თურმე ღრმა თოვლი ყოფილა და გზაც ვიწროა, ასე რომ, ტროიკა ვერ გაიმართება.

კამენსკის სადგური. 7 დეკემბერი.

ყინვა წუთით არ ტყდება. ყველა სადგურებზე იძახიან, 40°-ზე მეტიაო. ამ ყინვების ამბავი დიდად მაფიქრებდა, მაგრამ იოლად კი ვიტან. დღეს ჯაგლაგი ცხენები შეგვხვდა, ოცდაათ ვერსს 4½ საათი მოვეუნდით. მაინც არაფერი მიგრძენია!

იაკუტსკთან რომ ვიყავი. ერთმა მეეტლემ მითხრა: „ოცას ნაცვლად ბარემ ორმოცდახუთი გავიაროთ ერთ გზობასო“. — „რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი: ორმოცდახუთი რომ იყოს, ოცად შეგაცვლევინებდი-მეთქი“ — „ღმერთი იწამეთ, — შემეხვეწა, — სადგური კარგა აღმართზეა, ჩემი ცხენები იქ ვერ აგიყვანთ, თუ შეიძლება, თქვენ ქვევით დაიცადეთ, მეეტლეები ცხენებს თავდაღმართზე ჩამოიყვანენ, იქვე შეაბანენ და კიდევ ოცდახუთ ვერსს გავივლითო.“ „ასე ვთქვათ, არ მინდა. რომ გავიყინო, მაშინ რა ექნა?“ — „როგორმე გაუძლებთ...“ მეც ვიწამე ღმერთი — და არაფერი დამშავებია. ოღონდაც ცხვირზე ტყავი ამექერცლა.

დღეს ყინულჭრილს ჩავუარეთ: სასტიკი სუსხის მიუხედავად წყალი არ იყინება შიგ, შავი ორთქლი კვამლის ბოლქვებით ეხვევა ზედ. ცხენები ფრუტუნით იხევენ უკან. მეეტლე ერთი ფრანტი ვინმე შემხვდა, დოხა აცვია, ფუნჯიან ქუდში გამოპრანჭულა, ცუდად კი მიჰყავს ეტლი. სახით რუსს არა ჰგავს. აქ, საერთოდ, ხალხი არეული სისხლისაა. ლენის მცხოვრებლები სხვადასხვა ერისა და წოდების გადმოსახლებულები-საგან შედგებიან: მათ შორის ებრაელებიც ურევია, პოლონელებიც, არიან იაკუტებიც. ებრაელები აქ უყვართ თურმე: ვაჭრობენ და აქაურ მხარეს სიცოცხლეს მატებენ.

დღეს ნოკტუის სადგურზე გავათიე ღამე. ის ოქროსმრეწველთა საცხოვრებელ ცენტრს წარმოადგენს. აქ გზაც უკეთესია და მგზავრებიც ბევრია. ღენა აქ თურმე ვიწროვდება; ალაგ-ალაგ ვერსიც არ იქნება სიგანით, ოღონდაც მდინარის მუხლია ორიოდე ვერსზე გამოწეული. ციცაბო ნაპირები მთლიანად ტყითაა შემოსილი.

ევროპულ რუსეთივით აქ ჩქარა ვერ იმგზავრებ. იქ ეკიპაჟიდანაც გადმოუსვლელად შეგიძლია ცხენები შეაცვლევინო და გზა გააგრძელო. გინდა, ეკიპაჟში ისაუზმებ და მხოლოდ ხუთი წუთით გადმოხვალ, ყველის პატარა ნაჭერს შექამ. შაშხს, ხბოს გასინჯავ: აქ კი ისე იყინება ყველაფერი, რომ შჩი ნაჯახითა გაქვს დასაჩეხი, ან არადა ერთი საათი უნდა უცადო, ვინემ ბუხართან შეთბება. აგერ, მიხვედით გაჩერებაზე. ყინვაში ნამგზავრს ჭიქა ღვინო გენატრებათ, მაგრამ ღვინო და ბოთლი ერთ მთლიან ყინულის ზოდად გადაქცეუ-

ლა. ცეცხლთან რომ დადგა — გასკდება, ჩვეულებრივ ოთახის ტემპერატურაზე კი ერთი საათი არ გადნება. ჩაის დაღვევა კიდევ იოლი საქმეა, მართალია, პურიც ქვადაა ქცეული, მაგრამ ყველაზე ადრე მაინც იმას მოარჯულებს კაცი; თუმცა ცალკ-ცალკე რომ მოგინდეს ჩაის ან შაქრის ამოღება, ვერ მოახერხებ: ყინვა საშუალებას არ გაძლევს თითო-თითოდ გამოარჩიო, ყველაფრის ამოღება მოგიხდება: პოდა, მერე ერთი საათი კიდევ უნდა იცოდვილო, რომ ხელახლა ჩააწყო ისინი!

ისიც დიდი უბედურებაა, როცა მგზავრი ბევრი გამოჩნდება — ცხენები არ ჰყოფნიან. აგერ ახლა ოთხი ეკიპაჟი მივდივართ და ერთ ადგილზე ვყურყუტებთ. მე აქ, კამენსკის სადგურზე ვარ, ვიდაც მოხელე ცოლითა და ერთი ინჟინერი — ყერბინსკზე იცდიან, მეორე მოხელე სადღაც წინ უნდა იყოს, მის კვალდაკვალ მიმავალ ვაჭარზე კი ამბობენ, გზაში გაიხიზარაო. ცხენებს ქანცი გამოცლიათ. ყოველივე ამის მიზეზი კი ფოსტა განლავთ, რომელიც წამოგვეწია. დამავიწყდა მეთქვა, რომ ოლეკმაში შევრჩით ერთი დღე-ღამე. ის ერთი პატარა, ღარიბი ქალაქია. იქ ცხოვრობს ბოჭაული, ფოსტის უფროსი, ექიმი და რამდენიმე ვაჭარი. სწორედ ამ ვაჭარებიდან ერთზე მიგვეითეთეს, იმასთან დაბინავდითო. გაჩერება რა საჭირო იქნებოდა, პურის მარაგი რომ არ გამოგვლეოდა. იმ პატიოსანმა ვაჭარმა და მოხუცმა დედამისმა ღვიძლებივით მიგვიღეს, მთელი სახლი ჩვენ დაგვითმეს და ფულის გამორთმევაზეც ღამის თავი მოიკლეს. „პატიოსანი ხალხის სტუმრობა გვიხარია, — ამბობდნენ ისინი, — ფულს როგორ ავიღებთ. გვაწყენინებთო“. М-ме კ-ზე ბევრი ვიცინეთ მერე, დარწმუნებული იყო, ფულს აიღებნო და მთელი სახლი ფეხზე დააყენა, ხან რა მოითხოვა და ხან რა.

კამენსკის სადგურზე თავდება იაკუტიის მხარე, რომელიც ოხოტის ზღვიდან იწყება, — თითქმის ორი ათასი ვერსი გამოდის. ირკუტსკამდეც ამდენივე იქნება. რა შორი მანძილია, არა! რა ბალღურ თამაშად მოგვეჩვენება ალბათ ამის შემდეგ ევროპულ რუსეთში მგზავრობა!

ჩემდა გასაკვირად აქაური გლეხები სამადნოებით უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ: ყველაფერი გაძვირდაო; ფუთი თი-

ვა ახლა ოცდახუთი და ხანდახან ორმოცდაათი კაპიკი ღირსო, პური ოთხმოცდაათიო, დანარჩენიც ასეაო. იაკუტები უკეთეს დღეში არიან. აქ ისინი არიან ბატონ-პატრონები, მუშებად მუშაობენ და პურსაც მოგვებით ასაღებენ მადნებზე; თანაც მათ მინდვრები და ყანები ბლომად აბადიათ, რუსებს კი არა.

პოლედუის სადგური. 13 დეკემბერი.

კვლავ უდაბნოში ვარ, ლენა ვერა და ვერ ავათავეთ! ეს-ესაა ტყიდან გამოვედით: რა ლამაზი იყო თოვლით შეფიფქული და დამძიმებული ტყე! ასწლოვანი ფიჭვები თუ ბალახფიჭვები ჯგუფ-ჯგუფად შეყრილან ან არადა გან-განზე გაფანტულან. ახალი მთვარე ამოვიდა და ტყე გაანათა. რას არ ნახავს კაცი იქ? რა სანაგარდოა ფანტაზიისთვის. იქ თითქო ქალი დგას მუხლებზე; ბალები დაუხვევია ირგვლივ და რაღაცას იხვეწება, — სინამდვილეში კი თოვლით დაფარული ხეები და ბუჩქები აღმოჩნდა. ხან თითქო ნოცეკვავეები ტრიალებენ; ხან დათვი შემდგარა უკანა ტორებზე. მკვდრებს ხომ ვერ მოთვლი! განსაკუთრებით ძილში გიჭირებენ საქმეს. ქულზე ლოლუები წარმოიშვება და წარბებისკენ წაგივა, წარბებიდან წამწამებზე გეკიდება, წამწამებიდან კი ულვაშებსა და ყელსახვევზე. ამ ყინულის მესრიდან ტყე ფანტასტიურ სახეს იღებს. „ნორმას“ ბუნებრივი დეკორაცია წარმოგიდგება პირდაპირ.

ფიქრებით ასე შორს რომ ვფრენდი, ჩემი ეტლი უეცრივ ორმოში, გაყინულ ღელეში აღმოჩნდა: ის ორმო ორმოების მეფე ყოფილა. გადმოვედი და ბექობზე დავდექი. იმდენი კუნძები ეყარა, დრუიდების ტაძარი გეგონებოდათ. ის იყო „Casta diva“¹ უნდა მემღერა, რომ საბჭოზე მიმიწვიეს, როგორ მოვიქცეთო. ცხენები ეტლს ვერ ამოათრევდნენ. ტიმოფეის რჩევა იყო, წინა ცხენებს დაარტყით მათახიო (ჩვენ წალიკ-წალიკ გვება ისინი), მე ვურჩიე, სამ-სამად შეაბით-მეთქი, და ისევ ბექობზე ავედი სამღერლად, ბოლოს მეეტლემ სარები მოჩეხა, ჩვენ ეტლი უკნიდან აეწიეთ, ის კი ცხენებს

¹ წმინდაო ქალწულო (იტალ.)

დასქვიოდა — „აბა, ძმანო, აბა, თქვე გასაჭყლებო, აბა, წყეულებო“ მაგრამ ძმანი ფეხს არ იცვლიდნენ. საბედნიეროდ, ყინვა 31°, დიდი-დიდი 32° იქნებოდა და არა 44°-ი, როგორც ნიკოლოზობა ღღეს.

მაგრამ ჯანდაბას რომანტიკაც ჯა ტყეც! მხოლოდ იმას გეტყვით, თუ შეგემთხვავთ ამ გზით წამოსვლა, იცოდეთ, ეს ტყე ჯერისა და პოლედუის სადგურებს შუა მდებარეობს. ოღონდ ნამდვილი გზა ტყეში არ მიდის. აქ მხოლოდ მაშინ გადიან, როცა ლენაზე მგზავრობა არ შეიძლება, ე. ი. როცა თოვლს არშინ-ნახევარზე დადებს და სიმძიმისაგან წყალი ყინულიდან ზევით ამოდის, რომელსაც აქ შ ა ვ წ ყ ა ლ ს ეძახიან.

ყერბინის სადგურიდან ირკუტსკის გუბერნია და კირენსკის ოლქი იწყება. აქ საშინელი თოვლი იცის თურმე და ამიტომ ექვსასიოდე ვერსზე, მამასადამე, ოლეკმიდან კირენსკამდე და იმაზე შორსაც წალიკ-წალიკად შებმული ცხენებით მიჰყავებართ. ყერბინსკის სადგური დიდად შეწრიალებული დამხვდა. მამასახლისი მომკვდარიყო და ყველა მეეტლე უარს აცხადებდა წაყვანაზე, ჩემი ჯერა არააო, იმიზეზებდნენ. „თუ რომ ქალაქში დამაგვიანდა და მკითხეს, რატომო...“ — დავიწყე ჩემი მუქარა, რომელმაც ასე მიშველა, იაკუტსკს ვიდრე მივალწევდი: მაგრამ აქ ამან აღარ გასჭრა. მეეტლეები გამექცნენ და ქოხებში დამეშალნენ. მე თვითონ წავედი მათ საძებრად. ერთ ქოხში შევედი — მეეტლეები ყველა ღუმელზე შემსხდარიყვნენ ფეხებშეჩვეულება და კრუსუნებდნენ: „ბატონო, სიკვდილი მოგვადგა, ვაჰ, რას გვტეხს ფეხები, მეტი აღარ შეგვიძლიაო!“ — „რა დაგემართათ-მეთქი?“ — ვკითხე. „ციებ-ცხელება დაგვერიაო“, — მითხრეს.

ბოლოს ერთ საღსალამათ მეეტლეს მოულოდნელად წავადექი თავზე და მოვთხოვე, წამოსულიყო. მოიმინეზა, ახალი დაბრუნებული ვარ, ცხენებიც მშვივრებია და მეც ჰამა მინდაო. „რამდენი ხანი დაგვირდება?“ — ვკითხე. „სამი საათიო“. — „ოთხი საათი იყოს, ოღონდ მერე შეაბი-მეთქი“ — ვუთხარი და ისევ ჩაის მიფუჯექი, თუმცა მერამდენჯერ, ვერ გეტყვით, უკვე სათვალავი ამერია.

მეეტლემ ისაღილა, ცხენებს საჭმელი დაუყარა, მერე და-

საძინებლად დაწვა, მერე გამოიღვიძა და გამომიცხადა, ჩემი ჯერი არ არის, ერთი გლეხი შეინი ცნოვრობს განცალკევებით, გორაზე, მისი შვილების რიგია, მაგრამ მდიდარია და სულ თავს იძვრენსო. შეინს კაცი გაუფუჭავენ მოსაყვანად, მაგრამ მან თავი მოიავადმყოფა. რა მექნა? მოთმინებითა შენითა და სხვა, არა? მეც ეგრე მოვიქეცი. ღლე-ნახევარი კი დავრჩი, მერე მეეტლეები და შეინიც დავიბარე და მათი სახელები უბის წიგნაკში ჩავიწერე. ნუ იკითხავთ, როგორ დაფრთხნენ—თუმცა დასაფრთხობი რა ჰქონდათ, თვითონაც არ იცოდნენ — ჰოდა, ცხენები მყის მომგვარეს.

ჩავუარე სამადნოებს, ოქროსმრეწველთა ამ რეზიდენციას, ანუ „რაზვედენციას“, როგორც მეეტლემ მითხრა, როცა ლენის მეორე ნაპირას ამართული სახლების მთელი კოლონია დამანახა.

„როგორი გზა გვიწევს-მეთქი?“ — ვიკითხე. „ტოროსები-აო“, — მითხრა მეეტლემ. ლენაზე ახლა მთარული ციებ-ცხელება მძვინვარებს. იმის გარდა, აქ სხვა არაფერი ავადმყოფობა არ იცის თურმე და ხშირადაც ჩამოივლის. ბევრიც იძსხვერპლა უკვე. ყოველ სადგურზე ავადმყოფური, გაცრეცილი სახეები მხვდება. კიდევ უფრო მეტს შუბლზე, ლოყებზე და განაჯუთრებით ცხვირზე ნიშანი ასვიათ. Mais hony soit qui mal y pense¹. ეს ციებ-ცხელების კვალია. ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები და ვისმენ ყველაფერს. უერბინის სადგურზე ერთი ქალი მომეწონა, სანახევროდ რუსი და სანახევროდ იაკუტი მშობლებით. მომეწონა იმიტომ, რომ ქმარი ძალზე ჰყვარებოდა. როცა მისი ქმრის გვარიც ჩავიწერე უბის წიგნაკში, უნდა გენახათ, როგორ დატრიალდა, რომ ჩემთვის ცხენების საქმე მოეგვარებინა: თვითონ შეკაზმა, თვითონვე შეაბა მარხილში, ოღონდაც მე დავეშოშმინებინე და მის ქმარზე აღარ მეჩივლა. თავისებური ეშხი ეტყობოდა მოძრაობებში. შესახედადაც არ იყო ურიგო.

ერთი უიღბლო კაციც შემხვდა. „ბებერი არა ვარო, — მეუბნებოდა მეეტლე დორმიდონი, რომელმაც ერთი პირობა კი სცადა, ცხენებს სირბილით გამოჰყოლოდა გვერდით, როგორც

¹ სირცხვილი მას, ვინც აუგს იფიქრებს (ფრანგ.)

სხვები სჩადიოდნენ, მაგრამ ვერ შესძლო, — დარდმა. დამაბეჩავა ასეო“. ვიფიქრე, დაიწყო ახლა ჩვეულებრივი ლათაიები. თუ ყური დაუგდე, ყველა უბედური გამოდის. „რა მოგავიდა-მეთქი?“ — ვკითხე ამიტომ დაუდევრად. „რა? თავდაპირველად, ამ ოცდახუთიოდე წლის უკან მამა მომიკლეს“... შევეკრთი ამის გაგონებაზე. „მაშინ სხვა დრო იყო: მკვლელი ვერ ნახეს“... შეძრწუნებული ვდუმდი, არ ვაცოდი, რა მეთქა ამაზე. „მერე ჩემი დედაკაციც მიიცვალა. რას იზამ, ღვთის ნებაა, მაგრამ მაინც გავმწარდი!“ „მართლა უიღბლო ყოფილამეთქი,“ — ვიფიქრე გულში. უბედურება ამაზე მეტი სხვა რაღა იქნება? „მერე ქოხი დამეწვა და რვა წლის გოგოც შიგ დამეღუპა... — განაგრძობდა ის. — მეორედ მოვიყვანე ქალი, ორი ვაჟი მეყოლა მის ხელში, ის ცოლიც მომიკვდა. ქოხთან ერთად მთელი ავლა-დიდება ხომ დამეწვა, ამის გარდა კიდევ ერთხელ ათასი მანეთი მომპარეს, მეორედ ათას ექვსასი. მერე რა წვითა და დაგვიტ მქონდა დაგროვილი! აი, რა უბედურებით ვცხოვრობდი!“ შემადრწუნა ამ კაცის მონაყოლმა. „იობის ჭირთმენა ჰქონია-მეთქი!“ — ვფიქრობდი გულში და მოკრძალებით შევყურებდი მეეტლეს. დორმიდონისთვის ღმერთს არა უბედურება არ დაუკლია, — ის კი მაინც არ იხრის ქედს, მგზავრები დაჰყავს, სამადნოებზე თივა მიაქვს გასაყიდად. ჩვენ კი თითს თუ გავიჭრით, ფეხი თუ დაგვოკდა... „აგერ, ზანზალაკი არ გესმით?“ — მკითხა მან. — ეგ ჩემი ვასაუტკაა, ზასედატელი მოჰყავს. — ჰეი, ბიჭო, ძველი გზით წაიყვანე, — შეუძახა მან მხიარულად (გესმით — მხიარულად!), — ახალი ჩვენმა გვერდებმა რად უნდა ტყეპნოს!“

დღეს ტუნგუსთა ქოჩებს გადავეყარეთ. წყვილი ირემი ჩვენი ცხენების დანახვაზე მოწყდნენ სხვებს, გზაზე გავარდნენ და ბარე შვიდ ვერსზე გადაიკარგნენ ქოჩებიდან. ჩვენი ცხენები კი მათ დანახვაზე უკან-უკან წამოვიდნენ. აქ ჰქვავს, პურსა და ქერს სთესენ; მაგრამ პირველს სიცივე ზრავს, არც მეორე მოდის ყოველწლიურად, სამაგიეროდ ქერი დიდებულად ხარობს. ლენის ნაპირები კლდოვანი და მეტად ლამაზი გახლავთ. კუნძულებს თითქმის ვერ ნახავთ. მდინარე ვანდა-თანობით ვიწროვდება. იაკუტურად თითქმის აღარავინ ლაპარაკობს, სადგურებიც უკვე რუსული გვხვდება, სახელებიც

ძველებური აქვთ, რა თქმა უნდა, ციმბირის დაპყრობისას კაზაკებმა რომ მისცეს.

ჩუისკის სადგური, 13 დეკემბერი. ვიტიმა.

ლენა, ლენა და ისევ ლენა! მაგრამ ჯერ მაინც უდაბური ლენა; აქა-იქ მინდვრებზე თოვლის დიდ ხიაწებს ვხედავ — ეს თივის ზვინებია; აქა-იქ სამი თუ ოთხი კარმიდამო ჩანს. ზოგიერთი ქოხი თოვლს პირწმინდად დაუფარავს, სარკმლები ნახვრეტებივით იყურება, შუშის ნაცვლად შიგ ყინულია ჩადგმული: სითბოს კი იჭერს, სამაგიეროდ ქუჩაში რა ხდება, ვერაფერს დაინახავ. მეტწილ ქოხებში ხარის ბუშტები გაუკრავთ ფანჯრებზე. ყოველ სადგურზე მეეტლეები ჯგროდ ეხვევიან ეტლს. სოფლებში ყოველ გლახს სამგზავროდ წყვილი ცხენი ჰყავს შეწერილი. მეეტლეები „ცხენებს აგვარებენ“ (უბამენ ეტლს) და ჯგრო-ჯგროდ მოსდევენ აღმართში ჩამოსაყვანად. წაყვანით ორს მიჰყავს ხოლმე.

ვიტიმა დაბას წარმოადგენს, შიგ ფერისცვალების საყდარი დგას, ასიოდე მცხოვრები იქნება, სამრევლო სასწავლებელიც არის და მეეტლეებიდან ყველამ იცის წერა-კითხვა. მეეტლეობის გარდა კურდღლების ჭერასაც მისდევენ, ამიტომაც ყველას კურდღლის ტყაპუჭი აცვია, როგორც ჩვენში ცხვრისა აქვთ. პურს თესენ. ვიტიმიდან სამაზრო ქალაქ კირენსკამდე ოთხასი ვერსი იქნება, კირენსკიდან ირკუტსკამდე კი ცხრაას სამოცი ვერსი. ახლა მარხვა დგას, ვიტიმაში მემარხულებმა ეტლიდან სამი თევზი, ორი ომული და ერთი ცქვრინი მომპარეს, ციცრებსა თუ სხვა სახსნილოს ხელი არ ახლეს: ცოდვად ჩაეთვლებოდათ!

მგონი, უხეირო გზასა და „უპურო“ ცხენებს გადავრჩი უკვე. „აქედან უკვე ნატურალური ცხენები და გათელილი გზა იქნება, განსაკუთრებით კირენსკიდან ირკუტსკამდეო“, — მოთხრეს მე. „ნატურალური“ ნაჩვევ, გაწვრთნილ ცხენებს ნიშნავს და არა ნაკრებს. „მამასახლისი სადააო?“ — იკითხავ სადგურზე მისვლისას... „ცხენების საქმეს აგვარებს, ბატონო. ჰეი, ბიჭებო! ერთი მამასახლისის დაუღრიალეთ (ანუ დაუძახეთო),“ — იტყვიან მერე.

ზედამხედველი აქ ყველგან აღარ დაგხვდება: ხუთ-ხუთი სადგური აბარიათ მათ. მუხტუის სადგურის ზედამხედველი დიდი ფრანტი ვინმე ყოფილა. ორი თითით მოხდენილად ჩამომართვა სამოგზაურო მოწმობა, თან ბექდიანი ნეკიც კონტად მოკაცვა. ფორმის სერთუკი წელში გამოყვანილ სირჩასავით ადგა. თმა დაეეარცხნა. მუხტუის აქ პარისს ეძახიან, გლეხებს (გადმოსახლებულები არიან) პალტო აცვიათ და კადრილს ცეკვავენ. თუმცა მე იქ მხოლოდ თხუთშეტი წუთი დავყავი და ასეთი არაფერი მინახავს. ერთმა მგზავრმა მიაგებო, რომ ღამე თურმე აქ გაათია და მეორე დღეს დილაადრიან გაუდგა გზას. მეეტლის სახე რაღაც ეცნაურა, მაგრამ ვერ მოიგონა, სად ენახა. „მგონი, სადღაც მინახივხარო?“ ჰკითხა ბოლოს მეეტლეს. „გუშინ საღამოზე თქვენი ვიზავი ვიყავ კადრილზეო“, — უთქვამს მას. აქაური ერთი რომ ეთქვათ, ეს უკვე „ნატურალური“ მეეტლე აღარ გახლავთ.

გუშინ საღამოს გავიარე ლენის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი, ეგრეთ წოდებული ყბები. ასეთი უზარმაზარი, დიდებული კლდეები ზღვას პირზეც არ მინახავს. მიჰყვები კლდის ძირას და ეტლია და ცხენები აღოდებული მწერები გგონია. საოცრად გაფაჩხრალი, უდაბური და საზარელი შესახედეია, სული მიგვას, ვინმე გაევიდოდე. ეს ყბები მთვრალი ხარისა და ჩასტიონის სადგურებს შორის მდებარეობს, ირკუტსკიდან ათას ორასი ვერსის მანძილზე. რა სახელებია არა სადგურების! მაგრამ ყველაფერს ადგილობრივი მიზეზები გააჩნია, არქეოლოგს არ გაუჭირდება მათი ძირის მიკვლევა, რამეთუ ეს მხარე ჯერჯერობით ახალგაზრდაა. მაგალითად, მთვრალი ხარი იმ კლდეს დაარქვეს, სადაც ღვინით დატვირთული ორჩხომელი დაიმსხვრა. რაკი უამთა ვითარებაში შეიძლება ეს არქეოლოგიური ცნობა დაიკარგოს, ამიტომაც დავეშურე თქვენთვის მეუწყებიანა ის. სოფლები ჯერ ნაკლებ გვხვდება: ამბობენ, ირკუტსკის მიახლოებისას გახშირდებაო. ხშირ-ხშირად გვხვდებიან ოქროსმრეწველები, მათი ნოქრები, ალალი. გზასაც უკვე არა უშავს. უფრო გათელილია, ყინვამ ისევ მოუჭირა, თან ქარიც დაე-

მატა: დიდი უბედურება ყოფილა სწორედ, ვერსად დაემა-
ლები.

კირენსკი. პირდაპირ შეუძლებელია მგზავრობა, ისე
სწრაფად მიმპროლებენ. ისაა სადგურზე მიხვალ, ტანთ გა-
იძრობ, თბილ ღუმელს მიუჯდები, რომ თავზე დაგადგებიან,
ცხენები მზადააო. ეს იმიტომ, რომ ცხენებიც ნატურალ-
ურია და მეეტლეებიც. ვერ აგიწერთ, რა მარჯვე და სტუ-
მართმოყვარე ხალხია აქაური მეეტლეები: აღარ იციან, რით გა-
გიმასპინძლდნენ, სად დაგვან, რაც კი აბადიათ, არაფერს დაი-
შურებენ—ქონის სანთელს, მკვარს, მერხს. მერე (ასეთი ადამი
ჰქონიათ) ყველა ერთად გამოგსდევს ლენაზე ცხენების ჩასა-
ყვანად: „ხელით ციმციმ ჩაგიყვანთო“,— გეტყვიან. თითო
ცხენი ოთხ კაცს მოჰყავს, ვიდრე თვით ცხენიც მორჩილად
მოდის, ხოლო როცა ყველაზე დაქანებულ ადგილზე მივლენ,
მყის შემოეცლებიან და ცხენებიც მანამდე მიქრიან, სანამ
თვიღონ არ მოეპრიანებათ გაჩერება.

მადლობა ღმერთს, უკვე რუსეთს დაემსგავსა ყველაფერი.
სოფლები და დაბები გახშირდა, ლენა მიხვეულ-მოხვეულად
შიიკლანება, შეეტლებიც, რომ გარს არ შემოუარონ, კონცხე-
ბით და ზაიმკებით კრიან გზას. ზაიმკებს აქ პატარა და-
ბებს ეძახიან. სოფლის შუკებში ცხენები დაბორიალობენ: ხან
ჩვენ ცხენებს გაეთამაშებიან, ხან კი ზანზალაკების წკარუნით
დამფრთხალნი, რაც ძალ-ღონე აქვთ, განზე გაიჭრებიან წი-
თურა გოჭთან ერთად. დაფრინავენ ბელურები და ჭილყვა-
ვები, ყიყლიყო, გაჰკივიან მამლები, სტვენენ ბიჭები, ხელს
უქნევენ ჩავლილ ეტლს, ხოლო კვამლი, ამაჟღერის კვამლი
ცაში ისვეტება აუარება საკვამურიდან! ეს სურათები ყველა-
სათვის ნაცნობი გახლავთ რუსეთში! აკლია ოღონდაც ბატონ-
ისეული სახლი, ლაქია, დარაბებს რომ აღებს, და კიდევ
ფანჯარაში გადმომდგარი ბატონის ნამძინარევი სახე... ეს
არასოდეს ყოფილა ციმბირში და ეს ამბავი, მაშასადამე, ბა-
ტონყმობის ნიშანწყალს რომ ვერსად აღმოაჩენ, ციმბირის
ყველაზე შესამჩნევ, დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

კირენსკი პატარა ქალაქია. „სად გავაჩერო? — მკითხა მე-
ეტლემ, — ნაცნობები თუ გყავთ ვინმე?“ — „არა-მეთქი“. —
„მაშინ გამგეობა აღმოგიჩინთ სადმე!“ — „გზაზე ვინ ცხოვ-

რობს?“ — „სინიცინი, მარკოვი, ლავრუშინი“. — „სინიცინთან გასწი-თქო“

ეტლი ერთ კოპწია სახლთან გაჩერდა. კაცი შევაგზავნე საკითხავად, ორი საათით თუ შეიძლება გაჩერება-მეთქი და გათბობა? შეიძლებაო. გულთბილად მიმიღეს, ჩაი და საუზმე მომართვეს. ფულის გამორთმევაზე აქაც უარი მითხრეს.

კირენსკში მხოლოდ პური მოვიმარაგე და ისევ გზას გავუდექი. აქედან უკვე სწრაფად გამაქროლეს ცხენებმა. რაც უფრო უახლოვდები ირკუტსკს, მეეტლეები და ცხენები უფრო ნატურალური გხვდება. სადგურს მიაღგები თუ არა, მეეტლეებს უკვე ზორბა, ღონიერი ცხენები მოჰყავთ. მეეტლეები აქ შეიძლებულად ცხოვრობენ, ძაღლის ტყავის დოხები აცვიათ და გაპრანქული ქუდები ჰხურავენ. ერთი ოქროსმრეწველიც მოდიოდა გზაზე ოჯახით, ცხენები კი მაინც ყველას გაგვწვდა. სადგურებზე უკვე ინტერესით გვეკითხებოდნენ და არა შიშით: თუ ვინმე მოგყვებათ უკანო?

სოფლებში პური, თივა, ცხენები, საქონელი, ფრანველი ბარაქიანად ჰქონიათ აქ. გზა ისევ ლენას მიჰყვება, ირკუტსკიდან სოფლებსა და სამადნოებს შუა ხშირ მიმოსვლას ჩინებულად გაუყვალა. „თვინიერი ცხენები თუ გყავთ?“ — იკისხავ სადგურზე. „მამ არადა? ცხვრებივით არიან: შეხეთ ერთი, შეხმულნი დგანან, არავენ იქერთ და მაინც არ იძვრიან ადგილიდან.“ — „მერე მე რომ უფრო ცოცხალი ცხენები მკირია?“ — დავთარს ვუბნევ მე. „ცოცხალი ცხენები?“ — „ჰო“. — „სწორედ ეგენი არიან ქაჯები, თუ არიან: ვერა ძალით ვერ შეაკავენ“. და მართლაც ასეა.

ეგალოვის სადგურიდან, ირკუტსკამდე ოთხასიოდე ვერსზე, ცხენები ერთი შეხედვით კაფანდარა, გრძელკისერა, გრძელმხრება გეჩვენება და დიდი ღონე არ ატყვიათ. თავჩაკიდებულები დგანან აკაზმულნი და ცარიელ მარხილზე თუ კასრზე არიან მიბმულნი, რომლებიც გზას უღობავთ, თუკი ეზოდან გასვლა მოიგუნებეს. მაგრამ რა წამს მგზავრება ჩახხდებიან, მყის ყურებს დაცქვეტენ. მეეტლეები კი ირგვლივ შემოეხვევიან. ორ-ორ კაცს უკავია თითო ცხენი, ვიდრე მეეტლე კოფოზე დაჯდებოდეს. „ცოტა მარდად, ყმაწვილო, — ეუბნებიან მას, — ვერა ხედავ, ხელნის ცხენი რა ღლეშია“. მართ-

ლაც, ხელნის ცხენი ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ატრიალებს პირს და თავის აწყვეტას ლამობს, გვერდითა ცხენებიც ტოკავენ და თავს იქნევენ. აი, მეეტლე დაჯდა, სადავე აიღო, მაჯებზე დაიხვია... „ჰაიტ!“ — დასძახებს მერე ის. ყველანი მყის შემოეცლებიან და ტროიკაც ჩიტივით გამოფრინდება ჰიმკაოში, ორი, სამი ვერსი კისრის ტეხით, დაოთხილი მიქრის, მერე ასიოდე საყენზე ჩორთით მიქუსლავს, შემდეგ ისევ ჰენებ-ჰენებით მიფრინავს. ასე გრძელდება სადგურამდე. მგზავრს მეეტლის შექეზება არ სჭირდება, მეეტლეს ცხენებისა. ოდნავ შეანელებენ თუ არა ცხენები ნაბიჯს, — მეეტლე ხელს ოდნავ წამოსწევს ან დასჰყვივლებს, და ისინიც ისევ გაუტევენ გზას. ისე გაგიფრინდება ოცდახუთი ვერსი, ვერ შეამჩნევ.

ირკუტსკთან უფრო გამოცოცხლდა გზა: ურმები უკვე ბევრი გვხვდება. სოფლებიც დიდია და ხალხიც ბლომადაა შიგ; სადგურის შენობები უფრო სუფთა ჩანს. გლეხის ქოხების შეხედვასაც არაფერი სჯობია, ზოგი სულ ახალთახალი არის.

უკანასკნელ ხუთას ვერსზე ყინვისაგან სახე დამისივდა, რადგან ცვირ-პირზე ნიადაგ გაყინული ყელსახვევი მედებოდა. ასე მეგონა, ცვირზე ვილაცას ყინულის მარწუხი წაეჭირა. საშინლად მტკიოდა! მეშინოდა, გზაში არ გავმხდარიყავი ავად და ქალაქში ვეშურებოდი მისვლას. დღე-ღამეში ორას-ორმოცდაათ ვერსსა თუ უფრო მეტზე მივარეკინებდი ცხენებს, დასასვენებლად და სადილად არსად გავჩერებულვარ. კაჩუგის დაბიდან გზა ტრამალებს გაჰყვა, ლენას დავემშვიდობე. თოვლი ცოტა იღო და ბალახს ვერც ჰფარავდა. ცხენები გაზაფხულის პირივით სძოვდნენ და წიწკნიდნენ ბალახს. უკანასკნელ სადგურზე სულ მთები იყო; მე ღამით ჩავიარე და ირკუტსკისთვის „მხიარულ მთიდან“ არ გადმომიხედავს. მინდოდა ფხიზელი ჩავსულიყავ, მაგრამ გზაში ძილს ვერ წავართვი თავს. რა მოუხერხებლადაც არ უნდა დაჯდე, რა პირობაც არ მისცე თავს, არ დავიძინებო, რა საფრთხე არ წარმოიდგინო და თავი დაიშინო, მაინც დაგეძინება და როცა ეკიპაჟი შემდგომ სადგურს მიადგება, მხოლოდ მაშინ გაახელ თვალს.

მხოლოდ სადგურზე არ გამეღვიძა. „რა არის-მეთქი? — ვიკითხე, შენობები რომ დავინახე, — სოფელში ხომ არ ვართ?“ — „არა, ირკუტსკიაო“, — „მხიარული მთა სადღაა?“ — „ეჰ, რა ხანია გავიარეთო!“

სწორედ შობის ცისკარს რეკავდნენ, როცა მე ქალაქში შევედი. სახე წარმოუდგენლად დამისივდა. აგერ მესამე დღეა აქა ვარ, ირკუტსკი კი არ მინახავს. ახლა უკვე — ნახვამდის.

ოცი წლის უმდეგ¹

I

1873 წლის 11 დეკემბერსა და 1874 წლის 6 იანვარს საზღვაო ოფიცრების პატარა წრემ მეგობრული სადილი გამართა, რა არის 1854 წელს იაპონიის ზღვაში ფრეგატ „დიანას“ სწორედ ამ რიცხვებში დაღუპვის ექვს თავიანთი გადარჩენის ოცი წლისთავი აღენიშნათ.

მეორე სადილზე ამ ჯგუფის ერთ-ერთმა მთავარმა პირმა მეც მიმიწვია გულითადად, რადგან შიგ რამდენიმე ოფიცერიც ერია, ფრეგატ „პალადიდან“ ფრეგატ „დიანაზე“ გადასულები.

ბევრი რამ გაუცოცხლდათ მეხსიერებაში ზღვაოსნებს ამ სადილზე, მოგზაურობის ბევრი დავიწყებული წვრილმანი მოიგონეს, განსაკუთრებით რაც ფრეგატ „დიანას“ დაღუპვას შეეხებოდა. იაპონური ექსპედიციის თითქმის ყველა მთავარ წარმომადგენელს მოეყარა აქ თავი, „პალადის“ ყოფილი მეთაურის (ამჟამად ვიცე-ადმირალ და სენატორ ი. ს. უ[ნკოვსკის] გარდა. ჰოდა, ამ ნაცნობ წრეში მეც თითქო კვლავ ზღვაოსნად და ადმირალის მდივნად ვიგრძენი თავი. ამიტომ ისევ ვკიდებ კალამს ხელს, ოცი წლით უკან ვბრუნდები და ვიამბობთ, რა მოუვიდა „პალადას“ და რით დასრულდა ჩემი თანამგზავრების შემდგომი მგზავრობა ზღვაში, მას შემდეგ, რაც მე მათ დავცილდი.

¹ ეს თავები ლიტერატურულ კრებულში „სკლადჩინაში“ დაიბეჭდა, რომელიც დამწეულ სამარელთა სასარგებლოდ იყო გამოცემული.

დასრულდა კი ეს მგზავრობა გრანდიოზული კატასტროფით, სახელდობრ იაპონიაში მომხდარ მიწისძვრითა და ფრეგატ „დიანას“ დაღუპვით. გაზეთებმა თავის დროზე ამცნეს ეს ამბავი საზოგადოებას. იგივეს მოახსენებდა დაწერილებით დიდ მთავარსა და გენერალ-ადმირალს იაპონიის ექსპედიციის უფროსი გენერალ-ადიუტანტი (ამჟამად გრაფი) ე. ვ. პუტიატინი.

ზღვით მოგზაურობას, საერთოდ, ხშირად ახლავს საზარელი და სახიფათო განსაცდელის წუთები: იაპონიაში მისვლამდე ჩვენც რამდენიმეჯერ დაგვიდგა ასეთი წუთი ზღვაში. მაგრამ ის საშინელება, რაც ფრეგატ „დიანას“ ზღვასნებმა განიცადეს, თითქმის უმაგალითო ამბავს წარმოადგენს ზღვაში მომხდარ უბედურებათა მატრიანეში.

ამ შემთხვევის მოხსენებითი პატაკი ჩემი მოვალეობა იქნებოდა, ვითარცა ადმირალის მდივნისა, თუ რომ ბოლომდე გამეგრძელებინა მოგზაურობა. მაგრამ სულაც არ ვნანობ, რომ რაპორტის დაწერა მე არ მომიხდა: ისეთი კაპიტალური ნაწარმოები, როგორც ადმირალის რაპორტი იყო, („საზღვაო კრებული“, 1855 წ. ივლისი), ცხადია, მე არ გამომივიდოდა.

მე მხოლოდ ის შეიძლება დამრჩეს სანანებლად, რომ მოგზაურობის ამ ეფექტურ ბოლოს არ დავესწარი და ბედმა არ მარგუნა, ჩემი თვალთ ნახულისა და აღწერილის კვალდაკვალ ამ შემთხვევის ილუსტრაციაც გამეკეთებინა საკუთარი შთაბეჭდილებით.

სწორედ იმ დროს, როცა ჩემი ყოფილი თანამგზავრები თითქმის დაღუპვის კარზე იყვნენ, მე ციმბირის გზას ვადექი. აიანიდან, ოხოტის ზღვიდან, პეტერბურგამდე ათი ათასი ვერსი უნდა გამეგლო და თუ საზარელი განსაცდელი არა, გასაჭირი და ხიფათი მეც არა ერთხელ მიგემია.

ჩემი ამხანაგების ზვედრს მე სულ შემთხვევით ავცდი. დაიწყო ყირიმის კამპანია. ამ ამბავმა გამოიწვია ფრეგატის თავდაპირველი დანიშნულებისა და მისი აღმოსავლეთ ოკეანეში სამოგზაურო მიზნის შეცვლა. ის საქმე, რომელიც იაპონიასთან სავაჭრო ტრაქტატის დადებას და კუნძულ სახალინზე ჩვენი და მისი საზღვრების გამორკვევას ეხებოდა, ძალაუვნებურად უნდა შეწყვეტილიყო. ნავსაგაში უკანასკნე-

ლად რომ ვიყავით, ადმირალმა გადაწყვიტა ჯერ აღმოსავლეთ ციმბირის რუსულ ნაპირებისკენ აეღო გეზი, სადაც „პალადის“ სანაცვლოდ კრონშტადტიდან გამოგზავნილი ფრეგატი „დინა“ უნდა მოსულიყო; შემდეგ ისევ იაპონიაში შეეკვრა და პირობა ჩამოერთმია მისი მთავრობისთვის ომის შემდეგ მოლაპარაკებათა განახლებაზე. შემდეგ უკვე აღარავინ იცოდა, რა გარემოება შეიქმნებოდა ფრეგატზე ომის წყალობით: დარჩებოდა ის რუსეთის ნაპირებთან, მისი მტრისგან დასაცავად, თუ მტერს შუა ზღვაში შეებმებოდა. შესაძლოა რომელიმე ნეიტრალურ ნავსადგურშიც, მაგალითად, სან-ფრანცისკოში გაჩერებულყო უქმად, თუკი მოწინააღმდეგის თაობაზე არავითარი ცნობები არ იქნებოდა, და იქ დალოდებოდა ომის დამთავრებას.

შემეშინდა, ვაითუ ამბის უქონლობის გამო განუსაზღვრელი დროით „ლოდინი“ შემთხვეოდა გინდ ჩვენს უდაბურ აზიურ ნაპირებთან, გინდ ჩემთვის ისეთ ახალსა და საინტერესო ადგილას, როგორსაც სან-ფრანცისკო წარმოადგენდა. რა უნდა გამეკეთებინა იქ თვეების, იქნებ ერთი წლისა თუ მთელი წლების მანძილზე — რამეთუ არავინ უწყოდა, როდის დამთავრდებოდა ომი. მაშინ Pacific Rail Road¹ ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი, რომ ამერიკის კონტინენტით გამოვსულიყავ ჩვენში — ჰოდა, მეც ბედის ანაბარა უნდა დავრჩენილიყავ იქ, უმიზნოდ, უქმად და ზედმეტ ბარგად.

თანაც ზღვაში მთელი ორი წელი ხეტიალმა ვერ ვიტყვი, დამალა-თქო, მაგრამ მოგზაურობის წყურვილი კი დიახაც მომიკლა. მომენატრა ჩემი სახლი, ჩემი ნაცნობთა წრე, ჩემი საქმე და ჩემი ჩვეულებრივი ყოფა.

ადმირალს სიტყვა გადაუჟარი, დაბრუნება რომ მინდოდა. მაგრამ ადმირალი წარმატებით დაწყებული, თუმცა დაუმთავრებელი მოლაპარაკებებით და ომის დაწყებით. იყო შეფიქრიანებული, ამ ამბავს კი იგი შესაძლოა ომის მონაწილის მოულოდნელ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და იფიქრა, რომ მე ხელი მქონდა ჩაქნეული თვით იმ საქმეზე, რამაც იაპონიაში მოგვიყვანა. მითხრა, რომ ომის მიუხედავად იმედი

¹ ა. შ. შ. წუნარი ოკეანის რკინიგზა (ინგლ.)

მთლიანად არ ჰქონდა ჯერ დაკარგული იაპონიასთან მოლაპარაკების გაგრძელებაზე და მაშასადამე ჩემი მდივნის მოვალეობაც არ შეიძლებოდა ამოწურულად ჩამეთვალა.

ხოლო მოგზაურობის წყურვილი რომ მე თავთ ამონწურვოდა, ეს ამბავი ვერც შენიშნა, მიუხედავად იმისა, მის პასუხს გულიანი ოხვრა ამოვაცოლე.

თუმცა ვერც იმას ვიტყვი, ვმოგზაურობდი-თქო, მხოლოდ „სახელმწიფო საჭიროებისდა“ გამო მივცურავდი. მე გახლდი „მივლინებული ადმირალის მდივნის თანამდებობის შესასრულებლად, ჩვენს ამერიკულ სამფლობელოებში ექსპედიციის ხანს“. ასე მეწერა ნამსახურობის სიაში. მაშასადამე, არც არავითარი უფლება გამაჩნდა გამეცხადებინა „მინდა“ ან „არ მინდა“ დარჩენა თუ დაბრუნება-თქო. მაგრამ შემდეგ, როცა ადმირალს ამის თაობაზე რამდენიმეჯერ ჩამოვუგდე სიტყვა, თვითონვე შემიცოდა. ეტყობა, მოწყენა დამეტყო, ან ეგებ თავადაც ექვი ეპარებოდა, იაპონიაში მოუხლებოდა თუ არა წასვლა, რადგან ახლა პირველ რიგში დიპლომატის კი არა, მეომრის მოვალეობა ეკისრა. ჰოდა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მისთვის ჩვეული სიკეთით, ერთხელ გადაწყვიტა კიდევ: „რა გაეწყობა, გაემგზავრეთ: ვიცი, რომ აქ ახლა თქვენთვის მოსაწყენი იქნებაო“.

მეც აღარ გამოვიდე თავპატივი, ასე, რომ ჩემი მდივნობის ხანს არც ერთი ქალაქი არ გამიჭრელებია ისეთი მუყაითობით, როგორც ეს განკარგულება დავწერე საკუთარ თავზე ადმირალის სახელით, „გავმგზავრებულყავ ს.-პეტერბურგში და რომ ყველგან თავისუფლად გავეტარებინეთ და გზაშიც მთავრობის ხალხის მხრივ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის“ და ა. შ.

ეს ამბავი ამურის შესართავში მოხდა. ფრეგატი „დანა“ უკვე მოსულიყო „პალადას“ შესაცვლელად. „პალადამ“ მოსკამა თავისი წუთისოფელი, დაბერდა, თანაც ქარიშხლებმა კარგა მაგრა შელახა ის, განსაკუთრებით კეთილი იმედის კონცხთან და არც ჩინეთის ზღვაში დააკლო ხელი გრიგალმა. თავდაპირველად ამურის შესართავში მოინდომეს მისი შეყვანა, მაგრამ თავთხელი იყო და ვერ მოხერხდა. ის თათრის სრუტეში დატოვეს, „საიმპერატორო ბოლაზში“. ჯერ განა-

იარაღს, ე. ი. ზარბაზნები, თოფის წამალი, ტაკელაჟი გადმოიტანეს იქიდან, მოხსნეს ყველაფერი, რის მოხსნაც შეიძლებოდა, და მხოლოდ მისი დაბერებული ჩონჩხი დაუტოვეს ამ ბოლაზში გუშაგად მდგარ მეზღვაურებსა და კაზაკებს იმ პირობით, თუკი აქ ფრანგები და ინგლისელები მოვიდოდნენ, ჩაეძირათ და მოწინააღმდეგისათვის საშუალება არ მიეცათ დაეტრაბახათ, რუსული ხომალდი ვიგდეთ ხელთო.

ამგვარად დაასრულა „პალადამ“ თავისი წუთისოფელი ამ პოლაზში. მისგან მხოლოდ ფსკერი დარჩა, რომელიც აქ გუშაგად მდგარმა ჩვენთანებმა ალბათ რაღაცაში გამოიყენეს.

როცა განიარაღების ასეთი დავიდარება იყო ატეხილი, „პალადიდან“ „დიანაზე“ გადასვლა წარმოებდა, როცა ერთი შემადგენლობა მეორეთი იცვლებოდა, ხოლო ზეკომპლექტურ ოფიცრებსა და მეზღვაურებს ხმელეთის გზით რუსეთში უპირებდნენ გამგზავრებას, მეც ვითხოვე შინ დაბრუნების ნება. ეს 1854 წლის აგვისტოს დასაწყისში მოხდა.

სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ჩვენთან ამურიდან აღმოსავლეთ ციმბირის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ნ. ნ. მურავიოვი, ორი დღე დაჰყო ფრეგატზე და ნიკოლაევსკში გაემგზავრა, სადაც შეუნა „ვოსტოკიც“ უნდა წასულიყო, რა რომ ისა და მისი ამაღა აიანში, ოხოტის ზღვაზე გადაეყვანა. მიხაროდა, რომ შინ ვბრუნდებოდი და თან გული მწყდებოდა, რომ ამ ჩინებულ ადამიანებისა და ამხანაგების წრეს ვშორდებოდი.

ახლაც მახსოვს კიდევ კომიკური, თუმცა კი ტყუილ-უბრალო შიშის ის წუთი, როცა ფრეგატიდან ერთი ვერსის მანძილზე ჩვენი შეუნა ამურის ლიმანის შესართავში მეჩეჩზე გაეჩხირა. ამურის შესართავი სულ მეჩეჩებითაა მოფენილი, ასე რომ, ჩვენი მსუბუქი შეუნაც კი ნიკოლაევსკამდე და მერეც, ოხოტის ზღვაში, წამდაუწუმ მეჩეჩზე იჩხირებოდა. მაგრამ როგორც ყველა პატარა ხომალდისთვის, ეს ამბავი მისთვისაც სულ უბრალო რასმე წარმოადგენდა. ის ისევე ადვილად გადმოჰყავდათ მეჩეჩიდან, რა ადვილადაც ეჩხირებოდა ზედ. მე კაიუტაში ვიყავი და ჩემს ბარგიბარხანას ვალაგებდი. უეცრივ ზემოთ მყოფმა შეუნის კაპიტანმა, აწ განსვენებულმა ვ. ა. რიმსკი-კორსაკოვმა ჩამომძახა: „ადმირალი ჩვენ-

კენ მოემართება: თქვენი დაბრუნება ხომ არ უნდაო?“ ერთი წუთით კი გავხვედი ადგილზე, მაგრამ მერე ზევეთკენ გავიქეცი, ვიფიქრე; კორსაკოვი მასხრობს, ჩემი შეშინება უნდამეთქი. თურმე არ უმასხრია: აგერ, ლურჯი გიჩკა და შიგ ადმირალიც. „ჰო, ალბათ გადაიფიქრა-თქო!“ — ვფიქრობდი თავზარდაცემული და გიჩკას გავყურებდი.

მაგრამ ადმირალი სხვა საქმის თაობაზე მოსულიყო, უფრო კი, ვგონებ, იმის სანახავად, როგორ გავეჩხირეთ ჩვენ მეჩხზე, ან იქნებ უბრალოდ გასეირნება და ჩვენთვის ხელმეორედ გზის დალოცვა მოსწადინებოდა — ახლა უკვე დამავიწყდა, რა იყო მიზეზი. აქ დავემშვიდობეთ საბოლოოდ ერთმანეთს და პეტერბურგამდე აღარც შევხვედრივართ.

II

დაეუბრუნდები ჩემს ზემოთ ნათქვამ სიტყვებს, რაც ზღვაში ყოფნის ხანს ჩვენს მიერ განცდილ საშინელ და სახიფათო წუთებს შეეხებოდა.

„საშინელი“ და „სახიფათო“ წუთები სინონიმებს ისევე არ წარმოადგენენ, როგორც სინონიმები არაა „შიში“ და „საფრთხე“ საერთოდ, განსაკუთრებით კი ზღვაში. საშინელი წუთი ზოგიერთებისთვის სულაც არ არსებობს, ზოგიერთებს კი ხშირად უგემიათ. ეს დამოკიდებულია, ხარ თუ არა მიჩვეული ზღვას, ე. ი. იცნობ თუ არა მის ხასიათს, ხომალდს, მოწყობილობას და მართვას, დაბოლოს რა ნერვებისა და აღზრდის კაცი ბრძანდები. ახალბედას ყოველივე საშინლად ან საექვოდ ეჩვენება ხომალდზე. „ყველა ზევით“ — განკარგულებას გასცემს ბოცმანი და ოთხასი კაციც დამთხვეულებით მოსწყდებიან ადგილს, თითქო ვილაც იღუპება ან თითქო თვითონა აქვთ დასალუჰად საქმე. შექნიან ხომალდზე ერთ ბრავაბრუგს, აძვრებიან ვანტებზე: საქმის უცოდინარი ან ნერვიული კაცი შეკრთება, იფიქრებს, რაღაც უბედურება მოხდაო. სულაც არა: იალქნების გაშლა თუ აკეცვაა საჭირო, ან ამის მაგვარი რამე. იქ როულსებზე (ბორბლებზე) დატრიალებული ბაგირი რახრახს ატეხს. ან არადა რწევის გამო კაიუტაში რომელიმე კარადა თითქო სასოწარკვეთით გამოხსნის კარებს, მთელი კურკლეულობა რაჩუხნითა და წკრილით

ვადმოცვივდება გარეთ და ლუქმა-ლუქმა დაილეწება. რა არ წარმოუდგება ახალბედა ზღვაოსნის შეშინებულ წარმოდგენას ამ რაჩხუნის გაგონებაზე! დიახ, „საშინელი“ წუთი გახლავთ, ოღონდაც მარტო მეტუფეტისთვის, რომელმაც მაგრად არ ჩაკეტა კარადა და ამის გამო კიდევ მოხვდება.

მეც არა ერთხელ დავუეჭვებივარ მიუჩვეველი ამ „საშინელ“, ოღონდ არა „სახიფათო“ ალიაქოთს, რაჩხუნს, სირბილს, ვიდრემდე საზღვაო ყოფის წესებსა და ადათებს არ გავეცანი. მანამდე ხომ კრონშტადტსა და პეტერგოფს არც მე გავცილებოდი ზღვაში.

სხვა საქმეა „სახიფათო“ წუთები: ისინი არც ისე ხშირია და, ასე გასინჯეთ, ხანდახან ვერც კი შეამჩნევთ, სანამ ხიფათი უბედურებაში არ გადაიზრდება. მეც არა ერთხელ დამვიწყებია, ან უცოდნელობით გამომპარვია ის წუთი, როცა შეშინების უფრო მეტი საბაბი მქონდა, ვინემ კარადიდან ჭურჭლის გადმოცვენის, ხანდახან კი თვით კარადის ან დივნის დაცემის ხანს.

ბევრი „საშინელი“ წუთი აღვწერე მე დაწვრილებით ჩემს სამგზავრო ყურნალში, მაგრამ თითქმის არსად მაქვს ნახსენები „სახიფათო წუთები“: მათ ჩემზე არ მოუხდენიათ შთაბეჭდილება, არ შეუშფოთებიათ ჩემი ნერვები — ასე რომ, დამავიწყდა ისინი, ან, როგორც ახლა ვთქვი, შიშის წუთი გამომეპარა და ამიტომაც ალბათ მათი აღწერაც გადამვარდა გულს. ახლა ორ-სამ შემთხვევას მოგახსენებთ მხოლოდ.

კრონშტადტიდან ფრეგატ „პალადით“ ინგლისში რომ მივემგზავრებოდით, ზუნდი გავიარეთ.

მე მაშინ გწერდით, რაოდენ არახელსაყრელ ამინდში მოგეიხდა ბალტიის ზღვაზე მგზავრობა. ცივი ოქტომბერი იდგა, პირქარი ქროდა და ნისლი იყო. გარდა ამისა, ისიც მოგწერეთ. რომ სამი კაცი იმსხვერპლა ხომალდზე ხოლერამ. მიჩვეულებსაც კი გაუჭირდათ ეს მგზავრობა, ხოლო ჩემისთანა ახალბედანთვის პირდაპირ აუტანელი იყო, თანაც შემოდგომის სიცივემ განმიახლა ნევრალგია, რაიც დიდი ხანია მჭირდა და თავისა და კბილის ტკივილებმა შემომიტია. კაიუტის პატარა სარკმელში ერთი ჩარჩო იყო მხოლოდ ჩადგმული სიცივის, წვიმისა და ნაწილობრივ ყინვისგან დასაცავად.

ხანდახან პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე მივდიოდი. ასეთი ტკივილებით როგორ გავუძლებ-მეთქი ორი-სამი წლით ზღვაში მოგზაურობას? ჩაეწევი ლოგინში და თავს იმითღა ვინუგეშებდი, ინგლისიდან დაებრუნდები-მეთქი უკან. თან ნისლიც იდგა, რწევა იყო და ციოდა!

დახიას რომ მივეუხლოვდით, უფრო მეტი სითბო დატრიალდა, მაგრამ ნისლს მაინც არაფერი ეშველა. ზუნდში შესვლისას, როგორც ყოველთვის ვიწრო გასაველში ხდება ხოლმე, ლოცმანი გამოვიძახეთ, რომ სრუტეში გავეყვანეთ. ჩვეულებრივ ლოცმანს აღმით იძახებენ, ხოლო თუ ალაში არ ჩანს, ზარბაზანს ისვრიან. მაგრამ ალბათ ალაში ნისლში ნაპირიდან ვერ დაინახეს (ახლა დამავიწყდა ეს წვრილმანები), ხოლო ზარბაზნის ბათქი სხვა მიზეზს მიაწერეს: ასე იყო თუ ისე, ლოცმანი არ მოგვევლინა. ჩვენ, როგორც ამბობენ, ბორძიკ-ბორძიკით მივიწვევდით წინ დიდი სიფრთხილით: ღია ზღვაში ერთ ადგილზე გაჩერება არ შეიძლება. როცა ნისლი გადაიკრიფა, უკვე სრუტეში ვიყავით.

თბილოდა, ტკივილებიც გამიყუჩდა და გემბანზე გამოვედი. ახლაც მახსოვს, როგორ განმაცვიფრა დანიის და შვეციის უცხო ნაპირთა სილამაზემ, რაც ჩემთვის მაშინ უცხო ხილს წარმოადგენდა.

ზღვის და ნაპირების დიდებულმა სურათმა ისე მომხიბლა და დამატყვევა, ჩემდა უნებურად თვალი ვეღარ მოვწყვეტე მათ, მაგრამ გულში მაინც კვლავ ეპკვი მიჩუჩუნებდა. მივეჩვევი კი ზღვას, მომეშვება კი რევმატიზმი? ზღვა კიდევ გიზიდავს და კიდევ გაფრთხობს, სანამ არ მიეჩვევი. სულის ასეთი განწყობა მეტად მიამიტად, მაგრამ სწორად გამოხატა ერთმა ფრანგმა ქალმა საფრანგეთში, ზღვის პირას, როცა საშინლად გაავდარდა და ვკითხე: „ავდარი თუ გიყვართ-მეთქი?“ — „Oh, monsieur, c'est ma passion!“ — ალტაცებით მი-თხრა მან, — mais... pendant l'orage je suis toujours mal à mon aise!“².

კაპიტანი და ეგრეთ წოდებული „პაპა“, „პალადის“ მკით-

¹ ოპ ბატონო, არაფერი მირჩენია ამას (ფრანგ.)

² მაგრამ... აელრის დროს რაღაც უფოთი შემოპყრობს ხოლმე! (ფრანგ.)

ხველების კარგად ნაცნობი უფროსი შტურმან-ოფიცერი (ამჟამად გენერალი), — ორივე ზემოთ იყო და რალაცაზე გაცხარებით ბქობდნენ. „პაპა“ წამდაუწუმ კაიუტაში გარბოდა რუკაზე დასახედად და უკანვე ბრუნდებოდა. შემდეგ ორთავე ჩაციებით მიაშტერდებოდნენ ორივე ნაპირს, ზღვას. ლოცმანი: შინც არ ჩანდა და არა. მე კი თვალს ვერ ვწყვეტდი ჩემს წინ გადაშლილ სურათს, განსაკუთრებით სავაჭრო ხომალდების გუნდს, რომლებიც იხვებივით ერთად მოცურავდნენ და შვეციის ნაპირს ეკვროდნენ. ჩვენ თითქმის შუა სრუტეში მივდიოდით, დანიის ნაპირის ახლოს.

შფოთავდა კაპიტანი, შფოთავდა პაპაც და, რა თქმა უნდა, არა ერთხელ შეუკურთხა მან ლოცმანს გამოუცხადებლობისთვის.

მან მეოცეჯერ ჩაირბინა ქვევით. უცბად კაპიტანმა სასწრაფოდ გაუგზავნა კაცი მოსაყვანად.

ორივე თითქო რალაცით იყო განცვიფრებული.

— მეჩეჩზე ვართო! — მომესმა ჩუმად ნათქვამი სიტყვები.

ფეხით მოვსინჯე გემბანი: ის აღარ ინძრეოდა, თითქო მიწაზე ვიდექი.

ამ ამბავს ყოვლად გულგრილად შევცქეროდი და უგულისყუროდ ვუსმენდი, რასაც ირგვლივ ლაპარაკობდნენ. ნახად მინანავებდა ზღვის ნელი შხაპუნი და თბილი დარი, გატაცებით შევცქეროდი უცხო ნაპირთა სურათს, ყველაზე მეტად კი ის მახარებდა, რომ აღარც თავი მტკიოდა და აღარც კბილები.

— რა ბედნიერებაა! — ვიძახდი ჩემთვის, ფეხქვეშ გემბანის უძრავ ფიცრებს რომ ვგრძნობდი.

მაგრამ რა ალიაქოთი გამოიწვია ფრეგატზე „ამ სისულელემ“, — როგორც მე ვფიქრობდი გულში.

ყველას ზევით დაუძახეს, ატყდა ერთი წრიალი და ხმაური: „ნავი ჩაუშვით! ვერაპები გაზიდეთ!“ — ისმოდა ყოველ წუთს. ოფიცრებიდან თუ ვინმე წერდა ან კითხულობდა, ყველამ საქმეს მოჰკიდა ხელი.

„ვერპი“ პატარა ლუზებია, რომლებსაც ფრეგატიდან რამდენიმე ათეულ საყენზე გაზიდავენ, ფსკერზე ჩაუშვებენ;

იმათ ბაგირს შპილზე დაახვევენ და მერე შპილს დაატრიალებენ, რომ ზომალდი ადგილიდან დასძრან. ეს ხანძრის ჩაქრობის თავისებურ, შინაურ საშუალებას წარმოადგენს, ვიდრემდე სახანძრო რაზმი მოვიდოდეს.

მაგრამ ჩვენს მძიმე ფრეგატს, რომლის ტვირთი რამდენიმე ასი ათას ფუთს შეადგენდა, თითქო ეამა ეს შემთხვევა და ბეჯითად გაწვა ქვიშაზე, როგორც ზოგჯერ ლოთიფოთი კაცი ტლაპოებში ბანცალ-ბანცალით სიარულის შემდეგ უცბად შუა გზაზე გაიშოტება. ტყუილად უქიმიჯებს მისი ფხიზელი ამხანაგი გვერდებში, ხან ხელს აუწევს, ხან ფეხს, ხან კი თავს. ხელი, ფეხი და თავი მკვდარივით დაუვარდება ისევ ძირს. ლოთი მძიმედ, უმოძრაოდ გდია და ვიდრე საშველად ორი „პოლიციელი“ არ მოვა, მისი წამოდგომის იმედი არაა.

ფრეგატსაც სუსტი ვერპები თითქო შეარყევს, ისიც გახიხდება, დაიკრუსუნებს, შეიქნება გახარებული ყიყინა — მაგრამ ის ადგილიდან არ იძვრის. არა, ისევ „პოლიციელების“ დაძახებაა საშველად საჭირო და დაუძახეს კიდევ.

ვუყურებდი ამ ალიაქოთს და მიკვირდა: „ავერ, ზღვაში გამოჯაგული ხალხი, მათთვის „საშინელი“ წუთები არ არსებობს და ახლა კი როგორ დამფრთხლან! რა ბედენაა ვითომ მეჩეჩზე გაჩხირვა! ვიდგებით, ვიდგებით და ქარი რომ მაგრად დაბერავს, ზღვა ატორტმანდება და ჩვენც ჩამოვალთმეთქი!“ — ფეიქრობდი გულში და მაგრად ვაბიჯებდი ფეხს გემბანზე. რა გამოუცდელი და ბრმა ვყოფილვარ!

— მოდი, მივიდე და ვკითხო, რამ შეაშფოთა ასე? — მაგრამ რომ მივედი, ზედაც არავინ შემომხედა!

მახსოვს მხოლოდ, რომ ერთი ოფიცერი, ბარონ შ[ლიპენბახი], მთლიან ფორმაში გამოწყობილი, სასწრაფოდ კოპენჰაგენში გააგზავნეს გემის ჩამოსაყვანად, რა არის მეჩეჩიდან გადმოსვლაში ეშველა.

ვიდრე ზღვაოსნები ამ თავიანთ „საშინელ“ წუთებს განიცდიდნენ, რა თქმა უნდა, თავის თავზე მეტად ფრეგატი აღარდებდათ, — მეცა და სხვებიც, ვისაც ეს საქმე არ გვეხებოდა, ჩაის, ვახშამს გიახლებოდით, ერთი სიტყვით, ფრიად შინაურად ვგრძნობდით თავს და მერე დასაძინებლადაც დაე-

წეკით. შფოთის, სიცივის და რწევის შემდეგ ეს პირველად მოხდა.

„რა ბედნიერებაა! — ვიძახდი მე, როცა ლოგინში დავწე-
ქი, რომელიც არც ინძროდა და არც ირხეოდა, — თქვენ ეგ
ვერპები გადაზიდეთ, მე კი ისე დავიძინებ, როგორც კარგა
ხანს არ მღირსებია!“

სიზმარში, ვგონებ, ისიც კი მელანდებოდა, თითქო გზა
აღარ გავევიგრძელებია, ამ მეჩეჩს შევრჩით, თითქო საზღვაო
უფროსებს პეტერბურგში მოსწყინდათ ცდა, როდის დავი-
ძრებოდი ჩვენ და ექსპედიცია გადასდეს. ასე რომ, ყველანი
შინ დავბრუნდით იმ ჩვენს შეურყეველ სარეცლებზე უშ-
ფოთვლად დასაძინებლად.

მაგრამ ალიონზე ძილში ჩამესმა ბოცმანების სასტვენის
ხმა, ვიგრძენი, როგორ ატორტმანდა ჩემი საწოლი და როგორ
გაგვათრია ღონიერმა „პოლიციელმა“, კოპენჰაგენიდან მო-
სულმა გემმა. მგონი, ლოცმანიც სწორედ იმ დროს მობრძა-
ნებულა.

მეორე დღეს, როცა ზუნდიდან გამოვედით, ვიკითხე, ყვე-
ლა ასე რამ შეგაშფოთათ, მით უმეტეს, ისეთი საშუალება,
როგორსაც კოპენჰაგენი და გემი იყო, ასე ახლოს იმყოფებო-
და-მეთქი? მხოლოდ მაშინ ამიხსნეს საქმის ტექნიკური მხა-
რე: რას ნიშნავდა, როცა ხომალდი მეჩეჩზე „გაიჩხირებოდა“. უპირველეს ყოვლისა, ოდნავი ხახუნიც კი ხომალდის ფსკერს
დააზიანებდა (ჩვენს ფრეგატს მართლაც მოსძრობოდა რამდე-
ნიმე სპილენძის ფურცელი გარედან, როგორც პორტსმუტის
დოკში აღმოჩნდა გასინჯვისას, გარეკანის გარეშე კი ცურვა
არ შეიძლება, რადგან ფიცრებს აუარება ზღვის ინფუზორია
ეკრობა და სჭამს მას), მთავარი კი ის იყო, რომ ძლიერი ქა-
რი თუ ამოიჭრებოდა და ზღვას ააღელვებდა, ფრეგატი მე-
ჩეჩიდან ვერ გადმოვიდოდა, როგორც მე მეგონა საზღვაო
საქმის ყოვლად უვიცს, და სულ ნაფოტ-ნაფოტ დაიმსხვრე-
ოდა!

„შინ მაინც ყველა დავბრუნდებოდი! — ვფიქრობდი და
ჩემს სიზმარს ვავსებდი, — ნაპირი აგერ, ცხვირის წინა
გვაქვს: არ დავიხრჩობოდით, თანაც ცოტა ცურვაც შემოი-
ღია“. — ისევ ჩემი სიბრმავე! მდინარის წყნარ წყალში ცურ-

ვა და აღელვებული ზღვის გადაჭრა — როგორც შემდეგში დავრწმუნდი, სულ საწინააღმდეგოს წარმოადგენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მეზღვაურიც კი, ვინც ასე მიჩვეულია ზღვას, იშვიათად აღწევს ნაპირს.

ამგვარად იმ „სახიფათო“ წუთებმა, რამაც მთელი დამე გასტანა, ჩემთვის სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა.

მაგრამ განა მარტო ზღვაში, ცხოვრებაშიც ყოველ ნაბიჯზე უამრავი საფრთხე გველის, თუმცა ჩვენდა საბედნიეროდ, ხშირად ვერ ვამჩნევთ. სამაგიეროდ, თითქმის კარგის და ავის გასაწონასწორებლად, ყველგანაა მიმობნეული „სახიფათო“ წუთები და წარმოდგენა ხშირად საფრთხეს იქ გვისახავს, სადაც ეს საფრთხე სულაც არ არსებობს. ზღვას ამ მხრივ ბევრ ცილს სწამებენ ტყუილუბრალოდ გამოუცდელი ხალხის თვალისთვის „საშინელი“ წუთების წყალობით. სანამ ზღვაზე არ ვიყავ ნამყოფი, მეც ხშირად ვერიე ამ უკანასკნელთა რიცხვში.

თუმცა იმის თქმაც არ შეიძლება, თითქო თვით ზღვაოსნებიც ყოვლად გულგრილად ეკიდებიან იმ საბედისწერო შემთხვევებს, რაც ზღვაში მყოფთ შეიძლება დაატყდეს. მართლაც ქვა გული კი არა აქვთ: აღამიანი ყველგან აღამიანად რჩება და გულწრფელი ზღვაოსანი — ზღვაოსნები კი თითქმის ყველანი გულწრფელებია — მუდამ გულახდით აღიარებს, გაჭირვებულსა თუ სახიფათო წუთებს ზღვაში ისიც გულმშვიდად ვერ ხვდება. ზღვაოსანსაც აიტანს ხოლმე შიში და სიმძიმელი, ამ წუთების წყალობით არა ერთხელ გადაწყვეტს გულში, თუკი ნაპირს მშვიდობით მიაღწევს, ზღვაში აღარასოდეს გავიდეს. მაგრამ ერთ-ორ კვირას თუ თვეს ხმელეთზე რომ დაჰყოფს, კვლავ ანდამატის ძალით იზიდავს საყვარელი სტიქია, მისთვის ნაცნობი განსაცდელები.

ოღონდ ზღვაოსანი, ცხადია, არასოდეს შეიწუხებს თავს ტყუილი განცდებით, არასოდეს აჰყვება წვრილმან, სულმოკლე შიშს ყოველ ნაბიჯზე, რამეთუ ის სიყმაწვილიდან მიჩვეულია ზღვას.

ინგლისში რომ ჩავედით, სულ გადამავიწყდა საშინელი და სახიფათო წუთები, გამიარა თავისა და კბილის ტკივილმაც, რადგან მშვენიერი დარი დაგვიხვდა, იქაური კლიმატისთვის დიახაც ყოვლად წარმოუდგენელი. იქ ორი თვე დავყავი და მერე ისევ გზა ვავაგრძელებთ. აღარც მიფიქრია, დაბრუნება რომ მქონდა განზრახული, თუმცა კი აღმირალმა, როცა ჩემი ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, თანხმობა გამოთქვა უკან გავეშვი. შორსა და შორს მიტყუებდა სიახლე, იქ, იმ წარმტაც შორეთში მეფობდა სითბო და რევმატიზმი ვერ ბოგინობდა.

ბარემ იმასაც მოგახსენებთ აქვე, რა საშინელი მორალური შიში გამოვიარე ინგლისში, რომელიც ზღვის მღელვარება-შფოთს მართალია არ ეკუთვნის, მაგრამ მოგზაურობას მაინც ეხება და ყოველგვარ რწევავზე მეტი შიში მაქამა.

აღმირალი ჩვენთან არ იყო: ის ფრეგატის ჩასვლამდე მარტო გაემგზავრა ინგლისში, რომ ამ ხანგრძლივი მოგზაურობისთვის თადარიგი დაეჭირა. სხვათა შორის, იქ შკუნა „ვოსტოკი“ იყიდა, რომელიც „პალადას“ უნდა გამოჰყოლოდა, და ახლა მის მოწყობასა თუ სხვა საქმეებს დასტრიალებდა. პეტერბურგში მე ის ერთი წუთით ვნახე, პორტსმუტის რეიდზე კი ვითარცა მდივანი გამოვეცხადე და ლონდონში გავყევი. მან მყისვე დამავალა რამდენიმე წერილი დამეწერა პეტერბურგს გასაგზავნად, თან ჩვენი ინგლისამდე მგზავრობის მოკლე ისტორია შემედგინა, ისიც ჩამერთო, როგორ „გავეჩხირეთ“ მარჩხოზზე, რატომ იყო აუცილებელი ფრეგატი პორტსმუტის დოკში შეგვეყვანა, ნაწილობრივ დაზიანების შესამოწმებლად, უფრო მეტად კი ფრეგატზე მაშინ ჯერ კიდევ ახალი, წყლის გამმტკნარებელი ორთქლის აპარატის დასადგმელად.

მიჩვენა კიდევ ის წერილები, რომელიც თვითონ დაეწერა ჩემს ლონდონში ჩასვლამდე. წავიკითხე და ვნახე, რომ... ვერაფრით ვერ დაწერდი ისე, როგორც ისინი იყო დაწერილი, ე.ი. ისეთი მტკიცე, ზუსტი და მოკლე სტილით: უბრალოდ ვერ შევძლებდი!

„მდივანი რაში სჭირდება მას? — ვფიქრობდი შიშით, — თვითონ ყველა მდივანზე უკეთ წერს: მე აქ რა მინდა? ზედმეტი ვარ მხოლოდ!“ მართალი გითხრათ, დავფრთხი. მაგრამ ჯერ თურმე სად ვყოფილვარ. ეს შიში როგორც იქნა დაეძლიე, ვიფიქრე, თუ აღმირალს მოხერხება არა, ყოველ შემთხვევაში დრო არ ეყოფა მთელი კორესპონდენცია აწარმოოს და იაპონელთა მოლაპარაკებანი ქაღალდზე გადაიტანოს.

ყველაზე დიდი გაჭირვება ლონდონიდან პორტსმუტში დაბრუნებულს დამადგა, როცა მოხსენებითი ბარათი უნდა შემედგინა ინგლისამდე ჩვენი მოგზაურობის ისტორიის ირგვლივ და ფრეგატის დოკში შეყვანის მიზეზები გადმომეცა. გავიფიქრე, ამაზე იოლი რა უნდა იყოს-მეთქი. მახსოვდა ყოველი ნაბიჯი და ყოველი წუთი — ასე რომ მხოლოდ კალამი უნდა ამელო და გამეჭრელებინა ნაჩვევი ხელით: ციოდათქო, ქარი ქროდა, გვარწევდა, ან თბილოდა, აი, დანიაში მოვედით-თქო... (ღმერთი არ გაგიწყრეთ და ზღვაოსნის თანდასწრებით არ წამოგცდეთ, რომ ხომალდით „მოადექით“: თქვენს მაგიერ გაწითლდებიან! „მოვედით“ და არა მოვადექით!) — არა — ვატყობ, არ გამომდის. „უკანა გემბანის ჟურნალი აიღეთ, — მირჩიეს, — სადაც ნაბიჯ-ნაბიჯაა აწერილი მგზავრობაო“. გარდა ამისა სხვა წიგნებიცა და ნაწერებიც წამოვიღე ამგვარი შინაარსის. ხან ერთ ნაწერს ჩავხედავ, ხან მეორეს, ხან წიგნს, მერე უკანა გემბანის ჟურნალს გადავშლი და ვკითხულობ.

„მარსელი სტენგაზე დავაყენეთ“, — „გიტოვებზე გროტი ავიღეთ“, — „ოვერშტაგი ვატრიაღეთ“, — „ფრეგატი ქარზე დავიყენეთ“, — „მარჯვენა გალსზე დავწექით“, — „ფორდევინდზე წავედით“, — NNO ან SW ქარი ქროდა“. შემდეგ „უტლეგარი“, „ახტერ-შტევენი“, „შკოტები“, „ბრასები“, „ფალები“ და სხვანი და სხვანი მოსდევს.

ამ წინადადებათა და სიტყვებით იყო მოკიწიწიებული მთელი ჟურნალი. „ღმერთო ჩემო, რომ არაფერი მესმის! — ვფიქრობდი თავზარდაცემული და გამშრალი კალმით ქაღალდს ვფხაჭნიდი, — ნეტავ რად წამოვედი!“

გამახსენდა სასკოლო მერხი, სადაც ლათინურ თუ გერმანელ „თავსატებს“ თარგმანს ეწამები ოფლში გაღვრილი, მას-

წავლებელი კი თავზე გადგას, როგორც ახლა ადმირალი, გაჩქარებს და გეკითხება: „მალე მორჩები? ვიდრე გადასაწერად მისცემდე, ჯერ მე მაჩვენეო...“

„რა უნდა ვაჩვენო? — ვბუტბუტებდი სასოწარკვეთილი სუფთა ქაღალდის შემყურე. ამ ტერმინებს შორის ცოცხალი სიტყვიდან მხოლოდ რამდენიმე ზმნა შეგრჩება ხელში და მათ შორის კიდევ დამხმარე ზმნა: ძალიან არ გიშველის!

მთელი სამი კვირის მანძილზე, ვინემ ინგლისში მივიღოდეთ, რა თქმა უნდა, კი მესმოდა ამ სიტყვების ნაწილი, მაგრამ ერთ ყურიდან მეორეში ვუშვებდი, იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ ორი-სამი წლის მანძილზე ჩემი ლიტერატურა თითქმის მარტოდენ მათგან წარმოდგებოდა.

„აქ რა მინდა? ხოლო რაკი თავი მოვიკალ და აქეთ გამოვსწიე, ადმირალის წუთიერი წყალობით რად არ ვისარგებლე, ჩემს გაშვებაზე რომ დამთანხმდა, და რად არ გავემგზავრე? ოპ, ნეტამც თავი და კბილები ამტკივდეს ისევ!“ — ვგოდებდი გულში და გემბანის ქურნალს თვალს ვარიდებდი.

პეტრე პირველის დროს პოლანდიურ ენიდან მთლიანად გადმოსულ და ჩვენი ფლოტის მიერ შეთვისებულ ამ ტერმინების გარდა საზღვაო პრაქტიკაში კიდევ თავისებური, რუსული კილოკავიც შეიქმნა. მაგალითად, მეზღვაურები ამბობენ და წერენ: „სიღრმიანი ნაპირიო“, ე. ი. რომელსაც ხომალდებისთვის საკმარისი სიღრმე გააჩნია. ეს ძალიან კარგად ისმის რუსულად, როგორც, მაგალითად, გამოთქმა „მდგრადი“, „მდგრადობა“, მაშასადამე, ხომალდის წყალში მკვიდრად, სათანადო ჩაჯდომა ისმის; ან „ნაქარი“ თუ „საქარე“ მხარე, ან „ლუზაზე გამაგრება“, ე. ი. ქარის იერიშისგან თავდაცვა და ა. შ. ასეთი სიტყვები ბლომად ჩამოითვლება. ზოგიერთი ეს გამოთქმა თუ მისი მსგავსი, როგორც მაგალითად „ბაგირისა თუ თოკის მოშლაა“ — და ა. შ. გინდა პირდაპირ რუსულ ენაში გადაიტანო და არა მარტო საზღვაო ყოფა-ცხოვრებაში იხმარებოდეს.

სამაგიეროდ მათ შორის, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ყურით მოთრეული, ნაძალადევი სიტყვებიც ურევია. მაგალითად: ზღვაოსნები წერენ: „ესა და ეს ფრეგატი ამ და ამ ბოლაზში „ზღვისტო“ იდგაო“: ეს, ცხადია, არ ვარგა,

მაგრამ ამაზე უარესი კიდევ „უზღვისტესად“ გამოდის შედარებით ხარისხში. არაზღვაოსან მკითხველს, ცხადია, თავში არ მოუვა, რომ „ზღვისტო“ ახლოს ნიშნავს, „უზღვისტესად“ კი შუა ზღვასთან უფრო ახლოს, ვინემ ნაპირთან.

ეს „ზღვისტო“ ერთი მგზავრის შაირს მაგონებს (არ მახსოვს, ვინ მიაძობო), რომელიც მას სასტუმრო ბაკის ეგრეთწოდებულ „სუფთა სენაკში“ ღამის გათევის შემდეგ წაუწერია კედელზე: „აქ მართლაც .სისუფთავე ყოფილა, ოღონდაც ტარკინისტო, რწყილისტო და ნაღლინჯოისტო იყო!“

აფსუსს, სად არის გრეჩი, რუსული ენის სიწმინდის ეს თავგამოდებული მებრძოლი!

არ მახსოვს, როგორ გავართვი თავი პირველ რაპორტს: ალბათ, მე ხმელეთის ენით დავწერე, ადმირალმა საზღვაოთი შეამკო — და ქაღალდიც დანიშნულების გზას გაუდგა. მე რე მეც გავეცანი ამ ენას და ბევრი აქამდეც არ დამვიწყებია.

IV

ახლა აღმოსავლეთ ოკეანეში გადავიდეთ, ჩრდილოეთ განედის ოც გრადუსზე, და მეორე „სახიფათო“ წუთის ამბავს გავეცნოთ, ლიკეის კუნძულებთან განცდილს. რაზეც თავის დროზე არაფერი მითქვამს. არ მოგახსენებთ ჩინეთის ზღვაში, ბაშის კუნძულებთან დატეხილ გრიგალზე, როცა გროტ-ანძა შეგვერყა. ამის თაობაზე მე დაწერილებით მოგწერეთ.

ჩემი მოგზაურობის ერთ თავში, „ლიკეის კუნძულები“ რომ ერქვა, გაკვრით ვახსენე, რომ ვიდრე ლიკეის რეიდზე შევიდოდით, მთელი ორი დღე მძაფრი ქარი ქროდა და რეიდზე შესვლა არ დაგვაცალა — სხვა არაფერი მითქვამს. სწორედ ამ ქარმა კინალამ ჩაგვაგდო დიდ გასაქირში.

კუნძულებს საღამოს მიეუახლოვდით. თვალისსაზომით სამიოდე ვერსი კიდევ დავგრჩენოდა. უნდა მოგვევლო მარჯნის ბრაგისთვის, რომელიც ერთ-ერთ მთავარ, დიდ კუნძულს მრუდე ხაზად შემოვლებოდა. შორიდან ოღნავ მოჩანდა, აქაფებული ფურთოთუნი ლოდების გრეხილს თავზე რომ გადადიოდა. ამ გრეხილს მხოლოდ ორი კარი ჰქონდა რეიდზე შემოსასვლელად. ერთი ვიწრო კარი ჩრდილოეთის მხრიდან იყო,

მეორე, იმაზე უფრო ვიწრო, სამხრეთით. ფრეგატს დიდი სისწორით უნდა აედო გეზი, რომ ბრავას არ დაჯახებოდა. ისე როგორც კარეტას სიფრთხილე სჭირია ვიწრო ალაცაფში გასვლისას. აღმირალმა ვერ გაბედა ბინდბუნდში ასეთი რისკის გაწევა და დილაძე ამჯობინა დაცდა. ლუზა რომ ჩაუეშვით, ნელი, ნაზი სიო ქროდა და სამხრეთის თბილი ღამე იდგა — ყველას დიდი იმედი გვექონდა ზვალ ეცხო, ტურფა ადგილებში ვისეირნებდით. ჩვენი ზომალდები: „თავადი მენშიკოვი“ და შკუნა „კოსტოკი“, თუ არ ვცდები ორთავე (ახლა აღარ მახსოვს), ჩვენზე აღრე მოსულიყვენ და ამ ვიწროებში ადვილად გასხლტნენ. პატარა ზომალდებისთვის, წყალში რომ ღრმად არ ჩამჯდარან, ეს იოლი საქმეა. იქაური ოფიცრები მოსანახულებლად გვეწვივნენ და წავიდნენ.

უცბად, შუალამისას ამოიჭრა ქარი ოკეანის მხრიდან — ჩვენ კი ამ ოკეანეში ლუზაზე ვიდექით! ჩაუშვეს მეორე ღუზაც. და ამ მოულოდნელ, იჩქით მტრის წინააღმდეგ საომრად მოემზადნენ. ჩვენ, არაზღვაოსნებს, არხეინად გვეძინა, ყველაზე გულარხეინად კი მე. ჩემი ხმელეთური, საზღვაო საქმეში ჯერ კიდევ მაინც უმეცარი გაგებით მეგონა, რომ ერთ ადგილზე დგომა მაინც სჯობდა ზღვაში ხეტიალს. ეს მართლაც ასეა, როცა ქარიშხლის დროს დახურულ ნავსაყუდელში დგახარ, ჩვენ კი ოკეანეში ვიყავით! ასეთ შფოთსა და ღელვაში გაატარეს ღამე ზღვაოსნებმა, იმის თვალთვალში, ქარი როდის მოძალდებოდა. მეორე დღეს, შუადღისას, ქარი თითქო დაცხრა: ახსნეს ღუზა — ის იყო მეორე ღუზაც „ადგა“ (ფსკერიდან) და მარსელებიც (იალქნებიც) დააყენეს, რომ მევახტის ყვირილი გაისმა: „დრეიფობს!“ (ითრევეს). „ჩაუშვით ღუზა!“ — დაუყოვნებლივ გაისმა ამის კვალდაკვალ ბრძანება.

ეს ყოველივე, ე. ი. ბრძანება, ღუზების ჩაშვება, იალქნების აკრეფა სულ რამდენიმე წუთში მოხდა, მაგრამ ქარისა და დინების ძალამ ფრეგატი მაინც „გაითრია“ ევრსნახევრის მანძილზე ბრავების მიმართულებით. ქარმა კი თანდათან უმატ ქროლვას. ჩაუშვეს მეორე ღუზაც (დიდ სამხედრო ზომალდებზე ოთხი ღუზაა) — და ჩვენც ლოდების გრეხილის პირის-

პირ აღმოვჩნდით. გადაგორებული ფურთუნის ღრიალი უკვე ჩვენამდე აღწევდა.

მე — მე არაფერი შემტყობია: ვაკვირდებოდი მშვენივრად გამოჩენილ ახალი ნაპირის წვრილმანებს, სიამოვნებით გავცქეროდი, გაცოფებული ცხენებივით როგორ ახტებოდა ფურთუნი ლოდებს და ქაფს იკიდებდა თავზე; თვალს ვადევნებდი, როგორ შფოთავდნენ უფროსები, როგორ გამოჩნდებოდა შ-ვა და შიგ ადმირალი და ჩაფიქრებული გაჰყურებდა ბრაგებს, როგორ ჩაიკმინდა ხმა ყველამ და ერთმანეთს თითქმის აღარ ელაპარაკებოდნენ. ან რა იყო სალაპარაკო, გარდა იმისა: „გაუძლებს კი ღუზის ჯაჭვები და ბაგირები ქარის მოძალებას, თუ არა?“ კითხვა, რომელიც გოგოლისეულ კითხვას ჰგავდა: „ჩააღწევს თუ არ ჩააღწევს ბორბალი ყაზანამდეო!“ თუმცა ჩვენთვის კი ჰამლეტის ყოფა-არყოფნად გამხდარიყო. — ქარი თუ ოდნავ დაცხრებოდა, ჩვეც იმედი მოგვეცემოდა: გაუძლებსო, აღრიალდებოდა და ბაგირებს დასჭიმავდა — ეჭვსა და სიმბრაზესაც გვიძრავდა გულში. ფრეგატს ხან წინ მიათრევდა და ხან უკან, რამდენადაც ორივე ღუზის ბაგირი აძლევდა ნებას — კიდევ ცოტაც — ტყაც... და...

— ჰოდა, რა მერე? — ჩაეცივდი უკვე მეორე დღეს რეიდზე; ბრაგების მიღმა რომ ვიყავით, ისე იყო ყველა შეურევებული და შეშფოთებული, ვერავის მივუღეჭი გამოსაკითხად. თან რატომღაც მეუხერხულა კითხვა, ისევე როგორც მომაკვდავის პატრონებისთვის მოგერილება თქმა: იცოცხლებს თუ მოკვდებო?

— როგორ „რა“! ბაგირები რომ გაწყვეტილიყო, რამდენიმე წუთის შემდეგ ფრეგატი ბრაგებს მიასკდებოდა და ნაფოტ-ნაფოტ დაილეწებოდა კიდევ!

— მაშინვე ნაფოტ-ნაფოტ რა დალეწავდა! თუმცა, ვთქვათ, დაილეწა. რა თქმა უნდა, დიდი უბედურება იქნებოდა, მაგრამ ხალხი მაინც გადარჩებოდა...

— აქ, ამ ბრაგებთან, ასეთ ღელვაში? კარგით ერთი!

მე მაინც სასო არ წარმკვეთია, ჯერ ერთი იმიტომ. რომ ვერ წარმომედგინა, ორი, სამი თუ ბოლოს ოთხი ღუზის ჯაჭვ-ბაგირებს როგორ ვერ უნდა გაეძლო, და რაც მთავა-

რია, ნაპირი ახლოს იყო. სწორედ ის და არა ბრაგები წარმოადგენდნენ ჩემთვის „კლდეკარს“, რომელზეც ვამყარებდი ჩემს იმედებსა და სასოებას. ამან სრულიად გამიქარვა ყოველგვარი შიში და საფრთხის ექვიც კი, როცა საფრთხე აშკარა გახდა. ჰოდა, ამ ორდღიან „ხიფათს“ ისეთი თვალით ვუცქერდი, თითქო მე სულაც არ მეხებოდა.

მხოლოდ მეორე დღეს ნაპირზე ჩავწვდი, რა განსაცდელიც გველოდა თურმე. მაშინ ლაპარაკსა და საუბარში გამოირკვა, რომ ასეთ მთასავით წამომართული ტალღების დროს ფრეგატის ნავები ნაპირს ვერ მიუღდებოდნენ, რომ თუ ფრეგატი მიემსხვრეოდა ბრაგებს, ვერც ჩვენი ნავები — ექვსი-შვიდი ნავი გვექონდა და ერთი დიდი კარაბა — ვერც სხვა ჩვენი ხომალდების ნავები მთელი ჩვენი შემადგენლობიდან მეხუთედს ვერ გადაარჩენდნენ. ღელვის დროს ნავებს მენიჩბეების მთელი კომპლექტი დასკირდებოდა, ასე რომ სხვებისთვის თითქმის არ დარჩებოდა ადგილი, დიდი-დიდი ათი კაცი მოთავსებულყო კიდევ შიგ, ჩვენ კი ოფხასზე მეტი ვიყავით. თუმცა ის ათი კაციც შეუშლიდა ხელს მენიჩბეებს — თუნდაც ოკეანე ასე არ ყოფილიყო აბორგებული. „ამ ტალღებში ნიჩბებსაც ვერ მოუსვამდიო!“ — მეუბნებოდნენ მე.

ნაპირზე მყოფმა ამერიკელმა ოფიცრებმა გვიამბეს მერე, გვეგონა, ღამით თქვენი ფრეგატიდან ზარბაზნების ბათქს გავიგონებდით, ბათქი ხომალდის კრიტიკულ მდგომარეობას ნიშნავდა. ინგლისელმა მისიონერმა კი გვითხრა, მთელი ღამე ღმერთს თქვენს გადაარჩენას ვევედრებოდით.

მაგრამ ლეიტენანტმა სავიჩმა, მგონი, სულაც ორნიჩბიანი ნავით და ორი მენიჩბით ამ ტალღებზე ინება ჩვენსკენ გამოსეირნება ნაპირიდან, როგორც თვითონ თქვა, — „მენახეთ, აქ რა დღეში იყავითო“. ცოტა ხანს დარჩა ჩვენთან და ისევე უკან გასწია. ახლაც მახსოვს, ეს კაკლის ნაკუჭივით პაწია ორნიჩბა ნავი როგორ მიეფარებოდა ხოლმე თვალს, თითქო ორი წყლის მთამ შთანთქაო, დიდხანს აღარ ჩანდა და როდის-როდის ამოფოფხდებოდა გვერდულად ისევ ტალღის ქეჩოზე. ვიდრე სავიჩი ბრაგებს არ მოეფარა, თვალი არ მომიშორებია მისთვის და, რა თქმა უნდა, გული შიშით მე მეწურებოდა და არა მას: „აი, ახლა ჩაიყურყუმელავენს და აღარ გამოჩნდება-მეთქი!“

ეგრეთ წოდებული mauvais quart d'heure¹ კიდევ თათრის სრუტეშიც ვიწვინეთ, როცა ამურის შესართავისკენ ნელა მივიწვევდით. ოფიცრები ნავეებით წინ გაუშვეს სიღრმის გასაზომად, მათ კვალს მძიმედ მიჰყვებოდა ფრეგატიც, წამდაუწყებ ჩერდებოდა, ხანდახან მოქცევასაც ელოდებოდა. ჰოდა, ერთ საღამოს ღუზა მშვენიერ სიღრმეზე ჩაუშვეით. ორივე მხრივ ნაპირები მოჩანდა, ერთი მანჯურის იყო, მეორე კუნძულ სახალისის — ორივე მეტად ახლოს. ჩვენ არხეინად მოვეწყვეთ იქ. დილას ღუზა ის იყო ამოსწიეს და გროტ-მარსელები დააყენეს, რომ ფრეგატი ამ დროს ქარმა ათიოდე საყენით გაითრია წინ. ღუზა ისევ ჩაუშვეს. სიღრმე ძირში მაინც საკმარისი იყო, მაგრამ წინ წაწვევა ვეღარ გაბედეს, მაინც ზღვის მოქცევას დაელოდნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე მოქცევა უკვე ყოფილა აქ და მალე წყალმა კიდეც იწყო კლება. როცა სულ მთლად დაიკლო, ხომალდის ფსკერქვეშ მხოლოდ სამ, ოთხ ფუტზე აღმოჩნდა წყალი.

სწორედ მაშინ დაგვიდგა გასაჰირის წუთი. ქარმა უფრო იმძლავრა და ფრეგატს, მახსოვს, ფსკერზე ხათქუნი აუყენა. თავდაპირველად ორ, სამჯერ მიახეთქა მსუბუქად. შემდეგ ისეთი ტკაცუნის გაისმა, რომ ბოკანებზე და მარსებზე (აივნები ანძებზე) ნავებმა ჰრიჭინი შექნეს. ვინც კაიუტაში იყო, ყველანი გარეთ გამოცვივდნენ შეშფოთებულნი, შემდეგ კიდევ ერთი დარტყმა, კიდევ და კიდევ. დაბრჩობით ძნელად დავიხრჩვებოდით, ორივე ნაპირი ერთი ვერსის მანძილზე იქნებოდა, ალაგ-ალაგ, თავთხელებზე, წყალი წელამდე მისწვდებოდა მხოლოდ კაცს.

მაგრამ რომ უფრო ხშირ-ხშირად და ძლიერად მიეხეთქებინა ხომალდი ფსკერზე, მძიმედ დატვირთული და შეიარაღებული ფრეგატის კორპუსი შეიძლება შერყეულიყო და რანგოუტს, ე. ი. ანძებისა და ქანდარების ზემო ნაწილებს, ბრაგვანი მოედინა ძირს. ეს ფიცრები კი, რომლებიც ქვემოდან ჩხირები ჰგონია კაცს, ზოგი ოცს, ზოგი ათ ფუტს იწონის. ქვემოთ მყოფებს მეტი რა დაგვრჩენოდა, გულისლევით გვეცქირა ზევით იმის მოლოდინში, ვის დაეცემოდნენ ისინი თავზე.

¹ უსიამო თხუთმეტი წუთი (ფრანგ.)

შემდეგ სიცილით ვიგონებდით, ხომალდის ყოველ მიხეთქებაზე და ქრაქუნზე რა მარჯვედ გავრბოდით გემბანის ერთი ადგილიდან მეორეზე. დიახ, „ცოტა არ იყოს, საშიში გახლდათ!“ — როგორც მე ვეუბნებოდი ხოლმე ასეთ შემთხვევებში თანამგზავრებს. თუმცა, ამ ამბავმა თუ არ ვცდები, ორიოდ საათს გასტანა, მერე ისევ მოქცევა დაიწყო, წყალმა მოიმატა, მეჩჩის გამოვალწიეთ და ისევ გზა გავაგრძელეთ.

V

ჩვენ სხვა საფრთხეც გვექადებოდა გზაში ზღვის გარდა. იმ დროს ეს ფრიალ მოსალოდნელსა და უცილობელ ამბავს წარმოადგენდა, ასე ვთქვათ, სამხედრო ხომალდისთვის, რომელსაც ამ საფრთხისთვის არათუ გვერდი უნდა აეარა, იქით უნდა ეძია. ეს მოწინააღმდეგის ხომალდებთან შეხვედრა და შეტაკება იყო.

რამდენადაც მახსოვს, აღმირალმა და კაპიტანმა არა ერთგზის გადაწყვიტეს ავსტრალიის ნაპირებს სწვეოდნენ ინგლისის ხომალდების ხელში ჩასაგდებად. და თუ ეს არ მოხდა, მიზეზი, თუ არ ვცდები, — მხოლოდ ის იყო, რომ ეჭვი ეპარებოდათ, შესძლებდა კი ჩვენი ბებერი, კეთილი „პალადა“ იაპონიიდან ავსტრალიამდე ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობას, თანაც არც ის იცოდნენ დაბეჯითებით, ცნობების უქონლობის გამო, დახვდებოდათ კი იქ უცხო ხომალდები. შანხაიში უკანასკნელად რომ ვიყავით, 1853 წლის დეკემბერში, და ნაგასაკშიც შევიარეთ 1854 წლის იანვარში, ჩვენამდე არ იყო ჯერ მოღწეული თურქეთსა და ინგლისს შორის საბოლოო განხეთქილების ამბავი, ძველი გაზეთებიდან და წერილებიდან კი ვიცოდით, რომ საქმე საამისოდ ეწყობოდა — სხვა არაფერი. მახსოვს, შანხაიში ინგლისის ფლოტის ლეიტენანტი, გვარად, მგონი, სკოტი, ჩამაცივდა, სანაძლეო დავდოთ, ომი იქნება თუ არაო? ის ამტკიცებდა, ომი არ იქნებაო, მე პირიქით. სანაძლეო არ დავვიდევს — ჩვენ ჯერ ნაგასაკში გავემგზავრეთ, მერე მანილაში. ომი იყო თუ არა, ეს კიდევ არ ვიცოდით — ამბებს ყოველდღე ველოდებოდით და ყოველი შემხვედრი ხომალდი მტერი გვეგონა.

ამ პირობებში მივედით მანილაშიც. იქ რეიდზე ფრანგული სამხედრო ხომალდი დაგვიხვდა. არც ჩვენ, არც ფრანგებმა არ ვიცოდით, თავი როგორ დაგვეჭირა ერთმანეთთან და არც ვიზიტად ვწვევივართ ერთურთს, როგორც ჩვეულებრივ დროს ხდება ხოლმე. მანილაში სამიოდე კვირა დავჩით და მერე ისევ გზას გავუდექით. მხოლოდ გამგზავრების წინ შევიტყვეთ, რომ იქ თურმე ინგლისის ესკადრას ელოდებოდნენ.

რაკი ზღვაში შეიძლება ინგლისის ან საფრანგეთის ხომალდებს გადავყროდით და იქნებ ომიც იმ დროს უკვე დაწყებული ყოფილიყო, — ჩვენები ამ შეხვედრისთვის ემზადებოდნენ და ფრეგატი საბრძოლო მდგომარეობაში მოპყავდათ. კაპიტანი იმასაც კი ლაპარაკობდა შიგადაშიგ, რომ თუკი მოწინააღმდეგეთა ძალები გადაძლევდნენ, აუცილებელია თოფისწამლის კამერისთვის ცეცხლის წაკიდება და აფეთქებაო. ყველანი მეტ-ნაკლებად მოლოდინში იყვნენ, ბევრს ბჭობდნენ, საბრძოლოდ ემზადებოდნენ, ჭოგრიტით ყოველ მხარეს ზვერავენენ.

მხოლოდ მ. ავაკუმი, ჩვენი კეთილი და დარბაისელი არქიმანდრიტი, როგორც სხვა ყველას, ამ მოლოდინსაც უშფოთველი სიმშვიდითა და ასე გასინჯეთ, სეკტიკურადაც უცქეროდა. რაკი თვითონ მას მტერი არ ყავდა, ყველას უყვარდა და თავადაც ყველას სიყვარულით ეპყრობოდა, ამიტომ მტრად არც არავინ მიაჩნდა და არც არსად ეგულებოდა ზღვაზე იყო, ხმელეთზე, ხალხში, თუ ხომალდზე. ესაა მხოლოდ ერთი დიდი ზარბაზანი სძულდა ჭირივით, რომელიც მის კაიუტაში იდგა, დიდ ფართობსა და სინათლეს ართმევდა და მის თვალში ყოველად უმაქნის საგანს წარმოადგენდა.

მას თავისი განსაკუთრებული შინაგანი სამყარო შეექმნა, თავისი იდეები, კეთილი გრძნობები, ცოდნის წყარო ჰქონდა — ჩვენ ყველას ერთნაირი სიკეთით და სიტკბოთი გვექცეოდა. ამ წუთისოფელში ყველასთან მშვიდობითა და სიამტკბილობით ყოფნის თავსატეხი სიბრძნე მისთვის სიბრძნე კი არა, შინაგანი ბუნება იყო, ღრმა, ნათელმოსილი რელიგიით ნაკურთხი და მადლმოფენილი. მ. ავაკუმისთვის ეს სიძნელეს არც წარმოადგენდა და საამისოდ არც მოხერხება სჭირდებოდა, სხვანაირი მოქცევა არც ძალუძდა. თავის დღეში სხვის

საქმეში არ ჩარეულა, არავის აპკვიატებია და გადაჰკიდებია, მოკრძალებული ბუნების პატრონს თავი არასოდეს გამოუჩენია, თუნდაც საკუთარ, ხელშეუვალ დამსახურებაზე უფლება არასოდეს დაუჩემებია, უხმოდ თესავდა აუარება სიკეთეს თავისი ცოდნით და სპეტაკი სულით, ჭკუის სწავლებასა და ქადაგებებს უხვად არ აფრქვევდა, მაგალითს მხოლოდ მისი მშვიდი, წყნარი ხასიათი და სათნო, თითქმის ბალღური სული წარმოადგენდა.

საუბარში მის ჭკუა-გონებას ხშირად მსუბუქი და მუდამ გულკეთილი ჰუმორის მაღლი ემატებოდა.

ვგონებ, თამამად შემოძლია დავუღდე თავდებად ჩემს ამხანაგებს მოგზაურობის მხრივ, რომ ამ მშვენიერ სულის პიროვნებასთან თავის დღეში არათუ უსიამოვნება მოსვლიათ, უბრალო წყენაც კი არასოდეს უგრძენიათ... ხოლო თუ მოსვლია, მუდამ კომიკური ხასიათისა. მაგალითად მახსოვს, ერთხელ მე და მ. ავაკუმი შკანცებზე რომ დავსეირნობდით, მან ერთბაშად — გემბანზე... დააფურთხა. ჰოი, საშინელება!

შკანცი — ეს ხომალდის ტალავარი, ყველაზე საზეიმო, თითქმის წმიდათა-წმიდა ადგილი გახლავთ. გემბანი იფხიკება, აგურით იხეხება, თითქმის ყოველდღე ირეცხება და ბროლივით კრიალებს.

მ. ავაკუმმა კი დააცხინკა, ცხვირი მოიწმინდა და — გადააფურთხა. მახსოვს, რა გაცეებითა და განცვიფრებით გადახედა მევახტე ოფიცერმა ჯერ მას, მერე მე. მან ისევე მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რა არის შენიშვნა არ მოეცა, როგორც მე — სიცილი არ წამსკდომოდა. „აფსუს, მეზღვაური რომ არააო!“ — ჩამიჩურჩულა მერე, როცა მ. ავაკუმმა პირი მიიბრუნა. დიდხანს ვერ მოინელა ეს ამბავი ოფიცერმა და დიდხანს შემაქცევინა ამ ამბავმა მეც თავი.

მეორედ, როცა მუდმივი ზაფხულის რომელიღაც სარტყელში ვიმყოფებოდით და სიოც კი არსაით ქროდა, მე და მ. ავაკუმი კვლავ იმ შკანცებზე დავსეირნობდით. უცბად ადგა და სამსაფეხურიანი კიბით პატარა ბაქანზე ავიდა, საიდანაც ჩვეულებრივ მევახტე ოფიცერი იძლეოდა განკარგულებებს. მამა ავაკუმმა ზღვა მოათვალიერა იქიდან, მერე ზურგი შეაქცია ოფიცერს და იმ ბაქანზე ჩამოჯდა, „დასასვენებლად“, — როგორც თვითონ იცოდა თქმა.

ისევ სირცხვილო! კაპიტანი ზევით არ იყო, მევახტე ოფიცერი კი ისეთი თვალით უცქეროდა არქიმანდრიტს, ლამის შექმას უპირებდა, მაგრამ თქმა კი ვერ შეჰადრა, შეანცებზე ჯდომა არ შეიძლებოდა. ცხადია, მამა ავაკუმსაც მშვენივრად იცოდა ეს, მაგრამ ვულმაფიწყი ხასიათის პატრონს სულ დაავიწყდა და თანაც აინუნში არ ავლებდა ამას. ვინც ამ ამბავს ესწრებოდა, ყველას ეღიმებოდა ჩუმად, მაგრამ არც იმათ უთქვამთ რამე. თვითონ კი ვერაფერს მიმხედარიყო, და რომ „დაისვენა“, ისევ ბოლთას შეუდგა გემბანზე.

ამ სათნო ხასიათისა და მშვიდი, აუშფოთველი ჭკუის პატრონი განგაშს ეგრე იოლად არ აჰყვებოდა ხოლმე. ის ამბავი, რომ შეიძლება ზღვაზე მოწინააღმდეგეს დავდევენბოდით, ან ის გამოგვიდებოდა ჩვენ, უფრო ადმირალის, კაპიტნისა და ოფიცრების ფანტაზიად მიაჩნდა. გულგრილად შესცქეროდა სამხედრო სამზადისს და თავის კაიუტაში საწოლზე მწოლიარე თუ წამოგდარი წიგნის კითხვაში ატარებდა დროს. გემბანზე მოციონისთვის და ჰაერის ჩასაყლაპად როცა გამოვიდოდა ჩვეულებრივ დროს, ზღვისკენ როდი იხედებოდა მტრის აღმოსაჩენად, რამეთუ არც სჯეროდა მისი არსებობა.

ერთხელ უეცრივ ძახილი გაისმა: „გემი მოდის! კვამლი მოჩანსო!“

ატყდა ერთი ალიაქოთი. „ქვემეხებთან დადექ!“ — გასცა განკარგულება ოფიცერმა. ყველანი ზევით ამოცვივდნენ. ვილაცამ მამა ავაკუმსაც დაუძახა. ის ჩვეულებრივი დინჯი ნაბიჯით გამოვიდა. გულგრილად გაიციქირებოდა იქით, საითაც ყველას მიემართა ჭოგრიტი და დაძაბული ელოდნენ, ვინ აღმოჩნდებოდა.

მალე ყველანი დამშვიდდნენ: ის ვეშაპმქერი ხომალდი გამოდგა, რომელსაც ვეშაპი დაეჭირა და ქონს ადნობდა. კვამლიც იმის მიზეზით იყო. მოწინააღმდეგე კი არსად ჩანდა. „დაძრწის არაწმინდა, გარნა მარტო არ არს ის წრიალში!“ წარმოთქვა ვილაცამ ჩემს უკან.

თურმე მამა ავაკუმი იყო, რომელმაც ესე სკეპტიკური შეხედულება გამოთქვა მტერთან მოსალოდნელი შეხვედრის თაობაზე. ორივეს გაგვეცინა. „მართლაც ეგრეაო!“ — შენიშნა მან და აუჩქარებლივ დაეშვა კაიუტისკენ.

მაგრამ ყოველი ფათერაკი და უბედურება, რაც ბევრ ზღვაოსანს გადახდენია თავს და რაც იაპონიამდე ჩვენც შეგვემთხვა გზაში, მოგონება გახლავთ იმასთან შედარებით, ჩემმა თანამგზავრებმა იაპონიაში რომ განიცადეს! ყოველივე რაც იქ დატრიალდა, საშინელ საზარელ და დამღუპველ წუთებს, საათებს კი არა — დღეებს და ღამეებს შეადგენს.

ბევრი საზარელი ამბავი გადახდენიანთ თავს სხვა და სხვა ღროში ხომალდებსა და ხომალდზე მყოფთ. ძლიერ შეგრძნებათა მოტრფიალე, რომელსაც ცხოვრებაში ვერ უპოვია და წიგნებში ეძიებს ამას, თავისი წარმოდგენისთვის დიდ საზრდოს ნახავს „ხომალდების დაღუპვის ისტორიაში“, სადაც რამდენიმე ტომშია შეგროვილი და აღწერილი სხვა და სხვა ერის ხომალდების დაღუპვის საოცარი ამბები. იღუპებოდა ხომალდები ქარიშხლების წყალობით, ეწირებოდნენ შიმშილს, წყურვილს, სიცივეს, ავადმყოფობას, მეზღვაურთა ამბოხს.

მაგრამ არც ერთი ხომალდი არ დაღუპულა ისეთ გრანდიოზულ გარემოებაში და არავისთვის გაუმართავს ბუნებას ისეთი დიდებული წარმოდგენა, როგორც „დიანასთვის!“ არა ერთხელ უგრძენიანთ მიწისძვრით გამოწვეული რყევა ხომალდებზე, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, დიდი ხომალდები ამას არ უმსხვერპლია.

„დიანაზე“ რომ გადაჯდა და „პალადიდან“ საიმედო, გაპოცილილი ხალხი გადაიყვანა, აღმირალმა გადაწყვიტა მაინც შეეელო იაპონიაში, თუ სულ არა, დროებით მაინც დაემთავრებინა იქაურ მთავრობასთან მოლაპარაკება და პირობა ჩაჰოერთმია, რომ ომის დამთავრების შემდეგ ხელახლა განეხლებინათ ის. ომი უკვე დაწყებულიყო, ცნობებმა, როგორც უნა, მოაღწია ჩვენამდე.

თათრის სრუტის დატოვებამდე მთელი ეს ხანი, აგვისტოდან მოყოლებული ნოემბრის მიწურულამდე, ამ სარისკო მოგზაურობისთვის მომზადებას მოუხდა. მტერს შესაძლოა გადაეყროდით და ამიტომ თადარიგი განუსაზღვრელი ვადით უნდა დაგვეჭირა.

ამ სამზადისის დამთავრების შემდეგ ადმირალმა ნოემბრის მიწურულში უეცრივ მეტად გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. იაპონიის ცენტრში წასულიყო და მის ყველაზე მგრძობიარე ნერვს, სახელდობრ ქალაქ ოსაკის მიდგომოდა, მიაკოს ახლოს, სადაც მიკადო, მთელი იაპონიის გამგებელი, ზეცის ვაჟიშვილი, ანუ, როგორც წინათ ევროპაში არასწორად მოენათლათ, „სულიერი იმპერატორი“ ცხოვრობდა. იქო, ფიქრობდა ადმირალი და არცთუ უსაფუძვლოდ, იაპონელებს დააფრთხობსო უცხოელების ასეთი უეცარი გამოჩენა მათ დახურულსა და წმინდათა-წმინდა ადგილებში და უფრო იოლად დაყაბულდებოდნენ შეთავაზებულ წინადადებაზე.

ასეც მოიქცა. „დიანა“ მიაღვა ოსაკის — იაპონელები მართლაც დაფრთხნენ, ოღონდ ამ საშუალებამ, სამწუხაროდ. სასურველი შედეგი არ გამოიღო. იაპონელებმა მოითხოვეს, რომ ჩვენები უკანვე წასულიყვნენ, მთელ ნაპირებზე თავიანთი ნაგები ჩამაწყრივეს, ასე რომ თუ ძალით არა, ისე გზას ვერ გაიკვლევდა კაცი. მაგრამ საამისო უფლებანი ადმირალს არ გააჩნდა.

იაპონელებს აქ გაგონებაც არ უნდოდა რაიმე მოლაპარაკებათა თაობაზე, მოითხოვეს, ჩვენები ამისთვის ქალაქ სიმოდოში დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ. ეს ქალაქი ამავე სახელობის ბოლაზში იდგა, რომელიც ვეებერთელა იედოს ყურის ერთ კუთხეში, ზღვაში გასასვლელთან მდებარეობდა. მათი თქმით, იქ იყვნენ წასულნი იაპონელი მოხელეები, ჩვენთან წარმოებული მოლაპარაკებებისთვის სრული უფლებებით აღჭურვილნი. რამდენიმე დღის შემდეგ „დიანამაც“ იქით აიღო გეზი! სწორედ ამ ბოლაზში დაატყდა მას ეს საშინელი კატასტროფა.

აქ კალამი უნდა დავდო ვითარცა მოგზაურმა და ავტორმა. მე აღარ გავყოლივარ შემდეგ ჩვენს ზღვაოსნებს და მხოლოდ მათი ზოგიერთი მოგონებების, ნაამბობისა და პატაკების რედაქტორი ვიყავ „დიანას“ დაღუპვისა და რუსეთში დაბრუნების ირგვლივ.

შევეცდები ზოგადად და რაც შეიძლება მოკლედ ავწერო ეს ამბები, რა არის, მკითხველებს არ გავუქარვო ინტე-

რესი, თუკი ისინი მოისურვებენ თვით ადმირალის რაპორტით გაეცნონ საბედისწერო შემთხვევას. რაპორტში ყოველივე სრულიად დაწერილებით, ფრიად უბრალოდ და გასაგებადაა გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო ტერმინებითაა სავსე.

ეს შემთხვევა და მისი შედეგები ჩვენი ზღვაოსნობის ისტორიას ეკუთვნის, თუმცა ჯერჯერობით ახლა საზოგადოებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომ სპეციალურ საზღვაო ჟურნალის ფურცლებზე იკარგება.

„ერთ-ერთი საშინელი, ბუნებაში იშვიათი მოვლენის წყალობით, რაიც ყველაზე ხშირად მაინც იაპონიაში ხდება, ვინემ სხვა ქვეყნებში, მოხდა ფრეგატ „დიანას“ დაღუპვა“, — ასე იწყება ადმირალის რაპორტი დიდ თავად გენერალ-ადმირალის მიმართ, — შემდეგ კი მიყოლებით, წუთით წუთზე მოხსენებულია ეს გრანდიოზული უბედურება და მისი დამღუპველი მოქმედება ნაპირებზე და ფრეგატზე.

ამ ნაწერს რომ წაიკითხავ და ბევრ სხვა მოწმის ზეპირ მონაყოლს მოისმენ, — თვალსაჩინოებისთვის შეგიძლია ამ განსაცდელზე ვულგარული წარმოდგენა იქონიო მინიატურაში შემდეგი გზით: აიღეთ დიდი მრგვალი ფინჯანი, ჩაასხით შიგ წყალი ნახევრამდე, სწრაფად დაატრიალეთ ფინჯანი წრიულად — წყალში კი კვერცხის ნაჭუჭი ან პაწაწკინტელა ხომალდი ჩაუშვით ხალხით და ტვირთით სავსე. აი, რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ადამიანები და ხომალდიც. მაგრამ ფინჯანში არც კლდეებია, კუნძულებივით რომ ამართულიყვნენ სიმოდოს ბოლახს შუა, და არც კუთხოვანი ნაპირები.

ისიც უნდა იცოდეთ, რომ სიმოდოს ბოლახს ზღვისგან არაფერი იფარავს და, მაშასადამე, ხომალდებისთვის უხიფათო თავშესაფარს არ წარმოადგენს.

11 დეკემბერს, დილის 10 საათზე (ჰყვებოდა ადმირალი) კაიუტაში მყოფებმა შეამჩნიეს, რომ მაგიდებმა, სკამებმა და სხვა საგნებმა ყანყალი დაიწყო, ჭურჭელმა თუ სხვა ნივთებმა ხტუნვა შექნა, ჰოდა, სასწრაფოდ გამოიჭრენ ზევით. ჯერჯერობით ყველაფერს წყნარი პირი უჩანდა. ბოლახს დღევა არ ეტყობოდა, ესაა წყალი თითქო ბორგავდა და თუხთუხებდა.

ქალაქ სიმოდოს საკმაოდ სწრაფი მთის მდინარე ჩაუდის. ზედ რამდენიმე ჯონკა იდგა (პატარა იაპონური ხომალდები). უეცრივ ეს ჯონკები ადგილს მოწყდნენ და ქვევით კი არ დაქანდნენ, მდინარის აღმა ასრიალდნენ. ესეც უჩვეულო მოვლენა იყო: ფრეგატიდან მაშინვე გაგზავნეს ოფიცერი ნავით იმის გასაგებად, რა მოხდაო. მაგრამ ნავი ნაპირს მიუახლოვდა თუ არა, წყალმა ამოაგდო და ნაპირზე სტყორცნა. ოფიცერმა და მეზღვაურებმა მოასწრეს გადმოხტომა და ნავი წყლიდან შორს გაათრიეს. ამ წუთიდან დაიწყო საშინელი და გრანდიოზული სანახაობა.

აი, ამ სურათის ნახატი, ორი-სამი მთავარი ხაზით მოხაზული.

იაპონიის ნაპირებთან ზღვის ფსკერის რყევის შედეგად სიმოდოს ბოლაზში უზარმაზარი ზვირთი შემოიჭრა, რომელიც ნაპირს მიეხალა და მაშინვე უკან წამოვიდა, მაგრამ ბოლაზიდან გასვლა ვერ მოასწრო, რომ ზღვის მხრიდან ახლა მეორე, უფრო ვეება ზვირთი წამოგორდა. ისინი ერთმანეთს შეასკდნენ. ბოლაზში წყალი ველარ დაეტია, წრიულად დატრიალებულმა მთელი ბოლაზი მორეცხა, მერე ნაპირებს მიასკდა და მალეობ ადგილებსაც მიატანა, სადაც სიმოდოს მცხოვრებლებს შეეფარებინათ თავი. მეორე ზვირთმა მთელი სიმოდო დაფარა და ძირფესვიანად გადალექა. შემდეგ ზვირთს ზვირთი მოჰყვა, კიდევ და კიდევ წყლის წრიულ ბრუნვას თანდათან ემატებოდა ძალა და რაც კი ნაპირებზე გადარჩენილიყო, ყოველივეს ამსხვრევდა, ზღვაში ჩაჰქონდა, სძირავდა, იტაცებდა. ათასი სახლიდან თექვსმეტიღა დარჩა, ასი კაცი უკვე დაიღუპა. მთელი ყურე სახლებისა და ჯონკების დამტვრეული ფიცრებით, ადამიანთა გვამებით და სადგომების, ჭურჭლეულის თუ სხვათა და სხვათა უთვალავი საგანთა ნამსხვრევებით მოეფინა.

ეს ყველაფერი ერთ-ერთ ნაპირისკენ გარიყა წყალმა და, აღმირალის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ითიქო ნაპირის გაგრძელებას“ წარმოადგენდა.

რა ღღეში იყო ამ დროს ფრეგატი?

დამსწრეთა ზეპირი გადმოცემით, ყველაზე გასაოცარი ნაპირის ცვალებადი ამოღება და დადაბლება იყო: ის ხან ფრე-

გატს გაუსწორდებოდა, ხან უცბად ექვსიოდე საყენზე მაღლა მოექცეოდა. გემბანზე მდგარი ვერ გადაწყვეტილი, ეს წყლის ადიდების თუ ზღვის ფსკერის დადაბლების მიზეზი იყო? წყლის ბრუნვა ფრეგატს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ახეთქებდა, ხან რაღაც ერთი საყენის მანძილზე მიაგდებდა კუნძულის კლდოვან ნაპირთან და კაქალივით დაფშვნას დაუპირებდა, ხან კი შუა ბოლაზში გამოსტყორცნიდა.

შემდეგ ხან აქეთ, ხან იქით ისეთი სისწრაფით დააბზრიალა ფრეგატი, რომ რაპორტის სიტყვებით, ფრეგატმა ოცდაათი წუთის განმავლობაში ორმოცდამეორე ბრუნი დაარტყა! დაბოლოს, წყლის ცვალებადი ადიდებისა თუ დაკლების მიზეზით ფრეგატს ხათქუნი აუყენა ხან ფსკერზე, ხან საკუთარ ღუზაზე, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადააწვინა. ხოლო როცა მეორედ გააგორა გვერდზე, მთელი ერთი წუთი ფრეგატი ზეზე ველარც წამოიძარათა...

შიშის, განსაცდელის, დაღუპვის გრძნობა — ყველაფერი ამ ერთ წუთში ჩაეტია!

რაც ხელში მოხვდა, ყველა იმას მიეკრა და ჩაეჭიდა. ყველა ხმაგაკმენდილი გაქვევდა და გაირინდა. შემდეგ ლოცვის ხმა გაისმა. ყველა ლოცულობდა ვინ ხმამაღლა, ვინ გულში, ისე გულითა და სულით, როგორც ანდაზისა არ იყოს, ზღვაში შეიძლება მხოლოდ ლოცვა.

უფალმა ისმინა ზღვაოსანთა აჯა-ვედრება და „განგება, — ამბობს ადმირალის რაპორტი, — ინება ჩვენი ხსნა დაღუპვისაგანო“. წყალმა იკლო და ფრეგატიც წელში გაიმართა, მაგრამ ვაი ამ გამართვას!

თუმცა ყველა როდი გადარჩა სიკვდილს, შეიწირა ერთი მეზღვაური და ორიც დაასახიჩრა. ორი დაუმაგრებელი ზარბაზანი ფრეგატის დაფერდებისას დაეცა და ერთი მეზღვაური მოჰკლა, ორს კი, მათ შორის ბოცმან ტერენტიევს ფეხები გადაუმსხვრია.

მე კარგად მახსოვს ტერენტიევი, ჩვენი კაფანდარა, ჩოფურა, მარჯვე და ყოჩალი ბოცმანი. მუდამ სასტვენი ეკიდა გულზე და ბაწარი ან ლოპარი ეპყრა ხელთ. ეს ის ბოცმანი გახლდათ, ვისზეც ჩემი მოგზაურობის დასაწყისში მოგახსენეთ

და ვინც ჩემს ფადევეს ხან ბაწარს, ხან ბაგირს უთაქებდა ზურგში, როცა ფადევეი ჩემი გულისთვის (მე არასოდეს მი-თხოვნია) ცისტერნებიდან მტკნარ წყალს იპარავდა და სიურ-პრიზად მომართმევდა დასაბანად გერმანიის ზღვაში ყოფნისას.

რამდენიმე საათს გაგრძელდა წყლის ეს ამბოხი, თუმცა ქარი არსაით ქროდა, და ბოლოს დაცხრა. ფრეგატი რომ და-თვალიერეს, სულ მთლად შელახული აღმოჩნდა. ტრიუმი წყლით იყო სავსე, სანოვაგე, ამუნიცია და ოფიცერ-მეზღვა-ურთა მთელი დოვლათი დასველებული. რაც მთავარია, აღარ გააჩნდათ საპე, რომელიც ფალშ-კილის ნაწილთან ერთად მოწყვეტილა და სხვა ნამსხვრევებთან ერთად, აღმირალის თქმისა არ იყოს, „ნაპირის გასაგრძელებლად“ გაცურებულა.

ფრეგატი განაიარაღეს: სამოცივე ქვემეხი ნაპირზე გადა-იტანეს და იაპონელებს მიაბარეს შესანახად, თან ისიც აუხ-სნეს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, რომ ქვემეხები მოწინააღმდეგეს არ ჩავარდნოდა ხელში. იაპონელებმაც გულდაგულ დამალეს და შეინახეს ისინი საგანგებოდ აკებულ ფარდულეებში.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ესოდენ დააზარალა მიწისძვრამ, იაპონელებმა ჩვენებს ყოველნაირი დახმარება გა-უწიეს. იაპონური მთავრობა აწვდიდა მათ სანოვაგეს და ამა-რაგებდა ყველაფრით, რაც კი დასჭირდებოდათ.

ჩვენმა ხელმწიფემ დააფასა მათი სამსახური და რუს ზღვაოსნებისადმი ასეთი თანაგრძნობისთვის მადლობის გა-დასახდელად სამოციოდე ქვემეხი იაპონელთა მთავრობას სა-ჩუქრად დაუტოვა.

მაგრამ არც ჩვენები დარჩენილან ვალში. სწორედ იმ დროს, როცა ფრეგატს წყალი აპროწიალებდა და ფსკერზე ახათქუნებდა, წყლის დაწოლამ ფრეგატზე ორი ჯონკა მოაგ-დო. ჩვენებმა იქიდან დიდის გაჭირვებით გადმოიყვანეს ორი იაპონელი, რომლებსაც მაინც და მაინც არც უნდოდათ თავის გადარჩენა, რადგან იაპონიის მთავრობას მაშინ ჯერ კიდევ სასტიკად ჰქონდა აკრძალული უცხოელებთან ყოველ-გვარი დაახლოება. მათ მესამე ამხანაგს ამ მიზეზით კიდევ შეეშინდა სხვა ორის მაგალითისთვის მიებაძა და ჯონკიანად იმ წუთშივე დაიღუპა. კიდევ ერთი დედაბერი გადაარჩინეს,

რომელიც გვერდზე ჩაცურებულ სახლის სახურავიდან გადმოსვებს.

როცა ყველაფერი მიწყნარდა, ადმირალმა სიმოდოს ნანგრევებზე კ. ნ. პოსიეტი და ექიმი გაგზავნა, დაკრილთა საშველად. მაგრამ ამ შიშისვე წყალობით ისინი დაუმალნიათ და უთქვამთ, დაკრილები არა გვყავსო. თუმცა ჩვენებს თვალი კი მოუკრავთ მათთვის.

ასე დამთავრდა ამ საზღვაო დრამის პირველი აქტი. პირველი-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ „საზარელი“, „სახიფათო“ და „დამლუპველი“ წუთები მიწისძვრით როდი ამოიწურა. მეორე აქტი 1854 წლის 11 დეკემბრიდან 1855 წლის 6 იანვრამდე გაგრძელდა, როცა ზღვაოსნებმა ფრეგატი დატოვეს, უფრო სწორად, იმან დატოვა ისინი და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით უცხო სამშობლოდან ესოდენ მოშორებულ ნაპირზე „გამოირიყნენ“.

ფრეგატს საქვეავით რაღაც გაუკეთეს და სიფრთხილით, როგორც დაკრილი მიჰყავთ ჰოსპიტალში, მეორე ყურეში, სიმოდოდან 60 ვერსის მანძილზე, ხედას დახურულ ბოლახში წაიყვანეს, რა არის იქ მეჩეჩზე წამოემხოთ, შეეკეთებინათ და ისევ გზა გაეგრძელებინათ. მაგრამ ყოველივე იმედი მალე გაუქარწყლდათ. ზღვაოსნები ორი დღე ატრიალა მძვინვარე ქარმა ყურეში, ასე რომ იძულებულნი შეიქნენ დაბოლოს აუწერელი ტანჯვითა და გაკირვებით (4° ყინვაში) ყველანი ნავებით, ბაგირის დახმარებით, იაპონური მონბლანის, ფუძის მთის ძირში გადასულიყვნენ, რომელიც ხედას ბოლახის მოპირდაპირე მხარეზე მდებარეობდა და სადაც ფურთუნი გაშმაგებით ბორგავდა.

წყნარი ამინდები რომ დაიჭირა, ჩვენებმა დააპირეს იაპონელთა ნავების დახმარებით ცარიელი ჩონჩხი როგორმე ბოლახამდე მიეთრიათ და იქ შეეკეთებინათ. თუ ფრეგატი კიდევ არ ჩაიძირა და მაინც წყალზე იდგა, ადმირალის თქმით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ტრიუმში ჩვეულებრივ დროს მტკნარი წყლით სავსე ცისტერნები მაშინ ცარიელი იყო და ეს სიცარიელე შევლოდა მთლიანად არ ჩაძირულიყო.

ასი იაპონური ნაგი ეწეოდა ფრეგატს; რაღაც ხუთი თუ ექვსი ვერსი უკლდათ კიდევ ნაპირამდე, რომ ამ დროს ამო-

იჭრა ქარიშხალი, ააღელვა და ააბორგა ზღვა: ნავებმა უეცრივ გააგდეს ბუქსირი და ჩვენს ოფიცრებთან ერთად ძლივს მოასწრეს პატარა ბოლაზებში თავის შეფარება. ცარიელ, ყველასაგან მიტოვებულ ფრეგატს კი წყალი ხან ერთ, ხან მეორე გვერდზე აყირავებდა...

ღამით ველარ შესძლეს მისი თვალის დევნება, ხოლო დილას კი უკვე აღარსად ჩანდა...

როცა ამ ცნობებს წაიკითხავ და „დიანას“ დალუპვის ამბებს მოისმენ, ისევე გინდა იტირო, როგორც ადამიანის სულის ლაფვის მოსმენისას.

სწორედ ეს ორი რიცხვი, 11 დეკემბერი და 6 იანვარი, პირველი მიწისძვრის და მეორე ნაპირზე გადმოსვლის დღე, ვითარცა ზღვაოსანთა ცხოვრების ფრიალ მნიშვნელოვანი თარიღები, იყო ჩვენი შეკრების მიზეზიც ამ ზემოთხსენებულ ორ სადილზე.

ბოლოს, მესამე აქტს ჩვენი მოგზაურების რუსეთში დაბრუნება წარმოადგენდა სხვადასხვა გზებით, რასაც ბევრი თავისებური განსაცდელი და წამება ახლდა.

ასე ამგვარად დაილუპა ფრაგატი „დიანა“ და მისი დალუპვის ამბავი ყველაზე გამოსაჩენ ადგილს დაიჭერს საზღვაო უბედურებათა მატრიანეში.

VII

კიდევ რამდენიმე სიტყვაც, რაც ჩემმა ყოფილმა თანამგზავრებმა მიაძბეს თავიანთ შემდგომ მგზავრობასა თუ ამ ყოველი მხრივ შესანიშნავ ექსპედიციის დასასრულზე, და მოვრჩები სათქმელს.

ფუძის ძირიდან ჩვენი გმირები „ფეხით მოსიარულეთა კვალად“ მთა-მთა გაემართნენ ისევ იმ ხედას ბოლაზისკენ, სადაც ფრეგატის შეყვანას აპირებდნენ, და სადაც დაბანაკდნენ ახლა (არ დაგავიწყდეთ, 4° ყინვაში!), ვიდრემდის იმათ დროებით და შეძლებისდაგვარად იქ ხანმოკლედ დასარჩენად ბარაკებს გაუმზადებდნენ, რამეთუ რობინზონ კრუზოს მდგომარეობაში ხუთასი კაცი დიდხანს ვერ დაჰყოფდა. აქედან გასამგზავრებლად რაიმე საშუალება უნდა გამოენახათ.

ვიდრე რაპორტი რუსეთში მივიდოდა, ვიდრე იქიდან სხვა ხომალდს გამოუგზავნიდნენ, რაც ომის დროს მოუხერხებელიც იყო, — ისინი ამ ხანში თავს მაინც ტყვეებად იგრძნობდნენ აქ. განა იმისთვის გადაეურჩით ამდენ განსაცდელს, რომ ნახევრად უდაბურ სანაპიროზე დავმკავდეთ, როცა „ჩვენები იქ... „იბრძვიანო!“ — ფიქრობდნენ ზღვაოსნები.

ამიტომ თვითონ უნდა ეშველათ საკუთარი თავისთვის — ჰოდა, საამისოდ აღმირალმა, არც მეტი, არც ნაკლები, გადაწყვიტა საკუთარი ხელებით აეგოთ ხომალდი, რა თქმა უნდა, იაპონელთა დახმარებით, რომლებიც საჭირო მასალას: ხეტყეს, რკინასა და სხვ. მოაწოდებდნენ. ხუროები, დურგლები, მჭედლები ჩვენებს თავისი ჰყავდათ, ხომალდზე ხომ მუდამ ისეთ ხალხს აგროვებენ, რომლებიც ამგვარი საქმის ოსტატები არიან. ასეც მოიქცნენ. ოთხი თვის შემდეგ შეკუნა უკვე მზად იყო, მას „ხედა“ დაარქვეს ზღვაოსანთა შემფარველი ბოლაზის საპატიოდ.

პატაკებიდან ცნობილია, რომ ჩვენი ზღვაოსნები სამ რაზმად გაიყვნენ: ერთი რაზმი დაქირავებული ამერიკული ხომალდით ამურის შესართავისკენ გაეშურა, მეორე ბრემენის ხომალდზე გადაჯდა და ინგლისელთა სამხედრო ხომალდს გადააწყდა. მაგრამ ინგლისელებმა ჩვენები დაღუპულ ხომალდიდან გადარჩენილებად შერაცხეს. და არა სამხედრო ტყვეებად, ამიტომ თავიანთ ხომალდებზე დაანაწილეს და კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ევროპაში ჩამოიყვანეს.

თვით აღმირალი ხელდახელ ნაკეთებ შეკუნა „ხედათი“, სადაც დანარჩენი ორმოციოდე კაცი მოთავსდა, ამურის შესართავამდე ამოვიდა, თუმცა გზაში კი ლამის ხელში ჩაუვარდა დაღვენებულ ინგლისის სამხედრო ხომალდს. მერე მდინარეს აღმა ამოჰყვა რუსულ საგუშაგო უსტ-სტრელკამდე, სადაც შილკი და არგუნი ერთდებოდა, და პეტერბურგს მიადწია.

ჯერ მარტო რა ტანჯვად დაუჯდებოდათ ამ უდაბურ, მაშინ ჯერ კიდევ გამოურკვეველ ჩვენს მისისიპზე ხეტიალი!

თვით აღმირალი, კაპიტანი (ამჟამად აღმირალი) პოსიეტი, კაპიტანი ლოსევი, ლეიტენანტი პეშჩუროვი და სხვები, თან

თვრამეტიოდე მეზღვაური შეადგენდა ამ ექსპედიციას, რომელმაც ამჟრის ჩვენს სამფლობელოდ შემომტკიცების შემდეგ პირველმა გაბედა აღმა აპყოლოდა ამ მდინარეს პატარა გემით. აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორმა ნ. ნ. მურავიოვმაც მაშინ პირველად იმოგზაურა ზედ.

ეს უკანასკნელი იმ ხანად ხმელეთის გზით მობრუნდა ირკუტსკში (მეც მის ამაღას შევუერთდი), ხოლო გემი და დიდი ღია ნავი — კარკაპი აღმირალს დაუთმო. კარკაპზე სანოვაგე და ის ხალხი მოათავსეს, ვინც გემზე ვერ დაეცია. ნავარაუდევად იყო, რომ შილკისა და არგუნის შეერთების ადგილამდე, უსტ-სტრელკის დაბამდე გზას თვე ნახევარი მოუნდებოდნენ, სანოვაგეც ორი თვის მარაგით წაიღეს, მაგრამ მგზავრობამ კი სამი თვე გასტანა.

რა არ გადახდათ ჩვენს ყარიბებს! ხან მდინარეში წყალი გაწყდებოდა და ცურვა შეუძლებელი ხდებოდა, ხან დინება ძალუმ გააქანებდათ, ხან ქვეყნის შეშა ჰქონდათ, ხან ფიჩხის გარდა ვერაფერს პოულობდნენ ნაპირებზე, რომელიც საქმლის მოსახარად და გემის გასახურებლად კი არა, დასანთებადაც არ ვარგოდა. ზოგიერთ ადგილებში იქაურ მკვიდრ მანგულებს, ოროჩანელებს, გოლდებს, გილიაკებს თუ სხვებს, რომელთა არსებობაზე ევროპელ ეთნოგრაფებს ალბათ ჯერ კიდევ წარმოდგენაც არა აქვთ, მძივებს, ლურსმნებს თუ სხვა საგნებს უცვლიდნენ გამხმარ ირმის ხორცსა და ფეტვში. ზოგან არავინ ხვდებოდათ, ზოგან კი გემის ამოფრქვეული კვამლისა და ნაპერწყლების დანახვაზე, განსაკუთრებით ღამით, მცხოვრებლები დამფრთხალნი გარბოდნენ და იმალებოდნენ. ასე რომ დამშეულ ზღვაოსნებს თვითონ უხდებოდათ მათ სადგომებში შესვლა და მასპინძლობა, სანოვაგის წამოღება და სანაცვლოდ მძივების, სარკეებისა და სხვათა დატოვება. ზღვაოსნები თავისი ხელით იჭერდნენ თევზს და ხანდახან, განსაკუთრებით მოგზაურობის პირველ ნახევარში, ცქვრინის უხასაც ვიახლებოდნენ.

როცა ახლომანლო ტყე არ იყო, ზღვაოსნები კარგა შორს მიდიოდნენ შეშის საშოვნელად. მეზღვაურები შეშას ჩეხავდნენ, ოფიცრები გემზე ეზიდებოდნენ მას. აღმირალმაც არა

ერთხელ დააპირა თურმე მათ შრომაში წილი დაედო, მაგრამ ყველას დიდი წინააღმდეგობა გაუწევია და უფრო იოლი, საპატიო საქმე: მაგიდის გაშლა, თეფშებისა და ფინჯნების რეცხვა გამოუნახავთ.

მოგზაურობის უკანასკნელ კვირას ჩვენებს ყველა სახსარი ამოეწურათ თურმე: დღეში მხოლოდ სამჯერ სვამდნენ ჩაის და თითო მუჭა ფეტვს სჭამდნენ — ეს იყო და ეს. ერთხელ გამხმარი ირმის ხორცის ნაჭერი უშოვიათ, მაგრამ მატლები ჰქონდა დახვეული. თავდაპირველად ეზიზღათ ჭამა, მაგრამ მერე კარგად რომ დაფიქრდნენ, გაწმინდეს, გარეცხეს და... „შეკამეს“, „უფრო მეზღვარების მაგალითის საჩვენებლად“, — დასძინა კ. ნ. პ[ოსიეტმა], ამ ხეტიალის ამბავს რომ მიყვებოდა. „ვითომ კი მარტო მაგალითისთვის, — ვიფიქრე გულში, — თუ იმ ანდაზისა არ იყოს: „სტომაქი ძმაზე ახლობელიაო?“

ორი დღით ადრე, ვიდრე ისინი უსტ-სტრელკას მიაღწევდნენ, სადაც ჩვენი საგუშაგო იდგა, საგუშაგოს უფროსს წინდაწინ გაგზავნილ ოროჩანელიდან შეუტყვია, ჩვენები რა გასაჭირშიც იყვნენ, სანოვაგე უხვად შეუგებებია მათთვის გზაში და, სხვათა შორის, ხბოც. ჰოდა, სამი ათასი ვერსის გავლის შემდეგ ამ მოხეტიალე და არა უძღვებ შვილებს ძლივს ეღირსათ ნაპატიები მოზვერის მირთმევა!

ასე ამგვარად დამთავრდა ეს ექსპედიცია, რომელიც მთელი ოდისეასა და ენეიდას დაიტევს — ოღონდაც არც ენეის და არც ოდისევსის არ განუცდია იმდენი ფათერაკი და უბედურება, რამდენიც ჩვენს არგონავტებს არგუნათ ბედმა, რომელთაგან „ბევრი აღარ არს და ბევრი, ვაჰმე, გადახვეწილა!“

ზოგი უკვე აღარ სწერია ცოცხლებში: მათ შორის არქიმანდრიტი ავაკუმი. ეს მოკრძალებული სწავლული, დარბაისელი კაცი შემდეგ გრაფ პუტიატინს გაჰყვა ჩინეთში ტსიანზინის ტრაქტატის დასაადებად. იქიდან მობრუნებული ყოველნაირად უწყობდა ხელს და ეხმარებოდა თურმე ჩინელებთან კავშირის დამყარებას, რადგან პეკინში თხუთმეტი წელი ჰქონდა გატარებული ჩვენს მისიაში და ჩინელებსა და მათ ენას იცნობდა. ის ალექსანდრე ნეველის ლავრაში ცხოვრობდა და რვა თუ ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა.

ცოცხალი აღარაა კაპიტანი (შემდგომ გენერალი) ლოსე-
ვო, ვ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, რომელიც დიდხანს იყო საზღვაო
კორპუსის დირექტორი, ჩვენი ორივე ექიმი, არეფიევი და
გეირინი, თავზებულალებული მეზღვაური, სავიჩი, შტურმან-
ოფიცერი პოპოვი¹.

ცოცხლებში დარჩენილებიდან უფროსებს უკვე საზღვაო
თუ სხვა სამსახურში მაღალი თანამდებობა უჭირავთ და წარ-
ჩინებულნიც არიან, უმცროსები კი წარჩინების გზას ადგანან.

უდიდესი სითბოთი და სიამით ვიგონებ მუდამ ჩემი ზღვე-
ბში მოგზაურობის ამ ეპოქას, ამ შესანიშნავ ადამიანების
წრეს და ნიადაგ ისევ ვხვდები მათ, თითქო არც არასდროს
დავცილებივარ.

ჩემთვის უკვე გვიანი გახლავთ კვლავ შორეულ ქვეყნებში
მოგზაურობის სურვილი და იმედი ვიქონიო: თუმცა აღარც
მწაღია და არც იმედი მაქვს. წლები აგრილებს ყოველნაირ
სურვილსა და იმედს. მაგრამ მინდა კი ეს სურვილები და იმე-
დები ჩემს მკითხველებს აღუქძრა გულში და თუ მათ შემთ-
ხვევა მიეცათ შორეულ ქვეყნებში ხომალდით წასვლისა,
გურჩიო: არ გაუშვან ხელიდან ეს შემთხვევა, არ დაუგდონ
ყური გაფრთხილებებსა და ეჭვებს. ვინძლო მკითხველი შემე-
პასუხოს ამ რჩევაზე და მითხრას, რომ მარტოდენ ამ თავში
მონათხრობია საკმარისი, ყველას სამუდამოდ გაუქარწყლოს
ზღვით მოგზაურობის წადილიო. პირიქით, სწორედ ეს მონა-
ყოლი ადასტურებს ჩემს რჩევას: აბა განსაჯეთ, მაშინ როცა
მიწისძვრამ ქალაქები და სოფლები მოსრა, როცა კლდეები
დაანგრია, ნაპირზე სახლები დაამხო და ხალხი იმსხვერპლა,
ფრეგატს მაინც ვერ მოერია და ხუთასი კაციდან მხოლოდ
ერთი დაიღუპა! ხოლო როცა ხომალდი ჩაიძირა, ზღვაოსნე-
ბი მაინც მშვიდობით გადაარჩინენ, ყველამ თავის სახლს მოაღ-
წია და მეტი წილი ახლაც ცოცხალი, საღსალამათი გახლავთ.

პორტსმუტიდან გასვლამდე ლონდონში რუსმა მღვდელმა
მოგვინახულა და წირვის შემდეგ ქადაგებით მოგვემართა, სა-

¹ ამ სამწუხარო სიას უნდა მიემატოს უკანასკნელ წლებში გარდა-
ცვლილი ი. პ. ბელავენეცი, რომელიც კრონშტადტის სამაგნიტო ობ-
სერვატორიაში მუშაობდა, და ა. ა. ხალეზოვი, ამ ნარკვევებში „პაპაა“
სახელით ცნობილი.

დაც გაგვაფრთხილა, ამ შიშსა და ურვისთვის თავი არ მიგვეცა. ჯერ ყველა ის საფრთხე და განსაცდელი ჩამოგვითვალა, რაც ზღვაში შეიძლება დაგვეხვედროდა, კარგა მაგრად შეგვაშინა და მერე კი დაასკვნა, რომ „ხმელეთზე ცხოვრებასაც ახლავს შიში, ფათერაკი, ურვა და განსაცდელი — მაშასადამე, ჩვენ მხოლოდ ერთ განსაცდელსა და შიშს მეორეზე ვცვლით“.

მართალიც გახლავთ. ჩვეულებრივ ის ამბავი მოჰყავთ საბუთად, ვითომც ზღვაში ბევრი ხომალდი ილუპებო. მაგრამ რომ დაითვალთ, რამდენი მატარებელი ეჯახება ერთმანეთს რკინიგზებზე და მალლობიდან ვარდება, რამდენი ხალხი ილუპება ხანძრის დროს და ა. შ. მაშინ რომელი მხარე გადასწონის? ან რა წვრილ-წვრილად წყდება ეს საწყალი კაცობრიობა ცალკ-ცალკე, არა მარტო სადმე უდაბნოებსა და უსიერ ტყეებში, არამედ მრავალრიცხოვან ქალაქებშიაც!

„და მაინც რატომღაც ზღვაზე უფრო „საშიშია“-ო. ექვი. ყოყმანი, განსაცდელის მოლოდინი ჯერ რადა ღირსო!...“ — მეტყვიან ამაზე.

ეგეც მართალია: მაგრამ ადამიანს ვაეკაცობა იმიტომ დაჰყოლია, უნდა გააღვიძო ის შენში და საშველად მოიხმო, რა არის სულის სიმბდალე დასძლიო და ნერვები გაიკაეო გამოცდილებით. ყველაზე ლაჩარიც კი ბოლოს მაინც ეჩვევა საფრთხეს. საამისო ნიმუშს ქალები წარმოადგენენ. რამდენი ინგლისელი თუ ამერიკელი ქალი მიეშურება შორეულ ქვეყნებისკენ, დიდ მანძილებს ზღვაში მშვენიერად ეგუება და, წარმოიდგინეთ, მოსწონთ კიდევ!

სამაგიეროდ, ჯილდოსაც დიდს მიიღებთ! შორეული მოგზაურობა მეხსიერებასა და წარმოდგენას ტურფა სურათებით, საინტერესო თავგადასავლებით დაგისახლებთ, თვალნათლივ გაჩვენებთ და გაგამდიდრებთ იმით, რისთვისაც მხოლოდ ყური მოგიკრავთ — გარდა ამისა მკიდროდ, თითქმის ოჯახურად დაგაკავშირებთ ზღვაოსნებთან, რომლებიც ფრიად შესანიშნავი, თავისებური ადამიანები და ამხანაგები არიან.

ხოლო ვინემ პირში სული გიდგათ, ვერა ძალა ვერ წაგიშლით მეხსიერებიდან ყოველივე ამას, და ღმერთმა ნურც ქნას, რომ წაგეშალოთ, რამეთუ ისინი იშვიათ, ძვირფას სტუმრებს წარმოადგენენ.

წ. გ ო ნ ჩ ა რ ო შ ი

ივანე ალექსანდრეს ძე გონჩაროვი ეკუთვნის იმ რუს კლასიკოსთა რიცხვს, რომლებმაც თავის შემოქმედებაში გააგრძელეს ბუშინისა და გოგოლის ტრადიციები, ამხილეს ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის დრომოკმულობა, ჰუმანისტური იდეები იქადაგეს და შექმნეს მეცხრამეტე საუკუნის დიდი რუსული რეალისტური ლიტერატურა.

გონჩაროვი დაიბადა 1812 წლის 18 ივნისს ქ. სიმბირსკში (ახლა ულიანოვსკი), შეძლებული ხუკრის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. ბავშვის აღზრდა-განათლების საქმე ითავა მისმა ნათლიამ, ყოფილმა საზღვაო ოფიცერმა, გონჩაროვის გადმოცემით, უაღრესად კეთილშობილმა, განათლებულმა, დეკაბრისტთა წრეებთან დაახლოებულმა კაცმა — ნიკოლოზ ტრეგუბოვმა. მან შეაყვარა მომავალ მწერალს მოგზაურობა, შეასწავლა გეოგრაფია, ასტრონომია. გონჩაროვმა ბავშვობიდანვე დიდი ინტერესი გამოამჟღავნა მხატვრული ლიტერატურისადმი. იგი კითხულობდა ბევრს, გატაცებით.

პირველდაწყებითი განათლება ერთ კერძო პანსიონში მიიღო, შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის კომერციულ სასწავლებელში, მაგრამ არ დაუმთავრებია, რადგან ვერ აიტანა იქ გამეფებული რუტინა, უსულგულო, ფორმალური სწავლება, სისასტიკე. 1831 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე, სადაც გატაცებით სწავლობდა თავის საყვარელ საგნებს, განსაკუთრებით უცხოურ და რუსულ მხატვრულ ლიტერატურას. იმ ხანებში მას ნაკლებად აინტერესებდა პოლიტიკა, ფილოსოფია, თანამედროვეობის პრობლემატური საკითხები, რომლებიც ასე აღელვებდა მისი თაობის სტუდენტებს: ოგარიოვს, ბელინსკის, გერცენსა და სხვებს. გონჩაროვი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა სტუდენტთა ცხარე დისკუსიებში.

1934 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გონჩაროვი დაუბრუნდა შშობლიურ ქალაქ სიმბირსკს და აქ გუბერნატორის ანცელარიაში მოხელედ მოეწყო. მაგრამ ვერ შეეგუა შეშჩანურ, პროვინციულ გარემოს და რამდენიმე თვის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. ათი წელი იგი საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის ჩინოვნიკად მუშაობდა დედაქალაქში, ხოლო თავისუფალ დროს ლიტერატურას ანდომებდა. ამ ხანებში გონჩაროვი დაუახლოვდა მხატ-

ვარ მაიკოვის ლიტერატურულ წრეს, მის ხელნაწერ ქურნალებში გამოქვეყნა თავისი პირველი ნაწარმოებები — ოთხი ლექსი, რომლებშიაც მან ერთგვარი ხარკი მოიხადა რომანტიზმის წინაშე. რაკი დარწმუნდა, რომ პოეტური ნიჭი არ გააჩნდა, გონწარგემა პროზაული ნაწარმოებების წერას მიჰყო ხელი. მისი პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც იგი დასცინოდა რომანტიკულ-სენტიმენტალურ ოხვრა-გოდებებს, ცხადყოფდნენ, რომ სრულიად შეიცვალა ახალგაზრდა მწერლის დამოკიდებულება რომანტიზმისადმი და რომ იგი რეალიზმის გზას დაადგა. ეს ნაწარმოებებიც მან მაიკოვის ხელნაწერ ქურნალებში მოათავსა.

გონწარგვის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი დაემთხვა დეკაბრისტა განადგურების შემდგომ წლებს, რეაქციის აღმავლობის წლებს. უმკაცრესი და უღმობელი ცენზურა ძირშივე ჰკლავდა ცოცხალ აზრს, ყოველგვარ დემოკრატიულ-პროგრესული იდეის გამოვლენას, სდევნიდა რუსული აზროვნების, რუსული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს: პუშკინს, გოგოლს, ლერმონტოვს, და სხვებს. მაგრამ მან ვერ შეარყია პუშკინის და გოგოლის მიერ შექმნილი რუსული ლიტერატურის მტკიცე, რეალისტური საფუძვლები. XIX საუკუნის 60-იან წლებში მათი რეალისტური ტრადიციები გააგრძელეს გერცენმა, ი. ტურგენევმა, ნ. ნეკრასოვმა, ა. ოსტროვსკიმ, ი. გონწარგემა და სხვებმა.

1846 წელს გონწარგვი გაეცნო და დაუახლოვდა ბესარიონ ბელინსკის, რომელმაც თავისი ბრწყინვალე კრიტიკული წერილებით უდიდესი წარმმართველი როლი შეასრულა რუსული რეალისტური ლიტერატურის განვითარების საქმეში. ბელინსკიმ გარკვეული ზეგავლენა იქონია გონწარგეზედაც.

მეცხრამეტე საუკუნის რუსული რეალისტური ლიტერატურის ძირითად თემას ბატონყმური სისტემის, მემამულურ-მეშჩანური ყოფის, უმეცრების, სისასტიკის მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა, მაღალი ჰუმანისტური, დემოკრატიული იდეების ქადაგება წარმოადგენდა. ასეთი ტენდენციის მატარებელია გონწარგვის ძირითადი ნაწარმოებები „ობლომოვი“, „ჩვეულებრივი ისტორია“ და „ხრაბი“, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის რეალისტური რომანის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.

მწერალმა სამივე რომანი ჩაიფიქრა იმ ხანებში, როდესაც იგი ჯერ კიდევ იზიარებდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დემოკრატიული გარდაქმნის იდეებს. მაგრამ, მოგვიანებით, იგი გაემიჯნა გერცენსა და ბელინსკის, არ გაიზიარა ბატონყმური წყობილების გარდაქმნის მათი რევოლუციური პროგრამა. თუმცა სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ბელინსკისა და გერცენის, როგორც უდიდესი დემოკრატებისა და ჰუმანისტების თაყვანისმცემელი.

„ჩვეულებრივი ისტორია“ იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც გონწარგემა გამოქვეყნების ღირსად ცნო. იგი იწერებოდა 1845—46

წლებში. რომანი მწერალმა ხელნაწერში წაუკითხა ბელინსკის და მისი მითითებით ბევრი რამ გაასწორა, განსაკუთრებით პირველ ნაწილში.

წიგნი გამოქვეყნდა 1847 წელს ჟურნალ „სოვრემენიკში“. ეს იყო ერთ-ერთი პირველი რუსული რეალისტური რომანი. მწერალმა, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამხილა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა რომანტიზმს, სენტიმენტალობას და პროვინციალიზმს; ერთმანეთს დაუპირისპირა ადუევი უფროსი და ადუევი უმცროსი — საქმოსანი ენერგიული ბიძა და მეოცნებე, სენტიმენტალისტ-რომანტიკოსი ყმაწვილი კაცი. ავტორი ამხელს ამ უკანასკნელს და აღიარებს დადებით როლს უფროსისას, რომლის დევნილია საქმე, შრომა უპირველეს ყოვლისა. მაგრამ გონჩაროვი, ადუევი უფროსის კატეგორიის ადამიანთა პროგრესულობასთან ერთად, გვიჩვენებს მათ ეგოისტურ ბუნებას. ადუევი უფროსი, მეოცნებე და უსაქმური ძმისწულისაგან განსხვავებით, მართალია ენერგიულად მოქმედებს, საქმეს აკეთებს, უნაყოფო სენტიმენტალურ ოცნებებს არ ეძლევა, მაგრამ მას არ გააჩნია არავითარი იდეალები და მთელს მის მოქმედებას ეგოისტური ზრახვები, პირადი გამდიდრება და განდიდება უდევს საფუძვლად. რომანის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მწერალმა ვერ შესძლო ნამდვილი დადებითი გმირის ჩვენება.

მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, „ჩვეულებრივი ისტორია“ რუსულ ლიტერატურაში დარჩა, როგორც რეალისტური რომანის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში, რომელშიც აისახა მეცხრამეტე საუკუნის 30—40 წლების რუსეთის ცხოვრება.

„ჩვეულებრივი ისტორიის“ დამთავრების შემდეგ გონჩაროვი შეუდგა მეორე რომანის „ობლომოვის“ წერას. ამავე ხანებში დაებადა მას კიდევ ერთი ახალი რომანის „ხრამის“ იდეა. იდეები და ჩანაფიქრები მოეძალნენ მწერალს. მან კიდევ დაწერა და გამოაქვეყნა ობლომოვის ერთი ეპიზოდი, კერძოდ ცნობილი „ობლომოვის სიზმარი“, — რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. მაგრამ 1849—51 წლებში უმკაცრესი ცენზურული ტერორი მძვინვარებდა და ოცნებაც არ შეიძლებოდა ისეთი რომანების გამოქვეყნებაზე, რომლებშიც რეალისტურად იქნებოდა ასახული რუსეთის ყოფა. გონჩაროვისთვის ეს იყო შემოქმედებითი პასიურობის ხანა. იგი მელანქოლიამ შეიპყრა.

იმ წლებში, მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით, იაპონიასთან საეკრო ხელშეკრულების დასადებად მიემგზავრებოდა ექსპედიცია. გონჩაროვმა, რომელიც ბავშვობიდანვე ოცნებობდა შორეულ მოგზაურობებზე, ბევრი წვალების შემდეგ მოახერხა ექსპედიციის უფროსის მდივნად მოწყობა.

1852 წლის 7 ოქტომბერს გონჩაროვი ფრეგატი „პალადით“ გავიდა კრონშტადტიდან და მხოლოდ 1855 წელს დაბრუნდა. პეტერ-

ბურგში. ამრიგად, მოგზაურობაში მან ორნახევარი წელი დაჰყო. „პალადა“ იყო ინგლისში, შემოუარა დასავლეთ ევროპას, ეწვია მადერას და მწვანე კონცხის კუნძულებს, შეჩერდა სამხრეთ აფრიკაში, მოინახულა მაღალის კუნძულები, ფილიპინები, შანხაი. მაგრამ ყველაზე დიდხანს დაჰყო იაპონიაში, სადაც ექსპედიციის აღმირალი მოლაპარაკებას აწარმოებდა იაპონელებთან.

ამ ძნელსა და სასიფათო მოგზაურობაში მწერალი იმიტომ გაემგზავრა, რომ დაწერილებით აღწერა იგი. მართლაც, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გონჩაროვმა თავი მოუყარა შთაბეჭდილებებს, მასალებს, დაწერა ნარკვევები, რომლებიც ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა ცალკეულ ჟურნალებში, ხოლო 1858 წელს სათაურით „ფრეგატი „პალადა“ ცალკე წიგნად გამოვიდა. წიგნს გამოსვლისთანავე დიდი წარმატება ხვდა.

ნარკვევებში მწერალმა უდიდესი ობიექტურობით, რეალისტურად, ზუსტად აღწერა ფაქტები, მოვლენები, ადამ-წესები და ყოფა იმ ხალხებისა და ქვეყნებისა, რომლებიც მან საკუთარი თვალით ნახა.

იმ ხანებში, როდესაც გონჩაროვი მოგზაურობდა, ევროპაში კაპიტალიზმი აღმავლობის გზაზე იდგა და კოლონიალიზმის ქსელში ახვედა აზიისა და აფრიკის ქვეყნებს. მწერალს შეგნებული ჰქონდა კაპიტალიზმის პროგრესული როლი ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებასთან შედარებით. იგი ზოგჯერ გადაქარბებულადაც აფასებდა ამ როლს. მაგრამ ამჟამად დროს ხატავდა კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს და თავის ნარკვევებში ობიექტური მიუდგომლობით წერდა იმ ძალადობასა და სისასტიკეზე, რომლითაც ევროპისა და ამერიკის კოლონიზატორები იმორჩილებდნენ ევროპისა და აზიის ხალხებს.

„ფრეგატი „პალადა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან მხატვრულ-ისტორიულ დოკუმენტს. რუსულ სამოგზაურო ლიტერატურაში მას განსაკუთრებული და საპატიო ადგილი უკავია.

„ფრეგატი „პალადის“ გამოქვეყნების შემდეგ გონჩაროვი შეუდგა თავის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების „ობლომოვის“ წერას. ამ რომანში მწერალმა უღმობელი განაჩენი გამოუტანა ბატონყმურ სისტემას, გასაოცარი სიცხადით, უდიდესი ოსტატობით დახატა რუსი მებატონის პატრიარქალური, დამყაყებელი გარემო. ნაწარმოების მოქმედების ადგილია ობლომოვკა. ობლომოველთა არსებობის მიზანი მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. მაგრამ ეს გარემო მწერლისათვის საშუალებაა და არა მიზანი. გონჩაროვის ყურადღების ცენტრშია ამ საშინელ გარემოში აღზრდილი პატარა ბიჭის ილუშა ობლომოვის ბედი. მწერალი გასაოცარი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვიხატავს, თუ რა დამლუპველ ზეგავლენას ახდენს ობლომოვკა მგრძნობიარე, შთაბეჭდილებიან, ცოცხალი გონების ბავშვზე. ობლომოვკამ ჩაჰკლა

ობლომოვში ნებისყოფა, ინტერესები და ოდესღაც ჰუმანური, კეთილი, ჰკვიანი ადამიანი გადააქცია ცოცხალ ლეშად, რომელიც გაუხმრველად, დიდიდან საღამომდე წევს დივანზე, არც არაფერი აინტერესებს, არც არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ამ მდგომარეობიდან მას ვერ იხსნის ვერც სიყვარული, ვერც მეგობრობა.

ობლომოვშინა წარმოადგენს ბატონყმური სისტემის პრობლემას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი შეცვლილი სახით არსებობს დღესაც, კაპიტალისტურ წყობილებაში, რომელსაც, ისევე როგორც ბატონყმობას, ახასიათებს პარაზიტობაში, ეგოიზმი, ცინიკურ-ინდივიდუალისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

ობლომოვშინა ზოგად სახელად იქცა. „ობლომოვა“ უდიდესი როლი შეასრულა რუსული კრიტიკული ლიტერატურის განვითარების საქმეში და საბატიო ადგილი დაიმკვიდრა რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, 1856 წლიდან, ი. გონჩაროვმა დაიწყო მუშაობა ცენზორად. ამ თანამდებობაზე მუშაობის პირველ პერიოდში გონჩაროვმა ბევრი რამ კარგი გააკეთა რუსული ლიტერატურისათვის, მაგრამ დაახლოებით 1860 წლიდან გაძლიერდა რეაქცია, მთავრობამ დაიწყო პროგრესულ-დემოკრატიული იდეების მატარებელი ნაწარმოებების დევნა. გონჩაროვი იძულებული იყო ცხოვრებაში გაეტარებინა მთავრობის ეს პოლიტიკა. მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ასეთი საქმიანობა არ შეეფერებოდა მას, როგორც მწერალს. გარდა ამისა, სამუშაო ბევრ დროს ართმევდა და ისე ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ვეღარ ეწეოდა. ამიტომ 1867 წელს თავი დაანება ცენზორობას.

1869 წელს გამოქვეყნდა ი. გონჩაროვის მესამე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ხრამი“. როგორც ითქვა, „ხრამისა“ და „ობლომოვის“ დაწერის იდეა მწერალს თითქმის ერთდროულად გაუჩნდა. მაგრამ „ობლომოვის“ დაწერის შემდეგაც მრავალი წელი გავიდა, ვიდრე იგი ჩანაფიქრის განხორციელებას შესძლებდა. რომანში ი. გონჩაროვმა გააკრიტიკა და ამხილა 40-იანი წლების ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენცია და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ინტელიგენციის წარმომადგენლებს ახასიათებთ ერთგვარი ობლომოვშინა. რომანის მთავარი გმირია რასიკი, ლიბერალურად მოაზროვნე კაცი. იგი სიტყვით ილაშქრებს დესპოტიზმის, ბატონყმობის წინააღმდეგ, მზადაა გაანთავისუფლოს ყმები, მაგრამ, ობლომოვის მსგავსად, შეჩვეულია პარაზიტულ ცხოვრებას და თვით საკუთარ მამულშიც კი ვერ ატარებს თავის ლიბერალურ იდეებს.

მაგრამ გონჩაროვმა რომანში გააკრიტიკა აგრეთვე 60-იანი წლების დემოკრატიული ახალგაზრდობა. მწერალმა არ გაიზიარა სამოციანელთა დემოკრატიული იდეები. სწორედ ამაშია „ხრამის“ ძირითადი ნაკლი, რომელიც ავტორის იდეური პოზიციების მცდარობის შედეგს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რომანს მაინც დიდი ის-

ტორიულ-ლიტერატურული ღირებულება გააჩნია. მასში მწერალმა უდიდესი ოსტატობით ასახა რუსული საზოგადოების ყოფა „ხრამი“, არსებითად, მწერლის უკანასკნელი დიდი მხატვრული ნაწარმოები იყო. •

„ხრამის“ გამოქვეყნების შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელი ორ ათეული წელი გონჩაროვი კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ამ პერიოდში იგი წერდა მოგონებებს, სტატიებს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ჩანაწერები ბელინსკის პიროვნების შესახებ“. ამ ჩანაწერებში გონჩაროვმა გააცოცხლა უდიდესი კრიტიკოსი და შესანიშნავი მოქალაქე.

გონჩაროვი გარდაიცვალა 1891 წელს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I.

რ უ ს ე ბ ი ი ა პ ო ნ ი ა შ ი

1858 წლის მიწურულსა და 1854 წლის დასაწყისში

ნაგასაკის რეიდში შესასვლელი. — იაპონელების პირველი ვიზიტი. — რეიდისა და ქალაქის ხელი. — ბატარეები; სოფლები. — თარჯიმნები და ბანიოსები. — საყარაულო ნაგები და მენიჩბენი. — გუბერნატორის წერილის გადაცემა. — ყოველდღიური ურთიერთობა იაპონელებთან. — სანოვაგის მოწოდება. — ჰოლანდიელების ვიზიტი ფაქტორიიდან. — ქარიშხალი. — ახალი თარჯიმანი. — აღმირალისა და ნაგასაკის გუბერნატორის შეხვედრის ცერემონიაზე მოლაპარაკება. — გუბერნატორის მდივნები. — საზეიმო გამგზავრება ნაგასაკში. — ნავსადგური და ტანტრევენები. — იაპონელი ჯარისკაცები. — ქუჩა და სახლები. — გუბერნატორთან შეხვედრა. — რუსეთის მთავრობის წერილის გადაცემა იაპონიის მთავრობისათვის. — იაპონური მასპინძლობა. — ელოდან პასუხის მოლოდინში. — მეორე გუბერნატორი. — კიდევ თარჯიმანი. — ლაშქრობის წლისთავი. — სპექტაკლი კორკეტ „ოლივეუცაზე“. — სიოჯუნის სიკვდილი. — ავდარი. — პასუხი ელოდან. — ნაგებობის სეირნობა. — პაპენბერგი. — თავკების კუნძული. — საჩუქრები. — მნიშვნელოვანი ცნობა ელოდან. — გამგზავრება... 5

II

შ ა ნ ხ ა ო

სედლის კუნძულები. — მეთევზეთა ფლოტილია. — სავაჭრო შეკენით შანხაიში გამგზავრება. — გუცლავი. — იანსეკიანი. — ხანძარი. — მდინარე ვუსუნი და მისი დაბა. — სამხედრო ჯარსები და ევროპული ზომადები. — შანხაი. — ჩაის ამბავი. — მდაბიო ხალხი. — საბაჟო. — ამერიკელი კონსული. — ჩუქურთმისი ჩინური ნახელავი. — ქუჩები და ბაზრები. — დუქნები და გამყიდველები. — ხილი, მწვანილი და ნანადირევი ფრინველი. — სამიკიტნოები. — ევროპული მალაზიები. — ბუდას სამლოცველო. — შანხაური დოლარები და ჩინური სპილენძის ფული. — შადამოები, მდნდვრები, ინგლისელთა სასეირნოები. — ბანაკი და ინსურგენტები. — ტაუტაი სამკვა. — სანოვაგით მოვაკრეთა მიერ ქალაქის ალყის შემორტყმა. — ინგლისელების მოპყრობა ჩინელებისადმი, — ოპიუმით

ვაკრობა. — შანხაის მნიშვნელობა. — ბოვდიხანის ტახტის პრეტენდენტი. — ქრისტიანობის წარმატება ჩინეთში. — ფერმები და მიწათმოქმედნი. — ჩინური დაკრძალვა. — ფრეგატზე დაბრუნება. 108

III

რუსები იაპონიაში

სამაგიერო საჩუქრები. — ახალი სახეები. — ცნობა იაპონელ რწმუნებულთა თაობაზე. — მათთან შეხვედრის პირობები. — ახალი წელი. — ისევ ნავასაკში გამგზავრება. — სალუტი. — რწმუნებულები და ორივე გუბერნატორი. — მისალმებანი, სადილი, საუბრები. — შორისდებულნი. — რწმუნებულთა მობრძანება ფრეგატზე. — შეხვედრა; სადილი. — საჩუქრები. — იაპონური ხმლები. — საზეიმო მიღება და სადილი იაპონელებთან. — სიოგუნის გამოგზავნილი საჩუქრები. — წერილი უზენაეს საბჭოდან. — ნავასაკში ხშირი მგზავრობა კონფერენციისათვის. — იაპონელთა ახალი წელი. — რწმუნებულთა მეორედ მობრძანება ფრეგატზე. — გამოსამშვიდობებელი სადილი მათთან. — გამგზავრება 171

IV

ლიკეის კუნძულები

ნაპირის ხედი. — ბო-ტსუნგი. — ბაზილ გალი. — იდილია. — სატახტო ქალაქის გზა. — დედაქალაქი ჩუდი. — ქვის სამუშაოები. — პეიზაჟები. — მცხოვრებლები, სახლები, ტაძრები. — ყანები. — სამეფო კოშკი. — კუნძულთა დამოკიდებულება. — პროტესტანტი მისიონერი. — იდილიის უკულმა მხარე. — ნაპა-კიანი. — მისიონერის სადგომი. — ნაპა-კიანის გუბერნატორი. — ჩინელ ემიგრანტთა ხომალდი. — გასეირნება და გამგზავრება 235

V

მ ა ნ ი ლ ა

ლუ-ჩუდან მანილამდე

მანილის ყურე — კორეხიდორის, ცხენისა და მონაზვნის კუნძულები. — რეიდზე შესასვლელი. — მდინარე პასიგი. — ქუჩები, ლუქნები, ოტელი. — ბინონდოს გარეუბანი და ძველი ქალაქი. — ტაგალები, ჩინელები, მეტისები და ესპანელები. — მიდამოები. — მცენარეულობა. — პლანტაციები. — კალსადო. — ფრანგი მისიონერები. — კილისა და ანანასის ბოქვოების ნახელავი. — სანტა-კრუსისა და მიგელის ტაძრები. — ჯარისკაცთა წერთა. — ქალები. — ხელიკები ოჯახებში. — აბაზანები. — ეიზიტად ესპანელებთან. — თამბაქოს ფაბრიკა. — ფრანგი ეპისკოპოსი. — ესპანური მონასტერი. — სობორო. — მომლოცველები და მქადაგებლნი. — მაპლაყინწათა ძიძგილობა. — ხეთა ჯიშები. — ბავირის ფაბრიკა. — სიგარებით მომარაგება. — მანდილოსნები ფრეგატზე. — საიდან წარმოიშვა

ხიტყვები ლუსონი და მანილა. — ბუნების სიმშვენიერე. — გეოგრაფიული, ისტორიული და სტატისტიკური შენიშვნები ფილიპინის კუნძულებზე 271

VI

მანილიდან ციმბირის ნაპირებამდე

მორყეული ანძა. — ბატანის კუნძული. — Padre და ალკადი. — სულოი. — კამიგუინის კუნძული, პიო-კვინტოს ნავსადგური. — წითელი ხე. — ფრინველები და მწერები. — ბანანები. — იხეების მყლაპავი ურჩხული. — ტროიკულ ტყეში სადილობა. — ვეშაპი. — ზვიგენი. — კამილტონის კუნძული. — კამელიები. — კორეელები. — ცნობები შანხაიდან. — ნაგასაკი. — მეორე გუბერნატორი. — საჩუქრები. — სანოვაგე. — გოტოს კუნძულები. — კორეის ნაპირები; მათი აღწერა და რუკებზე შემოწმება. — ლაზარევის ყურე. — ნაპირზე გასეირნება. — დიდი ნისლა. — გველი. — მცხოვრებლებთან დაახლოება. — უსიამოვნება. — ტიამანგას მდინარე. — ისტორიული შენიშვნა კორეაზე. — თათრის სრუტე. — ქარიშხალი. — დიდი ყურე. — მცხოვრებლები. — ტუნგუსი აფონკა. — გილიაკები 343

VII

დაბრუნება ციმბირის გზით

ოხოტის ზღვა. — ვეშაპმჭერი. — პეტროვსკის საზამთრო სადგომი. — აიანის კლდეები და რეიდი. — სამგზაურო სამზადისი. — ცხენით მგზავრობა. — ჯუჯურზე ასვლა. — მთები და ქაობები. — ნელკანი და მდინარე მაია. — იაკუტები და რუსი ახალმოშენნი. — კვლავ ცხენით მგზავრობა. — ტყეები და ქაობები. — იურტები. — ურმება 406

VIII

ი ა კ უ ტ ს კ ი დ ა ნ

ურასა. — სადგურის ზედამხედველი. — ღამის სათვეი ღენის პირას. — ბორანი. — იაკუტსკი. — საგზაო მზადება. — ბეწვის სამოსი. — რუსი მისიონერები. — სახარების იაკუტური თარგმანი. — იაკუტები, ტუნგუსები, ყარაგაულები, ჩუქჩები. — მოხელეები, ვაჰრები. — გაცოლება 454

IX

ი რ კ უ ტ ს კ ა მ დ ე

ქალაქი ოლეკმა. — ღენა. — სადგური ღენაზე. — ორმოცი გრადუსი ყინვა. — ღვინო და ყინულის შჩი. — იურტები და ჩუვაშები. — ტყეები. — ტუნგუსები. — ვიტიმა. — კირენსკი. — ცხენები და მეეტლენი . . . 498
ოცი წლის შემდეგ 516

რედაქტორი კ. გარდაფხაძე
გამომც. რედაქტორი რ. ინანიშვილი
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ი. კიკნაძე
კორექტორი ლ. ერისთავი

ხელმოწერილია დასაბუჯდად 20/VI-63.

ანაწყოების ზომა 5,5×9.

ქალაქის ზომა 84×108.

ნაბეჭდი თაბახი 35,25.

საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 26,14.

ტირაჟი 20 000 შეკვ. № 920

ფასი 46 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი. მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.